ISSN 1512-3243

კვალი

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

Kvali

INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL

Квали

МЕЖДУНАРОДНЫЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

http://GAAS/geoweb.ge

2009 № 1-2

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კვალი“

მთავარი რედაქტორი

მანანა ვახტანგაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი

ლანა ქარდავა

სარედაქციო კოლეგია:

თავმჯდომარე **ლაშა ჟვანია**

წევრები: გურამ ალექსიძე, ივერი ახალბედაშვილი, დავით ბედია, ვახტანგ ბურკაძე, ზაზა გამცემლიძე, არჩილ გეგენავა, ლერი გიგინეიშვილი, არჩილ ვაშაკიძე, დარეჯან კაპანაძე, ბაკურ კვეზერელი, ალექსი მორგუნოვი, ცოტნე მირცხულავა, ოთარ ნათიშვილი, პეტრე ნასყიდაშვილი, რაჯენდრა პაროდა, ლადო პაპავა, ოთარ ღორჯომელაძე, თენგიზ ყურაშვილი, შოთა ჭალაგანიძე, ნოდარ ჭითანავა, რომან ხარბედია.

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ ქართულ ენაზე ინგლისური და რუსული ანოტაციებით, გამომცემელი შპს „აგრარულ-ეკონომიკური სამეცნიერო ჟურნალი კვალი“. ჟურნალი დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“, მის: ჭავჭავაძის გამზ. 19, ჟურნალი რეცენზირებადია. ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები რეფერირდება რეფერატულ ჟურნალებში. ჟურნალი ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით სამეცნიერო გაცვლის საშუალებით. რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2005 წლის 11 ოქტომბერს ბრძანება № 6/3/006 შპს

რედაქციის მისამართი: 380023, თბილისი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.
http://GAAS/geoweb.ge ტელ.: 59-56-94, 59-53-86

INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL “KVALI”

Editor-in-Chief

MANANA VAKHTANGADZE

Responsible Editor

LANA KARDAVA

BOARD OF EDITORS

Chairman LASHA JHVANIA

Members: Guram Aleksidze, Iveri Akhalbedashvili, David Bedia, Vakhtang Burkadze, Zaza Gamtsemlidze, Archil Gegenava, Leri Gigineishvili, Archil Vashakidze, Darejan Kapanadze, Bakur Kvezereli, Aleksi Morgunovi, Tsotne Mirtskhulava, Otar Natishvili, Petre Naskidashvili, Rajendra Paroda, Lado Papava, Otar Gorjameladze, Tengiz Kurashvili, Shota Chalaganidze, Nodar Chitanava, Roman Xarbedia.

The quarterly journal “Kvali” is published in Georgian language with English and Russian annotations by L.T.D. “Agro-Economic Scientific Journal Kvali.” The journal was printed in publishing house “Universal,” Address: Chavchavadze Ave. 19, the journal is censured; articles published in the journal are referenced. The journal is disseminated internationally through scientific exchange. The journal is registered by Tbilisi Tax Inspection Order #6/3/006 of October 11, 2005. Address of the Editors Office: 380023, Tbilisi, Georgian Academy of Agricultural Sciences, D. Agmashenebeli Alley, 13th K.

http://GAAS/geoweb.ge Tel: 59-56-94, 59-53-86

МЕЖДУНАРОДНЫЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ «КВАЛИ»

главний редактор

МАНАНА ВАХТАНГАДЗЕ

ответственный редактор

ЛАНА КАРДАВА

РЕДАКЦИОНАЯ КОЛЛЕГИЯ

Председатель – ЛАША ЖВАНИЯ

Члены: Гурам Алексидзе, Ивери Ахалбедашвили, Давид Бедия, Вахтанг Буркадзе, Заза Гамцемлидзе, Арчил Гегенава, Лери Гигинеишвили, Арчил Вашакидзе, Дареджан Капанадзе, Бакур Квезерели, Алексеи Моргунов, Цотне Мирцхулава, Отар Натишвили, Петре Наскидашвили, Раджандра Парода, Ладо Папава, Отар Горджомеладзе, Тенгиз Курашвили, Шота Чалаганидзе, Нодар Читанава, Роман Харбедия.

Журнал выходит четыре раза в год на грузинском, английском и русском языках. Издательство ооо Аграрно-экономический научный журнал квали» Журнал напечатан в издательство «универсал». адрес: пр. Чавчавадзе, №19. Журнал Рецензирован Опубликованные в журнале статьи реферируются в реферктных журналах. Журнал распространяется в международном масштабе с помощью научного обмена Журнал регистрирован налоговой инспекцией г. Тбилиси 11 октября 2005 года Приказ № 6/3/006 ООО Адрес редакции: 380023. г. Тбилиси. Академия сельскохозяйственных наук Грузии. Сквер Давида Агмашенебели 13 км. http://GAAS/geoweb.ge Tel.: 59-56-94, 59-53-86

ეკონომიკური პოლიტიკა
Political Economy
ЕКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА
ლაშა ჟვანია
LASHA JHVANIA
ЛАША ЖВАНИА
საქართველო ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანაა
Georgia as an Open Economy
Грузия страна открытой экономики 7
ნოდარ ჭითანავა
NODAR CHITANAVA
НОДАР ЧИТАНАВА
ცივილიზებული მსოფლიო ახალ ეკონომიკურ პარადიგმას შესთავაზებს კაცობრიობას
Civilized World will Offer Mankind a New Economic Paradigm
Цивилизованныи мир предложит новую экономическую парадигму человечеству 12
„სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ ხარისხისა და საიმედოობის გარანტი
СОКАР ДЖОРДЖИЯ ПЕТРОЛЕУМ» Гарант качества и надежности
«SOCAR GEORGIA PETROLEUM» Guaranteed quality and reliability 16

აგრარული პოლიტიკა
AGRICULUTRAL POLICY
АГРАРНАЯ ПОЛИТИКА
ბაკურ კვეზერელი
BAKUR KVEZERELI
БАКУР КВЕЗЕРЕЛИ
სოფლის მეურნეობას საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია
Agriculture Occupies an Important Place in Georgian Economy
Сельское хозяйство занимает значительную роль в грузинской экономике 23
ივერი ახალბედაშვილი
IVERI AKHALBEDASHVILI
ИВЕРИ АХАЛБЕДАШВИЛИ
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისათვის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონების მოკლე მიმოხილვა
Brief Review of Georgian Legislation on Farmlands 25

პოლიტიკა
POLITICS
ПОЛИТИКА
ვახტანგ ხარჩილავა
ВАХТАНГ ХАРЧИЛАВА
VAKHTANG KHARCHILAVA
არასწორად გაგებული პატრიოტიზმი
Patriotism Misunderstood
Неправилно понятый патриотизм 31

საერთაშორისო პროექტები
INTERNATIONAL PROJECTS
МЕЖДУНАРОДНЫЕ ПРОЕКТЫ
დარეჯან კაპანაძე
ДАРЕДЖАН КАПАНАДЗЕ
DAREJAN KAPANADZE
მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი
Implementation of the World Bank Supported Georgia Protected Areas Development Project
Осуществление проекта по развитию охраняемых территорий Грузии с помощью всемирного банка 46

აქტუალური თემა
The Theme of the Day
АКТУАЛЬНАЯ ТЕМА
ზაზა გამცემლიძე, ნუგზარ ზაზანაშვილი
ЗАЗА ГАМЦЕМЛИДЗЕ, НУГЗАР ЗАЗАНАШВИЛИ
ZAZA GAMTSEMLIDZE, NUGZAR ZAZANASHVILI
ტყის ხანძარი ბორჯომში
Forest Fires in Borjomi
Лесной пожар в Борджоми 52
ოთარ ღორჯომელაძე
OTAR GORJOMELADZE
ОТАР ГОРДЖОМЕЛАДЗЕ
სიმინდის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა და შიდამთიანი აჭარის ეროზირებულ ფერდობებზე სტაციონარული გამოკვლევის შედეგები
Public-agricultural Importance of Corn and the Results of Stationary Research on Intra-mountainous Ajara's eroded flanks
Народно-хозяйственное значение кукурузы и результаты стационарных опытов на эродированных склонах Внутригорной Аджарии 58

პერსპექტივა
PERSPECTIVE
ПЕРСПЕКТИВА
ლერი გიგინეიშვილი
ЛЕРИ ГИГИНЕИШВИЛИ
ფერმერული მეურნეობის პერსპექტივები
Perspectives of farmers' economies
Перспективы фермерских хозяйств 65
ოთარ ღორჯომელაძე, გიზო გოგიჩაიშვილი, მარინა ღორჯომელაძე
OTAR GORJOMELADZE, GIZO GOGICHAISHVILI, MARINA GORJOMELADZE
ОТАР ГОРДЖОМЕЛАДЗЕ, ГИЗО ГОГИЧАИШВИЛИ, МАРИНА ГОРДЖОМЕЛАДЗЕ
სამთო მიწათმოქმედების, სიდერაციისა და ნიადაგის ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ასპექტები
Highland Agriculture, Cideration and Land Fertility Related Aspects
Аспекты связанные с горным землеводством, сидерацией и плодоносности земли 69
გურამ ალექსიძე
GURAM ALEKSIDZE
ГУРАМ АЛЕКСИДЗЕ
მცენარეთა დაცვა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში
Plant Protection and its Development Perspectives in Georgia
Защита растений и перспективы ее развития в Грузии 76

პრობლემა
PROBLEM
ПРОБЛЕМА
თენგიზ ყურაშვილი
TENGIZ KURASHVILI
ТЕНГИЗ КУРАШВИЛИ
ღორის გრიპი, რამდენად საშიშია იგი
Swine Flu and its Threats
Свинной грип, насколько он опасен 79
იური ნიკოლაიშვილი
IURI NIKOLAISHVILI
ЮРИЙ НИКОЛАИШВИЛИ
საქართველოს კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" და მომხმარებელთა უფლებების დაცვა
Georgian Law on « Food Safety and Quality » and Protection of Consumer Rights
Закон Грузии «о безопасности и качестве продуктов» и защита право потребителей 81
რევაზ ფახურიძე
REVAZ PAKHURIDZE
РЕВАЗ ПАХУРИДЗЕ
„იაფი კრედიტი" სიღარიბის დაძლევის ერთადერთი თუ ერთ-ერთი საშუალება
« Small Credit » the only or one of the means for overcoming poverty
«Мелкие кредиты» единственное или одно из средств устранения бедности 84

ერისთვის დაუვიწყარი თარიღები
UNFORGETABLE NATIONAL DATES
НЕЗАБЫВАЕМЫЕ ДАТЫ НАЦИИ
ილიას მკვლელობიდან 100 წელი გავიდა
ILIA - 100 YEARS AFTER THE MURDER
ПРОШЛО 100-ЛЕТ ПОСЛЕ УБИЙСТВА ИЛЬИ 86
ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდებოდა
ZVIAD GAMSAKHURDIA 70 YEARS AFTER HIS BIRTH
ЗВИАД ГАМСАХУРДИЯ 70 ЛЕТ ОТ РОЖДЕНИЯ 88
ვახტანგ ხარჩილავა
VAKHTANG KHARCHILAVA
ВАХТАНГ ХАРЧИЛАВА
ბატონო ბესარიონ გუგუშვილო, ზვიად გამსახურდია თქვენ მოკალით?
Mr. Besarion Gugushvili, did you kill Zviad Gamsakhurdia?
Господин Бесарион Гугушвили, Вы убили Звиада Гамсахурдия? 88
პატრიარქის აღსაყდრებიდან 31 წელი შესრულდა
31 YEARS AFTER PATRIARCH'S ASCENSION
31 ЛЕТ ОТ ВОСХОЖДЕНИЯ ПАТРИАРХА 94
დავით მაისურაძე
DAVID MAISURADZE
ДАВИД МАИСУРАДЗЕ
ჩემო მამულო
My Motherland
Моё Отечество 94
იუტა ბედია... წელს 65 წლის გახდებოდა
65 YEARS AFTER THE BIRTH OF IUTA BEDIA
65 ЛЕТ ОТ РОЖДЕНИЯ ИЮТЫ БЕДИЯ 96
მანანა ვახტანგაძე
MANANA VAKHTANGADZE
МАНАНА ВАХТАНГАДЗЕ
უნაზესი ვარდის ფურცელივით მშვენიერი და ჰაეროვანი
As Wonderful and Fresh as the Leaf of a Tender Rose
Прекрасное и свежее как листок нежнейшей розы 96

რელიგია და მეცნიერება
RELIGION AND SCIENCE
РЕЛИГИЯ И НАУКА
ნანა გიგინეიშვილი
NANA GIGINEISHVILI
НАНА ГИГИНЕШВИЛИ
რელიგია და მეცნიერება
Religion and Science
Религия и наука 101

ენა, მამული, სარწმუნოება
LANGUAGE, MOTHERLAND, FAITH
ЯЗЫК, ОТЕЧЕСТВО, ВЕРА
ბონდო არველაძე
BONDO ARVELADZE
БОНДО АРВЕЛАДЗЕ
„ჯავახქ..."
"JAVAKHQ"
«Джавахк...» 106
თინა იველაშვილი
TINA EVALASHVILI
ТИНА ИВЕЛАШВИЛИ
სოფელ ველის ქართველ კათოლიკეთა ბედი
Fate of Georgian Catholics in Village Veli
Судьба грузинских католиков в селе Вели 113

დავით მაისურაძე
DAVID MAISURADZE
ДАВИД МАИСУРАДЗЕ
შენიშვნები ისტორიულ თემებზე
Comments on historic themes
Коментарии на исторические темы 118
ისტორიის ფურცლებიდან
FROM HISTORY PAGES
ИЗ СТРАНИЦ ИСТОРИИ
თამაზ კობაიძე
TAMAZ KOBAIDZE
ТАМАЗ КОБАИДЗЕ
ვაზი და ღვინო მითოლოგიასა და რელიგიაში
Grape and wine in mythology and religion
Лоза и вино в мифологии и религии 243
ციცო დოსმიშვილი
TSITSO DOSMISHVILI
ЦИЦО ДОСМИШВИЛИ
ისტორიის ფურცლებიდან
From history pages
Из страниц истории 250

მემორიალი
MEMORIAL
МЕМОРИАЛ
ჯემალ მახარაძე
Jemal Maxaradze
ДЖЕМАЛ МАХАРАДЗЕ
ვახტანგ ბურკაძე – ცხოვრება და მოღვაწეობა
Vaxtang Burkadze – Life and Science
Вахтанг Буркадзе – Жизнь и творчества 252
აკაკი კანდელაკი
AKAKI KANDELAKI
АКАКИ КАНДЕЛАКИ
ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი
Distinguished Scolar and Profesor
Заслуженный ученый и педагог 255

ჩვენი მეზობლები
OUR NEIGHBOURS
НАШИ СОСЕДИ
მარგარიტა ახვლედიანი
MARGARITA AKHVLEDIANI
МАРГАРИГА АХВЛЕДИАНИ
იდეალური პარტნიორები
Ideal partners
Идеальные партнеры 257
თათულ ჰაკოფიანი
TATUL HAKOPIANI
ТАТУЛИ ХАКОПИАН
თურქეთს აინტერესებს მხოლოდ პროცესი, სომხეთს – მხოლოდ შედეგი
Turkey is interested only in process, Armenia – only in result
Турцию интересует только процесс, Армению – только следствие 258

რეკლამა
Advertisement
РЕКЛАМА 260

ლაშა ჟვანია

ეკონომიკის განვითარების მინისტრი

უაკ (UDC) 338.124.4

საქართველო ღია ეკონომიკის ქვეყანაა

2008 წელი საკმაოდ მძიმე გამოდგა მსოფლიოსთვის. ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა წარმატებული ბიზნესის მქონე ცივილიზებული ქვეყნები. „კვალის“ მკითხველს რომ მარტივად ავუხსნათ, კრიზისი, როგორც მოგეხსენებათ, დაიწყო შეერთებულ შტატებში იპოთეკურ ბაზარზე განვითარებული კრიზისული მოვლენების შედეგად და გადასწვდა ევროპისა და აზიის ქვეყნებს. ხოლო რაც შეეხება ჩინეთსა და ინდოეთს, ამ ქვეყნის სამრეწველო ობიექტებისა და ბაზების კრიზისულმა სიტუაციამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა სატრანსპორტო და საბანკო სექტორს. როგორც ვიცით ნავთობის ფასი ჩინეთის სამრეწველო ბაზარზე გახლავთ ინტეგრირებული. ნავთობის ფასი კი მსოფლიო ეკონომიკური ფონის განმსაზღვრელია. როგორც განვითარებული ქვეყნების საგადასახადო, შიდა და გარე ეკონომიკური პროცესების მართვის კანონმდებლობით არის ცნობილი, სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს ბიზნესის ეკონომიკაში. აღნიშნულმა მოდელმა შეუწყო ხელი ცივილიზებული და შედარებით ცივილიზებული ქვეყნების ეკონომიკის განვითარებას, მაგრამ, თუ მოსალოდნელია საფინანსო კოლაფსი რა უნდა ქნას სახელმწიფომ?

განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში ზოგადი მოთხოვნა, რომ სახელმწიფოს არა აქვს უფლება ჩართულ იქნას სამეწარმეო საქმიანობაში – არ არსებობს. მიმდინარე საფინანსო ეკონომიკური კრიზისის დაძლევის რეგულირებისას ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოებს და განვითარებულ ქვეყნებს ღონისძიების განხორციელებისას, ამ ნიშნით არ მოუხდენიათ (არ დასჭირებია) კონსტიტუციური ცვლილებები. ამდენად, ამ მიმართულებით სამართლებრივი პრობლემა არ არსებობს. ის, რომ ზოგიერთი სამართლებრივი აქტი შეიძლება ცვლილებებს საჭიროებდეს ცალკეული ღონისძიებების შემთხვევაში, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს რაიმე შეზღუდვები გააჩნია ამ მიმართულებით. პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, სახელმწიფო იღებს იმ გადაწყვეტილებას, რასაც კონკრეტულ მდგომარეობაში ალტერნატივა არ გააჩნია. ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ამ ეტაპზე იხილება ან დღის წესრიგში დგას ეკონომიკის მოწყობის ფორმატის შეცვლა.

ასევე, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ცივილიზებულმა ქვეყნებმა შეცვალეს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და ის გახდა მემარცხენე მიმართულების. ღია პრინციპით მოწყობილი ეკონომიკისათვის დამახასიათებელია საბაზრო ჩავარდნები. ის განიხილება სპეციალურ აკადემიურ ლიტერატურაშიც და ამას ადასტურებს ცივილზებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ისტორია.

საბაზრო ჩავარდნების დროს სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია. ჩარევის, გარეგანი ინექციის გარეშე საბაზრო რყევებმა შესაძლოა გაცილებით მძიმე შედეგები გამოიწვიოს. ალტერნატიული გზა გონივრულ ჩარევაშია. ეს კი დროებითი ღონისძიებაა, რომლის შემდგომ ღია პრინციპით მოწყობილი სახელმწიფო იშორებს იმ აქტივებს, რომლის აღება ან სამეწარმეო ნიშნით შესვლა ტექნიკური აუცილებლობით არის განპირობებული.

რაც შეეხება ნავთობპროდუქტების ბაზარზე საქონლის ფასწარმოქმნას, ის არ შეიძლება იყოს ინტეგრირებული აღმოსავლეთის ვეფხვებთან, რადგან ნავთობის ფასზე, გარდა რესურსებზე მოთხოვნის ზრდისა, სხვა ფაქტორებიც მოქმედებს – ენერგოეფექტურობა, ნავთობმწარმოებელი ქვეყნების პოლიტიკა, გლობალური

ენერგოუსაფრთხოების საკითხები, რაც თავის მხრივ, განაპირობებს გარკვეულ არაფორმალურ შეთანხმებებს მომავლის ინვესტიციების განხორციელებაზე, რომლის გარეშე შეუძლებელია ცივილიზაციის თანმიმდევრული განვითარების პროგნოზირება.

მმართველი ხელისუფლების მიერ ეკონომიკური პროცესების განვითარების მიმართ ყურადღების დათმობა ხომ არ გამოიხატება დეპოზიტებზე გარანტიების გაცემის დაწყებით და კომპანიების გათავისუფლება არალიკვიდური აქტივებისაგან? რას ნიშნავს ეს? რომ სახელმწიფო გახდება ბიზნეს-აქტივების მფლობელი?

საქართველო იმპორტზე ორიენტირებულია 4/5-ით, შესაბამისად აქ არ არსებობს მეორადი და არ მუშაობს საფონდო ბაზრები, ლიკვიდობის პრობლემა მაინც შეიქმნა ბანკებში. ხომ არ განმარტავდით, რატომ გახდა შეუქცევადი ეს პროცესი და უბრალო მოქალაქისთვის როგორ ავხსნათ, რას ნიშნავს იგი? ვეღარ მოიზიდავს ბანკები რესურსებს და ინვესტიციებს?

საქართველო წარმოადგენს საერთაშორისო საზოგადოების წევრ ქვეყანას და არ იქნება იმის თქმა სწორი, რომ საფინანსო ეკონომიკური კრიზისი მას გვერდზე აუვლის. საქართველო ღია ეკონომიკის ქვეყანაა, ეკონომიკის მოდერნიზირება სწორედ ამ ნიშნით განხორციელდა და აქედან გამომდინარე, უფრო მეტად არის ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკასთან, ვიდრე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის არაწევრი ქვეყანა გამართული საფინასო ინსტიტუტებით. მიუხედავად ამისა, საფინანსო ეკონომიკური კრიზისი ყველა ქვეყანას ეხება, რადგან მიმდინარეობს საერთაშორისო სასაქონლო ბაზრების კორექცია. ანუ გასული საუკუნის 80-90 იანი წლების ეკონომიკა განიცდის კორექციას, რომელმაც ცივილიზაციის სხვა დანარჩენ გამოწვევებთან ერთად წარმოშვა საფინანსო კრიზისი. თავდაპირველად ის შეეხო შინამეურნეობის შემოსავლებს, გააგრძელა ფარული წინსვლა და შემდგომ, ერთბაშად გამოვლინდა საფინანსო სექტორში, რადგან შეცვლილ ვითარებაში პირებმა ვერ შეძლეს საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით განხორციელებული დაბანდების მომსახურება – ვერ გადაიხადეს კრედიტი. შინამეურნეობის შემოსავლების კლებამ განაპირობა საფინანსო ინსტიტუტების ლიკვიდურობის მაჩვენებლების გაუარესება, ბანკების გაკოტრება და რეალური ეკონომიკის დაფინანსების შემცირება.

როდესაც მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე მიმდინარეობს კორექცია, ზემოთ აღნიშნული მიზეზების ზემოქმედების ალბათობა არსებობს ყველა ქვეყნის ეკონომიკისთვის. იგი ეხება როგორც ძირითად სასაქონლო ბაზრებს, ასევე ამ ბაზრების შემავსებელ ბაზრებსაც. აღნიშნულ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენადაა ქვეყანა მზად უპასუხოს გამოწვევებს. ეს უკანასკნელი დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფოს პოლიტიკურ სტაბილურობაზე, საზოგადოების სოლიდარობის დონეზე და გადაწყვეტილების მიღებისას მთავრობის მოქნილობაზე.

არსებობს თუ არა ლარის დევალვაციის საფრთხე?

ვალუტის დევალვაციის საფრთხე ზოგადად, ყოველთვის არსებობს ნაციონალურ ეკონომიკაში. ის დამოკიდებულია ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. თუ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა ეცემა, საგადასახდელო ბალანსი უარესდება, მაკროეკონომიკური წონასწორობა ირღვევა, მაშინ აუცილებელი ხდება ნაციონალური ვალუტის გაცვლითი კურსის შემცირება. ეს არ უნდა იქნას განხილული ტრაგიკულ მოვლენად, რადგან კრიზისული მდგომარეობის გარეშეც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის ქვეყნები ხშირად მიმართავენ ვალუტის გაცვლითი კურსის შემცირებას. ამ ეტაპზე საქართველოსთვის ყველაზე ოპტიმალურია საზოგადოების მიერ ადაპტირებული პოლიტიკის განხორციელება. კერძოდ, საზოგადოების და არა ერთი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მონეტარული პოლიტიკის განხორციელება. ქვეყნის მონეტარული პოლიტიკა არ უნდა იყოს ურთიერთთავდასხმების ობიექტი და არ უნდა იყოს პოლიტიზირების ობიექტი. ქვეყანაში უნდა ჩამოყალიბდეს საფინანსო ინსტიტუტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხილვის კულტურა, როგორც ეს დამახასიათებელია ცივილიზებული ქვეყნებისათვის. ამით გაიზრდება მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობა.

მაკროეკონომიკური პარამეტრები ომის შედეგად უარესდება თუ გარეგანი ფაქტორების შედეგად, ქვეყანას უნდა ჰქონდეს ეფექტიანობის საფუძველზე დასაბუთებული მონეტარული პოლიტიკა. გასული წლის 7-10 ნოემბერთან დაკავშირებით, ყველაზე ჭკვიანური რაც აღნიშნულა არის ის, რომ თუ ეს აუცილებელი იყო, მანამდე უნდა გაგვეკეთებინა თანმიმდევრული მცურავი კურსით (მერაბ კაკულია, სამინისტროში შეხვედრა). მაგრამ ეს რომ მანამდე გაკეთებულიყო, იქნებოდა პოლიტიზირებული აგვისტოს მოვლენებთან მიმართებაში და უარეს მოლოდინს მივიღებდით.

ამდენად, სწორი მონეტარული პოლიტიკის შედეგადაც არის შესაძლებელი შეიცვალოს ვალუტის გაცვლითი კურსი, არამარტო კონკრეტულ მდგომარეობასთან მიმართებაში. ეს მჯელობა არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს ამ ეტაპზე არსებობს გაუფასურების მაღალი რისკი. დღეისათვის ლარის კურსის სიმყარეს არაფერი ემუქრება. ეროვნულ ბანკს აქვს ლარის სიმყარისათვის საკმაო საერთაშორისო სავალუტო რეზერვები.

რა როლი ითამაშა 2008 წლის აგვისტოს ომმა ეკონომიკური კრიზისის მიმდინარეობაზე?

ომს რომ დანახარჯები და დანაკარგები ახლავს ეს ცნობილია და განხილვას არ ექვემდებარება. ეკონომიკისათვის პირველი, რაზეც ომი ახდენს გავლენას არის რესურსების მოძრაობის შენელება, რაც თავის წილ გავლენას ახდენს მშპ-ს მოცულობაზე და ეს ზემოქმედება ვრცელდება 2009 წლის მშპ-ს პროგნოზზეც. ასევე, ეცემა ეკონომიკის ეფექტიანობა, რადგან ნაწილი ბიზნესისათვის იცვლება სასტარტო პირობები და მისი შევსება მოითხოვს ეკონომიკაში დამატებით ინექციას, დანახარჯებს, რაც გათვალისწინებულ იქნა, როგორც საქართველოს მეგობარი ქვეყნების, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ ბრიუსელის ცნობილ შეხვედრაზე.

38 ქვეყანა და 15 საერთაშორისო ორგანიზაცია 2008 წ. 22 ოქტომბერს ბრიუსელში გამართულ კონფერენციაზე საქართველოს 2008 -2010 წლებში 4,5 მილიარდ აშშ დოლარს დაჰპირდა ომისგან გამოწვეული ჭრი-

ლობების მოსაშუშებლად და ეკონომიკური დონის ასამაღლებლად. ასევე შტატებიც 2 მილიარდს დაჰპირდა. უნდა აღინიშნოს უმთავრესი, რომ დახმარებისთვის გამოყოფილი თანხა, სულ 6.5 მილიარდი დოლარი საჩუქარი არ არის. აქედან 2 მილიარდი სუფთად სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სესხია. ხომ არ აღმოჩნდება კიდევ ერთხელ ჩვენი ქვეყანა გაუთვალისწინებელი ვალების ქსელში, და საერთოდ რას მოხმარდება ეს ფული?

საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის პირობებში ყველა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის მთავარ პრობლემას ფინანსური რესურსების მოძიება წარმოადგენს. დღეისთვის ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ საკითხს წარმოადგენს მიღწეული შედეგების გაუმჯობესება, ეკონომიკის მოდერნიზების ტემპის უწყვეტობა. თუკი ის შენელდა ან გაჩერდა, ახლიდან დაწყება უფრო დიდ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული. ხშირად ქვეყანაში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციისას მიღწეული შედეგების შეფასება ჯეროვნად არ არის აღქმული, არადა არც თუ ხშირი შემთხვევაა, როცა ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზება წარმატებულ შედეგებს განხორციელების პროცესშივე აღწევს, ხოლო ეკონომიკის მოდერნიზების უშედეგო შემთხვევები პრაქტიკაში მრავალია. ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი იდეალურადაა და დამშვიდებას უნდა მივეცეთ. ამდენად, დღეისათვის მნიშნელოვანია ეკონომიკის განვითარების ტემპების უწყვეტობის შენარჩუნება, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, ინვესტიციების მოზიდვა, ინფრასტრუქტურის განახლება ანუ ეკონომიკის შემდგომი განვითარების პირობების შექმნა. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოს ფინასური ლიკვიდურობის მაჩვენებლის რამდენიმე პუნქტით გაუარესება ვერ იქნება სწორად განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის საპირწონე. საგარეო ვალის მშპ-სთან მიმართების არსებული მაჩვენებლის კრიტიკულ ზღვარს გადასულად შეფასება მცდარია, რადგან პრაქტიკაში კრიტიკულ ზღვარს მიღმა 65-70% ზემოთ განიხილება. ამდენად, გონივრული შეფასების ფარგლებში საგანგაშო არაფერია.

სწორად წარმართავს თუ არა ეროვნული ბანკი თავის საქმიანობას? მან მოახდინა სავალუტო რეზერვების შემცირება, ანუ ლიკვიდობის გამოთავისუფლება, რაც ნიშნავდა ინფლაციის ზრდას. კანონის საფუძველზე ჰქონდა მას ამის უფლება?

თქვენ გინდათ თქვათ რომ, ლარის კურსის დადგენისას ეროვნული ბანკის მიერ მოხდა კანონდებლობის დარღვევა?

ლარის კურსის რეგულირებისას შეიძლება ვისაუბროთ განხორციელებული პოლიტიკის მიზანშეწონილობაზე, ეფექტიანობაზე, მაგრამ სამართლებრივ დარღვევაზე ზედმეტია საუბარი. ის, რომ ლიკვიდურობის გამოთავისუფლება ნიშნავს ინფლაციის ზრდას – მცდარ შეხედულებას წარმოადგენს, რადგან ეროვნული ბანკის მიერ ლარის კურსის შენარჩუნების თუ განმტკიცების მიზნით სავალუტო ბაზარზე საერთაშორისო სავალუტო რეზერვების ინტერვენცია (შედეგად რეზერვების შემცირება) არის დეფლაციური პოლიტიკა, რადგან ნაციონალური ვალუტის კურსის შემცირებისას არის შესაძლებელი ვილაპარაკოთ ამ შემცირების წვლილზე ინფლაციის განაკვეთის გამომწვევ ფაქტორებში.

რა ხდება ამჟამად განვითარებული ქვეყნების წარმატებულ ბანკებში? რატომ დაიწყეს არალიკვიდური აქტივების გამოსყიდვა და დეპოზიტების დაზღვევა? რატომ არ ხდება ასე ჩვენთან? რატომ ვართ მინდობილი დონორებზე?

განვითარებული ქვეყნების საფინანსო ბაზარზე მიმდინარე პროცესებზე საზოგადოება საკმარისად არის ინფორმირებული, თუმცა მასზე მსჯელობა და შეფასება კიდევ დიდხანს იქნება საინფორმაციო საშუალების მთავარი თემა. მიმდინარე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის დაძლევის მიზნით, ბანკების ეგრეთ წოდებული „ტოქსიკური“ აქტივების გამოსყიდვა, დამატებითი იაფი რესურსების შეთავაზება გამოწვეულია თანამედროვე ეკონომიკაში ბანკების განსაკუთრებული როლით მისი ყველა სექტორის განვითარებისთვის.

ბანკები თანამედროვე ეკონომიკის, საფინანსო ბაზრის ხერხემალს წარმოადგენს და მათი რეაბილიტაციით მცირდება კრიზისის სიმწვავე და იზრდება მისი დაძლევის ხარისხი. მაგრამ რეაბილიტაცია ყველა ბანკს არ შეხებია, იგი შეეხო მხოლოდ სისტემაშემკვრელ ბანკებს. ყველა ბანკის რეაბილიტაციის რესურსი ფიზიკურად არ არსებობს და პოლიტიკურადაც არ იქნება გამართლებული.

სახელმწიფოს არა აქვს არავითარი პასუხისმგებლობა და მიზანშეუწონელია გადასახადების საფუძველზე მიღებული საბიუჯეტო შემოსულობების ხარჯვა მეწარმე პირების მიერ მიღებული შედეგების დაფინანსებაზე. ამის გაკეთება ხდება უკიდურეს შემთხვევაში, როცა ჩაურევლობამ შეიძლება უარყოფითი სისტემური შედეგები მოგვცეს. ამდენად, განვითარებული ქვეყნების მთავრობების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეეხო საფინანსო ბაზრის სისტემაშემკვრელ ბანკებს და ინსტიტუტებს.

საქართველოსთან მიმართებით ვერავინ იტყვის, რომ ამ ეტაპზე ჩვენთან არის საბანკო კრიზისი და მოსალოდნელია სისტემაშემკვრელი ბანკის გაკოტრება და შემდგომ უარყოფითი ჯაჭვური რეაქცია საფინანსო ბაზარზე. როგორც ცნობილია პრაქტიკაში, კრიზისის პირველი ნიშანი, რეაქცია თვით საბანკო სექტორიდან უნდა მოდიოდეს. ეს მიღებული პრაქტიკაა, შემდგომ უნდა შეფასდეს ბანკების ფინასური მდგომარეობა და მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება ვილაპარაკოთ საფინანსო ბაზარზე სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ პოლიტიკაზე.

რა ხდება სამშენებლო ბიზნესში? თითქმის ყველა ფირმამ შეაჩერა სამშენებლო სამუშაოები. ბინები აღარ იყიდება. ხომ არ მოხდება საბანკო სექტორიდან რესურსის გაცემა, ან კიდევ საბანკო რესურსის შეცვლა სახელმწიფო ინვესტიციებით? რაც, დამეთანხმებით, ნიშნავს აღნიშნულ სექტორში სახელმწიფო შეკვეთების მომრავლებას, ცხადია კომპანიების გადასარჩენად, ან კიდევ სახელმწიფო ხომ არ შეისყიდის ფართობებს და შემდეგ თვითონ ხომ არ მოახდენს მის რეალიზაციას?

პირდაპირი სახელმწიფო ინვესტიციების გაღება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამშენებლო სექტორში არ განიხილება. შექმნილ მდგომარეობაში საბანკო სექტორი რა პოლიტიკას შეიმუშავებს უძრავი ქონების ბაზარზე წინასწარ ამის პროგნოზი ძნელია. შექმნილ ვითარებაში სახელმწიფომ მიზანშეწონილია ძირითადი აქცენტი გაა-

კეთოს საბანკო საქმიანობის ბაზრის ეფექტიანობის გაზრდაზე, რის შედეგად ბინის შეძენის მსურველისათვის ხელმისაწვდომი გახდეს საკრედიტო რესურსი.

შემუშავებული აქვს თუ არა საქართველოს მთავრობას კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლისთვის აუცილებელი ეკონომიკური კონცეფცია?

საქართველოს მთავრობას შემუშავებული აქვს ეკონომიკური კრიზისისაგან დაცვის, ეკონომიკის და სოციალური სტიმულირების სტრატეგია, რომლის მოცულობა შეადგენს 2,2 მლრდ. ლარს. სოციალური დახმარების პაკეტი კი შეადგენს 1.6 მლრდ. ლარს. ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნების და განვითარების ღონისძიებას წარმოადგენს აგრეთვე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შევსების მიზნით გაღებული 750 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის კრედიტი. ამ მიმართულებით უნდა იქნას განხილული ბრიუსელის დონორთა კონფერენციით გათვალისწინებული 4.5 მლრდ აშშ დოლარის მიზნობრივად ათვისება. ასევე, 2008 წლისათვის გადასახადების განაკვეთების ნაწილობრივ შემცირება, რომელიც შეეხო საშემოსავლო, მოგების გადასახადებსა და დივიდენდის დაბეგვრის განაკვეთს, რაც პოზიტიურ გავლენას მოახდენს შინამეურნეობის შემოსავლებსა და ეკონომიკურ აქტიურობაზე.

ეკონომიკური კრიზისისაგან დაცვის სტრატეგია ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს: ბიუჯეტიდან და დონორების დახმარებიდან მიღებული თანხების ადგილობრივ ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტირება, ნაცვლად რომელიმე ექსკლუზიური სექტორის „ლობიზმის“ თუ იმპორტის დაფინანსებისა; მსოფლიო კრიზისის პირობებში სოციალური დაცვის გაძლიერება; უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ქვეყნის ეკონომიკის მიმზიდველობის დამატებით გაზრდა.

სოციალური დაცვის პაკეტში ძირითადი აქცენტი გაკეთდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დახმარების ზრდასა და გაფართოებაზე, დაზღვეულ პირთა რაოდენობის და სადაზღვევო განაკვეთის გაზრდაზე.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობა გააგრძელებს პარტნიორ ქვეყნებთან მუშაობას ვაჭრობის ბარიერების შემცირებისა და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური აქტიურობის გაზრდას.

ყველა ღონისძიებები გარკვევით არის გაწერილი, როგორც სექტორულ ეკონომიკაში გასაწევი ხარჯების, ასევე ის ცვლილებები, რომელიც ეხება სამართლებრივ ინსტიტუციონალურ მხარეს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მთავრობა მოქმედებს რესურსების ეფექტიანად გამოყენების მოტივით და ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის გაზრდას.

შემოსულია თუ არა სავალუტო ფონდის ტრანში ვალუტის კურსის შესანარჩუნებლად?

მსოფლიო სავალუტო ფონდის მორიგი ტრანში 190.6 მლნ აშშ დოლარი – საქართველომ მიიღო 2009 წლის 26 მარტს.

სწორი ეკონომიკური პოლიტიკა ნებისმიერი მაღალგანვითარებული ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი ქვაკუთხედია. რა კრიტერიუმები განსაზღვრავს ქართულ ეკონომიკურ პოლიტიკას, როცა ქვეყანაში უმძიმესი სოციალური სურათია – უმუშევრობა, სიღატაკე და დამცირება. საპენსიო ფონდიც იმდენად დაბალია, რომ გადასახადებს კი არა, პურს, შაქარსა და ჩაის ვერ იყიდის ადამიანი. რა პროგრამებია გათვალისწინებული სოციალური ფონის შესამსუბუქებლად მაინც?

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ქვაკუთხედია ლიბერალური, რაც შეიძლება ინსტიტუციონალური ბარიერებისაგან თავისუფალი, დაბალი საგადასახადო წნეხის სამეწარმეო გარემოს შექმნა, დაბალანსებული სოციალური პოლიტიკა, ზრუნვა სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფ საზოგადოებაზე. ყოველივე ეს ამავე დროს არის თანმიმდევრული ეკონომიკური განვითარების და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების საფუძველი. მითუმეტეს, როცა საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის პირობებში მიმზიდველი სამეწარმეო გარემო და მთავრობის მოქნილობა არის ეკონომიკურ გამოწვევებთან ბრძოლის აღიარებული პოლიტიკა. განსხვავებული მიდგომა კი, ქვეყანაში ჯერ გააუარესებს ეკონომიკურ მდგომარეობას და შემდეგ საერთოდ შეჩერდება ეკონომიკური განვითარება და ეს გაგრძელდება მანამ, ვიდრე განვითარებული ქვეყნები დაძლევენ კრიზისის შედეგებს და კაპიტალი ალტერნატიული ღირებულებიდან გამომდინარე, დაიწყებს მაღალრისკიანი ქვეყნებისაკენ გახედვას. ამ შემთხვევაში ქვეყანას ხელმეორედ დასჭირდება მოდერნიზება. ეს ისეთ ზოგად კანონზომიერებას წარმოადგენს, რომ მასზე მხოლოდ ჩვენთან შეიძლება კამათი.

რუსეთის უზარმაზარ თავისუფალ საბაზრო სივრცეს უაღრესად მაღალი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია, ხოლო მოსკოვი ცივილიზებული სამყაროს ცნობილი კაპიტალისტური ანკლავია, რომელსაც ორგანიზებას უწევს მსოფლიოში ცნობილი რუსული ბიზნესელიტა. რამდენად მომგებიანია საქართველოსთვის თუნდაც რუსული იაფი ხორბლის ქართული სამომხმარებლო სივრცისაგან ბლოკირება? და საერთოდ, აღარ შეეცდება ქართული ხელისუფლება რუსულ ბაზარზე დაბრუნებას?

ქვეყნებისა და პოლიტიკური ნიშნის მიხედვით იაფი საქონლის ეპოქა დიდი ხანია დამთავრდა. საქონლის ფასი საბაზრო ინსტიტუტების მეშვეობით ყალიბდება და არ აქვს დამატებითი მნიშნელობა საქონლის წარმომშობ ქვეყანას. თუ სახლმწიფოთა დამოკიდებულებიდან გამომდინარე ხორბლის ფასზეა საუბარი, მისი ალტერნატიული ღირებულება დიდად აღემატება სასაქონლო ბაზრებზე, ბაზრის ინსტრუმენტების საშუალებით ჩამოყალიბებულ ფასს.

საქართველოს მთავრობა რამდენადაა დაინტერესებული ღვინის ბაზრების მოპოვებასა და შემდეგ მისი შენარჩუნებისთვის? თუ დაბრუნდება ქართული ღვინო რუსულ ბაზარზე?

საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით, რათა შეძლებისდაგვარად გაფართოვდეს როგორც პარტნიორი ქვეყნების გეოგრაფია, ასევე მოხდეს საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაცია.

მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს დაეხმაროს ყველა მეწარმეს, მათ შორის ღვინის მწარ-

მოებლებს და შეუწყოს ხელი ახალი ბაზრების ათვისებაში. ამისთვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შეიქმნა ექსპორტის ხელშეწყობის დეპარტამენტი, რომლის მიზანია, ადგილობრივ მეწარმეებს მიაწოდოს ინფორმაცია უცხო ქვეყნის ბაზრების შესახებ და დაეხმაროს საერთაშირისო ბიზნეს-ფორუმებსა და გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობის მიღებაში.

მოამზადა **მანანა ვახტანგაძემ**

LASHA JHVANIA
Minister
of Economic Development

GEORGIA AS AN OPEN ECONOMY
Resume

Georgia is a member of international community, and therefore, financial economic crisis cannot go unnoticed for it. Georgia is an open economy. Modernization of economy has been conducted exactly in this direction, and therefore, Georgia is more closely integrated in world economy then a country with well fucntioning financial insitutions, which is not a member of the World Trade Organization. Nevertheless, every country is concerned with the financial crisis as international market for goods is undergoing transformation. That means the economy of 80s and 90s of the previus century is undergoing transformation resulting in financial crisis along with other challenges of our civilization.

ЛАША ЖВАНИЯ
министр
экономического развития

ГРУЗИЯ – СТРАНА ОТКРЫТОЙ ЭКОНОМИКИ

резюме

Грузия является страной членом международного общества и будет неверным сказать, что финансовый кризис минует ее. Грузия страна открытой экономики, модернизация экономики осуществилась именно под этим знаком и исходя из этого она еще больше синтегрирована с мировой экономикой, чем страна не являющаяся членом мировой торговой организации с развернутыми финансовыми институтами.несмотря на это финансово-экономический кризис касается всех стран так как идет коррекция международных товарных рынков.То есть экономика 80-90 годов прошлого века терпит коррекцию, которая, вместе с другими издержками цивилизации привела к финансовому кризису.

ნოდარ ჭითანავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

უაკ (UDC) 338.124.4 (100)

ცივილიზებული მსოფლიო ახალ ეკონომიკურ პარადიგმას სთავაზობს კაცობრიობას

ჩვენს დაბნეულ და დათრგუნულ, მაგრამ მაინც შინაგანი სიამაყით საუსე საზოგადოებას დღეს ისე ძლიან სქირდება ღირსეული პროფესიონალის სიტყვა და რჩევა-დარიგება როგორც არასდროს. ჩვენი უუფნალის სარედაქციო კოლეგიის საპატიო წევრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ჭითანაა ამ ღირსეულ მამულიშვილთა რიცხვს ეკუთვნის რომელთანაც ურთიერთობა დიდი მადლია, მათი სახელის ხსენებაც კი სიამაყით აუსებს ნებისმიერ ჩვენთაგანს.

დღეით ადრე შეეხვდი ბ-ნ ნოდარს, მასალა გადმომცა... შემდეგ აგარაკზე მდებოდა ნაკუეთში სამუშაოდ. ცხადია მან, სოფლის მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა კარგად იცის საკუთარი ხელით მოწეული მოსავლის გემო, ისეუე კარგად, როგორც ქართველთა წინაპრებმა და ცოცხლიზებული ეკრობის არისტოკრატებმა. ამისათვის დიოკლეტიანეს მაგალითიც კმარა! აქსიომაა, დიდი ადამიანები სიხარულით ეძლეუან ფიზიკური შრომის ხიბლსა და სიმძიმეს...

«კვალის» მკითხველს საშუალება ეძლეუა ესაუბროს ბ-ნ ნოდარ ჭითანაას რეალურ, საქირბორიტო საკითხებზე. რომელთაც ექსპერტებმა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დაარქუეს.

ბატონო ნოდარ, რას გვეტყვით მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის შესახებ, რა გავლენას მოახდენს იგი საერთოდ ეკონომიკის განვითარებაზე და ხომ არ არის მოსალოდნელი ეკონომიკური პარადიგმების შეცვლა?

– ამჟამინდელი ეკონომიკური კრიზისი მრავალ კითხვას, მათ შორის თქვენს მიერ დასმულსაც, ალბათ ჯერეოვან პასუხს გასცემს. კრიზისის მთავარი მიზეზი თვით საბაზრო ეკონომიკის გენეტიკაშია. ამჟამად საბაზრო სისტემა კრიზისს ვერ გაექცევა. ამასთან, როგორც ჩანს გლობალური კრიზისის წარმოშობა და გაღრმავება უშუალოდ უკავშირდება არასწორად გაგებულ „ეკონომიკურ ლიბერალიზმს". მისი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკურ განვითარებაში წამყვანი როლი „ყოვლის შემძლე" საბაზრო პრინციპებს ენიჭება, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება კი უგულვებელყოფილია. ფაქტობრივად სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები იგნორირებულია. ამ თვალსაზრისით, კაცობრიობას აქვს ორი, ერთმანეთისაგან ფორმით განსხვავებული გამოცდილება, რომლის გათვალისწინება მნიშვნელოვნად შეარბილებდა თავად კრიზისის მწვავე შედეგებს. პირველი – XIX და XX საუკუნის 20-იან

წლებამდე მსოფლიო ეკონომიკა ძირითადად ვითარდებოდა „საბაზრო თვითრეგულირების“ მექანიზმების ცალმხრივი გამოყენებით და სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მინიმალიზაციით. სახელმწიფოს „„ღამის დარაჯის“ ფუნქციის შესრულება ეკისრებოდა.

დროთა განმავლობაში ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპების გაბატონებამ ხელი შეუწყო 1929-1933 წლების მსოფლიო კრიზისის („დიდი დეპრესიის“) წარმოშობა-გაღრმავებას. ამ კრიზისს კაპიტალიზმმა თავი დააღწია საკუთარი ფუძემდებლური პრინციპების დათმობითა და საბაზრო თვითრეგულირებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების რაციონალური შეხამებით (კეინზის მიერ შემოთავაზებული დოქტრინით). 3-4 წელიწადში შესაძლებელი გახდა ეკონომიკის განვითარების კრიზისამდელი დონის (1929 წლის) აღდგენა. მეორე – უახლოესმა ისტორიამ მოგვცა საპირისპირო მაგალითი. მხედველობაში გვაქვს სოციალისტური სისტემის სპონტანურად დაშლის შედეგად განვითარებული პროცესები, რომლებშიც ჩვენც ვიღებთ მონაწილეობას. კარგად ვხედავთ, რომ სოციალისტურმა ეკონომიკურმა სისტემამ, რომელიც უგულვებელჰყოფდა საბაზრო თვითრეგულირების („უხილავი ხელის“) როლს საზოგადოების განვითარებაში, და ცალმხრივად იყენებდა ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის მექანიზმს, ამჯერად კრახი განიცადა. ამ ორი გამოცდილებიდან კაცობრიობამ საჭირო დასკვნები უნდა გააკეთოს. ცხოვრებამ მრავალგზის დაამტკიცა, რომ ეკონომიკურ განვითარებაში ორი შემადგენელი ნაწილი ერთდროულად მონაწილეობს: საბაზრო მექანიზმი და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება. ისინი ანტიპოდები არ არიან, როგორც ეს ადრე იყო აღიარებული, არამედ გამოირჩევიან ურთიერთზემოქმედების, ურთიერთგანპირობებულობის მაღალი დონით და ერთმანეთს ავსებენ. მათი ურთიერთდამოკიდებულება კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თავისებურებებით ყალიბდება. ეს ობიექტური აუცილებლობაა. სამწუხაროდ, ასეთ რეალობას ანგარიშს არ უწევენ. სრულიად არ არის გაცნობიერებული ის, რომ საზოგადოება კი არ ემსახურება ბაზარს, პირიქით, ბაზარი ემსახურება საზოგადოებას, თანაც არა მხოლოდ მის შერჩეულ ნაწილს, არამედ ადამიანს საერთოდ. მოკლედ თუ ვიტყვით, ცალმხრივად ვერც საბაზრო მექანიზმი და ვერც სახელმწიფოებრივი რეგულირება ვერ უზრუნველყოფს მაღალ ეფექტურობას. მათი სიმბიოზით (ყველა კონკრეტული სიტუაციის თავისებურებათა გათვალისწინებით) კი იქმნება რეალური პირობები საზოგადოების წარმატებული განვითარებისთვის.

აშკარად ჩანს, რომ ცივილიზებული მსოფლიო ახალ ეკონომიკურ პარადიგმას შესთავაზებს კაცობრიობას, სხვანაირად, ეკონომიკური კრიზისები უფრო ხშირად და უფრო ინტენსიურად განვითარდება. მომავლის ეკონომიკა სოციალური უნდა იყოს, როგორც ფორმით, ასევე შინაარსითა და სოციალური მდგრადობის უზრუნველმყოფი პოლიტიკური, ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმებით. დარწმუნებული ვართ, რომ საბოლოოდ მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი პოზიტიურ როლსაც შეასრულებს ახალი ტიპის ეკონომიკური სისტემის ფორმირების დაჩქარებაში. ასე, რომ კაცობრიობა ახლო მომავალში ახალ ეკონომიკურ პარადიგმას მიიღებს.

თქვენი მოსაზრებების ფონზე ლოგიკურად უნდა დაისვას მორიგი კითხვაც: რა გავლენას მოახდენს მსოფლიო კრიზისი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე? ხშირად გვესმის, რომ ჩვენი ეკონომიკა იმ სიდიდის არ არის, რომ მასზე უბრალო ზემოქმედება მოახდინოს გლობალურმა კრიზისმა. თქვენ როგორ ფიქრობთ?

– მსოფლიო კრიზისი მეტნაკლებად ყველა ქვეყნის ეკონომიკაზე მოახდენს გავლენას. გასათვალისწინებელია, რომ საქართველო დღეს ინტეგრაციულ პროცესებში აქტიურად არის ჩართული. 2008 წელს მას საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა 128 ქვეყანასთან. საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და რიგი რეგიონალური ალიანსების წევრია. საგარეო სავაჭრო ბრუნვამ გასულ წელს მიაღწია 7.555,89 მლნ. აშშ დოლარს. აქედან ექსპორტზე 14.97,7 მლნ. დოლარი, იმპორტზე, 6058,1 მლნ დოლარი მოდიოდა (ანუ 4-ჯერ მეტი). ქვეყანას უარყოფითი ბალანსი (4560,4 მლნ. დოლარი) აქვს 107 ქვეყანასთან. ქვეყნის საგარეო ვალი მიმდინარე წლის დასაწყისში 4 მლრდ ლარზე მეტი იყო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქვეყანა საკუთარი წარმოების მარცვლით მოთხოვნილებას იკმაყოფილებს მხოლოდ 25-28%-ით, ასევე უკანასკნელ წლებში იგი მოწყდა ტრადიციულ რუსეთის ბაზარს, ადვილად წარმოსადგენია თუ როგორ გავლენას მოახდენს ჩვენს განვითარებაზე გლობალური კრიზისი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ეკონომიკა მსოფლიო კრიზისამდე ფუნქციონირებდა სისტემური კრიზისის პირობებში. ამიტომ პატარა ქვეყნისათვის, რომელსაც ეფექტური ეკონომიკური სისტემა არა აქვს (არც არასდროს ჰქონია) ძნელი იქნება გაუმკლავდეს გარედან თავს მოხვეულ კრიზისს. დიდი ორგანიზებულობა გვმართებს, თანაც ხანგრძლივი დრო და საჭირო ინვესტიციები – კრიზისიდან გამოსვლის დაჩქარებისთვის.

თქვენ ბრძანეთ, რომ ეროვნული ეკონომიკა სისტემურ კრიზისშია, ეს მაშინ, როცა უკანასკნელ წლებში ლამის სხვა ქვეყნებისათვის სანიმუშო მაგალითი ვიყავით ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების გამო... რასთან გვაქვს საქმე?

– საკითხი ლოგიკურად არის დასმული. ქართული ეკონომიკისთვის ზრდის მაღალი ტემპები მართლაც დამახასიათებელი იყოს (გასული წლის მეორე ნახევრიდან იგი შემცირდა და ფაქტობრივად 2,1% შეადგინა). მაგალითად, წინა წელთან შედარებით მშპ გაიზარდა 2005 წელს – 9,6%, 2006 წელს – 9,4%, 2007 წელს – 124% – ეს მაჩვენებლები თითქმის წარმატებული და შთამბეჭდავია – ხშირად მათ ეკონომიკის სტაბილურობის არგუმენტადაც იყენებენ. სამწუხაროდ, რეალობა სხვა სურათს იძლევა. 2007 წელს მთლიანმა შიდა პროდუქტმა (იგი ეკონომიკის განვითარების უმთავრესი მაჩვენებელია) 1990 წლის (რეფორმამდელი პერიოდის) მაჩვენებლის მხოლოდ 65% შეადგინა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკის ტრანსფორმაციის თითქმის 17 წლის მანძილზე მიღწეული არ არის გარდაქმნების დაწყების პერიოდის დონე. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში რეფორმამდელი დონე დაძლეული

ჰქონდა ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანას (2-2,5-ჯერ), ბელორუსს, რუსეთს, ყაზახეთს, უზბეკეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს. განვლილ პერიოდში მკვეთრად დაეცა სამრეწველო წარმოების დონე. 2007 წელს ელექტროენერგიის წარმოებამ შეადგინა 1988 წლის მაჩვენებლის 50,7%, ქვანახშირის – 0,7%, მანგანუმის – 16,1%, ღვინის – 13,4%, კონიაკის – 6,9%, შამპანურის – 7,1%, ნატურალური ჩაის – 2,8%.

ნიშანდობლივია, რომ სამრეწველო პროდუქციის წარმოების 77%-ზე მეტი ორ დარგზე – სასურსათო პროდუქციისა და ელექტროენერგიის წარმოებაზე მოდის. ფაქტობრივად, განვლილ პერიოდში ქვეყანამ ძლიერი სამრეწველო პოტენციალი დაკარგა და ამით გახანგრძლივდა კრიზისიც. უმძიმესი მდგომარეობაა აგრარულ სექტორში: 1990-2007 წლებში ჩაის ფოთლის წარმოება შემცირდა – 69-ჯერ, ყურძნისა – 3-ჯერ, ხილისა – 2,6-ჯერ, ციტრუსებისა – 3,8-ჯერ, ხორცისა 2,4-ჯერ, რძისა – 1,5-ჯერ, კვერცხისა – 1,8-ჯერ. დაინგრა დარგის საწარმოო და ორგანიზაციული ბაზა. კატასტროფულად დაეცა მიწის ნაყოფიერება. ეროზიას განიცდის სავარგულების 40%, დამლაშებული და ბიცობიანია 218 ათასი ჰა. დღეს აგრარული სექტორი დიდი ხნის წინანდელი ფორმის – ნატურალური მეურნეობის ბაზაზე ფუნქციონირებს. ჩანასახობრივ მდგომარეობაშია სოფლად საწარმოო კოოპერაცია, ინფრასტრუქტურა მოშლილია, გამწვავდა დემოგრაფიული სიტუაცია. 2002 წელს ბუნებრივი მატება არ ყოფილა. დაეცა ცხოვრების დონე, დიდია განსხვავება მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის. არ არის შექმნილი საშუალო ფენა. ქვეყნიდან გადის ეროვნული სიმდიდრე, მაგალითად: ხე-ტყე, შავი ლითონების ჯართი, სხვა სახის ნედლეული. მარტო 2000-2007 წლებში ქვეყნიდან გატანილ იქნა 500 მლნ მეტი დოლარის ღირებულების ჯართი, ამავე პერიოდში ხორბლის შემოტანა გაიზარდა 4,7-ჯერ, შაქრისა – 3,6-ჯერ. მიუხედავად იმისა, რომ კერძო სექტორი დღეს გადამწყვეტ როლს ასრულებს ეკონომიკაში, მისი ეფექტიანობა დაბალია. ფაქტობრივად, ფუნქციონირებს კვაზი საბაზრო ეკონომიკა. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიქმნა საბაზრო ეკონომიკა, მაგრამ იგი დეფორმირებულია და ადეკვატურად ფუნქციებს ვერ ასრულებს. ამიტომ ვაღიარებთ, რომ ეროვნული ეკონომიკა სისტემურ კრიზისშია.

ეს მძიმე სურათი სპონტანურად ხომ არ შექმნილა? თქვენი აზრით, რა მიზეზებმა (ფაქტორებმა) განაპირობეს ეკონომიკის სისტემურ კრიზისში გადასვლა?

– ყველაზე უხეში შეცდომა ის იყო, რომ გაუაზრებლად დავანგრიეთ სამრეწველო, აგრარული, სამეცნიერო, საკადრო პოტენციალი, უცხოეთიდან შემოთავაზებული რეკომენდაციების მძევალი გავხდით, გვეგონა, რომ კერძო საკუთრების დეკლარირება ავტომატურად უზრუნველყოფდა დემოკრატიული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებას. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გარეშე, სპონტანურად ჩატარებული პრივატიზაციით (რომელსაც ძირითადად ანგარება ედო საფუძვლად) დეფორმირებული საბაზრო სისტემა მივიღეთ. სახელმწიფომ გადამწყვეტ ეტაპზე საკუთარი ფუნქციები სწორედ ვერ განსაზღვრა, საკუთარი „ნიშა“ დაუთმო მაფიოზურ-კლანურ სტრუქტურებს. საზოგადოების არც ისე მცირე ნაწილი კრიმინალურ აზროვნებას ეზიარა. ქვეყანაში არასწორად გაიგეს „ეკონომიკური ლიბერალიზმი“. მისი პრინციპები მიიჩნიეს მთავარ მამოძრავებელ ძალად, ეს მაშინ, როცა ტრანსფორმაციული პროცესების ლიდერის ფუნქცია სახელმწიფოს ექსკლუზიური სულითაა განპირობებული. ვიდრე არ შეიქმნება ეფექტიანი ეკონომიკა, მანამ მწვავე სოციალური პრობლემები არ გადაწყდება. ქვეყანა მცირე ულუფებით შემოთავაზებული ჰუმანიტარული დახმარებების იმედით არ უნდა ცხოვრობდეს. საჭიროა ვიმოქმედოთ გააზრებულად და ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

ჩვენ ხომ გვეხმარებიან, ინვესტიციები შემოვა, სხვადასხვა სახის ჰუმანიტარული დახმარებები ალბათ მომავალშიც გვექნება, ამიტომ თითქოს არ უნდა გაგვიჭირდეს კრიზისიდან გამოსვლა. თქვენ როგორ აფასებთ გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებს?

– თქვენ დიდ პრობლემას შეეხეთ. საქართველოს ბოლო პერიოდში გარედან შემოთავაზებული დახმარებებით თავი გააქვს. უნდა გვახსოვდეს, რომ გარედან მიღებული დახმარებებით ცხოვრების დონეს ვერ ავამაღლებთ. ეფექტიანი უნდა იყოს ეროვნული ეკონომიკა. ამიტომ მთავარი სტრატეგიული ამოცანაა ეფექტიანი ეკონომიკის შექმნა. ეს კი განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს. მათ შორის გარედან დახმარებების პოლიტიკური და ეკონომიკური მიზანშეწონილობის გამოყენებას. ჩვენ კი, სამწუხაროდ, გატაცებული ვართ საკუთარი, წინა თაობების მიერ შექმნილი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების გასხვისებით, ფაქტობრივად ყველაზე საიმედო ტოტიც მოიჭრა. ქვეყანა სხვისი ხელის შემყურეა დღეს.

დაფიქრება გვმართებს იმაზე, რომ დღეს საქართველოში ყველაზე მეტად უჭირს საზოგადოების ინტელექტუალურ ნაწილს, ყველაზე მნიშვნელოვან პოტენციურ ძალას, რომელიც რეალურად უნდა წარმართავდეს გარდაქმნების პროცესს. სამწუხაროდ, ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი იგნორირებულია. ამის მიზეზი მრავალგვარია. მთავარი მაინც ისაა, რომ ცოდნა (საერთოდ მეცნიერება) საზოგადოებრივი განვითარების პროცესში პასიურ როლს ასრულებს. გლობალიზაცია რეალურად აჩვენებს არა მხოლოდ ნეგატიურ, არამედ პოზიტიურ მხარეებსაც. არც გლობალიზაციასთან შიშველი ხელებით ბრძოლა გვმართებს, არც გლობალური პროცესებით გამოწვეულ სიძნელეებს უნდა ჩავბარდეთ მძევლად. საჭიროა გონებით, მეცნიერული აზროვნებით, ერის თვითმყოფადობის განმსაზღვრელი პრინციპების შენარჩუნებით მოვერგოთ გლობალურ პროცესებს. მისგან ავიღოთ ის, რაც ჩვენს ინტერესებშია, გავცეთ ის, რაც კაცობრიობის საგანძურში ქართული ხელწერით (ღირსებებით) შევა. ასეთია თანამედროვე პირობებში გლობალიზაციის (რომელიც ობიექტურად ჩამოყალიბდა) პროცესებში ქვეყნის აქტიური მონაწილეობის ლოგიკა.

დროა ილუზიებიდან გამოვიდეთ, ყველაფერი საბოლოოდ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ სახელმწიფოსა და როგორი ტიპის ეკონომიკას შევქმნით. ისიც უნდა გავთვალოთ, რომ ჩვენი ქვეყნის მიმართ ყოველთვის იქნება დაინტერესება. საქართველო ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სივრცის როლს ისტო-

რიულად (გეოგრაფიულად) ასრულებდა და მომავალშიც უნდა შეასრულოს. ამასთან გლობალური პროცესების უშუალო გავლენით საქართველომ ახალი ფუნქციაც შეიძინა – იგი მსოფლიო ეკონომიკისთვის საჭირო ტვირთნაკადების (და არა მხოლოდ მათი) მოწოდების პროცესში აქტიურადაა ჩართული. ორივე დერეფანი (ენერგეტიკისა და სატრანსპორტო) კავკასიურ სივრცეს სრულიად ახალ ფუნქციას ანიჭებს. საქართველო კი ამ სივრცეში ლიდერად უნდა ვიგულისხმოთ. ასე, რომ ქვეყანას დიდი მომავალი აქვს, თუ მივაღწევთ გარე და შიდა პოზიტიური ფაქტორების ერთობლივად გამოყენებას, ნეგატიური პირობა – ფაქტორთა გავლენის აღმოფხვრას და ერთიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგიით სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

მოამზადა *მანანა ვახტანგაძემ*

NODAR CHITANAVA
Doctor of Economic Sciences, Professor

CIVILIZED WORLD WILL OFFER MANKIND A NEW ECONOMIC PARADIGM

Resume

The main cause of crisis rests in the genetics of market economy itself. Nowadays market system cannot escape crisis. In addition, it seems that global crisis and its deepening is closely related to misunderstanding of “economic liberalism.” Its essence is in “omnipotence” of market and denial of state regulation.

НОДАР ЧИТАНАВА
доктор економических наук,профессор

ЦИВИЛИЗОВАННЫЙ МИР ПРЕДЛОГАЕТ ЧЕЛОВЕЧЕСТВУ НОВУЮ ЕКОНОМИЧЕСКУЮ ПАРАДИГМУ

резюме

Главная причина кризиса в генетике рыночной экономики. в настоящее время кризис рыночной экономики неизбежен, к тому же возникновение и углубление глобального кризиса непосредственно связан с неправильным пониманием « Экономического либерализма». Суть которого заключается в опровержении Государственной роли в экономическом развитии и предпочтение рыночных принципов.

"სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი" ხარისხისა და საიმედოობის გარანტი

"სოკარ"- (SOCAR-State Oil Company of Azerbaijan republic) ანუ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანია, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კომპანიაა ნავთობისა და გაზის მოპოვების სექტორში.

კომპანია "სოკარ"-ის ერთიანი მწარმოებლურობა წელიწადში 20 მილიონ ტონაზე მეტ ნავთობს შეადგენს, რომლის ნაწილის გადამუშავების შედეგად მიღებულ ნავთობპროდუქტებს და ნედლ ნავთობს კომპანია ექსპორტირებას უკეთებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

ბოლო წლებში დანერგილმა ახალმა ტექნოლოგიებმა და ტექნიკურმა გადაიარაღებამ საგრძნობლად გაზარდა კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხი და რაოდენობა.

"სოკარ"-მა საქართველოში დააფუძნა კომპანია "სოკარ ენერჯი ჯორჯია", რომლის შვილობილ კომპანიას წარმოადგენს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი".

"სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი" საქართველოს ნავთობინდუსტრიაში 2006 წლის სექტემბერში შევიდა. მისი საქონელბრუნვა ყოველთვიურად რამოდენიმე ათეულ მილიონ დოლარს შეადგენს. "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი" ძალზე სწრაფად მზარდი კომპანიაა, რომელიც დაკომპლექტებულია ნამდვილი პროფესიონალებით. კომპანიის ხელმძღვანელობა, მისი დირექტორის, ბ-ნ დავით ზუბიტაშვილის სახით ყველაფერს აკეთებს, რომ გადაჭრილი იქნას ის ამოცანები, რომლებიც კომპანიის წინაშე დგას. ამ ამოცანების ძირითადი არსი კი მდგომარეობს შემდეგში, რომ კომპანიამ უზრუნველყოს ხარისხიანი, სტანდარტების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის ექსპორტირება და რეალიზაცია საქართველოს შიგა ბაზარზე.

კომპანიის წარმატების ნათელი დადასტურებაა ის აღიარებები, რასაც კომპანიამ მიაღწია ბოლო პერიოდში. ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირმა 2007წლის შედეგების მიხედვით კომპანია "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი" გამარჯვებულად ცნო შემდეგ ნომინაციებში:

1. 2007 წელს ნავთობპროდუქტების სექტორში სახელმწიფო ბიუჯეტში ყველაზე მსხვილი გადამხდელი ორგანიზაცია.
2. ნავთობკომპანია, რომელმაც ყველაზე დიდი ინვესტიცია განახორციელა საქართველოში 2007 წელს.
3. საზოგადოებაზე მზრუნველი კომპანია.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შემოქმედ ხელოვანთა კავშირ "განმანათლებელი"-ს მიერ ხელოვნების, კულტურის და სპორტის ქომაგთა დაჯილდოვების ცერემონიალზე კომპანია "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ"-ს მიენიჭა ტიტული "სოფლის მაშენებელი 2007-მეცენატი" შემდეგ ნომინაციებში გამარჯვებისთვის:

1. წლის საუკეთესო საინვესტიციო პროექტი.
2. მსხვილი საბიუჯეტო შენატანი.

3. მაშტაბური სოციალური პროგრამა.

წარმატებული გამოდგა კომპანიისათვის 2008 წელიც. ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირმა კომპანია „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი'' კვლავ ცნო გამარჯვებულად შემდეგ ნომინაციებში:

1. 2008 წელს ნავთობპროდუქტების სექტორში სახელმწიფო ბიუჯეტში ყველაზე მსხვილი გადამხდელი ორგანიზაცია.
2. ნავთობკომპანია, რომელმაც ყველაზე მეტი ინვესტიცია განახორციელა საქართველოში 2008 წელს.
3. საზოგადოებაზე მზრუნველი, ქველმოქმედი ორგანიზაცია

2009 წლის დასაწყისში კომპანიამ ყველა თავის თანამშრომელს გაუკეთა ჯანმრთელობის დაზღვევა.

2008 წლის ოქტომბერში კომპანიაში დაფუძნდა პროფკავშირული ორგანიზაცია, რომელიც გაერთიანდა საქართველოს ნავთობის, გაზის და ნახშირის მრეწველობის მუშაკთა დარგობრივ პროფკავშირში. კომპანიის პროფკავშირი კომპანიის ხელმძღვანელთა დიდი დახმარებითა და ხელშეწყობით ხშირად აწყობს კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს კომპანიის თანამშრომელთათვის. ამის ნათელი მაგალითია კორპორატიული საღამო, რომელიც საახალწლოდ მოუწყო კომპანიის ხელმძღვანელობამ თანამშრომლებს, აგრეთვე ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო. "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ"-ს შემუშავებული აქვს სამომავლო გეგმები, რომლებიც ნავთობპროდუქტების საქონელბრუნვის მნიშვნელოვან გაზრდას ითვალისწინებს. ამ მიზნით იგეგმება სანავთობო ბაზების აშენება და მათი ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვა. გარდა ამისა, საქმიანი, პარტნიორული და ყოველდღიური კონტაქტები "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ"-სა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიას შორის საშუალებას იძლევა განხორციელდეს საწვავის შეუფერხებელი, უწყვეტი მოწოდება აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოში. წლეულს დაიწყო კომპანიის საცალო ქსელის განვითარება. კომპანიის ბენზინგასამართი სადგურები ფუნქციონირებენ თბილისსა და მის გარეუბნებში: გარდაბანში, ბოლნისში, რუსთავში, ფოთში, გურჯაანში, ბათუმში, ზესტაფონში, დმანისში. სულ დღესდღეობით ფუნქციონირებს 23 ავტოგასამართი სადგური. უმოკლეს ვადაში უნდა გაიხსნას 7ავტოგასამართი სადგური. სულ საქართველოს ტერიტორიაზე იგეგმება 40-მდე ავტოგასამართი სადგურის გახსნა, რომლებშიც ყველა პირობა იქნება გათვალისწინებული და დაცული მომხმარებელთა თანამედროვე სტანდარტების დონეზე მომსახურებისთვის. ოპერატიული მონიტორინგის განხორციელების მიზნით გახსნილია ცხელი ხაზი, რომელიც 24 საათიან რეჟიმში მუშაობს, მასზე შემოსული ყველა პრეტენზია თუ შენიშვნა ექვემდებარება უსწრაფეს შეფასებას და რეაგირებას. გარდა ამისა კომპანიასთან ფუნქციონირებს სასწავლო ცენტრი, სადაც აუცილებელ ტრენინგებს და სასწავლო კურსებს გადის ყველა მსურველი,ვინც კომპანიაში იწყებს მუშაობას. დღესდღეობით სასწავლო კურსები მენეჯერის, სმენის უფროსის და მოლარე-ოპერატორის თანამდებობაზე გავლილი აქვს 300-მდე ადამიანს. დღევანდელი მონაცემებით კომპანიაში 350-მდე ადამიანი მუშაობს. უმოკლეს ვადაში მათი რიცხვი 400-მდე გაიზრდება. კომპანიას ჰყავს როგორც ინდივიდუალური, ასევე კორპორატიული მომხმარებელი. მოკლე ხანში დაინერგება თანამედროვე, ინტეგრირებული ტალონური და საბარათე სისტემები. ამისათვის ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე გაიხსნა „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი''-ს სერვისცენტრი. კომპანია ცდილობს კონკურენცია გაუწიოს თავის სფეროში მოღვაწე კომპანიებს. ამის ნათელი მაგალითია ის რომ 2008 წლის მონაცემებით, "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ"-ს A-92 მარკის ბენზინის 57,7 % და L-62 მარკის დიზელის 57,9 %, ეკავა საქართველოს ბაზარზე. ნავთობის მსოფლიო ბაზარზე არსებული რთული ვითარების პირობებშიც კი, კომპანია "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი'' ცდილობს პროდუქცია ხელმისაწვდომი გახადოს ნებისმიერი მომხმარებლისთვის. კომპანია ცდილობს არ ჩამორჩეს საქართველოს კულტურული ცხოვრების მაჯისცემას და აქტიურად მონაწილეობს ყველა ღონისძიებასა და საქმეში, რომელიც მიმართულია ქვეყნისა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობისკენ. შეიძლება ითქვას, რომ ქველმოქმედება და ქართული საქმის კეთება კომპანიის სავიზიტო ბარათია.

SOCAR GEORGIA PETROLEUM
Guaranteed quality and reliability

SOCAR - State Oil Company of Azerbaijan Republic is one of the largest oil companies in the world in oil and gas recovery sphere.

Its annual production amounts to 20 million tons of oil that refined and received oil products and crude oil are exported in different countries of the world.

Modern technologies and technical reequipment increased quality and volume of production.

SOCAR has found a subsidiary SOCAR Energy Georgia LTD, which itself has established SOCAR Georgia Petroleum LTD.

SOCAR Georgia Petroleum entered Georgian oil product market in September 2006. Company's monthly turnover amounts several millions USD. SOCAR Georgia Petroleum is a fast-growing company, its employees are high skilled professionals, company management under the direction of Director David Zubitashvili, makes all efforts to meet the challenges. Export and realization of high-quality, competitive production corresponding to the world standards on the Georgian market is the main objective of the company. Recently received awards and acknowledgement are bright example of the company success and achievements. In 2007 the Union of Oil Producers, Importers and Consumers awarded SOCAR Georgia Petroleum in the following nominations:

1. The largest taxpayer in the oil industry to the budget of Georgia in 2007.
2. Largest investor in oil industry in 2007
3. Company having exhibited the highest social responsibility record.

SOCAR Georgia Petroleum was named the "Maecenas – 2007" at the award ceremony of companies supporting art, culture and the sports, organised by the Ministry of Economic Development of Georgia and the Union of creative art workers "Ganmanatlebeli" for wining the following nominations:

1. The Best investment project of year.
2. The Largest budgetary payment.
3. The Scale social program.

In 2008 the Union of Oil Producers, Importers and Consumers again awarded SOCAR Georgia Petroleum as:

1. The largest taxpayer in the oil industry to the budget of Georgia in 2008.
2. Largest investor in oil industry in 2008
3. Company having exhibited the highest social responsibility record.

Early in 2009 the company provided all employees with health insurance.

In 2008 trade unions were formed that joined Georgia oil, gas and coal industry trade union. The trade unions with company management active participation organize cultural and sport activities for the employees. Thus company management arranged New Year corporate event, and also held an event dedicated to the international Women's Day.

SOCAR Georgia Petroleum plans to increase oil products turnover. For this purpose, construction of petroleum storage depots using modern technologies will begin in the nearest future. Longterm business and partnership relations between "SOCAR Georgia Petroleum" LTD and State Oil Company of Azerbaijan Republic ensure permanent and uninterrupted import of fuel from Azerbaijan to Georgia.

SOCAR Georgia Petroleum also plans to expand its chain of petrol stations. Currently "SOCAR Georgia Petroleum" owns 23 petrol stations in Tbilisi, Gardabani, Bolnisi, Rustavi, Poti, Gurdjaani. Seven more filling stations will be opened and launched into operation in the nearest future. As a whole it is planned to open 40 petrol stations in Georgia to provide the consumers with high quality service. For operative monitoring company hotline provides twenty-four-hour service, all received claims and remarks are subject to urgent estimation and reaction. Persons interested in employment at SOCAR Georgia Petroleum have the opportunity to take a course of training at company training center. Currently more than 300 people have taken training courses for managers, shift supervisor and the cashier-operator.
At present the company has 300 employees; their number will increase to 400. The company has individual and corporate clients, soon will be launched modern integrated systems of coupons and cards. For this purpose a service center in Vazha Pshavela ave., Tbilisi has been opened. SOCAR Georgia Petroleum actively competes with other companies operating in oil market. SOCAR Georgia Petroleum share at Georgian petroleum market makes 57.7% and at diesel market – 57.9%. Even in difficult situation on World Market SOCAR Georgia Petroleum did its best to meet the consumers' requirements and make its production available for every customer.

SOCAR Georgia Petroleum always keeps up with events in Georgia and takes active part in all measures aimed on welfare of the country and its population. Charity and work for the benefit of Georgia are the trademarks of the company.

СОКАР Джорджия Петролеум
Гарант качества и надежности

«СОКАР» (SOCAR - State Oil Company of Azerbaijan Republic) т.е. Государственная Нефтяная Компания Азербайджанской Республики одна из наикрупнейших компаний в мире по добыче нефти и газа.

Общее годовое производство «СОКАР» составляет 20 млн. тонн нефти, после переработки которой, полученные нефтепродукты и сырую нефть компания экспортирует в разные страны мира.

Новейшие технологии и техническое переоборудование, проведенное в последние годы, значительно улучшили качество и количество продукции произведенной компанией.

«СОКАР» учредил в Грузии компанию «СОКАР Энерджи Джорджия» дочерней компанией которой является «СОКАР Джорджия Петролеум».

«СОКАР Джорджия Петролеум» появилась в секторе нефтепродуктов Грузии в сентябре 2006г. Ежемесячный товарооборот компании составляет десятки миллионов долларов. «СОКАР Джорджия Петролеум» быстрорастущая компания, которая укомплектована настоящими профессионалами, руководство компании во главе с Директором Давидом Зубиташвили, делает все возможное для решения задач поставленных перед компанией. А главной из указанных задач является экспорт и реализация на внутреннем рынке Грузии высококачественной, конкурентоспособной продукции соответствующей мировым стандартом. Наглядным примером успеха и достижений компании стало признание, которое она получила в последнее время. Союз производителей, импортеров и потребителей нефтепродуктов по данным 2007г. назвал ООО «СОКАР Джорджия Петролеум» победителем в следующих номинациях:

1. Организация, самый крупный налогоплательщик в госбюджет в секторе нефтепродуктов за 2007г.
2. Нефтекомпания, осуществившая крупнейшую инвестицию в Грузии в 2007г.
3. Компания, заботящаяся об обществе, благотворительная организация.

На церемонии награждения компаний поддерживающих искусство, культуру и спорт, организованной Министерством экономического развития Грузии и союзом творческих деятелей искусства «Ганманатлебели» «СОКАР Джорджия Петролеум» получил титул «Меценат-2007» за победу в следующих номинациях:

1. Лучший инвестиционный проект года.
2. Крупнейший бюджетный взнос.
3. Масштабная социальная программа.

Успешным оказался и 2008 год. Союз производителей, импортеров и потребителей нефтепродуктов вновь назвал ООО «СОКАР Джорджия Петролеум» победителем в следующих номинациях:

1. Организация самый крупный налогоплательщик в государственный бюджет Грузии в сфере нефтепродуктов за 2008г.
2. Компания, осуществившая самую большую инвестицию в сфере нефтепродуктов за 2008г. в Грузии.
3. Компания, заботящаяся об обществе.

В начале 2009г. компания обеспечила всех своих сотрудников страховкой на здоровье.

В 2008г. в компании созданы профсоюзы, которые объединились с профсоюзом работников нефти, газа и угольной промышленности Грузии. Профсоюзы при поддержке руководства компании часто устраивают культурные и спортивные мероприятия для сотрудников компании. Руководство компании устроило корпоративный прием для сотрудников компании на новый год, а также вечер, посвященный международному дню женщин.

В ближайшие планы «СОКАР Джорджия Петролеум» входит значительное увеличение товарооборота нефтепродуктов. С этой целью планируется строительство новых баз и их оснащение новейшими технологиями. Ежедневные деловые и партнерские отношения между «СОКАР Джорджия Петролеум» и Государственной Нефтяной Компанией Азербайджанской Республики гарантируют беспрерывную поставку горючего из Азербайджана в Грузию.

В этом году компания приступила к активному развитию розничной сети. Автозаправочные станции «СОКАР Джорджия Петролеум» размещены как в Тбилиси, так и на всей территории Грузии: в Гардабани, Болниси, Рустави, Поти, Гурджаани, Батуми, Зестафони, На данном этапе в Грузии функционирует 23 АЗС компании. В ближайшем будущем откроется 7 автозаправочных станций, а в целом планируется открыть 40 АЗС по всей стране, на которых будут созданы и соблюдены все условия для обслуживания потребителей по высоким стандартам. С целью осуществления оперативного мониторинга в двадцатичетырехчасовом режиме работает горячая линия, все поступившие претензии и замечания подлежат срочной оценке и реагированию. На базе компании функционирует учебный центр, обучение в котором проходят все, кто желает работать в компании. На данный момент курсы на должность менеджера, начальника смены и кассира-оператора прошли 300 человек.

В компании трудоустроено 300 человек. В ближайшем будущем их количество возрастет до 400. У компании есть как индивидуальные, так и корпоративные клиенты, скоро начнут функционировать современные, интегрированные системы талонов и карточек. С этой целью в г. Тбилиси на пр. Важа-Пшавела открылся сервис-центр «СОКАР Джорджия Петролеум».

Компания активно конкурирует с другими компаниями, работающими в сфере нефтепродуктов. Так на пример по данным 2008г. доля «СОКАР Джорджия Петролеум» на грузинском рынке нефтепродуктов составляла 57,7% бензина А-92, и 57,9 % дизельного топлива Л-62. Даже в трудной ситуации, создавшейся на мировом рынке нефтепродуктов «СОКАР Джорджия Петролеум» делает все возможное, что бы продукция компании была доступна для потребителей.

Компания не отстает от событий, происходящих в Грузии, и активно участвует в мероприятиях направленных на благополучие страны и ее населения. Благотворительность и работа на благо Грузии являются визитной карточкой компании.

ბაკურ კვეზერელი
სოფლის მეურნეობის მინისტრი

სოფლის მეურნეობას საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია

გვესაუბრება სოფლის მეურნეობის მინისტრი

პირველი რის მოგვარებასაც შეუდექით თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ...
პირველ რიგში სამინისტრომ დაიწყო ზრუნვა ინვესტიციების მოზიდვაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლებაზე. ამავე დროს მაღალი პროდუქტიულობის სათესლე მასალის შემოტანაზე. დაარსდა დონორთა საბჭო, რათა მომხდარიყო გამოყოფილი გრანტების რაციონალური გამოყენება.

რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობას საქართველოს ეკონომიკაში?
სოფლის მეურნეობას საქართველოს ეკონომიკაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რადგან ამ სფეროში მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტია დასაქმებული. თუმცა, სოფლის მეურნეობაში 90 წლებიდან მოყოლებული არსებობს ბევრი პრობლემა, რომელთა მოსაგვარებლადაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო სხვადასხვა მიზნობრივ პროგრამას ანხორციელებს.

რა ვითარებაა საქართველოში სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის მხრივ?
სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია მიმდინარეობს მთელი საქართველოს მაშტაბით. ძირითადი მაგისტრალური არხები 2009 წლის სარწყავი სეზონისთვის სრულ მზადყოფნაში იყო. ამ მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2009 წლის ბიუჯეტში 15 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი. სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია მომავალშიც გაგრძელდება.

რა სახის პროექტების განხორციელებაა საჭირო სოფლის მეურნეობა რომ განვითარდეს
სოფლის მეურნეობა ძალიან ბევრის მომცველია და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მისი განვითარებისთვის სხვადასხვა მიზნობრივ პროგრამას ახორციელებს. ძალიან მნიშვნელოვანია სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია, რადგან სარწყავი არხების შეკეთებით, შესაძლებელი გახდება იმ მიწის ფართობების მორწყვა, რომლებიც აქამდე არ ირწყვებოდა. ეს გაზრდის მოსავლიანობას, რაც თავის მხრივ ფერმერის შემოსავალსაც გაზრდის. სოფლის მეურნეობის სამინისტრო მუშაობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლებაზეც. იაპონიის მთავრობის მიერ ამ მიზნით გამოყოფილია გრანტი. არსებობს მეღვინეობის სექტორის განვითარების გეგმაც, რომლის ფარგლებშიც მევენახეების და მეღვინეების მხარდაჭერა მოხდება.

იქნება თუ არა მატერიალური და ტექნიკური დახმარებები ფერმერებისთვის?
წელს მთელი საქართველოს მასშტაბით ფერმერების მხარდასაჭერად განხორციელდა უფასო სასუქის დარიგების პროგრამა. ამონიუმის გვარჯილა 940 ათასზე მეტ კომლს დაურიგდა. ფერმერებმა შეძლეს მიწის განაყოფიერება, რაც იმას ნიშნავს, რომ წელს უკეთეს მოსავალს მიიღებენ.

ამჟამად რომელ პროექტებზე მუშაობს სამინისტრო...
ამჟამად გამოცხადებულია კონკურსი შესანახი მეურნეობების მოწყობაზე. მსურველი სახელმწიფოსგან იაფი სესხის ფარგლებში მიიღებს შეღავათიან სესხს. შესანახი მეურნეობების შექმნა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გლეხს გაუჩნდება შესაძლებლობა შეინახოს თავისი მოსავალი იმ პერიოდისთვის, როდესაც მასზე ფასი უფრო დიდი იქნება. საცავ-მაცივრების არსებობა ხელს შეუწყობს მოსავლიანობის გაზრდასაც. მაგალითად,

გლეხი მოიყვანს მეტ ბოსტნეულს, რადგან ეცოდინება, რომ იმ შემთხვევაში თუ ვერ გაყიდა, ის არ გაუფუჭ-დება, მის შენახვას შეძლებს და გაყიდის მაშინ, როდესაც მასზე მოთხოვნილება იქნება. მოსავლიანობის ზრდა კი საქართველოში იმპორტის ჩანაცვლებას შეუწყობს ხელს.

არის თუ არა ახალი ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში და რა ხდება ამ მხრივ ქვემო ქართლში?
საქართველოს სოფლის მეურნეობაში განხორციელდა ბევრი მნიშვნელოვანი ინვესტიცია. შემოვიდა ისეთი ცნობილი კომპანია, როგორიც არის HIPP-ი და ააშენა თავისი გადამამუშავებელი ქარხანა. 6.5 მილიონამდე ლარი ოდენობის ინვესტიცია ჩაიდო მარცვლეულის ადაპტირებული, მაღლპროდუქტიული თესლის წარმოება-ში.

ინტერვიუ მოამზადა *გიორგი ჩადუნელმა*

BAKUR KVEZERELI
Minister
of Agriculture

AGRICULTURE OCCUPIES AN IMPORTANT PLACE IN GEORGIAN ECONOMY

Resume

Agriculture occupies quite important place in Georgian economy as more than 50 percent of Georgia's population is employeed in this sector. However, Georgia's agriculture has been facing numerous problems since 90s. The ministry of agriculture is conducting various programs to cope with those problems.

БАКУР КВЕЗЕРЕЛИ
министр
селского хозяйства

СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО В ГРУЗИИ ЗАНИМАЕТ ОСОБОЕ МЕСТО

резюме

Сельское хозяйство в Грузии занимает особое место. В этой отрасли заняты больше повины населения.Начиная с 90 годов накопилось много проблем, для решения которых министерство сельского хозяйства осуществляет множество разных целевых программ.

ივერი ახალბედაშვილი
საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

უაკ (UDC) 349.42

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისათვის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონების მოკლე მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტმა 2009 წლის 26 ივნისს მესამე მოსმენით მიიღო ცვლილებები „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში. აღნიშნული ცვლილებების მიზანია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების ხელშეწყობა, რაც გამოიხატება ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით. კერძოდ მოცემული ცვლილებებით სასოფლო-სამეურნეო მიწაზე, გარდა ქალაქ თბილისის და ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისა, საკუთრების უფლების უფლების აღიარებით, საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფასური შეადგენს 50 ლარს, ნაცვლად ადრე არსებული 300 ლარისა, ხოლო მომსახურეობა ხორციელდება – 10 სამუშაო დღის ვადაში.

2008 წლის 18 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები 2005 წლის 8 ივლისის კანონში „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ”. ცვლილებების შედეგად განისაზღვრა, რომ უსახლკაროდ დარჩენილ საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლება ენიჭებათ „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლისა და „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის მიერ საომარი ან/და სხვა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის სპეციალური გადაწყვეტილების საფუძველზე, პირდაპირი უსასყიდლო გადაცემის ფორმით. საქართველოს მთავრობის სპეციალური გადაწყვეტილების მისაღებად საკითხს ამზადებს და მთავრობის სხდომაზე წარადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. აღნიშნულ პირებზე პირდაპირი უსასყიდლო გადაცემის ფორმით პრივატიზების წესი და პირობები განისაზღვრება „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. კანონის შესაბამისად პრივატიზებას ექვემდებარება იჯარით გაცემული და იჯარით გაუცემელი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. პრივატიზებას არ ექვემდებარება საძოვარი, გარდა ამ კანონის ამოქმედებამდე იჯარით გაცემული საძოვრებისა და საძოვრებისა, რომლებიც დადგენილი წესით შესაბამისი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს მიერ გაცემული აქტით მიმაგრებულია მასზე მდებარე, ფიზიკური და იურიდიული პირების კერძო საკუთრებაში არსებულ ან/და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება ხორციელდება სპეციალური აუქციონის, ღია აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და საქართველოს მთავრობის სპეციალური გადაწყვეტილების საფუძველზე პირდაპირი უსასყიდლო გადაცემის ფორმით.

სპეციალური აუქციონით პრივატიზებას ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ღია აუქციონით პრივატიზებას ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სპეციალურ აუქ-

ციონზე გაუყიდავი და ყოფილი საიჯარო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებას ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებას ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი ან/და ყოფილი საიჯარო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების წესი და პირობები განისაზღვრება „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონით.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე. იჯარით გაცემული მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას შესასყიდი ფასი ტოლია გამოსყიდვის თაობაზე განცხადების წარდგენის დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო წლიური განაკვეთის ათმაგი ოდენობისა. თუ მიწის ნაკვეთზე მდებარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობები ან/და მრავალწლიანი ნარგავები, მაშინ მიწის ფასს დაემატება კანონმდებლობით დადგენილი მათი ღირებულება. მოიჯარე მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ქონების საფასურს ან საფასურის სულ მცირე 20%-ს იხდის ტერიტორიული ორგანოს მიერ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 1 თვის ვადაში. მოიჯარეს შეუძლია გამოსასყიდი თანხის ერთბაშად ან ნაწილ-ნაწილ გადახდა 9 წლის განმავლობაში. თუ მოიჯარე წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში გადაიხდის მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ქონების საფასურის 50%-ს, მაშინ საფასური სრულად გადახდილად ჩაითვლება. აღნიშნული საფასური ასევე სრულად გადახდილად ჩაითვლება, თუ პირი საფასურის სულ მცირე 20%-ის გადახდის შემთხვევაში იპოთეკის ხელშეკრულების დადებიდან 1 წლის განმავლობაში გადაიხდის საფასურის 50%-ს ან 1-დან 3 წლამდე – საფასურის 70%-ს. იპოთეკის ხელშეკრულების დადებიდან 3 წლის გასვლის შემდეგ პირი იხდის საფასურის 100%-ს. იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება ხორციელდება სპეციალური და ღია აუქციონის ფორმით. თუ იჯარით გაუცემელ მიწასთან დაკავშირებით მოწყობილ სპეციალურ აუქციონზე არ გამოვლინდა გამარჯვებული, მხოლოდ მას შემდეგ არის შესაძლებელი ღია აუქციონის ჩატარება.

სპეციალურ აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულის – დასახლების (სოფლის, დაბისა და ქალაქის) და დასახლებათა გაერთიანების (თემის) ტერიტორიულ საზღვრებში საკომლო წიგნში აღრიცხულ ან/და პირადობის მოწმობის საფუძველზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს. ღია აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქესა და საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს. სპეციალური და ღია აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება პრესაში და განთავსდება შესაბამისი საკრებულოს შენობაში. სპეციალურ აუქციონზე გასაყიდი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი ტოლია აუქციონის გამოცხადების დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დადგენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო წლიური განაკვეთის ორმაგი ოდენობისა. ღია აუქციონზე გასაყიდი იჯარით გაუცემელი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი ტოლია აუქციონის გამოცხადების დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დადგენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო წლიური განაკვეთის ორმაგი ოდენობისა. ღია აუქციონზე გასაყიდი ყოფილი საიჯარო მიწის ნაკვეთის გასაყიდი საწყისი ფასი ტოლია აუქციონის გამოცხადების დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დადგენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო წლიური განაკვეთის ათმაგი ოდენობისა. თუ მიწის ნაკვეთზე მდებარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობები ან/და მრავალწლიანი ნარგავები, მაშინ სპეციალურ და ღია აუქციონებზე გასაყიდი მიწის ნაკვეთის საწყის ფასს დაემატება კანონმდებლობით დადგენილი მათი ღირებულება.

სპეციალურ და ღია აუქციონებში გამარჯვებული პირი გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის მიღებიდან 1 თვის ვადაში იხდის მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული უძრავი ქონების საფასურს ან საფასურის სულ მცირე 20%-ს და წარუდგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს. აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე ეთვლება მიწის ნაკვეთის საფასურის გადახდისას. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ შესაძლებელია მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმის გაცემა საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის, ხოლო საფასურის ნაწილ-ნაწილ გადახდის შემთხვევაში – მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმის გაცემა და იპოთეკის ხელშეკრულების დადება საჯარო რეესტრში საკუთრებისა და იპოთეკის უფლებების რეგისტრაციისათვის.

თუ გამარჯვებული პირი დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, აუქციონის შედეგები ბათილად ცხადდება და გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე არ უბრუნდება. შემძენს შეუძლია მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული უძრავი ქონების შესაძენი თანხა გადაიხადოს ერთბაშად ან ნაწილ-ნაწილ 9 წლის განმავლობაში. ნაწილ-ნაწილ გადახდის შემთხვევაში, ყოველ მომდევნო წელს ის იხდის მთლიანი გადასახდელი თანხის სულ

მცირე 10%-ს. თანხის პირველი ნაწილის გადახდისას ქონება სახელმწიფოს სასარგებლოდ დაიტვირთება იპოთეკით და გატარდება საჯარო რეესტრში. გადასახდელი თანხის სრულად გადახდის შემდეგ იპოთეკა უქმდება. თუ პირი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში გადაიხდის მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ქონების საფასურის 50%-ს, მაშინ საფასური სრულად გადახდილად ჩაითვლება. აღნიშნული საფასური ასევე სრულად გადახდილად ჩაითვლება, თუ პირი საფასურის სულ მცირე 20%-ის გადახდის შემთხვევაში იპოთეკის ხელშეკრულების დადებიდან 1 წლის განმავლობაში გადაიხდის საფასურის 50%-ს ან 1-დან 3 წლამდე – საფასურის 70%-ს. იპოთეკის ხელშეკრულების დადებიდან 3 წლის გასვლის შემდეგ პირი იხდის საფასურის 100%-ს. კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით შეძენილი მიწის ნაკვეთის საფასურის ოდენობა, მისი გადახდის ვადა, წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი გადაწყვეტილებით.

2007 წლის 11 ივლისს პარლამენტმა მიიღო კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“. ეს კანონი ამოქმედდა 2007 წლის 15 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის 525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ ძალაში შესვლისთანავე. კანონი განსაზღვრავს მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების ძირითად პირობებს.

მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის მეშვეობით. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილების ვადით. კომისია შედგება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არა უმეტეს 2 წევრისგან, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლებისაგან.

მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწა წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, რომელზედაც (მიწის ნაკვეთზე ან შენობა-ნაგებობაზე) ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან კანონით გათვალისწინებულ სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს მართლზომიერი მფლობელობის უფლება წარმოეშვა ამ კანონის ამოქმედებამდე, ასევე ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხულ, 1994 წლამდე თვითნებურად დაკავებულ მიწას. მიწის მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტებია: ცნობა-დახასიათება თანდართული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საკომლო წიგნიდან ამონაწერი, მებაღის წიგნაკი, „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის 48 დადგენილების შესაბამისად სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მიწების განაწილების სია, თანდართული მიწის გამოყოფის გეგმით ან მის გარეშე, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი საგადასახადო სია, სასამართლოს აქტი ან/და სხვა დოკუმენტი.

სარგებლობაში არსებული მიწა არის სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, რომელზედაც ფიზიკურმა ან კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა ორგანიზაციულმა წარმონაქმნმა სარგებლობის უფლება მოიპოვა 1998 წლის 12 ნოემბრამდე ან ამ მიწაზე განთავსებული შენობა-ნაგებობა საკუთრებაში აქვს ამ კანონის ამოქმედებამდე, აგრეთვე იმ კერძო სამართლის იურიდიული პირის სარგებლობაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემული სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელის დამფუძნებელიც არის სახელმწიფო.

მიწით სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს ცნობა-დახასიათება თანდართული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სასამართლოს აქტი ან/და სხვა დოკუმენტი, „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, ხოლო სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში ასევე აღნიშნული კანონის ამოქმედების შემდეგ, დადგენილი წესით, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის მიმაგრების აქტი ან მიწის ნაკვეთის გეგმა.

თვითნებურად დაკავებული მიწაა ფიზიკური პირის მიერ ამ კანონის ამოქმედებამდე თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული), ასევე დაინტერესებული ფიზი-

კური პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი (შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე), რომლის ფართობი ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე და რომელიც საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის მომენტისათვის სახელმწიფოს მიერ არ არის განკარგული, გარდა ამ მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტია ცნობა-დახასიათება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე, სასამართლოს აქტი, ორთოფოტო (აეროგადაღება), აბონენტად აყვანის დოკუმენტი ან/და სხვა დოკუმენტი. ზემოთ აღნიშნული ცნობა-დახასიათება არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ასახავს მასთან დაცული ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის არქივის მონაცემებს უძრავი ნივთის თაობაზე.

მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დასადასტურებლად დაინტერესებულმა პირმა კომისიაში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოს: მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) ან თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მოწმის ჩვენება; მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი; ინფორმაცია საკუთრების უფლების აღიარების საფასურის ოდენობის დასადგენად; დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ასლები. კომისია განცხადებას განიხილავს მისი მიღებიდან ორი თვის ვადაში. თუ საკუთრების უფლების აღიარებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად აუცილებელია ორ თვეზე მეტი ვადა, კომისია უფლებამოსილია განცხადების განხილვის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების განხილვის ვადის დამატებით გაზრდის შესახებ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში განცხადების განხილვის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწა დაინტერესებულ ფიზიკურ პირს საკუთრებაში გადაეცემა უსასყიდლოდ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებობა დგინდება ამ მიწაზე განთავსებული შენობა- ნაგებობის პრივატიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების საფასური შეადგენს: ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყოველ ჰექტარზე – საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ათმაგ ოდენობას; ბ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყოველ კვადრატულ მეტრზე – საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ოცმაგ ოდენობას, მაგრამ თუ მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ოცმაგი ოდენობა მეტია მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე მოქმედ ნორმატიულ ფასზე, მაშინ თვითნებურად დაკავებული მიწის ყოველ კვადრატულ მეტრზე საკუთრების უფლების აღიარების საფასური შეადგენს მოთხოვნის დროისათვის შესაბამის მიწაზე მოქმედ ნორმატიულ ფასს. საკუთრების უფლების აღიარების საფასური გადახდილ უნდა იქნეს ერთიანად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთისა და ხელვაჩაურის, აგრეთვე წალკის მუნიციპალიტეტების სოფლად მცხოვრებ კომლებს (ოჯახებს), რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში არ გადასცემიათ მიწის ნაკვეთები, მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებთან ერთად ამ კანონის ამოქმედებამდე თვითნებურად დაკავებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებიდან 0,30 ჰექტრამდე (ხოლო წალკაში 1 ჰექტრამდე) მიწის ნაკვეთები საკუთრებაში გადაეცემათ უსასყიდლოდ.

2007 წლის 19 ივნისს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში. კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს. ცვლილებების მიღებამდე არ იყო გათვალისწინებული მექანიზმი, თუ რა ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მესაკუთრე საქართველოს მოქალაქე გადის საქართველოს მოქალაქეობიდან და იმ შემთხვევაში, როდესაც უცხოელმა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულმა იურიდიულმა პირმა მემკვიდრეობით მიიღეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ცვლილებების შედეგად უცხოელი და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირები ვალდებული არიან თავიანთ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მათზე საკუთრების უფლების წარმოშობიდან ექვსი თვის ვადაში გაასხვისონ საქართველოს მოქალაქეზე, კომლზე ან/და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე. ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს სასამართლო გადაწყვეტილებით და სათანადო კომპენსაციით სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთმევათ მათ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

2007 წლის 11 ივლისს პარლამენტმა მიიღო შესწორებები „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონში. ამ კანონის შესაბამისად მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლას ექვემდებარება: სარეკრეაციო ტერიტო-

რიების საზღვრებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები (ერთი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სანაცვლო საკომპენსაციო თანხაა 100 000 ლარი), ქალაქ თბილისის და ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები (საკომპენსაციო თანხაა 34 001 ლარი) (ამ მიწების მიზნობრივი დანიშნულების შეცვლაზე უფლებამოსილი ორგანოა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო) და სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები (საკომპენსაციო თანხის გადახდას არ ექვემდებარება. ამ მიწების მიზნობრივი დანიშნულების შეცვლაზე უფლებამოსილი ორგანოა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო). საკომპენსაციო თანხები ირიცხება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში. მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლას არ ექვემდებარება სარეკრეაციო ტერიტორიების საზღვრების გარეთ მდებარე, საქართველოს მოქალაქეების (კომლების, ოჯახების) კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, მათზე მესაკუთრის პირადი საცხოვრებელი სახლის, სამეურნეო და დამხმარე ნაგებობების მშენებლობის შემთხვევაში.

მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლისათვის მიწის განკარგვის უფლების მქონე პირმა სამინისტროში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები: განაცხადი; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; სანაცვლო საკომპენსაციო თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ან დამოწმებული ასლი); ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, შესაბამისად, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან ამონაწერი სახელმწიფო ან სამეწარმეო რეესტრიდან; საქართველოს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლისათვის, რომელშიც შექმნილია სარეკრეაციო ტერიტორია, სააგენტოს შესაბამისი სამსახურის დასკვნა მიწის ნაკვეთის სარეკრაციო ტერიტორიაზე მდებარეობის შესახებ.

2007 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები და დამატებები შეიტანა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც კანონს ეწოდა „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონი. ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ საფუძვლებსა და ძირითად პირობებს. ამასთან ერთად გაუქმდა 1998 წლის 28 ოქტომბერს მიღებული კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ და ამ საკითხების რეგულირება შევიდა ზემოთ აღნიშნულ კანონის კომპეტენციაში.

სახელმწიფო ქონების (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, გარდა იმ მოძრავი ნივთისა, რომლის განკარგვის შესახებ გადაწყვეტილებას არ მიიღებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო) და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ყველა ნივთი (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა) და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე) პრივატიზება ხორციელდება აუქციონის და პირდაპირი მიყიდვის ფორმებით.

სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო. სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვის საკითხს საქართველოს მთავრობის წარდგინებით წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო საკითხს ამზადებს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო.

იჯარით გადაცემულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანო „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება შეიძლება განხორციელდეს კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვა ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე, ხოლო საკითხს ამზადებს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე. საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის შესაბამისად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით ადგენს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით: აღნაგობა; უზუფრუქტი; ქირავნობა; იჯარა; თხოვება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმები.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონითა და საქართველოს სა-

მოქალაქო კოდექსით. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი სარგებლობის უფლებით გადაიცემა „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტების შესაბამისად, ხოლო მოძრავი ნივთი – საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული წესის თანახმად.

IVERI AKHALBEDASHVILI
Interim Head of Aparatus of Agricultural
Committe of Georgian Parliament

BRIEF REVIEW OF GEORGIAN LEGISLATION ON FARMLANDS

Resume

Georgian Parliament after third hearing adopted changes in “Law on Public Register” on June 26, 2009. The above changes are aimed at facilitating recognition of property rights on farmlands through enhancing financial availability. Namely, according to above changes, with the recognition of property rights, registration of property rights on farmlands except for those within Tbilisi or Batumi Administration, costs 50 GEL instead of the former charge of 300 GEL. Service is conducted within 10 business days.

ИВЕРИ АХАЛБЕДАШВИЛИ
Исполняющий обязаности Заведующего аграрного комитета
при парламенте Грузии

ОБЗОР ЗАКОНОВ, ПРИНЯТЫХ ПАРЛАМЕНТОМ ГРУЗИИ О ЗАКОНОДАТЕЛЬНОЙ БАЗЕ СЕЛЬСКО-ХОЗЯЙСТВЕННЫХ УЧАСТКОВ

резюме

Грузинский парламент 26 юня 2009 года по третьему чтению принял изменения в законе ««О Государственном реестре» . Цель данных изменении заключается о помощи узоконить права собственности на сельско-хозяйственных земельных участков, т.е на землепользование и оказать в той связи финансовую помощь. стоймость обслуживания состовляет 50 лари в место 300 лари и обслужевание осуществляется в течении 10 рабочих дней.

ვახტანგ ხარჩილავა

ჟურნალისტი,
„საერთო გაზეთის“ მთავარი
რედაქტორი

უაკ (UDC) 32+32.019.52

არასწორად გაგებული პატრიოტიზმი

ძნელია დღეს იარო ილიას გზით – სიტყვით და კალმით ებრძოლო მტერს, ძალიან ძნელია... რადგან იმაზე მტერს (და არ დაგვაყოყოწყდეს, რომ ეს მტერი შინაურია, ჩვენი სისხლი და ხორცი) ფარად აქვს აფარებული ილიას სახელი და ბნელი ხერხებით, ხვრელებით და დემაგოგიით ებრძვის ყოველგვარ ქართველს, ერიერთულს, მართლმადიდებლურს, კრიტიკულს, ზნეობრივს, მამულიშვილურს! დიახ... ძნელია და ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართული, ეროვნული ეკონომისტიკა! კელეზიის თითქმის ყველა არხი წაბილწა გარყვნილებამ, ქართული სულისა და ქართული საკნოვრისისთვის უცხო და მოუღებელმა აღვირახსნილობამ, სიფალბემ, წარმოუდგენელმა სიცრუემ და დემაგოგიამ. ქართული ეკონომიკა-გაზეთები ასეკე სიცრუისა და დემაგოგიის დიდებული მაგალითს იძლევიან და რაც მთავარია ისინი გამოიჩენიან ქართული ენის უცოდინარობით, ქართული სიტყვის დაუფასებლობით! დღევანდელ პრესაში უხვადაა მიმობნეული ქართული სალიტერატურო ენისთვის დამამცირებელი და სამარცხვინო ეარგონები, ბარბარიზმები და ყოველგვარი ენობრივი სიბინძურე პირდაპირი მნიშვნელობით შემოტანილი გარედან და გადმოღებული უცხოური პრესიდან. უნდა ვაღიარით, რომ კოლხ-იბერიელთა საკნოვრისს საფათას ძალი და ბნელზე უბნელესი ღამე დაეუფლა როგორც არასდროს ჩვენთვის ცნობიერი 4 ათასი წლის სისხლიანი საუკუნეების მანძილზე... და ამ სიბნელეში ღვთაებრივი სინათლით იესებიან მოაზროვნე ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც მთელი თაყვანთი შეგნებული სიცოცხლით შრომობენ და იღვწიან, და თუ საჭიროა განდა დაუნანებლად სწირავენ სიცოცხლეს მამულის საკურთხეველის სიწმინდეს და ეს მამულიშვილნი, მართალია მცირენი, მაგრამ დიდი გულისა და დიდი გონების ქმნენი ქმნიან ისტორიას! თაყვანთი მართალი სიტყვით, მართალი კალმით და ქართული საქმით ილიას გზას უნათებენ გზადაბნეულ და გზაარეული ქართველობას. ერთ-ერთი ამათთაგანია თანამედროვე ქართული ეკონომისტიკის ცნობილი მოღვაწე ბ-ნი ვახტანგ ხარჩილავა. პოზიციისთვის თუ ოპოზიციისთვის, ნებისმიერი ჩვენგანისთვის, ყველა ქართველისთვის და საქარ-

თუ ლოს ტერიტორიაზე მცხოვრები არა ქართველი პატიოსანი კაცისთვის მიუღებელი პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ცნობიერების გზამკვლევია ბნი ჯანტანგ ხარჩილავას საერდაჭ ცოი სტატიები... და არამარტო გზამკვლევი. მის მოწინააღმდეგეებში ილიას ცეცხლი ანთია, ის ცეცხლი, რომელმაც გაათბო და გამოზარდა ჩვენი თაობა, გზა გაუნათა მომავალს და საფუძველი ჩაუყარა საქართველოს თავისუფლებას. ბნ ჯანტანგ ხარჩილავას მთავარი რედაქტორობით გამომავალი «საერთო გაზეთისთვის» მთავარია: საერთო იდეა, საერთო აზრი, საერთო გზა საქართველოს მომავლის გადასარჩენად! იგი იბრძვის და იღვწის მართალი ქართული სიტყვის და ქართული საქმის დასამკვიდრებლად. ბრძოლა ცხადია უთანასწორია... ვერ ვიტყვით, რომ «საერთო გაზეთი» მარტო მართალ სიტყვას და ქართულ საქმეს ემსახურება, მის ფურცლებზე შესაშური ობიექტურობით იქმნება და იწერება თანამედროვე ქართული ერის უმძიმესი ისტორია! კარგი ქართული ენით და სხარტად გადმოცემული პუბლიკაციებში დაუფარავი სიმართლითაა მოთხრობილი არათუ ჩვენი ღირსება, ყოველგვარი ნაკლიც, და ამ ნაკლის შეცვლების საჭიროება, ამ საჭიროებისთვის აუცილებელი საშუალებების ძიება. «საერთო გაზეთის» თურცლებზე ვერ შეხვდებით ვინმეს ლანძღვას (რაც დღეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა), იქ პირიქით, დიდი ტკივილითაა გამომზეურებული და გამოკვლეული ყველა დანაშაული, ან დანაშაულის მცდელობა ჩვენი ერის მომავლის საწინააღმდეგოდ მიმართული. «საერთო გაზეთის» გზა «იერიის» გზაა, ეს აშკარა და ნათელია ყოველი ჩვენგანისთვის, პროფესიონალი ეურნალისტისთვის! შეურყვნელია ეს გზა ყველა მაძღლიშვილის გულში წმინდა კანდელივით ანთებული... და არ დაგვაყიწყდეს, იგი წიწაძურზე გადის!

ბნი ჯანტანგ ხარჩილავას წარდგენა «კვალის» ინტელექტუალური მკითხველის წინაშე მინდა მისივე სიტყვებით, მისი საპროგრამო თეზით დაყასრული: «ომს ის იგებს, ვინც თავგანწირვისთვის მზადაა!» სრული ჭეშმარიტებაა ბატონებო! დამეთანხმებით!..

ჩვენს საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ ეურნალ «კვალის» ირგვლივ ყოველთვის შემოკრებილი იყო და მითუმეტეს დღეს, განსაკუთრებით ერუდირებული მკითხველი. ამგვერად მათ საშუალება ექმნათ გულღიად ესაუბრონ ბნ ჯანტანგ ხარჩილავას დღევანდელ, რეალურ, ჭეშმარიტ საქართველოზე:

პროტაგორა (ძვ. საბერძნეთი) ამბობდა, რომ „მე არ შემიძლია ვიცოდე, არსებობენ თუ არა ღმერთები, ან რა ფორმისანი არიან ისინი, რამეთუ ასეთ ცოდნას ბევრი რაიმე უდგება წინ, მათ შორის საგნის ბუნდოვანება და ადამიანური ცხოვრების სიმოკლე“ - და საერთოდ, ასკვნის ივი, - „ადამიანია ყველა საგნის საზომი“. ე.ი. ეს ნიშნავს „ჩემთვის ჭეშმარიტია ის, რაც მინდა, რომ ჭეშმარიტი იყოს“, იმიტომ, რომ „მე ასე, ჩემებურად ვხედავ საგნებს და ასევე შევიგრძნობ რეალურ მოვლენებს!“ რას ნიშნავს ეს? თუ კაცს გულწრფელად სჯერა, რომ ქურდობა კარგია, ეს პრინციპი მისთვის ცხადია ჭეშმარიტი იქნება მანამ, სანამ ამ პროფესიისადმი რწმენა არ შეერყევა? ხომ არ შევადაროთ მსგავსი მსოფლმხედველობა სოფისტების სკეპტიციზმს, რომელიც არ ცნობდა „კანონის ხელშეუხებლობას და ანგრევდა კონსტიტუციურ სამართალს, ირგებდა მას საკუთარ სხეულზე! და მის საპირისპიროდ ხომ არ გაიხსენებდით სოკრატეს ცნობილ დებულებას „სიქველე ცოდნაა!“ და მის ბაზაზე ხომ არ ვისაუბროთ დღევანდელი საქართველოს, დამოუკიდებელი რესპუბლიკის პოლიტიკური სპექტრის პროფესიულ დონეზე და პოლიტიკური კრიზისის გამომწვევ მიზეზებზე, მის სავალალო შედეგებზე, რაც ნებისმიერი გაუცნობიერებელი ქართველისთვისაც კი თვალში საცემია!.. და იქნებ ვაღიაროთ, რომ... ადამიანის ინტელექტუალური საწყისი მორალია?

ადამიანის ინტელექტუალური საწყისი იყო მორალი და იყო ალბათ 21 საუკუნემდე. დღეს რას ვხედავთ? რა ხდება ირგვლივ? ამორალურობაა გამეფებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 21 საუკუნის გლობალისტებისთვისაა ჭეშმარიტება ის, რაც მათ სურთ, რაც აწყობთ, რაც უნდათ, რომ ჭეშმარიტება იყოს. 92 წლიდან საქართველოში ქურდობა და ყაჩაღობა იყო შესაშური პროფესია. გაირყვნა ახალგაზრდობა. დიახ, 21 საუკუნის გლობალისტებმა და მასონებმა არამარტო გაუსწრეს სოფისტების სკეპტიციზმს თავიანთი მასშტაბებით, არამედ ვერც კი შეედრებიან ისინი მათ, სად არის კანონი? ვინ სცნობს კანონის ხელშეუხებლო-

ბას? არავინ ბატონებო! კონსტიტუციური სამართალი არ არსებობს. რამდენჯერაც უნდათ იმდენჯერ შესცვლიან და დასწერენ ახალ კონსტიტუციას. თქვენ იცით, ჩვენს ხალხს, ხელისუფლებას, ქვეყანას ამის დიდი გამოცდილება აქვს. თქვენ ბრძანეთ სოკრატეს ცნობილი დებულება „სიქველე ცოდნაა“, ან პირიქით, მერედა ვის რაში სჭირდება მცოდნე, განათლებული, ეროვნული იდეებით განსწავლული და მიზანსწრაფული ინტელექტუალური ქართველი? დიახ, სიქველე ცოდნაა, ეს სოკრატეს რომ არ ეთქვა, სხვა იტყოდა, რადგან აქსიომაა! განათლებული და მორწმუნე ადამიანი ბოროტებას ვერ ჩაიდენს! მაგრამ... მსგავსი ადამიანები დღეს ხელისუფლებაში იშვიათად მოდიან. დიახ... ადამიანის ინტელექტუალური საწყისი მორალია, მაგრამ ეს ცნება შეუთავსებელია დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური ელიტისთვის, გინდ პოზიცია იყოს და გინდაც ოპოზიცია.

მოგეხსენებათ, რომ პითაგორული იდეალი მშვიდობიანი და ჰარმონიული სამყაროსი (როგორც სიკვდილის იდეალი) უარყო ჰერაკლიტემ და საკუთარი თეორია ასე განსაზღვრა: „ომი ყოველივეს მამაა!“ „ბრძოლა არსებობისთვის სამართლიანია“... მისი აზრით რაც ცოცხლობს, სხვისი ნგრევით ცოცხლობს! წონასწორობის საფუძველი ბრძოლაა, ამიტომ, ეს უკანასკნელი, როგორც სიცოცხლის წყარო, პოზიტიური საწყისია; უაზრობა იქნება მის ერთ-ერთ მხარეს ან სტადიას კარგი ვუწოდოთ, მეორეს კი ცუდი. საბოლოოდ კი ჩამოვაყალიბოთ, რომ „სამყარო არის მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც თანაბარზომიერად ინთება და თანაბარზომიერად ქრება... ყოველივე ბრძოლაში იქმნება და ყოველივე განუწყვეტელ მდინარებაშია.“ ამ თეორიის საფუძველზე თუ შევძლებდით აგვეხსნა ბიბლიური თუბალ – კაენის მოდგმისა და ჯიშის ხალხის იბერ-ჭანების იგივე ქართელთა (კარდუხთა) და მეგრელ-სვანთა არსებობის საიდუმლოება... ჩვენთვის ცნობიერი ოთხიათასწლოვანი შეუწყვეტელი სისხლიანი ომების ფონზე?

ქართველებს უდიდესი სახელმწიფოებრივი გამოცდილება აქვთ. მათი სახელმწიფოებრივი სტრუქტურის და არამარტო სახელმწიფოებრივი, თემის, გვარის, ოჯახის და ბოლოს პიროვნების არსებობას განსაზღვრავდა ზნეობა, ტრადიციები, მორალი, როგორც თქვენ ახსენეთ წეღან. დიახ... ოთხიათასწლოვანი შეუწყვეტელი სისხლიანი ომები გამოგვატარა ჩვენი ხალხის ზნეობრივმა პრინციპულობამ, შეურყვნელმა რწმენამ, შეუდარებელმა და შეუფასებელმა ტრადიციებმა, ამაღლებულმა და ყველა ერისგან განსხვავებულმა მორალურმა ცნობიერებამ – აი, ჩვენი გადარჩენის საიდუმლოება! ჩვენი ხალხის ხასიათის კეთილშობილებაში სამყაროს ქრისტესმიერი საკრალური საიდუმლოებაა ჩადებული. თუ ჩვენ ჩვენს ისტორიულ გზას გავაგრძელებთ ჩვენი ერის საკუთარი მორალური პრინციპებით და არ ავითქვიფებით გამრყვნელ მასონურ და გლობალურ სივრცეში, გადავურჩებით ყოვლის წამლეკავ ჯოჯოხეთის გამანადგურებელ ცეცხლს, რომელიც დღეს დედამიწის ყოველ კუთხეში ანთია – მასმედიის და კომპიუტერული ტექნიკის საშუალებებით. გახსოვთ ალბათ სოდომი და გომორი, ბიბლიის მიერ ამოცნობილი საკრალური საიდუმლო! დიახ... თუ შევინარჩუნებთ ჩვენს საკუთარ ტრადიციებს, ზნეობას, მორალს – ერი გადარჩება! წინააღმდეგ შემთხვევაში სათქმელი აღარაფერი მაქვს. ჩვენი ახალგაზრდობა თუ სხვისი ფეხის ამყოლი იქნება და შიშველ-ტიტვლები ივლიან, საკუთარ ფესვებს დავიწყების მიწას მიაყრიან, გაირყვნებიან ფიზიკურად და სულიერად, თუ გონებას ხელოვნურად დაიბნელებენ უსწავლელობით და უზნეობით, არც იქნებიან გადარჩენის ღირსნი! ლუარსაბ თათქარიძეს შთამომავალი არ ჰყავს, დიახ... უზნეობას და უვიცობას არ შეიძლება შთამომავალი ჰყავდეს, ე.ი. მომავალი ჰქონდეს. ცთუნებას რომ გაუძლო უნდა იბრძოლო, რომ იბრძოლო ამისათვის ბრძოლის სურვილი უნდა გქონდეს. ბრძოლას კი ცოდნა და აღზრდა სჭირდება, ფესვების ენერგია სჭირდება! ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს მომავალი თაობის აღზრდაზე. ჰიტლერს თუ გავიხსენებთ, რომელსაც ჩვენ აუგად მოვიხსენიებთ, მთლად ასეც არ არის. იგი გერმანელი ერისთვის დიდი ადამიანი იყო. დიდ გერმანულ სახელმწიფოს საძირკვლად დაუდო ჯანსაღი სოციალური პირობები და განათლება: „იმისათვის, რომ მოახდინო ხალხის ნაციონალიზირება, საჭიროა შექმნა ჯანსაღი სოციალური პირობები და ამ ხალხს განათლება უნდა მისცე! მხოლოდ აღზრდა და განათლება განმსჭვალავს ადამიანს შინაგანი ნაციონალური სიამაყის გრძნობით! რამეთუ ბრძოლა მხოლოდ იმისთვის შეგიძლია, რაც გიყვარს, ხოლო გიყვარს ის, რაც იცი!“ – ეს მისი სიტყვებია. რა გაკეთდა ჩვენთან ამ კუთხით ან რა კეთდება? არაფერი ბატონებო! არაფერი.

„ტირანია კარგი ადგილია (!), მაგრამ იქედან თავის დაღწევაა ძნელი“ - დაუფარავად ეუბნებოდა სოლონი ძველ ბერძნებს. ხომ არ მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ, ბიბლიური ხალხის შთამომავლები და ოდესღაც უდიდესი სახელმწიფოების მფლობელნი, დღეს უფრო ჩამორჩენილები ვართ, ვიდრე 2500 წლის წინ აკადემიის ჭალებში პლატონთან მოსაუბრე ბერძნები? და უბრალოდ, ვერ გაგვირკვევია რა არის დემოკრატია და რა არის ტირანია?

დიახ... ვერ გაგვირკვევია რა არის ტირანია და რა არის დემოკრატია, რადგან ამისთვის სათანადო ცოდნა არ მოეპოვება ჩვენს ასე ამბიციურ ელიტარულ საზოგადოებას. ამ საზოგადოებაში ვგულისხმობ პოზიციასაც და ოპოზიციასაც. არ შეიძლება ყურმოკვრით გაგონილი ტერმინებით ივაჭრო, ე.ი. ხშირად გაიმეორო შენს გამოსვლებში ეს ტერმინები. აუცილებლად უნდა სწავლობდე მის არსს. რომელ დემოკრატიაზე შეიძლება იყოს საქართველოში საუბარი, როცა იმდენი უბედურება დაატეხეს თავზე გაჭირვებულ ხალხს, რომ ვერც ჩამოთვლი, ლტოლვილი, გაუბედურებული ადამიანები სასტუმროებიდან გამოყარეს ქუჩაში ბედის ანაბარა, ლუკმა პურის ფულისთვის ქალაქს ჩამოსული ქართველობა ასევე გამოყარეს ბაზრებიდან... ისინიც ასევე ბედის ანაბარა მიატოვეს, ამ გაჭირვებულ, დამათხოვრებულ ხალხს ძვირადღირებული სალაროს აპარატების შეძენა მოსთხოვეს, საგადასახადო სისტემა სულს აძრობს ნებისმიერს... წარმოგიდგენიათ?.. შიმშილით სიკვდილის პირას მისულ ხალხს ქუჩაში ვაჭრობაც კი აუკრძალეს... არავინ დავობს, რომ ეს არ არის ლამაზი, მაგრამ როცა შენი ხალხი შიმშილისაგან იხოცება, რა დროს სილამაზეზეა საუბარი? მიეცი მაშინ ამ ხალხს სამუშაო და დაასაქმე, აამუშავე ფაბრიკა-ქარხნები... საბჭოთა წყობის დროს სად გინახავთ ქუჩაში მოვაჭრე ან საერთოდ მათხოვარი? დასაქმებული იყო საზოგადოება! ქართველი კაცისთვის ვაჭრობა ყოველთვის სამარცხვი-

ნო პროფესია გახლდათ. ისინი ხომ უკიდურესმა გაჭირვებამ მიიყვანა ამ საქმიანობამდე, და როცა შენი ხალხის წინააღმდეგ ამდენ საშინელებებს სჩადიხარ, რა უფლება გაქვს დემოკრატიის, ე.ი. ხალხის ხელისუფლების სახელით ილაპარაკო და ისარგებლო? ძველ ბერძნებს და შემდეგ რომაელებს კარგად ესმოდათ დემოკრატიის და ასევე ტირანიის არსი. ტირანია საწყისი ფაზიდანვე საძულველი და მიუღებელი იყო საზოგადოებისთვის თავისი შინაგანი დამთრგუნველი ბუნებით. იგი ხომ ფაქტიურად უფლებას ართმევდა საზოგადოებას, თუნდაც მის წევრებს საკუთარი აზრი გამოეთქვათ ინდივიდუალურად. ამიტომ ითვლებოდა განათლებული, დიახ, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ განათლებული საზოგადოებისთვის მიუღებლად. მაგრამ აქვე დავამატებ, რომ იმდროინდელ ტირანიასაც თავისი დადებითი მხარეებიც ჰქონდა.

ბერძნული აკადემიები და არამარტო ბერძნული, აკადემიები არსებობდა მაშინდელ კოლხეთში და არანაკლებ სახელგანთქმულიც, ვიდრე პლატონის ან სხვა აკადემია იყო, ყოველმხრივ სრულყოფდა პიროვნებას, სრულყოფილი პიროვნებისთვის კი ძალიან ადვილი ასახსნელია და ერთმანეთისგან გამოსარჩევი ტირანია და დემოკრატია. უბრალოდ, ასეთი პიროვნებები არც იკადრებდნენ ამ ცნებების ერთმანეთში აღრევას, რაც ხდება დღეს ჩვენთან. სოფისტებმა თავიანთი შორს გამიზნული სკეპტიციზმით გარკვეული და სრულიად განსხვავებული მიმართულება შექმნეს ფილოსოფიაში. მათი იდეები გადაიღო ზოგიერთმა იმპერატორმა და მათ მიერ საკუთარი მსოფლმხედველობით შექმნილი სახელმწიფოებრივი წყობა დღეს, ამ შორეული გადასახედიდან წარმოგვიდგება ტირანული ფორმით. თუნდაც ნერონის და კალიგულას მაგალითს ანალოგი არა აქვს. მაგრამ... მათი აზრით, მათი მოღვაწეობა აუცილებელი და საჭირო იყო იმდროინდელი რომისთვის. შემდგომმა ისტორიულმა წიაღსვლებმა დაადასტურა, რომ იმ წლებმა დაღუპეს იმპერია! ქართველ ხალხს, ე.ი. ჩვენ დემოკრატიის იმ ფორმას გვთავაზობენ, საერთო რომ არაფერი აქვს დემოკრატიასთან. თავიდან (92 წლიდან) ჩაგვთვალეს განვითარებად ქვეყანათა რიცხვში! მოგვცეს ლაპარაკის უფლება! სიტყვის თქმის უფლება ჩვენთან დღეს გაიგივებულია ლაპარაკის უფლებასთან, ანუ ჩვენ გვაქვს უფლება ვილაპარაკოთ, დიახ, და ვილაპარაკოთ რაც გვინდა, თუნდაც ათასი სისულელე. ღმერთო, რა დამამცირებელია ეს! განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში როცა ვინმე საუბრობს, ან კიდევ როცა ჟურნალისტი წერს რამეს – აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა მოჰყვეს სათანადო რეაგირება იმ სტრუქტურების მიერ, რომელიც მე და თქვენ, ნებისმიერმა პიროვნებამ ავირჩიეთ საზოგადოების ნების აღმასრულებლად. ჩემს ნათქვამ სიტყვას რომ სათანადო რეაგირება მოჰყვეს, ამისთვის მჭირდება მე და ასევე თქვენ სიტყვის თავისუფლება. ჩემი მოთხოვნა, ჩემი პროტესტი, ჩემი შენიშვნა სიტყვის თავისუფლების საშუალებით უნდა მივაწვდინო ხელისუფლების ზედა თუ ქვედა შტოს. ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს რეაგირება ჩემს მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე. თუ ეს პროცესი არ შედგა, რომელ ხალხის ხელისუფლებაზეა საუბარი? წაიკითხეთ ჩვენი გაზეთები, მოუსმინეთ ზოგიერთ ტელეარხს, იქ იწერება და იქიდანვე ისმინება ისეთი კოშმარული ინფორმაციები ამა თუ იმ ხელისუფალზე, რომ შეგაძრწუნებთ!.. მოიპარა, მიიტაცა, შეჭამა, წაართვა... მერედა რა? – არანაირი რეაგირება ბატონო! ეს არ არის დემოკრატია! ხომ გითხარით, თუ ნებისმიერი პიროვნების კრიტიკას რეაგირება არ მოჰყვა, ე.ი. არ შედგა დემოკრატიული პროცესი! ჩვენგან განსხვავებით გადაიხედეთ რა ხდება დემოკრატიულ ქვეყნებში? იქ დაუყოვნებლივ იწყება რეაქცია! ნებისმიერ საზოგადოებაში, არა აქვს მნიშვნელობა ხუთმა, ერთმა თუ 5000 კაცმა თქვა. ვიღაცამ ხომ თქვა, რომ ამ სენატორმა 5 დოლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყენა თავის სასარგებლოდ. ეს ნათქვამი არ შეიძლება ყურადღების და მოკვლევის გარეშე დარჩეს. მაგ. ამ და ამ მინისტრმა ერთი წლის წინ თქვა, რომ მე გავაკეთებ ამ საქმეს. თუ არ გაუკეთებია, ერთი წლის შემდეგ ხალხი კითხავს მას: „თქვენ ხომ ბრძანეთ ერთი წლის წინ რომ ეს საქმე უნდა შეგესრულებინათ?“ ვერ ხედავთ რაშია საქმე? ჩვენთან არავინ არაფერზე არ არის პასუხისმგებელი! ხმა ხალხისა რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. როგორც იტყვიან, შეაყარე კედელს ცერცვი...

რა უფლება გვაქვს, რომ ვთქვათ, საქართველოში დემოკრატიული ხელისუფლება არის? დღეს ჩვენთან მკაფიოდ არის გამოხატული კრიმინალურ-მაფიოზური დაჯგუფებების მიერ ძალაუფლების უზურპაცია. ამ დანაშაულებრივ საქმიანობაში არიან ჩართულნი საერთაშორისო ორგანიზაციები სავალუტო ფონდი თუ მსოფლიო ბანკი და სხვები, არანაკლებ დიდი ბანდიტები არიან ისინი, ვიდრე ჩვენი ადგილობრივი ბანდიტები! აი როგორი დემოკრატიაა დღეს ჩვენთან! ერთი მარტივი მაგალითი მინდა მოვიტანო კიდევ: ხელისუფლებას მყარი არგუმენტი მოაქვს, „ოპოზიციური პარტიები გვეუბნებიან გადადექითო, ჩვენ ხომ არჩეულნი ვართ 5 წლით, პარლამენტი 4 წლით. საარჩევნო ვადა უნდა გავიდეს...“-ო. მაგრამ არავინ არ პასუხობს ამ სისულელეებს და სირეგვნეს, უკაცრავად ამ სიტყვებზე, კი მაგრამ, ჩვენ ხუთი წლით იმიტომ აგირჩიეთ ბატონო, რომ მოიპაროთ? რომ მოკლათ? რომ შეჭამოთ? რომ შეურაცხყოთ? ჩვენ როდის გითხარით, რომ ამ ხუთი წლის ვადაში თქვენ ყველაფრის უფლება გაქვთ? ჩვენ მოგეცით დრო ხუთი წელი იმისთვის, რომ ჩვენი დავალებები შეასრულოთ. თუ თქვენ ამას ვერ შესძლებთ, ჩვენ უფლება გვაქვს გამოგიწვიოთ, გადაგირჩიოთ. ეს შეიძლება მოხდეს ერთი წლის შემდეგ, ნახევარი წლის შემდეგ. მეფეთ ხომ არ აგვირჩევიხართ? ან დიქტატორად?

დაუკვირდით თქვენ, ვინ ეუბნება ამას ხალხს, რომ ყოველ წელიწადს ხომ არ ჩავატარებთ არჩევნებსო? ამაზე საუბრობენ საზოგადოების ვითომცდა ინტელექტუალური ნაწილი, არასამთავრობო ორგანიზაციები! ისინი არწმუნებენ საზოგადოებას, რომ: „რადგან შენ აირჩიე შენი ხელისუფლება, შენი მთავრობა, ახლა ბოლომდე უნდა მივიყვანოთ ისინი... წარმოგიდგენიათ? ისინი არიან ამათი დამცველები, თუ ფარი. იმას კი არ ამბობენ, რომ მთავრობა, ხელისუფლება, როცა ხალხისთვის მიცემულ პირობას არ ასრულებს, საზოგადოებას აქვს უფლება არჩევანი ხელახლა გააკეთოს. და ეს არჩევანის გაკეთება ამ ხუთი წლის ვადაში შეიძლება 10-ჯერ მოხდეს. ასე ხდება ნამდვილ დემოკრატიულ ქვეყნებში მაგალითად იტალიაში. ვთქვათ იბეჭდება რაღაც კრიტიკა, შენიშვნა სადმე, რომელიღაც გაზეთში, – წერილში არის მხილებული რომელიმე ჩინოვნიკი რაღაც

დანაშაულში, - ამ შემთხვევაში რედაქტორს და ჟურნალისტს კი არ უნდა სჭირდებოდეს ბრძოლა და სასამართლოებში სირბილი, რომ საქმე აღიძრას კონკრეტული დანაშაულის შესასწავლად – ავტომატურად, ხელისუფლების ძალისხმევითა და ნებით უნდა აღიძრას საქმე სასამართლოში და შეისწავლონ მითითებული დანაშაული! მსგავსი რამ მომხდარა ჩვენში? არა ბატონებო! საქართველოში მოყოლებული 92 წლიდან არც ერთი დღე დემოკრატიული წყობა მმართველობის არ ყოფილა დღემდე! აქ არის რაღაც ნაზავი, ტირანიაც არ არის ეს. ტირანიას ძალიან ბევრი უარყოფითი მხარე აქვს, მაგრამ ტირანიის დროს სხვა მექანიზმებიც მუშაობენ, ტირანიის დროს პასუხისმგებლობაც მეტია. ტირანი, იგივე დიქტატორი ყველა პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს. ჩვენთან? აქ არავინ არაფერზე არ არის პასუხისმგებელი, არავინ არავის წინაშე არ არის ვალდებული. რატომ? რა არის ეს? დიახ, ეს არის სათარეშოდ შემოშვებული რაზმი ვიღაცის ნებართვით. ისინი დაკავებულნი არიან ხალხის დარბევით და დაწიოკებით, პასუხს კი არავინ არაფერზე სთხოვთ!

თუ სოკრატეს დავესესხებით „ნებით ბოროტებას არავინ აკეთებს. თუ სიქველე ცოდნაა, ცოდვა მხოლოდ უცოდინარობაზეა აგებული.“ სოკრატესეული განსაზღვრებით როგორ აუხსნით „კვალის“ მკითხველს საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას უკანასკნელი 18 წლის მანძილზე?

სოკრატე არა მარტო ფილოსოფოსი, ზნეობის დიდი იდეოლოგიც იყო. ცხადია ყოველგვარი ცოდვა უცოდინარობაზე და ამასთან ერთად უზნეობაზეა აგებული. უზნეობა იყო საქართველოს პირველი ეროვნული მთავრობის დამხობა 92 წლის 6 იანვარს, რაც პრეზიდენტის განდევნით დასრულდა. უზნეობის ტრიუმფი იყო ვითომცდა აფხაზეთისთვის ბრძოლა. ეს ბრძოლა იყო სწორედ იმ ეროვნული მთავრობის საბოლოოდ გამანადგურებელი, რაც დასრულდა კიდეც გამსახურდიას მკვლელობით, ამის სანაცვლოდ რუსეთმა მიიღო აფხაზეთი და სამაჩაბლო. დიახ!.. უზნეობის ტრიუმფი იყო საქართველოში 92 წლიდან მოყოლებული წლები და გრძელდება დღემდე.

პოლიტოლოგები და ექსპერტები ცდილობენ შეაფასონ 91-92 წლების მოვლენები და ჩანასახშივე განადგურებული თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო... დავუჯეროთ მათ თუ... ისევ სოკრატეს დავესესხოთ და არ მოგვერიდოს მათთვის ხმამაღლა თქმა, რომ: „ვერ ილაპარაკებ ბრძნულ, სამართლიან ან კარგ მოქმედებაზე, თუ არ იცი რა არის სიბრძნე, სამართალი და სიკარგე?“ რაში სჭირდებათ მათ ცრუ გმირის ცრუ გვირგვინი?

ძნელი შესაფასებელია 91-92-93 წლების მოვლენები, მტრების ხელით აღზევებულმა და შეიარაღებულმა ქართველმა ყაჩაღებმა ჩანასახშივე გაანადგურეს თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო. დღეს, 2009 წლის გადასახედიდან ძალიან ადვილია იმის თქმა, რომ უვიცობის და უსირცხვილობის ზეიმი იყო ის წლები, რადგან ცხადია მათ, ქვეყნის სათავეში მოსულმა მედროვეებმა არ იცოდნენ რა იყო სამართალი და წარმოდგენა არ ჰქონდათ სიბრძნესა და საერთოდ ზნეობაზე. ქვეყანას ყაჩაღთა ბრბო მართავდა სიგუა, იოსელიანი, კიტოვანი, შევარდნაძის ხელმძღვანელობით. რაც შეეხება ცრუ გმირის ცრუ გვირგვინს, ეს მოსალოდნელიც იყო თითოეული ამ პიროვნებისაგან, რომელთაც თავიანთი თავი წარმოსახეს ქვეყნის ბატონ-პატრონებად და მტრის მიერ შემოჩეჩებული იარაღით ზვიადისტობის საბაბით ხვრეტდნენ განსხვავებული აზრის მქონე საკუთარ სისხლსა და ხორცს, ღირსეულ მამულიშვილებს, ქვეყნის მომავალს, ახალგზრდობას... ის წლები უდიდესი სირცხვილია ნებისმიერი ქართველისთვის... საჭირო იყო თითოეული იმათთაგანის გასამართლება...

ცრუ გმირს ყოველთვის სჭირდება თავისი გვირგვინი, ე.ი. ცრუ გვირგვინი სიყალბის ვითომცდა დასაფარავად! რაც შეეხება ამ ყალბი გმირების შემოჩეჩებას, ისიც უნიჭოდ არის მოფიქრებული, კირკიტაძემ რომ დაცვის მსახურს პანღური ამოარტყა და მერე ბოდიში მოუხადა, მასზე თქვა სააკაშვილმა ნამდვილი გმირიაო, ეს არის გმირობა? რატომ არ ესმით, რომ გმირი სხვა მცნებაა? ცრუ იდეოლოგიურ სივრცეში ყალბ ღირებულებებში, რა თქმა უნდა ყალბი გმირები შეიქმნება. დიახ, შეიქმნება ფალსიფიცირებული ადამიანი, რომელიც ადამიანს ჰგავს, ლაპარაკობს, უცხო ენაც იცის, მაგრამ არა აქვს ფესვი, არა აქვს იარლიყი, არა აქვს წარმომავლობა! შემდეგ ასეთი ადამიანებისაგან შემდგარ საზოგადოებას გმირის საჭიროება, ე.ი. მოთხოვნა გაუჩნდება! გმირი სჭირდება! მაგრამ ხომ არ შეიძლება ეს გმირი იყოს ცოტნე დადიანი? არა, მისი გმირი მისნაირივე იქნება, ახალი, დროის შესაფერისი, ე.ი. ცრუ!

გაჭირვების ჟამს რომელი მოქალაქენი ირჩევდნენ დიქტატორს. მაგალითისთვის გავიხსენოთ ჰანიბალთან ფლამინიუსის სასტიკი დამარცხების შემდეგ რომაელებმა დიქტატორად აირჩიეს ფაბიუს მაქსიმუსი და მას შეუზღუდავი ძალაუფლება მიანიჭეს. მაგრამ... აქ მთავარი სხვაა... მიუხედავად შეუზღუდავი ძალაუფლებისა ნებისმიერი დიქტატორი მაინც ხალხის მორჩილი იყო, და მას უფლება არ ჰქონდა... ომის დროს ცხენზე მჯდომს ებრძოლა. იგი ხალხთან, ქვეითებთან უნდა ყოფილიყო.. ფაბიუს მაქსიმუსმა სენატს სთხოვა ომის დროს ცხენზე ჯდომის უფლება მიეცა, რათა ადვილად დასანახი ყოფილიყო მებრძოლებისთვის და თავისი თავგანწირვით ისინიც განეწყო თავდადებული ბრძოლისთვის! იცით, იმიტომ გაგახსენეთ ფაბიუს მაქსიმუსი და რომაელი ხალხი, რომ... ქართველ ხალხზე გვეთქვა რაიმე. რას გაგონებთ დღევანდელი ქართველი ხალხი? ბალახზე მიშვებულ პირუტყვს თუ... ბაგაზე დაბმულ მშიერ საქონელს?

მიუხედავად ათასი ძნელბედობისა, ასეთ მძიმე მდგომარეობაში ქართველი ხალხი თავისი ცნობიერი (ე.ი. რაც ჩვენ ვიცით) ისტორიის მანძილზე არ ყოფილა. ამ შემთხვევაში იგი არ არის ბალახზე მიშვებული პირუტყვი, არა! ბაგაზე დაბმულ მშიერ საქონელს უფრო მოგვაგონებს. შიმშილი საერთოდ მძიმე პრობლემაა და ძნელად გადასაწყვეტი, მაგრამ როცა შიმშილთან ერთად დაბმული, ე.ი. დათრგუნული, შეშინებული, დამცირებული ხარ, ეს აუტანელია. დიახ, ქართველი ხალხი დღეს მიწასთანაა გასწორებული! მომავალ თაობაში – ქუჩაში შემხვედრ შიშველ-ტიტველ, დედ-მამის მაგინებელ ყმაწვილებს თუ ვიგულისხმებთ, კიდევ უფრო უარეს დღეში აღმოვჩნდებით, რადგან ქართველთა ყოფას დღეს სახელი არ მოეძებნება. პატრიოტთა ბანაკები რომ შექმნეს, ესმით კი რა არის პატრიოტიზმი? რა

არის გმირობა? იქნებ არასწორად ესმით პატრიოტიზმი? უკულმა, სათავისოდ, არასწორად გაგებული პატრიოტიზმი კი... შემაძრწუნებელია, დამღუპველია... რატომ ჰგონიათ კირკიტაძე გმირი? დაცვის თანამშრომელს რომ პანღური ამოჰკრა და მერე ბოღიში მოუხადა? არა ბატონებო, ასე თუ დავწვრილმანდებით, ყველა გმირი ყოფილა მაშინ!.. სატიაგრაჰა!.. მოუწოდებდა ინდოელებს მაჰათმა განდი. სატიაგრაჰა- წინააღმდეგობაა არაძალადობრივი გზით, შეუპოვრობა ჭეშმარიტების საძიებლად! – ბრძოლა საკუთარ მანკიერებასთან! – ასეთია ამ სიტყვის შინაარსი. ჩვენ რას ვაკეთებთ? ჩვენ ხომ ორი უდიდესი იმპერია „გვიყოფს“ და ჯერ ვერ გაგვიყო... იმდენად დავითრგუნეთ, რომ თანახმა ვართ ვიყოთ ცუდები, ოღონდ კარგად „ვიცხოვროთ“. თანახმა ვართ ვიყოთ მორჩილნი, ოღონდ მაძღრად ვიყოთ... თანახმა ვართ ეშმაკსაც კი შევეკრათ, ოღონდ უზრუნველი ცხოვრების გარანტია მივიღოთ. ყოველივე ეს სამარცხვინო არ არის? რატომ არ ვფიქრობთ, რომ საქართველოს ვერ გადაარჩენს უცხოეთიდან იმპორტირებული ვითომცდა დემოკრატიული ინსტიტუტები, საქართველოს ვერ გადაარჩენენ თავისუფლების ინსტიტუტში გამოჩეკილი მამლაყინწა პოლიტიკოსები... საქართველოს გადაარჩენს ქართულ მიწაზე მოყვანილი ხორბალი და ამ ქართული ხორბლით ფესვებგაძლიერებული ზნეობრივი, სულიერად ამაღლებული თაობა, მათ აღზრდა სჭირდებათ, აღზრდას კი... შესაფერი ნიადაგი თესლის გასაღვივებლად... ყოველივე ამის შემდეგ უკვე ჩვენი ხალხი შეიძენს იმ ღირსებას, რაც დაკარგა, მოიპოვებს იმ ავტორიტეტს, რაც გააჩნდა თუნდაც 1000 წლის წინ! აი მაშინ უკვე ნებისმიერი დიქტატორიც კი, თუკი საჭირო გახდა მისი არჩევა, ხალხის აზრს ანგარიშს გაუწევს. ხალხი გაუცნობიერებელი მასა კი აღარ იქნება, როგორც დღესაა, ცხადია ნაწილობრივ, მოაზროვნე, ინტელექტუალურ საზოგადოებასთან გვექნება საქმე, რომელიც თავის ბედს თვითონ გადაწყვეტს. რომაელები თვითონ მართავდნენ რომს. ამიტომაც არ ჰქონდა დიქტატორსაც კი უფლება ხალხისაგან გამორჩევით ცხენზე მჯდარიყო, თუნდაც ეს ფაბიუს მაქსიმუსის შემთხვევაში ყოფილიყო, თუ რომაელთა თანხმობა არ იქნებოდა. აი რას ნიშნავდა დემოკრატია და ხალხის ხელისუფლება. დიახ, ჩვენი ქვეყანა დღეს კოლონიაა და არამარტო დღეს, უკვე 18 წელია ხელახლა, ისევ დაგვიპყრეს და ისევ ვართ კოლონია, ოღონდაც გამოუცხადებელი, დაუფიქსირებელი კოლონია! ფაქტია, ჩვენი ხელისუფლება აყალბებს არჩევნებს, მაგრამ გავიხსენოთ ვინ გააყალბა არჩევნები? მარტო სააკაშვილმა? არა ბატონო, გააყალბა ევროსაბჭოს წარმომადგენლობამ, ევროპარლამენტის წარმომადგენლობამ, 3000 კაცი ჩამოვიდა დამკვირვებელი და რა ხდება? თუ არჩევნები გაყალბდა, ცხადია იმათ გააყალბეს, მათ მხარი დაუჭირეს ჩვენს ხელისუფლებას ერთხელ, მეორეჯერ, მესამეჯერ. ადვილი დასადგენია ანალიზი, ე.ი. ჩვენი ხელისუფლება ჩვენ კი არ აგვირჩევია, მათ აირჩიეს, მათ სჭირდებათ ისინი აქ, ჩვენთან, ამ გარკვეულ სივრცეში, ამ ტერიტორიაზე და რას იტყვის ამაზე ქართველი ხალხი მათ ეს სულაც არ ანაღვლებთ, არც აინტერესებთ! მათმა წარმომადგენლებმა მათიას იორშებმა და ბრაიზებმა ქართველ ხალხს დასცინა, დიახ, მწარედ დასცინა... სულში ჩააფურთხა... მათ უფლება წაართვეს ჩვენს ხალხს ყოფილიყვნენ ხალხი! საქართველო ყოფილიყო ქვეყანა, სრულუფლებიანი, დამოუკიდებელი ქვეყანა, სუბიექტი, სახელმწიფო! წავიდნენ ისინი და აქ დაგვიტოვეს თავიანთი ნაცვლები, ძველად რომ ნამესტნიკები ერქვათ! მაგრამ უბედურება ისაა, რომ ოპოზიცია, რომელიც აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას, ისევ მათთან, ბრაიზებთან და იორშებთან გარბიან და ცდილობენ თავი მოიწონონ, აი მე იმათზე უკეთესი ვარო, უფრო კარგად გამოგადგები, უფრო კარგად ვიმუშავებ შენთვისო და დარბიან ზევიდან ქვევით, ქვევიდან ზევით, ვაშინგტონში, ბრიუსელში, პარიზში... ხან აქეთ, ხან იქით... ცდილობენ თავი მოიწონონ მათ წინაშე და დაუღალავად წერენ რომ ჩვენი, ქართველი ხალხის ურყევი ნებაა შევიდეს ნატოში... თითქოს ქართველმა ხალხმა იცოდეს სად უნდა შევიდეს, რა არის ნატო... რა იცის ქართველმა ხალხმა რატომ უნდა შევიდეს ნატოში? უთხრა ვინმემ, აუხსნა ვინმემ რა არის ნატო? რა ალიანსია და რა პირობებია ვინმემ აუხსნა მათ ამის შესახებ? შეიძლება ეს გარკვეული პიროვნების ან პიროვნებების ჯგუფს უნდა, სურს ან უფრო სწორად აწყობს, მაგრამ ხალხს ხომ არჩევანი ნამდვილად არ გაუკეთებია? ან კი ვინ ეკითხება ამ საცოდავ, დათრგუნულ ქართველ ხალხს რაიმეს? ისინი ბაგაზე დაბმული პირუტყვის მდგომარეობაში არიან, დიახ, ეს ასეა!

არის თუ არა საჭირო სპეციალური განათლების მიღება საქართველოში და არა საზღვარგარეთ სახელისუფლებო სტრუქტურებში სამუშაოდ? ცხადია, ნებისმიერ ხელისუფალს პირველ რიგში უნდა მოეთხოვებოდეს თავისი ქვეყნის ისტორიის ცოდნა, მისი ტრადიციების დაცვა, მაგრამ თუ არ იციან, დაცვას ვერ შესძლებენ! ამდენად, ხომ არ აჯობებდა ქართულ უნივერსიტეტებში აღზრდილი კადრებით დაკომპლექტებულიყო სამთავრობო და საკანონმდებლო სტრუქტურები? ძველი ცივილიზებული ერები თავიანთ ქვეყნებში ასწავლიდნენ თავიანთივე მმართველებს, ხომ არ გვიხსენოთ თემისტოკლე? მან საჭირო „სიბრძნე, რაიც სხვა არა იყო რა, თუ არა სახელმწიფოს მართვის ოსტატობა და საქმიანობისთვის გამოსაყენებელი ცოდნა“ ბერძენ მნესიფილესთან შეისწავლა! თქვენ მოგწონთ ევროპასა და შტატებში განათლებამიღებული პატარა ბიჭუნებისთვის საპასუხისმგებლო თანამდებობების მიბოძება? უმრავლესი მათგანისთვის (ცხადია ყველა არა) ალბათ მამული და ყოველგვარი ეროვნული უცხო ხილია. ხომ არ დაგვავიწყდა, რომ დედა უნივერსიტეტი ყოველთვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით ამარაგებდა ქვეყანას და არამარტო ჩვენს ქვეყანას?

დედა უნივერსიტეტი... ამ სიტყვის წარმოთქმაც კი ამაღლებულ ემოციებს იწვევდა ჩვენს თაობაში. დიდი მამულიშვილების ოცნება – ჰქონოდათ ეროვნული უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილმა საქმედ აქცია და არამარტო სახელმწიფოს მართვის, ყველა დარგისთვის უმაღლეს პროფესიონალებს ზრდიდა ჩვენი უნივერსიტეტი. ეს ფაქტი ცნობილია და ამის აღნიშვნაც კი არაა საჭირო. თუნდაც ქართული ფიზიკის სკოლა რად ღირდა! დღეს როგორც ხალხია დამცირებული და დათრგუნული, ასეთივე ბედი ეწია ჩვენს უნივერსიტეტს. არ შეიძლება ასე დიდხანს გაგრძელდეს. ამას ქართველი ხალხი არ დაუშვებს. ყველა დარგს და მითუმეტეს ქართულ სახელმწიფოს ეროვნულ უნივერსიტეტში, ეროვნულ ნიადაგზე და

ეროვნული ცნობიერებით აღზრდილი პიროვნებები უნდა მართავდნენ. ეს ასე იყო ძველად და ასეა ევროპის ცივილიზებულ ქვეყნებში. გაუცხოებულმა და გაგარეულებულმა ახალგაზრდებმა შემოიტანეს ყოველგვარი ამერიკულის სიყვარული. სამარცხვინოა, როცა სამსახურს ვერ შოულობს ახალგაზრდა თუ ამერიკული ან ევროპული უნივერსიტეტის დიპლომი არა აქვს. უცხო ფესვებზე ამოზრდილი ყლორტი ქართულ ნიადაგს ვერ შეეწყობა, არ გამოადგება, ამიტომაც გვჭირს ამდენი უბედურება, ამიტომ მოედო მართლმადიდებელ ქვეყანას სახადივით სხვადასხვა ჯურის სექტები და ხალხი გადაგვარების სენით დაავადდა. თვითონ ხალხი, ადამიანი რას უნდა ემსახურებოდეს? ამ კითხვას ნათლად პასუხობს ქართული მწერლობა დასაბამიდან დღემდე, ის ქართული მწერლობა, რომელიც ასე განზეა დღეს მიკიბულ-მიჩიხული. გახსოვთ აკაკის ღამურა? ფიქრია საჭირო, აზროვნებაა საჭირო, რომ იცოდე როგორი უნდა იყოს ადამიანი, როგორი უნდა იყოს მისი დამოკიდებულება საკუთარი სამშობლოსადმი. და საერთოდ, როგორი უნდა იყოს ინტელექტუალური ადამიანის სახე?! ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა და საერთოდ ქართული მწერლობა ეროვნული თვითშეგებითაა ნასაზრდოები. პარალელი მინდა გავავლო, ერთმა რუსმა აკადემიკოსმა 1936 წელს თქვა: „მე ამ სისტემამ (საბჭოურმა) შემქმნა, ე.ი. დამბადა ახალ ადამიანადო.“ იმ აკადემიკოსის ნათქვამს მახსენებს თანამედროვე ტერმინი „ახალი ტიპის ქართველი“. ამას თუ ჩავუკვირდებით საკმაოდ შემაძრწუნებელ სურათს მივიღებთ! ერთი რამ კი ნათელია, როგორც მაშინ დამთავრდა იმ ახალი ტიპის ადამიანის შექმნის მცდელობა კრახით, ასევე დამთავრდება კრახით „ახალი ტიპის ქართველის“ შექმნის მცდელობაც. ფალსიფიცირებული არაფერი არ ვარგა, არც პროდუქტი და მით უმეტეს არ ვარგა ფალსიფიცირებული ადამიანი და ქართველი, რომელსაც სახელი და გვარი აქვს მხოლოდ ქართული, არა აქვს მნიშვნელობა ეს ქართველი იქნება, ფრანგი თუ ჩინელი, იგი თავისი ეროვნებით არის საფირმო ნიშნით დაღდასმული. როცა ამ ნიშანს კარგავს ადამიანი და ერი, ის აღარაფერი აღარაა. რამ მოგვიტანა, საიდან შევიძინეთ ეს უზნეობა? რასაც ჩვენ დღეს ვუყურებთ და რასაც ზოგადად გლობალიზმი ჰქვია – ეს პროცესი სულაც არ არის ახალი. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას 150 წლის წინანდელი წერილი პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი, იგივე თემებზეა მსჯელობა! რა არის ეს? დღევანდელი სურათი! გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება, ეს არის სარკე ადამიანური ურთიერთობის, მისი შემოქმედების მთავარი თემა არის ეროვნულ ნიადაგზე ამოზრდილი ადამიანური ურთიერთობები. ადამიანი როდესაც მოწყდება თავის ფესვს, ის კარგავს თავის, ე.ი. ადამიანის სახეს. ქვეყნისა და ადამიანის ურთიერთობა განუყრელია ერთმანეთისაგან... ისინი ერთად ქმნიან ერთ მთლიანს, მთელს! მთლიანობას!

დღეს ჩვენს ელიტარულ საზოგადოებას სანიმუშოდ მიაჩნია პიროვნება, რომლისთვისაც ქართული ეროვნული ღირებულებები კი არ არის მთავარი... უფრო უარესიც, მათი რჩეული ზემოდან უყურებს ამ ღირებულებებს! ზემოდან უყურებს არამარტო ეჭვით, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მათ აუცილებელ საჭიროებას ინდივიდისთვის და საერთოდ საზოგადოებისთვის. საუბრობს ფრანგულად, ინგლისურად. მისი ქცევა აბსოლუტურად არაქართულია. ქართულად საუბრობს არაქართული აქცენტით, რითაც ხაზს უსვამს თავის საზღვარგარეთულ განათლებას, რადგან ფიქრობს, რომ მსგავსი საქციელი უფრო მეტ წარმატებას მოუტანს საზოგადოებაში. ასეთი გაუცხოებული არსებისთვის მიუღებელია ქართული ზნე-ჩვეულებები და თავისი ახლებური, ამაზრზენი ქცევითა და აზროვნების სტილით ცდილობს დაიმკვიდროს ადგილი ქართულ საცხოვრისში. ვინ არის ის ან რა არის ეს ჩვენი გადასახედიდან? ცხადია მისი ქცევაც და აზროვნებაც შემზარავია, იგი კი საცოდავია და საბრალო. ეს არის ღრმა პროვინციალიზმი.

ჩვენი ელიტარული საზოგადოება, ამ შემთხვევაში მე არ ვგულისხმობ მოაზროვნე ინტელიგენციის ინტელექტუალურ ნაწილს. მე მხედველობაში მყავს ფსევდოელიტარული საზოგადოება, რომელსაც როგორც იტყვიან მიყავს დღეს პარადი. დიახ... მთელი მათი ქცევა და აზროვნების სტილი ეს არის აბსოლუტური პროვინციალიზმის გამოხატვა, რაც მერე გარდაისახება, ე.ი. გადადის ტელეეკრანებზე და ეთერის მეშვეობით დაუბრკოლებლად შემოდის ჩვენსა და ჩვენი მომავალი თაობის ყოველდღიურ ცხოვრებაში და შემოდის დაუკითხავად. ისინი ერთიდაიგივე ადამიანები, ერთი და იგივე სახეები არიან. საშინელებაა, როცა ქართველი ქალბატონები სხედან ტელეეკრანების ღია ეთერში და მთელი საათი საუბრობენ იმაზე, თუ რას სჭამენ! ან როგორ დაიკლონ წონაში! რას გავს ეს ბატონებო? ქართველი ქალი არასოდეს საუბრობდა ასეთ ბანალურ თემებზე, არ ლაპარაკობდა ჭამაზე! ეს არ არის ქართული და სწორედ ასეთი გადაცემები შეიძლება შევაფასოთ როგორც ღრმა პროვინციალიზმი, შემაძრწუნებელი და გულისამრევი პროვინციალიზმი. მსგავს უბადრუკობას საქართველო ვერ მიიღებს, ეს დიდხანს ვერ გასტანს, არ გაგრძელდება... მე ამისი შიში არა მაქვს, რადგან ეს ავადმყოფობაა, ეს სახადია, რომელიც მოსარჩენია, მოსახდელია, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანია გრძელდება, სულ ცოტა 18 წელია! მსგავსი ქმედებების დამკვიდრებას ხელისუფლება უწყობს ხელს, ანუ სახელმწიფო სტრუქტურები. არ დაიჯეროთ თქვენ, რომ ისინი საკუთარი ინიციატივით იქცევიან ასე. არა, ეს ხდება უცხოური მასონური ორგანიზაციების ზეწოლის შედეგად და მათ რომ ასიამოვნონ მსგავსი პროცესების გაშლა-გაფართოება მიმდინარეობს თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალებით. ამას გარდა ჩვენ გვთავაზობენ ახალი ლიტერატურის ნიმუშებად მაკულატურას, იმ ლიტერატურულ მაკულატურას, რომელსაც ევროპამ უკვე დიდი ხანია უთხრა უარი! ის საერთოდ არ არის ლიტერატურა, მას კავშირიც კი არა აქვს ლიტერატურასთან! განსაკუთრებით ერთი ტელეარხი რეკლამას უკეთებს ვითომცდა მწერალს, რომელიც ამაზრზენად ამბობს, რომ... დედის დანახვაზე... რას გავს ეს? სად ვართ ჩვენ? შეიძლება ასეთი საზიზღრობა საქართველოში ქართული ტელეარხიდან ესმოდეს ჩვენს შვილებს? და ასეთ პიროვნებას უწოდებენ მწერალს. ე.ი. შეგნებულად ხვდება ასეთი პროგრამები ჩვენს ტელეეკრანებზე, ე.ი. მთელი მანქანა მუშაობს ქართული ცნობიერების მოშლაზე, დიახ, ქართული ცნობიერების მოშლაზე...

რას ეტყვით „კვალის“ მკითხველს აგვისტოს ომის შესახებ? დავკარგეთ ტერიტორიები, ავტორიტეტი და მეგობრები თუ... პირიქით მოხდა და ახლა ევროპაც

ჩვენი მეგობარია?

გაურკვეველი სიტუაციაა! ჩვენი დაუდევრობის გამო კიდევ ერთხელ დავკარგეთ ახალი ტერიტორიები! მეგობრები სადა გვყავს? მეგობრები დიდ და ძლიერ სახელმწიფოებს ჰყავთ. აქამდე იმედი მაინც გვქონდა ადრე დაკარგული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებისა, ახლა იმედიც აღარ არის. ევროპა არც არასდროს ყოფილა ჩვენი მეგობარი და ახლა ჩვენი გულისთვის იმ უზარმაზარ დათვს დაეტაკებოდა, რუსეთი რომ ჰქვია? ასეთი სისულელის დაჯერება არავის ეპატიება.

როგორ შეაფასებდით შტატების მეგობრობას საქართველოსთან? მაკიაველს თუ მოვიშველიებთ, „მეგობრობა, რომელსაც წყალობის ფასად იხვეჭ და არა სულიერი სიდიადისა და კეთილშობილების შედეგად, მართალია დანახარჯს კი გინაზღაურებს, მაგრამ გასაჭირში იარაღად არ გამოდგება“. ვინმე იფიქრებს დიდ იტალიელ მოაზროვნეს საქართველოს პოლიტიკურ-სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა აქვს გამოწვლილვით შესწავლილიო...

როგორ შევაფასებდი შტატების მეგობრობას? არანაირად! შტატების ურთიერთობას საქართველოსთან მეგობრობა არ ჰქვია, ეს არის პატრონის და ყმის ურთიერთობა. მამა ბუშის სიტყვები გამსახურდიას მიმართ: „თქვენ დინების საწინააღმდეგოდ მიცურავთო“, განაჩენის გამოტანის ტოლფასი იყო, ან კიდევ უკვე მაშინ გამოუტანა შტატებმა საქართველოს განაჩენი! ცხადია ამ განაჩენის გამოტანაში რუსეთიც და შევარდნაძეც იყო ჩართული, და ეს განაჩენი საბოლოოდ სისრულეში მოიყვანეს 2003 წლის ნოემბერში. ამ უაღრესად საჭირო გეოპოლიტიკურ სივრცეში, სადაც საქართველო მდებარეობს, ამ გზაჯვარედინზე, მსოფლიო ძალებს ხელს არ აძლევდათ, და არც დღეს აძლევთ ხელს არსებობდეს ეროვნულ იდეოლოგიაზე, ეროვნულ მენტალიტეტზე, თავის საკუთარ ისტორიულ ფესვებზე გაძლიერებული დამოუკიდებელი სახელმწიფო. აი ეს არის თავი და თავი!

გამსახურდია არ გამოადგებოდათ. ე.ი. ვერ გამოიყენებდნენ ქვეყნის ძირის გამომთხრელად და დამანგრეველად. ამაში დარწმუნდნენ და გამოუტანეს კიდევაც განაჩენი. შემდეგი იყო შევარდნაძე, რომელიც ასევე ვერ გამოდგა ბევრ რამეში. მან ბევრი საქმე წამოიწყო, მაგრამ ორმაგ თამაშს თამაშობდა და... შტატებს ამის გაშიფვრა არ გაუჭირდებოდა. არ დაგვავიწყდეს, შევარდნაძის გამოჩენისთანავე გამოჩნდა რეფორმატორთა, ე.ი. ჟვანიას გუნდი! ისინი უკვე აქტიურად ჩაერთვნენ სახელმწიფოს მართვის საქმეებში 94 წლიდან... აი ეს გუნდი იყო შტატების დასაყრდენი საქართველოში... თითქოსდა შევარდნაძესთან თანამშრომლობდნენ და თანამებრძოლები იყვნენ, მაგრამ... სინამდვილეში მათ უკვე შტატებისგან დაკისრებული თავიანთი გეგმა ჰქონდათ განსახორციელებელი, ამიტომ დაპირისპირებაც მალე მოხდა მოქალაქეთა კავშირში და საკულისო ურთიერთობებში საკუთარი ოპოზიცია ჰყავდათ შევარდნაძესთან დაპირისპირებული! წასულ წლებში ბევრჯერ დაიგეგმა შევარდნაძის ხელოვნურად წასვლა ხელისუფლებიდან, რადგან ისინი ხმებს ვერ მიიღებდნენ, ქართველი ხალხი მათ ხმებს არ მისცემდნენ, ეს მათ კარგად იცოდნენ! ამიტომაც იყო გადატრიალების მცდელობები 98-ში, 2001-ში, 2002-ში და ა.შ. 2003 წელს გახდა შესაძლებელი განაჩენის საბოლოო აღსრულება! ამ პერიოდში უკვე, შთაბეჭდილება მრჩება რომ რუსულმა ხელისუფლებამ რაღაცას დაუსვა წერტილი. ყველაფერი გაკეთდა დიდი ოსტატობით, ტერიტორია გაიყვეს! ისეთი შთაბეჭდილების შექმნა მოისურვეს, თითქოს ქართველმა ხალხმა ჩაიდინა ეს! ეს ვარდების რევოლუცია! რატომ იყო მხოლოდ ის 15 თუ 20 ათასი კაცი მთელი ქართველი ხალხი? და თუ მაშინ იმ 15 თუ 20 ათასი ქართველის ნება იყო აღსასრულებელი, შემდეგ 2007 წელს 300 000 ქართველის ნება რატომ არ იყო აღსასრულებელი? რატომ არ იყო ქართველი ხალხის ნება 2007 წლის 7 ნოემბერი? ამ კითხვების უარყოფა არ შეიძლება! ქართველი ხალხისთვის დღესავით ნათელია რაც ხდება! დიახ, ეს უდავო ჭეშმარიტებაა. 2003 წლის ნოემბერი იმდენად ღია შეთქმულება იყო საქართველოს ეროვნულობის და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შტატების მიერ მოწყობილი, რომ მათი ელჩი მაილსი შეუნიღბავად, აქტიურად მონაწილეობდა. აუცილებლად უნდა გავავლოთ პარალელი იუგოსლავიის პროცესებთან. მაშინდელი შეთქმულება დამთავრდა 2008 წლის აგვისტოში, საქართველოსთვის ტერიტორიების საბოლოო ჩამოჭრით, რუსეთმა თავის წილი მიიღო! ევროპელმა მეგობრებმა რჩევა მოგვცეს, რომ... დროა დარჩენილ ტერიტორიებზე ვიფიქროთ! რა იყო ეს? დაცინვა კიდევ ერთხელ? რას ნიშნავს ეს? უფლება აღარა გვაქვს კითხვის ნიშანი მოვხსნათ ჩვენსავე მიწა-წყალს?

როგორი უნდა იყოს ხელისუფალი? შიშს უნდა ნერგავდეს თუ სიყვარულს ვერ მოიხვეჭს? საჭიროა თუ არა ხალხის სიძულვილის თავიდან აცილება? რაც, დამეთანხმებით, ზოგჯერ ნამდვილად შეუძლებელია. ჩვენ კარგად გვახსოვს სამეგრელოში ჩასულ შევარდნაძეს კვერცხებს ესროდნენ... აბა რაღა სიცოცხლეა ასეთი სიცოცხლე?

ხელისუფალი თავის ქვეყანაზე და თავის ხალხზე უნდა ზრუნავდეს. თუ ასე არ გააკეთა, ხალხი არ აპატიებს! ასე მოუვიდა შევარდნაძეს და ამ ხელისუფლებასაც!

შიში თრგუნავს საზოგადოებას, მაგრამ გარკვეულწილად შიშიც საჭიროა, ოღონდაც სამართლიანი ფორმით! რაც შეეხება შევარდნაძეს, მან დიდი უბედურება დაატეხა თავს ქვეყანას, დასწვა, დაანგრია საკუთარი სამშობლო, უცხო ძალების გამოყენებით განდევნა ეროვნული მთავრობა და 30000 გასამრავლებელი ქართველი ყმაწვილის სისხლით მორწყულ სამეფო ტახტზე დაბრძანდა! ხალხი არაფერს ივიწყებს ბატონებო... და ეს არდავიწყება, ე. ი. გამწარებული და გაალმასებული ხალხი საკუთარი პიარისთვის გამოიყენა ჟვანია-სააკაშვილის რეფორმატორთა გუნდმა!

როგორია დღევანდელი ქართული საზოგადოება? აქვს ინტელექტი? თუ აქვს ინტელექტი, რატომღა ჩაიდინეს სამარცხვინო საქციელი 91-92 წლებში? სამარცხვინო საქციელი ნიშნავს პირადი ცხოვრების მოწყობისთვის ზრუნვას ერის ღალატის ხარჯზე, ერის გაღატაკების ხარჯზე...

დღევანდელი ქართული საზოგადოება გაორებული და დაბნეულია! უინტელექტო საზოგადოებას მომავალი არა აქვს, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ქართული ინტელიგენციის ნაწილზე. პირიქით, ჩვენ მაღალი ინტელექტის საზოგადოება გვყავს, მაგრამ ისინი ჩრდილში

არიან... რაც შეეხება 91-92 წლების შეფასებას, ეს ტრაგედია ყველასათვის ცნობილია ზემოდან იყო ინსპირირებული! კრემლის მიერ დადგმული სპექტაკლი გახლდათ რა თქმა უნდა შტატების აქტიური მონაწილეობით. შევარდნაძემ გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ სპექტაკლში, რაც საკმაოდ ძვირად, საკუთარი ხალხის სიძულვილად დაუჯდა!

შევარდნაძემ დამშეულ და დათრგუნულ ქართულ მოსახლეობას მეცხვარის კატასავით ჩამოუკიდა ჭერში ქართული კონფლიქტური პოლიტიკა და თვითონ მამა აბრაამის ბატკანივით მშვიდი მოხუცის სახით ჩაბრძანდა სამეფო ლოჟის სავარძელში, სცენისთვის რომ კარგად ედევნებინა თვალი. იზიარებთ პოლიტიკოსთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებას, რომ 2003 წლის 23 ნოემბერი ერთ-ერთი წარმატებული სპექტაკლია შევარდნაძის რეჟისორობით შესრულებული? მან ხომ დაუფარავად განაცხადა: „მე ჩემი ნებით მივართვი ხელისუფლება ბატონ მიშას და ბატონ ზურაბსო. მივიღე გადაწყვეტილება, რომელიც მივიღე და რომელიც უნდა მიმეღო“. ამის შემდეგ კიდევ რჩება რაიმე საეჭვო?

დიახ, 2003 წლის 23 ნოემბერი ერთ-ერთი წარმატებული სპექტაკლი იყო, ოღონდაც არა მთლიანად შევარდნაძის მიერ მოწყობილი, მას უბრალოდ მთავარი როლი აღარ მისცა შტატებმა, ცხადია უკვე რუსეთის თანხმობით. ამჯერად მთავარი როლი ჟვანიას რეფორმატორთა გუნდს ერგო. შტატების ფავორიტი და მათი გეგმების განმხორციელებლად ისინი სწორედ ჟვანიას და მის გუნდს მოიაზრებოდნენ საქართველოში... და არამარტო საქართველოში, მთელ კავკასიაში მათი დასაყრდენი ჟვანია გახლდათ!

იგორ ივანოვის არაორდინალური ჟესტი, დილით ადრე მომიტინგეებთან „პირმცინარე“ მისვლა და „გაუმარდჟოს“ რას ნიშნავდა? რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის 300-წლიანი გეგმის ვრცელი წიაღსვლები ხომ არ გვახსენებს საქართველოს ისტორიის მე-20 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ცალკეული პასაჟების ქვეტექსტს?

იგორ ივანოვი ისე, როგორც რუსეთის სახელისუფლებო წრეები, ფიქრობდნენ, რომ 2003 წლის 23 ნოემბრის სპექტაკლის მთავარი რეჟისორი რუსეთი იყო. მოგვიანებით მიხვდნენ თავიანთ შეცდომას. რაც შეეხება რუსეთის 300-წლიან გეგმას... ამჯერად ამ გეგმის განხორციელებას შტატები სერიოზულად უშლის ხელს... შტატებთან შეთანხმებით უნდა გადაწყდეს და შემუშავდეს მათი მოქმედების ყოველი წვრილმანი, დიახ... შტატებთან შეთანხმებით ჯერჯერობით აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დასჯერდნენ! დანარჩენი მომავლისთვის გადადეს...

პოლიტიკა პროფესიონალი პოლიტიკოსისთვის მაკიაველის აზრით თვითდამკვიდრების საშუალებაა. როგორ შევაფასოთ დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური კურსი? ხომ არ მიგაჩნიათ, რომ 2003 წლის 23 ნოემბრის მოვლენა უკვე მეორეჯერ (პირველად 92 წლის 6 იანვარი) აშკარა მცდელობა იყო ქვეყნის კონსტრუქციული კოდის მოშლის და მაშინდელი ლიდერების პოლიტიკური პროფესიონალიზმი ეჭვის ქვეშ ხომ არ დგება? იგივე შეცდომას ხომ არ გაიმეორებს დღევანდელი ოპოზიცია?

დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური კურსი? ეს არანაირი კურსი არ არის, რასაც ჩვენი ხელისუფლება ახორციელებს. ეს ქმედებები უბრალოდ მორჩილებაა და მეტი არაფერი, შტატების მორჩილება! რაც შეეხება ოპოზიციას, ორიოდ პარტიის გამოკლებით, მან უკვე გაიმეორა იგივე შეცდომა, რის შედეგადაც ხალხის ნდობა დაკარგა.

2003 წლის ნოემბრის ქუჩის აქციებზე იდგა მშიერი, შეურაცხყოფილი, ფეხქვეშ გათელილი, დათრგუნული სეთურის ხალხი... ლოზუნგი ზედმიწევნით იყო გათვლილი – პრეზიდენტის გადაგდება უშველის ქვეყანას! ხომ არ გავიხსენებდით, რომ 2003 წლის ნოემბრის აქციების ლიდერი შევარდნაძის მთავრობის ეკონომიკური რეფორმების მამამთავარი და სულის ჩამდგმელი ბატონი ზურაბ ჟვანია გახლდათ სულ ცოტა 8 წლის მანძილზე? პარალელს ხომ არ გაავლებდით? 2007 წლის ნოემბრის აქციებზეც იდგა მშიერი, დაბეჩავებული ქართული მოსახლეობა... ეკონომიკური რეფორმების მამამთავარი კი ამჯერად გახლდათ ჟვანიას მიერ რუსეთიდან ჩამოყვანილი ბენდუქიძე, ოღონდაც არა აქციის ლიდერი! რა შეიცვალა ამ წლებში? უარესობაა თუ უკეთესობა?

ამ წლებში არაფერი შეცვლილა და თუ რაიმე შეიცვალა, ისიც კიდევ უფრო უარესობისკენ. ხალხი დაბეჩავა და დათრგუნა უმუშევრობამ, უსახსრობამ, გაჭირვებამ! ხელისუფლებას ხალხზე ფიქრი არამარტო არ სჭირდება, არ სურს! ეკონომიკური რეფორმების მამამთავარი ჟვანია გახლდათ 8 წელი, მანამდეც ანგარიშგასაწევი ფიგურა და შევარდნაძის მარჯვენა ხელი გახლდათ. მანვე ჩამოიყვანა რუსეთიდან ბენდუქიძე და რაც მას დარჩა გასასხვისებელი და გასაყიდელი, გაასხვისა და გაყიდა ბენდუქიძემ. მათ უდიდესი როლი ითამაშეს საქართველოს მიწასთან გასწორებასა და გაპარტახებაში. ჟვანია არასდროს აკეთებდა ქართულ საქმეს. მას ისტორიამ განსაკუთრებული როლი დააკისრა უძღები შვილისა! ასეთივე გახლდათ მისი მემკვიდრეები, განსაკუთრებით ბენდუქიძე!

კავკასიური ცარცის წრე შემოხაზულია, ვინ იქნება ნამდვილი დედა? ჟვანიას ჩამოყალიბებული ძველი მოქკავშირი, ე.ი. დღევანდელი ხელისუფლება, თუ გაერთიანებული ოპოზიცია? თუ არც ერთი? ვინ არის ნამდვილი დედა, ვინც გადაარჩენს ფიზიკურად და სულიერად საქართველოს? და საერთოდ ჩვენს პოლიტიკურ ელიტას ესმით რას ნიშნავს პატრიოტიზმი და მამულის სიყვარული?

პატრიოტიზმი მათთვის საკუთარი სურვილების სისრულეში მოყვანას ნიშნავს. მათ არ ესმით, ან კიდევ არ უნდათ რომ ესმოდეთ რას ნიშნავს ილიას უკვდავი ფორმულირება: ენა, მამული, სარწმუნოება! საქვეყნო საქმეს არც ერთი მათგანი არ აკეთებს, არც გაუკეთებიათ (თუ არ გამოვაკლებთ ორიოდ ოპოზიციურ პარტიას). ხალხს ვერ მოატყუებენ სამუშაო მაგიდის თავზე ილიას სურათის დაკიდებით. სულ ცოტა ხნის წინ შეუბრალებლად მოკლეს ზვიად გამსახურდია, დახოცეს ზვიადის მომხრეები, მოკლეს გურამ შარაძე! ილია რომ ცოცხალი იყოს ალბათ ათჯერ მოკლავდნენ... ეს ის ხალხია, ვინც არავის ინდობს გზად შემხვედრს, თუნდაც ის ვინმე მამულის მადიდებელი და მაცხოვნებელი იყოს უფლის მიერ. დიახ... ისინი, ე.ი. ჩვენი პოლიტიკური ელიტა სატანის შვილები არიან და არანაირ მკვლე-

ლობას და ბოროტ საქმეს არ დაერიდებიან!

მათთვის უცხოა პატრიოტიზმი. სათავისოდ, არასწორად იგებენ... და არასწორად გაგებული პატრიოტიზმი ბევრად უფრო დამღუპველია ქვეყნისთვის. კავკასიური ცარცის წრე დიდი ხანია უკვე შემოხაზულია საქართველოს ირგვლივ. პოზიციაც და ოპოზიციაც, იმ ორი პარტიის გამოკლებით ერთნაირ თამაშს თამაშობს, მზად არიან გაგლიჯონ საქართველო, ოღონდაც სათავისოდ დაინარჩუნონ!

უცხოურ ფონდებში დაგეგმილი დივერსიის საშუალებით 2007 წლის 7 ნოემბერს და 2008 წლის აგვისტოში კიდევ ერთხელ ხომ არ გადაჰკრეს პოლიტიკური შოლტი ზნეობრივ-ეკონომიკურ-სოციალურ და პოლიტიკურ კრიზისში მყოფ დაბეჩავებულ ქვეყანას?

უცხოურ ფონდებს არ აწყობთ ძლიერი საქართველო. მათ აწყობთ თავიანთი მომხრე ხელისუფლების წრის სიძლიერე მხოლოდ. მშიერი მონები ადვილად სამართავია. ასეთი სურათია დღეს საქართველოში.

ზოგიერთი პოლიტიკოსისთვის ზნეობა და ქართული მენტალიტეტი მეტისმეტი კომფორტი ხომ არ არის?

ამ კითხვას პასუხიც არ სჭირდება. ხალხი ყველაფერს ხედავს.

სოკრატეს თუ დავესესხებით, ჩვენს ოპონენტებს ვეტყვი, რომ „ჩემთან ბრძოლა და კამათი ადვილია, მაგრამ ჭეშმარიტებასთან ძნელი“. ჩვენი „ელიტარული საზოგადოება“ თუ მიხვდა, რა დიდი შეცდომა იქნა დაშვებული 92 წლის 6 იანვარს?

დიახ, ჭეშმარიტების გასააზრებლად 17 წელი არცთუ ცოტა დროა!

რა ემართება ქართველ ხალხს, ვერ აცნობიერებს რას ნიშნავს ეროვნული თვითშეგნება? როგორ დაახასიათებდით საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას?

ჩემის აზრით, საზოგადოება, საზოგადოებაში მე ვგულისხმობ ინტელიგენციას, მოაზროვნე ნაწილს, ნუ მიწყენს ნურავინ, რომ არ შეიძლება ყველა აზროვნებდეს, ყველა არკვევდეს და არჩევდეს რა ხდება ქვეყანაში, ვგულისხმობ პოლიტიკური ელიტის იმ ნაწილს, რომელიც თავის თავს ოპოზიციურ ნაწილს უწოდებს, მაგრამ არ ვსვამ დიაგნოზს. კერძოდ მე რას ვგულისხმობ: ჩვენ ვთვლით რომ: რაც დღეს ხდება ადრეც გითხარით და ახლაც გიმეორებთ, არ არის „უვარგისი“ ქართული ხელისუფლების ბრალი მხოლოდ, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, ნეტავი ასე იყოს, ამ ფარგლებში ეტეოდეს ის უბედურება, ყველაფერი, რაც განათლების სფეროში ხდება, რაც მენტალიტეტის წინააღმდეგ ხდება, რაც ეკონომიკის სფეროში ხდება – ეს ყველაფერი არის გარედან მართული. ეს ხელისუფლება, თუ მისი წინა ხელისუფლება, არა აქვს მნიშვნელობა და ვინც დღეს და გუშინ იყვნენ ხელისუფლებაში, ასრულებენ მათ დავალებებს, მათ ინსტრუქციებს. ეს დირექტივები და პროგრამები ფინანსდება მათ, ე.ი. იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამ, ე.ი. ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური სივრცით, ცხადია ადამიანების, ე.ი. ქართველი ხალხის გარეშე. თქვენ არ დაგიფინანსებთ ისინი ქართულ სკოლას, ქართულ მწერლობას და საერთოდ ქართულ კულტურას. მათი ეს ქმედება საქართველოს წინააღმდეგ კი არ არის მხოლოდ მიმართული, იგივე მეთოდებით მუშაობენ მთელ მსოფლიოში ეგრეთწოდებული გლობალისტები. საქართველოში ეს სიტყვა უკრიტიკოთ მისაღები ცნება ჰგონიათ, თითქოს რაღაც წმიდათა წმინდაზე, რაღაც საკრალურზე ვსაუბრობთ, როგორც კომუნისტების დროს კომუნიზმის აუგად ხსენება ცუდ ტონად ითვლებოდა, ასევეა დღეს გლობალიზმი. არადა ერთ-ერთი მძლავრი და ორგანიზებული, ყველაზე მრავალრიცხოვანი მოძრაობა მსოფლიოს უამრავ და ძირითადად ცივილიზებულ ქვეყნებში, ეს არის ანტიგლობალისტური მოძრაობები თვით აშშ-ში და რა თქმა უნდა ევროპის ყველა ქვეყანაში. თქვენ გსმენიათ საქართველოში ერთხელ მაინც ანტიგლობალისტური ხასიათის ან გამოსვლა, ან მიტინგი, ან რომელიმე პოლიტიკოსს ელაპარაკოს მის შესახებ? თუ ვწერთ ისევ ჩვენ ვწერთ, მწერლები და ჟურნალისტები ვამბობთ ხოლმე რაღაც-რაღაცეებს. სამაგიეროდ ხომ სააკაშვილი იქნება იგი თუ კოჭლამაზაშვილი არა აქვს მნიშვნელობა, ვისაც ხელისუფლება დაარქვა ამ გლობალისტმა პატრონმა, მის შესახებ ვამბობთ რომ: გამოვიწვევთ, გადავაყენებთ თანამდებობიდან და გასწორდება ყველაფერი. არა ბატონო! ჩვენი კრიტიკოსების 90% ნატრობს გახდეს „სააკაშვილი“ და აკეთოს იგივე, რასაც ის აკეთებს. ოღონდაც ამბობენ, რომ ჩვენ ამას უფრო კარგად გავაკეთებთ, უფრო ჭკვიანურად, უფრო მოხერხებულადო. გამიგეთ, მე შემიძლია, არ მოვერიდები და არ მერიდება ამისი და თუ თქვენი ნება იქნება თქვენ დაწერეთ, დაუშვათ რა განსხვავებაა სააკაშვილსა და გამყრელიძეს შორის, რა განსხვავებაა სააკაშვილსა და უსუფაშვილ-ხიდაშელს შორის? არანაირი! ეს არავითარი ოპოზიცია არ არის! ეს ნაწილია ამ ხელისუფლებისა, ანუ იმ „პატრონის“ სათადარიგო შემადგენლობაა, რომელსაც ეუბნებიან – ახლა თქვენ... ესენიც ამბობენ, ჩვენ ისეთი ჭკვიანები ვართ და ისე მოხერხებულად გავაკეთებთ ყველაფერს (დავალებულ საქმეებს)!.. ყველაფერს უმაღლეს დონეზე შევასრულებთ! აი ეს არის ჩვენი ქართული პოლიტიკა, თუ ჰქვია ამას საერთოდ პოლიტიკა! ვინც ნათლად ხედავს ამ მოვლენებს უფრო ფართოდ და მასშტაბურად, არც ტელეეკრანთან მიუშვებენ, არც ჟურნალ-გაზეთებში დაუბეჭდავენ რამეს! თუ რაღაც იბეჭდება, ის არ არის დიდი ტირაჟით და ვერ მიდის მოსახლეობამდე. ამას ჰქვია საინფორმაციო ვაკუუმი. როდესაც საზოგადოებას ცრუ ინფორმაცია მიეწოდება, ან როდესაც ხდება ქმედებების გადაადგილება, გადამისამართება, და იმის ნაცვლად, რომ მთელმა საზოგადოებამ თქვას, რომ კი მესმის, რუსეთმა დაგვბომბა, მაგრამ აი აქ ვინ დაგვბომბა, სადაც ბომბი არ ჩამოვარდნილა? ვინ არის ამისი ავტორი, ვინც დღევანდელ საქართველოში 700 ათასი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ადამიანი დატოვა, ვინ არის ამ ბომბის ჩამომგდები? ბომბს მე ვამბობ სიმბოლურად, ე.ი. ვინ არის ამის გამკეთებელი? ვინ გამიკეთა მე ის, რომ გავდივარ ვთქვათ თბილისის ქუჩებში და ვხედავ ქართველი გოგონა და ბიჭუნა შუა ქუჩაში დგანან და ლამის სექსუალური აქტი ჩაატარონ... ვინ გამიკეთა ეს? ვინ ქნა ეს? როდესაც ვრთავ ტელევიზორს, არა აქვს მნიშვნელობა შუადღეა თუ საღამოა და ისმის ისეთი სიტყვები, რასაც ქართველი ქალი იქნება, ბიჭი თუ კაცი არასოდეს არ იტყვის, არავითარ შემთხვევაში... და... ეს საზიზღარი, გამრყვნელი სიტყვები

ჩვენ და ჩვენს მომავალ თაობას ესმის ტელეეკრანიდან, ანუ ტაბუ მოხსნილია. დრომ კი არ მოიტანა ეს ყველაფერი, დროს თავისი სახელი აქვს, იმათ მოიტანეს ოკეანის გაღმიდან, ვისაც ჩვენ მეგობრებს ვეძახით, ამაშია მთელი უბედურება! ჩვენ დაგვაჯერეს, ან ვითომ დაგვაჯერეს, რომ გვეხმარებიან ფინანსურად, ეკონომიკის კუთხით და... საქმე კი უკან-უკან მიდის. რანაირად ხდება ეს? 20 წლის წინათ საქართველოში ცხოვრების დონე იყო გაცილებით, ან უმჯობესია ვთქვა დღევანდელთან შედარებით ძალიან მაღალიც კი. თვისობრივად შეიძლება ჩამოთვლა როგორ გააპროლეტარეს, როგორ გააკოტრეს მთელი ქვეყანა! და ეს არ მომხდარა შემთხვევით. ერთ-ერთი და მთავარი შემოქმედი ამ საქმისა სავალუტო ფონდია! რომელსაც ჩვენ ხშირ-ხშირად ვეუბნებით: გმადლობთ! ვინ გააკეთა ჯანდაცვის სისტემაში რეფორმები, ან იგივე განათლების სფეროში? მსოფლიო ბანკმა, რომელსაც რას ვეუბნებით? გმადლობთ!!! რა არის მსოფლიო ბანკის ასეთი დახმარების მიზანი? ის რომ ქვეყანა წინ წავიდეს, განვითარდეს (როცა ნამდვილად იყო განვითარებული!), თუ... ქვეყანა იმ მდგომარეობამდე მიიყვანონ, რომ სამათხოვროდ გაუხდეს საქმე? და ვართ კიდევაც მათხოვრები! მათხოვარს ადვილად იყიდი! რატომ ხდება, რომ ამ ქვეყანაში, სადაც არ შენდება არც ფაბრიკები, არც ქარხნები, არც საწარმოები, რომ ხალხი დასაქმდეს და ეკონომიურად მოძლიერდეს, საპირისპიროდ შენდება უამრავი სასტუმროები, რატომ? ვისთვის შენდება ისინი? ჩვენ, ქართველები ვაპირებთ სასტუმროებში გადასახლებას? ე.ი. ჩვენთვის... არ შენდება, სხვისთვის შენდება! რატომ ამდენი? ნუთუ დასაფიქრებლად არ ღირს? რატომ ხდება, რომ საქართველოს წიაღისეული იქნება ეს, მთა თუ ბარი, მიწა და წყალი – ყველაფერი იყიდება! ვინ ყიდულობს? ვინ წარმართავს ამ პროცესს? ვინ და სწორედ ეს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები. მათ მთლიანად გააოხრეს ქვეყანა!

- *ბატონო ვახტანგ. ისინი ხომ თავიანთი სურვილით არ მოსულან, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ, მმართველი პარტიის ლიდერმა და შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ ამ ორგანიზაციებს ფართოდ გაულო ქართული ქვეყნის კარი.*

- დიახ ეროვნული მთავრობის ჩამოგდების და განადგურების შემდეგ 1992 წლიდან ოფიციალურად დაფიქსირდა მათი შემოძრომა საქართველოში, ხოლო 1994 წლიდან ამ ორგანიზაციებს უკვე გზა გაეხსნათ. ამ საქმეში მარტო ჟვანია არ არის დამნაშავე, ყველა ქართველია დამნაშავე, ვინც ეროვნული მთავრობის განადგურებაში მონაწილეობდა. რა მოხდა? ჩვენ, ქართველობამ, მართალია რუსეთის დახმარებით და აშკარა ჩარევით, მაგრამ ხომ მაინც ჩვენ დავიპყარით ჩვენი ქვეყანა? ჩვენი საკუთარი სამშობლო! იარაღის ძალით დავამხეთ კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლება და ეს გავაკეთეთ ჩვენ, ქართველებმა, ეს ხომ თავისთავად შემზარავია, საშინელებაა! აი, ამას მოჰყვა ეს ყველაფერი! ჟვანიას გუნდმა დრო იხელთა და ხელი მოითბო!.. იმ დღიდან დაიწყო ქვეყნის გაპარტახება, გაჩანაგება! ოღონდაც მეთოდურად, გეგმაზომიერად, ნაცადი ხერხებით. ამერიკელებმა ასე გააჩანაგეს და გააპარტახეს ლათინური ამერიკის ქვეყნები. მილიონობით ადამიანი ცხოვრობს იქ. მაგალითისთვის ავიღოთ კოლუმბია, იგი ნარკობიზნესის მწარმოებელ ქვეყნად აქციეს, 400-500-ს აღწევდა ინფლაციის ნიშნული, როცა სავალუტო ფონდი შეძვრა იქ, ლათინური ამერიკის ქვეყნებში!

დიახ, ჟვანიას, მისი რეფორმატორების და შევარდნაძის დროს მოხდა მათი აქ შემოსვლა და დამაგრება, მაგრამ მერე იყო მცდელობა ქართველი მეწარმეებისგან, რომ წინ აღდგომოდნენ ამ ყოვლისმშთანთქავ ორგანიზაციებს, მაგრამ ვერავინ ვერაფერი გააწყო. გახსოვთ თქვენ შარლამ ვალავი. ვინ იყო შარლამ ვალავი სავალუტო ფონდის წარმომადგენელი საქართველოში? რომელმაც ქართველ რომან გოცირიძესთან და თემურ ბასილიასთან (ძებნაშია ეხლა) ერთად ჩააგდეს და დაასამარეს მთელი ქართული საფინანსო და ეკონომიკური სისტემა!!! გესმით, თქვენ რა ხდება? და ეს ხალხი ყველანი ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ თავის დროზე. ხელისუფლებას რა თქმა უნდა ბრჭყალებში ვამბობ, რადგან ის არავითარი ხელისუფლება არ არის! საგადასახადო ინსპექციაა მხოლოდ ამ ძალებისა, ე.ი. მოურავები არიან! ან კიდევ ეს საქართველოს ხელისუფლებაა ხალხის ხელისუფლება? მაგრამ თავიდან რაც ვთქვით, ის საინფორმაციო ველი, რაც ასე მართულია გარედან, აი ამ ველიდან ვეღარ გამოვიდა ქართული მოსახლეობა, ქართველი კაცი! მან არ იცის რა ხდება მის გარშემო, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი გაზეთი გამოდის და ტელეარხებიც ბლომადა გვაქვს, ხალხი, ქართველი ხალხი სრულ საინფორმაციო ვაკუუმშია, დიახ, მათ არ იციან, წარმოდგენა არა აქვთ რა ხდება მათ გარშემო, ვინ არიან ეს ადამიანები ან პოზიცია, ან ოპოზიცია? არ იციან საიდან მოდიან ეს ადამიანები და სად მიდიან, რა უნდათ. პეტრე აბღავლდება და გამოეკიდებიან უკან პეტრეს, მერე დაინახავენ გრიშას და გაჰყვებიან უკან, მერე გრეჩიხას და ასე შემდეგ. ეს არის საზოგადოება? ეს არის ხალხი? მაგრამ ამ ხალხს ნუ დავადანაშაულებთ – რადგან ეს ხალხი გახადეს მართული ბრბო, მასა! ფსიქოტრონული იარაღის ზემოქმედების ქვეშ არსებობენ ეს ადამიანები. ეს... მეთოდი ცნობილი მეთოდია და საქართველოში მან შესანიშნავად იმუშავა. აღნიშნულ ორგანიზაციებს კარგად ვყავართ შესწავლილი ვინა ვართ და რა ზნის ხალხი ვართ. 2003 წლის შემოდგომაზე დადგეს სპექტაკლი გამსახურდიას მეორედ მოსვლა საქართველოში, წარმოგიდგენიათ?! ამას ერს რომ აკადრებენ... რა დამცირებაა!.. სიმღერებიც კი იგივე ჰქონდათ. უსინათლოებიდან დარჩენილი ერთი ქალბატონიც კი ამღერეს „დაუკარით", დიახ... ეროვნული მოძრაობის დროინდელი, 9 აპრილის დროინდელი, გამსახურდიას დროინდელი სიმღერა გაამეორებინეს იმ ქალბატონს და ეს სიმღერა ხალხში შეუშვეს... ხალხში შეუშვეს მოარული ფრაზა: „... მიშა სააკაშვილი როგორ ჰგავს ზვიად გამსახურდიასო..." რას ჰგავს ეს? ეს ფაქტი ბატონებო ყოველგვარი წმინდას ფეხქვეშ გათელვის ფაქტია. ეს არის ქვეყანა? ამ ფაქტს რომ ერი უდრტვინველად მიიღებს, მერე იმას აღარ აქვს უფლება იკითხოს – რა გვჭირსო! რა გვეშველებაო?! სანამ ერი არ გამოფხიზლდება საღათას ძილისაგან, არაფერიც არ გვეშველება! თავის დროზე ერის გამოფხიზლებას ილია შეეცადა და მოვკალით, შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს გაეროვნულებული მთავრობა შეეცადა მეტ-ნაკლებად და... გავაგდეთ, შემდეგ გამსახურდია შეეცადა და... ჯერ დავამხეთ და

შემდეგ მოვკალით! ნებისმიერი პიროვნება თუ ხალხი საკუთარ შეცდომებზე სწავლობს ყოველთვის ჭკუას! მაგრამ რა ხდება? ამდენმა შეცდომამ, ამდენმა სისხლმა ნუთუ ჭკუა არ უნდა ასწავლოს ჩვენს ხალხს და საღათას ძილისგან არ უნდა გამოაფხიზლოს? არაფერი არ გვეშველება თუ ღრმად არ ჩავუფიქრდებით შექმნილ მდგომარეობას და სერიოზულად არ გავაანალიზებთ. არასერიოზულობამ და მსუბუქად გადადგმულმა ნაბიჯმა, გაუაზრებლად მინდობამ ყველასადმი, დაგვღუპა. დიახ, ამ არასერიოზულობას და უაზრო ნდობას ებრძოდა ილია და ამიტომაც გაუხვრიტეს შუბლი, როცა დაუფარავად უთხრა საკუთარ სისხლსა და ხორცს, თანამემამულეებს პირში მწარე სიმართლე (რა თქმა უნდა ნაწილს), რომ თქვენ ლუარსაბ თათქარიძეები ხართო, და ამ თანამემამულე ლუარსაბ თათქარიძეებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ილიამ, დიახ!.. არ შეიძლება გადაგვარებულ თათქარიძეს შთამომავალი დარჩეს და მისმა ბოროტმა შთამომავალმა დაასნებოვნოს ერი! გადააგვაროს, დააწყლულოს! მაგრამ რა ხდება? ჩვენ უკეთესები გავხდით ილიას შემდეგ? არა ბატონებო! ჩვენ უარესები გავხდით. ახლა ყველგან, ყოველ კუთხე-კუნჭულში შეხვდებით თათქარიძეებს! და ამის შემდეგ, როცა ასე დავსნებოვნდით, გვინდა ვიყოთ ბედნიერები? ეს ძალიან ძნელია და თითქმის შეუძლებელია! ღვთის საწინააღმდეგოა ბატონებო ეს სურვილები... გაგახსენებთ ერთ ამბავს: როდესაც პოლიტიკოსი თავის თავს ეძახის პოლიტიკურ მოღვაწეს და ამის შემდეგ მოუწოდებს გაჭირვებულ თანამემამულეებს, რომ ახლა, ხელისუფლება თქვენ ფულს შემოგაძლევთ, აიღეთ ეს ფული, ზეთიც, მაკარონიც... ხმა კი ჩვენ მოგვეცითო, ეს სადაური ზნეობაა? ადამიანს რომ ეტყვი გაყიდე შენი თავი და ხმა მე მომეცი, ამ ზნეობით როცა ვცხოვრობთ დღეს ჩვენ, ამაზე უარესი რაღაა? რომელია დამნაშავე, ვინც 10 ლარი გადაიხადა ერთ ხმაში, თუ ვინც 10 ლარად სული, პატიოსნება, სამშობლო გაყიდა? კარგი სიტყვა გვაქვს ქართველებს დიახ... უარესი ის არის ვინც გაიყიდა! ისევ ვაჟას გაგახსენებდით: „ბილწს არ შევეკვრი ზვითაო“ დიახ... ასეთი ადამიანი, ასეთი ქართველი თვითონაა საკუთარი უბედურების მჭედელი! თქვენ იტყვით, ის ხომ მშიერი იყოო? დიახ!.. ასეთი კაცი მშიერი უნდა იყოს! იმიტომ რომ, მან თვითონ გამოუტანა საკუთარ თავს განაჩენი. ქართველი კაცი გონებრივად ჩამორჩენილი არ არის. არსებობს ერები, რომლებიც გონებრივად არასრულყოფილნი არიან, მათ განვითარებას ალბათ ათასწლეულებიც არ ეყოფა, მაგრამ ქართველი კაცი ასეთი ნამდვილად არ არის, იგი გონებამახვილი და გონება გამჭრიახია, მაგრამ ცუდია, რომ უსინდისობას ადვილად ეგუება. სამწუხაროდ და საუბედუროდ. ის ჩვენი მწერლები რომლებიც რამდენჯერმე ვახსენე, განა მოცლილები იყვნენ, როდესაც დაჟინებით უმეორებდნენ ქართველ ხალხს აი ასეთი უნდა იყოთ და აი ასეთიო! მათ იცოდნენ ამას რატომ სჩადიოდნენ! შეწყდა ეს ხაზი და მას შემდეგ სულ სხვა ფენომენმა წამოიწია წინ, ქართველი ერის მორალური ნგრევის 70 წელმა! ეს წლები საბჭოთა კავშირში ყოფნის წლებია! ძალიან დიდ დროს მოვანდომებთ ამ წლებში მიღებული საღათას ძილის, მცონარობის, მანკიერების თავდასაღწევად. ეს წლები იყო ერის ზედაპირული, უშინაარსო ცხოვრების წლები! ქართველი ხალხი შეეჩვია უსაზღვრო ლმობიერებას, კომპრომისს... არის ადამიანთა გარკვეული კატეგორია, რომელთაც ჩვენ დღეს (ჩვენ თუ არა სხვები მაინც) ერის საყვარელ შვილებად ვთვლით, მათ ისეთი მორალური დანაშაულებები აქვთ ჩადენილი საკუთარი ხალხისა და ქვეყნის წინაშე, რომ შეიძლება არც დავიჯეროთ, რომ ეს სიმართლეა. ისინიც კი, ვინც მიგვაჩნია ჩვენ ერის სულიერ, ღირსეულ შვილებად, სინამდვილეში ისინი შინაგანად დაცლილნი არიან ყოველგვარი ღირსებისაგან, იმდენი უბადრუკობა აქვთ გაკეთებული. როცა ჩვენმა პრეზიდენტმა ამ ინტელიგენციის ერთ ნაწილს ჩარეცხილები უწოდა, თქვენ წარმოიდგინეთ, ის ამაში მართალი იყო!!! საუბედუროდ და სამწუხაროდ ეს არის სიმართლე. თუ არ იყვნენ ჩარეცხილები ერთი თვის თუ რამდენიმე ხნის შემდეგ კარგად, შესანიშნავად მიიღეს ამ ჩარეცხილებმა ინდაურები და საჩუქრები! მშვენივრად ეახლნენ და მშვენივრად მიირთვეს! მშვენივრად უთხრეს სადღეგრძელოები. მათ მშვენივრად აუღეს ალღო ყველაფერს. ამათ ეს პირველად არ გაუკეთებიათ. ასეთი ზნით ცხოვრობდნენ მთელი სიცოცხლე! ჩვენ გვგონია, რომ ესენი ცუდები არიან და სხვები გვყავს უკეთესები? უფრო კარგები? არა ბატონო, მთლიანად საზოგადოებაა ასეთი და სანამ ჩვენს სატკივარს არ მივხვდებით, სანამ ყველა არ ჩაიხედავს საკუთარ სულში და იქ არ მოსძებნის გადაგვარების ჭიას და ამ ჭიას დაუნანებლად არ გასრესს, ჩვენ ლაბირინთიდან გამოსავალს ვერ მივაგნებთ. მართალია, საზოგადოებას აღზრდა სჭირდება, მაგრამ... რაზე იზრდება დღევანდელი საზოგადოება? ძირითადად ყურს ხვრეტს პოლიტიკოსთა სიტყვები, გამონათქვამები, დაპირებები, შეგონებები. პოლიტიკოსები, გინდა პოზიცია იყოს და გინდაც ოპოზიცია, არ არიან აღზრდილები. ირგვლივ სიცრუე და დემაგოგიაა გამეფებული! ასეთი ქმედება და ამ ქმედების შედეგად მიღებული მდგომარეობა კი შეიძლება მისაღები იყოს, უკაცრავად... ტრადიციულ, ძველი ცივილიზაციის მქონე ქვეყანაში კი არა, არამედ ველური ადამიანებით დასახლებულ გარკვეულ ტერიტორიაზე ალბათ კიდევ შეიძლება... სინამდვილეში საქართველო ორ კოლონიურ ნაწილად არის გაყოფილი. ერთს აკონტროლებს რუსეთი, მეორეს – შტატები! და არამარტო შტატები! დანარჩენი მსოფლიო, ასე ვთქვათ და ჩვენ ნამდვილად არ ვმართავთ ჩვენს ქვეყანას! ჩვენ, მთლიან საქართველოს ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება დამოუკიდებლობა, ჩვენი თავი რომ ვმართოთ! და გვჭირდება იმ ფორმულის გახსენება, ილიამ რომ დაგვმოძღვრა „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდესო“... დიახ... უბედურებაა ის, 200 წლიანი ტანჯვის შემდეგ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და ერთ წელიწადში ჩვენივე გაუფრთხილებელი საქციელის გამო დავკარგეთ! მას შემდეგ ხელახლა გვაქვს მოსაპოვებელი თავისუფლებაც და დამოუკიდებლობაც. შეიძლება კოლონიაში დემოკრატიული არჩევნები არსებობდეს? არა ბატონებო... და ჩვენ ხომ კოლონია ვართ, როგორც გითხარით... მე თუ მკითხავთ, იმ მშიერი გლეხის იმედი უფრო მაქვს, რომელიც ჯერ არ გარყვნილა, იგი ალალი გულით იბრძოლებს ახლაც და მომავალშიც დამოუკიდებლობისთვის, ვიდრე ის ჩარეცხილი და ჩასარეცხი ინტელიგენცია, რომელიც თავისი პირადი ამბიციებისთვის იბრძვის ყოველთვის და არა ქვეყნისთვის, არა საერთო ქართული საქმისთვის, არა მამულის მომავლისთვის... რადგან დამპყრობი პირველ

რიგში რყვნის ინტელიგენციას, მაღალ ფენას, ეს ასე იყო ისტორიულად. მაგრამ ამ ფენაშიც არიან ღირსეულები! ახლა ყველაზე მძიმე დრო უდგას ჩვენს ქვეყანას, თორემ აგერ აქვე, ყურის ძირში არის ის ადგილი, სადაც ჯალალ ედდინმა 100 000 ქართველი ჩაახრჩო მტკვარში, დანარჩენს თავები დააყრევინა. დიახ... ვინც ღვთისმშობლის ხატი არ შებილწა, ფეხი არ დაადგა ზედ... აი ეს იყო ზნეობა ჩემო ბატონო და ამ ზნეობამ მოგვიყვანა აქამდე. ეხლა რას ფიქრობთ თქვენ, იგივე მდგომარეობა რომ შეიქმნას, ეს ჩვენი ჩარეცხილი ინტელიგენცია, მამულიშვილები რომ ჰგონიათ თავები, რას იზამენ? მტკვარში დახრჩობას არჩევენ? არა ბატონო... ცხადია ეს არ მოხდება! მე მეტსაც გეტყვით თქვენ, საქართველოში, ე.ი. ჩვენს სამშობლოში (ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით ეს ქვეყანა სხვა ერის თუ ერების სამშობლო უფრო გამოდის), არსებობს ორჯონიკიძის შექმნილი ორი სეპარატისტული წარმონაქმნი: აფხაზეთის და ოსეთის. არსებობს აგრეთვე ნამდვილად სეპარატისტული ავტონომიები: იეღოველების, 50-იანელების, ბაპტისტების, ხსნის არმიის და ა.შ. ავტონომიებს იმიტომ ვეძახი მათ, რომ ეს ადამიანები ფაქტიურად სახელმწიფოს არ ემოჩრილებიან, ისინი ცხოვრობენ თავიანთ ავტონომიურ სივრცეში და სახელმწიფო გადაფარებულია, ე.ი. ხელისუფლება მფარველობს მათ, და მათი, ე.წ. ხელისუფლების ეს საქციელი ითვლება დემოკრატიულად. რასაც ისინი ე. ი. ეს ავტონომიები აკეთებენ ეს დემოკრატიულია? არ ითვლება ჩვენი უფლებების დარღვევად? მათ აქვთ უფლება აქ, საქართველოში, მართლმადიდებლურ ქვეყანაში აკეთონ ის, რასაც აკეთებენ და ჩვენ თურმე ამაზე პასუხის გაცემის უფლებაც კი არა გვაქვს! ამას ემატება კიდევ ერთი უბედურება, ამ ავტონომიების ვთქვათ მაცხოვრებლები ვინ არიან? ქართველები ხომ? ეს ხომ არ არის უცხოეთიდან შემოყვანილი არმია, ისინი ჩვენი ხალხია, ადგილობრივი ქართველები. როგორ დავიჯერო, რომ ეს ხალხი გაჭირვების გამო გაწევრიანდა ამ ავტონომიებში? იმ კაცს არ უჭირდა მამულისთვის და რწმენისთვის სიცოცხლეს რომ თმობდა? კარგი, ვთქვათ მშიერია ერთი დღე, მეორე, მესამე დღე... ეს უფრო გაჭირვებაა თუ ის უდიდესი ღალატი რასაც რწმენისა და ეროვნების შებღალვა ჰქვია და იეღოველად გადაქცევა? შეიძლება ვთქვათ, რომ მას ეს არ ესმის! მერედა სად არიან ჩვენი ხალხი, ჩვენი მეცნიერები და პოლიტიკოსები, რომ აუხსნან, გააგებინონ რას სჩადიან? ეკონომიკურ გაჭირვებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მთავარი ისაა, რომ სულიერი საყრდენი გამოეცალა ერს, ამაშია მთელი უბედურება! ისევ იმ ჩვენს დიდ კლასიკოსებს მივუბრუნდები, სწორედ ისინი გვასწავლიან, რომ თუ სულიერი საყრდენი გამოგვეცალა, არ ვარგიხარ – კაცადო! და როცა ადამიანად აღარ ვარგიხარ, არაფერი და არავინ აღარ ხარ! ეს არის უბედურება! და აი არავინ რომ არ არის, ისეთი ადამიანებით გაივსო სამწუხაროდ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მამული... გაჭირვების გამო... ვამბობთ ჩვენ... გაჭირვების გამო უამრავი ქართველი სტოვებს თავის ქვეყანას. უმრავლესობა ამ ქართველებისა საზღვარგარეთ მიდიან და რისთვის? უმრავლესობა იპარავს, ამ სიტყვის პირდაპირი და სრული მნიშვნელობით. 100 კაციდან 25 კაცი მაინც ცხოვრობს ქურდობით, 50%- უვლის ვიღაც ბერძენ თუ გერმანელ მოხუცს და უკაცრავად ღამე ქოთანს უზიდავს. ნაწილი სხეულს ყიდის საკუთარს და ა.შ. მხოლოდ 5 ან 10% თუ არის დაკავებული რაღაც ღირსეული საქმით, რაც მის ცენზს ეკადრება, მის განათლებას... ის ადამიანები იმ ცუდ საქმეს საქართველოში არ გააკეთებდნენ, აკეთებენ სხვაგან, ე.ი. მოფარებულნი აკეთებენ., აქ რცხვენიათ, ხომ ასეა არა? მილიონნახევარი მარტო რუსეთში წავიდა, მილიონი სხვაგან... მაინტერესებს, რამდენი მილიონი ვართ ჩვენ? ამ ქვეყანას ვინ უნდა მოუაროს ერთი მითხარით... ვინც მიდის ის ხომ არის ჩვენი ხალხის ნაწილი, რომელზეც უნდა იდგეს ქვეყანა? ის ხომ ყველაზე ჯანსაღი, ახალგაზრდა, ენერგიით სავსე, გასამრავლებელი ნაწილია? აი ეს არის უბედურება! ღირსება უნდა დაიბრუნოს ქართველმა კაცმა და თქვას, რომ მას აქ, თავის ქვეყანაში ნორმალური ცხოვრების უფლება არა აქვს. მიწას ფეხქვეშ აცლიან, ართმევენ... და სწორედ ის წართმეული უნდა დაიბრუნოს თვითონ. ყველა თუ გაიქცა, ვინ აუშენებთ ლამაზ ქვეყანას იმ ადამიანებს? მე და თქვენ? როცა ვამბობ სამშობლოს, ვფიქრობ თუ რა დიდი განსხვავებაა დღევანდელ ქართველს და ჩვენს წინაპრებს შორის. დიახ, მათ შეეძლოთ თავშეწირვა მამულისთვის, ღირსებისთვის დღევანდელი ქართველისგან განსხვავებით... რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს..

მიკვირდა – ეს 4,5 მილიარდი რაში მოგვცესმეთქი და ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმა ასეთ დასკვნამდე მიმიყვანა – ეს ფული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საფასურში გადახდილი ფული ხომ არ არის? თუ ეს მართლაც ასეა, ძალიან იაფად გაგვიყიდია ეს ორი დიდებული კუთხე.

ისიც არ გაგიკვირდეთ, თუ ერთ მშვენიერ დღეს გაირკვევა, რომ ეს 4,5 მილიარდი სწორედ რომ რუსეთმა გადაიხადა თავისი ჯიბიდან. აბა რუსეთმა აფხაზეთი და ცხინვალი წაიღოს და ფული მერკელმა, სარკოზიმ ან ბერლუსკონიმ გადაიხადოს სადაური წესია? სხვათა შორის მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საფასური არ უნდა იყოს ის ფული, სულზე რომ მოუსწრო გაკოტრების პირას მისულ ამ ხელისუფლებას. აგვისტოს ტრაგიკული ამბების შემდეგ აფხაზეთსა და ასევე სამხრეთ ოსეთის მთლიან ტერიტორიაზე რუსები განლაგდნენ და მალე სამხედრო ბაზების მშენებლობასაც დაიწყებენ, დანარჩენ საქართველოში კი კვლავ ძველებურად საქმიანობენ ბრაიზები... იმასაც ამბობენ, რომ მალე ამერიკელები 450 კაციან სპეცრაზმსაც გამოაგზავნიან ქართული დემოკრატიის დასაცავად...

ქართული დემოკრატია არ არსებობს, ბატონებო! სამაგიეროდ არსებობს აუცილებლობა შენარჩუნდეს სიტუაცია, როცა საქართველოს ტერიტორიის ერთ მესამედს რუსეთი გააკონტროლებს, დანარჩენს კი აშშ და ევროკავშირი.

– ბ-ნო ვახტანგ, რაში ხედავთ გამოსავალს? სად არის გზა, რომელიც ჩვენს ხალხს ტაძრამდე მიიყვანს და ქვეყანას განადგურებისგან, გადაშენებისგან იხსნის?

– გამოსავალი ჩვენშია, ჩვენს ერთიანობაში! ჩვენს გონიერებასა და ძალაში, მამულის სიყვარულში! ერთგულებაში! მარტოობის ოცი საუკუნე გამოიარა საქართველომ და ისევ მარტო ვართ დარჩენილი მტრების, „მეგობრების“, მეზობლების წინაშე. მარტოობაა ჩვენი ხვედრი. მარტოობაა განგების მიერ გამოსაცდელად მოს-

ჯილი განსაცდელი, მარტოობაა ჩვენი ჯვარი, რომელიც ბოლომდე მოთმინებით უნდა ვზიდოთ.

და ბოლოს, როგორც ჩანს, მარტოობაშია ჩვენი ხსნა და შველა და კიდევ იმის გაცნობიერებაში, რომ დედამიწის ზურგზე არავინაა ჩვენთვის ხელის გამომწვდენი და აქედან გამომდინარე: – ჩვენს თავს და ჩვენს სამშობლოს ჩვენ თვითონ უნდა ვუშველოთ!

P.S. ჟურნალი გამოსაცემად მზად იყო, როცა თბილისში პოლიტიკური მოვლენები დაიძაბა და შემდეგ სწრაფად განვითარდა. თავისუფლების მოედანი და კოსტავას ქუჩა – ტელევიზიის 1 არხის მიმდებარე ტერიტორია ოპოზიციამ რკინის საკნებით გადაკეტა...

ლუკმა-პურის საშოვრად (თუ შეიძლება ასე ითქვას) მთელი დღე აღმა-დაღმა მორბენალი და მოწანწალე (კარგი გაგებით) ადგილობრივი თუ რაიონებიდან ჩამოხვეწილი გაჭირვებული ქართველი ქალი თუ კაცი და ასევე უაღრესად ხელმოკლე სტუდენტობა ცხადია სიამოვნებით არ შეხვედრია ცენტრალური ავტომაგისტრალის ჩახერგვას, მაგრამ... ოპოზიციას თუ მოვუსმენთ ყველაფერი თურმე "ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ და სასიკეთოდ კეთდება." ჩვენ კი ნამდვილად კარგად გვახსოვს ასეთივე დაპირებები შევარდნაძისა და 2003 წლის რევოლუციის ტრიუმვირატისაგან. მაგრამ... ჯერ-ჯერობით ხალხისთვის და ქვეყნისთვის სასიკეთო არაფერი გაკეთებულა, ან თუ გაკეთდა მხოლოდ უმნიშვნელო... არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ისევ შევაწუხე ბ-ნი ვახტანგი და მას, ქართველი ხალხის მიერ ნდობით სავსე ცნობილ ჟურნალისტს და უღალატო მამულიშვილს ერთადერთი კითხვით მივმართე: რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნია ამ ეტაპზე აქციების გამართვა და მოსახლეობის აშკარა გაღიზიანება უტრანსპორტობით, მაშინ, როცა ოპოზიციის ლიდერებს აღნიშნული პრობლემა ნამდვილად არ აწუხებთ და ძვირადღირებული ჯიპებით დაგრიალებენ თბილისის ქუჩებში. ხალხში მათი ნდობის ფაქტორი ნაკლებია, რადგან ისინი იგივენი არიან ვინც გუშინ და დღეს დილითაც კი (უმჯობესია ასე ვთქვა) ქვეყანას მართავდნენ და თუ რაიმე უბედურება გვჭირს, სწორედ მათი ხელშეწყობით და უშუალო ძალისხმევით. მეეჭვება, მარტო ერთი კაცი, სააკაშვილი იყოს ყველაფერში დამნაშავე და თანაც ხვალ, ზეგ ალბათ მოსალოდნელია სააკაშვილიც მათ გვერდით ოპოზიციაში აღმოჩნდეს და ეს მოვლენა ცხადია აღარავის გაგვიკვირდება... ვის აწუხებს ხალხის ბედი?

... მე არ ვიცი, რატომ აბრალებს ქართული საზოგადოება თავს დატეხილ უბედურებას სხვას და რატომ არ აბრალებს პირველ ყოვლისა საკუთარ თავს. როცა ერთსა და იგივე შეცდომას რამდენჯერმე უშვებ, მერე არც ის უნდა გაგიკვირდეს, რომ რამდენჯერმე ერთი და იგივე ორმოში ჩავარდები. ხალხი დღეს, 2009 წელსაც იგივე შეცდომას უშვებს, რაც დაუშვა 2008, 2007, 2003 წლებში. ამ შეცდომების მთავარი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ხალხი ადვილად იჯერებს სავლეს პავლედ ქცევის შესაძლებლობას და ჰგონია, რომ ხელისუფლებაში ნამყოფი სავლე ოპოზიციაში თუ გადავა, მყისვე პავლედ იქცევა და კეთილშობილ რაინდად გარდაისახება. ასე დაიჯერა ხალხმა შევარდნაძის ყოფილი ფავორიტების ჟვანია-სააკაშვილ-ბურჯანაძის პავლედ გადაქცევის მითი. შემდეგ კი სააკაშვილის შემქმნელ-შემოქმედთა გაკეთილშობილება-გაპატიოსნების გულის ამაჩუყებელი ლეგენდაც ირწმუნა. ასე იქცა სააკაშვილის სამეფო კარზე „მოურავად" ნამსახური ოქრუაშვილი სიმართლისთვის მებრძოლ სამსონად, ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ კანონთა დამკანონებელი ნინო ბურჯანაძე ქართველ ჟანა დარკად, ილიას მაგინებელი ლევან ბერძენიშვილი – ქართველ ბისმარკად, „ვარდების რევოლუციის" იდეოლოგიის მამები – „რესპუბლიკელები" ხალხის ინტერესების ერთგულ დამცველებად, კორუფციით გამილიონერებული ზურაბ ნოღაიდელი – პატიოსნების ეტალონად და სამართლიანი საქართველოს ფუძის ჩამყრელად.

ამ ჩამონათვალის დასახელება კიდევ დიდხანს შეიძლება, თუმცა ამის საჭიროება არ არის – ისედაც ყველასთვის ცხადია, რომ ოპოზიციის ლიდერთა 90% უშუალო შემქმნელია იმ უმსგავსობისა, რასაც დღეს თავად ებრძვიან.

ეს ყველაფერი შესანიშნავად იცის ხალხმა, მაგრამ ადამიანები შეგნებულად მიდიან ზნეობრივ კომპრომისზე, რითაც თვითონაც დანაშაულისა და უზნეობის თანამონაწილენი და მძევლები ხდებიან, მძევლებს კი არ შეუძლიათ ფუნდამენტური იდეალებისთვის ბრძოლა და თავგანწირვა.

...ახალი ძალა, გონიერი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებისგან დაკომპლექტებული ძალა რომ უნდა გამოჩნდეს ასპარეზზე, ამის აუცილებლობა ნამდვილად იგრძნობა.

ქართული პოლიტიკური სპექტრი ძირეულად რომ უნდა გადახალისდეს, ესეც არა მგონია სადაო იყოს. ოცი წელია საქართველო პერმანენტული მიტინგების რეჟიმში ცხოვრობს და მიტინგებზე აკეთებს არჩევანს იმის მიხედვით, ვის უფრო ხაფი ხმა აქვს, ვინ უფრო რადიკალურ განცხადებებს აკეთებს, ვინ უფრო მომხიბლავ და მაცდურ დაპირებებს იძლევა. არადა არჩევანი მიტინგზე კი არა, საარჩევნო ყუთთან უნდა გაკეთდეს იმის მიხედვით, რამდენად გონიერი, რამდენად წესიერი, რამდენად კვალიფიციურია ის ადამიანი, რომელსაც ქვეყნისა და თითოეული ჩვენგანის ბედს ვანდობთ. მიტინგზე კი ამის გარკვევა და გარჩევა შეუძლებელია.

ქართულმა საზოგადოებამ უნდა სძლიოს არასრულყოფილების კომპლექსს და უნდა მიხვდეს, რომ სწორედ მის წიაღშია უზარმაზარი ინტელექტუალური პოტენციალი, უზარმაზარი ეროვნული ენერგია და არა უჩინარი რეჟისორების მიერ სცენაზე გამოდგმულ სასაცილო და ოდიოზურ ფიგურებში.

მოამზადა *მანანა ვახტანგაძემ*

VAKHTANG KHARCHILAVA
Jounralist
Editor in chief "Common Newspaper"

PATRIOTISM MISUNDERSTOOD

Resume

When you make the same mistake several times, then it comes as no suprise finding yourself in the same pit. People make those same mistakes today, in 2009, as they were making in 2008, 2007, 2003. The main essense of those mistakes is that people could easily believe in possibility of transforming Savle into Pavle. People suppose that if Savle, formerly the member of the government, aligns himself with the opposition, he will automatically transform into Pavle and become a noble hero. This is how people believed in the myth of trasnfromation of Shevardnaze's former favorites Jhvania – Saakshvili – Burjanadze into Pavle, and then, in the heartbreaking legend of ennoblement of Saakashvili's creators. This is how Saakshvili's former marionette Okruashvili transformed into Samson fighting for truth, anti-Georgian legislator Nino Burjanadze into the Georgian Jana Dark, Levan Berzenishvili, formerly insulting great Ilia, into the Georgian Bismark, Republicans, ideological fathers of "Rose Revolution, into devoted protectors of people's rights, corrupted Zurab Noghaideli into a model of honesty and founder of fair Georgia.

ВАХТАНГ ХАРЧИЛАВА
журналист
Главный редактор «общей газеты»

НЕПРАВИЛЬНО ПОНЯТЫЙ ПАТРИОТИЗМ

резюме

Когда допускаешь одну и то же ошибку, не приходится удивляться, что несколько раз угодишь в одну и то же яму.Сегодня 2009 году люди допускают ту же ошибкучто в 2008 в 2007 и в 2003 годах. Главная суть этой ошибки в том, что люди легко верят в превращение Савеля в Павла и думают, что бывший у власти Савел перейдя в опозицию сразу превратится в Павла и сделается благородным рыцарм. Так поверил народ в миф о превращении в Павла бывших фаворитов Шеварднадзе Жвания- Саакашвили- Бурджанадзе. А потом поверили и душещипательную легенду об облагораживании Саакашвили его создателями. Дальше больше – поверили в превращения в борца за истину Окруашвили, бывшего служителя-приказчика при дворе Саакашвили, законодательнице аннигрузинских, антигосуданствееных законов Нино Бурджанадзе в грузинскую Жана д' Дарка, порочащий Илью Чавчавадзе Леван бердзенишвили – в грузинского Бисмарка. Отцы идиологии «Розовой революции» республиканцы в первых защитников народных интересов, превращенный коррупцией в милионера Ногаидели - эталоном чести и основоположником истиной Грузии

დარეჯან კაპანაძე

ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის მდგრადი განვითარების განყოფილება, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა საქართველოში.

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გარემოს დაცვითი პოლიტიკისა და მმართველობის მაგისტრი, გარემოს დაცვის სპეციალისტი

უაკ (UDC) 50217(1-751.2)+

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი

2008 წლის ბოლოს მსოფლიო ბანკმა დაასრულა გარემოს დაცვის გლობალური ფონდის სახსრებით საქართველოს დაცული ტერიტორიების პროექტის დაფინანსება. მსოფლიო ბანკის ჩვენს ქვეყანასთან თანამშრომლობის აწ უკვე თორმეტწლიან ისტორიაში ამ პროექტის განხორციელების მნიშვნელოვნებაზე საუბარი აქტუალურია რამოდენიმე მიზეზით. მისი დახმარებით მოხერხდა არა მარტო ცალკეული დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათთვის საარსებოდ მდგრადი საფუძვლის შექმნა, არამედ დაცული ტერიტორიების ეროვნული ქსელის დაგეგმვისა და მართვის სისტემის ფუნდამენტური გაუმჯობესება და ახალ, თანამედროვე პრინციპებზე დაფუძნება. პროექტის შედეგები იმითაც არის საყურადღებო, რომ მათ დადებითი შეფასება ეძლევა როგორც საქართველოსთვის მოტანილი არსებითი სარგებელის გამო, ისე გარემოს დაცვის გლობალური მიზნების მიღწევაში შეტანილი წვლილისათვის.

დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი მოიცავდა, როგორც საინვესტიციო, ისე ტექნიკური დახმარების ელემენტებს. სწორედ ამგვარი კომპლექსური მიდგომის საშუალებით მოხერხდა ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის გაფართოების და ვაშლოვანის, თუშეთისა და ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების შექმნის პროცესი გადაქცეულიყო თვალსაწიერის გაფართოების, ღირებული გამოცდილების დაგროვების, ადამიანური რესურსების განვითარებისა და სისტემური რეფორმირების მნიშვნელოვან პროცესად.

1996 წელს ძალაში შევიდა ჩარჩო კანონი საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ. ამ კანონმდებლობის მიღებამ დიდწილად განაპირობა ახალ ეტაზე გადასვლა იმით, რომ დაცული ტერიტორიების დანიშნულებისა და მართვის განსხვავებული ხედვა დამკვიდრა. დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის დახმარებით კი მოხერხდა ამ ახალი პრინციპების რეალიზაცია და ქართულ რეალობაში გამოცდა. ბუნების გარკვეული ფორმით დაცვის მაგალითების მოხმობა კაცობრიობის არსებობის ადრეული პერიოდებიდანვე შეიძლება. ხშირად ეს მისტიკურ და რელიგიურ საფუძვლებს ემყარებოდა: ტყის გარკვეულ უბანში ხეს არ ჭრიდნენ, ან გარკვეული სახეობის ცხოველს არ კლავდნენ იმიტომ, რომ საკრალურად იყო მიჩნეული. ამბობენ, ხე-მცენარე უთხოვარს ეს სახელწოდება იმიტომ მიეცა, რომ მისი მოჭრის ნებართვის მისაღებად თამარ მეფესთან მისულთ პასუხად მიუღიათ – ეგ არ მთხოვოთო. დაცული ტერიტორიები, ძირითადად სახელმწიფო ნაკრძალების სახით, არსებობდა საბჭოთა პერიოდში და ასრულებდა კიდეც სამიზნე ეკოსისტემებზე ანთროპოგენული ზეგავლენის შემცირების ფუნქციას. ახალი ჩარჩო კანონის მიღებით დაცული ტერიტორიების საზოგადოებისგან იზოლაციის მთავარი პრინციპი შეიცვალა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების პრინციპით, რაც დაცული ტერიტორიების ზონირებას და ცალკეული ზონების სხვადასხვა რეჟიმით მართვას გულისხმობს. მთავარი კი ის არის, რომ მოხ-

დეს ბიომარავლფეროვნების კონსერვაციის საჭიროებათა და დაცული ტერიტორიების გარშემო მოსახლე ადამიანების ინტერესთა შეჯერება. გარემოს დაცვა შეუძლებელია საზოგადოების ქმედებათა გარკვეული შეზღუდვის გარეშე და, ამდენად, კონსერვაციის საჭიროებები და ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები ხშირად კონკურენტულია.

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ახალი დაცული ტერიტორიების დაგეგმვისა და შექმნის პროცესში მეცნიერული და ტექნოლოგიური სიახლის შემოტანა და საზოგადოებრივი თანამონაწილეობის პრინციპების დანერგვა. ტერიტორიებისა და მათ შიგნით სხვადახვა ზონის საზღვრების დადგენა ემყარებოდა ვრცელ ფაქტობრივ მონაცემებს ლანდშაფტის, გეოლოგიის, ჰიდროლოგიის, ფლორისა და ფაუნის, პოპულაციებისა და ჰაბიტატების შესახებ. კვლევის საგანს წარმოადგენდა, აგრეთვე, მიწის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ არსებული მონაცემები, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და რესურსებზე მათ მოსარგებლეთა დამოკიდებულების ხარისხი. პროექტის განხორციელების სხვადახვა ეტაპზე ჩატარდა რესპოდენტთა სხვადახვა ჯგუფის სოციალური გამოკითხვა ისეთი მრავალფეროვანი საკითხების გამოსარკვევად, რომელთა შორის იყო ცხვრის სეზონური გადასარეკი მარშრუტების დაზუსტებაც და საქართველოში საქმიანი ვიზიტებით ჩამომსვლელ უცხოელთა მხრივ თავისუფალი დროის ბუნებაში გასეირნებისთვის დათმობის ინტერესის შესწავლაც.

რესტავრირებული სახლი თუშეთის სოფელში.

დაგეგმილი დაცული ტერიტორიების საზღვრების დადგენა, რუქებზე დატანა და საკადასტრო დოკუმენტირება ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით მოხდა. თუმცა, სატელიტური ფოტოების ციფრულ დამუშავებასთან ერთად ჩატარდა შრომატევადი საველე სამუშაოც, რაც მომავალი დაცული ტერეტორიების საზღვრების თითოეული მეტრის შემოვლასა და არსებული მდგომარეობის ადგილზე გადამოწმებას მოიცავდა. ამ ძალისხმევის შედეგად საზღვრები დაზუსტდა და ზოგ ადგილებში შეტანილი მცირეოდენი ცვლილებით არსებულ რეალობას მაქსიმალურად შეეთანაწყო. და მაინც, მოხერხდა თუ არა ლაგოდეხის, ვაშლოვანისა და თუშეთის დაცული ტერიტორიების გარე საზღვრებთან და მათ შიგნით სხვადახვა ზონის ფარგლებთან დაკავშირებით ყოველგვარი პრობლემის თავიდან არიდება? ზოგიერთმა ხარვეზმა თავი იჩინა და ეს მოულოდნელი არ ყოფილა, რადაგან ძალიან კარგი გეგმაც მხოლოდ გეგმაა და სანამ მისი განხორციელება არ დაიწყება, ყველა სირთულე წინასწარ არ გაცხადდება. აღსანიშნავი ის არის, რომ ამ დაცული ტერიტორიების შექმნაში დიდწილად იქნა გათვალისწინებული ადრინდელი გამოცდილება და პრობლემაც ბევრად ნაკლები გაჩნდა, ვიდრე, ვთქვათ, კოლხეთის დაცული ტერიტორიების დაფუძნებას ახლდა თან.

ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ადგილობრივი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების შეჯერების საკითხი დაცული ტერიტორიების მხოლოდ შექმნის ეტაპთან როდია დაკავშირებული. ეს ბუნებისა და ადამიანის თანაარსებობის, ან იქნებ უფრო უპრიანია ითქვას – ბუნებაში ადამიანის არსებობის – მუდმივი და აქტუალური თემაა. დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი იმგვარი სულისკვეთებით ხორციელდებოდა, რომ გამოეკვეთა მოსახლეობისთვის ეროვნულ პარკებთან მეზობლობის პრივილეგიები და ხელი შეეწყო მათი სრული რეალიზაციისთვის. დაცული ტეროტორიების საერთაშორისოდ მიღებულ კლასიფიკაციაში კატეგორიათა სიმრავლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ის არის, რომ ეკოსისტემის ამა თუ ნაწილის მახასიათებლებიდან გამომდინარე მის მართვაში სწორედ იმგვარი შეზღუდვები დაწესდეს, როგორიც აუცილებელია და ნებადართული იქნეს ის, რაც ბუნებრივ ბალანსს არ დაარღვევს. მაშინ, როდესაც მკაცრი დაცვის ზონაში დამთვალიერებლებიც კი არ დაიშვებიან, დაცული ტეროტორიების სხვა კატეგორიებში შესაძლებელია სამეცნიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობა, ტურიზმი და განსაზღვრული ფორმით ბუნებრივი რესურსების მოპოვებაც კი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენს რეალობაში, რადგან სოფლად არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჯერაც დიდწილად არის დამოკიდებული საშეშე მერქნის მოპოვებაზე, თევზჭერაზე და ზოგიერთი სხვა ბუნებრივი რესურსის საცხოვრებელ ადგილთან ახლომდებარე ადგილებში მოპოვებაზე. ბოლო წლებში საქართველოში მოხერხდა დაცულ ტერიტორიებში ბრაკონიერობისა და ტყის არალეგალური ჭრის მასშტაბების საგრძნობი შემცირება და ბევრი რამ გაკეთდა ბუნებრივი რესურსებით ტრადიციული სარგებლობის დაშვებულ ფარგლებში მოსაქცევად. თუმცა, ბოლომდე დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის მისაღწევად საჭიროა საკანონმდებლო ბაზის შემდგომი ჰარმონიზება და დახვეწა.

მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ დაცული ტერიტორიების რესურსების გადაჭარბებული ექსპლუატაციის აღსაკვეთად მხოლოდ კარგი კანონმდებლობა და მისი მკაცრი დაცვა წარმატების მომტანი არ არის. აუცილებელია მოსახლეობის მიერ ბიომრავალფეროვნების დაცვის საჭიროების გაცნობიერება. ადამიანის ფსიქოლოგიიდან და ყოფითი საჭიროებებიდან გამომდინარე, ამ საკითხთან დაკავშირებული ინფორმირებულობისა და მისი გააზრების გარდა, გარკვეული ეკონომიკური საფუძვლის არსებობაც აუცილებელია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭიროა დაცული ტერიტორიების სიახლოვეს მოსახლე თემებს რეალური სარგებელი ქონდეთ ამგვარი მეზობლობიდან და ბუნებრივი რესურსების მოპოვებისგან თა-

ვის შეკავების შემთხვევაში ალტერნატულ საარსებო საშუალებებზე მიუწვდებოდეთ ხელი. ამ გამოცდილების გათვალისწინებით, დაცული ტეროტორიების განვითარების პრექტის ფარგლებში ვაშლოვანის, თუშეთისა და ლაგოდეხის ეროვნული პარკების მიდამოებში მცხოვრებელი მოსახლეობისთვის განხორციელდა საკონკურსო საგრანტო დაფინანსების პროგრამა. მისი მიზანი იყო დახმარებოდა ადგილობრივ მოსახლეობას ტრადიციული და გარემოსათვის უვნებელი იმგვარი წამოწყებების განხორციელებაში, რომლებიც გაუმჯობესებდა მათ ყოფას და შემოსავლის ალტერნატულ წყაროებს შექმნიდა. საგრანტო პროგრამამ დიდი წარმატებით ჩაიარა. მისი დახმარებით ხელი შეეწყო სოფლის მეურნეობის პირველადი და გადამამუშავებელი წარმოების რამდენიმე ტრადიციულ დარგს, მათ შორის: ადგილობრივი ჯიშის ხორბლისა და ვაზის მოყვანას, კავკასიური ნაგაზის მოშენებას, თუშური ყველის დამზადებას. ხალხური რეწვისა და ტრადიციული ხელსაქმის მხარდასაჭერად დაფინანსდა მატყლის დამუშავების, ბუნებრივი პიგმენტებით ღებვის, ფარდაგების ქსოვისა და თექის ნაკეთობათა დამზადების ძველებური ოსტატობის გამგრძელებელ ქალბატონთა რამდენიმე ჯგუფი. საგრანტო რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდა დაცული ტერიტორიების სიახლოვეს საოჯახო სასტუმროების გამართვას. ამ ინიციატივას განსაკუთრებით საინტერესო ფორმა ქონდა თუშეთში, სადაც სასტუმროები მოეწყო საგანგებოდ რესტავრირებულ ძველებურ სახლებში და კოშკებშიც კი. ამ საქმის სასიკეთო შედეგი არა მხოლოდ მცირე სამეწარმეო საქმიანობის განვითარება და ტურიზმის ხელშეწობაა, არამედ მნიშვნელოვანია მისი წვლილი ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაშიც. აღსანიშნავია, რომ დაცული ტეროეტრიების განვითარების პრექტი საქართველოს ბუნებრივ და კულტურულ ფასეულობათა ერთიობლივ ხედვას ამკვიდრებდა და ბევრ სხვა სასიკეთო საქმესთან ერთად, დიდი წვლილი შეიტანა დედოფლისწყაროში წმ. ელიას სახელობის ეკლესიის აღდგენაში, რომელიც იქაურ თვალწარმტაც ლადშაფტს კლდის სიმაღლიდან გადმოჰყურებს და ისეა შერწყმული ფერდობთან, რომ ძნელი გასარჩევია სად გადის ზღვარი ბუნებისა და ადამიანის შენამოქმედს შორის.

მრავალფეროვანი გარემო, კულტურული ძეგლები და ტრადიციები საქართველოში ტურიზმის განვითარების უნიკალურ საშუალებას იძლევა. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის უმთავრესი ფუნქციის გარდა, დამთვალიერებელთა მიღება დაცულ ტერიტორიათა უმრავლესობისთივს ძირითადი დანიშნულებაა. მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებულმა პროექტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აღმოსავლეთ საქართველოს დაცულ ტერიტორიებში ვიზიტორთა მომსახურების ახალი, თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრებასა და ამისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნის საქმეში. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული შენობებისა და ვიზიტორთა ცენტრების, მცველთა საგუშაგოების, ტურისტული ბუნგალოებისა და თავშესაფრების მშენებლობისას ჯეროვანი ყურადღება დაეთმო ამ ინფრასტრუქტურის როგორც ფუნქციურ, ისე ესთეტიკურ მხარეს, რათა ატქიტექტურული ფორმები, სამშენებლო მასალები და კომუნალური მოწყობაც კი გარემომცველ ბუნებრივ გარემოსთან მაქსიმალურად შერწყმული ყოფილიყო. ტურისტული მარშრუტები და სასეირნო ბილიკების დაგეგმვისას ყურადღება ექცეოდა ეკოსისტემაზე ანთროპოგენული ზემოქმედების შემცირებასა და დამთვალიერებელთა უსაფრთხოების საერთაშორისო ნორმების დაცვას. განსაკუთრებულ სიახლეს წარმოადგენდა ვიზიტორთათვის დაცული ტერიტორიების ინტერპრეტირების, ანუ შინაარსობრივი გაცნობისა და შემეცნებითი წარდგენის თანამედროვე ფორმათა დამკვიდრება. რა სახის ინფორმაციას მოელის ვიზიტორი და რის აღსაქმელად არის იგი განწყობილი როდესაც ეროვნულ პარკს სტუმრობს? სად და რა ფორმით უნდა იქნეს მიწოდებული ეს ინფორმაცია, რომ მოსახერხებელი იყოს მისი მიღება? ეს გახლდათ ამოსავალი კითხვები, რომელთა გათვალისწინებით მომზადდა ვიზიტორთა ცენტრების საექსპოზიციო დარბაზები და ტურისტული ბილიკების გასწვრივ მოთავსებული საინფორმაციო დაფები. კომუნიკაციის არსებული სტრატეგიის თანახმად, ვიზიტორთა ცენტრის დარბაზში წარმოდგენილი ინფორმაცია უფრო სამეცნიერო და საილუსტრაციო ხასიათისა უნდა ყოფილიყო, ხოლო ველზე გადაადგილებისას დამთვალიერებლისთვის მიწოდებული უნდა ყოფილიყო იმგვარი საინტერესო და სახალისო ფაქტები, რომლებიც ადგილზე ნანახის გაგებაში და წარმოსახვითი კავშირების დამყარებაში დაეხმარებოდა მას. ამრიგად, ტურისტულ მარშრუტზე გადაადგილებისას ვიზიტორს შეუძლია საინფორმაციო და-

დედოფლისწყარო, 2008 წელს აღდგენილი წმ. ელიას ეკლესია აღდგენითი სამუშაოს ძირითადი ნაწილი დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტიდან გამოყოფილი გრანტით დაფინანსდა

ფასთან სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში შეჩერებით გაიგოს, თუ რით განსხვავდება ორბისა და არწივის მტაცებლური თვისებები ერთმანეთისგან; ნიამორის რამდენი ინდივიდიღა შემორჩა ჩვენს მთებს; საქართველოში გავრცელებულ რომელ მცენარეს უწოდებდნენ ძველი ბერძნები თორმეტი ღმერთის ყვავილს; რა სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა თუშური კოშკის სხვადახვა სართულს და სხვა ამგვარი დასამახსოვრებელი ფაქტები. საინფორმაციო დაფებზე მოცემულია სახალისო მითითებებიც სათაურით "დაუკვირდით და შეიგრძენით". ისინი დამთვალიერებელს ეხმარება ყურადღება მიაქციოს ან მიზანმიმართულად მოიძიოს იმგვარი საინტერესო დეტალები, რომლებიც, შესაძლოა, მისი თვალთახედვის მიღმა დარჩენილიყო.

დაცული ტერიტორიების თაობაზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების, დამთვალიერებელთა მოზიდვისა და მათთვის ტურისტული ინფორმაციის მიწოდების, დაცული ეკოსისტემებში ფლორის, ფაუნისა და მათი ჰაბიტატების შესახებ არსებული სამეცნიერო ცოდნის თავმოყრის მიზნით ვრცელი და მრავალფეროვანი ბეჭდური და ვიდეო მასალა შეიქმნა. დაცული ტერიტორიების განვითრების პროექტმა ამისათვის კარგი საფუძველი შექმნა, შემდეგ კი წამოწყებული საქმე საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტომ წარმატებით გააგრძელა. დაცული ტერიტორიების სააგენტო მსოფლიო ბანკისთვის აქტიური, ქმედითი და საიმედო პარტნიორი იყო პროერქტის განხორციელებაში. განვლილი წლების განმავლობაში დაცული ტერიტორიების სახელმწიფო უწყებამ მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. იგი ჯერ სახელმწიფო დეპარტამენტის სახით არსებობდა, შემდეგ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დეპარტამენტი გახლდათ, ბოლოს კი ამავე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა. იურიდიული სტატუსის ცვლილებები თავისთავად მნიშვნელოვანი იყო და გავლენას ახდენდა ამ უწყების მანდატზე. თუმცა, ამ დაწესებულების გარდასახვა კიდევ უფრო ღრმა ხასიათისა იყო და დღევანდელი სააგენტო ეპოქალურად განსხვავდება იმ ფორმისაგან, რომლითაც წლების წინ დაიწყო მისი არსებობა. ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესების, ტექნიკური არჭურვის, ადამიანური რესურსების გაძლიერების ფონზე დაცული ტერიტორიების სააგენტოს ამჟამინდელ ღირსებათაგან განსაკუთრებით ორი რამ არის აღსანიშნავი: ის, რომ სააგენტო ცდილობს მის გამგებლობაში არსებული ცალკეული ობიექტები მართოს დაცული ტერიტორიების ეროვნული ქსელის ერთიანი ხედვით და ისიც, რომ სააგენტო მონდომებულია დაცული ტერიტორიების სისტემა მოაქციოს საერთო ეროვნული განვითარების კონტექსტში, რაც მნიშვნელოვანია მისი მდგრადობისა და პერსპექტივის უზუნველსაყოფად. ამრიგად, დაცული ტერიტორეიბს განვითარების პროექტმა დასახულ მიზნებს წარმატებით მიაღწია. მის განხორციელებაში ბევრმა პროფესიონალმა და საქმეზე შეყვარებულმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, რის გარეშეც დღევანდელი შედეგები მიუღწეველი იქნებოდა. მათ შორის არიან როგორც საქართველოს მოქალაქეები, ისე ჩვენი ქვეყნის მეგობრები და მის ბუნებაზე შეყვარებული ადამიანები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, დანიიდან, ჰოლანდიიდან, თურქეთიდან და მალაიზიიდან. პროექტზე მომუშავე ჯგუფი დასახული ამოცანების შესრულებით კმაყოფილია, მაგრამ საქმეს დასრულებულად არ თვლის, რადგან პრექტის დანიშნულება ისიც იყო, რომ ახალი წამოწყებებისთვის ბიძგი მიეცა და მათი სამომავლო შესრულებისთვის საფუძველი მოემზადებინა. მაგალითად, პროექტის ფარგლებში მომზადდა კანონმდებლობა და მენეჯმენტის გეგმები სვანეთსა და რაჭაში ახალი ეროვნული პარკებისა და სხვა დაცული ტერიტორიებს დასაფუძნებლად. ამ კანონმდებლობის მიღება სამომავლო საქმეა და იმედს ვიტოვებთ, რომ დაგეგმილი დაცული ტერიტორიები რეალობად მალე იქცევა. პროექტის მსვლელობისას გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა დაცული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ არსებული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საჭიროების მიმართ ყურადღების გასაძლიერებლად. ამ მიმართულებით რეალური წინსვლის მიღწევა რთულია, რადგან ეს ინტერ-სექტორული კოორდინაციის ამაღლების, სივრცული დაგეგმვისა და ზოგადად, სახელმწიფო მმართველობის შემდგომ დახვეწასთან დაკავშირებული თემაა. თუმცა დამაიმედებელია, რომ ამ საკითხზე მსჯელობა დაწყებულია და საშუალო ვადიან პერსპექტივაში გარკვეულ შედეგებსაც უნდა ველოდოთ.

DAREJAN KAPANADZE
PhD, Master of Environmental Policy and Regulation, Environmental Specialist
Environmentally and Socially Sustainable Development Department, World Bank Office Tbilisi

IMPLEMENTATION OF THE WORLD BANK SUPPORTED GEORGIA PROTECTED AREAS DEVELOPMENT PROJECT

In 2008 the World Bank completed financing of Georgia Protected Areas Development (GPAD) project with the Global Environment Facility grant. This project produced important outcomes for Georgia as well as contributed to the achievement of the Global environmental objectives. This operation provided a full package of investment and technical assistance to the target national parks in East Georgia, as well as introduced new principles of planning and management of the national system of protected areas.

Enactment of the framework law on the System of Protected Areas in 1996 was an important milestone in sector-wide reforming. This legislation introduced a new vision of protected areas and their management. The GPAD Project stepped in

shortly afterwards to facilitate application of the new principles introduced through this legislation and to test them out in practice.

The first examples of targeted preservation of natural sites could be found in early years of humankind's history. In those times conservation was mainly based on mystic and religious believes: people would not cut trees in particular forest stands or would not hunt certain species because those elements of nature were believed to be sacred. Protected areas, mostly represented by State reserves, existed in the Soviet times, achieving the goal of reducing anthropogenic impact on the target ecosystems or species. The new law on protected areas altered the main principle of isolating protected areas from the society and offered the principle of biodiversity conservation and sustainable use. This means zoning of protected areas and applying various types of protection regime by zone. One of the most imprtant implications of the new approach to protected areas management is to reconcile often times competing interests of biodiversity conservation with social and economic needs of communities residing around them (referred to as gateway communities).

The GPAD Project helped to apply fundamental scientific knowledge and modern technologies to the planning and delineating of protected areas and various zones within them. This work was based on vast factual information on the landscape, geology, hydrology, flora and fauna, populations, and habitats. Land tenure, land use, and natural resource use patters were also carefully investigated. Several social surveys were carried out at various stages of the Project preparation and implementation, covering a large spectrum of issues ranging from identification of the routes of seasonal movement of sheep through assessing willingness of foreign visitors of the country to spend their leisure time on trips to protected areas. The most advanced technologies were used to record, map, and register the boundaries of new protected areas. Through along with a sophisticated exercise of processing satellite images, an extensive field work was carried out as well. The boundaries of planned protected areas were walked meter by meter to ensure that the lines were drawn the way to minimize any inconvenience. Did this result in avoiding all problems pertaining establishment of Lagodekhi, Vashlovani, and Tusheti protected Areas? Some glitches showed up and that did not come out as a surprise, because even an excellent plan is yet a plan and there is no way to predict all its implications before implementation starts. Though it is remarkable, that lessons learned from the past experience were duly incorporated in the establishment these new protected areas and the problems encountered were considerably less as compared, for instance, with setting up protected areas of Kolkheti. Challenges of reconciliation of the conservation goals and community needs is not linked only to the creation of protected areas. This is a lasting issue associated with co-existence of the humankind and nature, or rather of the humankind's existence in nature. The GPAD Project strived for flashing out privileges of communities stemming from their proximity to protected areas and helped local population to fully benefit from it. International classification of protected areas introduces several categories, applies various levels of restrictions to each of them, and allows activities which may be tolerated without comprimising the main principle. In the most strictly regulated parts of protected areas even tourist visitation is not allowed, while in other zones not only sightseeing, but also certain types of resource use is permitted. The latter has particular importance in Georgia, where part of the rural population still depends to much extent on the extraction of firewood, fishing, and other types of resource use in the areas adjacent to their residence. In recent years pouching and illegal woodcutting within protected areas has significantly decreased and a good progress has been made in bringing traditional resource use down to the formally permitted levels. Though achieving fully satisfactory results will be possible through further harmonization and refining of the legal framework.

The worldwide experience is that good legislation and its strong enforcement is not fully sufficient for preventing over-exploitation of the natural resources of protected areas. Public awareness of the value of biodiversity is essential for achieving this goal. Furthermore, some economic incentives are also necessary for gateway communities to keep them dedicated to the conservation goals. In other works, local communities are likely to respect and preserve protected ecosystems if they have viable alternatives for livelihood. The GPAD Project introduced a competitive grant scheme to provide new sources of income for the communities residing around protected areas through stimulating revenue generating environment friendly initiatives. The grant scheme was a big success. It supported several branches of traditional agricultural production and processing, including cultivation of local varieties of wheat and vine, breeding of the Caucasian shepherd dogs, and producing of Tushetian cheese. Several groups of women received funding for reviving folk art of processing sheep wool, coloring it with natural dies, and crafting carpets and cloths. Considerable portion of grant resources was used for starting up family-owned small touristic hotels, some of which are operating in the restored historical houses and towers of Tusheti. Thus the grant scheme also contributed to the conservation of Georgia's cultural heritage. Another good example of that is the restoration of a historically valuable St. Elia church, mounted on the top of a rocky hill so skillfully that it is difficult to distinguish natural and man-made parts of this composition. Diverse natural settings, cultural and historical monuments, and rich traditions comprise Georgia's outstanding potential of becoming one of the World's big tourist destinations. Along with the primary role of biodiversity conservation, protected areas of Georgia carry an important function of hosting visitors. The World Bank supported GAPD Project made significant contribution to introducing of modern principles of protected areas interpretation. Administrative buildings, visitor centers, ranger and tourist shelters, and bungalows were all constructed with equal attention given to the functional and aesthetical features of this infrastructure to ensure that architecture, construction materials, and even communications are blended well with the natural environment. Tourist trails were planned and arranged the way to minimize anthropogenic impact on the surroundings and to comply with the international safety standards. Exposition halls inside the visitor centers as well as information boards mounted along the tourist trails were designed to maximize efficiency of communication in these two differing settings.

According to the applied communication strategy, indoor expositions represent more factual and illustrative information, while outdoor exhibits are intended to help visitors better understand what they observe and to use imagination for visualizing of what is behind the scene. Hence, a visitor can spend just a few minutes in front of an information board placed along a walking trail and learn what is the difference between hunting habits of an eagle and a vultur; how many heads of bezoar goat remain in Georgia's mountains; which plant widespread in Georgia was named "the flower of twelve Gods" by

ancient Greek; and so long. Information panels also carry text boxes which offer visitors to use their senses and pay attention to such interesting details which otherwise may have gone unnoticed.

Diverse publications and video material was produced for raising public awareness of protected areas, advertizing protected areas to potential visitors, accumulating and systematizing ample information on the flora, fauna, and their habitats preserved in the protected areas of Georgia. The GPAD Project built soling grounds for publicizing the protected areas, while the Agency of Protected Areas picked up this initiative and carried it on beyond the Project's scope. The Agency of Protected Areas has been a cooperative and reliable partner for the World Bank during implementation of the GPAD project This institution evolved over the years. It changed legal status and affiliation several times, eventually forming a legal body of public law under the Ministry of Environment Protection and Natural Resources of Georgia. Though transformation of this institution has been even deeper and the today's Agency is ages ahead of what it had been in the early years of its existence. Most importantly, the Agency exercises systemic and holistic approach to planning and management of protected areas and acts as a strong proponent of biodiversity conservation within the general context of national development. In conclusion, the GPAD Project successfully achieved its goals and objectives. Many professionals and enthusiasts contributed to its implementation, which made the success possible. Some of these people are the citizens of Georgia, others are the friends of this country from the USA, Germany, Italy, Denmark, Holland, Turkey, and Malaysia. The World Bank's team working on the GPAD Project is happy with the accomplishments, but does not see the task completed. One of the Project goals was to trigger new initiatives and to create momentum for their realization in future. For instance, the Project helped to develop draft legislation and management plans for the establishment of the new national parks in Svaneti and Racha. This legislation is yet to be passed, hopefully in a short term perspective. The Project supported first steps towards biodiversity conservation in the production landscapes. Achieving tangible results towards this end is difficult, as it requires improvement of inter-sectoral coordination, spatial planning, and governance in general. Though it is promising to see this issue on the agenda and currently under consideration.

ДАРЕДЖАН КАПАНАДЗЕ

Доктор биологических наук, Магистр природоохранной политики и правления,
Специалист по охране окружающей среды
Отдел экологически и социально устойчивого развития, Представительство Всемирного банка в Грузии

ОСУЩЕСТВЛЕНИЕ ПРОЕКТА ПО РАЗВИТИЮ ОХРАНЯЕМЫХ ТЕРРИТОРИЙ С ПОМОЩЬЮ ВСЕМИРНОГО БАНКА

В 2008 году Всемирный банк завершил финансирование проекта по развитию охраняемых территорий средствами Глобального природоохранного фонда. Проект имел положительные результаты для Грузии и вместе с тем внес вклад в достижение глобальных природоохранных целей. Он предоставил полный пакет инвестиций и технической помощи национальным паркам восточной Грузии, а также внедрил новые пригципы планирования и управления охраняемых территорий.

Принятие в 1996 году закона Грузии о системе охраняемых территорий явился значителтной вехой в секторальном реформировании. Проект по развитию охраняемых территорий помог притворить новые принципы введенные этим законодательством и испытать их на деле. Ранее существующий подход к консервации средством изолирования охраняемых территорий от общественности дал место новому отношению, заключающемуся в гармонизации целей консервации и жизненных интересов людей проживающих возле охраняемых экосистем. Согласование во многих случиях конкурирующих интересов консервации и экономического развития стал главным принципом дальнейшей работы.

Проект помог применить научные знания и современные технологии в деле планирования и определения границ охраняемых территорий и отдельных зон внутри них. Он во многом содействовал урегулированию вопросов использования природных ресурсов в пределах охраняемых территорий и вокруг них, что является постоянной сложностью управления. Программа конкурсных грантов была успешно использована в рамках проекта для предоставления альтернативных источников дохода общинам проживающим поблизомти охраняемых территорий путем стимулирования экологически безвредных предпринимательских инициатив. Проект внес крупный вклад во внедрение современных принципов интерпретации охраняемых территорий для их посетителей. Экспозиционные заллы в цэнтрах для посетителей и инфориационные доски устоновленные вдоль туристическтх троп были запланированы с нацеленностью на достижение максимально эффектной коммуникации в разных условиях восприятия.

Агентство охраняемых территорий Грузии был действенным и надежным партнером для Всемирного банка в осуществлении проекта. Это учереждение прошло внушитеньный путь

усовершенствования. Агентство использует комплексный подход к планированию и управлению охраняемых территорий и достойно отстаивает интересы охраны биоразнообразия в общем контексте национального развития.

ზაზა გამცემლიძე,
საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ნუგზარ ზაზანაშვილი
ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის პროგრამ-ოფისის კონსერვაციის დირექტორი

უაკ (UDC) 502.172:58/.59

ტყის ხანძარი ბორჯომში

სამხედრო კონფლიქტები უარყოფითად აისახება არა მხოლოდ და უშუალოდ ხალხზე, მოსახლეობაზე, არამედ ბუნებაზეც, ბუნებრივ ეკოსისტემებზე, რაც საბოლოო ჯამში ისევ მოსახლეობას აზარალებს: ბუნებრივი ეკოსისტემები მრავალფუნქციურია (provide multiple environmental services) და მათი სიჯანსაღე თუ დაურღვევლობა უმნიშვნელოვანესია ისეთი სასიცოცხლო ფუნქციების შესასრულებლად, როგორიცაა ატმოსფეროს, ჟანგბადით გამდიდრება და ნახშირბადის შთანთქმა, წყლის ეკოსისტემური მიმოქცევის რეგულირება, მეწყრების, ღვარცოფების და თოვლის ზვავების თავიდან აცილება, ბიომრავალფეროვნების და სულიერ-ესთეტიკური ღირებულებების შენარჩუნება და მრავალი სხვა. ამასთან, გლობალური ინდუსტრიალიზაციის შედეგად თვით ბუნებრივი ტერიტორიების, ეკოსისტემების ღირებულებამაც განიცადა დიფერენცირება: სხვადასხვა მიზეზის გამო, ზოგიერთი ტერიტორია უკეთესად შემოინახა, ზოგი - უარესად. სწორედ უკეთ შემონახულ ტერიტორიებს აქვს მეტი ბიოლოგიური თუ ეკოსისტემური, ასევე, ესთეტიკურ-რეკრეაციული ღირებულება: უპირველეს ყოვლისა, სწორედ აქ იქმნება დაცული ტერიტორიები (ნაკრძალები, ეროვნული პარკები, აღკვეთილები და სხვ.). სწორედ ნაკლებად დარღვეული ტერიტორიები თამაშობს მთავარ როლს დაცული ტერიტორიების ქსელის (მათ შორის, ეკოლოგიური დერეფნების) შექმნის გზაზე, რაც ერთგვარი ხერხემალივით თუ კარკასივით კრავს ამა თუ იმ ფართო ტერიტორიის, ქვეყნის თუ რეგიონის ბუნებრივ გარემოს, ანუ განაპირობებს გარემოს სიჯანსაღის ხარისხს და შესაბამისად - ესთეტიკურსა თუ რეკრეაციულ ღირებულებას; არაფერი, რომ არ ვთქვათ სამეცნიერო და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებაზე – შთამომავლობისთვის ბუნების შენარჩუნებაზე. და გასაგებია, რომ ასეთი საკვანძო ტერიტორიების ნებისმიერი დაზიანება და მით უფრო ადამიანის აგრესიული, არაგონივრული ქმედების შედეგად მიყენებული ზიანი, ორმაგად სამწუხაროა. სწორედ ასეთ ტერიტორიას მიეკუთვნება ბორჯომის (ფართო გაგებით) რეგიონი, სადაც გასული წლის აგვისტოში სამხედრო მოქმედებების შედეგად გაჩენილმა ხანძარმა დიდად დაზიანა ბუნებრივი ეკოსისტემები.

ძნელი გადმოსაცემია სიტყვებით, თუ რა გრძნობა გეუფლება ადამიანს, ბორჯომის მიდამოებში გადამწვარ ტყიან ფერდობებს, როდესაც შეჰყურებ: ხანძარმა, რომელიც დაახლოებით სამი კვირა გრძელდებოდა, ძირითადად მოიცვა დაბებს წაღვერსა და დაბას შორის მდებარე ტყეები მდ. გუჯარულას მარჯვენა სანაპიროზე. აქ ძლიერ დაზიანებულმა ტყის ფართობმა დაახლობით 900 ჰა-ს მიაღწია. არაპირდაპირი ზეგავლენა მნიშვნელოვნად უფრო დიდ ფართობს უნდა მოიცავდეს, რასაც ცალკე გამოკვლევა ესაჭიროება. უშუალოდ ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე (ნაკრძალი და ეროვნული პარკი, ნეძვის აღკვეთილი) ცეცხლის რამდენიმე კერა გაჩნდა: საბედნიეროდ, აქ საერთო დაზიანებული ფართობი გაცილებით ნაკლებია (პარკის ბოლო მონაცემებით 150 ჰა-მდე, თუმცა ეროვნული პარკისათვის ესეც ბევრია). უფრო ზუსტად დაზიანებული ფართობები ახლო მომავალში, კოსმოსური ფოტოინფორმაციის გამოყენებით და დეტალური კარტოგრაფირების გზით დაანგარიშდება ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტების მიერ.

ბორჯომის რეგიონი არის ნაწილი ერთ-ერთი პრიორიტეტული საკონსერვაციო არეალისა (Priority Conservation Area) (თრიალეთი), რომელიც დადგენილი იყო კავკასიის ეკორეგიონის ქვეყნების 150-ზე მეტი ექსპერტის მიერ და რაც აისახა, 2006 წ. გამოქვეყნებულ, კავკასიის ეკორეგიონული კონსერვაციის გეგმაში[1]. ტერიტორია, ასევე, პრიორიტეტულადაა იდენტიფიცირებული ერთ-ერთი უდიდესი ბუნების დაცვითი ორგანიზაციის Conservation International (CI)-ის მიერ კრიტიკული ეკოსისტემების დაცვის ფონდის (CEPF) კავკასიის

[1] An Ecoregional Conservation Plan for the Caucasus. WWF, KfW, BMZ, CEPF, MacArthur Foundation, Printed by Contour Ltd., Tbilisi, May 2006, 220 p.; see also at http://www.wwf.de/fileadmin/fm-wwf/pdf_neu/Kaukasus_OEkoregionaler__Naturschutzplan__May06.pdf

პროგრამის ფარგლებში[2] და წარმოადგენს ნაწილს ორი კონსერვაციის სამიზნე ადგილისა - ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და ნეძვის აღკვეთილი. აღნიშნული ტერიტორია გამოირჩევა მცენარეების, მწერების, ამფიბიების, რეპტილიების და მცირე ზომის ძუძუმწოვარების ენდემური სახეობების სიუხვით, რაც გამოწვეულია იმით, რომ ეს არე მდებარეობს სხვადასხვა ბიოგეოგრაფიული ერთეულების (კოლხური, მცირე აზიური, სამხრეთ კავკასიურ-ირანული, საკუთრივ/აღმოსავლეთ კავკასიური) კვეთაზე. ამდენადვე, მას ერთ-ერთი საკვანძო ადგილი უჭირავს დაცული ტერიტორიების საერთო კავკასიური ქსელის შექმნის გზაზე. გარდა ამისა, აქ გვხვდება კავკასიის ბუნების დაცვის თვალსაზრისით ისეთი პრიორიტეტული სახეობები, როგორიცაა მურა დათვი (*Ursus arctos*), ევროპული ფოცხვერი (*Lynx lynx*), კავკასიური კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus maral*), ჩრდილოეთის არჩვი (*Rupicapra rupicapra*), ევროპული წავი (*Lutra lutra*), თეთრკუდა არწივი (*Haliaeetus albicilla*), კავკასიური როჭო (*Tetrao mlokosiewiczi*), კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*), კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*), იშვიათი ღამურების რამდენიმე სახეობა. ყველა ეს სახეობა საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი. მათ შორის, გლობალური საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობებს (ანუ სახეობებს, რომლებიც გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფობის სტატუსითაა შეტანილი ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის წითელ ნუსხაში) მიეკუთვნება წავი, გრძელყურა მღამიობი (*Myotis bechsteinii*), ევროპული მაჩქათელა (*Barbastella barbastellus*), თეთრკუდა არწივი, კავკასიური გველგესლა, კავკასიური სალამანდრა და რემდენიმე სხვა სახეობა[3]. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამხრეთ კავკასიაში კავკასიური კეთილშობილი ირემი მხოლოდ ბორჯომის რეგიონსა და ლაგოდეხი (საქართველო)-ზაქათალა-ილისუ-ისმაილის (აზერბაიჯანი) რეგიონში გვხვდება, ანუ ბორჯომის ტერიტორიას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ამ იშვიათი ქვესახეობის გადასარჩენად. ტყის ეკოსისტემური მრავალფეროვნების თვალსაზრისით, ამ პრიორიტეტულ საკონსერვაციო არეში მოქცეულია მცირე კავაკსიონის ფარგლებში წიწვოვანი ტყეების ყველაზე დიდი მასივები, ასევე, აღმოსავლური ნაძვის (*Picea orientalis*) კავკასიაში და მთელს მსოფლიოში (რამდენადაც ეს სახეობა ენდემურია კავკასიისთვის, თურქეთის ნაწილის ჩათვლით) ყველაზე დიდფართობიანი კორომები. ამასთან, აქ (განსაკუთრებით - ეროვნულ პარკში) გვხვდება ტყეების ხელუხლებელი მონაკვეთები, რაც უიშვიათესია ზომიერი სარტყლისათვის და დიდ ბიოლოგიურ და ეკოლოგიურ ღირებულებას ჰმატებს ტყეებს. ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი პირველია კავკასიაში, რომელიც საერთაშორისო კრიტერიუმების შესაბამისად ჩამოყალიბდა (ძირითადად 1999-2002 წწ., გერმანიის მთავრობის ფინანსური და WWF-ის ტექნიკური დახმარებით). ამდენად მას ბუნების დაცვითი სამოდელო მნიშვნელობაც გააჩნია, რასაც ადასტურებს ორიოდ წლის წინ მიღებული PAN Parks სერტიფიკატი, ანუ პარკის მართვა ევროპელი ექსპერტების მიერ უმაღლესი ევროპული სტანდარტების შესაბამისადაა შეფასებული და ეროვნული პარკი გაწევრიანებულია შესაბამის ევროპულ ქსელში[4]. გასაგებია, რომ როდესაც ბუნების დაცვის თვალსაზრისით ასეთ მნიშვნელოვან არეს საფრთხე ემუქრება – ეს უნდა გახდეს მსოფლიოს ბუნების დაცვითი ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის საგანი.

რაც შეეხება უშუალოდ იმ ძირითად ტერიტორიას, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა ხანძრით (წაღვერი-დაბის მონაკვეთი), იგი უეჭველად შეიძლება ჩაითვალოს დიდი კონსერვაციული ღირებულების (High Conservation Value) არედ; იგი სრულად აკმაყოფილებს ამ კატეგორიის შემდეგ კრიტერიუმებს: ეს არის არე, (1) რომელიც შეიცავს ბიომრავალფეროვნების გლობალურად, რეგიონულად ან ნაციონალურად მნიშვნელოვან კონცენტრაციას (ენდემიზმი, საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები); (2) რომელიც მნიშვნელოვანია სასმელი წყლის დაცვის და ეროზიის თავიდან აცილების თვალსაზრისით; (3) რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი მოსახლეობისთვის (მაგალითად, საშეშე მერქნის მოპოვების თვალსაზრისით) და (4) რომელსაც კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი მოსახლეობისთვის ეკონომიკური თვალსაზრისითაც (ეს არის საქართველოში ერთ-ერთი უპირველესი რეკრეაციული ზონა)[5]. ისიც დიდმნიშვნელოვანია, რომ ეს ტერიტორია ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიებისათვის (კერძოდ, ნეძვის აღვეთილისათვის) უშუალო "ბუფერის" როლს ასრულებს.

მიყენებული ზარალის ოდენობის შესწავლას გარკვეული დრო დასჭირდება. ამასთან, საჭიროა, გამოყენებულ იქნეს შეფასების თანამედროვე მეთოდები: როგორც ცნობილია და ზემოთაც აღვნიშნეთ, ტყის ეკოსისტემების ფასეულობა კომპლექსური ფენომენია და მხოლოდ მერქნის მოცულობით არ განისაზღვრება. იგი დაკავშირებულია ეკოსისტემური ბალანსის დაცვით, სახეობრივ, ჰიდროლოგიურ, CO_2-გაზთაცვლით, სოციალურ, ტურისტულ-რეკრეაციულ, ესთეტიკურ და სხვა ფუნქცია-ღირებულებებთან. მაგალითად, ვიცით რა საშეშე და სამასალე მერქნის ფასი და მერქნის წლიური პროდუქციის ოდენობა იმ სატყეო კვარტლებიდან, რომლებიც დააზიანა ხანძარმა, ასევე, იმის გათვალსწინებით, თუ რამდენი წელი დასჭირდება დაზიანებულ ეკოსისტემებს თვითაღსადგენად, შედარებით იოლად გამოსაანგარიშებელია ზარალი, რომელიც მერქნით სარგებლობის კუთხით მიადგა ქვეყანას. უფრო რთულად დასაანგარიშებელია ადგილობრივი მოსახლეობის ზარალი, მიყენებული არამერქნითი რესურსების სარგებლობის მხრივ: დასადგენია, თუ რა ოდენობის არამერქნით რესურსს (სოკო, კენკრა და სხვ.) მოიხმარდა ადგილობრივი მოსახლეობა ამ ტყეებიდან წელიწადში და ამ რე-

[2] See at http://www.cepf.net/ImageCache/cepf/content/pdfs/caucasus_5foutcomemap_2epdf/v1/caucasus_5foutcomemap.pdf

[3] www.redlist.org

[4] See http://www.visitpanparks.org/ourparks/Borjomi-Kharagauli

[5] Further to criteria of High Conservation Value see at http://www.hcvnetwork.org/

სურსის ფასი. ასევე, რთული გამოსაანგარიშებელია ტყეების რეკრეაციული ღირებულება, თუმცა ამ მხრივ დასავლეთის ქვეყნებში (მაგალითად, დიდ ბრიტანეთში) უკვე საკმაო მეთოდოლოგიური და პრაქტიკული გამოცდილებაა დაგროვილი. მაგალითად, ერთ-ერთი მეთოდოლოგიის გამოყენებით (სამგზავრო ღირებულების მეთოდი - travel cost methodology) ევროპული ტყის ამა თუ იმ უბნის რეკრეაციული ღირებულება 0,66-დან 112 ბრიტანულ გირვანქა სტერლინგამდე მერყეობს (საშუალოდ - 4,52, 2000 წლის ფასებით) - დამსვენებლის თითოეულ მგზავრობაზე გადამრავლებით. ამ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია ხანგრძლივგრძელვადიანი ზარალი, ანუ ის, თუ რამდენი დამსვენებელი მოაკლდება ხანძრის ზონაში მოქცეულ ტერიტორიებს დროის იმ მონაკვეთში, ვიდრე ტერიტორია აღიდგენს რეკრეაციულ ღირებულებას.

არსებობს ტყეების მიერ შთანთქმული ნახშირბადის ღირებულების გამოანგარიშების გამოცდილებაც. მაგალითად, უელსში ნაძვის *(Picea sitchensis)* კორომების მიერ შთანთქმული ნახშირბადის მიმდინარე წმინდა ეკონომიკური ღირებულება (net present value, 3% discount rate) ერთ ჰექტარზე შეადგენს 1250-დან 2249 ბრიტანულ გირვანქა სტერლინგს. ეს მაჩვენებელი დამოკიდებულია ტყეების პროდუქტიულობაზე, რაც, თავის მხრივ, ძირითადად დამოკიდებულია ტყის სამეურნეო-ეკოლოგიურ მდგომარეობასა და ზღვის დონიდან ტყეების მდებარეობაზე. ცალკე გამოკვლევის საგანია ნიადაგის ეროზიის საშიშროების შესაძლო მატება: არ არის გამორიცხული, რომ ნახანძრალ ფერდობებზე - წყლის ეკოსისტემური რეგულირების დარღვევის ფონზე - თავი იჩინოს ეროზიულმა მოვლენებმა, რასაც შესაბამისი, საკმაოდ ძვირადღირებული ღონისძიებების დაპირისპირება შეიძლება დასჭირდეს. კიდევ უფრო გამოწვლილვით შესწავლას მოითხოვს ბიომრავალფეროვნების მდგომარეობა, თუმცა ამ კუთხით მიყენებული ზარალის შეფასება თითქმის შეუძლებელია: მაგალითად, რამდენი შეიძლება ღირდეს კავკასიური სალამანდრის — სახეობის, რომელიც მილიონიბით წელს ითვლის - ბორჯომის უიშვიათესი პოპულაციის ერთი ადგილსამყოფელი? ეს უთუოდ რიტორიკული კითხვაა: ვფიქრობ, უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ყველა დანაკლისს ფულად ღირებულებაში ვერ გამოვსახავთ და ვერ ავინაზღაურებთ. იგივე ითქმის, მაგალითად, მორალურ-ესთეტიკურ ღირებულებაზე: ვინ შეაფასებს იმ უარყოფითი ემოციების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედებას, რომელიც ეუფლება (თუ დაეუფლება) თითოეულ ჩვენგანს ბორჯომი-ბაკურიანის გზაზე მგზავრობისას? 900-1000 ჰა-ს დანაკარგი საზოგადოდ საქართველოს და კავკასიის ტყეებისათვის - მათი საერთო ფართობის გათვალისწინებით, შესაძლოა, დიდად არ მოგვეჩვენოს, მაგრამ უეჭველად ბევრია კონკრეტულად ამ ადგილისთვის, ბორჯომის რეგიონისთვის, რომელსაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, განსაკუთრებული ბიოლოგიური, ბუნების დაცვითი და სოციალურ-რეკრეაციული ღირებულება გააჩნია. ჩვენში ზარალის მსგავსი, კომლექსური შეფასების გამოცდილება არ არსებობს, თუმცა, მოთხოვნისამებრ, დარწმუნებულნი ვართ, ძნელი არ იქნება იმ საერთაშორისო, მათ შორის ბუნების დაცვითი, ორგანიზაციების მოძიება, ვისაც აქვს რიგი ზემოთ დასახელებული პარამეტრების დადგენის გამოცდილება და ამ კუთხით შეუძლია დახმარების გაწევა. აღდგენის საკითხებსაც უფრო ღრმა გამოკვლევა ესაჭიროება: ტყის აღდგენა საკმაოდ ძვირადღირებულია, ამდენად არსებობს მოსაზრება, რომ დაზიანებული ტერიტორიის შესწავლასთან ერთად, დაველოდოთ მომავალ წელს, როცა თვალნათლივ გამოჩნდება რამდენად შეინარჩუნა ეკოსისტემამ, ტყემ თვითაღდგენის უნარი (natural regeneration capasity) და ამის დადგენის შემდგომ, ექსპერტებს შესაძლებლობა მიეცემათ, შეარჩიონ აღდგენის შესაბამისი, შესაძლოა, ტერიტორიულად დიფერენცირებული მეთოდები.

ერთია ნათელი: ბორჯომი-წაღვერის მონაკვეთზე ტყეების მეტ-ნაკლებად სრულფასოვან აღდგენას 50-60 წელი, ხოლო ეკოსისტემების სრულ ფუნქციურ რეაბილიტაციას კიდევ უფრო მეტი დრო დასჭირდება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სამსახურებმა - სწრაფი რეაგირებისა თუ სახანძრო სამსახურებთან ერთად - თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინეს. პირველი, რაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ეს არის ორგანიზაციული მხარე: შტაბმა, რომელიც, ადგილზე, დაბა წაღვერის გამგეობის შენობაში განთავსდა ამ ურთულეს პირობებში მოახერხა ცენტრალური, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონების სახანძრო სამსახურების მობილიზება, რომლებიც სატყეო დეპარტამენტისა და გდი-ს ძალებთან ერთად, შეებრძოლნენ ცეცხლის მრავალრიცხოვან კერას. მათ დახმარება აღმოუჩინა ერთმა სახანძრო თვითმფრინავმა თურქეთიდან. ცეცხლი შეჩერებულ იქნა დაბა წაღვერის და სხვა, მიმდებარე დასახლებული პუნქტების უშუალო მისადგომებთან, რითაც თავიდან აცილებულ იქნა უზარმაზარი დამატებითი ზარალი. მეორე მხრივ, ცეცხლი შეჩერდა ნეძვის აღკვეთილის საზღვრის ხაზზე, მთების თხემებზე. სხვათა მხარდამხარ, ივაჟკაცეს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის თანამშრომლებმაც, რომლებმაც პარკში გაჩენილ ცეცლის რამდენიმე, უფრო მომცრო კერას განვითარების საშუალება არ მისცეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ლიკანის მონაკვეთზე, დასახლებულ არესთან ახლოს ცეცხლთან ბრძოლაში ადგილობრივი მოსახლეობაც აქტიურად ჩაება. პარკის თანამშრომლები, ასევე, მობილიზებული იყვნენ ნეძვის მონაკვეთზე ცეცხლის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. და ყოველივე ეს მოხდა კრიტიკულ დროს, კრიტიკულ პირობებში, მიუდგომელ რელიეფზე, შესაბამისი ტექნიკისა და აღჭურვილობის უკმარისობის თუ მიუწვდომლობის ფონზე. ჩვენი აზრით, ხანძართან ბრძოლის კუთხით, ერთ-ერთი გაკვეთილი ის შეიძლება იყოს, რომ შესაბამის უწყებებსა თუ სამსახურებს სასწრაფოდ ესაჭიროებათ **ტყის ხანძრებთან** ბრძოლის შესაძლებლობების გაძლიერება, აღჭურვა შესაფერისი თანამედროვე ტექნიკით და საჭიროებისამებრ წვრთნა (მათ შორის, ქვეყნის ფარგლებს გარეთ). როგორც ჩანს, საჭიროა, იქონიო თითო მაინც, სპეციალური, ტყის ხანძრებთან ბრძოლისათვის კარგად აღჭურვილი თვითმფრინავი და ვერტმფრენი. ბუნებრივია, პროფესიონალებმა უკეთ იციან თავისი საჭიროებანი და უფრო დაწვრილებით ინფორმაციას საჭიროების შესახებ

ისინი მოგვაწვდიან. ვფიქრობ, არ იქნება ზედმეტი ხანძარსაწინააღმდეგო შესაძლებლობების გარკვეულწილად გაძლიერება ხანძრის გაჩენის შედარებით მაღალი რისკის არეალში მდებარე დაცულ ტერიტორიებშიც: ეს კი, უპირველესად, ის ნაკრძალები, ეროვნული პარკები და აღკვეთილებია, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ მტკვრის აუზში მდებარეობს. ამათგან კი პრიორიტეტულებად შეიძლება ჩაითვალოს ისინი, სადაც წიწვოვანი ტყეებია გავრცელებული.

Zaza Gamtsemlidze,
First Deputy Chairman of the Committee on Environmental Protection and Natural Recourses of the Parliament of Georgia

Nugzar Zazanashvili
Conservation Director of WWF Caucasus Programme office

FOREST FIRES IN BORJOMI

Military conflicts affect not only people, but also the environment and natural ecosystems, which eventually affects the population: natural ecosystems provide multiple services and their health and integrity are crucial for ensuring provision of their services such as oxygen generation and carbon absorption, regulation of water flow by ecosystems, prevention of landslides, mudflows and avalanches, preservation of biodiversity and spiritual-aesthetic values, etc. Furthermore, as a result of global industrialization the values of natural territories, ecosystems have been differentiated: due to various reasons some areas have been better conserved than others. The better conserved areas have higher biological and ecosystem as well as aesthetic-recreational values and therefore serve as a basis for establishment of protected areas (reserves, national parks, managed reserves, etc.). Less destructed areas play major role in the process of creation of a network of protected areas (including ecological corridors) which bridges natural environment of a large territory, country or region, i.e. condition the level of health and the aesthetic and recreational values accordingly, not to mention scientific and human value – conservation of the nature for future generations. Thus it is clear that any damage of such key areas, especially the damage caused by aggressive, unwise human activity is doubly sorrowful. The Borjomi (in a broad sense) region is such a key area where the fire set in August as a result of military operations caused a serious damage to its natural ecosystems.

It is difficult to express in words the feeling occurring when looking at burned forested slopes around Borjomi: fires lasting for about three weeks affected mainly the forests located between the villages Tsagveri and Daba on the right bank of the Gujarula river. The area of severely damaged forests is about 900 ha. The area of indirect impact might be much more and requires additional investigation. Several fire seats were set within the Borjomi-Kharagauli Protected Areas (the reserve and National Park, the Nedzvi sanctuary). Fortunately the total area of damaged territories in the Borjomi-Kharagauli Protected Areas are much less (according the the latest data of the National Park the area of burned forests is about 150, however it is too much for the National Park). The exact area of damaged territories will be calculated in the nearest future by national and international experts through space photographing and detailed mapping.

The Borjomi region is a part of priority conservation area known as Trialeti (Trialeti Mountain Range), which was identified by more than 150 experts from all countries of the Ecoregion and finalized in Ecoregional Conservation Plan (ECP)[6]. The area is also identified as priority area for conservation by Conservation International / Caucasus Programme of Critical Ecosystem Partnership Fund (CEPF)[7] and represents part of two conservation targets/site outcomes – called Borjomi-Kharagauli NP and Nedzvi sanctuary. The Borjomi area is notable for high diversity of plant, insects, amphibians, reptiles and small mammals endemic species that is caused by location of the area on a biological crossroads of different bio-geographic regions (Colchic, Minor Asian, South Caucasian-Iranian, and Caucasian itself/East Caucasian). Accordingly, this area represents the main backbone in establishing of protected areas network in the Caucasus. Furthermore, the follwing species important from the point of view of conservation of the Caucasus biodiversity are found in this area: brown bear (*Ursus arctos*), lynx (*Lynx lynx*), red deer (*Cervus elaphus maral*), chamois (*Rupicapra rupicapra*), common otter (*Lutra lutra*), white-tailed eagle (*Haliaeetus albicilla*), Caucasian black grouse (*Tetrao mlokosiewiczi*), Caucasian viper (*Vipera kaznakovi*), Caucasian salamander (*Mertensiella caucasica*) and some species of rare bats. All these specis are included in the Red List of Georgia. Some of them: common otter, Bechstein's bat (*Myotis bechsteinii*), Barbastelle bat (*Barbastella barbastellus*), white-tailed eagle, Caucasian viper, Caucasian salamander and some other species[8] are included in the international IUCN Red List of Threatened Species. It is noteworthy that within the South Caucasus red deer is found only in the Borjomi region and the Lagodekhi (Georgia) – Zaqatala – Ilisu – Ismail (Azerbaijan) region. It means that the Borjomi area has a vital

[6] An Ecoregional Conservation Plan for the Caucasus. WWF, KfW, BMZ, CEPF, MacArthur Foundation, Printed by Contour Ltd., Tbilisi, May 2006, 220 p.; see also at http://www.wwf.de/fileadmin/fm-wwf/pdf_neu/Kaukasus_OEkoregionaler__Naturschutzplan__May06.pdf
[7] See at http://www.cepf.net/ImageCache/cepf/content/pdfs/caucasus_5foutcomemap_2epdf/v1/ caucasus_5foutcomemap.pdf
[8] www.redlist.org

importance for conservation of the species. As concerns the forest diversity, the largest conifer forests within the Lesser Caucasus are concentrated in this region/Priority Conservation Area, as well as the world's and the Caucasus's largest stands of Oriental white spruce (*Picea orientalis)* the endemic species for the Caucasus, including Turkey). The area (especially the National Park) is also distinguished by existence of pristine forest stands, which is very rare for temperate zone and inputs in biological and conservation value of these forests. All these factors are even more important in the light of the fact that the Borjomi-Kharagauli National Park is the very first National Park in the Caucasus, which was established (in 1999-2002 through the financial assistance from the German Government and technical assistance from WWF) according to international criteria. Therefore, Borjomi-Kharagauli NP can be definitely considered as model Park for the Caucasus Ecoregion, which has been recently justified by the fact that two years ago, the Borjomi-Kharagauli National Park became a member of PAN Parks network, it means that the management of the National Park has been evaluated by the European experts in accordance with the highest European standards and included into the relevant European network[9]. It is clear that when such environmentally important area is under the threat it would be a subject of special care and concern of the environmental organizations throughout the world.

The area, which directly suffered from fire (Tsagveri-Daba sector) is identified as High Conservation Value area since it is characterized by the following features:

1. includes biodiversity of global, regional or national importance (endemism, endangered species);
2. is important as drinking water protection and soil erosion control area;
3. serves as a main life-supporting resource for local population (e.g., fuel-wood, etc.);
4. is critical as essential economical background for local population (it is one of most traditional and important recreation zones in Georgia)[10].

Furthermore, this area serves as a buffer zone for the Borjomi-Kharagauli Protected Areas (the Nedzvi Sanctuary in particular).

Study and assessment of the damage will require certain time. Moreover, the modern assessment tools shall be used in this process. It is well known that forest ecosystems provide multiple services and their value can not be determined only by timber volumes. They are linked to ecosystem balancing, species, hydrological, carbon cycling, social, tourist-recreational, aesthetic and other services and values. For example, if the price of fuel-wood and timber and the annual volume of timber harvested from burned forest blocks are known and considering the time required for natural regeneration of damaged forest ecosystems, the damage caused to the country in the field of timber use can be easily calculated. However, calculation of the damage caused to the local population with regard to use of non-timber forest resources will be more difficult: for this purpose the annual volume and the price of non-timber resources (mushrooms, berries, etc.) used by the local population shall be identified. The recreational value of forests is also difficult to calculate. However in this regard the methodological and practical experience of western countries (the Great Britain) is available. For example, using the Travel Cost Methodology the recreational value of European forest areas varies within 0.66 – 122 pounds (4.52 pounds on average based on 2000 prices). In this case, the long-term damage, i.e. the number of visitors lost by the damaged territories until rehabilitation of their recreational value shall be taken into account. The experience of calculation of the cost of carbon absorption by forests is available as well. For example, net present value, 3% discount rate of carbon absorption of spruce stands in Wales per ha varies within 1,250 – 2,249 pounds. This figure depends on forest productivity which in turn depends mainly on industrial-environmental condition of forests and their altitude. Potential growth of soil erosion risks shall be studies separately: on the burned slopes – on the background of deteriorated regulation of water flow by ecosystems – erosion processes may occur, which would require implementation of quite expensive measures. The status of biodiversity also requires more detailed study. However assessment of the damage caused to biodiversity is almost impossible: for example, what is the cost of one habitat of the Borjomi population of Caucasian salamander – a species of some million years old? This is a rhetorical question. We have to get accustomed to the idea that all damages can not be expressed in money and can not be compensated. The same it true for ethic-aesthetic values: who will assess the impact of those negative emotions of human heath which occur (or will occur) when travelling on the Borjomi-Bakuriani road? Loss of 900-1,000 ha of forested areas may not seem to be a serious damage for Georgian and Caucasus forests considering their total areas, however it is obviously very much for this specific region – the Borjomi region having special biological, environmental and social-recreational values. There is no experience of a complex and comprehensive assessment of damages in Georgia, however it will not be a difficult task to identify international institutions organizations, including those working in environmental field which have the experience of identification of the above-mentioned parameters and will be able to provide the assistance in this regard.

The issues of rehabilitation need deep study: forest rehabilitation is a quite expensive measure, therefore there is an idea to wait until the next year to see how the ecosystem, forests have retained their natural regeneration capacity along with carrying out the study of damaged areas. After this the experts will be given the opportunity to identify relevant rehabilitation, possibly territorially differentiated methods. However, it is obvious that more or less full rehabilitation of forests at the Borjomi-Tsagveri section will require 50-60 years, while full rehabilitation of ecosystem services will take more time.

The services of the Ministry of Environmental Protection and Natural Resources of Georgia together with fast response and fire fighting services have done their best. First of all the organizational side shall be mentioned:

[9] See http://www.visitpanparks.org/ourparks/Borjomi-Kharagauli
[10] Further to criteria of High Conservation Value see at http://www.hcvnetwork.org/

headquarters located in the building of the local governance of the village Tsagveri mobilized fire fighting services from various districts of central, western and southern Georgia, which together with the Forestry Department and the Environmental Inspectorate had managed to localize many seats of fire. They were assisted by of fire fighting Turkish plane. The fire was stopped at the village Tsagveri and near other neighboring settlements. Thus, the serious additional damage has been prevented. On the other hand, the fire stopped just at the border of the Nedzvi Sanctuary, on the mountain ridges. The employees of the Borjomi-Kharagauli National Park together with others displayed courage when putting out some small seats of fire set within the National Park. It is noteworthy that the local population took active part in fire fighting activities at the Likani section near the populated area. The employees of the National Park were mobilized to prevent spread of fires at the Nedzvi section. And this has been managed in critical times, under critical circumstances, on inaccessible relief and in conditions of lack or unavailability of relevant equipment and machinery. Based on the lessons learned we consider that relevant agencies or services urgently need capacity building fire fighting, through provision of necessary modern equipment and training (including in foreign countries) if necessary. As appeared, it is necessary to have even one well-equipped fire fighting plane and helicopter. Professionals are better aware about their needs and will provide more detailed information about this. We consider that strengthening fire-fighting capacities in protected areas located within the zones of relatively high risk of fires will be appropriate: first of all these are reserves, national parks and managed reserves located (or partially located) within the Mtkvari river basin. Among them the priority will be given to those where coniferous forests are found.

Map 1. Red contour approximately shows main fire area, green line is the border of Nedzvi sanctuary



Map 2. Yellow line is a borderline of Borjomi-Kharagauli National Park, red dots show fire sites

ЗАЗА ГАМЦЕМЛИДЗЕ
Первый заместитель председателя комитета по охране окружающей среды
и природным ресурсам парламента Грузии
НУГЗАР ЗАЗАНАШВИЛИ
Директор консервации кавказского програмного
офиса всемирного фонда защиты природы

ЛЕСНОЙ ПОЖАР В БОРДЖОМИ

резюме

Трудно передать словами ту скорбь.когда смотришь на сожженные леса прекрасного боржомского ущелия. Пожар длился три недели и сильно повредил примерно 900гю леса.

ᲝᲗᲐᲠ ᲚᲝᲠᲯᲝᲛᲔᲚᲐᲫᲔ
საქართველოს სოფლის
მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი,
სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა დოქტორი

უაკ (UDC) 633.15

ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲘᲓᲐᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲝᲖᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲤᲔᲠᲓᲝᲑᲔᲑᲖᲔ ᲡᲢᲐᲪᲘᲝᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

აჭარაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უდიდესი ნაწილი, როგორც ზღვისპირეთში, ისე მთიან რეგიონში საშუალო და ძლიერი ხარისხის ეროზირებულია. აქ წლის თითქმის ყველა პერიოდში მოდის თავსხმა ხასიათის გახანგრძლივებული წვიმები, რომლებიც წლითი-წლობით აძლიერებენ ნიადაგური საფარის რღვევას, მისი ნაყოფიერების გაუარესებას, ამიტომაც აუცილებელია მეცნიერულად დასაბუთებული, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების პრაქტიკულად განხორციელება. შიდამთიანი აჭარის სოფლის მეურნეობისთვის ტრადიციულია ერთწლოვანი სათოხნი კულტურების (სიმინდი, თამბაქო, კარტოფილი, ლობიო) ყოველგვარი ეროზიასაწინააღმდეგო ელემენტარული ღონისძიებების გარეშე წარმოება, რომელთა მოვლა-მოყვანის აქ გავრცელებული ამჟამინდელი ტექნოლოგიები დიდად უწყობს ხელს ეროზიული პროცესების მაქსიმალურ გამოვლინებას.

აღნიშნული კულტურების მოსავლის აღების შემდეგ, წლის ეროზიასაშიში შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის ძლიერ დაქანებულ ფერდობებზე განლაგებული ნაკვეთები რჩება გაშიშვლებული. ყოველივე ამას ემატება ზამთრობით მოსული თოვლის (3-4 მეტრი სისქის და უფრო მეტიც) ღრმა საბურველის გაზაფხულზე, ინტენსიური დნობით გამოწვეული ეროზიული პროცესების მაქსიმალური გამოვლინება, რომელსაც ზაფხულში აძლიერებს თავსხმა ხასიათის წვიმების უარყოფითი ზემოქმედება სათოხნი კულტურების დაკავებულ ფერდობებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნიადაგი ახალ დამუშავებულია, ხოლო ნათეს-ნარგაობა ჯერ კიდევ ქორფაა და ნიადაგის ზედაპირს მინიმალურადაც კი ვერ ფარავენ, ე. ი. როცა ნიადაგის ზედაპირი ნაკლებად ან თითქმის სრულებით არ არის დაცული წვიმის წვეთების პირდაპირი დარტყმებისაგან, მისი დამშლელი ზემოქმედებისაგან. ხსენებულ რეგიონში ეროზიული პროცესების ძლიერი განვითარების გამო, ფერდობებზე განლაგებული სახნავების 929-ზე მეტი საშუალოდ და ძლიერ ეროზირებული ნიადაგის კატეგორიას განეკუთვნება და ტერიტორიის 359-ზე მეტი კი 55 და უფრო მეტი დახრილობისაა.

მართალია აგროწესების თანახმად 15 გრადუსზე მეტად დახრილ ფერდობებზე ერთწლოვანი სათოხნი კულტურების წარმოება დაუშვებელია, მაგრამ მცირემიწიანობის გამო, ვინაიდან საქართველოს ამ რეგიონში ფერდობები საცხოვრებელი სახლებით მეტისმეტად გადატვირთულია, მოსახლეობა ნებსით თუ უნებლიეთ ზემოთ ხსენებული ერთწლოვანი სათოხნი კულტურების ქვეშ 35-40 გრადუსით და ზოგჯერ უფრო მეტად დახრილ ფერდობებსაც კი მასიურად იყენებენ. ამდენად, მთიანი აჭარის მრავალათასიანი მოსახლეობა ბევრ შემთხვევაში მასგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მწარე ფაქტის წინაშე დგანან და ჩვენ – მეცნიერებიც იძულებულნი ვართ რეალური ვითარება გავითავისოთ, არსებულ ფაქტობრივ სიტუაციას როგორმე მოვარგოთ სამთო მიწათმოქმედების ისეთი ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მეტ-ნაკლებად შეაჩერებს ან დაიცავს ნიადაგის ხამორეცხვას, ზედაპირის დაღარვას, დახრამვას და ა. შ. ჩვენი ამოცანაა მომავალ თაობებს დავუტოვოთ ნაყოფიერი ნიადაგები და აღდგენილი გარესამყარო – დედაბუნება.

საშუალოდ და ძლიერი ხარისხის ეროზირებულ ნაკვეთებზე, საერთოდ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მოსავლიანობის გაზრდის მიზნით ფერმერები ძალზე ხშირად თავიანთი შეხედულებებით, ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე იყენებდნენ და იყენე-

ბენ მინერალური სასუქების დაუშვებლად გაზრდილ ნორმებსა და დოზებს. აღნიშნული დოზები ნიადაგის ჩამორეცხვის შესაბამისად მნიშვნელოვნად იზრდება და აბინძურებს როგორც თვით ნიადაგურ საფარს, ისე გარე სამყაროს, წყალსატევებს. აღსანიშნავია, აგრეთვე იმ ფაქტის გახსენებაც, რომ აქ თავსხმა ხასიათის ერთი წვიმის შედეგადაც კი 1 ჰა ფართობიდან შეიძლება ჩამოირეცხოს 155 ტონაზე მეტი ნიადაგი თავისი ნაყოფიერების განმსაზღვრელი ღირსებების (შ. გვაზავა, ო. ღორჯომელაძე, 1989). ბოლო 70-80 წლის განმავლობაში შიდამთიანი აჭარის სახნავებიდან თითქმის მთლიანად ჩამოირეცხა ნიადაგის ზედა ნაყოფიერი 10-15 სმ სისქის ფენა. ყოველივე ზემოთ განხილულის შემდეგ ლოგიკურია, რომ გაუარესდა ნიადაგის ნაყოფიერების მაჩვენებლები. ეროზიული პროცესების ინტენსიური განვითარების შედეგად, ასევე ნახირისა და ფარის დაურეგულირებელი ძოვებისას ათასობით ჰექტარი სახნავები, ბუნებრივი მდელოები და სათიბ-საძოვრები გადავიდა ნაკლებად ნაყოფიერი და მიგდებული მიწების კატეგორიაში. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შედეგად შიდამთიანი აჭარის ბუნება და გარემო მნიშვნელოვნად დაბინძურებული აღმოჩნდა, უფრო მეტიც აქედან ჩამომდინარე მდ. აჭარისწყალი თავისი შენაკადებით აბინძურებს ჯერ მდინარე ჭოროხს, ხოლო შემდეგ შავ ზღვას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გასაგები ხდება, რომ მცირემიწიანი და ჭარბად დასახლებული მთიანი აჭარის მიწათმოქმედთათვის ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის და სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული, ე. წ. მიგდებული (მიტოვებული) მიწების კვლავ ათვისება-გამოყენებით საკითხი უპირველესი და უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელიც დიდად განსაზღვრავს მოსახლეობის მთაში დამაგრებას, მათი ცხოვრების დონის ამაღლებას და რაც მთავარია, მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შიდამთიანი აჭარა შედგება სამი ადმინისტრაციული რაიონისაგან (ქედა, შუახევი, ხულო) და ხასიათდება რთული რელიეფურ-კლიმატური პირობების, სახნავად ვარგისი მიწების სიმცირის, ეროზიისა და სხვა ეგზოგენური გეომორფოლოგიურ-გეოლოგიური პროცესების ინტენსიური განვითარების, ხანგრძლივი (ზოგან 5-7 თვიანი), დიდთოვლიანი ზამთარისა და მდ. აჭარისწყლის ხეობის შუა ნაწილში ხშირი გვალვების. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებს ქმნის მოსახლეობისთვის, ფერმერული მეურნეობებისთვის. დღეისთვის სოფლის მეურნეობის დარგებიდან აქ ძირითადად განვითარებულია სამთო მეცხოველეობა და მემცენარეობა. ბოლო ასწლეულებში ეროზიული პროცესების გააქტიურებამ გამოიწვია საშუალოდ და ძლიერ ჩამორეცხილი ნიადაგების მოცულობის მკვეთრი გაზრდა ერთ დროს ნაყოფიერი სახნავი ფართობების ხარჯზე, ხოლო ძლიერ ჩამორეცხილი ნიადაგები, რომლებიც ათვისებული იყო ერთწლოვანი სათოხნი კულტურების ქვეშ, პერმანენტულად გადადიოდნენ მიტოვებული, მიგდებული მიწების კატეგორიაში. აღნიშნული პროცესი იწვევდა ერთის მხრივ სახნავი ფართობების შემცირებას, მეორეს მხრივ კი მოსახლეობა და სახელმწიფო იძულებული იყვნენ სხვადასხვა სავარგულების ქვეშ აეთვისებინათ ახალი ნაკვეთები უპირატესად ძლიერ დაქანებულ ფერდობებზე. რამდენიმე (10-20) წლის შემდეგ ახლად დამუშავებულ ნაკვეთებზე არსებული ნაყოფიერი სახნავი მიწები ეროზიის განვითარების შედეგად კვლავ გადადიოდა დაბალი ღირსების სავარგულებში (საძოვარი, სათიბი) – შემდგომში კი მიტოვებულ-მიგდებული მიწების კატეგორიაში და ასე წლითიწლობით მატულობდა და მატულობს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული ნაკვეთების რაოდენობა. მოგვიანებით მასზე სახლდება სარეველები და უვარგისი ბუჩქნარები. ეროზიის განვითარების ინტენსივობისა და ნიადაგის ეროზირების კატეგორიის შესაბამისად, კლებულობს წარმოებული კულტურების მოსავლიანობაც, იზრდება მიღებული პროდუქციის თვითღირებულება და შესაბამისად მცირდება ფერმერის შემოსავლები. უარესდება და იძაბება ეკოლოგიური სიტუაცია.

შიდამთიანი აჭარის (ქედა) ძირითად სოფლებში ფერმერული მეურნეობები განთავსებულია ყვითელ-ყომრალებზე, უფრო მაღალ ზონაში (შუახევი, ხულო) კი ყომრალ ნიადაგებზე. აღნიშნული ნიადაგები ხასიათდებიან შედარებით მსუბუქი მექანიკური შედგენილობით და კარგი წყალგამტარობით, რის გამოც მათი ტენტევადობა დაბალია, გამოშრობის ინტენსივობა კი მაღალი. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა საკმაოდ მაღალია და ისინი თითქოს კიდეც უნდა უზრუნველყოფდნენ სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ტენის მომარაგებას მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში, მაგრამ ნიადაგის მაღალი წყალგამტარობა და დაბალი ტენტევადობა, ამათთან მათი არათანაბარი განაწილება წლის პერიოდებისა და სეზონების მიხედვით (ისინი მეტია შემოდგომა-ზამთარსა და ადრე გაზაფხულზე და ნაკლებია სავეგეტაციო პერიოდში) ხელს უწყობს ტენის დეფიციტური რეჟიმის ჩამოყალიბებას ზაფხულის თვეებში. შედეგად ამისა აუცილებელი ხდება მელიორაციული ჩარევა – ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და კულტურების მორწყვის მიზნით.

რადგანაც აქ გავრცელებული ეს ნიადაგები საშუალოდ და ძლიერ ეროზირებულია, თავისთავად მოითხოვენ ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების უცილობელ გატარებას და დაკარგული ნაყოფიერების აღდგენასაც. მასზე წარმოებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაც საშუალოზე დაბალი ან ძალზე დაბალია, სადაც ძირითადად დომინირებს ხელის (კუნთური) შრომა, რაც კიდევ უფრო ზრდის ერთეული მიღებული პროდუქციის თვითღირებულებას. ცდის შედეგების ანალიზით ირკვევა, რომ შიდამთიანი აჭარის ფერმერული მეურნეობები გადაუდებლად საჭიროებენ მეცნიერულად დასაბუთებულ, გონივრულ სამთო მიწათმოქმედებაზე და ემპირიულ მონაცემებზე დაფუძნებულ ეროზიასაწინააღმდეგო და ნიადაგის დაკარგული ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებითი ღონისძიებების განხორციელებას, რაც შემდგომში დადებითად წაადგება არამარტო ამ რეგიონის, არამედ მთლიანად ქვეყნის მაღალმთიანი ზონებისა და რაიონების გლეხურ საწარმოებს. ამ დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს ისიც, რომ ჩვენს მიერ რეკომენდირებული ღონისძიებები არ მოითხოვენ დიდ კაპიტალდაბანდებას და გახლავთ გარემოსადმი ნაკლებად მავნე, მაგრამ დიდად ეფექტური. გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან ცდის თემატიკაში ჩართული გვქონდა ერთწლოვანი სათოხნი კულტურების (სიმინდი, კარტოფილი, თამბაქო) შიდამთიანი

აჭარის ფერდობებზე წარმოების თავისებურებების შესწავლა, ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის, ასევე მისი დაკარგული ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება, მყარი, უხვი და მაღალხარისხოვანი მოსავლის მიღების უზრუნველყოფა, გარემოსადმი ნაკლებად მავნე სამთო მიწათმოქმედების სისტემების შემუშავება-დანერგვა. ამჯერად წარმოვადგენთ მასალებს სიმინდის კულტურასთან დაკავშირებით.

ჩვენი ქვეყნის მარცვლეულის ბალანსში სიმინდს, როგორც მრავალმხრივ სასარგებლო კულტურას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სიმინდს, რომელიც საქართველოს მეტად განსხვავებულ ბუნებრივ პირობებში მოგვყავს, ვიყენებთ სასურსათო პროდუქტად,

პირუტყვის საკვებად, აგრეთვე ტექნიკური მიზნებისთვის. რადგანაც დიდია სიმინდის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, ამიტომაც ის მსოფლიოს თანამედროვე მიწათმოქმედებაში წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად კულტურას. სიმინდის მოსავლის 59% ადამიანის საკვებად, 15-20% ტექნიკური მიზნებისთვის, დანარჩენი კი პურუტყვის საკვებად გამოიყენება. სიმინდის მარცვლის შემადგენლობაში შედის 65-70% ნახშირწყლები, 9-12% ცილები, 4-8% ცხიმები. ის აგრეთვე შეიცავს მინერალურ მარილებს და ვიტამინებს. მისი მარცვლიდან ღებულობენ: ფქვილს, ბურღულს, ამზადებენ კონსერვს, სახამებელს, ეთილის სპირტს, დექსტრინს, ლუდს, გლუკოზას, შაქარს, ბადაგს, სიროფს, თაფლს, ვიტამინი C-ს (ასკორბინმჟავა) და სხვა ნივთიერებებს. ყვავილის მტვერი გამოიყენება მედიცინაში. ღეროს, ფოთლებისა და ტაროს ჩენჩოსაგან ამზადებენ ქაღალდს, ვისკოზას აქტივირებულ ნახშირს, ხელოვნურ საცობებს, პლასტმასებს და ა. შ. სიმინდის მარცვალი წარმოადგენს მაღალი ხარისხის საკვებ ნივთიერებას, მარცვლის ყოველი კილოგრამი 1,34 საკვებ ერთეულს და 78 გრამ მონელებად პროტეინს შეიცავს.

ყოფილ საბჭოთა კავშირში სიმინდს, როგორც საკვებ კულტურას პირველი ადგილი ეჭირა. სიმინდის ცვლისებური სიმწიფის ფაზაში დასილოსებული ყოველი 100 კილოგრამი შეიცავს 1 საკვებ ერთეულს და 1800 გრამამდე მონელებად პროტეინს. სიმინდი გამოიყენება აგრეთვე მწვანე საკვებად.

სიმინდი, როგორც სათოხნი კულტურა, წარმოადგენს საუკეთესო წინამორბედს თესლბრუნვაში, ის ასუფთავებს მინდორს სარეველებისაგან, სიმინდს იყენებენ, როგორც საუკეთესო კულისურ მცენარეს. სიმინდი ერთ-ერთი უძველესი კულტურაა, მის სამშობლოდ ითვლება ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა. ევროპის ქვეყნებში შემოტანილი იქნა მე-15 საუკუნის ბოლოს, რუსეთში კი მე-17; საუკუნეში, ჩვენს სამშობლოში პირველად მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში იქნა შემოტანილი, ხოლო ქვეყნის დასავლეთ ნაწილში კი მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში გავრცელდა. ასე, რომ სიმინდი დიდი ხანია შეეგუა საქართველოს მიწას, იგი გულით შეიყვარა ქართველმა გლეხკაცმა. ამ ძვირფასმა კულტურამ საქართველოში ფაქტობრივად მეორე სამშობლო ჰპოვა და ყველას მოწონება დაიმსახურა და სწორედ ამიტომაც ჩვენს ქვეყანაში მას ყურადღებაც არ მოჰკლებია. ჩვენთან ხალხური სელექციის შედეგად შეიქმნა ისეთი ჯიშ-პოპულაციები, რომელთა მსგავსი თვით მის სამიობლოშიც კი არ მოიძებნება. ქართველმა მეცნიერებმა (საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში) კი შექმნეს უნიკალურად ახალი ჯიშები.

ასე, რომ საინტერესო და მრავალმხრივ ყურადსაღებია სიმინდი საქართველოს მცხოვრებთათვის. პურეული მარცვლოვნებისაგან სიმინდი განსხვავდება იმით, რომ მას აქვს ერთსქესიანი ყვავილები. სიმინდი გაყოფილ სქესიანი და ერთბინიანი (ერთსახლიანი) მცენარეა. მამრობითი ყვავილები განვითარებულია მცენარის კენწეროზე-ქოჩოჩის (საგველას) სახის, ხოლო მდედრობითი კი ფოთლის იღლიაში – ტაროს სახით. სიმინდს გააჩნია ერთლებნიანი მარცვალი. მარცვლის ფორმის, ქიმიური შედგენილობისა და შინაგანი აგებულების მიხედვით, გავრცელებულია: კაჟა, კბილა, ტკბილი, რბილი, ბუშტარა, ცვილა და კილიანი სიმინდი. როგორც ყველა ერთლებნიან მცენარეს, სიმინდსაც გააჩნია ფუნჯისებური ფესვთა სისტემა; მისი დამუხლული და საკმაოდ მაღალ მოზარდი ღერო სწორმდგომია და ღრუიანია. ღერო ამოვსებულია გულგულით; მორიგეობით განლაგებული მისი ლანცეტისებური გრძელი და საკმაოდ ფართო ფოთლები ღეროზე მიმაგრებულია ფუძით და მასზე შემოხვეულია ხალთათი ანუ ვაგინათი. ფოთოლს შუაზე მთელს სიგრძეზე გასდევს ღარი. ყოველივე ეს კი საშუალებას იძლევა იმისას, რომ სავეგეტაციო პერიოდში სიმინდის მცენარემ მაქსიმალურად დაფაროს ნიადაგის ზედაპირი და მისთვის განკუთვნილი კვების არე, ამით კი ხელი შეუშალოს წვიმის წვეთების უიუალოდ მიწის ზედაპირზე დაცემას და კოშტების (აგრეგატების) დაშლა-დაქუცმაცებას და ზედაპირულად ჩამონადენი წყლების მიერ ატივნარება-ჩამორეცხვას. სიმინდი წარმოადგენს სითბოსმოყვარულ კულტურას, მისი თესლის აღმოცენებისთვის საზიროა 15-10-12^0 ტემპერატურა. მცენარის ზრდა-განვითარების ოპტიმალურ ტემპერატურას წარმოადგენს 25-30^0. 2-3^0 ტემპერატურა ახალგაზრდა აღმონაცენს აზიანებს, ადრე მწიფადი ჩრდი-

ლოეთის ჯიშები უკეთესად იტანენ დაბალი ტემპერატურების გავლენას. სიმინდისთვის საშუალო ტემპერატურულ მინიმუმად 10^0 ითვლება, რომლის ქვემოთ მცენარე ზრდა-განვითარებას აჩერებს. საადრეო ჯიშების მომწიფებისთვის აქტიური ტემპერატურათა ჯამი $1800\text{-}2000^0$, საგვიანო ჯიშებისათვის კი $2300\text{-}2600^0$ გრადუსია.

ტენისადმი დამოკიდებულების მიხედვით სიმინდი მიეკუთვნება შედარებით გვალვაამტან მცენარეთა რიცხვს, თუმცა მორწყვის პირობებში მისი მოსავლიანობა დიდად იზრდება. სიმინდი გვალვას კარგად იტანს დაქოჩრებამდე, ხოლო 10 დღით ადრე და დაქოჩრების შემდეგ პირველ 20 დღეს წყლის ნაკლებობას ვერ იტანს. ოპტიმალურ ტენიანობად ითვლება შეფარდებითი ტენიანობის 75-80%, სიმინდი ასევე ვერ იტანს ნიადაგში ჭარბ ტენიანობასაც. ამ დროს მოსავლიანობა ძლიერ ეცემა. ჭარბი ტენიანობისას ჟანგბადის ნაკლებობის გამო ჭიანურდება ფოსფორის შეთვისება, რის შედეგად ირღვევა მცენარეში ენერგეტიკული პროცესი და ნივთიერებათა ცვლა. სიმინდი წარმოადგენს მოკლე დღის, სინათლის მოყარულ მცენარეს, ჩქარა ყვავილობს 8-9 საათიანი განათებულობის პირობებში. 12-14 საათიანი დღის ხანგრძლივობის დროს ვეგეტაცია გრძელდება. სიმინდი განათებულობის განსაკუთრებით ინტენსივობას მოითხოვს ახალგაზრდა ასაკში.

სიმინდის ოპტიმალური კვების არეს განსაზღვრა ყოველთვის დიდი ინტერესით სარგებლობდა როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მომუშავე პრაქტიკოსთა, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა მხრიდან. ეს იმით არის გამოწვეული, რომ არც ერთი ნებისმიერი ხარისხის ჩატარებული აგროტექნიკური ღონისძიება არ იძლევა ჯეროვან ეფექტს თუ უზრუნველყოფილი არ არის ფართობის ერთეულზე მცენარეთა საჭირო რაოდენობის დგომა.

როგორც ცნობილია, კვების არის ცვლილებით იცვლება მცენარის მორფოლოგიური ნიშნებიც – სიმაღლე, ღეროს სისქე, ფოთლის ფირფიტის სიგრძე და სიგანე, ტაროებისა და ფოთლების რაოდენობა, მშრალი და სხვა ნივთიერების შემცველობა მარცვალში და ა. შ. სიმინდის კვების არის დასადგენად უამრავი ცდებია ჩატარებული როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. ვაკე რელიეფის პირობებში, იქ, სადაც სიმინდის როგორც თესვის, ისე სხვა ოპერაციების ჩატარება შესაძლებელია მექანიზებული წესით. იქ კვების არე სულ სხვაა და ფერდობებზე, ბუდნებში ან თესლის მობნევის თესვის დროს კვების არე განსხვავებული. ნიადაგდაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ფერდობებზე, მიწათმოქმედების პირობებში მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ როგორც მთაში, ისე ბარად მიწათმოქმედთა მთავარი ამოცანაა თითოეულ ჰექტარზე გვქონდეს მაღალმოსავლიან მცენარეთა შესაძლოდ დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა. ყოველი მცენარე საჭიროებს გარემო პირობების შესაფერის კვების არეს, რომელიც უზრუნველყოფს ამა თუ იმ კულტურის მაქსიმალურ მოსავლიანობას. მცენარის მიერ ზრდის ფაქტორების – სინათლის, სითბოს, ჰაერის, წყლისა და საკვების მოპოვების საუკეთესო პირობები კი მაშინ იქმნება, როცა ის ამ ფაქტორებით თანაბრადაა უზრუნველყოფილი.

მცენარეთა კვების არე ნათესში დამოკიდებულია თესვის წესზე. ისტორიულად მარცვლოვანთა ყველა კულტურა, ნებისმიერი რელიეფის პირობებში ხელით ითესებოდა, მაგრამ ამ წესს დადებითთან ერთად მთელი რიგი უარყოფითი მხარეებიც აქვს (მითუმეტეს თუ მას ასრულებს არაკვალიფიციური სპეციალისტი), იგი ვერ უზრუნველყოფს თესლის სწორ განაწილებას, არათანაბარია აგრეთვე თესლის ნიადაგში ჩაკეთებაც – ნაწილი ზედაპირზე რჩება, ნაწილი კი, პირიქით, მეტად ღრმად ექცევა, რაც ბევრ სხვა მიზეზთან ერთად დამოკიდებულია როგორც ნიადაგის ზედაპირის უსწორმასწორობაზე და ნიადაგის დამუშავების ხარისხზე, ისე თესლის ჩასათესად გამოყენებულ იარაღზე, მთესველის გამოცდილებაზე. ამ დროს იხარჯება მეტი სათესლე მასალაც.

ვაკე რელიეფის ურწყავ ადგილებში სიმინდის სიმარცვლედ მოყვანისას უპირატესობას ანიჭებენ პუნქტირებული თესვის წესს, თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 20-25,000 მცენარის შენარჩუნებით. თუმცა, სხვა ადგილებისათვის ვხვდებით მცენარეთა დგომის უფრო მაღალი სიხშირის რეკომენდაციებს, მაგრამ ამათთან ერთად მიუთითებენ, რომ დგომის სიხშირის 20,4 ათასიდან 40,8 ათასამდე გაზრდა 20-30 პროცენტით ამცირებს ფოთლების ზედაპირს. იგი უფრო აჩქარებს ქვედა ფოთლების შეხმობას, მაშინ როდესაც, მიღებული აზრის მიხედვით, ნებისმიერი აგროტექნიკური ღონისძიება ეფექტურია მხოლოდ ფოთლის ზედაპირის გაზრდისა და მათი მწვანე მდგომარეობაში დიდხანს შენარჩუნების პირობით. მას არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მოსავლის რაოდენობაზე, არამედ ხარისხზეც, მითუმეტეს ნიადაგდაცვის მხედველობაში მიღებით.

ვაკე და 8-10 გრადუსამდე დახრილ ფერდობებზე თუ ბევრ რეგიონებში ორიენტაცია ძირითადად პუნქტირული ნათესების უპირატესობაზე აქვთ გადატანილი, ფერდობებზე კვლავაც დომინირებს მობნევითი წესით თესვა. მთელ რიგ შემთხვევაში სიმინდის მცენარეთა დგომით სიხშირეს აკავშირებენ საგვიანო და საადრეო ჯიშების ერთმანეთთან შერევის მიზანშეწონილობასთან, მაგრამ შიდამთიანი აჭარის პირობებში ასეთმა ნათესებმა ჯერჯერობით ვერ გამოავლინეს სხვა ადგილებში შენარჩუნებული უპირატესობანი.

ვაკე ფართობების სიმცირის გამო ჩვენს პირობებში ვინაიდან სიმინდის წარმოება შეზღუდულია, მოსახლეობის მისდამი მზარდი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, იძულებული ვართ სათოხნი კულტურებისთვისაც კი გამოვიყენოთ 15^0-ზე მეტად დახრილი ფერდობები, ამიტომ (1983 წლიდან) მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა სიმინდის სათესი ფართობის გადიდების გზები 25^0-მდე დახრილი, გადარეცხილი, „მიგდებული“ და სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული ნაკვეთების ათვისების ხარჯზე სათანადო აგროტექნიკური მოთხოვნების მტკიცედ დაცვით.

ტერიტორიის შერჩევის შემდეგ ცდა დავაყენეთ სამჯერადი განმეორებით. ყოველი კოკისპირული წვიმისა და თოვლის დნობის შემდეგ ისწავლებოდა ნიადაგის მყარი ფაზის ხამორეცხვის ინტენსივობა, წყლის ზედაპირული და შიდანიადაგური (25 და 50 სმ სიღრმეებზე) ჩადინებები. ცდის ძირითად მიზანს შეადგენდა ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებებისა და ნაყოფიერების გაუმჯობესება, ასევე ეროზიის საწინააღმდეგო კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება. საცდელად შერჩეულ იქნა სამხრეთ-დასავლეთი ექსპოზიციის, ზღვის დონიდან

420 მეტრ სიმაღლეზე მდებარე 23-25^0 დახრილობის მქონე დარეცხილი ნაკვეთი, ჩაის, სუბტროპიკულ კულტურასა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების აჭარის საყრდენი პუნქტის ბაზაზე (ქედის რაიონი, სოფ. ზენდიდი). საცდელი ნაკვეთი ეროზიული პროცესების ზემოქმედებითა და ადამიანის მიერ არასწორი სამეურნეო გამოყენებით ნაყოფიერების გაუარესების გამო 25-30 წლის წინათ გამოვიდა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან და გადავიდა ე. წ. „მიგდებული“ მიწების კატეგორიაში, რომელზედაც თანდათანობით გავრცელდა სუსტად განვითარებული ტყის სარეველა მცენარეები. ნიადაგის თესვის წინა დამუშავება, სასუქების შეტანა, თესვა და ნათესარის მოვლა ტარდებოდა აგროწესებისა და ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებათა დაცვით. ნიადაგში შეგვქონდა აზოტოვანი სასუქი 150, ფოსფორიანი 90 და კალიუმიანი 45 კგ ჰექტარზე (წმინდა ელემენტის ანგარიშით). აქედან აზოტის დოზის 60% ძირითადი გამოკვების სახით, ხოლო ნახევრად გადამწვარი ნაკელი შეტანილ იქნა ცდის პირველსავე წელს ჰექტარზე 30 ტონა.

ცდის მრავალწლიური შედეგების მიხედვით აგროწესებისა და აგროტექნიკური მოთხოვნების დაცვით საკმაოდ მაღალია სიმინდის, როგორც მთლიანი ნედლი მასის, ისე ჰაერმშრალი მარცვლის გამოსავლიანობა. თითოეული მცენარის საშუალო სიმაღლემ 392 სმ-ს მიაღწია. მისი მთლიანი ნედლი მასის (ჩალის) რაოდენობა წლების მიხედვით ჰექტარზე 374,4-დან 419,9-მდე ცენტნერის ფარგლებში მერყეობს. ამის შესაბამისად განსხვავებულია ნედლი ჩალისა და ტაროს გამოსავლიანობაც. ეს უკანასკნელი კი პირდაპირ გავლენას ახდენს ჰაერმშრალი მარცვლის მოსავალზე, რომელიც წლების მიხედვით ჰექტარზე 59,1-დან 59,6-მდე ცენტნერის ფარგლებში მერყეობს. 1555 ცალი მარცვლის მასამ საშუალოდ შეადგინა 586 გრამი, ხოლო მიღებული მოსავლის ჰაერმშრალი მარცვლის რაოდენობამ კი 66,8 ც/ჰა. აღსანიშნავია, რომ სიმინდის მარცვლის საჰექტარო მოსავლიანობა ამ ზონის სხვადასხვა სექტორში 18-20 ცენტნერს არ აღემატება. მართალია, საქართველოს ბარის ალუვიურ მიწებზე წარმოებული სიმინდის მარცვლის საჰექტარო მოსავლიანობა უფრო მაღალია, მაგრამ მთიანი აჭარის ეროზირებული ფერდობების ნაყოფიერების გათვალისწინებით ჩვენი საცდელი ნაკვეთებიდან მიღებული მაჩვენებლები უდაოდ შთამბეჭდავია.

როგორც ვხედავთ ზემოხსენებული კატეგორიის მიწების ათვისებისა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების შემთხვევაში შიდამთიანი აჭარის პირობებში სიმინდის მარცვლის წარმოების გადიდების რეალური რეზერვები ისახება. სიმინდი, როგორც სწრაფადმზარდი მცენარე, მიწისზედა მასის მოკლე დროში ფარავს მიწის ზედაპირს, ხოლო ფესვთა სისტემით ამაგრებს ნიადაგს (მიწას) და ნიადაგდამცავი სხვა ღონისძიებების ფონზე იცავს მას დაშლა-ჩამორეცხვისაგან. ცდის მეთოდიკით გათვალისწინებული იყო ასევე სიმინდის მცენარის მიერ მიწის ზედაპირის საპროექტო დაფარულობის შესწავლა. „აჯამესის თეთრი“ ჯიშის სიმინდის თესლს ვთესავდით მობნევის ადრეულ ვადებში, 20-დან 25 აპრილამდე. მართალია, ახალ აღმონაცენის მიერ მიწის ზედაპირის დაფარულობა ძალზე დაბალია და იგი მაისში საშუალოდ 5%-ს შეადგენს, მაგრამ ინტენსიური განვითარების ივლისიდან დაწყებული მოსავლის აღებამდე (ოქტომბრის ბოლოს) სიმინდი მთლიანად ითვისებს კვების არეს და აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბერში მაქსიმალურად ფარავს მიწის ზედაპირს. აღნიშნულ ზონაში კოკისპირული წვიმები სწორედ ამ თვეებზე მოდის. ასე, რომ კარგად განვითარებული მიწისზედა მასის სიმინდის მცენარე ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებების ფონზე ნიადაგის ზედაპირს იცავს ეროზიული პროცესებისაგან. როგორც დავინახეთ, სიმინდის ნიადაგდაცვითი უნარიანობა სავეგეტაციო პერიოდში მჟღავნდება თანდათანობით. მაისიდან ის მატულობს და შემოდგომაზე აღწევს მაქსიმუმს. ეს უპირველესად აიხსნება იმით, რომ საშუალოდ ერთ მცენარეზე განვითარდა 19 ფოთოლი, რომელთა ფართობმაც მაისში შეადგინა 26,5 სმ^2, ივნისში – 157 სმ^2, აგვისტოში 620 სმ^2 და ოქტომბრის ბოლოს (მოსავლის აღების წინ) 820 სმ^2. მაისის ინტენსიური წვიმები სიმინდის ახალგაზრდა აღმონაცენებზე აქტიურად მოქმედებენ და ამიტომ წვიმის წვეთების საკმაოდ მაღალი კინეტიკური ენერგიის დამრტყმელი ძალები ადვილად იწვევენ ნიადაგის ჩამორეცხვებსა და წალეკვებს. აგვისტოში სიმინდის მცენარის პროექციული დაფარულობის სისრულე შეადგენს 80, სექტემბერ-ოქტომბერში კი 100%-ს.

სიმინდის ვარიანტზე თხიერი ზედაპირული ხამონადენის საშუალო მრავალწლიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 34,91 მმ/ჰა, რაც 74,04 მმ/ჰა-ით მცირეა, ვიდრე ნიადაგის სუფთა ანეულის საკონტროლო ვარიანტზე. ზედაპირული თხიერი ჩამონადენი კონტროლთან შედარებით იყო მნიშვნელოვნად დაბალი, სამაგიეროდ შიგანიადაგური (0-50 სმ სიღრმეზე) ჩამონადენი შეადგენდა 31,1 მმ-ს ანუ 42,5%-ის მეტს. ეს იმის აიხსნება, რომ სიმინდის როგორც ფოთლები, ისე ღეროები წარმოადგენენ ჩამონადენის დამაბრკოლებელს, რითაც ამცირებენ ფერდობზე ზედაპირული ჩამოდინების ინტენსიობას, ანუ მის აგრესიულ (საზიანო) ქმედებას და ადიდებენ, აძლიერებენ წყლის ინფილტრაციას და მის ნიადაგის პროფილში ჩადინების, ე.ი. ფერდობზე ზედაპირულად ჩამონადენი (გადმონადენი) წყალი გადაჰყავთ სასარგებლო, უვნებელ მდგომარეობაში.

საყურადღებოა, რომ ზედაპირულმა მყარმა (აბსოლუტურად მშრალ მასაზე გადაყვანის) ჩამონადენმა (ჩამონარეცხმა) სიმინდის ნაკვეთებზე საიუალოდ შეადგინა 3,47 ტ/ჰა, რაც 19,01 ტ/ჰა ნაკლებია, ვიდრე ნაკვეთის სუფთა ანეულის (მცენარეულობისაგან თავისუფალი) ვარიანტიდან. ეს მომენტი, რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები.

ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ერთწლოვანი სათოხნი კულტურები თავიანთი ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის მოითხოვენ ნიადაგის ხშირ გაფხვიერებას. გარდა ამითა, აჭარის მესიმინდეობის რაიონებში მაის-ივნისისა და შემოდგომის (მოსავლის აღების შემდეგ) ტრადიციული ხშირი და მაღალი ინტენსივობის მქონე წვიმების მოსვლის პერიოდში მიწის ზედაპირი თითქმის დაუცველი რჩება და ადგილი აქვთ ნიადაგის ინტენსიურ ჩამორეცხვებს. წვიმის წვეთები პირდაპირ ეცემიან რა ნიადაგის ზედაპირზე, იწვევენ მისი სტრუქტურული აგრეგატების დაქუცმაცებას, რითაც ხელსაყრელ პირობას

ქმნიან ეროზიული პროცესების ძლიერი განვითარებისთვის. ამიტომაა, რომ აჭარის ფერდობებზე ერთწლოვანი სათოხნი კულტურების (თამბაქო, სიმინდი, კარტოფილი, ლობიო და ა. შ.) თესვა-რგვა ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებების გამოყენების გარეშე მეტად საშიშ ხასიათს ატარებს და ფაქტობრივად დაუშვებელია.

დასკვნები, წინადადებები და რეკომენდაციები

1. ფერდობებზე წარმოებული მიწათმოქმედების პირობებში (მთაშიც, ბარადაც) ნიადაგის ყოველგვარი დამუშავება და თესვა-რგვითი ოპერაციები უნდა განვახორციელოთ დაქანების (დახრილობის) საწინააღმდეგო მიმართულებით ანუ პერპენდიკულარულად (კონტურულად);

2. შიდამთიანი აჭარის ფერმერულ მეურნეობებში სიმინდის, როგორც ერთწლოვანი სათოხნი კულტურის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიაში მოსავლის აღების შემდეგ (შემოდგომით) უნდა გავითვალისწინოთ ცერცველა-შვრიას ნარევის მოზამთრე-შუალედური კულტურების სახით წარმოება, რაც საშუალებას მოგვცემს მიწის ერთსა და იმავე ფართობზე წელიწადში მივიღოთ სულ ცოტა ორი მოსავალი და წლის ეროზიასაშიშ პერიოდებში ნიადაგი დავიცვათ გადარეცხვისაგან. ბალახნარევების მოსავალს კი შეხედულებისამებრ გამოვიყენებთ სიდერატებად, მულჩად ან პირუტყვის საკვებად.

3. შიდამთიანი აჭარის დახრილ ფერდობებზე სიმინდის მონოკულტურის შეწყვეტის მიზნის, ამათთან თესლბრუნვების დანერგვასთან დაკავშირებული სიძნელეების მხედველობაში მიღებით, პრაქტიკაში შემოღებული უნდა იქნეს ერთწლოვანი სათოხნი კულტურების მორიგეობა მრავალწლოვანი მარცვლოვან-პარკოსანი ბალახნარევების ნათესებთან.

4. 15 გრადუსზე მეტად დახრილ ფერდობებზე ერთწლოვანი სათოხნი კულტურების წარმოების დროს ეროზიული პროცესების შესაზღუდავად აუცილებელ ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ ფერდობების დაქანების გარდიგარდმოდ მრავალწლოვანი მარცვლოვან-პარკოსანი ბალახნარევებისაგან 0,5 მეტრის სიგანის ბუფერული ზოლების შექმნა ყოველი 7-10 მეტრის დაცილებით; ფერდობის დახრილობის მხედველობაში მიღებით მოვაწყოთ წყალმარეგულირებელ არხთა ქსელი ყოველი 15-20 მეტრის დაშორებით. სათოხნი კულტურები განვალაგოთ ბუფერულ ზოლებს შორისებში დაქანების საწინააღმდეგო მიმართულებით, ხოლო სადაც ხვნის, თესვა-რგვისა და სხვა ოპერაციების შესრულება ნაკვეთის მკვეთრი დაქანების გამო შეუძლებელი ხდება, ასეთ ადგილებში ერთწლოვანი სათოხნი კულტურების წარმოება, როგორც წესი, უნდა შეწყდეს, აიკრძალოს.

5. იუალედური კულტურების წარმოება მიზნობრივად უნდა შევუფარდოთ ძირითადი კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიას, რათა შევინარჩუნოთ ნიადაგის ნაყოფიერება და ვიზრუნოთ მისი კიდევ უფრო ამაღლებისათვის.

6. ნიადაგის გადარეცხილობის (სუსტად, საშუალოდ, ძლიერ) მიზეზით კულტურათა მოსავლიანობის კლების გათვალისწინებით დანახარჯები ერთეული პროდუქციის წარმოებაზე შეადგენენ ცალკეულ ფერმერთა შემოსავლის 40%-ს, ჩვენს მიერ რეკომენდირებული ზემოთ ხსენებული ღონისძიებების განხორციელების აღნიშნული დანახარჯები შეიძლება თავიდან ავიცილოთ და მივიღოთ მაღალი ეკონომიკური ეფექტი. – ნიადაგის დაკარგული ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებისა და ეროზიისაგან დასაცავად მიმართულ ყოველ ღონისძიებას მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით კი არ უნდა ვაფასებდეთ, არამედ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რათა მიწა-ქვეყნის მარჩენალი, გავხადოთ უფრო ნაყოფიერი და ხვავიან-ბარაქიანი. ამდენად, აჭარის სამთო მიწათმოქმედების წარმოებაში გატარებული ყველა ღონისძიება, აგროტექნიკური ხერხი თუ ტექნოლოგიური პროცესის გამოყენება უნდა დავუქვემდებაროთ ერთ ძირითად მიზანს – შევანელოთ და თანდათანობით აღვკვეთოთ ნიადაგის ეროზიული პროცესები, გავადიდოთ წარმოებული კულტურების, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლები და შრომა გავხადოთ რენტაბელური. ყოველგვარი პირობები შევქმნათ იმისათვის, რომ მოსახლეობას მთაშიც ჰქონდეს ცხოვრების ნორმალური პირობები, ადგილზევე დასაქმდეს და სოფელს არ დავუკარგოთ ის ისტორიული მისია, როდესაც მშრომელი კაცი მიღებული მოსავლით აკმაყოფილებდა საკუთარ ოჯახსაც და ჭარბი პროდუქცია გაჰქონდა ბაზარზე, ამარაგებდა ქალაქებსა და სხვა სამრეწველო ცენტრებს.

და ბოლოს, ადამიანთა მოდგმას ურთიერთსიყვარულის, მიმტევებლობის, პატივისცემის და ტოლერანტობის, კეთილსინდისიერი შრომისა და ცოდნის, ღვთის მორჩილებით და ა. ი. ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პატივისცემით ყოველგვარი მტერის დამარცხება შეუძლია, მაგრამ კაცობრიობას, დედამიწას (სამყაროს) დღემდე ტანჯავს ულმობელი და „დაუძინებელი“ მტერი – ნიადაგის ეროზია, რომელიც გამუდმებით ქლიბავს და ხერხავს ნიადაგს – ჩვენს მარჩენალს და ხელიდან გვაცლის ფასდაუდებელ სიმდიდრეებს, რომლის წინააღმდეგაც ერთობლივი, მიზანდასახული ბრძოლა პლანეტის თითოეული მაცხოვრებლის, ყოველი ჩვენთაგანის უპირველესი ვალია.

OTAR GORJOMELADZE
Member-correspondent of the Academy
of Agricultural Sciences
Doctor of Agricultural Sciences

PUBLIC-AGRICULTURAL IMPORTANCE OF CORN AND THE RESULTS OF A STATIONARY RESEARCH ON INTRA-MOUNTAINOUS AJARA'S ERODED FLANKS

Majority of farmlands in Adjara's seaside as well as mountaneous regions suffer from medium or high erosion. Long-term heavy rains are common at all seasons of the year. These rains intensify tearing apart of the upper layer of the ground and worsen its fertility from year to year. Therefore it is neccessary to undertake scientifically proven anti-erosion activities. Traditionally, intra-mountaneous Adjarian villages produce annual crop plants (corn, tobacco, potato, beans) without resorting to any anti-erosion activities. Existing cropping techologies greatly contribute to erosion processes.

ОТАР ГОРДЖОМЕЛАДЗЕ
доктор СНХ наук,
член-корреспондент Академии
наук сельского хозяйства Грузииу

НАРОДНО-ХОЗЯЙСТВЕННОЕ ЗНАЧЕНИЕ КУКУРУЗЫ И РЕЗУЛЬТАТЫ СТАЦИОНАРНЫХ ОПЫТОВ НА ЭРОДИРОВАННЫХ СКЛОНАХ ВНУТРИГОРНОЙ АДЖАРИИ

Резюме:

В статье рассмотрены вопросы о народно-хозяйственном значении культуры кукурузы и приведены данные проведенных стационарных опытов на эродированных склонах с уклоном 12-1:9 во Внутригорной Аджарии в течении многих лет 9с h9;2 гу5 над этой ценнейшей культуройb а также проведены конкретные противоэрозионные мероприятияу

ლერი გიგინეიშვილი
აკადემიკოსი, „ფერმერთა სახლის“ დირექტორი

უაკ (UDC) 631.115.1

ფერმერული მეურნეობის პერსპექტივები

აგროსამრეწველო კომპლექსში მეწარმეობის მცირე ფორმებს, როგორიცაა ფერმერთა მეურნეობები, შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ ქვეყნის სასურსათო პროდუქციით უზრუნველყოფაში, ახალი სამუშაო ადგილების რეალურად შექმნაში, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ღირსეული საარსებო სივრცის და რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფაში.

ზოგიერთ აქტუალურ საკითხებზე გავესაუბრეთ “საქართველოს ფერმერთა სახლის“ დირექტორს, აკადემიკოს ლერი გიგინეიშვილს.

ბ-ნო ლერი, რას წარმოადგენენ დღეს ფერმერული მეურნეობები და რა მოცულობის პროდუქციას აწარმოებენ?

გამიჭირდება ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა, რადგან არ არსებობს დეფინიცია: რა არის ფერმერული მეურნეობა? საბაზრო ეკონომიკაში მიღებული კლასიფიკაციით იგი მიეკუთვნება “შინა მეურნეობის” სექტორს და სტატისტიკურად ცალკე გამოყოფილი არ არის. ფერმერული მეურნეობა უნდა იყოს სინონიმი გლეხური მეურნეობისა, რადგან თანამედროვე პირობებში ქალაქში მცხოვრებ მოსახლეობის დიდ ნაწილს უკვე გააჩნიათ სავარგულები და ისინი ეწევიან შეძლებისადაგვარად სასოფლო-სამეურნეო საქმეანობას, ამიტომაც ამ შემთხვევაში უფრო მისასადაგებელია ტერმინი “ფერმერული მეურნეობა”. ჩემი აზრით იგი წარმოადგენს ეკონომიკურ ერთეულს, რომელიც ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ ეწევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, გააჩნიათ მფლობელობაში სავარგული ან ტყის ფართობი (საკუთარებაში, იჯარით სარგებლობაში ან სხვა ფორმით) და სხვა აქტივები. აქ მნიშვნელობა არ აქვს ამ ერთეულის ზომას, იურიდიულ სტატუსს და წარმოების მიზნებს: საკუთარი ოჯახისთვის მიხმარებისთვის თუ ხდება მისი რეალიზაცია. “მეწარმეობის შესახებ” კანონის თანახმად ხშირ შემთხვევაში სამართავად მოსახერხებელია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფორმა. დღეისათვის საქართველოში 80-85% სავარგულებისა კერძო პირებს უკავიათ, და მათი რაოდენობა მოსახლეობის 62-65%-ია, ხოლო წარმოებული პროდუქციის წილი 2008 წლის მონაცემებით წარმოადგენს 11%-ს, დანარჩენი იმპორტია. ეს არცთუ ისეთი სახარბიელო სურათია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ფერმერული მეურნეობების წარმატებული საქმიანობით შესაძლებელია აგრარული პროდუქციის იმპორტის წილის შემცირება 45%-ით.

რა პრობლემები უშლის ხელს ფერმერული მეურნეობების განვითარებას?

სპეციფიკიდან გამომდინარე ძნელია გამოყო ძირითადი, რადგან ერთდროულად უნდა წყდებოდეს ყველა ის ამოცანა დიდი იქნება თუ პატარა, რომელიც სურსათის წარმოების, გდამუშავების და რეალიზაციის პროცესთან არის დაკავშირებული. უპრიანია პრობლემების გამომწვევ მიზეზებზე ვისაუბროთ:

- მოშლილია აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ვერტიკალი და რეგიონალური დონე; - გავხდით რა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა, რაც უდაოდ დიდი მონაპოვარია, არ იქნა ჯერეონად გამოყენებული ეს სტატუსი მაგალითად საექსპორტო პროდუქციის ნომენკლატურით შესაბამისი საექსპორტო ქვოტების ათვისებაში. ამან გამოიწვია იაფი-დაბალხარისხიანი პროდუქციის დიდი ოდენობით იმპორტით შემოდენა, მკვეთრად გაუარესდა ქვეყნის საგადამხდელო ბალანსი, დაცარიელდა სოფლები, ზარალიანი გახდა მიწაზე მუშაობა. – უკიდურესად ჩამორჩა მეცნიერულ-ტექნოლოგიური და ტექნიკური სფერო, შეიქმნა პროფესიული კადრების დეფიციტი ყველა დონეზე. – გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ უფრო გააუარესა და პრაქტიკულად შეაჩერა ფერმერთა დაკრედიტება ბანკების მიერ, არ მოქმედებენ აგრეთვე სხვა ფინანსური პაკეტები: სუბსიდიები, ლიზინგის ფორმები, მოსავლის დაზღვევა და სხვა.

საკმაოდ მძიმე სურათია, ეს ყველაფერი ხომ არ ნიშნავს, რომ ფერმერულ მეურნეობებს პესპექტივა არ გააჩნიათ საქართველოში?

ჩვენი ქვეყნის გეო-კლიმატური პირობები და ძირძველი ტრადიციები მყარ ნიადაგს იძლევა მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების განვითარებისთვის. შესარჩევია ამ პროცესის ეკონომიკურ-ორგანიზაციული მართვის პრინციპები, გასაზიარებელია მთელი რიგი ქვეყნების მიღწევები და გამოცდილება ამ სფეროში: ბულგარეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, თურქეთი, იტალია, უკრაინა და სხვა, სადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში ლომის წილი უკავია ფერმერულ და გლეხურ მეურნეობებს. ამავდროულად სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დაახლოებით 65% დასაქმებულია ამ სფეროში. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც სხვადასხვა ფორმით დიდი მხარდაჭერა აქვთ სახელმწიფოსაგან, საქართველოში ფერმერული მეურნეობები ბედის ანაბარად არიან მიტოვებულნი. მექანიზაციის დაბალმა დონემ და ელემენტარული სერვისული მომსახურების არ არსებობამ სოფლად არაკონკურენტუნარიანი გახადა როგორც მემცენარეობის, ისე მეცხოველეობის მიმართულებით დასაქმებულთა შრომა. ალბათ, ამით აიხსნება მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის დაბალი ინტერესი აგრარული ბიზნესის მიმართ.

"საქართველოს ფერმერთა სახლის" საქმიანობა რამდენად უწყობს ხელს ფერმერული მეურნეობების პოპულარიზაციას?

ჩვენ წარმოვადგენთ არასამთავრობო ორგანიზაციას –კავშირს, რომლის დანიშნულებაა ახალი აპრობირებული ტექნოლოგიების გავრცელება საქართველოში და დაარსებიდან ხუთი წლის განმავლობაში რამოდენიმე საინტერესო პროექტი დავამუშავეთ და დავნერგეთ ქვეყნის სხვადასხვა რაიონში. კავშირის ორგანიზაციული სტრუქტურა ითვალისწინებს საქმიანობის გაფართოებას რეგონალური ფილიალების შექმნითა და ადგილობრივი კადრების მოზიდვით. ფილიალების ორგნიზაცულ-ფუნქციური მოდელი აპრობირებული გვაქვს რამდენიმე რაიონში. ძირიადი იდეა რეგიონალური ფილიალების ქსელის შექმნისა მდგომარეობს იმაში, რომ მოსახლეობის ნებისმიერი ფენისთვის ხელმისაწვდომი იყოს მომსახურების ფართო სპექტრი: საინფორმაციო-საკონსულტაციო, პროფესიული სწავლება-ტრენინგი, ბიზნეს-გეგმების შედგენა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და ეს ყველაფერი "ერთი ფანჯრის" პრინციპით უნდა ხორციელდებოდეს. თანამედროვე კომპიუტერული საკომუნიკაციო ქსელების პირობებში ძნელი არაა რეგიონალური ფილიალების ერთ კორპორატიულ ქსელში გაერთიანება და სისტემაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური და ინტელექტუალური რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია.

გასაკვირია ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობების ინერტულობა მსგავსი ტიპის მომსახურების, საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების შექმნის მხარდაჭერაში – ეს ხომ მათი ერთერთი ძირითადი საზრუნავი უნდა იყოს.

რა შეიძლება "საქართველოს ფერმერთა სახლმა" შესთავაზოს კონკრეტულად ფერმერებს აგრობიზნესის სფეროში, თუ შეგიძლიათ რამდენიმე მაგალითის მოყვანა?

ბოლო წლებში "საქართველოს ფერმერთა სახლმა" რამდენიმე სასარგებლო მოდელი შექმნა და წარმატებით დანერგა რამდენიმე რაიონში. ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით ფერმერულ მეურნეობებზე, მათ მოტივაციაზე, მიზნებზე, ბიზნეს-გამოცდილებაზე და სხვა. ასე მაგალითად, დახურული გრუნტის მემცენარეობა, ანუ სასათბურე მეურნეობა უნდა აინტერესებდეს პრაქტიკულად ყველა ოჯახს, ვისაც გააჩნია სავარგული (საკუთრება, იჯარით, საკარმიდამო ან სააგარაკო ნაკვეთი). ჩვენი ორგანიზაციის მიერ დამუშავებულია ორიგინალური კონსტურქციის მინისათბური "ჩიორა-1", რომელშიც ფერმერმა შეიძლება წლის განმავლობაში ორი მოსავალი მიიღოს (ბოსტნეული, ბაღჩეული, მარწყვი, ყვავილები და სხვა). გათვალისწინებულია მცენარეთა ზრდის პროცესში ავტომატური წვეთოვანი მორწვის რეჟიმი, როდესაც თვითეული მცენარის ფესვთა სისტემა უშუალოდ ღებულობს საჭირო რაოდენობის წყალს, რომლის მიწოდებაც ხდება დადგენილი პერიოდულობით. ასეთ პირობებში მცენარეები თანაბრად ვითარდებიან, მოსავლიანობა იზრდება 1,8–2 ჯერ, მინიმუმამდეა დაყვანილი ხელით შრომა. მცენარეებს ნაკლებად უჩნდებათ სოკოვანი დაავადებები, რადგან წვეთოვანი მორწყვისას ფოთლები არ სველდებიან. სარწყავ სისტემაში შესაძლებელია სპეციალური ბიოსტიმულატორების შეტანა, როგორც წესი არ გამოიყენება ქიმიური პრეპარატები და მიღებული ნაყოფი მიეკუთვნება ეკოლოგიურად სუფთა პოდუქციას.

მეორე მაგალითია მეცხოველეობის დარგიდან. 2007-2008 წლებში ჩვენს მიერ დამუშავდა აქსელერა-

ციული მებოცვრეობის მინიფერმის კონსტრუქცია (ი. მიხაილოვის ტიპის), რომელიც პრინციპულად განსხვავდება ტრადიციული მებოცვრეობის ფერმებისაგან. მთავარი განსხვავებაა ის, რომ მინი ფერმაში ბოცვრების აქსელერაციული, ანუ დაჩქარებული ზრდა ხორციელდება. ცხოველები ორჯერ სწრაფად იზრდებიან და აღწევენ ნომინალურ წონას საკვების ხუთჯერ ნაკლები დანახარჯით. უმაღლესი ხარისხის ხორცთან ერთად მიიღება შინშილას ტიპის ძვირფასი ბეწვი, რომელიც გამოირჩევა მდგრადობით და ხარისხით.

ამის მიღწევა ხდება იმის ხარჯზე, რომ მინი ფერმაში გათვალისწინებულია მცენარეული (ბალახი, თივა, ბოსტნეულის ნარჩენები) და კომბინირებული საკვების, აგრეთვე წყლის ავტომატური მიწოდება 24 საათის განმავლობაში. ცხოველები განუწყვეტლივ იკვებებიან დღე-ღამის განმავლობაში და მაქსიმალურად ითვისებენ საკვებ ერთეულებს. აღსანიშნავია, რომ აქსელერატ ბოცვერებს მაღალი იმუნიტეტი გააჩნიათ და არ საჭიროებენ ვაქცინაციას-პრაქტიკულად არ ავადდებიან! გამოყენებული ტექნოლოგია აკმაყოფილებს უმაღლეს სანიტარულ ნორმებს, ხდება ცხოველების გამონაყოფის ექსკრიმეტების სრული უტილიზაცია შემდგომში ბიოჰუმუსის-მაღალეფექტური სასუქის მისაღებად. საქართველოს ნებისმიერ კლიმატურ ზონაში შესაძლებელია მინი ფერმების ექსპლოატაცია მთელი წლის განმავლობაში. როგორც ეკოლოგიურად სუფთა წარმოება, მინი ფერმების განთავსება შეიძლება საკურორტო დასახლებებში, აგროტურიზმის ობიექტებზე, სასწავლო დაწესებულებების ტერიტორიებზე. ერთდროს აღმავლობაში მყოფი საქართველოს მებოცვრეობა ფერმერების ძალისხმევით სწრაფად შეიძლება აღორძინდეს, ამისათვის ყველა პირობაა. საინტერესო მიმართულებაა, რომელზეც ამჟამად ვმუშაობთ, მეფუტკრეობაში ახალი ტიპის სკების გამოყენება, რომლებიც მზადდებიან არა მაღალი ხარისხის დეფიციტური მერქნისაგან, არამედ პოლისტიროლისაგან. ბოლო წლებში როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ამ ტიპის სკებმა დიდი გავრცელება მოიპოვეს, რაც განპიროვნებულია მთელი რიგი უპირატესობებით ტრადიციულ სკებთან: მათი სიმსუბუქე აადვილებს მათი ტრანსპორტირების პროცესს, არ განიცდიან დეფორმაციას, აკმაყოფილებენ მაღალ სანიტარულ ნორმებს, ტექნოლოგიურად მარტივი დასამზადებელია და შედარებით იაფი.კარგი იქნება, თუ ჩვენც შევძლებთ ამ ტიპის სკების სერიულ გამოშვებას ფერმერებისთვის.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად შეიქმნა რამოდენიმე კომპაქტურად განლაგებული იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების დასახლებები, ხომ არ გიფიქრიათ შესთავაზოთ მათ თქვენი მომსახურება.

ჩვენ გავესაუბრეთ ზოგიერთ მათგანს და დავასკვენით, რომ სასარგებლო იქნებოდა იქ კოოპერაციული ფორმების შემოღება-რამოდენიმე ოჯახის ნებაყოფლობით გაერთიანება ერთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივად "მეწარმეობის შესახებ" კანონის ფარგლებში და შედგეს ბიზნეს-გეგმები, მაგალითად სასათბურე მეურნეობების, მინი ფერმების მეშვეობით მაღალი ხარისხის პროდუქციის დამზადების და მისი რეალიზაციისთვის, ჩვენი ინფორმაციით დასახლების ზონებში პოდუქციის გასაღების პრობლემები არ უნდა იყოს.

შესაბამისი წინადადებები ჩვენ 2008 წლის დეკემბერში მივაწოდეთ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს, მსგავსი წინადადებები განხილვის პროცესშია საერთაშორისო ორგანიზაციებშიც.

მინი-სათბური: "ჩიორა-1" წარმოადგენს ორიგინალური კონსტრუქციის ფართობის სივრცეს 32 კვ.მ (სიგრძე-8მ, სიგანე-4მ, სიმაღლე-2,5მ) რომელიც გადახურულია სამკომპონენტიანი სპეციალური ქიმიური შემადგენლობის ფირით. ეს არის მინიმალური მოდელი, რომლის გაზრდა შესაძლებელია შემდეგი ანალოგიური მოდელის მიდგმით. სათბური სპეციალური გასათბობი დანადგარების გარეშე იძლევა წელიწადში ორ მოსავალს, მაგალითად, პომიდორის 350-400კგ. ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე, მაშინ როდესაც პროდუქტს მაღალი ფასები აქვთ. უძლებს ნებისმიერ კლიმატურ პირობებს, კონსტრუქცია მდგრადია და ად-

ვილად გამოსაყენებელია. ერთი მოდელის ფასი მისი დამზადების, ტრანსპორტირების და დამონტაჟების ჩათვლით – 1100 ლარია, დეტალური ინფორმაცია მოცემულია სარეკლამო ბუკლეტში.

მინი ფერმა აქსელერაციული მებოცვრეობისათვის – ტრადიციული მებოცვრეობისაგან ბევრი მნიშვნელოვანი უპირატესობით გამოირჩევა. აი რამოდენიმე მათგნი: – ცხოველები ორჯერ სწრაფად იზრდებიან-4თვეში აღწევენ მაქსიმალურ წონას 5-6კგ.; -ხუთჯერ ნაკლებ საკვებერთეულს მოიხმარენ; – გააჩნიათ მაღალი იმუნიტეტი და პრაქტიკულად არ ავადდებიან, არ მოითხოვენ ვაქცინის გამოყენებას და ვეტერინარულ მომსახურებას; -მინიფერმაში შესაძლებელია წელიწადში ასამდე ზრდასრული ბოცვერი მივიღოთ; – არ საჭიროებს დიდ ფართობს და შენობას. ერთი მინი ფერმის განსალაგებლად საკმარისია მხოლოდ 5,5 კვ.მ ფართი ღია ცის ქვეშ; -მიეკუთნება ეკოლოგიურად სუფთა საწარმოების ტიპს, ხდება ცხოველების გამონაყოფის – ინსკრემენტების სრული უტილიზაცია და შემდგომ, როგორც ორგანული სასუქის სახით გამოყენება. ერთი მინი ფერმის სრული კომპლექტის ღირებულება შეადგენს 2950 ლარს.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ სარეკლამო ბუკლეტში.

მოამზადა *გიორგი ცინცაძემ*

An interview of the journal "Kvali"correspondent GEORGE TSINTSADZE with the director of the "Georgian Farmers House", academician LERI GIGINEISHVILI.

PERSPECTIVES OF FARMERS' ECONOMIES

Resume

In the interview are discussed questions of current interest concerning the state of farmers' economies in Georgia; are indicated the main causes that inhibit development of small and medium entrepreneurship for production of agricultural products in the country's regions; are suggested some practical solutions facilitating inclusion of all layers of the society, who own small areas of lands, in the processes of intensification of production of biologically clean agricultural products. The interviewee demonstrates, through concrete examples, advantages of new technologies in open and close ground (greenhouses) horticulture with automated drip-irrigation. Project of accelerated rabbit production that has been realized in one of the regions also represents an interest for farmers. Necessity of the state support in formation of farmers' unions is underscored.

Гиоргий Цинцадзе Интервью корреспондента журнала «Квали» **с директором «Дома фермеров Грузии» академиком ЛЕРИ ГИГИНЕИШВИЛИ.**

ПЕРСПЕКТИВЫ ФЕРМЕРСКИХ ХОЗЯЙСТВ

резюме

Обсуждаются актуальные вопросы текущего состояния фермерских хозяйств Грузии,

отмечены основные причины, тормозящие развитие малого и среднего предпринимательства по производсту продовольственных продуктов в регионах страны.

Предложены некоторые практические решения, способствующие вовлечению всех слоев населения, имеющих в пользование небольшие земельные угодия, в процессы интенсификации выращивания биологически чистых сельхоз продуктов. На конкретных примерах показаны преимущества новых технологий растениеводста открытого и закрытого грунта (теплицы) с автоматизированным капельным орошением. Интерес представляет для фермеров проект акселерационного кролиководства, реализованный в одном из районов. Подчеркивается необходимость государственной поддержки в становлении фермерских хозяйств.

ოთარ ღორჯომელაძე –
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

გიზო გოგიჩაიშვილი –
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

მარინა ღორჯომელაძე –
ბიოლოგიის პედაგოგი

უაკ (UDC) 631.5/9

სამთო მიწათმოქმედების, სიდერაციისა და ნიადაგის ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ასპექტები

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის სასურველი მიჯნების მისაღწევად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინტენსიური მიწათმოქმედების გამოყენებას, რომლის შემადგენელ და ურთიერთდამაკავშირებელ ნაწილად ითვლება ნიადაგის დაცვა ეროზიისაგან და მისი ნაყოფიერების გაუმჯობესება, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანა.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე და მით უმეტეს დასავლეთ საქართველოს უხვნალექიანი, გორაკ-ბორცვიანი და ციცაბო რელიეფის მქონე ბევრ რეგიონში (და მათ შორის აჭარაშიც), ნაიდაგების დიდი ნაწილი ეროზირებული და დეგრადირებულ-დარღვეულია, რასაც ემატება წლის თითქმის ყველა პერიოდში ინტენსიური ხასიათის თავსხმა და ხანგრძლივი წვიმები, რომლებიც წლითიწლობით აძლიერებენ ნიადაგის საფარის რღვევას და მისი ნაყოფიერების გაუარესებას, ამიტომაც აუცილებელი ხდება მეცნიერულად დასაბუთებული კომპლექსური ღონისძიებების მიწოდება და პრაქტიკულად განხორციელება, როგორც ფერმერულ, ისე ნებისმიერ მეურნეობებში.

მთიანი აჭარის სოფლის მეურნეობისათვის ტრადიციულია ერთწლოვანი სათოხნი კულტურების (სიმინდი, კარტოფილი, თამბაქო, ლობიო) წარმოება, რომელთა მოსავლის აღების შემდეგაც წლის ეროზიასაშიშ შემოდგომა–ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდებში, ფერდობები რჩება მცენარეთაგან გაშიშვლებული. გასათვალისწინებელია ასევე თოვლის ღრმა საბურველი და ადრე გაზაფხულზე მისი დნობით გამოწვეული ღვარცოფები, ხოლო ზაფხულის მაღალი ტემპერატურები კი ხელს უწყობენ ფერდობებზე ეროზიული პროცესების დაჩქარებულ განვითარებას. ამას კიდევ ემატება ტყეების უსისტემო, ზოგჯერ კი პირწმინდა გაჩეხვა, რაც კიდევ უფრო აღრმავებს ეროზიისა და ნიადაგ-გრუნტის დამრღვევი სხვადასხვა პროცესების გააქტიურებას. სხვადასხვა უწყებათა ბოლო მონაცემებით აჭარის მარტო შიდამთიან რაიონებში (ქედა, შუახევი, ხულო) გამოკვლეული ფართობების საშუალოდ 45% ანუ 84209 ჰა–დან 76,5 ათასი ჰა ანუ მისი 90,8% საშუალო და ძლიერ გადარეცხილ მიწებზე მოდის. ათასობით ჰექტარი მიწა სავსებით უვარგისია და გამოსულია სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ეროზიისა და ფერდობების დახრამვის გამო, რაც კიდევ უფრო ართულებს მოსახლეობის დამაგრებას მამაპაპისეულ საცხოვრებელ ადგილებში. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 3,057 ათასი ჰექტარიდან ნიადაგის ეროზიას განიცდის 310 ათას ჰექტარზე მეტი სახნავი, დადგენილია ათასობით მოქმედი მეწყერ და ღვარცოფსაშიში უბანი, რომელთა მიერ გამოწვეული ზარალი ძალზე დიდია. უარესი მდგომარეობაა ამ მხრივ აჭარაში და განსაკუთრებით კი მის მთიან რაიონებში, რომლებიც ბოლო ათწლეულებში ეროზიის, მეწყერული მოვლენების, თოვლის, მიწისა და კლდის ზვავების, ასევე ნიადაგ-გრუნტის დამრღვევი სხვადასხვა მოვლენების ასპარეზადაა ქცეული. აჭარა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რეგიონია. ავტონომიური რესპუბლიკის ძირითად ნაწილს (90%–ზე მეტი) მთები შეადგენენ, ტერიტორიის 80%-ზე მეტი 20^0 და უფრო მეტი დახრილობისაა. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უჭირავს 2,9 ათასი კვადრატული კილომეტრი ფაროთობი, რაც შეადგენს საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 4,2%. ბოლო მონაცემებით აქ ინეტნსიურად გამოყენებული მიწის (სახნავები, მრავალწლოვანი ნარგავები) ფართობები შეადგენს 39853 ჰა–ს, ანუ ტერიტეორიის 13,7%–ს. ფართობის დანარჩენი ნაწილი 177622 ჰა, ანუ 61,2% მოდის ტყეებზე, 28748 ჰა ანუ 9,9% უჭირავს ბუჩქნარებს, სხვადასხვა გამოუყენებელ ფართობებს, გზებსა და მდინარეებს, სათიბ საძოვრებზე მოდის 43937 ჰა ფართობი, ანუ ტერიტორიის 15,2%. როგორც ვხედავთ აჭარა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მიწით ერთ-ერთ ყველაზე უფრო მცირედ უზრუნველყოფილ რეგიონს. ამიტომაც, აქ ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებების განსაკუთრებული მნიშვნელობა ამითაც ენიჭება მთელს კავკასიაში. ეროზიული პროცესების გაძლიერება ძირითადად განპირობებულია ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორების ერთობლიობით.

შ. გვაზავასა და ო. ღორჯომელაძის გამოკვლევების თანახმად $20\text{-}25^0$-მდე დახრილი ფერდობებიდან ნიადადამცავი ღონისძიებების გაუტარებლობისას ერთი თავსხმა წვიმის შედეგადაც კი 1 ჰა ფართობიდან მოსალოდნელია გადაირეცხოს 70, ზოგჯერ 100 ტონაზე მეტი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. სადღეისოდ მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ აჭარაში ისევე როგორც მთელს ჩვენს ქვეყანაში (რომ აღარაფერი ვთქვათ კავკასიის სხვა ქვეყნებზე) უკიდურესად ცუდად არის დაყენებული მიწის ფონდის - მთავარი ეროვნული სიმდიდრის, დაცვისა და რაციონალურად გამოყენების საქ-

მე. დაკარგული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი უყურადღებობისა და დაუდევრობის შედეგია. ფერმერულ მეურნეობებში ნაკლები ყურადღება ექცევა ისეთი დიდი მნიშვნელობის საკითხის გადაჭრას, როგორიცაა ბრძოლა ნიადაგის ეროზიასთან, რასაც თავისთავად იწვევს ნიადაგის არასწორი ხვნა და ფერდობებზე კულტურათა თესვა–რგვითი სამუშაოების არაგონივრულად შესრულება.

სამთო მიწათმოქმედების ინტენსიური განვითარება პირდაპირ კავშირშია ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებასთან, მიწათმოქმედების სისტემების სწორად შერჩევა-გამოყენებასთან, ფერდობებზე კულტურათა სწორად განლაგებასთან, ნიადაგის გონივრულად დამუშავებასთან. ნიადაგის ეროზიული ვითარება ბევრად არის ასევე დამოკიდებული ადამიანის სამეურნეო საქმიანობაზეც.

მცირემიწიანობის გამო შიდამთიან აჭარაში ფერმერები, (გლეხები) სასოფლო-სამეურნეო კულტურების გასაშენებლად იყენებენ 35-40^0-ის მქონე და უფრო მეტად დახრილ ფერდობებსაც კი. ასეთი მკვეთრი ციცაბო ნაკვეთების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ხანგრძლივად გამოყენებით, მითუმეტეს, როდესაც არ ტარდება ელემენტარული ნიადაგდაცვითი ღონისძიებები, ეროზიული პროცესები მძლავრად ვითარდება. ნაიდაგის ნაყოფიერების შესანარჩუნებლად გაწეულ შრომასა და ხარჯებს (რომც არსებობდეს ასეთი ხარჯები) ზოგჯერ არ შეუძლიათ სრულყოფილად აღადგინონ ნიადაგების დაკარგული ნაყოფიერება. ეროზირებულ მიწებზე ზოგჯერ ორგანულ–მინერალური სასუქების შეტანა და ვერც სწორი აგროტექნიკური ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფენ სასოფლო–სამეურნეო კულტურების დამაკმაყოფილებელი მოსავლის მიღებას.

მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების დამუშავებისათვის ათწლეულების მანძილზე ვატარებდით სტაციონალურ ცდებს სხვადასხვა სახის სასფოლო-სამეურნეო სავარგულებზე, ასევე სხვა კატეგორიის ნაკვეთებზე, სადაც ვსწავლობდით ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორების ზემოქმედებას, ეროზირებული ნიადაგების ნაყოფიერების გაუმჯობესების ღონისძიებებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ანელებენ და აბრკოლებენ ციცაბო ფერდობებზე ეროზიის, თოვლისა და მიწის ზვავების, მეწყერებისა და ნიადაგ-გრუნტის დამრღვევი სხვა სტიქიური მოვლენების უარყოფით ზემოქმედებებს. შიდამთიანი აჭარის ტერიტორიის გორაკ–ბორცვიანი და უაღრესად რთული რელიეფური სიტუაციის პირობებში ადამიანის არასწორმა სამეურნეო საქმიანობამ ტყეების უსისტემო ჩეხვამ და ამ გზით ნაკვეთების ათვისებამ, ტყის კორომების გაჩეხვის ადგილებზე ახოების შექმნამ და ასეთ ე.წ. „ნოყიერ მიწებზე“ სხვადასხვა ერთწლიანი სათოხნი მცენარეების თესვა–რგვამ ფერდობებზე დაქანების თანხვედრილი რიგებით, უსისტემო მოღვარვითმა რწყვებმა, მთის მდინარეთა ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობის უგულვებელყოფამ, სახნავი სავარგულების საძოვრებად გამოყენებამ, გზების მშენებლობაში გამოყენებულმა აფეთქებებმა, საძოვრების პირუტყვით მეტისმეტად გადატვირთვამ და კორდის საფარის განადგურებამ, საერთო ჯამში კი აგროწესების მოთხოვნათა იგნორირებამ და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გაუტარებლობამ, აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა მთიანი აჭარის სოფლის მოსახლეობას, ფერმერულ მეურნეობებს, მთელ სახალხო (ეროვნულ) მეურნეობას.

ხსენებულ ნეგატიურ მოვლენებს ამძაფრებს მცენარეთა ბუნებრივი საფარის მოსპობაც, რის შედეგად ადგილი აქვს ფერდობების თანდათანობით გაშიშვლებას, ეს პროცესი ხელს უწყობს არა მარტო ეროზიული პროცესების დაჩქარებას, არამედ მიზეზი ხდება მეწყერული და ზვავური მოვლენებისა, რასაც შიდამთიან აჭარაში სხვა მატერიალურ ზარალთან ერთად თითქმის ყოველწლიურად მოსდევს ადამიანთა ტრაგიკული მსხვერპლი, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ უდიდეს მატერიალურ ზარალზე, რასაც აქ წრმოდგენილი დარგები განიცდიან. აჭარაში ამჟამად საშიში ბუნებრივი პროცესების აქტიური ზემოქმედების ზონაშია მოქცეული 30–მდე დასახლებული პუნქტი და 4000–ზე მეტი ოჯახი, მარტო უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ამ უარყოფითმა პროცესებმა საშიშროება შეუქმნა ასეულობით დასახლებულ პუნქტსა და ობიექტს, ათასობით მოსახლეს. წაირეცხა და მწყობრიდან გამოვიდა 2000 ჰა–ზე მეტი სასოფლო–სამეურნეო სავარგული. ასეთი მოვლენების არც თუ იშვიათობამ გამოიწვია მთის ზოგიერთი სოფლის გაუკაცრიელება. მაგრამ საბედნიეროდ, ისეთი ფაქტიც ბევრია, როცა ცალკეული ფერმერები (გლეხობა) მაქსიმალურად ყაირათიანად და გონივრულად იყენებდნენ და იყენებენ ყოველ გოჯ მიწას.

ეროზიის გამომწვევი ბუნებრივი და ხელოვნური ფაქტორები

ეროზიას იწვევს როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური (ანთროპოგენური) ფაქტორები. ბუნებრივი ფაქტორებიდან აღსანიშნავია: რელიეფი, ფერდობის სიგრძე, ექსპოზიცია, დახრილობა, ატმოსფერული ნალექები, მცენარეული საფარი, ნიადაგის ხასიათი, მისი ნაყოფიერება ანუ გადარეცხილობის ხარისხი და რიგი თვისებები, როგორიცაა წყალგამტარობა და ტენ–ტევადობა. ხელოვნური ფაქტორებიდან გასათვალისწინებელია ადამიანის სასოფლო–სამეურნეო საქმიანობის ცალკეული ელემენტები – ნიადაგის ათვისების სახე, კულტურათა რაობა, ფერმერული მეურნეობის ორგანიზაცია და მისი სისტემა, ნიადაგის დამუშავების ხასიათი, ეროზიების დამაბრკოლებელი თუ დამხმარე ღონისძიებების გატარების ხარისხი და სხვა. მიჩნეულია, რომ ადგილმდებარეობის რელიეფის უკვე 0,5^0–ით დახრილობის დროს იწყება ნიადაგის ჩამორეცხვა, მაგრამ უფრო დეტალური შესწავლით ირკვევა, რომ ეროზიული პროცესების ნიშნები (წყლის შემღვრევა) შეინიშნება ნაკვეთის ამაზე მცირე დაქანების დროსაც კი. ი. კოსტინის გამოკვლევებით, მაგალითად, ვოლგის იქითა მხარის პირობებში უკვე ფართობის 0,02 გრადუსით დახრილობის დროს წყლის შემღვრევა 342 გრ\მ^3–ს შეადგენს, ხოლო დახრილობის ერთიორად გადიდებამ (0,04) წყლის შემღვრევა 428 გრ\მ^3–მდე გაზარდა.

მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემა

მიწათმოქმედების აღმავლობის აგრონომიულ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის, მისი წარმოშობისა და განვითარების აღკვეთის საფუძველს, დამყარებულია გამოჩენილ მკვლევართა მოძღვრებებზე და ის მიწათმოქმედების ნათესბალახიან სისტემად იწოდება. ეს სისტემა, მის დადებით სხვა თვისებებთან ერთად საიმედო იარაღს წარმოადგენს ეროზიისა და ნიადაგგრუნტის დამრღვევი რიგი სხვა პროცესების წინააღმდეგ საბრძოლველად, მიწათმოქმედების ამ სისტემის ყოველი ცალკეული რგოლი, თანაბრად მნიშვნელოვანია ბუნების მთლიანობის დასაცავად და ეროზიასთან ბრძოლაში. მიწათმოქმედების ღონისძიებათა კომპლექსის მხოლოდ მთლიანად და სრულყოფილად გატარებას შეუძლია ქმედითი გავლენა იქონიოს ეროზიის გამომწვევი ფაქტორების წინააღმდეგ. მრავალი წლის საკუთარი სამეცნიერო–კვლევითი სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით, ასევე რიგი წინამორბედი მკვლევარების მონაცემთა მხედველობაში მიღებით მიწათმოქმედების აღმავლობის აგრონომიულ ღონისძიებათა სისტემაში შეიძლება შემდეგი ძირითადი რგოლების გამოყოფა:

1. მხოლოდ ნათესბალახიანი თესლბრუნვებითა და მრავალწლოვანი მარცვლოვან–პარკოსანი ბალახნარევების დანერგვითაა შესაძლებელი ეროზირებულ ფერდობებზე ნიადაგის მდგრადი კოშტოვანი სტრუქტურის შექმნა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს, ერთი მხრივ ნიადაგში წყლის ჩაჟონვის გადიდებას, ხოლო მეორე მხრივ, თვით ამ ნიადაგს უნდა მისცეს ეროზიისადმი მეტი მდგრადობა. ნიადაგის პროფილში წყლის ჩადინების გადიდებით ნიადაგს თავისთავად მიეცემა ეროზიამედეგობა. საბოლოო ანგარიშში აღნიშნული ღონისძიების გატარებამ უნდა შეამციროს წყლის ზედაპირული ჩამონადენი (შიდანიადაგური დინებების გაზრდის ხარჯზე), ამ დენის სისწრაფე და ნიადაგის ჩამორეცხვა.

2. ეროზირებულ ნიადაგებზე კულტურულ მცენარეთა ისეთი ხელოვნური საფარის შექმნა, რაც მაქსიმალურად გაადიდებს ნიადაგის დაცვას. რამდენადაც მძლავრად არის განვითარებული ასეთი საფარი, იმდენად უკეთესად იცავს ის დარეცხვისაგან და შესაბმისად იმდენად სუსტია ეროზიის გავლენაც.

3. სხვა პირობათა იგივეობის დროს მაღალი დონის აგროტექნიკა ერთ–ერთ საუკეთესო ღონისძიებას წარმოადგენს ეროზიასთან ბრძოლაში. ასეთია ნიადაგის კარგი სტრუქტურიანობისათვის ბრძოლა, სასუქების (ორგანულ–მინერალური) სრული დოზებით და ნორმების შეტანით მწვანე მასისა და ამასთან ერთად მოსავლიანობის გაზრდა. ორგანული სასუქების გავლენით მტვრად ქცეული ნიადაგის მასის შეწებებისათვის ხელის შეწყობა. ფერდობების მხოლოდ გარდიგარდმო (კონტურული) დამუშავება. ხნულებში სხვადასხვა უსწორმასწორობათა მოსწორება. პერსპექტიული, უხვმოსავლიანი ჯიშებისა და ჰიბრიდების წარმოებაში დანერგვა, გვალვებთან, სარეველებთან, დავაადებებთან, მავნებლებთან ბრძოლა და სხვა.

4. ფერდობებზე თოვლის მდნარი თუ უხვი, ინტენსიური ხასიათის წვიმების შემდეგ ზედაპირულად დენადი წყლის მაქსიმალური გამოყენება სარწყავად და მათი რეგულირება, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ჩამონადენის ეროზიულ-გადამრეცხ თვისებებს. სამთო და გნებავთ ყოველგვარი მიწათმოქმედების მიზანია სასოფლო–სამეურნეო მცენარეთა მოვლა–მოყვანის ისეთი ტექნოლოგიების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ ერთეულ ფართობზე მაღალხარისხოვანი და უხვი მოსავლის მიღებას ნაკლები დანახარჯებით. აქედან გამომდინარე, პირველი რიგის ამოცანაა ნათესების სწორი სტრუქტურის შედგენა, ცალკეული დარაიონებული კულტურების შესაბამისად აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემების თანმიმდევრული და სწორი განხორციელება, ფერმერული მეურნეობის განვითარება, მათზე სწორი ინსტრუქციების მიწოდება. მიწათმოქმედება აგრონომიული მეცნიერების საფუძველია, რომელიც მტკიცე კავშირშია მემცენარეობასა და მეცხოველეობასთან. მიწათმოქმედებას, მრეწველობისაგან განსხვავებით, ახასიათებს რამდენიმე თავისებურება. პირველ რიგში ეს ეხება არაორგანული ნივთიერებებისაგან, ორგანული ნივთიერებების სინთეზს მწვანე მცენარის ქლოროპლასტების საშუალებით. ამდენად, მცენარე არის როგორც საწარმოო საშუალება, ისე წარმოების პროდუქტი. როგორც ცნობილია, მზის სინათლის ინტენსივობა და ხანგრძლივობა მკვეთრად იცვლება არ მარტო წელიწადის დროის მიხედვით, არმედ ერთი დღე–ღამის განმავლობაშიც კი. ამიტომ მიწათმოქმედებათა ერთ–ერთი ძირითადი ამოცანაა გარემოს კლიმატურ პირობებს შეურჩიონ და მოარგონ შესაბამისი კულტურები, უზრუნველყონ მათი არსებობისთვის საუკეთესო პირობები ნორმალური ზრდა-განვითარებისა და მაღალი მოსავლის მისაღებად. მიწათმოქმედებაში სეზონურობის გარდა საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მცენარეები სხვადასხვა რაოდენობით გამოიყენებენ მზის სხივოსნურ ენერგიას და განსხვავებული რაოდენობით აგროვებენ ორგანულ ნივთიერებებს. ზოგიერთი მცენარე, მეორესთან შედარებით 2–3 ჯერ მეტ ორგანულ ნივთიერებას ჰქმნის. ამდენად, კულტურათა შერჩევა და გააზრებული სპეციალიზაცია ყოველთვის მაღალ ეკონომიკურ ეფექტს ტოვებს, მითუმეტეს მაშინ, როცა ამას დავუკავშირებთ არა მარტო მოსავლიანობის დონეს, არამედ პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებსაც. სწორედ, მიწათმოქმედების ძირითადი არსია მწვანე მცენარეების მიერ მზის სხივების მოქმედებით ორგანულ ნივთიერებათა სინთეზი არაორგანული ნივთიერებებისაგან.

მიწა ყოველგვარი წარმოებისათვის აუცილებელი პირობაა. მისი ფართობი განსაზღვრულია, მაგრამ სხვა ძირითადი საშუალებებისაგან განსხვავებით იგი სოფლის მეურნეობაში აუცილებელი და შეუცვლელია. ის თავისი სპეციფიკურობითა და გარკვეული შეზღუდულობითაც გამოირჩევა, აღნიშნული თავისებურება მიწათმოქმედებს გვკარნახობს მუდმივად ვზრდიდეთ მის ნაყოფიერებას. თუ ნიადაგი აგროწესების მოთხოვნებითა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მუშავდება, მაშინ მისი ნაყოფიერება კი არ მცირდება, არამედ უმჯობესდება კიდეც. სასოფლო–სამერუნეო კულტურათა მოსავლიანობის გადიდებისათვის არსებობს ორი ძირითადი გზა: პირველი – ერთჯერადი თესვის პირობებში მაღალმოსავლიანი ჯიშების შერჩევა და შემუშავებული ტექნოლოგიების განხორციელება; მეორე – გარემო–კლიმატური პირობების გათვალისწინებით სახნავი მიწე-

ბის ინტენსიურად გამოყენება - ერთი სამეურნეო წლის განმავლობაში ორი და მეტი მოსავლის მიღება. მიწათმოქმედება სასოფლო–სამეურნეო წარმოების უძველესი დარგია, რომლის ძირითადი მიზანია, ნიადაგის დამუშავების საკითხების შესწავლა სხვადსხვა კულტურის თესვა–მოყვანისათვის, მისი ნაყოფიერების აღდგენა–გაუმჯობესება და უსაფრთხო გარემოს შექმნა. ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიწათმოქმედთა უპირველესი ამოცანაა ადგილებზე კონკრეტული რეგიონების მიხედვით ნიადაგის, როგორც წარმოების საშუალების შენარჩუნებისა და რაციონალური გამოყენების წესების, მეთოდებისა და ხერხების შემუშავება–დანერგვა. რამაც უნდა უზრუნველყოს ნიადაგის ნაყოფიერების გადიდება და სასოფლო–სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდა პროდუქციის ერთეულზე შრომისა და მატერიალური სახსრების უმცირესი დანახარჯებით.

ნიადაგი კარგად რომ იყოს დაცული ჩამორეცხვისაგან, საჭიროა იგი შესაძლო (დასაშვები) მაქსიმალური სიმჭიდროვით იყოს დასახლებული მცენარეულობით. ამისათვის კი მცენარეები ფერდობებზე უნდა განვალაგოთ ისეთი ნორმით და გაადგილება–გაშენების ისეთი წესით, რომელიც უარყოფითად არ იმოქმედებს თვით მცენარის ზრდა განვითარებაზე, მიღებული პროდუქციის (ნედლეულის) რაოდენობასა და ხარისხზე. არ ივარგებს რა თქმა უნდა შემცირებული ნორმებით თესვაც, რადგანაც ის იძლევა თხელ აღმონაცენს, გარდა ამისა ამნაირ შემთხვევაში ნიადაგის ზედაპირიც ნაკლებად არის დაფარული და დაცული წვიმის წყლის ზემოქმედებისაგან.

საქართველოში ძველთაგანვე იყო მიღებული და ამჟამადაც გამოიყენება შერეული, შემჭიდროვებული ნათესი, მაგალითად, სიმინდში ლობიოს ან სოიას შეთესვა, იონჯასთან კოინდარის შერევა, ერთწლოვანი პარკოსანი და მარცვლოვანი ბალახების ნარევის თესვა და სხვა. შენათესი კულტურა შეიძლება შეითესოს ძირითადი კულტურის მწკრივებში ან დაითესოს ისინი მწკრივების მორიგეობით დათესვის წინ, გარკვეული პროპორციით აირიოს თესლი ერთმანეთში და ა.შ., შეიძლება უამრავი ნიადაგდამცავი კომბინაციის გამოყენება. როცა მარცვლეულ კულტურებთან შეთესილია პარკოსნები, მაშინ მიიღება ორ იარუსიანი მცენარეული საფარი, რომელიც საიმედოდ იცავს ნიადაგის ზედაპირს წვიმის წყლის დამშლელი მოქმედებისაგან.

განსაკუთრებით იქ, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს ნიადაგის ჩამორეცხვა და იცის ხშირი თავსხმა ხასიათის წვიმები (დასავლეთ საქართველოს ციცაბო ფერდობებზე), ეროზიული პროცესების შესაჩერებლად, მთელი წლის განმავლობაში ნიადაგი დაფარული უნდა იყოს მცენარეული საფარით და ეს მოთხოვნა იმ შემთხვევაში შესრულდება, როდესაც გვექნება შეთანაწყობილი ნათესები, ვაწარმოებთ სანაწვერლო, შუალედურ და სანათიბო კულტურებს. ეს მცენარეები ნიადაგს ამდიდრებენ ორგანული ნივთიერებებით, ფესვთა სისტემით კი მჭიდროდ აკავშირებენ და ამაგრებენ მიწის ცალკეულ ნაწილაკებსა და აგრეგატებს, კრავენ კორდს, რითაც წინაღმდეგობას უწევენ ფერდობების ჩამორეცხვას. ბალახეულის თესვით უკეთესად გამოიყენება ნიადაგის ტენი, რომელიც მათ გარეშე ფაქტიურად უსარგებლოდ იკარგება, ხოლო მათი წარმოებით კი სახნავ–სათესებზე მიიღწევა უამრავი სიკეთე და მათ შორის ბუნების მაქსიმალური დაცვა, რაც თავისთავად ჩვენი უპირველესი ამოცანათაგანია.

სიდერაცია

სიდერაცია არის ბალახების წარმოება და ამ მცენარეთა მწვანე მასის ჩახვნა ნიადაგში, ამიტომ მათ „მწვანე სასუქებსაც“ უწოდებენ, ხოლო ჩასახნავ მცენარეებს – სიდერატებს. სიდერაცია ანუ მწვანე მასის ნიადაგში ჩახვნა, ადიდებს მიწის ნაყოფიერებას, რადგანაც ის მდიდრდება ორგანული ნივთიერებებით. ორგანული ნივთიერებების შეტანა კი თავისთავად აუმჯობესებს ნიადაგის ფიზიკურ, ქიმიურ და წყლიერ თვისებებს, რითაც იზრდება მისი ეროზიამედეგობა ჩამორეცხვის საწინააღმდეგო უნარიანობა. სასიდერაციოდ, შეიძლება დაითესოს ერთწლოვანი და მრავალწლოვანი მარცვლოვან–პარკოსანი ბალახები: ხანჭკოლა, ცულისპირა, ბარდა, ცერცველა, ძიძო, იონჯა, სამყურა, სოია, შვრია, ქერი, კოინდარი და სხვა, უპირატესობას ანიჭებენ ერთწლოვანი მარცვლოვან–პარკოსანი ბალახების ცირცველა–შვრიას ან სხვათა ნარევებს, რადგანაც ისინი უფრო მოკლე დროის განმავლობაში ფარავენ ნიადაგის ზედაპირს და თივის, ბალახის მოსავლიანობაც მაღალი გააჩნიათ. დასავლეთ საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში, სასიდერაციო კულტურების თესვა შეიძლება ადრე გაზაფხულზე, ზაფხულში – ნაწვერალზე და შემოდგომით – სათოხნი კულტურების მოსავლის აღების შემდეგ მოზამთრე – შუალედური კულტურების სახით. ამ შემთხვევაში სასიდერაციო კულტურების ნიადაგში ჩახვნა ხდება მომდევნო წლის გაზაფხულზე და რა თქმა უნდა ნებისმიერ შემთხვევაში ყვავილობის ფაზაში. ნიადაგში ჩახნული მცენარეთა მწვანე მასა, თავის შემდგომ მოქმედების უნარს სამ წლამდე ინარჩუნებს. სასიდერაციო კულტურები, ნიადაგში ჩახვნამდე, საუკეთესო საფარია მისი ზედაპირის ეროზიისაგან დასაცავად. ჰუმუსი კი წარმოადგენს მომდევნო კულტურისათვის საკვები ელემენტების ნივთიერებების წყაროს, ასეთ პირობებში ისინი კარგ მოსავალსაც იძლევიან და საიმედოდაც იცავენ ნიადაგს ეროზიისაგან. მიწათმოქმედებაში კარგად არის ასევე ცნობილი, ის გარემოებაც რომ ნებისმიერი სახით დათესილ პარკოსან მცენარეებს უნარი აქვთ კოჟრის ბაქტერიების დახმარებით მოახდინონ ჰაერის თავისუფალი აზოტის ფიქსაცია და ჰექტარზე დააგროვონ 50-60-დან 160 კილოგრამამდე (შეიძლება მეტიც) აზოტი წმინდა ელემენტის სახით. ვფიქრობთ, რომ გადარეცხილი ფერდობებისათვის უკეთესი რეცეპტის მოძებნა ძალზე გაძნელდება. აკადემისკოს პრიანიშნიკოვის თქმით სიდერატები ფერდობებზე ხომ მეცხოველეობის ფერმებს ცვლიანო, ხოლო ბალახთესვა ადგილზე წარმოებულ ძვირფას ორგანულ სასუქს-ნაკელს ნიშნავს და მას ცვლისო.

ნიადაგის ეროზიისაგან დაცვისა და ეროზირებული ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა–გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე მრავალწლოვანი ბალახების წმინდა სახით (შერევის გარეშე) თესვას, რაც

უზრუნველყოფს ასევე ნიადაგის ქიმიური და ფიზიკური თვისებების გაუმჯობესებას. გარდა ამისა ბალახების საფარი მნიშვნელოვნად ამცირებს წვიმის წვეთებისა და საერთოდ ჩამონადენი წყლის საზიანო მოქმედებას. ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის, დაკარგული ნაყოფიერების ამაღლების და სასოფლო–სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გადიდების ერთ–ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენს ორგანულ–მინერალური სასუქების გამოყენება. სასოფლო–სამეურნეო კულტურების განოყიერება ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქებით უნდა მოხდეს აგროქიმიური კარტოგრამების მიხედვით. ეროზირებულ ფართობებზე აზოტოვანი სასუქების აგროწესებით გათვალისწინებული დოზები უნდა გადიდდეს 25%–ით და სავეგეტაციო პერიოდში მცენარეებს უნდა მიეწოდოს ორჯერ (60% თესვა–რგვის დროს და 40% მეორე თოხნის წინ).

დასავლეთ საქართველოს მცირეკონტურიან, დაქანებულ ფერდობებზე ნიადაგის ზოლებად დამუშავება ძნელი გასატარებელია, ამიტომაც აქ უფრო ეფექტურია ახლადგაშენებული და ასევე ვარჯშეუკვრელი მრავლწლოვანი ხე და ბუჩქოვანი მცენარეების რიგთაშორისებში აღნიშნული ნარევი ბალახების, ფერდობის დაქანების საწინააღმდეგო მიმართულებით თესვა, ხოლო მოთიბული მასის რიგთაშორისებში და მცენარეთა ირგვლივ მულჩის სახით განფენა.

ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების ეფექტიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული რელიეფის ხასიათთან, ნიადაგის ტიპთან და თვით ეროზიული პროცესების სიძლიერესთან. ამასთან დაკავშირებით საჭიროა თესლბრუნვისათვის კულტურათა სწორი შერჩევა, მრავალწლოვანი ბალახების ხვედრითი წილის გაზრდით, სათოხნ კულტურათა ფართობების შეზღუდვა და სხვა. მაგრამ ჩვენი ქვეყნის რიგ რეგიონებში (მათ შორის შიდამთიან აჭარაში) მიწების სიმცირის გამო თესლბრუნვის განხორციელება შეზღუდული და პრაქტიკულად გამორიცხულიცაა, ამიტომ აქ აუცილებელი ხდება ერთწლოვანი სათოხნი კულტურების მოსავლის აღების შემდეგ გაშიშვლებული ფერდობების დაცვის მიზნით შემოდგომაზევე მარცვლოვან–პარკოსანი ბალახნარევების–მოზამთრე შუალედური კულტურების სახით წარმოება, რომელიც შემოდგომა–ზამთრისა და გაზაფხულის ეროზიასაშიშ პერიოდებში ნაიდაგის ზედაპირს დაიცავს ჩამორეცხვისაგან, ხელს შეუწყობს გარე-სამყაროს დაბინძურებისაგან დაცვას, მიწათმოქმედების უსაფრთხოდ განვითარებას.

ეროზიის საწინააღმდეგო სხვა დამატებითი ღონისძიებები უნდა შეუფარდდეს ნაკვეთის მდგომარეობას, იმას თუ მოცემულ მომენტში როგორ არის ის დაცული ეროზიისაგან. მაგალითად, მრავალწლოვანი ბალახებით დაკავებულ მინდორს ეროზიისაგან დაცვის დამატებითი ღონისძიებების ჩატარება სჭირდება მხოლოდ კორდის მოხვნის შემდეგ.

ნიადაგის მრავალჯერადი დამუშვება გუთნით, განსაკუთრებით კი დისკოიანი იარაღებით, ფარცხებით და გლუვზედაპირიანი მომტკეპნებით იწვევს ნიადაგის ზედაპირის გამტვერიანებას. ამიტომ ფერდობ ადგილებზე ეროზიასაშიშ და ეროზირებულ ნიადაგებზე უნდა ვაწარმოოთ ისეთი კულტურები, რომლებიც საშუალებას იძლევა მინიმუმამდე შევამციროთ ნიადაგის დამუშავებითი ოპერაციები. სწორედ ასეთი გახლავთ ზემოთ აღნიშნული ნათესბალახიანი სისტემების დანერგვა.

ფერდობებზე ნიადაგის დამუშავების სისტემის ყველა ელემენტი მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ შეიქმნას პირობები ნიადაგში ნალექების მაქსიმალურად დაკავებისა. ამისთვის საჭიროა ხვნა და ყოველგვარი შემდგომი სამუშაოები ჩატარდეს ფერდობის დაქანების გარდიგარდმოდ, რითაც ღრმად მოხნული ნიადაგის მეტრიან ფენაში წყლის მარაგი 2–3 ჯერ იზრდება, მცირდება ეროზიული პროცესები და კულტურების მოსავლიანობა დიდად მატულობს.

ისეთი ტერიტორიები, რომლებიც განლაგებულია დიდი დახრილობის ფერდობებზე, ეროზიის საწინაამღდეგო ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები ნაკლებ ეფექტურია. ასეთი დაქანების ნაკვეთებზე ზემოთ მითითებული ღონისძიებების გარდა უნდა გამოვიყენოთ ბუფერული ზოლებიც, რაც გულისხმობს ფერდობებზე (რა თქმა უნდა კონტურულად–გარდიგარდმოდ) დაუმუშავებელი ბალახოვანი ზოლების დატოვებას, ხოლო დამუშავებულ ზოლებში მრავალწლოვანი ბალახების ან ერთწლოვანი მთლიანსათესი კულტურების თესვას.

კარგი ბუფერული ზოლები მიიღება მარცვლოვან–პარკოსანი ბალახნარევების: იონჯა–კოინდარის, სამყურა–კოინდარის, ესპარცეტ–სათითურას ნარევების, ასევე საშემოდგომო ხორბლის, ქერის, ჭვავის, ბარდას, ცერცველას და სხვა შერეული თესვით.

დასკვნები, წინადადებები და რეკომენდაციები

აჭარის ტერიტორიაზე ჩვენს მიერ სხვადასხვა სავარგულების (სიმინდი, კარტოფილი, თამბაქო, ერთწლოვანი ბალახები, ბუნებრივი მდელო, მრავალწლოვანი ბალახები, ვენახი, ეთერზეთოვანი ვარდი, თხილი, ჩაი, ციტრუსები, აგრეთვე სუფთა ანგულისა და ტყის) ქვეშ ჩატარებული ხანგრძლივი ცდების შედეგების, ამასთან აღნიშნულ რეგიონში ამჟამად არსებული ბუნებრივ ეკოლოგიური და ეკონომიკური სიტუაციების ღრმა ანალიზის საფუძველზე ფერმერულ მეურნეობებში, ასევე სხვა კატეგორიის ფართობებზე სასოფლო–სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისა და ხარისხოვანი პროდუქციის წარმოების, ნიადაგის დაკარგული ნაყოფიერების აღდგენა–გაუმჯობესების, ბუნების დაცვისა და ეკოლოგიური სიტუაციების გაკეთილშობილების მისაღწევად, აგროწესების მოთხოვნათა დაცვასთან ერთად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ძირითადი ღონისძიებებისადმი ყურადღების მიქცევა და მათი წარმოებაში აუცილებლად გატარება – დანერგვა:

1. ყველა დროის მიწათმოქმედთა უპირველესი და აქტუალური საკითხია ფერდობების დაცვა ეროზიული მოვლენებისაგან და ნიადაგის დამუშავების ისეთი ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც მაქსიმალურად ხელს შეუწყობენ მისი ნაყოფიერების გაუმჯობესებას, ამასთან უზრუნველყოფენ სასოფლო–სამეურნეო კულტურების ეფექტურად წარმოებას.

2. ნიადაგის ჩამორეცხვის ინტენსივობა სხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია კულტურათა წარმოების წესზე, ფართობის ერთეულზე მცენარეთა გაადგილების სიხშირეზე, მცენარეების განვითარების ფაზაზე და მათ მიერ ნიადაგის ზედაპირის საპროექციო დაფარულობის სისრულეზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროზიული პროცესების შენელებას და მის თანადათანობით აღკვეთას, ჩამორეცხილი მიწების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებას, ათასობით ჰექტარი ამჟამად დარღვეული და მიტოვებული მიწების სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში კვლავ ჩართვას.

3. მოსახლეობის სიჭარბით და მიცრემიწიანობის გამო აჭარაში ერთწლოვანი სათოხნი კულტურების ქვეშაც კი გამოყენებულია 30–40^0 და ზოგჯერ უფრო მეტად დახრილი ფერდობები, სადაც დღემდე სრულყოფილად არ არის დანერგილი ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებანი,. არადა აღნიშნულ ფერდობებზე მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება უმნიშვნელოვანესი პრობლემაა არამარტო მთლიანად აგრარული სექტორისა, არამედ, საერთოდ ფერმერული მეურნეობების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

4. აჭარის პირობებში დღე-ღამეში 10-15 მმ–ის რაოდენობით მოსული წვიმები ეროზიულ პროცესებს ვერ იწვევენ. ფერდობებზე წყლის ზედაპირული ჩამოდინება და ეროზიული მოვლენები იწყება 20 მმ და მეტი რაოდენობის წვიმების მოსვლის შემდეგ. წვიმის რაოდენობისა და ინტენსივობის ზრდის შესაბამისად ეროზია ძლიერდება, ხოლო 50 მმ–ზე მეტი რაოდენობისა და წუთში 2 მმ–ზე მეტი ინტენსივობის შემთხვევაში ის განსაკუთრებით საშიშ ხასიათს ატარებს.

5. ზედაპირული თხიერი ჩამონადენი (22-25^0-ით დახრილ ფერდობებზე) სუფთა ანეულთან (მცენარეულობისაგან თავისუფალი, მაგრამ დამუშავებული ნაკვეთი) შედარებით სიმინდის მონოკულტურის ვარიანტზე შემცირდა 80, ერთწლოვან ბალახებზე 89, მრავალწლოვან ბალახებზე 92, ბუნებრივ მდელოზე (სათიბებში) 93 და ტყის მცენარეულობის ქვეშ კი 101 მმ\ჰა.

6. სუფთა ანეულიდან ჩამორეცხილი ნიადაგის (მშრალი მასა) დანაკარგებმა 17 წლის მონაცემების მიხედვით საშუალოდ წელიწადში შეადგინა 28,34 ტ\ჰა სიმინდის მონოკულტურის ვარიანტზე კონტროლთან შედარებით ის შემცირდა 22,01; ერთწლოვანი ბალახების ქვეშ 23,42; ხოლო მრავალწლოვანი ბალახების, ბუნებრივი მდელოს და ტყის ვარიანტებზე ნიადაგის ჩამორეცხვას საერთოდ არ ჰქონია ადგილი.

7. ნიადაგის მოვლა-შენახვა-დაცვის წესების, წარმოებული კულტურებისა და სხვა თანაბარი პირობების მიუხედავად, ცალკეული საკვები ნივთიერებების (ელემენტების) დანაკარგების სიდიდე შესაბამისობაში მოდის შემდეგი კლებადი რიგის მიხედვით: კათიონები $Ca>K>Mg>NH_4$ და ანიონები $NO_3>PO_4$.

8. შემოდგომით ერთწლოვანი სათოხნი კულტურების (სიმინდი, თამბაქო, კარტოფილი) მიერ გამოთავისუფლებულ ნაკვეთებზე მარცვლოვან–პარკოსანი ბალახნარევების (შვრია X ცერცველასთან) მოზამთრე შუალედური კულტურების სახით წარმოება ნიადაგს იცავს შემოდგომა ზამთრისა და გაზაფხულის უხვი, ინტენსიური ხასიათის წვიმების, ასევე ადრე გაზაფხულის თოვლის დნობით გამოწვეული ღვარცოფებისაგან დასაცავად, რაც ხელს შეუწყობს ჰუმუსისა და სხვა ორგანულ–მინერალური ნივთიერებების დაგროვებას.

9. სასიდერაციო კულტურების ბიომასის ყვავილობის ფაზაში ნიადაგში ჩახვნით, ასევე სხვადასხვა მრავალწლოვანი ხე და ბუჩქოვანი ნარგაობების რიგთაშორისებში ბალახნარევების თესვითა და გათიბული მასის, როგორც მწკრივთაშორისებში ისე მცენარეთა ირგვლივ მულჩის სახით განფენით, ნიადაგი მდიდრდება ჰუმუსით და უმჯობესდება მისი ფიზიკურ–ქიმიური თვისებები, რაც თანდათან უზრუნველყოფს დაკარგული ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებას, წარმოებული კულტურების მოსავლიანობის გაზრდას.

10. სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ფერმერული მეურნეობების ტერიტორიის მოწყობის გეგმებში გათვალისწინებული უნდა იქნეს ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიების კომპლექსი: ციცაბო ფერდობებზე შეიქმნას ტყის მასივები, მოეწყოს წყალამრიდი, წყალგამყვანი, აგრეთვე წყალმიმღები არხების ქსელი. საჭიროებისამებრ მოვახდინოთ მდინარეთა ნაპირების გამაგრება, მთელი ტერიტორიის ეროზიული სიტუაციის და მის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გათვალისწინებით.

11. აგროწესების მოთხოვნების დაცვითა და ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით სიმინდის („ჯიში „აჯამეთის თეთრი“) ჰაერმშრალი მარცვლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ შეიძლება მიაღწიოს 67 ც\ჰა, თუ შემოდგომით ერთწლოვანი სათოხნი კულტურების ქვეშ ნამყოფ ფართობებზე – შუალედური კულტურების სახით დათესილ ცერცველა X შვრიის ნარევის ყვავილობის ფაზაში გათიბულ მასას გაზაფხულზე ნიადაგში ჩავხნავთ (ჩავაკეთებთ), ასეთ პირობებში სიმინდის მოსავლიანობა 3,5–ჯერ და უფრო მეტად აღემატება ფერმერულ მეურნეობებში სადღეისოდ არსებული მოსავლიანობის (16–19 ც\ჰა) დონეს.

12. სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელ და მიტოვებულ მიწებზე უნდა ჩავატაროთ ღონისძიებანი ტყის კულტურების აღსადგენად, ამასთან საჭირო ხელოვნური ან ბუნებრივი გამდელოებისათვის ბრძოლა. ამისათვის აუცილებელია ფართობების ზედაპირი გაიწმინდოს ქვა–ღორღისაგან, ეკალბარდის და უვარგისი მცენარეულობისაგან უნდა შევთესოთ მარცვლოვან–პარკოსანი ბალახები, შევიტანოთ სასუქები, მოვახდინოთ გასარწყავება.

13. ნიადაგის გადარეცხილობის (სუსტად, საშუალოდ, ძლიერ) მიზეზით კულტურათა მოსავლიანობის კლების გათვალისწინებით დანახარჯები ერთეული პროდუქციის წარმოებაზე შეადგენენ ფერმერული მეურნეობების თუ ცალკეულ საწარმოთა მთლიანი შემოსავლის 40–მდე პროცენტს. ჩვენს მიერ რეკომენდირებული ღონისძიებების განხორციელებით აღნიშნული დანახარჯები შეიძლება თავიდან ავიცილოთ და მივიღოთ მაღალი ეკონომიკური ეფექტი.

14. ნიადაგის დაკარგული ნაყოფიერების აღდგენა–გაუმჯობესებისა და ეროზიისაგან დასაცავად მიმართულ ყოველ ღონისძიებას მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით კი არ უნდა ვაფასებდეთ, არამედ უნდა უზრუნველყოთ, რომ მიწა (ნიადაგი) – ქვეყნის მარჩენალი, მომავალ თაობებს დავუტოვოთ გაუმჯობესებულ მდგომარეო-

ბაში. მიწათმოქმედების სინამდვილეში ფერმერული მეურნეობის წარმოებაში გატარებული ყველა ღონისძიება, აგროტექნიკური ხერხი თუ ტექნოლოგიური პროცესი უნდა დავუქვემდებაროთ ერთ ძირითად მიზანს – შევანელოთ და თანდათან აღვკვეთოთ ნიადაგის ეროზია, დავიცვათ დედა–ბუნება, გარე სამყარო გაჭუჭყიანებისა და განადგურებისაგან. ვიზრუნოთ ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა–გაუმჯობესებისათვის, და ადამიანთა საცხოვრებლად უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის.

Otar Gorjomeladze,
Association Member the Academy of Sciences of Georgia Doctor of Agricultural Sciences, Deputy Minister of Agriculture of Georgia.

Gizo Gogihaichvili,
Doctor of Agricultural Sciences.

Marina Gorjomeladze,
biology tether.

ASPECTS CONCERNED WITH A MOUNTAIN AGRICULTURE, SICK-RATION AND SOIL FERTILITY

Summary

in the land-hunger Ajara, population is constrained captivate on 30-40° inclination slopes. In spite of good permeability to soil of mails of Ajara (brown and red soils), take place surface from on slopes. Determined that after one hoary rain bare fallow is possible to wash out more than 80-100 ton soil. Except erosion here make octave other exogenous processes.

In this article are considered some guest ions about the role of "green fertilize" in the fight against erosion of the soul on the hilly-mountainous peaces of humid subtropics of the west Georgia.

Отар Горджомеладзе,
член-корреспондент академии наук сельского хозяйства Грузии, доктор сельскохозяйственных наук, зам.министра с/х Грузии.

Гизо Гогичаишвили,
доктор сельскохозяйственных наук.

Марина Горджомеладзе,
педагог биологии.

АСПЕКТЫ СВЯЗАННЫЕ С ГОРНЫМ ЗЕМЛЕДЕЛИЕМ, СИДЕРАЦИЕЙ И О ПЛОДОРОДИИ ПОЧВ

Резюме:

В малоземельной Аджарии население под однолетними пропашными культурами вынуждено осваивать склоны с уклоном даже 30-40°. Несмотря на высокую водопроницаемость почв Аджарии (красноземы, бурые лесные), со склонов часто наблюдается жидкий поверхностный сток. Установлено, что в результате одного ливня, возможен смыв почвы с черного пара, может превышать 80-100 тонн с гектара. Кроме почвенной эрозии, здесь активизированы другие экзотичные почво-грунторазрушающие процессы.

В статье рассмотрены также вопросы о роли «зеленного удобрения» (сидеральные культуры) в борьбе с эрозией почв на склонах холмисто-гористых мест влажных субтропиков Западной Грузии.

გურამ ალექსიძე

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

უაკ (UDC) 632 (479.22)

მცენარეთა დაცვა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის ტექნოლოგიებში მცენარეთა დაცვას განსაკუთრებული ადგილი უკავია. სპეციალისტების მიერ გამოანგარიშებულია, რომ მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, მოსავლის დანაკარგი ყოველწლიურად 30% აჭარბებს, ამას ემატება კიდევ 10% დანაკარგები შენახვის პირობებში, ხშირად მცენარეები მთლიანად ნადგურდებიან. ამის კარგი მაგალითია უკანასკნელ წლებში ქართლის რაიონებში გავრცელებული ოქროკუდა და არაფარდი პარკმხვევია, რომელთა მასიურმა დაზიანებამაც ხეხილის ბაღები და ტყის კულტურები განადგურების პირას მიიყვანა. ასეთივე სიტუაციაა დასავლეთ საქართველოს (გურია, აჭარა სამეგრელო) რაიონებშიც, სადაც ამერიკული თეთრი პეპელას მასობრივი გავრცელების გამო ფერმერებმა დიდი დანაკარგები მიიღეს. კახეთის რაიონებში გავრცელებულმა კალიებმა კი გაანადგურეს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო კულტურები არამედ სათიბ-საძოვრებიც. მნიშვნელოვან დანაკარგებს იწვევს ყოველწლიურად კოლორადოს ხოჭო, ხეხილის ნაყოფჭამიები, კალიფორნიის ფარიანა, ვაზის ჭრაქი, ნაცარი, ქეცი და სხვა. მცენარეთა დაცვა რთული ეკოლოგიური პრობლემაა და ითვალისწინებს ბრძოლის ღონისძიებების ინტეგრირებულად გამოყენებას, რომელიც მოიცავს ბრძოლის აგროტექნიკურ, ფიზიკურ-მექანიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ, მიკრობიოლოგიურ, ბიოტექნიკურ და სხვა მეთოდების ინტეგრირებას, სადაც ძირითადი პრინციპია, დავიცვათ მცენარე და მივიღოთ ეკოლოგიურად სუფთა მოსავალი.

მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გატარება ითვალისწინებს ბიოცენოზებში ადამიანის აქტიურ ჩარევას და თუ ჩვენ არ ვიცით თუ რა შემადგენელ კომპონენტებთან გვაქვს საქმე და წინასწარ არ განვსაზღვრავთ რა სახის ცვლილებებია მოსალოდნელი – შედეგი შესაძლებელია სავალალო იყოს. კაცობრიობას ამის მრავალი მაგალითი აქვს. საქართველოშიც არის ამის მაგალითები, პესტიციდების უსისტემო და რიგ შემთხვევაში უგუნური გამოყენების დროს თითქმის მთლიანად განადგურდა ხეხილი. ვაზის, ბოსტნის, ტყის ბიოცენეზებში გავრცელებულია სასარგებლო ენტომოფაუნა, რომლებიც გარკვეულწილად არეგულირებენ მავნე ორგანიზმების გამრავლებას; დიდი რაოდენობით აღინიშნება ნიადაგში და გრუნტის წყლებში მდგრადი პესტიციდების ნაშთი და ასე შემდეგ. ცხადია, ეს ყველაფერი ბუმერანგივით უბრუნდება ადამიანს და მის ჯანმრთელობას კიდევ უფრო აუარესებს. როდესაც აღვნიშნავთ პესტიციდების უგუნურ გამოყენებას, მხედველობაში გვყავდა ის პასუხისმგებელი პირები, რომლებიც წარსულ წლებში მიუხედავად მათი ამ დარგის სრული უცოდინარობისა, იმის შიშით რომ ვითომ არ დაკარგულიყო მოსავალი, არად აგდებდნენ მეცნიერთა რეკომენდაციებს და იყენებდნენ პესტიციდებს გაცილებით გადიდებული ნორმით, ვიდრე ეს საჭირო იყო. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ, დაიწყო საპირისპირო მოძრაობა, რესპუბლიკაში არ შემოეტანათ და არ გამოეყენებიათ არავითარი პესტიციდი. საქართველოს ოთხი რაიონი გამოცხადდა პესტიციდების გამოყენების აკრძალვის ზონად. თუ სადამდე მიგვიყვანა ამ პოზიციამ-ნათლად სჩანს ქართლის და კახეთის განადგურებული ხეხილისა და ვაზის მაგალითზე. გამოჩნდნენ ახალი ტიპის ქორვაჭრები, რომლებიც ყიდიან ყოველგვარ ნივთიერებებს. წლების წინ დასავლეთ საქართველოს ვენახებში გლეხებმა გამოიყენეს ბამბის კულტურაში გამოსაყენებელი დეფოლიანტი და მთლიანად გაანადგურეს ვაზი. ანალოგიური შემთხვევა აღინიშნა კახეთშიც, ქართლშიც. საქართველოში მეზობელი ქვეყნებიდან შემოდის ვადაგასული ან უკვე აკრძალული პესტიციდები. ბევრს ვლაპარაკობთ, რომ დაწესდეს სახელმწიფო წესრიგი პესტიციდების გამოყენების საკითხებში, თუმცა ასეთი წესრიგისაგან ჩვენ ჯერ კიდევ ძალზედ შორს ვართ. გატაცებული ვართ ახალ-ახალი სტრუქტურული დანაყოფების შექმნით, არსებულის გაუქმებით ან რეორგანიზაციით, მაგრამ გვავიწყდება ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს და აკეთოს ის პატიოსნად. ისმის კითხვა, ნუთუ პესტიციდების გამოყენება მხოლოდ სავალალო შედეგს მოგვცემს. საქმე მთლად ასე არ არის, პირველ რიგში მათი გამოყენების დროს აუცილებელია მეცნიერების მიერ დამუშავებული მკაცრი რეგლამენტების დაცვა. ამავე დროს მეცნიერება ადგილზე არ დგას, იქმნება ახალი ჯგუფის პესტიციდები, რომლებიც მაღალეფექტურობასთან ერთად შედარებით ლაბილურნი არიან გარემოსადმი. დღეს

პრაქტიკაში გამოიყენება მავნე მწერების წინააღმდეგ პირეტროიდული პრეპარატები, რომლებიც 10-ჯერ ნაკლები კონცენტრაციით გამოიყენება, ვიდრე მანამდე ფართოდ გავრცელებული ფოსფორეგანული შენაერთები. სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ ტრიაზოლური ჯგუფის ფუნგიციდები, 10-15-ჯერ დაბალი კონცენტრაციით გამოიყენება მაშინ, როდესაც ეფექტურობა უფრო მეტია მანამდე ხმარებული ფუნგიციდების. სარეველა ბალახების წინააღმდეგ ჰერბიციდები თითქმის 100-ჯერ დაბალი დოზით გამოიყენება. ფართო გამოყენებას ჰპოვებს მეოთხე თაობის პესტიციდები (ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებები), რომლებიც ხასიათდებიან მაღალი შერჩევითობით და გარემოსადმი უსაფრთხოებით. ყველა ეს პრეპარატი ნელა, მაგრამ მაინც შემოდის ჩვენს ქვეყანაში და გამოიყენება წარმოებაში. ისმის კითხვა, საქართველო უნდა იყოს პესტიციდების მწარმოებელი ქვეყანა თუ მარტო იმპორტით უნდა დავკმაყოფილდეთ: ჩვენ გვყავს მაღალი დონის ქიმიკოსები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ამ დარგში მუშაობის, მათ შეუძლიათ ახალ ნივთიერებებზე მუშაობა, ჩვენ ძალზედ შორს ვართ და არ მიგვაჩნია სწორად ასეთი ძვირადღირებული და გარემოსათვის მავნე ნივთიერებების წარმოების დაწყება საქართველოში (განსაკუთრებით ინსექტიციდები და ჰერბიციდები), უნდა შეირჩეს საქართველოში გავრცელებული ძირითადი მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ რამოდენიმე პესტიციდი, შეირჩეს მწარმოებელი ფირმა და შეიქმნას ერთობლივი საწარმო, იმ პირობით, რომ ფირმამ შემოიტანოს უკვე დამზადებული პრეპარატის მოქმედი საწყისი, ხოლო მისი ფორმულირება – ანუ პრეპარატული ფორმის დამზადება მოხდეს საქართველოში. ძალზედ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ლ.ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტთან შეიქმნას პესტიციდების ვარგისიანობის განსაზღვრის ექსპრეს-მეთოდების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე აპარატურით, რაც საშუალებას მოგვცემს უმოკლეს დროში გამოვავლინოთ უვარგისი, არაეფექტური და ჯანმრთელობისათვის საშიში პრეპარატები. ასეთი ლაბორატორიის შექმნა საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ქვეყანაში უვარგისი პრეპარატების შემოტანა და დროულად ავღკვეთოთ მათი გამოყენება წარმოებაში. ასევე მნიშვნელოვანი იქნება რათა ასეთ ლაბორატორიას მიეცეს პესტიციდების კონტროლისა და ლიცენზირების უფლება. მცენარეთა დაცვის პოზიციებიდან ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი ბუნების დაცვის თვალსაზრისით ყველაზე უსაფრთხოა. არის გარკვეული წარმატებებიც, კრიპტოლემუსი, როდოლია, აფელინუსი, ტრიქოგრამა, სერანგიუმი, მეტესეილიუსი და სხვა წარმატებით გამოიყენება ზოგიერთი მავნე სახეობის წინააღმდეგ. წლების განმავლობაში სოხუმის, ბათუმის, ზუგდიდის, გორის, გურჯაანის და თელავის ბიოლაბორატორიები ხელოვნურად ამრავლებდა და იყენებდა 5 სახეობის სასარგებლო მწერს, ტკიპას და ენტომოფტორულ სოკოს. დღეს ეს ლაბორატორიები, ფაქტიურად არ მოქმედებენ, დრო კი გადის! მათი ამოქმედება გადაუდებელი ამოცანაა, მითუმეტეს დღეს, მიწის პრივატიზაციისა და ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბებების პერიოდში. წლების განმავლობაში საქართველოში სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოყვანილია 30 სახეობის სასარგებლო მწერი და ენტომოპათოგენური სოკო, საჭიროა კიდევ დამატებით ათამდე სახეობის შემოყვანა, რომლებიც მნიშვნელოვნად აამაღლებენ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდის საერთო როლს. მიმდინარე წელს ჩვენს მიერ ჩინეთიდან შემოყვანილი იქნა ამერიკული თეთრი პეპელას ბიოლოგიური მტერი, (პარაზიტი – Chouioia cunea) რომლის გამრავლებაც ამჟამად მიმდინარეობს ბათუმის ბიოლოგიური ბრძოლის ცენტრში. პარაზიტის გამრავლება და მათი ბუნებაში გაშვება მნიშვნელოვნად შეზღუდავს ამ მეტად საშიში მავნებლის გავრცელებას. ამჟამად რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებში დაცვითი ღონისძიებები ტარდება მხოლოდ ბიოლოგიური მეთოდით, რისთვისაც გამოიყენება 40 წლის წინ ეგვიპტიდან შემოყვანილი სასარგებლო ხოჭო კრიპტოლემუსი. ბილოგიური ბრძოლის ამ მიმართულების, ე.წ. "კლასიკური" ბიომეთოდის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია საქართველოს სპეციალისტების მივლინება საზღვაგარეთის წამყვან ქვეყნებში: ჩინეთში, იაპონიაში, საფრანგეთში, ისრაელში, აშშ-ში ბიოაგენტების ინტროდუქციის მიზნით.

საინტერესო პერსპექტივები აქვს ბრძოლის ბიოლოგიურ მეთოდს დაავადების წინააღმდეგ. ამჟამად ანტაგონისტი სოკო ტრიქოდერმა წარმატებით გამოიყენება ღია და დახურულ გრუნტში ბოსტნეული კულტურების ფესვის სიდამპლეების და ტრაქეომოკოზური ჭკნობის წინააღმდეგ. თუმცა მათი გამოყენების ხვედრითი წილი დაბალია. ამ მეთოდების ფართო გამოყენებისათვის საჭირო იქნება სპეციალური ექსპერიმენტალური საწარმოო ლაბორატორიის შექმნა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტთან, რომელიც დამუშავებული ტექნოლოგიის საფუძველზე, დაამზადებს შეასაბამის პრეპარატ – ტრიქოდერმინს, რომლის გამოყენებითაც მოსავლიანობა გაიზრდება 60-70%-ით. საინტერესო მიმართულებაა სარეველა ბალახების წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი, კერძოდ ენტომოფაგი მწერების გამოყენება. საქართველოში ამ მიმართულებით კველევები ნაკლებად მიმდინარეობს, ეფექტი კი ძალზედ მნიშვნელოვანია რადგან მაღალტოქსიკური ჰერბიციდების გამოყენება აღარ იქნება საჭირო, რაც გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი საშუალებაა. რამდენიმე წლის წინ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, ჩვენც შევისწავლეთ ერთერთი ეფექტური ფიტოფაგის მნიშვნელოვანი სარეველა ბალახის ჰონდრილას ბუნებრივი მტრები, მათგან ერთერთი ტკიპა – Aceria chondrillae ამჟამად წარმატებით გამოიყენება ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთ შტატში. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ინტეგრირებული დაცვის სისტემებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბრძოლის მიკრობიოლოგიურ მეთოდს. ამჟამად ბაქტერიული პრეპარატები: დენდრობაცილინი, ლეპიდოციდი, ბიტოქსიბაცილინი და სხვა წარმატებით გამოიყენება ხეხილის, ვაზის, ტყის, ბოსტნეული კულტურების და კარტოფილის მღრღნელი მავნებლების წინააღმდეგ. გასულ წლებში ამ საკმაოდ ძვირადღირებულ პრეპარატებს ვღებულობდით რუსეთიდან, დღეს საჭიროა გადაწყდეს მათი წარმოება ჩვენს ქვეყანაში, მითუმეტეს, რომ ჩატარებულია ინტენსიური კვლევები მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ქართველ და ისრაელ სპეციალისტებს შორის. მიღებულია პრეპარატი, საჭიროა მისი ყოველმხრივი მხარდაჭერა და ექსპერიმენტული საწარმოს შექმნა. მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებულ სისტემებში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყენება

სულ უფრო პერსპექტიული ხდება. მცენარეთა დაცვის, აგრეთვე მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტების მიერ დამუშავებულია პერსპექტიული ფერომონების, გამოყენების ტექნოლოგია და მეთოდები. შედგენილია რეკომენდაციები მათი წარმოებაში დასანერგად. იყო წლები, როდესაც ინსტიტუტების რეკომენდაციით ხეხილის ნაყოფჭამიების და ყურძნის ჭიის ფერომონები გამოიყენებოდა ათასობით ჰექტარზე, რაც დიდ ეკონომიას აძლევდა ჩვენს ქვეყანას. გასულ წლებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში მზადდებოდა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, მათ შორის ფერომონები. დაიწყო მუშაობა ფერომონების დამამზადებელი ქარხნის მშენებლობის, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფდა ჩვენს ქვეყანას. ამჟამად მძიმე ეკონომიკური სიტუაციის გამო მშენებლობა შეჩერებულია და ქვეყანა ვერ ღებულობს მცენარეთა დაცვის ამ მეტად საჭირო ნივთიერებებს, არადა რამდენად საჭიროა ასეთი ფერომონების დამზადება და გამოყენება ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ, რომლის გავრცელების საშიშროებაც მოსალოდნელია აღმოსავლეთ საქართველოში. ოგორც ვხედავთ, ბილოგიური დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი მისი ეფექტური გამოყენებისათვის. პირველ რიგში, კი საჭიროა მას მიენიჭოს პრიორიტეტული განვითარების სტატუსი, დაფინანსდეს მიზნობრივად, მომზადდეს შესაბამისი სპეციალისტები საზღვარგარეთის ცენტრებში, შეიქმნას ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დიდი პერსპექტივები აქვთ მავნე ორგაზმებთან ბრძოლაში სელექციურ მეთოდს, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ გამძლე ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანას. აღასანიშნავია, რომ ქართული ჯიშები მაგალითად ხორბალი ზანდური ხასიათდება დაავადებების მიმართ კარგი გამძლეობით, რაც ფართოდაა გამოყენებული სელექციონერების მიერ, მისი დონორობით შექმნილია მრავალი მაღალხარსხოვანი და დაავადებების მიმართ გამძლე ხორბლის ჯიშები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს სახვადასხვა ქვეყანაში. გამძლე ჯიშების გამოყვანის საქმეში, ამჟამად არსებული ტრადიციულ სელექციურ მეთოდებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს გენური ინჟინერია. სამწუხაროდ, ამ საკითხზე მუშაობა ჩვენს ქვეყანაში ძალზედ ნელი ტემპით მიმდინარეობს, პერსპექტივები კი ძალზედ დიდია. ამჟამად მეცნიერების მიერ ბიოტექნოლოგიური გზით უკვე მიღებულია სიმინდის, ხორბლის, პომიდვრის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის ბამბის და სხვა კულტურების ახალი ჯიშები, რომლებიც მაღალ მოსავლიანობასთან ერთად, ხასიათდებიან მავნებელ-დაავადებათა და საერთოდ, სტრესული პირობებისადმი მაღალი გამძლეობით. ჩვენის აზრით, აუცილებელია ქართველი სპეციალისტების მივლინება მსოფლიოს წამყვან ცენტრებში უახლესი მიღწევების გაცნობის და ჩვენს ქვეყანაში ამ მიმართულებით კვლევების გაძლიერების მიზნით მხედველობაში გვაქვს იგივე ზანდურის მაგალითი, საიდანაც შესაძლებელი გახდება დაავადებების მიმართ გამძლე გენების გადატანა მაღალ მოსავლიან ხორბლის ჯიშებში და მათი გამძლეობის გაძლიერება. ასევე, დიდი რეზერვია სხვა მცენარეებიდან, განსაკუთრებით კი ბოსტნეული კულტურების გარეული მონათესავე ჯიშებიდან გამძლეობის გენების გამოვლენა და მათი გამოყენება გენური ინჟინერიის გზით. მნიშვნელოვანი მიმართულებაა აგრეთვე მცენარეული ბუნებრივი პესტიციდების გამოყენება, რომელიც მცირე მასშტაბით გამოიყენება, თუმცა პერსპექტივები მნიშვნელოვანია, რადგან ფერმერებს პრიმიტიულ პიროებშიც კი მაღალ ეფექტს აძლევს. ამჟამად მსოფლიოში ცნობილია ექვსი პერსპექტიული მცენარე რომელიც გამოიყენება ამ მიზნით, ესენი: Acrus calamus L., Ocimum basilicum L., Artemicia tridentata Nutt., Heliopsis bongipes Bl., Mammea americana L. და Azadirachta indica A.juss., მათგან ეს უკანასკნელი, თავისი რეპელენტური თვისებებით გამორჩეულია. თესლის ფხვნილი შესხურებით იცავს მრავალ მცენარეს მწერების დაზიანებისაგან, რაც ჩვენი ცდებითაც მტკიცდება ამერიკული თეთრი პეპელას მიმართ.

მავნე ობიექტების წინააღმდეგ საბრძოლველად ერთად ერთ სწორ გზას წარმოადგენს ინტეგრირებული ბრძოლა, რომელიც ითვალისწინებს ყველა ზევით აღნიშნული მეთოდის შეთანწყობილ გამოყენებას, რომლის ძირითადი პრინციპიცაა, მაქსიმალურად შევამციროთ პესტიციდების გამოყენების ხვედრითი წილი, ბიოლოგიური და სხვა არაქიმიური მეთოდების გამოყენების ხარჯზე.

GURAM ALEKSIDZE – Member of the Academy of Agricultural Sciences

PLANT PROTECTION AND PERSPECTIVES OF ITS DEVELOPMENT IN GEORGIA

Resume

Plant protection occupies a significant place in cultivating agricultural technologies. Experts have counted that notwithstanding activities undertaken, the annual loss in crop amounts to more than 30 %. In addition, 10 % has to be added due to storage loss. Thus, almost half of potential crop is unavailable for producer.

ГУРАМ АЛЕКСИДЗЕ - академик, доктор сельскохозяйственных наук

Защита растении и перспективы ее развития в Грузии

В технологиях выращивания сельско-хозяйственных культур особое место занимает защита растении. Специалистами установлено,что несмотря на принимаемые меры больше чем половина потенциального урожая неиспользованно человеком.



თენგიზ ყურაშვილი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

უაკ (UDC) 619:616.921.5:636.4

ღორის გრიპი, რამდენად საშიშია იგი

გრიპი მაღალკონტაგიოზური, ინფექციური მწვავედ მიმდინარე დაავადებაა. დაავადებისთვის დამახასიათებელია ცხელება, სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსების კატარალური ანთება და ფილტვების დაზიანება, გრიპით ძირითადად ავადდება ღორის მოზარდი.

გრიპი ღორებში რეგისტრირებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, დაავადების აღმძვრელია PNK შემცველი ვირუსი, ანტიგენური გენებით იგი მონათესავეა ადამიანის და ფრინველის გრიპის A ტიპის ვირუსებისა.

ღორში გრიპის გამომწვევია №11 ვირუსი. დაავადებას იწვევს, აგრეთვე ადამიანის გრიპის ერთ-ერთი წარმომადგენელიც №32. დადგენილია, რომ გრიპის ვირუსი №32 ადვილად გადადის ადამიანიდან ღორზე და შეუძლია დიდხანს ცირკულირებდეს ადამიანის გარეშე.

დაავადების აღმავლობის წყაროს წარმოადგენს დაავადებული და დაავადება გადატანილი გოჭები, რომლებიც ხველების და ცემინების დროს ცხვირიდან გამონადენით გამოყოფენ ვირუსების დიდ რაოდენობას, ვირუსის რეზერვუარს წარმოადგენენ ცხოველის ფილტვის ჭიები და ნაცრისფერი და შავი ვირთხა ცხოველთა სადგომებში.

ადამიანის, ფრინველის და ღორის ფიზიკური სიახლოვე როგორც ვარაუდობენ ხელს უწყობს ახალი ანტიგენური შემადგენლობის ვირუსების წარმოშობას. ღორი ამთვისებელია ფრინველის და ადამიანის გრიპის ვირუსის ყველა ქვეტიპის, ე.ი. ისინი წარმოადგენენ "ბუნებრივ ჭურჭელს", სადაც თავს იყრის სხვადასხვა გენეტიკური მასალის მქონე ვირუსები, ამან შეიძლება ხელი შეუწყოს ახალი შვილეული ქვეტიპების შექმნას, რომელთაც მშობელი ქვეტიპისაგან განსხვავებული თვისებები გააჩნიათ.

როგორც ისტორია გვიჩვენებს, ადამიანებში გრიპის ყველა ეპიდემიას თან ახლდა დაავადების გავრცელება ცხოველებში და ფრინველებში. 1688 წელს ინგლისსა და ირლანდიაში – ცხენებში; 1918-1919 წლებში – ღორებში; 1930–1937 წლებში ცხენებსა და იხვებში; 1981–1982 წლებში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში – ცხენებში, ძაღლებსა და კატებში.

ვირუსი ადამიანებს გადაეცემათ გრიპით დაავადებული და დაავადება–გადატანილ ცხოველებთან პირდაპირი კონტაქტის შედეგად. ეს კონტაქტი გარდაუვალია ცხოველების მოვლა-შენახვის, ტრასპორტირების, დაკვლის და ვეტერინარული მომსახურების დროს. განსაკუთრებით საშიშია ფერმაში არსებული ინვენტარი და იძულებით დაკლული ცხოველის ხორცი. ვირუსი ადამიანს შეიძლება გადაეცეს გარეულ ღორებზე ნადირობის დროსაც. ვირუსის გადაცემის მექანიზმი ჰაერწვეთოვანი და აეროგონურია.

ცხოველებთან კონტაქტის დროს აუცილებლად უნდა დავიცვათ პირადი ჰიგიენის პირობები.

ღორებში გრიპით დაავადების პროცენტი ძალიან მაღალია (80-100%) ამავდროულად სიკვდილიანობა დაავადებულ ცხოველებში მნიშვნელოვნად დაბალია (1-4%).

გრიპით ღორების მასიური დაავადების მიუხედავად, 2009 წლამდე მათგან ადამიანების სასიკვდილო დაავადება რეგისტრირებული არ ყოფილა. მიმდინარე წელს გამოყოფილი HINI ვირუსში ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ნივთიერებები. მსგავსი იმისა, რომელიც იყო ვირუსში, რომელმაც გამოიწვია 1918 წლის გრიპის პანდემია. ვარაუდობენ, რომ ღორის გრიპის ვირუსმა HINI-მა ადამიანის სასიკვდილოდ დაავადების თვისება შეიძინა ღორის ორგანიზმში მუტაციის შემდეგ. ღორიდან ადამიანის და შემდგომ კი ადამიანისაგან ადამიანის დაავადება ვირუსმა HINI-მა დაიწყო მას შემდეგ, რაც ცხოველის ორგანიზმში ერთდროულად მოხვდა ვირუსის რამოდენიმე სახეობა. ვირუსის ახალ შტამში მეცნიერებმა აგრეთვე აღმოაჩინეს ღორის გრიპის ვირუსის და ფრინველის გრიპის ვირუსის თვისებები ერთდროულად. ვფიქრობთ ღორის გრიპის ვირუსის მუტაციის პროცესი კვლავ გაგრძელდება და მივიღებთ უფრო საშიშ ვარიანტებს. დღეს ღორის გრიპის ვირუსები HINI უფრო საშიშია ვიდრე ფრინველის გრიპის ვირუ-

სი. როგორც აღნიშნული იყო, ამ ვირუსით ძირითადად ავადდებიან და კვდებიან ადამიანები 45 წლამდე. მაშინ როდესაც ფრინველის გრიპის ვირუსით ძირითადად დაავადდა და მოკვდა მოზარდები და მოხუცები. თანაც დაავადება გადაეცემა ადამიანებიდან ადამიანს. ვარაუდობენ, რომ ვირუსის მუტაციაში დღეს მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ბოლო ათი წლის მანძილზე ადამიანებში, ღორებში და ფრინველებში აქტიური ვირუსის შემდეგ ვარიანტებს: HINI H2N2, H3N2, H5N1, H7N7 da H9N7-ს აღსანიშნავია, ისიც რომ ადამიანს მისთვის არადამახასიათებელი ინფექციური აგენტის HINI მიმართ ბუნებრივი იმუნიტეტი არ გააჩნია.

როგორც ირკვევა, HINI გარდა იმისა, რომ ავლენს ჩვეულებრივი გრიპის სიმპტომებს, ის მიმდინარეობს უფრო მწვავედ და იწვევს ადამიანის სიკვდილს, HINI-ით დღეისათვის 44 ქვეყანაში დაავადდა 4379 და დაიღუპა 100-ზე მეტი ძირითადად 45 წლამდე ადამიანი. (ამერიკის 38 შტატში დაავადდა 400 და მოკვდა მხოლოდ ერთი ადამიანი).

ფრინველის გრიპის საშიშროების დროსაც და დღეს, როცა ღორის გრიპის გავრცელების წინაშე ვდგავართ, როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადი ყურადღება გადატანილია ადამიანების სიცოცხლის დაცვაზე. ეს სწორია, მაგრამ ამავდროულად მნიშვნელოვანია ინფექციის ძირითადი წყაროს – ცხოველების მდგომარეობის შესწავლა. ფიქრი იმ ღონისძიებებზე, რომელიც მინიმუმადე დაიყვანს ინფექციის აღმძვრელის წყაროს, დაავადებული და ვირუსმატარებელი ცხოველების რიცხვს.

ჩვენს ქვეყანაში, სადაც დღეს დაავადება საბედნიეროდ არც ცხოველებში და არც ადამიანებში არ გამოვლენილა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ დავიცვათ როგორც ადამიანები, ასევე ცხოველები. აქედან გამომდინარე, უფრო აქტიური უნდა გახდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები (თავიანთი მზადყოფნის შესახებ ოფიციალური განცხადებები უკვე გააკეთეს რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ვეტერინალურმა სამსახურებმა).

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და აგრარული უნივერსიტეტი მზად არის ამ ღონისძიებების მეცნიერული უზრუნველყოფისათვის.

სასწრაფოდ უნდა აღირიცხოს მეღორეობის ფერმები და მათში არსებული სულადობა. მოვაგვაროთ ლაბორატორიები საჭირო რაოდენობის დიაგნოსტიკუმებით და ტესტებით. მომზადდეს სათანადო კადრები, გაძლიერდეს ვეტერინალურ-სანიტარული კონტროლი ქვეყნის საზღვრებზე. განსაკუთრებულ კონტროლს დაექვემდებაროს შემოტანილი პროდუქტები. საერთოდ აიკრძალოს ღორის ხორცის შემოტანა და ტრანზიტი.

დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინები და რადიკალური სამკურნალო საშუალებები შემუშავებული არ არის. მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით, სწორი და დროულად გატარებული ღონისძიებების ერთობლიობით უნდა დავიცვათ ქვეყნის ტერიტორია ღორის გრიპის და სხვა საშიში დაავადებებისაგან.

TENGIZ KURASHVILI
Member-Correspondent
of the Academy of Agricultural Sciences

SWINE FLU AND ITS THREATS

Resume

Flu is highly contagious, infectious, severe disease. The symptoms include fever, inflammation of respiratory system, and lung injury. The flu mainly infects swine.

The swine flu has been registered in various countries of the world. The disease is instigated by the PNK virus. in terms of antigens it is closely related to A type viruses of human and bird flu.

ТНГГИЗ КУРАШВИЛИ
член-кор. сельско-хозяйственной академии

СВИНОЙ ГРИПП, НАСКОЛЬКО ОН ОПАСЕН

резюме

Свиной грипп (вирус гриппа A(H1N1)) является высококонтагиозной, инфекционной остро протикающей опасной как для животных так и для человека заболеванием. характерным является высокая температура, озноб, порожение слизистых оболочек дыхательных путей. Порожается в основном молодняк.

იური ნიკოლაიშვილი
დამოუკიდებელი ექსპერტი

უაკ (UDC) 338.439.6)

საქართველოს კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ და მომხმარებელთა უფლებების დაცვა

2005 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი – „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“, რომელმაც წესისამებრ გაიარა ყველა ეტაპი – თავისი დამუშავებით და პრეზენტაციებით. ის მალე შევიდა ძალაში. ჩვენ კი, როგორც მომხმარებელი, შევეცადოთ გავერკვეთ, როგორ მუშაობს კანონი და როგორ ამართლებს ის თავის სახელწოდებას.

ძველი ბერძნები თუ რომაელები ამბობდნენ – „ჯერ ტერმინებზე შევთანხმდეთ და მერე ვისაუბროთ“. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ტერმინი „კანონი“ ასეა მოცემული: „კანონი – საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დადგენილი საყოველთაოდ სავალდებულო წესი“.

ახლა კი მივყვეთ თვით კანონის მუხლებს:

მუხლი 1.

„ამ კანონის მიზანია მომხმარებელთა ჯანმრთელობის, სოცოცხლის და ეკონომიკური ინტერესების დაცვა მოხმარებისათვის განკუთვნილ სურსათთან მიმართებაში შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მისი მრავალფეროვნების გათვალისწინებით“.

ეს მუხლი თავიდანვე ბევრ შეკითხვას ბადებს: დღევანდელ პირობებში რომელ „ეკონომიკური ინტერესების დაცვაზეა“ ლაპარაკი ან „შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება“ რაში და როგორ გამოიხატება?

მუხლი 2 – კანონის რეგულირების სფერო.

პუნქტი 1.

„ეს კანონი არეგულირებს და განსაზღვრავს:

ა) სურსათისა და ცხოველის საკვების უვნებლობის ზოგად პრინციპებსა და მოთხოვნებს;

ბ) სურსათის ხარისხის ზოგად მოთხოვნებს;

(ამ პუნქტების შემდეგ გ), დ) და ე) ქვეპუნქტები ეხებიან სურსათის და ცხოველთა კვების საკითხებს);

ვ) სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმწიფო კონტროლზე და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციებს;

ზ) ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევაზე შესაბამისი აღმკვეთი ზომების მიღებისა და გატარების ზოგად წესებს“.

რას ჰქვია „კანონი არეგულირებს და განსაზღვრავს“. რაში გამოიხატება ეს „რეგულირება“ და „განსაზღვრა“? ა) და ბ) ქვეპუნქტები თავისი „ზოგადი პრინციპებით“ და „ზოგადი მოთხოვნებით“ ეჭვის საფუძველს იძლევიან.

შემდეგ კანონი განიხილავს ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის საკითხებს და 25-ე მუხლის პუნქტ 2-ით აცხადებს –

„სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სფეროში კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სამსახური და მხოლოდ აღნიშნული სამსახურია უფლებამოსილი განახორციელოს სურსათის სფეროში ზედამხედველობა, მონიტორინგი და სახელმწიფო კონტროლი“.

ჩემი მოსაზრებები და შენიშვნები კანონის მიღებამდე და მისი მიღებისთანავე კანონის ავტორებს და პროპაგანდისტებს წარვუდგინეთ 3 დაბეჭდილი ფურცლის სახით, რომ კანონი მოცემული ფორმით და შინაარსით ვერ იმუშავებდა, მაგრამ პასუხი – მხოლოდ სი-

ჩუმე ან გაუგებარი ღიმილი იყო. ასეთმა ღიმილნარევმა პასუხებმა რა შედეგიც გამოიღო – სახეზეა.

2006 წელს შეიქმნა „ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვის და სურსათის ხარისხის ზედამხედველობის ეროვნული სამსახური“ და სწორედ აქედან იწყება მთელი ორომტრიალი.

„სამსახურმა“ თავისი საქმიანობა დაიწყო იმით, რომ იმავე წელს შეიძინა 120 000 ლარის პესტიციდები და სპეციალური აპარატურა ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ საბრძოლველად. მოასწრო თუ არა „სამსახურმა“ მისი გამოყენება, ჩვენთვის უცნობია (შეიძლება იმიტომ, რომ მთელ მსოფლიოში გამოცხადებულია პესტიციდების გამოყენების შეზღუდვა, ხოლო ამერიკული თეთრი პეპელა და სხვა მწერები 2007 წელს ისევ ანადგურებენ ჩვენს სოფლის მეურნეობას). რაც შეეხება თვით „სამსახურს“, მისი ფუნქციონირება 2006 წელსვე იქნა შეჩერებული გარკვეული ვადით. მაგალითად, 2007 წლის მაისში, ტელეარხ „იმედის“ ეკრანიდან გამოცხადდა, რომ „პროდუქციის კონტროლი გამოიწვევს კორუფციას და ამიტომ „სამსახურის“ ფუნქციონირება 2010 წლამდე შეიძლება გადაიდოს“. აქედან გამომდინარე, ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ მარჩიელობის უფლება და საშუალება. მაგრამ, ცხოვრება თავისას ითხოვს. ამის მაგალითს იძლევა გაზეთ „ახალი თაობის“ სტატია, სადაც წალენჯიხის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ცანავა სურსათის უვნებლობის სამსახურის გაუქმებას აპროტესტებს.

იქნებ შევეცადოთ გავერკვეთ, რა იგულისხმება „სურსათის უვნებლობაში“: „სურსათის უვნებლობა“ ცალკე, მისი მოხმარებისაგან დამოუკიდებლად, თუ ქვეყნის მომარაგება იმდენი და ისეთი რაოდენობის საკმარისი სურსათით, რომ ქვეყნის მოსახლეობა დაცული იყოს მინიმალური „სასურსათო კალათით“ ანუ შიმშილისაგან.

დღეს საქართველოში როგორია ე.წ. „სასურსათო კალათა“, ოფიციალურად ცნობილი არ არის. ცნობილია მხოლოდ უმუშევარი, მშიერი და მათხოვარი ადამიანების რაოდენობა. ამიტომ აქვე ურიგო არ იქნება ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ი.ვ. გოეთეს სიტყვები – „კანონი ძლიერია, მაგრამ გაჭირვება უფრო უძლეველია“.

იქნებ „სასურსათო უვნებლობა“ ნიშნავს ფიზიკურად უსაფრთხო სურსათს, მაგალითად „ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტს“? მაგრამ, კანონის მე-2-ე მუხლის I პუნქტის ვ) ქვეპუნქტი საერთოდ გაუგებარი ხდება, რომელ „სურსათის უვნებლობისა და ხარისხზე“ შეიძლება საუბარი, როდესაც „სამსახურის“ ფუნქციონირება შეჩერებულია და იფეთქა ღორის ცირკოვირუსმა (მონტგომერის დაავადება – აფრიკული ცხელება), რომლის მსხვერპლს უკვე ვეღარც ითვლიან. როგორც პრესა იტყობინება, „სამსახურის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალური წერილებით მიმართა ბაზრების და ბაზრობების დირექციებს იმის შესახებ, რომ გაამკაცრონ კონტროლი ხორცპროდუქტებზე, განსაკუთრებით ღორის ხორცზე. როცა მარტო ოზურგეთში მაისში 500 ღორი დაიხოცა, ამის შემდეგ კი არ უნდა ატეხილიყო ალიაქოთი და მთელ საქართველოში „სამსახურის“ ეგიდით ოჯახებში ღორების ხოცვა და დათვლა (რომელთა რაოდენობამ ათი ათასობით სული შეადგინა), არამედ ინსპექციის პირველი ნიშნებისთანავე საჭირო ზომების მიღება, მაგრამ ამას „სამსახური“ ვერ შეძლებდა მისი ფუნქციის გაუგებრობის გამო.

რაც შეეხება „სურსათის ხარისხს“, კანონის მე-3 მუხლის ზ) პუნქტში ის ასეა განმარტებული: „სურსათის ხარისხი – უვნებელი სურსათის იმ მახასიათებლების ეკონომიკურ ინტერესებთან“. თუ ვინაა დღეს ჩვენში „საბოლოო მომხმარებელი“ და ვისი „ეკონომიკური ინტერესებია“ შელანძღული უხარისხო სურსათით – ცნობილია.

ამის შემდეგ შიდა ბაზრის „მრავალფეროვნების გათვალისწინებაზე“ უკვე ლაპარაკიც ზედმეტია. რაც შეეხება მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის ზ) ქვეპუნქტს, როცა „სამსახურის“ ქმედება შეზღუდულია და კანონის მთლიანი მოთხოვნაც აღარ არსებობს, მისი „გატარების ზოგადი წესები“ ვიღას უნდა? გამოდის, რომ კანონი მართლაც ზოგადი ხასიათისაა, ის არც არავის არაფერს ავალდებულებს და არც არავის არაფერს არ თხოვს. მაგრამ, როცა „სამსახური“ შეჩერებულია, ვის ევალება „სასურსათო უსაფრთხოების“ ან „სურსათის უვნებლობის“ დაცვა? ანუ მოსახლეობის უზრუნველყოფა სურსათის ისეთი მარაგით და მისი შეძენის ისეთი სურვილით, უნარით და საშუალებით, რომ მოქალაქე არ შიმშილობდეს? ზოგადად „სახელმწიფოს“ ხსენება მართებულია, რადგან სწორედ ამას მიუთითებს ევროსაბჭოს 365-ე დირექტივა, მაგრამ კერძოდ ვინ ან რომელი სტრუქტურა? აქ, ალბათ, ისევ თვით მოქალაქე უნდა იყოს დაინტერესებული, მაგრამ საზოგადოება იმიტომ ქმნის კონსტიტუციას და კანონებს, რომ ყველაფერი იყოს განსაზღვრული – უფლებებიც და მოვალეობებიც. ჩვენთან კი დაზუსტებული არ არის, თუ ვინ წარმოადგენს ამ საკითხებში სახელმწიფოს: შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო – არა! სოფლის მეურნეობის სამინისტრო – არა! მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციები, ფედერაციები, კავშირები და საზოგადოებები მხოლოდ ინფორმაციებს აგროვებენ ფალსიფიცირებული პროდუქციის ჩამონათვალზე. რას აკეთებენ პროფკავშირები, საერთოდ გაუგებარია. ამ დროს ჩვენ, მომხმარებლებმა რა ვქნათ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ვის ევალება? ჩვენთან ხომ მყიდველს აქვს მხოლოდ გადამხდელის უფლება და არ გააჩნია მომხმარებლის უფლება. თუმცა არსებობს საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“.

არსებობს ევროპის პარლამენტის და საბჭოს რეგულირების (EC) №178/2002 მოთხოვნების დირექტივები №89/397 „სახელმწიფო კონტროლის შესახებ“ და „დამატებითი ზომების შესახებ“. როგორც ეს დოკუმენტები მიუთითებენ, ევროპის ქვეყნებში (და არა მარტო ევროპის) არსებობს სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი. ამის შესახებ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, გერმანული GTZ-ს მონაცემებით, მოსახლეობის ყოველ 10 ათას კაცზე მოდიოდა სურსათის 60 გამოკვლევა. აქედან 50% ტარდებოდა თვით მწარმოებლის მიერ, დანარჩენი 50% სურსათის მაკონტროლებელი უწყების მიერ. აქვე საყურადღებოა სურსათის სახეობების მიხედვით სინჯების აღების დანაწევრება: ხორცი და ხორცე-

ული – 18%, რძე და რძის ნაწარმი – 12%, ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილის და ა.შ. ნაწარმი – 8% და ასე სურსათის სხვა სახეობები.

როგორც ადრე მოგახსენეთ, წარმოდგენილი კანონის მიმართ გვაქვს 30-მდე შენიშვნა, რომლებიც ცალკე განსჯის საგანია და ამიტომ მოცემულ სტატიას არ გადავტვირთავთ. მთლიანად კი მიგვაჩნია, რომ კანონი საფუძვლიან გადამუშავებას მოითხოვს და დაინტერესებულ მხარეს შეგვიძლია წარვუდგინოთ ჩვენი მოსაზრებები.

რაც შეეხება მომხმარებელთა უფლებების დაცვას, ურიგო არ იქნება ერთხელ კიდევ გადავხედოთ მნიშვნელოვან დოკუმენტს – „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის“ (გაფართოებულია 1999 წელს. ნიუ-იორკი. 2003), სადაც თვალსაჩინოდ არის განმარტებული ურთიერთვალდებულებები ხელისფულებასა და საზოგადოებას შორის. კერძოდ, მის 57-ე პუნქტში ნათქვამია:

„...ხელისფულება მუდმივად უნდა ასრულებდეს, ავითარებდეს ან აუმჯობესებდეს სასურსათო უსაფრთხოების ზომებს, კერძოდ, უსაფრთხოების კრიტერიუმების, სასურსათო ნორმების და ყუათიანობის მოთხოვნების ჩათვლით, აგრეთვე კონტროლის, ინსპექტირების და შეფასების ეფექტურ მექანიზმებს“.

იმის განსჯა, თუ როგორ სრულდება ეს მოთხოვნები ჩვენს ქვეყანაში, თქვენთვის მოგვინდვია.

I. Nikolaishvili
(Independent Expert)

The paper examines articles and paragraphs of the Law, while based on these analyses comments and considerations are provided. The paper also briefly describes the situation with the consumer rights protection in Georgia and conditions for the implementation of relevant requirements and directives of the European Council on food security.

Ю. Николаишвили
(Независимыи эксперт)

В статье дан анализ отделных параметров и пунктов закона, на основе которого изложены соответствующие замечания и соображения. Также в кратце показаны состяние защигы прав потребителей в Грузии и обьязательные условия для выполнения требований и директив Евросоюза по продовольственной безопасности.

რევაზ ფახურიძე

უაკ (UDC) 336.77

„იაფი კრედიტი“ — სიღარიბის დაძლევის ერთადერთი თუ ერთ-ერთი საშუალება

ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შემდეგ ხელისუფლებამ სიღარიბე უპირველეს პრობლემად აღიარა. პრემიერ მინისტრად ლადო გურგენიძის დანიშვნის შემდეგ მას დაევალა პირველ რიგში სიღარიბის დაძლევა. ამ ამოცანის შესასრულებლად მთლიანად შეიცვალა 2008 წლის ბიუჯეტი. წლევანდელ ბიუჯეტში შეიტანეს ახალი სახელმწიფო პროგრამა – „იაფი კრედიტი“. „იაფი კრედიტის“ პროგრამა უნდა გახდეს ქვეყანაში დასაქმების ზრდისა და სიღარიბის შემცირების მთავარი სტიმული. ჯერ-ჯერობით არ დასრულებულა შეღავათების მოსაპოვებლად აუცილებელი პროცედურების განსაზღვრა. დამტკიცებულ ბიუჯეტში მითითებულია, რომელმა სამინისტრომ რა უნდა გააკეთოს „იაფი კრედიტის“ პროგრამის ასამოქმედებლად.

2008 წლის ბიუჯეტში 58-ე მუხლით ფინანსთა სამინისტროს ევალება, სესხის გაცემის წესი და პროცედურები 1-ლ თებერვლამდე შეემუშავებინა. საქართველოს მთავრობას დაევალა ერთ თვეში წარმოადგინოს კანონ-პროექტი, რომელიც ცვლილებებს შეიტანს „საგადასახადო დავალიანებასა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ კანონში. კანონპროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს 2008 წლის დასაფარავად სესხის შეღავათიან რეჟიმში გადაყვანა, ანუ სახელმწიფოს მიერ გაცემული კრედიტების დაფარვა უნდა გადავადდეს. აქვე მითითებულია, რომ სესხის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 100 ათას ლარს, თუ სესხი არ არის გაცემული ავტონომიურ რესპუბლიკაზე ან ტერიტორიული მმართველობის ერთეულზე. „იაფი კრედიტის„ პროგრამის თანახმად, ასეთ გადავადებულ სესხებზე სარგებლობის ვადა იქნება 5 წელი, ხოლო სესხით სარგებლობის წლიური განაკვეთი – 10%-ი.

„იაფი კრედიტის“ ფარგლებში ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უნდა მოამზადოს ქვეპროგრამა „ექსპერტის წახალისება.“ 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უკვე ცნობილია ის საწარმოები, რომლებმაც ნაწარმოები პროდუქციის 10%-ზე მეტი გაიტანა ექსპორტზე, ოღონდ იმავდროულად საექსპორტოდ გატანილი პროდუქცია მთლიანი პროდუქციის მოცულობის 755-ს არ აღემატებოდა. შეღავათიანი სესხით სარგებლობის საშუალება ეძლევა. გამონაკლისის სახით 755-იანი ზედა ზღვარი არ ვრცელდება იმ საწარმოებზე, რომლებსაც საექსპორტიოდ სოფლის მეურნეობის პროდუქცია გააქვთ, ანუ საწარმოს, რომელიც სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედებს და საკუთარი პროდუქციის 10%-ზე მეტი (ან თუნდაც მთელი პროდუქცია) ექსპორტზე გაიტანა, საშუალება აქვს „იაფი კრედიტის“ ფარგლებში შეღავათიანი კრედიტებით ისარგებლოს. საწარმოებს, რომლებიც ამ პირობებს დააკმაყოფილებენ 25 ათასი ლარის სესხის შეღავათიანი პირობებით მიღება შეეძლებათ.

„იაფი კრედიტის“ მიღების მსურველი საწარმოს საექსპორტოდ გატანილი პროდუქციის მოცულობა 100 ათას ლარზე მეტი უნდა იყოს. ერთ პირზე გასაცემი სესხის მოცულობა არ უნდა იყოს 25 ათასზე მეტი, ხოლო სესხით სარგებლობის განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 10 %-ს. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის მოამზადოს ქვეპროგრამა „რეგიონული ტურიზმისა და ხალხური რეწვის განვითარება“.

„იაფი კრედიტის“ პროგრამის მიხედვით, ამ ქვეპროგრამით მეწარმეებზე 10 მილიონი ლარის საკრედიტო რესურსი გადანაწილდება.

ეკონომიკური განვითარბის სამინისტრომ ასევე უნდა მოამზადოს ქვეპროგრამა „100 ქართული ბიზნეს პროექტი“. ამ ქვეპროგრამის განსახორციელებლად ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის დამტკიცებული 5 მილიონი ლარი გადანაწილდება საუკეთესო ბიზნესპროექტის მქონე მოქალაქეებზე შეღავათიანი კრედიტის სახით. წინასწარ განსაზღვრულია, რომ ერთ პირზე გასაცემი თანხა იქნება 5 ათასიდან 100 ათასამდე ლარის ფარგლებში. სესხით სარგებლობის მაქსიმალური ვადა 25 წელი იქნება, აქედან 5 წლამდე პერიოდი შეღავათიანი პირობებით არის განსაზღვრული. სესხით სარგებლობის წლიური განაკვეთი კი 4% იქნება. „იაფი კრედიტის“ პროგრამის ფარგლებში ჩართულია ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ამ უწყებას ევალება მოამზადოს ქვეპროგრამა „სოფლის მექანიზაცია 2008“, რომლის მიხედვითაც სამინისტროსთვის დამტკიცებული 30 მილიონი ლარით შეიძენენ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებს და ლიზინგით გადასცემენ სოფლის

მეურნეობის სფეროში დასაქმებულ პირებს, ასევე ორგანიზაციებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ „იაფი კრედიტის“ პროგრამის ეგიდით უნდა მოამზადოს ქვეპროგრამა „ცოდნის კარი“, რისთვისაც სამინისტროსთვის 3 მილიონი ლარია გამოყოფილი.

2008 წლის ბიუჯეტში შეტანილი სახელმწიფო პროგრამა „იაფი კრედიტი“ კონკრეტულად რა პირობები და პროცედურები იქნება საჭირო შეღავათიანი სესხების მისაღებად, მალე გაირკვევა.

„იაფი კრედიტის“ პროგრამა გასულ წელს დაიწყო და საკმაო რაოდენობიტ სესხი გაიცა. 2008 წელს სულ 127 კრედიტი, მათ შორის – 62 საწარმო. პროექტების საერთო ღირებულებამ 62,4 მილიონი შეადგინა.

2008 წელს „იაფი კრედიტები“ დიდი შეფერხებებით გაიცემოდა. ყველაზე დიდი ხარვეზები, რომლებიც ამ პროგრამას ახლდა თან, იყო ის, რომ თანხები ძირითადად სამთავრობო წრეებთან დაახლოებულ პირებს მიეცემოდათ. ერთ საინტერესო ფაქტს ჩვენი კოლეგა, გაზეთ „ბანკები და ფინანსების“ თანამშრომელი შეესწრო. ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთში წინა საარჩევნო პერიოდში რეგიონის რწმუნებული ჩავიდა. მოსახლეობამ მასთან საუბრისას მთავარ პრობლემად სამუშაო ადგილების არქონა დაასახელა. რწმუნებულმა კი ამის საპასუხოდ მათ აუწყა, რომ ამ სოფლის მცხოვრებს, ვინმე ჯემალ სირაძეს „იაფი კრედიტი“ ჰქონდა აღებული, ამ ფულით ის წარმოებას გამართავდა და ადგილობრივ მოსახლეობას დაასაქმებდა. აღმოჩნდა, რომ იმ ადამიანმა, რომლის სახელზეც იყო გაფორმებული „იაფი კრედიტი“, ამის შესახებ არაფერი არ იცოდა. ასეთი მაგალითები უამრავი იყო, რასაც ადასტურებს იმ საწარმოთა და პიროვნებათა სიები, რომელსაც ჩვენ შემოგთავაზებთ.

მიმდინარე 2009 წელს 40% ნაკლები თანხა გამოიყო „იაფი კრედიტისათვის“ და მისი გაცემა არ დაწყებულა ჯერჯერობით.

გასულ წელს იყო შემთხვევა, როცა 2,5 მილიონი ლარის სესხი გაიცა კომპანია „ჯორჯიან ეარ სერვისისათვის, რითაც მან თვითმფრინავი შეიძინა. საინტერესოა, უწყობს თუ არა ხელს თვითმფრინავის შეძენა ექსპორტის განვითარებას?

მიმდინარე 2009 წელს „იაფ კრედიტს“ გასცემს „ვი-თი-ბი“, „სახალხო“ და „ბაზის“ ბანკი.

ჟურნალ კვალის რედაქცია შეეცდება ყურადღება მიაქციოს „იაფი კრედიტები“-ს გაცემის შემდგომ მონიტორინგის განახორციელებას „იაფი კრედიტი“-ს მიზნობრივ გამოყენებაზე.

REVAZ PAKHURIDZE

“SMALL CREDIT” – THE ONLY OR ONE OF THE MEANS TO ERADICATE POVERTY

The new State Program has been introduced in the current budget – “small credits.” The program has to become the main stimulus for diminishing poverty and increasing employment.

РЕВАЗ ФАХУРИДЗЕ

« ДЕШЕВЫЙ КРЕДИТ» - ЕДИНСТВЕННЫЙ СПОСОБ ОДОЛЕНИЯ НИЩЕТЫ

резюме

В новом бюджете внесено новая государственная программа – «дешевый кредит». прграмма должна стать в нашей стране стимулом одолени я нищеты и занятости.

ილიას
მკვლელობიდან 100 წელი გავიდა

მშვიდობით ძმაო – გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით: ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა, დაობლება საძნელოა, მაგრამ ეჰ, არ ღირს პირადობაზე თქმა და ისიც ჩვენში დღეს...

შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავის-თავად იღაღადებენ. იმათ ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა ვეღარც არას დააკლებს და ვეღარც რაიმეს მიუმატებს.

თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და გონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ.

როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და აჰა, საქართველოს ყოველი კუთხიდან თავმოყრილნი გეხვევიან გარს... და ვინ იცის, ეგებ სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს.

მშვიდობით ძმაო... საუკუნოდ იყოს ხსენება შენი.

აკაკი

„წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, – მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“...

გალაკტიონი

„ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეკუთვნოდეს“... აქ ვხედავ მე დიდ ანალოგს: ილია – მოსე. აქ არის გზადაბნეულ ერის ვულკანურ მთასთან მიყვანება. აქედან უნდა გადაშლილიყო ქართული რასის წინაშე დიდი სანახები ნებოს მთისა და ახალი ცხოვრებისა. აქვე გაკვანძულია ჩვენი ახალი ისტორიისა და ახალი ყოფის ჯერაც ჰამლეტისებური მერყეობით წარმოთქმული: ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეკუთვნოდესო.

დიდი სიყვარული გმირის და წმინდანისა არასოდეს გაცივდება ერის გულში. ქართველ ერს ის საწყალი გლეხის ბიჭიც არ დავიწყებია თავის სიმღერებში, რომელმაც სისხლით აგებია პასუხი საქართველოს სისხლის მსმელს. არც იმ ჭაბუკის სახელი, რომელმაც კისრამდის ცემენტში ჩააკირვინა თავი საქართველოს მტრების წინააღმდეგ ასაგებ ციხე-გალავანში.

მით უმეტეს ვერ დაივიწყებს ილია ჭავჭავაძის სახელს, რომელიც 50 წელი ამაყი სარანგი იყო ქართული სულისა და სიცოცხლე თავისი მოწამეობრივი სიკვდილით დაასრულა.

კონსტანტინე გამსახურდია

ილია იყო საუკუნეებში ნაჭედი ბედი ჩემი ერისა...

გრიგოლ რობაქიძე

არსებობს ილია მართლის (ჭავჭავაძის) ერთი სურათი. იგი თბილისის რომელიღაც ქუჩაში დგას და ხელის ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით ვიღაცას უხმობს... „მე ასე მგონია, თითქოს ის ჩვენს თაობას უხმობს“, – წერდა გერონტი ქიქოძე.

ჩვენს თაობასაც ასე ჰგონია... ჩვენც გვეძახის და გვიხმობს ილია და რა დროსაც არ უნდა მივიდეთ მასთან, სიჭაბუკის ჟამს, თუ ღრმა მოხუცებაში, ყოველთვის შევიგრძნობთ მიახლებას იმ დიდ ნათელთან, ნამდვილთან და ამაღლებულთან, რომელიც დაბადების დღიდანვე, შეუცნობლად თუ შეცნობილად ადამიანის უმთავრეს ნატვრად და ოცნებად ქცეულა.

ილია გვიხმობს, ილია გვეძახის, ილია გვზრდის, ილია გვასწავლის, ილია გვაიმედებს.

თინათინ კობალაძე
ჟურნალ „ჯვარი ვაზისა“-ს
მთავარი რედაქტორი



რომ ეცოცხლა...
ზვიად გამსახურდიას 70 წელი შეუსრულდებოდა...

უაკ (UDC) 343.13

ბატონო ბესარიონ გუგუშვილო, ზვიად გამსახურდია თქვენ მოკალით?

„ქართველმა ხალხმა, ბოლოსდაბოლოს, უნდა გაიგოს ყველაფერი, ყველა წვრილმანი, ყველა დეტალი და საბოლოოდ უნდა ვამხილოთ მტრებიც და მკვლელებიც.“

მანანა არჩვაძე-გამსახურდია, „ასავალ-დასავალი“, №8, 2009 წ.

„მზად ვარ, დავიწყო ციკლი ინტერვიუებისა რუბრიკით „რაც არასოდეს მითქვამს!“ მე მზად ვარ, ვთქვა ყველაფერი ის, რაც ბევრისთვის შეიძლება უსიამოვნო იყოს, ბევრისთვის – სასიამოვნოც, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას! დროა, ვამხილოთ ყველა ის ადამიანი, ვინც წლების განმავლობაში სარგებლობდა ქართველი ერის დიდსულოვნებით“, – ამბობს ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

გულწრფელად მივესალმებით ამ ინტერვიუების ციკლის გამოქვეყნების დაწყებას. სათქმელი მართლაც ბოლომდე უნდა ითქვას – ქვეყანამ უნდა იცოდეს სიმართლე, როგორ და რა ვითარებაში აღესრულა ამ ქვეყნის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ჯვარცმული და წამებული მისი პრეზიდენტი.

მე პირადად იმ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, რომლებსაც ყოველთვის მტკიცედ სჯეროდათ, რომ ზვიად გამსახურდიას თავი არ მოუკლავს. ამის დასამტკიცებლად რამდენიმე ვრცელი ნარკვევიც მაქვს გამოქვეყნებული, რომლებშიც მომხდარის ანალიზს და ლოგიკას ყოველთვის ერთ საერთო დასკვნამდე მივყავდი – ეს არ იყო თვითმკვლელობა! ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო თვითმკვლელობა!

დარწმუნებული ვარ, ქალბატონი მანანა, მისთვის ჩვეული შეუპოვრობით ბოლომდე მიიყვანს საქმეს და ფარდას ახდის წლების განმავლობაში საიდუმლოებით მოცულ ამ შემზარავ მკვლელობას, საზოგადოება კი ვალდებულია გვერდით დაუდგეს მას და შეძლებისდაგვარად ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ამ მისიის შესრულებაში.

– ვინც ამტკიცებს, რომ ზვიად გამსახურდიას თავი არ მოუკლავს, ის სამშობლოს მოღალატეა! – ასეთი უცნაური განცხადება გააკეთა ერთმა პიროვნებამ ამასწინათ. ღრმად ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ასეთი პროვოკაციული ზეგავლენით იმ ადამიანებს ჩააჩუმებს, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ზვიად გამსახურდია მოკლეს. ჯერ არ თქმულა, მაგრამ აუცილებლად ითქმება, **ვინ ადგენდა ილორიდან ზუგდიდში გადმოსული პრეზიდენტის გადაადგილების მარშრუტს,** რატომ იყო ეს მარშრუტი თავიდანვე განწირული ჩიხში მოსაქცევად; ზუგდიდშივე მოწყდა პრეზიდენტს თანამებრძოლთა გუნდი, რომელიც კარგად იცნობდა სამეგრელოს რეგიონს, აქედან გამომდინარე, შეეძლო ეფექტური დახმარება გაეწია განსაცდელში ჩავარდნილი პრეზიდენტისათვის. **ითქმება ისიც, რა ხერხებით და მეთოდებით იშორებდნენ თავიდან იმ ადამიანებს, რომლებიც გამსახურდიასადმი განსაკუთრებული ერთგულებით და პიროვნული წესიერებით გამოირჩეოდნენ.** სოფელ მუჟავაში ყოფნისას **ზვიად გამსახურდიას ერთი ადგილობრივი ყმაწვილკაცი, მეტსახელად „სმერტნიკი“ დაუახლოვდა.** გამსახურდიას ძალიან მოსწონდა თურმე ეს მკვირცხლი, უშიშარი ახალგაზრდა და ხშირად აქებდა მას

გულადობისა და სიმამაცის გამო.

ერთხელ გამსახურდიას და „სმერტნიკს“ შორის ასეთი საუბარი გამართულა: – შენ ხომ აქაური ხარ და ხომ კარგად იცნობ აქაურობას? – უკითხავს გამსახურდიას ყმაწვილკაცისთვის.

– რა თქმა უნდა, ყველა ბილიკი და მისახვევ-მოსახვევი ვიცი, – უპასუხია „სმერტნიკს“.

– მაშინ ხვალ დილით, გამთენიისას, მოხვალ ჩემთან და აქედან გამიყვან! ოღონდ ამის შესახებ არავინ უნდა იცოდეს.

– მარტო თქვენ უნდა გაგიყვანოთ?

– მარტო მე...

– შეიძლება ბიძაჩემს ვთხოვო დახმარება? ის მონადირე კაცია და ჩემზე გაცილებით კარგად იცნობს აქაურობას. გამსახურდიას თანხმობა მიუცია. მეორე დილას „სმერტნიკი“ და ბიძამისი დათქმულ დროზე, დათქმულ ადგილას მისულან გამსახურდიასთან. ის საკვოიაჟით ხელში სამგზავროდ ჩაცმული ელოდა მეგზურებს... ჭიშკარს რომ მიუახლოვდნენ, ერთი ყვირილი და ალიაქოთი ამტყდარა:

– სად მიგყავთ პრეზიდენტი, თქვენი დედა და მამაო, – რამდენიმე კაცი გამოვარდნილა სახლიდან და, გამსახურდია რომ არა, „სმერტნიკსა“ და ბიძამისს, ალბათ, ადგილზე დახვრეტდნენ. ეს დეტალი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ **გამსახურდიამ შესანიშნავად იცოდა, რომ მის გარემოცვაში მოღალატეებიც და ჯაშუშებიც იყვნენ,** მაგრამ არ იცოდა, კონკრეტულად ვინ იყვნენ ის პირები. ამიტომაც მიიღო მან ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება: დამოუკიდებლად, მარტოდმარტოს დაეღწია თავი ხიფათისათვის. სამწუხაროდ, ეს მცდელობა კრახით დამთავრდა. აქვე ვიტყვით, რომ **ზუგდიდიდან გამსახურდიას ერთობ ჭრელი საზოგადოება აედევნა, მათ შორის რამდენიმე ქალბატონიც კი იყო. როგორც ამბობდნენ, მხლებლებში პოლიციის თანამშრომლებიც ერივნენ...** მუჟავაშივე გადაწყდა, რომ პრეზიდენტი ამ თითქმის ოცდაათკაციან ჭრელ საზოგადოებას გასცლოდა. დაცვის წევრებთან, ბესარიონ გუგუშვილთან და კიდევ რამდენიმე საიმედო პირთან ერთად გამსახურდია ტოვებს მუჟავას და იწყება გზა გოლგოთისა, რომელიც ღურწკაიების სახლთან, ძველ ხიბულაში დამთავრდება. მაგრამ, **სანამ ღურწკაიების სახლთან მივლენ, გზადაგზა გამსახურდიას გარემოცვა ბეჯითად იცხრილება და „იწმინდება“ არასაიმედო პირებისაგან. ზვიად გამსახურდიას თავის მოკვლაც რატომღაც მაშინ „მოპრიანა“, როცა მის თანმხლებ პირთა რაოდენობა სამ ყველაზე „საიმედო“ კაცამდე დავიდა.** დრო მოვა, ალბათ, იმასაც გაეცემა პასუხი, **რატომ მაინდამაინც ეს სამი კაცი დარჩა გამსახურდიასთან და მათ ნაცვლად რატომ არ დარჩა, ვთქვათ, სხვა სამი კაცი?** რა ნიშნით, რა მოტივით, რა საბაბით ხდებოდა გამსახურდიას გარემოცვის გაცხრილვა-გასუფთავება. საქმე მართლა ისე კი არ არის, როგორც ამას მარგველანი და გვანცელაძე აფორმებენ: – მხოლოდ ჩვენ ვუერთგულეთ გამსახურდიას, მხოლოდ ჩვენ დავრჩით ბოლომდე მასთანო. **ისინი, რომლებიც გამსახურდიას გვერდით ბოლომდე არ იყვნენ, იმიტომ კი არ ჩამოშორდნენ მას, რომ მათ გამსახურდიასთან ყოფნა და მის გვერდით დგომა არ უნდოდათ, არამედ იმის გამო, რომ მათ ამის საშუალება და უფლება არ მისცეს, სამაგიეროდ, ამის უფლება მისცეს იმ ხუთ კაცს, რომელიც საერთოდ არ იცნობდა სამეგრელოს რეგიონს,** არ იცოდა, ჭანისწყალი აღმა მიდიოდა თუ დაღმა, არ იცოდა, სად იყო ჩქვალერი და სად კიდევ ჯიხაშკარი, არ იცოდა მეგრული, არ ჰყავდა ნათესავები და ნაცნობები ადგილობრივ მოსახლეობაში და ა. შ. აი, ასე და ამგვარად, ხელის ერთი მოსმით იფანტება გმირობის ის შარავანდედი, რომელსაც ეს ადამიანები თვითნებურად იდგამდნენ თავზე და რჩება სიმართლე, რომელსაც ყალბი პათეტიკით და „გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებას“ დემაგოგიით ვერ გადაფარავ. ცნობილია, რომ მუჟავადან წამოსულ გამსახურდიას კვალში „ალფას“ ჯგუფი ჩაუდგა, ვინმე „ჯაგაევიჩის“ ხელმძღვანელობით. როგორც მოგვიანებით გაირკვევა, **„ალფამ“ ზედმიწევნით ზუსტად იცოდა, რა მარშრუტით გადაადგილდებოდა დევნილი პრეზიდენტი,** იცოდა სად, ვის ოჯახში ჩერდებოდა იგი, ისიც კი – სად აპირებდნენ გადასვლას დევნილები.



მიუხედავად ამისა, **„ჯაგაევიჩის“** ჯგუფი მოულოდნელად მოხსნეს დავალებიდან. უთხრეს, თქვენ უკვე არ ხართ საჭირო, ოპერაციას სხვები დაასრულებენო და მოხსნეს. სხვა ახსნა-განმარტება არ ყოფილა. ვინ ჩაენაცვლა „ჯაგაევიჩის“ ჯგუფს? როგორც არაერთგზის თქმულა სხადასხვა პიროვნებებისგან, „ალფას“ გია გულუას რაზმი ჩაენაცვლა და სწორედ მან მიიყვანა საქმე ბოლომდე. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომლის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. ვინც ოდნავ მაინც იცნობს სამეგრელოს რეგიონს, ის მიხვდება, რომ **გამსახურდია და მისი გარემოცვა ძალიან ალოგიკურად მოქმედებს: მთის სამეგრელოდან დაბლა, ბარისკენ მოიწევს, ბარისკენ, რომელსაც „მხედრიონი“**

და სხვა სამხედრო შენაერთები სრულად აკონტროლებენ, იმის ნაცვლად, რომ მოწინააღმდეგეს გაეცალონ, **ისინი სულ უფრო ღრმად შედიან მოწინააღმდეგის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, მოწინააღმდეგისკენ მიდიან თავისი ფეხით.** თვითონ მიდიან თუ სხვას მიჰყავს ისინი მოწინააღმდეგისკენ, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. **გასაოცარი არ არის, ზვიად გამსახურდიამ რომ ყველაზე დიდი ნდობით აღჭურვილი ხუთეულის (რომლისგანაც ფინალში სამი კაციღა დარჩა) ხელში „მოიკლა" თავი, „ორგულების" და „არასაიმედო" პირებისგან რომ განთავისუფლდა, მაშინ...** დრო მოვა, დადგინდება ისიც, რატომ წაიყვანეს პრეზიდენტი ბადრი ზარანდიასთან, რომელმაც თავის დროზე გია გულუა გაათავისუფლა ზუგდიდის ციხიდან და რომელსაც შემდეგშიც მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა მასთან. გამოქვეყნდება და ითქმება იმის შესახებაც, გამსახურდიას სიკვდილის შემდეგ რა ძალები აფუსფუსდნენ მისი ცხედრის გარშემო, ვინ რა წყალობა მიიღო და ვის როგორ დაუფასდა ღვაწლი. ისიც უეჭველად გაირკვევა, **შევარდნაძის იმდროინდელი გულმხურვალე მეგობრები და გამსახურდიას „ერთგული" ადამიანები რატომ ამღერდნენ ერთ ხმაში.** ნათელი მოეფინება იმასაც, რატომ ცდილობენ დღემდე მავანნი და მავანნი დადგენილი და დამტკიცებული ინფორმაციების გადაღებვა-გადაკეთებას და რატომ აბნევდნენ საზოგადოებას.

ზვიად გამსახურდიას საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია არ მოუკლავს... დავიწყოთ იმ ვერსიით, რომლის მიხედვითაც 1993 წლის 30-31 დეკემბერს სოფელ ძველ ხიბულაში, ღურწკაიების სახლში, საქართველოს პრეზიდენტმა თავი მოიკლა. ამ ფაქტს ადასტურებენ იმ დროს იქ მყოფი პირები: **ბესარიონ გუგუშვილი, რობიზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე,** თუმცა რას ნიშნავს, ადასტურებენ, როდესაც **არც გუგუშვილს, არც მარგველანს, არც გვანცელაძეს საკუთარი თვალით არ უნახავთ, როგორ ისროლა ზვიად გამსახურდიამ და როგორ მოიკლა თავი.** არ უნახავთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ერთს – გუგუშვილს ეძინა, ხოლო მარგველანი და გვანცელაძე მეორე ოთახში იყვნენ. აქედან გამომდინარე, სავსებით სწორად მიგვაჩნია ის მოსაზრება, რომ **ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის მომენტს არც თვითმხილველი ჰყავს და არც მოწმე.** ჩვენი აზრით, ეს დასკვნა ერთობ მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, აქამდე არავის წამოუყენებია ობიექტური გამოძიებისათვის ეგზომ საინტერესო და საჭირო მოსაზრება, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს აქამდე უკრიტიკოდ მიღებულ ვერსიას გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ. წინასწარ გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ არაფერში ვდებთ ბრალს, არც ვინმეს კეთილსინდისიერებაში შეგვაქვს ეჭვი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უფლება არა გვაქვს, გვქონდეს ჩვენი სუბიექტური შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე. აუცილებელია, აღვნიშნოთ ერთი გარემოება – **არც გუგუშვილს, არც მარგველანს და არც გვანცელაძეს არასოდეს არსად უთქვამთ, რომ მათ უშუალოდ ნახეს, როგორ მოიკლა თავი გამსახურდიამ.** არც ამ ფაქტისთვის მიუქცევია ვინმეს ყურადღება აქამდე და არც არავის უცდია, სწორედ ამ კუთხიდან შეეხედა და გაეანალიზებინა ღურწკაიების სახლში მომხდარი ტრაგედია.

მოდით, „თვითმხილველთა" ჩვენებების საფუძველზე კიდევ ერთხელ აღვადგინოთ ის სურათი, რომლითაც „მტკიცდება", რომ გამსახურდიამ თავი მოიკლა. გუგუშვილს, რომელსაც გამსახურდიას საწოლის გვერდითა საწოლში სძინავს, რაღაც ხმა აღვიძებს. ის ხედავს, რომ გამსახურდიას არაბუნებრივად აქვს თავი ჩამოვარდნილი. გუგუშვილი მირბის მეორე ოთახისაკენ, სადაც დაცვის ორი წევრია და ეუბნება – პრეზიდენტი ცუდად არისო (გუგუშვილი და დაცვის წევრები ერთმანეთში გამავალი ოთახების კარის ზღრუბლზე ხვდებიან ერთმანეთს). შემდეგ ისინი ერთად შედიან პრეზიდენტის საწოლ ოთახში, სადაც ასეთ შემაძრწუნებელ სურათს ხედავენ: **პრეზიდენტს მარჯვენა საფეთქელთან ნატყვიარი ამჩნევია, ტყვია გამოსულია მარცხენა ყურთან, დაბლა,** ტუჩის კიდეზე სისხლის შავი კვალი ჩანს, **იარაღიანი მარჯვენა ხელი კი ქამართან აქვს ჩამოვარდნილი.** ბუნებრივია, ასეთ დროს დაცვის წევრებისა და უშუალოდ შემთხვევის ადგილზე მყოფი გუგუშვილისათვის უნდა ეკითხათ თუ რა მოხდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ ასეთი კითხვა დაუსვეს კიდევაც გუგუშვილს, რომელზეც გუგუშვილი უპასუხებდა, რომ მან არაფერი იცის. მას ეძინა. **გუგუშვილს „ალიბი" აქვს – მას ეძინა!** კი მაგრამ, ვინ დაადასტურებს, რომ მას ნამდვილად ეძინა? დაცვის წევრები ვერ ხედავდნენ მეორე ოთახში მყოფთ და, აქედან გამომდინარე, მათ არ იციან, მართლა ეძინა გუგუშვილს თუ არა. დავიმახსოვროთ და შემდგომში გავიხსენოთ გუგუშვილის „ალიბი" – მას სძინავს! სამაგიეროდ, როგორც თვითონ ამბობენ, არ ეძინათ დაცვის წევრებს. ესეც თავისებური ალიბია – არ ეძინათ, ე. ი.. პრეზიდენტის საწოლ ოთახში არავინ შესულა. ეს რომ მომხდარიყო, დაცვის წევრები მას დაინახავდნენ – მათ ხომ არ ეძინათ?! დასკვნა, რომელსაც, როგორც ზემოთ ვთქვით, თვითონ არ აკეთებენ გუგუშვილი და დაცვის წევრები, მაგრამ მათი მონათხრობის მიხედვით თავისთავად იკვეთება, შემდეგია: ვინაიდან დაცვის წევრებს არ ეძინათ და, აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის საწოლ ოთახში უცხოს არავის შეეძლო შესვლა, ხოლო იქ მყოფ გუგუშვილს ეძინა, პრეზიდენტმა თვითონ მოიკლა თავი. **სინამდვილეში ვინმემ იცის, ვის ეძინა იმ ღამეს და ვის არა? იქნებ, ყველას ეძინა, ან, იქნებ, ყველას ეღვიძა, ან, იქნებ, გუგუშვილს ეღვიძა და დაცვის წევრებს ეძინათ?** ისე ნუ გავიგებთ, თითქოს ჩვენ ვინმეს ხელს ვადებთ ან რაიმეში ვადანაშაულებთ, ჩვენ ვსვამთ იმ კითხვებს, რომლებსაც ნებისმიერი გამომძიებელი დაუსვამდა ამ სამ ადამიანს.

– ბატონო გვანცელაძევ და ბატონო მარგველანო, თქვენ რით შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ პრეზიდენტ გამსახურდიას საწოლ ოთახში მყოფ გუგუშვილს პრეზიდენტის მკვლელობის დროს ნამდვილად ეძინა? გვანცელაძე და მარგველანი ამ კითხვას, ეჭვგარეშეა, ასე უპასუხებდნენ: – არაფრით! გამომძიებელი, ალბათ, გუგუშვილსაც დაუსვამდა ასეთ კითხვას: – **ბატონო ბესარიონ, როცა თქვენ გეძინათ, ხომ შეიძლებოდა ვიღაც შემოსულიყო ოთახში და პრეზიდენტისათვის ესროლა?**

– შეიძლებოდა...

– ჰო, მაგრამ თქვენს გვერდითა ოთახში ხომ დაცვის წევრებს ეღვიძათ და, ავისმდომელს თქვენამდე რომ შემოეღწია, მათი ოთახი უნდა გაევლო, მღვიძარე დაც-

ვის წევრები კი ამას არ დაუშვებდნენ. **გამოდის, რომ, თუ ვინმე შევიდა პრეზიდენტის ოთახში, ეს ვინმე მხოლოდ და მხოლოდ დაცვის რომელიმე წევრი შეიძლებოდა ყოფილიყო.** რას გვეტყვით? ბატონი გუგუშვილი, რა თქმა უნდა, ვერ იტყოდა, რომ ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო – მას ხომ ეძინა! ამით იმის თქმა გვინდა, რომ, თუ ღრმად ჩავეძიებით, **დაცვის წევრებისა და გუგუშვილის ჩვენებები ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათს იღებს და მომხდარის რამდენადმე განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.** ასეა თუ ისე, უდავოა, დაცვის წევრების და გუგუშვილის ჩვენებები უტყუარ მტკიცებულებად ვერ გამოდგება იმისათვის, რომ ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობა უეჭველ ფაქტად ვაღიაროთ, მითუმეტეს, რომ ცხედრის მდგომარეობა, ჭრილობის აღწერა, თავის ქალაში გავლილი ტყვიის ტრაექტორია აბსოლუტურად საპირისპიროზე მიგვანიშნებს და სრულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს თვითმკვლელობა კი არა, მკვლელობა იყო. ექსპერტიზის დასკვნა, უფრო ზუსტად, ვარაუდი ასეთია: – თვითმხილველების მიერ ცხედრის მდგომარეობის აღწერილობას თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ, **ეს არ შეიძლება იყოს თვითმკვლელობა.** ამის თქმის უფლებას გვაძლევს ტყვიის ტრაექტორია, იარაღიანი მარჯვენა ხელი, რომელიც მიცვალებულს ქამართან ესვენა, ის, რომ გასროლა მოხდა არა მიბჯენით, იარაღის ლულის საფეთქელთან მიდებით, არამედ 10-15 სანტიმეტრის დისტანციიდან (საფეთქელთან ლულის ნაკვალევი არ ჩანდა). **ეს რომ თვითმკვლელობა ყოფილიყო, მიცვალებულის მარჯვენა ხელი განზე გადაქანებულიყო, იარაღი აუცილებლად გადაუვარდებოდა ხელიდან. სხვანაირი იქნებოდა ტყვიის ტრაექტორიაც – არა ზევიდან ქვევით, არამედ ქვევიდან ზევით.** დიახ, თვითმხილველთა მიერ გაკეთებული აღწერილობის მიხედვით ეს არ არის თვითმკვლელობა. კი, მაგრამ ეს თვითმხილველებიც ხომ ის ადამიანები არიან (ჯალაღონიას გამოკლებით), რომლებიც მკვლელობის დროს გამსახურდიასთან იმყოფებოდნენ?! ისინი რა, საკუთარი თავის წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებას და საკუთარ თავს მკვლელობის თანამონაწილედ ასაღებენ? სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, მოდით, ამ სამი ადამიანიდან გუგუშვილს ცოტა ხნით თავი დავანებოთ და დაცვის ორი წევრის, **მარგველანის და გვანცელაძის განცხადებები კიდევ ერთხელ გავიხსენოთ** და ძალიან ყურადღებით დავაკვირდეთ მათ ნათქვამს. მარგველანი და გვანცელაძე თერთმეტი წელია ჯიუტად იმეორებდნენ ერთსა და იმავეს – როცა ეს ამბავი მოხდა, ჩვენ არ გვეძინა! მაგრამ მათ არასოდეს დაუწყიათ იმის მტკიცება, რომ გამსახურდიამ თავი მოიკლა, **ისინი ამბობდნენ, რომ თავიანთი ოთახიდან ვერ ხედავდნენ თუ რა ხდებოდა პრეზიდენტის ოთახში.** ახლა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მარგველანის და გვანცელაძის ნათქვამი: – „ჩვენ არ გვეძინა“. მოდით, აქ გავწყვიტოთ ეს ფრაზა და ჩვენ თვითონ გავაგრძელოთ იგი. ამ ფრაზის მიღმა შეიძლება იგულისხმებოდეს:

– ჩვენ არ გვეძინა! ვინმე უცხო რომ შემოსულიყო, მას ჯერ ოთახი უნდა გაევლო. ამას კი ის ვერ მოახერხებდა – ჩვენ გვეღვიძა და ხმადაბლა ვსაუბრობდით. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის ოთახში უცხო არავინ შესულა. **იმ ოთახში გუგუშვილის გარდა სხვა არავინ იყო. ხოლო, რა მოხდა იქ, ჩვენ არ ვიცით, რადგან ჩვენი ოთახიდან არ ჩანდა პრეზიდენტის ოთახი. კიდევ ვიმეორებთ:** – ჩვენ არ გვეძინა, უცხო იქ არავინ არ შესულა. ხომ შეიძლება, მარგველანის და გვანცელაძის ეს ათასგზის გამეორებული – ჩვენ არ გვეძინა – ისეც გაიშიფროს და მასში ის შინაარსი ჩაიდოს, რომელიც ჩვენ ჩავდეთ? დაბოლოს, კიდევ ერთი დეტალი: მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გულმოდგინედ და დიდხანს ეძებენ, **ვერა და ვერ აღმოაჩინეს ტყვიის გულა, რომელმაც პრეზიდენტის თავის ქალაში გაიარა. თავის ქალიდან მეორე მხარეს გამოსული ტყვიის კვალი საწოლის თავს (ხის დაფას) ცხადად აჩნდა, მაგრამ თვითონ ტყვია არსად ჩანდა. ის დღემდე არ არის ნაპოვნი.** კი, მაგრამ **სად შეიძლებოდა გამქრალიყო ტყვია?** გასროლა სადმე ტყეში ხომ არ მომხდარა, ოთახში მოხდა, ტყვია საწოლის თავს, ხის დაფას მოხვდა და სადღაც აორთქლდა? **იგი სადღაც ერთი მეტრის რადიუსში უნდა გდებულიყო, უფრო შორს, ძალადაკარგული ტყვია ვერ წავიდოდა,** მაგრამ ტყვიის გულა მაინც ვერ მოინახა, რაც იმას ნიშნავს, რომ **გულა ვიღაცამ მალულად აიღო და შეინახა. ვის შეეძლო ეს ყველაზე ადრე გაეკეთებინა?** რა თქმა უნდა, იმ ადამიანს, რომელიც გასროლის მომენტში ყველაზე ახლოს იყო შემთხვევის ადგილზე, **ასეთი ადამიანი კი ბესარიონ გუგუშვილია** – სწორედ ის იწვა პრეზიდენტის საწოლის გვერდით მეორე საწოლში, სწორედ ის იმყოფებოდა ოთახში, როცა გასროლა მოხდა. ცოდვას არ ვიდებთ თავზე – გუგუშვილს არაფერს ვაბრალებთ, უბრალოდ, მსჯელობის ლოგიკას მივყვებით და ფაქტს ვაფიქსირებთ. ფაქტია, რომ ოთახში, სადაც გამსახურდიამ თავი მოიკლა, მხოლოდ გუგუშვილი აღუნიშნავთ. ფაქტია, რომ ტყვიის გულა ამ ოთახში შესულებმა ვერ ნახეს. ამ ფაქტებს დაცვის წევრები და თვით გუგუშვილიც ადასტურებს, ჩვენ კი არ ვთხზავთ. გუგუშვილს, რომელსაც იარაღი უამრავჯერ სჭერია ხელში და რომელმაც შესანიშნავად იცის, რა შეიძლება დაემართოს ტყვიის გულას, რომელმაც თავის ქალა გაიარა და ხის დაფას მოხვდა, გვინდა ვკითხოთ: – **ბატონო ბესარიონ, თქვენი აზრით, რატომ დაიკარგა ეს ტყვიის გულა, რა შეიძლებოდა მას მოსვლოდა, რატომ გახდა მისი მოძებნა შეუძლებელი?** ბესარიონ გუგუშვილი ამ ერთი წლის წინათ ტელევიზიით გამოვიდა და ვრცელი მონოლოგით წარსდგა ქართველი მაყურებლის წინაშე. უნდა გამოვტყდე: ძალიან არ მომეწონა ამ კაცის გამოსვლა – ზედმეტად დალაგებულ-დავარცხნილ ამ მონოლოგში სინანული და ტკივილი არ იგრძნობოდა რატომღაც. უფრო მეტიც, მე ცოდვილს მომეჩვენა, რომ გუგუშვილი ძალიან ტექნიკურად და შეფარულად ცდილობდა გამსახურდიას დისკრედიტაციას. მძიმე ბრალდებაა? ნამდვილად, მაგრამ კიდევ ერთხელ თუ დაატრიალებთ ამ ფირს და ყურადღებით მოუსმენთ გუგუშვილის სიტყვებს, მიხვდებით, რომ ამ ბრალდებას სერიოზული საფუძველი აქვს. გავიხსენოთ თუნდაც ერთი დეტალი – **გუგუშვილი ყვება, რომ ფული არ ჰქონდათ** – მე ერთი ასდოლარიანი მეგდო ჯიბეში, სხვებს საერთოდ კაპიკი არ ჰქონდათო. გამსახურდიას სიკვდილის შემდეგ მისი ნივთების აღწერისას აღმოჩნდება, რომ პრეზიდენტს საკმარისად სოლიდური თანხა ჰქონდა თან, იმდენად სერიოზული, რომ ეს თანხა გამსახურდიას გარემოცვის გროზნოში გამგზავრებასაც ეყო და კიდევ ბევრი მორჩა. **გუგუშვილი** ყვება,

როგორ აღწერეს გამსახურდიას პირადი ნივთები, მაგრამ **არაფერს ამბობს იმის შესახებ, დაათვალიერეს და აღწერეს თუ არა იარაღი, რომლითაც პრეზიდენტმა თავი მოიკლა.** არაფერს ამბობს, **რამდენი ტყვია იყო „სტეჩკინის“ მჭიდში.** ერთით პრეზიდენტმა თავი მოიკლა, კიდევ **რამდენი ტყვია იყო ამ მჭიდში დარჩენილი? ცხრამეტი, თვრამეტი, თორმეტი? იქნებ სულაც ოცი?** („სტეჩკინის“ მჭიდში ოცი ტყვია ჩადის). **ამხელა ფული დათვალეთ და ოციოდე ვაზნის დათვლა დაგეზარათ თუ საჭიროდ არ ჩათვალეთ?** რა ფერის წინდები ეცვა პრეზიდენტს, ეს აღნიშნეთ და ისტორიას შეუნახეთ, მაგრამ იარაღის შემოწმება და მის მჭიდში არსებული ტყვიების რაოდენობის აღწერა მნიშვნელოვან საქმედ არ მიიჩნიეთ. რატომ? თქვენ რა, არ იცოდით, რომ აუცილებლად გკითხავდნენ რითი და როგორ მოიკლა თავი თქვენს გვერდით მყოფმა პრეზიდენტმა? ცნობილია, რომ ბრალდებული ვალდებული არ არის, თვითონ ამტკიცოს თავისი ბრალეულობა. ბრალდებულს დამნაშავედ ცნობისათვის მის მიერ დანაშაულის აღიარებაც კი არ არის საკმარისი, თუ ეს აღიარება სათანადო ნივთმტკიცებებით და სხვა აუცილებელი მტკიცებულებებით არ არის დამტკიცებული. არ არსებობს სამხილი, არ არსებობს დამნაშავე!! ჩვენს შემთხვევაში არ არსებობს ტყვიის გულა, ანუ არ არსებობს სამხილი და არ არსებობს დამნაშავე.

თუ ტყვიის გულა ვინმემ სპეციალურად გააქრო, ამით მან ზვიად გამსახურდიას სიკვდილის საიდუმლოების გახსნის უმთავრესი ნივთმტკიცება გააქრო და ალიბი გაიკეთა. ასეც ხომ შეიძლება გავიგოთ სურათი, რომელიც ახლა დავხატეთ? – ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა და, ვინც ამას არ დაიჯერებს, სამშობლოს მოღალატეაო, – აცხადებენ მავანნი და მავანნი, ამ დროს **კი საქართველომ ისიც კი არ იცის, რითი „მოიკლა“ გამსახურდიამ თავი, „სტეჩკინით“, იმ უცხოური წარმოების მეორე პისტოლეტით, რომელიც მას სიკვდილის შემდეგ უპოვეს, თუ სულ სხვა იარაღით?** იქნებ, იმიტომ გაქრა ეს ტყვიის გულა, რომ **ის არც „სტეჩკინიდან“ არის გასროლილი და არც იმ მეორე პისტოლეტიდან?** ასეთი საგანგაშო კითხვები წამოიჭრება ამ ფაქტზე მსჯელობისას, რაც, არც მეტი – არც ნაკლები, მხოლოდ და მხოლოდ გუგუშვილის და დაცვის წევრების „დამსახურებაა“. მათ თვითონ ჩაიყენეს თავი ძალიან საეჭვო მდგომარეობაში, თვითონ შექმნეს ეს ორჭოფული სიტუაცია და თვითონ შესთავაზეს საზოგადოებას ისეთი სურათი, სადაც მათ მოქმედებებს ერთგვაროვანი და ერთადერთი ახსნა არა აქვს.

ვახტანგ ხარჩილავა
ჟურნალისტი, „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი

ჩუენი პრეზიდენტი, ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობრის ლუარსაბ ბოკუაძის შვილი, ბ-ნი იოსებ ბოკუაძე ლექციების მსმენელობის დროს ისე ხალოვნად და მოლოდინრად აღწერდა ილიას მკლელობის მომენტებს, კოლია ჯაშის (ილიას მოურაკი) აძრობას ილიას საფარელ კაბის ხეზე და იქედან თვალთვალს, თუ როდის შემოუხვევდა ილიასა და ოლოს ეტლი წიწამურზე და როდის აუფრიალებდა იგი, ე.ი. ფილიპე მახარაძის მოსყიდული ჯაშუში ჯაში თავის თეთრ პერანგს ბერბიჭაშვილს გასათრთხილებლად... რომ... სასხლი ჭიდებოდა ტყინში და ცხადად ჯხედავდით წიწამურთან ჩასათრებული მკლელებს... წუთებიც და ილიას მოლოდინრე გული გაუცივდებოდა საქართველოს! ნებისმიერმა ქართველმა იცოდა და უნდა იცოდეს, რომ 1907 წელს მოხდა ილიას მკლელობა, დიახ, იმის ცოდნაც აუცილებელია, რომ ბერბიჭაშვილი მოღალატე ქართველის და ბინძური მკლელის სინონიმად დარჩა ისტორიას და საერთოდ ქართული ცნობიერებას და რომ, ბერბიჭაშვილის აკაცობა სტალინმა და ბერიამ გამოიძალა და გამოიმზეურა (შეეწირა კიდეც ფილიპე მახარაძის სიცოცხლე ამ გამოძალვნებას)... მათ ამით დიდი მამულიშვილური საქმე გაკეთეს. კარგია, როცა ისტორია კარგი კეთილით მეორდება და ცუდია, როცა ბერბიჭაშვილები ისევ გვახსენებენ თავს და ისევ მამულისთვის და შეთბილი ხალხისთვის თავგანწირული დიდი ქართველების მკლელობით. ილიას მკლელობიდან საუკუნე არ იყო გასული, როცა საქართველოს ზვიად გამსახურდია მოუკლეს!

ორიათასი წლის წინ ბეჯრმა ოდეკელმა ჯერ გაცნობიერა დედამიწაზე ქრისტეს განკაცებული ფენომენი და ღმერთკაცი ჯვარს აცვა, რითაც სამუდამო ჯოჯოხეთისთვის გასწირა საკუთარი სული... ღმერთკაცს მოკვდავი ჯერაკინ შეედრება... მაგრამ... დიდი მართლმადიდებელი ადამიანები დიდი წმინდანები ხდებიან უფლის ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ საუფლოში. ერთ-ერთი ამათთაგანი იყო ზვიად გამსახურდია! საქართველოსთვის ზვიად გამსახურდია ილიას მემკვიდრე და მის კვალზე მდგომი ეროვნული თვითმყოფადობის სახელმწიფოებრივი პრინციპებით მოაზროვნე დიდი მამულიშვილი იყო... დიდი ქართველი! ილიასებურ მაგარ ქვად ჩადუღაბდა მისი შეუდრეკელი და წმინდა სული ერის ისტორიის საძირკველში. თავის ერთ-ერთ სტატიაში გაზეთ «საერთო გაზეთის» მთავარმა რედაქტორმა, ბ-მა ვახტანგ ხარჩილავამ თქვა, რომ «ომს ის იგებს, ვინც თავგანწირვისთვის მზადაა...» დიახ, ზვიად გამსახურდია მთელი სიცოცხლე მზად იყო თავგანწირვისთვის. დიდი კონსტანტინეს ერთა-

დერთი ჯაჟი დაბადებითაც მამულის ზეარაკად დაიბადა, ცნობიერი სიცოცხლე იცხოვრა მამულისთვის თავშეწირულის სრული შეგნებით და... მოსყიდული მკლელის ხელით აღესრულა... აღესრულა ილიას ებურად, ისტორიისთვის კიდევ ერთი საძარცხვინო ბერბიქაშვილის ხელით... ამ შემთხვევაში ეჭვარს არცა აქვს მნიშვნელობა, ისინი ყველანი ბერბიქაშვილები არიან! შეიძლებელია ოირსეულმა ქართველმა თუნდაც წამით დაუშვას, რომ მან თავი მოიკლა! არა ბატონებო, ზეიად გამსახურდია ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი იყო და ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობდა! მთელი თავისი სიცოცხლე მამულის, მართლმადიდებელი ქართული ეკლესიის საშსახურს და... სულის მაცხოვებელ საქმეებს შესწირა. მისი ბრძოლის შედეგად მოხდა პატრიარქის საძეუფო ტახტზე ილია II-ის აღსაყდრება, წმინდა «საძების» კვაძრის საძირკვლის ჩაყრა... საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება... და შემდეგ კი დაიწყო უკომბრომისო ბრძოლა მისი შენარჩუნებისთვის. მისმა 30-წლიანმა იაკვა კუკეშა მოღვაწეობამ და თავგანწირვამ დაუბრუნა დედა ეკლესიას გზააბნეული ქართველი ხალხი, გაახსენა ქართველობას დაკიწყებული ენა, მამული და ერიენება! ზეიად გამსახურდია საქართველოსთვის ის ისტორიული თენომენია, რომელიც ერის გამოღვიძებას ნებაყოფლობით შეეწირა ზეარაკად! მისი მკლელობა ბურუსითაა მოცული და ალბათ, არც გაიხსნება უახლოეს 20-30 წლის, რადგან მკლელები ან მკლელობის შემკვეთნი, ან თანამონაწილენი გუშინაც და დღესაც სახელისუფლებო ელიჭის აქტიური წარმომადგენლები იყვნენ და არიან! იმედია საიდუმლო კანძის გასახსნელად 21 საუკუნეში მაინც გამოჩნდება ბერიასა და სტალინის მაგიერი... ამჟამად «კალის» მკითხველს შეკთაკვეთ ბნ ჯახტანგ ხარჩილავას სტატია, სადაც გამსახურდიას მკლელობის ბურუსით მოცული ბეკრი ფაქტი ლოგიკურადაა ახსნილი. ყველა ოირსეული მამულიშვილის სახელით, როგორც ალბათ ბატონი ზეიადი იტყოდა ცოცხალი რომ ყოფილიყო, მადლობას ვუხდით ბატონ ჯახტანგს ამ თერიად მნიშვნელოვანი და ძალზე ნიჭიერად შესრულებული სტატიის მოწოდებისთვის.

მანანა ჯახტანგაძე

VAKHTANG KHARCHILAVA
Jounralist, Editor in chief “Common Newspaper”

MR. BESARION GUGUSHVILI, DID YOU ASSASSINATE ZVIAD GAMSAKHURDIA?

Resume

Our nation has to know the truth, how and in what circumstances the tormented president fighting for the freedom and welfare of his country has died. I myself am among those people who have always firmly believed that Zviad Gamsakhurdia did not commit suicide. To prove this I even published several long researches analyzing the event. The logic always led to the same conclusion – this was not a suicide! This could not be a suicide!

- Those who claim that Zviad Gamsakhurdia did not commit suicide are the betrayers of the country! – This strange statement was made by a certain person not long ago. Those wishing to put people not believing in Gamsakhurdia’s suicide to silence with such a provocative influence are deeply mistaken. It is not yet known, however, soon to be known, who was responsible for planning president’s route from Ilori to Zugdidi; why this route was predestined from the beginning – president’s combatants who knew Samegrelo region well and could help him in danger were detached in zugdidi right away. The means and methods used for getting rid of people who were loyal to Gamsakhurdia and had a high morale will become known as well.

ВАХТАНГ ХАРЧИЛАВА
журналист, Главный редактор «общей газеты»

Господин Весарион Гугушвили вы убили Звиада Гамсахурдия?

резюме

Страна должна знать правду, как и при каких обстоятельствах был убит первый президент Грузии, мученник за свободу и счастья своей родины Звиад Гамсахурдия.. Лично я пренадлижу к числу таких людей кто не верит в самоубийсто президента. Для подтверждения этого мною было опубликованно статья, где на фоне анализа и логики было сделано заключение,что Звиад Гамсахурдиа не покончил собой!.Это не могло быть самоубийсто.

ილია II

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებიდან 31 წელი შესრულდა

ჩემო მამულო

ჯუმბონი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. 2007 წელი.

ჩემს სვეტიცხოველს, ჯვარს და ბოლნისს, წრომსა და ყინწვისს, ნინოწმინდას ვფიცავ მამულო,
ლევილის საძმოს, ფერეიდნის ღია ჭრილობას,
მამულიშვილთა სისხლით მორწყულ გარნისს, სამშვილდეს,
ჭოროხს და რიონს, დიდგორს, ბასიანს... მხეიძეების ძვალთშესალაგს, მოწამეთას ვფიცავ მამულო...
ღვთისგან ნაბოძებ სისხლის ყოველ წვეთს, ყოველ მარცვალს აზროვნებისას,
ყოველ ნათელ დღეს შენ შემოგწირავ ჩემო მამულო...
ვიცი გტკივა გაბერძნებული, გათურქებული ჭანეთ-ლაზეთი, კაპადოკია, მესხეთი, ტაო,
ხიზაბავრას ბნელი დარნების სამალავების ნახანძრალები გტკივა მამულო...
თუბალკაენის ჯიშის, მოდგმის სისხლიანი ღრმა იარები და ამირანის დაფლეთილი გულ-ღვიძლი გეწვის ჩემო მამულო...
გტკივა შატბერდი, ოშკი, ჯმერკი, პარეხი, ზარზმა, ჰუჯაბი და ბერთას სავანე,
წმინდა გრიგოლის სალოცავი, ხანძთა გტკივა ჩემო მამულო...
როგორ ვუწამლო ამდენ იარებს?
გამანდე შენი ყველა დარდი, ყველა წუხილი,
სიხარულო და ტკივილო ჩემო, ჩემო მამულო...
ვახტანგ გორგასლის ღალატიან ჭრილობას და შენი ნატანჯი შვილების ნათელს ვფიცავ მამულო,
მამა ამბროსი ხელაიას წმინდა სამარეს ვფიცავ მამულო...
ჯიშის, ჯილაგის გადარჩენისთვის სისხლსა და ცრემლში დანაცრებულ ათასწლეულებს,
შენს ძველ იარებს, მიწის ყოველ გოჯს, ყოველ მტკაველს,
მთას, კლდეს თუ მდელოს, გლეხიკაცის ოფლით მორწყულ ვაზის ფესვებს ვფიცავ მამულო...
მტლედ დავედები შენს ყველა წყლულს,
სიხარულო და ტკივილო ჩემო, ჩემო მამულო...
წმინდა ნინოს ყოველ ნაფეხურს ვფიცავ მამულო...
ახალციხელთა თავგანწირვას, ვარძიის ფრესკებს,
იშხანს და ბანას, დოლისყანას, ოპიზართა წმინდა სავანეს,
ქურმუხს და ილორს, შერვაშიძეთა ლიხნის საძვალეს ვფიცავ მამულო...

ვიცოცხლო და ვიბრძოლო შენთვის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.
მომეცი ძალა, მაზიარე შენს წმინდა ბარძიმს,
რომ ბეთლემის კარ შევხსნა მახვილი პირდაჟანგული ჯურხაის ფარით, ჩემო მამულო.
ხორნაბუჯის ყველა სათოფურს ვფიცავ, მამულო..
შენთვის ვლოცულობ, შენთვის ვცოცხლობ, ჩემი ფიქრის სათავე შენა ხარ,
გარეჯს, იყალთოს, გრემს და ნეკრესს, ალავერდის სიწმინდეს ვფიცავ.
გალაკტიონის ატმის ყვავილებს, ნადიკვრიდან მზის ამოსვლას
და გელათურ შემოღამებას ვფიცავ მამულო...
ელიას მთის წმინდა სამებას, ანჩისხატს, სიონს, შხარას და უშბას,
დიდოსტატი კონსტანტინეს მოჭრილ მარჯვენას ვფიცავ მამულო...
მუხლმოდრეკილი მწირი მლოცველი შენთვისა ვარ, ჩემო მამულო...
ჩემი სიცოცხლით შევეხიდები შენს სამამულე რქას
ნედლს და სათუთს, ჩემო მამულო..
სიხარულო და ტკივილო ჩემო, ჩემო მამულო...
ილიას ლანდი მომავლისკენ სანთლად გინთია,
და მეჩვენება... დიდგორისკენ გაელვებული თეთრი გიორგი...
და მელანდება... შავით მოსილნი, ღვთისგან რჩეულნი, შენთვის მლოცველნი
ბასილი დიდი... კირიონი... ხანძთელი და მთაწმინდელები...
კოშკის თავიდან შენს წმინდა მიწას
თავგაჩეხილი ენარცხება კათალიკოსი...
ევდემოზია დიასამიძე, მამულისთვის შეწირული უხმო ზვარაკი,
ქარიშხალში კი ისმის კვნესა ბატონიშვილ ალექსანდრესი.
შემდეგ... მარტყოფის მონასტერში გულგახვრეტილი დიდი წმინდანი
პატრიარქია კირიონი, საძაგლიშვილი!
რომელი ერთი გავიხსენო, ჩემო მამულო...
რომელი ერთი ჩამოვთვალო, ჩემო მამულო...
ამდენი სისხლი, თავგანწირვა, ჩუმი დიდება
შენ შემოგწირეს, შენ მოგიძღვნეს შენმა შვილებმა...
მათი ნათელი დაგიფარავს, ჩემო მამულო..
იმათი ლოცვა შეგეწევა, ჩემო მამულო..
მაგრამ როდემდე?
შენს წამებას დასასრული როდის ექნება?
როდის ჩააგებს ხმალს ქარქაშში შენი ჯილაგი?
ძილი აღარ მაქვს, გამუდმებით მესმის შენი კვნესა-ვაება,
შენს გულისფეთქვას დღენიადაგ შევიგრძნობ ჩემში,
და მუხლმოყრით გთხოვ, ჩემო მიწავ, ენავ, მამულო....
შენი ფესვების ღვთაებრივი მადლით აღმავსე
რომ ჭრილობები დაგიამო, ჩემო მამულო...
სიხარულო და ტკივილო ჩემო, ჩემო მამულო...
მცხეთის სიწმინდეს ვფიცავ, მამულო... ჩემი თაობის სახელით ვფიცავ...
შენს მომავალზე ილოცებენ, შენს მომავალზე იზრუნებენ ალგეთს დაზრდილნი ლეკვები მგლისა,
და ღმერთმა ნუ ჰქნას ისე ამოსწყდნენ ჯავრი არ სჭამონ შენივე მტრისა!
ბაგრატს და გელათს, ქუთაისის სიბერეს ვფიცავ,
გიშის სამრეკლოს, არტანუჯის ბალავარს ვფიცავ,
ყველა ნაციხარს, ნასოფლარს და ნასახლარს ვფიცავ...
ღვთისგან ნაბოძებ სისხლის ყოველ წვეთს, ყოველ მარცვალს აზროვნებისას,
ყოველ ნათელ დღეს-შენ შემოგწირავ! ჩემო მამულო...
ვფიცავ მამულო... შენ გემსახურო და გეთაყვანო,
შენს საკურთხეველს სანთლად ავენთო
სიხარულო და ტკივილო ჩემო, ჩემო მამულო...
დავითისა და ილიას ხატთან... – და ზვიადის წმინდა საფლავთან
შენს მომავალზე მუხლმოდრეკილი მწირი მლოცველი მე ვარ... მამულო...
სიხარულო და ტკივილო ჩემო, ჩემო მამულო...

იუტა ბედია ...

წელს 65 წლის გახდებოდა...

უაკ (UDC) 821.3531-13+808.03

უნაზესი ვარდის ფურცელივით მშვენიერი და ჰაეროვანი

ეს სახელი და გვარი ძალიან ბევრს ეუბნება მკითხველს, ძალიან ბევრს... რადგან ქართველი ხალხისთვის არამარტო ბევრს ნიშნავს რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი", მას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, და ამდენად არაფერია იმაში უჩვეულო და გასაკვირი, თუ რა დიდი პატივისცემით, მოწიწებით და თაყვანისცემით მოიხსენიებს ერი მისთვის ხელისხელ საგოგმანები პოემის მთარგმნელს, ქართველ ხალხზე სულით და გულით შეყვარებულ და მოამაგე ქალბატონს, იუტა ბედიას!

1880 წელს გაზეთი „დროება" აუწყებდა ქართულ საზოგადოებას რომ: „დიდი ხანია განსაზღვრა გვქონდა დასტამბული „ვეფხისტყაოსანი" შეგვეთანხმებინა ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანთან"... მაგრამ ერთ დიდ პასუხისმგებლობას, როგორიც არის „ვეფხისტყაოსნის " ხელის ხლება, ჩვენ მარტო ვერ ვიღებთ ჩვენს თავზე. გვინდა რომ ამ საქმეში ყველამ მიიღოს მონაწილეობა, ვისთვისაც რუსთაველი შეადგენს ძვირფას ნაციონალურ სიმდიდრეს. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია მოგვითხრობს, რომ როდესაც ბერძნებში დაიბადა აზრი ჰომეროსის თხზულების შესწორებისა, ეს საქმე ისე მძიმედ ჩასთვალეს ბერძნებმა, რომ ჯერ თვითონ დიდი ფილოსოფოსი არისტოტელე და შემდეგ მთელი ალექსანდრიის აკადემია შრომობდნენ, აღედგინათ ნამდვილი პოემა ჰომეროსისა. რაც ჰომეროსი ბერძნებისთვის იყო, ის რუსთაველი ქართველებისთვის არის"... განცხადებას ხელს აწერენ: რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი და იონა მეუნარგია. რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი" რომ ქართველი ერის სულიერი სიმდიდრეა, ცხადია ეს საკამათო არც არის და არც არასოდეს ყოფილა! არც ის არის საკამათო, რომ რაც უნდა ბევრი ვთქვათ თანამედროვე კოსმოსის ეპოქის მიღწევებზე, ვერაფერს დავუპირისპირებთ იმ უდიდეს მონაპოვრებს, რაც უშურველად გაიღო უძველესმა ცივილიზაციამ მომავლისთვის... კოსმოსიც კი არ არის ახალი, რადგან მითები მის შესახებ მრავლად არის დაცული ძველ პელაზგურ-ბერძნულ თქმულებებში. რაც უფრო დიდი გზა გაუვლია ერებს ადამიდან დღემდე და შეუქმნიათ თვითმყოფადი კულტურები, ყველა მონაპოვარი თავმოყრილია ენებში, ამა თუ იმ ერის ენის სიმდიდრესა და ლაზათში. ამ მხრივ ქართველ კაცს შეუძლია ამაყად შეხედოს თანამედროვე მსოფლიოს და თქვას, რომ... ვიყავი ოდესღაც... უდიდესი ... ვფლობდი უძლიერეს სახელმწიფოებს, მყავდა მზე მეფეები: ქართლოსი, მცხეთოსი, აიეტი, მითა, ფარნავაზი, გორგასალი, აღმაშენებელი, თამარი... მყავდა ცურტაველი, მერჩულე, რუსთაველი, ვაჟა, გალაკტიონი, გამსახურდია... მყავდნენ ერის გონებრივი სინათლენი: ჭყონდიდელი და ილია ჭავჭავაძე, მყავდნენ მამულისთვის თავშეწირული დიდი წმინდანები და სულიერი მამები: ნინო კაპადუკიელი, კირიონ I, მთაწმინდელები, ევდემონ დიასამიძე, კირიონ II, ამბროსი ხელაია... მე მხოლოდ განსაკუთრებული სახელები გავიხსენე, რადგან ეს სახელები იბერიული სისხლის გზამკვლევი კირიბებია ისტორიის ლაბირინთში. ერის სულიერი და ფიზიკური სხეული მის ცნობად სულშია დავანებული... ცნობადი სული კი უხსოვარი თუბალ-კაენის დროიდან მოსდგამს და მოსდევს ქართველ ხალხს წარსულის სისხლიან გზა-წვრილზე და თითოეული ჩვენი წინაპრისა და ჩვენგანის გულსა და ტვინში ნაკვები სისხლით გადაეცემა იგი მომავალს – სამამულე რქის გასამრავლებლად მამულის ვენახში... ასე მოვიდა კოლხ-იბერიული საქართველო დღემდე... დღევანდელი დღე კი... ხვალინდელის მშობელია. ძველ იბერიას ახსოვს დაცემა და აღდგომა, ახსოვს დიადი სინათლითა და შემდეგ უკუნი სიბნელით მოცული საუკუნეები. ამ შემთხვევაში ჩვენ ყველას არ გავიხსენებთ. თამარის ეპოქას შევეხებით მხოლოდ უზენაესი შემოქმედის მადლიანი სხივებით გაბრწყინებულს, დიდი დავითის ნიჭით ფუძეჩაყრილს, ამაღლებულს, აღშენებულს, ე. ი. დავითისა და თამარის ეპოქამ მისცა საქართველოს ის ძლიერი ღონე, 800 წელი რომ გამოატარა... თამარის ეპოქამ შექმნა რუსთაველი... მისი შექმნით კი საქართველო აზიარა მარადიულ უკვდავებას... "ვეფხისტყაოსნის" მრავალი ხელნაწერი არსებობდა მე-19 საუკუნემდე, ეროვნული საგანძურის სტატუსს ატარებდა იგი და ქართველი კაცისთვის მასზე უფრო ძვირფასი არაფერი იყო... შვილებს მზითავად ატანდნენ... 200 წელია ითარგმნება „ვეფხისტყაოსანი" მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე, ითარგმნება პროზაულად, ლექსად... გაწყობილი შაირითაც კი... მისი პირველი თარგმანები რუს მწერლებს: ევგენი ბოლხოვიტინოვს (1802 წელს თავის წიგნში გამოაქვეყნა თავისივე თარ-

გმანი პოემის შესავლისა, „რომელმან შექმნა სამყარო“) და იპოლიტე ბარტდინსკის (ჟურნალ „ილუსტრაციაში“ 1845 წელს გამოაქვეყნა პოემის რჩეული სტროფები) ეკუთვნით. პოემის სრული თარგმანი შესრულდა ფრანგულ ენაზე მარი ფელისიტე-ქსავიე ბაროსეს მიერ 1828 წელს. ახლო აღმოსავლეთში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების აღმოჩენებმა მეცნიერები ქართველ ხალხთან დააახლოვა, რადგან კოლხურ-იბერიული ენა კავკასიურ ენებთან ერთად მკვდარი ენების ერთადერთ მემკვიდრეს წარმოადგენდა. ამის შედეგი იყო ის, რომ მე-19 ს-ის მეორე ნახევრიდან და მე-20 ს-ის მანძილზე მსოფლიოს უმთავრეს ენებზე ითარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. მთარგმნელები ძირითადად პროზაულად თარგმნიდნენ. ილია ჭავჭავაძის მეგობარი და ქართველი ხალხის მოყვარული არტურ ლაიტი 1889 წელს დრეზდენში გერმანულ ენაზე გამოცემულ თავის მიერვე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში წერდა: „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველის ეპოქის საქართველოს კულტურის უდიდესი ძეგლია, შთაგონების წყარო, მაღალი ზნეობის, მეგობრობისა და სიყვარულის განსახიერება.“ რუსმა პოეტმა კონსტანტინე ბალმონტმა საოკეანო ხომალდით მგზავრობისას გაიცნო ინგლისელი დიპლომატი სერ ჩარლზ ოლივერ უორდროპი. სერ ჩარლზს ყოველთვის თან ჰქონდა თავისი დის, მარჯორი უორდროპის მიერ პროზაულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ და დასვენების დროს კითხულობდა. ბალმონტი დაინტერესდა პოემით და გადაწყვიტა საქართველოში ჩამოსვლა. იგი ჩამოვიდა კიდეც საქართველოში და თვითონაც თარგმნა პოემა. მისი თარგმანი დაიბეჭდა მოსკოვში 1917 წელს, საბაშნიკოვების გამომცემლობაში. „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიურმა მსოფლმხედველობამ და ამოუწურავმა ხალხურმა სიბრძნემ ყველა საზღვარი გადალახა. ითარგმნა მსოფლიოს ხალხთა 40 ენაზე, 1991 წელს ტალინში, ესტონეთის ცნობილმა გამომცემლობა „ეესტი რაამატმა“ გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ ესტონურ ენაზე, იუტა პალმის თარგმანი. შეფასება ძალიან მაღალი და ძალიან დიდი იყო! რეინ რაუდი, ჰელსინკის უნივერსიტეტის აზიურ და აფრიკულ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელი წერს: „ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა და აგრეთვე დიდ პატივად ვთვლი მოგახსენოთ, რომ ქალბატონ იუტა ბედიას (პალმის) მიერ ესტონურ ენაზე თარგმნილი შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ შესანიშნავი ნიმუშია მხატვრული ოსტატობისა. თარგმანი შესრულებულია გასაგები და საკითხავად ადვილ ესტონურ ენაზე. ამასთანავე შესანიშნავი ფილოლოგიური სიზუსტითა და ორიგინალის სტილის დაცვით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსთაველის ტექსტის თარგმნა სხვა რომელიმე ენაზე ისე, რომ არ დაიკარგოს ორიგინალის ქართული ხარისხი, ძალზე ძნელია, მაგრამ ჩემი აზრით, ქალბატონმა იუტა ბედიამ შეძლო ამ სიძნელის გადალახვა ექვივალენტური პოეტური ფორმების შექმნით ესტონურ ენაზე, რამაც საშუალება მისცა მას უფრო გაემახვილებინა ყურადღება მის არსზე. შეძლო შეენარჩუნებინა ესა თუ ის დეტალი თვით ისეთ ადგილებშიც კი, სადაც ეს სრულიად შეუძლებელია. ეს სიძნელეები კარგად არის ცნობილი, რადგანაც ერთ დროს მეც ვეცადე მეთარგმნა ქართული პოეზია... ქ-ნ იუტა ბედიას თარგმანი მნიშვნელოვანი მოვლენაა ესტონურ კულტურაში და დღეს „ვეფხისტყაოსანს“ სიამოვნებით კითხულობენ როგორც რომანტიკული თხრობის მოყვარე ახალგაზრდები, ასევე უფროსი თაობის წარმომადგენლები, რომელთათვისაც უცხო არ არის ფილოსოფიური სიღრმეებისა და პოეტური ფორმის აღქმა.“ იუტა (პალმი) ბედიას „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანმა ინტელექტუალური საზოგადოება აალაპარაკა. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად დასკვნა ერთი იყო. თარგმანი ბრწყინვალედ იყო შესრულებული! მასში სრულყოფილად იყო დაცული და წარმოჩენილი ორივე ენის, ქართულისა და ესტონური ენების ინდივიდუალური, თვითმყოფადი სიმდიდრე და სიწმინდე, ამის მიღწევა კი ერთადერთი გზით შეიძლებოდა, მთარგმნელს ორივე ენა თანაბარი სიღრმით და ფილოლოგიური მეცნიერებით გათვალისწინებული ნორმების სრული დაცვით უნდა სცოდნოდა. იუტა ბედიამ, როგორც მისმა კრიტიკოსებმა აღნიშნეს, ბრწყინვალედ გაართვა თავი ურთულეს ამოცანას... იგი, იუტა პალმი უნაზესი ვარდის ფურცელივით მშვენიერი და ჰაეროვანი გოგონა იყო, როცა ქართულ მიწას დაადგა პირველად ფეხი. საქართველოში დიდმა სიყვარულმა ჩამოიყვანა, იმ დიდმა სიყვარულმა მისცა ძალა, ისე შეეყვარებინა ქართული მიწა და წყალი, ქართველი ხალხი და ქართული ენა, როგორც საკუთარი, მშობლიური ესტონური. მისი ბიოგრაფია მანამდე მცირე იყო, თანაც ძალიან მცირე... 1962 წელს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა ახალგაზრდული გუნდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. გუნდის კაპიტანი დავით ბედია გახლდათ. გოგონათა შორის ჩემპიონის ტიტული ტალინის „დინამოს“ გუნდმა მოიპოვა. კაპიტანი იუტა პალმი იყო. როცა გამარჯვებული გუნდების კაპიტნებმა (მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე) დროშა დაუშვეს ამაღელვებელი, ემოციებით დატვირთული დაუვიწყარი წუთები იდგა... დათო და იუტა... მაშინ ალბათ ბევრს არაფერს ნიშნავდა ამ სახელების ერთად ხსენება, შემდეგ კი – მოსკოვში ერთად გატარებულმა იმ საოცარმა ორმა კვირამ, იუტას რბილმა, გაწონასწორებულმა ბუნებამ და უსაზღვროდ ქალურმა კდემამოსილებამ მყარი საფუძველი მოუმზადა მათ მშვენიერ, სიყვარულით სავსე ოჯახს. მათი მემკვიდრეებია ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი. იუტა ბედია იმდენად შეესისხლხორცა საქართველოს, რომ წლების შემდეგ იტყვის: „ესტონეთში საქართველო მენატრებოდა, საქართველოში კი ესტონეთი...“ იუტა ბედია დღეს აღარ არის მხოლოდ დავით ბედიას მეუღლე, იგი ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებაა. ამ უნიჭიერესმა და უგანათლებულესმა ქალბატონმა, რომელიც პროფესიულ დონეზე ფლობდა ექვს ენას, ესტონურად თარგმნა და ავტორისეული ხიბლი შეუნარჩუნა თანამედროვე ქართული კლასიკური მწერლობის ბრწყინვალე თანავარსკვლავედს: მ. ჯავახიშვილს, ნ. ლორთქიფანიძეს, გ. რჩეულიშვილს, ნ. დუმბაძეს, ო. ჭილაძეს, რ. ინანიშვილს, ა. კუსრაშვილს და სხვათა. მაგრამ მისი „magnum opus“ ყოველთვის იყო „ვეფხისტყაოსანი“. ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „აკადემიას“ მთავარი რედაქტორი, მწერალი აინ კაალეპი იხსენებს: „ჩვენ წლობით ვმსჯელობდით როგორ მიგვეწოდებინა იგი ესტონელი მკითხველისთვის. უნო უსისოომ „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები რვა ტაეპიანი ქორეა თარგმნა ოთხსტროფიან ლექსად (როგორც მაგალითად რუს და გერმანელ მთარგმნელებს აქვთ). მე შევეცადე გამომეყენებინა ის რითმი, რომელიც გამოყენებული მაქვს ესპანელი რომანისტების თარგმნისას. ასე თუ ისე, მთავარ სიძნელეს წარმოადგენდა ოთხსტროფიანი ლექსის ფორმის მოძებნა. ამას იმასაც თუ დავუმატებთ,

რომ შოთა რუსთაველის რითმი არ მეორდება, აქედან გამომდინარე, ესტონურ ენაზე თარგმნის აბსოლუტური სიზუსტე სინამდვილეში გამორიცხულია. დიახ, იდგა საკითხი, რაზეც უარი უნდა გვეთქვა. იუტას მიერ შეიქმნა ტექსტთან ძალიან ახლოს მყოფი ლექსის თარგმანი. ეს ჩემთვის აღმოჩენა იყო. რატომ არ განვითარდეს ეს მიმართულება – თავისუფალი ლექსის მიმართულება? ჩემს მოსაზრებას მხარი დაუჭირეს და ასე გაჩნდა და მომზადდა „ვეფხისტყაოსანი" ესტონურ ენაზე. ჩვენთვის დიდად სასიხარულოდ, რამაც მსოფლიო ლიტერატურის პანორამა უფრო მდიდარი გახადა და შოთა რუსთაველის თანამემამულეების სასიხარულოდაც, რადგანაც ქართულმა ლიტერატურამ კიდევ ერთი მსოფლიო მასშტაბის დიდი და ლამაზი გამარჯვება მოიპოვა."

„ვეფხისტყაოსანი" ისევე, როგორც „ილიადა" და „ღვთაებრივი კომედია" კაცობრიობის ესთეტიკური განვითარების ისტორიის ქვაკუთხედია. რუსთაველის ზოგადსაკაცობრიო იდეალები მსოფლიო კულტურის საგანძურში კუთვნილ ადგილს არამარტო თვითმყოფადი პოეტური გენიის წყალობით იკავებს, არამედ უნივერსალური ხასიათის ფილოსოფიური მსოფლმხედველობით. „ვეფხისტყაოსნის" ძირითადი აზრი ქრისტესმიერი კეთილშობილებაა, სიკეთის ძლევამოსილება და მისი მარადიული უფლება ბოროტებაზე, ბოროტის დამარცხება და წარმავალობა. პოემის მთლიანი სიუჟეტიც სიკეთის ფილოსოფიურ ჩარჩოშია მოქცეული.

თვით „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის საფუძველზე ხდება ნათელი ავტორის ვინაობა, დრო და ადგილი. „ვეფხისტყაოსნით" იწყება ქართული რენესანსი და ის წინ უსწრებს შუა საუკუნეების პეტრარკას, დანტესა და რაბლეს ევროპულ რენესანსს! კონსტანტინე ბალმონტი სწერდა: „ისე, ვით ჰომეროსი ელადაა, დანტე – იტალია, კალდერონი და სერვანტესი – ესპანეთი, რუსთაველი – საქართველოა! ყოველი მათგანი არამარტო სამარადისო დიდებით აღზევებული პოეტია, არამედ სხივმოსილი განცხადება სულისა, წარმოჩენა მთელი ერის საგანძურისა, ამ სულით რომ გამობრწყინებულა და ამ სულშივე დიდებულ და განუმეორებელ ყვავილად აღმოცენებულა." რამდენად მაღალ საფეხურზე უნდა მდგარიყო მე-12 საუკუნის ქართული ცივილიზაცია, რომ „ვეფხისტყაოსანი" შექმნილიყო? დიახ, ეს კითხვა ბევრს აწუხებდა ადრე და აწუხებს დღესაც, რადგან მე-12 საუკუნის შემდეგ ქართული ცივილიზაცია შეუწყვეტელი ომების (და ალბათ ნაკლები შესაძლებლობების მეფეთა) წყალობით ვეღარ აღორძინდა! „ვეფხისტყაოსანი" კი საუკუნეების მანძილზე ხელით იწერებოდა და ასე გადაეცემოდა მამიდან შვილს, შვილიდან შვილიშვილს. მაგრამ... ისევ იმ განუწყვეტელი ომების წყალობით დაკარგულია უძველესი ნიმუშები. ყველაზე ძველი ხელნაწერი, რაც მე-19 ს-ის მეორე ნახევრის მამულიშვილებმა მოიპოვეს, როცა მისი ბეჭდური სახით გამოცემა გადაწყვიტეს, აღმოჩნდა მხოლოდ 1646 წლისა. ცხადია მათ ფული არ გააჩნდათ სრულყოფილად რომ დაეფინანსებინათ მაღალი დონის გამოცემა, მაგრამ... სურათების დახატვის სურვილი აღნიშნული წიგნისთვის უსასყიდლოდ გამოთქვა ცნობილმა მხატვარმა მიხაი ზიჩიმ. ზიჩის გაუგზავნეს იონა მეუნარგიას მიერ პროზაულად თარგმნილი "ვეფხისტყაოსანი," რის შემდეგაც მხატვარმა გასაოცარი ფერწერული ტილოები შექმნა. მისი სურათებიდან ფოტოცინკოგრაფიის საშუალებით ვენაში გადაიღო ანგერერმა, ფერადი სურათები კი დამზადებულია პეტერბურგში, ბრეზეს ქრომოლითოგრაფიაში. არშიები, სათაური, ასოები და დაბოლოებები შეადგინა გრიგოლ ტატიშვილმა და ამოსჭრეს პეტერბურგში ლემანმა და მეიმ. რაც შეეხება მხატვრობას ამ მორთულობისთვის გადმოღებულია ძველი ქართული ხელთნაწერი ძეგლებიდან და ციხე-ეკლესიების ფრესკებიდან. ტექსტის დადგენაზე მუშაობდნენ გრ. ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, იონა მეუნარგია, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, 1888 წლის გამოცემის რედაქტორი იყო ივანე მაჩაბელი. გამომცემელი ეროვნული მოღვაწე და ნამდვილად დიდი მამულიშვილი დ. გ. ქართველიშვილი. მე-19 საუკუნეში რამდენჯერმე გამოიცა „ვეფხისტყაოსანი", მაგრამ 1888 წლის ქართველიშვილის გამოცემა თავისი ლიტერატურული და ტექნიკური თვალსაზრისით უნიკალურია.!

რუსთაველი რომ თარგმნო თვითონ უნდა იყო სულით და ხორცით პოეტი, დიდი მოაზროვნე და ორივე ენის ღრმად მცოდნე. მთარგმნელთა შორის ცხადია უმთავრესნი სწორედ ამ ღირსებით იყვნენ დაჯილდოებულნი. არტურ ლაისტმა ბრწყინვალედ შეისწავლა ქართული ენა და ქართული ტრადიციები, იმდენად შეიყვარა საქართველო, რომ სიცოცხლის ბოლო წლებიც აქ გაატარა, აქვე გარდაიცვალა და დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. ასეთივე სიყვარულით შეისწავლა ქართული ენა მარჯორი უორდროპმა. მთელი სიცოცხლე და-ძმა უორდროპები ქართველი ხალხის ერთგულ მეგობრებად დარჩნენ და ეს განწყობა ეტყობა კიდეც უორდროპისეულ თარგმანს. 1940 წელს პოემის ერთი სტროფი, 1414-ე რუსულად თარგმნა სტალინმა. მისი თარგმნილი სტროფი 1416 ნომრით შესულია შალვა ნუცუბიძის რუსულად თარგმნილ „ვეფხისტყაოსანში". ლიტერატურულად რამდენად მაღალ დონეზე იყო თარგმანი შესრულებული, მკითხველი თავად დარწმუნდება:

1414 „ანაზდად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი,
რა ნახეს, კარნი გაახვნეს, ქალაქით გახდა ზრიალი
სამთავე სამგნით მიმართეს, თავსა მით უყვეს რიალი,
და იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი."

1416 „Вдруг коней вперед рванули, засвистели плети мигом,
Кони врезались, весь город огласился воем, визгом,
С трех сторон втроем ворвались понеслися буйно, с чиком,
Гром атаки, бой литавров вмиг смешались с воплем, криком".

ღრმა და სრულყოფილია 1964 წელს სერგი წულაძის მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი", რომელსაც საფრანგეთის აკადემიამ ლანგლუას სახელობის პრემია მიანიჭა. მთარგმნელის კონსულტანტი გახლდათ შალვა ნუცუბიძე, „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თარგმანის ავტორი.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ჰუგო ჰუპერტის თარგმანი გერმანულ ენაზე. იგი პირველად გამოიცა 1955 წელს ბერლინში, ჰუპერტისეულ თარგმანს მიენიჭა ჰაინრიხ ჰაინეს სახელობის სახელმწიფო პრემია და განმეორებით გამოიცა ბერლინში 1970 წელს. გერმანულადვე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი" ცნობილმა დასავლეთ გერმანელმა პოეტმა ჰერმან ბუდენზიგმა, თარგმნისას მან გამოიყენა ცნობილი ქართველი ორიენტალისტის მიხაკო წერეთლის მიერ გერმანულ ენაზე პროზაულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი". დიახ... მსოფლიოს ხალხთა 40-ზე მეტ ენაზე ითარგმნა ვეფხისტყაოსანი და მთარგმნელები იყვნენ დიდი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები... პოეტები, მწერლები, ფილოსოფოსები... ამ კაშკაშა თანავარსკვლავედში ერთ-ერთი განსაკუთრებული და დიდებით მოსილია დიდი ქალბატონის, იუტა ბედიას სახელი... დიახ... რუსთაველი რომ

თარგმნო თვითონ უნდა იყო სულით და ხორცით პოეტი, დიდი მოაზროვნე... ორივე ენის ღრმად მცოდნე... სწორედ ასეთი ბრძანდებოდა ქალბატონი იუტა ბედია! „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს მან ათი წელი მოანდომა. რუსთაველის გენიალურ, მუსიკალურ რითმაზე თეთრად გათეულ ღამეებსაც ჰქონდა თავისი განუმეორებელი ხიბლი... ესტონელ პოეტ ქალბატონ ლელო ტუნგალოს თუ მოვიშველიებთ: „– იუტა ალბათ ერთადერთი ქალია, რომელმაც თავისი სუსტი, ქალური მხრებით ჭეშმარიტად ტიტანური, მამაკაცური სამუშაო ზიდა!“

იუტა ბედიას მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ყველა – 1587 სტროფში, შენარჩუნებულია ორიგინალის რითმი, მათ შორის ცეზურული პაუზები, გამოყენებულია შესაბამისი პოეტური ლექსიკა“ (ენნ სოოსარი, ესტონელი მწერალი)... თარგმანი არამარტო დიდ სიამოვნებას ანიჭებს ესტონელ მკითხველს, არამედ აოცებს მისი ფილოსოფიური სიღრმითა და ესთეტიკური ევოლუციის თავისებურებებით ისე, როგორც ორიგინალი. იუტა ბედიას თარგმანი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანთა შორის! ესტონეთის პრესტიჟულმა გამომცემლობა „ეესტი რაამატმა“ გამოსცა იუტა ბედიას მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“. ესტონეთის მწერალთა კავშირმა, მეცნიერებმა და ლიტერატურათმცოდნეებმა აღნიშნულ თარგმანს „ბრწყინვალე“ უწოდეს. „იუტა ბედია კარგად არის ცნობილი ესტონეთის სამეცნიერო ლიტერატურულ წრეებში, როგორც ქართული ლიტერატურის ნიმუშების მაღალმხატვრული თარგმანების ოსტატი. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს შოთა რუსთაველის ეპიკური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ბრწყინვალედ შესრულებული თარგმანი. 1940 წლიდან რამდენიმე ესტონელმა მწერალმა სცადა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის თარგმნა. მიუხედავად ამ მცდელობისა, ეს დიდი ქართველი პოეტი უცნობი რჩებოდა ესტონელი მკითხველისთვის. იუტა ბედიამ მრავალი წლის დაუღალავი მუშაობის შედეგად მაღალმხატვრულად თარგმნა ქართული ლიტერატურის კლასიკური ნიმუში. იუტა ბედიას მიერ თარგმნილ „ვეფხისტყაოსანს“ გამორჩეული ადგილი უკავია ესტონურ ენაზე თარგმნილ ისეთ ნაწარმოებებს შორის, როგორიცაა ჰომეროსის, ვირგილიუსის, ედას, ნიბელუნგების თარგმანები“ (სირია ოლესკი, ფილოსოფიის დოქტორი, ესტონეთის ლიტერატურის მუზეუმის სამეცნიერო დირექტორი).

ცნობილი ქართველოლოგი და კრიტიკოსი უნო უსისოო იხსენებს: „1966 წელს შოთა რუსთაველის იუბილის დღეებში ამ თარიღის აღსანიშნავად ესტონურ ენაზე გამოქვეყნდა ბევრი საინტერესო სტატია და მომზადდა გადაცემები რადიოთი თუ ტელევიზიით. სამწუხაროდ, იმ დროისთვის ცოტა რამ თუ მოიძებნებოდა ქართულიდან ესტონურ ენაზე თარგმნილი. მეოთხედი საუკუნე დასჭირდა იმას, რომ ესტონურ ენაზე ესტონელი მკითხველი გაცნობოდა ქართული ლიტერატურის ამ განუმეორებელ ქმნილებას. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ 1991 წელს გამოსცა გამომცემლობა „ეესტი რაამატმა“. წიგნმა, რომელიც დიდი გემოვნებით არის გაფორმებული მხატვარ სერგო ქობულაძის ილუსტრაციებით, დიდი აღიარება ჰპოვა და სწრაფად გაქრა მაღაზიის თაროებიდან. მთარგმნელმა იუტა ბედიამ უდავოდ დიდი დრო და ენერგია შეალია თარგმნისათვის ყველაზე მისაღები ფორმის მოძიებას. ამ პოემის მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე მთარგმნელებმა სხვადასხვაგვარად გადაწყვიტეს ეს პრობლემა. ამოსავალ წერტილად უნდა ავიღოთ შალვა ნუცუბიძის ზუსტი და ამავე დროს მძიმედ აღსაქმელი რუსული თარგმანი, ჰუგო ჰუპერტის რითმიანი და ავტორისეული ფორმა, გერმანული თუ მარჯორი სკოტ უორდროპის ზედმიწევნით ადეკვატური პროზაული დაუცველი თარგმანები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სერგი წულაძისეული ფრანგული თარგმანი, დედანთან ძლიერ დაახლოებული, მუსიკალური და სასიამოვნო წასაკითხი, სადაც რითმა თვითმიზნად არ არის ქცეული. იუტა ბედიამ უდავოდ ბევრი გზა მოსინჯა, ვიდრე ამ ერთადერთ და ორიგინალურ გადაწყვეტილებას მიიღებდა. იგი შესანიშნავად გრძნობს ესტონური ენის გამომხატველობით საშუალებებს, ზედმიწევნით კარგად იცის ლექსიკა, ამავე დროს აქვს ქართული ლიტერატურის თარგმანის საკმაოდ დიდი გამოცდილება. პოემის თარგმანის ამ ურთულესი ამოცანის გადასაჭრელად მან ოპტიმალური ვარიანტი შეარჩია: სცადა მაქსიმალურად გადმოეცა ესტონურ ენაზე რუსთაველის ენის მრავალფეროვნება და სიმდიდრე. მართალია, ზოგჯერ ვერ ხერხდება ფორმის ზუსტად დაცვა, მაგრამ სამაგიეროდ უცვლელი რჩება პოემის ენა და შინაარსი. ესტონური ენა რითმების სიმცირის გამო ძნელად ეგუება ოთხმარცვლიან რითმას მოკლე ლექსებშიც კი, რომ არაფერი ვთქვათ ეპიკურ პოეტურ ნაწარმოებებზე. საბოლოო შედეგმა ამ შრომისა ესტონელ მკითხველს უდავოდ დიდი სიამოვნება მიანიჭა. თარგმანის უფრო დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მთარგმნელს ზუსტად აქვს დაცული სტრიქონთა ადგილი, ის ცდილობს ზუსტი შესატყვისი მოუძებნოს ავტორის მდიდარ ლექსიკას, თარგმანს ეტყობა მოქნილობა და რითმის სინატიფე. ესტონურ ხალხურ სიმღერებში ძირითადად თავრითმები გვხვდება. ბოლორითმას კი ენა ვერ იტანს. მთარგმნელმა გაითვალისწინა ეს გარემოება და ძირითადად ალიტერაციითა და ასონანსით სარგებლობს ორიგინალის კეთილხმოვანების გადმოსაცემად. აღსანიშნავია მთარგმნელის სურვილი თავის მშობლიურ ენაზე გადმოიტანოს პოემის რიტმი. წიგნი სარედაქციოდ ჰქონდა გადაცემული რედაქტორს, რომელმაც თქვა, რომ დიდი სიამოვნება მიანიჭა ამ თარგმანზე მუშაობამ და კმაყოფილია საბოლოო შედეგით. ხალხური პოეზიით დაინტერესებული მეცნიერები გამოთქვამენ აზრს, რომ თითქოს ქართულ და ესტონურ ფოლკლორში არის მსგავსება და შეხების წერტილები (ამირანი და კალევი პოეგი), მით უფრო მისასალმებელია, რომ ქართული სიტყვის ხელოვნების საუკეთესო ნიმუშმა მთელი მოცულობით მაღალმხატვრული თარგმანის სახით მიაღწია ესტონელ მკითხველამდე.“

უნო უსისოოს მიერ იუტა ბედიას „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის შედარება შალვა ნუცუბიძის მიერ რუსულად თარგმნილ „ვეფხისტყაოსანთან“ შემთხვევითი არ არის, ცნობილი ფილოსოფოსი, პროფესორი შალვა ნუცუბიძე ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდა ამ თარგმანზე. შალვა ნუცუბიძის თარგმანი აღიარებულია „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ ბრწყინვალე თარგმანად, სადაც თითქმის სრულყოფილად არის წარმოჩენილი არამარტო რუსთაველის გენიალური პოემის ხიბლი და ქართული ენის დახვეწილი და განუმეორებელი სიმდიდრე, არამედ რუსული ენის ლექსიკის უბადლო სისადავე და უდაოდ დიდი შესაძლებლობა უნივერსალური მაღალმხატვრული პოეტური შედევრის წარმოსადგენად. მასში დიდებულადაა დაცული რითმის მუსიკალურობა, შენარჩუნებული აქვს ავტორისეული ესთეტიკური მშვე-

ნიერება. თარგმანს ლიტერატურული რედაქცია გაუკეთა ცნობილმა რუსმა პოეტმა და ჟურნალისტმა ს. გოროდეცკიმ. შალვა ნუცუბიძის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი "ვეფხისტყაოსანი" 1940 წელს გამოსცა მოსკოვის გამომცემლობა „ხუდოჟესტვენაია ლიტერატურამ", მხატვრების: მ. ზიჩის, ს. ქობულაძისა და ირ. თოიძის განუმეორებელი ილუსტრაციებით. აღნიშნული თარგმანი მრავალჯერ გამოიცა. შალვა ნუცუბიძის და იუტა ბედიას თარგმანი სრულყოფილად ფლობს, იმეორებს და მკითხველამდე მიაქვს რუსთაველის, ადამიანური აზროვნების ამ განუმეორებელი შედევრის რითმის მუსიკალობა. მთარგმნელი (მათ შემთხვევაში), გრძნობს და უაღრესად საინტერესო ლიტერატურული გზებით ეძებს ახალ პოეტურ ფორმებს ორიგინალური, მრავალფეროვანი, ფილოსოფიური ტექსტის სრულყოფილად გადმოსაცემად სათარგმნ ენაზე. ესტონელი საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი და კრიტიკოსი ხალინდ უდამი წერს: „ალბათ ახლა შეიძლება ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, ბოლოს და ბოლოს ავიღოთ ხელში ბიბლიოფილურად გაფორმებული ძვირფასი რაინდული რომანი და დავტკბეთ მისი შინაარსით... ფორმალური სილამაზისაგან ოთხ რითმიანი ჟანრიდან მთარგმნელმა იუტა ბედიამ შეგნებულად თქვა უარი, ვინაიდან ფორმა, რომელიც ერთ ენაზე არის ბუნებრივი და ლამაზი, შეიძლება ყოველთვის არ დაემთხვეს მეორე ენაზე. ქართველებისათვის „ვეფხისტყაოსანი" არის როგორც ბიბლია, რუსთაველის შემდგომი ლიტერატურა რაღაცა ზომით ხსნის და ანვითარებს ამ ეპოსის თემატიკას. ჩვენს ლიტერატურაში არ არის ძირითადი ნაწარმოები, რომელიც ჩაიტევდა მთელი ხალხის სულიერებას და მოაქცევდა მას უნივერსალურ ქრისტიანულ ჩარჩოებში. არა: ჩვენ ასეთ ფენომენს ვერც კი ვუგებთ. როცა ხელში გიჭირავს ეს ეპოსი, ვერც კი ვხვდებით იმ უდიდეს შრომაზე რომელიც გასწია მთარგმნელმა და მის ფასზე. სანამ ჩვენთან ცხოვრება და განათლება იყო იაფი, გვქონდა იმედი, რომ რომელიღაცა ეგზოტიკის მოყვარული, თვითგამორკვევის მიზნით მოკიდებდა ხელს ასეთ სამუშაოს. მაგრამ დღეს, როცა ასეთი სიძვირეა და ინტერესების ფონზე უსაფუძვლოა იმის იმედი, რომ ვიღაცა რისკისა და შრომის ფასად ხელს მოკიდებს ასეთ სამუშაოს, შეიძლება მოხდეს, რომ „ვეფხისტყაოსანი" იქცეს ასეთი დიდი ნაწარმოების ბოლო თარგმანი ესტონურ ენაზე." მწერალი და კრიტიკოსი, ესტონეთის მწერალთა კავშირის წევრი და საზოგადო მოღვაწე აკსელ ტაამი აღნიშნავდა: „იუტა ბედია არა უბრალოდ მთარგმნელია, არამედ ეპოსის მთარგმნელია, რაც გრანდიოზული სამუშაოა. მერე რა, რომ ეს ძველია, მერე რა, რომ ეს ნოსტალგიაა. ის რაც იუტამ გააცნო და შეათვისებინა ესტონელებს, ეს ყველაფერი დიდი კანონზომიერებაა. მას ხელეწიფებოდა ამის გაკეთება". იუტა ბედიას ხანმოკლე სიცოცხლე, საქართველოსა და ესტონეთის დიდ სიყვარულში, მუდმივ შრომასა და ძიებაში გაილია...

1996 წელს თბილისში, საკუთარ, სიყვარულით სავსე ოჯახში, მეუღლის, შვილებისა და შვილიშვილების უსაზღვრო სითბოში ჩაძირული გარდაიცვალა იუტა ბედია... გარდაიცვალა დიდი ქალბატონი, საქართველოსა და ქართველ ხალხზე, ქართულ ენაზე შეყვარებული იუტა ბედია... ბოლო თარგმანი, მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე" გამოუცემელი დარჩა. იგი დიდი შემოქმედი იყო! რომ ეცოცხლა, წელს... 65 წლისა შესრულდებოდა – და ვინ იცის, რამდენ სიხარულს მოჰგვრიდა თავისი თავაუღებელი შრომით ქართველ და ესტონელ მკითხველს! მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის რუსთაველის მშობლიური მიწა... მადლიერი ქართველი ხალხი მუხლს იდრეკს შენი ნათელი ხსოვნისა და სახელის წინაშე დიდო ქალბატონო... და აკაკის სიტყვების არ იყოს, თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია უფლის განგებით, მასთან ერთად იქნება უკვდავი შენი მშვენიერი სული და შენი სახელი...

მანანა ვახტანგაძე

MANANA VAKHTANGADZE

AS WONDERFUL AND FRESH AS THE LEAF OF A TENDER ROSE

Resume

"Man in the Panther's Skin" translated by Shalva Nutsubidze in Russian was published in 1940 by publishing house "Khudojestvennaya Literatura" in Moscow, with unforgetable illustrations of M. Zichi, S. Kobuladze and I. Toidze. The above translation was published numerous times. Transaltion by Shalva Nutsubidze and Iuta bedia brings to the reader Rustaveli's unique rhyme. Translators find new poetic forms to perfectly transfer original, diverse and philosophical text into foreign language.

МАНАНА ВАХТАНГАДЗЕ

ПРЕКРАСНЫЙ И ВОЗДУШНЫЙ, КАК ЛЕПЕСТОК РОЗЫ

резюме

Русский перевод Шалвы Нуцубидзе великого Шота Руставели « Витяз тигровой шкуре» был опубликован 1940 году в москве издательством « Художественной литературы», перевод Шалвы Нуцубидзе и Юты Бердия полностью повторяет и доносит до читателя музыкальный ритм этого гениального шедевра.Переводчики чувствуют и полностью владеют языком для перевода этого высоко-художественного и философского произведения.

ნანა გიგინეიშვილი
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

უაკ (UDC) 001.92:2

სამყაროს კონსტრუქციისა და ევოლუციის მეცნიერული საფუძვლების ქრისტიანული არსი

დამთავრდა ქრისტიანული ერის მეორე ათასწლეული. მეცნიერებს, ფილოსოფოსებს, ღვთისმეტყველებსა და საერთოდ ყოველ ადამიანს ერთიდაიგივე კითხვები აწუხებთ – რისთვის ვცხოვრობთ, რას შევიმეცნებთ, როგორ შევიმეცნებთ და საერთოდ რას ან ვის ემსახურება ჩვენი მეცნიერული თუ სხვა სახის მოღვაწეობა.

მეცნიერულ ცოდნას, ისევე როგორც საერთოდ ცოდნას მაშინ აქვს გარკვეული აზრი, როდესაც მისთვის ცნობილია ის საბოლოო მიზანი, რისთვისაც ვშრომობთ და ვიღწვით. თუმც კი საბუნებისმეტყველო მეცნიერებისთვის მცნება „საბოლოო მიზანი" საერთოდ არ არსებობს, ძალზე ხშირად ჩვენი მეცნიერული შეხედულებები და ჰიპოთეზები მხოლოდ ნაწილობრივ ანდა სრულებითაც ვერ წვდება იმ ჭეშმარიტებას, რის შესწავლასაც ემსახურება ესა თუ ის ჰიპოთეზა თუ ექსპერიმენტებზე დამყარებული მრავალი მეცნიერული თეორია. შუა საუკუნეების მეცნიერების აკვანს ევროპული უნივერსიტეტები წარმოადგენდნენ, რომლებიც როგორც წესი ეკლესია მონასტრების ბაზაზე იყვნენ აღმოცენებულნი და ამ ფაქტს არამც თუ არ შეუშლია ხელი, არამედ პირიქით, მეცნიერების განვითარების სწორ მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში. საქართველოში ამის შესანიშნავ მაგალითს გელათისა და იყალთოს აკადემიები წარმოადგენდნენ. მეცნიერთა უმრავლესობა თვლიდა და დღესაც თვლის, რომ მეცნიერება და რელიგია არა თუ არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, არამედ პირიქით ყოველი დიდი აღმოჩენის საფუძველი ან თავიდან იყო მათი ავტორების რელიგიურობა, ანდა მათი მეცნიერული მოღვაწეობა შემდგომ გამხდარა მათი რელიგიურობის მიზეზი. სამწუხაროდ ბევრმა როდი იცის რომ უდიდეს მეცნიერთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა მორწმუნე ადამიანები იყვნენ. ამის დასტურად საკმარისია მეცნიერთა ისეთი კორიფეების დასახელება, როგორებიცაა – ნიუტონი, ამპერი, ვოლტი, გალილეი, ბროუნი, ლინე, დეკარტი, პასკალი, შლეიდენი, პასტერი, ნობელის პრემიის არაერთგზის ლაურეატები – ეკლსი, კრიკი, არტურ კომპტონი, სკოტი, უოტსონი, მედლერი, შესანიშნავი რუსი მეცნიერები ლომონოსოვი, მენდელეევი, პავლოვი, პიროგოვი, და სხ. აქვე უნდა აღინიშნოს ჩვენი სასიქადულო გაბრიელ ეპისკოპოსი, რომელიც დიდი ილიას სიტყვებით მეცნიერებას ასარწმუნოებდა და სარწმუნოებას კი ამეცნიერებდა. რამდენიც გნებავთ იმდენი გამონათქვამების ციტირება შეიძლება, სადაც უდიდესი მეცნიერები უსაზღვრო სიხარულსა და უკიდეგანო აღმაფრენას განიცდიდნენ, როდესაც მეცნიერული მოღვაწეობის შედეგად შემოქმედს შეიმეცნებდნენ და მადლობას უძღვნიდენ მას ასეთი წყალობისათვის. ბედნიერია ის მეცნიერი, რომელსაც მეცნიერების გზით შეუძლია ამაღლება ღმერთამდე და თუ გადავხედავთ მეცნიერების განვითარების ისტორიას ჭეშმარიტ მეცნიერთა უდიდესი ნაწილის ნამოღვაწარს ყოველთვის ღმერთის აღიარებამდე მივყევართ. სამწუხროდ მე -19 საუკუნიდან მეცნიერებაში მკვეთრად გამოხატული მატერიალისტური და ათეისტური იდეების დამკვიდრებამ საკმაოდ შეარყია მისი რელიგიური საფუძვლები. ათეიზმმა მეცნიერებაში თავის აპოგეას მე- 20 საუკუნესა და განსაკუთრებით კომუნისტური უღმერთობის ხანაში მიაღწია. საბჭოთა მეცნიერების მიერ მეცნიერული ჭეშმარიტების ძიების პროცესი ფაქტიურად რელიგიის წინააღმდეგ მიზანმიმართულ ბრძოლად გადაიქცა. ყოველგვარი მეცნიერული აზრი, რომელიც ათეიზმის დამკვიდრებას არ ემსახურებოდა უარყოფილი, ხოლო ამ აზრის მატარებელი ჭეშმარიტი მეცნიერები დევნილნი და ფიზიკურად განადგურებულნიც კი იყვნენ. გულაგები სავსე იყო დიდი მეცნიერებით, რომელთა სახელებიც კი არ შემორჩა შთამომავლობას და მხოლოდ უფლის წიგნში ჩაიწერნენ როგორც ჭეშმარიტებისათვის წამებულნი. სიტყვა ღმერთი ამოღებული იქნა მეცნიერული ტერმინოლოგიიდან, სამაგიეროდ სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების საწავლო პროგრამები გაჟღენთილი იყო ანტიმართლმადიდებლური სულიკვეთებით. ამიტომაც შემთხვევითობას როდი წარმოადგენდა მეცნიერებაში, განსაკუთრებით კი საბუნებისმეტყველო დარგებში ათეიზმის დასამკვიდრებლად მატერიალისტური ევოლუციონიზმის პრინციპის უპირობო დამკვიდრება. სამყაროს განხილვა ხდებოდა როგორც მარტოოდენ ფიზიკური ობიექტისა, სადაც ადამინიც ისეთივე ფიზიკურ ობიექტად მოიაზრებოდა, როგორც დანარჩენი ცოცხალი თუ არაცოცხალი. თვით სამყაროს შექმნის ასახსნელად მხოლოდ მატერიალისტური პრინციპები იქნა გამოყენებული. სამწუხაროდ ეს ტენდენცია ახლაც, საბჭოპთა კავშირის დანგრევის შემდგომაც არ შესუსტებულა და არა მარტო პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, არამედ მთელ უღმერთო მსოფლიოში. განვიხილოთ რა დამოკიდებულებაა სინამდვილეში მეცნიერებასა და რელიგიას შორის და ამის დასამოწმებლად მოვიყვანოთ არა მარტო ცნობილ მეცნიერთა, არამედ წმინდა მამებისა და სასულიერო პირების მიერ გამოთქმული აზრი.

რა არის მეცნიერება? სიტყვა "მეცნიერების" არსი ჩვენი მშობლიური ქართული ენით შეიძლება გამოვხატოთ ძალიან კარგი და შესატყვისი სიტყვით - "მცოდნეობა" მაგ. ლიტერატურათმცოდნეობა, მხარეთმცოდნეობა, ენათმცოდნეობა ანდა ბუნებათმცოდნეობა, ანუ მეცნიერება ფართო გაგებით შეიძლება განისაზღვროს როგორც გარკვეული დაგროვილი და სისტემაში მოყვანილი ცოდნა ჩვენი გარემომცველი სამყაროს შესახებ. ხოლო სიტყვა რელიგია, რომელსაც დღეს ვცვლით სიტყვა "აღმსარებლობით". შესაბამისად მეცნიერებასა და რელიგიას შორის დამოკიდებულება შეიძლება განხილული იყოს როგორც **მცოდნეობისა** და **აღმსარებლობის** ურთიერთკავშირი. საკუთარი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მეცნიერები სვამენ გარკვეულ კითხვებს, რაზეც პასუხს იღებენ როგორც ინტელექტუალური მსჯელობით, ისე მეცნიერული მეთოდების გამოყენებით. მთავარი და გადამწყვეტი მეცნიერე-

ბაში კითხვის სწორი ფორმულირებაა, რადგან სწორად დასმული კითხვა მრავალწილად განაპირობებს სწორი პასუხის ძიებას. მნიშვნელოვანია როგორც ახალი კითხვების დასმა, ისე უკვე ცნობილი ფაქტების ახალი კუთხით განხილვა. ჭეშმარიტი მეცნიერული მტკიცებულებანი მისაწვდომი და ნათელი უნდა იყოს ყველა მეცნიერისათვის. ამიტომ ყოველი მეცნიერული გამოკვლევა უნდა იყოს სრულად და ამომწურავად აღწერილი, შესაძლებელი რომ იყოს ანალოგიურ პირობებში მისი გამეორება და მსგავსი შედეგის მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი განეკუთვნებიან არა მეცნიერულ არამედ მეტაფიზიკურ კატეგორიებს. . ფაქტები ყოველთვის ეყრდნობა პირდაპირ, ანდა ირიბ დაკვირვებებს. ყოველი ფაქტი, რომელიც ეხება კონკრეტულ პრობლემას, იწოდება მონაცემად. დაკვირვება შეიძლება იყოს თვისობრივი და რაოდენობრივი, რომელიც ყოველთვის უფრო ზუსტია.. დაკვირვების შედეგად მიღებული „ნედლი მასალის“ საფუძველზე ფორმულირდება მეცნიერული **„ჰიპოთეზა“**, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს ვარაუდს, რომლის მეშვეობითაც შეიძლება დასაბუთებულად ავხსნათ დაკვირვების შედეგად მიღებული ფაქტები. აინშტაინი ხაზს უსვამდა ჰიპოთეზის ორ ფუნქციას: 1. უნდა ხსნიდეს ყველა მოვლენას, რომელიც ეხება მოცემულ პრობლემას. 2. უნდა იძლეოდეს ახალი ცოდნის წინასწარ განჭვრეტას.

ახალი ფაქტები ან ხელს უნდა უწყობდეს აღნიშნული ჰიპოთეზის განმტკიცებას, ანდა კიდევ პირიქით, მის უარყოფას. ყველაზე უფრო წარამატებულ, მწყობრ ჰიპოთეზას უწოდებენ სამუშაო ჰიპოთეზას, რომელიც თუ შემდგომი ექსპერიმენტებით განმტკიცდა, **„თეორიად“** იწოდება. უფრო მაღალ საფეხურს მეცნიერებაში „კანონები“ ეწოდება. თეორია **კანონად** იწოდება მაშინ, თუ მას ვეღარ შეცვლის ვერანაირი ფაქტები, ხოლო მისგან გადახრები და ცდომილებები ატარებენ რეგულარულ ხასიათს და წინასწარ შეიძლება იყოს განსაზღვრული. **მოვლენა** – ეს არის ის, რაც ცხადია და მისაწვდომი ჩვენი ხუთი გრძნობის ორგანოსათვის (როგორც მიღებულია ბიოლოგიაში, სინამდვილეში ის გაცილებით მეტია), ამავდროულად ამ გრძნობებზე დაფუძნებული ლოგიკისთვის და მას მიმატებული მოცემული პერიოდისათვის არსებული ტექნიკური შესაძლებლობების. ცოდნა მეტია ვიდრე მეცნიერება, რადგან ის მიიღწევა არა მარტო გონის, არამედ სულის უმაღლესი უნარით, რომელსაც არ ფლობს მეცნიერება, აქ იგულისხმება პირველ რიგში ინტუიცია სხვდასხვა მოვლენის სწორად ახსნისა, ანუ უშუალო ალღო იმისა, რაც მეცნიერული მეთოდებით მიუღწეველია.

ბიოლოგიურ მეცნიერებაში რელიგიური და მეცნიერული იდეების შერწყმის მცდელობა პირველად მეცნიერული კრეაცონიზმის მიმდევრებმა შემოგვთავაზეს. ცნობილი ფრანგი ბუნებისმეტყველი, ნატურალისტი, შედარებითი ანატომიისა და პალეონტოლოგიის ფუძემდებელი ჟორჟ კუვიე თავგამოდებულ კრეაციონისტად ითვლებოდა. კუვიე იყო სახეობათა უცვლელობის თეორიისა, ლამარკისა და დარვინის სახეობათა წარმოშობის დარვინისეული ევოლუციური თეორიის მოწინააღმდეგე. კრეაციონისტები აღიარებენ სახეობათა მუდმივობის პრინციპს და გამორიცხავენ ერთი სახეობიდან სხვა სახეობის წარმოქმნას. მეცნიერული კრეაციონიზმის მომხრეები ხშირ შემთხვევაში არ გამორიცხავენ ერთი სახეობის შიგნით ევოლუციურ ანუ თანდათანობით განვითარებას, ანუ სახეობის განვითარებას და არა შეცვლას და ახალ სახეობად გარდაქმნას.

რა არის რელიგია?

თუ არსებითად განვიხილავთ, რელიგია – ეს არის ღმერთთან ურთიერთობა (შერწყმა), და როდესაც რელიგიაზეა საუბარი, სწორედ ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ. რელიგიის არსი და მნიშვნელობა ქრისტიანული და კერძოდ მართლმადიდებლური თვალთახედვით, თუ ჩვენ მას სწორად აღვიქვამთ და ვცხოვრობთ სულიწმინდის მადლით, განიხილება როგორც ღმერთსა და ადამიანებს, ციურ და მიწიერ არსებებს, ცოცხლებსა და გარდაცვლილებს შორის ურთიერთობა. ფართო გაგებით კი რელიგია – ეს არის აბსოლუტის, ანუ რასაც ჩვენ **ღმერთს** ვუწოდებთ, იმის მიმართ დამოკიდებულება, იმდენად რამდენადაც ეს დამოკიდებულება აქვს ყოველ ადამიანს, - მათ შორის ათეისტს; – ამიტომაც მიღებულია გამოთქმა ყველას თავისი რელიგია აქვსო. გამომდინარე აქედან, ფართო გაგებით, რელიგია შეიძლება იყოს მართალი და მცდარი, ჭეშმარიტი და ცრუ, ზნეობრივი და უზნეო – იმის მიხედვით, რას მოვიაზრებთ აბსოლუტში, და როგორია ჩვენი ღირებულებები, - რა გვწამს და რა არ გვწამს, რას ვიღებთ და რას უარვყოფთ. რელიგია, - როგორც განცდა - ძალზე რთულია. ეს უშუალო და სპეციფიური განცდაა, რომელიც ღმერთთან ურთიერთობის საშუალებას გვაძლევს – და ლოცვად იწოდება. გარდა ამისა სულიერი ცხოვრება – დინამიურ პროცესს წარმოადგენს. იგი იწყება ნათლობიდან, რომელიც ღვთის ხატის განწმენდას წარმოადგენს და გრძელდება მთელი ცხოვრება, რომელიც მიმართულია უფლის მსგავსების მიღწევისაკენ, ანუ უფალთან შერწყმამდე.. როდესაც ქრისტიანულ, კერძოდ მართლმადიდებლურ რელიგიაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ რამოდენიმე აუცილებელი პირობა: **პირველი** და მნიშვნელოვანი – ქრისტიანობა უპირველესად წარმოადგენს – **ეკლესიას.** ეკლესია კი ქრისტეს სხეულს! ახალ აღთქმაში მრავალ ადგილას არის მინიშნებული, რომ ქრისტიანობა ეკლესიაა(მათ.16:18). ეს კი ნიშნავს რომ ქრისტე არა მხოლოდ სუფევს ცაში და იქიდან ქმნის ისტორიასა და ადამიანთა სიცოცხლეს, არამედ, აქაც შეერთებულია ჩვენთან. მან მიიღო ადამიანური ბუნება, განაღმრთო იგი და ამიტომ ქრისტეში განმღრთობილი ადამიანური ბუნებაც იმყოფება მარჯვენით მამისა. ამრიგად ქრისტე – ჩვენი ცხოვრებაა, ხოლო ჩვენ „ქრისტეს ნაწილები“.

მეორე პირობა მდგომარეობს იმაში, რომ ქრისტიანობის მიზანი – ეს არის ნეტარი ღვთიური მდგომარეობის მიღწევა. განმღრთობა და უფლის ხატება ერთიდაიგივეს გამომხატველია. იმისათვის რომ უფლის ნათელი მაცხოვნებელი შეგვექმნეს და არა „ცეცხლებრ შემწველი“, ადამიანს აუცილებლად მოეთხოვება სულის განწმენდა და სწორედ ამ განწმენდასა და კურნებას ემსახურება ეკლესია. თუ ადამიანი მხოლოდ გარეგნულად აღასრულებს საეკლესიო წესჩვეულებებს და მონანიების საშუალებით არ იწმინდება, ის სინამდვილეში არ ცხოვრობს ეკლესიურად. ქრისტიანობა განწმენდის გარეშე – უტოპიაა. რელიგიაზე საუბარი მხოლოდ განწმენდისა და რაც მთავარია საკუთარი სულის განკურნების უდიდესი სურვილის შემდგომ არის შესაძლებელი. ამრიგად ქრისტიანობა არა მარტო რელიგიაა მისი კლასიკური

გაგებით, არამედ სულის და აქედან გამომდინარე ხორცის საკურნებელიც, ის კურნავს ადამიანს ვნებებისგან, რაც შემდგომში საფუძველია ღმერთთან მისი ერთიანობისთვის. ღვთისმეტყველება კი ამ გაგებით შეიძლება სამედიცინო (საკურნებელ) მეცნიერებადაც წარმოვიდგინოთ. მეცნიერებასა და რელიგიას შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი მრავალი გამოჩენილი მეცნიერის განხილვის საკითხი იყო. პროფესორ დენერტის მიერ გამოკვლეული იქნა 262 ცნობილი) საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში მოღვაწე მეცნიერთა (მათ შორის უდიდესთა) აზრი. და აღმოჩნდა რომ მხოლოდ 2% ათეისტი, 6% ტოლერანტული, და 92% ღრმად მორწმუნე გახლდათ. ჩვენი საუკუნის დასაწყისში წიგნში "თანამედროვე მეცნიერთა დამოკიდებულება რელიგიისადმი" მოცემულია პასუხები ორად-ორ კითხვაზე 1. ეწინააღმდეგება თუ არა ქრისტიანული რელიგია თავისი საფუძვლებით მეცნიერებას? 2. ცნობილი იყო თუ არა მათთვის მეცნიერები, რომლებიც მსგავს წინააღმდეგობას აღიარებდნენ? მიიღეს 116 პასუხი, რომლებიც დადებითად პასუხობდნენ რელიგიასთან დაკავშირებით, დანარჩენები ან არ პასუხობდნენ ან გარკვეულ პასუხს არ იძლეოდნენ. პირველ ჯგუფში იყვნენ ისეთი მეცნიერები როგორიცაა: ტომფსონი, ოლივერი, ლოჯი, ფარადეი, ომი, კულონი, ამპერი, ვოლტი და სხა უამრავი. მათ შორის პასკალი ბოილი, ნიუტონი, პასტერი, კოხი, გენიალური რუსი ექიმი და ჰუმანისტი პიროგოვი, აკადემიკოსი პავლოვი, ფსიქიატრი კოვალევსკი, ვედენსკი, რომელთა რელიგიურ შეხედულებებს ყოველთვის მალავდნენ საბჭოთა რუსეთში. დღესაც ცოტა ვინმემ თუ იცის რომ ჩარლზ დარვინი, რომლის სახეობათა წარმოშობის ევოლუციური თეორია საფუძველთა საფუძველია მატერიალისტი მეცნიერებისა და პოლიტიკოსებისთვის, აი რას წერდა თავის თავზე: " მე არასოდეს არ ვყოფილვარ ათეისტი. პირველ უჯრედში სიცოცხლე სწორედ უფლის მიერ უნდა ყოფილიყო შთაბერილი". ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რამდენად აცილებს ადამიანს ღმერთისაგან ე.წ. "სანახევროდ ცოდნა", თუკი ასეთი გენიალური ადამიანები და მეცნიერები, რომლებიც წარმოადგენდნენ მეცნიერების წამყვან ძალას, იყვნენ მორწმუნე ადამიანები, მითუმეტეს რა უშლის ხელს თანამედროვე მეცნიერებს, რომლებიც მეცნიერული თვალსაზრისით მათთვის საკმაოდ სუსტ მოწაფეებად გამოიყურებიან, უფლის ხელი დაინახონ ბუნების ნებისმიერ კანონზომიერებაში. რამდენჯერაც არ უნდა გახდნენ ნობელის პრემიის ლაურეატები თანამედროვე მეცნიერები, თუ მათ მეცნიერული ჰიპოთეზებისა და თეორიების კოშკებს საფუძვლად არ უდევს უმაღლესი გონის მიერ შექმნილი კანონზომიერებების აღიარება, ეს კოშკი ისევე დაინგრევა ბაბილონის გოდოლივით, როგორც არაერთი მეცნიერული კონცეფცია და თეორია დანგრეულა დროთა განმავლობაში. საუკუნეებს უძლებს მხოლოდ ჭეშმარიტ რელიგიურ საძირკველზე დაფუძნებული მეცნიერება, რადგან ათასი წელი უფლის თვალში მოიხსენიება ვითარცა ერთი წამი.

მე -19საუკუნის ბოლოდან განათლებულ ადამიანთა შორის გავრცელდა აზრი, თითქოს მეცნიერება ეწინააღმდეგებოდეს რელიგიას. ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირული ცოდნაა როგორც მეცნიერების, ისე რელიგიის სფეროში. ჭეშმარიტ ცოდნას ყოველთვის მივყევართ ღმერთამდე, ხოლო სანახევრო ცოდნა და ცრუ მეცნიერება ყოველთვის გვაშორებს უფლისგან. ნახევრად ცოდნა ეს ყველაზე უფრო გავრცელებული და დამღუპველი მოვლენაა ყველა დროისა და განსაკუთრებით ჩვენი დროისათვის, ამის მიზეზი კი მხოლოდ და მხოლოდ შეიძლება იყოს შემეცნებითი თეორიის, ანუ გნოსეოლოგიის ნაკლებად ანდა სრულიად არცოდნა. არის საკითხები რომლის არც არსებობა და არც უარყოფა მეცნიერებას თავისი განვითარების ამ ეტაპზე არ შეუძლია, სწორედ ასეთ საკითხებს მიეკუთვნება ღმერთის არსებობა და არარსებობა, სულის უკვდავება და თავისუფალი ნება! ამიტომ ასეთ ობიექტებსა და საკითხებს უწოდებენ ტრანსცენდენტულს, ანუ მეცნიერების მიღმა მდგომს. ჩვენ შეგვიძლია შევიმეცნოთ მხოლოდ ესა თუ ის ფაქტი და არა მოვლენის არსი. ყოველი ჩვენი მცდელობა ამა თუ იმ მოვლენისა და ფაქტის აღწერის დროს ეფუძნება ჩვენს სუბიექტურ შეგრძნებებსა და აზრებს, რომლებსაც ხშირად მივაწერთ სამყაროს – "სამყარო – ეს მე ვარ". ჩვენს მიერ აღქმული ფერი, ტემპერატურა, გემო, უფრო მეტიც, თვით მატერიაც მისი სპეციფიკური მახასიათებლებით – მასა, სიმკვრივე, სიმძიმე – ჩვენს სუბიექტურ შეგრძნებებსა, წარმოდგენებსა და აღქმაზეა დამყარებული. ფილოსოფიური შეხედულებებიდან ყველაზე ანტირელიგიურს მატერიალიზმი წარმოადგენს. იგი უარყოფს სულის არსებობას და ჩვენ გარემომცველ სამყაროს ელემენტებსა და მოვლენებს ხსნის მხოლოდ მატერიის არსებობით. მისი საწინააღმდეგო თეორიაა სპირიტუალიზმი, – რომელიც ცნობს მხოლოდ სულის არსებობას, ხოლო დუალიზმი აღიარებს ორ სუბსტანციას მატერიალურს და სულიერს. მატერიალისტური მსოფლმხედველობა კიდევ ერთხელ ადასტურებს მეცნიერების უძლურებას (ყოველშემთხვევაში მისი განვითარების ამ ეტაპზე) გააღწიოს იმ საზღვრებს, რომლის იქითაც არა თავად მოვლენა, არამედ ამ მოვლენების არსის სფეროა. დღემდე არა გვაქვს ზუსტი და მეცნიერულად გამართული განსაზღვრება მატერიისა, იმიტომ რომ ვერც ვერანაირი ექსპერიმენტი და ვერც გონებითი ჭვრეტა ვერ ჩასწვდება სინამდვილეში მის არსს. მეცნიერება ხასიათდება უამრავი სიურპრიზებით და მოულოდნელობებით, რომლებსაც შეუძლია რადიკალურად შეცვალოს მეცნიერთა შეხედულებები და შესაბამისად გარდაქმნას თავად მეცნიერება, მაგრამ ეს როდი ნიშნავს მეცნიერების როლის გადაჭარბებულად შეფასებისთვის აუცილებელ პირობას. თემა მატერიის, სივრცისა და დროის შესახებ ყოველთვის წარმოადგენდა, დღესაც წარმოადგენს და მომავალშიც იქნება არა მარტო მეცნიერების, არამედ ფილოსოფიისა და რელიგიის ინტერესების სფეროში. მხოლოდ მეცნიერულ აღმოჩენებზე დაყრდნობით, აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე პრეტენზიას ხშირად მეცნიერებიდან კულტის შექმნის საშიშროება ახლავს თან. სულიერებას და სწორ მსოფლმხედველობას მოკლებულ მეცნიერს მეცნიერული ძიების შედეგად დაგენილი ფაქტების ინტერპრეტაცია სავსებით არასწორად შეუძლია წარმართოს და ამით არა მარტო ზნეობრივი, არამედ მეცნიერული თვალსაზრისითაც მცდარ მიმართთულებას ჩაუყაროს საფუძველი. ბიოლოგიურ მეცნიერებაში ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს დარვინის მიერ მოწოდებული ევოლუციური თეორია, რომელმაც საფუძველი დაუდო მთელი მეოცე საუკუნის საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში მატერიალისტური შეხედულებების დამკვიდრებასა

და გაბატონებას. საუკეთესო მეცნიერთა აზრი, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ამ შეხედულებებს, უარყოფილი და ხშირ შემთხვევაში დევნილიც კი იყვნენ. ეს რა თქმა უნდა უმეტესად კეთდებოდა პოლიტიკური მიზნებით, მაგრამ საბოლოოდ ჩვენში და არა მარტო ჩვენში, ამან ხელი შეუწყო ბიოლოგიური დარგების არასწორი მიმართულებით წარმართვას. საბოლოოდ ამის შედეგად მივიღეთ მეცნიერებაში უღმერთობის დამკვიდრება. განვიხილოთ რით აღაფრთოვანა დარვინის ევოლუციურმა თეორიამ მატერიალისტები? – მათ დასაშვებად მიიჩნიეს უმაღლესი გონის გარეშე ისეთი ურთულესი მოვლენის წარმოშობა რასაც ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლე ქვია. განსაკუთრებით აღფრთოვანებას იწვევდა ადამიანის წარმოშობა არა როგორც უფლის შემოქმედების გვირგვინისა და მისი ხატების, არამედ ევოლუციისა და ბუნებრივი პირობების შედეგად ცხოველიდან, კერძოდ მაიმუნიდან წარმოქმნილი ცხოველური სამყაროს "გვირგვინად". დიდი ხნის განმავლობაში, ყოველშემთხვევაში ყოფილ საბჭოეთის ქვეყანაში ეს ჰიპოთეზა უალტერნატივოდ მიეწოდებოდა და სამწუხაროდ დღესაც მისი დანგრევის შემდეგ ჩვენში, და არა მარტო ჩვენში – ბევრი ევროპელი მეცნიერიც კი ასე განიხილავს ამ საკითხს. ის ფაქტი, რომ ადამიანი და საერთოდ სამყარო არ შექმნილა ღმერთის მიერ, არის არა მარტო ანტირელიგიური, არამედ ანტიმეცნიერულიც, რადგანაც დარვინის მიერ მოწოდებული თეორია წარმოადგენს არა მეცნიერულად დამტკიცებულ ფაქტს, არამედ დარვინის, როგორც ერთ- ერთი რიგითი პიროვნებისა და მეცნიერის მიერ მოწოდებულ ჰიპოთეზას. ობიექტურად თუ განვიხილავთ, იგი არა მარტო ეწინააღმდეგება ბიბლიას, არამედ თვით ბუნების კანონებსაც კი, რომელიც მუდმივად იღწვის თითოეული სახეობის სისუფთავის დაცვისთვის. არ არსებობს ბუნებაში არცერთი ფაქტი – ერთი სახეობის გარდაქმნისა მეორე სეხეობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, როგორც ირონიულად აღნიშნავს ზოგიერთი მეცნიერი – გადაგვარება ზოგიერთი ადამიანისა შეიძლება უკუმიმართულებით წარიმართოს და იმ ზომამდე მივიდეს, რომ მართლა დაემსგავსოსო მაიმუნს,. ბუნებაში არსებულ არცერთ მაიმუნს კაცობრიობის ისტორიაში არ ქონია საღი ადამიანური აზროვნება(ლოგიკური და უმაღლესი ანალიზური ფუნქციის მატარებელი) და გონი. სხათაშორის ურიგო არ იქნება იმის აღნიშვნა რომ დარვინმა, რომელიც ამტკიცებდა ადამიანის წარმოშობას მაიმუნისაგან უარყო თავისი მცდარი შეხედულებები და გულწრფელად მოინანია უფლის წინაშე. ამ ფაქტს თავგამოდებული დარვინისტები რატომღაც არასოდეს არ მოიხსენიებენ, რაც კიდევ ერთხელ მიმანიშნებელია ერთიდაიგივე მოვლენის სუბიექტური ინტერპრეტაციისა. დარვინისტებს დარვინის მოღვაწეობის პირველი ნაწილი მოსწონთ (მაიმუნის გაადამიანება), ანტიდარვინისტები კი თუკი რამეს სცემენ პატივს მის მოღვაწეობაში, ეს მისი მონანიებითი აღიარებაა. ბიოლოგიურად (ანატომიურად და ფიზიოლოგიურად) ადამიანი ნაკლებად განსხვავდება სხვა დანარჩენი ცხოველური სამყაროდან, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამინი ცხოველია, ანდა ევოლუციის შედეგად ცხოველიდან წარმოქმნილი არსება. ათეისტი მეცნიერების აზრით ადამიანის სწრაფი ევოლუცია განპირობებული იყო მისი სოციალური ცხოვრების გართულებით. ინტელექტი მათი აზრით იყო მთავარი ნიშანთვისება რომელიც განაპირობებდა ბუნებრივ გადარჩევას... შიდასახეობრივი ბრძოლის არენას კი თურმე წარმოადგენდა მისი ბრძოლა სხვა ადამიანებთან და არა სხვა, ასე ვთქვათ უაზრო ცხოველებთან. ევოლუციური თეორია იმ სახით, რა სახითაც ის ჩამოყალიბებული აქვს ჩარლზ დარვინს, **მკრეხელურია რელიგიურად,** ხოლო მეცნიერული თვალსაზრისით, როგორც აღვნიშნეთ მეტად სადაო, რადგან თავად ტერმინი „ევოლუცია" საფუძველშივე გამორიცხავს თვისობრივად ახლის წარმოქმნას, „ევოლუტიო"- ლათინური სატყვაა და სიტყვასიტყვით გაშლას, განვითარებას ნიშნავს, იგი მოიცავს რაოდენობრივ და არამც და არამც თვისობრივ ცვლილებებს. ახლა ვნახოთ ერთი სახეობიდან მეორის წარმოშობა არის თუ არა თვისობრივად ახლის წარმოქმნა. ამაზე ათეისტი ბიოლოგები გიპასუხებენ, რომ სხვადასხვა სახეობის ბიოლოგიური არსებები იმდენად გვანან თავისი სტრუქტურული და ფიზიოლოგიური პარამეტრებით ერთმანეთს, რომ გართულება თვისობრივად ახლის წარმოქმნას არ წარმოადგენს. რამდენადაც თვისობრივად ერთიდაიგივეა თევზი, ამფიბია, ქვეწარმავალი და ფრინველი – ეს თავად ამ მეცნიერთა ინტელექტუალური „ლოგიკისთვის" მიგვინდია, რაც შეეხება ადამიანს – თუკი ათეისტი მეცნიერები თვისობრივ განსხვავებას ადამიანსა და მაიმუნს, ანდა ნებისმიერ ცხოველს შორის ვერ ხედავენ, აქ თუგინდ მეცნიერული თვალსაზრისით საკამათოც კი არაფერია. ამრიგად დარვინის სახეობათა წარმოშობის ვოლუციური თეორია სწორედ თვისობრივად ახლის წარმოქმნას გულისხმობს და ამდენად მას „რევოლუციური თეორია" უფრო შეეფერება სახელად, ვიდრე „ევოლუციური". სწორედ ამ მიზეზის გამო გახდა იგი რევოლუციონერი მარქსისტების საბაზისო ნაშრომად. ისინი თავიანთი დამანგრეველი რევოლუციური პოლიტიკური მიზნების გამართლებისათვის აღიარებდნენ და პატივს ცემდნენ დარვინის ვითომცდა „ევოლუციურ" და სინამდვილეში კი „რევოლუციურ"თეორიას და არა მისი ჭეშმარიტი მეცნიერული ღირებულებების გამო. მათ შექმნეს ე.წ. „მეცნიერული კულტი" დარვინიზმისა, რომლის დანგრევაც ასე უჭირს ათეიზმის იდეით შეპყრობილ თანამედროვე მეცნიერებსაც. მეცნიერების "მეცნიერულობაზე" არასოდეს ეჭვი არ შეუტანია არავის, თუმც კი ბევრი წმინდა მამა და მათ შორის თანამედროვეობის უდიდესი მამა - სერაფიმ როუზი ბოლო ჟამის მეცნიერებასა და ხელოვნებას განიხილავდა როგორც " ცრუ მეცნიერებასა" და "ცრუ ხელოვნებას". დადგება ჟამი, ამბობდა წმინდა მამა, როდესაც ჭეშმარიტი მეცნიერება გადაიქცევა ცრუ მეცნიერებად, ხოლო ჭეშმარიტი ხელოვნება ცრუ ხელოვნებად. ჩვენი თვალის წინ მიმდინარე მოვლენები ნათლად ცხადყოფს ასეთ ტენდენციას. ხშირ შემთხვევაში მეცნიერული კვლევა-ძიებები და აღმოჩენები ისეთ მიმართულებას იღებენ, რომლის ანალოგიც კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს, მაგ., შუა საუკუნეების ალქიმიკოსები და სხვადასხვა ჯურის მჩხიბავები სიზმარშიც კი ვერ ნახავდნენ ისეთ სახეშეცვლილ (გენმოდიფიცირებულ) მცენარეებს და ცხოველებს, რომლის გამოყვანითაც დაკავებულია თანამედროვე მეცნიერება. ღორი, რომელიც მატარებელია ადამიანის გენებისა (ღორ-ადამიანი) რელიგიური და თუგინდ მეცნიერული მკრეხელობის გამოვლინების კულმინაციას წარმოადგენს (სწორედ ამითაა განპირობებული ის გაურკვეველი ეთიოლოგიის

მქონე დაავადებები მაგ. ქათმის ანდა ღორის გრიპი, რომლის ანალოგი არ ახსოვს არცერთ საუკუნეს). ისმის კითხვა: ვის ჭირდება ასეთი მეცნიერება, ანდა რას ემსახურება უფლისა და ბუნების საწინააღმდეგოდ მიღებული ეს ე.წ. "მეცნიერული ნამოღვაწარი"? ნიშანდობლივია, რომ ქსენოტრანსპლანტაციის არცერთი შემთხვევა სამედიცინო თვალსაზრისით გამართლებული არ აღმოჩნდა, თუმც კი მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ჯიუტად აგრძელებს ამ მიმართულებით ექსპერიმენტების ტარებას, აბა სხავას რა უნდა მივაწეროთ სახეობათშორისი გენმოდიფიცირება, რომლის უარყოფითი შედეგებიც უკვე კარგახანია სახეზეა. სამყაროს შექმნისას უფალმა ყველაფერი ბალანსირებული სახით შექმნა – გარემოს ზეგავლენა შეესატყვისებოდა ორგანიზმის გენეტიკურ პროგრამას, რომელთა ერთობლიობაც განსაზღვრავდა ორგანიზმების ნორმალურ ფიზიოლოგიასა და ქცევას. ყოველი პოპულაცია, მათ შორის ადამიანებისა, ექვემდებარებოდნენ ბიოგენოცენოზის ზოგად კანონებს, სხვაგვარად რომ ვთქვა|თ გენები და გარემო შეესატყვისებოდნენ ერთმანეთს. მიუხედავდ იმისა, რომ არაერთი მეცნიერული აღმოჩენა თუ გამოკვლევა ასაბუთებს რელიგიურ წიგნებში არსებულ მრავალ ფაქტს, მატერიალიზმის, ევოლუციონიზმისა და ათეიზმის იდეებს ისე ღრმად აქვს ფესვები გადგმული თანამედროვე საზოგადოების შეგნებაში, რომ ფაქტიურად ადგილს არ უტოვებენ სხვა განსხვავებულ მოსაზრებებს. ბოლო ასი წლის განმავლობაში დაგროვილ მეცნიერული მონაცემების უზარმაზარ არსენალს წესით ადგილი არ უნდა დაეტოვებინა ასეთი მკვეთრი მატერიალისტური შეხედულებებისათვის და მაინც... მოვიყვანთ ზოგიერთ მტკიცებულებებს: 1. კოსმოლოგია მივიდა დაკვნამდე რომ ჩვენი მატერიალური სამყარო არ არსებობდა უსასრულოდ- ის წარმოიშვა მყისიერად დროის კონკრეტულ მონაკვეთში. 2. თერმოდინამიკამ დაადასტურა ეს და დაამტკიცა, რომ დროთა განმავლობაში სასარგებლო ენერგიის რაოდენობა სისტემაში აუცილებლად მცირდება და ისწრაფვის ნულისკენ. სამყაროში კი, ჯერ კიდევ უამრავი სასარგებლო ენერგიაა, რაც ამტკიცებს მის შეფარდებით ახალგაზრდა ასაკს- წინააღმდეგ შემთხვევაში უკვე დიდი ხანია დადგებოდა ე.წ "სითბური სიკვდილი" სამყაროსი, კოსმოსი გადაიქცეოდა ქაოსად. 3. ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკამ მიაღწია იმ დონეს, როდესაც მატერიის ფორმები (ნივთიერება და ველი) არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მჟღავნდება მატერიალური თვისებების მეორადობა იდეალურ მახასიათებლებთან შედარებით., რომლის აღწერაც მხოლოდ ინფორმაციული ტერმინებით ხდება. (გახსოვთ? თავიდან იყო სიტყვა, თავიდან უფლის სიტყვით წარმოიშვნენ ცა და დედამიწა, ასევე საუკუნეები მოწყობილია უფლის სიტყვებით, ასე რომ უხილავიდან შეიქმნა ხილული!). 4. მოლეკულურმა ბიოლოგიამ საკმაოდ გაშიფრა ე.წ „უმარტივესების" (ერთუჯრედიანი ორგანიზმების) აგებულება და მივიდა დასკვნამდე რომ ასეთი ორგანიზებული და რთული ბიოლოგიური მექანიზმების მქონე ცოცხალი ორგანიზმები არ შეიძლება წარმოშობილიყო შემთხვევითი პროცესების განვითარებით, თანაც როდესაც საქმე ეხება მაღალგანვითარებულ ორგანიზმებსა და მით უმეტეს ადამიანს. 5. პალეონტოლოგიამ აღმოაჩინა და შეისწავლა მილიონობით ნამარხი და გაქვავებული ორგანიზმების ნარჩენები და ვერ აღმოაჩინა **ვერცერთი!** გარდამავალი ფორმის სახეობები. 6. გენეტიკამ დაამტკიცა რომ გენეტიკურ დონეზე მუტაციები მხოლოდ დეგენერაციულ ხაიათს ატარებს.. ერთ მოლეკულა დნმ-ში ისეთი რაოდენობა ინფორმაციაა ჩაწერილი, რომ მისი შემთხვევით წარმოქმნისთვის საკმარისი არ იქნებოდა ყველაზე უფრო ოპტიმისტური გამოთვლითაც კი მილიარდჯერ უფრო მეტი წელი ვიდრე ჩვენი სამყაროს ასაკია. 7. სისტემატიკამ დაამტკიცა რომ ბუნებრივი გადარჩევა პირველ რიგში ემსახურება სახეობის არსებული, ძველი და არა ახალი ნიშანთვისებების შენარჩუნებას, წინააღმდეგ შეთხვევაში სისტემატიკა შეუძლებელი იქნებოდა.

დარვინისეული ევოლუციური თეორიის მიუღებლობა სრულებითაც არ ნიშნავს ევოლუციური პროცესების მეცნიერული შესწავლის შეწყვეტას. პირიქით, ბიოლოგიაში იშლება ფართო ასპარეზი ბუნებრივი გადარჩევის ექსპერიმენტული და თეორიული ასპექტების ჭეშმარიტად მეცნიერულ დონეზე ასახსნელად – კერძ|ოდ როგორ და რა ვითარებაში ვლინდება ჩვენი გენეტიკური პროგრამის განუსაზღვრელი შესაძლებლობები.

NANA GIGINEISHVILI – Doctor of biological sciences, Professor

CHRISTIAN ESSENSE OF WORLD CONSTRUCTION AND EVOLUTIONARY SCIENCE

Resume

The Second millenium of cristian era is over. Scholars, philosophers, theologists and generally all people are concerned with the same questions – why do we live, what can we cognize, how do we cognize and whom we serve with our scientific or otherwise work at all.

Scholarly knowledge, as knowledge in general, only has a certain sense when the final objective is known – for what we work and strive.

НАНА ГИГИНЕЙШВИЛИ – доктор биолгических наук

РЕЛИГИЯ И НАУКА

резюме

Закончился второе тысячилетие христианской веры. Каждому человеку интересен вопрос – какова цель нашей жизни. для чего живем и трудимся, творим и созидаем.Истественно на эти вопросы одна наука ответ не даст. Каково отношение в современном мире между религией и наукой? Согласимы ли они между собой? Может ли научно образованный и мыслящий человек иметь религиозную веру? все эти вопрсы обсуждены в статье.



ბონდო არველაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

უაკ (UDC) 94(479.22.25))

„ჯ ა ვ ა ხ ქ “

„ჯავახეთი ოთხმოცჯერ დანგრეულია და ოთხმოცდაათჯერ აშენებულია“. *ხალხური*

გამოვიდა პროფ. ს. კარაპეტიანის მონოგრაფია „ჯავახქ“ (ერევანი, წელი? 590 გვ., სომხ. ენაზე). პირველ ნაწილში მიმოხილულია ჯავახეთის (ქართულ ჯავახეთს სომხები ჯავახქს უწოდებენ) ისტორია, გეოგრაფია, დემოგრაფია, ისტორიული ძეგლები და სხვ. მეორე, უფრო ვრცელ განყოფილებაში კი წარმოდგენილია ჯავახეთის ეკლესიების ისტორია, ქართული და სომხური ეპიგრაფია.

ვიდრე მონოგრაფიის შინაარსის ავ-კარგიან მხარეს შევეხები, საჭიროდ ვთვლი ამ მეცნიერის შესახებ ორიოდე სიტყვით ვამცნო მკითხველს. ეს ის ს. კარაპეტიანია 1995 წელს ერევანში სომხურ ენაზე გამოცემულ რუკა-ცნობარში – „სომხური ეკლესიები საქართველოში“ 650-ზე მეტი სომხური ეკლესია რომ „აღმოაჩინა“ საქართველოში. აქედან სულ ცოტა ოთხმოცი პროცენტი მაინც ქართული ეკლესიებია გატანილი სომხურად. 2002 წელს კი გამოსცა წიგნი – „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტიკა და სომხური კულტურის ძეგლები“. ამ ე. წ. ნაშრომში ქართველ ხალხს ცივილიზაციის დამანგრეველი ერი (აზერბაიჯანელებთან ერთად), ე.ი. ბარბაროსები უწოდა. ხოლო საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II აუგად მოიხსენია! ამ თავხედობის გამო მას სათანადო პასუხი გავეცი თავის დროზე. მაგრამ რა, მაინც თავისას არ იშლის და განაგრძობს ქართული კულტურის რბილად რომ ვთქვათ, მიკერძოებულ, სუბიექტურ კვლევას. ამის კიდევ ერთი ნიმუშია მისი მონოგრაფია „ჯავახქ“, რომლის პირველსავე გვერდზე წერს: – „საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სომეხი მეცნიერები პოლიტიკური გარემოების გამო იძულებულნი გახდნენ შეეწყვიტათ კვლევა-ძიება, რადგან სიმართლის თქმის საშუალებას ჯავახქის შესახებ საბჭოთა ცენზურა არ იძლეოდა. ფაქტია ისიც, თუ რაიმე დაიბეჭდა მაშინ ჯავახქის თემაზე, ამ ნაშრომებში საკითხები გაშუქებულია არაობიექტურად, დისკრიმინაციულად და შეიცავენ მეცნიერულ სიყალბეებს“. საბჭოთა ცენზურას რა თქმა უნდა არ ვიცავ, მაგრამ ს. კარაპეტიანი ცრუობს, სიმართლეს მალავს, რადგან აღნიშნულ წლებში სომხეთში გამოდიოდა შრომები, რომლებშიც ჯავახეთი წარმოდგენილია ისტორიული სომხეთის ძირეულ გავარად (პროვინცია), მაგალითად აკად. ს. ერემიანი ჯავახეთს უწოდებს – „დიდი სომხეთის გავარს, გუგარქის ოლქში“ (საბჭ. სომხ. ენციკლ. ტ. IX, 1983 წ.). ამას წერს საბჭოთა ცენზურის პირობებში, ამასვე ამტკიცებენ დღეს დამოუკიდებელი სომხეთის მეცნიერები და მათ შორის ს. კარაპატიანი, რომელიც თავისი წიგნის ანოტაციაში აპრიორულად აცხადებს – „საარქივო მასალების მოპოვების საფუძველზე და საველე მუშაობის შედეგად წიგნში წარმოდგენილია ისტორიული სომხეთის გუგარქის ოლქის, ჯავახქის გავარის დასახლებული პუნქტების და მატერიალური კულტურის ძეგლების ისტორია“. ეს აზრი – ჯავახეთი არის ისტორიული სომხეთის გავარი-ლაიტმოტივად გასდევს ამ ვეებერთელა ნაშრომს, რომელშიც ავტორი ცდილობს ფაქტების და ისტორიული მოვლენების ტენდენციური ანალიზით მკითხველი დაარწმუნოს მის მეცნიერულ „სიმართლეში“. ერთი სიტყვით **ს. კარაპეტიანი ჯავახეთს განიხილავს, როგორც ისტორიული სომხეთის ერთ-ერთ უძველეს პროვინციას, სადაც წინაქრისტიანულ ხანაში მკვიდრობდა სომეხი მოსახლეობა. ქართველები კი შემდეგ შევიდნენ და დასახლდნენ.** ქართველთა მიგრაცია ჯავახეთში მას ასე წარმოუდგენია: იმერეთიდან, ქართლიდან და კახეთიდან ქართველი მწყემსები საზაფხულოდ მიერეკებოდნენ საქონელს ჯავახეთის იალაღებზე. დროთა განმავლობაში ნაწილი სამუდამოდ რჩებოდა საცხოვრებლად ჯავახეთში. ამას მოწმობს პარალელური ტოპონიმები. მაგ. სოფელი ოკამი კასპის რაიონში – სოფ. ოკამი I ახალქალაქის რაიონში, მეღვრეკისი გორის რაიონში, სოფ.

მეღვრეკისი ახალქალაქის რაიონში, სოფ. ხიზაბავრა – კახეთში ლაგოდეხის რაიონში, სოფ. ხიზაბავრა ასპინძის რაიონში, სოფ. მოლითი – იმერეთში, ხარაგაულის რაიონში, სოფ. მოლითი ბორჯომის რაიონში, სოფ. არაგვისპირი დუშეთის რაიონში, სოფ. არაგვისპირი ახალქალაქის რაიონში, გომი ხაშურის და კასპის რაიონებში. სოფ. გომი ახალქალაქის რაიონში, ზემო და ქვემო რეხა გორის რაიონში, სოფ. რეხა წალკის რაიონში და სხვა.

სინამდვილეში ეს პროცესი განვითარდა პირიქით. ოდითგანვე, ტრადიციულად ჯავახეთის საძოვრებზე ქართველი მწყემსები საზაფხულოდ მიერეკებოდნენ საქონელს და ამიტომ ეწოდა ამ მხარეს მიმავალ გზას – „ცხვრის გზა“. როცა სამცხე-ჯავახეთი თურქებმა მოწყვიტეს დედა საქართველოს (XV-XVI სს) და ქართველ მართლმადიდებელთა ძალით გამაჰმადიანება დაიწყეს, ქართველები, ვისაც ქრისტიანობის შენარჩუნება უნდოდა მასიურად გადმოსახლდა იმერეთში, ქართლსა და კახეთში. ჯავახეთიდან წამოსულმა ქართველებმა ახალ საცხოვრებელ ადგილს უწოდეს მიტოვებული სოფლის სახელები (რ. თოფჩიშვილი – „სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა, 2000“).

ბარემ აქვე ვიტყვი – ს. კარაპეტიანმა თავისი მოსაზრება რომ გაამყაროს, ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: ჯავახეთში, არტაანში თუშებს საზაფხულოდ მიჰყავდათ ცხვრები. მათი დაბრუნების დროს უამრავი ცხვარი გზადაგზა სოფლის საძოვარ მინდვრებს ანადგურებდა, რის გამოც ხშირად კონფლიქტი ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან. /ჟ. „ჟურჭა“, 1901, №7, გვ. 178/. ქართველი მწყემსები ტრადიციის მიხედვით სამშობლოს მიწაწყალზე გადაადგილდებოდნენ. თუ მათ უსიამოვნება ჰქონდათ XIX ს-ში მთიან ჯავახეთში ამ მხარის სომხებთან, ეს არ ნიშნავს ჯავახეთში ქართველებზე ადრე სომხების არსებობას. ეს თუ ასე არ ჰგონია ს. კარაპეტიანს და ამიტომ მოიტანა აღნიშნული ინფორმაცია, ძალიან ცდება.

საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ აბულ-სამხარის საძოვრებზე შემორჩენილია სამეურნეო ნასახლართა ნაშთები. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა მათ „ნაქოხრებს“, „ნაოხრებს“ და „ნაქართლსაც“ უწოდებენ. „ფიქრობენ, რომ მესაქონლეთა ეს ქოხსახლები ადრეფეოდალური ხანიდან უნდა არსებულიყო. ისინი მსხვილფეხა საქონლის, დიდი ჯოგების საიალაღო სადგომ-ნასახალარებადაა მიჩნეული, რომლებიც ქართველი ფეოდალების საკუთრებას წარმოადგენდნენ“. თ. ჩიქოვანი – „საიალაღო მატერიალური კულტურის ძეგლები ჯავახეთში“, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1975, №4.

ჩვენი აზრით, პარალელური ტოპონიმები ჯავახეთსა და დანარჩენ ქართულ მხარეში ასე გაჩნდა და არა ისე უკუღმა, როგორც ს. კარაპეტიანი (არამარტო ის) გვთავაზობს.

აქ არ შევჩერდები ჯავახეთის, განსაკუთრებით ზემო ჯავახეთის საზღვრების შესახებ, რადგან ქართველ და სომეხ მეცნიერთა შორის მის შესახებ განსხვავებული აზრები არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში. ს. კარაპეტიანის მიერ შემოთავაზებული ვარიანტიც არ არის მისაღები, რადგან მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ნაკლებად დამაჯერებელია. აგრეთვე ის, ისე როგორც დანარჩენი სომეხი მეცნიერები ხმარობს არასწორ გეოგრაფიულ სახელწოდებას – სომხეთის მთიანეთს. ეს სახელი XIX ს-ში დაამკვიდრა საქმეში ნაკლებად ჩაუხედაობის გამო გეოლოგმა გ. აბიხმა (1806-1896). სინამდვილეში ე.წ. სომხეთის მთიანეთი იგივე სამხრეთ მთიანეთია, იგივე წინა აზიის მთიანეთია. ამაზე მართებულად წერს პროფ. ლ. მარუაშვილი – „უპრიანია მას ეწოდოს არასომხეთის, არამედ ამიერკავკასიის ზეგანი“. ამ ტოპონიმის შეუსაბამობას გრძნობდა რა აკად. ბ. პიოტროვსკი და წერდა – „ვანის სამეფოს ეკავა წინა აზიის მაღალი მასივი, ე. წ. სომხეთის მთიანეთი...“ (ვანის სამეფო /ურარტუ/, 1959, გვ. 131, რუს. ენაზე). თუ ამ არასწორ გეოგრაფიულ სახელწოდებას მივიღებთ, მაშინ გამოდის ჭოროხი და მისი შენაკადების უმეტესობა სომხეთის მთიანეთზე ანუ სომხეთის ტერიტორიაზე მოდის, ტაო-კლარჯეთის უძველესი ქართული კულტურის ძეგლები ე.ი. ისინი სომხეთის მიწაზე ყოფილა განთავსებული. სამწუხაროდ, ეს ტოპონიმი ასეა შესული სომხური სკოლის სახელმძღვანელოში – „სომეხი ხალხის ისტორია“/ერევანი 1985/, მართებულად წერს კ. თოფურია – „სომხეთის მთიანეთი“. ანუ სომხეთი, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1985, №5/. ზოგიერთი სომეხი მეცნიერი უფრო შორს მიდის და სომხეთის მთიანეთს მსოფლიო ცივილიზაციის აკვნად აცხდებს (კ. არწრუნი – „სომხეთის მთიანეთი და ცივილიზაცია“, 1999, მოსკოვი, რუს. ენაზე).

ს. კარაპეტიანი მიმოიხილავს აგრეთვე ჯავახეთის მთებს – აბული, სამხარი, მცირე აბული, მადათაფანი, ჰოვჰანესი და ტაშვანაკანი. **ჩვენი აზრით ჰოვჰანესი და ტაშვანაკანი გვიან შერქმეული სომხური სახელებია. ეს მოხდა XIX ს-ში, როცა პასკევიჩმა ერზერუმელი სომხები ჩამოასახალა ჯავახეთში და ახალმოსახლეებმა შეარქვეს. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია ჯავახეთის ტბები – ფარვანა, მადაფათა, ტაბაწყური, ხანჩალი და ხოზასპია. არის კიდევ რამდენიმე პატარა ტბა – ლავალგოილი, თარანგოლ, ბუღდაშენი, ზატიკის /ზრესკის/, თრიალა და სხვ.. თავის დროზე ე. თაყაიშვილი და ლ. მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავდნენ – XVI და XIX სს-ში მოსულმა თურქებმა და სომხებმა ჯავახეთის და წალკის (აქ ბერძნებმაც) ქართული ტოპონიმია ახლით შეცვალეს, რის გამოც ძველი ქართული სახელწოდებები ისე არის დავიწყებული, რომ მათი აღდგენა შეუძლებულია. ეს მოვლენა კარგად ჩანს ზემოთ ჩამოთვლილ ჯავახეთის მთების და ტბების სახელებში, რომლებიც ზოგი თურქულია, ზოგი სომხური და მათი ქართული სახელწოდება დღეს უკვე ბურუსითაა მოცული.**

ცნობილია, ჯავახეთი დაფარული ყოფილა ტყეებით, რასაც დიდი სამსარის მატურის კედლის ქვაზე არსებული ქართული ასომთავრული წარწერა გვაუწყებს: „ამ სამლოცველოს აშენების დროს – ეს ადგილი ტყისგან არ ჩანდაო“, ასევე აღნიშნულია გურჯისტანის დიდ დავთარში, /XVI ს./, რომელშიც პირდაპირ არის ნათქვამი – „ტყე – ჯავახეთის ნაჰიე“ და სხვ. ამ მონაცემების და კიდევ სხვა საბუთების საფუძველზე მეცნიერები ფიქრობენ, რომ ჯავახეთი თავის დროზე ტყით ყოფილა დაფარული. ჯავახეთის ტყე გაუჩანაგებიათ ერზრუმიდან 1830 წელს და შემდგომ ხანებში გადმოსახლებულ სომხებს. „ჯავახეთის დაბურული ტყეები არზრუმიდან მოსულ სომხებს გაუკაფავთ. არზრუმში შეშას დახამებულნი ონავარ ფუტკარივით მისევიან ტყეს

და მცირე ხანში სულ ძირს დაუციათ და, როცა სულ გაანადგურეს, პურის გამოსაცხობად და საჭმლის მოსახარშად ისევ მამაპაპეულ ჩვეულებას მიმართეს, ესე იგი წივას“ (ალ. ფრონელი – „დიდებული მესხეთი“, 1991, გვ. 42). ამ სამწუხარო ფაქტს აღნიშნავენ შ. ლომსაძე, შ. თეთვაძე, რ. ჩხეიძე და სხვ.

ს. კარაპეტიანი ამ ბრალდებას უსაფუძვლოს უწოდებს და ცდილობს ჯავახეთის სომხები ტყის გამანადგურებლად კი არა გამშენებლად წარმოაჩინოს.

ს. კარაპეტიანი ჯავახეთის ეტიმონოლოგიასაც ეხება. თუმცა ახალს არაფერს ამბობს და იმეორებს მეცნიერებაში მიღებულ შეხედულებას – ვანის ტბის ახლოს ხორხორის კლდეზე ამოკვეთილ არგიშტ I /786-764/ წარწერაში /VIII ს. ჩვ. წ. აღ-მდე/ მოხსენიებულია ტოპონიმი –ზაბახა, რისგანაც ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მიღებულია – ჯავახქ. შემდეგ მოაქვს ტ. დალალიანის არადამაჯერებელი და სათუო აზრი, რომელიც – ჯავახქს უკავშირებს და პარალელს ავლებს ოსურ სიტყვასთან – ჯაბახ, რაც ნიშნავს – კარგს, ცოცხალს („ჯავახქის გავარის სახელწოდების ეტიმოლოგიის შესახებ“ (ირან-ნამე, 2001, გვ. 69).

პროფესორ ვ. სარქისიანის მცდელობას – „ჯავახქ“-ი სომხურ ლექსიკურ ნიადაგზე ახსნას არავითარი საფუძველი არ გააჩნია და დილეტანტური კვლევის სფეროს განეკუთვნება.

ს. კარაპეტიანი პერიოდების მიხედვით მოკლედ მიმოიხილავს ჯავახეთის ისტორიას. სომხურ ისტორიოგრაფიაში ჯავახეთი პირველად არის ნახსენები მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში“ (IV ს.) – დიდი სომხეთის /„მეწ ჰაიასტან“/ მეფის ვაღარაშაკის /II ს./ მიერ ფართო ადმინისტრაციული პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით. შემდეგ მოაქვს ამონარიდი, რომელშიც ჩამოთვლილია – ჯავაჰქ, მთიანი კანგარქ, კოღბ, წობ და სხვ. ამ შემთხვევაშიც ს. კარაპეტიანი ცდილობს საქმე ისე წარმოაჩინოს, თითქოს ჯავახეთი ოდითგანვე, წინაქრისტიანობის ხანიდან სომხეთის მიწაწყალი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ისეთი არმენოფილი ისტორიკოსი, როგორიც ლეონტი მროველია გარკვევით ამბობს – „...ხოლო შვილთა შორის მცხეთოსისათა გამოჩნდეს სამნი გმირნი სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველს უფლოს, და შემდგომსა ოძრხოს, და მესამესა ჯავახოს განუყო მათ ქვეყანადა ნათესავი მათი ყოველი... ხოლო ჯავახოს მისცა და ფარავნითაგან ვიდრე თავადმე მტკვრუისა და ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქი: წუნდა და ქალაქი არტაანისა, რომელსა ერქვა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქვია ჰური“ /„ქართლის ცხოვრება“, ტ. I, 1955, გვ. 9-10/. ე.ი. ჯავახეთი იყო ქართველი მეფის ძის – ჯავახოსის საუფლისწულო დომენი ჯერ კიდევ ისტორიის გარიჟრაჟზე... სტრაბონსაც თუ მოვიშველიებთ ჯავახეთი ქართული მიწა იყო /II-I ს.ს./. გარკვეულ პერიოდში ჯავახეთი თუ სომეხთა მიერ იქნა ოკუპირებული, ეს არ ნიშნავს ამ მხარის ძირეულ სომხურობას. **ს. კარაპეტიანს და სხვა სომეხ მეცნიერებს უნდა მოეხსენებოდეს, რომ რომის და ირანის 387 წლის ზავის შედეგად ქართლმა კი არ მიიერთა ჯავახეთი, არამედ დაიბრუნა თავის კუთვნილი ძირძველი ქართული მიწა. ამ საკითხს სხვა მხრივ თუ შევხედავთ, აღმოსავლეთ სომხეთი დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროს საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა ასე შორს რატომ მივდივართ. აგერ XVIII ს-ში ერევნის სახანოდ ქცეული სომხეთი მეფე ერეკლე II-ის ვასალი იყო. მაგრამ დღემდე არც ერთ ქართველ ისტორიკოსს აზრად არ მოსვლია არარატის ველი ან მასის მთა ისტორიულ ქართულ ტერიტორიად გამოეცხადებინა, როცა ქვემო ქართლს ან ჯავახეთს ისტორიული სომხეთის ტერიტორიებად აცხადებენ.**

საერთოდ მიღებულია გვარი არ ითარგმნება. ეს კანონზომიერება დარღვეულია სომხურ ისტორიოგრაფიაში და ქართული გვარი – მხარგრძელი სომხურად თარგმნეს და უწოდეს – ერკაიაბაზუკ. ახლა რაც შეეხება ჯავახეთის მმართველებს, საუკუნეების განმავლობაში იყვნენ გასომხებული ქურთები თმოგველები – მხარგრძელები, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ ქართული სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს.

თორელები კი იყვნენ უძველესი ქართული გვარის – სამძივართა წარმომადგენლები(ლ. მუსხელიშვილი – თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამალუს XII ს-ის წარწერებთან დაკავშირებით „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, X – B, 1940, გვ. 23-27, ნ. შოშიაშვილი – თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ. შოთა რუსთაველი“, 1966 წ. გვ. 7-74).

ერთი უნდა აღინიშნოს – ჯავახეთის მმართველების და მისი მოსახლეობის ვინაობა – ეთნიკური კუთვნილების კვლევისას მეტი სიფრთხილე მართებს სომეხ მეცნიერებს, რათა ს. კარაპეტიანის მსგავსი ნაუცბათევი და უსაფუძვლო დასკვნები არ გაკეთონ. ის დასკვნაში ამბობს – 1236 წ. ჯავახეთი დაიპყრეს მონღოლებმა. 1266 წლის ბოლოს დაწინაურდა ბერძნულ წესზე მოქცეული /მართლმადიდებელი/ წარმოშობით სომეხი სარგის ჯაყელი, რომელმაც შექმნა ჯავახეთის და მეზობელი ახალციხის ტერიტორიის საფუძველზე სამცხე-საათაბაგოს სამთავრო. სამცხე-საათაბაგოს შექმნის ისტორია სწორადაა წარმოდგენილი, მაგრამ ჯაყელთა ქართული გვარის სომხურიდან წარმომავლობა საიდან მოიტანა, დასადგენია. ვერც მის შემდეგ განცხადებას ვეთანხმებით – საყურადღებოა ჯავახეთის ტერიტორიაზე დღემდე დაცული სომხური ისტორიული ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი შექმნილია XIII-XVII ს.ს.. ამ პერიოდში მთლიანად რომ არ განადგურებულიყვნენ, ჯავახეთის მოსახლეობის საგრძნობმა ნაწილმა იძულებით მიიღო მაჰმადიანობა. მათ შორის გრიგორიანული სომხების ერთმა ნაწილმა, განსაკუთრებით გაქართველებულმა სომხებმა – ქალკედონიტებმა და სამცხის მკვიდრმა ქართველებმაო. აქ არასწორად აქვს ნახმარი – გაქართველებული სომეხი ქალკედონიტები. ისტორიულად ცნობილია, რომ **ჯავახეთის მკვიდრნი იყვნენ ოდითგან მართლმადიდებელი ქართველები და არავითარი მასიური გაქართველება სომხებისა – თუნდაც ქალკედონიტებისა არ მომხდარა. თუ იყო ერთი ორი შემთხვევა ეს მთლიან სურათს არ ცვლის. ქართველთა ძალდატანებით გამაჰმადიანება კი მოხდა, ეს ისტორიული ფაქტია. გამაჰმადიანების პროცესი – ჯავახეთში მცხოვრებ სომხებს ნაკლებად შეეხო. ამის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ მათ მოიპოვეს სულთანის ფირმანი, რომლის მიხედვით**

სომხების ძალად გამაჰმადიანება იკრძალებოდა. ამიტომ მთელი ეს უბედურება ქართველებს დაატყდათ თავზე.

ს. კარაპეტიანს ჯავახეთი (ისე როგორც დანარჩენ სომეხ მეცნიერებს) მიაჩნია სომხეთის განუყოფელ ნაწილად. ამიტომ მოსახლეობის აღწერას იწყებს სომხებით, შემდეგ მოდის სომეხი ბოშები, მესამე რიგშია მოქცეული ქართველები. მართალია, გაკვრით ამბობს სომხებთან ერთად ქართველები ადგილობრივი ხალხიაო, მაგრამ ამას გვიანდელ მოვლენად მიიჩნევს.

იქვე შენიშნავს – ისტორიულ სომხეთში – ჯავახეთში ადგილი ჰქონდა ადგილობრივ მიგრაციას, მაგრამ მოსახლეობის ძირითად მკვიდრებად მაინც სომხები რჩებოდნენო. მას უნდა მოეხსენებოდეს რომ მიუხედავად ქართული მოსახლეობის ადგილობრივი მიგრაციისა (იძულებითი გადასახლება იმერეთსა, ქართლსა და კახეთში /ჯავახეთის ძირითად მკვიდრად/ 90 პროცენტი) მაინც ქართველი რჩებოდა, ვიდრე სომეხი. დემოგრაფიული თანაფარდობა სომხების სასარგებლოდაც ხელოვნურად შეიცვალა 1830 წელს; როცა გენერალმა პასკევიჩმა 40 000 ერზრუმელი და კარინელი სომხის ოჯახი გადმოასახლა ჯავახეთში, ნაწილობრივ წალკაში. ზედმეტი არ იქნება ქართველმა მკითხველმა იცოდეს, რომ გადმოსახლებულთა პირველ ტალღას წინ მოუძღოდა ეპისკოპოსი კარაპეტ ბაგრატუნი. ჯავახეთის მიწას ფეხი რომ დაადგა კარაპეტ ბაგრატუნმა ეპისკოპოსის ჯოხი მიწას სამჯერ დაარტყა და თანამემაულეებს უთხრა – „ძმებო! სომხური მიწიდან მშობლიურ სომხურ მიწაზე მოვედითო!“ ამ სასულიერო პირს უზარმაზარი წვლილი მიუძღვის გადმოსახლებულ სომეხთა ჯავახეთში დამკვიდრებაში. აკი დაუფასდა ამაგი და დღეს ამ სულით დაშნაკი ადამიანის ძეგლი „ამშვენებს“ ახალქალაქს. ეს პატარა ისტორია გავიხსენე იმიტომ, რომ ამ საქმის სომეხ ორგანიზატორებს გენერალ მადათოვს, ეპისკოპოს კარაპეტ ბაგრატუნს და სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენლებს შორეული, ვერაგული ჩანაფიქრი ჰქონდათ, რომლის შედეგს დღეს ვიმკით. ერევნელი დაშნაკების წაქეზებით და დირექტივებით საზოგადოება – „ჯავახქ“-ის ინიციატივით გუშინ მოსული სომხები დღეს ჯავახეთის ავტონომიას დაჟინებით მოითხოვენ. თუ მივართმევთ ხვალ სომხეთთან შეერთების პრეტენზიას წამოაყენებენ, რადგან ავტონომიის მოთხოვნა, მხოლოდ ეშმაკურად მოფიქრებული ფანდია, ძირითადი მიზანი მათი ამ მხარის სომხეთის იურისდიქციაში მოქცევაა. ამ მონოგრაფიის დანიშნულება სწორდ ამ მიზნის მეცნიერული დასაბუთების მცდელობაა. ამიტომ ეს წიგნი ქართული ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

ს. კარაპეტიანი ყოველგვარი დასაბუთებისა და მტკიცებულების გარეშე აცხადებს: წინაქრისტიანულ ხანაში ჯავახეთში არსებული მეგალითური კულტურის ძეგლების – ქვის ვეშაპები, თევზები, კიკლოპური ციხესიმაგრეები და ა. შ. სომხეთის მთიანეთის ადრეული პერიოდის, ინდოევროპული კულტურის ნაწილიაო. ამიტომ ჯავახეთი ჩამოყალიბდა სომხეთის მთიანეთის ერთიანი კულტურის სფეროში.

ნ. მარის აზრით მეგალითური კულტურის ძეგლები წარმართობის პერიოდზე გაცილებით ადრეულ, უძველეს, უხსოვარ ხანას განეკუთვნება. საინტერესოა, როგორ არის დაკავშირებული ჯავახეთის აღნიშნული ძეგლები, მაგლითად ვეშაპოიდები სომხეთის მთიანეთის ინდოევროპულ სამყაროსთან, როცა სომხები გვიან VI ს-ში ჩვ. წ. აღ-მდე გამოჩნდნენ დღევანდელ ტერიტორიაზე, რომელიც ქართველთა ადრეული წინაპრების ერთ-ერთ ტომს ეკუთვნოდა. ასე რომ, ამ ძეგლების (როგორც სომხეთში, ისე ჯავახეთში) დაკავშირება ინდოევროპულ გარემოსთან ხელოვნური ჩანს. მეტი დასაბუთება სჭირდება აგრეთვე მოსაზრებას – თითქოს ჯავახეთი ჩამოყალიბდა სომხეთის მთიანეთის ერთიანი კულტურის სფეროში. ეს არ არის მართებული, თუნდაც იმიტომ, რომ ჯავახეთის უძველესი არქეოლოგიური მასალა ნათესაობას ამჟღავნებს და პარალელი ეძებნება დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალასთან. აქედან გამომდინარე ცარიელ განცხადებად რჩება – IV-VII ს.ს.-ის „ისტორიულ სომხეთში ჯავახქში“ დაცული ძეგლების ნიმუშები არის თითქოს ერთიანი სომხური ცივილიზაციის ნაწილი. ძირძველ ქართულ მიწაზე თუ სომხური ისტორიული ძეგლების ნიმუშებია, ეს არ ნიშნავს ჯავახეთის მიწის სომხურობას. ეს მიანიშნებს ჯავახეთში გარკვეული საუკუნიდან სომხური ეთნოსის არსებობაზე და მეტს არაფერს: ანალოგიური ვითარება იყო IX-XI ს.ს.-ში და განსაკუთრებით XIII-XIV ს.ს.-ში. ამ საუკუნეებში ჯავახეთის ზოგიერთ ადგილას დადგმული ხაჩქარები არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს სომხური კულტურის გავრცელების გეოგრაფიულ არედ წარმოვადგინოთ ეს კუთხე. ვიმეორებ, სომხური ეთნოსის გარკვეული რიცხვის არსებობას არავინ უარყოფს, მაგრამ ორიოდე სომეხი პირის მოღვაწეობის მიხედვით ჯავახეთის რაღაც სომხურ კულტურაზე თუ მის მსგავს რამეზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ასე რომ კარაპეტიანი ამაოდ ცდილობს მკითხველს ჩაუნერგოს აზრი მთლიანი სომხური კულტურის უწყვეტობის არსებობის შესახებ ჯავახეთში.

ს. კარაპეტიანმა ისევ წარმოაჩინა ნ. მარის მოძველებული და უარყოფილი მოსაზრება სომეხი ქალკედონიტების არსებობის შესახებ და ჯავახეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, მისი მაღალი ფენა გაქართველებული სომეხ-ქალკედონიტებად მიიჩნია. ეს მომხდარა თითქოს ბერძნული აღმსარებლური /მართლმადიდებელი/ ქართული ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ მოქცევის შემდეგ. აქ არ შეიძლება არ მოვიხმოთ აკად. ს. ჯანაშია, რომელიც მართალია ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის შესახებ წერს, მაგრამ ტაო-კლარჯეთი და სამცხე-ჯავახეთი ერთიანი ქართული ძირძველი მხარეა და აქ ერთნაირი ისტორიული, პოლიტიკური და დემოგრაფიული პროცესები მიმდინარეობდა შუა საუკუნეებში. აკად. ს. ჯანაშიამ რუს მეცნიერს პროფ. ნ. ტოკარსკის, რომელსაც სომეხ ქალკედონელებად, ე.ი. გაქართველებულ სომხებად მიაჩნდა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა – ასეთი კითხვა დაუსვა – „რანაირად მოხდა, რომ მოსახლეობის „ძირითადი“ და „ძირძველი“ მასა... ისე დაემორჩილა რიცხობრივად მცირე ქართულ ახალმოსახლეთა გავლენას, რომ სულაც გაქართველდა?“ („ისტორიული სიმრთლის დამახინჯების ერთი მაგალითის გამო“, 2003, გვ. 17) ამ დებულების მიხედვით სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიას თუ განვიხილავთ, გამოდის რომ ჯავახეთის საზაფხულო იალაღებზე მოსულმა ქართველმა მწყემსებმა გააქართველეს „ძირითადი მკვიდრი სომხები“. ბუნებრივი არ იქნებოდა პირიქით

მომხდარიყო – მცირე რიცხოვანი, მოსული ქართველები, მკვიდრ სომხებს რომ გაესომხებიათ და არა მოსულებს გაექართველებინათ „მრავალრიცხოვანი“ სომხები. ეს ასე არ მოხდა იმიტომ, რომ ჯავახეთის ძირითადი, მკვიდრი მოსახლეობა ოდითგანვე იყო ქართული ენით, სარწმუნოებით, კულტურით, ხოლო სომხები გვიან მოსულები არიან.

ვფიქრობთ, ანგარიში უნდა გაეწიოს ლეონტი მროველის ცნობას, რომლის მიხედვით ჯავახეთი იყო ქართველი მეფის შვილის – ჯავახოსის საუფლისწულო მამული, რაც პირველ რიგში გულისხმობს, რომ აქ ძირითადად ქართველები ცხოვრობდნენ და შემდეგ შეიძლება იყვნენ სხვა ერის წამომადგენლებიც. ამ საკითხთან დაკავშირებით ს. კარაპეტიანს ვურჩევ წაიკითხოს პ. ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“ /1954/, რომლის სომხური თარგმანი, ხელნაწერის სახით დაცულია ეჩმიაძინის ბიბლიოთეკაში, სრულიად სომეხთა კათალიკოსის ვაზგენ I-ის პირად არქივში.

განსაკუთრებით ინტენსიურად XVII-XVIII ს.ს.-ში ხდებოდა სომეხი ქალკედონიტების გამაჰმადიანება თურმე ჯავახეთში. ისე გამოდის, თითქოს ფალავანდიშვილები, ხიმშიაშვილები, ლორთქიფანიძეები, ნებიერიძეები, ხიციშვილები და სხვები გაქართველებული სომხები ყოფილან, რადგან მათ იძულებით მიიღეს მაჰმადიანური სარწმუნოება. ასეთი უსაფუძვლო და შეუსაბამო არაერთი დასკვნა გამოაქვს კარაპეტიანს საერთოდ და კერძოდ ამ ნაშრომში. მაგრამ ყველას ვერ გამოვეკიდებით. ვცდილობთ, უფრო მეტად მის მიერ საკვანძო საკითხების გაშუქების დროს ნებსით თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომები გამოვამზეუროთ.

ნაშრომის შემდეგი თავია – „ისტორიული ძეგლები“. ვიდრე მის განხილვას შევუდგები მსურს შევნიშნო – ს. კარაპეტიანმა 2002 წელს, ბეირუთში სომხურ ენაზე გამოსცა რუკა-ცნობარი – „ჯავახეთის ისტორიული ძეგლები“. სათაური მის შინაარსს არ შეესაბამება, რადგან მასზე დატანილია მხოლოდ სომხური ძეგლები, ხოლო ჯავახეთის ქართული ისტორიული ძეგლები აღნიშნული არ არის. ამ რუკა-ცნობარის მიხედვით გამოდის ჯავახეთში მარტო სომხური ძეგლებია და დასკვნასაც შესაფერს გააკეთებს სომეხი მკითხველი – თითქოსდა ჯავახეთი იყო და არის ძირძველი სომხური მიწა.

ს. კარაპეტიანი ჯავახეთის შუა საუკუნეების ისტორიულ ძეგლებს ასეთ კვალიფიკაციას აძლევს: სომხური სამოციქულო, სომხური ქალკედონიტური, სომხურ-კათოლიკური, ქართული და თურქული. ეს დაყოფა რამდენად შეესაბამება რეალობას, თვით ჩამონათვალში ჩანს, რომლის მიხედვით გამოდის ჯავახეთის ძეგლთა უმეტესობა სომხურია. ამ მხარეში არავითარი სომეხი-ქალკედონიტები არ ცხოვრობდნენ და შესაბამისად არც სომხურ-ქალკედონური ძეგლები არ არის, როგორც ს. კარაპეტიანს სურს წარმოადგინოს. აქ არის უმრავლესობა ქართული ისტორიული ძეგლები, გაცილებით ნაკლები სომხური. ეს რომ ვერ დაინახოს მკვლევარმა იმას ნიშნავს, რომ რიყეზე გაიაროს ადამიანმა და ქვა ვერ შენიშნოს, თუმცა თუ არ უნდა მთასაც ვერ შენიშნავს, ისეთი მკვლევარი როგორც ს. კარაპეტიანია. ეს კაცი აქეთ გვედავება და ბრალს გვდებს. იგი წერს – ჯავახეთის ისტორიული ძეგლების გამოკვლევას უმეტესად ქართველი მეცნიერები ეწეოდნენ, რომელთა შრომების ძირითადი ნაწილი აშკარად ზედაპირული და ტენდენციურია. ზოგიერთი კი უფრო ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობს ვიდრე მეცნიერულით. აქედან გამომდინარე ქართველი მეცნიერები თურმე თავიანთ შრომებში სომხურის იგნორირებას ეწევიან და ჯავახეთის სომხურ-ქალკედონურ ძეგლებს ქართულად წარმოადგენენ. ამიტომ მათი დასკვნები ექსტრემისტული და აბსურდულიაო. ამის ნიმუშად მოაქვს ქართველი მეცნიერების გივი და პაატა გაფრინდაშვილების ნაწყვეტი ინტერვიუდან – „შესაძლოა რომელიმე სოფელში იყოს თანამედროვე სომხური ძეგლი, მაგრამ სომხურ ისტორიულ ძეგლს ჯავახეთში ვერ შევხვდებით“ („კვირის პალიტრა“, 2005, №30, 25-31 VII). ს. კარაპეტიანს ეს აზრი ძალიან არ მოსწონს და ამიტომ გაიხსენა ძველი, მკვდრად შობილი მოსაზრება სომხურ-ქალკედონური ძეგლების არსებობის შესახებ ჯავახეთში, რომელთაც ვითომ ქართველი მეცნიერები ქართულად ასაღებენ. ვთქვი და ვიმეორებ – არავითარი სომეხი-ქალკედონიტები არ იყვნენ და ბუნებრივია არც სომხურ-ქალკედონური ძეგლებია ჯავახეთში. იმას, რასაც სომხურ-ქალკედონურს უწოდებს ს.კარაპეტიანი არის არქიტექტურული იერსახით, მხატვრული სტილით, ჩუქურთმებით, გუმბათით და სხვა გაფორმებით ჭეშმარიტი ქართული ძეგლები, რომლებიც აშენებულია საუკუნეების განმავლობაში ეროვნებით ქართველი და სარწმუნოებით მართლმადიდებლების მიერ. ალბათ გივი და პაატა გაფრინდაშვილები უფრო ვრცელ პასუხს თვითონ გასცემენ.

ს. კარაპეტიანს ახალქალაქის, თმოგვის და ხერთვისის ციხე-სიმაგრეები სომხურ ძეგლებად გააქვს.[11] ეტყობა ფიქრობს ჯავახეთი სომხეთის ისტორიული პროვინციაა და ეს ძეგლებიც ამიტომ სომხურიაო. ამ თვალსაზრისით აქვს განხილული ჯავახეთის არქეოლოგიური მონაპოვრები, კიკლოპური ციხეები, ვეშაპოიდები, სტელები და სხვა. ერთი სიტყვით მას ჯავახეთი განხილული აქვს, როგორც სომხეთის ძირეული პროვინცია, სადაც არის მხოლოდ სომხური ისტორიული ძეგლები, აქა-იქ გვხვდება უმნიშვნელო რაოდენობით ქართული.

ამ ვებერთელა მონოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ქვეთავი – „ეკლესიები, ვანქები, მატურები“. მასში განხილულია ჯავახეთის საკულტო ნაგებობათა კონფესიური კუთვნილების საკითხი. ამ ნაგებობებს ორ ჯგუფად ყოფს – სომხური (სომხურ-გრიგორიანული და სომხურ-კათოლიკური) და ბიზანტიური (ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს – ბიზანტიურს უწოდებს).

ს. კარაპეტიანი ჯავახეთის ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს კვლავ უწოდებს სომეხ ქალკედონიტებს და აქედან გამომდინარე აქ არსებულ ტაძრებს და ეკლესიებს მიიჩნევს საუკუნეების განმავლობაში გაქართველებულ სომეხ-ქალკედონიტების მიერ

[11] ვინმე მ. ჰოვანესმანს სომხურ ციხეებად აქვს გატანილი სამშვილდე /ორბელი/, ლორი, საკურეთი, ყველი, დმანისი, არტაანი, ახალქალაქი, თმოგვი, არტანუჯი, ახტალა, ახალციხე, თუხარისი და სხვა. „სომხური ციხეები“, 1970, ვენეცია, სომხ. ენაზე.

აშენებულ საკულტო ნაგებობად. მისი აზრით – IX ს-დან ქალკედონიტობა გავრცელდა ჯავახეთში. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ქართული საკათოლიკოსოს იურისდიქციის ქვეშ მოექცა ეს მხარე. ამ დროს „ტაიქის ბაგრატუნების“ პოლიტიკური გავლენა გავრცელდა ჯავახეთში და ქართულმა სახელმწიფომ ააშენა „ბიზანტიური ტაძრები, ეკლესიები“. ესენია – კუმურდოს წმ. ჰამბარძუმი, იხტილას წმ. სტეფანოსის, ხორენიას წმ. ხაჩი და სხვანი. ჭეშმარიტი ქართული ეროვნების მცხოვრებთა მიერ აშენებულ საკულტო ნაგებობათა რიცხვს მიაკუთნებს XIII-XIV ს.ს. ძეგლებს – ბარალეთს, კოთელიას მურჯახეთის, ვარევანის ეკლესიებს. სომხურ-ქალკედონური და ქართული ეკლესიების ეს დაყოფა უსაფუძვლო და ხელოვნურია. ის ერთ მიზანს ემსახურება – რამენაირად შეამციროს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების რიცხვი ჯავახეთში და შემცირების ხარჯზე გაზარდოს სომხურ ეკლესიათა რიცხვი, ამის შედეგია ის რომ 650-ზე მეტი სომხური ეკლესია დააფიქსირა საქართველოში, 1995 წელს ერევანში, სომხურ ენაზე გამოცემულ რუკა-ცნობარში.

როგორც სომეხი ავტორი აცხადებს XIV-XV ს.ს. ახალი ეკლესიები არ აშენებულა ჯავახეთში. თუმცა ამ საუკუნეების ლაპიდარული ეპიგრაფიკის კვლევის საფუძველზე ჯავახეთის უმეტესი ნაწილი გრიგორიანი სომხები იყვნენ. XIV-XV საუკუნეებში ხშირი იყო შემთხვევა, როცა ახალი ეკლესიის აშენების ნაცვლად სომხურ სამოციქულო ეკლესიის წესზე აკურთხებდნენ ორი-სამი საუკუნის წინ ქალკედონიტური მაღალი წრის და მათ მემკვიდრეთა ნაგებ ეკლესიებს. მაგ. კუმურდოს წმ.ჰამბარძუმის, სხვილის წმ. სტეფანოსის, აბულის წმ. ჰარუთინის და მრავალ სხვა ეკლესიას, რომელთა გარშემო XII-XV საუკუნეებით დათარიღებული სომხური საფლავებიაო.

ჯერ ერთი XIV-XV საუკუნეებში ჯავახეთის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი სომხური თუ იყო კიდევ გასარკვევია (ს. კარაპეტიანის მტკიცება ნაკლებად სარწმუნოა). მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით მომდევნო XVI ს-ში ჯავახეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი გენეტიკურად და სარწმუნოებით ქართველები იყვნენ (ავთანდილ სილაგაძე, ანზორ თოთაძე – „სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა“, კრებ. „ჯავახეთი“ ისტორია და თანამედროვეობა, 2002).

ს. კარაპეტიანმა აღიარა სომხების მიერ ჯავახეთის ეკლესიების მისაკუთრების ფაქტი, მაგრამ სიმართლეს თვალი ბოლომდე ვერ გაუსწორა და მიტაცებული ეკლესიები სომხურ-ქალკედონურ საკულტო ნაგებობებად გამოაცხადა, რომლებიც XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან მიტოვებული იყვნენ და არმოქმედებდნენ – 1830-იან წლებში ერზრუმიდან და კარონიდან გადმოსახლებულმა სომხებმა ეს ეკლესიები სომხურ გრიგორიანულ წესზე აკურთხეს და მათ მოქმედება დაიწყეს, როგორც „სომხურმა სამრევლო ეკლესიებმა“. ბუნებრივია ძალადობის ამ ფაქტმა მაშინ ქართველთა უკმაყოფილება გამოიწვია, რასაც საარქივო დოკუმენტები მოწმობენ. თუმცა ქართველთა ამ უკმაყოფილებას ს. კარაპეტიანი უსაფუძვლოს უწოდებს: იგი წერს – 1866 წელს ქართულმა სასულიერო პირებმა უსაფუძვლო პრეტენზია კვლავ წამოაყენეს და სადავო გახადეს ჯავახეთის შუასაუკუნეების მთელი რიგი ეკლესიების კუთვნილება. ეს სადავო ეკლესიები დოკუმენტური მასალის მიხედვით ასე ჯგუფდება/

1. ვარდისციხე, ციხევი, ოლდამი, არუჭი, ჰოკამი, ლეკნარი, ხუვერისის ეკლესიები, რომელნიც განადგურდა თურქთა ბატონობის დროს მაჰმადიანების ნიერ.

2. კარანტი, ალასთუბანი, ბარას ეკლესიები, რომელთაც თვითნებურად დაეპატრონენ სომეხი-კათოლიკები.

3. აბული, ბურნაშეთი, ხტილა, მერენიას ეკლესიები, რომელთაც დაეპატრონენ სომხები.

4. ალასტანის ეკლესია, რომელიც დაანგრიეს სომეხმა კათოლიკეებმა და ააშენეს ახალი ეკლესია.

5. კუმურდოს ეკლესია, რომელიც პირველად დაანგრიეს თურქებმა. შემდეგ ამ ეკლესიის დასავლეთ მხარეს დაეუფლნენ სომხები. ამ ეკლესიების მიმართ ქართველ სასულიერო პირთა სამართლიანი პრეტენზიის დასაბუთებას აღარ შევუდგები, რადგან თავის ადგილზე აღვნიშნე არავითარი სომეხი-ქალკედონიტები ამ პერიოდში არ ცხოვრობდნენ და შესაბამისად არც მათი ეკლესიები აშენებულა ჯავახეთში. ჯავახეთის ეკლესიების უმეტესი ნაწილი არის ქართული მართლმადიდებლური, ქართული კათოლიკური, შემდეგ მოდის სომხური გრიგორიანული და სომხურ-კათოლიკური. ქართული ეკლესიების რიცხვში გულისხმობს სომეხთა მიერ მიტაცებულ ქართულ ეკლესიებს, რომელთა რაოდენობა არც თუ ისე მცირეა. სომეხთა მიერ ქართული ეკლესიების მისაკუთრება ოდითგან ცნობილია არამარტო ჯავახეთში, არამედ ქვემო ქართლში და სხვაგან. აქ ახალს არაფერს არ ამბობს ს. კარაპეტიანი. ეს ძალადობა სამწუხაროდ დღესაც გრძელდება (იხ. „ქართული ეკლესიის ქვებით სომხური ტაძარი ააშენეს“ გაზ. „ახალი ეპოქა“, 2000, №61/ აგრეთვე ჩვენი წიგნი – „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!... თბილისი, 1995).

ჯავახეთის სომხებმა 1990-იან წლების ბოლოდან შუასაუკუნეების დანგრეული და ნახევრადდანგრეული ეკლესიების აღდგენა-განახლება დაიწყეს. ს. კარაპეტიანის მიხედვით ამ საქმეს თურმე წმინდა რელიგიური მიზნით აკეთებდნენ. ეს მართლაც კარგი და მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ ვის ეკლესიებს „აღადგენენ“ და შემდეგ რა სარწმუნოების ეკლესიებად აკურთხებდნენ, ამაზე ხმას არ იღებს და მხოლოდ ძველი არქიტექტურის დაზიანებაზე წუხს. ისიც კი უკვირს ამ ძალადობის გამო ქართულ პერიოდიკაში რატომ ატყდა ხმაური.

ს. კარაპეტიანს რატომღაც დაავიწყდა, რომ ქართველი კათოლიკების საფლავები არსებობდა ჯავახეთში და ლაპარაკობს მარტო სომეხი-გრიგორიანელების, ქალკედონიტებისა და სომეხი-კათოლიკების საფლავთა ქვებზე. ქართველი კათოლიკების საფლავის ქვების დავიწყება შემთხვევითი არ არის. ამას შეგნებულად აკეთებს. ამით უნდა განამტკიცოს დიდი ხნის წინ უარყოფილი აზრი, თითქოს ქართველი კათოლიკები არ არსებობენ. თუ არიან ისინი გაქართველებული სომხებია. სინამდვილეში ჭეშმარიტი ქართველი-კათოლიკები ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან ჩანან საქართველოში (იხ. მ. თამარაშვილი – „პასუხად სომეხ მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას“, თბ, 1904).

მონოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს

ჯავახეთის სოფლების, ეკლესიების, ტაძრების და მატურების მოკლე-მოკლე ისტორიებს და მათზე არსებული ქართული და სომხური ეპიგრაფიკის ისტორიულ-პალეოგრაფიულ ანალიზს. სულ განხილულია 76 სოფელი და შესაბამისი საკულტო ნაგებობები, ხაჩქარები და სხვა. განიხილავს რა ჯავახეთის ქართულ ეპიგრაფიკას ქართულ წარწერებს მესროპიანულს უწოდებს (ხაზგასმა ჩემია – ბ. ა.). ეს ყველაზე ვრცელი და სადავო საკითხებით სავსე თავი ცალკე, სპეციალურ ნაშრომს იმსახურებს, რის გაკეთებასაც უახლოეს მომავალში ვაპირებთ.

ერთს კი ახლავე აღვნიშნავ, მონოგრაფიაში მოცემულია თითოეული სოფლის მცხოვრებთა რაოდენობა XIX-XX ს.ს.-ში. საწყისად აღებულია XIX ს-ის 30-იანი წლები, როცა ცარიზმმა ეზრუმიდან 40 000 სომხის ოჯახი გადმოასახლა ჯავახეთში. ამ გადმოსახლებამდე ქართველები მოსახლეობის თითქმის 90 პროცენტს შეადგენდნენ ჯავახეთში. ამის შემდეგ ადგილობრივ ქართველებზე ხელოვნური დემოგრაფიული უპირატესობა მოიპოვეს სომხებმა. ამ ფაქტზე არავინ დავობს. საკითხავია, რაში დასჭირდა კარაპეტიანს ამდენი დემოგრაფიული დოკუმენტის, მონაცემების და ცხრილების მოტანა? პასუხი მარტივია – ამ საარქივო დოკუმენტური მასალით კვლავ გვიმტკიცებს: ჯავახეთის მიწა იმისია, ვინც მეტი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს მასზეო. ამით ერთი საფეხურით წასწია წინ და წინა პლანზე გამოიტანა ჯავახეთის ავტონომიის მოთხოვნის „სამართლებრივი“ საკითხი. ამიტომ არ შეიძლება ეს წიგნი ქართული საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩეს.

BONDO ARVELADZE
Doctor of Philology, Professor

“JAVAKHQ”

Resume

Monograph “Javakhq” by Professor S. Karapetian has been issued (in Armenian). The first volume discusses Javakheti’s (Armenians call Javakhq to ancient Georgian part of Javakheti) history, geography, demography, monuments, etc. The second larger volume presents the history of Javakheti’s churches, Georgian and Armenian epigraphy.

Before discussing advantages and disadvantages of monograph, it is necessary to put forward few words about this scholar. This is the very Karapetian who “found” more than 650 Armenian churches in Georgia in the map “Armenian churches in Georgia” issued in Erevan in 1995. At least 80 percent of Georgian churches are pronounced Armenian. In 2002, he issued a book: “State Policy of the Georgian republic and Armenian Historic Monuments”. In the above work he called Georgians (along with Azerbaijanis) destroyers of civilization, i.e. barbarians, and mistreated Georgia’s Patriarch Ilia II. I responded this objectionable behavior that time, however, to put it mildly, he still continues biased and partial research of Georgian culture. His monograph “Javakhq” is one of such examples.

БОНДО АРВЕЛАДЗЕ
доктор филолгических наук, профессор

«ДЖАВАХ»

резюме

Вышла монография проф. С.Карапетиана «Джавах» (на армянском языке). В первой части расматривается история Джавахети, география, демография, исторические памятники, и др.Во второй части представлена история церквей Джавахети, грузинская и армянская эпиграфия.

Прежде чем я коснусь положительно-отрицтелных сторон монографии, считаю себя объязанным в нескольких славах расказать об этом ученом.Это тот самый Карапетян который 1995 году в Ереване изданном карте- справочнике «Армянские церкви в Грузии» « обнаружил» больше 650 армянских церквей в Грузии, из них 80% грузинских церквей именуютс армянскими.

В 2002 году он издал книгу «Государственная политика Республики Грузия и памятники культуры Армении» в этом же году он упамянул грузинский народ варварами и обозва рузинского патриарха св. и бл. Илью II недостойно. Такая дерзость мной было опровергнуто, но он продолжает свое магко говоря субиективное исследование в отношении грузинской культуры, примером которого является вышеупамянутая монография.

თინა იველაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

უაკ (UDC) 94(479.22.25)

სოფელ ველის ქართველ კათოლიკეთა ბედი

XVIII საუკუნემდე ისტორიული ქართული სოფლის - ველის მოსახლეობამ წმინდად შეინახა როგორც მშობლიური ენა, ისე მართლმადიდებლური სარწმუნოება. შ. ლომსაძის მითითებით „ველი იმ გამონაკლის სოფლების რიგს ეკუთვნის, რომელთაც დიდი მსხვერპლის ფასად შეინარჩუნებს ქრისტიანული სარწმუნოება“[12]. თურქეთის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის ანექსიის შემდეგ სოფელი ველი არტაანის ლივის ტყიან რაიონში შედიოდა. XVI საუკუნის მიწურულსა და XVII საუკუნის I ნახევარში სოფ. ველში 30 ოჯახი ცხოვრობდა. მოსახლეობა რომ მთლიანად ქრისტიანი-მართლმადიდებელი ქართველი იყო ეს ნათლად ჩანს ოჯახის უფროსებსა და მათი მამების (რა თქმა უნდა მამაკაცების) სახელებიდან, ასევე სახელმწიფო გადასახდელთა სახეობებიდან. ოჯახთა უფროსების სახელებში ფიგურირებდა ელიზბარ, იასე, ფოცხვერა, მახარობელ, ვარძელ, დემეტრე, ფირალა, ადამა, მაცაცა, ბატატა, ორბელ, ზაქარა, იოსებ, გიორგი, ივანე, აბესალომ, რევაზ, როსაბ, გოგიჩა, სიმონ, საბა, ქავთარ, ბერა, თევდორე, პაპუნა, ზურაბ და ა. შ. რომლებიც „ადრეული ხანიდან ქართულში ტრადიციულად დამკვიდრებულ სახელებს წარმოადგენდა და რომლებიც თუ უფრო ადრე არა IX საუკუნიდან მაინც ქართულ წერილობით წყაროებში ინტენსიურად ფიქსირდება“[13].

სოფლის მოსახლეობა იხდიდა გადასახადს ღორის შენახვისათვის და საქორწილო (რომელიც მხოლოდ ქრისტიან-მართლმადიდებელ მოსახლეობას ეკისრებოდა) გამოსაღებს[14]. XVIII საუკუნის შუა წლებიდან კაპუცინების ორდენის პატრებმა სოფ. ველის მცხოვრებთა ერთი ნაწილი გააკათოლიკეს. ამის შემდეგ რაც დრო გადიოდა სოფელი თანდათან კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადადიოდა. აღსანიშნავია, რომ რომის კონგრეგაციის მიერ ველის ქართველ კათოლიკეებს თავიდან ქართული რიტი ჰქონდათ დაწესებული. XVIII ს. ბოლოს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოცილებული ველელთა წინამძღვრობაში ერთი მეორეს ანტიოქიის პატრიარქი, სომხურ კათოლიკური, სომხურ გრიგორიანული და ლათინური ეკლესიები ეცილებოდნენ[15].

XVIII საუკუნის ბოლოსაც კი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ, რომ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას იცავდა ეს კარგად ჩანს 1786 წელს პატრი ანდრია პალერმელის მიერ პროპაგანდასადმი მიწერილ წერილიდან. „პატრი ნიკოლა ვერჯენთიმ რომის სარწმუნოებას შემოუერთა მათი უფროსი ქართველი მღვდელი, რომელმაც გააკათოლიკა ერი. როდესაც მღვდელი არ ეყოლებოდათ, სულიერ სამსახურს უსრულებდნენ პატრი მისიონერები. ხოლო 1755 წ. მისი განდევნის გამო პატრების რიცხვი რა შემცირდა, ნელ-ნელა ახალცხის მღვდლებმა ველში ფეხი შესდგეს, საჭიროების დაგვარ, ხან პატრები მიდიოდნენ და ხან ახალციხელი მღვდლები და უსრულებდნენ მრევლსა ყოველ სულიერ საჭირო სამსახურს, თვინიერ შურისა და შფოთისა. არც ყურადღებას აქცევდა ვინმე, თუ ვის უნდა დამორჩილებოდა. დროის განმავლობაში ახალციხის პროვიკარმა ხელში ჩაიგდო იქაური უფროსობაც, ასე რომ სხვას ვისმე ხმაც არ ამოუღია ამაზე, მაგრამ, საუბედუროდ, 80 წელს (1780 წ.) იქ მოვიდა ერთი ახალგაზრდა ტფილელი თერძი, რომელიც გაკათოლიკებული იყო

[12] შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1972, გვ. 363.
[13] რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ., 1997.
[14] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, თბ., 1941, გვ. 464-467.
[15] შ. ლომსაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 363.

და რომელიც ახალციხის მოწმობის წერილით ლიბანიაში მღვდლად ეკურთხა ბერძნულს ტიბიკონზედ, და მოვიდა ახალციხეს. იქიდგან წავიდა ველსა, სადაც უმეცარი ხალხი მთლად არივ-დარია, რაისგამო ხშირად მე მომმართავდნენ; მეც ყოველივე ვაცნობე ეპისკოპოს თრაქიას, რომელმაც ბოლოს დანიშნა პატრი პოლიკარპო, ამან თუ არ ვცდები, 7 ოჯახობა, ბერძნის სარწმუნოებისა, ვერ გააკათოლიკა. ისინი იმ სარწმუნოებაზე გადასულიყვნენ ძმა თადეოს გამო, რომელიც ახლა ბერძნის ტიბიკონის მღვდელია. ველის მრევლი არ სცხრება და მუდამ მომმართავს ხოლმე და თხოულობს მღვდლად ერთ პატრ მისიონერს. პასუხად ვეუბნებოდი მიემართნათ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსისათვის. რათა ამაზე ლაპარაკი არ გავაგრძელო, სიმდაბლით მოგახსენებ ჩემს აზრსა, რომ საჭიროა ველს სასწრაფოდ დაენიშნოს სამრევლო მღვდელი და მიეცეს სამკვიდრებელი მტკიცე ხალხის მისიონერს. ველის მცხოვრებნი უბრალო ხალხია, მომეტებულად მწყემსები არიან, მრავალი განცვიფრებულია ტიბიკონების შეცვლით, რადგან ბერძნულიდგან სომხურზე გადავიდა, სომხურიდგან ლათინურზე. თუ ერთი პატრი მისიონერი რავდენსამე ხანს დარჩა ველში, მერმე ხალხი სომხის ტიბიკონის მღვდელს აღარ მიიღებს. რადგან ბერძნის ტიბიკონის ხალხი კაის თვალით არ უმზერს სომხის ტიბიკონს. უკეთუ წმინდა კრება ინებებს, კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა დანიშნოს ველის მწყემსად პატრი მისიონერი, ამ შემთხვევაში წინათვე საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ სიძნელეს, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს მღვდლებსა და პატრებს შუა. თუ ველი მიენდო პატრების მისიონის მზრუნველობას, მაშინ საჭიროა დაინიშნოს იქ ორი მისიონერი პატრი, რომლებმაც კარგად უნდა იცოდნენ თათრული და ქართული ენა, რათა, საჭიროების დროს, რასაც ერთის ენით ვერ გააკეთებენ, მეორე ენის საშუალებით შესძლონ. ეგრეთვე საჭიროა იმ მრევლის წინამძღვარს დაენიშნოს საკმაო შემწეობა, რათა სამწყსო არ შეაწუხოს გამუდმებულად მოწყალება-სარჩოს თხოვნით, რადგან პირადის ინტერესების ჩამოგდება ამ მხარეში მალე საქმეს გაუფუჭებს, ხალხი მთავრობისაგან ძრიელ გაღარიბებულია და მღვდლის შენახვა აღარ შეუძლია. ამიტომ არც ერთი მღვდელი მიდის იქა"[16]. ამავე პერიოდი სოფელ ველის მოსახლეობის მიმართ ანტიოქიის პატრიარქსაც გააჩნდა თავისი ინტერესები და ბერძნის ტიპიკონის საკუთარი მღვდელიც ჰყოლია. აღნიშნულის გამო პროპაგანდა პროტესტს გამოთქვამდა და კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს 1786 წელს სწერდა: „ანტიოქიელ პატრიარქს აუწყოს, გამოსცვალოს ველიდგან ხსენებული ვასილ მონაზონი და მის ადგილს კარგი მღვდელი დანიშნოს სანამ პროპაგანდა გამოიძიებდეს, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს ველის სამწყსო"[17]. ველის მოსახლეობა, რომ ქართული წესით ქართულენოვან ტიპიკონით უნდა ყოფილიყო ეს კარგად ჩანს მათ მიერ 1787 წ. სოფლის მცხოვრებლების მიერ უფროსი პატრისადმი გაგზავნილი წერილებიდან.

„დიდად პატივცემულ მამა უფროსს.

ჩვენ ქვემორედ ხელის მომწერნი ქართველნი რომის კათოლიკენი, რომლებმაც ჩვენი საკუთარ სახელებთან დავუსვით ჯვარი ჩვენის საკუთარის თითით, ვევედრებით თქვენ ღირსებას, რათა ჩვენ არ დაგვივიწყოთ ეგრეთ, რომ არაოდეს მოავლინოთ ამ ჩვენს სოფელს ველს ერთი პატრი მისიონერი, რომელმაც მოგვიაროს სულიერად და გვიწინამძღვროს საუკუნო ცხოვრების გზაზე. ღვთის შემწეობით და პატრების საშუალებით მივიღეთ ჭეშმარიტი სარწმუნოების ნიჭი, და პატრებივე იყვნენ ჩვენნი უწინდელნი მოძღვარნი. ამიტომ იმედი გვაქვს თქვენის მამობრივის კეთილის გულისა, რომ ეს ჩვენი მდაბალი ვედრება სათნო საყოფელი და შეწყნარებული იქნება თქვენ მიერ. „+ეფრემაი. + აბოი. +გიგოლგილი. + სავაი. + ოქრუაი. + პეტრე ანდრიას შვილი. + ელიზბარი. + აპოსტოლი. + გეგეი. + მესროფი. + იმედი. + პავლე. + ოქრუაი. + ბენვაგილი. + ჯოჯოი. + სუმბული. + ფრანდოი. + იგითხანი. + პეტრე შიოშვილი. + თათაი. „მნ პატრი პოლიკარპო მანთოელი" კაფუცინი, სამოციქულო მისიონერი, მოძღვარი ველისა, ზემოხსენებული ქართველი კათოლიკების თხოვნისამებრ (ყველა თვითეული ოჯახის უფროსია), შევადგინე ეს მოხსენება, და ვმოწმობ, რომ თვითეულმა ზემოხსენებულ ქართველთაგანმა თავის სახელთან თავისი საკუთარის ხელით დაუსვა ჯვარი, რათა ამითი როგორმე განუცხადოს თავისი ვედრება ზემო ხსენებულ პატივცემულ უფროს პატრს[18].

ზემოთ ხსენებული ქართული სახელები გვხვდება შემდეგ წერილშიც: „ბატონს, პატრი: უმფროს: და უმთავრესს. მამას, საღმთო სიბრძნით სავსესა. და საღმთო: მოქალაქეობით, აღზრდილსა. „ქ. ცოდვილნი: ერნი. ველის: ზოგად კათოლიკები: ქართველთ გვარისანი უმწყემსოდ დაცვინულნი. ცხოვარნი: პირველად: ღთისგან. რჩეულსა. და მერმე. წმინდა კრებისაგან აღმორჩეულსა. აღმოსავლეთის კათოლიკე: ეკლესიის: შვილებზედ: ზედამხედველად დადგენილსა: ჩვენ ცოდვილნი და არა ღირსად წოდებულნი: კათოლიკე: სარწმუნოებისა: ქედ. დადრეკით: დავრდომით. ხელაპყრობილნი სამღრთოსა მას ფერხთა ანბორებას. მოუძღვნით... ახლა, ამას. გეხვეწებით: და ვეუნჯებით რომ: ჩვენი: რიგის მღვდელი: ღმერთს გამოუგზავნია: ჩვენთვის: და ეგ ჩვენი: კათოლიკე: მამები. აყენებენ, ახლა: ამ წყალობას: ვითხოვთ თქვენის. მოწყალე. გულისაგან რომ თქვენის ბრძანებით: წყალობა უყოთ მაგ ჩვენ მღვდელსა რომ ჩვენს საბრალო: სულებს მოუაროს ჩვენს ქართველ რიგზედა. არა თუ იმ: შეჩვენებულის: ფოციოს რიგზედა. მაგრამ იმ წმინდა მამის: ივანეს. ოქროს; პირის რიგზედა: ახლა: თუ იკითხოთ. ჩვენი: ნამყენობა: ლათინთ: ნამყენი და ნაყოფნი: დამოწაფებულნი. და მონადირებულნი. ვართ: არათუ: სომეხთ გვარისაგან: და. ესეც უწყოდეთ: ბატონო; თუ რომე სამ მღვდელს წყალობას: გვიზამთ: დიაღ ბევრი. სულებს შეგძინამს: ღ~თი. „ქ. ამის წიგნის მოწმობა ქ. პირველად ტერ სიმონ. ქ. ძმისწული ეფრემა ქ. ალექსაი. ქ. ელიზბარი. ქ. ყარაგოზი. ქ. დავითი. ქ. აპოსტოლი. ქ. მესროფი. ქ. ასლანი. ქ. ჟოჟომი. ქ. სუნბული. ქ. პეტრეი. ქ. იასაი. ქ. პავლეი. ქ. ოქრუაი. ქ. შიო. ქ. ელიკი. ქ. ცაცოი. ქ. (აქ წაშლილია მელნისაგან). ქ. თათა... ღთით ახალციხეს: პატრი. უმფროს: მი-

[16] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, თბ., 1902, გვ. 473-475.

[17] იქვე, გვ. 475.

[18] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 475-476.

ერთვას“[19]. ამ წერილებიდან კარგად ჩანს, რომ ხელმომწერი პირები ქართულ ტიპიკონზე იყვნენ. რაც შეეხება სომხურ ტიპიკონზე მდგარ ქართველ კათოლიკეებს, მათი ხელმოწერები საკმაოდ განსხვავებულია. საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე წერილს. მღვდელ გრიგოლ მაქანდარაშვილის დასაცავად ახალციხის მრევლის მიერ 1756 წელს რომში გაგზავნილ წერილზე ხელმომწერთა ვინაობა ასეთია: „ქ. მე კრუხიჭამიათ პეტროსაი ორიცფოხანი სურფ-ოვანესისა ვამტკიცებ ჩემის ბეჭდითა ამ წერილსა ბეჭედი. ქ. მე ხუციანთ ოვანესი ტერ-არაქელას მრევლი ვამტკიცებ ამ წერილსა – ქ. მე მაქანდრიანთ ელიზბარა ირიცფოხანი სურფ-ნიშნისა ჩემი ბეჭდით ვამტკიცებ ამ წერილსა. – ქ. მე ახალციხელი პატარა სიმონა ტერ-კარაკოზას მრევლი. – ქ. მე ვარუზიქმათა ბატონჯანა. – ქ. მე ქირჩიკიანთ ყაზარა. – ქ. მე იეთარათ შენდობილი სიმონას შვილი იოსეფაი ტერ-არაქელას მრევლი. – ქ. მე ქაჩხოაშვილი შუბაში პეტროსა. – ქ. მე აღოშათ ოვანესი ტერ-აკოფას მრევლი. – ქ. მე საჰთჯი პეტროსა. – ქ. მე ქურქჯი შაჰნას შვილი ბაბონაი. – ქ. მე მიღდისი აკოფაი. – ქ. მე უდელი ტერ-არუთინაშვილი ელიზბარი. – ქ. მე ბეზუათ გრიქორას შვილი პეტროსა. – ქ. მე ახალციხელი გაბრიელა. – ქ. მე ახალციხელი კოჭიბროლაშვილი სტეფანე. – ქ. მე ქურქჩიბაში ოანესი ტერ-არაქელას მრევლი. – ქ. მე უდელი ოვანესი. – ქ. მე ხაჯოვანათ პოღოსაი. – ქ. მე ბატონჯანა კრუხიჭამიათ. – ქ. მე ივანე კუსიანთი“[20].

1796 წელს გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ქ: ჩვენ ეს, ქვემოწერილნი მღვდელნი როგორც პ~დ გვიმოწმა პატივდებული მაქანდრიანთ ტერ გრიგორის უმანკოებაზე და უბრალობაზე, ახლაც კიდევ ხელ-ახლავ მასვე კიდევ ვამტკიცებთ ჩვენს ბატონს იშხანებთან საკუთარი ჩვენი ხელის წერილებითა:

ეს წერილები ცხადად გვიჩვენებს რომ „სომხური ტიბიკონის ზედ გავლენას ერზედ, მეტადრე ნათლისღების სახელების შესახებ. თუ უცხო გვარის, სომხის მღვდლებს და თუ ახალციხელ მღვდლებს ერში ბევრი შეუტანიათ სომხური საკუთარი სახელები მაგ. პეტროსა, პოღოსა, არუთინა, ტერ და სხვა. არ უნდა გაგვიკვირდეს რადგან ყველა ტიბიკონის თავის კვალს სტოვებს ერში. ლათინის ტიბიკონსაც ერთი გავლენა აქვს ერთსა და იმავე ერზედ. მაგ. ამ ტიბიკონის მქონე ქართველ ხალხში რად ვხედავთ ლათინურ სახელებს: პიო, ალფონსი, დომინიკე, ფრანჩესკე, ბენედიქტე, ემერენცია, პატრი, დონ და სხვა“[11]. სამართლიანად შენიშნავს მ. თამარაშვილი. ჩვენ ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ, რომ საერთოდ თითოეული ხალხის ეთნიკური შემადგენლობის განსაზღვრისათვის სხვა მონაცემებთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა პიროვნებათა სახელები, ვინაიდან ყოველ ეთნოსს შემუშავებული და დამკვიდრებული აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სახელები. აღნიშნული დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ ველის მცხოვრებნი 500 სულამდე ქართველები იყვნენ. მათში რამდენიმე ოჯახი ერია სომხის ტიბიკონისა, რომლებმაც დაასმინეს პატრი პოლიკარპოსი და აიძულეს წასულიყო. აღნიშნულთან დაკავშირებით პატრი ჯამბატისტა როვიგელი 1787 წელს რომს ატყობინებს: „...იქ (ველში) წავიდა ხსენებული პატრი პოლიკარპო მოძღვრად განსაკუთრებით ბერძენ-კათოლიკე ქართველი ერისთავის, რომელმაც დიდის ვედრებით გამოითხოვა. ცხადათ თანახმა იყვნენ ეგრეთვე სომხის ტომის კათოლიკებიც... თითქმის სამ წელიწად ნახევარია, რაც ხსენებული პატრი პოლიკარპო იმ სოფელში მოღვაწეობდა მოციქულებრივის თავგანწირულებით, სადაც მოსპო ბევრი უწესობა, რომელიც დიდის ხნიდგან ფესვს იდგამდა ღრმად, და სადაც მიჰფინა ჭეშმარიტი საუკუნო ცხოვრების სიტყვა. სომხის კათოლიკებმა დაიწყეს მეშურნეობა და ოსტატობით დაიყოლიეს პატრი პოლიკარპო, რომ ახალციხის მღვდლების უფროსისათვის ეთხოვა ერთი სომხის მღვდელ-მონაზონი, რომელიც დიდი ხნიდგან აღარ ჰყოლიათ, რათა ამ საშუალებით დაეცვათ თავიანთი სომხური ტიბიკონი, რაც კი შეეხება საეკლესიო ლიტურღიას, ვინაიდგან ტიბიკონის სხვა დანარჩენს ნაწილებს ყველას კარგად ასრულებენ; როგორითაც თავიანთ საკუთარ ბერძნის ტაბიკონს დიდი გულმოდგინებით იცავენ ქართველი კათოლიკები, რომლებიც ბევრად უმეტესი არიან სომხის კათოლიკებზედ. პატრმა შეიწყნარა მათი თხოვნა, რადგან კარგად უწყოდა, რომ იმაზე უარის თქმა უფრო მომეტებულად განარისხებდა ამ მეშფოთარ სომხის გვარსა. შეჰპირდა დაეკმაყოლებინა იმათი თხოვნა; თუმცა სომხების სანუგეშოდ ხშირად ათქმევინებდა ლოცვებს სომხურად, თვით ხმოან წირვაზედაც. პატრი პოლიკარპომ პირობა დაადებინა, ამ საშუალებით ერთმანერთში ჭეშმარიტი სახარებრივი სიმშვიდე დაეცვათ. მოწინავე პირებმა ამაზე შეჰფიცეს და ეგრეთვე თავიანთი პირობა წერილობითაც მისეცს. პატრი პოლიკარპომ მისწერა და მდაბლად ჰსთხოვა მონაზონი ბატონს მაქანდრიანთ გრიგოლს. ბატონმა პროვიკკარმაც უსმინა თხოვნა და გაგზავნა ის მღვდელ მონაზონი ხაჩატურა, რომელიც პროვიკარის მოწაფე იყო, და ერთი წელიწადია, რაც კონსტანტინეპოლში მღვდლად ეკურთხა. თუმცა არ უნდა გამოვიძიო და არც უნდა ვიცოდე, მაგრამ საკვირველი კია, რა აზრით გამოაცხადა ბატონმა არქიეპისკოპოსმა თრაქიამ პროპაგანდის მისიონერად, რომელიც არა თუ ჰფენს სარწმუნოებას, არამედ სპობს?! მეტად ახალგაზრდა მონაზონი ხაჩატურა მოვიდა ველში თუ არა, თვით სომეხი კათოლიკების წინაშე გამოაცხადა თავისი თავი პატრი პოლიკარპოს ხელქვეითად და თანაშემწედ. წინათვე არქიეპისკოპოსს თავისი ხელით დაწერილი წიგნი გამოეგზავნა პატრი პოლიკარპოსთვის და უცხადებდა, რომ მისი ქვეშევრდომი იქმნებოდა ყველა სხვა მონაზონი, ვინც კი მივიდოდა იმ სოფელში, მაგრამ ცოტა ხნის შემდგომ სომხის კათოლიკებმა გადაიბირეს გამოუცდელი ახალგაზრდა მღვდელ-მონაზონი ხაჩატურა, რომელმაც ამართა წინააღმდეგობის დროშა, დაუჭირა მხარი სომხის კათოლიკებს და გააუპატიურა თვით პატრი პოლიკარპო შეურაცხყოფის სიტყვებით. ამნაირად მოსპო ყოველი წესიერება, შეიქმნა დასაწყისი ყოველი უწესობისა! პატრი პოლიკარპო დაჩუმდა, რათა დაბრკოლება არ მომხდარიყო, თუმცა დუმილითვე იცავდა თავის სიმართლეს. ორ ტომს შუა მალე აღიძრა უძველესი უთანხმობა, ხაჩატურა მღვდლის მიერ გამხნევებულმა სომხის კათოლიკებმა დაუწყეს მეტად მკაცრი წინააღ-

[19] იქვე, გვ. 477.

[20] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 440.

[11] იქვე, გვ. 441.

მდეგბა პატრი პოლიკარპოს, მართლაც სომეხ-კათოლიკეს მოწინავე პირებმა მიიმხრეს ეგრეთვე თათრები და მწვალებელი სომხებიც და მეტად ფარულად მიმართეს იმ სოფლის ოსმალო მოსამართლეს, რომელსაც ეწოდება არტაანის ბეგი და იჩივლეს პატრი პოლიკარპოზე, ბევრნაირი ცილი დასწამეს და განსაკუთრებით გამოუგონეს, რომ მაშფოთარია და წინააღმდეგი ოსმალების კანონისა...". მოსამართლემაც, გამოუძიებლად, მაშინვე დააწერინა განაჩენი პატრის სოფლიდგან განდევნისა, ერთმა თათრის კომანდირმა პატარა პოლიკარპოს წაუკითხა განაჩენი, რომელშიც იყო მოხსენებული, რომ ფრანგის პატრმა ნახევარ საათის განმავლობაში უნდა დაუტევოს ის სოფელი და წავიდეს იქიდგან, ხოლო იქ უნდა დარჩეს მკვიდრად გიაური მღვდელ-მონაზონიო, პატრი პოლიკარპოც მაშინათვე დაემორჩილა ბრძანებას და მოვიდა აქ, ახალციხეს ჩვენს მონასტერში[12].

XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან სოფ. ველის მოსახლეობას პროპაგანდამ ქართულის ნაცვლად სომხური ტიპიკონი დაუკანონა. ველელებმა რომს არაერთხელ მიმართეს თხოვნით „ჩვენ ქართველი კათოლიკენი ვართ და ისეთი მღვდელი მოგვეცით, რომ ჩვენს სულებს მოუაროს ჩვენს ქართულ რიგზედა". რომმა მათი თხოვნა თითქოს გაითვალისწინა და მხოლოდ ერთხელ 1803 წელს პეტრე დავით შაჰყულიანს შემდეგი სახის წერილი გაუგზავნა:

„თუმცა ამბობთ, რომ საჭირო აღარ არის ქართველი მღვდლები ბერძნის ტიბიკონისა აღარც მანდ ახალციხეში და აღარც ველში სადაც ის ცოტა დარჩენილი ქართველი კათოლიკები შეეჩვნიენ სომხურ ტიბიკონის მქონე მღვდლებისაგან სულიერი სამსახურის მიღებასო, გარნა წმიდა კრებას ეგ დიდად სასარგებლოდ მიაჩნია ერთისა ისე მეორე ადგილისათვის. შესახებ ველისა უფრო შესაფერი იქნება იქ მყოფ ქართველ კათოლიკებს, რადგანაც ცოტანი იყვნენ, ჰყავდეთ მღვდელი, რომელმაც საიდუმლოები და საეკლესიო წესები შეუსრულოს მათ თავიანთ საკუთარი ტიბიკონისამებრ, რასაც ძრიელ კმაყოფილი დარჩებიან, თუმცა საჭიროებამ იძულებულ ჰყო მიემართათ სომხური ტიბიკონის მღვდლებისათვის წმიდა საიდუმლოების მისაღებად, რადგან სხვა გზა არ ჰქონდათ. ესრეთ აზრისა მარტო ამ საგნის შესახებ არ არის წმიდა კრება; იგი მუდამ ზრუნავს მწვალებელთა მოქცევისათვის და უმზადებს ყოველ საშუალებას, რათა ადვილად შეიძლონ შეუერთდნენ ჭეშმარიტ ეკკლესიას, იმათი მოქცევის საქმეს ერთი დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი ის გამოუჩნდება, რომ თავიანთ შეცდომილებასთან იძულებულნი გახდებიან ეგრეთვე თავიანთი საკუთარი ტიბიკონიც დაუტეონ. ამის გამო კრება მეტად მოწადინებულია, ველსა და ახალციხეში განწესებულ იქნენ ქართველი მღვდლები ბერძნის ტიბიკონისა, რათა მათი საშუალებით შეუერთდნენ იმავე ტიბიკონის სქიზმატიკები, რომლებიც მანდ იპოებიან. წმიდა კრების უმთავრესი მიზანია და კიდევ თხოულობს ქართველის ყმაწვილების ბერძნულ ტიბიკონზე აღზრდასა. თქვენც უეჭველად თანახმა უნდა იყვნეთ და არ დაზოგოთ მთელი თქვენი თანამშრომლობა"[13].

რომში სომხურ ტიბიკონზე ნაკურთხმა პეტრე შაჰყულიანმა ყურად არ იღო პროპაგანდის რჩევა. იგი თავდადებით იცავდა არა თუ ველში, არამედ ახალციხეშიც, სომხურ რიტსა და ტიბიკონს. მიუხედავად ველელთა არაერთი თხოვნისა, რომს თავი მეტად აღარ შეუწუხებია და აღნიშნული სოფლის მოსახლეობა ბოლომდე სომხურ კათოლიკურ რიტზე დარჩა. ველში ხშირად დაიარებოდნენ ახალციხის ქართველი კათოლიკენი და მათ ბედზე ისინიც წუხდნენ. 1829 წ. მარტში, როცა დამარცხებულმა აჰმედ ხიმშიაშვილმა ახალციხიდან უკან დაიხია, გზად სოფელ ველს მიუსია თავისი ლაშქარი და საშინლად გაძარცვა. აფორიაქებულმა ველელებმა გადაწვიტეს ომის დამთავრებამდე გასცლოდნენ მტრიან სოფელს. იმავე 1829 წ. ზაფხულში გადმოვიდნენ ჯავახეთს და დასახლდნენ ახალქალაქის გარშემო მუთი-ბეგ ფალავანდიშვილის საბატონო სოფლებში: ბავრას, ხულგუმოს, კარტიკამს და ტურცხს. ამ დროს მათ გარშემო ჩამოსახლდნენ არზრუმელი სომხებიც. ახალ სოფლებში ჩასახლებულ ველელებს ეკლესიაში კვლავ სომხური რიტი დაუკანონეს. ამგვარ ვითარებაში ჩაყენებული ხალხი თანდათან ივიწყებდა თავის ვინაობას, რადგან შთამომავლობა სხვა ჰქონდათ, ენა სხვა და სარწმუნოება სხვა. XIX საუკუნეში ველელებს სომხური სასულიერო სასწავლებელი გაუხსნეს და მათ ცხოვრებამაც თითქოს გარკვეული მიმართულება მიიღო[14]. 1883 წელს, როცა სომეხ და ქართველ კათოლიკეთა შორის ველიდან გადმოსახლებულთა ეროვნული კუთვნილების შესახებ კამათი დაიწყო, მთავრობამ საკითხის შესასწავლად იგნატიევის თავმჯდომარეობით საგანგებო კომისია გამოყო. კომისიამ დაადგინა, რომ „ველელები წარმოშობითა და ყოფაქცევით ქართველები არიან და ახლა ასწავლიან სომხურ ენას"[15]. იგივე დასკვნა გააკეთა დონდუკოვისა და კორსაკოვის მეორე კომისიამაც. მაგრამ აღნიშნული კომისიების დასკვნებს არ მოჰყოლია ჯეროვანი შედეგი. როგორც აღვნიშნეთ, სოფელ ველის ქართველი კათოლიკური მოსახლეობა 1829 წელს გადმოსახლდა ჯავახეთში და დაიკავა სოფლები: ბავარა, კარტიკამი, ტურცხი, ხულგუმო. მათ გარშემო რუსეთის ხელისუფლებამ კომპაქტურად დაასახლა ყარს-არზრუმიდან შემოყვანილი სომხები. სომხურ-ეთნიკურ გარემოში მოხვედრილი ეს ქართული მოსახელობა „გასომხდა", უფრო სწორედ „გაასომხეს". მიუხედავად ამისა მათ საერთოდ არ იცოდნენ სომხური ენა და კარგად ახსოვდათ თავიანთი ქართული გვარებიც. საბჭოთა ხელისუფლების დროს, ისინი, როგორც სომხურ-კათოლიკური რწმენის მატარებელნი სომხებად ჩაწერეს, სომხური სკოლები გაუხსნეს"[16], რასაც შედეგად მოჰყვა მათი სრული გასომხება. თუმცა მათ შთამომავლებს დღემდე ახსოვთ თავიანთი წარმომავლობა.

სოფელ ველის მოსახლეობის ეს მეტად სავალა-

[12] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 477-79.

[13] მ. თამარაშვილი, საქართველოს ეკლესიების ისტორია, თბ., 1995, გვ. 487-488.

[14] ლომსაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 364.

[15] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 330, ფ. 27.

[16] რ. თოფჩიშვილი, ეთნოგრაფიული შტუდიები, I, თბ., 2005, გვ. 142.

ლო ბედი დღესაც დამაფიქრებელი და ნიშანდობლივია სამხრეთ-დასავლეთ (და არა მარტო სამხრეთ-დასავლეთ) საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის.

TINA IVELASHVILI
Doctor of History, Professor

FATE OF GEORGIAN CATHOLICS IN VILLAGE VELI

Resume

Until XVIII c. population of historic georgian village Veli sacredely retained native language as well as orthodox faith. According to Sh. Lomsadze, ”Veli is among those few villages, which painstakingly maintained orthodox faith. After annexation of South-Western part of Georgia by Turkey, village Veli represented the part of Artaani region. At the end of XVI c and the first part of XVII c. 30 families lived in village Veli. The ancient names from Veli families as well as state taxes reveal that population was entirely christian-orthodox.

ТИНА ИВЕЛАШВИЛИ
Доктор исторических наук, профессор

СУДЬБА ГРУЗИНСКИХ КАТОЛИКОВ В СЕЛЕ ВЕЛИ

резюме

Жители села Вели до XVIII века сохраняли как родной язык, так и православную веру. По словам Ш. Ломсадзе «Вели принадлежит к числу тех исключительных сел, которые ценою больших жертв сохранили христианскую веру». После аннексии Турцией большей части Юго-Западной Грузии с. Вели входило в лесной район Артанской ливы. К концу XVI века и первой половины XVII века в с. Вели проживало 30 семей. О том, что население всецело было грузинское христианско-православное явно свидетельствует имена глав семейств и их отцов, а так же виды государственных налогов.

В именах глав семейств фигурировали: Элизбар, Ясе, Поцхвера, Махаребел, Вардзел Деметре, Пирала, Адамо, Мацаца, Батата, Орбел, Закара, Иосеб, Георгий, Иване, Абесалом, Реваз, рособ, Гогича, Симон, Саба, Кавтар, Бера, Тэвдоре, Папуна, Зураб и т. д., которые с ранних времени являлись традиционно установленными грузинскими именами и которые во всяком случае уже с IX века интенсивно фиксируются в грузинских письменных источниках.

Свидетельством тому, что даже к концу XVIII века определенная часть населения пока еще была православной, является обращенное к пропаганде письмо падре Андрия Палермского, написанное в 1786 году. То, что население Вели жило по грузинскому типикону, хорошо видно и из писем жителей села посланных старшему подре.

დავით მაისურაძე
პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი

უაკ (UDC) 94(479.22)

შენიშვნები ისტორიულ თემებზე

„იბრძოლეთ ჩვენი ემირი წინაპრების მსგავსად, რათა საკუთარ თავში და თქვენს გარშემო დაიცვათ თქვენი წელი საქართველო. დღეს ეგ ომია თქვენი დიდგორი, თქვენი ბასიანი“.

ილია II

საშობაო ეპისტოლე 2007 წლისა

წინათქმა

„შენიშვნები ისტორიულ თემებზე“ „იუდას მორალის“ ორგანული გაგრძელებაა, ოღონდაც ამ ნაწილში განხილულია ზოგიერთი ქართველი, სომეხი და ასევე სხვა ეროვნების მეცნიერთა შრომები, რომელთა იდეური ხაზი აშკარად მიუთითებს ნაშრომის შემკვეთის და აქედან გამომდინარე შეკვეთილი ნაშრომის პოლიტიკურ ხასიათზე, რაც ნებისმიერ სამეცნიერო შრომას უკარგავს მეცნიერულ ხარისხს, აცლის მეცნიერულ ღირსებას!

ადვილი მისახვედრია, რომ ჩემს მიერ მითითებულ მეცნიერთა შრომები სპეციალურად დაიწერა ქართველური, ე.ი. კოლხურ-იბერიული წარმოშობის ტომების ისტორიის გასაყალბებლად. წინმდებარე ნაშრომში დასახელებული მეცნიერები, ან მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი წლების მანძილზე მუშაობდნენ (და ალბათ დღესაც მუშაობენ!) ფრიად სამარცხვინო იდეით შეპყრობილნი – აქციონ ქართველი ხალხი უწარსულო, უმამულო, რწმენისა და ეროვნების, ენის არმქონე ერად! ნებისმიერი ეროვნების ნორმალური პიროვნება დამეთანხმება, რომ მსგავსი ქმედება თავისთავად არის ბინძური ჩანაფიქრი და ბინძური საქმე... დამამცირებელი!

ქართველი ერის ქრისტიანობამდელი და ქრისტიანობის მიღებიდან პირველი ოთხი საუკუნის ისტორიული მონაკვეთები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მცირე მასალით არის წარმოდგენილი, რაც ართულებს აღნიშნული მონაკვეთების ისტორიის სრულყოფილ ანალიზს და აძნელებს ამ ანალიზის შედეგების სრულფასოვნად მიტანას საზოგადოებამდე, ახალგაზრდობამდე.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩემი ნაშრომი მხოლოდ საერო კუთხით უნდა იქნეს დანახული და შეფასებული, და არავითარ შემთხვევაში საღვთისმეტყველო პოზიციიდან, რადგან პირადად მე ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ პრეტენზია განვაცხადო მართლმადიდებელი ეკლესიის, უცხო თვალისთვის საკმაოდ მკაცრ, მაგრამ ჩვენთვის შესისხლხორცებულ და ადვილად მისაღები დოგმატის სრულყოფილ ცოდნაზე. სტატიაში დაშვებული ხარვეზები და ემოციები მაპატიონ იმ წმინდა მამებმა, რომლებიც ყურადღების ღირსად ჩათვლიან ჩემს უმნიშვნელო ღვაწლს ჩვენი სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის ისტორიული ანალების მოძიების და შემდეგ მათი საზოგადოებამდე მიტანის საქმეში. ჩემს თაობას კი მინდა ვუთხრა, რომ რწმენა სრულყოფს და აყალიბებს ადამიანს პიროვნებად!

P. S. ყურადღებისთვის უღრმეს მადლობას ვწირავ ჩემს ერთგულ მკითხველს.

ჩვენი „კეთილი მეზობლები“, – პოლიტიზირებული ეჩმიაძინის მიერ დაგეშილ სომეხ ვაი-მეცნიერთა გარკვეულ ჯგუფს ვგულისხმობ (და არა მშრომელ ხალხს), ფრიად დაშვრნენ და ცდა არ დააკლეს მრავალ საკითხზე ჩვენთვის საპოლემიკო მასალები მოემზადებინათ და მოეწოდებინათ, სხვა შემთხვევაში ალბათ ეს სტატია ნამდვილად არ დაიწერებოდა... დავიწყოთ თავიდან: გასულ წელს (2005) ხელში მომხვდა რუსი მეცნიერების, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორების (!) გუბოგლოსა და სიმჩენკოს რედაქციით 1990 წლის 11 მარტის რუსულ გაზეთ „სოიუზში“ გამოქვეყნებული სტატია „სომხები“. აღნიშნული სტატიიდან ციტატას ბატონ ანზორ თოთაძის მიერ თარგმნილს და გამოქვეყნებულს მთლიანად მივაწოდებ ჩემს მკითხველს: „სომხების ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ინდოევროპელმა წინაპრებმა – არიმებმა, რომლებიც მოხსენებულია ჰომეროსის ეპოსში(?). ჩვენს წელთაღრიცხვამდე III და II ათასწლეულების მიჯნაზე ისინი გადავიდნენ ფრაკიის სანაპიროდან მცირე აზიის სანაპიროზე და მოგვიანებით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIV-XIII საუკუნეებში გავრცელდნენ (?) მცირე სომხეთის ტერიტორიაზე. მათმა ქვეყანამ ხეთურ ქრონიკებში მიიღო სახელწოდება არმატანა. XIII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ფრიგიელების მიერ ხეთის სახელმწიფოს განადგურების შემდეგ სომხების წინაპრები შეერივნენ ხეთებს, ხურიტებს, აბხაზ, ადიღეველ და ქართველურ ტომებს. – ასურელები ამ დროს სომხებს აღნიშნავდნენ სიტყვით, რომელიც ახლოა სომხების თანამედროვე ქართულ სახელწოდებასთან – სომეხი. მაშინდელი დროის ქვეყნის დასახელება – ჰაიასა-ჰატე (?) დაედო საფუძვლად სომხების თვითსახელწოდებას – ჰაი და სომხეთს – ჰაიასტანი. XIII-XII საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე სომხური ტომები ღრმად იჭრებიან სომხეთის მთიანეთსა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, რის შემდეგაც იწყება ამ რეგიონის სომხური ტომების კონსოლიდაციის პროცესი. IX საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე სომხები შედიან ურარტუს სახელმწიფოში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში სომხების, როგორც ეროვნების ფორმირების პროცესი დამთავრდა. 521-517 წლების ბეხისტუნის წარწერაზე უკვე ფიგურირებს სომხების გამოსახულება, რომლებიც ხარკს უხდიან აქემენიდის მეფეს და ნახსენებია ქვეყანა არმინა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე II და I საუკუნეების მიჯნაზე იქმნება დიდი სომხეთი. ჩვენი წელთაღრიცხვის 1 წელს რომაელები ამხობენ არტაშესიდების დინასტიის სომეხ მმართველებს, მაგრამ სომხებმა ისევ მოიპოვეს დამოუკიდებლობა მე-13 საუკუნეში. ამ დროს 301 წლიდან სომხეთში ვრცელდებოდა ქრისტიანობა. III-IV საუკუნეებში სომხეთი ხდება სასანიდებისა და რომაელების დაპყრობითი ომების არენა, რომელიც 387 წელს ბიზანტიისა და ირანის მიერ სომხეთის გაყოფით დასრულდა. სომხეთის სახელმწიფოებრიობა ისევ აღდგა XII-XIII საუკუნეებში, იქმნება ფეოდალური სამთავროების ქსელი ქართველი ბაგრატიონების უმაღლესი ხელისუფლებით.“ (?) რას ნიშნავს აღსდგა?

ამოდენა სტატიაში ისტორიული სიმართლის მისხალიც არ მოიპოვება, არათუ მეცნიერული კვლევის ლოგიკური ანალიზი! საკვირველი და სამწუხარო კი ისევ ამ რუს მეცნიერთა მყვირალა წოდებები და ტიტულებია, რამაც შეიძლება ადვილად შეაცდინოს ჩვეულებრივი მკითხველი, ოღონდაც ისტორიაში ნაკლებად ჩახედული! ძალიან კი გარჯილან, ეზოვის არ იყოს, თავგამოდებით ცდილობენ როგორმე სომხები, ე. ი. ჰაიქები უძველეს ერად აქციონ ჩვენს წელთაღრიცხვამდე თუ მეტი არა XVIII ან XVII საუკუნეებში მიანც! გასაკვირია მეცნიერთა მაღალი წოდებები, როცა ელემენტარული ისტორიული ჭეშმარიტება ვერ გაუცნობიერებიათ, ამ შემთხვევაში ყურადღებას არ გავამახვილებთ მარტო გუბოგლოსა და სიმჩენკოზე, ეს შენიშვნა ყველას შეეხება, ვინც უზუსტობას დაუშვებს და ჭეშმარიტ ფაქტს საკამათოს გახდის. პირველი და უმთავრესი საკითხი აბსოლუტურად ნათელია და ჩვენ სტატიის წინა თავში სრულიად გარკვევით ვისაუბრეთ, რომ დღევანდელ სომხებზე, იგივე არმენიელებზე პირველი და უტყუარი ცნობები ჰეროდოტეს მოეპოვება! ის რამდენჯერმე უბრუნდება მათ და მე თითქმის ყველა ციტატა ჰეროდოტედან ამოღებული სიტყვა-სიტყვით მივაწოდე მკითხველს. როგორ დავიჯერო, გუბოგლოსა და სიმჩენკოს არ ჰქონდათ ჰეროდოტე მეცნიერულად გადამუშავებული? სულ ცოტა, წაკითხული მაინც? აბა რაღას მივაწეროთ ეს აბსურდული მოსაზრება, რაც მოჰყავთ თავიანთი რედაქციით გამოქვეყნებულ შრომაში? თუ ისევ ეზოვის მაგალითია? მე უფლებას ვიტოვებ ვუპასუხო მათ მეცნიერულ ნამოღვაწარს: ა) რა თქმა უნდა ჰაიქები, არმენიელები ინდოევროპული ტომები არიან, მაგრამ მათი სახელი შეუძლებელია მივაკუთვნოთ არიმებს, რადგან ამ პერიოდში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-II ათასწლეულების მიჯნა) არმენიელები, როგორც ერი ან ხალხი, ან ტომები არ ფიგურირებენ ისტორიის სარბიელზე და ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხვდებოდნენ ჰომეროსის ეპოსში! უფრო მეტად დაუჯერებელი ჰიპოთეზაა სომხების მიგრაცია III-II ათასწლეულის მიჯნაზე ფრაკიიდან მცირე აზიის სანაპიროზე, რადგან ეს მოძრაობა უეჭველად აისახებოდა თიხის ფირფიტების დამწერლობაში და არა 1990 წლის ეზოვისებურ ნააზრევში.

ავტორები დამაჯერებლად ცდილობენ წარმოსახონ, რომ ძვ. წელთაღრიცხვის XIV-XIII ს-ში სომხები, იგივე არმენები ან ჰაიკები თურმე „გავრცელდნენ მცირე სომხეთის ტერიტორიაზე და მათმა ქვეყანამ ხეთურ ქრონიკებში მიიღო სახელწოდება არმატანა.“ – საკვირველია, რომელი საიდუმლო ისტორიული წყარო აღმოაჩინეს ხეთური ქრონიკების? რომელ ისტორიკოსთანაა მითითებული აღნიშნული თეზა? რადგან ავტორები ამტკიცებენ და ჰიპოთეზის არსებობასაც კი გამორიცხავენ, მტკიცებას საფუძველი სჭირდება ბატონებო! დიახ საფუძველი! უსაფუძვლოდ და უსაძირკვლოდ არანაირი მტკიცებულება არ შეიძლება მეცნიერებამ გაიზიაროს, ეს ელემენტარული ჭეშმარიტება კი, თუ მეტი არა, დოქტორებმა ნამდვილად უნდა იცოდნენ!

დამეთანხმებით ეს პერიოდი (ძვ. წ. XIV-XIII სს.) არგონავტების ეპოქაა, როცა ქართული სახელმწიფო – სიმდიდრითა და სიძლიერით განთქმული კოლხეთი ლაღად გადაჭიმულიყო შავსა და კასპიის ზღვებს შორის და ერთიანი იყო იმერი და ამერი. რძისა და ღვინის წყაროები მოედინებოდნენ და ოქროთი დაფერილი სა-

სახლეებით დამშვენებული ქალაქები ყვაოდა!.. დიახ!.. ეს დრო საქართველოს ძლიერების ეპოქა იყო, აიეტის ეპოქა, მედეას ეპოქა... ამავე პერიოდში დაიწყო ებრაელი ხალხის მიერ ბიბლიის შექმნა! და ეს უაღრესად ყოვლისმომცველი მოსეს ხუთწიგნეული უაღრესად სრულყოფილ მასალებს შეიცავს ხალხთა განსახლების შესახებ!.. ბიბლია დუმს ჰაიქების შესახებ! ე. ი. ბიბლია და ბერძნული წყაროები მსგავსს არაფერს მოგვითხრობენ, ასე რომ, კიდევ ერთხელ ხდება ისტორიის გაყალბება სომხურად!.. რადგან ამ პერიოდში დღევანდელი მცირე სომხეთის ტერიტორია მთლიანად ქართველ ან ქართველთა მონათესავე ტომებს უჭირავთ, ხოლო არმენები ჯერ კიდევ არ გამოყოფიან ფრიგიელებს, და თუ არმატანას მსგავსი სახელწოდება სადმე ამოიკითხა გუბოგლმა ან სიმჩენკომ, უთუოდ სხვა ტომების აღმნიშვნელია, რადგან დედამიწაზე მოსახელე ხალხები კი არა, უდიდესი იმპერიებიც განადგურდნენ. ახლა შემდეგი: ბატონი მეცნიერები დასკვნის სახით გვაწოდებენ, რომ: „XII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ფრიგიელების მიერ ხეთის სახელმწიფოს განადგურების შემდეგ სომხების წინაპრები შეერივნენ ხეთებს, ხურიტებს, აბხაზ, ადიღეელ და ქართველურ ტომებს“... აღნიშნული თეზა ან დაცინვაა, ან კიდევ სიბეცე, უმეცრება, რომელსაც მეცნიერებასთან ნამდვილად არა აქვს არანაირი კავშირი! ათასჯერ არის გამოკვლეული და დასაბუთებული მიუკერძოებელი და ავტორიტეტული მეცნიერების მიერ, რომ დღევანდელ სომხებს, ჰაიკებს, ე. ი. არმენებს არავითარი ნათესაური კავშირი არა აქვთ ქართველ და კავკასიელ ხალხთან! გუბოგლოსა და სიმჩენკოს მტკიცება იმდენად გულუბრყვილო და უსუსურია, რომ უწლოვანი ბავშვის ნააზრევს თუ შევადარებთ. რაც შეეხება სომხების, ე. ი. არმენების სახელწოდებას – ჰაიკებს – ეს უკვე გასაგებია – მათი ეთნარქის სახელწოდებაა და აქ არაფერ შუაშია ბიბლიური იაფეტი ან თირასი! სამარცხვინოა ასეთი ზღაპრების შეთხზვა ჰაიკის, ე. ი. ჰაოსის ირგვლივ, რომელიც ლეონტი მროველმა ყოვლად უსაფუძვლოდ და ბოროტი განზრახვით ქართველთა მეფის ქართლოსის შვილად აქცია! სომხურ ხალხურ ზეპირსიტყვაობას ძალიან კარგად აქვს შემონახული თავიანთი მამამთავრის სამაგალითო ცხოვრება და დღესაც ამ მითებით სულდგმულობენ, რაც მისაბაძია კიდეც! ამას გარდა, აუცილებლად კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, – დღევანდელ სომხებს, იგივე ჰეროდოტეს არმენებს არავითარი ნათესაური კავშირი არ ჰქონიათ და, არც შეიძლებოდა ჰქონოდათ „ხეთებთან, ხურიტებთან, აბხაზ, ადიღეელ და ქართველ ტომებთან“... რასაც აშკარად ამტკიცებს მათი აბსოლუტურად განსხვავებული არამარტო წარმართული კულტურა, არამედ ანთროპოლოგიური გამოკვლევები! სწორედ ანთროპოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ მკაცრად გენეტიკურად ამ ხალხთა სხვადასხვა ჯიშისგან, ფუძისგან წარმომავლობას! ე. ი. ისინი, არმენები-ჰაიკები არ განეკუთვნებიან კავკასიის აბორიგენ რასას! (ამ საკითხს ჩვენ კვლავ შევეხებით ცოტა მოგვიანებით) ამდენად, ბატონები გუბოგლო და სიმჩენკო – თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ცდილობენ ტენდენციური მიმართულება დაამკვიდრონ მეცნიერებაში, რადგან ისტორიოგრაფია და ენათმეცნიერება ერთი ხის შტოებია! აღნიშნული ქმედება გვაგონებს მორდტმანის, პატკანოვისა და მარის თავგანწირულ ძალისხმევას – სომხური ენა ექციათ სამყაროს ცივილიზაციის საწყისად, ე. ი. სომხური ენით ამოეკითხათ და ამოეხსნათ ეგვიპტური, ფინიკიური, ჩინური, შუმერული, ბერძნული, ლათინური, სემური შრიფტები, იეროგლიფები და კრიპტოგრაფიული ჩანაწერებიც კი! ეს სასაცილოა ბატონებო! მეცნიერებასთან მსგავსი არასერიოზული მიდგომა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს ნებისმიერს, ვინც შეეცდება ისტორიული დოკუმენტების გაყალბებას! თეთრის – შავად ჩვენებას!..

მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებებმა, საბჭოებმა, კავშირებმა, აკადემიებმა, უნივერსიტეტებმა ერთხმად გაიზიარეს უდავო ჭეშმარიტება, რომ სომხები ინდოევროპული რასის წარმომადგენელი ხალხია, აბსოლუტურად განსხვავებული ქართველებისა და საერთოდ კავკასიელებისაგან, ვერ გამიგია ამაში საძრახისი რა არის? რატომ ცდილობენ ასე თავგანწირვით დანათესავებას, როცა მათთან არაფერი საერთო არ გააჩნიათ, გარდა 25 საუკუნოვანი მტრული დამოკიდებულებისა!..

უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ ბატონების გუბოგლოსა და სიმჩენკოს „მონაპოვარს“ არიმების შესახებ, და მინდა მკითხველს განვუმარტო, რომ არიმანი (მხოლობითში, მრავლობითში იქნება არიმანები, იგივე არიმები) ძველ ირანელთა წარმართული ხანის პანთეონში (აღმოსავლეთ ირანი) ზოროასტრიზმის რელიგიაში ბოროტი სულები იყვნენ, სიბნელის მავნე ძალები. ჩვენ უკვე ვიცით წინა თავებიდან, რომ ძველი სომხური წარმართული პანთეონი ზოროასტრიზმის მიმდევარი იყო! არც ამაშია რაიმე საძრახისი და არც დამალვაა საჭირო და არც უარყოფა! სიმართლე, ჩემო მკითხველო, ყველაზე პირბასრი იარაღია ნებისმიერი ბრძოლის ველზე!

ასევე გვაქვს კიდევ მსგავსი სახელწოდება მითიური ცალთვალა, მეომარი არიმასპების, გრიფონების მეზობლად მცხოვრები ხალხის... მკითხაობას დრო სჭირდება, მეცნიერებას კი ფუჭად დასახარჯი დრო ნამდვილად არა აქვს, არმენები, უფრო სწორად რომ ვთქვათ ჰაიკები, როგორც ერი ან ტომი რომ არსებულიყო ადრე, ჰეროდოტემდე, იგი, ე. ი. ჰეროდოტე იმდენად ბრძენი ისტორიკოსი გახლდათ, არავითარ შემთხვევაში არ გამორჩებოდა. მან თქვა სიმართლე ამ ხალხზე და ამ სიმართლის გადაკეთება, ჩამატება, ჩალამაზება არამარტო შეუძლებელია, სამარცხვინოა! ასე რომ, ნუ ვეძებთ კატას ბნელ ოთახში, სადაც ის ნამდვილად არც ყოფილა და არც არის!

ისედაც ბევრი საძრახისი საქმე ჩაიდინეს არმენების გარკვეულმა ჯგუფმა თუ ხალხმა საქართველოს წინააღმდეგ, ასევე სომხური ორიენტაციის ქართველებმა, თუ შეიძლება მათ ქართველები ვუწოდოთ. მაგალითისთვის მოვიყვან „ქართლის ცხოვრებას“. „ქართლის ცხოვრება“ ხელით იწერებოდა საუკუნეების მანძილზე და რომელ გადამწერსაც რა სურდა, იმ სისულელის ჩამატება შეეძლო შიგ! და ამ გზით შებილწული, ცრუ ცნობებით აავსეს ქართველთა ცხოვრების ბრწყინვალე ისტორიული ხელთნაწერი ძეგლი მე-6-მე-7 სს-ში. მკითხველს დიდი დრო რომ არ დავახარჯვინო, მოვიტან ერთ მაგალითს: ლეონტი მროველის ტექსტში ჩართულია გაურკვეველი ავტორის ჩანართი: „... დაიპყრო

მან (ალექსანდრე მაკედონელმა) ყოველი ქვეყანა და მოვიდა ქართლად და იხილა ქართველნი სასტიკი წარმართნი, მპყრობელნი უბოროტესი სჯულისა, რამეთუ ცოლ-ქმრობისა და სიძვისათვის არას დაგიდევდნენ ნათესაობას, ყოველსა სულიერსა ჭამდნენ, მკვდარსაც შეშჭამდნენ და იყავნ ვითარცა მხეცნი და პირუტყვნი" („ქართლის ცხოვრება", ტ. I, გვ. 11, 1994 წ).

გადავშალოთ „ქართლის ცხოვრება" ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", გვ. 14-15: „ხოლო ესე ქართველთა ტომნი, ვითარცა გვაუწყებს მატიანე ჩუენი იყვნენ ყოველთა ტომთა და ნათესავთა უუბოროტესნი და უუღთოესნი"... რას ნიშნავს ყოველივე ეს ბატონებო? რა დიდი სიძულვილი, შხამი, შურისგებაა ჩადებული ამ სტრიქონებში! კარგ მთქმელს, კარგი გამგონე სჭირდება, წიგნსაც დაკვირვებით უნდა წაკითხვა. ერს, რომელმაც წარმოშვა წმინდა გიორგი, ბასილი დიდი, დიდი გრიგოლ ხანძთელი და დავით აღმაშენებელი, შეეძლო მსგავსი უკეთური ქმედება ჩაედინა თუნდაც III და II ათასწლეულების მიჯნაზე? თუნდაც პირველ ათასწლეულში? შეიძლება იყო ომები, სისხლისღვრა, ურთიერთმტრობა, მაგრამ მსგავსი საშინელება შეიძლება მიეწეროს ქართველურ ტომებს? არავითარ შემთხვევაში! გადაშალეთ ცნობილი ბერძენი მწერლის აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა", სადაც ძალიან კარგადაა ნაჩვენები და დახასიათებული ქართველთა ბუნება და ზნე-ჩვეულებანი, სოციალური და პოლიტიკური ყოფა-ცხოვრება!

ე. ი. აღნიშნული ჩანართი სპეციალურადაა გაკეთებული! მიზანმიმართულად! არცაა გასაკვირი, რადგან 24 საუკუნეა ჩვენი „კეთილი მეზობლები" არამარტო ცდილობენ ქართული სისხლის შერყვნას და წარწყმედას, არშაკიდების ეპოქაში ეს საქმე მშვენივრად მოახერხეს კიდეც, რაც შეეხება „ქართლის ცხოვრებას" და უმნიშვნელოვანეს ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს მე-6-მე-7 ს-ში მათ სომხური რედაქტირება გაუკეთდათ – მთლიანად ან ნაწილობრივ შეიცვალა ტექსტები! ამ საკითხზე ვისაუბრებთ. შემდეგ კი გიორგი III-ის დროს მხარგრძელების მეშვეობით... იყო პერიოდები საქართველო ამოისუნთქავდა ამ დაუძინებელი მტრების მორიელის თვისებისაგან, მაგრამ, დრო და დრო ისევ მწარედ იჩენდა თავს ქართულ სხეულში და ქართულ მიწაზე უცხო თესლისგან შერეული ჩირქი და ბალღამი! ისევ გადავშალოთ ვახუშტი, ვნახოთ რას სწერს ძველ ქართველ ტომებზე, სანამ შეიბილწებოდა სისხლი და საცხოვრისი: „სარწმუნოება მათი (ე.ი. ქართველთა) იყო ერთისა დამბადებლისა ღვთისა თაყვანისცემა, და ფუცვიდიან ქართლოსის საფლავსა. ზნენი აქუნდათ პირთმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისთვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქუეყანისა, ერთისა ცოლისა ქმრობა, რამეთუ მოიყვანონ თვის-თვისთა თანასწორთა: მთავარნი მთავართა, აზნაური აზნაურთა და უმცირესნი უმცირესთა; და ამის მიერ არა იყო მრავალცოლობა, ვითარცა ვიხილავთ ქართლოსისასა და სხუათაცა. არამედ, გარნა თუ მრავალ მთავარ იყვნენ და ოდესმე განდგიან თვის-თვისად, გარნა მარადის გარე მტერთა თვისთა ზედა ერთობდნენ და მორჩილებდნენ მცხეთელ მამასახლისსა და, შეერთბამებულნი, თვისთა ქვეყნისათვის მხნედ იბრძოდიან და იყვნენ მრავალთა წელთა წესთა ამათ ზედა". ალბათ გეცნოთ, მკითხველო, დაახლოებით ასეთივე შინაარსის წარწერებია აღმოჩენილი იმ თიხის ფირფიტებზე, რომელთა ხსენებაც კი შიშის ზარს სცემს არმენებს! დიახ, მართალია ცალკ-ცალკე სამეფო-სამთავროებად იყვნენ დაყოფილნი, მაგრამ გარეშე მტრის წინააღმდეგ ყოველთვის ერთად იბრძოდნენ მანამ, სანამ სამხრეთი ნაწილი არ მოაგლიჯეს არმენებმა იბერიის მიწა-წყალს! ეს სამხრეთის ნაწილი კი ალაროდიელთა ქვეყანა იყო, ჩვენს ცნობიერებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი კეთილშობილი და ალალი ხალხის საცხოვრისი! მტერმა ესეც არ იკმარა! შეეცადა უფრო ღრმად შეჭრილიყო ჩრდილოეთით: ვნახოთ რას სწერს შემდეგ ვახუშტი: „... შემოერიათ გარეგანი წარმართნი: სპარსნი, თურქნი, ასურნი და ბერძენნი და შემდგომად ურიანი და იტყოდიან ესეოდენითა ენითა, და უმეტეს დაივიწყეს დამბადებელი თვისი და წესნი და ჩვეულებანი თვისნი, და იქმოდნენ ყოველთა წარმართთა უწარმართნესნი და უუსჯულოესნი, რამეთუ არღარა უწყოდნენ ნათესაობანი და შერეულ იყვნენ შეყოფითა, ვიდრე წარწერადცა უცხოთა. და კუალად შესძინეს ამას ზედა, რამეთუ, რა მოკუდის ვინმე კაცი ანუ ბრძოლასა, – მეორე ივასხის და შესჭამდიან, ხოლო უკეთუ არა, თვით შესჭამდიან, ვითარცა იტყვ: კარსნელთა მართებს კოდმანელთა ხუთი მკუდარი დღემდე, კუალად სჭამდიან ყოველსა სულიერსა არაწმიდასა. გარნა იყვნენ მცხეთელ მამასახლისის მორჩილებასა ქუეშე და ერთობდნენ მტერთა თვისთა ზედა მრავალსა წელსა". იმდენად ბილწი ზნე ჰქონიათ ამ „შემორეულ" ხალხს, რომ თქმაც გაუჭირდება ადამიანს. ზოგჯერ აგრესიული გრძნობაც გიჩნდება – რატომ ვართ ასეთი კეთილშობილნი, რომ ბოროტს – სიბოროტეს ვპატიობთ, მატყუარას – ტყუილს, მკვლელს – მკვლელობას? – რატომ? ჩვენივე კეთილშობილებით ვღუპავთ ერის მომავალს! ვახუშტი შავით თეთრზე სწერს, რომ ეს ცუდი ზნე ქართველ ხალხს მოუტანა „შემორეულმა" ხალხმა!

ახლა კი გავაგრძელოთ ისევ ვახუშტის „ქართლის ცხოვრების" კითხვა: „ხოლო შემდგომად შემოვიდა ალექსანდრე მაკედონელი. ამან მოსრნა შემოსრულნი წარმართნი სრულიად, თვინიერ ქართლოსიანთა და ურიათა გუართა, არამედ ურჩნი თვისნი ქართლოსიანნიცა, ვითარცა ფარნაოზის მამა, ბიძა და სხუანიცა, და განწმინდა საქართველო ესევითართა უკეთურებათაგან, რამეთუ გვაცნობებენ სარკინოზით ლტოლვილნი დიდონი, რომელნი აწამდე წესსა მას ზედა დგანან, თვინიერ კაცის ჭამისა."

უკიდურეს გასაჭირში ჩავარდნილა ქართველი ხალხი და ადამიანის შეჭმის ფაქტი არ დაფიქსირებულა უკანასკნელი 2500 წლის მანძილზე! რაც შეეხება სომეხი ისტორიკოსის თოვმა მეწოფეცის ცნობას – ახ. წ. XIV საუკუნე, ჩემს მკითხველს უეჭველად ემახსოვრება გაჭირვებაში ჩავარდნილი ჰაიქები საკუთარ შვილებს სჭამდნენ არარატის გავარში! ე. ი. ეს ჩვეულება მოსდგამთ ხალხს, ერს, ტომს წარსულიდან და „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო" – მოგეხსენებათ. რაც შეეხება ალექსანდრე დიდის ეპოქას – ეს მე-4 საუკუნეა ძვ. წელთაღრიცხვით. ის წლები – ძალიან უჭირდა საქართველოს! მაშინდელი ივერია ბერძნულ და ლათინურ წყაროებში იბერიად მოიხსენიება. იბერიად გაერთიანდა კოლხეთი და ივერია. იბერიას მიაწყდა სამხრეთიდან

ლტოლვილი მესხები და ალაროდიელები. მათ ფეხდაფეხ მტერიც მიჰყვებოდა... მტრები კი ჰაიქები, სპარსები და სირიელები იყვნენ... ქართულ საცხოვრისში გამეფებული ქაოსის აღმოფხვრა სცადა ალექსანდრე დიდის თანამოაზრე და ერთ-ერთმა მხედართმთავარმა ქართლოსიანთა გვარის წარმომადგენელმა აზონმა. აზონის საქმე გააგრძელა ფარნავაზმა და განამტკიცა საზღვრები. მისმა მეფობამ ბევრი სიკეთე მოუტანა საქართველოს, მაგრამ ჩვენ მათ არ ჩამოვთვლით. უნდა დამტკიცდეს უმთავრესი – ქართველთა მოდგმისანნი არასოდეს ყოფილან კაციჭამიები – კანიბალები! რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ გაბოროტებულ ჩანართებს, ჩემმა თაობამ უნდა ითავოს და გაწმინდოს, გაასუფთაოს ეროვნული მატიანე მიზნობრივად ჩართული შხამისა და ბალღამისაგან! ყველაფერი რომ წავართვათ ქართველ ხალხს, ტრადიციებს ვერ წავართმევთ. ეს კი იმას ნიშნავს რომ ჩვენი წარსული სუფთაა. საიდან გაჩნდა „ქართლის ცხოვრებაში“ მსგავსი საშინელებები? ვინ ჩაამატა და ჩაურთო? – პასუხის გაცემა ძალიან ადვილია, დიახ, ქართველი ერის მოძულე ადამიანებმა! არაქართული ორიენტაციის მქონე გადამწერებმა, რომელთა ერთადერთი მიზანი ქართველი ხალხის დამცირება, დათრგუნვა, მათი, ე. ი. ქართველთა ცხოველური, მტაცებლური ინსინქტებით წარმოჩენა იყო! ქართველ ტომთა წარმართული პანთეონი იმდენად სუფთა და ზნეობრივად ამაღლებული იყო, რომ იგი მთელი თავისი სისავსით შეერწყა ქრისტიანულ სარწმუნოებას! მაგალითები მრავლად მოგვეპოვება, თუნდაც წმინდა გიორგის სალოცავები, რომლებიც თითქმის ყველგან (მთელ საქართველოში) აღმართულია უძველეს სალოცავთა ფუძეზე. დიახ, ბატონებო! წარსული ნამდვილად ღირსეული ჰქონდა ქართველ ერს, ნამდვილად ღირსეული ... და მისი შებილწვის უფლებას ვერავის მივცემთ... ვერც თვალში ნაცარს შევიყრით და უფროს ძმად ვერ გავიხდით იმ ტომის მამამთავარს, რომელთა მოდგმაც აგერ უკვე 25 საუკუნეა ყოველგვარი ბილწი ხერხებით იბრძვის ჩვენს გასანადგურებლად, გასათელად, დასამცირებლად.

დავუბრუნდეთ ისევ სასაუბრო თემას, ბატონები გუბოგლი და სიმჩენკო თავიანთ გამოკვლევას ურთავენ „ბრწყინვალე“ მეცნიერულ აღმოჩენას, ან მიგნებას: „სომხეთის სახელმწიფოებრიობა ისევ აღდგა XII-XIII საუკუნეებში (ჩვენი წელთაღრიცხვით), იქმნება ფეოდალური სამთავროების ქსელი ქართველი ბაგრატიონების უმაღლესი ხელისუფლებით“. – სად ამოიკითხეს, ან რომელ ისტორიულ წყაროში მოიძიეს ბატონმა მეცნიერებმა მსგავსი ცნობები? სომხეთის სახელმწიფოებრიობა არ აღმდგარა XII-XIII საუკუნეებში! პირიქით, ამ საუკუნეებში აღარ არსებობდა საერთოდ სომხეთის სახელმწიფოებრიობა ბატონებო! და ეს არც საძრახისია და არც სასირცხვილო! სომხეთი – ანისის სამთავროს სახელწოდებით შედიოდა საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში. ეს იყო და ეს! და კიდევ... მხოლოდ 30 წლის მანძილზე მართავდნენ სომეხი ბაგრატუნები სამშვილდეს და მის შემოგარენს. აღმაშენებელმა თურქთაგან გამოიხსნა შემდგომში სამშვილდე და შემოუერთა თავის ქვეყანას! სომხეთის სახელმწიფოებრიობა აღდგა 1918 წლის 28 მაისს. რაც შეეხება მე-4 საუკუნეში ბიზანტია ირანის ომის დროს სომხეთის გაყოფას არც ესაა სწორი. სომხეთი თითქმის მთლიანად ან კიდევ უმთავრესი ნაწილი დარჩა სპარსეთს, ბიზანტიამ სომხეთზე ფაქტიურად უფლება დაკარგა ბატონებო. სპარსეთმა კი სომხეთის სახელმწიფოებრიობა გააუქმა და შეიერთა! რაც შეეხება გუბოგლისა და სიმჩენკოს სტატიას, მართალია დაგვიანებით (საკვირველია ჩვენმა ცნობილმა მეცნიერებმა რატომ აქამდე ხმა არ ამოიღეს?), მაგრამ ახლა მაინც მინდა ვუპასუხო მათ მიერ შეგნებულად გაყალბებულ მნიშვნელოვან საკითხებს, მათი მეცნიერული ნააზრევი თავიდან ბოლომდე ბილწი სიცრუითაა სავსე, რაც უპირველესად შეურაცხმყოფელია თვითონ ღირსეული სომეხი ხალხის. საჭიროდ ჩავთვალე დასკვნის სახით წარმოვადგინო ისტორიულ წყაროებზე მყარად დაფუძნებული დებულება, რომ: 1. ჰომეროსის ეპოსში მათ მიერ მითითებული ხალხი ე. ი. არიმები არ შეიძლება იყოს ჰაიკების წინაპრები, რადგან ამ საკითხზე არავითარ ცნობას არ ფლობს ბიბლია, ბერძნულ-ლათინური ისტორიოგრაფია და ცნობილი თიხის ფირფიტები. 2. III და II ათასწლეულების მიჯნაზე, თუნდაც ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებში ჰაიკები ვერ გავრცელდებოდნენ მცირე სომხეთის ტერიტორიაზე, რადგან ამ პერიოდში ამ ტერიტორიაზე ძლიერი ქართველური ტომები ცხოვრობდნენ, რასაც მიუთითებს ბიბლია, ბერძნულ-ლათინური ისტორიოგრაფია და თიხის ფირფიტების წარწერები. 3. მათი, ე. ი. არმენების ქვეყანა ხეთურ ქრონიკებში ვერ მიიღებდა სახელწოდება არმატანას, რადგან ფრიგიელებმა გაანადგურეს ხეთური სახელმწიფოები, ჰაიკები კი ფრიგიელების ერთ-ერთი სანათესაოს შტო იყო, ამდენად, გამარჯვებული ფრიგიული ტომი, თვითონ არ ისურვებდა დამარცხებულ ხეთებთან შერევას. არც ხეთური ტომები შეირევდნენ მტრებს. სად არის ლოგიკა გუბოგლოსა და სიმჩენკოს რედაქციით გამოქვეყნებულ ეთნოგრაფიული ხასიათის სტატიაში? გაუგებარია, ასე თავგამოდებით რატომ ცდილობდნენ ქართველურ და საერთოდ კავკასიურ ეთნოსთან ნათესაობას (გავიხსენოთ რა დაძაბული და სისხლიანი ურთიერთობა აქვთ წალკაში ჩასახლებულ სომხებს და ქართველ სვანებს ერთმანეთთან დღესაც კი, როცა აბსოლუტურად განსხვავებულ რასასთან გვაქვს საქმე?). 4. ძველი წელთაღრიცხვის XIII-XII სს-ში არმენები არ იყო ცნობილი როგორც ერი, ხალხი, ტომი, ამის შესახებ მკითხველს უკვე მივაწოდე ავტორიტეტულ მეცნიერთა დასკვნები, ამდენად, არმენები ჯერ კიდევ არ არსებობდნენ და ცხადია ვერც შეიჭრებოდნენ და არც შეჭრილან დღევანდელი სომხეთის მთიანეთში, ასევე არც ჩრდილოეთ მოსოპოტამიაში. ავტორები შავით თეთრზე სწერენ „... რის შემდეგაც იწყება (ე. ი. შეჭრის შემდეგ) სომხური ტომების კონსოლიდაციის პროცესი.“ – არმენები ტომებად არასოდეს დაყოფილა და ეს კარგად არის ცნობილი მსოფლიო ისტორიოგრაფიაში. კონსოლიდაცია კი უცხო სიტყვათა ლექსიკონს თუ მოვიშველიებთ გაერთიანებას, შემჭიდროებას ნიშნავს. ვისთან გაერთიანდნენ არმენები? რა თქმა უნდა კონსოლიდაცია მოგვიანებით ხდება სპარსელებთან, რაც ძალიან კარგად გამოიყენა არმენების აგრესიულმა ხასიათმა და ურარტუს განადგურების შემდეგ ალაროდიელები და მესხები განდევნა მამაპაპური მიწა-წყლიდან, რისი აღიარებაც დღეს ძალზე უჭირთ აივაზიანს და

მათ თანამოაზრეებს. 5. „IX-ს-ში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჰაიქები (ე. ი. არმენები) შედიან ურარტუს სახელმწიფოში“. – ეს წინადადება გაუგებარია! დღევანდელი სომხები, იგივე არმენები ან კიდევ ჰაიკები არიან, რომლებიც არ იყვნენ და არც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ურარტუს სახელმწიფო გაერთიანებაში, რადგან აღნიშნულ სახელმწიფო შემადგენლობაში შედიოდა მხოლოდ ეთნიკურად მონათესავე იბერიელ-კავკასიელ ხალხთა სამეფოები. ძლიერ ასურეთს დაუპირისპირდა ურარტუს ქვეყნების გაერთიანებული სამეფო ერთი ჯიშის, ერთი ენისა და ერთი კულტურის მქონე ხალხი. ურარტუელ ხალხს ჰქონდათ საერთო ენა და საერთო სალოცავები,. ე. ი. საერთო წარმართული კულტურა, რაც აბსოლუტურად განსხვავებულია არმენების წარმართული კულტურისაგან. ურარტუელთა ღვთაებებზე და ხალხზე მოგვითხრობენ ის უამრავი თიხის ფირფიტები და წარწერები, რომლებიც აღმოჩნდა ვანსა და კარმირ-ბლურში. ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, არმენები მიეკუთვნებოდა იმ ხალხთა ჯგუფს, ვინც ებრძოდა ურარტუელებს (ჩვენ ამის შესახებ მრავალგზის ვისაუბრეთ); ასევეა დაფიქსირებული მათი წარმართული კულტურის პანთეონშიც. ურარტუელთა ან იგივე ქართველურ ტომთა თეშუბი, წყლისა და ჭექა-ქუხილის ღმერთი მუდმივ ბრძოლაშია ზოროასტრიზმის ცეცხლის ღმერთთან! მათი ე. ი. ურარტუელთა განადგურების შემდეგ კი დაიკავეს ის მიწა-წყალი, სადაც ურარტუელები, იგივე ალაროდიელები და მესხები სახლობდნენ. ე. ი. დღევანდელი მცირე სომხეთის ტერიტორია, დღევანდელი სომხეთის მთიანეთი, რომელსაც ადრე მესხეთის მთები ერქვა და ჩრდილოეთი მესოპოტამია! და ეს ისტორიული პროცესი, ე. ი. ურარტუს ძლიერი სახელმწიფოს დანგრევა საბოლოოდ დამთავრდა ძვ. წ. IV საუკუნეში (ორი საუკუნე გრძელდებოდა)! ამ დროიდან უკვე არმენები თამამად ეყოფიან ფრიგიელთა მონათესავე ხალხებს, და უკვე სპარსულ ხმალს ამოფარებულნი და სპარსეთთან დანათესავებულნი იმკვიდრებენ თავიანთი ეთნარქების მკვიდრ სახელწოდებას – არმენებისას, ჰაიკებისას. აღნიშნულ საკითხზე მე ვრცლად ვისაუბრე სტატიის წინა თავებში ავტორიტეტულ მეცნიერთა გამოკვლევებზე დაყრდნობით, მხოლოდ ერთ ფრაზას დავამატებდი, რომ რამდენი სისულელეც მოუვა ადამიანს თავში (გონება თავისუფალია) არ შეიძლება ყველა ჰიპოთეზა მეცნიერულ დოგმად აქციოს. ამდენად, გუბოგლოსა და სიმჩენკოს რედაქციით წარმოდგენილი სტატია არავითარ მეცნიერულ ღირებულებას არ შეიცავს. მასში მხოლოდ ერთ საკითხზე შეიძლება ყურადღების გამახვილება, რომ ასურელები ქართული გამოთქმა „სომხებით“ აღნიშნავდნენ ქართველი ტომების სამხრეთით მცხოვრებ იგივე სამხრეთელ ქართველებს და არა არმენებს. აი, რას წერს სიმონ ყაუხჩიშვილი: „... როდესაც ინდოევროპელმა ტომებმა გადმოლახეს კავკასიის საზღვრები და მათი ერთი ნაწილი („არმენიელები“) დასახლდა ქართული პროვინციის „სომხითის“ საზღვრებთან, ქართველებმა „სომხითის“ სახელწოდება გადაიტანეს „არმენიელების“ ქვეყნების აღსანიშნავად და თვით მცხოვრებლებსაც („არმენიელებს“) უწოდეს „სომხები“ („ქართლის ცხოვრება“ ტ. II, გვ. 57).

გუბოგლოს, სიმჩენკოს, ეზოვისა და პატკანოვის მიმდევართა გასაგონად მინდა განვაცხადო, რომ აღნიშნულ საკითხს არამარტო მოსაზრებები, მეცნიერული გამოკვლევები და ღრმა ფილოლოგიური და ისტორიული შრომები მიუძღვნეს ისეთმა ავტორიტეტულმა მეცნიერებმა, როგორც ლენორმანი, რაულინსონი, ბიუფი, მასპერო, სეისი, გუიარი, რობერი, მორგანი, ჰუმბოლტი არიან და მათი აზრით იბერიული რასა აბსოლუტურად განსხვავდება არმენებისაგან.

როგორც მოგახსენეთ აღნიშნულ საკითხზე წინა თავებში საკმაოდ საფუძვლიანად ვისაუბრეთ და ამჯერად მკითხველის გადაღლას არ ვთვლი საჭიროდ. ერთად-ერთი, რისი დიდი სურვილიც მაქვს, მინდა საზოგადოებას გავაცნო ვაი მეცნიერთა შორის ფრიად ავტორიტეტული პიროვნება აკადემიკოსი სურენ აივაზიანი. ვინ ბრძანდება იგი და რომელი შრომების საფუძველზე გახდა „ცნობილი“? დიახ ბატონებო!.. ზღვარი ყველაფერს აქვს, უწიგნურ სომეხ ვაი-მეცნიერთა „მეცნიერულ მომხვეჭელობას“ და ამაზრზენ თაღლითობას კი არა! უკვე 50 წელი იქნება, არამარტო სომხურ, მსოფლიო სამეცნიერო ჟურნალებში იბეჭდება ს. აივაზიანის, ბ. მკრტიჩიანის და სხვა მათ თანამოაზრეთა „გენიალური აღმოჩენები“. მკითხველი უთუოდ იფიქრებს, რომ მეცნიერებაში გადატრიალება მოხდა, დაახლოებით დმანისის ადამიანის აღმოჩენის მსგავსი. არა, ბატონებო! საქმე შემდეგშია... დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე მეწამორის ბორცვის მიდამოებში აღმოჩნდა ქვა წარწერით, წარწერა ნაწილობრივ წაშლილია, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ბატონ ს. აივაზიანისთვის თავისი „მშობლიური სომხურით“ ამოეკითხა იგი და განეცხადებინა, რომ აღნიშნული წარწერა თურმე მიეკუთვნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIX-XVII საუკუნეების ჰაიასურ იეროგლიფურ დამწერლობას, რომელიც მსოფლიოს ყველა ანბანის ათვლის წერტილი ყოფილა! კურიოზიც ამას ჰქვია! ბრძენ ხალხს უთქვამს „გიჟი თავისუფალიაო“... და ამ გამოთქმის სიბრძნეში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა მეწამორის ქვის საიდუმლოებას ჩავუღრმავდი (მკითხველი ცხადია უმალ მიხვდა რატომ ჰქვია აივაზიანის გაზეთს „მეწამორი“). მართალია გიჟი თავისუფალია და მის ქმედებას საზღვარი არ გააჩნია, მაგრამ... ბატონმა აივაზიანმა ის კი ვეღარ განსაზღვრა, რომ მეცნიერებაში არსებობს საკმაოდ მკაცრად დაცული საზღვრები და დოგმები. მეცნიერებაც თავის მხრივ იყოფა წყალ-წყალა და სერიოზულ, ფუნდამენტურ მეცნიერებად. მარტივად რომ ავხსნათ წყალ-წყალა მეცნიერება სისულელეების და ნაცნობ-მეგობართა, სათავისოდ საამებელი მეცნიერებაა, რომელსაც ოქრო და ქრთამი აძლევს ძალას და ცხადია მეცნიერება არ არის! ფუნდამენტური მეცნიერება კი მეცნიერების ყველა დარგში უკომპრომისო მიღწევების მიუკერძოებელ აღმოჩენებსა და სამეცნიერო შრომებს ეყრდნობა. ჩვენ მრავლად მოგვეპოვება უკანასკნელი 200 წლის მანძილზე ერთიც და მეორეც. ... მკითხველს საშუალება ჰქონდა გასცნობოდა წინა თავებში წარმოჩენილ ეზოვისა და პატკანოვის თანამოაზრეთა ჯგუფს, მეორე მხრივ კი რაულინსონის და ლენორმანის სკოლას! თავმოყვარეობის საკითხია, რომელ ჯგუფში მოახვედრებ შენს თავს, და საერთოდ გაქვს თუ არა ამ ორი, ფრიად განსხვავებული საფეხურის გარჩევის უნარი. ბატონმა აივაზიანმა ფიქრის, მსჯელობის, მეცნიერული კვლევისა და ანალიზის გარეშე თვითნებურად გამოაცხო მეწამორის ქვის წარწერის

შექმნის დრო – XIX-XVII საუკუნეები! მკითხველს არ დაავიწყდეს, რომ ძველ წელთაღრიცხვაზეა საუბარი და კიდევ მეორე კურიოზი! წარწერის თარიღს ზედ დაუმატა გაუგონარი სისულელე, წარწერა გამოაცხადა ჰაიასურ, ე. ი. არმენიულ დამწერლობად. აივაზიანზეა ზედგამოჭრილი ჩვენი წინაპრების ბრძნული ნააზრევი: „ღმერთი რომ კაცს გაუწყრება, პირველად ჭკუას გამოულევსო“... აივაზიანს ალბათ დაავიწყდა, რომ სომხების დამწერლობის ათვლის წერტილი მესროპ მაშთოცია ... ასეა თუ ისეა, მაინც ასეა, რადგან მანამდე არმენებს დამწერლობა არ ჰქონიათ, ბ-ნ აივაზიანის მიერ თამამად მინიშნებული საუკუნეები III და II ათასწლეულების მიჯნაა. არსებობდა კი ამ დროს დამწერლობა? ამ საკითხზე არავითარი წერილობითი დოკუმენტაცია არ მოეპოვება მეცნიერებას. ამ საკითხზე ჯერ-ჯერობით დუმს არქეოლოგიური მეცნიერებაც. და თუ არსებობდა ამ პერიოდში დამწერლობა – ეს მხოლოდ და მხოლოდ (რაც ეჭვს გარეშეა) შუმერი ქურუმების დამწერლობა, საიდუმლო დამწერლობა, რომლითაც სარგებლობდა საზოგადოების მხოლოდ განსაკუთრებული ფენა და მეცნიერებაში კარგად ცნობილი კოლხური ოქროდამწერლობა, იგივე ხრიზოგრაფია იყო! ახლა ისიც აღარ თქვან არმენებმა შუმერთა შთამომავლები ან კოლხები ვართო!.. კიდევ კარგი, მეცნიერებას მრავალი ისტორიული და არქეოლოგიური მასალა მოეპოვება იმისთვის, საკმაოდ ხმამაღლა ვთქვათ, რომ ისტორიული ფაქტებით არმენიელების არსებობა – არამარტო ამ საუკუნეებში არ დასტურდება, არამედ V-IV საუკუნემდე ძველ წელთაღრიცხვამდე არავითარი ცნობები არ მოიპოვება ამ ხალხზე. რას ხედავენ ამაში სამარცხვინოს? საკვირველია, განა ეს საუკუნეები ცოტაა ღირსეული ისტორიული მემკვიდრეობა რომ განავითარონ?

რაც შეეხება ყბადაღებულ მეწამორის ქვას, ის უკვე გამოკვლეულია და წარწერაც შესწავლილია. დიახ! წარწერა არაბულია და მიეკუთვნება ჩვენი წელთაღრიცხვის XIX საუკუნეს, ე. ი. გასულ საუკუნეს! ქვა კი... ქვა სასაფლაოს ჩვეულებრივი ქვაა – რადგან მეწამორის ბორცვის მიდამოებში ბოლო დრომდე არსებობდა აზერბაიჯანული სოფელი ზეივა. ცხადია წარწერიანი ქვა სოფლის ერთ-ერთი მკვიდრის, ალი-კასიმ ხანის საფლავის ქვაა. წარწერა გადაფხეკილია (არმენებს გადაფხეკა კარგად ეხერხებათ), დარჩენილია წარწერის ნაწილი, რომელსაც საკუთარი სურვილებისამებრ კითხულობს ბატონი აკადემიკოსი მარცხნიდან მარჯვნივ, მაშინ, როცა წარწერა ექსპერტების მტკიცებით არაბულია და იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ. თუმცა აივაზიანისთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს არაბულს, რადგან მას შეუძლია ნებისმიერ ენაზე შესრულებული წერილობითი ნიმუში (თუნდაც იაპონური და ჩინური), ნებისმიერ დროს შესრულებული, თუნდაც გუშინდელი, „წაიკითხოს“ მხოლოდ და მხოლოდ სომხურად და გამოაცხადოს აბრაამის ან ნოეს თანადროულად! ბატონ აივაზიანს „დიდი მიზანი“ ამოძრავებს, დიახ, როგორმე უნდა დაუმტკიცოს მსოფლიოს, რომ ურარტუ არმენიელი ტომების ქვეყანა იყო და თურმე მეწამორის ქვის აღმოჩენით საბოლოოდ გადაწყდა „ეს პრობლემა“. ეს კი, დამეთანხმებით ნამდვილად რთული საკითხია! აივაზიანის და მათ თანამოაზრეთა მტკიცებით – მეწამორის ქვის და მასზე არსებული ვითომცდა ჰაიასური დამწერლობის აღმოჩენის შემდეგ თურმე წერტილი დაესვა ურარტუს სახელმწიფოს შესახებ წარმოქმნილ საუკუნეობრივ დავას!?! ბალღური ტიტინია ბატონო აკადემიკოსებო! ვინ გედავებათ? არქეოლოგიურმა მეცნიერებამ ცხადყო, რომ ურარტუს ტერიტორიაზე არამარტო არ ცხოვრობდა არმენიული ტომები, ან ტომი, პირიქით, ურარტუს სახელმწიფოს დანგრევა-განადგურებაში ლომის წილი მიუძღვით არმენიელებს! აქ სადავო არაფერია, წარწერები გაშიფრულია და წაკითხულია. ამ საკითხზე ჩვენ საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ ლენორმანის სკოლის წარმომადგენელთა შრომებზე დაყრდნობით.

ამ შემთხვევაში მკითხველს შევთავაზებ რუსი მეცნიერის, აკადემიკოს ბორის პიოტროვსკის ცნობილ სტატიას, რომლითაც პატივცემული მეცნიერი ცდილობს როგორმე შეაჩეროს, შეაკავოს აივაზიანის და მის თანამოაზრეთა უაზრო ომი მეცნიერებასთან და ზღვარი დაუდოს მათი, ე. ი. „უწიგნური თეორიების“ ნაკადს, რაც თვით პიოტროვსკის მტკიცებით „ზიანს აყენებს სომხურ ისტორიულ მეცნიერებას“!

„ბატონი ბორის პიოტროვსკის სტატია უცხოურ პრესაში უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ ... ანგარიში გაუწია სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტის აკად. ვ. ამბარცუმიანის თხოვნას, და სომხეთის მეცნიერებათა აკადემია საქვეყნოდ რომ არ შერცხვენილიყო, აღნიშნული სტატია ბ. პიოტროვსკიმ სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში გამოაქვეყნა. ბ. პიოტროვსკის „სტატიაში მოცემულია ისტორიული ფაქტების დამახინჯების სანიმუშო მაგალითები“. – ა. თოთაძე „სომეხი მეცნიერების ანტიქართული ისტერია“. გვ. 54-55-56.

მკითხველს ვთხოვ ყურადღება მიაქციოს აკადემიკოს ბ. პიოტროვსკის საკმაოდ მკაცრ ტონს: „ჩემს გამოსვლაში, ამა წლის 24 მარტს, სომხეთის სსრ მენიერებათა აკადემიის სხდომაზე მივუთითე, რომ აკადემიის გამოცემებსა და რიგ ჟურნალებში დაბეჭდილია სტატიები ძველ სომხურ იეროგლიფურ დამწერლობაზე, სადაც ავტორები არაბულ დამწერლობას – ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIX-XVII საუკუნეების ჰაიასურ იეროგლიფებად ასაღებენ.

მაშინ შესაძლებლად მიმაჩნდა შევზღუდულიყავი მხოლოდ ზეპირი ცნობით, მაგრამ ს. აივაზიანის მიერ სხვადასხვა ინსტანციებში, მათ შორის სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში გაგზავნილმა წერილებმა გვიჩვენა, რომ მას ჩემი გამოსვლა პრეზიდიუმის სხდომაზე არასწორად მიაჩნია.

ამიტომ, გთხოვთ გამოაქვეყნოთ ჩემი შენიშვნები. რიგ სტატიებში აივაზიანი გვაუწყებს მის მიერ ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIX საუკუნის იეროგლიფური დამწერლობის აღმოჩენის შესახებ და თავისუფლად იძლევა ამ წარწერების თარგმანს, მეწამორის კლდეებზე არსებულ ნიშნებს ადარებს იმ ნიშნებს, რომლებიც შემონახულია თავის დროზე ნ. ემინის მიერ გამოცემულ სომხურ ხელნაწერებში (ნ. ო. ემინის „გამოკვლევები და წერილები“, მ., 1896, გვ. 204).

სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში (მეცნიერება დედამიწის შესახებ, XVII, 6, ერევანი,

1964, გვ. 73-81) გამოქვეყნდა ბრინჯაოს „პირადი ნდობის ნიშანი“ და მონეტები ჰაიასური იეროგლიფებით, „რომლებიც წინ უსწრებდა ძველი სომხური (ჰიქსოსური) იეროგლიფური ანბანის ნიშნებს“ (გვ. 78), რომლებსაც ს. აივაზიანი მარჯვედ თარგმნის.

ჩეხოსლოვაკიურ ჟურნალში “New Orient”-ში (VI, 1967, №3, გვ. 76) ინგლისურ ენაზე დაბეჭდილ ბ. მკრტიჩიანის სტატიაში (The Mystery of Metsamor), „ჩვენ წელთაღრიცხვამდე XIX საუკუნის ჰაიასური მონეტების“ ანაბეჭდების გარდა მოთავსებულია მათი ფოტოებიც. როცა ეს მონეტები გასარკვევად გადაეცა სომხეთის ისტორიული მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებას, იქიდან შემდეგი დასკვნა მიიღეს: „ჟურნალ “New Orient”-ში გამოსახული სპილენძის მონეტები სრულიად არამართებულადაა წარმოდგენილი, როგორც ჩვენ წელთაღრიცხვამდე XIX საუკუნის ფულის ერთეულები. სინამდვილეში ეს მონეტები (წაშლილი წარწერებით) განეკუთვნება ჩვენი წელთაღრიცხვის XII-XIII საუკუნეებს და გამოშვებულია აზერბაიჯანის ათაბაგების მიერ ილდეგიზიდების დინასტიიდან (ჩვენი ერის 1133-1225 წწ). ასეთი მონეტები მასობრივად იყო გავრცელებული შუა საუკუნეების სომხეთში და ამიერკავკასიის მოსაზღვრე რეგიონებში“. ს. ავაზიანის მიერ გამოქვეყნებული ანაბეჭდები, რომლებიც გადაბეჭდილია ბ. მკრტიჩიანის სტატიაში, ფანტასტიკურია და არაფერი აქვს საერთო რეალობასთან. გასაოცარია მხოლოდ, როგორ გადაწყვიტა ავტორმა გამოექვეყნებინა აშკარად ყალბი ანაბეჭდები.

არც მეწამორის ქვებსა და კლდეებზე არსებული „ჰაიასური წარწერების“ საქმეა უკეთესად (XVII საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ზემოთ ციტირებულ სტატიაში (სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, მეცნიერება დედამიწის შესახებ, XVII, 6, გვ. 80) მოყვანილია „მეწამორის პეტროგლიფი“ თარგმინილი ტექსტით: შემდგომ ცეცხლის სახლი (მდიდრული სადგომი). ორგზის კურთხეულია აკოფი, (რომელსაც) ეკუთვნის წყაროიანი მიწა სამუდამოდ“. სინამდვილეში კი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არაბისტების დასკვნით, ქვა წარმოადგენს საფლავის ლოდს არაბული წარწერით (რომლის ასლი ზუსტად არაა გადმოღებული): „ალი... კასიმ ხანი“, რა თქმა უნდა, ეს წარწერა იკითხება არა მარცხნიდან მარჯვნივ, როგორც ს. აივაზიანი ვარაუდობს, არამედ პირიქით, მარჯვნიდან მარცხნივ.

ასევე ჰაიასურ იეროგლიფებად ჩათვალა ს. აივაზიანმა კუფიური დამწერლობით დაწერილი სახელები: მუჰამედი, ჰასანი და ალი, ამასთან ტამგოსებური ნიშნებისაგან, კუფიური წარწერებისა და პეტროგლიფებისგან (რქოსანი ცხოველის გამოხატულება) მან შეადგინა მთელი წარწერა, წაიკითხა იგი მარცხნიდან მარჯვნივ და შემდეგნაირად გადმოთარგმნა: „ზაფხულის ველი... ვერცხლისმოყვარული წარმავალია, (ეს) ძირითადი მდიდრული (გამდიდრებული) სათავსი... რქოსანი პირუტყვი (მსხვერპლადაა შეწირული)... გზა მდიდრული სათავსისაკენ ყველასათვის (აკრძალულია)... ჯოჯხეთი...“ (იხ. სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, მეცნიერება დედამიწის შესახებ, XVII, №2, 1964, გვ. 73; ს. აივაზიანი. ძველი სომხეთის ისტორიისა და მეტალურგიის ზოგიერთი საკითხისათვის. ერევანი-მოსკოვი, 1967, საწარმოო-საგამომცემლო კომბინატი „ვინიტი“, ლიუბერცი, გვ. 84-86). ამასთან, არაბული სახელი ალი შედარებულია ხელნაწერების ნიშანთან „მდიდრული სადგომი“, „ცეცხლის სახლი“, „ტაძარი“, ხოლო სახელი ჰასანი – ნიშანთან „მდიდრული“. ყველა, ვინც თუნდაც ოდნავ მაინც იცნობს არაბულ დამწერლობას, მიხვდება, რომ სახელები დაწერილია კუფიური შრიფტით და მით უფრო საკვირველია მოყვანილ სტატიაში იმის ხსენება, რომ „ზოგიერთი არქეოლოგის აზრით მეწამორის ქვაზე წარწერები არაბულია“ (გვ. 71), ნუთუ შეუძლებელი იყო ამ აზრის გადამოწმება არაბისტებთან(!)?

ს. აივაზიანის ასლები ზუსტი არაა და მათი მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ არაბული წარწერების ხასიათსა და დროზე, მაგრამ მათგან ერთ-ერთის ფოტოგრაფიის საფუძველზე, რომელიც მოცემულია ბ. მკრტიჩიანის ინგლისურ სტატიაში, პროფესორმა ვ. ა. კრაჩკოვსკაიამ გააკეთა შემდეგი დასკვნა: მეწამორის წარწერებში აშკარად ჩანს არაბული კუფიური დამწერლობის ნიშნები, რომლებიც შესრულებულია გაუბედავი ხელით, იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ, როგორც სახელები: ალი და ჰასანი. ნიშნების ფორმის მიხედვით ისინი არ შეიძლება იყოს შუა საუკუნეების, ხოლო ჩვენი ერის XIX საუკუნისადმი მიკუთვნება შესაძლებელია. უნდა გავიხსენოთ, რომ მეწამორის ბორცვის მიდამოებში მდებარეობდა აზერბაიჯანული სოფელი ზეივა.

ასე გაიფანტა მითი ფართოდ რეკლამირებული მეწამორის ჰაიასური იეროგლიფური დამწერლობის თაობაზე, რომელთა შესახებ ცნობები, სამწუხაროდ, მოხვდა ავტორიტეტულ სამეცნიერო ჟურნალებში (Anatolian Studies, XVIII, 1968, გვ. 200-202). არადა, მეწამორის იეროგლიფების „გაშიფვრის“ საფუძველზე კეთდებოდა საპასუხისმგებლო დასკვნები მსოფლიოს ყველა ანბანის ჩვენ წელთაღრიცხვამდე XVIII საუკუნის მეწამორის ჰიქსოსურ-ძველსომხური ანბანისაგან წარმოშობის შესახებ (იხ. ს. აივაზიანი. ძველი სომხეთის ისტორიისა და მეტალურგიის ზოგიერთი საკითხისათვის, გვ. 102). ამ ტაბულაში მეწამორის ანბანისაგან პირდაპირ გამოიყვანება: მაშტოცის სომხური ანბანი (V ს.), ფინიკიური ანბანი (VIII-VII სს. ჩვენ წელთაღრიცხვამდე), ინდური ანბანი (XV ს. ჩვენ წელთაღრიცხვამდე) და შემდეგ: სამხრეთ-სემიტური, ბერძნული, აზიის, აფრიკის, ევროპის ყველა ანბანი. გაკვირვებას იწვევს არა მარტო აივაზიანების ჰიპოთეზების სიფართე, არამედ ისიც, რომ ეს სასწაულებრივად უწიგნური ტაბულა გადაბეჭდა ახალგაზრდულმა გაზეთმა „კომსომოლეც“ (1968 წლის 15 ნოემბერი), ხოლო ჰაიასური დამწერლობის თეორიას მხარი დაუჭირა ჟურნალმა „გარუნ“ (1969, №1). ს. აივაზიანი წერდა: „...და ბოლოს, ჩვენს მიერ გეოლოგთა ჯგუფთან ერთად აღმოჩენილმა ჰაიასის არქეოლოგიურმა ობიექტმა (?) მეწამორმა, მისი განვითარებული სამთომეტალურგიული წარმოებით და დამწერლობის იეროგლიფური სისტემით არ დატოვა არავითარი ეჭვი ჰაიასის ლოკალიზაციის თაობაზე სომხეთის არარატის რეგიონის ფარგლებში. იმის დასადასტურებლად, რომ მეწამორი წარმოადგენს სწორედ ჰაიასურ (ე. ი. ძველ სომხურ) და არა კულტურის რაღაც სხვა ძეგლს, გამოგვადგება აქ აღმოჩენილი პირველად სომხეთში იეროგლიფური წარწერები. მათი გაშიფვრა ავტორისაგან განხორციელებულია სომხურ იეროგლიფურ

ნიშნებთან კორელაციის საფუძველზე, რომლებიც შემორჩენილია მატენადარანის ზოგიერთ შუა საუკუნეების ხელნაწერებში. ასე შეწყვიტა თავისი არსებობა საუკუნეობრივმა გაუგებრობამ – ურარტუს სახელმწიფოს კონცეფციამ“. ს. აივაზიანს ეს „კონცეფცია“ გაბათილებულად მიაჩნია იმის საფუძველზე, რომ: 1. მოვსეს ხორენაცი არაფერს ამბობს ურარტუზე; 2. ჰაიასის ქვეყანა, მეწამორის იეროგლიფების საფუძველზე, მოიცავდა მთელ ურარტებისთვის მიკუთვნებულ ტერიტორიას და 3. ლურსმნული დამწერლობა ვანიდან – უნდა წავიკითხოთ სომხურად. ბოლო საკითხისადმი მიძღვნილია ს. მ. აივაზიანის წიგნი „სომხური ლურსმნულის გაშიფრვა“ (ერევანი, 1963), სადაც მოყვანილია უმეტესწილად ძალიან დაშორებული და არაზუსტი ურარტული და სომხური სიტყვების შედარებები, ამ ენების ფონეტიკური შესაბამისობებისა და მათი წყობის გაუთვალისწინებლად (თავის დროზე სომხური ენის მიერ ურარტული სიტყვების დასესხება დამტკიცებული იყო გ. ა. კაპანიანცისა და გრ. აჩარიანის მიერ).

როცა სომხურ ურარტულ შესაბამისობებს არჩევდა, იმის დასამტკიცებლად, რომ ურარტული ლურსმნული წარმოადგენს სომხური ენის დამწერლობას, ს. აივაზიანმა არ იცოდა, რომ იმეორებდა ა. მორდტმანის აზრს, რომელიც სომხურად თარგმნიდა არა მარტო ურარტულ, არამედ ასირიულ ლურსმნულ წარწერებსაც. (Zeitschrift der Deutshen Morgenlandischen gesellschaft. XXVI. 1827). ასეთი აზრი გამოითქვა 150 წლის წინათ და დიდი ხანია უარყოფილია მეცნიერებაში.

ასეთი იყო ჩემი შენიშვნები, რომლებიც გამოვთქვი სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე იმ მიზნით, რომ შემეჩერებინა „უწიგნური თეორიების“ ნაკადი, რომელიც ვნებას აყენებს სომხურ ისტორიულ მეცნიერებას და, სამწუხაროდ, რომელიც შეიჭრა პოპულარულ ლიტერატურაშიც“.[1]

პატრიოტობა და მშობელი ერის სიყვარული არ ნიშნავს შენი ხალხის წარმოჩენას სამარცხვინო ხერხებით მიტაცებული სხვისი წარსულით. აივაზიანის „მეწამორის პეტროგლიფმა“ სამუდამოდ შეასხა ლაფი სომხურ მეცნიერებას, მაშინ როცა, სომხეთს ნამდვილად ჰყავს ღირსეული მეცნიერები და ეს ჩვენ ნათლად დავინახეთ ბ. პიოტროვსკის მნიშვნელოვანი და ამაღელვებელი სტატიიდან.

საინტერესოა აივაზიანის მიერ მოწოდებული „მეცნიერული თეზა“ – „ძველი სომხური (ჰიქსოსური) იეროგლიფური ანბანის ნიშნების“ შესახებ. ამ შემთხვევაში უფრო მეტს ითხოვს ბატონი თაღლითი „მეცნიერი“. ამისთვის მან ბნელი გზებით მყარი საფუძველი შეუქმნა „მეწამორის პეტროგლიფს“. ისევ გაახმაურა მორდტმანის აზრი არარსებული ძველი სომხური ენის შესახებ და იგი ჰიქსოსებს მიაწერა. მეტისმეტია ბატონო! რა შუაშია ჰიქსოსები სომხურთან? თან ძველ სომხურთან, რაც ბუნებაში არ არსებულა! როცა არმენები ჩნდებიან ისტორიის სარბიელზე ხეთების სახელმწიფო განადგურებული და დაშლილია, ხალხი კი დაყოფილნი არიან სხვადასხვა ტომებად... ალბათ ამიტომაც მიუთითებდა გუბოგლი და სიმჩენკო რომ „სომხების წინაპრები შეერივნენ ხეთებს, ხურიტებს, აბხაზ, ადიღეელ და ქართველურ ტომებს!..“ დიახ ... ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანა ამოიხსნა! აივაზიანის ჯგუფი ყველაფერს აკეთებს – ერთის მხრივ დაუმტკიცოს მსოფლიო მეცნიერებას ქართველურ ტომებთან ნათესაობა, რომ ამით როგორმე ადგილი მოიპოვოს ჯერ ხეთების, ხურიტების, კოლხეთის დიად სამეფოსა და ბიბლიურ თუბალ-მეშექის სიახლოვეს, და ამ გზით ურარტუს სახელმწიფოში! მეორე მხრივ კი საშინელი ლანძღვით, ცილისწამებით, შეურაცხყოფით – თავს ესხმის ყველაფერ ქართულს: ენას, ხალხს, კულტურას ძველს და ახალს, რომ დათრგუნოს, ღონე გამოაცალოს, შეურაცხყოს მართლმადიდებლობა და საპატრიარქო, და ამასთან პასუხის გაცემის სურვილი დაუკარგოს მისი წარმოდგენით უკვე დაბეჩავებულ და მიწასთან გასწორებულ ხალხს, მეზობლებს და მთლიანად ქვეყანას, საქართველოს! გეშლებათ ბატონებო! ათასწლეულები გამოიარა სისხლის წვიმებში ქართულმა გენმა მაგრამ ... ღირსება არ შეულახავს, არც თქვენთვის და არც არავისთვის არაფერი წაურთმევია, არ წაუგლეჯია... მკითხველს ალბათ გაახსენდება დიდი ქართველი მხედართმთავრის, გრიგოლ ბაკურიანის სიტყვები: „ქართველნი ვართ ნათესავით მხნენი და მხედრობით აღზრდილნი, უმანკონი და გულ-მარტივნი“. დასაკარგი უკვე დაკარგა ჩვენმა ხალხმა – ძველი, მშობლიური ტერიტორიების სახით, მაგრამ გრიგოლ ბაკურიანის თქმისა არ იყოს, დიდსულოვანი ხალხია ქართველი ერი და უკან არაფერს მისტირის, თქვენსავით არავის ედავება ტერიტორიებზე! რადგან არ დაუკარგავს დროის ისტორიული ცვალებადობის შეგრძნების უნარი და სჯერდება იმას, რაც დღეს აქვს... დასაკარგი კი ნამდვილად აღარაფერი აქვს... არც ამდენი შეურაცხყოფის ატანას აპირებს... რაც შეეხება ჰიქსოსების წინაპრებს, ამაზე დიდი სისულელე და სიბრიყვე ალბათ არავის მოუფიქრებია დედამიწაზე!. „მწყემსი მეფეების“ სახელის მითვისება საკმაოდ რთული საქმეა ბატონო ვაიმეცნიერებო, რადგან... ამისთვის სულ მცირე ჯიშისა და გენის ოდნავი მსგავსება მაინც უნდა არსებობდეს! ჰეროდოტეს არმენებს რომ ვირები ჰყავდათ ბევრი და მწყემსავდნენ, ეს არაფერს ამბობს ადამიანური სამყაროს მწყემსებად მოვლენილი ჰიქსოსური სისხლის ჩამომავლებაზე!. დიახ, ბატონებო! კეთილშობილებად, არისტოკრატებად, ისევე როგორც გამოუსწორებელ თაღლითებად იბადებიან ადამიანები და არა აქვს მნიშვნელობა თუნდაც წოდებით აკადემიკოსი იყო, – თაღლითი თაღლითია, თანაც უფრო უარესია როცა უწიგნურია და აკადემიკოსის წოდება აქვს! როგორც პიოტროვსკიმ გიწოდათ თქვენ და თქვენი ჯგუფის წევრებს!

მინდა დავამატო, რომ ვირი ე. ი. სახედარი მშვენიერი ცხოველია, მშრომელი, გამრჯე, ჭკვიანი... ცუდს ვერაფერს ვხედავთ იმაში, რომ არმენებს ბევრი ვირი ჰყავდათ, ვირი საერთოდ სამეურნეო ცხოველია და ძალიან გავრცელებული იყო და არის არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ შუა აზიაში, ჩინეთსა და ევროპაში... აქ სხვა ამბავია: აივაზიანის შრომებში თავი წამოჰყო პატკანოვის იდეებმა: მოიძიონ და განავრცონ არარსებული სომხური იმპერიის ტერიტორიები. მოვუს-

Б. Пиотровский. Письмо в редакцию. “Историко-филологический журнал.” Ереван, 1971, №3, с. 302-303.

მინოთ ილია ჭავჭავაძეს: „პატკანოვი შორს მიდის... რაკი სხვისის დაჩემების გზაზე დაექანა, თავს ვეღარ იმაგრებს და ჭანეთსაც, მოსე ხორენაცის „ჭანივ“-ს ე. ი. „ქალდეას“ ხელი წაატანა, – „ქალდეა“ შეადგენდა ნაწილს სომხეთის სამეფოსასო. როდის და სად არის ამისი ისტორიული საბუთიო? – ეკითხება ამ გათამამებულსა და მადაგახსნილს სომხის პროფესორს დ. ბაქრაძე. მართალიც არის“. აქვე ილია დასძენს: „ლენორმანი, ეს ყველასაგან დიდ სწავლულად მიჩნეული კაცი, აი რას ამბობს: „შეურყეველ ჭეშმარიტებად უნდა მივიღოთ, რომ სომხებს არ აბადიათ არარიგი ნაციონალური გადმოცემა პირველ ტიგრანამდე, რომელიც კიროსის თანამედროვე იყო. რაც კი შეეხება ამაზე წინა დროს, ყველა მოთხრობა სომეხთა მწერლებისა მომდინარეობს მოსე ხორენაცის წიგნისაგან, და ეს წიგნიც, როგორც თვით ხორენაცისგანაც სჩანს, არის უბრალო ასლი (კოპიო) მარ-აბაზ კატინის ცრუსიტყვაობისა, კომპილაციისა. ეს ბატონი კატინა სცხოვრობდა ქრისტიანობის პირველ საუკუნეს, ადგა ლიტერატორის ხელობას, ეკუთვნოდა ედისის სკოლას და ამან შეადგინა კომპილაცია, საცა სიმართლეზე მეტი სიცრუე შეიტანა და სულ ეს ააშენა კტეზიის ქრონოლოგიურ სისტემის მსგავსად და, სხვაც რომ არა იყოს-რა, მარტო ამ სისტემის მიბაძვას უნდა გაეფუჭებინა საქმე, გაეშორებინა ჭეშმარიტებისაგან. გულუბრყვილო მკითხველის მოსატყუებლად კატინამ ეს ხერხიც მოიხმარა, რომ თავისი კომპილაცია მიაწერა ალექსანდრე მაკედონელის დროს. კატინის დროს ამისთანა ხერხიანობა ძალიან გავრცელებული იყო და ამ გვარის ყალბი წერილებით, ფალსიფიკაციებით მოჰფინეს მთელი ქვეყანა“ (ლენორმანი: ასირიოლოგიური წერილები, სერია პირველი, წერილი მეორე. ი. ჭავჭავაძე თხზულებანი 1984 წ. გვ. 735).

წინა თავებში მე საკმაოდ ფართოდ მიმოვიხილე „უწიგნურ აკადემიკოსთა“ ზღვარს გადასული ამბიციური სურვილებისგან გამოწვეული ფრიად უხერხული სიტუაცია, რომელიც აშკარად ვნებს ქართველი და სომეხი ერის ურთიერთობას. ბოლოსდაბოლოს სტალინის დრო ხომ არ უნდა ვინატროთ, რომ უმტკივნეულო გამოსავალი ვიპოვოთ და ყველამ თავისი ადგილი მონახოს უჩუმრად? სტალინთან მიმართებით მინდა ერთი მომენტი შევახსენო მკითხველს, მანამდე კი ურარტუსთან დაკავშირებით მოგაწოდებთ საკმაოდ მკაცრ განცხადებას, რომ აღნიშნული საკითხი არ შეიძლება აივაზიანის ჯგუფის „უწიგნურ აკადემიკოსთა“ ხელის სათრევი გახდეს! ნებისმიერი ისტორიული სიძველენი მსოფლიოს ცნობიერი სამყაროს საკუთრებაა და თუ მეცნიერი მნიშვნელოვან გამოკვლევას არ მიუძღვნის ამა თუ იმ საკითხს, არავის აქვს უფლება საკუთარი თაღლითური და სამარცხვინო მიზნებისთვის გამოიყენოს ესა თუ ის არქეოლოგიური აღმოჩენა! სამეცნიერო ჟურნალთა რედაქციების დანიშნულება კი უპირველესად ღირსეული სამეცნიერო შრომის გამოქვეყნებაა, გადამოწმებული სამეცნიერო შრომის! და არა ღირსებას მოკლებული და ყვითელი პრესის შესაფერისი სტატიის! – ამ შემთხვევაში, როგორი ცნობილი რედაქციაც არ უნდა იყოს, ნებისმიერი მეცნიერის თვალში მინიშნებული ორგანიზაცია ავტორიტეტს ჰკარგავს! ბატონი პიოტროვსკის სტატიამ საკმაოდ თვალნათლივ წარმოაჩინა უპასუხისმგებლო სამეცნიერო რედაქციები! ურარტუელ ხალხზე ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ „იუდას მორალში“ და ამდენად, ჩემმა მკითხველმა ნამდვილად კარგად იცის ვინ იყვნენ ისინი და რომელი ხალხის ცნობიერ წარსულშია მათი ფესვები და ვაჟკაცური სული. ამ საკითხზე მეტად აღარ შევჩერდები. როგორც ზემოთ დაგპირდით, სტალინთან მიმართებით მინდა ერთი განცხადება გავაკეთო: მე ადრეც, წინა თავებში მივანიშნე მკითხველს შულავერის ავჯანყების შესახებ, რომელიც გახდა მიზეზი საქართველოში საბჭოთა ჯარების შემოყვანისა. შულავერის ავჯანყება – შულავერში ჩასახლებულმა სომხებმა და ფილიპე მახარაძის ჯგუფმა, ოკუჯავებმა, ბუდუ მდივანმა, ორახელაშვილმა, ცხაკაიამ გამიზნულად მოაწყვეს ორჯონიკიძე – მიქოიანის ხელმძღვანელობით. აღნიშნულ ავჯანყებას მოჰყვა თბილისელი სომხების ავჯანყება, მაშინ როცა ქართული ეროვნული გვარდია დასავლეთში იყო გადასროლილი... და თბილისის ირგვლივ ჩამოწოლილ მტერს, რომელსაც თეთრცხენზე ამხედრებული გარუსებული და გასომხებული ორჯონიკიძე მოუძღოდა, ფაქტობრივად უწვერულვაშო ქართველი იუნკრები დაუპირისპირდნენ!. მოსახდენი მოხდა... საქართველოს ოკუპაცია მოახდინა არა რუსულმა არმიამ, არამედ ამჯერად შერეულმა – ბოლშევიკურმა რუსეთმა ცხადია თავისი ინტერესების სასარგებლოდ... მღვრიე წყალში ეჩმიაძინი ოქროს თევზის დაჭერას შეეცადა. ოქროს თევზი კი საქართველოს შავიზღვისპირეთი იყო, რასაც ვერ მიაღწია ადრე ჩხეიძესთან, დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკების გზით, მკითხველმა წინა თავიდან კარგად იცის აღნიშნული საკითხის პერიპეტიები. ამდენად, მე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ამ შემთხვევაში კაცზე, რომელიც ეჩმიაძინის დავალებას ასრულებდა საბჭოთა მთავრობაში, მისი გვარი იყო მიქოიანი, საეჭვო ვითარებაში „გადარჩენილი“ ბაქოელი 27-ე კომისარი, უეროვნებო ორჯონიკიძის უახლოესი ძმა და მეგობარი! ბოლო დრომდე არ წყდება ბრალდება ბერიას მიმართ მესხების შუა აზიაში გადასახლების შესახებ. ღიმილს იწვევს 21 საუკუნის იგივე არაქართული, უწიგნური აზროვნება, რაც ჩამოაყალიბა პასკევიჩმა და შემდეგ განავითარა ორჯონიკიძე-ხრუშჩოვ-მიქოიანმა! მაგრამ ჩემი თაობისთვის ადვილად გასახსნელი კვანძია მიქოიანის საკმაოზე მეტად გასაიდუმლოებული საქმიანობა. მან ბრწყინვალედ გააგრძელა მხარგრძელ-ყორღანაშვილ-არღუთაშვილის დაწყებული საქმე და ეჩმიაძინის „დიდი დავალება“ ისეთი სიფრთხილით შეასრულა, ისტორიაში კვალი არ დარჩენილიყო (რაც თავისთავად შეუძლებელია, ცდა ერთია, მაგრამ...). ბერია საუბედუროდ ყველაფერს მიხვდა, მაგრამ მასზე უკვე შექმნილი იყო დაბეზღების საქმე და იგი პოლიტბიუროს წევრებს და... სტალინსაც ედო წინ... სწორედ მიქოიანის მიერ! რომელსაც (მიქოიანს) სხვა, კერძოდ „ხრუშჩოვის დაჯგუფება“ უმაგრებდა ზურგს. წინააღმდეგ შემთხვევაში ორივე ქართველი გაიწირებოდა. მოხდა კიდეც ასე, ოღონდ მოგვიანებით. ასე აჰყარეს მესხეთ-ჯავახეთში პასკევიჩისგან გადარჩენილი 5 რაიონის 220 სოფელი ძირძველი მესხური მოსახლეობით მართლმადიდებლებით და გათურქებული ქართველებით. ისინი თავიანთი არსებობით ხელს უშლიდნენ მესხეთ-ჯავახეთში ჩასახლებულ სომხობას მესხეთ-ჯავახეთის საბოლოოდ დასაკუთრებისთვის... სწორედ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ აივაზიანი ქართველთა სათაყვანებელ ვარძიასაც

ისაკუთრებს. რა შეიძლება ამ საკითხზე თქვას ადამიანმა? უმეცრება თუ დიდი პოლიტიკის ლაბირინთებში ვერ გარკვევა? არა ბატონებო, ეს ყველაფერი „ჩვენი კეთილი მეზობლების“ აგრესიული ნაწილის ბინძური ხლართებია. არ არის დიდი დრო გასული სატელევიზიო გადაცემა მიუძღვნა რუსთავი-2-მა აღნიშნულ საკითხს. და ეს გადაცემა ჩვენ საზღვარგარეთ მცხოვრებმა ქართველებმაც ვნახეთ. რაოდენ სასაცილოც არ უნდა იყოს, გენერალ შალვა მაღლაკელიძესაც ადანაშაულებენ მესხეთის მკვიდრთა გასახლებაში. ამ შემთხვევაში ღიმილს იწვევს ქართველი ტელე-ჟურნალისტების განათლება... თუ გაუნათლებლობა! წინა თავებში მითითებული მაქვს შავით თეთრზე, რომ საქართველოს მძიმე მდგომარეობით 1918 წ ისარგებლეს ახალქალაქის სამაზრო კომიტეტში მოკალათებულმა დაშნაკელებმა და შექმნეს დადგენილება, რომლის ძალითაც ახალქალაქის მაზრა ერევნის გუბერნიას შეუერთეს. გენერალ-გუბერნატორმა შალვა მაღლაკელიძემ აღნიშნული დადგენილება მაშინვე გააუქმა და მათ თავიანთი ადგილი მიუჩინა. ცხადია ეს და შემდგომ 1919 წლის სომხეთ-საქართველოს ომიც... დღემდე ვერ აპატიეს სომხებმა საქართველოს და... პირადად შალვა მაღლაკელიძეს... რომლის უშუალო ხელმძღვანელობით სასტიკად და სამარცხვინოდ დამარცხდნენ სომხები! მას შემდეგ ისინი ყველა გზებით ცდილობდნენ ქართული სულის შებილწვას. დასანანია თუ ამ ანკესზე ზოგიერთი თანამედროვე ქართველი ტელეჟურნალისტიც წამოეგება და თავისდაუნებურად მისი გაუნათლებლობის და უმეცრების წყალობით ბრიყვის იმიჯს შეიქმნის!

რაც შეეხება მესხების გასახლებას, უკვე მოგახსენეთ სომხური ლობის აქტიურობის შესახებ ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტისთვის, მაგრამ... სომხებისთვის საკითხი მაინც ღია დარჩა, რადგან... მესხეთ-ჯავახეთში ისევ ცხოვრობს ქართული მოსახლეობა, მართალია მცირე, მაგრამ... ვნახოთ... რომ იტყვიან, კიდევაც დაიზრდებიანო... ქართველი ჟურნალისტების გასაგონად კი მინდა ხმამაღლა ვთქვა, რომ განათლებაა იმისთვის საჭირო ეთერში გახვიდე, და ან კიდევ იმისთვისაც, რომ რომელიმე ცნობილ ჟურნალში სტატია მოათავსო, რომელიც ავტორიტეტს შეგიქმნის. დიახ, უბრალო რამ – განათლებაა საჭირო! გაუხმაურებელ ფაქტებს რაც შეეხება, რამდენიმეს შევახსენებ ჩემს მკითხველს: 1. – ქისტები ერთ ღამეში, საიდუმლო გაფრთხილების შედეგად გადავიდნენ მთებზე და... ჩასახლდნენ ახმეტის რაიონში... შეიქმნა ღირსეული კავკასიური ეთნოსის ოთხი ხალხმრავალი ქისტური სოფელი და იცით ვინ იყო ის კაცი, ვინც ამდენი ქართველთა მონათესავე ჯიშისა და გენის ხალხი აშკარა სიკვდილს და შუა აზიაში გასახლებას გადაარჩინა? ბერია, ბატონებო, ბერია! საბედნიეროდ ზოგიერთი ტელეჟურნალისტისგან განსხვავებით ბერიამ ეტყობა ძალიან კარგად იცოდა საქართველოს და კავკასიის ხალხთა ისტორია! 2. – მუჰაჯირებისაგან (პასკევიჩმა ეჩმიაძინის დავალებით გაასახლა თურქეთში), ძირძველი ქართველი აფხაზებისა და აფშილებისაგან დაცლილ აფხაზეთში – იგივე ეჩმიაძინის და მიქოიანის წყალობით ერთბაშად ჩასახლდა 40000 სომხური ოჯახი... ამის საპირისპიროდ მთიანი რაჭიდან და იმერეთიდან ღარიბი ქართული მოსახლეობა საკუთარი სიცოცხლის გაწირვის ფასად ჩაასახლა აფხაზეთში – ისევ ბერიამ. რუსეთმა კი ჯერ სოჭი წაიღო ვითომ 100 წლიანი ხელშეკრულებით, სტალინის სიკვდილის შემდეგ კი „გასომხებული“ ადლერი მიქოიანი-ხრუშჩოვის ჯგუფის უშუალო ძალისხმევით ჩამოეჭრა დაბეჩავებულ საქართველოს! 3. – კახეთის განაპირა, დაცარიელებულ სოფლებში, ილია ჭავჭავაძის შემდეგ სწორედ ბერია გახლდათ ის კაცი, რომელიც საიდუმლო გზებით, მაგრამ მაინც ახერხებდა მდიდარ კახურ მიწა-წყალზე დაესახლებინა და დაემაგრებინა ქართული ჯიში და ფესვი, ორჯონიკიძე-ღოღობერიძეების მსგავსთ შესაძლებლობა რომ აღარ მისცემოდათ ქართული მიწების გასაჩუქრებისა. სწორედ ბერიას უნდა ვუმადლოდეთ რომ კახეთი დღეს ისეთივე სისხლსავსე ქართული სიცოცხლით ცხოვრობს, როგორც ქუთაისი, და რომ კახეთში დღეს სიტყვა „სომეხის“ ხსენებაც ლანძღვის ტოლფასია. რატომ? იუდას მორალის გამო ბატონებო, შურისა და ღვარძლის გამო, სულ ახლახან აფხაზეთში სომხების მიერ ქართველთა დაღვრილი სისხლის გამო, საუკუნეების მანძილზე დათესილი ბოროტებისა და შხამის გამო, რასაც დღესაც არ იშურებენ ჩვენი სალოცავი წმინდანებისა და ახლო მეზობელი და „მეგობარი“ ქვეყნის მიმართ ჩვენივე დაუდევრობის წყალობით ჩვენს ჭერქვეშ შემოხიზნული ჩვენი კეთილი მეზობლები...

მართალია, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგნი იყვნენ ჩვენი მშობლების თაობა (ჩვენ ფაქტიურად გააზრებაც ვერ მოვასწარით, რა იყო საბჭოთა რეჟიმი!) მაგრამ, როცა ისტორიულ დოკუმენტებს ვეცნობით სტალინისა და ბერიას მოღვაწეობის ხანა არცთუ მძიმე გამოდგა ნებისმიერი რესპუბლიკისთვის. ყოველ მათგანს ჰქონდა საკუთარი, ეროვნული ენა და მართალია ერთ ფერში, მაგრამ მაინც გააჩნდათ საზღვრები და... ხალხიც მოეშენა! დიახ! რაც მთავარია ხალხი მოეშენა!

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ცხადია სწრაფადვე ბერიაც გააქრეს და მედროვე, მონური სულის ვაი კომუნისტმა ხელმძღვანელებმა თვითონვე შესთავაზეს (!) რუსეთს რესპუბლიკისთვის მშობლიური ენის მოშლა. მრავალ სხვა და ცხადია ამ საკითხშიც აქტიურობდა და ჩქარობდა საქართველოს ცეკას მაშინდელი პირველი მდივანი ბატონი შევარდნაძე და კიდევაც მოჰყვა ამ აქტიურობას უნივერსიტეტის გამოსვლები... იყო 1978 წელი. მინდა შეგახსენოთ, რომ... სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს მსგავსი პრობლემა ენის საკითხში ნამდვილად არ დასდგომიათ, ჩვენი გართულება – ჩვენივე ვაი-თანამემამულის ინიციატივა იყო!.. ეს ტირადა იმიტომ მოვიყვანე და გაგახსენეთ, რომ სწორედ ამგვარი საზიზღარი აქტიურობის შედეგი იყო საქართველოს ისტორიისთვის ხაზის გადასმა, რასაც სტალინის სიცოცხლეში ნამდვილად ვერავინ გაბედავდა! არსებობს ისტორიული წყაროები, რომ სწორედ სტალინმა და ბერიამ იხსნა მიქოიანის სასიკვდილო ხლართებისაგან (მიქოიანი ორჯონიკიძის უახლოესი თანამზრახველი და კავკასიის კურატორი გახლდათ წლების მანძილზე) ბევრი ცნობილი მოღვაწე, მათ შორის ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჯანაშია!.. ესენი ის გენიალური მამულიშვილებია, რომელთა ისტორია ჩემმა თაობამ კარგად იცის, ან თუ არ იცის, უნდა იცოდეს, არათუ ჩემი წინაპრების თაობამ! დიახ!

მათი სიცოცხლის გადარჩენა, მათი შრომების გადარჩენას ნიშნავდა ბატონებო! მოგეხსენებათ დიდი კონსტანტინეს „დიდოსტატი“ სიმონ ჯანაშიამ ჩაუტანა მოსკოვში და ეს გენიალური რომანი ერთ ღამეში წაიკითხა „მოუცლელმა სტალინმა“. ამ სიტყვებით იმას როდი ვამტკიცებ, რომ მან თავის სამშობლოს ყველაფერი გაუკეთა... არა! მას არც შეეძლო მეტი და ძალიან ბევრის გაკეთება! წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო ალბათ იმასაც დაკარგავდა, რაც ჰქონდა! რადგან ორჯონიკიძე - მიქოიანი - ხრუშჩოვის დაჯგუფება შხამიანი მორიელივით იყო ჩასაფრებული, და კიდევ... ფაქტი სახეზე გვაქვს, როცა თავისი „აქტიური“ და რუსული საქმეების მოგვარების წყალობით, მოსკოვში მოგვიანებით წაიყვანეს სხვა ქართველი პარტოკრატორი სამუშაოდ, სულ მალე იმ სხვა ქართველმა, სტალინ-ბერიასაგან განსხვავებით მამულს გვერდებიც მოაჭრა და მხარმკლავებიც, დაამცირა და دააპატარავა საქართველო, უარესიც... რეციდივისტთა სადამსჯელო რაზმებით ხუთჯერ გადაუარა სამეგრელოს და შეღერებულ, სანაშენე ყმაწვილთა სისხლიანი კალო دაატრიალა გენიალური გენის კოლხებში! ყოველგვარი სინანულის გარეშე სამამულე რქა წააჭრა მამულის მომავალს! გასამრავლებელი კოლხი ბიჭები შეუბრალებლად ამოახოცვინა იოსელიანის ბანდას... შემდეგ კი... გულითადი ძეგლი დაუდგა დიდუბის წმინდა საძვალეში ჯაბა იოსელიანს. ეს რაღაა ბატონებო, თუ არა ერის ღირსების წახდენა და დამცირება? ამ საკითხზე საუბარი არასასიამოვნოა და გახსენებასაც ყველა ვერიდებით, მითუმეტეს მაშინ, როცა ამდენი ბოროტების ჩამდენი და ეშმაკთან წილნაყარი შევარდნაძე, არათუ დაუსჯელია, ფუფუნებითა და მეფურად ცხოვრობს კრწანისის სარკოფაგში, მისთვის ყოველმხრივ ხსნილია გზა... მაშინ, როცა ქართველი ხალხი უკიდურესი გაჭირვებით, უმუშევრობისაგან შიმშილით იხოცება. ამ მწარე ლირიული გადახვევით იმის თქმა მინდოდა, რომ სტალინ-ბერიას სიკვდილის შემდეგ ხრუშჩოვმა და ავადსახსენებელმა შევარდნაძემ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებიც და საერთოდ საქართველოს ისტორია შეცვალა. წიგნებიდან გააქრეს ქართველი ხალხის გმირული წარსული და... სიმონ ჯანაშიას სახელიც კი! დიახ, ბატონებო! ასე იქცა ქართველი ხალხი უწარსულო ერად და ვინ იცის, უკვე მერამდენედ. მაგრამ, იბადება კითხვა, როცა შენს მიწაზე ერთი ან რამდენიმე შხამიანი ეკლის ბარდი ამოვა, რა دააშავა სხვამ, კეთილშობილმა, ღირსეულმა ქართველმა? და საერთოდ ქართველმა ხალხმა?

ისევ ტკივილით სავსე ლირიული გადახვევა გამომივიდა. დავუბრუნდეთ ჩვენს სათქმელს.

ბ-ნი ბ. პიოტროვსკისგან განსხვავებით პრინციპულობა და სათანადო განსწავლულობა ვერ გამოიჩინა დევიდ ლენგმა. ვინ არის ბ-ნი დევიდ ლენგი? ჩემი თაობა მას მხოლოდ გადმოცემით და რამდენიმე შრომით იცნობს. იგი ლონდონის უნივერსიტეტის კავკასიათმცოდნეობის კათედრის პროფესორი, ქართველოლოგი და არმენოლოგია. ჩემს თაობას ღირსეული ეჭვი გაუჩნდა ბატონი ლენგის პერსონის მიმართ, რადგან ამ შემთხვევაში მარტივად რომ ავხსნათ კავკასიათმცოდნეობა ნიშნავს კავკასიური ენების და ეთნოსის ისტორიის და საერთოდ ორიენტალისტიკის საფუძვლიან ცოდნას და თუ ქართველოლოგობა ემატება ზედ და არმენოლოგობაც, ცხადია უფრო მეტ მეცნიერულ ცოდნას უნდა მოიცავდეს ამ პიროვნების გონება. დევიდ ლენგმა 2005 წელს მოსკოვში გამოსცა სამეცნიერო ნაშრომი „სომხები“. აღნიშნულ შრომაში ვკითხულობთ აბსოლუტურად იგივეს, რასაც იმეორებენ აივაზიანის ვაი-მეცნიერთა ჯგუფი, და რაც აღწერილია კორიუნის მაშთოცის ცხოვრებაში. მთელ ამ დიდტანიან შრომაში გადამღერებულია პატკანოვის, მარის და მათ თანამოაზრეთა ნამოღვაწარი. არც ერთი წინადადება ობიექტურ მეცნიერულ აზროვნებასა და კვლევაზე! უარესიც – ბატონი ლენგი განსაზღვრულ ეტაპზე „მეცნიერულ“ კვლევას ცვლის პოლიტიკური კვლევით და უკვირს, რომ „სომხეთის ეთნიკური ტერიტორიები ნახჭევანი და ყარაბახი რჩება აზერბაიჯანის იურისდიქციაში, ჯავახეთისა და სამცხის პროვინციები კი საქართველოს იურისდიქციაში!“ (შრომა დაწერილია 80-იან წლებში და რატომ დაისტამბა 2005 წელს? თანაც მოსკოვში!)

ბატონი ლენგი თავის „მეცნიერულ“ შრომას ამთავრებს მაღალფარდოვანი შეძახილით: რომ „სომხეთი არის კაცობრიობის ცივილიზაციის ჭეშმარიტი აკვანი!“ – თუ ეს ასეა, ჩვენ ქართველებს ნამდვილად გვიხარია, მაგრამ ჯერ ბერძნულ-რომაული ცივილიზაცია (შუმერი და ეგვიპტე რაღა სახსენებელია?) ამოფხიკონ ქართული ხატებივით და გამარჯვების სიმფონია შემდეგ ააჟღერონ ხმამაღლა, ბატონებო! ახლა რაც შეეხება ყარაბახს და სამცხე-ჯავახეთს: ისტორიაში ოდნავ (არ ვამბობ ღრმად) ჩახედულმა პიროვნებამ იცის, რომ დღევანდელი ყარაბახის (იგივე ყარაბაღის) ტერიტორიაზე ქართველთა ჯიშისა და ტომის მონათესავე ალბანელები, იგივე ალვანელები ცხოვრობდნენ. მათ სახსოვრად კახეთში ახლაც არსებობს ორი საკმაოდ დიდი სოფელი ალვანი! ბედის უკუღმართობის წყალობით სომხურმა საპატრიარქომ მონოფიზიტობა რომ იტყვიან ცეცხლითა და მახვილით გაავრცელა აღნიშნულ მხარეში. ამ გარემოებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ სომხეთმა სახელმწიფოებრიობა დაკარგა და სპარსეთის სახანოდ გადაიქცა მე-5 საუკუნიდან! შაჰებმა სომხურ ეკლესიას ყოველგვარი პირობები შეუქმნეს მართლმადიდებლობის გასანადგურებლად. ამგვარად ქართული ჯიშის ხალხი ალვანელები ნაწილობრივ გაასომხეს ყარაბახში, ნაწილი დარჩა მართლმადიდებლად! ნაწილი გამუსულმანდა! და მე-7 მე-8 საუკუნიდან მათი სახსენებელი ისტორიამ წაშალა, ასე, რომ თურქ-სელჩუკთა მოძალების პერიოდში ამავე ტერიტორიაზე დასახლდნენ მუსულმანი ტომები, რომელთა შთამომავლები შეერივნენ ალბანელებს, იგივე ალვანელებს.

ახლა რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთს... ბატონი ლენგი ვალდებული ბრძანდებოდა (სამსახურეობრივად) შეესწავლა ბიბლია, ბერძნულ-ლათინური ისტორიული წყაროები, არქეოლოგიური აღმოჩენები და სულ მცირე „ქართლის ცხოვრება“! და შეისწავლა კიდეც, რა დონეზე, ეს სხვა საქმეა, რადგან 1966 წელს ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოცემულ წიგნში „ქართველები“ – სამცხე და ჯავახეთი საქართველოს ეთნიკურ ტერიტორიებადაა მოხსენებული. მკითხველი უეჭველად დაიბნევა. რა ხდება? პოლიტიკური დაკვეთაა? ამ შემთხვევაში ნამდვილად უხერხულია დასკვნის გაკეთება! ძალიან უხერხული... მაგრამ ფაქტი სახეზეა! მე აღნიშნულ საკითხს სტატიის წინა თავშიც, „იუდას მორალშიც“ შე-

ვეხე. მსურდა მკითხველის ყურადღება გამემახვილებინა, რომ მეცნიერება და პოლიტიკა ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს არც ჩვენ და მითუმეტეს ისეთ „ცნობილ“ მეცნიერს, როგორიც ლენგია. რას იფიქრებს ამ წიგნების (ორთავეს) წაკითხვის შემდეგ მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება? ცხადია, ლონდონის უნივერსიტეტი შეეცდება მეცნიერება და პოლიტიკა განაცალკევოს. საუბარია ლონდონის უნივერსიტეტზე, მაგრამ ჩემს მკითხველს უსათუოდ დააინტერესებს რას აკეთებს ამ დროს ერევნის უნივერსიტეტი? უჭერს მხარს დაშნაკებისა და ვაი-მეცნიერთა მორალს? საუბედუროდ, დიახ, ბატონებო! „2005 წლის 14 აპრილს ერევანში სტუდენტთა მიერ მოწყობილ ანტიქართულ აქციას სპეციალურად წინ უძღოდა აგრეთვე, ახლახან რუსულენოვან გაზეთ „გაზეტა სნგ“-ში (2005 წ. 01. III) გამოქვეყნებული მარიამ სტეფანიანის სტატია, რომელშიც უკვე უშუალოდ არის მოწოდებული ჯავახეთის სომხეთთან მიერთების შესახებ. სტატიის ავტორი გვაუწყებს, რომ ჯავახეთში შექმნილი პარტიის „ვირქისა“ და ადგილობრივი „დაშნაკ ცუთიუნის“ „წარმომადგენლების აზრით „ჯავახქი საქართველოს შემადგენლობაში დროებით იმყოფება, და ადრე თუ გვიან სომხეთს შეუერთდება“... რაც იმას ნიშნავს, რომ „ფაქტობრივად სომხეთი შეიძლება სერიოზულად აღმოჩნდეს ომის საზღვარზეო“. სტატიაში მოტანილია საქართველოში, სომხეთსა და რუსეთში მცხოვრები სომხების გამონათქვამები, რომელთა მიხედვით საქართველოში გარდაუვალია ეთნოკონფლიქტები და ახალი სისხლისღვრა, კერძოდ, სტატიაში აღნიშნულია, რომ „ჯავახეთის მიერთება (სომხეთთან) შეესაბამება სომხეთის ეროვნული უშიშროების ინტერესებს... თუ ყარაბაღი ჩვენთვის პრესტიჟის საქმეა, ჯავახქი კი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია“... ისინი ფაქტობრივად სომხეთის მთავრობას საქართველოსთან ომისკენ მოუწოდებენ და რჩევასაც აძლევენ კონფლიქტის შემთხვევაში როგორ დაიკავონ ჯავახეთი“ (ა. თოთაძე „სომეხი ვაი-მეცნიერების ანტიქართული ისტერია“, 2005 წ. გვ. 33.).

კიდევ შეიძლება კომენტარი გაკეთდეს ამ საკითხზე? აღნიშნული ციტატა პირდაპირი მოწოდებაა ომისკენ, გავიხსენოთ თურქეთის ამბები... 1919 წლის დეკემბერში საქართველოზე თავდასხმა! რატომ? რისთვის მოუწოდებდნენ თავიანთ სისხლისმიერ ძმებს ომისკენ? სისხლისღვრისკენ? ტერიტორიების წასართმევად? დიახ, ბატონებო! დიახ... ვინ გაასაჩუქრა ჯავახეთი? ამ საქმის ფაქტობრივად სისრულეში მოყვანა რუსებსაც არ უცდიათ, სამაგისოდ ეყოთ სინდისი! აბა საიდან, რა გზებით და აზრებით არიან სომხები, უკეთ რომ ვთქვათ სომეხთა გარკვეული ჯგუფი ასე თავდაჯერებულნი? პროგნოზირებასაც კი აკეთებენ წინასწარ, რომ ომს მოიგებენ! აფხაზეთის ჩამოჭრის მსგავს პროგრამას ხომ არ გვიმზადებს რუსეთი: „ჯავახეთის მიერთება (თურმე) შეესაბამება სომხეთის ეროვნული უშიშროების ინტერესებს“... აი ბატონი ლენგის პოლიტიკური დაკვეთა! უკაცრავად, ბატონო პროფესორო, ბინძურ თამაშში აღმოჩნდით ჩართული! ბატონ ლენგს და უწიგნურ ვაი-მეცნიერთ მივმართავ, რომ ერთად გადავხედოთ (უკვე მერამდენედ) ისტორიულ სინამდვილეს: რა არის ჯავახეთი, სად არის იგი, ვისია და ვინ ცხოვრობდნენ იქ ადრე და ახლა?

სომხები თვითონ არ უარყოფენ, რომ იმ მიწა-წყალს, სადაც ისინი ჩაასახლა პასკევიჩმა, ორ რაიონს (ახალქალაქი, ნინოწმინდა) და მიმდებარე სოფლებს ჯავახეთი ჰქვია. საიდან მოდის ეს სახელი? არც ერთი ბერძნულ-ლათინური ისტორიული წყარო არ იძლევა პასუხს, ერთადერთი – „ქართლის ცხოვრება“ ამომწურავად გვიხსნის, რომ ჯავახოსი მცხეთოსის ძეა!

„ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი არმენოფილი მემატიანე ლეონტი მროველი გასაგები ენით გვაწვდის ცნობას ქართველი ხალხის მამამთავრების შესახებ. ერთ-ერთი მამამთავარი, მცხეთოსის ძე არის ჯავახოსი! ჯავახოსმა მიიღო მემკვიდრეობით საქართველოს მიწა-წყალი „ვანავრითგან ვიდრე თავამდე მტკვრისა“. ჯავახოსის მამულში მოსახლე ქართლოსიანთა ტომს ეწოდა ჯავახელები, ე. ი. თავიანთი ეთნარქის სახელი! მამულს კი – ჯავახეთი! ბატონო მეცნიერო, აქ ალბათ გაუგებარი არაფერია! ძველი წელთაღრიცხვით ჯავახეთი გადაჭიმული იყო ფარავნის ტბიდან მტკვრის სათავის ჩათვლით, მასში შედიოდა არსიანის ულამაზესი მთები და მთავრდებოდა მესხეთის მთებთან, დღევანდელი ოლთისის მიდამოებში! ესაზღვრებოდა სამცხეს და იწოდებოდა ზემო ქართლად!!! ჯავახეთი ქართლოსიანთა ტომების არსებობის ისტორიის მანძილზე ყოველთვის განუყოფელი და მჭიდროდ დასახლებული ნაწილი იყო მისი! მე მოგაწოდეთ ერთი ამონარიდი XI ს-ის ისტორიული წყაროდან. ბ-ნ ლენგს ვთხოვ კიდევ ერთხელ გადაიკითხოს „ქართლის ცხოვრება“ და გაერკვეს ამ არცთუ რთულ საკითხში! უხერხული საქციელია, როცა ასეთი ავტორიტეტული ქვეყნის და ასევე ავტორიტეტული უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც კავკასიათმცოდნეა და აქვს ქართველოლოგობის პრეტენზია – ქართველ ხალხს, ერს, ქვეყანას სახეში სილას გააწნავს და დასასჯელად უმიზეზოდ დააყენებს კუთხეში აბეზარი ბავშვივით. რატომ, ბატონო პროფესორო? ვინ მოგცათ თქვენ ქართველი ერის ისტორიის შეურაცხყოფის უფლება? რით დავიმსახურეთ ჩვენ, ქართველებმა თქვენი მაღალი პერსონის ზიზღი?

ნებისმიერ ისტორიკოსს და ენათმეცნიერს მოეხსენება, რომ კავკასიათმცოდნეობა საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო მიმართულებაა ისტორიოგრაფიაში. როგორც ქიმიკოსები იტყვიან, ამ შემთხვევაში ყოველ მოლეკულას დიდი გაფრთხილება, დამუშავება და ანალიზი სჭირდება, ოღონდაც ლოგიკური ანალიზი! მეცნიერის პატიოსნება, პასუხისმგებლობა და ყოველივე ამის შედეგად ჩამოყალიბებული საფუძვლიანი ანალიზი რას ნიშნავს და რამდენად მნიშვნელოვანია, ეს ჩვენ კარგად ვიცით რაულინსონ-ლენორმანის სკოლის წარმომადგენლებისა და პიოტროვსკის მოღვაწეობიდან. თუ მეცნიერს აღნიშნული თვისებები არ ახასიათებს, მას მომავალი თაობის აღზრდა არ უნდა მიანდონ, თანაც ისეთ ცნობილ უნივერსიტეტში, როგორიც ლონდონის უნივერსიტეტია, რადგან თავიანთ გამიზნულ და მეცნიერებისთვის ცდომილ, პოლიტიზირებულ აზრს შეუგნებლად გადასცემს ახალგაზრდობას, რაც ყოვლად დაუშვებელია!

ამჯერად დავუბრუნდეთ ბატონი ლენგისთვის საკმაოდ „რთულ“ კავკასიის, საქართველოს, კერძოდ ჯავახეთის ისტორიას.

ლეონტი მროველი გასაგები ენით გვიხსნის, რომ ისტორიიდან (ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“), „ცნობილია, რომ უდიდესმა მეფემ, ვახტანგმა თავის შვილებს ანდერძით გადასცა საკუთარი მამული – ჯავახეთი – „წუნდიდან ვიდრე სომხითამდე“. წუნდა ჯავახეთის დედაქალაქი იყო ბატონო მეცნიერო, მოგეხსენებათ. ჯუანშერი მიუთითებს გორგასლის ბრძანებაზე ეპისკოპოსების დანიშვნის შესახებ: „დასვა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა, ერთი არტაანს ერუშეთს, ერთიც ჯავახეთს, წუნდას“... მინდა ბ-ნ ლენგს გავახსენო, რომ ახალქალაქთან ახლოს, იქვე, 12 კილომეტრში დღესაც დგას ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების კიდევ ერთი შედევრი – კუმურდოს დანგრეული საეპისკოპოსო ტაძარი! რომელიც 964 წელსაა აშენებული ხუროთმოძღვარ საკოცარის მიერ და ეროვნულობის დამადასტურებელი პასპორტი – წარწერა, მშვენიერი ქართული ასომთავრული ამშვენებდა ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ „სამხრეთის შესავლის თავზე“ (ვ. ბერიძე, ძვ. ქართული ხუროთმოძღვრება“, თბ., 1974 წ., გვ. 129). მეცნიერს, რომელსაც კავკასიათმცოდნეობის კურსის წაკითხვა ევალება ლონდონის უნივერსიტეტში და არის ქართველოლოგი, ცხადია ის მარტივი ისტორიული წიაღსვლები უნდა იცოდეს, რაც ქართველმა ერმა გამოიარა და განიცადა არამარტო ანტიკურ, არამედ ქრისტეს შობიდან დღემდე! გიორგი მერჩულეს „ცხოვრებაში“ შესანიშნავადაა წარმოდგენილი არამარტო ჯავახეთის, მთელი ისტორიული მესხეთის სისხლსავსე ცხოვრება და ეს ქვეყანა (მესხეთ-ჯავახეთი) „ქართლად ფრიადი აღირიცხებოდა“ ბატონო ლენგო! ეს სიტყვები მერჩულეს ეკუთვნის! და ალბათ იცით, რომელ საუკუნეში! რაც შეეხება ძველ წელთაღრიცხვამდე ჯავახეთსა და მესხეთს – ორთავე მხარე ერთიანი იბერიის განუყოფელი ნაწილი იყო ყოველთვის. იბერთა და მესხთა სამეფოს ძლიერებაზე მითითებულია ბერძნულ-ლათინურ, ებრაულ, არაბულ ისტორიულ წყაროებში და ასევე წინამდებარე სტატიის პირველ ნაწილში – „იუდას მორალში“. ჯავახეთსა და მესხეთში არც-ერთი სომხური ოჯახი არ ცხოვრობდა 1829 წლამდე! დიახ! არ ცხოვრობდა! ეს ჩემი სურვილი არ არის, ეს ისტორიული დოკუმენტების წყალობაა! ბატონ ლენგს შევახსენებ, რომ როცა ოსმალებმა საქართველოს სამხრეთი დაიპყრეს და ფეხიც მოიკიდეს ამ მხარეში (მესხეთ-ჯავახეთში), შექმნეს ბრწყინვალე ისტორიული დოკუმენტი, რომელიც ჩვენ ასე ძალიან გამოგვადგა დღეს! დიახ ბატონო! მესხეთ-ჯავახეთს თურქებმა უწოდეს „გურჯისტანის ვილაიეთი“ და როგორც უკვე მოგახსენეთ 1595 წელს აღწერეს მისი მოსახლეობა. ე. ი. შეადგინეს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. აღნიშნული დოკუმენტი მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ყველა პიროვნებისა თუ მეცნიერისთვის, რადგან „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ შეიცავს უტყუარ და უმნიშვნელოვანეს ცნობებს აქაური მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის, სოციალური და ეკონომიკური პირობების შესახებ. „გურჯისტანის ვილაიეთში“ შედიოდა დღევანდელი ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდის რაიონები; ყარსის მხარე, არტაანის და ოლთისის ოლქები (დღეს თურქეთის შემადგენლობაშია) – სულ 1160 სოფელი! ადვილი მისახვედრია ის, რომ თურქებმა შესანიშნავად იცოდნენ ამ მხარის ქართულობა და მას უწოდეს „გურჯისტანის ვილაიეთი“ და არა არმენიის ვილაიეთი! არც ის უნდა იყოს ძნელი მისახვედრი და გასაგები, რომ ისტორიკოსს ისტორიული წყაროების მოძიება, შესწავლა და მათი სწორი ანალიზი მოეთხოვება ბატონო ლენგო! „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ სათითაოდ არის აღრიცხული ყველა სოფელი და სოფლის ყოველი მკვიდრი, უფრო სწორედ რომ ვთქვათ მასში შეტანილია კომლის უფროსის სახელი, მამის სახელი და ხშირ შემთხვევაში მათი პროფესიაც კი (შეგიძლიათ გადაამოწმოთ), მოსახლეობის 100%-ი ქართული იყო, 97%-ი კი მართლმადიდებელი ქრისტიანი, მხოლოდ 3%-ი ქართველებისა იყო სჯულშეცვლილი! ე. ი. მაჰმადიანი! ოჯახის უფროსთა სახელები სუფთა ქართულია, მაგალითისთვის წარმოგიდგენთ რამდენიმეს: მახობელა, ღვთისავარი, მახარა, ლომინა, წამალა, შაშია, ბეჟანა, პაპუნა, აღდგომელა, გიგოლა, თევდორე და სხვანი... ყურადსაღებია, რომ თურქები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს“ არ შექმნიდნენ ჩვენდა საამებლად. იმ პერიოდში (1595 წელი) სომხების საკმაოდ მდიდარი დიასპორა არსებობდა თურქეთში და სულთნის კარზე გავლენიანი თანამდებობებიც ეჭირათ, ისევე, როგორც შაჰების სპარსეთში! გაუგებარია, რომელი ისტორიული წყაროების საფუძველზე მიუბოძა ბატონმა მეცნიერმა დევიდ ლენგმა ჯავახეთი სომხებს? და თუ არსებობს ასეთი დოკუმენტი ბატონი ლენგი ვალდებულია წარმოუდგინოს იგი არამარტო ქართველ მეცნიერებს, არამედ მთელ საქართველოს, ქართველ ხალხს, რადგანაც ეს საკითხი თითოეული ჩვენთაგანისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ბ-ნო მეცნიერო. ალბათ გახსოვთ არისტოტელეს ცნობილი გამოთქმა „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია“-ო, იმედია ჩაუფიქრდებით დიდი ფილოსოფოსის ნააზრევს... წინააღმდეგ შემთხვევაში ვიტყვი, რომ თქვენი მეცნიერული მოღვაწეობა ერთი დიდი ტყუილია და ან ბოდიში უნდა მოუხადოთ საქართველოს, ერს, ხალხს, ან კიდევ, აუცილებლად უნდ გადადგეთ დაკავებული თანამდებობიდან, რადგან, თქვენ ქართულ ისტორიოგრაფიასა და ენათმეცნიერებაში სათანადოდ გარკვეული არ ბრძანდებით და არა გაქვთ უფლება „მიითვისოთ“ ქართველოლოგის წოდება! არა გაქვთ უფლება ისეთ ცნობილ უნივერსიტეტში, როგორიც ლონდონის უნივერსიტეტია ასწავლოთ კავკასიათმცოდნეობის კურსი და საქართველოს ისტორია.

ამჯერად მინდა მცირე ექსკურსი შევთავაზო ჩემს მკითხველს საქართველოს ისტორიული წარსულიდან... და გავახსენო, რომ ბიბლიური თუბალ-მეშექის ხალხზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. ასევე ამომწურავად ვისაუბრეთ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ წარწერებზე შუამდინარეთში, ვანსა და კარმირ-ბლურში. ხოლო ძვ. წელთაღრიცხვის XIII-XII საუკუნიდან ჩვენ გვაქვს ზუსტი ისტორიული ცნობები კოლხიდის მდიდარი სამეფოს არსებობის შესახებ. აღარ ვსაუბრობთ ქვისა და ბრინჯაოს ხანებზე (სოფელ გოდოგანთან (ქუთაისი) აღმოჩენილ გამოქვაბულში 1914 წ. არქეოლოგებმა მოიპოვეს ქვის, კაჟის და ძვლის იარაღები, რომლებიც მეცნიერებამ 30 000 წლით დაათარიღა), კოლხიდის სამეფოს სიმდიდრესა და ძლიერებაზე ვრცლად მოგვით-

ხრობს ჰომეროსი თავის თხზულებებში და აპოლონიოს როდოსელი „არგონავტიკაში“. კოლხიდა დღევანდელი საქართველოა და საქართველოს ისტორია თუ მეტი არა კოლხიდის ისტორიით მაინც უნდა დაიწყოს! კოლხიდა ისევე ძველი და ანტიკური ქვეყანაა, როგორც საბერძნეთი, ჩინეთი, ეგვიპტე, ბაბილონი, შუმერი! მოგვიანებით – ძვ. წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეებში გვაქვს ქსენოფონტეს ჩანაწერები, მან და მისმა მეგობრებმა გაიარეს ქართველთა ქვეყნებზე და ქსენოფონტემ საკმაოდ ვრცლად აღწერა მათი, კოლხების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ყოფა-ცხოვრება. ასევე ჰეროდოტემ, სტრაბონმა, დიოდორე სიცილიელმა, არიანემ... იოსებ ფლავიუსმა, პლინიუსმა, პროკოპი კესარიელმა ... და არ დარჩენილა ცნობილი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი კოლხეთი და იბერია არ აღეწეროს! მცდარია ზოგიერთი ისტორიკოსის მოსაზრება, როცა კოლხეთის საზღვრად მიუთითებენ: სამხრეთით მდინარე ჰალისით, – დასავლეთით შავი ზღვით, ჩრდილოეთით მდინარე ეგრისწყლით, აღმოსავლეთით კი ლიხის მთით, – კოლხეთის სამეფო ძველი წელთაღრიცხვის XIV-XIII საუკუნეებში სავარაუდოა, რომ ვრცელდებოდა კასპიის ზღვამდე, ე. ი. მოიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს – იბერიას, კახეთს, ჰერეთს! სტრაბონის ცნობით კოლხეთის დედოფალი პიროდორა (ასეთი სახელები დღესაცაა იმერეთში შემორჩენილი) ფლობდა ტიბარენების, ფარნაკიის და მთლიანად კოლხეთის ქვეყნების აფშილ-აბაზგებიდან მდინარე ღალისამდე და ვიდრე კასპიის ზღვამდე. ბოლო დრომდე ხევისბერების ლოცვებში იხსენიებოდა კოლხეთი... და წარმართული პანთეონი იყო საერთო ქართველური! იბერიის დასახელებას პირველად ვხვდებით ბერძენ ისტორიკოსებთან ძვ. წ. V-IV საუკუნეებში და იგი ცვლის სიტყვა თუბალსა და ტიბერს. ადვილი ასახსნელია, რადგან ქართველური ტომები მუდმივ იყოფიან: ოჯახები, ძმები, გვარები... ქართლოსის, ქართულად გამოითქმოდა „კარდუ“, ყველა შვილმა ცალკე სამეფო შექმნა და თვითონ გახდნენ ეთანარქები! „მცხეთაში, თბილისის მახლობლად, სადაც ოდესღაც მზეს განდობილნი საკულტო სალოცავებს აგებდნენ, რათა მედიტაციისას გამოეყენებინათ ამ ადგილის უჩვეულო გამოსხივება, იქ, სადაც მეოთხე საუკუნის დამდეგს წმინდა ქალწულმა ნინომ ვაზის ნასხლევისაგან საკუთარი თმით შეკრული ჯვრით გვაზიარა ქრისტიანობას, გადმოცემის თანახმად გვეგულებოდა კარდჰუს (ბერძნ. ქართლოსის) წმინდა საფლავი. ყოველ წელს იმართებოდა მისი (კარდჰუს) დატირება, ოღონდ ამაში ალბათ არ იგულისხმებოდა პირველმდგენის ჭეშმარიტი სიკვდილი... ...კარდჰუს იმიტომ დასტიროდნენ, რომ ქვეშეცნეულად გრძნობდნენ: პირველმდგენის (ე. ი. წინაპრის) გარეშე ხალხს ხალხი აღარ ჰქვია. ეს შეიძლება იყოს ადამიანთა ჯგრო, მაგრამ მას არ ექნება არსი!“ (გრიგოლ რობაქიძე, ჰიტლერი, 2006 წ. თბ., გვ. 29-30). მიუხედავად გაყოფისა მისი შვილები, როგორც უკვე ვიცით, ყოველ წელს იკრიბებოდნენ მამის საფლავზე. მაგრამ არ გაყოფილან მარტო შვილები! გაიყვნენ შვილიშვილები, შვილთაშვილები... და ასე შემდეგ... ამ გაყოფის მავნე ჩვეულება, ქართული გენის დაავადებაა. სწორედ ამის ბრალია, რომ ერთი და იგივე ჯიშისა და გენის ხალხი ორი მამამთავრითაა ბიბლიაში წარმოდგენილი ჯერ თუბალკაინით და შემდეგ თუბალით და მეშექით და ეს უნიკალური შემთხვევაა, რადგან არც ერთ ბიბლიურ ხალხს ორი მამამთავარი არ ჰყოლია. მიუხედავად განცალკევებისა, საერთო მტრის წინააღმდეგ მაინც ერთად იბრძვიან, რაც კარგად იკითხება ბოღაზ-ქოის თიხის ფირფიტებზე და კარმირ-ბლურისა და ვანის კლდეებზე. კახელი გლეხი ამ საკითხზე ლამაზად იტყოდა: „ცოტა ტვინის გატოკებაღა უნდაო და...“ ნებისმიერი შეძლებს გააკეთოს დასკვნა ქართველური ტომების წარმომავლობის შესახებ!.

ამჯერად კომენტარებისთვის შევარჩიოთ და ყურადღებით გადავხედოთ რამდენიმე გამოცემას, კერძოდ „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ (ტ. 1, თბ. 1970 წ. გვ. 313) ბ-ნი გიორგი მელიქიშვილი წერს: „ის რაც მწიგნობრული გზით შემოინახა ადრე შუა საუკუნეებიდან, გვიჩვენებს, რომ ადგილობრივ (როგორც მაშინ საყოველთაოდ იყო გავრცელებული) ცდილობდნენ თავისი შორეული წარსული, თავისი წარმომავლობა გამოჩენილი წინაპრებისათვის დაეკავშირებინათ. მართალია, ხშირად ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მმართველი ფენის, დინასტიის წარმომავლობას ეხებოდა საქმე, რომელიც ამით ცდილობდა კიდევ უფრო მკვეთრად გამიჯვნოდა თავისი ხალხის ძირითად მასას...“

აღნიშნულ აბზაცში აბსოლუტურად გაუგებარია რისი თქმა სურს პატივცემულ მეცნიერს, რადგან ბატონი გიორგი მელიქიშვილი თავის მოსაზრებებს ყოველთვის მხოლოდ ვარაუდებზე აგებს, ამ შემთხვევაში კი დასკვნა აქვს გამოტანილი, რომ „როგორც მაშინ საყოველთაოდ იყო გავრცელებული“.. ე. ი. ქართველთა წინაპრებს მეცნიერის აზრით რცხვენოდათ თავიანთი „არასასურველი“ ან არასრულფასოვანი, ალბათ სამარცხვინო წარმომავლობის წარმოჩენა და „ცდილობდნენ თავისი შორეული წარსული, თავისი წარმომავლობა გამოჩენილი წინაპრებისთვის დაეკავშირებინათ“. თუ „გამოჩენილი წინაპრები“ მათი წინაპრები იყვნენ, აქ რა იყო საკვირველი? მთლად უარესია ბოლო წინადადება ...„ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მმართველი ფენის, დინასტიის წარმომავლობას ეხებოდა საქმე, რომელიც ამით ცდილობდა კიდევ უფრო მკვეთრად გამიჯვნოდა თავისი ხალხის ძირითად მასას.“ იმდენად დაბნეული ჩანს ჩვენი ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, რომ ვერ გადმოსცემს სათქმელს, რადგან ქართველი მხედართმთავრები და მმართველი წრეები საკუთარ ხალხს არასოდეს ემიჯნებოდნენ, და კიდევ, ნებისმიერ არისტოკრატს თუ ღირსეული წინაპარი ჰყავდა, რა იყო აქ დასამალი? მაგრამ ცოტა ქვემოთ ჩავიწიოთ და მივხვდებით რისი თქმა სურს საქართველოს ისტორიის მთავარ მწერალს (ამ შემთხვევაში): „ელინისტურ ხანაში აღმოსავლეთ აზიის არაერთ სამეფო-სამთავროს (პონტოს, სომხეთის, კაბადოკიის) მმართველ დინასტიას თავისი თავი აქემენიდური ხანის ირანის მმართველი დინასტიიდან გამოჰყავდა. ამისდაკვალად იბერიაშიც, ჩანს გავრცელებული ყოფილა ვერსია იბერთა მმართველი სამეფო სახლის წარმომავლობის შესახებ აქემენიდთა დინასტიის უკანასკნელი მეფის დარიოს III-ის (ძვ. წ. IV ს. დასასრული; მეფე, რომელიც ებრძოდა ალექსანდრე მაკედონელს) სატრაპ მითრიდატესაგან, რომელიც თითქოს, ალექსანდრე მაკედონელს დაუნიშნავს

მმართველად კავკასიაში მოსახლე იბერებისათვის. ამის შესახებ გადმოცემა დაცული აქვს ძველ სომეხ ისტორიკოსს მოსე ხორენაცს, რომელიც ამასთანავე აღნიშნულ მითრიდატეში პონტოს სამეფოს დამაარსებელ მითრიდატეს (337-302) გულისხმობს.“

დავიწყოთ თავიდან: 1. ელინისტურ ხანაში სულაც არ იყო საქები აქემენიდური ხანის ირანის მმართველ დინასტიასთან ნათესაობა, რადგან როგორც ისტორიკოსი აღნიშნავს არსებული ხანა ელინისტური იყო! ე. ი. რომი-საბერძნეთის ძლიერების! 2. იბერიაში არასოდეს ყოფილა გავრცელებული ვერსია იბერთა სამეფო სახლის აქემენიდთა დინასტიასთან ნათესაობის შესახებ. თუ უმოყვრდებოდნენ, აქემენიდთა სახლს, რაც პოლიტიკით იყო განპირობებული, ამ ფაქტს არც არასოდეს მალავდნენ იბერიელნი, რაც შეეხება იბერიელთა წინაპრების ნათესაობას მიდიელთა სამეფო დინასტიასთან, რომლის წიაღშიც შეერთდა აქემენიდთა დინასტიის სამეფო გვარი, ისტორიისთვის კარგად ცნობილი ფაქტია! 3. თუ პონტოს მეფე მითრიდატე დარიოს III-ის სატრაპი იყო და ისინი ერთიანი ძალით ებრძოდნენ ალექსანდრე მაკედონელს, როგორღა დანიშნა მაკედონელმა აღნიშნული მითრიდატე იბერიის მმართველად, თანაც, ბატონი აკადემიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ: „მაკედონელს დაუნიშნავს მითრიდატე მმართველად კავკასიაში მოსახლე იბერებისთვის“. მკითხველს უეჭველად გაუჩნდება ეჭვი აღნიშნული ხალხის (ამ შემთხვევაში „კავკასიაში მოსახლე იბერების“) აბორიგენობის შესახებ. ისტორიკოსს რომ ჩაეწერა კავკასიელი იბერებისთვის, ე. ი. აღნიშნავდა აბორიგენ მოსახლეობას, რადგან ასე არ გააკეთა, დაბადა ეჭვი იბერების წარმომავლობის ირგვლივ. რატომ გააკეთა ეს? თუ მოსე ხორენაცის აზრი მისთვის ამდენად სარწმუნოა, რატომ არ გაჰყვა ხორენაცის აზრს, რომ არმენები დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე მოსული ხალხია და ამას არ უარყოფს ხორენაცის ისტორია? მცირე ექსკურსით მინდა მკითხველს მივაწოდო ამონარიდი ხორანაცის „ისტორიიდან“: „როგორც ყველასათვის ცნობილია, გარშემო მობინადრე ხალხები ჩვენს ქვეყანას დღემდე არამის სახელის მიხედვით ეძახიან“... (სომხეთის ისტორია, 1984 წ. გვ. 77). ხორენაცის მიხედვით არამი მათი ხალხის რამდენიმე წინაპარს ერქვა: „იაფეტმა შვა გამერი, გამერმა შვა თირასი, თირასმა შვა თარგომი, თარგომმა შვა ჰაიკი, ჰაიკმა შვა არამაენაკი, არამაენაკმა შვა არამაისი, არამაისმა – არამი, არამმა შვა არამშვენიერი“ (გვ. 62). როდესაც ჰაიკი „... ბაბილონში ვაჟის, არამაენაკის შეძენის შემდეგ გაეშურა ჩრდილოეთის მხარეებში მდებარე არარადის ქვეყნისაკენ (ე. ი. ურარტუს ქვეყნისაკენ!) თავისი ვაჟებითა და ქალიშვილებით... იგი მივიდა და დამკვიდრდა ერთი მთის ძირას, ვაკეზე, სადაც უკვე დასახლებულიყო მცირეოდენი ხალხი ადრინდელი გაფანტვის დროს. ჰაიკმა დაიმორჩილა ისინი (!) და აააგო იქ სამემკვიდრეო სახლი... ამას ძველი ზეპირგადაცემებიც ადასტურებენ“ (მ. ხორენაცი, ისტორია, გვ. 70). „... ამასთანავე მან და მისმა შვილებმა უბრძანა აქაურ მკვიდრთ, შეეთვისებინათ სომხური ენა და ლაპარაკი“ (იქვე, გვ. 77).

საქართველოსა და ქართული ეკლესიის ისტორიის ბრწყინვალე მკვლევარი, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე წიგნში „ქართველთა წინაპრების ისტორია ბიბლიური ადამიდან იესომდე“ (თბ. 1994 წ. გვ. 74) წერს, რომ: „ხორენაცი მუდამ ლაპარაკობს სომეხთა გადმოსახლების დროს სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები არასომხური ტომების შესახებ, რომლებიც ათქვეფილან შემოსულ მოსახლეობაში.“ ხორენაცის „ისტორიის“ ქართულად მთარგმნელი ა. აბდალაძე წერს: „ხორენაცის ამ და მსგავს ცნობებში ასახულია ისტორიული სინამდვილე იმის შესახებ, რომ ე. წ. „დიდი სომხეთის“ მიწაწყალზე სომეხთა მოსვლამდე მკვიდრობდნენ სხვა ხალხები, მათ შორის ქართული მოდგმის ტომებიც“ („ისტორია“ გვ. 249). ძალიან ადვილია დასკვნის გაკეთება! რომ არმენები მოსული ხალხია და მათ ცეცხლითა და მახვილით დაიმორჩილეს ქართველი ალაროდიული (იგივე ურარტუელები) მოსახლეობა, ვინც იბერიაში გაქცევა ვერ მოახერხა!

დაძაბული სიტუაციაა ქართულ-სომხურ ენობრივ ურთიერთობებშიც! სომხურ ენას უამრავი დამცველი გამოუჩნდა სომეხ და ქართველ ვაი-მეცნიერთა სახით. ნიკო მარის მტკიცებით სომხურიდანაა ქართულში შემოსული სიტყვები: „კატაბანი“, „კოლტი“, „პატივი“, „ჟამი“, „ჭეშმარიტი“, „სასტიკი“, „ქურუმი“, „ხარკი“, „ბილწი“ და სხვა, მაშინ როცა უძველესი ქართული ენა ფლობდა აღნიშნულ სიტყვებს! თავის დადება არ შეიძლება იმაზე თუ რატომ და როდის შევიდა ერთ – ან მეორე ენაში რომელიმე სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რადგან, როგორც ილია ამბობს, ეს მოვლენა არც – ერთი ენის დანაშაული არ არის და ამით არცერთი ენა არ ითრგუნება! პირიქით; მაგრამ ერთ-ერთ ამოსავალ წყაროდ ქართული ენის დასამცირებლად სწორედ აღნიშნული საკითხი გამოიყენა აივაზიანის მეცნიერთა ჯგუფმა. ქართულ ენას კი ილიას შემდეგ ვინღა დაიცავდა? ნიკო მარმა უდიდესი წვლილი შეიტანა არმენოლოგიის განვითარებაში და თუ არმენებს დღეს იცნობს მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება ეს მათთვის ისეთი დიდი მოღვაწის დამსახურებაა, როგორც მარი იყო! სიცოცხლის ბოლო წლებში მარი უფრო სერიოზულად ჩაუღრმავდა ქართულ ენას და ჩამოაყალიბა საკუთარი კონცეფცია და „აღიარა“, „რომ ქართულ ენობრივ სამყაროს დიდი გავლენა მოუხდენია სომხურ ენაზე წინაისტორიულ ხანაში, უძველეს პერიოდში, როდესაც ხდებოდა სომხური ეთნოსის ფორმირება, შესაბამისად – სომხური ენის ჩამოყალიბება“. როდის, რომელ საუკუნეებში ხდებოდა სომხური ეთნოსის ჩამოყალიბება მარის აზრით? ისტორიულად სომხური ეთნოსი ყალიბდებოდა ძვ. წ. V-IV სს-ში. ნიკო მარის უდიდესი წვლილი არმენოლოგიაში სწორედ ეს არის! კონცეფციის სქემა ასეთია: „სომხური ნარევი ენაა, ორბუნებოვანია, ერთი ფენა შენარევი და შეზრდილი სხვა ფენასთან, ქართველურ-კავკასიურ სამყაროსთან სიახლოვით არის აღბეჭდილი“ (შ. ძიძიგური „ნიკო მარი ქართული კულტურის მკვლევარი“. თბ. 1985 წ. გვ. 104).

ერთი მხრივ მარი აყენებს თეორიას სომხურის ზეგავლენის შესახებ ქართულზე, მეორეს მხრივ კი ამტკიცებს: „სომხური ენის თავდაპირველ ფორმირებაში ქართველური ენების მეგრულ-ჭანურ-სვანურის“ დიდ გავლენას!. ორთავე ჰიპოთეზა ჩემი ღრმა რწმენით ჰიპოთეზად დარჩა, რადგან აღნიშნული „ქართველური ენები“, როგორც მარი უწოდებს მათ, აბსოლუტურად განსხვავებულია და არაფერი საერთო არა აქვთ სომხურთან!

რის მიღწევას ცდილობენ არწრუნ – პატკანოვ – მარი – აივაზიანთა ჯგუფი? „სომხეთის ორივე ენის (ე. ი. მარის აზრით ჰაიკური და არმენული) თვითჩასახვაში დიდი წილი უდევს სვანურს... სვანურში უნდა ვეძიოთ ყველაზე უპირველესად სომხეთის ლურსმული წარწერების გამოცანის ახსნა“ (იქვე, გვ. 105). დიახ! ამოცანა მშვენივრად ამოიხსნა! ბატონმა მარმა შესანიშნავად იცოდა თიხის ფირფიტების, ვანისა და კარმირ-ბლურის, მესოპოტამიის გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალები რომ არ იკითხებოდა ქართულისა და დაშლილი ქართველური ენების გარეშე და ამიტომაც დედა-შვილად გამოიყვანა სომხური – მეგრული და სვანური! როგორ დავიჯეროთ, რომ მარს არ ესმოდა (უკაცრავად), ამ სიტყვებით რა სისულელეს გამოთქვამდა? რა საერთო მოუძებნა სომხურს მეგრულ – ჭანურ – სვანურთან?!! მაგრამ... მარი ავტორიტეტი იყო ორიენტალისტიკაში და როგორც დამცავი ფარი ისე სჭირდებოდათ სომეხთა უწიგნურ მეცნიერებს ქართველობის და ყოველგვარი ქართულის, ენისა და წარსულის მისათვისებლად! წასართმევად, წასაგლეჯად!. სწორედ მარის წამოაძახებინეს ორი სომხური ენის არსებობის შესახებ – ჰაიკურისა და არმენულის! რაც ბუნებაში არ არსებობს! სომხური ერთი ენაა! ბატონებო ერთი ენა აქვთ არმენებს და დღესაც იგივე ენა არსებობს, რაც 2500 წლის წინ. ძველი ენა, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ლურსმული წარწერების ენა არ არის სომხური და არც შეიძლება იყოს, რადგან აღნიშნულ ტერიტორიაზე ურარტუს ქვეყანაში იმ დროს არმენები არ ცხოვრობდნენ! არამარტო არ ცხოვრობდნენ, სადაც ცხოვრობდნენ იქაც არ ჰქონდათ დამწერლობა! რაც მშვენივრად არის აღწერილი კორიუნის მაშთოცის ცხოვრებაში! სომხეთის ისტორიის მამად მიჩნეული ხორენაციც აღარ მოსწონთ დღეს და ალბათ რომ შეეძლოთ უამრავ ახალ აზრებს ჩაურთავდნენ მის „ისტორიაში“. ასეთი საქციელით ნამდვილად დიდ ზიანს აყენებენ იმ ჭეშმარიტად ღირსეულ სომხურ მეცნიერებას, რომელსაც ჩვენ უკვე ვიცნობთ ბორის პიოტროვსკის ბრწყინვალე სტატიიდან.

დიახ! ნიკო მარმა სიცოცხლე შესწირა პატკანოვისა და არწრუნის იდეების განხორციელებას! ყოველმხრივ ცდილობდა რაულინსონ – ლენორმანის სკოლის ავტორიტეტულ მეცნიერებს წინ გადასდგომოდა და ემტკიცებინა, რომ სომხებს თურმე გააჩნიათ უძველესი სამეფო ენა (ჰაიკური), რომლის კვალი დღეს, თვითონაც აღიარებენ, ნამდვილად არ არსებობს, და რომ არ აღმოჩენილიყო ურარტული წარწერები, არც დასჭირდებოდათ იმ სამეფო ენის გამოგონება, რადგან მისათვისებელი არაფერი იქნებოდა! ცნობილი მეცნიერი ჰანს ფოხტი, მარისაგან განსხვავებით თავგამოდებით ამტკიცებს, რომ თუ რამ საერთო სიტყვები აქვს ქართულს და სომხურს – სომხურმა ქართულიდან ისესხა! „რადგან ქართული ენა უძველესი და უმდიდრესი არისო“... ერთ-ერთ თავის შრომაში მარი ამტკიცებს, რომ „მეხუთე-მერვე საუკუნეების ძველ სომხურ სამწერლო ენაში მოხდა რაღაც(?) გარდატეხა. ძველი სომხური სამწერლო ენის ზოგი თავისებურება, გაბატონებული ამ მომენტამდის, აშკარავდება იმ ქართული ძეგლების შესწავლით, რომლებიც ნათარგმნია სომხურიდან“. ბატონ მარს კარგად მოეხსენებოდა, რომ ეს საუკუნეები მძიმე იყო ქართულ-სომხური ურთიერთობებისთვის და მე-7-მე-8 საუკუნეებში სომხურიდან ქართულად თარგმნილი ლიტერატურული ძეგლები ნამდვილად არ მოიპოვება, თანაც „მრავლად“, ცხადია მკითხველისთვის უკვე გასაგები რელიგიური დაპირისპირების გამო. სწორედ მარი იყო პირველი, რომელმაც 1903 წელს გამოაქვეყნა „ძველი სომხური ენის გრამატიკა“, სადაც წერს, რომ „არიული ენების ელემენტებით არ ამოიწურება სომხური ენის აგებულება; სომხურში ინდოევროპულ ენათა ფენასთან შერწყმულია რომელიღაც უცნობი ლინგვისტური ოჯახის ნალექი“... დიახ... ჩემო მკითხველო... აღნიშნული ჰიპოთეზა მსოფლიო დონის მეცნიერმა მარმა გადააქცია უწიგნურ მეცნიერთათვის მყარ დებულებად! აი აქედან აქვთ პრეტენზიები გუბოგლოსა და სიმჩენკოს და სხვათა „ჰაიასურ იეროგლიფებსა“ და „მეწამორის პეტროგლიფებზე“, – ნიჭიერი მარის ფრიად სამარცხვინოდ და უნიჭოდ დადგმული კომედიური ფარსის წყალობით.

სტატიის წინა თავებში მე ბევრჯერ ვისაუბრე ურარტუელ ხალხზე, მათ სამეფო – გაერთიანებებზე. ჩვენი წინაპრებისაგან (განსაკუთრებით სოფლებში) ხშირად გაგვიგონია, როგორც მეუფე ანანია ჯაფარიძე ბრძანებს: „მოვიდა არამი და გააძევა ალალიო“... ალალის ხსენებისას უნებლიედ გვაგონდება ჩვენი ძველი სამხრეთელი ნათესავები ალაროდიელნი, ანუ ურარტუელნი, რომელნიც თავიანთი მიწაწყლიდან ძირითადად გაძევებულნი, ნაწილობრივ კი ასიმილირებულნი აღმოჩდნენ მათთვის უცხო ტომის მიერ“ (ა. ჯაფარიძე „ქართველთა წინაპრების ისტორია ბიბლიური ადამიდან იესომდე“ თბ. 1994 წ. გვ. 67). აქვე ვკითხულობთ: „ალაროდიელნი ანუ ხალდეველნი (ასეც უწოდებენ ურარტუელებს) ჩვენი მონათესავენი იყვნენ, შეიძლება ითქვას ნაწილობრივ წინაპრებიც კი. ალაროდიელნი შემთხვევით არ უწოდებიათ ხალდეველთა და მათ მონათესავე მრავალრიცხოვან ტომთათვის, განფენილთ პირენეიდან კავკასიამდე. ისინი კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის უძველეს მოსახლეობას წარმოადგენდნენ. ხალდი – ურარტუელთა უზენაესი „ღმერთის“ სახელი იყო, ხალდეველნი სწორედ ამის გამო უნდა შერქმეოდათ. ალალუც „ღმერთის“ სახელი იყო. ხურიტები მას ეთაყვანებოდნენ. ჩრდილო მესოპოტამიიდან, თავიანთი სამშობლოდან ხურიტები ქრისტეშობამდე III ათასწლეულში გავრცელებულან წინა აზიაში... მათ მიერ იყო დასახლებული სირია, ანატოლია და კაპადოკია. მითანს – მათ სახელმწიფოს ეგვიპტელები უწოდებდნენ „ნაჰარინას“, ძველ აღთქმას ეს ტერმინი „ნაჰარაიმ“-ის ფორმით შემოუნახავს. ამ ქვეყანას „სუბართუ“ ერქვა ბაბილონელთა გამოთქმით, ხეთები და ხურიტები (სუბარები) ქართველების წინაპრები არიან, როგორც წერდა სიმონ ჯანაშია. ურარტუელთა ენა ხურიტულს მიეკუთვნება. ხურიტული რწმენით „ღმერთები“ ალალუ და ანუ უფროსი თაობის „ღმერთების“ შთამომავლები იყვნენ. ალალე ურარტუელებსაც სწამდათ. არალეს ან ალალეს ფორმით ამ ღმერთის სახელს ქართულ სიმღერებშიც ვხვდებით“. (იქვე).

1943 წელს გამოვიდა „საქართველოს ისტორია“ აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით. აღნიშნული წიგნი რატომღაც დაივიწყეს ჩვენმა ცნობილმა მეცნიერებმა. რა-

ტომ? მასში ფართოდ და ყოველგვარი „შიშის“ გარეშე წამოყენებულია ს. ჯანაშიას კონცეფცია, რომელიც უაღრესად ერუდირებულმა ისტორიკოსმა არქეოლოგიური მონაცემების ფონზე გამოიმუშავა: „... ქართველები წარმოშობით წინა აზიის მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან. უძველეს დროში, დაახლოებით ექვსი ათასი წლის წინათ, წინა აზიის უზარმაზარ მიწა-წყალზე და სამხრეთ ევროპაშიც ერთი მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ. შემდეგ ამ მოდგმის ხალხთა ადგილსამყოფელი თანდათან იზღუდებოდა. ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგისათვის წინა აზიის მკვიდრი ხალხებიდან ცნობილი იყვნენ ხეთები და სუბარები. ხეთა-სუბარები ქართველ ტომთა წინაპრები არიან. ხეთები (იგივე ხათები – დ. მ.) მცირე აზიაში კაბადოკიის ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ, სუბარებს კი ეჭირათ ტერიტორია ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოყოლებული კავკასიონამდე. ამ ხეთა-მითანის სამეფოების ხანაში კავკასიის მიწა-წყალი ხეთურ-სუბარული მოდგმის მოსახლეობას ეკავა. საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი საუკუნეებისათვის ჩამოყალიბდა კულტურის ორი წრე – დასავლური და აღმოსავლური, რომლებიც ქართველი ტომების ორ გაერთიანებას შეესაბამებოდა: დასავლურ ქართულს და აღმოსავლურ ქართულს. ამავე ხანებში სამხრეთში, წინა აზიაში ასურეთი გაბატონდა. ასურეთთან გამუდმებული ომების შედეგად ხეთურ-სუბარული მოსახლეობა მრავალ წვრილ სამთავროდ დაიქსაქსა. ხეთურ-სუბრული ტომებიდან უფრო ძლიერნი ყოფილან მუსკები (იგივე მუშქები), მერმინდელი მესხები, IX საუკუნეში კი ყველაზე უფრო ენერგიულ ბრძოლებს ასურელებს თუბალები (თუბალები იგივე სუბარები არიან ბერძნულ-ლათინური წყაროებით, ამაზე ქვემოთ ვიტყვი – დ. მ.) უმართვენ. ძვ. წ. IX-VII სს. ხეთურ-სუბარულმა ტომებმა ახალი ძლიერი სახელმწიფო შექმნეს – ურარტუ. აქვე, მეზობლად არსებობდა ხეთურ-სუბარული სამეფო მანა. მალე ეს ხეთურ-სუბარული სახელმწიფოები განადგურდნენ, მაგრამ უკვე ძვ. წ. VI საუკუნისთვის სუბარეთის ჩრდილოეთით მდებარე რაიონების, კერძოდ იბერიის, ე. ი. დღევანდელი საქართველოს მოსახლეობა იმდენად იყო დაწინაურებული, რომ ძლიერი სახელმწიფო ორგანიზაციისათვის საჭირო ნიადაგი არსებობდა. ამიტომაა, რომ როცა ურარტუს სამეფო დაემხო და მისი ცენტრი ვანის ტბის პირას მოისპო, სახელმწიფოებრივმა ცენტრებმა უფრო ჩრდილოეთისაკენ გადმოინაცვლა. აქ ჩამოყალიბდა ძლიერი ქართული სახელმწიფოები: კოლხეთი და იბერია...“ („საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, თბ. 1970 წ. გვ. 326). იქვე ვკითხულობთ გ. მელიქიშვილის კომენტარს აღნიშნულ კონცეფციაზე: „მართალია იგი (ე. ი. სიმონ ჯანაშია!) ლაპარაკობს ხეთურ-სუბარული ცენტრების ჩრდილოეთისაკენ თანდათანობით გადმონაცვლებაზე, მაგრამ ამაში მონათესავე ტომების გავრცელების არეში ერთთა განადგურებისა და მეორეთა დაწინაურების გარდა ხელშესახები არაფერი იგულისხმება“... აბსოლუტურად გაუგებარი წინადადებაა! დიდი ქართველი მამულიშვილის სიმონ ჯანაშიას და ქართველი ხალხის ავტორიტეტის შეურაცხმყოფელი!

სიმონ ჯანაშიამ მაღალ მეცნიერულ დონეზე დაამუშავა ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემები და მსოფლიოს ავტორიტეტულ მეცნიერთა დამტკიცებული დებულება გაიზიარა ქართველური ტომების კავკასიასა და მცირე აზია – მესოპოტამიის ჩრდილოეთ ტერიტორიებზე აბორიგენულობის შესახებ. აღნიშნული ჯანაშიასეული კონცეფციით საბოლოოდ მოიხსნა ივანე ჯავახიშვილისეული ჰიპოთეზა ქართველი ტომების მიგრაციის შესახებ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ (სიცოცხლის ბოლო წლებში ივანე ჯავახიშვილმა თვითონვე უარყო აღნიშნული ჰიპოთეზა და გაიზიარა ჯანაშიასეული). გ. მელიქიშვილის რედაქტორობით 1970 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომში წარმოდგენილ ს. ჯანაშიას კონცეფციის მთავარი რედაქტორის კომენტარების გაცნობისას მკითხველს ბუნებრივად ებადება გრძნობა, რომ აღნიშნული კონცეფცია ვალის მოხდის მიზნით არის გამოქვეყნებული! 70-იან წლებში ალბათ ეს ნაბიჯიც დასაფასებელი იყო, რადგან 1943 წელს სიმონ ჯანაშიას რედაქტორობით გამოცემული „საქართველოს ისტორია“ ფიზიკურად უკვე აღარ არსებობდა! სწორედ 60-70-იანი წლებიდან გაბატონდა „საქართველოს ისტორიაში“ ახალი, ტენდენციური მიმართულება ქართველი ხალხის შესახებ, როგორც წარსულის, ისტორიის არმქონე ერის!

სიმონ ჯანაშიამ თავის კონცეფციაში, რომელიც მყარ მეცნიერულ და ისტორიულ საფუძვლებზე იყო დაშენებული, ტერმინი „არიან – ქართლი“ შემდეგნაირად ახსნა: „სუბარების ქვეყნის სამხრეთ რაიონებს ჰარის ეძახდნენ“, „სუბარებს ... ეჭირათ ტერიტორია ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოყოლებული კავკასიონამდე“ („საქართველოს ისტორია“, თბ. 1943 წ. გვ. 14).

ბატონი გიორგი მელიქიშვილი სიმონ ჯანაშიას საპირისპიროდ ჩამოთვლის ცნობილ უცხოელ მეცნიერებს, რომლებიც ამ შემთხვევაში საუბრობენ ქართული ენის ადგილის შესახებ ენათმეცნიერებაში, მაგრამ გვერდს უვლის (გ. მელიქიშვილი) უმთავრესს, რომ ჩამოთვლილთაგანი ფრ. ბოპი, მარი ბროსე, მ. მიულერი – მეცნიერული გამოკვლევების შედეგად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ წინა აზიისა და მესოპოტამიის ცივილიზაცია ქართველური ან ქართველთა მონათესავე ტომების შექმნილია. აბორიგენ მოსახლეობასაც დღევანდელი ქართველების და იბერიულ ენათა ჯგუფის წინაპარი კავკასიელები შეადგენდნენ!

მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედიდანვე მსოფლიოს ცნობილი უნივერსიტეტები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ახლო აღმოსავლეთით. საუკუნის მანძილზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა და საკვლევაძიებო სამუშაოებმა მცირე აზიაში, მეცნიერებაში გადატრიალება მოახდინეს. აღმოჩნდა ათასობით წერითი ნიმუში, რომლებიც მოგვითხრობდნენ ძველთაძველი ხალხების: ურარტუელების, ელამელების, ხეთელების, ხურიტების, შუმერების იმპერიებზე, მათ სოციალურ-ეკონომიკურ წყობასა და კულტურაზე, ყოველდღიურ ცხოვრებაზეც კი! ცნობილ ენათა ოჯახებიდან: ინდოევროპული, სემიტური, ურალურ-ალთაური (თურანული) არც ერთს არ ენათესავებოდა აღნიშნული წერილობითი ძეგლები ე. ი. ენა! ან ენები! სწორედ ამ პერიოდში კავკასიურ ენებს, და კერძოდ ქართულს, იბერიულს მიაქციეს ყურადღება რაუილინსონ-ლენორმანის სკოლის წარმომადგენლებმა. ქართულ-იბერიული იყო აბსოლუტურად ცალკე მდგომი ენა და არ ენათესავებოდა არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ ინდოევროპულ და სხვა ენათა ოჯახს,

და სწორედ ქართული ენით გახდა შესაძლებელი არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული უამრავი მასალის არა მარტო ამოკითხვა, გაგება!... ჩვენ ამ საკითხს განსაკუთრებული ადგილი დავუთმეთ წინა თავებში. ბატონი გიორგი მელიქიშვილი და ალბათ მთელი სარედაქციო კოლეგია, ვინც შეადგინა და დაწერა თანამედროვეთათვის ძალიან საჭირო წიგნი „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომი, არ აკეთებენ სწორ მეცნიერულ ანალიზს (სხვა ტომებს შემდეგ განვიხილავთ), და ყველაფერს ეჭვით ჩრდილავენ. ე. ი. შეგნებულად ხდება ქართველი ტომების წარსულის ხელოვნური გაყალბება! ავტორიტეტულ მეცნიერთა აზრს კი ბატონი აკადემიკოსი მელიქიშვილი „ცდუნებას“ ეძახის. (გვ. 329), რაც იგივე სილის გაწვნაა ქართველი ერისთვის, და რაც უცხო ლენგმა ასე მოურიდებლად ჩაიდინა. ერთერთი „ცდუნებული“ მეცნიერი, ძველი აღმოსავლეთის ისტორიასა და ეთნოლოგიაში უაღრესად დიდი ავტორიტეტი, ფუნდამენტური შრომების ავტორი ფრიდრიჰ ჰომელია. მან ახლო აღმოსავლეთში, კავკასიაში, მესოპოტამიასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში მცხოვრებ უძველეს მოსახლეობას „ხალხთა ალაროდიული ოჯახი“ უწოდა. აღნიშნული ოჯახი ჰომელის კონცეფციით შედგებოდა: 1. ელამელებისა და კასიტებისაგან, 2. ურარტუელები, რომელთა შთამომავლობას წარმოადგენენ: ქართველები (იგივე იბერები, მესხები), მეგრელები, ლაზები (ჭანები) და სვანები, 3. მცირე აზიის უძველესი მცხოვრებნი, 4. პელაზგები, ეტრუსკები, 5. ესპანეთის „იბერები“ (ბასკები), 6. აფრიკის ლიბიელები...

ლენორმანმა და მასპერომ ფაქტიურად მთელი სიცოცხლე მიუძღვნეს აღნიშნული საკითხის შესწავლას და მეცნიერულ ანალიზს, როგორც ვიცით დასკვნა ასეთია: უძველესი ხალხების: მუშქების, თაბალებისა და კოლხების – იგივე მესხებისა და იბერების უშუალო შთამომავლები არიან დღევანდელი ქართველი ხალხი (იბერები, მეგრელები, სვანები) თავიანთი ენითა და წარმართული კულტურის პანთეონით! 1936 წელს თბილისის უნივერსიტეტს ეწვია ხეთური წარწერების პირველი ამომკითხველი, დიდი ჩეხი მეცნიერი ბედრიხ ჰროძნი... იგი ხეთების შთამომავლებს ეძებდა საქართველოში... მაგრამ ეშმაკს თვალი არ უჩანსო, უთქვამს ჩვენს წინაპრებს... ქართველებს ილიას თქმისა არ იყოს კეთილშობილება და ლიბერალური ხასიათი ყოველთვის უკან ჰხევდა. სომეხთა გარკვეულმა ჯგუფმა თუ ხალხმა, რომელიც 24 საუკუნის მანძილზე ქართველთა წინაპრების სისხლით გაჯერებულ მიწაზე ცხოვრობდნენ, შეურაცხყოფად მიიღეს მეზობელი ერის წარსულის გამოაშკარავებაც კი ... ლამის დასახრჩობად გაიმეტებდნენ ნებისმიერ ქართველს, „წარსულს“ კი არავის დაანებებდნენ! სასწორის ერთ პინაზე იდო უამრავი ოქრო, მეორეზე კი... კეთილშობილი ლიბერალიზმი... პიოტროვსკის მსგავსი ღირსეული მეცნიერები კი დროდადრო თავიანთ ღირსეულ სიტყვას ამბობდნენ: დიდი რუსი მეცნიერი ბ. კუფტინი 30-40-იან წლებში ზედიზედ აქვეყნებს შრომებს, სადაც განიხილავს საქართველოს ისტორიის პრეისტორიულ (ენეოლითი, ადრებრინჯაო, შუა ბრინჯაო) ხანას და აქვეყნებს შრომას "К вопросу о древнеиших корнях грузинской культуры на Кавказе поданным археологий". კუფტინმა აღნიშნული შრომით უკუაგდო ქართველთა გადმოსახლების ყოველგვარი ვარიანტი კავკასიაში და არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე დაამტკიცა „კულტურული განვითარების უწყვეტი ჯაჭვი“! აღმოჩენილი და გამოვლენილი უძველესი კულტურის მდიდარი საგანძური „ეკუთვნოდა სამხრეთ კავკასიის უძველეს მოსახლეობას, რომელიც სწორედ ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ეთნიკურად და აქ ქმნიდა თავის კულტურას“... „უძველესი აბორიგენი მოსახლეობის მემკვიდრენი არიან თანამედროვე ქართველები“(!)... და სწორედ კუფტინის საპირისპიროდ სხვა რომ ვეღარაფერი მოიგონეს – სხვა ენებთან სიტყვების მსგავსებას დანაშაულად უთვლიან ქართულ ენას! თურმე „ღორი“, „კატა“, „ლომი“, „ინდოევროპული“ ენებიდან მიგვიღია, ასევე ხარი, ძროხა, ძუკნა, კვერნა გავს ინდოევროპულ (ბალტურ-სლავურ) Kuna-ს, ქართულ ყორანს მოეძევება ბალტურ-სლავური ფორმები... თურმე რიონის სახელი გავს რაინს, რონას... ამით კი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ იბერიელთა არა აბორიგენულობა! სპილენძი, ჟამი, ჭეშმარიტი – სომხურის მსგავსია თურმე და ა. შ. რა სამარცხვინო საქციელია... ილიას თქმისა არ იყოს, აბა ინგლისელს გაუბედონ შენს ენაში ფრანგული სიტყვები შეგითვისებიაო, ან კიდევ ფრანგს, გერმანელს, იტალიელს... ასე როგორ დავბეჩავდით, ვისაც რა მოესურვება ვაჟას თქმისა არ იყოს, იმ ნაჭერს გვაჭრის ცოცხალ სხეულზე... არა გტკივათ, ქართველებო? არა გტკივათ ხალხო? და ეს ყველაფერი შეგნებულად კეთდება... სულ მალე ყველა სიტყვის ძირს წაიღებენ და ქართული ენაც გაქრება, აღარ დარჩება მისგან ნაფლეთიც... სად არიან ავტორიტეტული ქართველი მეცნიერები? თავიანთი „ღრმა, მეცნიერული“ გამოკვლევებით რატომ არ დაცავენ მშობლიურ, ათასწლეულებში, სისხლის წვიმებში გამოვლილ ენას და ისტორიას? ამოცანა ნამდვილად ამოიხსნა! საკვირველია, მაგრამ ქართველი მეცნიერები ცდილობენ „სახელი და ავტორიტეტი“ საკუთარი ენისა და ისტორიის დამცირების, შეგინების, შეურაცხყოფის, თუნდაც იმ ქართული სიტყვების „გაყიდვის“ ხარჯზე მოიპოვონ, ასე რომ ჩასაფრებიან უცხოტომელი მოძალადეები!

ალბათ იმდენად დიდი იყო შეტევა – აკად. გიორგი წერეთელზე, რომ მხცოვანმა მეცნიერმა წერილობით ჩამოაყალიბა თავისი აზრი: – „...აღნიშნულის მსგავსება (სიტყვების – დ. მ) რამდენიმენაირად შეიძლება იქნეს განხილული, ან კიდევ სრულად შესაძლებელია“... „ეს მსგავსება განხილულ იქნეს, როგორც უბრალო ტიპოლოგიური იზომორფიზმი, ყოველგვარი ნათესაობისა და დანათესავების გარეშე!“ გ. წერეთლის აზრით სალაპარაკო ენიდან „სტრუქტურულ ტიპოლოგიურ სიახლოვემსგავსებაზე დაყრდნობით – შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება ქართველ ტომთა უძველესი ისტორიის საკითხზე სახიფათო იქნებოდა“. – მაგრამ ეს ასე არ მოხდა. აღმზრდელის და მხცოვანი მეცნიერის სიტყვებს ყური არ ათხოვა რამდენიმე ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა და „შორს მიმავალი დასკვნები“ გააკეთეს, ეროვნული ისტორიული ცნობიერება შებილწეს, ქართული ენა შეგვიგინეს. რა შეგვიძლია ვთქვათ ამ ქართველ მეცნიერებზე? – მოღალატენი? გამყიდველნი? უძღები შვილნი? თუ პიოტროვსკის გამოთქმა ვიხმაროთ და „უწიგნურ მეცნიერებად“ მოვიხსენიოთ? მათ თავიანთი უღირსი

საქციელით „ავტორიტეტი“ მოიხვეჭეს! შევარდნაძის სამსახურში თანამდებობები, რბილი და თბილი სავარძლები გაინაღდეს მთელი სიცოხლის მანძილზე, ილიასავით არ შეუშვირეს ტყვიას გული და შუბლი! სამარადისო უკვდავებას ამქვეყნიური მაძღარი ცხოვრება არჩიეს, – აი, ეს არის ჩვენი ხალხის ჯიშში შერეული ორსახოვანი ნაწილის ავადმყოფობა და დიდი ნაკლი. ერი ცოცხალი სხეულია, ბატონებო, მგრძნობადი... ღალატის ჭია კი... ავთვისებიანი სიმსივნეა ერის ცნობიერი სხეულისთვის, ქართველი ერი დაავადებულია და მას სერიოზული ქირურგიული ჩარევა ესაჭიროება... მკურნალი კი... დრო წინაა, ვნახოთ, ვინ იზრუნებს მის ჭრილობებზე! ამ შემთხვევაში ფრიად დასაფასებელია სომეხი ხალხი. ეჩმიაძინის მეთაურობით ისინი ლამის ეთაყვანებიან თითოეულ ხელნაწერს, ისტორიულ ნივთებს... თვითონ დაიკლებენ, ოჯახს დააკლებენ, მაგრამ ეროვნული საგანძურის ხელყოფა მათგან წარმოუდგენელია. მათი მატენადარანის ან სხვა ნებისმიერი მუზეუმის საცავები და საგამოფენო დარბაზები შესაშური ყურადღებითაა მოვლილი. შევარდნაძის დროს კი მუზეუმები გაიძარცვა. მახსენდება დაშნაკური მთავრობის წევრის ნარადუნგიანის შენიშვნა კარლო ჩხეიძის მისამართით, როცა მან მოუწონა ღირსეულ მოწინააღმდეგეს სამშობლოს საზღვრებისთვის თავგანწირული ბრძოლა!. დიახ, ისინი, ორთავენი, მართალია ერთმანეთის აზრს არ იზიარებდნენ, მაგრამ, თავიანთი ერისთვის ორთავე თავდადებული მამულიშვილი იყო, ორთავე ღირსეული! და მათი თამაშის წესები ღია, პატიოსანი, პირდაპირი, დაუფარავი იყო! ერს, რომელსაც ასეთი შვილები გაუზრდია, უკვდავია!..

და მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ისტორია ფაქტების სამყაროა, მეცნიერება კი მისი ამოხსნისა და განვითარების ასპარეზი! მრავალი წლის დაუღალავი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა ენათა განსაკუთრებული ოჯახი, რომელსაც იბერიულ-კავკასიური უწოდეს. მასში ქართველური (მეგრულ-ჭანურ (ზანურ)-სვანური) ენების გარდა შედის ჩეჩნურ-დაღესტნური და აფხაზურ-ადიღეური. მხოლოდ იბერიულ-კავკასიურ ენებს ენათესავება მკვდარი ენები – ელამური, პროტოხეთური, ხურიტული და შუმერული. აღნიშნული ენები მნიშვნელოვან ნათესაურ ნიშან-თვისებებს ავლენენ სიტყვათა შემადგენლობის და გრამატიკული წყობის საკითხში.

პროფესორები: ე. ი. კრუპნოვი და რ. მ. მუნჩაევი წლების მანძილზე იკვლევდნენ მტკვარ-არაქსის აუზის კულტურას და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ძვ. წ. III ათასწლეულში არქეოლოგიური გათხრების მონაცემების საფუძველზე კავკასიასა და წინა აზიის მომიჯნავე ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ იბერიულ-კავკასიური ეთნოსის აბორიგენი მოსახლეობა, საერთო კულტურის და მასთან ერთად ენითაც! (Е. Крупнов, Древнейщая культура Кавказа и Кавказская Этническая обшность. Р. Мунчаев, Древнейщая култура Северно-восточного Кавказа, М. 1961, გვ. 164).

კრუპნოვისა და მუნჩაევის მეცნიერული ანალიზის შესახებ ბატონი გიორგი მელიქიშვილი ვარაუდს გვერდს უვლის და საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებს მათ: „... თუნდაც (?) რომ ვაღიაროთ ოდესღაც იბერიულ-კავკასიური ენობრივი ერთობის არსებობა, ასეთის მოთავსება ძვ. წ. III ათასწლეულში შეუძლებელია. ისეთი მტკიცე ერთობის არსებობა, როგორსაც ჩვენ კულტურის მონაცემების მიხედვით მტკვარ არაქსის კულტურის მატარებელი ეთნიკური მასივისაგან მოველით, სავარაუდებელი კავკასიური (იბერიულ-კავკასიური) ერთობა ნამდვილად ვერ იქნებოდა. ასე შედარებით გვიან და ისიც საკმაოდ განვითარებული ცხოვრების პირობებში ამგვარი ერთობა რომ არსებულიყო, უეჭველია, მისი აღდგენა, ენობრივი მასალის საფუძველზე ესოდენ რთული და გადაუწყვეტელი ამოცანა ვერ იქნებოდა, როგორადაც იგი დღეს გამოიყურება“ (საქ. ისტ. ნარკ. გვ. 338).

აღნიშნული ამონარიდი სპეციალურად მივაწოდე მკითხველს. ბატონი აკადემიკოსის გაღიზიანებული ტონი რუსი მეცნიერების მიმართ ფრიად არასასურველ გარემოს ქმნის დღესაც და ცხადია შექმნიდა თავის დროზე! რატომ? ბატონი აკადემიკოსი ყოველმხრივ ცდილობს ადრეულ პერიოდში ჩამოაცილოს დედა ქართულს მეგრულ-ჭანური (ზანური) და კიდევ უფრო ადრე სვანური! ენათმეცნიერებისთვის (ვგულისხმობ მიუდგომელ მეცნიერებას და არა მოსყიდულ ან ჰიპოთეზებისგან შეკოწიწებულს), საკმაოდ კარგად არის ცნობილი, რომ ფუძე-ენიდან სვანურის და მეგრულ-ჭანურის გამოყოფა სავარაუდებელია მხოლოდ ძვ. წ. IV-II საუკუნეების შემდეგ. ფარნავაზის მეფობის დროს (მელიქიშვილმა კარგად იცოდა ის წლები) ენა დაუნაწევრებელი გახლდათ, დაშლა მოხდა შემდეგ!. თუნდაც იმავე პერიოდში (ფარნავაზის ერთიანი და ბრწყინვალე საქართველოს დროს), როცა პონტოელი ჭანები (ლაზები) და კაპადოკიელი მესხები დედა სამშობლოს საზღვრებს გარეთ აღმოჩდნენ, ქართული ენა თავდაპირველი ბუნებით შემოინახა და ვეღარ განვითარდა. ასევე მოუვიდა სვანურს, ამ საკითხს ღრმად განიხილავს ს. ჯანაშია!

საქ. ისტ. ნარკვევების I ტომის ამავე გვერდზე (338 გვ.) ბატონი აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი ცდილობს მკითხველს თავს მოახვიოს საკუთარი დებულება, უარყოფს აკადემიკოს გ. კლიმოვის „ქართულ ენათა მასალის ანალიზს ე. წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდით“ და ასკვნის, რომ „ამ მეთოდით მიღწეული აბსოლუტური მაჩვენებლები შეიძლება სადავო იყოს (აქ მიუთითებს თ. გამყრელიძის და გ. მაჭავარიანის გამოკვლევებს), უფრო მეტი დამაჯერებლობა ექნება ამ საკითხის გადაწყვეტას უძველესი ნასესხები ლექსიკის, ტოპო და ეთნონიმიკის მონაცემების საფუძველზე. ის მცირეოდენი, რაც გაკეთებულია ამ მხრივ, თითქოს ადასტურებს ქართველურ ენათა დიფერენციაციის ზემომოტანილ დათარიღებას. კერძოდ, ირკვევა, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის ქართულ-ზანური ერთობა უკვე დაშლილი უნდა ყოფილიყო, მაშასადამე სვანურის გამოყოფა საერთო-ქართველურიდან კიდევ უფრო შორეულ ხანაშია სავარაუდებელი“.

დიახ! მკითხველო! რაც წაიკითხეთ ახალი საქართველოს ისტორია სწორედ ასეა შედგენილი! ჩვენ არ ვითხოვთ სხვისი წავიღოთ, მივიტაცოთ რაიმე, მაგრამ... საქართველოს ისტორიის და ქართული ენის თვალსა და ხელს შუა ამგვარად გათახსირება არავის ეპატიება. ბატონი მელიქიშვილისთვის არც ერთი მეცნიერი არ არის ყურადღების და პატივისცემის ღირსი, ვინც ცოტათი მაინც სამართლიან სიტყვას იტყვის ქართულ ენა-

სა და ისტორიაზე! ამ შემთხვევაში ვარაუდებს და კითხვის ნიშნებს იშველიებს, მაგრამ თუ ქართულ ენას შერყვნიან, – აღფრთოვანებული კვერს უკრავს! ისე როგორ დაუჩლუნგდა გონება „ცნობილ“ ქართველ მეცნიერებს, რომ უცხოელებმა უნდა ასწავლონ „სპილენძის“, „ჟამის“, „ჭეშმარიტების“ ქართულობა!?! ხევისბერთა ლოცვები (ცხადია მათთვის ეს „უვარგისი არგუმენტია“) და უძველესი საეკლესიო წიგნები „ჟამისა“ და „ჭეშმარიტების“ გარეშე არ არსებობს, ასევეა რკინა, ვერცხლი, სპილენძი, ღვინო და რომელი ერთი ჩამოთვალო? ზოგჯერ ვფიქრობ აივაზიანებს რად ვედავებით, როცა საკუთარ ოჯახში მტერი გვყავს ჩასაფრებული და მაცოცხლებელ ძარღვებს სისხლისგან გვიცლის?

რას ელოდებიან? ჩვენი თაობა ტაშს დაუკრავს მათ (ქართულ) ვაი-მეცნიერულ ღაღადისს? უკაცრავად ბატონებო, მელიქიშვილის ჯგუფის მეცნიერული გზა ქართული ისტოიის უარყოფაზე გადის. იგი თავგამოდებით ებრძვის კლიმოვს და ნებისმიერს ... და ამტკიცებს რომ ... ქართული ენა ნარევია, რომ ძირითადი სიტყვები შერეულია სხვა ენებისაგან, ეს სხვა ენებიც კი... ერთადერთია მისი აზრით, სომხური! – ბარაქალა, ბატონო მეცნიერო, თქვენს შთამომავლებს საამაყო, პირუთვნელი „მიუკერძოებელი“ „ქართველი“ წინაპარი ჰყავს! საცოდავ ქართულ ენას ისიც კი არ შველის (მისი აზრით) რომ სვანურში, მეგრულში, ჭანურში აღმოჩენილი და არსებული უმეტესი რაოდენობა სიტყვებისა თითქმის ერთნაირია და უძველესნი, რომელსაც იგი სომხურს მიაწერს! ასეთი ნაბოდვარით ქართულ ენას ბევრი არაფერი დააკლდება, თუმცა... „ნახშირი ვერ დაგწვავს, მაგრამ გაგსვრის მაინცო“, უთქვამთ ჩვენს წინაპრებს! ჩემს თაობას ერთი რამ გვიკვირს, თუ სულით, ხორცით, სისხლით სომხურ (ოღონდაც უპატიოსნო) საქმეს ემსახურები, რატომღა ქართველობ? თუ იმ სისხლის აგრესიული ნაწილის გადმონაშთია, რტიშჩევი დიდ დამსახურებას რომ მიაწერდა ჯაშუშურ საქმეებში და „ღრამოტას“ სთხოვდა რუსეთის იმპერატორს? ეს გასარკვევია, ბატონებო! აქვე უნდა ვთქვათ, რომ 50-იან წლებში გ. მელიქიშვილი თითქმის არ ატარებდა ს. ჯანაშიას საწინააღმდეგო დებულებებს! რის გამო? სტალინ-ბერიას რიდი ჰქონდა და აშკარა ბრძოლას ვერ ბედავდა. შემდეგ წლებში კი... ბატონი მელიქიშვილი გამუდმებით იმოწმებს დეეტერსს, თ. გამყრელიძეს, მაჭავარიანს და თურმე სომხური ენის სიახლოვეს ხედავს „ქართული ენის ფლექსიურ ტიპში, ფინიტიური ზმნის ფორმების“ მკვეთრ გამოყოფაში სახელისაგან, ზმნის მთელი რიგი ფორმების სისტემაში!?! ქართველური ენების უძველესი სტრუქტურის სიახლოვეს ინდოევროპულთან ხაზს უსვამენ თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი. – და ეს ინდოევროპული ენა კვლავ სომხურია, ბატონებო! ჩინებულია! რაღა დაგვრჩენია, ღმერთმა უმრავლოს საჩინო ბარათაშვილები და ილია ჭავჭავაძეები ქართველ ერს! რაც შეეხება თქვენებურ საქართველოს ისტორიის ნარკვევებს, რა თქმა უნდა სხვა ავტორების გამოკლებით „ნაგვის ურნაც“ დამენანებოდა მისთვის! საქართველოში კი... დაიხსომეთ „კიდევაც დაიზრდებიან“...

352 გვერდზე გიორგი მელიქიშვილი დასკვნას აკეთებს: „... შეიძლება დავუშვათ აღნიშნულ ეპოქაში (ძვ. წ. III-II ათასწლეულები) კავკასიის მიწა-წყალზე მნიშვნელოვანი ინდოევროპული მასის (არმენების – ხაზი ჩემია, ავტორი)ცხოვრება. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება, რომ შეიძლება კავკასიის ტერიტორიაზე III ათასწლეულში ფართოდ გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები სწორედ ინდოევროპული (სომხური) წარმომავლობისა იყვნენ, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ ტომებში უნდა გათქვეფილიყო, ქართულ მეტყველებაზე გადასულიყო და ეს არის სწორედ ქართველურის სტრუქტურული თუ ლექსიკური ინდოევროპეიზმების წყარო. პროფ. გ. მაჭავარიანი კი შესაძლებლად თვლის მტკვარ-არაქსის კულტურულ ტომებში დავინახოთ ტომთა ვრცელი კავშირი, რომელიც მოიცავდა ინდოევროპულ და ქართველურ ტომებს“ – ეს ამონარიდიც თვალსაჩინოებისათვის მოვიტანე. გაითვალისწინეთ ინდოევროპულში „ისტორიკოსი“ ყოველთვის სომხებს გულისხმობს! მეცნიერს დაავიწყდა, რომ სომხები ეროვნებას, ენას, წარსულს არ ივიწყებენ, არავის უთმობენ, არ იცვლიან! მოვსეს ხორენაცის ისტორიაც ამას მოწმობს. ისინი არავისში არასოდეს ათქვეფილან – პირიქით, ძალით ასომხებენ თავიანთ ირგვლივ მყოფებს, და ეს ძალიან კარგი, მისაბაძი თვისება აქვთ! ასე რომ მტკვარ-არაქსის კულტურა, ბატონო აკადემიკოსებო სუფთა, წმინდა იბერიულია და აივაზიანისებური ნაბოდვარი ჭუჭყითა და ტალახით ავსებს თქვენს „ბრწყინვალე“ მეცნიერულ შრომებს! ალბათ მიაქციე მკითხველო ყურადღება, როდესაც ბატონ მელიქიშვილს ქართულ ენასა და საქართველოს წარსულზე ლაფის შესხმა ესაჭიროება, როცა ვარაუდებს და კითხვის ნიშნებს გაღიზიანებული ტონით ცვლის საკუთარი და სომხური ორიენტაციის მქონე მეცნიერთა მტკიცებულებებით, მრავალმნიშვნელოვნად იმოწმებს თანამედროვე საქართველოსთვის უპირველეს მეცნიერს, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს. რით დაიმსახურა ბ-ნმა თამაზმა ასეთი „პატივი“? ქართული ენის უგულვებელყოფით, ბატონებო! რუს მეცნიერებს რომ ვერაფერი მოუხერხეს ეჩმიაძინის იდეოლოგებმა, როგორც სჩვეოდათ ციხე შიგნიდან გატეხეს, საქართველოშივე „გამოზარდეს“ მათივე ორიენტაციის მეცნიერები, რომლებსაც უნდა ემტკიცებინათ ქართული ენის სომხურიდან წარმომავლობა, ან კიდევ ახლო ნათესაობა, ან კიდევ სომხურის გავლენა ქართულ ენაზე. ე. ი. ქართული სიტყვების ძირი და ფუძე მათი აზრით 99%-ი თუ არა 70-80% სომხურია! რომ კავკასიაში ისინი (სომხები) ცხოვრობდნენ თურმე უძველესი დროიდან. კავკასიური კულტურა, მტკვარ-არაქსისა და თრიალეთური კულტურა ასევე თურმე უშუალოდ ინდოევროპული წარმომავლობისაა!!! ჩემი თაობისაგან ნამდვილად არ ესწავლება ჩვენს მხცოვან მეცნიერებს, მაგრამ... ბატონი მელიქიშვილის, გამყრელიძის, მაჭავარიანის „მეცნიერული“ სიბეცე იმდენად თვალში მოსახვედრია, – რუსმა და უცხოელმა მეცნიერებმაც კი ღიად აღიარეს! და ეს ჩვენ უკვე ვნახეთ! ასეთი გულშემატკივარი უცხოელები მრავლად მოეპოვება ქართულ ენასა და კულტურას! თქვენ წარმოიდგინეთ, ისინი უძღები შვილების თავდასხმისაგან იცავდნენ მას! რისთვის ჩაიდინეს ეს უმეცარი საქმე მელიქიშვილის ჯგუფმა? იკვეთება ერთადერთი აზრი, იმისთვის რომ ეჩმიაძინის იდეოლოგებს მომავალში მყარი ნიადაგი ჰქონოდათ მომზა-

დებული საკუთარი თეორიის შესაქმნელად მესხების წარმომავლობის შესახებ, რომ იბერები და იბერიელი ტომები (სვანები, მეგრელ-ჭანები) და ლამის ვაინახები, ლეკები, აფხაზები – სომხური წარმომავლობისად ექციათ! ამ თეორიით გაამართლებდნენ სომხების ჩასახლებას აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში!

მთლად უარესი! გ. მელიქიშვილი ვინმე „ანონიმი გეოგრაფოსის“ აზრის გაზიარების საფუძველზე ეჭვის ქვეშ აყენებს კოლხების იდენტურობას ჭან-მეგრელ-სვანებთან და იბერებთან!!!

რატომ ჰქვია წიგნს „საქართველოს ისტორიის ნარკვევები?“ მასში წარმოდგენილ წამყვან ისტორიოგრაფიულ, გ. მელიქიშვილის მიერ დაწერილ მასალებში მკითხველი ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიხვდება ვინ არის „ის“ ხალხი, ან კიდევ ასევე „ეს“ ხალხი! მელიქიშვილის, გამყრელიძის, მაჭავარიანის „მეცნიერული გამოკვლევების“ შედეგად და მათი აზრით დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე და მის მეზობლად ძველად მოსახლე ტომები კოლხები, ხალდები, მესხები, სპერები, თუბალები, ალაროდები-ინდოევროპელები ყოფილან! ისინი და მათი თანამოაზრეები თავიანთი შრომებით დასცინიან ქართველ ხალხს, შეურაცხყოფენ მის ისტორიას! აიგივებენ ფრიგიელებთან! მუშქებს არამარტო ფრიგიელებს უწოდებს ბატონი მელიქიშვილი, ვარაუდობს, რომ მუშქების ტომის, ე. ი. (მესხების) მემკვიდრენი ჰაიკები არიან!

გ. მელიქიშვილი ხშირად იმოწმებს მეგასთენეს და იზიარებს მის აზრს იბერთა გადმოსახლების შესახებ! – რაც კარგა ხანია უარყო მეცნიერებამ, როგორც მცდარი მიმართულება (კუფტინი. საქ. ისტ. ნარ. გვ. 333-34; 335-337-340გვ. 342 გვ. სქოლიო).

მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით, გაითვალისწინე მკითხველო, მელიქიშვილი 343 გვერდზე აღნიშნავს, რომ „... მუშქების სახელწოდებაც ... აგრეთვე (მხოლოდ) ორგანულ კავშირში ჩანს(?) ქართულ ეთნო და ტოპონიმიკასთან (შდრ. ქართველი ტომების მესხების სახელი, აგრეთვე სახელწოდებები სამცხე, მცხეთა)“... ბატონი მელიქიშვილის მეცნიერული აზროვნებისგან განსხვავებით ზემოთ მოყვანილი არგუმენტი ჩემი თაობის გადასახედიდან საკმაოდ მყარია!!! მყარია არგუმენტი მცხეთის იგივეობისა მუშქების დედაქალაქ მაზაკასთან, რადგან მაზაკას ძირი MZK, ებრაული „მოსოხ“ ან „მოსოქ“ ანალოგიურია „მცხ“ (მცხეთა) ფუძისა! რაზეც გარკვევით საუბრობს ფლავიუსი! – ბატონო მეცნიერო, უფრო მყარი არგუმენტის შესაძლებლობა დასაშვებია? და თანაც იმ პერიოდს დღევანდელობასთან თუ მეტი არა 4500 ან 3500 წელი აშორებს! ამ შუალედურმა ეპოქებმა კი სისხლით წალეკა კოლხ-იბერიელთა საცხოვრისი და მისი ისტორიის ნაფლეთებიღა შემოგვინახა!

არ იქნება ხმამაღალი ნათქვამი, თუ მოვითხოვთ ნებისმიერი ხორცმეტის ამოკვეთას ეროვნული სხეულიდან, გინდ მეცნიერი იყოს, გინდ მოქალაქე, პოლიტიკოსი, მწერალი თუ ხელოვანი! ერმა განაჩენი უნდა გამოუტანოს მათ, და ვიცი, ამ საქმეს ჩვენი თაობა შეასრულებს ქართველი ხალხის გადასარჩენად! ფაქტებზე დაფუძნებული ეროვნული ისტორია, კი ეროვნული ცნობიერების აღსადგენად ისევე საჭიროა თითოეული ჩვენგანისთვის, როგორც ჯანმრთელი სისხლი ძარღვებში და მამულის მიწა ფეხქვეშ, მყარი ადგილის მოსაპოვებლად ამ წუთისსოფელში! მოკვეთაში სიკვდილით დასჯას არ ვგულისხმობ! საქვეყნოდ შეჩვენებას და... მეცნიერს ჩამოერთვას ყოველგვარი სამეცნიერო წოდება!

მელიქიშვილის მეცნიერული „ნაზრევი“ აძლევს საფუძველს დღევანდელი აფხაზების პოლიტიკურ მოთხოვნებს და პრეტენზიებს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიულ მიწა-წყალზე; გადავშალოთ მითითებული ნარკვევების 360 გვერდი: „... ქართველი ტომები ამ მხარეში, მართალია ძირითადად ცხოვრობდნენ ჩრდილო ანატოლიის ქედის ჩრდილო კალთებზე (ყურადღება მიაქციეთ, მეცნიერი როგორც მომსწრე და თვითმხილველი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ მხოლოდ აქ, ამ მცირე ადგილებში ცხოვრობდნენო), მცირე აზიის სხვა მხარეებიდან იზოლირებულ მხარეში, მაგრამ არის იმის ნიშნები, რომ ხეთები ასეთ შორეულ რაიონებშიც იკიდებდნენ ფეხს. მეორე მხრივ, ცალკეული ქართველი ტომები უეჭველია ცხოვრობდნენ ჩრდილო ანატოლიის ქედის სამხრეთით, ხეთებისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომ მხარეზეც. მათ მეზობლად აქ ამ დროს ცხოვრობდნენ, როგორც ჩანს, აგრეთვე ცალკეული აფხაზურ-ადიღეური და ვაინახური (ჩაჩნური) ტომები. ამაზე მიგვითითებს მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე მთელი რიგი სახელწოდებების არსებობა, რომლებიც სწორედ ამ წარმომავლობის ტომთა სახელებად გვევლინება შემდეგში. ასე მაგალითად, „წოფა“ (ურარტული „ცუფა“, სომხური „წოფუ“, ანტიკური წყაროების „სოფენე“) ბაცბურ-ქისტური „წოვების“ ტომის (იხ. წოვათუშები) სახელს იმეორებს; ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიის მთიელთა ზოგადი სახელი ხეთებთან „ქაშქა“, იგივე „ქაშაგი“ უნდა იყოს, რასაც შუა საუკუნეების (არაბული, ქართული, რუსული) წყაროები უწოდებენ ჩერქეზებს (ადიღეველებს). საინტერესოა, რომ ასურეთის მეფის ტიგლათფილესარ I-ის (1115-1077) წარწერებში ამ სახელის ვარიანტად იხმარება „აბეშლა“, რაც ძალზე ჰგავს აფშილების, ანტიკურ ხანაში აფხაზეთის მიწა-წყალზე დამოწმებული აფსაზურ-ადიღეური წარმომავლობის(?) ტომის სახელს (შდრ. „აფსუა“ – ასე ეძახიან აფხაზები თავის თავს). ქაშქებს ზოგი მკვლევარი პროტოხეთებს უახლოვებს, რადგან ბევრი ქაშქური სახელი თითქოს (?) პროტოხეთური ენის მასალით პოვებს ახსნას, მაგრამ სპეციალისტები ხშირად პროტოხეთურ ენასაც აფხაზურ-ადიღეურ ენებს უახლოვებენ. ამრიგად, ქაშქებში აფხაზურ-ადიღეური თუ პროტოხეთური წარმომავლობის ტომები შეიძლება ვიგულისხმოთ. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ თვით ხეთებთან „ქაშქა“ სახელი ეთნიკურად ერთი გარკვეული ჯგუფის ტომების აღსანიშნავად იხმარებოდა. იგი უფრო ჩრდილო-დასავლეთით მთიელთა კრებითი სახელი იყო და ალბათ ამ მხარეში მოსახლე ქართველ ტომებსაც მოიცავდა“. უსინდისოდ ტყუით, ბატონო აკადემიკოსო! თქვენ შესანიშნავად იცით ისტორია და ხელოვნურად აყალბებთ მას! თქვენი მიზანმიმართული პოლიტიკური სურვილები როგორც უნდა მალოთ, მაინც დღესავით ნათელია!.. თუ სოლომონ ბრძენს დავუჯერებთ „ბრიყვს ყურში ნურაფერს ეტყვი, რადგან მას სძულს შენი გონივრული სიტყვები“. რატომ არის ბატონი მელიქიშვილი ასე დარწმუნებული რომ აფშილები ქაშაგნი არიან? მართალია ქაშაგნი, როგორც ბატონი აკადემიკოსი ბრძა-

ნებს, ჩერქეზები – იბერიელთა მონათესავე ტომია, მაგრამ მათი საცხოვრებელი ადგილები კოლხთა ჩრდილოდასავლეთით იყო. ფაქტიურად კავკასიონის გადაღმა! მდინარე ყუბანის მეორე მხარეს.

მცდარია ბატონი მელიქიშვილის მოსაზრება აფშილების (იგივე აბშილების) „აფხაზურ-ადიღეური“ წარმომავლობის შესახებ. მისი აზრით ტიგლათფილესარ I-ის წარწერებში „ქაშაგთა“ სახელის შემცვლელ ვარიანტად იხმარება „აბეშლა“, რაც თურმე ძალიან ჰგავს აფშილების, ანტიკურ ხანაში აფხაზეთის მიწა-წყალზე დამოწმებული აფხაზურ-ადიღეური წარმომავლობის ტომის სახელს! მეტი ბოროტება რაღა უნდა ჩაიდინოს მეცნიერმა წარმოუდგენელია, ისედაც სეპარატისტულად განწყობილ ადიღეური წარმომავლობის და რუსული ორიენტაციის მქონე ხალხს აკუთვნებს ქართულ ძირს და ფუძეს: აფშილები ძირძველი ქართული ტომია! ეს არამარტო უმეცრებაა, გამიზნული, წინასწარგანზრახული შერყვნაა მეცნიერების, დიახ შერყვნა, გათახსირება და მეცნიერების მორგება პოლიტიკური იდეოლოგიისთვის! არ ვამბობ, რომ მელიქიშვილმა, გამყრელიძემ და მაჭავარიანმა იარაღი აიღეს ქართველი ხალხის წინააღმდეგ, მაგრამ რაც გააკეთეს, ის იარაღით ბრძოლაზე უარესია! მათ ქართველი ხალხის ისტორიისა და ენის წინააღმდეგ ბინძური ომი წამოიწყეს 50-60 წლის წინ! დიახ! ზემოთ მრავლად მოყვანილი და უკანასკნელი ამონარიდიც ამის მაგალითია! რაც შეეხება ტიგლათფილესარ I-ის წარწერებს, იქ საუბარია აფშილებზე! მხოლოდ აფშილებზე! წარწერების გადაკეთება და მისი აზრის ვარაუდებზე აგება, მაპატიონ „სახელოვანმა ქართველმა მეცნიერებმა“, არამცთუ პატიოსანი საქციელი არ არის, არამეცნიერულია და გაყალბებაა! აფშილები, იგივე აბშილები, ძირძველი ქართველი ტომები არიან, ოღონდაც არა ადიღეველნი, არა ჩერქეზნი, არა ჯიქნი, ან ქაშაგნი! ბატონმა მელიქიშვილმა კარგად ახსნა ადიღეველთა, ჩერქეზთა და ქაშაგთა იდენტურობა. ამაზრზენია, როცა საქართველოს ისტორიის „დამწერი“ ისტორიკოსი ვერ არჩევს სხვაობას აფშილებსა და ადიღეველებს შორის! თავის შრომებში („საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ კი ძირითადად საკუთარი შრომები აქვს გამოყენებული, სქოლიოებშიც კი უმეტესწილად ისევ საკუთარ შრომებს გვითითებს) მეცნიერი ხაზგასმით ცდილობს დაამტკიცოს აბშილების, აბაზგების, მანრალების (მეგრელების), ჭანების, სვანებისა და მესხების არაქართველობა!

ბატონი მეცნიერი ყალბი თეორიებით შეურაცხყოფს არამარტო საქართველოს ისტორიას, ანტიკური ხანის ბერძენ ისტორიკოსებს და იმ თიხის ფირფიტებისა და კასრების წარწერათა შემქნელებს, ვინც უამრავი მასალა დაგვიტოვა თუბალ-მესხების ცხოვრებაზე. აბშილები, ტიგლაფილესარ I-ის წყაროებში მოხსენიებული ხალხი იგივე, დღევანდელი აფხაზეთის უძველესი და აბორიგენი მოსახლეობაა მაკრონებთან, მანრალებთან, სუანო – კოლხებთან, აბაზგებთან და ჭან-ლაზებთან ერთად! რას ნიშნავს ბერძნულ წყაროებში მრავალგზის მოხმობილი ტერმინი (ძველი კოლხიდების) „სუანო-კოლხები“? – ეს ალბათ არაა ძნელი ასახსნელი, მაგრამ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამომკითხველს განსაკუთრებული პოლიტიკური დაკვეთა და მიზანი არ ამოძრავებს. ჩვენს „მეცნიერებს“ კი უდიდესი მისია ჰქონდათ შესასრულებელი, „გადაეკეთებინათ“ კოლხ-იბერთა წარსული და მთელი 50 წლის მანძილზე შეერყვნათ ქართველი ახალგაზრდობის გონება! რას აკეთებდნენ ამ დროს სხვანი, ნამდვილად სახელმოხვეჭილი ავტორიტეტი ისტორიკოსები? – სიჩუმეს არჩევდნენ? დიახ, ბატონებო! სიმონ ჯანაშიას მიმდევარი კეთილსინდისიერი ისტორიკოსები ფაქტიურად შეეწირნენ ეჩმიაძინის მიერ დაგეგმილ ფარულ ომს! იუდას მორალს და სომხურ საქმეს საქართველოში!

როგორც ბატონი აკადემიკოსი მელიქიშვილი ბრძანებს აღნიშნულ ნარკვევებს რუკაც აქვს დართული. მისი აზრით „კოლხების ქვეყანა“, არაუმეტეს დიოსკურია – ჭოროხის შესართავამდე იგულისხმება მელიქიშვილის რუქით, – ნიშანდობლივია, რომ ისევ „ანონიმ გეოგრაფოსის“ ცნობებზე დაყრდნობით! – რატომ არის ასეთი დიდი ავტორიტეტი მეცნიერისთვის ანონიმი გეოგრაფოსი, რომ ძველი საქართველოს რუკას და ისტორიას მისი ნაზრევით აკანონებს? მაშინ როცა გვერდს უვლის ბერძენ ისტორიკოსებს, ვინც თავის თავს არ მალავს და გარკვევით ასახელებენ კოლხეთის ქვეყნის საზღვრებს.. „... აფსილებისა (აფშილების – ხაზი ჩემია, ავტორი) და ნახევარმთვარა ზღვის კიდის მეორე ნაწილში აბაზგები მოსახლეობენ... აბაზგები ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ“... ეს სიტყვები პროკოპი კესარიელს ეკუთვნის. ამ შემთხვევაში კესარიელის ჩანაწერი მაგალითისთვის მოვიტანე. ასევე ასახელებს აღნიშნული ტომების გეოგრაფიულ საცხოვრებელს სტრაბონი, ქსენოფონტე და სხვები. არიანეც იგივეს მიუთითებს: რომ „ლაზების მოსაზღვრე აფშილებია, აფშილებს საზღვრავს აბაზგებიო“ ჩრდილოეთის საზღვარი (როგორც აღვნიშნე – დ. მ.) მდინარე ყუბანია... „კოლხეთის მოსახლეობას შეადგენდა კოლხების ქართული ტომების სამი ძლიერი შტო: მაკრონები (მეგრელები) და ჭან-ლაზები, აფშილ- აბაზგები და სვანები, და შედარებით მცირე ტომები: მოსინიკები, ჰენიოხები და ზიდრიტები“(ს. მაკალათია „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“. გვ. 13. 1992 წ). „კოლხიდა ბერძნებმა შეარქვეს მათ ქვეყანას, კოლხები კი კოლხიდაში მოსახლე ხალხს“. ჰეროდოტე საკმაოზე მეტ ყურადღებას უთმობს კოლხეთს და აღნიშნავს, რომ: „სპარსელებს საზღვრად აქვთ სამხრეთის ზღვა, რომელიც იწოდება წითელ ზღვად; იმათ ზევით, ჩრდილოეთით მიდიელები ცხოვრობენ; მიდიელების ზევით სასპირებია და სასპირების ზევით კოლხიდელები; კოლხიდელებს საზღვრად აქვთ ჩრდილოეთის ზღვა (შავი ზღვა). მათ ქვეყანაშია დიდი მდინარე ფაზისი... ამ ოთხ ერს უჭირავს მთელი ქვეყანა ერთი ზღვიდან მეორემდეო“ (Лат., 1, 20-21).

აუცილებელია ერთი გარემოების აღნიშვნა, რომ აფშილ-აბაზგები თითქმის ერთი და იგივე ხალხია, როგორც ჭან-მანრალები (მეგრელები), ხოლო ჰეროდოტეს სასპერები იგივე ხალდებია, მესხები, შემდეგი პერიოდის იბერები და ქართლელები ან კიდევ ბიბლიური თუბალები!

რაც შეეხება ქაშკების სახელით ცნობილ ტომებს, ისინი წინა აზიაში ცხოვრობდნენ ალაროდიელთა სამხრეთით და კასკების საკმაოდ ძლიერი სამეფო ჰქონდათ. მეცნიერთა ნაწილის ვარაუდით ფრიგიელთა და

შემდეგ სპარსთა შემოსევების შედეგად აღნიშნულმა ტომმა მიგრაცია განიცადა და ჩრდილოეთით შავი ზღვის სანაპიროზე, მონათესავე ტომებისკენ გადმოინაცვლა. ბერძნულ წყაროებში ისინიც კოლხების სახელით მოიხსენიება, მაგრამ მიგრაცია ნავარაუდევია ძვ. წ. VI-V საუკუნეებში... შავი ზღვის სანაპიროებზე ყუბანიდან ჰალისამდე (ღალისამდე) კოლხიდის უზარმაზარი სამეფო უკვე არსებობდა (ძვ. წ. XVI-XII საუკუნეებში ა. როდოსელის მონაცემებით). ე. ი. კასკთა გაკოლხელების ვერსია გამორიცხულია. დასაშვებია, რომ სპარსთაგან შევიწროებული კასკები (ქაშკები) კოლხთა მონათესავე ტომი იყო და ისინი, ალაროდიელებთან ერთად ჩრდილოეთით შეეხიზნენ კოლხ-იბერებს, რის შესახებაც არის ცნობები „მოქცევაი ქართლისაიში“, აზოს დროს სამხრეთიდან გადმოსახლებულ „მრავალრიცხოვან ხალხზე“. ამ საკითხზე ჩვენ კვლავ ვისაუბრებთ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როდოსელის „არგონავტიკაში“ აღწერილი „დიდი და ძლიერი კოლხეთის სამეფო“ სად გაქრა მელიქიშვილის „შემოქმედებაში?“ სად წავიდა მეფე აიეტი და მისი ბრწყინვალე ქვეყანა ყოვლისშემძლე ჯარითა და სპილენძის ცეცხლისმფრქვეველი ხარებით? ბატონებო, აქამდე ნუთუ არავინ წაიკითხა „ნარკვევები“? – რატომ არ შეამჩნიეს ეს ამაზრზენი სიყალბე და სითავხედე? მელიქიშვილის „კოლხები“ პაწაწინა ქვეყნის მცირერიცხოვანი ხალხია, რომლებიც ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ აქემენიდური ირანის ძლევამოსილ ჯარებს! ჰეროდოტედან კი ჩვენ ვიცით, რომ მათ (აქემენიდებმა) ვერ დაიპყრეს კოლხეთი! კოლხეთი სატრაპიად არ გადაქცეულა, იგი მხოლოდ „ნებაყოფლობით ძღვენს“ უგზავნიდა აქემენიდთა სამეფო კარს ხუთ წელიწადში ერთხელ! ეს ცნობა ნებისმიერი ისტორიკოსისთვის სრულიად საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ დაესაბუთებინა არა თუ უფრო ძველი, აქემენიდებამდე, არამედ მოგვიანო პერიოდის ე.ი. ძვ. წ. IV ს-ის ჰეროდოტეს დროინდელი კოლხეთის ძლიერება! ბატონი მელიქიშვილი ანონიმი გეოგრაფოსის მასალებზე დაყრდნობით კოლხების სამოსახლო ტერიტორიებზე ასახლებს – როგორც უკვე ვთქვით ჩერქეზ-ადიღეველებს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორია თავისი უცნობილესი სანაოსნო სტრატეგიული ციხეებით კოტაიონით (ქუთაისი) და სარაპნით (შორაპანი) – უძველესი სავალი გზით ინდოეთისკენ სწორედ მათი კუთვნილება იყო! მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მიუხედავად, იმისა, რომ ჩერქეზ-ადიღეველნი (მელიქიშვილის აზრით – ქაშაგნი) იბერების მონათესავე ხალხია, – მაგრამ ისინი ისტორიულად ცხოვრობდნენ კოლხიდის ჩრდილოეთით, კოლხიდის ჩრდილოეთის საზღვარი კი მთავრდებოდა იქ, სადაც „კავკასიონის წვერი წასწდუების“, მდინარე ყუბანამდე! (ე. ი. ჩერქეზ-ადიღეველნი ცხოვრობდნენ ყუბანის ზევით – სამხრეთით კი, ბერძნული წყაროების მიხედვით კოლხები ცხოვრობდნენ – მდინარე ჰალისამდე და მათი ქვეყანა მოიცავდა აუზს ყუბნიდან – ჰალისის შუაწელამდე!

რაც შეეხება კოლხთა ძირძველ მოსახლეობას, ე. ი. კოლხ-იბერიელთა ტომებს, ყოველგვარი ეჭვისა და ვარაუდის გარეშე და გამორიცხვით ისინი იყვნენ მაკრონები (მეგრელები) და ჭან-ლაზები, აფშილ-აბაზგები და სვანები, მესხები და იბერები.

ჰომეროსი „ოდისეაში“ საუბრობს კოლხებსა და არგონავტებზე. ოდისევსის ხანგრძლივ მოგზაურობას კი ადარებს არგონავტების მოგზაურობას კოლხეთში, ოქროს საწმისის მოსაპოვებლად! როცა საუბარია ძველი და თანამედროვე ცივილიზაციის ისეთ ჭეშმარიტ ფუძემდებლებზე, როგორიც ბერძნებია, მათ ისტორიოგრაფიულ და ლიტერატურულ წყაროებში უხვად არის ცნობები კოლხეთის უმდიდრესი და უძლეველი სამეფოს შესახებ, – რომელ ნორმალურ მეცნიერს აქვს უფლება ამ შემთხვევაში შეეწინააღმდეგოს თვითმხილველ და ანტიკური ხანის ისტრორიკოსთა უტყუარ მონაცემებს, დებულებებს, მტკიცებულებებს? არა ბატონებო! მსგავსი ქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, როცა ბინძური პოლიტიკური დაკვეთაა! მეცნიერებაში კი, მე უკვე მოგახსენეთ „პოლიტიკური დაკვეთების“ რეალიზება გაუმართლებელი და მიუღებელია!

ე. ი. არგონავტთა მოგზაურობა კოლხეთში არაუადრეს XIV ს-ის ძველი წელთაღრიცხვით და არა უგვიანეს XII-ში უნდა ვივარაუდოთ. ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით რამდენიმე ციხე-სიმაგრე ყოფილა კოლხეთში ქალაქის მრავალრიცხოვანი მოსახლეობისთვის. აღნიშნულ ციხე-სიმაგრეებს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ, აქედან უმთავრესნი – დღევანდელი ლიხნის ადგილზე და ბიჭვინთა, ფაზისზე (რიონზე) ნოქალაქევი, კოტაიონი (ქუთაისი) და სარაპანი ყვირილაზე, ლიხის მთის წვერთან, სამხრეთით ტრაპიზონის მიდამოებში და ჭოროხის შესართავთან (ალბათ ბათუმი). ქუთაისი იმდენად მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილა, ქალაქს მეორე უდიდესი ციხე-სიმაგრეც ჰქონია – უქიმერიონის სამეფო ციხე-ქალაქი! სტრაბონის წყაროებით კოლხეთის სამხრეთი საზღვარი მესხეთის მთები იყო. ე. ი. კოლხეთს უშუალოდ ესაზღვრებოდა კაბადოკია – სპერები – მომავალში (ძვ. წ. IV ს.) პონტოს სამეფო! აღმოსავლეთით კოლხეთი მოიცავდა იბერიას კახეთ-კუხეთით!.. სპარსთა შემოსევებმა არამარტო გაანადგურა სამხრეთ ალაროდიელთა (ურარტუელთა) ქართული ქვეყნები, კოლხთა სამეფოც შეკუმშა და დაავიწროვა. ძვ. წ. IV საუკუნისთვის აღმოსავლეთ კოლხიდის საზღვარმა ლიხის მთაზე გადმოიწია და კოლხეთს უკვე ეგრისი, ბერძნულად ლაზიკა ეწოდებოდა. აღმოსავლეთით იბერია ესაზღვრებოდა, სამხრეთაღმოსავლეთით აქემენიდური სპარსეთი. კოლხიდის შესახებ მრავლად მოეპოვება ცნობები სტეფანე ბიზანტიელს, სკილაქს კარიანდელს, არიანეს, დიოდორე სიცილიელს და სხვათა.

ამდენად, ჩერქეზ-ადიღეველნი ცხოვრობდნენ მდინარე ყუბანის გადაღმა და ემეზობლებოდნენ სამხრეთით კოლხებს, ჩრდილოეთით კი სარმატებს, ჩრდილო აღმოსავლეთით ალანებს და აღმოსავლეთით დურძუკებს (ქისტებს, ჩეჩენ-ინგუშებს), ე. ი. მცდარია ბ-ნი მელიქიშვილის მტკიცება: 1. ადიღეური ტომის კოლხეთში ჩამოსახლებისა, 2. ადიღეველებისთვის ნახევარი საქართველოს მიკუთვნება! 3. ადიღეველთა იდენტურობა აფშილ-აბაზებთან. ადიღეური წარმოშობისა და ორიენტაციის მქონე გააფხაზებულებმა სწორედ აღნიშნული წიგნის, „ნარკვევების“ საფუძველზე დაყრდნობით წარმოუდგინეს საქართველოს მთავრობას ტერიტორიებისა და საზღვრების პრეტენზიები. ბატონი არძინბა მელიქიშვილის შეგირდი გახლდათ! მის პრეტენზიებში „დიდი

მასწავლებლის“ დიდი სურვილი იყო ჩადებული, ბატონებო!

ბ-ნმა მელიქიშვილმა თავისი ცილისმწამებლური „ისტორიული“ ფარსით ნიადაგი მოუმზადა სომხური ბატალიონის მიერ ქართველთა ხოცვა-ჟლეტას 92-3 წლებში გაგრაში, სოხუმსა და საერთოდ ქართულ აფხაზეთში. რაც შეეხება ძირძველ ქართულ ენას, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ აღნიშნულ საკითხზე, დამატებით მინდა გამარტივებული სახის დებულება კიდევ ერთხელ მივაწოდო მკითხველს, რომ ქართული ფუძე-ენის დაშლა საერთო ქართველურ (იბერიულ), მეგრულ-ჭანურად და სვანურად ივარაუდება არაუგვიანეს და არაუადრეს ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში, ფარნავაზის შემდეგ, ან ფარნავაზამდე!

ფარნავაზის გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს საზღვრებში ვერ მოხვდნენ კაპადოკიელი და პონტოელი მესხები, იგივე ხალდები (სპერები) და ჭან-ლაზები! ამდენად, ძირძველი ქართული ტომები აღმოჩდნენ დედა-სამშობლოს და დედა-ენას მოწყვეტილნი, ისინი თავიანთ ენას და დამწერლობას ვეღარ განავითარებდნენ, რადგან კაბადოკია-პონტოში პერიოდულად ენაცვლებოდა ერთმანეთს ბერძნულ-რომაული და სპარსული კოლონიური უღელი. რაც შეეხება ქართულ ალაროდიელი ქვეყნების ხალხს, ორსაუკუნოვანი მძიმე ბრძოლებით ქანცგაწყვეტილნი, ვინც გადარჩა ცოცხალი-ჩრდილოეთით, იბერებს შეაფარეს თავი. აღნიშნული მიგრაცია იგულისხმება იბერიაში „არიან – ქართლით“ გადმოსახლებულთა შორის აზოს მმართველობის დროს!.. არიან ქართლი კი საქართველოს იმ ნაწილს ნიშნავდა, რომელზეც სპარსთა იურისდიქცია ვრცელდებოდა! სწორედ სპარსეთის ხელშეწყობით დასახლდა ალაროდიელთა (ყოფილი ურარტუ) მიწა-წყალზე ჰაიკები და იქაურ ადგილებსაც თავიანთი წარმართული პანთეონის მიხედვით დაარქვეს სახელები ე. ი. შეცვალეს ალაროდიელთა მიწა-წყლის გეოგრაფიული სამყარო, ეთნოტოპონიმიკა. დარჩენილ მოსახლეობას კი აიძულებდნენ (როგორც ჯავახეთსა და წალკაში, იმერეთშიც კი) გასომხებულიყვნენ! აღნიშნული ქმედება ნათლად სჩანს ხორენაცის ისტორიიდან.

ქართველებს ისეთი „პატრიოტი“ მეცნიერები ჰყავთ, რომ წარსულს უხვად ასაჩუქრებენ, ეროვნულ ღირსებას პატივს ჰყრიან, ენასა და დამწერლობას ლაფში სვრიან, სიწმინდეებს აპატიმრებენ! ანჩის ტაძრიდან (ტაო-კლარჯეთიდან) სიკვდილ-სიცოცხლის გზაზე გამოტარებული მაცხოვრის ხატება დღესაც მუზეუმის ნესტსა და ცხრაკლიტულშია ჩაჭედილი!.. ორჯონიკიძე-შევარდნაძე-მელიქიშვილები ეროვნულ ქონებას, სამუზეუმო განძს უხვად გასცემდნენ... და ალბათ გასცემენ ყოველთვის!

უძველესი ქართული პალიმფსესტებით მოფენილია პეტერბურგის, ევროპისა და ამერიკის ცნობილი მუზეუმები! ძირძველ ქართულ ეკლესია-ტაძრებს „გულუხვად“ უძღვნიან მეზობლებს! გავიხსენოთ XII ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუში, ჰუჯაბის ტაძარი!.. ამაზრზენია ამ დიდებული ტაძრის ისტორია... სომხებისთვის რომ დაეკანონებინათ, 400 მეტრით გადმოსწიეს სომხეთის საზღვარი... ჰუჯაბის ქართული წარწერა განადგურებულია! და როცა ყოველივე ეს იცი, თავი გეზიზღება, რადგან შენც ისეთივე ქართველი ხარ, როგორიც ისინი ... ერის წურბელა „დიდი „ქართველი მეცნიერები“ – და ასევე დიდი პოლიტიკოსები!

1985 წელს ერევანში რუსულ ენაზე გამოცემული „სომეხი ხალხის ისტორიაში“ მითითებულია მთების მასივი დასახელებით – „სომხეთის მთიანეთი, ანუ სომხეთი“. სად არის აღნიშნული მთები? ძალიან ადვილი მისაგნებია მკითხველო... რადგან მესხეთის, პარხალის, კლარჯეთის, ჭანეთის უძველესი მთები და უძველესი ქართული გეოგრაფიული რუკა, უფრო მარტივად თუ ვიტყვით ჭოროხისა და, მისი შენაკადების ხეობის აუზი სომხეთად! და მესხეთის, პარხალისა და კლარჯეთის მთები სომხეთის მთებად, გადააქციეს!.. რას იტყვიან ამ საკითხზე ჩვენი ასაკოვანი და ავტორიტეტული მეცნიერები? ვაგლახ რომ ცოცხლები აღარ არიან დიდი ივანე ჯავახიშვილი და ასევე დიდი სიმონ ჯანაშია! იქნებ ვტყუით ჩვენ, ახალგაზრდები? 1999 წელს მოსკოვში გამოიცა მოსკოვის ლითონმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომლის არტაშეს არწრუნის წიგნი – “Армянское нагорье и цивилизация”. მასში წინა აზიის, მესოპოტამიის და თრიალეთის არქეოლოგიური განძი, ე. ი. ხეთურ-ხურიტულ-ურარტული კულტურა გამოცხადებულია სომხურად! ნუთუ საპასუხოდ არაფრის თქმა არ შეეძლო ჩვენს „ავტორიტეტულ მეცნიერებს?“ ალბათ დაავიწყდათ, როცა 1946 წელს ნ. ტოკარსკიმ (სომეხთა შეკვეთით) ერევანში გამოსცა „ძველი სომხეთის არქიტექტურა“, – და მასში ტაო-კლარჯეთის უწმინდესი მართლმადიდებლური ქართული ტაძრები სომხურად გამოაცხადა, რა გამანადგურებელი პასუხი გასცა მართლაც რომ დიდმა ქართველმა მამულიშვილმა და მეცნიერმა სიმონ ჯანაშიამ 1947 წელს გამოქვეყნებულ შრომაში „ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ“! სიმონ ჯანაშიამ მოურიდებლად ამხილა სიყალბეში ბატონი ტოკარსკი და როგორც მეცნიერი მიწასთან გაასწორა! რა მოხდა, რა შეიცვალა მას შემდეგ? რა შიშმა შეიპყრო ჩვენი მეცნიერების ღირსეული ნაწილი? არ ვისაუბროთ უღირსებზე, ვისაც ნაკლებად გააჩნია ეროვნული თვითშეგნებისა და პატიოსნების გრძნობა! მე სხვებს ვგულისხმობ, ვისაც ეროვნულობის პრეტენზია გააჩნია!.. შეიძლება საკუთარი გვარი და მამული გადაგავიწყდეს? მართალია, ეს 17 წლიანი უბედურება შევარდნაძემ ხელოვნურად დაატეხა თავზე ქართველ ხალხს, საარსებო სახსარი მოუსპო და მათხოვრად აქცია, მაგრამ – რა ქართველები ვართ, თუ ჩვენს ღირსებას არ დავიცავთ?

უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებაში შეხვდა ქართველური სახელმწიფოები დიდი ფარნავაზის გამოჩენას ისტორიის სარბიელზე. სისხლის წვიმებმა გადაიარა კოლხ-იბერთა ხალხზე იესო მაცხოვრის განკაცებამდე. მითრიდატესთან წარმოებულმა სისხლისმღვრელმა ომებმა დაღალა რომი და მითრიდატეს დამარცხების შემდეგ საერთოდ გააუქმა პონტოს სამეფო ხელისუფლება. 69 წელს აჯანყდა პონტოს ძირძველი ჭანურ-მესხური არისტოკრატია, რომელიც მალევე დამარცხდა. ზღვაში მსუბუქი ხომალდებით, „კამარებით“ მოთარეშე, თავზეხელაღებულ მებრძოლ ჭან-მესხებს ტაციტუსმა ბარბაროსები უწოდა!.. ამ პერიოდში რომი ომს აწარმოებდა პართიასთან, პართიის მოკავშირე იყო ალაროდიელების მიწა-წყალზე დასახლებული და სპარსთაგან წელგამაგ-

რებული არმენები, რადგან ისინი (არმენები) სისხლისმიერი ნათესავები იყვნენ პართიელებისა. რომს კი უკვე მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა იბერიის მეფე ფარსმანთან. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი ნიუანსი მინდა აღვნიშნო, რომ ბატონი მელიქიშვილი იბერებს, ჰენიოხებს, მესხებსა და კოლხებს გაღიზიანებული უწოდებს რომის ვასალებს, რასაც თურმე იგებს კაბადოკიის რომაელი მმართველის ფლავიუს არიანეს წერილიდან იმპერატორ ადრიანესადმი. ხოლო ცოტა ადრე აღნიშნავს, რომ რომი და მოკავშირეები ომს აწარმოებდნენ პართიასთან, რომელმაც „... სომხეთი იგდო ხელთ“. არც აქ ბრძანდება სწორი ბატონი მელიქიშვილი, მართალია პართიამ „სომხეთი იგდო ხელთ“, მაგრამ არა ძალდატანებით! სომხები პართიელთა მონათესავე ხალხი იყო და ეს შეერთება მათივე სურვილით მოხდა. არმენია რომთან ყოველთვის ცბიერ დამოკიდებულებაში გახლდათ და ორმაგ თამაშს თამაშობდა. ბატონი მელიქიშვილისთვის ეს ფაქტიც კარგად იყო ცნობილი! და არამარტო მელიქიშვილისთვის ... და არამარტო ეს ფაქტი ...

ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელიც წმინდა სინოდის განჩინებით 2002 წლის 17 ოქტომბერს წმინდანად შეირაცხა და ეწოდა ექვთიმე ღვთისკაცი, მთელი შეგნებული სიცოცხლე მოანდომა საქართველოს ისტორიული წარსულის შემავსებელი მასალების, არქეოლოგიური ნიმუშების, საეკლესიო წიგნების, ნივთების, ხელნაწერების შეგროვება-შესწავლას. იმოგზაურა ტაო-კლარჯეთში და შთამომავლობას დაუტოვა უნიკალური ექსპონატები – იქაური ტაძარ-მონასტრების, არქიტექტურული ანსამბლებისა და მათი კედლებიდან გადმოღებული სამოცდაცამეტი უძველესი ფრესკის პირი! ეს ტიტანური შრომა იყო! წარმოუდგენელი და უძნელესი ერთი პიროვნებისთვის! 1921 წლის 25 თებერვალს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას გაჰყვა უცხოეთში ქართული სამუზეუმო განძეულობის (რომლის ერთი ოქროს მონეტაც კი უზარმაზარ თანხად იყო შეფასებული) და ხელნაწერთა მცველად! საფრანგეთში უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართველ ლტოლვილებს და მათ შორის დიდ ექვთიმეს არასოდეს მოსვლია აზრად ეროვნული განძის ხელყოფა! დიახ, დაიმახსოვრე მკითხველო! ისინი, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების წევრები და სხვანი, ქართველი ლტოლვილები – მახარაძის, ორჯონიკიძის, ღოღობერიძის, ორახელაშვილების მიერ დევნილები, შიმშილის და სიკვდილის პირას მყოფნი, სათითაოდ ყველანი გმირები იყვნენ, ეროვნული გმირები! ამდენ ტანჯვა-ვაებაში გამოვლილი განძი მამულიშვილთა თაოსნობით ისევ სამშობლოში დააბრუნეს და ისევ ექვთიმეს მეთვალყურეობით და მასთან ერთად! 1953 წლის 21 თებერვალს ექვთიმე თაყაიშვილი გარდაიცვალა შინაპატიმრობაში, უსახსრობაში, შიმშილსა და სიცივეში! მის კუბის რამდენიმე ღირსეული ქართველი მიაცილებდა ვაკის სასაფლაომდე! ექვთიმე თაყაიშვილის ჩამოტანილი განძი კი ... არსებობს ისევ? ცხადია არც სანახევროდ! შევარდნაძის მმართველობის პერიოდში რუსეთის ხელისუფლებას საჩუქრად ურიგდებოდა შეუფასებელი არქეოლოგიური და ისტორიული ნივთები! ჩემმა მკითხველმა კარგად იცის თამარის ჯვრის ამბავი, როცა ხრუშჩოვი და მისი ცოლი თბილისში სტუმრობდნენ ხრუშჩოვის ცოლს თამარის ჯვარი მოეწონა და მჟავანაძეს მოსთხოვა კიდეც. მჟავანაძემ მოუბოდიშა გასაწმენდიაო და 24 საათი ითხოვა. იმავე ღამეს კი სასწრაფოდ ასლი დაამზადებინა ცნობილ ხელოსანს და ის მიართვა მეორე დღეს! შევარდნაძესთან კი ყოველთვის პირიქით ხდებოდა! მსგავსი ფაქტები ჯერ კიდევ საუკუნის წინ აძლევდა საბაბს ილია ჭავჭავაძეს ეთქვა, რომ „რა შეგვინახავდა ამ, ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რით და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა ერთის მხრით, – რა ჩამოგვრჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი, და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას!..“ არმაზის ხევი, ბაგინეთი, კლდეეთი, ახალგორი, სტეფანწმინდა, სამთავრო, ვანი, ზღუდრი, თრიალეთი, მტკვარ-არაქსის აუზის არქეოლოგიური განძი... უნატიფესი სამკაულები, ოქროსა და ვერცხლის მონეტები, ქართული ფულის ერთეულები, საბრძოლო თუ საყოფაცხოვრებო იარაღი და ჭურჭელი – ის უტყუარი სიმდიდრეა, რაც ჩვენს წარსულს ხელისგულზე გვიშლის და გვიწერს! და კიდევ რამდენი რამ შეიძლება აღმოჩნდეს ამ კურთხეული ქვეყნის მიწის გულში... რამდენი რამ... მითუმეტეს მაშინ, თუ ისეთი მამულიშვილები გვეყოლება, ისეთი სასაძირკვლო ქვა ედება ბალავერში ჩვენს მამულს, როგორიც ექვთიმე ღვთისკაცი იყო და არა გიორგი მელიქიშვილის და სხვა ისტორიკოსთა მსგავსნი, რომელნიც ციხეს შიგნიდან უხსნიან მტერს, შეგნებულად ცრუობენ და ისტორიას აყალბებენ. მელიქიშვილი ბიბლიურ ზღაპრებს უწოდებს ფლავიუსის ცნობას თუბალების – იბერებთან იდენტურობის შესახებ, და იმავე ფლავიუსის წყაროს კაბადოკიელთა მესხობის და მაზაკასთან მათ სისხლხორცეულ კავშირს. მე უკვე ვისაუბრე მელიქიშვილის მცდარ დებულებებზე მესხების ფრიგიელებთან დაკავშირების შესახებ და ამ გზით იმავე მესხების მელიქიშვილის ჯგუფის მიერ ინდოევროპულ ტომებად, ე. ი. სომეხთა წინაპრებად ქცევის „დიდ სურვილზე“.

მიუხედავად „უწიგნურ მეცნიერთა“ დიდი ძალისხმევისა, მეცნიერებამ არქეოლოგიური მასალების საფუძველზე შეიმუშავა უტყუარი დებულება, რომ, „მუშქების სამეფო დინასტიაში გავრცელებული სახელწოდება „მითას“ („მიდას“) ხეთურ-იეროგლიფური ეტიმოლოგია მოეძებნა და აღმოჩნდა, რომ ამ სახელს ატარებდა ჯერ კიდევ დიდი ხეთური სამეფოს არსებობის ხანაში, ე. ი. ფრიგიელთა მცირე აზიაში გამოჩენამდე აღმოსავლეთ მცირე აზიის ერთ-ერთი გაერთიანების ფახუვას მმართველი!“ (KUB, XXIII, 72. O, R, Gurney, Mita of Pakhuoa, “University of Liverpuol, Annalis of Archalogy and Antropology” 28, 1948, გვ. 32). ცნობილი ხეთოლოგი კავენიაკი იზიარებს და ადასტურებს ამ აზრს, ოღონდაც ცდილობს დაამტკიცოს, რომ მესხები, რადგანაც იბერიული ტომია, წინა აზიაში საქართველოს სამხრეთიდან ჩამოსახლდნენ. ამავე აზრს ავითარებს თავის სამეცნიერო შრომებში მსოფლიოს უდიდესი ორიენტალისტი ე. აქაურგალი, ოღონდაც კავენიაკისგან განსხვავებით, იგი ამყარებს ლენორმანი – რაულინსონ – მასპეროს სკოლის წარმომადგენელთა აზრს, რომ მესხების

თავდაპირველი საცხოვრებელი წინა აზია იყო, (იგივე კაბადოკია), და ხათები და ხურიტები მესხთა წინაპრები იყვნენ! მათ, მესხთა მრავალრიცხოვან ტომს მრავალი სამეფო გაერთიანება ჰქონდათ და მათი სამეფოები განფენილი იყო კავკასიის სამხრეთიდან მთელ წინა აზიაში. აქურგალის დასკვნით მუშქებს, ე. ი. მესხებს საერთო არაფერი არ ჰქონდათ არანაირ ინდოევროპულ ტომებთან, მითუმეტეს არმენებთან! (E. Akurgan, phrygische kunst, Ankara, 1955 w. გვ. 113). კავენიაკ-აქერგალის დებულებები ვარაუდის სახით მან მაინც გაატარა თავის შრომებში მაგრამ... როგორც ვთქვი ეს მხოლოდ ვარაუდი, და თანაც დამცინავი ვარაუდი!.. მან მთელი სიცოცხლე შეალია ქართველი ხალხის ისტორიის არამარტო დამალვას, გაყალბებას, ამოშლას, ამოფხეკას ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთა გონებიდან, არამედ შეებრძოლა არქეოლოგიურ, ანთროპოლოგიურ და ენათმეცნიერული მასალების მონაპოვრების უტყუარობას და ალბათ სომხური დიასპორის შეკვეთით ბეჭდავდა წიგნებს მყვირალა სათაურებით საქართველოს უძველეს ისტორიაზე... რაშიც მსგავსი არაფერი ეწერა!

ერთ-ერთი ასეთივე მეცნიერი ბრძანდებოდა ვინმე ე. ფორერი, რომელმაც დაიწყო მტკიცება, რომ „ხეთურ-იეროგლიფური ენა იყო თაბალების, თაბალები კი, არც მეტი არც ნაკლები ინდოევროპელები, ე. ი. სომხები, არმენები იყვნენ! რადგან მთელი მცირე აზიის არქეოლოგიური სამარხები და მიწისზედა წარწერებიც უამრავია მოპოვებული სწორედ ხათური და ხურიტული დამწერლობის ნიმუშებით, ცხადია ამ გემრიელ ლუკმას არავის დაუთმობდნენ სომხები, მითუმეტეს „საცოდავ ქართველებს“, რომლებსაც მათი აზრით თავის დაცვის არანაირი უნარი და „სახსარი“ არ გააჩნიათ! მათთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა იმას, რომ იბერების ახლონათესაურ კავშირს ხათებთან, ხურიტებთან ამჟღავნებდა არამარტო უძველესი წარწერები, არამედ უძველესი ბერძნულ-ლათინურ-ებრაული საისტორიო წყაროები! აი ამიტომ და ასე გახდნენ თაბალ-იბერები არმენების წინაპრები! ამ სიბრიყვეზე რა თქმა უნდა ბევრს ეღიმება, მაგრამ თავის დროზე ივანე ჯავახიშვილს თავზარი დაეცა – და სწორიც იყო დიდი მეცნიერის შეშფოთება! ეტყობა მან გაისიგრძეგანა სომხური გენის აგრესიული ნაწილის ჩარჩული უნარი ყველაფრის შესყიდვის, წართმევის, თუნდაც ეს შენი წარსული და შენი წინაპრების საფლავები იყოს! დიახ, საფლავები ჩვენი ძირი და საძირკველია, გაიხსენეთ: აბრაამმა ოთხასი შეკელი ვერცხლით იყიდა მღვიმე სარას საფლავისთვის და ასე დაიმკვიდრა საკუთრებად – ყეფრონისეული მინდორი მახფელაში...

მე ადრეც გავამახვილე ყურადღება „არმაზის ბილინგვაზე“ და კიდევ ერთხელ გავახსენებ მკითხველს, რომ 1940 წელს მცხეთაში, არმაზისხევში აღმოჩნდა დიდგვაროვანთა სამარხი – სამარხის ქვის ორენოვანი წარწერით. წარწერა შესრულებულია ლამაზი, კარგად გამოყვანილი ასოებით, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ წერა-კითხვა კარგად იცოდნენ, კარგად ცოდნას კი ათასწლეულები და სულ მცირე საუკუნეები სჭირდება, ეს აქსიომაა! ქვის, ე. ი. სტელის ზედა ნაწილი ბერძნული წარწერითაა დაფარული, ქვემო ნაწილი კი – არამეულით. ტექსტი ამოიკითხეს ცნობილმა ორიენტალისტებმა: გიორგი წერეთელმა, აკაკი შანიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა! გიორგი წერეთელმა ქვას – „არმაზის ბილინგვა“ უწოდა! ასე გაჩნდა ქართული საცხოვრისის ისტორიაში გიორგი წერეთლის და სხვა ღირსეულ ქართველ მეცნიერთა მიერ კიდევ ერთი ჩაკირული მაგარი ქვა ერის ცნობიერების საძირკველში ქართველთათვის წარსულისა და გენის არდასავიწყებლად! მკითხველო არმაზის ბილინგვა რომ 25-30 წლის შემდეგ აღმოჩენილიყო, ვინ იცის, რა მოხდებოდა? შესაძლებელია არც გამოეჩინათ მელიქიშვილს და მათ თანამოაზრეებს, რადგან ... მისი წარწერა უმნიშვნელოვანესია! მკითხველს შევახსენებ „არმაზის ბილინგვის“ წარწერის სრულ ტექსტს. ბერძნულ ტექსტში უმნიშვნელო სხვაობაა არამეულთან შედარებით. ფაბულა და შინაარსი თითქმის ერთნაირია: „მე (ვარ) სერაფიტი, ასული ჯავახ მცირისა პიტიახშისა ფარსმან მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა, – ძლევამოსილისა და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოსმოძღვრის ხსეფარნუგ მეფისა – ძისა აგრიპა ეზოსმოძღვრისა ფარსმან მეფისა, ვაება ვაებისა. ის, ვინც იყო ახალგაზრდა და იმდენად კეთილი და მშვენიერი, რომ არავინ იყო (მისი) მსგავსი სილამაზით, გარდაიცვალა 21 წლისა.“ ეს არის არამეულის ზუსტი თარგმანი. ახლა ვნახოთ ბერძნული წარწერის ზუსტი თარგმანი სიტყვა-სიტყვით; „სერაფიტი, ასული პიტიახშ ჯავახ მცირისა, მეუღლე პუბლიკიოს აგრიპა პიტიახშის ძის – ქართველთა მეფის დიდი ქსეფარნუგის მრავალ გამარჯვებათა მომპოვებელი ეზოისმოძღვრისა, გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ოცდაერთი წლისა, მქონებელი შეუდარებელი სილამაზისა“. „არმაზის ბილინგვა“ უტყუარი დოკუმენტია არამარტო ქართველთა ტომების უაღრესად ცივილიზებული წარსულისა... „არმაზის ბილიგვამ“ მოხსნა „უწიგნურ მეცნიერთა“ მიერ წამოყენებული ჰიპოთეზები ქართული დამწერლობის მაშტოცისეულობის შესახებ. მაშტოცის აბსურდული და ბრიყვული თეორია სამუდამოდ დასამარდა! ქართული დამწერლობის ძირი და საძირკველი უძველესი ფინიკიური ფუძიდან და სემურ-არამეულიდან მოდის! როცა ეს დამწერლობები ერს აქვს, ცხადია ის ერი ფლობს თავის საკუთარ დამწერლობას! მე მკითხველს შევახსენებ, რომ არამეულს საფუძველი ჩაუყარა არამის მოდგმამ, არამი კი ნოეს უფროსი ძის, სემის – უმცროსი ვაჟიშვილი გახლდათ. მისი სახელიც რომ არ მიითვისონ არმენებმა, აქვე გაგახსენებთ არამის ვაჟიშვილებს, რომლებიც ასევე მოდგმის მამამთავრები გახდნენ: ყუცი, ხუცი და მაში!.. როგორც ხედავთ საუბარი ზედმეტია ჰაიკზე! რადგან, მარტივი ასახსნელია ჰაოსიანები აღმოსავლეთიდან გადმოხვეწილი მომთაბარე ხალხია მცირე აზიაში შემოსულ ფრიგიელებს შერეული, პართიელთა სისხლისმიერი ნათესავები!.. და არავითარი ნათესაური კავშირი არ გააჩნიათ ბიბლიური ნოეს შვილებთან!.. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია ბიბლიას ერთი სიტყვა მაინც არ ეთქვა ჰაიკზე და არმენაკზე!

ამავე პერიოდში, 1940 წ. 25 ნოემბერს მცხეთაში, არმაზის საპიტიახშო ნეკროპოლში აღმოჩენილ იქნა პიტიახშის საფლავის სტელა, რომელზედაც შემონახულია არამეული დამწერლობა. ამავე სტელაზე მოიპოვება სპეციფიკური ნიშნები... სტელას ჩამომტვრეული აქვს ზემო ნაწილი და მარჯვენა მხარე, ამდენად, დროთა განმავ-

ლობაში დაზიანებულა ქართული ასომთავრული წარწერა, რადგან შემორჩენილი ნიშნები წარმოადგენს ლიგატურას, შემდგარს ქართული ასოებისაგან „ჭ – ს“.

ამავე ძეგლის ყურებზე მოცემულია იგივე ქართული ასო-ნიშნები განცალკევებით.

აღნიშნული ასოები აღნიშნავენ სახელს, რომლის პირველი ასოა „ჭ“, ხოლო უკანასკნელი „ს“. პავლე ინგოროყვას გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ, „ხომ არ იმალება ამ დაქარაგმების სახით „ჭ – ს“ სახელი „ჭევახოს“. ადრინდელი სახეობა სახელისა „ჯევახოს“ („ჯავახოს“)“. პ. ინგოროყვა თხზ. კრ. 1978 წ. თბ. გვ. 498-499.

იმავე წლის 23 ნოემბერს, ისევ არმაზში აღმოჩნდა „ვერცხლის ლანგარი, რომელზეც მოიპოვება სამი წარწერა: ორი წარწერა ბერძნულია, ერთიც ქართული... ძეგლი განეკუთვნება ჩვ. წ. პირველ საუკუნეებს!“ პ. ინგოროყვა, თზხ. 1978, გვ. 488.

* * *

საკუთარი ჰიპოთეზებისაგან და ვერსიებისაგან მე თავს ვიკავებ, მოვიტან რამდენიმე ამონარიდს ვასილი ველიჩკოს სტატია „კავკასია“-დან (სომხები): – „ყოველი ხალხი იმდენად მყარ, გონებრივ ორგანიზმს ფლობს, რამდენადაც მისი ანატომიური ხასიათი... ცუდი აზრი სომხებზე დასაბამიდან ჩამოყალიბდა და ეს საკმაოდ შეუმცდარი აზრი გახლავთ. იგი არც შეიძლებოდა სხვაგვარი ყოფილიყო. რადგან ყველა ერის შემეცნებაში აბსოლუტურად ერთნაირად ჩამოყალიბდა, თანც ისტორიულად სხვადასხვა დროს.

... აუცილებელია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ სომეხი ხალხის ძირითადი მასა და ამ ერის მტაცებელი პლუტოკრატია, პოლიტიკანიზმით გამსჭვალული სამღვდელოება და ფსევდო ინტელიგენცია. ე. ი. სომხური საზოგადოების მმართველი ფენები, რომლებიც ჩაგრავენ არა მხოლოდ მეზობლებს, არამედ საკუთარ, უბრალო თანამემამულეებსაც. მეორეც, მმართველ წრეებშიც, უეჭველად, მოიძებნება წესიერ ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, რომელნიც დამნაშავენი მხოლოდ იმაში არიან, რომ ბრმად ემორჩილებიან თავიანთ თავკაცებს და იმ ჰიპნოზის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, რომელსაც ტომობრივი ან (სრულიად უსაფუძვლოდ) ეროვნული იდეა ეწოდება. ამ თავკაცებთან და მათ მიერ დაქირავებულებთან შეხებისას ნებისმიერ წესიერ ადამიანს არ შეიძლება არ აღეძრას სიძულვილის გრძნობა სომხების მიმართ. – ამ საიდუმლოებით აღსავსე ერის ისტორიის გაცნობისას კი არ შეიძლება მის მიმართ ერთგვარი თანაგრძნობით არ განიმსჭვალო, რადგან მას უამრავი კარგი თვისება გააჩნია. რამდენადაც დიდი იქნება ეს თანაგრძნობა, მით უფრო გაიზრდება ზიზღი და სიძულვილი მათი ჯილაგიდან გამოსული პოლიტიკანების, მჩაგვრელებისა და მეამბოხეების მიმართ. ... ალბათ შემეკამათებიან იმის თაობაზე, რომ სომხური მმართველი წრეები იმ ხალხთა მასებიდან არიან გამოსულები, რომელთა შვილები ასევე მტაცებელთა ემბრიონიდან იშვნენ. მაგრამ პირველ რიგში, უმაღლესი კლასის წარმომადგენლები ყოველთვის არ არიან ხალხის სულიერი დონის საზომები. მეორეც, ის სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიული პირობები, რომლებშიც ბედის უკუღმართობით აღმოჩნდებოდა ხოლმე სომეხი ხალხი, განაპირობებდა და დღესაც განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ერის წიაღიდან ამოტივტივდეს სომეხი ერის მხოლოდ ყველაზე საძაგელი, მახინჯი და გაიძვერა წარმომადგენელი“.

„...ვინ არიან სომხები? მათი ძირითადი წარმომავლობა ნაკლებად საფუძვლიანად არის გამოკვლეული. ისტორია მოწმობს, რომ ისინი ჯერ ბაბილონის ტყვეობის ჟამს, შემდეგ კი იერუსალიმის დანგრევისას შეერივნენ ებრაელთა უზარმაზარ მასას. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით ისინი, უმეტესად ბრაჰიცეფალები, ე. ი. მოკლეთავიანები არიან და ამ მხრივ შანტრის, ერკერტის, პანტიუხოვის და სხვათა გამოკვლევებით ძალზე წააგავენ მთიელ ებრაელებს და სირო-ქალდეველებს (აისორებს. უნდა აღინიშნოს რომ სირო-ქალდეველები არ არიან ქალდეველები, ისინი ასირიელები არიან, ოღონდაც კომპაქტურად ჩასახლებულნი ქალდეას ტერიტორიაზე – დ. მ.) ინგლისელი მეცნიერი ბერტინი მიიჩნევს, რომ ისინი პალესტინამდელი ებრაელთა ტიპები არიან.

პროფესორ დ. ნ. ანუჩინის გამოკვლევით, სომხები არ განეკუთვნებიან არიულ ტომებს და ისინი არიანიზირებულები (ენით) არიან. ყველა, ვინც საკუთარ თავს სომხობას აკუთვნებს, აშკარად არ არის ძირეული სომხური ტომის წარმომადგენელი. სომხური ჟურნალი „მურჩი“ აღნიშნავს რა სხვა ხალხებით სომხების ასიმილირების მნიშვნელოვან შესაძლებლობებს, მე-19 საუკუნის 90-იან წლებში მიანიშნებდა, რომ სომხებს შორის ძალიან ბევრნი არიან ასიმილირებული ბოშები. სომეხთა წარმომავლობაზე საინტერესო მეცნიერული დასკვნა გააკეთა კავკასიის ანთროპოლოგმა, დოქტორმა ი. პანტიუხოვმა. პატივცემულმა მეცნიერმა გამოიყენა ის პერიოდი, როცა თბილისი გადაჭედილი იყო ნახევრად ველური სომეხი ლტოლვილებით თურქეთიდან და მათ, ე. ი. სომხებს ჩაუტარა ანთროპოლოგიური კვლევა. გაირკვა, რომ ისინი თავიანთი ფიზიკური აგებულებით წმინდა წყლის ქურთები იყვნენ. ეს დებულება კი გზას უხსნის ვარაუდს იმის თაობაზე, რომ თურქეთში სომხური გენოციდის ზოგიერთი ეპიზოდი სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ქურთთა ტომებს შორის გაღვივებულ შუღლს უკავშირდება.

უაღრესად საინტერესოა კავკასიელი ალბანელების (ქართულად – ალვანელების და სომხურად – აგვანელების – დ. მ.) საკითხიც. ეს ქვეყანა მოიცავდა ელიზავეტპოლის გუბერნიას, თბილისის გუბერნიისა და დაღესტნის ნაწილს, დასახლებული იყო ეთნიკურად არასომხური (იბერიული – დ. მ.) წარმოშობის ხალხით, რომელთაც ქრისტიანობა (მონოფიზიტობა) სომხებისაგან მიიღეს. მე-19 საუკუნის დასაწყისამდე აგვანის ანუ გინძასარის კათოლიკოსი კრიჭაში ედგა ეჩმიაძინს და დროდადრო საერთოდ დამოუკიდებელი იყო მისგან. დღეს ყოფილი აგვანის სამწყსოს ქრისტიანები სომხებად ითვლებიან, რადგან სომხებმა აათვისებინეს მათ სომხური ენა და ხასიათი. სომხებს ასევე შეჯვარების შემთხვევები ჰქონდათ სხვა ხალხებთან: აზერბაიჯანელ თათრებთან, ქართველებთან, მთიელებთან, რუსებთან. უფრო მეტად ისინი ახლოს იყვნენ სპარსელებთან და ცხადია საერთო ოჯახები და ინტერესებიც არსებობდა. ამ გარემოებათა გამო, ნათელია, რომ სომეხთა ძარღვებში ყოველნაირი სისხლი ჩქეფს. ამით აიხსნება ის ამბა-

ვი, რომ წინა აზიაში საარაკოდ ქცეული სიმხდალის მქონე სომეხი ხალხი დროდადრო იძლევა ტალანტიან და უშიშარ მხედართმთავრებს. სწორედ ეს ადასტურებს სომეხთა ჯილაგზე სხვა, მეომარი და მამაცი ხალხის სისხლის გავლენას. წმინდა სისხლის სომეხს საერთო კავკასიური ანდაზის თანახმად „კურდღლისაც ეშინია“. ეს ფაქტი აშკარად მიუთითებს ამ ერის სემიტურ ხასიათზე. საერთოდ სემიტური ხასიათის მრავალი თვისება გააჩნია სომეხ ხალხს. ეს არის: ისტორიულად მყარი სახელმწიფოებრიობის და ავტორიტეტული საგვარეულო არისტოკრატიის არქონა და არყოლა, რასობრივი ლტოლვა ვაჭრობისა და მევახშეობისაკენ და მომხვეჭელობის დაუოკებელი სურვილი. ქედმაღლობა უქონელებთან და ძლიერთა მიმართ მონური დამოკიდებულება, თვითრეკლამა და განდიდების მანია ხომ ებრაული ხასიათის ნიშნებია, მაგრამ სომხებში იგი უფრო ინტენსიურად და უხეში სახით გვხვდება.

სომხებს არ უყვართ, როცა მათ ებრაელებს ადარებენ და თავიანთ დამცველებს ავალებენ, რაც შეიძლება ენერგიულად ამტკიცონ ჰაიკელი ხალხის არიული წარმომავლობა. ალბათ ყოველივე ამას ეძღვნება მახვილგონიერი ქართული ანდაზა: „მხოლოდ მონას, თუ მას ნაბრძანები აქვს, ეკადრება იმის მტკიცება, რომ მუხის ხე ვაშლს ისხამს“. ისტორიამ დაუმტკიცა ქართველებს, რომ არ შეიძლება იმ ხალხის ნდობა, რომელთაც ჯაშუშობისა და ღალატის თანდაყოლილი თვისებები გააჩნიათ: მეფე ერეკლე მეორის მიერ აღზევებული სომეხი მელიქები აბო და მეჯნუნი, რომელთაც იგი (ერეკლე) სპარსელთა დევნისაგან იცავდა, საბედისწერო ჟამს განუდგნენ ქართველ მეფეს და 1795 წელს აღა მაჰმად ხანის ურდოებს შემოუძღვნენ საქართველოში, რომელთაც სისხლში ჩაახრჩვეს თბილისის მოსახლეობა. ეს ფაქტი სასურველია შევახსენოთ იმ სომეხ პუბლიცისტებს, პირზე დუჟმომდგარნი რომ ამტკიცებენ თავიანთ ქრისტიანობას ...“

ამ სტრიქონებს სწერდა ვასილი ველიჩკო ჯერ კიდევ საუკუნეზე მეტი ხნის წინ. ე. ი. მთელი 25 საუკუნის მანძილზე არ შეცვლილა სომხური გენის ფსიქოლოგია; თავის გადარჩენის სურვილი ნებისმიერ ერს და პიროვნებას აქვს და ამაში საძრახისს ვერაფერ ვხედავთ, მაგრამ ბინძური, ჯაშუშური გზებით სიარული ისტორიის სარბიელზე, როცა დასახმარებლად და სამეგობროდ ხელს გიწვდიან და შენ ღალატით, მუხანათობით პასუხობ, ეს საშინელი თვისებაა, რაც ამ ერის ნაწილის უაღრესად მანკიერ, ბილწ ბუნებაზე მიგვითითებს, როგორც ტაციტუსმა აღნიშნა ოდესღაც მათ შესახებ: „ეს არის დასაბამიდან ორსახოვანი ხალხი, როგორც ხასიათით ასევე გეოგრაფიული მდებარეობით“... ხოლო ამ სიტყვებს ცოტა ქვემოთ თავისი “Ad axcessu auguisti”-ის მე-12 წიგნის 46-ე პარაგრაფში იგი გარკვევით ახასიათებს სომეხთა მზაკვრულ ბუნებას!

ველიჩკოს გამოკვლევა კავკასიაზე და კერძოდ სომხებზე ბევრ საყურადღებო ფაქტზე გვამახვილებინებს ყურადღებას. უნდა აღინიშნოს უმთავრესი: მართალია, სომეხი ერის ბუნება-ხასიათსა და მიდრეკილებებზე მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ერის შემეცნებაში თითქმის ერთგვარი აზრი ჩამოყალიბდა ტაციტუსის და დე შოლეს მოსაზრებების მსგავსი, მაგრამ ქართველებთან ამ ხალხს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა თავიდან, 25 საუკუნის წინ და ისეთივეა დღესაც! ეს არის უკიდურესობა! სწრაფვა გაანადგუროს ტერიტორიულად ახლო მყოფი მეზობელი ერი და დაიკავოს ისტორიულად მისი ე. ი. მეზობელი ერის (!) კუთვნილი საცხოვრებელი მიწა-წყალი! ცხადია ასეთი მიდგომა შაჰების სპარსეთში არ გამოუვიდოდათ, ვერც თურქეთის სასულთნოში შესძლეს! დარჩა საბჭოთა პერიოდის აზერბაიჯანი და საქართველო. აზერბაიჯანისგან წაიღეს ყარაბაღი და ... საქართველოსგან ლორე-ტაშირი! მაგრამ როგორც ვხედავთ წაღებული მცირე ლუკმაა მათთვის და ... იმ სომხური რუკის არ იყოს, მადა კი დიდი... მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან (თუ არ ჩავთვლით საქართველოში როსტომის მეფობის ხანას) აქტიურად იწყებს ეჩმიაძინი ქართული მიწა-წყლის ჩაყლაპვაზე ოცნებას, ხოლო 1801 წლიდან ოცნება საქმედ აქციეს და ეროვნულ იდეად მონათლეს! არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილმა ხეთურმა და ურარტულმა წარწერებმა კი ფართო ასპარეზი გაუხსნა მათ სურვილებს და ოქროს. რასაც ამ ხალხმა თავიანთი ბუნებით ვერ მიაღწიეს და ვერ მოიპოვეს, ამჯერად ოქროთი სყიდვით შეეცადნენ. ვ. ველიჩკო სწერს, რომ: „ვორონცოვი ლამის ძალით აძლევდა მათ მომგებიან საწარმოებს, რომელთაც მათთვის შემდეგ ზღაპრული მოგება მოჰქონდა. მათი გამდიდრების ძირითად მამოძრავებელ ძალას პარაზიტიზმი და არა შემოქმედებითობა წარმოადგენს“. ... იმისთვის, რასაც „ობოზრენიეს“ ავტორი სომეხთა დამახასიათებელი ნიშანთვისებების არქონას უწოდებს, უპრიანი იქნებოდა გარეგანი ასიმილირების სხვა ერის გვარსახელების მიკუთვნების, ტანსაცმლის ტარების და წეს-ჩვეულებათა მითვისების უნარი გვეწოდებინა: „საქართველოში სომხებმა მიითვისეს გვარები შვილის დაბოლოებით, მუსულმანურ პროვინციებში გაჩდნენ იუსუფბეგები, ყარა-ბეგები, იბრაგიმ-ხანები და სხვა გვარებს ამოფარებული სომხები. რუსეთში აგრეთვე გაჩნდნენ არამხოლოდ სომხური ძირისა და რუსული დაბოლოების მქონე გვარის მატარებელი სომხები, არამედ მათი ჯიშის კრასილნიკოვები, საპოჟნიკოვები, ლისიცინები, სერგეევები, პოპოვები. ასტრახანში კი „წითელ ქამრად“ წოდებულმა პირწავარდნილმა სომეხმა მევახშემ „ძალზე“ რუსული გვარი მიითვისა. მისი მემკვიდრეები თავადაზნაურობაშიც გაძვრნენ, სადაც მათ ნამდვილად არ მოელოდნენ“...

ველიჩკოს მახვილ მზერას არ გამოჰპარვია ის ზედაპირული ასიმილაცია, რასაც სჩადიოდნენ რუსეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სომხები. როგორც ადრე უკვე აღვნიშნე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი უძველესი დამწერლობით მსოფლიო მეცნიერებაში ჩამოყალიბდა და გამოიკვეთა ახალი მიმართულება აღმოსავლეთმცოდნეობაში, ეს იყო იბერიელ ხალხთა საცხოვრისის და უძველესი ისტორიის შესახებ მყარი დებულება – მცირე, ე. ი. წინა აზიის აბორიგენ მოსახლეთა ტომობრივ გაერთიანებათა ცივილიზაციისა და მათ უშუალო მემკვიდრეობაზე იბერებთან, კოლხებთან, აფშილებთან, ჭან-ლაზებთან, სვანებთან, მესხებსა და ხალდებთან (სპერებთან). ეჩმიაძინის პოლიტიზირებულმა ეკლესიამ ძალიან ადვილი გამოსავალი იპოვა, მასიურად დაიწყო სომეხ მოსახლეობაში

ქართული – იანი სუფიქსით დაებოლოვებინა სომხური გვარები. რის შედეგადაც დღეს უკვე გვაქვს აც – სუფიქსის მაგიერ იანით შეცვლილი ვითომ სომხური გვარები: აჭარიანი, ზურაბიანი, მარგიანი, ადამიანი და მრავალი ასეთი! გაცნობიერებულ ქართველს შეიძლება გაეღიმოს კიდეც ამ სისულელეზე, მაგრამ ... მათი ჩანაფიქრით ეს საკმაოდ სერიოზული ნაბიჯია, ამ გვარებით ისინი (სომხები) ცდილობენ დააფიქსირონ თავიანთი ნათესაობა კოლხ-სვანებთან და იბერებთან! ეს ყოველივე, როგორც ველიჩკომ თქვა, „უცხოელის თვალის მოსატყუებელი ნათესაობათა ასიმილაციაა“, ცხადია „ხურიტულობის“ დასამოწმებლად, პრეტენზია რომ განაცხადონ წარსულსა და ტერიტორიებზე, მაგრამ ისტორიაში გაცნობიერებულმა ნებისმიერმა ინდივიდმა კარგად იცის, რომ ყველა ერის ასიმილაცია შეიძლება მოხდეს, სომხის კი არა! ეს ჩემი აზრი არ არის. ჩვენ შესანიშნავი მაგალითი გვაქვს წინ – სვანები ჩაასახლეს ბოლნისის რაიონის დაცარიელებულ სოფლებში, ფაქტიურად სომხების მეზობლად! დღიდან ჩასახლებისა აუტანელ მდგომარეობაში აგდებენ და აყენებენ სომხები სვანებს, როგორც „მოსულებს“, როგორ არ შეურაცხყოფენ, ცილს სწამებენ და მათ ხოცვასაც არ ერიდებიან და აიძულებენ დასტოვონ სოფლები! რატომ? სვანური გვარები მიითვისა ფაქტიურად ნახევარმა სომხეთმა, თავიანთ წარმომავლობას მიუწერეს იანი – სუფიქსი და ამით თავიანთი აზრით თითქოსდა „დაიმკვიდრეს“ და გაიმყარეს კავკასიონის მთიანეთის უძველესი მოსახლის ტიტული! ხმამაღლა გაჰყვირიან, ამტკიცებენ სვანების ახლო ნათესაობას! მერედა სად „გაჰქრა“ ეს ნათესაობა ბოლნისისა და წალკის სოფლებში? დიახ, ბატონებო, 150 წელზე მეტია, რაც არქეოლოგიურმა გათხრებმა დღის სინათლეზე გამოიტანა ქართველი ტომების წარსული, სომხებს კი მხოლოდ იანი სუფიქსით დაბოლოებული გვარები სჭირდება აბორიგენულობის დასამტკიცებლად და განსამტკიცებლად! ჩავიხედოთ საქართველოს ისტორიაში და ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი „იანის“ ენობრივ სტრუქტურას (ის სომხებისთვის არაფერია, ქართველთათვის კი მეტად მნიშვნელოვანი): ისტორიული წყაროების საფუძველზე „ფარნავაზის ეპოქაში ქართველთა ერთიანობას მიუთითებს ძველქართული გვარების ფორმათა ერთიანობა უძველეს საქართველოში. გამოკვლევებით დადგენილია, რომ უძველესი გვარის აღმნიშვნელი სუფიქსი ეგრისში ანუ სამეგრელოში იყო „იანი“ (მისგან იქნა შემდეგ მიღებული დაბოლოება „ია“, „ვა“ და სხვა. უძველესი საგვაროვნო სუფიქსი სვანეთში იყო და არის „იანი“. უძველესი საგვაროვნო სუფიქსი სრულიად საქართველოს მთიანეთში – ფშავ-ხევსურეთიდან სვანეთამდე იყო „იანი“ (საოჯახოდ, საშინაოდ ამჟამადაც „იან“ ფორმები იხმარება). უძველესი საგვაროვნო სუფიქსი საქართველოს ბარში იყო – „იანი“. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი: ძველ წყაროებში ერთადერთი დამაბოლოებელი სუფიქსი – „იანი“ – ე. ი. გვარებში – „ფარნავაზიანი“, მარუშიანი“, „ბაგრატონიანი“ (ქ. ც. გვ. 251), ბაქარიანი (ქ. ც. გვ. 138). „არიშიანი“ (ქ. ც. გვ. 328), „ბივრიტიანი“ (ქ. ც. გვ. 185), „გოდერძიანნი“ (ეს გვარია, რაც იქიდან ჩანს, რომ მრავლობითის ფორმითაა წყაროში მოცემული – „გოდერძიანნი ტბელნი“ (ქ. ც. გვ. 248). იქვე „მამეანნი“, მამე-ი-იანი. „თარგამოსიანი“ – ეთნარქები (გვარის მამამთავრები), შავლიანი (ივანე – აფხაზეთის მეფე. გვ. 258). „კავკასიანნი“ – სადაურობის აღსანიშნავად (130), „ნებროთიანი“, „ნერსესიანი“ (ნერსე – ქართლის ერისთავი იყო, გვ. 241) „ქართლოსიანნი“ (ქართლოსის შთამომავალნი, 27), ჯუანშერიანნი (ჯუანშერ – ისტორიკოსი, გვ. 248) და სხვა უამრავი (ანანია ჯაფარიძე „ქართველთა წინაპრების ისტორია ბიბლიური ადამიდან იესომდე“ 1994 წ. გვ. 87). როგორც ვხედავთ აღნიშნული გვარები სახელებს შეიცავენ, ე. ი. ოჯახის, იგივე გვარის უხუცესის სახელიდან იწარმოება მისი შთამომავლობის აღმნიშვნელი ფორმა და წარმოგვიდგენს შინაარსს. გვარი ადრე ერქვა ერთი მამამთავრის შთამომავლებს, ვთქვათ ფარნავაზის შთამომავლობა იყო ფარნავაზის გვარისნი ფართო გაგებით და იწოდებოდნენ ფარნავაზიანებად, ე. ი. ფარნავაზის ოჯახის, გვარის წევრებად! თუ ოჯახის რომელიმე წევრს მოუხდებოდა ან მოუნდებოდა ოჯახიდან წასვლა, რასაც გაყოფა ჰქვია დღესაც, მისი შთამომავლობა, ე. ი. მისი გვარი წარმოიქმნებოდა მისი სახელიდან. ასე ეყრებოდა უძველეს ხანაში საფუძველი ქართულ გვარ-სახელებს. ერთი გვარიდან ზოგჯერ 100-ბით მეომარი გამოდიოდა! სწორედ ამიტომაც იყო მრავალი სამეფო ქართველ ტომთა გაერთიანებებში! ქართულმა მთამ ბოლო დრომდე შემოინახა „გვაროვნული თემები“, ამის უტყუარი მაგალითია კ. გამსახურდიას ბელეტრისტიკის შედევრის „მთვარის მოტაცების“ მთავარი გმირის თარაშ ემხვარის და მისი მამობილის და ძუძუმტის კაც და არზაყან ზვამბაიების ცხოვრების სურათები სვანეთში, მახშვის კოშკში. ასევე იყო აფხაზეთში, ხევსურეთში, თუშეთში და ქისტებთან, ჩეჩნებთან და ინგუშებთან. გავიხსენოთ ვაჟა ფშაველა. რაც შეეხება ჩერქეზ ადიღეველებს, მათ ძლიერი ასიმილაცია განიცადეს ყარაჩაეველ, ბალყარელ და ალანელ ტომებთან. ალანები კი ცნობილია ისტორიულად, რომ ირანულ ენოვანი ტომი არის; ასევე არის მოსაზრება მეცნიერებაში, სადაც ალანები ხაზარულ, ე. ი. თურქულ-კავკასიურ ტომებად განიხილება, შესაბამისად ხაზარული ტომები იქნებიან მაშინ ყარაჩაეველ ბალყარელებიც, რადგან ისინიც ალანური წარმოშობისანი არიან. შესაძლებელია ოსების გაირანულენოვნება შუა საუკუნეებში მოხდა (ა. ჯაფარიძე), მაგრამ დაზუსტებით ამის თქმა არ შეიძლება. ქართველი ხალხის უკანასკნელი გენოციდის დროს 93 წელს, აფხაზეთში, ყარაჩაეველ-ბალყარელები და ოსები, ადიღეველებთან ერთად ქართველთა ხოცვა-ჟლეტის შემოქმედნი იყვნენ ბაგრამიანის სომხური ბატალიონის ხელმძღვანელობით! რა უნდა ყოფილიყო ამ დიდი სიძულვილის მიზეზი? ალბათ შური, ქართველთა დიად წარსულზე და ამ წარსულის მიტაცების დაუოკებელი სურვილი ოსებისა და სომეხთათვის!..

დავუბრუნდეთ ჩვენს სათქმელს: მხოლოდ ქართველთა ტომებში აღინიშნებოდა „იან“ სუფიქსით გვარი, ოჯახი, შთამომავლობა! „ამის დასტურია“ მეგრულ-სვანური და მთიულური უძველესი ფორმები. ს. ჯანაშია წერს – „გაბატონებული უნდა ყოფილიყო გვარსახელების ეს ფორმა სამეგრელოშიც ... მეგრული „ია“ – „იანის“ ნაშთია. ეს ცხადი ხდება, კერძოდ გვარსახელთა ისტორიულ და ცოცხალ ფორმათა შედარებით, ამრიგად, ისტორიულსა და ლიტერატურულ დადიანს, ლიპარტიანს, რატიანს, ბედიანს მეგრულ ცოცხალ მეტყვე-

ლებაში უდრის: დადია, ლიპარტია, რატია, ბედია... – ბოლოკიდურ-ნ-ს დაკარგვა ნიშანდობლივია მეგრულისათვის“ (ს. ჯანაშია, ტ. III, 1959 წ. გვ. 40-41).

იქვე ს. ჯანაშიას განხილული აქვს „იან“ ფორმის გამოყენება გვარსახელებისათვის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთიანეთში (მთიულეთი, ლეჩხუმი, სვანეთი): – „გვარსახელების ეს დაბოლოება თავდაპირველად გავრცელებული იყო ჩანს ყველა ქართულ ტომში და ქართველურს პატრონომისტიკურ მორფოლოგიაში იგი ერთი ყველაზე ადრინდელი მოვლენათაგანია. დროთა ვითარებაში ეს ფორმა ზოგს ქართველ ტომში დასუსტდა, ზოგან თითქმის მთლად დაიკარგა“ (იქვე, გვ. 35). როგორც ისტორიული წყაროებიდან ვიცით ქართულ საცხოვრისში ერთიან გვარ-სახელთა ფორმათა ნიშნები, როგორც ს. ჯანაშია მიუთითებს დასუსტდა და დაიკარგა ფარნავაზიანთა დინასტიის დასუსტების, ქართული ძლიერი სამეფოს დაშლის შემდეგ, დაახლოებით მე-6 საუკუნიდან. ამ პერიოდისთვის სახეზეა რამდენიმე ქართული სამეფო. სპარსთა და არაბთა გამუდმებულმა შემოსევებმა ქვეყანა დააუძლურა, ცალკე მდგომ სამეფოებს კი ძალა და უნარი აღარ შესწევდათ საერთო ქართველური ეროვნული სხეულის გადასარჩენად ებრძოლათ, რაც განხორციელდა მოგვიანებით, დავით კურაპალატის დროს.

რაც შეეხება ქართულ და სომხურ გვართა მსგავსებას და სუფიქსი „იანით“ დაბოლოებას, როგორც ვასილი ველიჩკო აღნიშნავდა წინასწარგანზრახული „გარეგნული ასიმილირება სხვა ერის გვარსახელების“ ავი განზრახვით მიტაცებაა. მიზნის მისაღწევად კი ისინი ნებისმიერ მეთოდს იყენებენ!.. ამ მეთოდებს ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ ალაროდიელი ხალხის ისტორიიდან. ქართულ გვარ-სახელების დამსგავსებაც იმისთვის სჭირდებათ წარსული წაართვან ქართველ ხალხს, ხურიტებისა და ურარტუელების მემკვიდრეებად გამოაცხადონ თავიანთი თავი და მომავალში ზღვარდაუდები პრეტენზიები წამოაყენონ, ისეთივე „ფანტასტიური, როგორც მათი შექმნილი დიადი სომხეთის იმპერიის რუკა“ – როგორც ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა. რაც შეეხება სომხურ გვარებს მე უკვე ვთქვი, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრამდე მათ ქართულთან მსგავსი გვარ-სახელი არ გააჩნდათ თუ არ ჩავთვლით არღუთაშვილებსა და ყორღანაშვილებს თავიანთი ჯაშუშური ქსელით. მე-18 საუკუნის მანძილზე სხვა სომეხი ეროვნების პიროვნება ქართული გვარისანი ან მიმსგავსებული – ისტორიამ არ იცის. ალექსანდრე ბატონიშვილის გვერდით იბრძოდნენ ავეტიკ ბეგი და კაცო ახანოვი, ორი ღირსეული სომეხი თავიანთი რაზმებით. მათ არც ერთს არ ჰქონდათ ქართული გვარი ან ქართულს მიმსგავსებული, ან იან სუფიქსიანი გვარი. კედევ ერთხელ გადავხედოთ ისტორიას – ასეთი გვარები, იან სუფიქსები სომხურში არ არსებობდა!

ერეკლე მეფის ვაჟმა და ქართველთა უკანასკნელმა იმედმა, ალექსანდრე ბატონიშვილმა 1820 წლის მაისში ირანის შაჰის მემკვიდრის აბას მირზას ჩარევით ეჩმიაძინში ქრისტიანული წესით ჯვარი დაიწერა სომეხი მელიქის საკ აღამალის ქალიშვილზე, მარიამზე, სახელი მარიამი ჯვრისწერის შემდეგ უწოდეს ქართული წესისამებრ. მელიქი საკი მდიდარი და პატივცემული პიროვნება იყო არამარტო ერევანსა და ეჩმიაძინში, სპარსეთის შაჰის ფეხტ-ალის კარზე. ყოველივე ამას ემატებოდა ბატონიშვილ ალექსანდრეს პირადი მეგობრობა ტახტის მემკვიდრე აბას მირზასთან. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ქართველთა რძლის, ფაქტიურად დედოფალი მარიამის სახელი, წოდება, როგორც უკვე მოგახსენეთ მარიამის მამა იყო მელიქი საკ აღამალი! ე. ი. იმ დროისათვის არავითარი ამბიცია არ არსებობდა – იან სუფიქსი დაემატებინათ გვარ-სახელებისთვის და დაეწერათ ან საკიანი ან აღამალიანი! ე. ი აღნიშნული სუფიქსები ეჩმიაძინის იდეით განხორციელდა, გავრცელდა მე-19 ს-ში და ძირითადად აც-ი სუფიქსი გადაკეთდა იან სუფიქსად! ჩვენ გვახსოვს თბილისელი კაზარიანცები რომლებიც თავდაპირველად კაზარცები ან კაზრცები იყვნენ, ასევე არამაცი შემდეგ არამიანცები გახდნენ! მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ც – თანხმოვანი საერთოდ მოიხსნა სუფიქსში და დაემატა მთლიანად იანი! რა საჭიროა ასეთი თაღლითობა? მე არ ვამბობ. რომ ქართული გვარის მიმსგავსებით ქართველებს დაემსგავსებიან, სომხები ისეთი თვითმყოფადი ბუნების ერია, არასოდეს არ იცვლის არც კანის ფერს და არც შინაგან ბუნებას. ველიჩკოს თქმის არ იყოს, რაში სჭირდებათ ეს არაფრის მომცემი გარეგნული ასიმილირება? ისევე, როგორც გარუსებულ ქართველებს! ჩვენს წინაპრებს კეთილგონივრულად უთქვამს „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაო“...

ზემოთ აღნიშნული რამოდენიმე მაგალითი თვალსაჩინოებისთვის სრულიად საკმარისია, მკითხველი რომ არ გადავღალო, მხოლოდ ერთ წინადადებას დავამატებ: საქართველოში შემოსახლებული სომხები, სულერთია ისინი სპარსეთიდან იყვნენ, თურქეთიდან, ყარაბახიდან, ნახჭევანიდან თუ ერევნიდან, თავდაპირველად არც ერთ ოჯახს და აქედან გამომდინარე პიროვნებას, როგორც უკვე მოგახსენეთ არ ჰქონდა გვარი – „იან“ სუფიქსით დაბოლოებული! ამის შესახებ არის ისტორიული წყაროები და მსურველს შეუძლია გადაამოწმოს, რა თქმა უნდა თუ ძველი რიცხვით არ გააყალბეს დოკუმენტები! თბილისში ცხოვრობდა მდიდარი, ძლიერი და განათლებული, თურქეთიდან ჩამოსახლებული სომხური ოჯახი ბუზოღლებისა. მათ არ უკადრებიათ დამსგავსებოდნენ სხვებს. იმ ოჯახის დიასახლისი ცნობილი ქართველი მომღერალი, ქალბატონი ნადეჟდა აბაშიძე გახლდათ, ხოლო დიდი ბუზოღლის შვილის მეუღლე ქართველი ხალხის უსაყვარლესი მსახიობი დოდო ჭიჭინაძეა! ქალბატონი დოდო დღესაც მეუღლის ოჯახში ცხოვრობს და დიდი ხნის სიცოცხლეს ვუსურვებთ! ამავე ოჯახმა აღზარდა დიდი ქართველი კომპოზიტორის, ზაქარია ფალიაშვილის ერთად-ერთი შვილი (ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ) ოთარ გორდელი. არსებობს ნადეჟდა აბაშიძის მოგონებები თავისი მეუღლის, დიდი ბუზოღლის დასახასიათებლად: რომ „იგი, იმდენად დიდბუნებოვანი ადამიანი და საოცარი პიროვნება იყო, რომ მე ვერ შევძელი მისი მიტოვება, თუნდაც ზაქარიასა და ჩემი ოთარიკოს დიდი სიყვარულის გამოც“... ის თურქეთიდან ჩამოსახლებული სომეხი იყო, მაგრამ არ უკადრებია გვარის გადაკეთება. ეს სიმართლეა ბატონებო, სიმართლეს კი ... ნამდვილად ვერსად გაექცევა კაცი!

წინმდებარე სტატიით მიმოვიხილე ზოგიერთი ცნო-

ბილი მეცნიერის არამეცნიერული, პოლიტიზირებული შრომები და მკითხველს შევთავაზე შენიშვნები აღნიშნულ შრომებზე. ამჯერად დებულების სახით მინდა განვმარტო რამდენიმე საკითხი:

1. დღის წესრიგიდან არ შეიძლება მოიხსნას მეცნიერული კვლევის გაღრმავება სომხების, ქურთებისა თუ ბოშების საერთო წარმომავლობის შესახებ. მკითხველს მივაწვდი ამონარიდს ჯერ კიდევ 1897 წელს გაზეთ „მურჩში“ გამოქვეყნებული სტატიიდან: „ბოშებიდან წამოსული სომხები“: „ერთადერთმა სომეხმა ერმა შესძლო ბოშების ასიმილირება. ერევნის, შემახის, ელიზავეტპოლის, თბილისისა და სხვა კუთხეთა ბოშებმა, რომელთა არსებობასაც ამტკიცებს ორმოცდაათი წლის წინანდელი ისტორია, აღარ ისურვეს ბოშებად ყოფნა, შეერწყნენ სომხურ ელემენტს და ასიმილირდნენ მათთან, ოღონდაც დაიტოვეს გვარები მათი წარმომავლობის სამახსოვროდ. რომელი კუთხიდანაც არ უნდა შეხედო ამ საკითხს, დასკვნა ერთია – არცერთ ხალხს არ მოუხდენია ბოშათა მსგავსი მასობრივი ასიმილირება, გარდა სომხებისა. მაგრამ ბოშა-სომხების ასიმილირებამ ჭკვიანი ადამიანებიც კი მოგვცა, მაგალითად სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი კერობე პატკანოვი ბოშური წარმოშობის სომეხი გახლდათ, ასევე ბოშური წარმოშობისაა ბერი – პოეტი ალამდარიანი (იყო ალამდაროვი – დ. მ.), ახლანდელი ორი სომეხი მწერალი, სახალხო პოეტი ჰანეს ოღლი და სხვები“ – (ვ. ველიჩკო). ხომ არ ვიფიქროთ, რომ ბოშები ამ შემთხვევაში მათგან განსხვავებული ერის, სომხების ელემენტებს კი არა, საკუთარ, სისხლით ნათესავ ჰაიკური წარმომავლობის ხალხს შეერწყნენ. მათი წინაპრებია კიდევ თუ გავიხსენებთ ქალდეას, იგივე ხალდების ქვეყნის მთებში დასახლებული „სირო-ქალდევლები“. ანთროპოლოგიური მონაცემები მხოლოდ ამ ხალხის გენურ იდენტურობას მიუთითებს. სტატიას შეიძლება დავამატოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში დაცული ცნობა მხარგრძელების წარმომავლობის შესახებ. ისინი რიგითი, დაბალი წარმოშობის გასომხებული ქურთები იყვნენ გიორგი III-ის მიერ აღზევებულნი. ამ შემთხვევაში დაბალ წარმომავლობას ვხმარობ იმიტომ, რომ მაშინდელ სომხეთს აღარ ჰყავდა არისტოკრატია, სომხეთის არისტოკრატიად მე-5 საუკუნიდან უკვე იწოდებოდა სასულიერო წოდება! სათვალავში ვერ ჩავაგდებთ ბაგრატუნების მბრძანებლობას 30 წლის მანძილზე სამშვილდეში. მხარგრძელები არ განეკუთვნებოდნენ სომხურ სასულიერო იერარქიას! ჯერ დემეტრე მეფემ და შემდეგ გიორგი III-მ აღაზევა ისინი და ყურმოჭრილ ყმებად იქციეს, მაგრამ მხარგრძელები, სულით და გულით სომხები იყვნენ და დარჩნენ სომხებად. დაგვანახა კიდევაც ისტორიამ ეს. 1225 წლის გარნისის ბრძოლით და შემდეგ ივანე ათაბაგის ამაზრზენი ღალატით, როცა „მისმა ხალხმა“ თბილისის ქალაქის ციხის კარი გაუხსნეს ჯალალის ხალხს და მოსახლეობა უღვთოდ ამოაწყვეტინეს, მარტო მტკვარში 100 000 მართლმადიდებელი ქართველი ჩაახრჩეს, ვინც ფეხის დადგმით არ წაბილწა ღვთისმშობლის ხატი! რატომ „არ იხსენებენ“ ჩვენი ისტორიკოსები ამ საშინელ ხოცვა-ჟლეტას? დედამიწაზე მოსახლე ცივილიზებულ ერთა აქსიომადაა მიღებული, რომ სომეხი ეროვნებას არ იცვლის, ბუნებას არ იცვლის! ისინი ჩვენი ახლო მეზობლებია უკვე 25 საუკუნეა და ჩვენ ყველაზე კარგად ვიცნობთ მათ ხასიათს, წარმომავლობას, ისტორიას, ენას, კულტურას!

მე-5, მე-6 საუკუნეებიდან, როგორც მრავალგზის აღვნიშნე წინა თავებში, ე. ი. სომხებს უკვე გააჩნიათ უმდიდრესი ეკლესია. 1441 წელს სომხეთის საკათალიკოსო ტახტი კილიკიიდან ეჩმიაძინში იქნა გადატანილი. რაც შეეხება თურქების კეთილგანწყობას სომხების მიმართ, კონსტანტინოპოლის დაპყრობისთანავე და მართლმადიდებელთა შეუბრალებელი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, სულთან მეჰმედ II-მ (1451-1481 წწ) კონსტანტინოპოლში სომხებს შეუქმნა სომხური მონოფიზიტური საპატრიარქო! აღნიშნულ საპატრიარქოს განუსაზღვრელი უფლებები მიუბოძა სულთანმა და ეს საქციელი ერთადერთი მიზნით ჩაიდინა მან, დაეთრგუნა, დაემცირებინა და თანდათან გაენადგურებინა ბერძნულ-მართლმადიდებლური საპატრიარქო და მისი სამწყსო! სულთნის ბრძანებით სომხები არამარტო არბევდნენ კონსტანტინოპოლის მართლმადიდებლურ ეკლესია, ტაძარ-მონასტრებს, არამედ დღისით-მზისით შეუბრალებლად ხოცავდნენ მორწმუნეებს, ტაძრებს იტაცებდნენ და ითვისებდნენ. ასე გასომხურდა მრავალი ბერძნული ეკლესია! პორტას – კონსტანტინოპოლელი, ან კიდევ უკვე ყოფილი საბერძნეთისა და პონტო-კაპადოკიის ქალაქებში ჩასახლებული სომხები თავისი ინტერესების იდეურ დამცველად მიაჩნდა, ყოველმხრივ იცავდა მათ და პორტას ოსმალობა მათი შემწეობით აკონტროლებდნენ მართლმადიდებლებს. უფრო მეტიც! კონსტანტინოპოლის სომხური საპატრიარქო მართავდა 49 ეპარქიას არამარტო სულიერად! სამოქალაქო სასამართლოც მის ხელში იყო. ამ საკითხზე უზღვავი ისტორიული მასალები მოიპოვება არამარტო ბერძნულ და თურქულ, არამედ თვით სომხურ ლიტერატურაშიც. სომხური საპატრიარქო დაარსებისთანავე იბრძოდა დამოუკიდებლობისა და სიმდიდრისთვის! შაჰების, ამირებისა და სულთნების წყალობით მათ ყველაფერი მიიღეს ჯერ კიდევ ადრექრისტიანული დროიდან და დღემდე, 1600 წლის შემდეგაც კი სომხური საპატრიარქო, რომელიც უმდიდრესი ეკლესიაა მსოფლიოში, ღიად ახორციელებს კონტროლს მსოფლიოს ყველა კუთხეში მცხოვრებ სომხებზე! ისინი „ვალდებულნი არიან“ ეჩმიაძინის ეკლესიასთან არსებულ ორგანიზაციას გადმოურიცხონ „ჩასათესი ფული“, რომელიც „მალე“ კარგ ნაყოფს მისცემს მათ! ნაყოფი კი ... ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ „ჩასათესი ფულით მათ მოიმკეს ყარაბახი“, ახლა, ე. ი. ამჟამად ეჩმიაძინს ჩასათესი ფული სჭირდება ჯავახეთისთვის! მათ უკვე დაუგზავნეს ამერიკასა და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ სომხებს სპეციალური მიმართვა, ეს მიმართვა კი გულისხმობს სოლიდური თანხების, მილიონების შეწირვას ეჩმიაძინისთვის!

ქართველებმა კარგად ვიცით იმ მზაკვრობის და მუხანათობის ფასი, რაც ამ 2500 წელს ახლავს თან. ქრისტიანობა ეჩმიაძინისთვის მხოლოდ საბაბია ცივილიზებულ ერად წარმოაჩინოს თავი, რადგან მთელი ამ 2500 წლის მანძილზე იუდას მორალით ცხოვრობდნენ, იუდას მორალით ქმნიდნენ საკუთარი ქვეყნის ისტორიას და ზედმეტია შეგონება მათთვის, რომ „ღვარძლის მთესველი ვერ მომკის იფქლსა ბასრისა ცელითა“... მათ ვერ შესძლეს იესო მაცხოვრის ჭეშმარიტ გზაზე სიარული; საუბარი ზედმეტია ქრისტიანული სიყვარულით,

შენდობითა და მონანიებით აღსავსე ცხოვრებასა და აზროვნებაზე.

2-ე საკითხი და უმთავრესი! ნებისმიერი ქართველი, ვალდებულნი ვართ გავაცნობიეროთ ქართველი ტომების წარსული და ჩავიხედოთ ისტორიაში, შევისწავლოთ არქეოლოგიური მასალების მონაცემები და შევეცადოთ შთამომავლებს არ შევაგინებინოთ ჩვენი სახელი. იმდენად მდიდარია იბერიელ ტომთა გარდასული ცხოვრების შესახებ ბერძნულ-ლათინური და ებრაული ისტორიული წყაროები, რომ თვალდახუჭული გაიგნებ გზას თუნდაც სომხებისაგან ხელოვნურად დაბნელებულ ლაბირინთში. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიასა და წინა აზიის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული უამრავი მასალა: ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, თიხის, რკინის – ჭურჭელი, სამკაულები, ფულის მონეტები, სალოცავი კერპები და საბრძოლო იარაღები – ეს ყველაფერი ერთმანეთის იდენტურია, ერთი და იგივე ხალხის კულტურული სიმდიდრეა და არსად სხვაგან მსგავსი არ გვხვდება, ე. ი. თრიალეთისა და მტკვარ-არაქსის აუზების კულტურა განუყოფელია, მიუხედავად მელიქიშვილისა და გამყრელიძის არამეცნიერული და ლოგიკურად ჩამოუყალიბებელი მტკიცებულებებისა!

უკაცრავად ბატონებო! ალბათ მოგეხსენებათ გოგრა ვერ გახდება შირაზის შუშა, რაგინდ მაღლა თაროზე შემოდო!

3. მელიქიშვილის დაჯგუფებამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ცნობილ რუს მეცნიერებს: კუფტინს, კლიმოვს, კრუპნოვს, დიაკონოვს და მრავალ სხვას, ვინც თავიანთი შრომებით ამტკიცებდა ქართული ეთნოსის და ენის აბორიგენულობას! და ისინი (მელიქიშვილის ჯგუფი) ცდილობდნენ მათთვის რწმენის შერყევას, რაც შესძლეს კიდევაც ნაწილობრივ. ასევე უარყო მელიქიშვილის დაჯგუფებამ ქართველ მეცნიერთა: ივანე ჯავახიშვილის, გიორგი წერეთლის, სიმონ ჯანაშიას, არნოლდ ჩიქობავას, სიმონ ყაუხჩიშვილის მეცნიერული გამოკვლევები და გზა გაუხსნა სომეხ „უწიგნურ მეცნიერთა“ თაღლითურ თეორიას „ჰაიკური ენისა“ და ხურიტულ-ურარტულის ნათესაობის შესახებ. და სწორედ მათი შეგონებითა და უშუალო მონაწილეობით 1967 წელს ერევანში დაიბეჭდა სომეხი მეცნიერის გ. ჯაუკიანის წიგნი: “Взаимоотношение индоевропеиских, хурито-урартских и кавказских языков.” ბატონი ჯაუკიანი ხურიტულ ენას (ხურიტული – ურარტული ენაა!) ინდოევროპულად წარმოგვისახავს. ე. ი. სომხურს ხურიტულად, ხურიტულს – სომხურად! და... ქართველურ ენებთან დაშლილთან და დაუშლელთან გამორიცხავს ხურიტულ-ურარტულის ახლო ნათესაობას, უფრო მეტიც, „მეცნიერი“ ვარაუდობს, რომ ამ ხალხებს (სომხებს და ქართველებს) მხოლოდ ოდესღაც აკავშირებდათ შორეული, რამდენიმე ათასი წლის წინანდელი ნათესაობა ან მეზობლობა! დიდ მადლობას ვუხდით ჯაუკიანს ამ მცირედის გამომეტებისთვისაც, მაგრამ უნდა იცოდეს, რომ მის აზრს და მის შრომასაც მეცნიერების გაყალბება ან კიდევ „მეცნიერული თაღლითობა“ შეიძლება ვუწოდოთ, რადგან უკვე 1001-ედ ვიმეორებ და მათაც მშვენივრად მოეხსენებათ: რომ სომეხ ერს, ჰაოსიანებს ჰეროდოტემდე, ე. ი. V-IV ს.ს ძვ. წ. ისტორიული წარსული ცალკე, თვითმყოფადი არ ჰქონიათ. ჯაუკიანს მაშინვე უპასუხა დიაკონოვმა და მის აზრს „ძნელად მისაღები ჰიპოთეზა უწოდა“, რადგან, დღესაც კი, უზარმაზარი შუალედის შემდეგ, იბერიულ-კავკასიური ენები ძალიან ახლოს დგანან ხური-ურარტულთან, იმდენად ახლოს, რომ „მათ ლექსიკური და მორფოლოგიური შესატყვისობანი საერთო აქვთ“. დიაკონოვთან დაკავშირებით მკითხველს გავახსენებთ ნიკო მარის ჰიპოთეზებს ჰაიკური ენის შესახებ, რომელმაც საწყისი მისცა ჯაუკიანისა და აივაზიანის თაღლითურ მოსაზრებებს. ასევე გავახსენებ მკითხველს მორდტმანის „მეცნიერულ“ ნარკვევს (1870 წ.) ვანის წარწერების შესახებ, რომ: „ვანის წარწერები თანამედროვე სომხურის იმ დიალექტიკით ამოიხსნება, რაზეც ქვეყნის ამ რეგიონის მეფენი ოდესღაც მეტყველებდნენო“. მართალია ფ. ლენორმანმა არამარტო უარყო მორდტმანის აზრი, არამედ „უვარგისი ჰიპოთეზა“ უწოდა მის „მეცნიერულ ნამოღვაწარს“!

რომელი დიალექტი გააჩნია თანამედროვე სომხურს, რომლითაც ამოიკითხავენ ვანის წარწერებს? მერედა სად დაიკარგა ეს დიალექტი? სომხები ხომ არასდროს არაფერს კარგავენ? დიახ... აივაზიანმა „შექმნა“ მორიგი ყალთაბანდური ვერსია „ჰაიკური“, ე. ი. „ჰაიასური“ დამწერლობის შესახებ და ამას საფუძვლად დაედო მარი-მელიქიშვილის და თ. გამყრელიძის შრომები! და ამ შრომებში მეცნიერულ კვლევა-ძიებას მოკლებული ალოგიკური დასკვნები! მათ უბრალოდ გაახმოვანეს 1909 წელს ვენეციაში გამოცემული სანდალგიანის შრომის (ჩვენ ადრე ვისაუბრეთ მასზე) დედაარსი, რომ „ურარტული წარწერები სხვას არავის ეკუთვნის, თუ არა სომეხ ერსო“. ბატონებო, ხომ არ გახსენდებათ ძველქართული ანდაზა „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“, ან კიდევ „სომეხს სადაც არშინი შეუტანია, ყველგან ჰაიასტანი ჰგონიაო?“

თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი შეეცადნენ დაეწაწევრებინათ ქართული ენა და ქართული ანბანი, შეებღალათ და გაეღარიბებინათ მისი სტრუქტურა, გაეძარცვათ ლექსიკურად და მორფოლოგიურად! ეს ჩაიდინეს მხოლოდ იმიტომ, რომ ემტკიცებინათ ინდოევროპულის, ე. ი. სომხურის თურმე უაღრესად დიდი გავლენა ქართულზე. დიდი გავლენა ვიცით რასაც ნიშნავს. რაც არასასიამოვნო განცდას ტოვებს არამარტო ნებისმიერ ქართველში, ნებისმიერ მაღალი ზნეობისა და ინტელექტის მქონე მეცნიერში, მოქალაქეში, საერთოდ წესიერ ადამიანში. მოვუსმინოთ რას წერს ქართულ ანბანზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და კულტურის განყოფილების აკადემიკოს მდივანი, პროფესორი გიორგი ციციშვილი: „... ეს არის კოსმიური ანბანი (ქართული ასომთავრული – დ. მ.), რომელიც სამყაროსეულ საიდუმლოებებს ინახავს, ამიტომაც შუმერი ქურუმები მას საიდუმლოდ ინახავდნენ, ვიდრე სემიტები დაიპყრობდნენ. არც შემდეგ გაუციათ მათ ეს ანბანი. სემიტებს შეუქმნეს ლურსმული დამწერლობა 22 ასო ნიშნისაგან...

...ქართული ენა დღემდე ინახავს შუმერული ენის ლექსიკურ ერთეულებს, რელიგიურ კულტებს, ჰიმნებს, ხელოვნების სხვადასხვა ნიუანსებს! ამ მეცნიერული ჭეშმარიტების აღიარება დღევანდელ ცივილიზებულ ხალხებსა და ერებს მიიყვანს ერთი დიდი ღმერთის გა-

გებამდე და მოსპობს მათ შორის რელიგიურ წინააღმდეგობებს“. – ვინ არის ბატონი გიორგი ციციშვილი? ჩემი თაობა მას იცნობს როგორც მაღალზნეობრივ მეცნიერს!

საკმაოდ ამომწურავად გავაცანი მკითხველს უცხოელ მეცნიერთა კვლევა-ძიების შედეგები და მათი მოღვაწეობის შემაჯამებელი დასკვნები კოლხ-იბერ-მესხთა და საერთოდ ქართველური ტომების წარმომავლობის, საცხოვრებელი ადგილმდებარეობისა და ენის, ისტორიის შესახებ. ამჯერად მხოლოდ გავიმეორებ ცნობილი შუმეროლოგის ვ. ქრისტიანის დებულებას, რომ: „შუმერულსა და კავკასიურ ენებს შორის ანალოგები და შესატყვისები იმდენად ბევრია, იმდენად სპეციალური და სპეციფიკური, რომ ძნელია ეჭვი შევიტანოთ შუმერულსა და კავკასიურ ენათა გენეტიკურ ნათესაობაში (Die sprachische stellung des Sumerischen. “Babiloniaca”, 12, 1931-32). იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს აკუთვნებს შუმერულს ნ. ჰოლმერიც და ტ. დეკტერევაც. აღნიშნული დებულებით და სხვა მსგავსი დასკვნებით მომავალში კიდევ უფრო გამყარდებოდა ქართული ასომთავრულის წარმომავლობის თეზა შუმერული ენიდან!

150 წელზე მეტია მსოფლიოს წამყვანი მეცნიერ-ორიენტალისტები იძიებენ, სწავლობენ და ასაბუთებენ იბერიული ენების უშუალო კავშირს ხეთურთან, პროტოხეთურთან და შუმერულთან... 150 წელზე მეტია მდიდარი სომხური ლობი ეჩმიაძინის იდეოლოგიისა და მისი მკაცრი მოთხოვნის საფუძველზე ცდილობენ მოისყიდონ სამეცნიერო ცენტრებისა და უნივერსიტეტების ასევე წამყვანი და რიგითი მეცნიერები ... ვისთან როგორ გამოსდით ეს ბინძური საქმე, მათ სინდისზეა, ერთი რამ კი ცხადია, არსებობენ ბატონი ლენგის მსგავსები. მაგრამ ... არსებობენ ძლიერი პიროვნებები, მაღალი ზნეობითა და ინტელექტით, ვისთვისაც ღირსება უფრო მნიშვნელოვანია. წინა თავებში მათზე ხაზგასმით ვისაუბრე!

გიორგი მელიქიშვილმა უხერხული სიტუაციაც კი შექმნა საერთოდ აღმოსავლეთმცოდნეობის ისტორიაში, როცა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ „ინდოევროპული ტომების ენის გამოყენებამ ქართველურ ენებს სუბსტრატის როლი შეუსრულა!..“ რას ნიშნავს სუბსტრატი? იგი ლათინური სიტყვაა substratum და ნიშნავს ა) რაიმე მოვლენათა საერთო საფუძველს, ბ) საკვებ გარემოს. აქედან გამომდინარე, მელიქიშვილის მიხედვით ქართული ენისთვის „საერთო საფუძველი“ და „საკვები გარემო“ გახლდათ ინდოევროპული გარემო და ინდოევროპული ენა? – ე. ი.სომხური გარემო და სომხური ენა! რადგან მელიქიშვილი, გამყრელიძე და მაჭავარიანი თავიანთი გამოკვლევებით უარყოფენ ქართული ეთნოსის ხეთებთან (და ხურიტებთანაც) ნათესაობას! მელიქიშვილი უფრო ამარტივებს სათქმელს: „...მტკვარ-არაქსის კულტურის არეში მნიშვნელოვანი ინდოევროპული, (ოღონდაც არა ინდოირანული და არა ხეთურ-ლივიური) მასა შემოდის, რომელიც ქართველურსა და ურარტულში ითქვიფება“ (თ. გამყრელიძე, Современная диахроническая лингвистика и картвельские языки, ВЯ, 3, М. 1971. ст. 37, გ. მელიქიშვილი, Of the problem Huritte expansion in the Direction of Transcaucasia, 5, გვ. 244-46.).... ბატონი აკადემიკოსი წინააღმდეგობაში ვარდება, თუ ქართველური ტომები არ იყვნენ მრავალრიცხოვანნი და ცივილიზებულნნი, როცა მათ შორის შემოვიდოდა „მნიშვნელოვანი“ ინდოევროპული მასა, რომელსაც უნარი ექნებოდა თრიალეთისა და მტკვარ-არაქსის აუზის უაღრესად ცივილიზებული კულტურის შექმნისა, ცხადია ეს „მნიშვნელოვანი“ ინდოევროპული მასა კი არ აითქვიფებოდა ქართველურ ენებში, თვითონ ქართველური ენები აითქვიფებოდნენ ამ „მნიშვნელოვან“ ინდოევროპულ მასასა და მათ ენებში! – რამდენი დაკვირვება სჭირდება ადამიანს, მითუმეტეს მეცნიერს, რომ მსგავსი არადამაჯერებელი მტკიცებულებებისაგან თავი შეიკავოს, თუნდაც მის უკან მდიდარი სომხური ლობი იდგეს!..

სულ სხვას ამტკიცებს არნოლდ ჩიქობავა: რომ მათ, ე.ი. ინდოევროპელებმა „კავკასიის ეთნიკური და ენობრივი ფილტრი გაიარეს“ (ა. ჩიქობავა – „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, თბ., 1942 წ. გვ. 31).

ეს ის ხანაა, როცა ... (ეს ხანა მძიმე იყო ჩვენი წინაპრებისთვის...) მელიქიშვილის, გამყრელიძის და მაჭავარიანის მიერ მრავალგზის დაწუნებული და უარყოფილი კოლხურ-ხეთურ-სუბარული ერთიანობა სუსტდება და იშლება მრავალ წვრილ სამეფო-სამთავროდ. მკითხველს უეჭველია კარგად ახსოვს ეს ხანა ...სემიტების, იგივე სირიელების, იგივე ასირიელების შემოსევის პერიოდი ...ასევე თიხის ფირფიტებიდან ცნობილია ზღვის ხალხების შემოსევა!.. დაახლოებით ძვ. წ. II–I ათასწლეულებია ნავარაუდევი. წინა აზიის სამხრეთით ასურები გაბატონდნენ და იმ დროისთვის უძლიერესი სახელმწიფო შექმნეს. ხეთურ-სუბარული იმპერია ასურელებმა დაანგრიეს, დაშალეს... მათგან გადარჩა და დაწინაურდა მუშქების (მესხების) ტომი ძვ. წ. XIIV-XII სს; IX საუკუნიდან საბრძოლო ასპარეზზე სჩანს მათი, ე.ი. მესხთა განაყოფი თუბალთა სამეფოები. IX-VII სს-ში ხათურ-სუბარული ტომები გაერთიანდნენ და შექმნეს ურარტუს ძლიერი სახელმწიფო ევფრატისა და ტიგროსის შუა წელამდე. ურარტუს ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი ალაროდები – იგივე მესხი-თუბალები იყვნენ! ცალკე შეიქმნა კიდევ ერთი (ურარტუსა და ვანის ტბის სამხრეთით) ხათურ-სუბარული სახელმწიფო მანა. ამ პერიოდშივე ძლიერდება ურარტუს სამხრეთ-აღმოსავლეთით სპარსეთისგან არიანიზირებული მიდიის სამეფო. ფრიგიელების, იგივე ბრიგების თითქმის ველური ურდოები სამხრეთიდან შეერწყნენ სპარსელებს და ერთობლივი ძალისხმევით ორი საუკუნის მანძილზე ანადგურებდნენ ურარტუს ქვეყნებს. მიწასთან გასწორდა უძველესი რელიგიური ცენტრები მუსასირი, მაზაკა და სხვა. ანალოგიურია მაზაკა და მცხეთა, ორთავე ქართულად მცხ ფუძისაგან არის წარმოშობილი და აღნიშნავს მესხთა (მოსოქ – იგივე მცხ) ქალაქს. სავარაუდოა, რომ მცხეთა და მაზაკა დაახლოებით ერთი და იგივე დროის მესხთა მიერ დაარსებული და აშენებული ანტიკური ქალაქებია! მათ იდენტურობაზე გარკვევით მიუთითებს (ადრეც ვისაუბრეთ) ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი, ასევე ბერძნულ-ლათინური წყაროები. როგორც ვიცით ფრიგიელების ნაწილი, ე. ი. არმენების შტო შეუერთდა ძლიერ სპარსულ შტოს და მათი დახმარებით დასახლდნენ განადგურებული და განდევნილი ურარტუელების ქვეყანაში! თან მიიტანეს თავიანთი წარმართული კულტურა, ენა და სარწმუნოება! ამ ხალხს დღეს ჩვენ ვიცნობთ სომხების სახელწოდებით!

ჩრდილოეთისკენ შეკუმშულმა, ტერიტორიებდაკარგულმა მესხ-თუბალებმა (იგივე სუბარებმა), იგივე იბერებმა – (ფლავიუსი) გააძლიერეს ურარტუს შემადგენლობაში შემავალი, მაგრამ ამჯერად უკვე დამოუკიდებელი და ძლიერი იბერიის, იგივე ივერიის სამეფო, რომელსაც ძვ. წ. IV საუკუნეში უკვე შესწევდა უნარი წინააღმდეგობა გაეწია სპარსთა ძლიერი ძალისათვის... რაც შეეხება არმენებს, აღნიშნული ტომის ხალხი, როგორც ჰეროდეტე აღწერს არ იყო მეომარი ხალხი, ისინი საქონლით ვაჭრობას ეწეოდნენ მეზობელ ქვეყნებსა და ხალხებში.

ძვ. წ. IV საუკუნიდან ისტორიის თითქმის უმნიშვნელო დეტალიც კი ცნობილია, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ უნარი გვექნება დავიცვათ სიმართლე და საკუთარი წარსული, ენა და მამული!

ქართულ ენაზე, მის თვითმყოფადობასა და წარმომავლობაზე ამ სტატიის წინა ნაწილში ვისაუბრე. დამატების სახით მინდა ვუთხრა მკითხველს, რომ „უწიგნურ მეცნიერთაგან“ ლაფის შესხმით ქართულ ენასა და დამწერლობას არაფერი დააკლდება. მაგრამ ... ვაი მათ ... რადგან „მათი საქციელი უმეცრებაა, უმეცრება კი ბოროტებაა!“ ეკლესიასტე თ. 1, მუხ. 18. და ახლაც როგორც მრავალი საუკუნის წინ, დანანებით შემიძლია გავიმეორო ჟამთააღმწერლის სიტყვები „... ვითარცა ღუარძლნი რაიმე, დათესილ იყვნეს ქუეყანასა ჩვენსა ბოროტნი იგი თესლნი სომეხთაგანნი, გულარძნილნი და მანქანანი, და ამის მიერ ფრიად გუევნებოდა“ (კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, ტ. I, თბ. 1960 წ. გვ. 60). ... ამჯერად მკითხველს შევახსენებ: რომ, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ თარიღიანი ძეგლია – დაიწერა 342 ჩ. წ. ქართულ ენას – ლაზარე ეწოდება! ქართული ენა – „ქმნილ არს“! (ე. ი. მოკვდავს არ შეუქმნია! უფლის მიერ ქმნილ არს) უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები კი მრავალია: მირიან მეფემ სიკვდილის წინ დაწერა თხზულება – დაწერის თარიღი 340 წლამდე უნდა ვივარაუდოთ! პალესტინის ბეთლემის ქართული წარწერა ბოლნისის სიონის წარწერაზე ძველია! ბოლნისის სიონს 3 მშვენიერი ქართული წარწერა ამშვენებს – ტაძრის მშენებლობა დაიწყო 342 წელს და დასრულდა 457 წელს. პირველი წარწერა ადრინდელია, მეორე თარიღდება 394 წლით! ქართველები პირველი ცივილიზებული ერი ვართ, რომელმაც ქრისტიანული წელთაღრიცხვა შეიქმნა სათავისოდ და ეს მოხდა 302 წელს! ბეთლემში, მაცხოვრის შობის ტაძარში ქართველებს საკუთარი საკურთხეველი ჰქონდათ! დიდი ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს ააშენეს ქართველებმა თაბორის მონასტერი! გოლგოთის ტაძარში რამდენიმე სამლოცველოს ფლობდნენ! გიორგი ბრწყინვალეს იერუსალიმის გასაღები ეგვიპტის სულთანისაგან პირადად გადაეცა!.. ასევე სულთანისგან გადაეცა ქრისტეს საფლავის ტაძრის გასაღები! და კიდევ ... იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შენება დაიწყო მირიან მეფემ, დაასრულა ვახტანგ გორგასალმა!.. ჯვრის მონასტერი შოთა რუსთაველის ხატით ... და ქართული წიგნთსაცავით ... ქართველი ერის სიამაყე და სულიერი ნავთსაყუდელი იყო ყოველთვის! და ეს ყველაფერი ცოტა არაა! მე ძალიან მცირე რამ გავახსენე მკითხველს, და ეს მცირეც ძალიან ბევრია, ძალიან ძნელია და ძალიან მძიმე... საქართველოს სისხლიანი ისტორიისთვის, როცა ხმალს ქარქაშში ვერ აგებდნენ მამულიშვილები და ამ ისტორიაში ყველაზე მტკივნეული მომენტი მაშინ დგებოდა, როცა ძმა-ძმას კლავდა, ქართველი ქართველის სისხლში ისვრიდა ხელს და... როცა ქართველს მტერი მოისყიდდა ოქროს ფასად, – მოენედ გაიხდიდა! დღესაც ასეა? ეს ყველაზე დიდი უბედურებაა! ასეთი „შინაითგამცემები“ უშლიდნენ ხელს ყოველთვის ქართველი ტომების ერთიანობას! ვინ იყო მარი თუ არა ქართველი? ამ საკითხზე უკვე ვისაუბრე. ან სხვები... რიგითი „შინაითგამცემები“... დიახ, რიგითი... რომელთაც ხელი მოეცარათ დიდ მეცნიერებაში და ალბათ სიამოვნებითაც დათანხმდნენ ეჩმიაძინის იდეების ლობირებას, რამაც მათ „სახელი და დიდების მწვერვალი“ მოუპოვა ოქროს საფასურად. დღეს თითზე ჩამოსათვლელი გვყავს ღირსეული მეცნიერები და მითუმეტეს არმენოლოგები, შეუძლებელია ღირსეულთა შორის პირველ რიგში არ შევახსენოთ ქართულ საზოგადოებას არმენოლოგ, პროფესორ ბონდო არველაძის მუხლჩაუხრელი კვლევა-ძიება სომხურ-ქართული ურთიერთობებისა. ბ-ნი ბ. არველაძე ერთ-ერთი პირველი იყო ვინც ილიას კვალს გაჰყვა და „ქვათა ღაღადის“ ზარებს მძლავრად შემოჰკრა ქართული ცნობიერების გამოსაღვიძებლად და გამოსაფხიზლებლად. ქართველ ხალხს კი იმდენად მოჩლუნგებოდა და მოდუნებოდა ცნობიერება, იმასაც ვეღარ არკვევდა, რა ეწერა მელიქიშვილის, გამყრელიძის და მაჭავარიანის „ღრმად მეცნიერულ შრომებში“. მათ ტაბუ დაადეს საქართველოს ისტორიას, ქართველი ხალხის წარსულს და ყოველი ღონით შეეცადნენ განეცალკევებინათ ქართული ეთნოსი! აფხაზეთი, სამეგრელო, სვანეთი, იმერეთი, კახეთი, ხევსურეთი ხელახლა დაყვეს კუთხეებად, სამეფოებად და ტომებად!!! შედეგი სახეზეა, აფხაზეთი წაიღეს და სამეგრელოს ნახევარიც ზედ მიაყოლეს... მეგრელებზე და სვანებზე მთელი რიგი შრომები შექმნეს, როგორც უცხო ტომელებზე, სომხების ახლო ნათესავებზე... ამაზრზენია ეს ყოველივე... და ისევ მახსენდება ეკლესიასტე: „...რაკი სწრაფადვე არ ისჯება ბოროტი საქმე, ამიტომ ბედავს კაცი ბოროტების ჩადენას“. თავი 10 მუხლი 3.

ქართველ ტომებს რომ საერთო წარმართული კულტურა, ენა, არქიტექტურა, ოქრომჭედლობა, მუსიკა და ხელოვნებაც კი საერთო ქართველური ჰქონდათ, ეს ჩემგან არ უნდა ესწავლებოდეს ზოგიერთ „ავტორიტეტ მხცოვან (!) ქართველ მეცნიერს!“ ტაძარ-მონასტრებს რომ თავი დავანებოთ, ახლაც შემორჩენილია ქართული და მხოლოდ ქართული სტილით ნაგები დარბაზული ტიპის დუღაბითა და ხით ნაშენი სახლების ნანგრევები ბუხრებით! ქართული კრამიტით! დუღაბი ძირძველი ქართული სიტყვაა! საფიქრებელია, ისიც ხომ არ „აჩუქა“ გამყრელიძე-მაჭავარიანმა სომხებს? დუღაბი ნიშნავს განსაკუთრებით მაგარ, გამძლე, ქვით მშენებლობის დროს გამოსაყენებელ მასალას – კირისა და წყლის ხსნარს, ზოგიერთ შემთხვევაში კირისა და რძის ნაზავს. არსებობს ძველი გადმოცემები – ყველაზე მიუვალი ციხეები საქართველოში კირისა და რძის დუღაბით არის ნაშენი და იმიტომ გაუძლეს მტრისა და დროის რისხვასო. „მეფეთა ცხოვრებასა“ და „მოქცევაი ქართლისაიში“ უხვად მოგვეძევება ცნობები უძველესი ქართული ციხე-ქალაქების მშენებლობაზე: ჰეროსმა „აღაშენა პირ-

ველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა და უწოდა სახელი თვისი ჰერეთი“, ასევე ეგროსმა „აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი“; ქართლოსმა „აღაშენა ქართლი, ხუნანი და რუსთავი“, გაჩიოსმა – ქალაქი გაჩიანი, მცხეთოსმა – მცხეთა, ოძრხოსმა – ოძრხე და თუხარისი, ჯავახოსმა – წუნდა და არტაანი, უფლოსმა – უფლისციხე, ურბნისი და კასპი და ასე შემდეგ“... და ესენი ყველანი ქართლოსის შვილები, ე. ი. ქართლოსიანნი იყვნენ“ („ქართლის ცხოვრება“ 1. 1955 2. გვ. 5-14). ქსენოფონტე „ანაბასისში“ აღწერს მოსინიკების ციხე ქალაქებს, მთავარ ქალაქს, რომელსაც შიდა ციხე, ე. ი. აკროპოლისიც აქვს. შიდა ციხე ისეთი მიუდგომელი ყოფილა, კლდის წვერზე აშენებული, რომ ქსენოფონტე და მისი ჯარი იძულებული გამხდარა უკან დასახევი სამზადისიც დაეწყოთ. სტრაბონი დაწვრილებით აღწერს საქართველოს ყველა კუთხეს, ალბათ კარგად იცოდა აქაურობა, რადგან დედა კოლხი ჰყავდა, ლაზი! სამშენებლოდ ანტიკურ ხანაში ძირითადად ალიზსა და აგურს იყენებდნენ, ძვ. წ. III საუკუნიდან კი, როგორც ვთქვით საყოველთაოდ გავრცელდა დუღაბი, ე. ი. „ქვითკირი!“ „ქართლის ცხოვრება აღგვიწერს მეფე არდამის მოღვაწეობას: „არდამმა მოზღუდა მცხეთა ქვითკირით“. („ქართლის ცხოვრება“, ტ. 1. 1955 წ. გვ. 13) ისტორიკოსის ამ ცნობას თავის დროზე კომენტარი გაუკეთა თეიმურაზ ბატონიშვილმა: „არდამმან ყოველთა და უმრავლესთა ადგილთა ივერიისათა ამცნო ციხეთა და შენებულებათა სიმაგრესათა ქვითკირითა ქმნაი, ამისთვის მიაწერეს მას შემომღებლობა ქვითკირითა ძველთა მემატიანეთაგან ქართულთა“ (თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია, 1848 წ. გვ. 75). ე. ი. კირის ხსნარის დუღაბს ძვ. წ. III საუკუნიდან უკვე ხმარობდნენ მთელ საქართველოში, ეს ფაქტი თავისთავად დიდი მიღწევა იყო მშენებლობაში. ციხის, ტაძარ-მონასტრისა თუ სასახლის ქვითკირით ნაშენი კედელი არამარტო მიწისძვრებს, საალყო და საომარ პირობებსაც უკეთ უძლებდა. არქეოლოგიური გათხრებიდან კარგად არის ცნობილი ანტიკური ხანის ქართული ცივილიზაცია: აბანოები, წყალსადენები, ქვაფენილით მოკირწყლული გზები... უძველესი აბანოებია აღმოჩენილი მცხეთაში ბაგინეთსა და არმაზისხევის ერისთავთა სასახლის კომპლექსთან; ასევე შიდაციხესთან. დუღაბითა და რიყის ქვითაა მოკირწყლული ვანის შიდაციხის ქუჩები. ქართულად „მოკირწყლული ქვაფენილი“ ჰქვია... ესეც უძველესი ქართული სიტყვებია!.. სისხლიან ქარიშხლებს გადარჩენილი... და მელიქიშვილის ჯგუფის „მეცნიერთა“ გასაგონად, დიახ, ქართულია და არა სომხური! მესხურ-იბერიულია და არა ფრიგიულ-სომხური!!!

უძველესია ქართული სიმღერები, რომლებსაც ხალხურს ვეძახით, თუნდაც ის ცნობილი „მრავალჟამიერი“ და „ჩაკრულო“ – სომხებმა სომხური იარლიყით რომ წარუდგინეს გერმანიის ელიტარულ მუსიკალურ წრეებს! გეკითხებით თქვენ, ბატონებო, სომხურია „ჩაკრულო“ და მრავალჟამიერი? ისევე, როგორც „ღვინო“, „სპილენძი“, „რკინა“, „ჭეშმარიტი“, „ჟამი“... და მრავალი სხვა სიტყვა – ძირძველი ქართული წარმოშობისაა და არავის არ ვუშლით ჩვენ მის ხმარებას და შეთვისებას, ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს საკუთრებას უცხოელი დაეპატრონოს და თავისად გაასაღოს; ჩვენი ეროვნების ზოგიერთმა უპასუხისმგებლო მეცნიერმა კი ჩვენი ქონება უსირცხვილოდ გაასაჩუქრა! რატომ? არავის დაავიწყდეს, რომ ქართველები თუ რაიმეს წავიღებთ ვინმესგან, ამის თქმის არც შეგვრცხვება! ღირსეულ ქართველებში, დიახ ხაზგასმით აღვნიშნავ, ღირსეულ ქართველებში ჯერ კიდევ უხვადაა შემორჩენილი მესხ-თუბალ-კოლხთა განუმეორებელი გენური კეთილშობილება. კიდევ ერთხელ გავახსენებ მკითხველს იმ დროს, კალისტრატე სალია სულშეძრული რომ იწერებოდა პარიზიდან: „პარუირ მურადიანმა ფრანგულად გამოაქვეყნა „რევიუ დეზ ეტიუდ არმენეიშენში“ სტატია მცხეთის ჯვრის შესახებ. გამოაქვეყნა მისი მეგობრის მიერ გადაღებული სომხური წარწერა როგორც, ვითომ მცხეთის ჯვრის სომხური წარწერა. შემდეგ იყო, რომ დაინტერესებულმა მეცნიერებმა თქვეს: „მეცნიერებაში გაუგონარი ფალსიფიკაცია გაუკეთებია პ. მურადიანსო“... (გაზ. „კომუნისტი, 1990 წ. 7, 10 „სომხეთი მტერი თუ მოყვარე“, თბ. 2006 წ. გვ. 38). პარუირ მურადიანი აივაზიანის ანტიქართული ორიენტაციის ჯგუფის წევრი მეცნიერია, დოქტორი, მაგრამ... ნებისმიერს შეეპარება ეჭვი მის მიერ მოპოვებული სამეცნიერო ხარისხის ობიექტურობაში, რადგან „ჯერ იყო და – ის-ზე დაბოლოებული ყველა ქართული გეოგრაფიული სახელი და ტოპონიმი გაასომხურა. ეს „აღმოჩენა“ რომ არ დაუჯერეს, მერე მცხეთის ჯვრის ტაძარს შეუტია – სომეხი თოდოსაკის აშენებულიაო“ („სომხეთი მტერი თუ მოყვარე?“ თბ. 2006 წ. გვ. 38).

მოვუსმინოთ ექვთიმე თაყაიშვილს: „... (თურმე) ერიციანი მუდამ ამბობდა, რომ (საქართველოში) ყველაფერი სომხურიაო, ახლაც აგრძელებს ამასვე!.. (გ. ლომთათიძე – „ქართული კულტურის მატიანე, ე. თაყაიშვილი“, 1990 წ, გვ. 133, „სომხეთი მტერი თუ მოყვარე“ თბ., 2006 წ. გვ. 38). ერიციანი გაზ. „ნოვოე ობოზრენიაში“ წერდა, რომ (1891 წ №2502): „ტფილისში, ახალქალაქში, ახალციხეში, აწყურში, გორში, დუშეთში, თელავში, სიღნაღში, ოზურგეთში, უფლისციხეში და სხვა სომხები შეადგენენ მცხოვრებლების უმეტეს ნაწილს, ზოგან თითქმის მარტო სომხები ცხოვრობენო. ზოგიერთი სომეხი მეცნიერი წმ. ნინოს, წმ. გიორგის სომხებად მიიჩნევენ. თურმე „მემატიანეთ თქმულებით სომხები ყოფილან 13 ასირიელი მამანი“ (გაზ. „ჰოვიტ“, 1907, 344-45) ბ. არველაძე – „სომხური თუ ქართული ეკლესიები“, თბილისი 1996 წ.

რაც შეეხება ჩვენთვის მტკივნეულ თემას წმინდა გიორგის, წმინდა ნინოს, ბასილი დიდის და 13 ასურელ მამათა ქართველობას თუ სომხობას, ამას ჩვენ მოგვიანებით შევეხებით. მათ ისევე სურთ ქართული ისტორიისა და ქართული გენის გაწყალება და გაქრობა, როგორც ძირძველი გეოგრაფიული და ისტორიული სახელწოდებები გააქრეს თავიანთი ფანტაზიით შექმნილი – ივ. ჯავახიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ „ფანტასტიური რუკებიდან“, სადაც საქართველო ფაქტიურად აღარ არსებობს. ამას წინათ ხელში ჩაგვივარდა სომხების მიერ სულ ახლახან შედგენილი საქართველოს რესპუბლიკის ახალი, ე. ი. დღევანდელი რუკა, სადაც შავით თეთრზე მინიშნებულია სომხური მოსახლეობის რაოდენობა თბილისსა (250000) და სამცხე-ჯავახეთში (150000); რატომ არ ჩაატარებს მოსახლეობის აღწერას ჩვენი ხელისუფლება? მართლა ამდენია სომხური

წარმომავლობის თბილისში დაბადებული სომეხი? ფრიად საინტერესოა... უარესიც, აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები კი, – არა აქვს მნიშვნელობა მართალია თუ ტყუილი, სომხებს მხოლოდ იმისთვის სჭირდებათ, რომ მსოფლიო საზოგადოებას ამცნონ საქართველოს დღევანდელი ტერიტორია ძველი სომხეთის საკუთრებაა და სომეხთა სიმრავლეც ამის დასტურიაო! ამიტომ „შეუცვალა“ ხელოვნებათმცოდნეობის „დოქტორმა“ (რა მყვირალა ტიტულები და წოდებები აქვთ საკუთარი თავებისთვის მინიჭებული უწიგნურ მეცნიერებს) ვინმე ტ. მარუთიანმა ქართული სახელწოდებები – სომხურად ტაო-კლარჯეთის ტაძარ მონასტრებს, იმ ტაძარ-მონასტრებს რომლებიც ძირძველ ქართულ მიწა-წყალზე აშენა და დაამშვენა დიდმა გრიგოლ ხანძთელმა. რამდენიმე ამონარიდს მივაწოდებ მკითხველს მარუთიანის „მეცნიერული თაღლითობის“ კარგად გასაანალიზებლად: ხახულის ტაძარს დაარქვა – „ხახუ“, „ტაოს კარს“ – „ტაიოც ქარ“, ბანას – „ბანაკ“. უარესი! ბატონი მარუთიანი მკითხველს სთავაზობს დასკვნას: „კლარჯეთის სამხრეთით მდებარე „სიღრმეთა სომხეთის“ არქიტექტურული ძეგლები: იშხანი, ბანაკი, ხახუ, ექეკი, ტაიოც ქარი აშენებულია ამ ქვეყნის მკვიდრი (?!) მოსახლეობის – სომეხი მანოფიზიტი და დიოფიზიტი მრევლისთვის“ (ბ. არველაძე „ქვანი კვლავ ღაღადებენ“ თბ. 2004 წ). კადნიერებაში თუ არ ჩამომართმევს, ბატონი ტ. მარუთიანი, მინდა ვკითხო: როცა ეს ტაძარ-მონასტრები აშენდა, – ტაო-კლარჯეთში საერთოდ არ ცხოვრობდა სომეხი მოსახლეობა! რა ისტორიული წყაროების საფუძველზე ამტკიცებს საწინააღმდეგოს? ამაზეა ნათქვამი: „ნამუსი კარგი საქონელიაო“... თაღლითობასაც ზღვარი აქვს, ბატონო „ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორო“! სიხარბემ ისე არ უნდა დააბნელოს გონება, შავი და თეთრი ვეღარ გაარჩიოთ, თუნდაც არ იყო დოქტორი და იყო მჭედელი, გასაგებია?

თუ გავაცნობიერებთ მარუთიანის და აივაზიანის ჯგუფის მელიქიშვილისეულ დებულებებს, მათ „თავისი მკვებავი გარემო“ აქვთ შექმნილი ერევანში. დიახ, გარემო რომელიც ყველას და ყველაფერს წამლავს ირგვლივ ანტიქართული ისტერიის შხამით! 1986 წელს ერევნის უნივერსიტეტმა გამოსცა „სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმთა ლექსიკონის პირველი ტომი (სულ გამოვიდა ხუთტომეული 1986-2001 წლებში). „ლექსიკონში შესული ტოპონიმური ფართობი მოიცავს 400 ათას კვ. კმ-ს“... („სომხეთი მტერი თუ მოყვარე“ თბ. 2006 წ. გვ. 46). ლექსიკონის ავტორებმა ტიგრანების ეპოქა აიღეს სამოქმედოდ. რატომ? ეს პერიოდი ხომ ძალიან მოკლეა სომხეთის ისტორიაში – ფაქტიურად 2 საუკუნე! და არც კი! მაგრამ ეს იმიტომ გააკეთეს, რომ იმ პერიოდში სხვათაგან წართმეული ტერიტორიები შემოენახათ თავიანთი ამბიციური „დიდი სომხეთის იმპერიისთვის“. რის საფუძველზე ბატონებო? მართალია, იმ ეპოქაში, იმ 2 ასეულ წელში, სომხებმა კვლავ სხვების გამოყენებითა და საკუთარი ბუნების წყალობით მართლაც წაართვეს მეზობელ ქვეყნებს და მათ შორის საქართველოსაც მიწა-წყალი, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა! მე ამ საკითხზე უკვე ვისაუბრე და მკითხველს ორიოდ სიტყვით შევახსენებ, რომ სომხეთის სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ერთეული მე-5 საუკუნეში უკვე აღარ არსებობდა! მას შემდეგ კი 1500 წელი გავიდა! 1500 წელი! მგონი ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, რა ცვლილებები შეიძლება მოხდეს ამ 1500 წელში! საქართველოს კი პოლიტიკური არსებობა 1801 წლამდე არათუ არ შეუწყვეტია, მე-8-13 და შემდეგ მე-15 საუკუნეებში ისეთ აღმავლობასაც მიაღწია, რომ სპარსეთის შაჰები და თურქეთის სულთნები ლამის ფეხქვეშ ეგებოდნენ! ეს ისტორიული სინამდვილეა ბატონო „უწიგნურო მეცნიერებო“, მაგრამ თქვენი მიზანი სხვაა: – რაც შეიძლება „ბევრი“ წაართვათ სხვას, „ბევრი“ – წაგლიჯოთ... ასეა ამ ლექსიკონშიც...

ძირძველი ქართული მიწა-წყალი ტაო-კლარჯეთი, სამცხე და ჯავახეთის ტოპონიმური მასალა გადაკეთებულია და გამოცხადებულია სომხურად! მთებსაც კი შეცვლილი აქვთ სახელები! აი ამ საშინელი მიმტაცებელი, ხარბი და ფლიდი გენეტიკური ბუნების გამო წერდა გრაფი დე შოლე სომხების შესახებ, რომ: „... მე ვერასოდეს მოვახერხე მათთან (სომხებთან) დაახლოება, რადგან ვერ შევეგუე მათ ზიზღის მომგვრელ ცბიერებას, სულმდაბლობასა და გულისამრევ სიმუხთლეს!..“ დიახ, ბატონებო, გრაფი დე შოლე ცნობილი ფრანგი მოგზაური გახლდათ, რომელმაც საკმაოდ ვრცელი და საინტერესო ჩანაწერები დაგვიტოვა, მაგრამ მიუხედავად მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მრავალ ხალხთან ურთიერთობისა, მსგავსი „სიტყვები“ არც ერთი ხალხისთვის არ „მიუძღვნია“ ამ კეთილშობილ და უაღრესად ერუდირებულ მეცნიერ-მოგზაურს!

ზემოთ ნახსენებ ლექსიკონში უსირცხვილოდაა სომხურად გამოცხადებული ძირძველი ქართული ტაძარ-მონასტრები, ისტორიული ადგილები თუ მთელი რაიონი, მოვიტანთ მაგალითს: „ბოლნისები – სოფელი დიდი სომხეთის, გუგარქის ქვეყანაში, ბოღნაფორის გავარში, მოხსენებულია შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში. ამჟამად შედის საქ. სსრ რესპუბლიკის ბოლნისის რაიონში“. „... წუღრუღაშენი – „ტაძარი, დიდი სომხეთის გუგარქის ქვეყანაში, ბოღნაფორის გავარში, ამჟამად შედის საქ. სსრ რესპუბლიკაში, ბოლნისის რაიონში...“

ლექსიკონში ასეა განმარტებული: „თრელექ – თრიალეთი... წალქარ – წალკა, გავარი, „ერკირ“, დიდი სომხეთის გუგარქის ქვეყანაში“. „ხუჭაპ – სომხეთის გუგარქის ქვეყანაში, ტაშირის გავარი, ამავე სახელის მქონე სოფლის ახლოსაა. ეს ტაძარი აშენებულია XII ს-ში. მდებარეობს სომხეთის სსრ-ში, კალინინის რაიონის სოფელ პრივოლნოში. ტაძარი აშენებულია ბერძნული არქიტექტურის სტილით“. სომხური ენციკლოპედიის მე-5 ტომში (1979 წ.) ჰუჯაბი შეტანილი არ არის. სხვათა შორის, არც ძველ სომხურ წყაროებშია მოხსენებული! „სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპონიმთა ლექსიკონის“ ავტორებმა სასწრაფოდ შეიტანეს მასში ცვლილება. სომხური არქიტექტურის ნიმუშად ვერ თქვეს, მაგრამ ჰუჯაბის ქართველობა მაინც არ აღიარეს და ბერძნულად გამოაცხადეს. არადა, ჰუჯაბის ტაძარი არის XII ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი... ჰუჯაბის სააღმშენებლო ქართულ წარწერას რაც შეეხება, იგი გაუნადგურებიათ ჯერ კიდევ XIX ს-ში, ამის შესახებ არის ცნობა 1896 წ. ჟურნალ „მწყემსში“. ეს ინფორმაცია ქართულ ჟურნალს

„მოსკოვსკიე ვედომოსტიდან“ გადმოუბეჭდია. („სომხეთი მტერი თუ მოყვარე, თბ. 2006 წ. გვ. 48).

დასაფიქრებელია ერთი ფაქტი – როცა ასეთი მნიშვნელოვანი გამოცემა იქმნება, ერის ცხოვრებაში ეს საკმაოდ სერიოზული ფაქტია და წარმოუდგენელია, მასში იყოს შეტანილი სადავო ან ისეთი საკითხები, რაც აშკარად შეურაცხყოფს სხვა ერის ინტერესებს, რადგან სომხური ენციკლოპედია და ტოპონიმთა ლექსიკონი მსგავსი არამარტო ყალბი, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით თავხედური და არამეცნიერული მასალებით შეივსო, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საერთო ეროვნულ (სომხურ) მონაცემებს! შეესაბამება თუ არა თანამედროვე ცივილიზაციას, მეცნიერებას, ცივილიზებულ ეროვნებათა კულტურული განვითარების დონესა და ფორმებს სომხური ეროვნული მეცნიერება და ეროვნული აზროვნება – იდეოლოგია? მგონი არ იქნება ზედმეტი თუ ვიტყვი, რომ ამ ერის გენოფონდში საშიშ ზღვარს გადააჭარბა ნეოფაშისტურმა მისწრაფებებმა და თუ დროულად არ იქნება აღკვეთილი, არამარტო უსიამოვნებას, დიდ ზიანს მიაყენებს იგი მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის, ნებისმიერი საზოგადოების ისტორიისა და მსოფლმხედველობის განვითარებას. დიახ... ეჩმიაძინის პოლიტიზირებული ეკლესია ნეოფაშისტური ან უკეთ – ახალი ფაშისტური იდეების ფუძემდებლად გვევლინება და მსოფლიო ცივილიზებულმა მეცნიერულმა საზოგადოებამ ყურადღება უნდა გაამახვილოს და დროულად აღკვეთოს მათი არაჯანსაღი, სახიფათო ამბიციური მოთხოვნილებები!

მათ ბევრს მიაღწიეს ქართული რბილი ხასიათის წყალობით, მაგრამ ამჯერად უნდა გაითვალისწინონ, რომ ქართული ბუნებაც თავისუფლად არჩევს მტერ-მოყვარეს! თუკი ჰუჯაბის ტაძრის მისათვისებლად საზღვარი 400 მეტრით გადმოსწიეს და ამით დაიმკვიდრეს შუა საუკუნეების უნიკალური ხუროთმოძღვრული მართლმადიდებლური ძეგლი, დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება საკმაოდ ჯანსაღად და დაკვირვებით ადევნებს თვალს სომხური არაჯანსაღი, წეღან ვახსენეთ ნეოფაშისტური ძალების მოძრაობას ერევანსა და ჯავახეთში, სწორედ სომეხი ნეოფაშისტები მოუწოდებენ ღიად ერევნის უნივერსიტეტის სტუდენტებს გამოსვლებისაკენ და აცხადებენ, რომ „... ჯავახეთის დასაბრუნებლად იარაღის ხელში აღებაც დასჭირდებათ“... ამაზე უარესი რაღა უნდა მოხდეს? დღისით, მზისით სახლში გვივარდებიან და საკუთარ მამულს გვართმევენ, იარაღითაც გვემუქრებიან!.. ასე რამ ან ვინ გაათამამა ეს ხალხი? კიდევ ერთხელ ხომ არ გავახსენოთ მათ ბელინსკის სიტყვები, რომ „მრწამსი ძვირფასი უნდა იყოს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ჭეშმარიტია, და არა იმიტომ, რომ ის ჩვენია“... რაც შეეხება სიტყვა ჭეშმარიტის გაგებას, ჩემი თაობა დარწმუნდა, რომ ამ მშვენიერი, უძველესი ქართული სიტყვის შინაგანი არსი მათთვის იმდენად მიუწვდომელია, რომ ნათლად არც კი შეუძლიათ ჩასწვდნენ მის სიღრმისეულ ძირებს და შემდეგ გააცნობიერონ მისი აზრობრივი მნიშვნელობა... რადგან ყოველგვარ ჭეშმარიტთან და ჭეშმარიტებასთან მტრობა აკავშირებთ მხოლოდ! ყოველივე ამის შემდეგ რაღა გვეთქმის ჩვენ, 21-ე საუკუნის თაობას გამყრელიძე-მაჭავარიანის მიმართ, თუ არა მწარე შეძახილი: ბარაქალა თქვენს ენათმეცნიერულ ნამოღვაწარს, „სამართლიანო და ღირსეულნო მამულიშვილნო!“ და ვაი შენ, ქართველო ერო და მამულის მიწავ, რამდენი იუდა ამოგიზრდია შენს წმინდა მკერდში!

2005 წლის 14 აპრილს ერევანში საქართველოს საელჩოს წინ აქცია გაიმართა სომხეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მონაწილეობით. არავის ეგონოს რომ, აღნიშნული აქცია შენიღბული იყო! არა, ღიად გამოხატავდნენ ლიდერები და რიგითი წევრები თავიანთ გულისწყრომას ქართველთა და საქართველოს მიმართ. გაღიზიანებული, მბრძანებლური ტონითა და მიმართვით ყველასგან (ქართველთაგანაც კი) მოითხოვდნენ მხარდაჭერას... ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები სომეხი მოსახლეობისადმი! საკმაოდ ძნელი ასახსნელია არა? შენს საკუთარ სახლში, კარში, მამულში ავი ძაღლებივით გესეოდნენ ყოველგვარ რწმენასა და სინდისს მოკლებულნი, გაუწონასწორებელნი და გაუცნობიერებელნი უცხო ტომისა და უცხო ჯიშის, მაგრამ შენივე სისხლითა და ხორცით, გამყრელიძე-მაჭავარიანის იდეებით წაქეზებული ყველაფრის მკადრებელი ადამიანები, რუსეთიდან და ამერიკიდან ზღვასავით მომდინარე ოქროს ჩრდილში ნებივრად შეყუჟულნი! მათი აფრიალებული პლაკატები, ლოზუნგები: „საქართველოში ხორციელდება სომეხთა ასიმილაციის პოლიტიკა“, „ვგმობთ ქართულ ნაციზმს“! მთელი ერევნის გავლით მოჰქონდათ სომეხ სტუდენტებს ისტერიული შეძახილებით და მოწოდებებით. დიახ! ისინი ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდნენ ქართველთა შეურაცხმყოფელ მოწოდებებს, ბატონებო! რატომ? კიდევ ერთხელ და ალბათ ჩემი მომდევნო თაობაც მეათასედ იკითხავს – რატომ? რა დავუშავეთ ამ ხალხს? რა წავართვით? ?! შევიფარეთ უსახლკარონი, ვაჭამეთ, ვასვით, გავათბეთ გაციებულნი!!! და... ამის ღირსია ქართველი ერი? ერი, რომელსაც ფიქრადაც არასოდეს მოსვლია სომეხი კი არა, ნებისმიერი სხვა ერის შვილის გაქართველება, დაჩაგვრა! დიახ! არასოდეს ყოფილა ამის შემთხვევა კოლხ-იბერთა ისტორიის მანძილზე! სომეხი კი ის ერია, განმეორებით უნდა გითხრათ, რომ არასოდეს არ აირევა სხვა ერში, არ განიცდის ასიმილაციას! და ეს თქვენ, აივაზიან, მურადიან, კარაპეტიანებო ჩემზე კარგად იცით... ეს კარგია, თან ძალიან კარგი! რადგან თქვენ გყავთ უძლიერესი და უმდიდრესი დიასპორა შეერთებულ შტატებში და რუსეთში, რომელიც მაცოცხლებელ ენერგიას – ოქროსა და ფულის სახით გაწვდით თქვენ, ერევნელებს, ეჩმიაძინს. ქართველები კი... უნათესაო ერი ვართ ჩვენს მიწას მიჯაჭვული, იმ მიწას, რომლის გამოცლასაც ასე დიდიხანია ცდილობენ თქვენი ნამუსგარეცხილი ვაი მეცნიერ-პოლიტიკოსები! 2005 წლის 14 აპრილის ერევნისეულ აქციას წინ უძღოდა ახალქალაქში გამართული პოლიტიკური, ანტიქართული მიტინგები, რომლებზედაც „ჯავახკ“-ის ავტონომიისა და ამ რეგიონის სომხეთზე მიერთების მოთხოვნა იყო დღის წესრიგში დაყენებული! ერთი შეკითხვა მაქვს თქვენთან – რატომ შეერთებულ შტატებს არ უყენებთ მსგავს მოთხოვნებს, ან რუსებს, ან ფრანგებს, იტალიელებსა და გერმანელებს? სადაც არანაკლები რაოდენობით და ბევრად, გაცილებით ბევრად მეტი სომეხი ცხოვრობს, ვიდრე საქართველოში? ვერც წაუყენებთ მსგავს მოთხოვნებს, იმიტომ, რომ ეს სახელმწიფოები ძლიერია და სასაცილოდაც არ ეყოფათ თქვენი ფაფხური! იმიტომ, რომ ეს სახელმწიფოები

ძლიერი ეროვნული და ნაციონალური ნიშან-თვისებების მატარებელნი არიან და მსგავსი მოთხოვნის წაყენებისთანავე ისე გასწმინდავენ სომხებისგან თავიანთ ქვეყანას, როგორც თურქეთმა გააკეთა! თქვენ ეს ძალიან კარგად იცით – აივაზიანებო და მურადიანებო, ამიტომ იყენებთ შეფარვით, მალულად, მოსყიდვით და ათასგვარი ბნელი გზით მელიქიშვილებს, გამყრელიძეებს, მაჭავარიანებს, ან კიდევ ღობეგლეჯიაშვილებს(!) თქვენი სასტიკი და ბილწი იდეების სარეალიზაციოდ! ამ აზრის სრული სახის ჩამოსაყალიბებლად კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ახალქალაქში დაბანაკებული რუსული სამხედრო ნაწილის შესასვლელთან ბოლო დრომდე გამოკრული უზარმაზარი პლაკატი, (15 მეტრი სიგრძის და 3 მეტრი სიმაღლის), რომელიც იწყებოდა მოწოდებით: „დაეუფლე ამ მიწას უშიშრად. რუსეთის არმია შენ გიცავს“. აღარ გავაგრძელებ... აქვე იყო ამ სიტყვების ავტორის, პასკევიჩის „პორტრეტიც“...

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის მანუკ მანუკიანის სტატია „საუკუნის მანძილზე ასიმილირებულია საქართველოს სომხების ნახევარი“ – არა მარტო ალოგიკური ნააზრევითაა გაჯერებული, დეზინფორმაციულ სისულელესაც ბლომად შეიცავს. სტატია დაიბეჭდა 1999 წ. 20 მარტს გაზეთ „ჰზორ ჰაირენექში (სამშობლოს ძლიერება)“. აღნიშნული სტატიის ზუსტი თარგმანი საქართველოში დაბეჭდა 1999 წლის 29 აპრილი-5 მაისის „ახალმა საქართველომ“. ბატონი მანუკიანი, როგორც მათ შეეფერებათ ქართულ მიწებს სომხურად აცხადებს და აგრძელებს: „მე-18 საუკუნის დასაწყისში თბილისში მცხოვრები 20 ათასი ადამიანიდან 12 ათასი სომეხი იყო. ამდენ ადამიანს ბუნებრივი ასიმილაცია რომ არ განეცადა, მაშინ მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისში სომხების რიცხვი 2,5 მილიონს მიაღწევდა“-ო. ბევრი რამ გვაოცებს ამ, თითქოს მოკლე, მაგრამ მრავლის მომცველ ორიოდ წინადადებაში, პირველ რიგში აზრის გაურკვევლობა: თუ 12000 სომეხი გამრავლდებოდა და 2, 5 მილიონი გახდებოდა, დარჩენილი 8000 ქართველი რაღას გააკეთებდა? ერთბაშად ხომ არ დაიხოცავდნენ თავებს სომეხთა გულის საამებლად? ცხადია, არა ბატონებო! ე. ი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქართველები გახდებოდნენ სულ ცოტა 1,7 მილიონი! ამ რიცხვების შეკრება ძნელი არ არის! მერედა სად წავიდა ეს ხალხი? სად გაქრნენ ერთად სუყველა, სომეხიც და ქართველიც? ფრიად საინტერესოა. ასიმილაცია მაინც უნდა გამოირიცხოს, გინდ ბუნებრივი დაარქვით, გინდ არაბუნებრივი, რადგან კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სომეხი, არც ერთ ერში არ ასიმილირებულა არასოდეს! მითუმეტეს საქართველოში, სადაც მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი თავისუფალი და ლაღი ცხოვრებისთვის! დიახ, ლაღი ცხოვრებისთვის! რადგან დღესაც კი, როცა დამოუკიდებელ საქართველოს ეკონომიურად ისე უჭირს, რომ ქართველი ხალხი უმუშევრობისგან, შიმშილისა და სიცივისაგან იხოცებიან, ქვეყნის მწირ ბიუჯეტს საკმაო მძიმე ტვირთად აწევს 200-ზე მეტი სომხური სკოლა, სომხური თეატრი, მაგრამ... „კეთილი“ მეზობლისთვის ყველაფერი უნდა შევძლოთ!

თვალსაჩინოებისთვის მოვიშველიებთ ამჟამად სომხეთის ექს პრეზიდენტის ლევონ ტერ პეტროსიანის სიტყვას, წარმოთქმულს 1996 წლის 4 იანვარს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში სომხური საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1996 წ. №11.07 ივნისი): „... დამისახელეთ საქართველოს მსგავსი სხვა ქვეყანა, სადაც სომეხ თემს ჰქონდეს ორასზე მეტი სომხური სკოლა და, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სომხური ეკლესიები, თეატრი, გაზეთი, ჰყავდეს დეპუტატები. ასეთი ქვეყანა არ არსებობს“... დიახ, ბატონებო, ასეთი ქვეყანა ნამდვილად არ არსებობს, სადაც სხვა ეროვნებას სახელმწიფოს ისედაც მწირი ბიუჯეტი დაუფინანსებს სულ ცოტა 200 სკოლას!!! მაგრამ სიკეთეს ხომ დანახვა სჭირდება, თუ სანაცვლოდ იგივე სიკეთეს არ გადაგვიხდით, თქვე კარგო ხალხო, მტრად მაინც ნუ გადაგვეკიდებით! რას ხედავთ ურიგოს ჩემს ან ჩვენს სიტყვებში? ოვანეს თუმანიანის სიტყვები გაიხსენეთ: „თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიოს ხალხთა მეზობლურ ურთიერთობებს, უეჭველად დამეთანხმებით, ქართველები, როგორც მეზობლები, ერთ-ერთნი საუკეთესონი არიან!“ სამწუხაროა რომ გარკვეული ჯგუფი სომხებისა ქართველ ხალხში კეთილ და სანდო მეზობელს ვერ ხედავს, ძალიან სამწუხაროა... მიუხედავად ისეთი „კურიოზებისა“ როგორც ჩვენდა საზიანოდ და მართლაც სამწუხაროდ ბევრია ქართულ-სომხურ ურთიერთობებში, ერთ-ერთი მათგანი მინდა გაგახსენოთ: „1881 წელს თბილისში რუსეთის იმპერიის სიძველეთმცოდნეთა V ყრილობაზე ცნობილმა პეტერბურგელმა აღმოსავლეთმცოდნემ, პროფესორმა დ. ხვოლსონმა თავის მისასალმებელ სიტყვაში თქვა: „მე ბედნიერი ვარ, რომ ვიმყოფები სომხეთის დედაქალაქ თფილისშიო“... აღნიშნულ სხდომას აკაკი წერეთელი და სხვა ქართველი მოღვაწეებიც ესწრებოდნენ. მიხვდებით ალბათ ხვოლსონის სიტყვები არ იყო შემთხვევითი“ („სომხეთი მტერი თუ მოყვარე“ გვ. 384).

ორსაუკუნოვანი, თავდაპირველად დახურული, შემდეგ კი ღია ბრძოლა ქართველებსა და საქართველოს წინააღმდეგ საქართველოშივე, ქართველი ხალხის წიაღში – ან დიდი გულუბრყვილობა და სიბეცეა, რაც თავისთავად გამორიცხულია, ან კიდევ მიზანმიმართული და ქართველი ხალხის შეურაცხმყოფელი ბილწი პოლიტიკაა!

ხვოლსონის და ვაი-მეცნიერთა საპირისპიროდ მინდა ჩემს ოპონენტებს გავახსენო გ. ვერმიშევის საგმირო საქმე. ამ საკითხზე ვერ გავბედავ ჩემი აზრის გამოთქმას, რადგან... შემიძლია ქართული პროზის დიდოსტატის, მსოფლიო დონის კლასიკოსის, კონსტანტინე გამსახურდიას წერილიდან ამონარიდი მოგაწოდოთ: „ამას წინათ გ. ვერმიშევმა გამომიგზავნა თავისი „ამირსპასალარი“. ფრიად და ფრიად დასანანია, რომ ეს ყოველივე დაშნაკურ იერს გადაიკრავს. ეს ამბავი პირდაპირ ანეგდოტურია. ეს იმას ჰგავს, ადამიანს დედა შეაგინო და ტექსტი შინ გაუგზავნო. ასეთი რამ თვით უდიდეს სომხოფილს ნ. მარს არ დაუწერია... ასეთ აბსურდამდე ისიც არ მისულა.

ვერმიშევს ყოველივე აურევია. ქართველ ბაგრატიონებს იგი „ბაგრატუნიანს“ უწოდებს. ახლა ჩაიხედეთ მარის ტომებში: ბაგრატიონები ლაზები იყვნენ სპერის ქართულ პროვინციიდან გამოსულნი...

უფლისწულ დემნას იგი უწოდებს „ბაგრატუნიანს“(!) მას მხარგრძელები სომხებად მიაჩნია. ჩაიხედოს უდიდესი სომხოფილის ნიკო მარის ტომებში. მხარგრძელები ქურთები იყვნენ... ვერმიშევის უსაშველო გალიმათიას უკვე ორი მთავარი ზედსაყრდენი გამოვაცალეთ... მხაგრძელთაგანი ერთი გრიგორიანი (სომხური მონოფიზიტური რწმენის – ხაზი ჩემია, დ. მ.) იყო (ზაქარია მხარგრძელი, ამაზე უკვე ვესაუბრე მკითხველს – დ. მ.), დანარჩენები ქართველი მართლმადიდებელნი, ყველანი ქართველებად სთვლიდნენ თავიანთ თავს. პირდაპირ გულისამრევია ამირსპასალარის თავხედური მიჯნურობა დიდი მეფისადმი.

ნეტავ რომელ წყაროებში ამოიკითხა ვერმიშევმა ასეთი უმგვანო ჭორი და გალიმათია?

ამ ორიოდე კვირის წინ მეწვია შვიდი ქართველი სტუდენტი და მითხრეს: მოსკოვს ჩავალთ, მოვძებნით მაგ ვერმიშევს და ნაკერებზე გავხეთქავთო.

მე კატეგორიულად ავუკრძალე მათ ასეთი რამ. რა წესია ცემა-ტყეპით ანგარიშის გასწორება. წადით, ისწავლეთ და სხვა ვერმიშევებს მოუარეთ-მეთქი.

ერთი ვიკითხოთ, ვის წისქვილზე ასხამს ვერმიშევი წყალს? ცხადია ჩვენი მტრის, დაშნაკებისა. მოქალაქე ვერმიშევ, მე გირჩევთ ეს ჩემი შენიშვნები ყურადიღოთ, თქვენი წიგნი გასწმინდოთ ყოველგვარი ცილისწამებისაგან. თამარის ეპოქა ჩვენი ოქროს ხანაა, ამ სამეფოში სომხები ისევე კარგად გრძნობდნენ თავს, როგორც ქართველები. მოქალაქე ვერმიშევ, კიდევ და კიდევ გირჩევთ დაფიქრდეთ, თორემ მე მუდამ ვერ დაგიფარავთ ახალგაზრდობის მზარდი რისხვისაგან. უვიცობასთან შეუღლებული ციინიზმი აწი იწყება. თამარ მეფე ღვთაებათა ჰყავს შერაცხული ქართველ ხალხს. მთელი საქართველო მოფენილია მის მიერ აგებული ციხეებითა და ტაძრებით. როცა თავხედი რუქნადინი სამცხეში შემოიჭრა, თამარი ფეხშიშველა მიუძღოდა თავის ლაშქარს.

ავტორი (ვერმიშევი) დიდი სიმპათიით ხატავს იური ბოგოლუბსკის – გიორგი რუსს. არც კი ახსენებს რად გააგდეს იგი თამარმა და დავით სოსლანმა საქართველოდან? ცხადია: ლოთობისა და ცხოველთმავლობის გამო.

... ვერმიშევს მიჩქმალული აქვს გიორგი I-ის, ბაგრატ IV-ის, გიორგი III-ის და დიდი თამარის თავგამეტებული ბრძოლა ანისის გასათავისუფლებლად. ისინი ათავისუფლებდნენ ამ დედაქალაქს და ისევ სომხებს უნარჩუნებდნენ. ვერმიშევს არც ის ცოდნია თუ რამდენჯერ ილაშქრა გიორგი III დვინის გასათავისუფლებლად. ამ უბადრუკ ავტორს არ ესმის, როცა ასეთ დიდ მოვლენებზე სწერს, უნდა იცოდე არამარტო ძველი, არამედ ახალი ცნობებიც. აკადემიკოსმა გ. წერეთელმა ამას წინათ მომაწოდა სავსებით იშვიათი ამბავი არაბი მატიანეებისაგან მიღებული: სომეხთა კათალიკოსის მიერ წარგზავნილმა სომეხმა ბერებმა შეატყობინეს გიორგი მეფეს სპიანად ჩამობრძანდი დვინს და სავსებით გაუგონარ ამბავს იხილავთო. გიორგი (III) დვინს ჩავიდა ლაშქრითურთ და ნახა მთელს მსოფლიოში გაუგონარი ამბავი: სელჯუკებს ქართველი მეომრების თავებისაგან აუშენებიათ უზარმაზარი მიზგითა. გიორგიმ განდევნა სელჯუკები და ეს მეჩეთი დაანგრევინა, ხოლო დვინი კვლავ დაუბრუნა სომხებს.

ამრიგად, ვერმიშევმა ბევრი, ბევრი რამ უნდა ისწავლოს.

თამარს აღდგომა დღეს მოხსენდა: თურქებმა ანისი კვლავ აიღესო. დაუყოვნებლივ წარგზავნა ლაშქარი და აოტნა თურქნი.

როცა თავხედმა რუქნ-ად დინმა თავისი ელჩის პირით შეურაცხყო დედოფალი, ზაქარია ამისპასალარმა უხეთქნა ელჩს, ეგ არის და ეგ. სხვა ურთიერთობა თამარსა და ზაქარიას შორის არ არსებულა.

მე კიდევ დავზოგე ვერმიშევი ასეთი თავხედური გამოხდომისათვის. მე ისეთი სილა გავაწანი ვ. შკლოვსკის, მისი ტკაცანი მთელს კავშირში გაისმა, რადგან ჩემი პასუხი დაიბეჭდა „ნოვი მირში“, „ზარია ვოსტოკასა“ და „კომუნისტში“.

შკლოვსკის ვურჩევდი და არც ვერმიშევს აწყენს ასეთი შეგონება: „იყავ თამამი, იყავ თამამი და ნუ იქნები მეტად თამამი“. ცნობილია, ზედმეტი სითამამიდან სასაცილომდის სულ ერთი ნაბიჯია“.

„ღია წერილი სომხეთის მწერალთა კავშირის პირველი მდივნის ედუარდ თოფჩიანისადმი“.

კონსტანტინე გამსახურდია

კოლხური კოშკი, 1970, 07, 01

მკითხველმა მიაქცია ალბათ ყურადღება, პროზის დიდოსტატმა ილიასებურად რომ დამოძღვრა ქართველი ახალგაზრდობა! „წადით, ისწავლეთ და სხვა ვერმიშევებს მოუარეთ“... ეს თხოვნაცაა, მუდარაც, ვედრებაც ჩემი თაობისთვის, იმ თაობისთვის, რომელიც უმუშევარი და ულუკმაპურო გამორეკა ქუჩაში შეუბრალებელმა რეალობამ, იმ თაობისთვის, რომელმაც სწავლა-განათლებისთვის ფული უნდა გადაიხადოს, ის ფული, რომელიც მას ფიზიკური არსებობისთვისაც არ გააჩნია!.. მაგრამ იმდენად ჩაბნელებულია ძმისა და მოყვრის ნიღბით მოსული მტერი, თუ დიდი ცოდნა არა, ისე ცხადია ნებისმიერი ჩვენთაგანი ვერაფერს გახდება! ეს კარგად იცოდა დიდმა კონსტანტინემ! არც ვერმიშევს დაუგდია ყური კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვისთვის, რომ ცილისწამებისაგან გაეწმინდა თავისი წიგნი და არც სხვა ვაიმეცნიერებმა გაითვალისწინეს ვერმიშევის „შეცდომები“ და სწორედ იმ გამოუსწორებელი „შეცდომების“ წყალობით ჩაირიცხნენ ისინი „უწიგნურთა“ სიაში!

ისტორიულად ცნობილია, რომ სომეხთა ქალაქებს ანისს და დვინს ქართველები იცავდნენ. სულჯუკებმა ქართველ მეციხოვნეთა თავებით მიზგითი ააშენეს!!! რომელი ცივილიზებული ერი შეძლებდა ამ უდიდესი სიკეთის დავიწყებას? არავინ და ვერავინ ბატონებო! როგორც დიდოსტატი ბრძანებს – ეს ცნობა შემოინახა არაბულმა და სპარსულმა წყაროებმა, არ შემოუნახავს სომხურს! რატომ? რატომ არ შემოინახა სომხურმა ისტორიულმა წყაროებმა მეზობელი ხალხის ძმობის შეუდარებელი თავდადება და თავგანწირვა? რატომ? თამარმა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზედაც კი ლაშქარი გაგზავნა მათ (სომეხთა) დასახმარებლად! – რატომ? რატომ ხოცავდნენ ქართველ ვაჟკაცებს და ისინიც რატომ იხოცავდნენ თავებს უმადური მეზობლებისთვის? გაუგებარია ბატონებო, გაუგებარი!..

რატომ დასჭირდა ვერმიშევს და მის ზურგს ამოფარებულ ვაი-მეცნიერთა და ლიტერატორთა წრეს ზაქარია ამისპასალარის გამიჯნურება მეფე თამართან?

ქართველი ერისთვის ჩირქის მოსაცხებად და შეურაცხყოფისთვის, ბატონებო! დიახ, იგი (ვერმიშევი!) ისეთი სილის გაწვნას იმსახურებს ნებისმიერი ქართველისგან, მითუმეტეს ჩემი თაობის დაუკომპლექსებელი ქართველისგან, რომ წერა კი არადა, ფეხზე წამოდგომაც ვეღარ შეძლოს, თუ ცოცხალი გადარჩება! და ვაი მას, ვინც ქართველი ერის სიწმინდეების შებილწვას შეეცდება! ვაი მას!!! ქართველი ხალხი არც ვინმეს მოიხსენებს აუგად, არც რომელიმე სხვა ერის სიწმინდეებს შეურაცხყოფს! მაგრამ ვაი მას, ვინც შეეცდება ჩვენი სიწმინდეების შებილწვას! ეს არ არის მხოლოდ ჩემი აზრი, ეს ყველა ქართველის აზრია, განურჩევლად პოზიციისა და აზროვნების სხვადასხვაობისა!

რბილად ამბობს დიდოსტატი, რომ „სითამამიდან სასაცილომდის სულ ერთი ნაბიჯია“... ეს ძალიან ცოტაა უწიგნური ლიტერატორისთვის, დიახ ცოტა! სითამამე კი არა ბრიყვული სითავხედიდან, რაც ვერმიშევს ახასიათებს ერთი ნაბიჯიც არ არის დარჩენილი ბიწიერ არარაობამდე! ეს სიტყვები სრულად მიესადაგება ბატონ ვერმიშევს და თუ ცოცხალია დღეს, ისაგზლოს კუბოს კარამდის, თუ არადა წმინდანთა შეურაცხყოფისთვის ჯოჯოხეთს გაუხალისებს...

დაახლოებით იგივე ვთქვი ადრე ნიკო მარის ენათმეცნიერულ მოღვაწეობაზე, იმ განსხვავებით, რომ იგი (მარი) ძალიან ნიჭიერი და ძალიან წიგნიერი იყო. სწორედ ამასთან დაკავშირებით მინდა შემოგთავაზოთ კომენტარი საქართველოს უძღები შვილის, ნიკო მარისა და ჭეშმარიტი მამულიშვილის ივანე ჯავახიშვილის უკანასკნელ წერილებზე. დიდი ივანე თავმდაბალი და ლმობიერი პიროვნება გახლდათ (წინაპართა გადმოცემიდან არის ცნობილი). მისი თავმდაბლობა იმაშიც კი გამოიხატა, რომ როცა ქართველი ხალხი ქართულ უნივერსიტეტს ეღირსა, მისი პირველი რექტორი ცხადია ამ საქმის წამომწყები და სულისჩამდგმელი ივანე ჯავახიშვილი უნდა ყოფილიყო. მან კატეგორიული უარი განაცხადა რექტორობაზე და თვითონვე შესთავაზა ეს თანამდებობა (და ამ შემთხვევაში რაოდენ ღირსეული თანამდებობა!) ცნობილ მეცნიერს ბატონ პეტრე მელიქიშვილს...

ახლა რაც შეეხება ნიკო მარს...

თემიდან რომანტიკული გადახვევა არ გამოგვივა, თუ შევეცდები ჩემი თაობის გადასახედიდან დავახასიათო ბატონი მარი: 1915 წელს მსოფლიოში ცნობილმა ორიენტალისტმა, ყოველგვარი ქართულის მოძულე ქართველმა (დედით, საქართველოში დაბადებულმა და ქართულად აღზრდილმა) ნიკო მარმა ქუთაისში წაიკითხა საჯარო ლექცია, რომელიც დაასრულა შემდეგი სიტყვებით : „ქართულს... ჩემთვის ყოველ იჭვს გარეშეა, ფრიადი პატივისცემა და ჩვენთვის ახლა წარმოუდგენელი დიდება მოელის მეცნიერებაში... მე მწამს, მოზარდ თაობას, პაწაწინა და მოზრდილ ქართველ ვაჟებს და ქალებს მათი სამშობლოს მოტრფიალე დედები, მამები და ბიძები მეტის გულწრფელობით ნამდვილი გულის სიღრმიდან ეტყვიან „პატივი ეც დედა ენასა შენსა“, თან უფრო გამარჯვებული ჩაგონებით ზე დასძენენ: „და ისწავლიდე მას და ყოველთა ძმა-ენათა მისთა მეცნიერულად, და კეთილ გეყოს შენ“. აღნიშნული სიტყვებით მთავრდება აკადემიკოს შოთა ძიძიგურის მონოგრაფია ნიკო მარზე. ავტორი პათეტიკური ტონით ამთავრებს ნაშრომს: „აღსრულდა შენი ოცნება! ამ სიკეთეში შენი წვლილი არამცირედია!“ მე პირადად, რიგით ქართველს მაინტერესებს ბატონო შოთა რა სიკეთე შეგვძინა ჩვენ, ქართველებს ნიკო მარის მოღვაწეობამ? რატომ უბნელებთ გონებას სტუდენტ ახალგაზრდობას და ნაცარს აყრით თვალებში ქართველ ხალხს?

აღნიშნულ მონოგრაფიაში მარი წარმოდგენილია, როგორც „ქართული კულტურის მკვლევარი“ (სათაური) და გულშემატკივარი! ეს ხომ მტკნარი სიცრუეა, ბატონო მეცნიერო! მონოგრაფიას წამძღვარებული აქვს აკაკის, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილის და სხვათა გამონათქვამები მარზე, რომლებიც ჩემის ღრმა რწმენით აღნიშნულმა დიდმა პიროვნებებმა ან დროულად ვერ გაიაზრეს მარის მისწრაფებები ხელოვნურად დაფარული მოღვაწეობის იდეური მხარის წყალობით, ან კიდევ... შეცდნენ გარკვეულ ეტაპზე, რაც ყველას შეიძლება დაემართოს ... ან კიდევ, აღნიშნული გამონათქვამები მათ არ ეკუთვნით, და ახლავე მოგახსენებთ რატომ! ეჭვების გასაფანტავად უკეთესი იქნებოდა შ. ძიძიგურს აღნიშნული გამონათქვამები სქოლიოში მიეწინშნებინა გამოქვეყნებულ ტექსტებში. ნ. მარს, როგორც არნოლდ ჩიქობავა ახასიათებს, მართლაც ახასიათებდა „გატაცებითი მუშაობა“, მას მართლაც ჰქონდა კოლოსალური ენერგია და სინთეზის ნიჭი, მაგრამ ყოველივე, რაც მას ქართულმა გენმა მისცა, მის საპირისპიროდ, მის დასამცირებლად და გასანადგურებლად გამოიყენა. დასანანია, რომ მეცნიერთა გარკვეული ნაწილი სიმართლეს გვერდს უვლის! ე. ი. მარის გზას აგრძელებს! მარი (როგორც ძიძიგურის მიერ მოხმობილი ამონარიდიდან სჩანს) კითხვას სვამს: „რა წყაროა იგი უცნაური წყარო, საიდანაც ასეთ მცირე ერს (ე. ი. ქართველ ერს) ამდენი სულიერი შეუპოვრობა და დაულევნელი შემოქმედებითი სიმხნევე მიუღია? საიდან მოჩქეფს ეს მისი თავისებურება? განა ბერძნებისაგან ან სპარსებისგან, ან ასურებისაგან ან არაბებისაგან? უფრო გვიან კავკასიაში შემოსულ ერებზე საკითხის დასმაც არ გვჭირია. ცხადია, რომ არა. ქართველი ერის კულტურული თვითმოღვაწეობაც და მისი თავისებურებაც შინაგან ძალთა ნამოქმედარია. მაგრამ რა არის ამ ძალის წყარო?“

როგორც შ. ძიძიგური მიუთითებს: „ეს ამოცანა დაესახა თავისი მოღვაწეობის გარიჟრაჟზე ნ. მარს“. დაესახა, მაგრამ არა საქართველოს სასიკეთოდ. ჩვენ ახლავე, რამდენიმე კომენტარით ვნახავთ, რომ ნ. მარმა მთელი სიცოცხლე მოანდომა ქართული ენათმეცნიერებისა და ისტორიისთვის სასიცოცხლო ძარღვების გადაჭრას! იმ უცნაური წყაროს განადგურებას, რომელიც აქამდე ასაზრდოებდა ერს! მან გამოაქვეყნა დაახლოებით ექვსასამდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან უმრავლესი ქართულ ენასთან და საქართველოს ისტორიასთან თავდაუზოგავ, გამწარებულ ბრძოლას მიუძღვნა! საიდან ჰქონდა ამდენი ბოღმა და სიძულვილი?

ნიკო მარი ქუთაისში დაიბადა 1864 წლის 25 დეკემბერს. მამა ფრანგი ჰყავდა, იაკობ მარი, დედა გურული ქალი გახლდათ, აღათი მაღულარია. 10 წლის ნიკოს მამა გარდაეცვალა. ბავშვი დედამ და დედის ოჯახმა აღზარდა. 1884 წ. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების

შემდეგ მარი სწავლას აგრძელებს პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, ქართველოლოგიის განხრით. ქართველოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ცაგარელი. იგი გამოირჩეოდა უაღრესად მაღალი ინტელექტით, იყო სამართლიანი, მიუკერძოებელი პიროვნება, დამფასებელი და მოამაგე ქართული ენისა და ტრადიციების. არავინ იცის რა მოხდა ალ. ცაგარელსა და ნ. მარს შორის, მაგრამ მათ ურთიერთობა ვერ ააწყვეს. ნ. მარს თავიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სომხური ენის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი კერობე პატკანოვი, გასომხებული ქურთი, ყოველგვარი ქართულის მოძულე. საყურადღებოა ერთი ფაქტი: იმ დროს პეტერბურგში მცხოვრებ ქართველი სტუდენტების უმეტეს ნაწილს ეკონომიურად ძალიან უჭირდა, რის გამოც უმრავლესობა ვერ ახერხებდა უნივერსიტეტის დამთავრებასაც კი, კერობე პატკანოვის გამოჩენას მარის ცხოვრებაში უნდა მივაწეროთ ალბათ მისი ეკონომიური უზრუნველყოფა, რადგან პატკანოვი წარმოადგენდა პეტერბურგის ვაჭარ სომეხთა მდიდარი დიასპორის იდეურ ლიდერს. პეტერბურგის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორთაგან, მარი-ფელისიტე ბროსესა და დავით ჩუბინაშვილისგან განსხვავებით, მარმა პირველმა შემოიღო გამოსაცემი ძველი ქართული ხელთნაწერი ძეგლებისთვის წარემძღვარებინა საკუთარი მოსაზრებებით „დამშვენებული“ კრიტიკული მიმოხილვა და ასევე საკუთარი მოსაზრებებისგან გამომდინარე ყოველი შრომისთვის წაემძღვარებინა ფილოლოგიურ-ლინგვისტური ანალიზი. სწორედ „მისებური“ ანალიზების საფუძველზე დაესხა ლაფი ქართულ ენასა და ქართულ ისტორიას. ნიჭიერმა მარიმ, ნიჭიერად შეასრულა პეტერბურგელ სომეხთა და პატკანოვის სურვილი მოესპო და განეძარცვა ქართული ენის სრულყოფილი სიწმინდე, სუფთა ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები სომხურიდან გადმოთარგმნილად გამოაცხადა და ორომტრიალი დააყენა სამეცნიერო ტერმინების დახლართული კვლევა-ძიებისა, რომ ევროპელი მეცნიერები დაეჯერებინა, ქართული ენა სომხურის ნარევია, რომ ქართული ანბანი სომეხმა მაშტოცმა შეუქმნა ქართველებს, რომ ქართული სიტყვების სულ მცირე ნახევარზე მეტი სომხური ფუძისაგან არის ნაწარმოები, რომ სომხური სვინაქსარი ყოვლისმომცველია, რომ ქართული ეკლესია-ტაძრები – სომხური ხუროთმოძღვრებაა, რომ ძირძველი ლაზიკა, ტაო, სპერი, კლარჯეთი, გოგარენე არ არის ქართული მიწა-წყალი – სომხურია! რომ ბაგრატიონები სომხეთიდან მოსული ბაგრატუნიანები არიან, რომ ქრისტიანობა სომხეთიდან მიიღო ქართველმა ხალხმა, რომ წმინდა ნინო სომეხი იყო, რომ ცამეტი ასურელი მამაც სომეხი იყო. რომ შოთა რუსთაველი ქურდია და „ვეფხისტყაოსანი“ მოიპარა... რომ ქართველ ხალხს ისტორია და წარსული არ ჰქონია არასოდეს... მეტი რაღა უნდა გაეკეთებინა ამ „ნიჭიერ“კაცს? მან აბსოლუტურად ყველაფერი გააკეთა, რომ დაესაბუთებინა სომხური აგიოგრაფიული ძეგლების ორიგინალობა! სომხური ენის ორიგინალობა, სომხური ხუროთმოძღვრების ორიგინალობა, სომხური ისტორიის ორიგინალობა... როგორ გავიგოთ, რომელი ენის, ისტორიის და არქეოლოგიის მკვლევარი იყო ბატონო ძიძიგურო, მარი? მკითხველი თუ გაიხსენებს, მარიზე მე ადრეც ვისაუბრე... ახლა კი დამეთანხმდებით, სათქმელი ნამდვილად აღარაფერია... თითოეულ სიტყვას უდიდესი ტკივილი მოჰყვება თან, ტკივილი უძღები შვილის არამარტო ცუდი, საზიზღარი საქციელის გამო, რომლის პატიება ჩვენი თაობის გადასახედიდან ნამდვილად ძნელია და კიდევ... გულისამრევია ნიჭიერი კაცის მიერ დამაჯერებლად ნათქვამი ტყუილი! მართან ერთად მკითხველს დავპირდი დიდ ივანე ჯავახიშვილზე მეთქვა ორიოდ სიტყვა.

დიახ, დიდი ივანე, იმდენად დიდი და ბრწყინვალე, გამორჩეული პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში, ძნელია მასზე საუბარი. იგი ნიკო მარის თანამედროვე იყო. მარი ყოველ ღონეს ხმარობდა რომ მისი ნიჭი გამოეყენებინა სომხური ენისა და ისტორიის „თავისებურად კვლევისას“. მაგრამ... ეს ფანდი მიუღებელი აღმოჩნდა ჭეშმარიტი მამულიშვილისთვის. ყველაფერი კი ასე დაიწყო...

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავში ნიკო მარმა „სიბრძნე ბალავარისა“-ს ხელნაწერი იპოვა. მას სურდა „ბალავრის“ სხვადასხვა ენაზე თარგმანები შეეჯერებინა და ეს კვლევა – ძიება ყოფილიყო მისი სამაგისტრო შრომა. მარის მიუღებლად მიაჩნდა აზრი, რომ „ბალავარიანის“ ბრწყინვალე ბერძნული თარგმანი ქართულიდან შესრულდა ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ. ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში დაცულია აბსოლუტურად ზუსტი და სრული ცნობა, სადაც გიორგი მთაწმინდელი ამბობს ეფთვიმეს შესახებ, რომ მან „ბალაჰვარი და აბუკურაი და სხვანიცა რაოდენიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნა ბერძნულადო“. სხვა რა გზა იყო, მიუხედავად მარის დიდი სურვილისა, რომ ბალავარი სომხურიდან ყოფილიყო თარგმნილი, იძულებული გახდა შეგუებოდა აღნიშნულ ფაქტს და II კურსის სტუდენტ ივანე ჯავახიშვილს სთხოვა „ბალავარის“ რუსული თარგმანი შეესრულებინა. დაასაქმა და დააინტერესა სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილი! ბატონმა ივანემ ბრწყინვალედ თარგმნა რუსულად მოკლე დროში „ბალავარი“ და 1899 წელს რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების ჟურნალის მეთერთმეტე ტომში გამოქვეყნდა მარის ხელშეწყობით. „ბალავარიანის“ თარგმნის შემდეგ, ე. ი. II კურსზე მყოფ ივანე ჯავახიშვილს სთავაზობს წინადადებას, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დარჩენილიყო ისევ უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად. ნ. მარი თვითონ პრივატ-დოცენტი იყო და ცხადია ამის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ... პატკანოვისა და სომხური ლობის წყალობით მას დიდი შესაძლებლობები და ეკონომიური უპირატესობები გააჩნდა პეტერბურგში. რაც ჯერ კიდევ არ იცოდა ივანე ჯავახიშვილმა.

1897 წლის დეკემბერში ნ. მარმა საჯაროდ გამოაცხადა კონკურსი და დაასახელა საკონკურსო თემა „წმიდათა ცხოვრების სომხური კრებული გრიგოლ წერენცის უკანასკნელ ლიტურგიულ რედაქციაში“. მარს იმედი ჰქონდა, რომ კონკურსში მონაწილეობას მიიღებდა ჯავახიშვილი. მაგრამ მან უარი განაცხადა. კონკურსი რომ არ ჩავარდნილიყო, მარმა, ამჯერად უკვე როგორც სომხური სიტყვიერების კათედრის გამგემ, საჯაროდ გამოაცხადა, რომ არ ზღუდავდა სტუდენტებს, მათ შეეძლოთ თვითონ აერჩიათ სასურველი თემა. ამის შემდეგ რამდენჯერმე სპეციალურად სთხოვა ბატონ ივანეს

მიელო მონაწილეობა, მაგრამ ჯავახიშვილი ვერ დააინტერესა სომხური სვინაქსარის გაცნობამ. მარი კი იმდენად კატეგორიული იყო, რომ აიძულა დათანხმებოდა. ადამიანებთან ურთირთობაში ჯერ კიდევ გამოუცდელი ჭაბუკი თანხმდება, ოღონდაც მარიც გარკვეულ დათმობაზე მიდის, დიდი ივანე საკონკურსოდ ირჩევს „წმინდა ნინოსა და ანდრია მოციქულის მოღვაწეობას საქართველოში“. ნაშრომს ენიჭება ოქროს მედალი და დაბეჭდვის რეკომენდაცია. მარმა პატკანოვისებური ხრიკებით ალ. ცაგარელი მთლიანად ჩამოაშორა ივანე ჯავახიშვილს და თავისთან დაიტოვა საპროფესოროდ მოსამზადებლად. მკითხველმა კარგად იცის ჩემი სტატიის წინა თავიდან მარისა და ჯავახიშვილის ერთობლივი სამეცნიერო ექსპედიციის შესახებ 1902 წელს სინას მთაზე. შემდეგ ივანე ჯავახიშვილი სწავლას აგრძელებს ბერლინის უნივერსიტეტში პროფესორ ა. ჰარნაკთან და ბრენერთან. თავდაპირველად ჰარნაკისთვის ივ. ჯავახიშვილმა გერმანულ ენაზე თარგმნა „ევსტათი მცხეთელის ცხოვრება“. იმდენად დაინტერესებულა აღნიშნული თარგმანით ეს ცნობილი პროფესორი, რომ არამარტო ჩაიზე მიიპატიჟა სრულიად ახალგაზრდა უცხოელი სტუდენტი, არამედ შესთავაზა მისი ხელმძღვანელობით სწავლა და სამეცნიერო მუშაობა...

მე აღარ მოვყვები დიდი ივანეს ზღვარდაუდებ ამაგს სამშობლოს ისტორიასა და ენათმეცნიერებაზე. ამჯერად შემოგთავაზებთ მის უკანასკნელ წერილს ნიკო მარისადმი, რომელიც დაიწერა 1923 წლის 7 დეკემბერს თბილისში. აღნიშნული ბარათი ყოვლისმომცველია და ნებისმიერი ქართველისთვის სულისშემძვრელი, ის თავისთავად ჰფენს ნათელს ნიკო მარის მოღვაწეობას:

„პატივცემულო, ბატონო ნიკო!

თქვენი წერილის მიღებისთანავე მისი შინაარსი ვაცნობე ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიას და შევეკითხე: „სასურველია თუ არა იაფეტურ ენათმეცნიერისაგან ერთადერთ დღევანდელ მოწვევნილებაზე ლექცია რომ წაკითხული ყოფილიყო“ თქვენს მიერ ჩვენს უნივერსიტეტში ქართულად. თქვენი თხოვნის თანახმად გაცნობებთ კოლეგიის და საერთოდ პროფესურის აზრს სრულიად გულწრფელად.

ჩვეულებრივ პირობებში უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგია სიამოვნებით შეისმენდა სურვილს „თქვენი სხვაფრივ მოაზროვნეობის და მიუხედავად“, მაგრამ თქვენ მიერვე შექმნილ პირობებში პროფესორთა კოლეგიას თქვენი სურვილის დაკმაყოფილება სრულიად შეუძლებლად მიაჩნია.

ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების განზრახვას მთელს რუსეთში არავინ არ შეხვედრია ისე მტრულად, როგორც თქვენ. 1917 წლიდან მოყოლებული, არავის თქვენებრ თავგამოდებით არ უწერია და უბრძოლია ამ წმინდა კულტურული საქმის პოლიტიკურ საკითხად გადასაქცევად. განსაცვიფრებელი ფრიად და სამწუხარო ის გარემოება იყო ყველა ჩვენთაგანისათვის, რომ ასეთი ერთადერთი წმინდა და უანგარო საქმე თქვენთვის სრულიად გაუგებარი გამოდგა, საქართველოს კულტურული აღორძინების და განათლების კერისათვის საძირკველის ჩაყრამ თქვენ, იაფეტური ენათმეცნიერების წარმომშობლის გულში, სიხარულის მაგიერ, საქართველოს უნივერსიტეტის დაარსებამ განუსაზღვრელი სიძულვილი აღძრა და სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლის გუნებაზე დაგაყენათ. ეს იაფეტური ენათმეცნიერების წარმომადგენელსა და მესვეურს, საქართველოს შვილს როგორღაც არ შეგვშვენოდათ.

მაგრამ ზეპირად მოსულს ამბავს მაშინ ჩვენ სათანადო ანგარიში არ გავუწიეთ და ეს სამწუხარო თქვენი ხასიათის მოვლენა სიფიცხის დროებით და წარმავალ შედეგად მივიჩნიეთ. ამ დროს ჯერ კიდევ წაკითხული არ გვქონდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებით გამოწვეული თქვენი მოხსენება, ჯერ რუსეთის განათლების სამინისტროში, ხოლო შემდეგ მეცნიერებათა აკადემიისათვის წარდგენილი.

როდესაც თქვენი 1920 წლის XI 28 თარიღით დაწერილი წერილი მოგვივიდა რომიდან, რომელშიც ჩვენს უნივერსიტეტში გადმოსვლის ამბავსა და ქართულ ენაზე წასაკითხავ ლექციების სათაურებს გვატყობინებდით, თანაც გვეკითხებოდით, თუ სახელდობრ რა თანამდებობა გექნებოდათ ჩვენს უნივერსიტეტში, მაშინ უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიამ ეს თქვენი მომართვა ისე გაიგო, რომ თქვენ გსურდათ ამ ახლობელი წარსულის უსიამოვნო მოგონება დავიწყებისათვის მიგვეცა და ამით ჩვენგან დაწყებულ გამარჯვებულ საქმეს, იმდენად უდაოდ სცნობთ, რომ ჩვენი უნივერსიტეტის აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღებასაც კი კისრულობდით.

ამიტომ, პროფესორთა საბჭო მაშინ სიხარულით შეეგება თქვენს განზრახვას და სურვილს, და დასავლეთ ევროპიდან თქვენი საქართველოში ჩამოსვლის მოლოდინში იყო პირობისამებრ. მაგრამ შემდეგ ჩრდილოეთის მძაფრმა ქარმა დაჰბერა კავკასიაშიც, და თქვენც, როგორც მერე გავიგეთ, თქვენს ხომალდს საქართველოს ნაცვლად პეტრეს ქალაქისაკენ უბრუნეთ პირი. რუსეთისკენ მანამდე შეკრული გზა გაიხსნა და იქითგან შემთხვევით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის ის ნომერი მოგვივიდა, რომელშიც თქვენი მოხსენება იყო დაბეჭდილი, ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებით გამოწვეული. მხოლოდ მაშინ გავიგეთ სრულის სიცხადით, ჩვენდა სამწუხაროდ, რაოდენი სიძულვილისა და მტრობის გესლით ყოფილა აღსავსე თქვენი მაშინდელი მოღვაწეობა საქართველოს მიმართ. პროფესორთა საბჭომ მოისმინა რა ყოველივე, იგი თუმც სამწუხაროა, მაგრამ უკვე წარსულის მოვლენად მიიჩნია.

მაგრამ საქმეთა მერმინდელმა მიმდინარეობამ, მეტადრე საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიერ ქართულ სიძველეთა რუსეთის მუზეუმებიდან საქართველოში უკან დასაბრუნებლად აღძრულ სიკითხის გამო მოწყობილ რუსეთ-საქართველოს წარმომადგენელთა თათბირზე თქვენმა გამოსვლამ ცხადყო, რომ ის თქვენი წარსულის სამწუხარო მოვლენა აწმყოშიაც გრძელდებოდა და ისევე, როგორც ამაზე უწინარეს და ამ თათბირის დროსაც თქვენს, როგორც სიტყვიერს ისევე წერილობითს განცხადებაში ქართველ მეცნიერთა მისამართით, ჩვენი უნივერსიტეტისა და თვით ჩვენი სამშობლოს საქართველოს შესახებ მრავალგზის სრულიად შეუწყნარებელი და შეურაცხმყოფელი სიტყვები და გამონათქვამები გიხმარიათ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მდივნისადმი მიმართულს თქვენს უკანასკნელს განცხადებაში ისეთ თავდავიწყებამდის მისულხართ კიდეც, რომ თქვენი თავისათვის უფლება მიგიციათ თანამედრო-

ვე საქართველო სამეცნიერო მოღვაწეობისათვის გაუნაყოფიერებელ ქვეყნად გამოგეცხადებინათ, რომელშიაც თითქოს მდაბალი ბიოლოგიური ნაციონალისტური გრძნობები ბატონობდეს, ხოლო იმავე დროს კვეხნითა და ბაქიობით აცხადებთ, რომ ვითომც პეტერბურგში სამეცნიერო შემოქმედებისათვის ისეთი ბედნიერი პირობები ყოფილა, რომ მთელს დედამიწის ზურგზე ცისა და მთვარე-ვარსკვლავების ქვეშ არსად მსგავსი არაფერი მოიპოვება რა და თქვენი პიროვნების გარემოს გარდა არავისთან სხვასთან თურმე მუშაობა არ შეძლებულა.

რაოდენ შეშვენის ამგვარი უმაგალითო თავმომწონეობა მეცნიერს, ეს თქვენი პირადი საქმეა, ამაზე მსჯავრის დადება თქვენი მანდაური მკითხველებისა და მსმენელებისათვის მიგვინდვია. მაგრამ ყოველ მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს. რაც შეეხება საქართველოს, გინდაც ახლანდელს, გინდაც წაქცეულს, უნდა კარგად გცოდნოდათ და გხსომებოდათ, რომ მისი შეურაცხყოფის უფლებას თქვენ არცერთი ქართველი, მიმართულებისა და აზროვნების მიუხედავად, არასდროს და არავითარ პირობებში არ მოგცემდათ.

სწორედ ამიტომ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგია ფიქრობს, რომ ამის შემდგომ ჩვენს უნივერსიტეტსა და თქვენს შორის რაიმე თანამშრომლობა სრულიად შეუძლებელია. მას უკვირს კიდეც, რომ თქვენ „ასეთ, სამეცნიერო შემოქმედებისათვის გაუნაყოფიერებელს ზოოლოგიურ ეროვნულ გრძნობებით შეპყრობილ საქართველოში“ ლექციების წაკითხვა მოგინდომებიათ, იმ უნივერსიტეტში, რომელსაც მეცნიერული ავლადიდებისა და შემოქმედების აუცილებელ სიღატაკეს და არსებობის უფლებას ასეთი თავგამოდებით და შეურყეველი რწმენით უწინასწარმეტყველებდით.

ისევ სჯობია თქვენ თქვენთვის ბრძანდებოდეთ, ჩვენ აქამდისაც არ შეგვიწუხებიხართ და გარწმუნებთ არც შემდეგში შეგაწუხებთ, დაე, მაშ ჩვენმა კეთილშობილურმა მეცნიერულმა მუშაობამ, თუ გინდ პატიოსანი შეცილებისა და მეტოქეობის შედეგებმა დაანახოს ყველას და პირუთვნელმა ისტორიამ დასდოს თავისი თვალულვაში მსჯავრი, თქვენ თუ ათვალისწუნებული თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერნი არიან მართალნი.

პეტერბურგელ მეცნიერთათვის ხელის შეშლა არც წინად მოგვსვლია ოდესმე ფიქრად, არც მომავალშიც. მრავალგვარ ზემოაღნიშნულ უსიამოვნებისდა მიუხედავად ყოველთვის გულწრფელად მოხარული ვიქნებით პეტერბურგელი მკვლევარის თვითოეული თხზულებისათვის, თუ რომ იგი წმინდა მეცნიერული იქნება და არა იმგვარი პუბლიცისტური ხასიათის, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური და კულტურულ-ეროვნული განადგურება ექნება მიზნად დასახული.

დასასრულ – თქვენი წერილის დაბოლოება შემდეგი მრავალმეტყველი სიტყვებით გინებებიათ: „თუმც სხვაფრივ მოაზრე, სულ იგივე და მისივე მსურველი, რასაც თქვენ მიელტვითო“.

ჩვენთვის ბედნიერება იქნებოდა ეს გარემოება რომ ყოველთვის ცხადი ყოფილიყო, მაგრამ სამწუხაროდ თქვენი უკანასკნელი წლების ნაწერებიდან ეს არ ჩანს და თქვენი მოხსენებებისა და თხზულებების ყველა, თვით არაქართველ მკითხველსაც, სულ სხვანაირად ესმით მთელი თქვენი 1917 წლის მერმინდელი მოღვაწეობა და პეტერბურგიდან საგანგებოდ ჩამოტანილი თქვენი მოხსენებანი ჩვენსა და ჩვენი უნივერსიტეტის დაუძინებელ მტრებს სწორედ თავიანთი ზრახვების სახარებად, ხოლო ჩვენი უწმინდესი გრძნობებისა და სულისკვეთების საუკეთესო გამანადგურებელ იარაღად მიაჩნიათ!..

დავშთები მაინც მარად თქვენთვის კეთილის მოსურნე

ივ. ჯავახიშვილი

ქ. თბილისი

1923 წელსა დეკემბრის 7 დღესა.“

დიდი ივანეს გულისტკივილი გასაგებია, რადგან იგივე მდგომარეობაა დღეს, ოღონდაც იმ უდიდესი სხვაობით, რომ მამულიშვილები აღარ არიან ცოცხლები მეგობრის ნიღბით მოსულ მტერს რომ მოურიდებლად მიახალონ პირში სიმართლე! დიახ, ბატონებო, ჩვენი მეცნიერების უმეტესი ნაწილი თვალში ნაცარს გვაყრის და ისტორიას აყალბებს! მკითხველი ძალიან კარგად ხვდება ეს საქციელი ვისგან ან რისგანაა გამოწვეული და ვის წისქვილზეც ასხამს წყალს! და კიდევ, რა დიდი სხვაობაა 1923 წელსა და 2006 წელს შორის, მაშინ საქართველოში ბევრად უფრო მეტი გულანთებული ქართველი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, დაუფიქრებლად რომ ეწირებოდნენ ერის ღირსებას! დიდი ივანე შავით თეთრზე სწერს რომ, მოხარული იქნებოდა მარის ყოველი ახალი სამეცნიერო შრომის ხილვის... „თუ რომ იგი წმინდა მეცნიერული იქნება და არა იმგვარი პუბლიცისტური ხასიათის, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური და კულტურულ-ეროვნული განადგურება ექნება მიზნად დასახული...“

ბატონი შოთა ძიძიგურისთვის შეუძლებელია უცნობი ყოფილიყო დიდი ივანეს და ქართველ მეცნიერთა ურთიერთობა ნიკო მართან. აქედან დასკვნა ერთია – ნიკო მარი „იმგვარ“ ომს ეწეოდა თავისი წმინდა პუბლიცისტური ხასიათის წერილებით, რომელთაც დიდი ივანეს თქმით „ჩვენი“ – ე. ი. ქართველთა „პოლიტიკური და კულტურულ-ეროვნული განადგურება“ ჰქონდა „მიზნად დასახული“... რადგან ნიკო მარი მთელი თავისი სიცოცხლე (პეტერბურგიდან მოყოლებულს ვგულისხმობ, რაც პატკანოვის როთეილისებურ საცეცებში მოექცა) ებრძოდა ქართულ ენას, ქართულ კულტურას, ქართულ ისტორიას, ქართულ უნივერსიტეტს, ქართულ განძს – რომ არ დაბრუნებულიყო სამშობლოში და ყოველივე ქართულს... და ეს ბრძოლა იყო არაპატიოსანი, შენიღბული! მისი გამოაშკარავება მხოლოდ დიდმა ივანემ შესძლო 1902 წლიდან, სინას მთის ექსპედიციიდან, როცა გიორგი მერჩულეს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება აღმოჩნდა... როცა ტაო-კლარჯეთის დიდებული ტაძარ-მონასტრების ქართულობის და ქართველობის დამადასტურებელი კიდევ ერთი და უდიდესი ხელთნაწერი ძეგლი აღმოჩნდა! თუ ბატონმა ძიძიგურმა ეს ყველაფერი არ იცოდა და არ იცნობდა ნიკო მარის პირად არქივს, რომელიც პეტერბურგშია დაცული, მაშინ რა უფლებით, რატომ სწერდა სამეცნიერო შრომას (გინდაც მონოგრაფია დავარქვათ), ნიკო მარის ცხოვრებაზე საკმაოდ მყვირალა სათაურით „ნიკო მარი ქართული კულტურის მკვლევარი.“? ზვიად გამსახურდია იმიტომ მოიძულა ჩვენი ბებია-ბაბუების თაობამ, იმ აკადემიკოს-მეცნიერთა და ლიტერატორთა ნაწილმა, რომ ამხილა მათი უზნეობა და უწიგნურობა... ამ საკითხს სხვა დროს მივუბრუნდები, ამჯერად მინდა ჩემი სათქმელი დავასრუ-

ლო, ნიკო მარს არაფერი გამოუკვლევია, არაფერი შეუძენია ქართული კულტურისთვის, და თუ ის იაფეტურ ენებზე მუშაობდა, ესეც მხოლოდ იმისთვის, რომ როგორმე იაფეტურ ენათა ჯგუფში მოეთავსებინა სომხური ენა, ეს შეკვეთა იყო უწიგნურ სომეხთა მიერ. სომხური ენა ერთ-ერთი ძველი ენაა და იმით არაფერი არ აკლდება იაფეტიანი იყო თუ არა, ტყუილს კი მოკლე ფეხები აქვს ბატონო აკადემიკოსო და შორი მანძილის გავლა უჭირს ისევე, როგორც ვერც ნიკო მარი გახდება „ეროვნული მოღვაწე“ (ამისათვის მხოლოდ ზოგიერთების სურვილი საკმარისი არ არის), რადგან ეს ორი სიტყვა იმდენად დიადი, ყოვლისმომცველი და ჭეშმარიტად ის მაგარი ქვებია ქართული ეროვნული სულის საძირკვლისა, რომელზედაც ათასწლეულების წინ შენდებოდა და დღესაც შენდება ქართველი ერის მომავალი და ღვთაებრივი ბედისწერა. დიახ, „ეროვნული მოღვაწე“ არ ნიშნავს მხოლოდ მეცნიერს, არ ნიშნავს მხოლოდ პოლიტიკოსს, მწერალს, მხატვარს, ხუროთმოძღვარს, პედაგოგს, ხელოსანს, კომერსანტს, ბიზნესმენს, დიახ... შეიძლება იყო კარგი პროფესიონალი, მაგრამ არ იყო ეროვნული! და თან ეროვნული მოღვაწე! ეს თავისთავად დიდი ნიჭია,დიდი მადლია და გამორჩეულების ხვედრი! დავით სარაჯიშვილი და ძმები ზუბალაშვილები – ეროვნული მოღვაწეები იყვნენ და თან დიდი ეროვნული მოღვაწეები! რადგან... ბევრი იღვაწეს სამშობლოს საკეთილდღეოდ... ძალიან ცუდია, თუ მათ ბიოგრაფიას დღეს ნაკლებად იცნობს ქართველი ხალხი. მე პირადად უაღრესად დიდ პატივს ვცემ სომეხი ხალხის მეხსიერებას და მადლიერებას! მათ ყოველთვის ჰყავდათ ქველმოქმედნი, მეცენატები და მათი სახელები ერს უკვდავყოფილი აქვს, ჩვენ კი... ხელოვნურად რატომ ცდილობენ დაავიწყონ ქართველ ხალხს დიდი მამულიშვილები და ცხვირში შესჩარონ მედროვენი? ეს დანაშაულია, ბატონებო! და არც ერთი ერი – თუ ის მართლაც ერია! – ამას არ დაუშვებს! ჰომეროსის გადმოცემით ანტიკური ხანის ბერძნები „ვერაგის“ ეპითეტით მოიხსენიებენ აიეტს. ვინ იყო აიეტი? აიეტი ბედნიერად მეფობდა და ცხოვრობდა თავის მდიდარ საბრძანებელში კოლხეთში და ოჯახში, შვილებთან: მედეასა და აფსირტესთან ერთად სანამ ელინები გამოჩნდებოდნენ „ოქროს საწმისის“ მოსაპარად. მათ (ე. ი. ელინებმა, ბერძნებმა) მოატყუეს და გაიტაცეს მედეა (იხ. ჰეროდოტე), აფსირტე კი, ერთადერთი ვაჟი აიეტისა, სრულიად ახალგაზრდა ტახტის მემკვიდრე მტრების დევნის დროს მოკლეს! რატომ არის ვერაგი აიეტი? თავის ოჯახს, თავის ქვეყანას რომ იცავდა? სხვა ერის და ქვეყნის მეფე რას გააკეთებდა მსგავსს შემთხვევაში? უბრძოლველად დაუთმობდა ქვეყნის სიმდიდრეს და დაანებებდა თავსლაფის დასხმას მოტყუებით მოსულ მტერს? მაგრამ კოლხები და იბერები ხომ მეომარი, ვაჟკაცი ხალხი იყო, დღენიადაგ ხმალ-ხანჯალზე ეჭირათ თვალი და ცხადია, სხვაგვარად ვერ და არ მოიქცეოდნენ! სწორედ ამიტომ მიიღეს ბერძენთაგან ავადმეტყველი ეპითეტი! დაკვირვებული მკითხველი სულ სხვა, გაბოროტებულ დამოკიდებულებას შეამჩნევს სომხურ ისტორიას. ისინი, ე. ი. სომეხ ისტორიკოსთა უმეტესი ნაწილი ყოველთვის ცუდად იხსენიებს და ახასიათებს ქართველებს! რატომ? აქ ალბათ საკითხავიც არაფერია, რადგან ამ სიძულვილის და ბოღმის სათავე უკვე მრავალგზის ვთქვი, რომ ძველ მესხთა და ალაროდიელ ქართველთა მიწა-წყლის დაქცევაშია! არმენებმა მძიმე დანაკლისის ფასად (ძირითადად სპარსელთა ხარჯზე) დაისაკუთრეს კოლხ-იბერთა ძირძველი მიწა-წყალი, დიახ, მძიმე და დიდი დანაკლისის ფასად! ეს დანაკლისი კი არმენთა სულმოკლე შთამომავლებმა ველარ აპატიეს სულ ცოტა 2400 წლის მანძილზე უკვე კარის მეზობლად ქცეულ ქართველებს! უპატიებლობა საუკუნეთა მანძილზე გამოიხატება ღია და ფარული ბრძოლით, ქრთამით, ჯაშუშობით, მეცნიერთა მოსყიდვით, თუ სხვა მათთვის მისაღები ხერხებით, რომელთაგან უმთავრესია ისტორიისა და ენის მიტაცება, რადგან დღევანდელი ცივილიზებული ევროპა ერის ისტორიას, ენას და საკუთრივ მიწა-წყალს განიხილავს ისე და იმგვარად, როგორც ილია ჭავჭავაძე და მიხაკო წერეთელი ხმამაღლა, ყველას გასაგონად ასაბუთებდნენ 100 წლის წინ ეროვნულობის უძირითადეს ნიშან-თვისებად! ამიტომ მიდის ქართველური ტომების წარმომავლობასთან ხელჩართული ომი და ამიტომ არის საქართველო შემოხაზული კავკასიური ცარცის წრით! ძალა კი აღმართსა ჰხნავს, ბატონებო! თუ გონებას არ მოვიკრებთ, ცხადია ყველაფერს დაკარგავს მომავალი თაობა, ამჯერად უკვე ჩვენი თაობის გაუაზრებლობით! ამისთვის შემოგთავაზეთ ეს კომენტარებიც, რომ ვიცოდეთ, გავარჩიოთ მტერი და მოყვარე! მტერი ზოგჯერ საკუთარ ოჯახშიც გვყავს... ამ შემთხვევაში მომეტებული სიფრთხილეა საჭირო, რადგან... ზურგს უკან უფსკრულია და ფეხის დაცდენაც საკმარისია, რომ გადავიჩეხოთ... არავის, ნებისმიერ ქართველს არ ეპატიება გაუფრთხილებლობა, გაუფრთხილებლობა დღეს ჯავახეთს დაგვაკარგვინებს, ხვალ კი... ნუ დაგვავიწყდება, რომ დიდი სომხეთის იმპერიის რუკა თვალისჩინივით აქვთ შენახული მერმისისათვის აივაზიან-კარაპეტიანებს! მედროვე პოლიტიკოსები და მეცნიერები ყოველთვის გამოჩნდებიან, ისეთი ნიჭიერებიც კი, როგორიც მარი იყო! ნიშანდობლივია მიხაკო წერეთლის შთაბეჭდილება ნიკო მარზე. ძიძიგურისაგან განსხვავებით, გავახსენებ მკითხველს, რას ფიქრობდა მასზე მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი შუმეროლოგიაში: „პეტროგრადში რომ ვიყავი, ვნახე პირველად ჩემს სიცოცხლეში პროფ. ნ. მარი. შთაბეჭდილება იქონია ისეთი, რომ ეგ არის ნამდვილი რუსის მოხელე და სხვა არაფერი...“ იგივე მიხაკო წერეთელი, რომელიც გარკვეული წლების მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ინგლისსა და გერმანიაში, იკვლევდა შუმერულისა და ქართულის ენობრივ წარმომავლობას, ივანე ჯავახიშვილს სწერდა: „... ეხლა ვიცი მხოლოდ, რომ ქართველი კაცისთვის ერთი უდიდესი ნუგეშია მისი წარსულის სწავლა, აგრეთვე ვიცი, რომ ამით იგი არათუ ჩვენს საცოდავ ერს, არამედ მეცნიერებასაც დიდს სამსახურს უწევს და მეც მწყურია სწავლა... აუარებელი სიტყვა და სიტყვის ძირი მოიპოვება მიდიურსა და ურარტულ ენაში ქართული ... ბევრია ქართული ელემენტი. გრამატიკული ფორმებიც ბევრია საერთო, ეს ყოველისფერი თქვენც კარგად იცით და რა არის თქვენი აზრი ამის შესახებ, ძლიერ მაინტერესებს. ... ნ. მარი ქართველებს (იაფეთიდებს უწოდებს) სემიტების ბიძაშვილებადა სთვლის!.. თუ სემიტების ენა და ქართული ერთის მხრით ბიძაშვილებია, აგრეთვე თუ

ქართული ღვიძლი შვილია მკვდარ ალაროიდულ ენათა, მაშინ რაც უფრო ძველ ნიმუშებს შევადარებთ ამ ალაროდიულისა და სემიტურისას, მით უფრო ახლო ნათესაობა უნდა იყოს მათ შორის. ნამდვილად კი სუმერული (შუმერული) ენა (უძველესი იაფეთური) და ბაბილონურ-ასურული სრულიად განირჩევიან ერთმანეთისაგან, ვიდრე თანამედროვე ქართული (ან ძველი ქართული) და რომელიმე სემიური ენა.

...ვხედავ, რა ღრმა და ხანგრძლივი წარსული ჰქონია ჩვენს ერს".

„... ეხლა სუმერის (შუმერის) ენას ჩავკირკიტებ და პატარა ხანს იქით შეგატყობინებთ ამის შესახებ ჩემს აზრს. ძლიერ საინტერესოა ახალი ტრანკრიპცია ტიურო-ლანჟენისა ბევრს რასმეს ჰფენს ნათელს და ქართულს ამსგავსებს ამ ენას".

„... ერთი რამ არის ჩემთვის ცხადი: რომ ყოფილა დამოუკიდებელი რასა „ქართველთა", ანუ „იაფეთელთა", როგორც მარი უწოდებს. ეს რასა პრესემიური და პრეასიული იყო მცირე აზიაში, სპარსეთში და ბაბილონში. სუმერი, ელამი, ურარტუ, ხეთა – ნაწილი არიან ამ რასისა. ხეთელები უნდა იყვნენ პირდაპირნი წინაპარნი ქართველთა. მესხები და ტაბალები ხეთის ტომნი უნდა იყვნენ. ხოლო სუბერი, ელამი და ურარტუ – თუმცა ამავე მოდგმის, მაგრამ ბიძაშვილები ქართველთა. თქვენი აზრი, რომ ჩვენი ძველი მწერლობა ხეთურში უნდა ვეძიოთ, მართალია. ერთი სიტყვა „ქვეყანა" ხეთურ ლურსმულში „ქვეყანასავე" ნიშნავს, როგორც სეისმა გამოიკვლია, და რომ იეროგლიფების წაკითხვა შეიძლებოდეს, ვინ იცის, რა არ გამოჩნდება. – გარდა ამისა, ერთი რამ არის საინტერესო: რაც უფრო უმჯობესდება ტრანსკრიპცია ლურსმულისა, იმდენად ჩნდება იქ ქართული. ძველ სუბერულ ტრანსკრიპციაში ქართული არ იყო თითქმის, ახალში კი ნელ-ნელა ამოდის ქართული სიტყვები, გრამატიკა, განსაკუთრებით ზმნის აგებულება კი ქართულს ისე ჰგავს, რომ განსაცვიფრებელია. ... საყურადღებოა ამ მხრივ ვეისბახის ახალი წიგნი "Die Adatenideninschriften". ... სემიელებს, ეგვიპტელებს და ასურელებს დაუღუპავართ და ბოლოს ამ დიდი (ჩვენი) რასისგან ჩვენღა გადავრჩენილვართ და შეიძლება კიდევ რამოდენიმე სხვა კავკასიის ხალხი (ნაგულისხმევია ძირითადად ჩეჩნები და ლეკები – დ. მ.). ხოლო „სომეხს" კი ტყვილა აწვალებს მარი, ჩემის ფიქრით სომეხი აქ არაფერ შუაშია. ამ ნარევი ხალხის იაფეთურ რასისადმი მიწერა შეუძლებელია კლასიფიკაციის პრინციპის მკაცრი მოთხოვნილების მიხედვით."

„... გულზედ როგორ არ გასკდები კაცი, ჩვენში მღვდლებიც აღარ კადრულობენ ქართულად წერას და კეკელიძე რუსულად სწერს ქართული საეკლესიო მეცნიერების შესახებ!"

„... ჩემი შედარება ქართულ-სუბერულისა IRAS-ში დაიბეჭდება ივლისში. მაშინ მოუწევს რიგი. დაიბეჭდება პირველი ნაწილი. ამ ორ კვირაში მეორე ნაწილსაც გავაგზავნი და იქნებ ერთად დაბეჭდონ. არ ვიცი, იქნებ ვცდებოდე, მაგრამ სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ სუბერული ახლო მონათესავეა ქართულისა, როგორც გრამატიკულად, ისე სიტყვებით. ამასთანავე შევისწავლე... ოდნავ სემიური ენები და მგონია, მარის თეორია სრულიად შემცდარია, როდესაც აღიარებს ქართულ-სემიურის გენეტიკურ ნათესაობას. აგებულება, სული, გრამატიკა, ერთობ ქართულისა სულ სხვაა და პრინციპულად განსხვავდება სემიურისაგან, ხოლო ქართულს რაღაც ელემენტი აქვს სემიურისა, რომელიც ალბათ შემდეგ შემოეპარა ქართულს, გავლენის წყალობით, და ეს გავლენა მარმა გენეტიურ ნათესაობად მიიღო. და მართლაც, სუბერული, რომელიც ქართულს ისე ძლიერად უახლოვდება, სრულიად არა ჰგავს სემიურსა, ყოველივე ცდა სუბერულ-სემიურ ნათესაობის გამოძებნისა უნაყოფოდ არის აღიარებული, უნაყოფოდვე ჩაივლის, რადგანაც საკმარია ერთი თვალის გადავლებაც, რომ მყისვე დაინახო, რომ არაფერი საერთო ამ ორ ენათა ჯგუფს შორის არ არის – სუბერულის ქართულთან შედარება უფრო ადვილია, ვიდრე სხვა ლურსმულ წარწერათა ენებისა, რადგანაც სუბერული უკეთ არის ცნობილი. მრავალ სიტყვათა კითხვა და აგრეთვე მრავალი გრამატიკული ფორმა ნამდვილად ვიცით, რადგანაც დარჩენილი გვაქვს თვით ასურელთაგან შედგენილი სუბერულ-ასურული გრამატიკები და ლექსიკონები, ხოლო ელამურზედ, ქალდურზედ, ხეთურზედ და სხვა, ეს არ ითქმის, იქ ათასნაირი კითხვა შეიძლება და ამიტომ ფერხდება შედარების საქმე".

„... როდესაც „Осн. Габл"-ში მოყვანილი სემიურ-ქართული მაგალითები (შედგენილი მარის მიერ – დ. მ.) განვიხილე შარშან... არც ერთი კანონი თითქმის და არც ერთი მაგალითი სწორი არ არის. აბა დახედეთ, როგორა ხსნის „სასთუმალს" და ადარებს სირიულ „ესალს", ქართულ „მოკოდ-ებს" და სირიულ „იაკოდ-ს" და მრავალ სხვასა. საქმე ის არის, რომ შედარების დროს ძირითადი ფაქტი უნდა იყოს გამორკვეული... გარეგნულ ფორმასაც რომ მიიღებს მკვლევარი მხედველობაში (სიტყვის) ძირებისას, მაშინ იდეის იგივეობასთან ერთად ეს ორი საბუთი აძლევს მას საფუძველს ერთსა და იგივედ აღიაროს ორი ძირი და ამაზედ დაამყაროს შემდეგ ფონეტიურ ცვალებადობათა კანონი, თორემ ქართული „მო-კიდ-ება" სრულიადაც არ აღნიშნავს ცეცხლის იდეას, არამედ იგი იგივეა, რაც კიდ>ჭიდ ხელის მოკიდება, „ცეცხლის მოკიდება" და სხვა. მაშინ, როდესაც სირიულ „აკოდ" სულ სხვაა. აგრეთვე სირიული ესალას იდეა – უკანალია, ქართული სასთუმლისა კი თავი! – სულ წინააღმდეგი და ასეა ბოლომდი თითქმის. სუბერულში კი სწორედ ეს პირველყოფილი იდეები ეთანხმება ერთმანეთს და გარეგნულად სიტყვის ძირები თითქმის იგივეა. – ამას გარდა (საკითხავია) იცის მარმა ლურსმული კითხვა და შეუძლია ტექსტის გადაწერა და გადათარგმნა? ეს თავი და ბოლოა. ... ელამური ჯერ შეუსწავლელი ენაა... თუ მარმა დაამტკიცა ელამურისა და ქართულის ნათესაობა, მაშინ ან ელამურის და სემიურის ნათესაობაც უნდა დაამტკიცოს, რაიც აქამდეს შეუძლებლად იყო აღიარებული, ან და ქართულისა და სემიურის ნათესაობა უნდა უარყოს..."

„...ძლივს გამოვიდა ინგლისურად პირველი წიგნი ჩემი „სუმერულისა და ქართულისა" და გიგზავნით ერთ ცალს. შეცდომები იქაც შეპარულა საუბედუროდ"...

მკითხველი უეჭველად გააცნობიერებს, თუ რა ფრთხილად ეკიდებოდა თითოეულ სიტყვასა და წინადადებას მიხაკო წერეთელი! უსაფუძვლოდ და გაუაზრებლად წერტილსაც არ დასვამდა თავის სამეცნიერო შრომებში. ამის შედეგად მოიპოვა აღიარება ევროპის წამყვან სამეცნიერო წრეებში. ბრიუსელის უნივერსი-

ტეტში ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას და კითხულობდა ლექციებს ასირიოლოგიასა და ქართულ ენაში, იყო ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი, დიდი ძალის და ანგარიშგასაწევი ფიგურა ორიენტალისტიკაში! 1924 წელს კონსტანტინოპოლში იბეჭდება მიხაკო წერეთლის მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი „ხეთის ქვეყანა და მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა“. აღნიშნული შრომა (და მრავალი სხვა, რადგან ცნობილი პროფესორი მიხაკო წერეთელი ნაყოფიერი მეცნიერი გახლდათ, მრავალი შრომისა და გამოკვლევის ავტორი) მიუწვდომელია ქართველი მკითხველისთვის. ბარიერი ხელოვნურად არის შექმნილი ჩვენთვის, ქართველი ახალგაზრდობისთვის მიუწვდომელი რომ დარჩენილიყო მიხაკო წერეთლის წლობით მუხლჩაუხრელი შრომით მოპოვებული გამოკვლევები, ამოკითხული ლურსმული წარწერები და... მკაცრი არგუმენტაციის ფონზე მოხმობილი შედარებები ქართულისა მკვდარ ენებთან! განსაკუთრებით კი შუმერულთან. მეცნიერი საოცარი სიზუსტით ამტკიცებს (30-50-იანი წლები) იბერიული (ქართული) და შუმერული ენებისა და წარმართული პანთეონის იდენტურობას, რომ... დღევანდელი ქართველი ხალხი უძველესი ერია დედამიწაზე, შუმერთა შთამომავალნი!

მიხაკო წერეთელი უაღრესად დიდი სინათლეა საქართველოს ისტორიაში, დიახ, კაშკაშა, ბრწყინვალე სინათლე!..

რადგან ჩვენი სასაუბრო თემა ცნობილ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა სამეცნიერო შრომების ნაწილობრივ (და არა ღრმა), და მცირე კომენტარით შემოიფარგლება, სასურველი იქნება თუ კვლავ და კიდევ შევჩერდებით კალისტრატე სალიას იმ ბარათზე, სადაც უცხოეთში მოღვაწე მამულიშვილი აღშფოთებული იწერებოდა: „პარუირ მურადიანმა ფრანგულად გამოაქვეყნა „რევიუ დეზ ეტიუდ არმენეიშენში“ სტატია მცხეთის ჯვრის შესახებო.“ ე. ი. პ. მურადიანი ამტკიცებს, რომ მცხეთის ჯვრის ტაძარი სომეხი თოდოსაკის აშენებულია!

გავარკვიოთ ვინ არის პარუირ მურადიანი? იგი მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ! 1963 წელს ბ-ნმა მურადიანმა თბილისის სახ. უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. თემა გახლდათ: „Армяно-грузинские литературные взаимоотношения в XVIII веке”. ნაშრომი იმდენად სუსტი იყო, ერთ-ერთი ოპონენტი „არმენოლოგი, პროფესორი ივანე შალიკიანი თავს იკავებდა, მაგრამ ზოგიერთი ავტორიტეტიანი წევრის თხოვნის შემდეგ არცთუ დიდი ხალისით დადებითი შეფასება მისცა ნაშრომს“. („სომხეთი მტერი თუ მოყვარე“. გვ. 42) ჩვენ ისედაც ვიცით ვინ იქნებოდა ავტორიტეტი ... სწორედ აღნიშნულმა „მეცნიერმა“ პ. მურადიანმა აღმოაჩინა, რომ მცხეთის ჯვარი სომხური ხუროთმოძღვრების ნიმუშია და ვინმე თოდოსაკის აშენებული! რადგან არ გვინდა მიკერძოებაში ჩამოგვერთვას, ამჯერად გავარკვიოთ ვინ არის თოდოსაკი და ფიგურირებს თუ არა მისი სახელი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში?

მცხეთის ჯვარი აშენებულია 584-604 წლებში, ძველი დედაქალაქის მოპირდაპირე მხარეს იქ, სადაც არაგვი მტკვარს უერთდება, ზედაზნის მთის დაბოლოებაზე, თითქმის ძირში, და იმდენად შერწყმულია ბუნებას, საოცრად ამაღლებულ შთაბეჭდილებას სტოვებს ნებისმიერ მნახველზე, მითუმეტეს მლოცველზე. ქართველი ხალხისთვის მცხეთის ჯვარი უბრალოდ ხელოვნების ნიმუში არ არის, იგი ერის სიმბოლოა, რომელშიც სრულად განხორციელდა მისი ისტორიული შემოქმედებითი ენერგია რეალურ სასიცოცხლო ძალასთან შენივთებით, მართლმადიდებლური ტაძრისთვის დამახასიათებელი ამაღლებული სულიერება ნიშანდობლივია მხოლოდ ქართული ეთნოსის თვითმყოფადი, ღრმად ეროვნული, გენეტიკური ცნობიერებისთვის. რაც შეეხება ტაძრის არქიტექტურას, ე. ი. ხუროთმოძღვრებას, იგი აბსოლუტურად განსხვავებულია ბერძნული სტილისაგან, რომელიც იმ პერიოდისთვის წარმმართველი იყო მთელ ქრისტიანულ სამყაროში, საუბარი ზედმეტია სომხურ ხუროთმოძღვრებაზე, რადგან სომხურ ხუროთმოძღვრებას ამ საუკუნეში არ შეუქმნია მსგავსი შედევრი. ეს არცაა გასაკვირი. საჭირო იქნება რამდენიმე სიტყვით მიმოვიხილოთ ქვეყნების პოლიტიკური მდგომარეობა. ე. ი. ჯვარი აშენდა 584-604 წლებში! დგას ორი ტაძარი, ერთი მცირე სამლოცველო, აშკარად უფრო ადრინდელი და მის გვერდით დიდი ტაძარი, არცთუ მაღალი, მხოლოდ 25 მეტრის სიმაღლის, გუმბათის მქონე, რომელსაც მართალია სამშენებლო წარწერა არა აქვს, მაგრამ აქვს წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია სტეფანოზ ერისმთავარი ძე გუარამისა. საკურთხევლის აფსიდში ჩასმულია სამი სარკმელი. ისინი შეკრულია დეკორაციული რელიეფური სარტყლით, ყოველი სარკმლის თავზე სარტყელი თაღს შემოხაზავს. სარტყლის ზემოთ სარკმლების შესაბამისად სამი რელიეფური გამოსახულებაა ტაძრის ამშენებელთა: შუაში – ქრისტეს წინაშე მუხლმოდრეკილი სტეფანოზ ერისმთავარი, მარცხნივ – მისი ძმა დემეტრე და მარჯვნივ – სტეფანოზის მემკვიდრე ადარნერსე (ან ადარნასე). სამივე რელიეფის ქვეშ მოთავსებულია ქართული ასომთავრული წარწერა: ა) შუა რელიეფის, ე. ი. სტეფანოზის წარწერაა: ჯუარო მაცხოვრისაო, სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი შეიწყალე“; ბ) მარცხენა წარწერა: „წმინდაო მიქელ მთავარანგელოზო, დემეტრე ვპატოსსა მეოხ ხეყავ“; გ) მარჯვენა წარწერა: „წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, ადრნერსეს ვპატოსსა მეოხ ხეყავ“.

აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი „ქართული ხელოვნების ისტორიის“ 137 გვერდზე სწერს: „როგორც ჩანს, ადრეული ხანის რელიგიური მხატვრობის ძეგლები საქართველოში არ არსებობდა. ამაზე მიუთითებს, სხვათა შორის ის ფაქტიც, რომ VI საუკუნის დამლევამდე აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებული იყო მონოფიზიტური მოძღვრება, ქართული ეკლესია იერარქიული და დოგმატიკური თვალსაზრისით განცალკევებული იყო ბიზანტიური ეკლესიისაგან, კონსტანტინოპოლის პატრიარქის უშუალო გავლენის სფეროში არ შედიოდა“.

კი მაგრამ წრომს ანტიკური ხანის ქრისტიანული (მე-6 ს-ის) მოზაიკური მხატვრობა ამშვენებს! ვერ შენიშნეს ჩვენმა აკადემიკოსებმა? თუ, არ უნდოდათ რომ შეენიშნათ, შეესწავლათ და აღენიშნათ წრომის სიდიადე?

მიუხედავად უღრმესი პატივისცემისა ბ-ნ შალვა ამირანაშვილის მიმართ, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ თავისთავად დანაშაულია იმ პერიოდის ასე უმართებულო დახასიათება! გაურკვეველია რას ნიშნავს: „ქართული ეკლესია იერარქიული და დოგმატიკური თვალსაზრისით განცალკევებული იყო ბიზანტიური ეკლესიისაგან, კონსტანტინოპოლის პატრიარქის უშუალო გავლენის სფეროში არ შედიოდა“...(?).

კიდევ ერთი მცდარი მიმართულება და უაღრესად მტკივნეული მომენტი საქართველოს ისტორიაში! საქართველოს მონოფიზიტობას მე-6 საუკუნემდე და ლამის მე-7-მდეც თავგამოდებით ამტკიცებს სომხური საისტორიო წყაროები. როგორ გავიგოთ ბატონი შალვა ამირანაშვილის და საერთოდ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის მკვლევართა აზრი? ეთანხმებიან მათ? ცხადია, სხვას რას უნდა ნიშნავდეს ზემოთ მოყვანილი ციტატა? ყველანი მარის მიმდევრებია? მარის ავტორიტეტით დაბრმავებულნი თვალდახუჭულნი აგრძელებენ მარის გზას? როგორ გავიგოთ, მცხეთის „ჯვარი“ მონოფიზიტური ხუროთმოძღვრების შედევრია? ვინ არის თოდოსაკი, ასე თავგამოდებით რომ იბრძვის მისი რეაბილიტაციისთვის პ. მურადიანი? რატომ ხდება, რომ ქართველი მეცნიერები, თუნდაც მათი გარკვეული ჯგუფი, ყოველგვარი კვლევისა და ისტორიული წყაროების შესწავლის გარეშე (უკაცრავად, მომიტევეთ ჩემი სითამამე! მაგრამ ნამდვილად ასეთი შთაბეჭდილება მრჩება!) იმეორებენ სომხურ წყაროებში გაზეპირებულ, გადამერებულ, ერთმანეთისგან გადაწერილ ცნობებს! საუბედუროდ ჩვენი პაპა-ბაბუების თაობამ არ იფიქრა, რომ მომავალი თაობა გამოწვლილვით შეაფასებდა მათ ნამოღვაწარს და თავის ადგილს მიუჩენდა საქართველოს ისტორიის მამულიშვილთა წმინდა სისხლით განბანილ საკურთხეველში! დიახ, შეაფასებდა და არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდა მათ მიერ შემოთავაზებულ მასალას მკაცრი გადამოწმების და გაანალიზების გარეშე!

ე. ი. მელიქიშვილ-გამყრელიძე-მაჭავარიანის ჯგუფი იმდენად გაიზარდა, რომ ფაქტიურად მთელი ეპოქა მოიცვა – 1960-იანი წლებიდან დღემდე! ეს არასახარბიელო პროგნოზია ბატონებო! მომავალ თაობას, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ დაუღვინებელ მაჭარს, ვინც მოწოდებულს უდიდესი ერთგულებითა და ნდობით, ყოველგვარი გააზრების გარეშე იღებს (სტუდენტები მყავს ძირითადად მხედველობაში), ფაქტიურად ტვინი გამოურეცხეს და დაარწმუნეს ქართველი ერის არასრულყოფილებაში!

ჩემი თაობის მოვალეობა და სურვილია კიდევ ერთხელ გადავამოწმოთ ისტორია, იყო თუ არა VI საუკუნის დამლევამდე აღმოსავლეთ საქართველო მონოფიზიტური მიმდინარეობის?

387 წელს სომხეთის სამეფო გაუქმდა და მისი ტერიტორია ძირითადად ერგო ირანს, უმნიშვნელო ნაწილი ბიზანტიას. სომხეთის ეკლესია ღიად (!) ატარებდა სპარსეთში დაცულ და ხელშეუხებელ მონოფიზიტურ მრწამსს. სომხეთის ეკლესიის იურისდიქცია ღიად (!) ვრცელდება ბიზანტიურ ნაწილზეც! ე. ი. სომხეთის ორივე ნაწილის ეკლესიები მონოფიზიტურ მრწამსს ატარებდა! ირანი მხარს უჭერდა ქრისტიანული სარწმუნოების ბიზანტიის საწინააღმდეგო ორიენტაციას. საწინააღმდეგო ორიენტაცია კი უკვე ვიცით, მონოფიზიტობა გახლდათ. ამდენად მონოფიზიტობა ჩამოყალიბდა თავიდანვე როგორც „სპარსული რელიგია, სპარსული ქრისტიანობა!“ და რაც მთავარია სომხეთის ეკლესიის ისტორიის მკვლევარის და ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტის ორმანიანის მტკიცებით: „სომხეთის ეკლესია იმთავითვე ავტოკეფალური ყოფილა“. ეს კი ნიშნავს, რომ ფავსტოს ბუზანდცის ცნობები, რომლითაც მტკიცდებოდა რომ, გრიგოლის შემდეგ სამმა კათალიკოსმა იუსუკმა, საჰაკმა და ნერსესმა კესარიაში მიიღეს ხელდასხმა“-ო, არასწორია. რომის ისტორიიდან ცნობილია, ამ უდიდესი მსოფლიო იმპერიისთვის უმძიმესი სწორედ IV-V-VI-VII საუკუნეებია. გაიხსენეთ: გალები, გოთები, ჰუნები და ვანდალები... და ყველაფერთან ერთად იმპერიის შიგნით არიოზის მოძღვრების ფონზე რელიგიური დაპირისპირება!

არც ქართველი ხალხის ყოფა იყო ია და ვარდით მოფენილი. სომხეთ-სპარსეთთან განუწყვეტელი ომები სისხლისგან წრეტდა ქვეყანას... მაგრამ ამ გართულებებით რელიგიური პრობლემები არ იჩრდილებოდა! პირიქით რელიგიური დაპირისპირების ფონზე ხდებოდა სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლები! ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაიჭრას საქართველოს ისტორიისთვის ეს ურთულესი საკითხი – აღიარებდა თუ არა ქართული ეკლესია თავიდანვე მართლმადიდებლობას? რითაც არამარტო შეურაცხყოფილი, გასვრილია ჩვენი წარსული. მე ჩემი თაობის სახელით მივმართავ ჩვენს სახელოვან მეცნიერებს, პროფესორებს და აკადემიკოსებს, ვისაც ჯერ კიდევ შერჩათ ეროვნული ღირსების გრძნობა, რომ ამჯერად მაინც თამამად, ყოველგვარი შიშისა და მორიდების გარეშე იღვაწონ ერისთვის, მამულისთვის, მათ ძალუძთ ეს!.. რადგან, ნამდვილად ძალიან კარგად იციან სიმართლე! დიახ სიმართლე, რომელიც დღეს ძალიან სჭირდება ჩემს თაობას... მე რამდენიმე თარიღს შევახსენებ მკითხველს: წმინდა ნინო ქართლში 303 წელს შემოვიდა. ქართლის სამეფო კარის მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება 317, ან 318 წელს მოხდა, დაახლოებით ამ დროისთვის გაქრისტიანდა სომხეთიც. სწორედ 318 წელს დაიწყო ალექსანდრიელი მღვდლის არიოზის რეაქციული გამოსვლები ქრისტეს ორი ბუნების და მომავალში კი ნიკეის კრების რწმენის სიმბოლოს წინააღმდეგ. 320 წელს ალექსანდრიის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე არიოზი (ბერძნ. არიან) ეკლესიიდან განკვეთეს. განკვეთილი მოძღვარი აღმოსავლეთ რომის იმპერიის დედაქალაქ (კონსტანტინოპოლი ჯერ კიდევ არ იყო აშენებული) ნიკომედიაში ჩავიდა ათანასე დიდისთვის (მართლამადიდებელი ეკლესია ასე მოიხსენიებს) საჩივლელად და ნიკომედიის ეპისკოპოსს, რომელსაც ისტორია ევსევი ნიკომედიელს უწოდებს, გააცნო საკუთარი წინააღმდეგობებით სავსე გონებაში „წარმოშობილი“ ვითომ ახალი ქრისტიანული „მოძღვრება“, ვინ იცის რომელი ხალხის და რომელი ქვეყნის წარმართულ წიაღში ფესვგადგმული! ევსევი ნიკომედიელმა მხარი დაუჭირა არიოზს. სავარაუდოა, რომ ევსევი ნიკომედიელიც ადრევე იყო გაცნობილი აღნიშნულ „მოძღვრებას“, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი ხელის დაკვრით ვერ გაეყრებოდა მართლმადიდებლურ რწმენას და ვერ შეეყრებოდა ახალს და თან მწვალებლურს!

არიოზმა თეოლოგიური განათლება ანტიოქიის საღვთისმეტყველო სკოლაში მიიღო და ამის გამო საფიქრებელია, რომ აღნიშნულ მიმდინარეობას, რომელსაც მონოფიზიტურ მიმდინარეობად ვიცნობთ, სწორედ ანტიოქიაში ჩაეყარა საფუძველი. იმდენად ძლიერი იყო განხეთქილება ქრისტიანული რელიგიის დოგმატურ საკითხებში, რომ კონსტანტინე დიდი იძულებული გახდა ბითვინიის ქალაქ ნიკეაში მოეწვია მსოფლიო საეკლესიო კრება. კრებას 318 ეპისკოპოსი ესწრებოდა. ამათგან უმრავლესობა მართლმადიდებელი იყო. კრებამ ნიკეის სიმბოლოს სახელით მართლმადიდებელთა რწმენის სიმბოლო – „მრწამსი“ დააკანონა! არიოზელებთან ბრძოლის მანძილზე მართლმადიდებლობის ცენტრად იქცა ათანასე დიდის მართლმადიდებლური სკოლა და ალექსანდრიის საეპისკოპოსო. მე შევეცადე რამდენიმე სიტყვით ჩამომეყალიბებინა ფონი, რომელზედაც შემდეგ საკმაოდ მძლავრი ფესვები გაიდგა ქრისტიანული მართლმადიდებლური რწმენის საწინააღმდეგო მწვალებლურმა სწავლებამ, ისტორიაში მონოფიზიტიზმის სახელით ცნობილმა. ამასთან ერთად საჭიროდ ვთვლი ჩემი თაობისთვის გავამარტივო რამდენიმე საკითხი, რომელთაც IV-VIII საუკუნეების საქართველოს რელიგიურ საკითხებს ვუწოდებ, და რომელმაც დიდი ტკივილი მიაყენა ჩემს ხალხს და ასევე დიდი თავსატეხი გაუჩინა ქართველ მეცნიერებს, ჩვენი ხალხის პრეისტორიული ფესვების არ იყოს, რომელთა ამოძირკვას 2400 წელია ასე გულდანდობილად ცდილობენ „ჩვენი კეთილი მეზობლების“ რეაქციული ნაწილი. ადრეული პერიოდის საქართველოს და ქართველი ხალხის ქრისტიანული ორიენტაცია შეგნებულად არის გაყალბებული და მიჩქმალული... ეს დაფარვა და გაყალბება – იგივე მე-19-20 საუკუნეების ამოფხეკა, უძველესი ქართული ონომასტიკის შეგნებული განადგურება ერთადერთი მიზნის მისაღწევადაა, რომ საქართველო და ქართველი ხალხი უწარსულო, უკულტურო, განუვითარებელ ერად აქციონ! ვის სჭირდება ბატონებო ეს ყველივე? და რატომ?

ვინც მცხეთის ჯვარს იხილავს (ნებისმიერ უცხოელს ვგულისხმობ), ეს ცადატყორცნილი (მიუხედავად იმისა, რომ ტაძრის სიმაღლე 25 მეტრს არ აღემატება!) დიადი სულიერების შარავანდედით მოსილი ეროვნული ხუროთმოძღვრების შედევრი – რეალურ ყოფიერებაში გაუხსნის და ფეხქვეშ გაუფენს ერის გენურ კეთილშობილებას და მის უდიდეს ღვთაებრივ ნიჭს, რომელიც მომავალში უკვე „სვეტიცხოველში“ გაცხადდება ზღვარდაუდებელი სიდიადით!

მცხეთის „ჯვრის“ დასაკუთრებაც ვინმე თოდოსაკის მეშვეობით იგივე მიზანს ემსახურება, რაც უკვე მოგახსენეთ... მცხეთის „ჯვარი“ – მოგეხსენებათ ქართლის გულშია და როგორი გრძელი მკლავიც არ უნდა ჰქონდეს მის შემბღალველს, მასთან მიმართებაში ყველა მოკლდება...

ამჯერად ჩემს მკითხველს ვთავაზობ არცთუ მცირე ექსკურსს ისტორიული წარსულის ლაბირინთებში. საჭიროდ ჩავთვალე რამდენიმე საკითხის გამარტივება და გაანალიზება, უპირველესად რა გვაკავშირებს და რა არ გვაკავშირებს „ჩვენს კეთილ მეზობლებთან“, სომხებთან:

ა) იყო თუ არა ქართული წარმართული პანთეონი ზოროასტრული და არის თუ არა სომხური საწყისი ქართულ გენში?

ბ) თვალი გადავავლოთ ძველ პონტო-კაბადოკიასა და კაბადოკიელი წმინდა მამების: წმინდა გიორგის, წმინდა ნიკოლოზის, ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, გრიგოლ ნოსელის წარმომავლობას.

გ) რა არის მონოფიზიტიზმი და ჰქონდა თუ არა საფუძვლები პრეისტორიული ხანის ქართულ ეკლესიას და ქართველი ხალხის რწმენას მონოფიზიტურ, ე. ი. სომხურ ნიადაგში?

დ) კონსტანტინოპოლის მე-2, 381 წლის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე რატომ არ იყვნენ სომხები მიწვეულნი?

ე) რატომ ითვისებენ სომხები მცხეთის „ჯვარს“, წრომს, ატენის „სიონს“, იშხანს, ოშკს, ბანას, ხახულს? და როგორია მონოფიზიტური მრწამსის გამომხატველი სომხური ხუროთმოძღვრების ძეგლები?

ვ) ვინ იყო ვახტანგ გორგასალი? მონოფიზიტი თუ მართლმადიდებელი?

ზ) მე-6 საუკუნის ქართული ეკლესიის აღმსარებლობა იყო თუ არა მართლმადიდებლური? და ვინ იყვნენ 13 ასურელ მამათაგანნი? დავით გარეჯელი იყო სომეხი?

თ) სვეტიცხოველი – მართლმადიდებლური სულიერების გენია!..

* * *

ახლა ვნახოთ რა იყო, ან როგორი იყო წარმართული ხანის ქართული ღვთაებები?

ამ საკითხის უმტკივნეულოდ გადასაწყვეტად უნდა მოვიშველიოთ „ქართლის ცხოვრება“, სადაც მოთხრობილია ქართველთა მეფის, ფარნავჯომის მიქცევის შესახებ დედის, ე.ი. სპარსთა ცეცხლთაყვანისმცემლურ სარწმუნოებაზე. ვნახოთ როგორ ახასიათებს მეისტორიე ფარნავჯომს: „...ამის შემდგომად შეიყუარა (ე.ი. ფარნავჯომმა) სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანა სპარსეთით ცეცხლის მსახურნი და მოგუნი, და დასხნა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსაც აწ ჰქვიან მოგუთა, და იწყო ცხადად გმობად კერპთა. ამისთვის მოიძულეს იგი მკვიდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქუნდათ კერპთა მიმართ“ (ქართლის ცხოვ. I, 1955წ. გვ. 29).

გამეფების პირველ ხანებში, როგორც ქართველი ხალხის მეფეს შეეფერებოდა, იგი (ფარნავჯომი) თაყვანსა და პატივს სცემდა მამა-პაპის ღმერთთა კერპებს, შემდეგ კი როგორც ვხედავთ, დედის სარწმუნოებაზე გადავიდა და მოგვები მოიყვანა მცხეთაში. ამისთვის მოიძულეს „მკვიდრთა ქართლისათა“... (ხაზგასმულია). ჩვენ ვიცით, იმავე ქართლის ცხოვრებიდან, რომ არმაზის კერპი მეფე ფარნავაზმა აღმართა, ხოლო ფარნავჯომმა გამეფების პირველ წლებში თვითონ აღმართა ზადენის ანთროპომორფული გამოსახულება მცხეთასთან, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, ზადენის გორაზე – ზედაზენზე. ამ დროს ქართველთა თაყვანისცემის საგანს წარმოადგენდნენ ქართლის დიდი ღმერთები არმაზი და

ზადენი, აგრეთვე გაცი და გაიმ. ფარნავჯომის მეფობის შემდგომი პერიოდი დამძიმდა, აშკარად ეტყობა სპარსთაგან ზეწოლა და მეფის სულიერი სისუსტე, რადგან: „მეფე ჩუენი გარდახდა სჯულსა მამათა ჩუენთასა: არღარა მსახურებდეს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა და შემოიღო სჯული დედული“... და ...ხალხმა განაჩენიც მსწრაფლ გამოუტანა მეფეს: „...აწ არღარა ღირს იგი მეფედ ჩუენდა.“ ეს ციტატაც „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეული ნუსხიდანაა აღებული. ე.ი. ადვილი გასაგებია, რომ: ფარნავჯომი „გარდახდა სჯულსა მამათა ჩუენთასა“ და „...არღარა მსახურებდეს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა...“ აბსოლუტური სინათლეა!.. მეისტორიე საოცრად გასაგები ენით გვაუწყებს, რომ მამა-პაპათა, ე.ი. ქართველთა ღმერთები დასაბამიდან იყვნენ არმაზი და ზადენი, ცეცხლთაყვანისმცემლები კი სპარსები! ცეცხლის მსახურები ფარნავჯომმა თავისი დედულიდან, სპარსეთიდან მოიყვანა! არც ადრე და არც ფარნავჯომის დროინდელ საქართველოში ცეცხლის მსახურება არ იყო ქართველთა სჯული! იგი სპარსთა სჯულია და მათი, ე.ი. მოგვთა მოყვანით საფრთხე დაემუქრა მამა-პაპათა ქართულ ღმერთებს.

ქართველ მეცნიერთა ნაწილი ძალისხმევას არ იშურებს, რომ როგორმე ანტიკური დროის ქართველები ცეცხლთაყვანისმცემლებად აქციოს, რაც წარმოუდგენელი და არაბუნებრივია ოდნავ ისტორიაში ჩახედული არამარტო მეცნიერისთვის, ჩვეულებრივი რიგითი ადამიანისთვისაც. ქართულ საისტორიო წყაროებში დაცულია ზოროასტრული ღვთაების სახელი „ითრუშან“ – „ითრუჯან“, რაც ფალაურად ნიშნავს „ატრუშან“ – „ატროშან“. იგი დაპირისპირებულია და ებრძვის ქართულ არმაზს. „ქალდეველთა (ამ შემთხვევაში ქალდეველებში სპარსები იგულისხმება, რადგან ქალდეა სპარსეთს ჰქონდა დაპყრობილი) ღმერთი ითრუჯან და ჩუენი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადვე მტერ არიან: ამან სამე მას ზედა ზღუა მოაქცია, და აწ მან შური იძია და მის მიერ მოიწია ესე“. ქართველთა არმაზის და სპარსთა ითრუჯანის დაპირისპირება ცხადი იყო ხალხთა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ითრუჯანის არც კერპი და არც არავითარი სალოცავი არ ყოფილა საქართველოში და არ ჰქონიათ ქართველებს, ხაზგასმით ვამბობ, ქართველებს! რაც შეეხება მცხეთის მოგვთა უბანში მცხოვრებ სპარსებს, ისინი ცხადია, თავიანთ ღმერთს სცემდნენ თაყვანს. ყურადსაღებია, რომ ითრუჯანი ისეთი სტიქიის ღმერთია, (ე.ი. ცეცხლის), რომლის განადგურებასაც წყლით ახერხებდა არმაზი, რადგან არმაზი ჭექა-ქუხილის, წვიმის, წყლის ძალთა მპყრობელი და ქართველთა წარმართული პანთეონის ღმერთთა კრებულის უმთავრესი – მთვარის ღვთაებაა.

„მოქცევაში“ (წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, ქართლის ცხოვრება) აღწერილია, რომ ზედ ქართლის ქედის წვერზე იდგა „კაცი ერთი სპილენძისა და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭვ ოქროისა და ჩაფხუტი ოქროჲსა, და სამხარნი ესხნეს ფრცხილი და ბივრიტი და ხელსა შინა მისსა აქუნდა ხრმალი ლესული, რომელი ბრწყინავდა და იქცევოდა ხელსა შინა რეცა თუ რომელი შეეხებიან თავი თვისი სიკვდიდ განიწიროს... და მარჯულ მისა დგა კერპი ოქროისა, და სახელი მისი გაცი, და მარცხლ მისა კერპი ვერცხლისაჲ: და სახელი მისი: გა. რომელნი იგი ღმერთად ჰქონდეს მამათა თქუენთა არიან ქართლით.“

ჟამთა აღმწერელი შესანიშნავ ცნობას გვაწვდის წმ. ნინოს ისტორიაში, რომ ქართველთა მამა-პაპათა ღმერთი არმაზია, რომელიც იგივეა, რაც „ჯგირაგი“, რაც იგივე გიორგის ნიშნავს. ჩვენ ვიცით, რომ ებრაული სიტყვა თუბალი – ბერძნულად იბერ-ტიბარენია! შუმერულად „იბერ“ – მთვარის ძეს, იგივე მთვარეს ნიშნავს. დორინგის მიხედვით „იბერ“ – მთვარის წარმართული კულტია. ე.ი. ქართული წარმართული პანთეონისთვის მთვარის ღმერთის წოდება „იბერი“ და „გიორგი“ – იდენტურია. ბერძნები ამიტომ მოიხსენიებენ საქართველოს გეორგიად, იბერიად!!! მეცნიერები ცდილობდნენ დაედასტურებინათ, რომ რადგან „გიო“ – იგივე „გეო“ დედამიწას აღნიშნავს, გეორგია – მიწის მუშაკი იქნებოდა. ეს დასაშვებია, რადგან საქართველო მიწათმოქმედთა ქვეყანა გახლდათ თავიდანვე, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძველი ეგვიპტე მიწათმოქმედთა კლასიკური ტიპის ქვეყნად ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ 4500 წლის წინ და ბერძნებს მისთვის არ შეურქმევიათ „გეორგია“, და კიდევ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ანტიკური ხანიდან ქართველი ტომები მეტალურგები იყვნენ და ამასთან ერთად ვერცხლის საბადოებს ამუშავებდნენ, ჰქონდათ საკუთარი ოქროს საბადოები, მაგრამ ეს მომენტი არსად ასახულა ისტორიაში, გარდა არგონავტების თქმულებისა, და კიდევ, ისტორიას შემორჩა ძვირფასი ცნობა: სოლომონის ტაძრის გენიალური ხუროთმოძღვარი ხირამი ქართველთა წინაპარი იყო, ხალიბი!

დავუბრუნდეთ ჩვენს სათქმელს, რომ ჟამთა აღმწერელი აღწერს რკინის კერპს, რომელიც მეომარი მამაკაცია და ხელში „ლესული ხრმალი უჭირავს“... ტანზე აცვია ოქროს ჯაჭვის პერანგი და თავზეც ოქროს ჩაფხუტი ახურავს... ანთროპომორფული არსება და არსებები, რადგან სხვებიც ამგვარად გამოისახებიან, ოღონდ ლითონშია სხვაობა, ხაზგასმულია, რომ არიან „მამა-პაპათა ღვთაებები არიან ქართლით!“ ე.ი. საქართველოს ძველი ტერიტორიიდან, რომელიც იმჟამად უკვე არიანიზირებული, ე.ი. არიანების, იგივე სპარსთა მიერ იყო დაპყრობილი. ღვთაებათა ქანდაკებების ლითონთა სხვაობა ოქრო, ვერცხლი, სპილენძი და მათი დამზადების წესი ძვირფასი თვლებით – ეს ყოველივე ძველ ქართული, იგივე სუბარულ-ხურიტული, სუმერული და ურარტული ხელოვნების დამახასიათებელი თვისებაა, რაც დასტურდება არქეოლოგიური მასალებით. აქედან ნათელი ხდება, რომ ურარტუელები არავითარ შემთხვევაში არ იყვნენ ზოროასტრიზმის, იგივე აჰურამაზდას მიმდევრები! ე.ი. ძველ სპარსულ აჰურამაზდას არავითარი კავშირი არა აქვს არმაზთან! და კიდევ... ძველ ირანულ ხელოვნებაში შემონახულია აჰურამაზდას მხოლოდ სიმბოლური ნიშნები – ფრთოსანი მზის წრე!!! შეგიძლიათ იხილოთ შალვა ამირანაშვილის შრომა „ქართული რელიეფური ქანდაკების უძველესი ნიმუში“, საქართველოს მუზეუმის მოამბე, XII-B, 1944, გვ. 118. და კიდევ, ავესტის ტექსტებიდან მეცნიერებმა კარგად იციან, რომ აჰურამაზდას ანთროპომორფული სახით წარმოდგენა შეუძლებელია! რადგან მას არმაზისგან განსხვავებით ადამიანის სახე არ აქვს! რაც შეეხება სახელს – არმაზს, ის ხეთური, იგივე ხათური წარმოშობისაა. ხე-

თურად მთვარესა და მთვარე ღმერთს Armas უწოდებდნენ და Arma ძირიდან იწარმოებოდა. ე.ი. წარმართული მთვარის ღვთაების სახელი არმაზი „ხათურ კულტურას უკავშირდება“ – ანდრია აფაქიძის და ევროპელ მეცნიერთა აზრით. რაც შეეხება ხათური ან იგივე ხეთური სახელის შემოსვლას ქართლში, ეს გასაკვირი აღარაა, რადგან ანტიკურ ეპოქაში ჩვენ უკვე ვიცით უძველესი ქართული ტომის, ბიბლიური მესხების, იგივე მუშქების მიგრაცია ჩრდილო-აღმოსავლეთით, კერძოდ მტკვრის სათავიდან მის შუა წელამდე, ჩრდილო-დასავლეთით კი ჭოროხის ხეობაში ჭანეთ-ლაზეთის აღმოსავლეთით. მესხების მიგრაციას უკავშირდება მტკვრისა და არაგვის შესაყართან სამეფო ქალაქის დაარსება, რომელსაც მცხეთა დაერქვა, და შემდეგ აქვე გავრცელდა ანტიკური ეპოქიდანვე საქართველოში არსებული მთვარის ღვთაების ამჯერად უკვე სამხრეთელი ქართველების, იბერების, მესხების მესხური სახელი „არმა“ – იგივე არმაზი! ეს პერიოდი უნდა ვივარაუდოთ ძვ. წ. V-IV საუკუნეებში, როცა სპარსეთმა კიმერიელების დახმარებით ურარტუს ქვეყანა დაანგრია და ალაროდიული ქართული მოსახლეობა იქედან გამოდევნა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ გამოდევნილმა მოსახლეობამ იბერიას შეაფარა თავი, მათ ნასახლარზე კი სპარსეთმა თავისი მონათესავე სომხური ტომი დაასახლა!

მთვარის ღვთაებისათვის არმაზის სახელის წოდებას არავითარი გართულება არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა, რადგან მთვარის ღვთაება, როგორც უკვე აღვნიშნეთ უძველესი, ანტიკური პანთეონის უმთავრესი ღვთაება იყო ქართველი ტომებისთვის. ისიც ვიცით, რომ წმინდა ნინოს დროს ქართული პანთეონიდან განიდევნა სახელი და კერპი „არმაზი“, მაგრამ, როგორც რეალურმა ცხოვრებამ გვიჩვენა მთვარის ღვთაების თაყვანისცემას დღესაც კი გაუცნობიერებლად განაგრძობს ქართველი ხალხი. ამას მოწმობს ჯერ კიდევ წინა ქრისტიანულ პერიოდში მთვარის კულტის შერწყმა წმინდა გიორგის სახელთან, რაც შეეხება დღესასწაულებს, ე.ი. ხატობებს, იგი ისეთივე სახეს ატარებდა ადრე და შემდეგ ქრისტეს განკაცებიდან მთელი 2000 წლის მანძილზე და ატარებს მეტ-ნაკლებად დღესაც და თან მთელი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე და მის გარეთაც, ყველგან, სადაც ქართველ ტომებს უცხოვრიათ ანტიკური დროიდან და ცხოვრობდნენ გასული საუკუნის ჩათვლით. ამის შესახებ უამრავი მაგალითი მოგვეპოვება სტრაბონიდან მოყოლებული. საქართველო ანტიკური ეპოქიდანვე განვითარებული მელითონე და მიწათმოქმედების ქვეყანა იყო, და ჩვეულებრივი მოვლენაა როცა ასეთი ქვეყნის ღვთაებათა პანთეონში თაყვანს სცემენ უმთავრესს და ყოვლისშემოქმედ ღვთაებებს, რომელიც წვიმას აძლევს მიწას, მიწის ნაშობს ზრდის, სოფელს თავის ყოვლისშემძლეობით იპყრობს და უხვად აფენს მზის სხივებს... ჩვენ ვიცით, რომ ასევე მთავარი ღვთაება მთვარის შემდეგ მზე იყო... და თანაც „...ძუელნი ღმერთნი მამათა ჩვენთანი“, როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვეუბნება. ტ.I, 1955წ. გვ. 106; ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ხარის გამოსახლებას საკულტო საგნად, რადგან ხარი, როგორც ადრევე მოგახსენეთ, მთვარის ზოომორფული სახეა და უმეტეს შემთხვევაში ხარის რქებს საკულტო გამოსახულებებში ახალი მთვარის მოყვანილობა აქვს!

ზოროასტრიზმთან ბრძოლა ძველ ქართველ ტომთა მიწა-წყალზე არმენიელთა ჩასახლების შემდეგ დაიწყო. დაიწყო და არც განელებულა ქრისტიანობის შემოსვლამდე. შემდეგ კი მეზობელ ხალხთა შორის დაპირისპირებამ ახალ განზომილებაში იჩინა თავი, მართლმადიდებლობასა და მონოფიზიტობას შორის, რომელსაც ცოტა მოგვიანებით შევეხები. ამჯერად ისევ ზოროასტრიზმს, ან ჩვენთვის კარგად ნაცნობ აჰურამაზდას, ან იგივე ითრუჯანს დავუბრუნდეთ: ას წელზე მეტი თუ იქნება, როცა საზღვარგარეთ (გერმანიაში) მიღებული განათლებით დაბრუნებული ქართველი ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელნიც რწმენის ამაღლებულ სულიერებაზე თავს აღარ სდებდნენ და არც შეეძლოთ დაედოთ, რადგან რუსულმა იმპერიალისტურმა პოლიტიკამ ქართული ეკლესია ფაქტიურად გაანადგურა და თბილისში სომხური საკათალიკოსო შექმნა! – ამის შედეგად ქართველთა მომავალ თაობას ცოტა თუ შემორჩა სულის განმაკურნებელი მოძღვრები, რადგან სომხური სარწმუნოება ახლაც და 2400 წლის წინაც უცხო იყო ქართული სულისთვის, ისინი (ქართველი ახალგაზრდობა XIX-XX სს-ის) ინტელექტუალურ თავშესაფარს ათასგვარ ფილოსოფიურ მიმდინარეობაში ეძებდნენ. ევროპა დაბნეული იყო, კათოლიკური ქრისტიანული იდეოლოგია მრავალ მიმდინარეობად და სექტებად იყო დაყოფილი. უარესიც, წარმოიშვა აბსოლუტურად განსხვავებული, ქრისტიანობის საწინააღმდეგო თეოლოგიური მიმდინარეობები, – განსაკუთრებით ნიცშეანიზმი, რომელსაც შემიძლია შეშლილი ფილოსოფია ან შეშლილთა ფილოსოფია ვუწოდო, გამოგონილი ქრისტიანობის გასანადგურებლად თუ არა, გასაბინძურებლად მაინც. ოდესღაც, 2000 წლის წინ ზოროასტრიზმის აჰურმაზდა, იგივე ნიცშეს ზარატუსტრა, იგივე ითრუჯანი ან გინდაც ატროშანი ცდილობდა დაეწვა და დაეფერფლა იბერიული ღვთაებები და იბერიელთა საცხოვრისი! XIX და XX საუკუნეების ზოროასტრიზმმა, მართალია შეცვლილი ზარატუსტრას შეშლილი ფილოსოფიის სახით, ლიუციფერის შეუდარებელი ჯადოქრობითა და ჯადოსნობით, ნიცშეს ფილოსოფიური სიგიჟით შეპყრობილი ადამიანების ხელით შეეცადა შეებილწა ქრისტიანული მოძღვრების სიწმინდე და როგორც 1700 წლის წინ ბერძნული ფილოსოფიის დიალექტიკას ამოფარებული არიოზი ცდილობდა შეერყვნა წმინდა მართლმადიდებლური ქრისტიანული ღვთისმეტყველების მორალი, თითქმის იგივე შეძლო ნიცშემ, ცხადია იმ მასშტაბებით ვერა, მაგრამ მისმა მოძღვრებამ საუკუნეს მაინც გაუძლო და საკუთარ თეორიაზე დაყრდნობით და ლოგიკის ყოვლისშემძლე მანქანის წყალობით მოზეიმე ხმით გამოაცხადა: „ღმერთი მკვდარია“, „ღმერთი მოკვდა“! და ამის შემდეგ მე, რიგით მოკვდავს მებადება უბრალო კითხვა: რა უსაზღვროა ღვთისგან მონიჭებული ნება ადამიანთა გონების თავისუფლებისთვის, რა დიდ შესაძლებლობას აძლევს უფალი თითოეულ ჩვენთაგანს რომ არ გასწიროს საკუთარი გონება და უპირველესად სული მარადიული ტანჯვისთვის! ე.ი. ადამიანს თავისუფალი ნების წყალობით აქვს არჩევანის

უფლება სულის უკვდავება თუ ჯოჯოხეთი! ან კიდევ: ღმერთი თუ სატანა?

მაპატიოს განსვენებული ნიცშეს სულმა, მაგრამ ვერ გავიზიარებ ზოგიერთი მეცნიერის აზრს ნიცშეს „გენიალური ფილოსოფიის“ შესახებ, სადაც ის (ე.ი. ნიცშე) შეეცადა თავისებურად აეხსნა „ტრანსცედენტული ჭეშმარიტების“ გამომხმატველი ესთეტიკური ფენომენი (ზარატუსტრა) და ამ ფენომენის კულტის შექმნის აუცილებლობა! თვით „ტრანსცენდენტულის“ საზრისი გამორიცხავს ჭეშმარიტებას, რადგან ეს მცნება რთულად ან და მარტივადაც შემეცნებისთვის მიუღწეველის ძიებაა! ნებისმიერ ინდივიდს უფლება აქვს რაც უნდა ის ეძებოს ამ მშვენიერ ღვთიურ სამყაროში, მაგრამ გონიერ ადამიანს უფლება არა აქვს ამ ძიებას ჭეშმარიტება უწოდოს მანამ, სანამ ძიების შედეგად ნაპოვნი, გამოკვლეული, ჭემაშრიტებაზე დაფუძნებული, ე.ი. პოზიტივისტური და რეალური ფაქტი არ გამოიკვეთება ნებისმიერ მეცნიერულ სფეროში. რაც შეეხება თეოლოგიურ მეცნიერებას, და ამათგან უმთავრესს! – მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებას, ერთდროულად იმდენად უსაზღვრო და უბიწოა მისი შინაგანი ბუნება, რომ ჩვეულებრივი „გონება ვერ შემძლებელ არს წვდომად მისსა!“ მჯერა, რომ ასე იტყოდნენ ჩვენი ბრძენი ათონელი წმინდა მამები!

ნებისმიერი ერის წარმართული პანთეონი სისხლხორცეულ კავშირშია მის გენეტიკურ წარმომავლობასთან და მიწასთან, სადაც აღნიშნული ერის მოსახლეობაა განთავსებული, ე.ი. მამულთან! ქართველთათვის ეს სიტყვა წმინდაა, ამაღლებულია! ქართველი ერის ანტიკურ წარმომავლობაზე მრავალგვარი აზრია მეცნიერებაში გამოთქმული, მაგრამ როგორც იტყვიან, „ყველა გზა რომში მიდისო!..“ აქაც შეგვიძლია გავიმეოროთ, რომ უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე სწორედ ქართველი ერის წარსული გახდა ენათმეცნიერთა, ანთროპოლოგთა, არქეოლოგთა და ორიენტალისტთა აქტიური კვლევის საგანი. აღნიშნულ საკითხზე მრავალგზის ვისაუბრე სტატიის წინა თავში, რომელსაც „იუდას მორალი“ ვუწოდე და გამეორებას აღარ ვთვლი საჭიროდ; ერთი რამ ცხადია, რომ ვილჰელმ ჰუმბოლტის თეორიის მიხედვით ჩამოყალიბებული და საკმაოდ მყარ საძირკველზე დაფუძნებული დებულება – პროტოიბერებისა და კრეტა – მიკენის კოლხ-პელაზგური, იგივე მედიტერანული რასის ეთნოგენეზისის კვლევათა შედეგების იდენტურობა აშკარად მნიშვნელოვანია პალეოკავკასიური და ხმელთაშუა ზღვის აუზის ხალხთა ისტორიისთვის.

რაც შეეხება ანტიკური ოლიმპოს პანთეონს, რომელიც ბერძნებმა მემკვიდრეობით მიიღეს თავიანთი ახლანდელი მიწაწყლის პირველ მოსახლე პელაზგებისაგან, იკვლევს და ხსნის საიდუმლოებებს, რომლის ერთი გასაღები ოქროს საწმისის გატაცებაა კოლხეთიდან მედეას საშუალებით, და მეორე კი – პალადიუმისთვის – იგივე ელენეს, იგივე სოფია – სიბრძნის დაუფლებისთვის ბრძოლაა, ამჯერად უკვე ტროას ცხენის საშუალებით. ცხენი სიმბოლურად ინტელექტია და მზის ზოომორფული სახე, აიეტი კი ვიცით მზის შვილი იყო და მემკვიდრეობით ფლობდა ღვთაებრივ სიბრძნეს. ე.ი. ბერძნებმა საკუთარი ინტელექტი განავითარეს კოლხ-პელაზგთა სიბრძნის მეშვეობით, ისევე, როგორც ოქროს საწმისის გატაცებით და მედეას დახმარებით ჩასწვდნენ სამყაროს საკრალურ საიდუმლოებებს: სიცოცხლის, სიმდიდრის, სილამაზის და ყოველგვარი ღვთაებრივი აზროვნებისა და ნიჭის მოსაპოვებლად. ამ თვისებების შემცნობი და მატარებელნი კი როგორც უკვე ვთქვით, იყვნენ კოლხ-პელაზგური, ან კიდევ პალეოკავკასიური და კრეტა-მიკენური მოდგმის მედიტერანული რასა, იგივე პროტოიბერიული, პრომეთეს, ან უფრო სწორად ამირანის მოდგმისა და სისხლის ხალხი! ეს სიტყვები არ არის ხმამაღლა ნათქვამი! ჰუმბოლტის მსგავსად ამ აზრს იზიარებდნენ და დღესაც იზიარებენ მსოფლიოს წამყვანი ორიენტალისტები! და ბოლოს... ყველასთვის კარგად იყო ცნობილი და ბერძნულ წყაროებში მრავალგზის დამოწმებული ქალაქ ფასისთან ქვის კვარცხლბეკზე მდგარი იბერიელთა მცველი და მფარველი ღვთაება, დიდებული და ყოვლისშემძლე ქალღმერთის, დედა-დედოფალ რეას, იგივე კიბელას გამოსახულება (ალბათ ქანდაკება). მართალია პელაზგურ-ბერძნულ კიბელას ან კიბელეს ქართულ საცხოვრისში პროტოტიპი მოეძებნება კოპალას ან კოპალეს სახით, მაგრამ თვით კიბელეს სახელი ან ოდნავ სახეცვლილი, კერძოდ „კიბულას“ ტოპონიმი ახლაც არის შემორჩენილი ქუთაისში და ქვია ერთ-ერთ უბანს და ერთ-ერთ ქუჩას, რადგან ის ქუჩა ქუთაისის ცენტრიდან მოშორებითაა და ქალაქის უძველეს უბანშია, ამის გამო ყურადღება არავინ მიაქცია მის არსებობას და ამ სახელის წარმომავლობით არავინ დაინტერესებულა და ამის ბრალიცაა რომ დღემდე უძველეს და ულამაზეს პაწაწინა ქუჩას, ასევე ულამაზეს უბანში მწვანე ყვავილაზე ეს ანტიკური სახელი შერჩა. ის ქუჩა ჩემთვის ძალიან ძვირფასია. იმ ქუჩაზე ჩვეულებრივი ქუთაისური, თეთრი ქვის პერანგში ჩაცმული სახლი დგას, სადაც გავიზარდე და სადაც ცხოვრობდნენ ჩემი ბაბუა, ქუთაისის კოლორიტი, უგანათლებულესი პიროვნება და მამულზე უზომოდ შეყვარებული ძირძველი მესხი გიორგი ვახტანგაძე და ბებია, მართლმადიდებელი სამღვდელოების შთამომავალი, ღრმადმორწმუნე კეთილშობილი ქალბატონი თინათინ სოფრომაძე. დიახ... ანტიკური ფესვები დღესაც მკვეთრად აჩნია ჩვენს საცხოვრისს, ხოლო რაც შეეხება ქუთაისს, ჩემმა მკითხველმა კარგად იცის, რომ ამ ქალაქს ასაკი არ გააჩნია, დიახ, თუ შეიძლება ითქვას წარღვნის დროინდელია და ისტორიაში ანალოგი არა ჰყავს, რადგან უძველესი ქალაქია დედამიწაზე და მისი დაარსების დათარიღება მეცნიერებმა ვერც შესძლო და ვერც გაბედა...

ამდენად, ჩვენ მეტ-ნაკლებად ამოვწურეთ კოლხიბერთა ეთნიკური წარმოშობისა და წარმართული პანთეონის საკითხი და დავრწმუნდით, რომ სომხურთან არავითარი კავშირი არა აქვს, გარდა 2400 წლოვანი სისხლიანი მეზობლობისა და რაც შეეხება სომხურ წარმართულ პანთეონს, ჩვენ უკვე კარგად ვიცით, რომ ზოროასტრულ რელიგიას დღესაც კი მკვეთრი და თავისებური გავლენა აქვს სომხეთის ეთნო ტოპონიმიკაზე, სალაპარაკო ლექსიკასა და ონომასტიკაზე და ეს არც არის გასაკვირი.

კითხვას ამომწურავი პასუხი შეიძლება ძალიან მოკლედაც გაეცეს, რომ ქართული წარმართული პანთეონი, არავითარ სიახლოვეს არ ამჟღავნებს სომხურ, ზოროასტრულ პანთეონთან და ქართულ გენში არც საწყისია რაიმე სომხური და არც შემდეგი პერიოდის.

რაც შეეხება მომდევნო საკითხს, „ვინ და რა ეროვნების იყო წმინდა ნინო და რა მისიით შემოვიდა საქართველოში?“ საკმაოდ რთული საკითხია, მაგრამ არა გაურკვეველი. რთული იმდენად, რამდენადაც სომხური შუა საუკუნეების ისტორია და ლიტერატურა, როგორც ყოველთვის ყველაფერს და ყველას გვედავებოდა, წმინდა ნინოს წარმომავლობის მისასაკუთრებლად კი სომხერი სვინაქსარი ბოლომდე იბრძვის. ჩვენ კი იძულებულნი ვართ ვამტკიცოთ, რომ თეთრი – თეთრია და შავი – შავი.

დავიწყოთ თავიდან, ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ „ადერკის მეფობასა შინა მოვიდეს ათორმეტთა მოციქულთაგანი ანდრია და სვიმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს და მუნ აღესრულა სუიმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსისა საზღუარსა ბერძენთასა. ხოლო ანდრიამ მოაქცია მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა“-ო. ეს იყო ქრისტიანული რწმენის გზაზე პირველი ხილული და ნათელი კვალი, მისიონერული ცხოვრების დასაწყისი. ცნობები არ მოგვეპოვება ანდრია მოციქულისა და სიმონ კანანელის ეროვნებაზე, მაგრამ ეს არც არის დავის საგანი, რადგან მოციქულები ძირითადად იუდეველნი, ე. ი. ებრაელები იყვნენ. საქართველო-საბერძნეთის უშუალო მეზობელი ქვეყანა იყო და მცირე აზიიდან სწორედ აქ უნდა გავრცელებულიყო ახალი და რაც მთავარია მართალი სარწმუნოება! ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე ქრისტიანული თემები უეჭველია მაცხოვრის ჯვარცმა-აღდგომიდან უკვე არსებობდა ჩვენს მიწა-წყალზე, რადგან ქრისტიანული მორალი ისე არ ენათესავება არც ერთი ერის გენეტიკურ და სულიერ მორალს, როგორც ქართულს. მოციქული ანდრიას მოღვაწეობის შემდეგ ლეონტი მროველი მოგვითხრობს: „მოქცევა მირიან მეფისა და მისთანა ყოვლისა ქართველისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“. მროველი თავის ისტორიის ძირითად წყაროდ „მოქცევაი ქართლისას“ თხზულებას ასახელებს. აღნიშნული თხზულება წმინდა ნინოს ცხოვრებისა 1890 წელს გამოსცა ე. თაყაიშვილმა და ახალი ვარიანტი არსებითად განსხვავდება სხვა ცნობებისაგან. მასში არ ჩანს წმინდა ნინოს ვინაობის დამადასტურებელი რაიმე ფაქტი. იგი რიფსიმე-გაიანეს ლტოლვილი მეგობარია რომიდან და თრდატის სომეხთა მეფის მიერ წამებას ქართლში გამოქცევით დააღწია თავი. შატბერდისეულ წმ. ნინოს ცხოვრებაში ნინოს მშობლებზე საინტერესო ცნობები მოიპოვება. ნინოს მამა ზაბულონი წმინდა გიორგის წამების დროს კაბადუკიაში ყოფილა. შემდეგ წასულა რომში. მე დეტალებს აღარ მიმოვიხილავ, რადგან მკითხველს კარგად მოეხსენება რამდენ ხანს დაჰყო ზაბულონმა რომში, როგორ იბრძოდა ბრანჯების, ე.ი. ფრანგების წინააღმდეგ, როგორ ჩაიგდო ტყვედ მათი ბელადები, შემდეგ როგორ უშუამდგომლა მათ და სიკვდილს გადაარჩინა, მოაქცია ისინი ქრისტეს სარწმუნოებაზე და ამის შემდეგ ჩააცილა კიდევაც თავიანთ სამშობლოში. ზაბულონი ყოველივე ამ ამბის შემდეგ ჩადის იერუსალიმში და ცოლად ირთავს იერუსალიმის პატრიარქის იობენალის დას სუსანას. გასჩენიათ ერთი ქალიშვილი ნინო, რომელიც რა თქმა უნდა დაბადებიდან ქრისტიანულ გარემოში იზრდებოდა.

აქ შევჩერდეთ. ე.ი. წმინდა გიორგი დიოკლეტიანემ აწამა 303 წელს. მაშინ ზაბულონი ახალგაზრდა, უცოლო იყო. თარიღები, ისტორიულ პირთა სახელები, მოქმედების დრო და ადგილი აბსოლუტურად ემთხვევა ისტორიული წყაროების მონაცემებს. ე.ი. ზაბულონი კაბადოკიელი იყო. კაბადოკია რომის რიგითი პროვინცია გახლდათ, სადაც შერეული მოსახელობა ცხოვრობდა: რომაელები, ბერძნები, სომხები, ასირიელები, ქურთები და აბორიგენი კაბადოკიელები. აბორიგენი კაბადოკიელები ჩვენ კარგად ვიცით, რომ მესხები არიან! კაბადოკია მესხთა ძირძველ ანტიკურ სამშობლო ქვეყანას, მამულს ერქვა. ე.ი. როცა პიროვნება იწოდება კაბადოკიელად და არა სომხად, ან რომაელად ან სხვა ეროვნებად, იგი მესხია და ადგილობრივი მკვიდრის სტატუსით სარგებლობს! აქედან ჩანს, რომ ზაბულონი კაბადოკიელი – ე.ი. მესხია, იგივე იბერიელი! ზაბულონის კაბადოკიელობას მიუთითებს ყველა ისტორიული წყარო: ქართული, ბერძნული და ლათინური. ქართველთა მოქცევის ხელშესახები ცნობები მოეპოვება თეოდორიტე კვირელს თავის „ეკლესიის ისტორიის“ 24-ე თავში (448-449წ.წ.), აღნიშნული თხზულება გამოყენებული აქვს ეფრემ მცირეს. თეოდორიტე კვირელს ცნობები თავისი ნაწარმოებისათვის აუღია გელასი კესარიელისგან, რომელიც შედარებით მოკლეა, მაგრამ ყველა ძირითად ცნობას შეიცავს და თხრობაც გარკვეულია. რაც შეეხება სომხურ წყაროს, ხორენაცი ახსენებს ტყვე ქალს, ნეტარ ნუნეს, რომელიც რიფსიმიანთა ამხანაგად და დევნულად (თრდატისაგან, ე.ი. სომეხთა მეფისაგან) მოიხსენიება, ის კურნავდა ხალხს. განკურნა „ქართველთა წინამძღოლის“ (და არა მეფის!) მირიანის ცოლიც (და არა დედოფალი!). საინტერესოა ერთი განსხვავებული მომენტი სხვა წყაროთაგან, ნინო როცა მოაქცევს დედოფალს და მეფეს, ამის შემდეგ „სანდო კაცებს აგზავნის წმინდა გრიგოლთან შემდეგი დავალების მისაღებად...“ – დასაშვებია, რომ ხორენაცმა ისარგებლა სხვა წყაროებიდან, ისიც დასაშვებია, რომ თავისებურად გადააკეთა ნინოს ცხოვრება, მაგრამ ის უკვე აღარ არის დასაშვები, რომ ქრისტიანობის კერად და იმპერატორ კონსტანტინე დიდის მაგიერ – სომხეთი და გრიგოლი ჩასვას მოქმედების არეალში, ე.ი. ზღვარს გადასული სიყალბეა, მაგრამ ეს ჩვენ ამ შემთხვევაში არ გვაინტერესებს.

ხორენაცის მიხედვით ნინოს სომხეთთან და სომხებთან აკავშირებდა მხოლოდ „რიფსიმიანებთან“ ამხანაგობა: „ერთი ქალი სახელად ნუნე, დევნილ და გაფანტულ წმინდა რიფსიმიანთა ამხანაგთაგანი ილტვოდა და მიაღწია ქართველთა ქვეყანას, მათ დედაქალაქს, მცხეთას.“ ეს სტრიქონები ალ. აბდალაძის ხორენაცის „სომხეთის ისტორიის“ ზუსტი თარგმანიდან გახლავთ (თბ., 1984წ. გვ. 170). დასკვნა ერთია, წმინდა ნინოს თავისი გზა ჰქონდა გასავლელი, საკუთარი ვალი მოსახდელი იგივე კაბადუკიელი მესხების წინაშე, რომლის ნაწილიც იყო ქართლი და საქართველო, მცხეთა! როცა სომხეთში რიფსიმიანები აწამეს, მიუხედავად იმისა, რომ მათთან ერთად ჩამოვიდა აქამდე, ნინო მათთან (ე.ი. რიფსიმიანებთან) არც გამოჩენილა და არც შეჩერებულა, საქართველოსკენ წამოვიდა, და სხვათა შორის არც გზის გაგნება გასჭირვებია სრულიად ახალგაზრდა ქალ-

წულს, ის თითქმის ბავშვია! აი ეს არის უმთავრესი მომენტი: მან ძალიან კარგად იცოდა სად, ვისთან და რისთვის მიდიოდა! ის თავის ქვეყანაში და თავისი ხალხისკენ ისწრაფვოდა, და არც უცდია თრდატის სამეფო კარზე ვინმეს მოქცევა ქრისტეს სარწმუნოებაზე და კიდევ... სომხეთის გაქრიატიანებას სომეხი ისტორიკოსები მიუთითებენ 301 წელს! რაც ყოვლად დაუშვებელია, ასევე ყოვლად დაუშვებელია 301-302წ.წ. გრიგოლის სომხეთის ეპისკოპოსად კურთხევა, რადგან თრდატის მფარველი იმპერატორი დიოკლეტიანე 284-305 წლების ჩათვლით განაგებდა რომის იმპერიას და სასტიკად დევნიდა ქრისტიანებს. სწორედ მან, დიოკლეტიანემ აწამა საშინელი ტანჯვით კაბადუკიელი დიდმოწამე გიორგი 303 წელს და ამდენად, რომის მფარველობაში მყოფი სომხეთი, რომელსაც რომი 289 წლის ნიზიბინის ზავის საშუალებით კანონიერად ფლობდა, ვერ გაბედავდა ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას! სწორედ დიოკლეტიანეს მიერ ქრისტიანების ხოცვა-ჟლეტის ანალოგიაა თრდატის მიერ რიფსიმიანთა ამოწყვეტა! ე.ი. შეუძლებელი იქნებოდა დიოკლეტიანეს მმართველობის პერიოდში სომხეთის ქრისტიანული ეკლესიის ღიად მოქმედება! და კიდევ... აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ცნობა, რომ დიდმოწამე გიორგის წამების დროს, ე.ი. 303 წელს ნინოს მამა, ზაბულონი რომში მსახურობდა და ცოლი არ ჰყავდა შერთული, ე.ი. ნინო დაბადებული არ იყო!

რიფსიმიანებთან ერთად ნინოს შესვლა სომხეთში უნდა ვივარაუდოთ არაუადრეს 313 წლის მილანის, იგივე ლიციინიუსის ედიქტის გამოცემის შემდეგ, როცა ქრისტიანული რელიგია დევნილი რელიგიიდან, ფაქტობრივად სახელმწიფო რელიგიად ცხადდებოდა არამარტო რომის იმპერიის, არამედ დაქვემდებარებულ ტერიტორიებზეც! ლიციინიუსზე გამარჯვების შემდეგ იმპერატორი კონსტანტინე ერთპიროვნული მმართველი გახდა და ქრისტიანულმა რელიგიამაც თანდათან გაბატონებული ადგილი დაიმკვიდრა იმპერიის ცხოვრებაში, რაც გამოიხატა კიდეც იმპერატორის ზრუნვაში ქრისტიანული ეკლესიის მიმართ. უაღრესად განათლებულმა კონსტანტინე დიდმა, რომელიც ქრისტიანმა დედამ, დედოფალმა ელენემ ქრისტიანულად აღზარდა, დაიახლოვა და შემოიკრიბა ეპისკოპოსები, მუდმივად მსჯელობდა მათთან ქრისტეს მოძღვრების დოგმატურ საკითხებზე. ამ პერიოდში დაუპირისპირდა მართლმადიდებელ ქრისტიანობას არიოზული მწვალებლობა, რის შედეგადაც კონსტანტინე დიდმა ბითვინიის ქალაქ ნიკეაში 325 წელს მოიწვია პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება. კრებას ესწრებოდა 318 ეპისკოპოსი, მათ შორის 111-ე ნომრით ბიჭვინთის ეპისკოპოსი. ნიკეას კრებამ მიიღო ერთიანი მართლმადიდებლური რწმენის კანონი, იგივე სიმბოლო მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენისა, ე.ი. „იესო ქრისტე, ძე ღვთისა ერთარსებაა მამისა, ე.ი. ერთარსია მამისა („ჰომოუსიო-ს“ – ბერძ.)“, არიოზი განდევნილ და გადასახლებულ იქნა ილირიაში, მისი მიმდევრები კი გალიაში! დაპირისპირება მართლმადიდებლებსა და არიოზელებს შორის არ შეწყვეტილა და იმპერატორის სასახლის კარზე მუდმივი დავის საგანს წარმოადგენდა, რადგან თვით იმპერატორისთვის უახლოესი ადამიანი, ევსევი კესარიელი, რომელიც საეკლესიო ისტორიის მამად არის ცნობილი და რომელიც ნიკეას რწმენის სიმბოლოს თავდაპირველი ავტორი გახლდათ (სიმბოლო კი, ვიცით, კრებაზე თითქმის თავიდან ბოლომდე შეიცვალა!), შინაგანად არიოზული მიმართულების იყო, რასაც თავიდან არ ამჟღავნებდა, ხოლო წლების შემდეგ შეეცადა მართლმადიდებელი და ნიკეას სიმბოლოს თაყვანისმცემელი იმპერატორი გადაერწმუნებინა თავისი უაღრესად დიდი რიტორიკული ნიჭის წყალობით, და მოახერხა კიდეც!

რომის იმპერიის პოლიტიკური და სოციალური წიაღსვლები და წინამძღვრები, საზოგადოებრივი და რელიგიური დაპირისპირებულობა და იმპერიული კანონიერების პოლიტიკური შეუვალობა უძღოდა წინ წმინდა ნინოს მისიონერულ მოღვაწეობას საქართველოში. რაც შეეხება კაპადოკია-პონტოს ადგილობრივ მოსახლეობას, მათ შორის მძლავრად იყო ფეხგადგმული ქრისტეს მოძღვრება და გასაკვირი არ არის აქაურ მკვიდრთა მისიონერული საქმიანობა იმპერიის მოსაზღვრე ეგრისიბერიაში, ენითა და სისხლით ნათესავ ხალხთან!.. აქაური მესხები და ჭან-ლაზები უპირველეს მოვალეობად სწორედ თავიანთი ჯიშისა და გენის ხალხის მოქცევას ესწრაფოდნენ ქრისტეს მართალ სარწმუნოებაზე. მათი რწმენა კიდევ უფრო გაამყარა თანამემამულის, იმპერიის ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავრის გიორგი კაპადუკიელის არაადამიანურმა წამებამ დიოკლეტიანეს მიერ 303 წელს! იმდენად დიდი იყო გიორგი კაპადუკიელის მიერ ქრისტეს მოძღვრების რწმენა, იმპერია შეარყია მისმა თავგანწირვამ და თავდადებამ, როცა სენატში ღიად და თამამად განაცხადა მან, განსაკუთრებული სილამაზით და გონებით დაჯილდოებულმა ძლიერმა ახალგაზრდა მხედართმთავარმა:

„მე მონა ვარ ქრისტესი, ღმრთისა ჩემისა და მსასოებელი მისი. საკუთარი ნებით წარვმდგარვარ თქვენს წინაშე, რათა ვეწამო ჭეშმარიტებისთვის...“ – რომმა წამიერად არსებობა შეწყვიტა!

ერთ-ერთმა სენატორმა გაუბედავად იკითხა:

„– რა არის ჭეშმარიტება?“

გიორგი კაპადუკიელმა ღრმა რწმენით მიუგო:

„– თავად ქრისტეა ჭეშმარიტება, დევნილი თქვენს მიერ.“

დიოკლეტიანემ სცადა... შეეჩერებინა იგი... დიდმოწამემ მიუგო:

„– ვერავითარი ამსოფლიური დიდება ვერ შეანელებს ჩემს სურვილს, ვემსახურო ჭეშმარიტ ღმერთს!“

ამ ღვთაებრივად ნათლითმოსილმა ჭაბუკმა, რომლის მკერდში დიდებული მესხური გული სცემდა და ძარღვები იბერიული სისხლით დაბერვოდა, გატეხა მსოფლიო იმპერიის სული! მისმა წამებამ უდიდესი რწმენითა და ძალით აღავსო ქრისტიანები, დანარჩენნი რომაელები, – სენატორებიც კი... გააქრისტიანა! იგი აღესრულა 303 წლის 23 აპრილს (6 მაისს). გაივლის 27 წელი და ქრისტიანულ სამყაროს მოევლინება კიდევ ერთი დიდი კაპადუკიელი – ბასილი დიდი!.. რომლის ღვაწლი მართლმადიდებლური ეკლესიისთვის მონოფიზიტური ერესის აღზევების ხანაში – მოციქულთა საქმეებს უტოლდება! და აი, ჩვენს წინაშე წამოიჭრა საკვანძო საკითხი: მონოფიზიტიზმი! რა არის მონოფიზიტიზმი და ჰქონდა თუ არა საფუძვლები პრეისტორიული ხანის ქართულ ეკლესიას და ქართველი ხალხის

მართლმადიდებლურ რწმენას სომხურ მონოფიზიტურ ნიადაგში?

ამ შემთხვევაში მონოფიზიტიზმი უსაფუძვლოდ არ დამიკავშირებია სომეხთა რწმენისთვის და რატომ, ახლავე მოგახსენებთ: არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნებისმიერი ერესი ღვთაებრივი ჭეშმარიტების სიძულვილითაა ნასაზრდოები. ადამიანს, რმოელსაც ღრმა რწმენა არ გააჩნია, ზნეობრივად არასრულყოფილია! უზნეო ადამიანები ძლიერ სახელმწიფოს ვერ ააშენებენ! სახელმწიფოს ძლიერების საძირკველი აბორიგენი მოსახლეობის რწმენაა. აქსიომაა: ხალხის რწმენა – ძლიერი ეკლესიაა, ძლიერი ეკლესია კი სახელმწიფოს ძლიერებაა! ძლიერი სახელმწიფო ერის სიმშვიდის გარანტიაა. აი რატომაა საჭირო უპირველესად ცოდნა მართლმადიდებლური სწავლების ჭეშმარიტებისა და არამარტო ცოდნა, აუცილებლობა განსაზღვრავს ღრმა თეოლოგიური განათლების მიღებას. წმინდა მამები გამუდმებით ებრძოდნენ მონოფიზიტურ ერესს, ბრძოლის საშუალებას კი აძლევდათ ღვთიური ნიჭი და ჭეშმარიტი აღმსარებლობის ღრმა ცოდნა, რადგან ზოგჯერ ერთი ტერმინიც კი იტევს მართლმადიდებლური სწავლების მთელ შინაარსს, ამის მაგალითად შეიძლება ავიღოთ ნიკეას მსოფლიო კრებაზე რწმენის სიმბოლოში კონსტანტინე დიდის მიერ ჩამატებული ერთადერთი სიტყვა „ერთარსი“ (ჰომოუსიოს)! რამაც საბოლოოდ ამხილა და გარიყა მონოფიზიტური მწვალებლობა! მართლმადიდებლობამ კი თავისი კუთვნილი წარმმართველი და ჭეშმარიტი ადგილი დაიკვიდრა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში!

ბერძნული ფილოსოფიური სკოლის მოღვაწეებმა პირველი საუკუნეებიდანვე გააცნობიერეს და აღიარეს ქრისტეს მოძღვრება. მათ „ლოგოსი“, – ე.ი. სიტყვა, აზრი, იდეა გააიგივეს ღვთის მარადიულ ძესთან, იესო ქრისტესთან და იწამეს ჭეშმარიტება. II-III საუკუნეების ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსები – ცნობილი ღვთისმეტყველები გახდნენ. დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ კი ნეტარი ავგუსტინე (ჩვ.წ. IV ს.) იტყვის თავის ცნობილ ფრაზებს: „თეოლოგიის გარეშე ფილოსოფია არარაობაა“... „რწმენის გარეშე ჰქრება გონების ყოველი მიღწევა“... „უფლის მადლით წმინდა წერილში ნათქვამია და გააზრებული ყოველივე ჭეშმარიტი – რასაც გვთავაზობდნენ ფილოსოფოსები“...

„ღმერთზე შეიძლება ყველაფერი ითქვას, მაგრამ ვერაფერს ვიტყვით ისეთს, მისი ღირსი რომ იყოს...“

შემოქმედი, რომელმაც შექმნა ყოველი სულიერი და არასულიერი, განკაცდა თავისი ძის, იესო ქრისტეს სხეულში სულიწმინდის მეოხებით – და მთელი სიდიადით გამოიკვეთა წმინდა სამებაში, – და სწორედ წმინდა სამების მარადიულ არსს დაუპირისპირდა საკუთარი მოძღვრებით ვინმე ალექსანდრიელი მოძღვარი ბერძნულად არიანე, ქართულად არიოზი. მისი მტკიცებით მარადიულია მხოლოდ მამა-ღმერთი, მამა-ღმერთმა შექმნა ძე, ანუ ლოგოსი, ხოლო ამ უკანასკნელისაგან წარმოიშვა სულიწმინდა. ე.ი. ძე ღმერთი არიოზის მოძღვრებით მხოლოდ ქმნილებაა, რადგან „იყო დრო, როდესაც იგი არ იყო“, ე.ი. მარადიული არ ყოფილა ძე, – იგი თურმე არარსებულა ადრე!

არიოზის მოძღვრება დაგმო ალექსანდრიის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, რომელსაც მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ალექსანდრე დიდი უწოდა და წმინდანად შერაცხა. დაპირისპირება იმდენად გამწვავდა, იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა, როგორც უკვე მრავალგზის გავიმეორე, ქ. ნიკეაში 325 წელს მსოფლიო საეკლესიო კრება მოიწვია. კრებამ დაგმო არიოზის მოძღვრება და ერთხმად აღიარა რწმენის სიმბოლოდ მრწამსი, რომლის თანახმადაც იესო მაცხოვარი მამა ღმერთის თანაარსად და ერთარსებად გამოცხადდა. არიოზი გადაასახლეს ილირიაში. მაგრამ ევსევი ნიკომედიელმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინა დედოფალ ელენეზე და არიოზს მალე აპატიეს და ამჯერად უკვე მართლმადიდებლებს დაუწყეს დევნა. ალექსანდრე დიდის შემცვლელი ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსის ტახტზე – ათანასე დიდი გადაასახლეს. არიოზელები უფრო მომრავლდნენ. მათი ნავთსაყუდელი ძირითადად გახლდათ ანტიოქია, მისი მიმდებარე პროვინციები და სომხეთი.

არიოზელები მკაცრად იცავდნენ თავიანთ მიმართულებას რელიგიის საკითხში, ისინი არ სცნობდნენ უფლის ორ ბუნებას: ღვთაებრივსა და ადამიანურს, ამის შედეგად ეწოდათ მათ მონოფიზიტები. მათთვის (არიოზელთათვის) მიუღებელი იყო გულითადი, შეურყვნელი რწმენა თავისი პირველყოფილი სახით, როგორიც მაცხოვარმა დაუტოვა მოციქულებს და პირველ ქრისტიანებს. არიოზელები, იგივე მონოფიზიტები ცდილობდნენ სარწმუნოებრივი საკითხები საზოგადოებრივი განსჯის საგნად ექციათ, რაც მართლმადიდებელთა სწავლებით ყოვლად დაუშვებელია, რადგან: როგორც სოზემენე აღნიშნავს, ისინი (მართლმადიდებლები) „ერიდებოდნენ და ეკრძალვოდნენ ოდითგან გადმოცემულ სარწმუნოებრივ საკითხებში სიახლეების შემოტანას, ისინი სწორედ ის აღმსარებელნი იყვნენ, რომელთაც ჩვეულებების უბრალოება შთააგონებდა ცბიერების გარეშე მიეღოთ ღმრთის სარწმუნოება“. – მკითხველო, ძალიან მნიშვნელოვანია სიტყვა „ცბიერების გარეშე“, ე.ი. მონოფიზიტები აშკარა ცბიერებით ცდილობდნენ მორწმუნეთა შეცდომაში შეყვანას, მათ მოტყუებას, და ყოველივე ამას აკეთებდნენ რიტორიკის, ორატორული ხელოვნების, დიალექტიკის ძალის გამოყენებით. მართავდნენ მსჯელობებს, კამათს და საღვთისმეტყველო საკითხები, რომელთაც მართლმადიდებლები უბიწოდ ინახავდნენ,მათ ე.ი. არიოზელებმა საერთო-სახალხო განსჯის საკითხად აქციეს, თავიანთი საქციელი გაამართლეს დებულებით, რომ გონებას უნდა ექვემდებარებოდეს რწმენა! მართლმადიდებლები ყოველგვარ დიალექტიკას – ქრისტეს მოძღვრების ზოგადსაკაცობრიო უბრალოებას ამჯობინებდნენ ბერძნულ ფილოსოფიურ სკოლებში გაზეპირებულ დიალექტიკურ ორატორულ ხელოვნებას, რაზეც გრიგოლ ღვთისმეტყველმა შენიშა: მათ, ე.ი. მონოფიზიტებმა „დატოვეს რწმენა, დაივიწყეს რა ბრძნული კანონი, რომ ჩვენი გონების შემავსებელი სარწმუნოებაა.“ დიახ, დღეს ორი ათასი წლის შემდეგ მორწმუნე ადამიანი წრფელი გულით გაიმეორებს დიდი კაპადუკიელი მამის, წმინდა გრიგოლის სიტყვებს: „ჩვენი გონების შემავსებელი სარწმუნოებაა! ჭეშმარიტი, მართალი სარწმუნოება, ჩვენი მართლმადიდებლობა!“

როცა ვსაუბრობთ არიოზსა და მონოფიზიტიზმზე, ჩვენს წინაშე საკვანძო საკითხად წამოიჭრება სომხური მონოფიზიტიზმი, რაც გარკვეულ მიმართულებად, სექ-

ტად ჩამოყალიბდა არიოზის მოძღვრების შედეგად, მასვე შეერწყა ჯერ ნესტორიანელობა და შემდეგ მონოთელიტობა და მანიქეველობა (სახელი ეწოდა სპარსი ქრისტიანის მანიას სუბიექტური მოძღვრების მიხედვით).

არსებობს საფუძველი არიოზის სომხური წარმომავლობის შესახებ, უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ არიოზის პირველი მიმდევრები ეროვნებით ანტიოქიაში ჩასახლებული სომხები, იგივე არმენები იყვნენ, საუბარია IV საუკუნის პირველ ნახევარზე და შემდეგ მთლიანად IV საუკუნეზე. არიოზის მოძღვრება ბობოქრობდა იმპერიის ძირითადად აღმოსავლეთ ნაწილში. მისი ბუდე იყო, როგორც მოგახსენეთ, ანტიოქია და სომხეთი. ამ პერიოდისთვის სირიის მოსახლეობაში უკვე ფეხმოკიდებული იყო სომხური ფენომენი, კერძოდ კილიკია გაივსო სომხური მოსახლეობით. რაც შეეხება პონტო-კაპადუკიას, ამ ქვეყნებში ძირითად მოსახლე ტომებთან მესხებსა და ჭან-ლაზებთან ერთად ცხოვრობდნენ ბერძნები, თავდაპირველი ბერძნული ახალშენებიდან, ე. ი. ძვ.წ. სულ ცოტა VI საუკუნეებიდან, ამდენად ძირითადად დომინირებდა ბერძნული ენა, მაგრამ აბორიგენ ხალხს აბსოლუტურად ჰქონდა შენარჩუნებული მშობლიური იბერიულ-ჭანური (იბერიული – მესხურს ნიშნავდა) ენა და ტრადიციები (დღესაც კი!). პონტო-კაპადუკია რომის მსოფლიო იმპერიის მნიშვნელოვანი პროვინცია გახლდათ და ძირითადი დასაყრდენი ფორპოსტი სპარსეთთან წინააღმდეგ ბრძოლაში! ცხადია იმპერიის გულში, ე.ი. რაც ხდებოდა რომსა და ათენში და შემდეგ კონსტანტინეპოლში უცხო არ იყო კესარიისათვის, და პირიქით, თუ შეიძლება ითქვას სიბრძნისა და ცოდნის ულევი და უშრეტი მარაგი პონტო-კაპადუკიიდან მაცოცხლებელი არტერიის საშუალებით უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა იმპერიის ცენტრებისაკენ! ასე რომ გასაკვირი არც იყო, როცა ქრისტიანულ მოძღვრებას სწორედ პონტო-კაპადუკიამ მისცა წმინდა გიორგი! შემდეგ კი სასწაულთმოქმედი წმინდა ნიკოლოზი, ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და გრიგოლ ნოსელი! ამ დიდი წმინდანების ღვთიური მადლით აღორძინდა და გაძლიერდა ქრისტეს ეკლესია და ისინი კაპადოკიელები იყვნენ! კაპადუკიელი წმინდა მამები! და ასევე კაპადუკიელი იყო ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო! წმ. ნინოს სახელიც კი მესხური, იბერიული წარმართული პანთეონის დედა დედოფლის ნანას (ნანა, ნონა და ნინო ერთი და იგივეა) სახელი ჰქვია! წმ. ნინოს და სხვა კაპადოკიელი (ხაზს ვუსვამ მათ კაპადუკიელობას) წმინდა მამების ეროვნება XIX საუკუნემდე ქართულ საეკლესიო ისტორიულ წყაროებში ეჭვის ქვეშ არასოდეს დამდგარა, რადგან კაპადუკიელობა თავისთავად ქართველობას ნიშნავდა, მაგრამ ეს იყო XIX საუკუნემდე! მანამ, სანამ კერობე პატკანოვი სათავეში ჩაუდგებოდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრას, სანამ საქართველოში, კერძოდ თბილისში, ჯავახეთსა და ბორჩალოში თურქეთიდან ლტოლვილი სომხები მომრავლდებოდნენ, სანამ ბაქოს ნავთს, საქართველოს ტყეებსა და წიაღისეულს, სავაჭრო სახლებს ისევ თურქეთიდან ლტოლვილი სომხები დაეპატრონებოდნენ... შემდეგ კი, როცა სომხების ხელში მნიშვნელოვანი ქონება დაგროვდა პასკევიჩის წყალობით, სწორედ ამ ქონების და ოქროს საშუალებით მათი წრის რეაქციულმა წარმომადგენლებმა დაიწყეს ყველაფრის ყიდვა, რისი ყიდვაც შეიძლებოდა და იმის ყიდვაც, რისი ყიდვაც ლოგიკას არ ექვემდებარებოდა, კერძოდ საქართველოს ისტორიის ყიდვა, რაც გამოიხატებოდა საქართველოს ისტორიის თავიდან ბოლომდე გადაკეთება-ჩასწორებასა და საერთოდ თავიდან დაწერაში! რაც გაკეთდა კიდეც ნიკო მარის და შემდეგ გიორგი მელიქიშვილის ჯგუფის ისტორიკოსების მიერ.

ჩვენ ამ საკითხზე უკვე ვისაუბრეთ. ამდენად, პატკანოვმა და მისმა მიმდევრებმა ეჭვის ქვეშ დააყენეს არათუ კაპადუკიელი წმინდა მამების ქართველობა, არამედ წმინდა ნინოს წარმომავლობაც!

მე უკვე ვთქვი, რომ სახელი ნინო კაპადუკიური, ე.ი. მესხური წარმოშობისაა და ერქვა შუმერულ ქალღმერთ ინანას, იგივე აქადური, უფრო უკეთესი იქნება თუ ვიტყვით ხალდური იშთარი, ხურიტულად ეს სახელი გამოითქმის ნინუს და ნინოს ფორმით, იგივე ნონა. მოგეხსენებათ მესხების და ხურიტების იდენტურობაც!.. ძველქართული ჩვეულებით ახლად დაბადებულს ყოველთვის ტრადიციულ სახელს არქმევდნენ, ქართულ საცხოვრისში კი ეს სახელი ყველაზე მეტად იყო გავრცელებული, როგორც დედა ღვთაების სახელი. მკითხველს უეჭველად გაახსენდება მეგრულ-ლაზური უძველესი და უსაყვარლესი სიმღერა „დიდა ოი ნანა!“ ნონა ერქვა აგრეთვე დიდი კაპადუკიელი წმინდა მამის გრიგოლ ღვთისმეტყველის დედას. კიდევ ერთხელ და დაბეჯითებით მინდა გავიმეორო, რომ იმ პერიოდში, ე.ი. ახ.წ. III-IV საუკუნეებში ქართველ ტომებში ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული ებრაული ონომასტიკა, ამდენად, ქართული ტრადიციული სახელი კი უკვე მიგვითითებდა სახელის მატარებელი პიროვნების ეროვნულ წარმომავლობაზე და თუ ქვეყნის ე.ი. მამულის დასახელებაც ცნობილია, ადვილად ამოსახსნელი ხდება ამა თუ იმ პიროვნების ეროვნება. ნინო კი ჩვენ ვიცით რომ კაპადუკიელია წარმოშობით და ატარებს სახელს ნინოს! ეს თავისთავად არამარტო უაღრესად მნიშვნელოვანია, არამედ გადამწყვეტიც!

ახლა გადავხედოთ პოლიტიკურ და გეოგრაფიულ რუქას. კაპადუკიის დასავლეთი საზღვარი მდინარე ჰალისზე გადიოდა (ახლანდელი ყიზილ-ირმაქი), მოიცავდა აღნიშნული მდინარის მთელ ხეობას სათავიდან შესართავამდე, სამხრეთით ტავროსის ქედი საზღვრავდა, აღმოსავლეთით ტიგროსის ბუნებრივი საზღვარი, ჩრდილოეთით შავი ზღვა, იბერიის ქვეყანა და მდინარე არაქსი. ცხადია გარკვეულ პერიოდებში სპარსეთის გაძლიერებასთან დაკავშირებით ხშირად იცვლებოდა მისი აღმოსავლეთი საზღვარი, მაგრამ უძველესი დროიდან ის მოიცავდა ხალიბთა ანუ სპერთა, ჭან-ლაზთა და მესხთა მიწა-წყალს. ასევე გარკვეულ პერიოდში მის ტერიტორიაზე წარმოიქმნა პონტოს ძლიერი სახელმწიფო. მაგრამ ამ სახელმწიფომ როგორც ვთქვით, მხოლოდ გარკვეულ პერიოდში, ე.ი. ოთხი-ხუთი საუკუნის მანძილზე შეძლო არსებობა, რომის იმპერიამ კაპადუკია-პონტოს სახელმწიფო ერთეული გააუქმა და იგი პროვინციის სახით შეუერთა მსოფლიო იმპერიის აღმოსავლეთის დიოცეზს. აბორიგენმა მოსახლეობამ შეძლებისდაგვარად შეინარჩუნა მშობლიური ენა და მამული, მიუხედავად ამ ტერიტორიაზე ექვსი საუკუნის წინ გაჩენილი ბერძნული ახალშენებისა და ასევე ბერძნული ენის პრივილეგირებული მდგომარეობისა, იბერიული, ე.ი. ჭან-ლაზური

ენა ძირითადი სალაპარაკო ენა იყო კაპადუკიის და პონტოს აბორიგენი მოსახლეობისთვის. მკითხველი რომ არ დავღალო, მხოლოდ რამდენიმე სიტყვით გავიხსენებ კაპადუკიის პრეისტორიულ წარსულს. კაპადუკია, მესხების ქვეყანას უწოდეს სპარსელებმა აქემენიდთა მეფის დარიოს I-ის დროს. დაახლოებით ძვ.წ. 522-486 წლებში ამოკვეთილ ბეჰისტუნის წარწერაში პირველად იხსენიება იგი. აქემენიდურმა სპარსეთმა, როცა მცირე აზია დაიპყრო მესხეთის მთებიდან (მასშია გაერთიანებული ჭანეთის, კლარჯეთისა და პარხალის ქედები) პროპონტიდამდე, სამხრეთით კი ტავროსის მთებამდე, მესხეთის ე. ი. მუშქების ძირძველი მიწა-წყალი გააერთიანა, ფრიგიის სახელი სატრაპიას იმიტომ უწოდა დარიოს I-მა რომ სპარსელებზე ადრე ამ მიწა-წყალს დასავლეთიდან შემოსული თითქმის ველური ფრიგიელები მოედვნენ კალიასავით, მაგრამ მალევე, იმავე დარიოს I-მა სრულად განაცალკევა კაპადუკიის სატრაპია ფრიგიის სატრაპიისგან! ფრიგიის სატრაპია სამხრეთის მიწა-წყალს უწოდეს, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილნი იყვნენ ძველი ბრიგული მოსახლეობა! სიტყვა კაპადუკია სპარსულია და „ლამაზი ცხენების ქვეყანას“ ნიშნავს. ესეც ნიშანდობლივია ბატონებო, რადგან ძირძველი მესხებისა და ჭან-ლაზებისათვის ცხენი მარტო გადასაადგილებელ საშუალებად არ მოიაზრებოდა. იგი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი იყო, ქართველი კაცის ღირსებას კარგი ცხენი წარმოადგენდა. ამის უტყუარი დასტურია დავით აღმაშენებლის ცხოვრების ქრონიკები, ვეფხისტყაოსანი და სხვა რომ აღარ გავიხსენოთ კონსტანტინე გამსახურდიას შედევრები!!!

მოგვიანებით კაპადუკია იმავე სპარსეთმა ორ სატრაპიად გაყო, დიდი კაპადუკია და მცირე კაპადუკია, რომელსაც „ევქსინის კაპადუკიასაც“ უწოდებდნენ (პოლიბიოსი) და „პონტოს კაპადუკიასაც“ (სტრაბონი). მოგვიანებით აბორიგენი მოსახლეობის მჭიდრო დასახლება კაპადუკიის სიღრმეს შემორჩა ხელუხლებლად და სახელიც მას შერჩა. მესხთა უძველეს მიწა-წყალზე ჩაეყარა საფუძველი კოლხ-პელაზგელთა და იბერიელთა უძველეს, პრეისტორიულ კულტურას, წარმართულ პანთეონს, რომელიც დღეს ბერძნულ-კოლხური მითოლოგიითაა წარმოდგენილი და ანტიკური მსოფლიოს უძველეს ცივილიზაციას წარმოადგენს!

ასევე ახალს არაფერს ვიტყვით, თუ გავიხსენებთ, რომ ძველი წელთაღრიცხვის XIX-XVIII საუკუნეებში ამავე მიწა-წყალზე (კაპადუკიის) წარმოიქმნა ხეთების, იგივე ხათების (პროტოხეთები) უძლიერესი სამეფო, რომელიც ძვ.წ. IX საუკუნეში გაანადგურა დასავლეთიდან შემოჭრილმა ფრიგიელებმა. ფრიგიელები, როგორც უკვე აღვნიშნე, ინდო-ევროპული ტომები იყვნენ. ფრიგიელთა ბატონობა მალევე დაამხეს მესხებმა და მათ ქვეყანას იგივე მესხთა ქვეყანა უწოდეს ისტორიკოსებმა. სწორედ ფრიგიელთა ერთ-ერთი ტომი იყო არმენიელთა ტომი. როცა ფრიგიის სამეფო დასუსტდა, (და ეს მოხდა მალევე!) არმენიელებმა ძლიერი მფარველი მოსძებნეს, მათ სპარსელთა მახვილს შეაფარეს თავი და მათივე, ე.ი. სპარსთა წყალობით (ძვ. წ. V-IV ს.ს.) ჩაიგდეს ხელში ალაროდიელთა მიწა-წყალი, რომელსაც არმენია უწოდეს. მესხ-ალაროდთა ძირითადმა მასამ ჩრდილოეთით, თავიანთ სისხლისმიერ ძმებს, იბერიელებს შეაფარეს თავი, ნაწილი კი გაასომხეს არმენიელებმა. დასავლეთით თავიანთ ძირძველ მიწა-წყალზე დარჩენილ მესხების ქვეყანას კი სპარსებმა, როგორც უკვე მოგახსენეთ, „ლამაზი ცხენების ქვეყანა“, ანუ კაპადუკია უწოდეს. რაც შეეხება კაპადუკიის დედაქალაქის „მაზაკას“ სახელწოდება, რომელიც შემდეგ კესარიად გადაკეთდა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ იგი „მცხეთის“ იდენტურია, ისევე, როგორც იბერიელთა წარმართული პანთეონის უმთავრესი ღმერთი – მთვარის ღვთაება არმაზი და შემდეგ მზე და ხუთი ვარსკვლავი!..

ასირიის მეფე ტიგლათფილესარ I-ის (ძვ.წ. 1114-1076წ.წ.) წერილებში სწორედ „მუშკთა ქვეყანაა“ მოხსენიებული. ფრიგიის მიერ დაპყრობილმა მუშკებმა წარმმართველი ძალა მაინც არ დაკარგეს და საუკუნე ნახევარში დამპყრობლები გაანადგურეს. ასირიულ წყაროებში მოხსენიებულ მუშკებს ხუთი მეფე ჰყავდათ. მე ადრეც მოგახსენეთ, რომ განყოფა და განცალკევება მესხიბერიელ ტომთა მავნე, ავადმყოფური ჩვეულება დღესაც მოსდგამს ჩვენს ხალხს და მაშინ რომ ჰქონოდათ რა გასაკვირი იქნებოდა. მათი უძველესი მოსახლეობის ცენტრად კიდევ დამატებით მოიაზრებოდა იმავე ასირიულ წყაროებში მოხსენიებული ალზის სამეფო, რომელიც მდინარე არსინიასა და ევფრატის შესართავში მდებარეობდა. ასირიულ წყაროებში ალზის ქვეყანასაც „მუშკთა ქვეყანას“ უწოდებენ!

დაუფასებელ ცნობებს გვაწვდის ახ.წ. 37-95წ.წ. ებრაელი მწერალი, ჩვენთვის კარგად ცნობილი და მრავალგზის დამოწმებული ფილოსოფოსი და ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი მესხების შესახებ: „... მოსოხენები დაფუძნებული არიან მოსოხის მიერ, ახლა მათ კაპადოკიელები ეწოდებათ“. მესხთა ქვეყანას „...მათი სახელწოდების ნიშანიც ემჩნევათ; რამეთუ მათ აქვთ დღესაც ქალაქი მაზაკა, რომელიც ნათელყოფს იმათთვის, ვისაც შეუძლია გაიგოს, რომ ოდესღაც ასე ეწოდებოდა ტომს“ (იოსებ ფლავიუსი, გეორგიკა, I, თბ., 1961წ.).

ანტიოქიის პატრიარქის ევსტათი ანტიოქიელის (280-360წ.წ.) ცნობით: „...მოსოხი – რომლისგან არიან მესხენები, დღევანდელი კაპადოკიელები...“ (ევსტათი ანტიოქიელი, გეორგიკა, ტ.I, თბ., 1961წ.) ევსტათი ანტიოქიელი არამარტო თავისი დროის უგანათლებულესი პიროვნება იყო, იგი მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი დიდი მოღვაწე, მოამაგე და ამასთან წმინდა კაბადოკიელი მამების ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, გრიგოლ ნოსელის თანამედროვე და სულიერი ძმა! ამდენად მისი ცნობა მნიშვნელოვანია ისტორიისთვის. ამავე აზრისაა თეოდორიტე კვირელი, თავის ისტორიულ ანალებში იგი მიუთითებს, რომ „მოსოხი და კაპადოკიელი“ ერთი და იგივეა, ე.ი. კაპადუკიელი ნიშნავს მოსოხს! ასეთივე აზრია გატარებული კონსტანტინე პორფიროგენეტის (გეორგიკა, 1961წ. თბილისი) შრომებშიც. (გეორგიკა IV, ნაკვ., II, თბ., 1952წ.) XIს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი ლეონ გრამატიკოსი მიუთითებს, რომ: „მესხოსგან მოდიან (ე.ი. წარმოიშვნენ და გამრავლდნენ) მესხები, რომელთაც ახლა კაპადუკიელები ეწოდებათ“ (გეორგიკა, ტ.V, თბ., 1963წ.). მე ადრეც მოგახსენეთ, რომ XIX საუკუნემდე ქართულ საეკლესიო ისტორიულ წყაროებში ეჭვის ქვეშ არასოდეს დამდგარა კაპადუკიელი წმინდა მამებისა და წმინდა ნინოს

ქართველობა, ახლაც იმავეს გავიმეორებ! პროფესორი დ. ჩუბინიშვილი ასახელებს ჯერ კიდევ მის დროს კაპადუკიის ტერიტორიაზე შემორჩენილ ქართველურ ტოპონიმებს (დ. ჩუბინოვი, ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადუკიის მკვიდრთა მოსახლეთა, „ივერია“ 1877 წ. №14-15-16-17). პროფ. ალ ხახანაშვილმა ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა აღნიშნულ საკითხს და მოწოდებული მტკიცებულებებით გაამყარა ისტორიული ცნობა, რომ ქართველი ტომები მდ. ჰალისამდე ცხოვრობდნენ (А. Хаханов, Древнейшие пределы разселения грузин по Малой Азии, записки Кавк. отд. имп. Р. Геогр. Общество, кн. XXII вып. 6, Тифлис, 1903). მღვდელი პ. კარბელაშვილი თავის შრომაში „ქართული საერო და სასულიერო კილოები, თბ., 1898წ. სწერდა, რომ „კაპადოკია, ჭანეთი – დღესაც სავსეა ეტნოგრაფიულის და გეოგრაფიულის სახელებით, რომელნიც წმინდა ქართულნი არიან“. კ. წერეთელი შრომაში „ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხ“-ის ისტორიისათვის“ (საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ.XV, №2, თბ., 1954წ.) წერდა: „ფრ. დელიჩს ბიბლიის ტექსტებში მოხსენიებული მეშექი, თუბალი და ბერძნული წყაროების მოსხები და ტიბარენები, რომელთაც ჰეროდოტე დარიოსის XIX სატრაპიაში შემავალ ტომებად ასახელებს, ერთ და იმავე ხალხად მიაჩნდა. დელიჩისავე შენიშვნით ძველი მეშექი იგივე მუშქია, რომლებიც ტიგლათფილესარ I-ის წარწერებში იხსენიება პირველად 1100 წელს ჩვ. ერამდე“. „ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სამათრლიანადაა მითითებული რომ სწორედ ქართული „მესხ“ – ფორმა უნდა დადებოდა საფუძვლად ებრაული „ბიბლიის“ „მეშექ“-სა და ბერძნულ-რომაული წყაროების „მესხოის“, რომ ასურული მუშკუ-სა და ებრაული მეშექ-ის ერთიმეორესთან დაკავშირება შეუძლებელია ქართული ეთნო-ტოპონიმიკის მონაცემების გათვალისწინების გარეშე (ნ. ხაზარაძე, „საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები“, თბ., 1984წ. გვ. 133).

ცნობილი სომეხი ორიენტალისტი – არმენოლოგი ნ. ადონცი, რომელსაც მეცნიერებაში ნიკო მარმა გაუკვალა გზა,. თავისი შრომებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ქართული ელემენტი კაბადოკიაში აღარ არსებობდა ახ.წ.VI საუკუნეში! უფრო მეტიც, ადონცი ცდილობდა თავის შრომებში უფრო ადრეული საუკუნეებიც ეჩვენებინა, მაგრამ ეს აზრი შეუსაბამო გამოდიოდა და რეალობას ძალიან დაშორებული, ბოლოს VI საუკუნეზე შეჩერდა და შეეცადა თავისებურად აეხსნა კაპადუკიაში სომეხ ლტოლვილთა სიმრავლე განდევნილ მესხთა ხარჯზე! კ. კეკელიძე ცალსახად იზიარებს ნ. ადონცის მოსაზრებას. ე.ი. თამამად შეიძლება პარალელის გავლება, მაშინაც ისევე ცდილობდნენ სომეხთა აგრესიული წრეები ემტკიცებინათ კაპადუკიის მოსახლეობის არაქართველობა,. როგორც XIX საუკუნიდან და დღესაც ჯავახეთსა და ბორჩალოში. იმ განსხვავებით, რომ კაპადუკიაში არმენებს პასკევიჩის მაგიერ სპარსეთმა გაუწია ლობირება, მაგრამ ისტორიულად ამ მხარეში დღემდეც კი გათურქებული ქართველები ცხოვრობენ! სომეხთა მასიური ლტოლვა კაბადოკიისკენ ისტორიული ფაქტებით დასტურდება VI-VII საუკუნეებიდან, ეს არც იყო გასაკვირი, მეზობელი ქვეყანა იყო კაპადოკია და სომხური ბუნებიდან გამომდინარე, ცხადია, ეცდებოდნენ მიწის კარგი ნაკვეთების ხელში ჩაგდებას! შემდეგ კი ისტორიკოსები (ცხადია მათი) ყოველმხრივ ეცდებოდნენ იმ მიწა-წყალზე ამოეძირკვათ ადგილობრივი მოსახლეობის ფესვი და კვალი. რასაც ვერ ამოძირკვავდნენ, გაასომხებდნენ! მკითხველს ალბათ ახსოვს აკადემიკოს გ. მელიქიშვილის დასკვნები, რომ მესხები ფრიგიელებისგან მომდინარეობენ, ისევე, როგორც სომხები და გამოდის რომ, ისინი ერთი და იგივე ხალხია გენეტიკურად, რაც ნამდვილად არათუ სრული სიყალბეა, არამედ მიზანმიმართული ბოროტმოქმედება ქართველი ერის ისტორიის გასაყალბებლად, რაც აუცილებლად უნდა დაისაჯოს! პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა კაპადუკიელი წმინდა მამების: ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის და გრიგოლ ნოსელის ცხოვრებას და აქედან გამომდინარე, კაპადუკიის ეთნიკურ შემადგენლობას. ე. ხინთიბიძის თქმით, „ბიზანტიური ისტორიოგრაფიისათვის კაპადუკია ეთნიკური ტერმინია, კაპადუკიელი – მესხს ნიშნავს“ (ე. ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისთვის, თბ., 1982 წ).

მდინარე ჰალისის სახელს ნიკო მარი ქართული წარმომავლობისად თვლიდა (Н. Марр «Из поездки в турецкий Лазистан», Известия Императорской Академии наук, 1910). თავის შრომაში იგი ავითარებს აზრს, რომ „ჭანური ტომები მცირე აზიის ვრცელ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, კერძოდ მდინარე ჰალისამდე, ჰალისის სახელი ზოგადად მდინარეს ნიშნავს ჭანურად“.

აბსოლუტურად გაუმართლებელია კეკელიძის აზრი, რომ ნინოს ცხოვრების პერიოდში თურმე „კაპადუკიაში ქართული მოსახლეობა აღარ იყო.“

პომპეუსმა ძვ.წ. 66 წელს დაიპყრო კაპადუკია, ხოლო ახ.წელთაღრიცხვის 17 წელს რომის იმპერიამ კაპადუკიაში გააუქმა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი და შეიერთა, ე.ი. რომის პროვინციად გადააქცია. სახელმწიფო ენად ბერძნული ენა გამოცხადდა, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის ელინიზაციას, ოღონდაც ეს ელინიზაცია ცალმხრივი იყო, ზედაპირული, რადგან მკვიდრი, აბორიგენი მოსახლეობა, როგორც უკვე ვთქვით, თავის მშობლიურ ქართულ-იბერიულ და ლაზურ (ჭანურ) ენაზე მეტყველებდა. ერთ-ერთ თავის წერილში ბასილი დიდი წერდა: „მე მომიწოდებს ჩემი ტანჯული სამშობლო...“ ამ ტკივილის გრძნობა ყველა ერის შვილს ახასიათებს მეტნაკლებად, მაგრამ ქართველისთვის განუკურნელი ტკივილია „ტანჯული სამშობლო...“ როგორც ყოველთვის ბასილი დიდის წარმომავლობა ეჭვის ქვეშ დააყენეს მეცნიერების ნიღაბს ამოფარებულმა პიროვნებებმა. ჩვენ მათ „ღვაწლს“ არ შევაფასებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ არაკეთილსინდისიერი საქციელია დიდი წმინდანის წინაშე პირველ რიგში, რადგან ის სპეტაკი მართლმადიდებელი იყო და მთელი სიცოცხლე მონოფიზიტებს ებრძოდა, მიმთვისებლები ისტორიის გამყალბებლები არიან. ისტორიის გაყალბების საძირკველი კი გარკვეული ერის ან პიროვნების მიერ ისტორიის იდეალიზაცია, – როგორც დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამ შენიშნა, ისტორიის ფალსიფიკაციას უდრის. და ეს გახლავთ ღია ბრძოლა კვლავ გარკვეული ერის, ამ შემთხვევაში ქართველთა მიმართ! და კვლავ იმავე მიზეზით, რომ ისინი, ე.ი. ქართველები – მოსყიდულმა ცრუ

მეცნიერებმა უწარსულო, უსაძირკვლო ერად აქციონ და როგორც პატკანოვი ამბობდა, მის ე.ი. იბერიის წარმოშობას პატკანოვისებურად XIX საუკუნეში ჩაუდგან ბალავარი! მთელი ეს ორომტრიალი და ისტორიის საკუთარ თარგზე გამოჭრა მოხერხებული დიზაინერივით სხვა არა არის რა, თუ არა უვიცობასთან შეუღლებული ცინიზმი... ისევ დიდოსტატის სიტყვებს მოვიშველიებ მათი განათლების შესაფასებლად!

გადავხედოთ ანტიკურ მეცნიერებას, რაზეც სომხურ ოქროს ხელი ნამდვილად არ მიუწვდებოდა. მე მრავალგზის მივუთითე, რომ ქართველური ტომების არსებობა მცირე აზიის ტერიტორიაზე ისტორიული წყაროებით დაფიქსირებულია ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-II ათასწლეულებში და ეს არის მუშქებისა და ტაბალების დიდი სახელმწიფოებრივი ერთეული „დიაოხი“, იგივე „დიაუხი“ – შავი ზღვის სამხრეთით, რომელიც ურარტუს ნაირის ქვეყნების შემადგენლობაში შედიოდა. „დიაუხის“ მოსაზღვრედ ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ასევე დიდი სახელმწიფოებრივი ერთეული არსებობდა „კოლხა“, ბერძნულად „კოლხიდა“. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იგივე ისტორიული წყაროები მიუთითებენ ხალიბების სატომო გაერთიანებას „ხალიტუს“ (ალაროდთა მიწა-წყალი), იქვე, მდინარე ჭოროხის სათავეებსა და შუა წელში სასპერების, იგივე სპერთა ქვეყანაა! ყველა ეს ხალხი ქართველთა წინაპრები, ანუ იგივე მუშქები, ტიბარენები და კოლხები იყვნენ! განუწყვეტელმა ომებმა და სისხლის წვიმებმა უმრავლესი მათგანი გაწყვიტეს, მაგრამ მიწის პირისაგან როდი აღიგავენ! პონტოს სახელმწიფო ერთეულმა თავის საზღვრებში თავი მოუყარა ძირითადად ჭანურ-ლაზური მოდგმის ხალხს, მათთან ერთად კი ხალიბებს, მოსინიკებს, მარებს (მეგრელებს), სანებს (სვანებს), მაკრონებს, სპერებს ანუ იგივე ტიბარენებს და ყველა ეს ხალხი კოლხები იყვნენ! ასევე კაპადუკიის სახელმწიფო ერთეულში ძირითად მოსახლეობად მესხები და ტაბალები, იგივე ტიბარენები, იგივე სპერები და იგივე იბერები გვევლინებიან! და ყველა ეს ხალხი თავიანთი სამეფოებით შეადგენდნენ ურარტუს სახელმწიფოს! როგორც დუტუ მეგრელს აქვს თავის ლექსში: ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო...

პლინიუსის ცნობით „მდ. ირისიდან აღმოსავლეთით – ტრაპეზუნტამდე მაკრონების საცხოვრებელი ადგილები იყო“ (Plin., Hist. Natur. VI, 4.3). ქსენოფონტე „ანაბასისში“ ამ მხარეს (პონტოს) მთლიანად კოლხთა ქვეყანას უწოდებს და ეს ასეცაა! მან ფეხით შემოიარა ეს ადგილები და თვითონ იცნობდა აქ მცხოვრებთ! იგი „ტრაპეზუნტს“ თვლის სინოპის მცხოვრებთა კოლონიად (ახალშენად) კოლხების ქვეყანაში! დიახ, ბატონებო! ტრაპეზუნტი ბერძნული ახალშენი გახლდათ კოლხიდაში! (Xenoph, Апав., V).

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ცნობილი რომაელი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე ფლავიუს არიანე, მის წერილებში იმპერატორ ადრიანესადმი, რომელიც დათარიღებულია ჩ.წ. 134 წლით, გარკვევითაა აღწერილი პონტოს ადგილობრივი მოსახლეობა და ის ტომები, რომლებიც პონტოს დიოცეზის შემადგენლობაში შედიოდნენ: ჭან-ლაზები, მაკრონები, ჰენიოხები და ზიდრიტები! იგივე არიანე გვაწვდის ცნობებს დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე აბორიგენებზე; ესენი არიან: ლაზები, აფსილები (აფშილები), აბასკები და სანიგები, – დღეს ყველა თაობის ქართველმა კარგად იცის ვინ არიან ისინი! დიახ, ისინი არ გამქრალან ბატონებო! დღესაც ცხოვრობენ მშობლიურ მიწა-წყალზე, იმ განსხვავებით, რომ უაღრესად ცივილიზებულ ეპოქაში, მაშინერიისა და კოსმოსის ათვისების ეპოქაში ქართველ ტომებს ისევ ისე სჯიჯგნიან და სისხლისგან წრეტენ, როგორც 2500 წლის ან კიდევ 3500 წლის წინ! რადგან ადამიანის უაღრესად მტაცებლური და ცხოველური ბუნება ვერც უფლის განკაცებამ და ვერც შემდეგ მისმა ღვთაებრივმა აღდგომამ და სულიწმინდის გარდამოსვლამ შეცვალა! და როცა წარსულის საშინელ სისხლისმღვრელ ომებს ვიხსენებთ, თვალწინ დაგვიდგება აგერ ახლა, რამდენიმე წლის წინ კოდორის ხეობის შესასვლელში ბაგრამიანის სომეხთა ბატალიონის მიერ შეუბრალებლად ჩახოცილი ჩვენი მამების თაობა! ისტორია მეორდება... და ათასწლეულების მანძილზე ქართველი ერი ჯვარზეა გაკრული! მტერი კი... თითქმის ყოველთვის და ახლაც მოყვრის ნიღბით მოსული ახლო მეზობელია, ვაი სირცხვილო!

ელემენტარული აქსიომაა, რომ როცა ვინმეს სურს, საკუთარი ერის ან ხალხის ავტოქტონობა ამტკიცოს ამა თუ იმ ერის ან ხალხის, ე.ი. სხვის მიწა-წყალზე, აბორიგენი მოსახლეობის ისტორიული წარსული უნდა ამოძირკვოს! და ამ აქსიომას უაღრესად ერთგულად ითავისებს და იცავს სომეხთა რეაქციული ნაწილი, ბაგრამიანის ბატალიონის მაგალითიც სწორედ ამიტომ მოვიტანე, ისინი ქართველი ხალხის და საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაუძინებელი მტრები არიან! რაც შეეხება აფხაზეთს და აფხაზებს, რადგან ბაგრამიანის ბატალიონი ვახსენე, აქვე შეგახსენებთ ციტატას პლინიუსიდან: „აფსუას ტომი ცხოვრობს ჩრდილო კავკასიაში – კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპირო ზოლში.“ ესეც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ნართების მშვენიერი ზღაპრების შემქმნელი ხალხი აფსუები არიან და რომ მათ, აფსუებს არავითარი ნათესაური კავშირი არა აქვთ ქართველ აბასკებთან და აფშილ-აფსილებთან გარდა იმისა, რომ ბოლო 3 საუკუნეა თანდათან მოიწევდნენ ჩრდილეთიდან და ინკოგნიტოდ ესახლებოდნენ ქართულ აფხაზეთში! მიუხედავად გიორგი მელიქიშვილის ნაკლებმნიშვნელოვანი უარგუმენტო და არალოგიკური მტკიცებისა! ყურადსაღებია აგრეთვე ლამბერტის ცნობაც, რომ აფხაზები თევზს არ სჭამენ და კიბოები ეზიზღებათ! დღეს კი ქართულ აფხაზეთში სომხური მოდგმა ფაქტიურად ცდილობს ამოძირკვოს ქართული ფესვები!

ტკივილიანი გადახვევა გამომივიდა. მაპატიოს მკითხველმა, ლელთ ღუნიასი არ იყოს – ზოგჯერ ემოციებს ვეღარ ვერევით და ამ შემთხვევაში არა მარტო მე, თქვენ ყველანი, ჩემი ჯიშისა და მოდგმის ხალხი... ვინ იცის აქამდე რამდენი ღირსეული ქართველის გულში გამოვლილ სისხლს ვატარებთ... გასაკვირი აღარ არის წუთიერი ემოციური აფეთქებები... მაშინ, როცა ვხედებით, ვიცით და ვხედავთ როგორ შია, ტკივა და ცივა შენს ხალხს... მიწას... და ისევ ილიასი არ იყოს, სიზმარშიც მამულის კვნესა ჩაგვესმის... ალბათ ამ განცდამ

ათქმევინა ბასილი დიდს: „მე მომიწოდებს ჩემი ტანჯული სამშობლო...“ ან კიდევ ამ დიდი ადამიანის ბიძისადმი მინაწერ წერილში ნათქვამი: „ღმერთო, გამოსაცდელადაც კი არ მომცე რაიმე ისეთი, რომელიც მაიძულებდა ჩემი ნათესავების დავიწყებას...“ ნათესავი ამ შემთხვევაში ნათესავ ხალხს, მოდგმას, ახლობლებს, მამულს ნიშნავს! მამული კი ერთადერთია ქართველისთვის, საქართველო! ამჯერად უკვე დაპატარევებული და დამცირებული! მინდა დავამატო ისიც, რომ ბასილი დიდი თავის მშობლიურ მამულში პონტოში დაიბადა, აღიზარდა და აქვე გარდაიცვალა ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა, 49 წლის (379 წელს)!

ვინ იყო ბასილი დიდი, რომლის მოღვაწეობა ღვთის წინაშე „ცეცხლოვანი სვეტის მსგავსია“? ეს შედარება ცოდვილ ადამიანს არ ეკუთვნის, ეფრემ ასურმა იხილა ნათლის სვეტი, რომლის წვერი ცამდე აღწევდა და ესმა უფლის ხმა:

„– ეფრემ... ამ ცეცხლოვანი სვეტის მსგავსია ბასილი!“

იგი მესხი, კაპადოკიელი იყო! ჩემი და თქვენი სისხლი და ხორცი, თქვენი და ჩემი დიდი წინაპარი!

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ქრისტიანობის ისტორიაში იგი წმინდა ბასილი დიდის სახელით შევიდა.

განუსაზღვრელია ბასილი დიდის ღვაწლი მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე, როგორც ფუნდამენტური დოგმატიკური ღვთისმეტყველების ფასდაუდებელი ლიტერატურული ძეგლების შემქმნელისა. „დიდი“, „ეკლესიის დიდება და მშვენება“, „მართლმადიდებელი ეკლესიის მნათობი“, – ეს ზედწოდებები ზუსტად მიესადაგება მის ასკეტურ, მაღალზნეობრივ ქრისტიანულ მორალს. მის მიერ შექმნილი სამონასტრო ცხოვრების წეს-განრიგით ე.ი. ტიპიკონით ცხოვრობს მართლმადიდებელი მონასტრები საბერძნეთსა და პალესტინაში. როგორც ეფრემ ასური ბრძანებდა: – მისი პირით (ბასილის) სულიწმინდა ღაღადებდა და იგი იყო უფლის უდიდესი ძალა – იარაღი არიანულ მონოფიზიტებთან ბრძოლაში, იმ მონოფიზიტებთან, რომელთაც ქრისტიანული სარწმუნოება ისე ზუსტად მოარგეს თავიანთ, მცირე აზიაში გაფანტულ რეაქციულ სომხურ მოსახლეობას ტანზე და სულზე, რომ საბოლოო ჯამში საკუთარი, ეროვნული რელიგია მიიღეს, ოღონდაც არა ქრისტიანული და არა მართლმადიდებლური, უფრო სპარსული. როგორც დიდმა ანტონ კათალიკოსმა ბრძანა თავის „მზა მეტყველებაში“ და რომელიც რუსეთის მართლმადიდებლურმა საიმპერატორო კარმა რამდენჯერმე გამოსცა იმპერიის ტერიტორიაზე სომხური მწვალებლური აგრესია რომ შეეჩერებინა! ამ შემთხვევაში რუსი ხალხის სულიერი და ფიზიკური ისტორიული კატაკლიზმები ჩემს სასაუბრო თემას არ შეადგენს, ეს საკითხი ისე, უბრალოდ გავახსენე მკითხველს.

ქართველი კაცი საკუთარი გენური კეთილშობილებით ხშირად ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, რომ იძულებულია ვინმე უბირსა და უვიცს უხსნას ვინ არის ის და მისი მოდგმის ხალხი... რაც ფრიად დამამცირებელია ბატონებო, რადგან ის უბირი კაცი იქნება თუ ქალი, მაინც ვერ გაიგებს სიმართლეს ერთადერთი მიზეზის გამო – მას ის არ აინტერესებს!

მე კვლავ ჩემს სათქმელს და მცირე აზიას მინდა დავუბრუნდე, იმ მცირე აზიას, სადაც თამამად დაირწა ქართული ცივილიზაციის აკვანი და რამდენიმე ათასეული წელი ქართველმა კაცმა, მართალია სისხლისმღვრელ ომებში გაატარა, მაგრამ ღრმა კვალი, დიდი ისტორია და უდიდესი კულტურა დასტოვა! წმინდა ნინო რომ ქართველი კაპადუკიელი მესხი არ ყოფილიყო, ის ღვთაებრივი მისიით საქართველოში არ წამოვიდოდა უბრალოდ გასაგები მიზეზის გამო, რადგან ღვთის მორჩილი როცა მისიონერულ ცხოვრებას იწყებს, ის იაზრებს ყოველგვარ მოსალოდნელ შემთხვევას და ცდილობს წმინდა გზა მისთვის ძვირფას და წმინდა ადგილებში გაიაროს და პირველ რიგში საკუთარი სისხლის ხალხი მოაქციოს ჭეშმარიტებაზე, მათ აუხილოს თვალი, მათ შესწიროს ღვთისგან მონიჭებული სიცოცხლე და ვალმოხდილი წავიდეს ამ ქვეყნიდან. ამქვეყნიური ვალის მოხდა კი ქართველ ტომებს ახლა, XXI საუკუნეში არ უსწავლიათ. ეს სიბრძნე ათასწლეულებში გამოჰყვა მათ და ტრადიციას ღირსეულად იცავდნენ. აი, ამიტომაც აირჩია ნინომ საქართველო! როცა სომეხთა მეფის, თრდატის ქვეყანაში მისი სომეხი თანამგზავრები საქადაგებლად დარჩნენ, ნინო მათთან არ შეჩერებულა! უფრო მეტიც, ნინო, ესოდენ ღრმა ქრისტიანი, მორჩილი, მორწმუნე არც კი ყოვნდება იმ თანამგზავრებთან, რომელთაც სიკვდილი მიუსაჯეს და რომლებთანაც ერთად ამოდენა გზა გამოიარა ფეხით იერუსალიმიდან სომხეთამდე, და არ კითხულობს მათ ამბავს. არ იზიარებს მათ ქრისტიანულ მოწამეობრივ ხვედრს! რატომ? ასეთი საქციელი ხომ მიუღებელია ქრისტიანისთვის! მაგრამ ნინოს მკაცრი მიზანი აქვს დასახული! დიახ, ის თავის მშობლიურ ქვეყანაში უნდა მივიდეს აუცილებლად, ღვთიური მოვალეობის აღსასრულებლად, ამიტომ რიფსიმიანები მისთვის უბრალო თანამგზავრები იყვნენ, ვისთვისაც ის სიცოცხლეს ვერ გაწირავდა! ნინო უშიშრად, შეუჩერებლივ გაივლის სომეხთა ქვეყანას და სამხრეთის მხრიდან შედის იბერიის სამეფოში. ფარავნის ტბასთან ჩერდება დაღლილ-დაქანცული და მწყემსებს ესაუბრება! დიახ, ნინო მწყემსებს ესაუბრება თავის მშობლიურ ენაზე, ქართულად ბატონებო, რადგან მესხები იგივე ქართველები, იბერები არიან! და ეს ჰიპოთეზა არ არის, არამედ დამტკიცებული თეზაა! სომეხი მეცნიერები ცდილობენ დაგვაჯერონ, რომ ნინო სომეხი იყო და სომხურად აღზრდილი, რაც არავითარი ცნობით არ დასტურდება! ცოტა ხნით თუ ვიღაც სომეხ ქალთან ცხოვრობდა, არც ეს არის გასაკვირი, რადგან იმ პერიოდში სომხები დედამიწას იყვნენ მოდებულნი კალიასავით, ოღონდ კალიებისაგან განსხვავებით, სადაც სომეხი მივიდოდა, იმ ადგილს უკვე საკუთარ სახლად და საკუთარ ქვეყნად აქცევდა. ცვლიდა გეოგრაფიულ ტოპონიმიკას, ონომასტიკას, ისტორიას. ეს იმდენად უპატიოსნო თვისება ჰქონდა და აქვს ამ ხალხის რეაქციულ, აგრესიულ ნაწილს, რომ მისი ახსნა ძალიან ძნელია. არიელთა მახვილს ამოფარებულნი დაეპატრონნენ სხვათა ქონებას და უდიდესი მონდომებითა და ძალისხმევით დაიწყეს საკუთარი ავტოხთონობის მტკიცება!

არ იკმარეს ალაროდიელთაგან მიტაცებული არარატის, იგივე არარუდის (ალარუდის) ქვეყანა და ურარტუს დაქცევიდან ორი საუკუნის შემდეგ, დაიწყეს დასავლეთისკენ, ხალიბთა ჯერ კიდევ გადარჩენილ, დაუპ-

ყრობელი ქვეყნისკენ გადმოწევა და ეს გადმოწევა მოხდა ძვ.წ. II საუკუნიდან. სტრაბონის ცნობით (XI,14,5) ანტიოქ დიდის სარდლებმა არტაქსიამ (იგივე არტაშესმა) და ზარიადრმა ძვ.წ. II საუკუნის დამდეგს ხალიბებს დიდი ქალაქი კარენიტი ძვ. კარნუ (ერზერუმი) წაართვეს და თანდათან დაიკავეს არაქსის, მტკვრისა და შემდეგ უკვე ჭოროხის სათავეები! ორი საუკუნის მანძილზე ამ ტერიტორიებზე წარმოიქმნა ნარევი მოსახლეობა, რომელსაც პლინიუსი არმენო-ხალიბებს, ე.ი. გასომხებულ ხალიბებს უწოდებს! მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქაური მოსახლეობა მთლიანად გასომხდა, – გასომხება მოხდა ზერელედ, ე.ი. მოხდა ზედაპირული არმენიზაცია სასაზღვრო ზოლში, სადაც ხალიბებს, ე.ი. ქართველ ჭანებს შემოერია არმენები და მათ ზემოქმედება მოახდინეს ადგილობრივ მცხოვრებლებზე. პონტოს ძლიერი ქართული სახელმწიფო დასავლეთით და ჩრდილოეთიდან იბერია პერიოდულად იბრუნებდა ქართულ მიწა-წყალს, მაგრამ სწორედ ამ ორმა საუკუნემ დალექა სომხურ ენაში ქართულ-ჭანური სიტყვები და ასევე ქართულ-ჭანურში სომხური სიტყვები! ამ შენარევ სიტყვებს ქართულ ენაში ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავარქმევთ ინდოევროპული ენის (ე.ი.სომხურ) ლექსიკას! რადგან ლექსიკა საკმაოდ ფართო მცნებაა და ენის მთელ სიმდიდრეს მოიცავს. ამ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს მხოლოდ ნაწილობრივ, ე.ი. როგორც უკვე ვთქვით, ზედაპირულ არმენიზაციასთან და უმნიშვნელო შერევასთან, და მიუხედავად ნიკო მარის და გამყრელიძე-ივანოვ-მაჭავარიანის დიდი სურვილისა, ქართული ენა არავითარ შემთხვევაში არ განიხილება ნარევ ენად. ქართული ენა, რომელმაც რამდენიმე ათასეულ წელს გაუძლო, უძველესი და უძლიერესი ენაა სრულყოფილი ფონეტიკით და გრამატიკული აგებულებით. ლექსიკის ნაწილობრივი შერევა ყოველთვის შეინიშნება და დასაშვებია მეზობელი ან დამპყრობელი ერის ენის ურთიერთგავლენის შედეგად. ეს აქსიომაა და ცხადია ზემოთ დასახელებულმა მეცნიერებმა კარგად იცოდნენ და იციან, რომ თანამედროვე სამყაროში არ არსებობს ცივილიზებული ერი და ენა, ნასესხები სიტყვები რომ არ გააჩნდეს. როგორც ილია ამბობდა, ამ მხრივ უიშვიათესი მაგალითებია: ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური და ნებისმიერი უმაღლესი ცივილიზებული ევროპული ერების ენები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ინგლისელისთვის ინგლისური ენა არ არის მშობლიური და საიდანღაც მითვისებული აქვს ან ვინმესთვის წართმეული! მსგავსი ტენდენცია არამეცნიერული და უბრალოდ უზნეობაა, ბატონებო!

1984 წელს გამოვიდა თ. გამყრელიძის და ვ. ივანოვის წიგნი „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები. წინარე ენისა და წინარე კულტურის რეკონსტრუქცია და ისტორიულ-ტიპოლოგიური ანალიზი“. აღნიშნული შრომა თავდაყირა აყენებს ორიენტალისტიკასა და ენათმეცნიერებას! ბატონები თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი ყოველგვარი მყარი მეცნიერული საფუძვლის და საძირკვლის გარეშე აცხადებენ, რომ „...მცირე აზია ქრისტეშობამდე „IV ათასწლეულში“ დასახლებული იყო მხოლოდ ინდოევროპელებით“, რომ მცირე აზიაში ფუნქციონირებდა მხოლოდ ინდოევროპული ენა და ინდოევროპელი ტომები ერთიანნი, განუყოფელნი და დაუნაწევრებელნი იყვნენ!.. და რომ ხეთები ინდოევროპელები არიან და ასევე სულ ახლახან, XIX-XXსს აღმოჩენილი ლურსმული წარწერები ინდოევროპულ ენას განეკუთვნება! მკითხველი რომ არ დაიბნეს, საჭიროა ღიად ვთქვა, რომ საუბარია პროტოხეთურ, ურარტულ ენებზე, ინდოევროპელთა მემკვიდრეებში კი თ. გამყრელიძის და ვ. ივანოვის აზრით დღევანდელი არმენები მოიაზრება. ბატონები გამყრელიძე და ივანოვი არ ამბობენ და არ წერენ არაფერს ახალს, ისინი იგივე თეორიას ავითარებენ რაც თავის დროზე გაახმოვანა და დღის წესრიგში დააყენა პატკანოვმა, მორდტმანმა, სანდალგიანმა და მარმა, რომ ძველი „ენა, რომელზეც წარწერებია შესრულებული, მართალია, რომ დღეს აღარ აქვთ სომხებს, მაგრამ ადრე მათი მეფეები (თურმე) ამ ენაზე საუბრობდნენ...“ თეორიას არარსებული ენის შესახებ ნ. მარმა ჰაიასური ენის თეორია უწოდა, და სწორედ ამ ჰაიასური ენის თეორიამ შეისხა ფრთები აივაზიანის „მეწამორის პეტროგლიფში“ და რომელიც მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი მიაწოდეს მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებას და რომ არა ბ. პიოტროვსკის პასუხი, ეს ფაქტი ნამდვილად არასასიამოვნო ჰიპოთეზად შევიდოდა სომხეთის ენათმეცნიერების ისტორიაში! მეცნიერებამ მკაცრად დაასაბუთა, რომ მსგავსი თეორიები მხოლოდ ბინძური იდეოლოგიური შეკვეთის სამარცხვინო ნაყოფია, ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებული!

ახლა კი გავარკვიოთ კიდევ ერთხელ ისტორიული ფაქტები... 1864 წელს ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ფრ. მიულერმა რამდენიმე სამეცნიერო შრომა მიუძღვნა იბერიულის, ე.ი. ქართველურ და კავკასიურ ენათა ახლონათესაურ კავშირს. მან „იბერიული ფუძე ენა და მთის კავკასიური ენები ერთ, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში გააერთიანა და წამოაყენა დებულება მათი არამარტო მსგავსებისა, აღნიშნა, რომ ეს ენები წარმოადგენენ ნაშთებს ოდესღაც უფრო ფართოდ გავრცელებულ ენათა წრისას, რომელსაც ეკუთვნოდა წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვის უძველესი კულტურის ხალხთა ენები, აგრეთვე ცოცხალ ენათაგან ბასკური. ეს ენათა დიდი ოჯახი ოდესღაც გავრცელებული ყოფილა კავკასიაში და მის სამხრეთით ჯერ კიდევ მანამ, სანამ აქ (იგულისხმება მცირე აზია) ინდოევროპული, სემიტური და ურალურ-ალთაური ენები გაჩნდებოდნენ!!! არაერთი უცხოელი და რუსი ენათმეცნიერი მივიდა იმ აზრამდე, რომ კავკასიის მკვიდრთა (არ იგულისხმებიან სომხები, ისინი არ არიან აბორიგენი მოსახლეები – დ.მ.) ენები გენეზისურად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, რომ კავკასიური ენები უფრო შორეულად ენათესავებიან ერთი მხრივ ბასკურს, ხოლო მეორე მხრივ წინა აზიისა და შუამდინარეთის ამჟამად მკვდარ ენებს, რომლებიც არ არიან არც ინდოევროპულის, არც სემიტურის მონათესავე“. აღნიშნული ამონარიდი მოვიტანე წიგნიდან: „არნოლდ ჩიქობავა“, ბიობიბლიოგრაფია, გამომც. „მეცნიერება“, 1979წ. როგორც ხედავს ჩემი მკითხველი, საქართველოსაც ჰყავდა და ჰყავს პიოტროვსკის მსგავსი ღირსეული, მოუსყიდავი მეცნიერები. იქვე ვკითხულობთ: „...არნოლდ ჩიქობავას თაოსნობითა და ხელმძღვანელობით 1933წ. დაარსდა კავკასიურ ენათა კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 1936წ. მთის კავკასიურ ენათა განყოფილება

ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (რომლისგანაც შემდეგ 1947 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი გამოიყო). 1933-1934 წლებში თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტთან ჩამოყალიბდა კავკასიურ ენათა განყოფილება". დიახ, ბატონებო, კათედრა, განყოფილება... და საერთოდ იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლას ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი არნოლდ ჩიქობავა! თავის წიგნში „ენათმეცნიერების შესავალი" 83-ე გვერდზე (გამოც. 1952წ.) დიდი მეცნიერი წერს: „...ყველა ენაში გვხვდება ნასესხები სიტყვები... ისიც ხდება, რომ ნასესხები სიტყვები ენაში ნახევარზე მეტი აღმოჩნდება (ასეა მაგალითად დაღესტნის ასს რესპუბლიკის ტაბასარანულ ენაში, სპარსულ ენაში); მაგრამ ეს არ ემუქრება ენის არსებობას, არ უქმნის საფრთხეს ენის თვითმყოფადობას. სხვა ენის მასალის მოზღვავება ლექსიკურ შემადგენლობაში არ არის საშიში ენისთვის მანამ, სანამ დაცულია მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა. სანამ ენის ეს სასიცოცხლო ცენტრები ხელუხლებელია, სანამ ენის საფუძველი დაცულია, მანამ ენის თვითმყოფადობას საშიშროება არ მოელის."

საქმეც ამაშია, ბატონებო! ბატონები თ. გამყრელიძე და ივანოვი თავიანთი შრომებით სწორედ ქართული ენის საფუძველს მიადგნენ, ყოველმხრივ შეეცადნენ დაემტკიცებინათ, რომ ქართულ ენას ქართული, თვითმყოფადი საფუძველი უბრალოდ არ გააჩნდა, მისი წარმოშობა და განვითარებაც მოხდა ინდოევროპული ენის (ე.ი. სომხურის) სუბსტრასტის საფუძველზე! ე.ი. სომხური ენის ბაზაზე!

„...შეიძლება დავუშვათ აღნიშნულ ეპოქაში (ძვ.წ. III-II ათასწლეულები) კავკასიის მიწა-წყალზე მნიშვნელოვანი ინდოევროპული მასის ცხოვრება. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება რომ შეიძლება კავკასიის ტერიტორიაზე III ათასწლეულში ფართოდ გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები სწორედ ინდოევროპული წარმომავლობისა იყვნენ, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველ ტომებში უნდა გათქვეფილიყო, ქართულ მეტყველებაზე გადასულიყო და ეს არის სწორედ ქართველურის სტრუქტურული თუ ლექსიკური ინდოევროპეიზმების წყარო. პროფ. გ. მაჭავარიანი კი შესაძლებლად თვლის მტკვარ-არაქსის კულტურის ტომებში დავინახოთ ტომთა ვრცელი კავშირი, რომელიც მოიცავდა ინდოევროპულ და ქართველურ (შეიძლება აგრეთვე ზოგ სხვა) ტომებს. აღნიშნულ ტომთა კავშირის ლინგვისტური კორელატი იქნებოდა(?) მაშინ უძველესი დროის ის ინდოევროპულ-ქართველური „ენობრივი კავშირი", რომლის არსებობის აზრამდეც მიჰყავს მკვლევარი ქართველური ენების მასალის საკუთრივ ენთმეცნიერულ კვლევას". ამ სიტყვების ავტორი ბ-ნი გიორგი მელიქიშვილია. ამ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არასწორად მიმაჩნია, მკითხველს თავად შეუძლია დასკვნის გამოტანა; მხოლოდ ორიოდ სიტყვას დავამატებ, რომ მეცნიერული გამოკვლევებით დროს, რომელსაც მტკვარ-არაქსის კულტურა მიეკუთვნება, მცირე აზიაში ინდოევროპული ტომები, მით უმეტეს სომხები არ ცხოვრობდნენ! ზემოთმოტანილი ამონარიდი მე ადრევე მივაწოდე ჩემს მკითხველს მეტი თვალსაჩინოებისთვის და დასახელებული მეცნიერების არამეცნიერული, არამედ ამჯერად უკვე პოლიტიკური პლატფორმის გასარკვევად!

ზემოთთქმულის საპასუხოდ მოვიშველიებ ამონარიდს არნოლდ ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავლიდან", გვ. 362: „იბერიულ-კავკასიური ენები მონათესავე ენების წყებაა კავკასიაში. ამჟამად ეს ენები – ბასკურის გარდა – მხოლოდ კავკასიაში გვხვდება, ისტორიულად კი ხეთურ-იბერიულ ენათა ოჯახის გადმონაშთს წარმოადგენენ. ... კავკასიის ყველა ენა როდია „კავკასიური" (ე.ი. იბერიულ-კავკასიური). კავკასიაში წარმოდგენილია ინდო-ევროპული ენები (რუსული, უკრაინული, სომხური, ოსური, თალიშური...), ალათაური ენები (აზერბაიჯანული, ყუმიკური), სემიტური (სირიული)... ინდოევროპულ, ალათაურ, სემიტურ ენათა დიდი წილი კავკასიის გარეთ მოიპოვება, იბერიულ-კავკასიური ენები კი ამჟამად კავკასიის მიწა-წყალზე გვაქვს...

იბერიულ-კავკასიური ენები შედგება ოთხი ჯგუფისაგან: ეს ჯგუფებია:

1. ქართველური ანუ იბერიული,
2. აფხაზურ-ადიღეური,
3. ქისტურ-ბაცბური (ვაინახური – დ.მ.) და
4. დაღესტნური.

ქართველური ენებია: ქართული, ზანური (ჭანური, მეგრული) და სვანური.

... ტერმინი „ქართველური ენები" – იხმარება უკვე ალ. ცაგარელის შრომებში. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ის დამკვიდრდა ჰუგო შუხარდტის შრომათა მეოხებით. ალ. ცაგარელი ამ ენებს უპირატესად იბერიულს უწოდებდა.

... მარი ბროსემ წამოაყენა დებულება (1834წ.) – ქართული ენა ინდო-ევროპულ ენებთანაა ნათესაურს კავშირშიო. ათიოდე წლის შემდეგ ფრ. ბოპმა – (ინდოევროპულ ენათა ოჯახის წევრები კავკასიაში; 1847წ.) სცადა დაემტკიცებინა – ქართველური ენები ინდო-ევროპულ ენათა ოჯახს ეკუთვნიანო. ფრ. ბოპის ეს შრომა მოხსენებად იყო წაკითხული ბერლინის მეცნიერებათა აკადემიაში. მაგრამ ვერც ამ მაღალმა ტრიბუნამ, ვერც ფრ. ბოპის დიდმა ავტორიტეტმა ვერ გაუკაფეს გზა წამოყენებულ დებულებას. ერთადერთი შედეგი, რაც ფრ. ბოპის ცდას მოჰყვა, იყო უარყოფითი.

ავსტრიელმა ენათმეცნიერმა ფრიდრიხ მიულერმა 1864 წელს წამოაყენა დებულება, (რომ) კავკასიური ენები ამჟამად განმარტოებით მდგომი ჯგუფია (ისევე, როგორც ბასკური ენაო). სხვა ამჟამად ცნობილ ენათა ოჯახებთან ნათესაურს კავშირში ენათა ეს ჯგუფი არ იმყოფება, კავკასიური ენები ნაშთია ენათა ოჯახისა, რომელიც კავკასიაში და კავკასიის სამხრეთით იყო ფართოდ გავრცელებული ჯერ კიდევ მანამ, სანამ აქ ინდო-ევროპული და სემიტური ენები გაჩნდებოდაო (ამავე აზრისანი იყვნენ შლაიხერი, პოტი, ლეფსიუსი, შპიგელი).

...ნიკო მარი გადაჭრით ამბობდა: „ქართული სემიტურ ენებს ენათესავებაო".

...1908 წელს გამოვიდა ნიკო მარის გამოკვლევა „ძველი ქართულის ძირითადი ტაბულები, წინასწარი ცნობებით ქართული ენის სემიტურ ენებთან ნათესაური ურთიერთობის შესახებ". აქ ქართული, ჭანურ-მეგრული და სვანური წოდებულია „იაფეტურ შტოდ" ნოეტურ ენათა ოჯახისა; იმავე ოჯახის მეორე შტოდ აღიარებუ-

ლია სემიტური ენები. ტერმინი „იაფეტური“ – ავტორმა აირჩია იმ მიზნით, რომ იმთავითვე ხაზი გაესვა – სემიტური ენების მონათესავე ენებთან გვაქვს საქმეო; რაკი სემისა და ქამის სახელები უკვე იხმარებოდა ენათა ოჯახების აღსანიშნავად, მესამე შვილის, იაფეტის სახელი ქართველური ენების აღსანიშნავად იქნა გამოყენებული. შემდეგში აკად. ნ. მარისათვის ცხადი გახდა, რომ შედარებისას არ შეიძლება ქართველური ენების გამოყოფა, რადგანაც ქართველური ენები ნათესაურ კავშირშია მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან. ქართველური სხვა კავკასიურ ენებთან ერთად გამოცხადებულ იქნა იაფეტურ ენათა ოჯახად, სემიტურ ენებთან ნათესაობის საკითხი უკანა რიგში მოექცა და თვით იაფეტურ ენათა ოჯახის მრავალრიცხოვანი წევრების ბუნება – თვისებების გარკვევა დადგა ყურადღების ცენტრში.

...1920 წელს ნ. მარმა წამოაყენა დებულება: (რომ) იაფეტურ ენებზე მოლაპარაკე ხალხები წარმოადგენენ მესამე ეთნიკურ ელემენტს ხმელთაშუა ზღვის კულტურის შექმნაში, – მესამე ეთნიკურ ელემენტს, რამდენადაც მეცნიერებაში ჯერ ინდოევროპელები და სემიტები ითვლებოდნენ ამ კულტურის შემქმნელ ეთნიკურ ელემენტად, იაფეტიდების საკითხი ამის შემდეგ გაირკვა; რაც შეეხება ისტორიულ ვითარებას, იაფეტიდები პირველი ეთნიკური ერთეულია ხმელთაშუა ზღვის კულტურის შექმნაში, იაფეტიდები უსწრებენ ინდოევროპელებსაც და სემიტებსაცო.

ნ. მარის ეს აზრი არსებითად სწორი იყო. სამწუხაროდ, მას აკლდა დასაბუთება, რომ სარწმუნო გამხდარიყო სპეციალისტებისათვის. შემდეგ წლების შრომებში ნ. მარს ეს დასაბუთება არ მოუცია. მეტი კიდევ: თვით ენათა წარმოშობითი ნათესაობა ნ. მარმა უარყო (1923 წლიდან), ე.წ. „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“ „იაფეტური ენები“ უკვე არ ნიშნავს ერთი წარმოშობის ენებს, „იაფეტური ენები“ განვითარების საფეხურზე მიუთითებს, სტადიური კლასიფიკაციის ცნებად არის ქცეული“.

ბატონი არნოლდ ჩიქობავა იქვე, შემდეგ პარაგრაფში ღრმად აანალიზებს „იბერიულ-კავკასიურ და მის მონათესავე წინაპარ, მკვდარ ენებს. იბერიულ-კავკასიურ ენათა წარმოშობასთან დაკავშირებით ბუნებრივად დგება წინა აზიისა და შუამდინარის ძველი, აწ მკვდარი ენების საკითხი,. ეს ენებია: შუმერული ენა, ხეთური ენები, ჰურიტული ენა, ურარტული, ელამური (ანუ სუზური).

შუმერულ ენაზე შუამდინარეთში დამწერლობა შეიქმნა მეოთხე ათასეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ეს არის ყველაზე ძველი დამწერლობა, რაც კი არის ისტორიულად ცნობილი. დაიწყო ის პიკტოგრაფიით და შემდეგ ლურსმულის წარწერის სახე მიიღო. შუამდინარეთში შუმერები შეცვალეს სემიტებმა – ასურელებმა და ბაბილონელებმა. მაგრამ სემიტების ბატონობის დროსაც შუმერული ენა მრავალი საუკუნის განმავლობაში რჩებოდა მოგვთა საღმრთო ენად... და მხოლოდ თანდათანობით შუმერული გაქრა და ადგილი დაუთმო სემიტურს. შუმერული ენა საბოლოოდ მიეცა დავიწყებას და ფირფიტები შუმერული წარწერებით გაქრა ასურელთა ეპოქაში, დაახლოებით 1000-600წ.წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე (ჩ. ლოუკოტკა, დამწერლობის ისტორია, რუს. თარგ. ჩეხურიდან, 1950წ. გვ. 39).

მცირე აზიაში მეორე ათასეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე (2000-1200წ.წ.) არსებობდა ხეთების ძლიერი სახელმწიფო.; ანატოლიაში, სოფ. ბოღაზ-ქოიში (150 კმ. ანკარის აღმოსავლეთით) იქ, სადაც ძველად ხეთების დედაქალაქი ხატუშა (იგივე ხათუსა – დ.მ.) უნდა ყოფილიყო, აღმოაჩინეს ხეთების მეფეთა არქივი თიხის ფირფიტებზე: წარწერები ოთხ ადგილობრივ ენაზე იყო შესრულებული. ამ ენებიდან ორი – ნესიტური და ლუვიური – მორფოლოგიით ეკედლება ინდო-ევროპულს, ორი სხვაც – ხეთური (ე.წ. პროტოხეთური ანუ საკუთრივ ხეთური) და ბალაური – მკვლევარების აზრით უახლოვდება იბერიულ-კავკასიურ ენებს.

ხეთური დამწერლობა ორგვარია: იეროგლიფური და ლურსმული. ენა, რომლისთვისაც ხეთური იეროგლიფებია გამოყენებული, არ არის ნესიტური (მას ბალაურად თვლიან). ხეთურ ლურსმულ წარწერაში შემოვიდა პირველად ხმოვნის სიგრძის ნიშანი.

ხეთები აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა დამაკავშირებელ რგოლად გვევლინებიან (ჟ. კონტენო). ხეთური კულტურის დიდ გავლენას მოწმობს ძველი კულტურა, რომელიც აღმოაჩინეს ინდოეთში მდ. ინდის ველზე მოხენჯო-დაროსა და ხარაპში, ჩანჩხუ-დაროსა და ჯხუკარუში 1926 წელს ძველი ნაქალაქარების გათხრისას. ეს კულტურა წინარეინდურია, თარიღდება 2400-2100წ.წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე. „ნაპოვნი მხატვრული ნაკეთობანი... ცხადად მოწმობს, რომ ეს კულტურა მომდინარეობს მთლიანად წინა აზიიდან“ (ჩ. ლოუკოტკა. დამწერლობის ისტორია, 1950წ. გვ 67), ფრ. ჰროზნიმ დაადგინა, რომ „ხეთურ იეროგლიფურსა, კრეტულსა და წინარეინდურ დამწერლობაში საერთო ნიშნები მოიპოვებაო“ (ჩ. ლოუკოტკა). ცხადია, რომ ამ შემთხვევაში საქმე შეიძლება ეხებოდეს ხეთურს ან ბალაურს და არა ნესიტურ ენას, რადგან ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ტომთა ექსპანსია მცირე აზიაში მეორე ათასეულზე ადრე არ მომხდარა.

ჰურიტული (ხურიტულსაც ეძახიან – დ.მ.) (ანუ ჰარიული) ენა (II ათასეული ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ეკუთვნის იმავე წრეს, რასაც ეკუთვნის ხეთური (ე.ი. საკუთრივ ხეთური).

ელამური ენა (XV-VIIIსს ჩვენს წელთაღრიცხვამდე), აგრეთვე ურარტული (ანუ ხალდური) ენა ვანის სამეფოსი ეკედლება წინა აზიისა და შუამდინარის ზემოხსენებულ ენებს.

ენები: შუმერული, ხეთური, ჰურიტული, ურარტული, ელამური (და მცირე აზიის რიგი ძველი ენა: ლიდიური, ლიკიური, კარიული) ზოგჯერ იწოდება აზიანურ ენებად, რაც გამართლებულია იმდენად, რამდენადაც ამ ენათა თავისებური ადგილი სხვა ენათა შორის გაიხაზება.

ეს ენები დიდი ხანია, რაც აღარ იხმარება; მკვდარი ენის შესწავლა მაშინაც კი ძნელია, როცა ამ ენაზე დიდძალი მასალა გვაქვს შემორჩენილი. ამ შემთხვევაში კი მასალა მცირეა, თან ეს მასალა ლურსმულად ან იეროგლიფური წესით არის დაწერილი. ეს აძნელებს დაწერილის სწორად წაკითხვას და ზუსტად გაგებას...

და მაინც, ეს ენები – შუმერული, ხეთური, ჰურიტული, ურარტული, ელამური – არ არის არც ინდოევ-

როპული, არც სემიტური და არც ალათაური (თურანულ-მონღოლური).

როდესაც ფრ. ჰროზნიმ ხეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი ენა – ნესიტური – ინდოევროპულ ენად მიიჩნია, ხეთური ენები (სუყველა – დ.მ.) საერთოდ ინდო-ევროპულად გამოაცხადეს, თუმცა ყველა აღიარებს, რომ საკუთრივ ხეთური („პროტოხეთური") ინდო-ევროპულ ენად არც ფრ. ჰროზნის მიუჩნევია და არც სხვა ვისმე.

ხეთებს („ხათებს") როგორც ზევითაც ითქვა, ეგვიპტელები სწორედ ე.წ. პროტოხეთებს, ე.ი. მცირე აზიის ძველ მკვიდრ ხალხს უწოდებდნენ. რაკი საკუთრივ-ხეთური, „პროტოხეთური" არ არის ინდოევროპული ენა, არ არსებობს არავითარი მეცნიერული საფუძველი იმისთვის, რომ „ხეთური" დავარქვათ ნესიტურს, ხოლო ეს სახელწოდება არ ვუწოდოთ იმ ხალხს, რომელსაც ის ერქვა ძველთაძველი დროიდან. ხეთური ენა (ენები) – არის მცირე აზიის სწორედ არა ინდო-ევროპული, ძველი ენა (ენები), რომელიც ხეთურ იეროგლიფებსა და შემდგომ ლურსმულ დამწერლობაში შემოგვენახა.

ნესიტურს რომ ხეთური დავარქვათ და ნამდვილ ხეთურს „პროტოხეთური", ეს ნიშნავს ტერმინოლოგიური არევ-დარევა შევიტანოთ იქ, სადაც ისტორიული ურთიერთობა ისედაც ძალზე დახლართულია.

ხეთური („საკუთრივ ხეთური"), ბალაიური, ჰურიტული, ურარტული, ელამური, შუმერული – ეს არის ენები იმ ხალხებისა, რომლებმაც შექმნეს კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის კერა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისტორიულ ასპარეზზე არ იყვნენ გამოსულნი არც ინდო-ევროპულ, არც სემიტურ და არც ალათაურ ენებზე მოლაპარაკე ხალხები.

ამ მკვდარ ძველ ენებს, რომლებიც არც ინდოევროპულია, არც სემიტური, არც ალათაური, ბუნებრივად უკავშირებენ ცოცხალ იბერიულ-კავკასიურ ენებს, რომლებიც ამ ძველი ენების მეზობლად არის გავრცელებული და არც ინდოევროპულია, არც სემიტური და არც ალათაური. როგორც მორფოლოგიური წყობა, ისე კულტურულ-ისტორიული კონტექსტი წინა აზიის ძველი ენებისა იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიული ერთიანობის შესახებ ლაპარაკობს...

...ხშირად, როცა ამ ენებში (იბერიულ-კავკასიურსა და შუმერულ-ხეთურს შორის – დ.მ.) მსგავს მოვლენებს ვხვდებით, ძნელი გადასაწყვეტია, საერთო მემკვიდრეობის დიფერენციაციად უნდა მივიჩნიოთ იგი, თუ სხვადასხვა ენის დაახლოვება-შერევის შედეგად დავსახოთ.

და მაინც რაც უფრო ახლოს ვეცნობით ამ ენათა ურთიერთობას, მით უფრო ცხადი ხდება, რომ სწორედ ეს საერთო, მსგავსი მოვლენებია პირველადი მონაცემი, განსხვავებული მოვლენები კი წარმოშობილია ამ ენათა ხანგრძლივი დამოუკიდებელი ისტორიული განვითარების პროცესში.

მეორე მხრივ, რაც უფრო შორს ვიხედებით ქართველური და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიულ წარსულში, მით უფრო ხელშესახები ხდება ამ ენათა წარმოშობითი კავშირი წინა აზიისა და შუამდინარის ძველი ცივილიზაციის ენებთან (ურარტულთან, ჰურიტულთან, ხეთურთან, ელამურთან, შუმერულთან).

უნდა აღინიშნოს, რომ ძველ მკვდარ ენებთან იბერიულ-კავკასიური ენების დაკავშირების ცდას (ჰიუზინგი, ბორკი, ტრამბეტი, ვაიდნერი, ფორერი, კონტენო...) ხშირად აკლია დამაჯერებლობა, რადგანაც შედარების აუცილებელი მოთხოვნილება დაცული არ არის: იბერიულ-კავკასიური ენების ფაქტებს იყენებენ შესადარებლად ისე, რომ ანგარიში არ ეწევა ამ ფაქტების ისტორიას სათანადო ენაში (ან ენათა ჯგუფში).

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მოთხოვნილება თუ არ დავიცავით, მეცნიერულად მკვიდრ შედეგს ვერ მივიღებთ, სწორი აზრი კვლავ დაუსაბუთებელი დარჩება. მეტი კიდევ: აზრის სისწორეც კი შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება მის წინაშე მდგარი ამოცანის გადაჭრას შეძლებს მხოლოდ როგორც ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება" (არნოლდ ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავ,. თბ., 1952წ. გვ. 375-381).

არნოლდ ჩიქობავას „ბიბლიოგრაფიის", დიდი მეცნიერისადმი მიძღვნილ შესავალ წერილში, პროფესორი თინათინ შარაძენიძე მე-15 გვერდზე წერს: არნოლდ ჩიქობავას „აუცილებლობად მიაჩნდა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლისთვისაც. ამასთან იმასაც ითვალისწინებდა, რომ ვინაიდან ამ ენათა (იბერიულ-კავკასიურ) აგებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება ინდოევროპულ ენათა აგებულებისაგან, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლისას უეჭველად დაგვჭირდება ინდოევროპულ ენათა მასალაზე გამომუშავებული ტერმინოლოგიის გადასინჯვა და საკვლევ ენათა სპეციფიკის შესაბამისი ცნებების შექმნა."

ბატონებო, ყოველგვარი კომენტარის გარეშე ხვდებით ცხადია, რა საოცარი თავმდაბლობაა, საკითხის უაღრესად ინტელექტუალურად გადაწყვეტა, ოპონენტებს რომ არ აწყენინონ! დიახ, ყოველმხრივ ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი იბერიულ-კავკასიური ენები! დღესდღეობით კი, რა მონაცემებიც გვაქვს საკმარისზე მეტია იმ უწყვეტი ჯაჭვის შესამჩნევად, დასასაბუთებლად და გასააზრებლად მკვდარ შუმერულ-ხეთურსა და ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილ იბერიულ-კავკასიურ ენებს რომ აერთიანებს. საუბედუროდ ქართველ ხალხს და ქვეყანას დღესდღეობით 17-წლიანი ეკონომიკური კრიზისის, უმუშევრობის და უიდეობის პერიოდში არავითარი სახსრები არ გააჩნია არქეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად, არც მაგისტრანტებისთვის სწავლის ქირის გადახდა შეუძლია საზღვარგარეთ, რომ მეცნიერული კვლევა-ძიება აწარმოონ ცნობილ უნივერსიტეტებში, სადაც თავის დროზე მოღვაწეობდნენ დიდი ორიენტალისტები და მათ შორის მიხაკო წერეთელი!!! ჩვენგან განსხვავებით სომხებს და სომხეთს კი პირიქით, არამარტო მნიშვნელოვანი ფულადი სახსარი გაჩნიათ, თითქმის ყველა ცნობილ უნივერსიტეტში აქვთ სომხური ენის კათედრა! ეს დიდი მამულიშვილური საქმეა ბატონებო! და ეს სომხური ეკლესიის დამსახურებაა! ამ შესაძლებლობას ისინი ცუდი თუ კარგი საქმისთვის ყოველთვის სათავისოდ რომ იყენებენ, ეს უკვე მათ სინდისზეა. რაც შეეხება საერთოდ მეცნიერებას ენის შესახებ, ე.ი. ენათმეცნიერებას, იგი იმდენად თავისთავადი და თვითმყოფადი მეცნიერებაა, რომ ჩემი აზ-

რით უხეში, თვითნებური შეხებაც კი ვნებს, არათუ მეცნიერული ძიების მანტიაში გახვეული მიკერძოებული და პოლიტიზირებული შრომების უზნეო ნაყოფი, რაც ქართველმა ხალხმა უკვე მოიმკა გაგრაში, სოხუმსა და კოდორის ხეობაში ბაგრამიანის ჯარისკაცებისაგან ჩახოცილი გასამრავლებელი ქართველი ყმაწვილების სისხლით! მხოლოდ ჩემი ქვეყნის წარსული და ჩემი ხალხის ტანჯვა მათქმევინებს ხმამაღლა მელიქიშვილ-გამყრელიძე-მაჭავარიანის მიმდევრებისთვის – შეჩერდით ბატონებო, თქვენს ფეხქვეშ მამულის მიწა იწვის!.. და არამარტო ქართველს, ნებისმიერი ეროვნების მეცნიერს, უფლება არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკური იდეების მედროშედ აქციოს მეცნიერება და შემდეგ, მნიშვნელობა არა აქვს რომელმა ერმა, სულ ერთია, მოინდომოს ავადმყოფი გონებით წარმოსახული ვითომცდა იმპერიული მიწა-წყლის, თუნდაც 2000 წელი იყოს გასული – ხელახლა აღდგენა და იმ ტერიტორიაზე მცხოვრები აბორიგენი მოსახლეობის ნებისმიერი მეთოდით თავიდან მოშორება, ამოწყვეტა... შემდეგ კი, საკუთარი ავტოხთონობის თავგადაკვლით მტკიცება! ამისთვის კიდევ ერთ მაგალითს გაგახსენებთ. ჩემი „კომენტარების“ დასაწყისში პირველივე ჩემი შენიშვნა მივუძღვენი 1990 წლის 11 მარტს რუსულ გაზეთ „სოიუზში“ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორების გუბოგლოსა და სიმჩენკოს რედაქციით (უმჯობესი იქნება თუ ვიტყვით „ავტორობით“) გამოქვეყნებულ სტატიას „სომხები“. აღნიშნულ სტატიაში არის ერთი წინადადება; „სომხების ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ინდოევროპელმა წინაპრებმა – არიმებმა, რომელიც მოხსენიებულია ჰომეროსის ეპოსში“. აღნიშნულ კომენტარში შევეცადე დამესაბუთებინა ამ აზრის სიცრუე. ამჯერად სწორედ ამ სტატიიდან გამომდინარე, კიდევ უფრო ძლიერდება ეჭვი ამ ხალხის რეაქციული ნაწილის ბინძური ჩანაფიქრის შესახებ. სწორედ ავტოხთონობის მტკიცებიდან გამომდინარე, არამარტო თავიანთ, არამედ მათი ქვეყნის, ე.ი. დღევანდელი სომხეთის მიმდებარე ტერიტორიების მიმართ, გინდ ჯავახეთი იყოს ეს მხარე, გინდ ტაო და გინდაც კლარჯეთ-მესხეთი! სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა რუსი მეცნიერების სტატიაში ამგვარი არა მარტო უზუსტობის, შემიძლია განვაცხადო, რომ არაპროფესიონალიზმის მაჩვენებელი უვიცობის სააშკარაოზე გამოტანა! არავინ იფიქროს, რომ ქართველებს რაიმესი ეშინიათ, ან რაიმეს გამოაშკარავებას უფრთხიან! არა ბატონებო! მე კიდევ ერთხელ ხმამაღლა შემიძლია გაგახსენოთ კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები, რომ ეს ყოველივე უვიცობასთან შეუღლებული ცინიზმია! რადგან მეცნიერებამ არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით დაასაბუთა, რომ ჰომეროსის პოემის გმირები კრეტა-მიკენის უძველეს ცივილიზაციას ეკუთვნის, და ეს პერიოდი, უბრალოდ არც კი იცნობდა ინდო-ევროპელთა იმ ფრიგიულ მასას, რომელსაც არმენები შემოჰყვნენ მცირე აზიაში. უფრო მეტი სიზუსტისთვის რამდენიმე შტრიხით შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩემი მკითხველისთვის კარგად ნაცნობი თუკიდიდეს მიხედვით პოეტი ჰომეროსი ტროას გამანადგურებელი ომის დამთავრებიდან მრავალი საუკუნის შემდეგ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. თუკიდიდესთვის, „პელოპონესის“ ომის (ძვ. წელთაღრიცხვით 431-404წ.წ) ავტორისთვის ძნელი არ იქნებოდა ჰომეროსის ეპოქის გააზრება. თუკიდიდეზე უფროსია ჰეროდოტე, როგორც დიონისე ჰალიკარნასელი (ძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნე) ამბობს, „ჰეროდოტე ჰალიკარნასელი დაიბადა სპარსელებთან ომის წინ და იცოცხლა „პელოპონესის“ ომამდე და რადგან ჰეროდოტეს „ისტორია“–ში ისტორიული ამბები გადმოიცემა ძვ.წ. 430 წლამდე, ე.ი. ჰეროდოტე დაახლოებით ამ წლებში გარდაცვლილა. ჰეროდოტეს აზრით კი, ჰომეროსი მასზე 400 წლით უფროსი იყო! და კიდევ, ავლუს გელიუსის თქმით, ჰეროდოტე პელოპონესის ომის დაწყებამდე დაახლოებით 50 წლისა იყო. ე.ი. ის დაბადებულა დაახლოებით 480-485 წლებში. გამოდის რომ, ჰომეროსი ცხოვრობდა და მის პოემებსაც ისტორია ვერ მიაკუთვნებს უფრო გვიანდელ ეპოქას, ვიდრე XI-X საუკუნეებია ძველი წელთაღრიცხვის; ცხადია, ეს მიახლოებითია! ამდენად ამ პერიოდის საქართველოს, იგივე კოლხეთის ისტორიული მონაცემები ზუსტი არგუმენტაციით გვაქვს „ილიადასა“ და „ოდისეაში“ და ეს საუკუნეები ნამდვილად არ იცნობენ არამარტო არმენებს, ფრიგიელებსაც კი. ერთადერთი, რასაც ისინი, ე.ი. სომეხთა რეაქციული ნაწილი ჩაეჭიდა, სახელის მსგავსებაა, თან მხოლოდ მიახლოებითი, რადგან იაზონის მხლებელი არგონავტი, თესალიელი (იაზონის კუთხიდან) – არმენიოსი – როდოსელს მოხსენებული არ ჰყავს „არგონავტიკაში“. კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ მოხსენიებულიც რომ იყოს და არგოზე იაზონის გვერდით მჯდომარე ან მდგომარე ყოფილიყო, სულ ერთია, ის ვერ გახდებოდა არმენების მამამთავარი, რადგან ამ პერიოდის კრეტა-მიკენის და კოლხეთის სამყარო არ იცნობს ამ ხალხს! რაც შეეხება იაზონის თანამგზავრ არგონავტებს, როდოსელის მიხედვით, ახლავე გაგახსენებთ მათ სახელება: 1– ორფევსი, 2 – ასტერიონი, 3– პოლიფემე, 4 – იფიკლე, 5–ადმეტე, 6 – ერიტე, 7. – ექიონი, 8 – ეთალიდე, 9 – კორონე, 10 – მოპსოსი, 11 – ევრიდამანტი, 12 – მენეტიოსი, 13 – ევრიტიონი, 14 – ერიბოტე, 15 – ოილესი, 16 – კანთოსი, 17 – კლიტოსი, 18 – იფიტე, 19 – ტელამონი, 20 პელევსი, 21 – ბუტე, 22 – ფალერე, 23 – ტიფისი, 24 – ფლიასი, 25 – ლეოდიკე, 26 – ტალაოსი, 27 –არეიოსი, 28 – ნავალიოსი, 29 – იდმონი, 30 – პოლიდევკე, 31 – კასტორი, 32 – ლინკევსი, 33 –იდასი, 34 – პერიკლიმენე, 35 – ამფიდამანტი, 36 – კეფევსი, 37 – ანკეოსი (არკადიელი), 38 –ავგიე, 39 – ასტერიოსი, 40 – ამფიონი, 41 – ევფემე, 42 – ერგინე, 43 – ანკეოსი (სამოსელი), 44 – მელეაგრე, 45 – ლაოკოონი, 46 – პალემონიოსი, 47 – არგოსი, 48 – ქეტე, 49 – კალაისი, 50 – აკასტე (ჟელიასის ძე), 51 – იაზონი, 52 – ჰილასი, 53 – ჰერაკლე!

არც ისტორიკოსებს, და მით უმეტეს მე არა მაქვს უფლება ვამტკიცო, რომ ეს სახელები ზუსტია იმ გმირებისა, ვინც იაზონს გამოჰყვა კოლხეთში, რადგან თვითონ როდოსელს და არგონავტებს 1100 ან 900 წელი მაინც აშორებთ ერთმანეთთან. ამის ბრალიცაა, რომ შემდეგ საუკუნეებში მოღვაწე ისტორიკოსებმა და მწერლებმა თვითნებურად მიუმატეს, გამოაკლეს და ჩაასწორეს გმირები საკუთარი თვალთახედვით. თვითონ როდოსელმაც მოგვიანებით ჩაამატა ამფირაოსი და თეზევსი!

ასევე არგონავტებში მოიხსენებენ: ჰერაკლეს, მელეაგრეს, ტიდევს და ბორეადებსაც!

„ისტორიული ბიბლიოთეკის“ ავტორის, დიოდორე სიცილიელის თხზულებებში (ძვ.წ. Iს.) არგონავტთა სარდლად ჰერაკლე მოიხსენება. როდოსელი კი მიუთითებს, რომ ჰერაკლე საერთოდ არ ჩასულა კოლხეთში, გზაში დარჩა. გაოცებას იწვევს ერთი და ყველაზე უმთავრესი ფაქტი, რომ ასეთი ძლიერი ქვეყნიდან, როგორიც მაშინდელი საბერძნეთი იყო, ასეთი მნიშვნელოვანი განძის მოსატაცებლად, ასევე ძლიერ და მდიდარ კოლხეთში მიემგზავრება მხოლოდ ორმოცდაათი ვაჟკაცი ერთი ჩვეულებრივი ნავით! რაც უნდა გონებრივად და ფიზიკურად ძლიერები ყოფილიყვნენ ისინი... – ეს საკითხი ყოველთვის დააფიქრებს მკითხველს. მაშინ, როცა ტროას ომში მხოლოდ ორმა აიანტმა 52 გემი წაიყვანა მეომრებით დატვირთული! აიეტი მართალია მითიურ მანტიაშია გახვეული, მაგრამ ის ისტორიული პიროვნება იყო. მისი სიძლიერე სახელიდანვე იწყება... მას ჰელიოსის (მზის) ძეს უწოდებენ ბერძნები, შუმერულად ეს სახელი გამოითქმის აი ტურ და მთვარის ძეს ნიშნავს. იგი ბუმბერაზი ვაჟკაცია, მხოლოდ მას შესწევს უნარი და ძალა ცეცხლისმფრქვეველი, სპილენძისჩლიქებიანი და სპილენძის უღელდადებული ხარებით ერთ დღეში მოხნას შვიდი დღის სახნავი მიწა, თესავს დრაკონის კბილებს და ხოცავს მიწისშობილ ბუმბერაზებს. აცვია რვალის პერანგი (მკითხველო, ყურადღება მიაქციე ტერმინ „რვალს“), ოქროს მუზარადი ახურავს და ოქროს ეტლით დაატარებს თავისი ვაჟი აფსირტე... ეტლში ქარზე უსწრაფესი ცხენებია შებმული! ამ შემთხვევაში მკითხველს უეჭველად გაახსენდება ღრუბელთ ბატონი თეშუბი, იგივე თეთრი გიორგი! აიეტის დახასიათება აბსოლუტურად საკმარისია, მისი საბრძანებლის სიძლიერის გასააზრებლად! უფრო მეტიც, აიეტმა ეროვნული (კოლხური) ტრადიციის თანახმად „სტუმრები“ დაინდო, არ დააზოცვინა, ოღონდაც მათთვის შეუძლებელი საქმე დააკისრა, ხოდაბუნების გადახვნა სპილენძისჩლიქებიანი ხარებით, დრაკონის კბილების დათესვა და შემდეგ მიწისშობილ ბუმბერაზთა დახოცვა! – რასაც თვითონ ძალიან ადვილად აკეთებდა, – იაზონისთვის შეუძლებელი იყო, რომ არა... ეროსი, რომელიც ქალღმერთების: ჰერას, ათენას და აფროდიტეს დახმარებით სიყვარულის ისრით დასჭრის მედეას, სამყაროს არსებობის ისტორიიდან ცნობილ უდიდეს ჯადოქარს და აიეტის ქალიშვილს! მედეას გაგიჟებით შეუყვარდება იაზონი და ცხადია ყველაფერში დაეხმარება მას და მის მეგობრებს, უფრო მეტიც, მედეას დასაბრუნებლად უკან დადევნებული ძმის, აფსირტეს მოკვლის უფლებასაც აძლევს იაზონს! სამშობლოს მოღალატე მედეა მკაცრად ისჯება მომავალში, მაგრამ ეს ჩვენს სასაუბრო თემას არ წარმოადგენს. მისი ღალატი კი დღესაც უდიდესი სირცხვილია ჩვენი ქვეყნისთვის!

ე.ი. ჩვენ უკვე გავიხსენეთ რაც გვაინტერესებდა, რომ იაზონს არ ახლდა არმენიოსის სახელის მქონე გმირი! არის მხოლოდ არეიოსი, რაც საკმაოდ განსხვავებულია არმენისაგან, რადგან სუფთა პელაზგურ-ბერძნული სახელია! დასაშვებია, რომ გვიანი საუკუნეების ავტორებს საკუთარი სურვილის მიხედვით ჩაემატებინოთ და ალბათ ასეც მოხდა კიდეც. ამ მხრივ ხელშესახებია სტრაბონის (დაიბადა ძვ.წ. 63წ.) ცნობები ფრიქსესა და იაზონის ლაშქრობათა შესახებ. სტრაბონის თანახმად, იაზონმა კოლხეთიდან ილაშქრა (ნიშნავს 50-ზე მეტ მეომარს) არმენიამდე და შემდეგ მიდიამდეც მივიდა და სწორედ სტრაბონს აქვს ნათქვამი, რომ არმენიამ სახელი მიიღო იაზონის თანამოლაშქრის თესალიელი არმენოსისგანო!.. იქვე ამატებს, რომ არმენიაში არის იაზონის ტაძრებიო! ასეთივე ცნობას გვაწვდის რომაელი ავტორის პომპეუს ტროგუსის „ფილიპიკების ისტორიის“ (მაკედონიის მეფეს ფილიპეს და მისი შვილის ალექსანდრეს ბრძოლებს ეძღვნება ძირითადად) მიხედვით გაკეთებულ ეპიტომაში ახ.წ. II-III საუკუნეში მცხოვრები მარკუს იუნიანუს იუსტინე. მასში მოთხრობილია იაზონისა და მისი თანამოლაშქრეების, კერძოდ არმენთან ურთიერთობა და არმენიის დაარსება! აი რას ჩაეჭიდნენ ჩვენი ძვირფასი მეცნიერები, ბატონები გუბოგლო და სიმჩენკო! მაგრამ ამ შემთხვევაში მათ გამორჩათ უმთავრესი! რომ რომის იმპერიის ანტიკური ტრადიცია ათვლას იწყებს საკუთარი თავიდან და იაზონს მიიჩნევს იბერიის დამაარსებლად, ე.ი. ეთნარქად! გასათვალისწინებელია, რომ არმენთა რეაქციული ნაწილის ხასიათიდან გამომდინარე, როცა ძვ.წ. III-II-I საუკუნეებში გამწვავებული ბრძოლები ჰქონდა არმენიას – იბერიასა და პონტოსთან ქართული ტერიტორიების გამო და სწორედ ამ საუკუნეებში ხელიდან ხელში გადადიოდა იბერიის სამხრეთი ნაწილი გოგარენე მტკვარარაქსის სათავეებით, მთებითა და ხეობებით, მათ არ გაუჭირდებოდათ მიეწოდებინათ რომაელი ისტორიკოსებისათვის ყალბი, არაზუსტი ცნობები! და ალბათ აქედან გამომდინარე ბერძენი არეიოსი, რომლის სახელი არესიდანაა წარმომდგარი და ნამდვილად თესალიელი იყო, – გადაექციათ არამეანეაკის და ჰაიკის შთამომავალ არმენად! რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო თესალიელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ხორენაცი აღიარებდა ბერძნობას, რა იქნებოდა ამაში ცუდი? საბერძნეთი ხომ მაშინდელი მსოფლიოს წარმმართველი ძალა იყო! მსგავსი მითვისება უბრალოდ არასერიოზული საქციელია! რადგან კიდევ ერთხელ შეგვიძლია მივუთითოთ ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში“ მოხსენიებულ არმენთა ეთნარქებზე! მსგავსი უზუსტობაა დაშვებული იაზონის მიმართაც, რადგან ბერძენი იაზონი ნამდვილად არ ყოფილა იბერების ეთნარქი. მაგრამ ქართველებს, იგივე იბერებს ყავდათ არიან-ქართლიდან მოსული აზო! ამ შემთხვევაში სავარაუდოა, რომ „არგონავტიკის“ იაზონი არეული ჰყავთ ქართველ აზოსთან! ე.ი. ეს პრობლემა გარკვეულია, და გარკვეულია ცხადია იმისთვის, ვის გონებასაც შეუძლია ჭეშმარიტების აღქმა!

* * *

ამჯერად, მკითხველი რომ არ გადაიღალოს „შენიშვნების“ კითხვით, ყურადღებას გავამახვილებ ბიბლიური „თუბალ კაინის“ სახელზე, და ამ საკითხის განმარტებასაც ისტორიული დოკუმენტების საშუალებით მხოლოდ იმიტომ შევეცდები, რომ ჭოროხის ხეობის ეთნიკურ მოსახლეობაზე დღესაც კი მცდარი შეხედულება აქვთ „ჩვენს კეთილ“ მეზობლებს. „სიტყვა „არგო“ – პელაზგური სიტყვაა და ნიშნავს „ველს“. პელაზგები არამარტო თესალიის უძველესი მოსახლეობაა, არამედ პელოპონესის, აქაიისა და ბეოტიისაც, საიდანაც არიან

„არგონავტიკის“ პირველი თქმულებების გმირები ჰელე და ფრიქსე. მამა აიეტის შვილიშვილის არგოსისა. ასეთ ვითარებაში ძნელი გასარკვევია, აიეტის შვილიშვილის სახელი პელაზგურ არგოსს უკავშირდება თუ კოლხეთის არგ – ქვეყნის სახელს. ერთი რამ ნათელია, „არგონავტიკა“ როგორღაც იფარგლება კოლხურ და პელასგურ სამყაროთა სფეროთი. იგი, როგორც ჩანს, კოლხურ-პელასგურ თქმულებებზეა აღმოცენებული, ხოლო ამ ორი ნაკადის განმხოლოება შეუძლებელია“. ეს ამონარიდი ჩემს მკითხველს მივაწოდე პროფესორ თეიმურაზ მიქელაძის შესანიშნავი შრომიდან „ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან“, გვ. 92. აქვე, წინა გვერდზე მეცნიერი მკითხველს უთითებს ისტორიულ ცნობებს აიეტის ოჯახის შესახებ: „როგორც ვიცით, აიეტმა თავისი მეორე ქალიშვილი ქალკიოპე მიათხოვა ფრიქსეს. მათ დარჩათ ოთხი ვაჟი არგოსი, მელასი, ფრონტისი და კიტისორე (კიტოროსი). აღნიშნული ცნობები დაცულია პინდარეს (ძვ.წ. VIს) პითიურ ოდაში, აპოლონიოსის „არგონავტიკაში“ და აპოლოდორე მითოლოგის „ბიბლიოთეკაში“. ამჯერად საინტერესოა აიეტის უფროსი შვილიშვილის სახელი არგოსი! იბადება კითხვა, ხომ არ შეიძლება ამ სახელის მატარებლის სახით საქმე გვქონდეს არგი ქვეყნისა და მისი მოსახლეობის მ-არგ-ალ ხალხის ეთნარქ-ეპონიმთან? „...ლეონტი მროველის გენეალოგიური სქემის ეგროსს ხომ არ შეესაბამება „არგონავტიკის“ არგოსი?

ბატონი თ. მიქელაძე საინტერესო და ღრმა მეცნიერული კვლევის შედეგად არაჩვეულებრივ მონაცემებს აწვდის მკითხველს პელაზგების საცხოვრისის პრეისტორიული მასალებიდან: „პელაზგები საბერძნეთში მოსულები არიან ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროებიდან და შესაძლოა კავკასიიდანაც... ანტიკური წყაროები არგონავტებს მიიჩნევს პელასგებადაც და მინიებადაც. მინიებს უწოდებდნენ მინიური ორქომენის მცხოვრებლებს, რომლებიც თავიანთ ეთნარქოსთან ორქომენის მითიურ მეფე მინიასთან ერთად თესალიის ორქომენიდან უნდა გადმოსახლებულიყვნენ. ამასთან ფიქრობენ, რომ ისინი არ იყვნენ ადგილობრივი მკვიდრნი, შეადგენდნენ მოსულ ელემენტს. ძვ.წ. 2000 წელს ორქომენი განადგურდა. მალე კვლავ დაიწყო აღორძინება ახალი ხალხის მეცადინეობით, რომელიც ხმარობდა თავისებურ თიხის ჭურჭელს, ცნობილს „მინიური კერამიკის სახელწოდებით“. მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მინიური კერამიკა საბერძნეთში გავრცელდა ტროადან. ჯ. ტომსონი ბერძნული ტრადიციული გენეალოგიის ანალიზმა და მინიური კერამიკის შესაძლებელმა მცირეაზიურმა წარმომავლობამ მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მინიები უნდა იყვნენ პელაზგები, რომლებიც საბერძნეთში მიდიან ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლიიდან თუ კავკასიიდან (თ. მიქელაძე).

ასეა თუ ისე, ეს საკითხი შეძლებისდაგვარად გამორკვეულია და დაზუსტებულია. ახლა, ჩვენ დავუბრუნდეთ საკუთრივ ძლიერ კოლხეთს, იგივე კოლხიდას, რომელიც განფენილი იყო კავკასიის სამხრეთით და შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროების გასწვრივ. „არგონავტიკის“ ეპოსი, როგორც ვნახეთ კოლხიდას წარმოაჩენს როგორც კარგად განვითარებულ მიწათმოქმედთა ქვეყანას, მაგრამ სპილენძისჩლიქებიანი ხარები და სპილენძის უღელი მარტო მიწათმოქმედების აღსანიშნავი ხერხები არ არის. აქ აუცილებლად უნდა დავინახოთ იმ დროისათვის კოლხეთში კარგად განვითარებული „ლითონის ინდუსტრია“ (თ.მიქელაძე). ე.ი. კოლხეთის სამეფოს ძლიერება ეყრდნობა კარგად განვითარებულ ეკონომიკას. ეკონომიკის საფუძვლად კი აშკარად მინიშნებულია მიწათმოქმედება და მეტალურგია! მიწათმოქმედების დადასტურება ეჭვს არ იწვევს, რადგან დადასტურებულია (ჰიპოკრატეს ცნობები) არხების რთული სისტემა კოლხეთში, რაც შეეხება მეტალურგიას, კოლხეთ-იბერიას გააჩნდა ასევე დიდი მეტალურგიული ტრადიციები და მადნეულის მდიდარი ბაზა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. „არგონავტიკაშივეა“ ცნობა მოცემული, რომ პრომეთე კავკასიის მთების კლდეზე „სპილენძის“ ბორკილებითაა მიჯაჭვული. კოლხეთის სოციალური ყოფის ძირითად იარაღად სწორედ სპილენძი მოიხსენიება, ერთ-ერთი მსახური შეშას (აიეტის სასახლეში) სპილენძის ცულით ჩეხავდა, მიწის სათხრელი იარაღიც სპილენძისა ჰქონდათ კოლხებს, სპილენძისჩლიქებიან ხარებს სპილენძისვე უღელი ედგათ ქედზე. პინდარესთან და აპოლონიოსთან მოხსენიებულია აგრეთვე ადამანტის (ალბათ მაგარი ლითონი) სახნისი. რაც შეეხება სპილენძ – სიტყვას, ეჭვს აღარ იწვევს, რომ ქართული ენიდან შევიდა ბერძნულში და არამარტო ბერძნულში! ისევე როგორც უღელი, ღვინო... როდესელი გარკვევით ამბობს და აღწერს რომ აიეტის ქვეყანაში ღვინის წყაროები მოედინებოდნენ... ეს ფაქტი, როგორც ფაქტი წარმოუდგენელია არამარტო მაშინ, არამედ დღესაც. მაგრამ რადგან ასახულია, ეს ნიშნავს ღვინის კულტის სიძველეს და ტრადიციულობას, თუ დავუმატებთ იმასაც, რომ სიტყვა ღვინო – წარმომავლობით მესხურია და საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გაქვავებული შტამბები და ლერწები – წიბწებით, რომლებიც 10 და 15 მილიანი წლებით თარიღდებიან, საკამათო არაფერია, მით უმეტეს არმენებთან, რომლებმაც ღვინის დასახელება და გემო მხოლოდ მაშინ გაიცნეს და გაიგეს, როცა ალაროდთა მიწაზე დასახლდნენ, და ამ შემთხვევაში თ. გამყრელიძე-მაჭავარიანი-ივანოვის მტკიცება, რომ ამ სიტყვათა ძირი არაქართული წარმომავლობისაა, და სომხურიაო, ეს არამარტო არამეცნიერულია, არამედ ისევ გამსახურდიას გამოთქმას თუ ვიხმართ „უვიცობასთან შეუღლებული ცინიზმია“ და ისევ კონსტანტინე გამსახურდიას დავესესხები, რომ: „ისტორიის იდეალიზაცია ისტორიის ფალსიფიკაციას უდრის“ ბატონებო! ფალსიფიკაცია კი, გაყალბებაა. ალბათ კარგად მოეხსენებათ რას ნიშნავს ეს სიტყვა ჩვენს „კეთილ მეზობლებსა“ და მათ ნუგეშისმცემელ ისტორიკოსებს და ორიენტალისტებს!

დასაფიქრებელია ერთი ფაქტიც: კოლხეთის ქვეყანა, როგორც უძველესი ბერძნული და ლათინური ისტორიული წყაროებიდან ჩანს (თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი ნიუანსის არევ-დარევას, რაც აბსოლუტურად დასაშვებია დროის დიდი მონაკვეთის დაშორების გამო) ეკონომიკურად თუ შეიძლება ითქვას უძლიერესი ქვეყანა იყო. მის სიძლიერეს, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, განაპირობებდა ბუნებრივი რესურსები, განვითარებული მეტალურგია და ხელოსნობა და ყოველივე ამის ზედნაშენად

გვევლინება ცენტრალიზებული პოლიტიკა, ე.ი. ძლიერი სამეფო-სახელმწიფოს სათავეში ძლიერი სამეფო ოჯახი და მეფე, ერთპიროვნული ხელისუფალი დგას. ამას ისიც მოწმობს, რომ მიუხედავად ბერძნული ახალშენების სიმრავლისა, აქ ბერძნულ ახალშენებს ქალაქ-სახელმწიფოების სახე არ მიუღიათ! პირიქით, „ბერძენთა სავაჭრო ფაქტორიები კოლხური ქალაქების ფარგლებშია მოქცეული“ (თ. მიქელაძე); ეს იქიდანაც ჩანს, რომ არათუ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქების სახელწოდებებია ადგილობრივი, ე.ი. ქართული წარმომავლობის, როგორიცაა ფასისი, დიოსკური, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისაც (კერძოდ „სინოპი“ ბერძნული ტრადიციის მიხედვით კოლხ-პელაზგური ამორძალის სახელია), ასევე რიზეს მახლობლად არის პუნქტი მექესკირი, იქვეა მეკალესკირითი (იხ. თ. ყიფშიძე „ჭანეთში მოგზაურობა“, ენიმკის მოამბე, 1, 1937წ. გვ. 107-168). პომპონიუს მელა ასახელებს ქ. თემისკურს: „თერმოდონტს იქით – ველი, იქ იყო ქალაქი თემისკური“, რაც შეეხება სიტყვა – სკურს, – იგი მეგრულ-ჭანურია და შვილს ნიშნავს. არნოლდ ჩიქობავას თქმით, „სკირი უძველესი სიტყვაა, მის მიერ შედგენილ ტერმინებში კულტურის ისტორიის ძველისძველი მოვლენებია ჩამარხული“.

ე.ი. ბერძნული კოლონიზაცია კოლხეთში კოლხურად წარიმართა და არა ბერძნულად. ამის უტყუარი დადასტურება ისიცაა, რომ ძვ.წ. VIს. კოლხეთში ჩნდება ადგილობრივი წარმოების ვერცხლის ფული, მოჭრილი მონეტა, – მას სამეცნიერო ლიტერატურაში „კოლხურ თეთრს“ უწოდებენ. „კოლხური თეთრი წმინდა კოლხური მოვლენაა მხოლოდ კოლხებისთვის დამახასიათებელი და კოლხეთის გარეთ ან აბსოლუტურად უცნობი, როგორც მიმოქცევის საშუალება, ანდა სრულიად იშვიათი გამონაკლისის სახით ერთეულ ეგზემპლიარად წარმოდგენილი (დ. კაპანაძე, კ. დოლენკო, К вопросу о происхождении колхидок. ВДК, 1957, №4, стр. 88-95). კოლხური თეთრი, როგორც საშინაო აღებ-მიცემობისთვის საგანგებოდ მოჭრილი მონეტა, ასახავს არამარტო ფულადი ურთიერთობის დამკვიდრებას, არამედ ქვეყნის შიგნით მტკიცე ეკონომიკური კავშირის არსებობასაც, რაც თავის მხრივ პოლიტიკური მთლიანობის მაჩვენებელია“ (თ. მიქელაძე, გვ. 173).

დიახ, კოლხური თეთრი ფულის ერთეულია და ჰქონდათ ქართველებს ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში. ეს ის პერიოდია, როცა სისხლისმღვრელი ბრძოლებია სპარსეთსა და ურარტუს ალაროდიელ ხალხთა შორის!.. ურარტუ სისხლისგან იცლებოდა ორი საუკუნის განმავლობაში VI-IV სს-ში და მის ქალაქებში თანდათან მკვიდრდებიან ჰაიკის შთამომავალი არმენები! ურარტუს დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება კოლხეთი, ჩრდილოეთით იბერია! კოლხეთის ნაწილი და იბერია მთლიანად ადრე ურარტუს ქართველთა ქვეყნების შემადგენლობაში შედიოდა. ბერძენი ისტორიკოსი კვინტუს ფლავიუს არიანე (95-175წ.წ.) 121-124 წლებში იმპერატორ ადრიანეს კონსულად მუშაობდა, ხოლო 131-137 წლებში იმპერატორის პირადი ლეგატი იყო და კაპადუკიის პროვინციას განაგებდა. იგი სამსახურებრივად დაკავშირებული იყო ქართველ ტომებთან და მის უაღრესად მნიშვნელოვან ნაწარმოებში „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, – მრავალი საინტერესო ცნობაა დაცული. სწორედ არიანეს აქვს ჩაწერილი „დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლისიდან მოკიდებული, ვიდრე აფსაროსამდე ძველად ცხოვრობდა ხალხი, რომელიც კოლხებად იწოდებოდა, ხოლო შემდეგ ლაზებად“. სიმონ ჯანაშიას კონცეფციით: „სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულადაა აღნიშნული, რომ კოლხეთის მოსახლეობის მრავალტომიანობის ვითარებაში, ზემოხსენებულ წყაროებში მხოლოდ ერთი ხალხის დასახელება მიუთითებს ქვეყნის პოლიტიკურ მთლიანობაზე და იმ ხალხის პოლიტიკურ ბატონობაზე, რომელიც აძლევდა სახელს მთელ ქვეყანას.“ ქართული ფულის მონეტების „კოლხური თეთრის“ განძის უმნიშვნელოვანესი სამარხებია აღმოჩენილი რიონის ხეობაში. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მთავარი სავაჭრო-ეკონომიკური მაგისტრალური ძარღვი რიონის ხეობაზე გადიოდა ფაზისიდან ონის ჩათვლით. რიონის შუა წელზე ცნობილი იყო უძველესი ქალაქი კოტაიონი, იგივე ბერძნული წყაროების კოტაისი, კვიტაისი, ან კიდევ დღევანდელი ქუთაისი. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის, როგორც ქალაქის ასაკის განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან იგი ჯერ კიდევ არგონავტიკაშია მოხსენებული და აიეტის უმდიდრესი სამეფოს დედაქალაქს წარმოადგენდა, სადაც ულამაზეს და უმდიდრეს სასახლეებში ღვინის წყაროები მოედინებოდა! ქუთაისი მოხსენებულია თითქმის ყველა უძველეს ისტორიკოსთან და ვერავინ ბედავს მიუთითოს მისი აშენების ან დაარსების მიახლოებითი თარიღი მაინც! პროფესორი თეიმურაზ მიქელაძე არგონავტების კოლხეთში შემოსვლას ვარაუდობს ძვ.წ. XV საუკუნეში. ბატონი პროფესორი მყარ მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით მსჯელობს და უაღრესად მნიშვნელოვანი ანალიზის შემდეგ გამოაქვს დასკვნა, უფრო მეტიც, კვლევა-ძიების შემდეგ, სავარაუდოა, რომ არგონავტების კოლხეთში მოსვლის თარიღმა კიდევ უფრო გადაიწიოს უკან, საუკუნეთა სიღრმეში. ქუთაისი კი ისევე ძველია და უასაკო, როგორც თვითონ დედამიწა და ქართული გენი.

კოლხეთის ძველი სამეფო დაიაენი და შემდეგ კულხა (ე.ი. კოლხა) – ასურულ-ურარტული წყაროების მიხედვით ისეთი ორგანიზებული და პოლიტიკურად დაწინაურებული სახელმწიფო იყო, როგორიც თვითონ ასურეთი და ურარტუ. ეს ფაქტი ნათელია, რადგან დაიაენი, იგივე აია, შემდეგ კი მხოლოდ სახელით სახეცვლილი კოლხეთი (მასთან ერთად უძველესი დიაოხი იგივე ახლანდელი ტაო) ვერ დაიპყრო ვერც ასურეთმა, ვერც მიდიამ და ვერც სპარსეთმა. კოლხეთი ამ ქვეყნებს ყოველთვის გასასვლელს უკეტავდა შავ ზღვაზე. ეს გარემოება როგორც უკვე ვთქვით, აიხსნებოდა – აია – კოლხეთის პოლიტიკური სიმტკიცით, რაც გამოწვეული იყო ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლებით (თ. მიქელაძე). „ასურულ-ურარტული ტექსტების მიხედვით, დაიაენის, იგივე აიას და კულხას, ანუ კოლხას სამეფოთა სათავეში მუდამ იდგა ერთი მეფე“. ჩვენ გვახსოვს ასურული წყაროების ცნობები ტაბალების და მუშქების მრავალმეფიანობის შესახებ, რაც ფაქტიურად გახდა კიდეც ამ ქართული ქვეყნების დამარცხების და განადგურების მიზეზი.

ვანის ნაქალაქარის აღმოჩენამ კიდევ უფრო ცხადი გახადა კოლხეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება საერთო ელინიზაციის პერიოდში ძვ.წ. IV სს.

მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ საუკუნეებში ძვ.წ. III ს. კოლხეთში იჭრებოდა კოლხური ფულის ვერცხლისა და ოქროს მონეტები მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების მინაბაძები, – კოლხეთი, როგორც ქვეყანა კარგად გამაგრებული საზღვრებით და ცოცხალი ძალით, დარჩა თვითმყოფადი საკუთარი წარმართული პანთეონითა და ტრადიციებით.

პონტოს სამეფოს დამარცხებისა და განადგურების შემდეგ, ახ.წ. პირველ საუკუნეში კოლხებმა ისევ მოახერხეს ერთ სამეფოდ გაერთიანება და გაძლიერება, ამ პერიოდიდან ბერძნული წყაროები კოლხეთს უკვე ლაზიკად მოიხსენიებენ.

ამჯერად მკითხველს მინდა ყურადღება გავამახვილებინო ბიბლიის ადამის წიგნზე. დაბადების პირველივე თავებიდან მკითხველს ატყვევებს ამ საოცარი, უწმინდესი წიგნის ლაკონური და ლაღი თხრობა. მეოთხე თავი იწყება კაენის დაბადებით. კაენი ბიბლიის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი მამამთავარია. თვითონ კაენია მატარებელი ადამისა და ევას საწყისი ცოდვისა და ადამიანური, როგორც კეთილშობილი, ასევე მანკიერი ბუნების სრულყოფილებით სავსე ეთნარქი თავისი მოდგმისა. ცოდვის ჩადენის შემდეგ კაენი გადასახლდა ნოდის ქვეყანაში, ედომის აღმოსავლეთით, იქ შეირთავს თავის დედაკაცს და მისი დედაკაცი შობს კაენის შვილს ენოხს. შესაქმე თავი IV, მუხლი 17. „და იცნა კაინ ცოლი თვისი; და მიუდგა და შუა ენოხ და აღაშენა ქალაქი და უწოდა ქალაქსა სახელი ძისა თავისისა: ენოხ“. მიუდგომელ, ინტელექტუალურ მეცნიერ-ორიენტალისტს თავისთავად ცხადია ბევრს ეუბნება ადამის შემდეგ პირველი ადამიანის, კაენის შვილის „ენოხის“ სახელი.; ამ სახელში სრულყოფილადაა შერჩენილი და დაცული თავის, მოდგმის მამამთავრის ენოხის, და მისგან გამრავლებული შთამომავლების, ე.ი. ჰენიოხთა ათასწლეულების სიღრმეში დაფლული საიდუმლოება, რაზედაც დღეს ვერავინ ბედავს საუბარს! რატომ ბატონებო?! ანტიკური სამყაროს ისტორიკოსები ჩვენგან განსხვავებით თამამად მსჯელობენ მათზე! ჰენოხთა, იგივე ჰენიოხთა ტომის ძირითადი და წარმმართველი ძალა და როლი ადამიანური მოდგმისთვის მათივე სახელშია წარმოდგენილი და ახსნილი, უფრო მეტიც... ბიბლია განაგრძობს კაენის შვილის, ენოხის შთამომავლების ჩამოთვლას: მეხუთე თაობა ლამეხია! დღესაც დადასტურებულია სვანურში ეს სახელი და მისი ოდნავ სახეცვლილი ფორმა „ვამეხი“.

ლამეხმა შეირთო ორი ცოლი: – ყადა და ცილა.

ყადასაგან შეეძინა აბალი და უბალი, ცილასაგან კი თუბალკაენი. „ აბალ და უბალ სახელები აშკარად თუბალ სახელის პარალელური ფორმებია. დაბადება აბალის შესახებ განმარტავს: „ეს იყო მამა მკვიდრთა კარვებისათა საცხოვრისა მზრდელთა“. ახლად თარგმნილ ბიბლიაშიც აზრით იგივეს, ოღონდაც უფრო უხეშად გაწყობილ წინადადებას ვკითხულობთ: „იგი იყო კარავში მცხოვრებთა და მეჯოგეთა მამა“. ახლა გადავიწიოთ ცოტა წინ, როგორ ახასიათებს ბიბლია აბელს: „და იქმნა აბელ, მწყემსი ცხოვართა...“ უმშვენიერესი ქართულია! ბიბლიის ბოლო გამოცემაში (1989 წ.) ტექსტი უაღრესად გამარტივებულია, რის შედეგადაც აშკარად დაკარგული აქვს ქართული ენისთვის დამახასიათებელი ხიბლი, მაგალითისთვის წავიკითხოთ იგივე აზრი აბელზე: „აბელი მეცხვარე იყო“. მშრალი, ყოველგვარ სილამაზეს, სითბოსა და სიღრმეს მოკლებული სიტყვებია. მაგრამ ამ გამოცემის თარგმნის ღირსების შეფასება ჩემს არამარტო დღევანდელ საქმეს არ წარმოადგენს. ჩვენ გვაინტერესებს აზრი, აზრი კი ერთი და იგივეა! ერთსა და იმავე მეჯოგე ხალხზეა საუბარი. „ორივე ცნობა ერთი საისტორიო ტრადიციის ორი ვერსიაა, რაზეც მეტყველებს არამარტო ამ ხალხების ტომობრივი საქმიანობის თანხვედრა და მათი ეთნარქოსების სახელთა პარალელური ფორმები, არამედ მათი სხვადასხვა ადგილიც ბიბლიის გენეალოგიურ სქემებში“ (თ. მიქელაძე).

ახ.წ. IVს-ის ცნობილი მართლმადიდებელი საეკლესიო მოღვაწე ევსტათი ანტიოქიელი, რომელიც არამარტო საეკლესიო მწერალი იყო, არამედ კარგი რიტორი და ისტორიკოსიც, ადასტურებს კიდევ ერთ პარალელურ ფორმას: „ობელისაგან (ე.ი. იობელისაგან) არიან თეობელები, დღეს რომ იბერიელები ეწოდებათ“ (გეორგიკა 1, 1961წ. გვ. 34-35). ნიშანდობლივია, რომ ანტიკური ისტორიული წყაროები ტიბარენებს (იგივე იბერებს) ცხვრის ფარებით მდიდარ ხალხს უწოდებდნენ, ისევე, როგორც შემდეგ, მომდევნო საუკუნეებში. საძიებელია კიდევ ერთი პარალელური ფორმა „ტიბარ“: „ალიშარის წარწერებში მოხსენებულია ადგილი Tibi-ra, რომელიც ალიშარის წარწერების გამომცემლის ი. გელბის სიტყვით, სხვა წყაროებისთვის უცნობია. თუმცა იგი აქვე კითხულობს: „შეიძლება თუ არა შეესაბამებოდეს გეოგრაფიული სახელწოდება Tibira თუ Tabalum, ანდა ორივე ერთად, ნარამსინის Tibar-ს, ხეთური ტექსტების Tipalas-ს, ასურეთის მეფეთა წარწერების Tabal –ს, ბიბლიის Tubal-ს?“ შემდეგ ავტორი დასძენს, და ეს ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ გეოგრაფიული სახელწოდება Tibira – წარმოადგენს შუმერულ სიტყვას tibira, რომელიც აღნიშნავს URUDU NAGAR –ს, ე.ი. სპილენძს. აქედან მომდინარეობს ავტორის აზრით ასურული taberu, რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა „სპილენძის ოსტატს“, ხოლო უფრო გვიან გადაიქცა „მელითონეს“ აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად“ (თ. მიქელაძე, გვ. 133).

შესაქმეს პირველი ვერსიით აბელი კაენის ძმაა, აბალ და აბელ ეთნარქთა სახელწოდებებში მათი შთამომავალი ერთი და იგივე ხალხი იგულისხმება. თუბალკაენი მომდევნო ეტაპია, ე.ი. შემდეგი ვერსიაა. ძალიან ადვილი ასახსნელია, რომ დედამიწაზე სამოთხიდან გამოდევნილ ადამიანთა მოდგმას ადამისა და ევას შემდეგ დასაბამი მისცა კაენმა, შემდეგ მისმა შვილმა ენოხმა, ჰენიოხთა, იგივე სვანთა მამამთავარმა. არისტოტელეს „ფასისელთა პოლიტიაში“ უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობაა დაცული, რომ „რიონის და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ცხოვრობენ კავკასიის უძველესი ხალხი – ჰენიოხები“. ლოგოგრაფოსები, როგორც მათ თუკიდიდემ უწოდა, რადგან ისტორიულ თემებზე პროზაულ ჟანრში სწერდნენ და უძველეს ისტორიკოსებად იწოდებიან ჰომეროსის და ჰესიოდეს შემდეგ, ერთხმად მიუთითებენ, რომ „შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროებზე და კავკასიის სამხრეთში უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ჰენიოხები, კოლხები, იბერები (იგივე მესხები) და ალ-

ბანელები (ალვანელები, იგივე უდები, თუშთა წინაპრები) კასპიის ზღვამდე!

ჰერაკლიდეს აღწერილობით, როდესაც მოახალშენე მილეტელი ბერძნები ფასისში დასახლდნენ, მათ იქ ჰენიოხთა ტომის ხალხი დახვდათ. ჰერაკლიდეს მოღვაწეობა განისაზღვრება ძვ.წ. VI ს-ით. არის კიდევ ჰელანიკე მიტილენელი, რომელიც ბოლო ლოგოგრაფოსად ითვლება. ნერონის პერიოდის ცნობილი ფილოსოფოსი ქალის პამფილას მიხედვით პელოპონესის ომის დასაწყისისთვის ე.ი. ძვ.წ. 431 წლისთვის ჰელანიკე შუახანს გადაცილებული, დაახლოებით 65 წლისა ყოფილა, ე.ი. დაბადებულა არა უადრეს და არა უგვიანეს 480 წლისა. იგივე პამფილას ცნობებით, უნდა გარდაცვლილიყო 411-410 წლებში. იგი ბრძენი ბერძენი და ერატოსთენეს გამოთქმით „მრავლისმთხრობელი და მრავლისმცოდნე კაცი“ ყოფილა. სწორედ მის თხზულებებშია დაცული ცნობები, რომ „ჰენიოხები ცხოვრობენ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებსა და კავკასიონის სამხრეთით დაახლოებით კოდორის, ენგურის, რიონის აუზებში, ვიდრე ჭოროხამდე“...

ე.ი. უძველეს ისტორიულ წყაროთა ცნობებზე დაყრდნობით კოლხეთი, სადაც ცხოვრობდნენ: ჰენიოხები, ჰენოხებისავე ტომი მუშვანები (ე.ი. მოსინიკები), აფშილ-აბაზგები და ჭანები, განფენილი იყო მდინარე ყუბანიდან კავკასიის სამხრეთით, შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროებზე ჰალისამდე. ამავე ცნობას ადასტურებს ფსევდო სკილაქს კარიანდელი „პერიპლუსში“, შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროების აღწერის დროს.

ფსევდო სკილაქსის მიხედვით კოლხეთი დიდი ქვეყანაა (დღევანდელი აფხაზეთი ყუბანამდე), ჰენიოხები კი კოლხეთის აღმოსავლეთით, მთებში ცხოვრობენ. გასათვალისწინებელია დრო, როცა არისტოტელე ცხოვრობდა და სკილაქს კარიანდელი „პერიპლუსს“ სწერდა, რომელიც შემდეგ გააღრმავა და შემოგვინახა ფსევდო სკილაქსმა! საინტერესოა ის აზრიც, რომ არისტოტელეს „პოლიტიაში“ შეიძლება ძველი გადმოცემა იყოს შემონახული, რომ ფასისის ადრინდელი მოსახლეობა ჰენიოხები იყვნენ!.. არტემიდორესაც მოეპოვება ანგარიშგასაწევი ცნობა, რომლის მიხედვითაც ჰენიოხები ცხოვრობდნენ დღევანდელ სოჭსა და აფხაზეთის მიწაზე.; არიანეს ცნობით ამავე ტერიტორიაზე ცხოვრობენ სანიგები – „სანიგ-ჰენიოხთა იგივეობის თვალსაზრისით“... მემნონის ცნობა (ახ.წ. I-II სს) პონტოს შიდა რაიონებში ასახელებს სანიგებსა და ლაზებს. სტრაბონი იგივე ტერიტორიაზე სანიგებს ჰენიოხებით ცვლის, ლაზებს კი კოლხებით. არ უნდა დაგვავიწყდეს უმთავრესი, რომ მდინარის სახელი „ფასიდ“ (ასევე ქალაქისაც) სვანური ძირიდან არის ნაწარმოები და საერთოდ სვანური ონომასტიკა დადასტურებულია ზანურის წინაშრედ! ამ აზრს ადასტურებს პომპონიუს მელა, როცა ამბობს, რომ დიოსკური ჰენიოხთა მიწაზეა გაშენებულიო. არამარტო აშკარა კავშირი სჩანს ჰენიოხთა და სანიგებს შორის, მეცნიერულ კვლევა-ძიებას მივყავართ დასკვნამდე, რომ ჰენიოხი და სანიგი ერთი და იგივე ხალხისა და ტომის აღმნიშვნელი და მათი მამამთავრის სახელიდან ნაწარმოები წოდებაა ან გინდაც დასახელება! იგივეს მიუთითებს არიანე, რომ: „სებასტოპოლისი (დიოსკური) სანიგების მიწა-წყალზეა გაშენებულიო... (Arr. Peripl II) არიანე და დიონ კასიოს კოკეიანოსი (ახ.წ. II-IIIსს)თავიანთ თხზულებებში აღნიშნავენ ჰენიოხების ბინადრობას შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზეც. ფლავიუს არიანეს თხზულებაში „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ რამდენჯერმე შენაცვლებითაა მოხსენებული, იქ სადაც ჰენიოხების საცხოვრებელს ახსენებს, სანიგებსაც გვიდასტურებს... არის კიდევ ერთი ანონიმი ავტორი, რომელიც ჰენიოხების ბინადრობას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოშიც ამოწმებს და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც, პლინიუსიც ორივეგან მოიხსენიებს ჰენიოხებს. ერთადერთი ანონიმი ავტორია, რომელიც ჰენიოხთა ტომების ბინადრობას კასპიის ზღვის სიახლოვესაც უკავშირებს „ჰენიოხების ქვეყნის ზევით კასპიის ზღვაა, მის ახლოს მიდიელთა საზღვრებია.“ აღნიშნული ცნობით ჰენიოხთა საცხოვრისი უკავშირდება ურარტული წყაროების „იგანიეხებს“.

ასეა თუ ისე, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ პრეისტორიული წყაროები ადასტურებენ სანიგთა, ე.ი. სვანთა იდენტობას ჰენიოხებთან, ჰენიოხები კი, ჩემი მკითხველი თვითონ დარწმუნდა, ენოხის შთამომავლებია. ამჯერად არნოლდ ჩიქობავას მოვუსმინოთ: „ხეთურ და სვანურ ენათა სიახლოვე იმაზე მეტყველებს, რომ სვანურენოვანი მოსახლეობა (ისევე როგორც საერთო ქართველური) პროტოხეთური წიაღიდან გამოვიდა...“ (არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII, თბილისი, 1970, გვ. 8-9).

„ხათურ-ქართველური შეხვედრები, შეიძლება შედეგი იყოს არამარტო ხათურ და ქართველურ ენათა ხანგრძლივი თანაარსებობისა, არამედ მათი გენეტიკური კავშირისაც. რადგან დამთხვევები გამოვლენილია არამარტო ხათურსა და სვანურს შორის, არამედ ხათურსა და საერთო ქართველურს შორისაც“ (И.М. Дьяконов, Языки древней Передней Азии, М., 1967, გვ.175).

არის ერთი მეცნიერი (ცხადია ასეთებიც არიან!) ვ. ალენი, რომელიც ჰენიოხებს და აიას (!) უკავშირებს ჰაიასას! ეს დაკავშირება არამარტო არამეცნიერულია, შეუსაბამო და აბსურდია! ბატონ ალენს მიაჩნია, რომ ჰენოხ სახელში მოცემულია სამმაგი მრავლობითი რიცხვის ნიშანი: ურარტული „ხ“, ბერძნული „ოი“ და ქართული „ნ“. ამრიგად მან ფუძედ გამოიყვანა ჰე-ი, ჰა-ი, ხოლო მრავლობითი ყოფილა ჰე-ნ-ი. (W. Allen/ Ex Pomto V Heiochi Ala – Hayasa. BK, N34-35). რას აღარ წააწყდება კაცი! ალბათ მალე აივაზიანის და მის მსგავსთა მიერ მოსყიდული მეცნიერები ბიბლიურ ენადაც წარმოსახავენ არმენულს! დავუშვათ, რომ ჰეროდოტე საერთოდ არ გადაუშლია ალენს? იქ ხომ ნათლადაა მითითებული ქვეყანა აია – კოლხიდა! და არა აია – არმენია!?! უნდა გავიხსენოთ ერთი საყურადღებო დეტალი, რომ ურარტუელ ქალღმერთებს შორის არის ერთ-ერთი „აია!“ სწორედ მასზე ბრძანა ბატონმა მარმა: „აია ხალდური მიწის ღვთაებაა“ (Н.Марр, Избранные работы, V, стр. 220) და ქვეყანასაც აღნიშნავსო. მაგრამ სადავოდ არასოდეს გამხდარა არც ნიკო მარამდე და არც შემდეგ, რომ „აია“ მიწათმოქმედების ღვთაების სახელწოდებად მიეჩნიათ. ამავე სახელწოდების ღვთაებაა წარმოჩენილი სვანურ გამოთქმაში „აია მიშლადაღ“ ე.ი. აიას კვირადღე (გ. ჩიტაია, Земледельческие системы и похотные орудия в Грузии, Вопросы этнографии Кавказа, Тбилиси, 1952 г. стр. 103)! როგორც კონ-

სტანტინე გამსახურდიამ თქვა: ისტორიის იდეალიზაცია ისტორიის ფალსიფიკაციას უდრის, ფალსიფიკაცია კი გაყალბებას ნიშნავს! ამ საკითხზე ადრეც ვესაუბრე ჩემს მკითხველს, რადგან აია არავითარ შემთხვევაში არაფრით არ უკავშირდება ჰაიასს და ჰაიკებს! უხეში სიყალბეა, ამ გამოთქმას მხოლოდ მაშინ იხმარს გაუცნობიერებელი პიროვნება (და არავითარ შემთხვევაში მეცნიერი), როცა ზნეობაზე და ცოდნის მოყვარეობაზე ხელს სრულად აიღებს და თავხედურად იტყვის: მე ვარ და ჩემი ნაბადიო... ე.ი. ჩემი ნებაა, სადაც მინდა (ცხადია სხვის ქვეყანაში) იქ მოვხნავ და სადაც მინდა იქ დავთესავო. და კიდევ სადაც მინდა... ამას კი ნამდვილად აღარ დავამთავრებ!.. მაგრამ არც ასეა ბატონებო! ჩვენი „კეთილი მეზობლები“ ამ შემთხვევაში სარგებლობენ საყოველთაოდ ცნობილი აქსიომით, რომ: სოციალურად ნაკლებ უზრუნველყოფილი, ღატაკი ქვეყანა თავისი ღატაკი მოსახლეობით, როგორიც დღეს საქართველოა, მათი აზრით ადვილად სამართავია! ორასი წელი რუსული იმპერიის წნეხის ქვეშ ხდებოდა სული უკეთილშობილესი და უძველესი გენის მქონე ქართველ ხალხს, ამჯერად კი საქართველოს ტერიტორიაზე გადაიკვეთა ორი დიდი იმპერიის, რუსეთისა და შეერთებული შტატების გეოპოლიტიკური ინტერესები. მდიდარ სომხურ ლობს კი თავისი ოქროს წყალობით ბევრი რამ შეუძლია უკარნახოს ორივე იმპერიის ხელისუფლებას, თორემ... სხვა ქვეყნებში დაფიქსირებულია უფრო მიახლოებითი ონომასტიკა სომხურ ეთნარქებთან, თუნდაც იტალიაში, მის ჩრდილოეთით ქალაქიც კი არსებობდა არიმინუმი, სადაც მოხდა 432 წლის ცნობილი ბრძოლა რომაელ სარდლებს აეციუსსა და ბონიფაციუსს შორის!.. აბა გაუბედონ იტალიელებს და წამოსცდეთ, რომ არიმინუმი არმენის სახელს მიაგავსო!

მეცნიერებამ უკვე კარგა ხანია ხეთურ ტრადიციად აღიარა ლომებისა და სიცოცხლის ხის კომპოზიცია, რომელიც მიკენის კარიბჭეზედაცაა დაფიქსირებული. საქართველოში წარმართული ხანის ხუროთმოძღვრული ძეგლები არ შემორჩენილა, მაგრამ არქეოლოგიური გათხრებიდან, მითოლოგიიდან და ბოლოს ქრისტიანული პერიოდიდანაც კი – უძველესი ძეგლის ბოლნისის სიონის ხატოვან რელიეფებში მკვეთრად არის გამოხატული სიცოცხლის ხე, რაც სხვაგან (ვგულისხმობ ახლო მეზობლებს) არ გვხვდება!

აიეტის არესის ჭალის მუხამ, სადაც ოქროს საწმისი იყო ჩამოკიდებული, თავის გამოხატულება ჰპოვა ქრისტიანული პერიოდის ჭყონდიდთან და უძველეს გეოგრაფიულ თუ გვარ-სახელთა ონომასტიკაში. ჭყონ-ზანურად მუხას ნიშნავს, სვანურად ჩხიტ, ჩხოტ, ჩკონ გამოითქმის, ახლაც არის გვარები აღნიშნული ფუძით – ჩხიტუნიძეები – ძირითადად დასავლეთ საქართველოში. მუხა – ვაინახურიდან არის ან შემოსული, ან დარჩენილი ქართულში. – იმედია მიუკერძოებული მეცნიერება უფრო ღრმად გამოიკვლევს იბერიულ-კავკასიურ ენათა გლოტოგონიის ყველა ეტაპს. ვალერიუს ფლაკუსისეულ არგონავტთა მითში მედეას ძიძად ჰენიოხი ქალია გამოყვანილი, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს აღნიშნული ტომების ახლონათესაურ კავშირს. საიდუმლოს კი, როგორც ყოველთვის, დაკვირვებული მეცნიერისთვის თუ ჩვეულებრივი მკითხველისთვის ძალიან მარტივად და უბრალოდ ხსნის ბიბლია, როცა მოიხსენებს ადამის შთამომავლებს: კაენიდან და ენოხიდან დაწყებული: „შეიცნო კაენმა თავის დედაკაცი, დაორსულა ქალი და შვა ენოხი“, ენოხის მეოთხე თაობა – ლამეხია, მე ადრეც აღვნიშნე ლამეხისა და ვამეხის იდენტობა, ერთგვარობა! აქ კი კვანძს ხსნიან ლამეხის შვილები, ძმები – აბალი, უბალი და თუბალ-კაენი! კაენიდან მოყოლებული მისი შვილებით დამთავრებული, მათი სახელებიდან, ე.ი. ენოხიდან, აბალიდან, უბალიდან, თუბალიდან და თუბალ—კაენიდან წარმომდგარი ხალხი ერთი და იგივე ფესვისა და ძირის ხალხია და არა მარტო ერთი და იგივე ხალხია! პირველი, ადამიანური საწყისი დედამიწაზე ეს კაენია თავისი ცოდვითა და მადლით! და სწორედ პირველი ადამიანის ადამის შემდეგ კაენის სახელი ზედწოდებად და თითქმის დამოუკიდებელ განსაზღვრებად დაჰყვა თან კაენის მეექვსე თაობას თუბალ-კაენს, როგორც გენისა და ჯიშის შემაჯამებელ ეთნარქს! „ესე იყო კვერით ხუროი მჭედელი რვალისა და რკინისა“! რვალი ბერძნულ ტექსტებში სპილენძს შეეფარდება, ასეთივე განმარტებითაა მოცემული ჯრუჭისა და პარხალის ნუსხებში, – მარკოზის სახრებიდან; ხოლო უძველეს ადიშის ნუსხაში „პილენძი“ და „რვალი“ მოხსენებულია, როგორც უძველესი ქართული (!) ტერმინები! უკლებლივ ყველა ქართულ ტომში, და უკაცრავად, ზოგიერთ მეცნიერთან, სწორედ ქართულიდან არის სავარაუდებელი ამ სიტყვის წაღება სომხურში და სხვა ენებშიც, და არა პირიქით! „ქართულ ენაში კალის სახელწოდების გარდა ყველა ლითონის სახელი ქართული წარმოშობისაა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, 1, 1928, გვ. 20). მარი ყურადღებას ამახვილებს სომხურში არსებულ სიტყვა პღინძ – რაც უბრალოდ სპერის მადანსაც ნიშნავს, ქართულ საისტორიო წყაროებში, მაგალითად თამარის ისტორიკოსთან გვხვდება ტერმინი „...ჰკრეს სპერმურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილათა...“ და ა.შ. (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, 1929წ. გვ. 195).

ე.ი. შესაქმეს მიხედვით თუბალ-კაენი რვალის მჭედელიცაა და რკინისაც! თუბალზე კაენის დამატება ზოგიერთი მეცნიერის აზრით ნიშნავს თუბალთა დაწინაურებას, როგორც სამჭედლო ხელოვნების მცოდნე ხალხის, ე.ი. პირველ დამწყებ მელითონე ხალხად დედამიწაზე ივარაუდება სწორედ თუბალები!

მემატიანე არ ამბობს, რატომ არ შეიწყნარა უფალმა მიწის მუშის, კაენის შემოწირულობა, მეჯოგე აბელისა კი მიიღო. ხოლო კაენში, ვიდრე მკვლელობას ჩაიდენდა იგი, უკვე მანამდე იყო მოცემული პოტენციური ცოდვა, როცა უფალი აფრთხილებს კაენს: „ცოდვა ჩასაფრებულია კართან, შენსკენ აქვს მას ლტოლვა, შენ კი იბატონე მასზე...“ – ბიბლიის ახალი თარგმანი ბევრად უხეშია და ყურს სჭრის, საოცრად რბილი და ლავირებულია ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების მიერ ტკბილხმოვანი ქართულით თარგმნილი ძველი გამოცემები. მაგ: „და შენ მსთავრობდე მას!..“, და როცა კაენი ჩაიდენს ცოდვას, მოკლავს აბელს, იგი ამის შემდეგ ხდება თუბალ-კაენი! შესაძლებელია კაენ-კაინში არსებულ ცოდვას უკავშირდებოდეს მომავალში მის ხელში აღმოჩენილი ლითონი, რომელიც წინაპართა გადმოცემით ახლაც კი თავის თავში ატარებს ბოროტების სიმ-

ბოლოს სიკვდილთან შეუღლებულს! რამდენიმე ამონარიდს მივაწვდი ჩემს მკითხველს, თუ რაოდენ ძვირფასი იყო ამ პერიოდში ქართველ ტომთა ლითონის ნაკეთობანი: მითანის მეფემ თუშრათამ ეგვიპტის ფარაონს ამენხოტეპ III-ს, როცა თავისი ქალიშვილი თათუხეპა მიათხოვა თან გაატანა სამზითვო საჩუქრების ნუსხა – სია (აღნიშნული სია დაცულია ელ-ამარნას არქივში). აღნიშნულ სიაში უძვირფასეს საჩუქრებს შორის მოხსენებულია: „სატევარი ერთი, რომლის პირიც habalkinu-სია, იმავე ნუსხაშია მოხსენებული მეორე სატევარი, რომელსაც ისევ habalkin-ის პირი აქვს: „ამ ნუსხაში დასახელებულია ამ მასალისგან დამზადებული ათი ნივთი...“ ელ-ამარნას საარქივო მასალებზე ცნობებს იძლევა ლ. კნუდძონი, რომელიც ამ სიტყვას გერმანულად თარგმნის როგორც „ფოლადს“. ხათურ ენაში habalki სიტყვა რკინას აღნიშნავს, ასევე ხეთურშიც და ხურიტულშიც. ე. ლაროშის გამოკვლევით hapalki არაინდოევროპული სიტყვაა და მას ცალკე ადგილი უჭირავს ხეთურ ლექსიკონში. ავტორი ფიქრობს, რომ ეს სიტყვა შეიძლება იყოს ხათური, ან მომდინარეობდეს კავკასიური წყაროდან, უფრო მეტიც, იგი თვლის, რომ სიტყვა hapalki – თუბალკაინური სამყაროს ნაწილია, თუბალკაინური სამყარო კი ასევეა ხეთური სამყაროს ნაწილი, ხეთთა ქვეყანაში (კაპადოკია – ლაზეთში) რკინის უმდიდრესი საბადოები მოიპოვებოდა, ხოლო იქ მცხოვრები ხალხი: კაინები, თუბალკაინები, ჰალიძონები, ხალდები და ხალტიკები – ჭანების სახელით ცნობილი ტომებია, რომელთაც რკინის აღმოჩენას და ლითონის წარმოების დაწყებას მიაწერს ისტორია!!!

ამ შემთხვევაში საჭიროდ ჩავთვალე ფსევდო-არისტოტელეს ცნობა მივაწოდო მკითხველს: „მოგვითხრობენ ხალიბური და ამისური რკინის სრულიად განსხვავებული წარმოშობის შესახებ. ამბობენ, რომ იგი მიიღება ქვიშისაგან, რომელიც მდინარეებს მოაქვთ, ზოგის აზრით, ამ ქვიშას რეცხავენ და ადნობენ ცეცხლზე, სხვათა აზრით კი, რეცხვის შედეგად მიღებულ დანალექს კვლავ რამდენჯერმე რეცხავენ და შემდეგ ადნობენ. დნობის დროს უმატებენ რაღაც ცეცხლგამძლე ქვას, რომელიც ბევრია ამ ქვეყანაში. რკინის ეს სახეობა სხვაზე ბევრად უკეთესია და მას, რომ ერთ ღუმელში არ ადნობდნენ, ალბათ არაფრით განირჩეოდა ვერცხლისაგან. როგორც ამბობენ, მხოლოდ ეს რკინა არ იჟანგება, მაგრამ მას უმნიშვნელო რაოდენობით მოიპოვებენ“ (თ. მიქელაძე, „ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ –აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძვ. მოსახ. ისტორიიდან“). პროფესორი თ. მიქელაძეს იქვე მოჰყავს ამონარიდი ნ. რეხვიაშვილის სამეცნიერო შრომიდან, სადაც ნათქვამია, რომ „...მაღალი ხარისხის რკინის მისაღებად რაჭაში მადანს ურევდნენ „ფაშას“, ე.ი. მაღალი ხარისხის შავ ქვას, რომელიც ქიმიურად წარმოადგენს პიროლუზიტს“ (გვ. 114).

იმავე ფსევდო-არისტოტელეს ცნობით მელითონეობას მისდევდნენ ხალიბთა მეზობლად მცხოვრები მოსინიკების ტომიც. „ამბობენ, რომ მოსინიკური სპილენძი გამოირჩევა მკვეთრი ბრწყინვალებით და მეტისმეტი სითეთრით. მას ურევენ არა კალას, არამედ იქაურ განსაკუთრებულ მიწას, რომელსაც ადნობენ სპილენძთან ერთად. ამბობენ, რომ ასეთი შენადნობის გამომგონებელმა არავის არ გაუმჟღავნა თავისი საიდუმლო. ამიტომ ამ ქვეყნის ძველი სპილენძის ნაკეთობანი გამოირჩევა შესანიშნავი თვისებებით, ხოლო გვიანი ხანის ნაკეთობებს ეს აღარ ახასიათებთ“. (В. Латышев, S.C. II, გვ. 380).

მელითონეობას ყველა ქართველური ტომი მისდევდა, მაგრამ ბერძნული ისტორიული წყაროები არამარტო მელითონეობას და მჭედლობის ხელოვნებას, არამედ საერთოდ ლითონის აღმოჩენას ხალიბთა ტომს უკავშირებს. ბერძნული სიტყვა „ხალიბეკ“ – ითარგმნება როგორც „რკინა“. რაც შეეხება თითბირის აღმნიშვნელი სიტყვა ინდოევროპულ ენებში მოსინიკების ტომთა სახელს უკავშირდება (Messing გერმანულად). ე.ი. მოსინიკები სპილენძ-ბრინჯაოს აღიარებული ოსტატები ყოფილან, ხალიბები კი რკინისა და ფოლადის!

სტეფანე ბიზანტიელი, რომელმაც გადაამუშავა ჰეკატე მილეტელის თხზულებანი, გვაწვდის ცნობას, რომ: „ხალიბებს სამხრეთით არმენიელები ესაზღვრებიანო“ (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ.III, 1936წ. გვ. 288). ასევეა ხალიბები მოხსენებული სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსში“. ქსენოფონტეს „ანაბასისიდან“ ვგებულობთ, რომ ხალიბთა ტომი ტიბარენების დასავლეთით, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ბინადრობდა, მეორე ტომი კი არმენიელების მეზობლად. აშკარაა, რომ გამუდმებულმა ომებმა ხალიბთა ტომის ხალხი გაწყვიტა და არმენია გაჩნდა მათ ნასახლარზე, ასე გაიყო ეს, ოდესღაც მრავალრიცხოვანი ხალხი და შუაში კუნძულივით ამოიმართა არმენიელთა ქვეყანა!

ანგარიშგასაწევი ცნობები მოეპოვება ხალიბთა საცხოვრისის შესახებ ჰეროდოტეს და სტრაბონს! ეს საცხოვრისი განფენილი იყო ძირითადად ჰალისის აუზიდან ჭოროხის აუზის ჩათვლით. ამავე ტერიტორიას ასახელებს ჰომეროსი ალიბეს ხალხის საცხოვრებლად. ჰომეროსის ხომალდთა ნუსხაში მითითებულია: „ჰალიძონები შორეული ალიბედან“! ეფორესთან დასახელებულია მცირე აზიის რეალურად არსებული აბორიგენი ხალხი და ჰალისის აუზში მითითებულია, რომ „ცხოვრობენ ხალიბები“-ო. დღევანდელი გადასახედიდანაც ალიბესა და ჰალიძონების გაიგივება ხალიბებთან აბსოლუტურად დასაშვებია, რადგან სატომო სახელებიც კი თითქმის არ არის შეცვლილი. რაც შეეხება მდინარე ჰალისის სახელწოდებას, მეცნიერებამ იგი ხეთურ ფორმად მიიჩნია. მაგრამ გასარკვევია ხეთურში რას გულისხმობენ, – ინდოევროპულს? ჰალისი იგივე ღალისი ხომ ჭანურად მდინარეს ნიშნავს? სტრაბონის ცნობას, რომ ძვ.წ. IIს-ში განვითარებული ისტორიული მოვლენების შემდეგ ანტიოქ დიდის სარდლების არტაქსიასა (არტაშესის) და ზარიადრის მიერ ხალიბებისაგან კარენიტის მიტაცების შესახებ (ეს ქალაქი ჭოროხის ხეობაში მდებარე დავით აღმაშენებლის კარნუ ქალაქია!), ამის შემდეგ უკვე ვიღებთ ისტორიულ ცნობას არმენო ხალიბების შესახებ, რაც აღარ იწვევს გაკვირვებას, რადგან დაპყრობილ ტერიტორიაზე შერეული მოსახლეობა ყოველთვის დასაშვებია.

მოგვიანებით ჟამთააღმწერლის თხზულებით გამრეკელ-თორელთა (სამძივართა) საგვარეულო, საერისთავო მამულად ითვლებოდა „ჯავახეთი, სამცხე და აღმართ, ვიდრე კარნუ ქალაქამდე...“ ე.ი. მთლიანად ჭოროხის ხეობა! აღნიშნული მხარე, როგორც ლოგოგრაფოსების ცნობებით შევიტყვეთ, ხალიბთა ქვეყნის განუყოფელ ნა-

წილს შეადგენდა ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში, სანამ არმენები მოიტაცებდნენ, და შემდეგაც, როცა დაიბრუნეს ქართველებმა. ადრინდელ მდგომარეობაზე მეტყველებს „ძველი დოკუმენტების – კერძოდ „სუპილულუმა მათიავაზას ხელშეკრულების ის ადგილი სადაც ერთადაა დასახელებული ორი მთიანი ქვეყანა Haliwa და Karna“ (თ. მიქელაძე).

აპ. როდოსელი არგონავტიკაში მიუთითებს, რომ „ხალიბთა ქვეყანა უსასრულოა“...

ბიბლიიდანაც აშკარად ჩანს, რომ ხალდები (იგივე ჭანები და იბერები) ნოემდელი ხალხია დედამიწაზე და მცირე აზიაში. რაც შეეხება ხეთების დიდ იმპერიას, იგი სწორედ უძველეს მესხთა, იგივე ხალიბთა და თაბალთა მიწა-წყალზე (შემდეგი დროის კაპადოკია-პონტოში) ჰალისისა და ჭოროხის აუზებში ჩამოყალიბდა! აბრაამმა ხეთებისაგან იყიდა სარას საფლავის მიწა მახფელაში და ასე დაესახლა იგი მათ ქვეყანაში!

მეცნიერებაში აღიარებულია, რომ ყველა უძველესი ისტორიული წყარო (დაწყებული ჰომეროსიდან და ლოგოგრაფოსებით, დამთავრებული ახ.წ. IV-V საუკუნის ბერძნული ეკლესიის ისტორიკოსებით) ხალდებს, მესხებსა და ტიბარენებს ერთად ასახელებს. ისინი ერთი და იგივე ჯიშისა და მოდგმის, გენეტიკურად ერთი ფუძისა და სისხლის ხალხია!

სომხური წყაროები არ უარყოფენ, რომ ჭოროხის ხეობა ხალდების უძველესი სამკვიდრებელი იყო, მაგრამ რადგან არტაშესმა და ზარიადრმა ძვ.წ. II საუკუნეში ამ მიწა-წყლის ნაწილი წარიტაცეს, ცდილობენ სტრაბონის გამოთქმა „არმენო-ხალიბების“ შესახებ სათავისოდ გამოიყენონ და მეცნიერებას თავგზა აუბნიონ. სწორედ ამ ერთადერთ ტერმინზე დაყრდნობით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ... შეუძლიათ კატა დაიჭირონ ბნელ ოთახში, და თანაც იმ ოთახში... სადაც ის არც ყოფილა, არც არის და არც შეიძლება იყოს! და აი რატომ, ბატონებო, მიუხედავად მრავალგზის ახსნისა ჩემს კომენტარებში, კიდევ ერთხელ შემოგთავაზებთ ზუსტ მეცნიერულ დასკვნებს, რომ ხალიბები ქართველთა წინაპრებია, ისევე როგორც ტიბარენები, როგორც ჭანები და ლაზები, და როგორც კაპადოკიელები!

სომხური წყაროები ჭოროხის ხეობას ხალდოძორს ე.ი. ხალდის ხეობას უწოდებენ. იმავე სომხური წყაროებით იხსენიება „ხალდო-რიჩი“ – ჭოროხის სათავეში მდებარე ციხე, ამ ადგილს დღესაც ნ. ადონცის განმარტებით (Н.Адонц, Армения в эпоху Юстиниана7 СПБ, 1908, стр.63) ადგილობრივი ონომასტიკა კალდარიჩს უწოდებს. ე.ი. ადგილობრივი ონომასტიკის საშუალებით უამრავი ცოცხალი მაგალითების საფუძველზე ძალიან ადვილად და მარტივად მტკიცდება, რომ ამ ადგილებში ხალდები ცხოვრობდნენ. რიზეს მახლობლად დღესაც არის სოფელი ხალდოსი. რაც შეეხება დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე დაცულ ონომასტიკას, სვანეთსა და ლეჩხუმში დაფიქსირებულია სოფლები ხალდეში, აგრეთვე ხალდეს ჭალა და სხვა. იგივე რიზეს მაზრაში ი. ყიფშიძეს დადასტურებული აქვს სოფელი „ხალიტოსი“. სომხურ წყაროებში მოხსენებული „ხალტიგ“ და „ხალტიკ“ ფორმები გარდამავალი ვარიანტია „ჰალიტოსა“ და „ჰალიკ“ ფორმებთან. აქედან გამომდინარე ორიენტალისტთათვის არ იყო ძნელი გასააზრებელი, რომ ხალ-ფუძიანი სახელების წარმოება მხოლოდ იბერიულ ენობრივ მასალაზე დაყრდნობით და მის საფუძველზე შეიძლებოდა ახსნილიყო. ამ შემთხვევაში კვანძს ხსნის სტრაბონის ცნობა (Strab, XII, 3. 19), როცა პირდაპირ მიუთითებს: „ხალიბები და ხალდები ერთი და იგივე ხალხია და ისინი დღეს ჭანებად მოიხსენიებიანო“. მაგრამ ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ჭან-სახელის უძველესი ფორმა არის კაინ და კენ ტერმინი! მე ადრეც მოგახსენეთ, რომ ჭოროხის აუზში და მის ქვემოთ, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მხარე თავისი ჭანური მოსახლეობით თურქული ადმინისტრაციული სახელით დღესაც იხსენიება როგორც „ჯანიკი“!

საისტორიო წყაროებში კი ხალიბ და ხალდ ტომთა სახელებს ხშირად ცვლის და ფარავს კაენი! რომელიც, როგორც უკვე მოგახსენეთ თავდაპირველი და სრული ფორმაა ჭანების სატომო სახელის! და აქედან გამომდინარე ატარებს ბიბლიური ეთნარქის კაენის – მართალია ცოდვიან, მაგრამ უპირველესი მამამთავრის სახელს დედამიწაზე მოვლინებული ადამის მოდგმისას! ამავე სახელს კაენის მეხუთე თაობიდან იმეორებს და ემატება ახალი სახელი გამრავლებული ახალი თაობით, რომელსაც თუბალ-კაინი ეწოდა! და რომელმაც თავის თავში და თავის შთამომავლობაში გააერთიანა უძველესი და ხალხმრავალი კოლხურ-მესხური მოდგმა საერთო იბერიული თუბალ-კაენური გენით! და ეს ყველაფერი შესანიშნავად ახსნა (ჩემი აზრით) ნიკო მარმა და შეიმუშავა იაფეტური თეორია, მაგრამ იგი... ტენდენციურად დაუკავშირა და მიუსადაგა ინდოევროპულ და პირველ რიგში არმენთა, როგორც ალაროდთა მიწა-წყალზე დასახლებულ აბსოლუტურად განსხვავებული ჯიშისა და გენის ხალხს. ცხადია სინდისი ეყო ნიკო მარს, ან კიდევ ის ვარაუდიც დასაშვებია, რომ ვეღარ გაბედა ადამის და კაენის მოდგმის ხალხი ეწოდებინა არმენთათვის, თუმცა საკმაო დიდებით შემოსა, როდესაც მესხების, ე.ი. თუბალების, ჭანებისა და მეგრელების ნათესაობა დააკისრა, და ლამის სვანების სისხლის ძმებად გახადა! რატომ დასჭირდა მარს მსგავსი მეცნიერული თუ არამეცნიერული სიბეცის გამოჩენა? მხოლოდ პატივცემული მასწავლებლის, კერობე პატკანოვის ანდერძის პირუთვნელად შესრულებისთვის?

დღევანდელი გადასახედიდან ძნელი ასახსნელია ნიკო მარის, როგორც „უძღები შვილის“ საქციელი, მაგრამ ერთი ნიუანსი გასათვალისწინებელია, რომ ქართულმა მიწამ თავის უბეში ბევრი გულბოროტი და გულბოღმიანი „ვაი-შვილი“ და –„ვაი-მემკვიდრე“ აღზარდა, უშურველად მისცა მათ სიცოცხლე, ნიჭი, უკვდავი ბიბლიური გენის სისხლი და არ დაიშურა არავითარი სიკეთე, რისი მიცემაც კი შეეძლო... მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კაენის მოდგმას თავდაპირველი ცოდვაც თან სდევს ყოველთვის!.. და მაგარ ქვას ხშირ შემთხვევაში ფხვნილი, უვარგისი ქვა სცვლის საძირკველშიც კი!.. ნიშანდობლივია, რომ ცოდვა, მართალია პოტენციური ცოდვა იყო ჩასაფრებული კაენის ადამიანურ საწყისთან, მაგრამ გაურკვეველია ბიბლიის აუხსნელი, თითქმის მითიური, იგავური და არალოგიკური წიაღსვლა კაენის პიროვნების მიმართ, რატომ არ მიიღო და არ შეიწყნარა უფალმა კაენის, მიწის მუშა-

კის გულითადი შეწირულობა? რატომ მიიღო აბელის ძღვენი? რატომ უთხრა უფალმა კაენს: (თ.4. მ.7) „ცოდვა ჩასაფრებულია კართან, შენსკენ აქვს მას ლტოლვა, შენ კი იბატონე მასზე...“ უფალმა არ შეაჩერა კაენი და კაენმაც ჩაიდინა ცოდვა... უფალმა თავისი სამართლით, რაც უდრის: „რომელმაც დასთხიოს სისხლი კაცისა, ნაცულად სისხლისა მისისა დაითხიოს სისხლი მისი, რამეთუ ხატად ღუთისა შევჰქმნე კაცი“ (დაბადება, IX,6), არ დასაჯა კაენი, პირიქით, მან შეაჩვენა კაენი, მაგრამ... კაენის მკვლელობისთვის შვიდმაგი საზღაური დააწესა: „უთხრა უფალმა: –შვიდწილად მიეზღვება კაენის მკვლელს! დაადო უფალმა ნიშანი კაენს, რომ ვერ მოეკლა იგი ყოველ შემხვდურს“ (თ. IV, მუხლი 15). რატომ არ მიუზღა უფალმა კაენს თავის ღვთიური სამართლით და რატომ არ „დასთხია სისხლი სისხლისა წილ?“ რა საიდუმლოება დევს უფლის საქციელში და რატომ ვერ ხსნიან მას ადამიანები? ის ხომ არა, რომ მელითონე ტომების მდგომარეობა (რაც ადრე უკვე ვთქვი), განსაკუთრებული იყო? მათი გამორჩეული ხელობა, ნიჭი, და გონებრივი პოტენციალი სხვა ხალხთა შორის თანდაყოლილ შურსა და ბოღმანარევ სიძულვილს ხომ არ იწვევდა? და თუნდაც ამ სიძულვილის მიუხედავად ისინი (მელითონე ტომები) ხომ ასერიგად საჭირონი იყვნენ ადამიანთა სამყაროს განვითარებისთვის? დიახ, სწორედ მათი ნიჭის საჭიროება ხსნის საკრალურ საიდუმლოებას და სწორედ ამიტომ დააწესა უფალმა შვიდგზის საზღაური კაენის და მისი ცოდვილი მოდგმის, მაგრამ მაინც კაენის მოდგმის მოკვლისთვის! აქ ერთხელ კიდევ გავიხსენებ სოლომონის ტაძრის ამშენებელ კაენის შთამომავალ ხირამს, რომელიც სოლომონმა მოაკვლევინა, რადგან შებას დედოფალმა თვით სოლომონსაც კი ხირამი არჩია! სოლომონს რა სასჯელიც მიეზღო ამის სანაცვლოდ ცნობილია...

ნიკო მარმა მიუხედავად იმისა, რომ თავისი დიდი ნიჭი მამულის მხოლოდ სამტროდ გამოიყენა, თავისი არაჩვეულებრივი ინტუიციით პირველმა მიაქცია ყურადღება ჭანურში რკინის აღმნიშვნელ სიტყვას „ერკინა, ეკინა“, ან კიდევ „ერკინაჩხა – ეკინაჩხა“ – რომ ცას უნდა ნიშნავდეს, და საერთო ქართველური გამოთქმა: „ცა მოიჭედა ვარსკვლავებით“ – ცხადია დაკავშირებული უნდა იყოს მელითონე ტომების ძვალსა და რბილში გამჯდარი საქმიანობის ტერმინოლოგიასთან, ჭედვასთან!

ორიენტალისტიკისა და ენათმეცნიერებისთვის პრობლემას აღარ წარმოადგენს ბიბლიური წყაროდან მომდინარე სიმართლის სინათლის გარკვევა, რომ „თუბალკაინისა“ და მისი შთამომავლების რეალურად არსებობის ხანა ბევრად უსწრებს წინ აბრაამის ხანას, ე.ი. აბრაამის საუკუნეს, რომელიც ნავარაუდევია ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, რაც დასტურდება მიწის საკუთრების იმდროინდელი კანონმდებლობის (აბრაამი ყიდულობს საფლავს სარასთვის!) გათვალისწინებით.

„კაენი დაბადებაში მუდამ „თუბალთან“ ან ამ უკანასკნელის შესატყვისთან აბელთან ერთად მოიხსენიება ისევე, როგორც ხალიბი – ტიბარენთან. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა „დაბადების“ პირველი ქრისტიანი განმმარტებლების გენეალოგიური ნუსხები. მაგალითად Liber generationis ახ.წ. IV ს. პირველი ნახევრის ძეგლი იაფეტის შთამომავალთა შორის ერთად ასახელებს ტიბარენებს და ხალიბებს (გეორგიკა, I, გვ. 13). ტიბარენები და ხალიბები აგრეთვე ერთად მოხსენიებული ჰყავს იაფეტის შთამომავლებს შორის ახ.წ. IV ს. მწერალს ეპიფანე კვიპრელსაც (გეორგიკა, 1, გვ. 40). ტიბარენი ამ ცნობაში „დაბადების“ თაბალ / თუბალს უდრის, ხოლო ხალიბს კაინის ადგილი უკავია. იბადება კითხვა – რის საფუძველზე უნდა მომხდარიყო ამგვარი შენაცვლება? „დაბადებისთვის“ უცნობი დარჩა ხალიბთა ტომი, მეორე მხრივ, „დაბადების“ ზემოხსენებული კომენტატორების ხანაში აღარც ეთნიკური ცნება ხალიბი არსებობდა. ის მწიგნობრული გზით თუა ხოლმე შესული ამ დროის წყაროებში. ამავე დროს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჭანების სატომო სახელი ნთქავს დანარჩენ ეთნიკურ ცნებებს. ჭანებს უკვე იცნობს ამიანე მარცელინი (ახ.წ. IV ს.) და Tzanni, Tzaanni სახელით ახ.წ. V ს სულ დასაწყისის (413-415 წწ.) წყარო Notitia dignitatum (იხ. გეორგიკა, 1, 173 შნშ.2). მიუხედავად ამისა ხალიბთა სახელი მაინც აირეკლა გენეალოგიურ ნუსხებში კაინთა ტომების ადგილას. საკითხავია, ხომ არ არის ეს „შედეგი „დაბადების“ ტექსტის მიღებული ინტერპრეტაციისა, რომლის მიხედვით თუბალს – ტიბარენი შეესაბამება, ხოლო კაინს – ხალიბი“ (თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან: თბ., 1974წ. გვ. 132).

თუბალ კაენის შთამომავალ ტომთა ეთნიკური სახელები აშკარად ამჟღავნებს კავშირს, როგორც უკვე მრავალგზის აღინიშნა, სპილენძისა და სპილენძზე მომუშავე ხელობასა და საერთოდ მელითონეობასა და მჭედლობის აღმნიშვნელ სიტყვებთან შუმერულსა და ასურულში. ლაროშის მიგნებით კი, ისევე, როგორც ნიკო მარმაც აღნიშნა, ჭანურსა და ხეთურ ფრაზეოლოგიაში „რკინასა“ და „ცას“ შორის ახლო კავშირია (თ. მიქელაძე).

1956 წელს მეცნიერებმა მ. ვენთრისმა და ი. ჩადვიკმა გამოაქვეყნეს კომენტარები, სადაც განხილული იყო პილოსის წარწერები (Dokimentes in Mycenalan Greek. Cambridge, 1956, გვ. 339), მასში ყურადღებაა გამახვილებული ტერმინ Kyanos-სზე. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობდა, რომ ეს ტერმინი ლილა-ქვის აღმნიშვნელი იყო, მაგრამ საგნის გაანალიზების საფუძველზე აზრი აშკარად მცდარი გამოდგა, რადგან: ნუსხაში საუბარია ქვის მაგიდაზე, რომელიც ინკრუსტრირებულია აქვამარინებით, Kyanos-ით, ვერცხლითა და ოქროთი და კიდევ პატარა სკამზე, რომელიც ასევე ინკრუსტრირებულია Kyanos-ით, ვერცხლით, ოქროთი. მ. ვენთრისი და ი. ჩადვიკი იზიარებენ ვაისის მოსაზრებას, რომ Kyanos-ი არის სევადა, შავ-ლურჯი ლითონის ამალაგმა, რომელიც ძირითადად გამოიყენებოდა მიკენის სატევრის პირებისა და ვერცხლის ფიალების დეკორირებისთვის. მეცნიერთა აზრით ტერმინი Kyanos-ი მიკენური ცივილიზაციისთვის უცხო ჩანს. ვენთროსისა და ჩადვიკის კომენტარებსა და ლექსიკონში მითითებულია, რომ ტერმინი Kyanos- აღნიშნავს ჰომეროსთან მოხსენიებულ ლაპის-ლაზურს ან მის შემცვლელ ლურჯ მინას. ისინი მიდიან იმ დასკვნამდე, რომ Kyanos არაინდოევროპული სიტყვაა, და იგი ნასესხებია სხვა ენიდან. ჰომეროსის სპეციალურ ლექსიკონში ეს ტერმინი გან-

მარტებულია როგორც ფოლადი, ცისფერი ფოლადი, მუქი ფოლადი. თანამედროვე ძველ ბერძნულ-რუსულ ლექსიკონში მისი მნიშვნელობა ახსნილია, როგორც ფოლადის სევადა! დასკვნა ადვილი გამოსატანია, რადგან, ჰომეროსის ეპოსი საუკუნეთა უძველეს შრეებს ეკუთვნის, ეს ტერმინიც ამ ეპოსთან ერთად დამკვიდრდა! ჰომეროსი ამ ტერმინს იყენებს აგამემნონის ფარის აღწერისას: ფარს შემოვლებული ჰქონია სპილენძის რკალები. ჰომეროსის მიხედვით ფარის შუა ნაწილი კალის 20 თეთრი ბალთით ყოფილა მოჭედილი, მათგან შუა, ე. ი. ცენტრალური გამოზიდული ბალთა კი კუანოსის ყოფილა, ასევე აბჯარში (აგამემნონის) კუანოსის ათი ზოლი დაითვლებოდა თურმე! აზრი ცხადი ხდება, რომ საუბარია მაგარ და იშვიათ ლითონზე, ფოლადზე!

ოდისეაშიც ბევრჯერაა ნახმარი სპილენძი და ასევე კუანოსი! ჰეკამედა ნესტორსა და მახაონს გაუმასპინძლდა მაგიდაზე, რომელსაც კუანოსის ფეხები ჰქონდა! ამდენად, ეჭვს აღარ იწვევს, რომ კუანოსი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მინის პასტა ან ლაპის-ლაზური (რაც ასევე ლაზური წარმოშობისაა, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ). ჰომეროსის ტექსტების სპეციალურ ლექსიკონში მითითებულია როგორც „მოლურჯო-ფოლადისფერი ფეხები“ (თ. მიქელაძე გვ. 143).

სავარაუდოა, რომ ტერმინი „კუანოსი“ უკავშირდება უცნობი შინაარსის ხურიტულ ტერმინს Kuwaannase-ს და ხეთურ Kunnan-ს, რომელიც სპილენძის (ან ლითონის) აღმნიშვნელი სიტყვის urudu-ს სინონიმია. გამოითქვა მოსაზრება (ა. გოეცეს მიერ), რომ სწორედ ხეთური „კუნა და ბერძნული „კიანოს“ – იგივე ტერმინია, რაც ქართული რკინა! 50-60-იან წლებში გ. მელიქიშვილმა გაიზიარა გოეცეს მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, შემდეგ კი უარყო! და შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ტერმინი „რკინა“ იბერიულ ენებში შევიდა მოგვიანებით მცირე აზიაში გაბატონებული ინდოევროპული ენებიდან! რაც ყოვლად დაუშვებელია, რადგან მცირე აზიის აბორიგენი მოსახლეობა იბერიული ტომები იყვნენ და ცხადია 2500-3000 წლის წინ მცირე აზიაში შემოსული ინდოევროპელების ენობრივი მასალის სუბსტრატს სწორედ იბერიული ენები წარმოადგენდა და არა პირიქით! რადგან მელიქიშვილის მოსაზრებისგან განსხვავებით, თვითონ სიტყვა-ტერმინი Kuanos – არაინდოევროპული სიტყვაა სპეციალისტთა განმარტებით და იგი ნასესხებია მიკენური ბერძნულის, ე.ი. ძველბერძნულის მიერ! იბადება ლოგიკური აზრი, რომ თუ ეს ტერმინი წარმოშობილია მცირე აზიის აბორიგენ მოსახლეობაში, ის სისხლხორცეულ კავშირში უნდა იყოს ჭანთა ტომების აღმნიშვნელ ბიბლიურ სახელთან „კაინ“-ებთან ან კაენებთან! ამ შემთხვევაში გავიხსენოთ ნ. მარი (Н.Марр, Термин «скиф». Избранные работы, V, 1935წ., გვ. 37). მისი აზრით, იბერიული ტერმინი რკინა, იგივე კინა მომდინარეობს ჭანების სატომო სახელიდან „კაენ“, მისგანვე შევიდა ეს სიტყვა სემიტურში, ასევე შუბის აღმნიშვნელი სიტყვა a-kin-ak –ფაქტიურად რკინას ნიშნავს და აქედანაა ბერძნულში დამკვიდრებული (ჰეროდოტე, ქსენოფონტე)! ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალებიდან ცნობილია, რომ ფოლადს წარსულში ქართველები რამდენიმე სახელით მოიხსენიებდნენ: ტობართინი, ჭანარი და ხალდი (ნ. რეხვიაშვილი, ქართული ხალხური მეტალურგია, თბ., 1964, გვ. 25); მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ტობართინში გახმოვანებულია ტიბარენთა სატომო სახელი, ასევე ჭანარშიდაც, ხალდზედაც იგივე ითქმის, ოღონდაც დავამატებდით რომ ბერძნულში შესული ფოლადის აღმნიშვნელი სიტყვა სწორედ სატომო სახელ ხალდისა და ხალიბისგან მოდის!

საყურადღებო ფაქტია, რომ იბერიულ ენებში სამშაბათ დღეს ჰქვია ერკინაჩხა, ეკინაჩხა, იკინაჩხა, იკინაშხა. – ამას ასევე ემატება კვლავ იმავე სამშაბათის სახელები თახაშხა და ტიკინაჩხა. ეს ფაქტი ძნელი ასახსნელი არ არის. რადგან იმავე სამშაბათს ძველ ქართულში და საბას ლექსიკონით არესის დღედ ანუ არიასად მოიხსენიებდენ, როდოსელის სქოლიასტთან დაცული მითის საფუძველზე ომის ღმერთის არესის, იგივე მარსის შვილია რკინის პირველი აღმომჩენი ხალიბი, რომელმაც თავისი სახელი მისცა მისი შთამომავლობისაგან გამრავლებულ ხალხს. ჩემმა მკითხველმა კარგად იცის, რომ არესი არ უყვარდათ ბერძნებს, მას არც ტაძრებს უგებდნენ საბერძნეთში და არც თაყვანს სცემდნენ. სავარაუდო რამდენიმე ცნობით (გ. ლორთქიფანიძე, Некоторые вопросы религии и культуры античной колхиды, საქ. კავკ. და მახლ. აღმოსავლ. ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 339) არესის კულტმა საბერძნეთში კოლხეთიდან შეაღწია. მეფე აიეტის ოქროს საწმისი სწორედ არესის ჭალაში ეკიდა მუხაზე და დრაკონი სდარაჯობდა. ასევე, ჰომეროსის მიხედვით არესი ტროელთა მხარეზე იბრძოდა. ჰალიძონების (sich!) მეთაურის ჰოდიოსის დამარცხება აგამემნონმა მხოლოდ მაშინ შეძლო, როცა არესმა ყურადღება მოადუნა და იგი ათენამ მოტყუებით გაიყვანა ბრძოლის ველიდან და კიდევ! არესი მუდამ სპილენძის აბჯარშია ჩამჯდარი, რადგან მრისხანე და მამაცი მეომარია! (ხომ არ გახსენდება მკითხველო მცხეთაში აღმართული არმაზი ან შუბით შემართული უშიშარი მეომარი თეთრი გიორგი?).

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს სასაუბრო თემას: არქანჯელო ლამბერტის, (გვ. 179) როცა ის სამეგრელოს აღწერს, მოაქვს ცნობა, რომ „ხოფს შეერთვის მდინარე და შემდეგ ზღვას უერთდებიან, მას ჰქვია ჭანისწყალი, რუკაზე კი იწერება Cianeo. ჩვენი აზრით, ეს სახელი იმიტომ ეწოდება ამ მდინარეს, რომ მასთან მოდის სავაჭროდ თავის პატარა ნავებით და ჩერდება ერთი მეზობელი ხალხი, რომელსაც ჰქვია „ჭანი“. სრულიად მარტივი ასახსნელია, რომ ამ შემთხვევაში Cianeo – ჭანს ნიშნავს, ე.ი. ჭანთა წყალს და აქედან გამომდინარეც ჭანი – ეთნიკური სახელია. ამავე მდინარეს პლინიუსიც Cuaneos –ის სახელწოდებით მოიხსენიებს.

პლინიუსი Cyaneae –ს უწოდებს მოძრავ შავ კლდეებს(!) ამავე ტერმინით ახსენებს ამავე კლდეებს ჰეროდოტეც (Plin, NH, VI 32 ჰეროდ, IV, 85, 89). კრეტა-მიკენის პერიოდისთვის დამახასიათებელი, ოღონდაც არა ბერძნული და რაც მთავარია არაინდოევროპული ენისაგან წარმოშობილი ტერმინი kuanos – არის ის ათვლის წერტილი, რომელიც უძველესი პერიოდის ჭანთა, იგივე კენთა, ე.ი. კაენის შთამომავალთა სატომო სახელს უკავშირდება და რომელსაც არიადნეს ძაფის მაგივრობა შეუძლია გაუწიოს ნებისმიერ ღირსეულ მეც-

ნიერს ორიენტალისტიკის ხელოვნურად ჩაბნელებულ ლაბირინთში!

ბიბლია, უბრწყინვალესი წმინდა წიგნია და როგორც ლენორმანი ხსნიდა, შეიცავს ზუსტ მასალებს ხალხთა თავდაპირველი განსახლების შესახებ... სწორედ „ბიბლია“ იძლევა, კრავს და გადმოსცემს ადამის უპირველესი ნაშიერის კაენის შვილის – ენოხის, შემდეგ კი მისგან გამრავლებულ შთამომავალთა: აბალ, ობელ და თუბალკაენის სატომო სახელებით წარმოშობილ ხალხთა გენიალოგიას. ამათ მალევე ემატებათ თავიანთივე განაყოფები მუშქების, იგივე მესხების სახით... რაც შეეხება ეთნიკურ ტერმინს თუბალ-კაინს, ის ზედმიწევნით სრულად ასახავს მელითონე, – რკინის (დღესაც კი მრისხანე იარაღის) უპირველეს მწარმოებელთა გენეტიკურად, უფრო უკეთესად რომ ვთქვა, სისხლით მონათესავე ტომთა კონსოლიდაციას ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე 4000 ან უფრო მეტი წლების წინაც!..

ტაბალის 24 მეფის კავშირს რაც შეეხება, ქართული ხასიათიდან გამომდინარე, არც ის 24 მეფეა გასაკვირი, ნაკლის დაფარვა და დამალვა სისულელეა, რადგან ცოდვა გამხელილი სჯობია. 24 ტომად დაყოფაც იმაზე მიუთითებს, რომ პრეისტორიული ხანიდან ბევრი მეფე და დღევანდელი გადასახედიდან ბევრი ლიდერი ჰყავდა ყოველთვის ქართველებს. ქვეყნის დაქცევის და ამოგდების უპირველესი მიზეზიც ალბათ ეს იყო!.. ხალიბთა ეთნიკური სახელი გარკვეული ათასწლეულის მანძილზე სწორედ ტაბალთა ტომების გაერთიანებას მიენიჭა. ამრიგად, მეცნიერებისთვის სადავო აღარ უნდა იყოს თუბალ-კაენთა მოდგმის არათუ გენეტიკური წარმომავლობა და ასევე გენეტიკური მეხსიერება, არამედ ამ ხალხის თავდაპირველი საცხოვრისი მცირე აზიასა და კავკასიონის სამხრეთით, კერძოდ შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროებზე: ჩრდილო-დასავლეთით მდინარე ყუბანამდე, სამხრეთით ღალისის აუზის ჩათვლით, აღმოსავლეთით ტიგროსისა და ევფრატის სათავეების აუზები შუა წელამდე, უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე! სამხრეთ-აღმოსავლეთით – სპარსეთის თავდაპირველ საზღვრამდე! ჩრდილოეთით კავკასიონის ყინულოვან მწვერვალებამდე!

რადგან წინამდებარე სტატიას მეცნიერული ნაშრომის პრეტენზია არა აქვს და მხოლოდ კომენტარებით შემოვიფარგლე ისტორიულ თემებზე, ამიტომ შევეცადე მარტივად გაანალიზებული ზუსტი ფაქტები მიმეწოდებინა მკითხველისთვის, მტრისა და მოყვარისთვის პირუთვნელი სიმართლე მეთქვა! დიახ, ჩემი თაობის ქართველებისთვის ჩემებურად მეთქვა სიმართლე, რომ მშვიდობა ჯერ არ დამდგარა ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ხალხისთვის... ეს აუტანელი შიმშილი, უმუშევრობა, ხელოვნურად შექმნილი ეკონომიკური კრიზისი – ომია ქართველი ხალხის, ქართული საცხოვრისის მიწის პირისაგან აღსაგველად! და თუნდაც სომეხი ხალხი რა სიკეთეს მოიმკიან ჩვენი განადგურებით? არაფერს ბატონებო! დიდი იმპერიები თუ საქართველოს ჩაყლაპავენ, შემდეგ რიგში სომხეთიც დადგება! ეს მწარე სიტყვები დიდმა ტკივილმა მათქმევინა, დაწყევლილი იქნება, ვინც უფლის ხალხზე მახვილს აღმართავს, უფლის ხალხი კი... უპირველესი ჯიში და მოდგმა თუბალკაენის გენეტიკური შთამომავლები, იბერიელები არიან ბატონებო! დიახ, იბერიელები!

კვლავ ჩემს სათქმელს გადავუხვიე, ლირიულ ტონალობაში შენიშვნების სახით მიმოვიხილე ქართველი ხალხის ისტორიული წარსული ადამიდან ქრისტემდე! მკითხველისთვის ძნელი გასააზრებელი აღარ უნდა იყოს ისტორიული ფაქტები, რომ მცირე აზია თუბალკაენის მოდგმის ხალხით იყო დასახლებული, რომ პონტო-კაპადოკია იგივე თუბალკაენის ჯიშის კოლხ-თუბალთა (მესხთა) ქვეყანა იყო და რომ... წმინდა გიორგი, წმინდა ნიკოლოზი, წმინდა ბასილი დიდი, წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი და წმინდა გრიგოლ ნოსელი, ორი უდიდესი მსოფლიო საეკლესიო კრების, ნიკეის I და კონსტანტინოპოლის II კრების კანონმდებლები და მართლმადიდებლური სარწმუნოების ურყევი მესაძირკვლენი პონტო-კაპადოკიელი ჭან-ლაზები და მესხები იყვნენ! ძირძველი და დიდი ქართული ფეოდალური ძირისა და ოჯახის წარმომადგენლები, და რომ წმინდა ნინო კაპადოკიელი ქართველი წმინდანი იყო და თავისი სამშობლო და თავისი ხალხი გააქრისტიანა, წმინდა მოციქულ ანდრიას ნაკვალევზე ღირსეულად იარა და ღვთაებრივი მისია აღასრულა!

ამჯერად მინდა ჩემს მკითხველს განვუმარტო ჰქონდა თუ არა საფუძვლები ქართულ ეკლესიას და ქართველი ხალხის რწმენას მონოფიზიტურ ე.ი. სომხურ ნიადაგში?

მე ადრე საკმაოდ ვრცლად ვისაუბრე არიოზსა და მონოფიზიტიზმის სექტანტურ მიმდინარეობაზე, ათანასე დიდის, ბასილი დიდის და არიოზის დაპირისპირებაზე, მართლმადიდებელი სარწმუნოების ჭეშმარიტ აღმსარებლობაზე. ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი ცნობილი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი აღნიშნავდა, რომ: „იბერები ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთესად იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ“ (გეორგიკა II, 1934წ. გვ. 21). რას ნიშნავდა პროკოპი კესარიელის სიტყვები? ვის გაუჩნდა კითხვა და აქედან გამომდინარე ეჭვი იბერების ქრისტიანობის შესახებ? უაღრესად საინტერესო და საჭირო კითხვაა! საუკუნეების მანძილზე სწორედ ეს ეჭვი და მისგან გამომდინარე კითხვა იქცა არამარტო სისხლის ღვრის და პოლიტიკური დაპირისპირებულობის მიზეზად, არამედ ყოველგვარი ქართულის აღმოფხვრისა და წარტყვევნის საფუძვლად.

ყოველ ერს ჰყავს რეაქციული ნაწილი, მაგრამ როგორც უკვე მრავალგზის აღვნიშნე, იმდენად რეაქციული და აგრესიული არა, როგორც სომხებს. მათი რეაქცია და აგრესია უმეტესწილად 2400 წლის მანძილზე მიზანმიმართული იყო ძირითადად ქართველი ხალხის და ქართული სახელმწიფოების მიმართ, და ეს მიმართება გამოიხატებოდა ნებისმიერი საქმიანობით: პოლიტიკური საზღვრების დარღვევით, ე.ი. მიწების წართმევით, ენის, დამწერლობის მითვისებით და საბოლოოდ უკვე ისტორიის და წარსულის მიტაცებითა და გაყალბებით. ქრისტიანული სარწმუნოების მიღებიდანვე ამ ორ ქვეყანას შორის, როგორც უკვე ვიცით არამარტო გადაულახავი წინააღმდეგობები წარმოიშვა რწმენის საკითხში, არამედ საშინელი ურთიერთდაპირისპირებაც! შეუძლებელია დავეთანხმოთ ზოგიერთი ისტორიკოსის მოსაზრებას, რომ VI-VII საუკუნემდე „ერთ სულ და ერთ ხორც“ იყო

ქართული და სომხური ეკლესიები! არა ბატონებო! ეს ასე არც ყოფილა და უბრალოდ გარემოებათა ვითარების გამოც არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მიუხედავად თქვენი დიდი სურვილისა და სომხური წყაროების აშკარად გაყალბებული მასალებისა!

ჩემი სტატიის წინა ნაწილში მე ვისაუბრე არიანიზმის წარმოშობაზე და მის დასაყრდენზე, ანტიოქიის სკოლაზე. იმ ანტიოქიაზე, რომელსაც მართლმადიდებლური ეკლესიის უდიდესი წმინდანი ბასილი დიდი „მსოფლიო ეკლესიის თავს“ უწოდებს. 325 წელს ბითვინიაში მოწვეულ ქ. ნიკეის მსოფლიო კრებაზე მართლმადიდებლებმა: წმინდა ალექსანდრე ალექსანდრიელმა, ევსტათი ანტიოქიელმა, მაკარიოს იერუსალიმელმა, მარკელ ანკირელმა და ამ პერიოდისათვის სრულიად ახალგაზრდა 26 წლის ალექსანდრიის მთავარეპისკოპოს ალექსანდრე ალექსანდრიელის მთავარ დიაკონმა, მომავალში წმინდა ათანასე დიდმა განმარტეს ნიკეის რწმენის სიმბოლო. ევსევი კესარიელის მიერ კრებისთვის წარმოდგენილ „რწმენის სიმბოლოში“ იმპერატორმა კონსტანტინემ ითხოვა შეეცვალათ ძე ღმერთის, ე.ი. ქრისტეს მამა ღმერთთან მსგავსი სიტყვა არსება – „ერთარსად“, – რაც როგორც ვიცით, მართლმადიდებლური განმარტებაა!

ნიკეის საეკლესიო კრების შემდეგ რელიგიური დაპირისპირების მოსპობის მიზნით იმპერატორმა კონსტანტინემ ორივე მხარის (დიოფიზიტების და მონოფიზიტების) შერიგება მოინდომა. როგორც ვიცით, ეს ასე არ მოხდა. მონოფიზიტები იმდენად რეაქციული ფრთა იყო და ვერც ვიტყვით, რომ ქრისტიანული, რადგან ქრისტეს მოძღვრების გასაღები – სინანული, მოთმინება და ურთიერთსიყვარულია, მონოფიზიტები კი არათუ სინანულს იჩენდნენ, ქუჩაში შემხვედრი მართლმადიდებლებისთვს სასიკვდილო განაჩენიც კი გამოჰქონდათ (გავიხსენოთ მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება!). ამ პერიოდისთვის იმპერატორი კონსტანტინე დიდი ღიად უჭერდა მხარს მართლმადიდებლობას. დაძაბული ურთიერთობის დროს 324 წელს ანტიოქიის მთავარეპისკოპოსი გახდა ევსტათი ანტიოქიელი, თავგამოდებული მართლმადიდებელი და ნიკეის კრებაზე ნიკეის სიმბოლოს დამცველი! ევსტათი ანტიოქიელის წინააღმდეგ დაირაზმა არიანელთა მნიშვნელოვანი ძალა. არიანელთა გამორჩეულ პირებს ევსევი ნიკომედიელს და ევსევი კესარიელს თვითონ იმპერატორის დედა, დედოფალი ელენე მფარველობდა. სწორედ ამით მიაღწიეს მათ წარმატებას და ნიკეის კრებიდან ორი წლის გასვლის შემდეგ გადასახლებიდან დააბრუნეს არიოზი. არიოზის აღდგენა ძველ ხარისხში უბრძანეს ალექსანდრიის მთავარესპისკოპოსს, ალექსანდრე დიდის შემცვლელსა და მემკვიდრეს ათანასე დიდს, ათანასე დიდმა კატეგორიული უარი განაცხადა და კიდევ ერთხელ ამხილა არიოზის მწვალებლობა. მაგრამ ერესი უაღრესად დიდ განსაცდელს უმზადებდა მართლმადიდებლებს. იმპერატორთან დაახლოებული ევსევი ნიკომედიელი აღარ იყო შენიღბული არიოზელი. დედოფალ ელენეს და იმპერატორის დის კონსტანციას ხელშეწყობით მან დიდი გავლენა მოიპოვა იმპერატორის კარზე. 328-330 წლებიდან იმპერატორის მხარდაჭერით, ნიკეის რწმენის მომხრე მთავარეპისკოპოსებს არათუ კათედრები ჩამოართვეს, გადასახლება მიუსაჯეს და დევნა, ცილისწამება და შევიწროება დაუწყეს. ათანასე დიდზე ბინძური ჭორები გაავრცელეს, ისიც კი დაბრალეს წმინდანს, რომ ერთ-ერთი ეპისკოპოსისთვის (არსენისთვის) მარჯვენა მოეჭრა თითქოს და ამ მარჯვენით ჯადოქრობდა! წმინდა ათანასე იძულებული გახდა სასამართლოში წარმდგარიყო – ეპისკოპოსი არსენი კი, შეშინებული იმით, რომ ამდენი ცილისწამებისთვის წმინდანის მიმართ მას ჯოჯოხეთის ცეცხლი არ ასცდებოდა, სასამართლოზე გამოცხადდა და... თავისი სიცოცხლითა და „მარჯვენით“ დაამტკიცა ათანასეს უდანაშაულობა! ევსევი ნიკომედიელის ხალხმა სასამართლოზევე სცადეს დაეხრჩოთ არსენი, მაგრამ მან განაცხადა, რომ ქრისტეს სასუფეველი ერჩია ყველაფერს და ამიტომ ადვილად აიტანდა ყოველგვარ წამებას არიოზელთა მიერ! ასეთივე თავგამოდებული მართლმადიდებელი იყო ანტიოქიის მთავარეპისკოპოსი ევსტათი ანტიოქიელი. უმთავრესი წინააღმდეგობა რელიგიურ საკითხებს შორის და მწვავე დაპირისპირებულობა სწორედ ანტიოქიაში იყო. არიანიზმის მწვალებლური ფანატიზმით შეპყრობილი მრევლისა და არიოზის აღმზრდელი საღვთისმეტყველო სკოლის წარმომადგენელთათვის, ასევე თვით საიმპერატორო ქალაქის ნიკომედიის (კონსტანტინეპოლამდე) მთავარეპისკოპოსის ევსევი ნიკომედიელისთვის მიუღებელი იყო თავგამოდებული მართლმადიდებელი – ანტიოქიის მწყემსმთავრის ტახტზე. ევსევი კესარიელის მიერ, საეკლესიო კანონების დარღვევით თვითონ ანტიოქიაში მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება 330 წელს და ევსტათი ანტიოქიელი გადააყენეს. ევსევი კესარიელს შეეშინდა, რომ იმპერატორი კონსტანტინე, რომელიც დიდ პატივს სცემდა ევსტათი ანტიოქიელს ხელს არ მოაწერდა მის გადაყენებას და ამიტომ იმპერატორთან ცილი დასწამა ევსტათი ანტიოქიელს, რომ იგი უპატივცემულოდ მოიხსენიებდა „თურმე“ იმპერატორის დედას – დედოფალ ელენეს! იმპერატორისთვის საკმარისი გახდა არიოზელთა ბინძური ცილისწამება, რომ დათანხმებულიყო ევსტათი ანტიოქიელის კათედრიდან გადაყენებას და მის თრაკიაში, ქ. ტრაიანოპოლისში გადასახლებას, სადაც იგი გარდაიცვალა კიდეც 360 წელს. რაც შეეხება ევსევი ნიკომედიელს, არიოზელების წინამძღოლს, ის ბოლომდე პატივში იყო იმპერატორ კონსტანტინეს გვერდით იმპერატორის გარდაცვალებამდე 337 წლის 22 მაისამდე. უფრო მეტიც, იგი ის პიროვნება გახლდათ, რომელმაც სიკვდილის წინ მონათლა კონსტანტინე დიდი და რომლის ბრძანებითაც განიდევნა ქვეყნიდან მართლმადიდებლები (Гидулянов П., Митрополиты в первые три века христианства, М., 1915), მაგრამ მართლმადიდებლურ ეკლესიას სულ მალე უდიდესი კანონმდებელი და როგორც ეფრემ ასურმა უწოდა „იესო მაცხოვრის ჭეშმარიტი რწმენის მცველი ნათლის სვეტი“, მომავალში ბასილი დიდის სახელით ცნობილი უდიდესი წმინდანი მოევლინება! ბასილი დიდი განკაცებული სული მართლმადიდებლური რწმენის გადასარჩენად უფლის მიერ იყო მოვლენილი დედამიწაზე და დიდი კაპადოკიელი მამის ხორციელ სხეულში დავანებული...

კონსტანტინე დიდის შემდეგ იმპერატორების, კონსტანციუსისა და ვალენტის დროს მართლმადიდებლები კვლავ შევიწროებას, დევნას და აუტანელ ცილისწამე-

ბას განიცდიდნენ. აღმოსავლეთ რომის იმპერიის ეკლესიები მთლიანად არიოზელებმა დაიკავეს. იკრძალებოდა ჭეშმარიტი სიტყვა. წმინდა ბასილი დიდი ღვთისგან ბოძებულმა უდიდესმა ნიჭმა და ასევე უდიდესმა რწმენის ძალამ ეკლესიის უდიდეს დოგმატიკოსად აქცია. არიოზელები ძრწოდნენ მისი ჭეშმარიტი ნათლის წინაშე. იმპერატორ ვალენტის ჩააგონეს, რომ თუ ბასილი მართლმადიდებლობას დათმობდა და არიოზის მიმდევარი გახდებოდა, მსოფლიოს ადამიანური სამყარო მათ ხელში აღმოჩნდებოდა და ისინი, ე. ი. არიოზელები „მსოფლიო წესრიგს“ დაამყარებდნენ! ბასილი დიდი კესარიის მთავარეპისკოპოსის კათედრას 370 წლიდან ფლობდა. იმპერატორ ვალენტის წარგზავნილი პრეფექტი, მოდესტოსი ჯერ ცდილობდა იმპერატორის წყალობით და დაპირებებით მიემხრო იგი. ეს რომ ვერ მოახერხა, ქონების ჩამორთმევით, გადასახლებით და ბოლოს სიკვდილით დაემუქრა. ბასილი დიდის პასუხი ასეთი იყო: „გადასახლების არ მეშინია, რამეთუ მთელი ქვეყნიერება უფლისაა, ქონების ჩამორთმევა შეუძლებელია მისთვის, ვისაც არაფერი გააჩნია; სიკვდილი ჩემთვის სიკეთეა, ის შემაერთებს მე ქრისტესთან, რომლისთვისაც ვცოცხლობ და ვშრომობ“. ბასილი დიდის მკაცრმა დიდებულებამ (იგი პონტოელი ჭანი დიდგვაროვანი არისტოკრატი იყო!) პრეფექტი განაიარაღა და დაატყვევა „აქამდე ჩემთან ასე არავის უსაუბრნია“ – თქვა მან...

„– როგორც ჩანს, თქვენ მართლმადიდებელ ეპისკოპოსთან არ გისაუბრნიათ“, – მოკრძალებით შენიშნა ბასილი დიდმა. ამის შემდეგ იმპერატორი ვალენტი თვითონ წავიდა კესარიაში. იმპერატორი ნათლისღების დღესასწაულის მსახურებას დაესწრო კესარიაში, ბასილი დიდის ტაძარში. ბასილი დიდი წარმოუდგენელი დიდებითა და ნათლით აღვსილი აღასრულებდა ღვთისმსახურებას... იმპერატორი განცვიფრდა და მოიხიბლა... მაგრამ იმდენად დიდი იყო მასზე არიოზელთაგან ზეწოლა, რომ ბასილი დიდს გადასახლება მიუსაჯა მაინც. ღვთის განგებით იმპერატორის ვაჟი იმავე ღამეს მძიმე ავადმყოფი შეიქმნა. იმპერატორმა გადასახლების განაჩენიც გააუქმა და ბასილი დიდს ავადმყოფი შვილისთვის ლოცვა სთხოვა... ეს მომენტი ერთ-ერთი უმნიშვნელო ეპიზოდია ბასილი დიდის ცხოვრებიდან. ღვთის სადიდებლად იცოცხლა 49 წელი კესარიაში და შექმნა მართლმადიდებლური ეკლესიის კანონმდებლობა, მის მიერ შემუშავებული და გააზრებული სამების დოგმატი საფუძველი გახდა მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (381წ.) მიღებული ნიკეა-კონსტანტინოპოლის რწმენის სიმბოლოსი. მე უკვე მერამდენედ შევეხე ბასილი დიდის ცხოვრებას და მოღვაწეობას, ის უაღრესად დიდი წმინდანია, ყველა თაობის მართლმადიდებელთათვის, ყოველი ჩვენგანისთვის შუამავალი ნათლის სვეტია უფალთან მისაახლოებლად!

ამჯერად ისევ დავუბრუნდეთ ჩვენს სათქმელს. IV საუკუნის დასაწყისში საქართველოს და ასევე სომხეთის ქრისტიანული სარწმუნოების ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ამ ქვეყნებში მისიონერული მიზნით მოღვაწე მლოცველებმა და როგორც ვიცით, სირიის ანტიოქია აღმოსავლეთში უდიდესი ქრისტიანული ცენტრი იყო...

... ანტიოქიის მთავარესპისკოპოსის მიერ მოხდა ქართლის ეპისკოპოსის ხელდასხმა, და მირიან მეფეს იმპერატორის რჩევით სწორედ ევსტათი ანტიოქიელმა გამოუგზავნა ეპისკოპოსი იოანე მცხეთას. ამის შესახებ ცნობები მოეპოვება ანტიოქიის მახლობლად, შავ მთაზე XIს-ის II ნახევარში მოღვაწე ქართველ ბერსა და ღვთისმეტყველს, ფილოსოფოსსა და მთარგმნელს ეფრემ მცირეს: „უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების“, ვკითხულობთ: „ეგრეთვე სახელიცა მივლინებულისა მის ეპისკოპოსისა, ესრეთ პოვნილ არს, ვითარმედ თვით ევსტათი იყო ანტიოქიელ პატრიარქი, რომელმან დაამყარა ეკლესიათ იგი მირიანის მიერ მცხეთას აღშენებული და უკურთხა მას კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი...“ ამ დროიდან „...ქართლისა კათალიკოზნი (მთავარეპისკოპოსი –დ.მ.) ანტიოქიის საყდრის მიმდგომ იყვნეს.“ (ვ. გოილაძე, „ქართული ეკლესიის სათავეებთან“, 1991წ., გვ. 91-92). ხელდასხმის ცერემონიალი ალბათ იქვე, ნიკეაში უნდა შემდგარიყო, რადგან რელიგიური დაპირისპირების გამო, ევსტათი ანტიოქიელს მცხეთაში ჩამოსვლის საშუალება არ ექნებოდა...“ (იქვე).

ევსტათი ანტიოქიელი, როგორც მოგახსენეთ, ანტიოქიის მთავარეპისკოპოსის კათედრას 324-330 წლებში განაგებდა. „ნინოს მიერ 318 წელს მოქცეული ქართლის სამეფო კარი შესაფერ დროს უცდიდა, რათა მისი ქვეყნის მიერ ქრისტიანობის აღიარება ქრისტიანობის ისეთი დიდი ტრადიციების ეკლესიის მეთაურს ოფიციალურად დაედასტურებინა, როგორიც ანტიოქიის ეპისკოპოსი იყო „...ამავე ხანებში დამთავრებულა კიდეც სამეფო ოჯახის მოქცევის შემდეგ მცხეთაში დაწყებული ეკლესიის მშენებლობა. ქართლიდან იმპერიაში გაგზავნილი დელეგაცია, რომელიც კონსტანტინე დიდისგან ეპისკოპოსის კურთხევასა და სამღდვლოებას მოითხოვდა, ალბათ იმპერატორს 324 წელსვე წარუდგა და კონსტანტინეს მხარდაჭერით ანტიოქიის ეპისკოპოსად ახლად არჩეულმა ევსტათიმ იოანე ქართლის ეპისკოპოსად აკურთხა“ (ვ. გოილაძე, იქვე, გვ. 94). „ნინოს ცხოვრებიდან“ ცნობილი – ბრანჯი (ფრანგი) მთავარდიაკონი, რომელიც მცხეთაში იოანესთან ერთად ჩამოვიდა, ცხადია ევსტათი ანტიოქიელის წარმოგზავნილი თანამოაზრე სასულიერი პირი იქნებოდა. „...აგათანგელოსის ცნობიდან ვიცით, კაპადოკიის კესარიაში გრიგოლ განმანათლებლის სომეხთა ეპისკოპოსად ხელდასხმის შემდეგ სომხეთში მომავალ გრიგოლს სომხეთის ეკლესიის ორგანიზაციაში მონაწილეობის მისაღებად ლეონტი კესარიელმა თავისი ხელქვეითი პეტრე სებასტიელი გამოაყოლა“ (ვ. გოილაძე, იქვე, გვ. 95). რაც შეეხება ლეონტი კესარიელს, იგი ცნობილი არიანელია და ნიკეის კრების ოქმებიდან იხსენიება არიანელთა შორის. როგორც ბატონი მეცნიერი ვ. გოილაძე მიუთითებს, ლეონტი კესარიელი, წარმოშობით კაპადოკიელი ქართველი უნდა ყოფილიყო, ე.ი. ჭანი, იგივე ლაზი, ან კიდევ მესხი. ცნობილია ისიც, რომ „კესარიის საეპისკოპოსო კათედრას ადგილობრივი, ე.ი. ქართული წარმოშობის სასულიერ პირები განაგებდნენ ე.ი. სომეხთა განმანათლებელი გრიგოლიც წარმოშობით ქართველი უნდა ყოფილიყო...“ ფილოსტროგიუსის (წარმოშობით კაპადოკიელი) ცნობით ვგებულობთ, რომ „325 წელს პონტოს ნეოკესარიაში გამართულ ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე დამსწრე არიანელ ეპისკოპოსთა შორის კაპადოკიიდან სახელდება: კესარიის ეპისკოპოსი ლეონტი, ნეოკესარიის ეპის-

კოპოსი ლონგიანუსი და სებასტიის ეპისკოპოსი ევლადე. ირკვევა, რომ სომეხთა განმანათლებელი გრიგოლი თავიდანვე არიანელი ყოფილა! ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან სრული საფუძველი მოუმზადა მონოფიზიტური ეკლესიის დაარსებას და ჩამოყალიბებას სომხეთში, თავიდანვე შექმნა მონოფიზიტური ეკლესიის ძლიერი ორგანიზაცია!.. ხორენაცის ცნობიდანაც ჩანს, რომ სომხეთის ეპისკოპოსები კაპადოკიიდან იღებდნენ ხელდასხმას (ოღონდაც არა ბასილი დიდის პერიოდში!).

ხორენაცის ცნობით, სომხეთის მეფემ პაპმა პირველად დაარღვია სომხეთის ეპისკოპოსის კესარიაში ხელდასხმის წესი, რომ მან, პაპმა როცა ნერსესი მოაკვლევინა, იძულებული გახდა „...გამოეძებნა და გამოაჩინა ვინმე საჰაკი, ალბიანოსის გვარისა, ის დაადგინა ნერსესის მაგიერ კესარიის დიდ არქიეპისკოპოსთან შეუთანხმებლად, საჰაკს ოთხ წელიწადს ეკავა ტახტი.“ ე.ი. პაპის მეფობის დროს 368-374წ.წ. აღარ გაგზავნეს კესარიაში ხელდასასხმელად სომხეთის ეპისკოპოსი. 370 წლიდან 379 წლებში კესარიის მთავარეპისკოპოსის კათედრას ბასილი დიდი განაგებდა! ალბათ ამ თვითნებური ნაბიჯის გამო, და კიდევ გამოუსწორებელი მონოფიზიტური ორიენტაციის გამო 381 წელს კონსტანტინოპოლში გამართულ „მსოფლიო საეკლესიო კრებაზე სომხები არ იყვნენ მიწვეულნი“ (ა. ანინსკი История армянской церкви до XIX века, Кишинев, 1900). კონსტანტინოპოლის II კრებამ დაგმო და შეაჩვენა მონოფიზიტები.

სომხეთის ეკლესია აქედან მოყოლებული უკვე მთლიანად ჩამოშორდა ბიზანტიის ეკლესიას! ხოლო ქალკედონის საეკლესიო კრების შემდეგ, ე.ი. 451 წლიდან მოვსეს კალანკატვაცის თანახმად, სომხური ეკლესია არათუ ჩამოშორდა ბერძნულ ეკლესიას, დაუპირისპირდა კიდეც მას! ბიზანტიის ეკლესია მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობდა შემოერიგებინა სომხები, და როცა მათ სთხოვეს რომ ეჩვენებინათ პატრიარქი, რომელსაც ემორჩილებოდა სომეხთა არქიეპისკოპოსი, – თუ თქვენ პატიარქი ან სხვა სამღვდელონი არა გყავთ ეკლესიებში, მაშინ არიოზივით გზასაცდენილი მწვალებლები ყოფილხართ-ო. ამაზე სომხებმა ვერაფერი უპასუხესო ბერძნებს, რადგან მათი ეკლესია მართლაც ამგვარ ვითარებაში იმყოფებოდაო (მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, თბ., 1985წ.). მოტანილი ცნობები სარწმუნოა და მნიშვნელოვანი! აქედან გამომდინარე, სომხური ეკლესია თავიდანვე არიანული – მონოფიზიტური მიმართულებისა იყო და ასე დარჩა ბოლომდე, უსუსურია ის აზრი, თითქოს გრიგოლ განმანათლებელი მართლმადიდებელი იყო და ეკლესიაც მართლმადიდებლური დააფუძნა. აქსიომაა: რასაც დასთესავ, ნაყოფსაც მისას მოიმკი!..

ამ მხრივ სულ სხვა მდგომარეობაა ქართულ, ივერიის ეკლესიაში ევსტათი ანტიოქიელის მიერ წარმოგზავნილმა იოანე მთავარეპისკოპოსმა თავიდანვე მართლმადიდებლური ეკლესიის ჯანმრთელი ორგანიზმი შექმნა და მიუხედავად უდაოდ დიდი ზეწოლისა (განსაკუთრებით პირველ საუკუნეებში), მართლმადიდებლობა მყარ საფუძველზე დადგა.

IV საუკუნის მეორე ნახევარში თითქმის სრულყოფილი სახე მიიღო არიანიზმის მონოფიზიტურ ნიადაგზე წარმოშობილმა ქრისტიანობის სპარსულმა მიმართულებამ, რომელიც მკვეთრად გამოხატულ ანტიბერძნულ პოლიტიზირებულ იდეოლოგიას უფრო გამოხატავდა, ვიდრე რელიგიურ რწმენას. მონოფიზიტიზმის ძირითადი დასაყრდენი სპარსეთის იმპერიაში სომხური და სირიული მოსახლეობა და მათი ეკლესიები იყო.სპარსეთის სამეფო კარი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ანტიბერძნული ეკლესიების გაძლიერებას, რადგან იგი მიაჩნდა თავის იდეოლოგიურ საყრდენად. ამდენად, გასაგები ხდება ვახტანგ გორგასლის დროინდელი ივერიის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა V საუკუნეში! ცხადია სარწმუნოებრივ დაპირისპირებებს ვერაფრით ასცდებოდა სპარსეთის მოსაზღვრე და მოხარკე საქართველოს სამეფო; მაგრამ სპარსეთის შაჰების სურვილის მიუხედავად, მათ მაინც ვერ შეძლეს სომხეთის მსგავსად სამეფო ხელისუფლების გაუქმება ივერიაში (საქართველოში) IV-V საუკუნეებში! პირიქით, ვახტანგ გორგასლის უაღრესად ძლიერმა გონებამ, ხელმა და მამულიშვილური მოვალეობის თვითშეგნებამ აღადგინა და გააერთიანა დასავლეთი და აღმოსავლეთი ქართული მიწა-წყალი, ქვეყანას შემოუერთა ბერძენთაგან წართმეული ტაოკლარჯეთი სამხრეთით და ჩრდილოეთით აფშილ-აფხაზთა მიწა-წყალი ნიკოფსიამდე (დღევანდელი ტუაფსე) დაიბრუნა სპარსთაგან წართმეული ქვემო ქართლი და ჰერეთი, რანის საარიშიანოს ნაწილიც კი, სომხეთიდან დაიბრუნა გოგარენეს სამხრეთი ნაწილი, ქართლში ჩამოწეული ოსები გადარეკა კავკასიონს გადაღმა... მაგრამ... ვახტანგ გორგასლის ძლიერი პოლიტიკური კურსი არ იყო მისაღები მეზობელი სახელმწიფოებისთვის და პირველ რიგში სომხეთისა და სპარსეთისთვის! ასევე ყურადსაღებია სხვა ნიუანსიც: ქვეყნის მიწა-წყალი უპირველესად სამეფო საკუთრება გახლდათ. მეფე თავისი კეთილი ნებით ურიგებდა მამულებს აზნაურებს თავდადებული და ერთგული სამსახურის პირობით, მაგრამ ყველა აზნაური როდი ასრულებდა თავის ფიცს! მათგან უმთავრესნი სიმდიდრის მოყვარენი და ქვეგამხედვარნი იყვნენ უმეტეს შემთხვევაში! – საიდუმლო კავშირში შედიოდნენ ირანის შაჰებთან (სომეხთა ეპისკოპოსთა მსგავსად) და ხშირად დაფარულად, იშვიათად კი ღიად ღალატობდნენ მეფეს, მეფის ღალატი კი ქვეყნის, მამულის, სამშობლოს ღალატი იყო. ამის შედეგი კი ის გახლდათ, რომ სპარსეთმა VI საუკუნეში (ვახტანგ მეფის შვილების შემდეგ) მიაღწია ქართლში სამეფო ხელისუფლების გაუქმებას, ქართლს მარზპანი მართავდა გაყიდულ დიდაზნაურთა ხელშეწყობით!

ვახტანგ გორგასალს შეუმჩნეველი არ დარჩენია მოსალოდნელი ხიფათი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ის ძლიერი ხელისუფალი იყო და ყველა სფეროში სასტიკი, მაგრამ სამართლიანი რეფორმები გაატარა. მიუხედავად მთავარეპისკოპოს მიქაელის მაღალი ავტორიტეტისა, მეფე (ვახტანგი) დაუფარავად ეუბნება მას: – „ვეცხლის მოყუარე ხარ შენ, რამეთუ შენცა მეგუადრუცე ხარ ქრისტესი“ (ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ. 197). „მეგუადრუცე“ ამ შემთხვევაში სიმდიდრის, სალაროს მფლობელსა და მეპატრონეს ნიშნავს. აქედან გამომდინარე ჩნდება აზრი, რომ მთავარეპისკოპოსს მიქაელს ეშინოდა იმ მაღალი თანამდებობის დაკარგვისა, რომელსაც სრულიად საქართველოს ქრისტიანული ეკლესიის საჭეთ-

მპყრობელის ტახტი ერქვა, და რომელიც ქვეყანაში ყველაზე მეტი მიწის, ე.ი. საეკლესიო მამულის მფლობელი იყო! მიწა კი, მოეხსენება ჩემს მკითხველს, ყველა დროისთვის და ყველა ქვეყანაში უმთავრეს სიმდიდრეს წარმოადგენს.

საშიშროება კი მიქაელმა მაშინ შეიტყო, როცა მეფემ საეკლესიო რეფორმების დაწყება განიზრახა. მის ფერხთით, სამთხეევად დამხობილ მეფეს წიხლი ჰკრა და ფეხსაცმლის (ალბათ) ქუსლით კბილები ჩაუმტვრია! ეს უდიდესი შეურაცხყოფა მეფემ უხმოდ გადაიტანა. მაგრამ ჩნდება კითხვა, როგორ უნდა მოქცეულიყო მეფე ამ შეურაცხყოფის შემდეგ? ცხადია, მწყემსმთავრის ტახტზე მიქაელის დარჩენა შეუძლებელი იყო, მაგრამ არც მისი დასჯა იყო შესაძლებელი! რადგან იგი მემატიანეს თქმით, „...იყო ჭეშმარიტი ქრისტიანი“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მიქაელის უკან მაშინდელი სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და კიდევ... ბიზანტიის იმპერია იდგა! ვახტანგ გორგასალი კი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი მეფე იყო, შორსმჭვრეტელი, უაღრესად განათლებული და ქრისტესმმოსავი მართლმადიდებელი! სწორედ ამის გამო მან მიიღო მისი პიროვნებისთვის აბსოლუტურად შესაფერისი გადაწყვეტილება – ემოქმედნა ქალკედონის IV მსოფლიო კრების გადაწყვეტილების მე-9 კანონის შესაბამისად, რომელიც მიუთითებს, რომ „საეკლესიო პირის სამართლებრივად განსჯის უფლება არა აქვს საერო, სამოქალაქო სამსჯავროს (სასამართლოს), იმ მხარის პატრიარქს უნდა მიენდოს საქმის განხილვა, ან დასჯადი პირი უნდა გადაგზავნილიყო კონსტანტინოპოლის პატრიარქთან განსასჯელად!“ რადგან მიქაელი თვითონ იყო საქართველოს სამეფოს მთავარეპისკოპოსი და მასზე ზემოთმდგომი სასულიერო პირი იერარქიულად ქვეყანას უკვე აღარ ჰყავდა, სწორედ ამიტომ მეფემ იგი კონსტანტინოპოლში გაგზავნა, და მისი საქციელის გასამართლება კონსტანტინეპოლის საყდარს მიანდო. აქედან ადვილი იყო დასკვნის გაკეთება, რომ მეფე, მხოლოდ და მხოლოდ უდიდესი მსოფლიო კრების მართლმადიდებლური კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებდა. ე.ი. ვახტანგ გორგასალი ყოველმხრივ ღრმად და საფუძვლიანად იცნობდა ქალკედონის კრების გადაწყვეტილებებს და საქვეყნო თუ პირად ყოველდღიურ ცხოვრებაში მოქმედებდა და ცხოვრობდა მართლმადიდებელი ეკლესიის კანონმდებლობის სრული გათვალისწინებით და შეგნებით! სწორედ მან უანდერძა შთამომავლობას: „ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილს!..“

რაც შეეხება სპარსეთის იმპერიას, ის ცხადია ცდილობდა საზღვრების გაფართოებას და ოდესღაც მისგანვე შექმნილ და ჩამოყალიბებულ სომხეთის სახელმწიფოში სამეფო ხელისუფლების გაუქმებით ცდილობდა ეროვნული მუხტი მოეშალა სომხებისთვის. სომხეთის სამეფო ხელისუფლება სპარსეთმა მთლიანადა გააუქმა 428 წელს. მაგრამ მეფობის გაუქმებამდეც შაჰები აქტიურად ერეოდნენ ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში, სომხეთის ეკლესიის მწყემსმთავრებს ირანის შაჰი ნიშნავდა. არსენი საფარელის მიხედვით („განყოფისათვის“) სომეხი კათალიკოსები და ეპისკოპოსები თავიანთ ძეებს უწოდებდნენ სპარსეთის შაჰებს (კავადს – 488-531, ხოსროს 531-579წ.წ.) „... ამით მიაღწიეს იმას, რომ სამთავრო მსაჯულება მიიტაცეს და კანონის სამართლისამებრ არ იქცეოდნენ. ეკლესიის საკუთრება მიითვისეს...“ (არსენი საფარელი, „განყოფისათვის“, მუხლი XI, ე. ანანია ჯაფარიძე „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ტ.I, გვ. 285). ე.ი. როცა სომხეთის ეკლესიამ თავიდან მოიშორა ქვეყნის საერო ხელისუფლება, მთელი ძალაუფლება ხელში აიღო და უსაზღვრო მონოპოლია დააწესა სომეხ ხალხზე და ამ პოლიტიკას ახორციელებდა შემდეგ საუკუნეებში და ახორციელებს დღესაც, ამავე პოლიტიკის წყალობით გადაიქცა სომხური ეკლესია უმდიდრეს ეკლესიად თუნდაც ჩვენს თანამედროვე მსოფლიოშიც კი!

ამჯერად ყურადღება დავუთმოთ ეკლესიათა ავტოკეფალიის საკითხს! იყო თუ არა ხელსაყრელი პირობები V საუკუნეში ავტოკეფალური ეკლესიის შექმნისთვის? ცხადია არა! V საუკუნის დასაწყისისთვის მსოფლიო საეკლესიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებები იცავენ ავტოკეფალურ ეკლესიებს და ასევე საგანგებო კანონებს ქმნიან უკვე არსებულ ავტოკეფალურ ეკლესიათა ხელშეუხებლობისთვის, მაგრამ ეს ყველაფერი როდია. Vს-ის შუა წლებში გაუქმდა სამი დიოცეზის ეკლესიების ავტოკეფალიები. ესენი იყვნენ: თრაკიის, პონტოსა და ასიის. ამავე საუკუნეში გაძლიერდა და დამთავრდა კიდეც იმპერიის გადანაწილება 5 დიდ საპატრიარქოს შორის. კონსტანტინოპოლმა V საუკუნის მეორე ნახევარში შეიერთა პონტო-კაპადოკიის ეკლესიები, ე.ი. გაუქმდა პონტო-კაპადოკიაში თავისუფალი მთავარეპისკოპოსის კათედრა. ისმება კითხვა, ამ პერიოდში კონსტანტინოპოლის საპატრიარქო მიანიჭებდა ავტოკეფალიას ქართულ ეკლესიას? – ცხადია არა.

როგორც უკვე ვიცით, სომხური ეკლესია არასოდეს ყოფილა ბერძნული ეკლესიის დაქვემდებარებაში. ამჯერად რა მდგომარეობაში იყო ქართული ეკლესია? თუ იმ დროს კონსტანტინოპოლმა თავის იურისდიქციაში არ შეიყვანა ქართული ეკლესია პონტო-კაპადოკიის ეკლესიების მსგავსად, ეს მხოლოდ იმ მიზეზით მოხდა, რომ მას ეს არ შეეძლო! და არ შეეძლო იმიტომ, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, ჰყავდა მეფე და ამასთან ერთად პერიოდულად და უფრო ხშირადაც კი მოქცეული იყო სპარსეთის სახელმწიფოს საზღვრებში. ამიტომ იყო შეუძლებელი ბიზანტიისთვის ქართული ეკლესიის შეერთება და ამიტომაც გახდა ქართული ეკლესია ავტოკეფალური, ეს ერთადერთი გამოსავალი იყო, რომ ბიზანტიას თავისი პოლიტიკური გავლენა არ დაეკარგა სხვა და თანაც მეტოქე, მოწინააღმდეგე იმპერიის მოხარკე ქვეყნის სამეფო ხელისუფლებასა და ხალხზე!

ანტიოქიის იურიდისქციაში კი ქალკედონის კრებამდე ქართული ეკლესია არ ყოფილა. ანტიოქიის მთავარეპისკოპოსის მიერ ქართლის ეპისკოპოსის ხელდასხმა არ ნიშნავს იურიდისქციაში ყოფნას. ეკლესიის გაერთიანებისთვის უპირველესად საჭირო იქნებოდა რომის იმპერიას თავის პროვინციად გადაექცია საქართველო და რადგან ეს ასე არ ან ვერ მოხდა და საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად დარჩა, ცხადია ეკლესიაც დამოუკიდებელი იყო და სწორედ ამ დამოუკიდებლობის წყალობით მოიპოვა გორგასალმა ლოცვა-კურთხევა საბერძნეთის საეკლესიო და საერო ხელისუფლებისაგან, რომ შემდგომ პერიოდში (როცა უკვე ქართული ეკლესია გაძლიერდა და მყარად დადგა საკუთარ ფეხებზე) მცხე-

თაშივე აერჩიათ სრულიად საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი და ყოველგვარი საეკლესიო საქმეც თვითონვე გადაეწყვიტათ – ქართული ეკლესიის წიაღში.!

რაც შეეხება ქართლის ცხოვრების ცნობას, ნინოს რომაელობის შესახებ, ეს არც არის გასაკვირი, რადგან პონტო-კაპადოკია უკვე ნინოს დაბადებამდე დიდი ხნის წინ, მთრიდატეს დამარცხების შემდეგ შეიერთა და თავის „რიგით“ პროვინციად აქცია რომის იმპერიამ; ასე რომ ეს ძირძველი ქართული ქვეყნები რომის უკიდეგანო იმპერიის ჩვეულებრივი ნაწილი გახდნენ; მიუხედავად ამისა, ერთი ჯიშის და ერთი სისხლის თუბალ-კაენური მოდგმის ხალხისთვის „პონტო-კაპადოკია-ქართლი-ეგრისი ერთიანი ეთნიკური სამყარო იყო, რომელიც ერთიანი კულტურული ცხოვრებით ცხოვრობდა“ (პროფ. გ. გოზალიშვილი); და ეს „ცხოვრება“ ჩემმა მკითხველმა ახლაც, ამ სტატიის ერთი თვალის გადავლებითაც შეიგრძნო. დიახ უეჭველად! ამის დასტურად შეიძლება მოვიტანოთ ამონარიდი წიგნიდან: „ოსმალეთის ყოფილი საქართველოს და ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი ლაზისტანი“, „ლიგანის მურღულის ხეობაში და სხვაგანაც, ქართველ მაჰმადიანთა შორის ლაზებზე დაშთენილია ბევრნაირი გარდამოცემანი... ნაამბობია თვით ლაზელ მოხუცებულ ხოჯიებისაგან 1895 წელს... ლაზები, ჭანები და მეგრელები ერთნი ვყოფილვართ... სამივ ამ სახელწოდების ხალხის ენა ყოფილა ერთი – ლაზური, ანუ მეგრული, რომელი ენაც მაშინ გავრცელებული იყო მთელ შავი ზღვის ნაპირებზედ. ეს ენა ლაზების გარდა თურმე ქართველებსაც კარგად ესმოდათ. ყოველი ლაზი თავისუფლად ელაპარაკებოდა იმერელს, ქართველს და სხვებსაც, რადგანაც ამათაც ესმოდათ თურმე მაშინ ჩვენი ენა, ამისთვის ძველი კაცები იტყოდნენ შემდეგს: „– ლაზური ენა ქართველებსაც კარგად ესმოდათ. ლაზებმაც იცოდნენ ქართული და ძველათ თურმე ამ ორივ ხალხში თითქმის ყველა სიტყვები ერთნაირად იხმარებოდა, იმიტომ ესმოდათ ყველაფერი ერთმანეთის“... „...ძველათ ყველამ იცოდა ზეპირ, რომ ლაზი, ჭანი, მეგრელი და ქართველი ერთი ძმები არიან, ერთი დედმამისშვილნი და ერთი ენის ხალხიო. დღეს ასე აღარ გახლავთ.“ „არის ასეთი ისტორიული გადმოცემაც: ლაზელ-ჭანელ-მეგრელები სცხოვრობდნენ შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებში და სოფლებში. ჟამთა ვითარების წყალობით ლაზებ-ჭანებ-მეგრელებს დაავიწყდათ ქართული ენის ხმარება და იგინი გადასხვაფერდნენ ქართულის ენისაგან.“ ჩემო მკითხველო, რას გეუბნებათ 100 წელზე მეტი ხნის წინათ ჩაწერილი თქმულებები და მოგონებები? რა არის ეს? – გენეტიკური მეხსიერება, ბატონებო! რომელიც ჩვენთან ერთად იცოცხლებს, თუ ქართველი ერი გადაურჩება XXI საუკუნის პოლიტიკურ და სოციალურ კატაკლიზმებს... და თუ ჩვენ, ჩვენს სათაყვანო მამულს და მის ისტორიას, წარსულს და მომავალს არ გავუფრთხილდებით, გენეტიკური მეხსიერებაც ჩვენთან ერთად დაიმარხება!

დამატების სახით შემიძლია მივაწოდო მკითხველს XII საუკუნის ცნობილი კანონისტის ბალსამონის უტყუარი თვალსაზრისი უტყუარ ცნობებზე დამყარებული, რომ: II მსოფლიო კრების (381წ.) „მეორე კანონის თანახმად პროვინციების ყველა მიტროპოლიტი ავტოკეფალური ეკლესიისა იყო და ხელდასხმულნი თავისი კრების მიერ“ (С.Троицкий, Оцерковной автокефалий, ЖМП, 1950, №7, стр. 39). ე.ი. ბალსამონი თვლის, რომ რომის იმპერია, რომელიც დაყოფილი იყო სულ მცირე 100 პროვინციად, ე.ი. 100-ვე პროვინციის ეკლესია ავტოკეფალური იყო და პროვინციის მიტროპოლიაც თავისთავად ავტოკეფალური იქნებოდა. მიტროპოლიტები ხელდასხმულნი იყვნენ თავიანთი პროვინციის ადგილობრივი კრებების მიერ.

ახლა კიდევ ერთი საკითხი მინდა გავახსენო ჩემს მკითხველს: საქართველო რომ უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა, სადაც მოციქული ანდრია პირველწოდებული ქადაგებდა და სწორედ მას შემდეგ შეიქმნა იბერიაში პირველი ქრისტიანული თემები – მტკიცდება არქეოლოგიური გათხრებითაც. 1978წ. მცხეთაში, მცხეთის მუდმივმოქმედმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ა. აფაქიძე) აღმოაჩინა ორი თიხის სამარხი, რომლის მსგავსი სხვაც მრავალია აღმოჩენილი ჩვენი ქვეყნის ტეტიორიაზე, მაგრამ აქ მთავარი სხვა საკითხია, ერთ-ერთ სამარხში (№17) აღმოჩნდა დედა-შვილი. ორივე მიცვალებული თავით დასავლეთისკენ (ქრისტიანულად) იყო დამარხული და რაც მთავარია ამავე სამარხში ნაპოვნია სანეკე ბეჭედი, სარდიონის ბეჭდის თვალი – ინტალიო, მასზე ამოკვეთილი ერთ მხარეს მიმართული თევზისა და ღუზის გამოსახულებით, თევზი და ღუზა ჩვენ კარგად ვიცით ქრისტიანული სიმბოლოებია. თევზი ქრისტეს სიმბოლოა, ღუზა იმედი, და აქედან უკვე ყველაფერი გარკვეულია. აღნიშნული სამარხი მეცნიერებმა ახ.წ. II-III ს-ებს მიაკუთვნეს. ახ.წ. I და II საუკუნეები მოციქულთა საუკუნეებია. როგორი ქვეყანა იყო საქართველო, მაშინდელი იბერია და ივერია? ქართული ისტორიული წყაროები არაფერს ამბობენ, ან თუ ამბობენ ძალიან ძუნწად. რატომ? პირველ რიგში მინდა მკითხველს შევთავაზო მოკლე განმარტება იმ ე.ი. I-II-III საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისა და შემდეგ დავუბრუნდეთ იმ ფაქტს, რატომ ან რისთვის, ან ვინ გააყალბა ჩვენი წარსული და როდის...

ბერძნულ-ლათინურმა წყაროებმა კარგად შემოგვინახა იმდროინდელი იბერიის პოლიტიკური მდგომარეობის ამსახველი ჩანაწერები. ეს წყაროები პირველ რიგში რომაელ ისტორიკოსს, ორატორს, ფილოსოფოსს და ბოლოს ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსს ეკუთვნის, რომელიც რომაელთა მხედართა წრიდან იყო გამოსული, ცოლად ჰყავდა რომაელი პატრიცის იულიუს აგრიკოლას ასული და რომელმაც მიუხედავად ესოდენ მაღალი წარმოშობისა, უაღრესად დიდი ნიჭისა და სამართლიანობის წყალობით გაიკვალა ცხოვრების გზა პრინცეპსთა დიქტატურისა და უსამართლობის, ტირანიის ეპოქაში. ტაციტუსი ცნობილი იყო და არის დღესაც, როგორც მიუკერძოებელი, უაღრესად სამართლიანი ისტორიკოსი და მოაზროვნე. 111-112 წლებში ტაციტუსი აზიის პროკონსულია! ე.ი. უშუალოდ ჰქონდა ურთიერთობა რომის იმპერიის ქართულ პროვინციებთან – პონტო-კაპადოკიის მოსახლეობასთან და ასევე უშუალოდ რომის მეზობლებთან იბერიასა და არმენიასთან,. ტაციტუსი აღწერს იბერების ცხოვრებას მიუკერძოებლად, უთმობს ყურადღებას „მდიდარ და პოლიტიკურად ძლიერ იბერთა ქვეყანას“, რაც

შეეხება არმენიას... სწორედ ტაციტუსი, რომელიც მტრისთვისაც არ იშურებდა საქებარ სიტყვას, თუ ის მას იმსახურებდა, თავისი მეორე წიგნის „Ad axcessu augisti" –ის 53 პარაგრაფში არმენების შესახებ ამბობს: „ეს არის დასაბამიდან ორსახოვანი ხალხი, როგორც ხასიათით ასევე გეოგრაფიული მდებარეობით". მე-12 წიგნის 46-ე პარაგრაფში კი დაუფარავად საუბრობს სომეხთა მზაკვრულ ბუნებაზე. ტაციტუსის დაბადების წლად მიჩნეულია ახ.წ. 55 წ. გარდაცვალებისა კი 120წ.

ტაციტუსის გარდა იბერთა ქვეყნის ძლიერებაზე მოგვითხრობს დიონ კასიოს კოკეიანოსი. წარმოშობით ბერძენი, ბითვინიის ქალაქ ნიკეაში რომის სენატორ კასიოს აპრონიანოსის ოჯახში დაბადებული 153 წელს. მისი დაბადების ჟამს მამამისი კილიკიის, ხოლო შემდეგ დალმაციის მმართველი იყო (მარკუს ავრელიუსის იმპერატორობის დროს 161-180წ.წ.). გარდაცვალების თარიღად მიჩნეულია 235 წელი. მას ბრწყინვალე განათლება ჰქონდა მიღებული და გაიარა სენატორის, პრეტორის, კონსულის შემცვლელის თანამდებობები. ანტონინე კარაკალას საიმპერატორო ტახტზე ასვლის ჟამს დიონ კასიოსი მის გვერდით იყო. კარაკალას ახლდა იგი აღმოსავლეთში (იგულისხმება პართიასთან ომი) 216 წელს, მაგრამ თვითონ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. იმპერატორ მაკრინუსის დროს (217-218წ.წ.) პერგამოსისა და სმირნის მოქალაქეთა უფლებების ზედამხედველი და კურატორია. სევერუსის ტახტზე ასვლის შემდეგ (222-235წ.წ.) – აფრიკის პროკონსული და ბოლოს დალმაციის და ზემო პანონიის პროკონსული. 229 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კონსულად და იმპერატორის კოლეგად აირჩიეს. ეს ვრცელი ტირადა ჩემს მკითხველს იმიტომ მივაწოდე, რომ ჩვენმა ოპონენტებმა ცილი არ დაგვწამონ იბერიის ისტორია ზოგიერთი მათი თანამემამულესავით საიდან მოიტანესო და თან ის ისტორია, ან უკეთ ის ისტორიული წყაროები, რომლებიც მათ „ქართლის ცხოვრებიდან" საერთოდ ან ამოიღეს, ან გადააკეთეს, რადგან: 1. დიონ კასიოსის სანდო ცნობებით იბერია უძლიერესი და უმდიდრესი ქვეყანა იყო, იმდენად ძლიერი, რომ რომის იმპერიის დაუხმარებლად ებრძოდა და ამარცხებდა ასევე ძლიერ პართიას, სომეხთა მონათესავეს და მოკავშირეს. ძვ.წ. II საუკუნეში ჩამოყალიბებული დიდი სომხეთის იმპერიას აღარ გააჩნდა ძველი სიძლიერე. ახ.წ. I საუკუნის 30-იანი წლებიდან იბერიამ არა მარტო დაიბრუნა სომხებისაგან წართმეული მიწა-წყალი, არამედ თვითონვე დაიპყრო სომხეთი და მისი სამეფო ქალაქი არტაშატი. ტაციტუსის ცნობით, „სომხეთი სასტიკად დამარცხდა". იბერებს ეხმარებოდა ალბანელები. ალბანეთი და ალბანელები იბერთა მონათესავე ხალხი იყო და საგარეო პოლიტიკასაც ერთიდაიგივეს აწარმოებდნენ. ტაციტუსი საქებარ სიტყვებსაც არ იშურებს იბერთა მიმართ და აღნიშნავს, რომ „იბერთა ლაშქარმა არამარტო დაამარცხა პართიელები, არამედ იბერიამ პართიას სომხეთი წაართვა და სომხეთში სამეფო ტახტზე დაჯდა იბერთა მეფის, მითრიდატეს ძე და მისი მომდევნო მეფის ფარსმანის ძმა მითრიდატე". შემდეგ პართიელთა მეფემ კვლავ შეუტია იბერებს, მაგრამ კვლავაც დამარცხდა. ე.ი. ამ შემთხვევაში იბერია რომის შემდეგ ან რომთან ერთად უძლიერესი სახელმწიფოა აღმოსავლეთში. ასე რომ სისულელეა იმის მტკიცება, რომ „დიდი სომხეთის იმპერია" არსებობდა ახ.წ. პირველ საუკუნეებში, არა ბატონებო, ეს მტკნარი სიცრუეა! და ამ სიცრუეს პირველ რიგში ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები ამხელენ!

ტაციტუსი საკმაო დროს უთმობს იბერთა და პართიელთა ომს სომხეთისთვის, იმასაც კი აღწერს რა „დიდი ლაშქარი გაგზავნა პართიის მეფემ სომხეთში გაბატონებულ იბერთა წინააღმდეგ თავისი ვაჟის ოროდის სარდლობით, შემდეგ ფარსმანისა და ოროდის ორთაბრძოლასაც დიდ ყურადღებას უთმობს და აღწერს, როგორ დასჭრა სასიკვდილოდ ფარსმანმა ოროდი ერთი დარტყმით!" (ტაციტუსი, ანალები VI, 33-35). ტაციტუსი ასევე დიდ ყურადღებას უთმობს იბერიელი უფლისწულის რადამისტის გონებრივ სიძლიერეს და განუმეორებელ ფიზიკურ სილამაზეს; სწორედ ტაციტუსის ანალების XII წიგნიდან შემოინახა რადამისტის ბიოგრაფიული ცნობები, რომ იგი: „სასახლის ინტრიგებმა" იმსხვერპლა. ტაციტუსი რადამისტს ალაპარაკებს კიდეც დედინაცვლის სიძულვილზე. ტაციტუსი რომაელთა მეგობარ-მოკავშირეთა შორის პირველ რიგში იბერიის მეფე ფარსმანს ასახელებს!

იბერიის სამეფოს ძლიერება გაგრძელდა მე-3 საუკუნის ბოლომდე. პართიის სამეფოში შემავალი სამხრეთ-დასავლეთ ირანის, პერსიდის მმართველმა სასანიანთა საგვარეულომ III საუკუნის ოციან წლებში ხელში აიღო ირანის მმართველი ძალაუფლება და ამავე საგვარეულოს წარმომადგენელმა, არდაშირმა 224 წელს სასტიკად დაამარცხა პართიელთა სამეფოს უკანასკნელი წარმომადგენელი არშაკიდთა დინასტიიდან, მეფე არტაბან V და ამის შემდეგ, 226 წელს თავი მეფედ გამოაცხადა, ოღონდაც თავის ტიტულატურაში აღარ უხსენებია პართია, იგი ირანის მბრძანებელ სასანიანთა დინასტიის ფუძემდებელი გახდა!

ამჯერად ისღა დაგვრჩენია ვიკითხოთ, რატომ დაიკარგა სიმართლე „ქართლის ცხოვრების" ფურცლებიდან? რატომ სწერია „ქართლის ცხოვრებაში" შებრუნებით, რომ ქართლი დასუსტებული, დაბეჩავებული ქვეყანა იყო, სომხების მოხარკე და მისი ხელის შემყურე? ვის სჭირდებოდა ბატონებო ქართლის ცხოვრების ისტორიული ქრონიკების გაყალბება და როდის უნდა მომხდარიყო ეს ვანდალური საქმე?

რადგან ეს საკითხი ნებისმიერ ქართველში სერიოზულ ემოციებს იწვევს და გასაგებიცაა, შევეცდები მშვიდად ავხსნა: VI საუკუნეში ვახტანგ გორგასლის მოკვლის შემდეგ (ვახტანგ გორგასალი რომ მოღალატის მიერ იქნა მოკლული, უკვე აღვნიშნე სტატიის წინა თავში, ეს ისტორიული ფაქტია და გასაკვირი არ არის, ამის გაყალბებას რომ ცდილობენ!) იბერიის ან უკეთ ივერიის სამეფო პოლიტიკურად თანდათან დასუსტდა. მის მემკვიდრეებს არ აღმოაჩნდათ მამის მსგავსი ძლიერი გონება, ძლიერი ხელი და პოლიტიკური ალღო. შაჰმა ზოგიერთი ქართველი დიდებულის მოსყიდვა შეძლო და ქართლის სამართავად მარზპანი დანიშნა. სპარსეთი, ან იგივე ირანი ყოველმხრივ ცდილობდა მართლმადიდებლური ეკლესიის დახრჩობას და ეს საქმე სომხურ ეკლესიას მიანდო. ამაზე იტყვიან, ქურდს რა უნდოდა და... ბნელი ღამეო. საქართველოს ყველა კუთხეში ერთდროულად დაიწყო არნახული ზეწოლა ეკლე-

სიებზე, ტაძარ-მონასტრებზე, მრევლზე... მაგრამ... სწორედ ამ პერიოდში, საქართველოს საკათალიკოსო მწყემსმთავრის ტახტს ფლობდა დიდი წმინდანი და ასევე დიდი ქართველი კირიონ I სკუტრელი! უფლის შემწეობით სწორედ მისი ძალისხმევითა და მოღვაწეობით გადაურჩა ქართული ეკლესია ერესს!

„...ქართლის ცხოვრების ანალიზი უფლებას იძლევა ითქვას, რომ მისი „მეფეთა ამბავის" ერთი ნაწილი დაწერილია, ხოლო დიდი ნაწილი რედაქტირებულია სომხურად VI-VII საუკუნეებში (რედაქტირებულია, ე.ი. ჩასწორებულია სომხურად!). ამ დროს საქართველო არ იყო თავისუფალი ქვეყანა, გაუქმებული იყო ქართული სახელმწიფო და ჩვენში სპარსეთი ბატონობდა. სპარსეთი კი მონოფიზიტებს უჭერდა მხარს და ამიტომ სომხურ ეკლესიას აბატონებდა ამიერკავკასიის ქრისტიანებზე, რაც სომხური ორიენტაციის წრეებს საშუალებას აძლევდა ესწორებინათ არამარტო ქართული წმიდა წერილი სომხური რედაქციების მიხედვით, რაზედაც მიგვითითებს გიორგი მცირე თავის „გიორგი მთაწმინდელის" ცხოვრებაში", არამედ ქართული ისტორიული ქრონიკები და მატიანეებიც. „... ეგრეთვე დაღაცათუ პირველითგანვე გუქონდეს წერილნიცა და სარწმუნოება ჭეშმარიტი და მართალი, გარნა... შორის ჩუენსა დათესულ იყვნეს ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი, გულარძილნი და მანქანანი, და ამის მიერ ფრიად გუევნებოდა, რამეთუ ნათესავი ჩუენი წრფელ იყო და უმანკო , ხოლო იგინი რეცა მიზეზითა წესიერებისა თა, რეცა ცთუნებად გუაზმნობდეს და რომელნიმე წიგნნიცა გუაქუნდეს მათგან თარგმნილნი." წერს გიორგი მცირე (გიორგი მცირე, ძეგლები II, გვ. 123).

VI-VII საუკუნეებში, როცა ხდებოდა ქართული წიგნების არმენოფილური რედაქტირება, ხოსრო I ანუშირვანი (531-579წ.წ.) მფარველობდა სომხურ ეკლესიას და აძლიერებდა მას. ხოსრო II ფარვიზიც (591-628წ.წ.) აძლიერებდა სომხურ ეკლესიას... (ეპ. ანანია ჯაფარიძე „საქართველოს სამოც. ეკლესია," ტ.I, გვ. 23) ე.ი. ირანის შაჰების მიერ შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდნენ საქართველოს სამეფოს ტერიტორიაზე სომხური ეკლესიის წარმომადგენლები. უკიდურეს გასაჭირში აღმოჩნდა მართლმადიდებელი ქართული სამოციქულო ეკლესია. სომხები ძალით იტაცებდნენ ეკლესიებს, გარეთ ჰყრიდნენ მღვდლებს და მრევლს, თუ ისინი მონოფიზიტობას არ აღიარებდნენ. მართლმადიდებელ მრევლს დიდი გადასახადით ბეგრავდნენ სომხური ეკლესიის სასარგებლოდ, და იყო დრო, როცა საქართველოში ქართველს აღარ გაეძლებოდა...

„სრულიად მართალნი ჩანან გიორგი მცირე და სხვა ძველი ქართველი მოღვაწეები, როცა წერენ ქართული წიგნების არმენოფილური რედაქტირების შესახებ" (ეპ. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.I, გვ. 23). და აი ეს პერიოდი, სწორედ ეს 100 წელი ან კიდევ მეტი – გახდა სადაო... სწორედ ამ წლებში ამოფხიკეს და ჩაფხიკეს, გაანადგურეს და წაშალეს ბევრი მნიშვნელოვანი კვალი ერის ფიზიკური და სულიერი ცხოვრებისა! „ამით არის გამოწვეული ის, რომ მოციქულთა ეპოქის საქართველოს ბრწყინვალება და სიდიადე არ ასახა „ქართლის ცხოვრებამ" და უცნობი დარჩა შემდეგი თაობებისთვის. მოციქულთა ეპოქაში, I-II საუკუნეებში საქართველო იყო მაშინდელ მსოფლიოში სახელგანთქმული, ძლიერი სახელმწიფო, რომელზედაც გადიოდა გზები რომის იმპერიიდან აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებისკენ. ასეთ ქვეყანას მოციქულები გვერდს ვერ აუვლიდნენ თავიანთი მოღვაწეობის დროს" (ეპ. ანანია ჯაფარიძე, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", ტ.I, 1996წ. გვ. 33). მოციქულთა პერიოდის საქართველოს ძლიერებაზე მეტყველებს ჯერ კიდევ ასი წლის წინ (1867წ.) მცხეთაში აღმოჩენილი ბერძნული წარწერა, „რომელშიც მოთხრობილია, რომ რომის იმპერატორმა ვესპასიანე ავგუსტუსმა, იმპერატორმა ტიტე კეისარმა ავგუსტუსის ძემ და დომიციანე კეისარმა, ავგუსტუსის ძემ ქართველთა მეფეს მითრიდატეს, ფარსმანისა და იამასასპოის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს და ქართველ ხალხს გალავანი გაუმაგრეს" (გ. წერეთელი, „მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისაა". თბ., 1958წ.).

ამავე, მოციქულთა პერიოდისაა (ახ.წ. IIს.) 1940 წელს მცხეთაში არმაზისხევის ერისთავთა სამაროვანში აღმოჩენილი ორენოვანი წარწერა, რომელიც ბერძნულ და არამეულ ენებზეა შესრულებული და სამეცნიერო ლიტერატურაში „არმაზის ბილინგვის" სახელწოდებით შევიდა! „არმაზის ბილინგვაზე" მე ადრე ვესაუბრე ჩემს მკითხველს, მისი აღმოჩენა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, ყოველგვარი ცილისწამება ქარწყლდება ქართველ ერზე და თვალწინ გვეშლება დიდებული, ძლიერი, მდიდარი ქვეყნის ასევე ძლიერი მოდგმის სისხლსავსე და არამარტო სისხლსავსე, პოეტური – ამაღლებული ცხოვრება, მე მკითხველს შევახსენებ „არმაზის ბილინგვის" წარწერას, რომ ერთხელ კიდევ ისიამოვნოს ერის ბრწყინვალე წარსულთან შეხვედრით: „მე ვარ სერაფიტი, ასული ჯავახ მცირისა, პიტიახშისა ფარსმან მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა – ძლევამოსილისა და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზო სმოძღუროის ხსეფარნუგ მეფისა – ძისა აგრიპა ეზოის მოძღუარისა ფარსმან მეფისა. ვაება ვაებისა. ის ვინც იყო ახალგაზრდა და იმდენად კეთილი და მშვენიერი, რომ არავინ იყო მისი მსგავსი სილამაზით. გარდაიცვალა 21 წლისა."

მგონი საკმაო მასალა მივაწოდე მკითხველს და უფრო მეტის ჩაძიებას არქეოლოგიაში ან ონომასტიკაში აღარ ვთვლი საჭიროდ, რადგან ფაქტი სახეზეა! მიუხედავად ბევრი მცდელობისა და აფხეკა-ჩაფხეკისა, ქართველ ერს საკმარისი ცნობები დარჩა თავის წარსულზე, ამაყად რომ ასწიოს თავი, ყოველგვარი კომპლექსის გარეშე! დიახ!

წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, – ისეა ჩვენი ვაიმეცნიერ-ოპონენტების საქმე, ხან ქართველი ერის სათაყვანო მეფეს ვახტანგ გორგასალს დააბრალეს მონოფიზიტობა, ხან ენა წაგვართვეს, ხან მამული, ხან ისტორია, წარსული, ხანაც შეეცადნენ ქართული მართლმადიდებლობისთვის შეეწმინდათ ბინძური ხელები... ბაგრატიონებს სომხობა დასწამეს, დავით აღმაშენებელიც არ დაინდეს, დიდი სჯულის კანონშიც მოინდომეს უნამუსო ცხვირის ჩაყოფა. ... რა აღარ იღონეს 2400 წლის მანძილზე... სულითა და ხორცით რომ გაეტეხათ

და ან გაესომხებინათ, ან კიდევ ფიზიკურად მოესპოთ ქართველი ერი!

რა ხდება? ისეთი „ეჭვიანნი“ გახდნენ „ჩვენი მეცნიერები“, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსებისაც აღარ სჯერათ. ყველაფრის შენიღბვა ყოფილა თურმე შესაძლებელი, მაგრამ მათი საქციელი ადვილი ამოსაცნობია, რადგან თამაშის წესები ამჯერად უაღრესად მარტივია: ცდილობენ განაქიქონ და ეჭვი შეიტანონ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სიწმინდეში. მაგრამ... ქართველ ერს უაღრესად სერიოზული და მნიშვნელოვანი არგუმენტები – ნივთმტკიცებები – თუნდაც დიდი სჯულის კანონი, ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველება“ და უამრავი წერილობითი ძეგლები გააჩნია, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ნამოღვაწარი, გიორგი მცირის... ცხადია, ეს ყველაფერი მათ ძალიან კარგად იციან, მაგრამ... მრავლისმეტყველია ძველი ქართული ანდაზა: „ტალახს ის ისვრის, ვისაც ბინძური ხელები აქვსო.“

დავით აღმაშენებლის დროს მოწვეულ იქნა სრულიად საქართველოს რუის-ურბნისის საეკლესიო კრება. კრებაზე გამოწვლილვით განიხილეს ყველა საკითხი და: „...ამისთვის შემოკრბა კრება ... გარნა არა თუ უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებისასა ბიწი რა მე შეჰხებოდა, ნუ იყოფინ ესე! არა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ...“ დიახ... ამ საოცარ, ამაღლებულ ფიცს დიდი სჯულის კანონის 549 გვერდზე ვკითხულობთ... და ეს სიტყვები თითქმის მიუწვდომელია ჩემი თაობისთვის, რომლის ნაწილი დიახ, მხოლოდ ნაწილი სულიერი გადაგვარების გზაზეა შემდგარი! თაობას კი აღზრდა სჭირდება ბატონებო... აღზრდა ცოდნის მოპოვებას გულისხმობს უპირველესად... შემდეგ კი პიროვნება თვითონვე შეიცნობს სამყაროს საკუთარი ინსტიქტების მეშვეობით...

მთაწმინდელების მოღვაწეობამ მთელი ეპოქა შექმნა მართლმადიდებლური ეკლესიის საღვთისმეტყველო მეცნიერებაში... როცა ბიზანტიის იმპერატორმა სთხოვა გიორგი მთაწმინდელს განემარტა, თუ რომელი ეკლესიაა ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის გზაზე შემდგარიო... „მსოფლიო ეკლესიის მნათობმა გიორგი მთაწმინდელმა ერთმანეთს შეუდარა ქართული, ბერძნული, რომისა და სომხური ეკლესიები.

თუმცა ბერძნული ეკლესია გიორგი მთაწმინდელს იმჟამად მართლმადიდებლობის ბურჯად მიაჩნდა, მაგრამ მეფეს არ დაუმალა სიმართლე და განუცხადა: „ჰო , მეფეო... ბერძენთა შორის წვალება შემოვიდა პირველ და მრავალგზის მიდრიკეს...“

რომის ეკლესიაში „ხმეადითა და ურწყოითა“ სწირავენ, ხოლო ბერძნებმა და ქართველებმა დააწესეს, „რა თა მივიღებდეთ ცომსა სახედ ხორცთა ქრისტესთა, ხოლო პურის ცომსა სახედ სულისა გონიერისა, და მარილსა სახედ გონებისა წინააღდგომად წვალებასა უშჯულო სა აპოლინარისასა... ხოლო ღვინოსა თანა წყალსა ურთავთ სახედ სისხლისა და წყლისა, რომელი გარდამოხდა გუერდსა მხსნელისასა, ვითარცა იტყვის იოვანე ოქროპირი.“ თუმცა კი რომის ეკლესიაში ძველ დროს მწვალებლობა არ ყოფილა გაბატონებულიო. ესე იგი, ბერძნული ეკლესია ახლა მართლმადიდებლურია, მაგრამ წინათ მასში მრავალი მწვალებლობა არსებობდა, რომის ეკლესიაში კი წინათ არასოდეს მწვალებლობა არ ყოფილა, მაგრამ ამჟამად კი ნაკლი აქვსო. იმპერატორი შეეკითხა გიორგი მთაწმინდელს სომხური სარწმუნოების შესახებაც, რაზედაც ღირსმა მამამ უპასუხა: „ბოროტსა სარწმუნოებასა სახელცა ნუ ედებინ“ (ძეგლები, II, გვ. 180).

გიორგი მთაწმინდელმა იმპერატორს აუხსნა, რომ მსოფლიო ეკლესიათა შორის ქართული ეკლესია ყველაზე მართლმადიდებლურია, რადგანაც მან უბიწოდ დაიცვა მოციქულთა სწავლა, რაც არასოდეს შეუბღალავს წინათ, და იცავს ამჟამადაცო: „ხოლო ნეტარმან მან ესრეთ მაღლად და ღმრთივბრწყინვალედ წარმთქუა სარწმუნოება მართალი ჩუენ ქართველთა ნათესავისა ... და რქუა მეფესა: ესე არს სარწმუნოება მართალი ნათესავისა ჩუენისა და რაჟამს ერთგზის გვიცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, გინა მარჯულ და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდესო.“ გიორგი მთაწმინდელს, რომელიც კარგად იცნობდა მსოფლიო ქრისტიანობის ყველა მიმართულებას, ქართული ეკლესია მიაჩნდა ჭეშმარიტად მართლმადიდებლურ ეკლესიად, რომელმაც უბიწოდ და შეუცვლელად დაიცვა მოციქულთა სწავლა. ამას საუკუნეთა მანძილზე ხშირად მიუთითებდნენ ჩვენი ეკლესიის წმინდა მამები“ (ეპ. ანანია ჯაფარიძე, „ქართული სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, გვ. 16-17).

ახლა კი, როცა ბევრი რამ გავარკვიეთ, მინდა ჩემი თაობის სახელით ერთი კითხვა დავუსვა ჩვენს ღვაწლმოსილ და ავტორიტეტულ მეცნიერებს: – ვის დავუჯეროთ, ერისთვის სათაყვანო წმინდა მამებს, უწმინდეს მტკიცებულებებს (დიდ რჯულის კანონს ვგულისხმობ), თუ მედროვე ვაი – მეცნიერებს, სულერთია ქართველი იქნება, სომეხი, ინგლისელი, რუსი თუ ფრანგი? – რას გვირჩევთ? დიახ, ბატონებო, მე ვიცი, ჩემს კითხვაზე თქვენ პასუხი არ მოგეძევებათ! თუნდაც სწორედ იმიტომ, რომ: სწორედ თქვენ და თქვენმა წარმომადგენლებმა დააყენა ეჭვის ქვეშ ქართული ტაძარ-მონასტრების ქართული წარმომავლობა! წინააღმდეგ შემთხვევაში როგორი ახსნა მოვუძებნოთ კირიონ მთავარეპისკოპოსის (სკუტრელის 591-615) ქადაგებებს, წმინდა მამების, მთაწმინდელების თხზულებებს, დიდ სჯულის კანონს? XX საუკუნე მწვალებლობის საუკუნე იყო და... ზოგიერთმა მეცნიერმა უკადრებელიც იკადრა, იკადრეს ის, რომ თურმე... „ქართული ეკლესიის ისტორიამ ე.ი. ისტორიკოსებმა შეგნებულად დააფარა ხელი და არ გაამჟღავნა საქართველოში მოღვაწე მონოფიზიტი ქართველი პატრიარქები და კათალიკოსებიო...“ არც ასეა ბატონებო საქმე: არავის არაფერი გაუყალბებია და დაუმალავს, ისტორიის თაროზე თავის ადგილზე დევს ყველა წვრილმანიც კი... ჩვენ ხელთა გვაქვს დოკუმენტები კოლხეთის მიტროპოლიტის კვიროსის მოღვაწეობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ როცა რომის იმპერატორმა მონოფიზიტებისა და მართლმადიდებლების სარწმუნოებრივი შეერთებისთვის ეგვიპტეში მონოთელიტური უნია შემოიღო, ე.ი. 633 წელს, მაშინ ალექსანდრიის პატრიარქად გვევლინება კოლხეთის ყოფილი მიტროპოლიტი კვიროსი, გამოჩენილი თავისი მონოფიზიტური და ნამდვილად მწვალებლური ქადაგებებით და მერე რა, რომ ის ქართველი იყო? ყველას თავისი წილი უნდა

მიეზღოს, დამსახურებისამებრ! როგორც ყოველთვის არიოზის დროიდან დაწყებული, მონოფიზიტების ყველაზე მძლავრი იარაღი თეოლოგიურ მეცნიერებაში იყო რიტორიკული მჭერმეტყველება, ქადაგების აგება დიალექტიკის პრინციპებზე, და სწორედ ფილოსოფიური უხვსიტყვაობით გაჯერებული მჭერმეტყველების საშუალებით ხდებოდა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში ჯერ კიდევ ნაკლებად გაცნობიერებულ ადამიანთა მოტყუება! ამასვე შეეცადა ზემოთ ნახსენები მონოფიზიტი პატრიარქი კვიროსი, როცა გამოსცა თავისი ქადაგება: „სარწმუნოების აღსარება“. აღნიშნული აღსარება თითქოსდა შემრიგებლურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ... მართლმადიდებლების ჭეშმარიტი რწმენა სულიწმიდით მოეფინა მოციქულებს და შემდეგ ხალხს, და ეს რწმენა გულიდან მოდიოდა... გულში იყო ჩაღვრილი სინანული, სათნოება და სიყვარული... და სწორედ გულის შემდეგ იპყრობდა გონებას... კვიროსის აღსარებაში მრევლის მიზანმიმართული დაბნევისთვის არეული იყო გამონათქვამები ქრისტეს შესახებ: „ფიზიკურად (მონოფიზიტური აზრია) და ჰიპოსტასურად (მართლმადიდებლური).“ ქრისტე „ორი ბუნებით განიჭვრიტება“ (მონოფიზიტური), განხორციელებული ღმერთი – სიტყვა ერთი ბუნებისაა“ მონოფიზიტური, ქრისტეში „ერთი შეზავებული ჰიპოსტასია“ (მართლმადიდებლური)... „ქრისტე ევნო როგორც ერთი, ასევე მეორე ბუნებითაც“ (მონოფიზიტური) და მრავალი სხვა მაგალითი შეგვიძლია მოვიტანოთ.

638 წელს იმპერატორმა ირაკლიმ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც კრძალავდა სარწმუნოებრივ დავას და თვითონ ერთი ნების შესახებ სწავლებას აღიარებდა. შემდგომმა იმპერატორმა კონსტანტი II-მ წინამორბედის გზა გააგრძელა და მონოთელიტობის გასამარჯვებლად კვლავ ახალი ბრძანება გამოსცა – რომლის ძალითაც დავის გამომწვევს ქონება ჩამოერთმეოდა და გადაასახლებდნენ. მონოფიზიტების ერეტიკულ პარტიას ფართო ასპარეზი გადაეშალა! და ახლა ისინი უკვე ღიად ცდილობდნენ „მსოფლიო წესრიგის“ დამყარებას! და ეს ბრძოლა გაგრძელდა საუკუნეების განმავლობაში და გრძელდება დღესაც ბატონებო! დიახ, დღესაც, რადგან თავისუფალია აღმსარებლობის ნება. საქართველოში შემოსულია ასობით სექტა, რომლებიც ვიღაც სატანის მოციქულებმა დააარსეს თავის დროზე ევროპასა და შტატებში და რომელთაც უმდიდრესი ბაზა, ე.ი. მილიონები გააჩნიათ სულების სასყიდლად. ისედაც დათრგუნული, დამშეული, პირუტყვის დონემდე კუჭის პრობლემით დაკავებული ქართველი ხალხის, უკვდავი და განუმეორებელი თუბალკაენის გენის შთამომავალთა გადასაჯიშებლად და გასანადგურებლად ყველაფერი კეთდება ყოველგვარ დონეზე!

უკვე მრავალგზის აღვნიშნე, რომ ქრისტიანული რელიგიის ჭეშმარიტი არსი – სინანული, სათნოება და სიყვარულია. მოძღვრებაში – სადაც ადგილი არა აქვს ამ უდიდეს ცნობიერ არსს გრძნობებში გამოხატულს, – იმ რელიგიაზე, ან მიმდინარეობაზე ქრისტიანობის, თუნდაც სახელის მიკუთვნებაც კი უბრალოდ... სასაცილო ხდება, და ამას ახლავე ავუხსნი ჩემს მკითხველს... დიახ, გავიხსენებ პეტრე იბერს! როგორც მისი ზედწოდებიდან ჩანს, იგი ქართველია! დაიბადა 411 წელს ქართლის მეფის ბუზმირის ოჯახში, დედა ბაკურდუხტი იყო ბაკურ დიდის შვილისშვილი. პეტრეს სიყრმის სახელია მურვანი (სირიული წყაროებიდან ნაბარნუგი); მშობლებმა მის აღსაზრდელად საგანგებოდ მოიწვიეს უაღრესად განსწავლული ფილოსოფოსი პონტოელი ჭანი მითრიდატე ლაზი. ბიოგრაფი აღნიშნავს, რომ მითრიდატე მოიწვიეს „ლაზების ქვეყნიდან, სადაც იმ დროისათვის ცნობილი კოლხეთის აკადემია ჰყვაოდა.“ კოლხეთის აკადემია კი ჰყვაოდა როგორც პონტოს დედაქალაქ ნეოკესარიაში, ასევე კაპადოკიის დედაქალაქ კესარიაში. ეს ორივე ქვეყანა იყო ძირძველი ქართველებით ჭან-ლაზებით და მესხებით, ე.ი. კოლხებით დასახლებული! მურვანი, იგივე მირიანი, ან იგივე მირვანი მამამ რომის იმპერატორ (იგივე საბერძნეთის) თეოდოსი მეორის კარზე გაგზავნა (მძევლად) დაახლოებით 423 წელს. ამ დროისათვის ყმაწვილი მიახლოებით 12 წლის იქნებოდა. მურვანს თან გააყოლეს აღმზრდელი მითრიდატე. იმპერატორმა თეოდოსი II-მ და მისმა მეუღლემ პატარა იბერიელი უფლისწული დიდი პატივით მიიღეს და იზრუნეს მის შესაფერისს სწავლა-აღზრდაზე. კეისრის კარზე მურვანმა დიდ წარმატებასაც მიაღწია. როცა წამოიზარდა, დაინიშნა მეფის კავალერიის უფროსად. მალევე, ე.ი. 20 წლის ასაკში (ე.ი. დაახლოებით 431 წელს!) მურვანი მითრიდატე ლაზთან ერთად იმპერატორის სასახლიდან გაიპარა. გაემგზავრნენ პალესტინისკენ (ხომალდით). აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ მისი ბიოგრაფის სიტყვებს: „საეკლესიო და იდეური მუშაობისთვის“! საეკლესიო სამუშაოები – გასაგებია რასაც ნიშნავდა, იქნებ წმინდა ანტონივით მეუდაბნოე უნდოდა გამხდარიყო! არა ბატონებო! იდეური? ამასაც ახლავე გავარკვევთ! ჩვენი ვიცით V-VI საუკუნეები უაღრესად მძიმე საუკუნეები იყო მართლმადიდებლებისა და მონოფიზიტებისთვის! ჩვენი ქვეყნის საუბედუროდ დიდი ნიჭის მქონე პეტრე იბერი მონოფიზიტური მიმდინარეობისკენ არამარტო გადაიხარა, მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მართლმადიდებლობასთან ბრძოლას, რაც იმ პერიოდში (და დღესაც!) არც მეტი, არც ნაკლები – სამშობლოს, იბერიის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა. სირიულ–სომხურ ნიადაგზე განოყიერებული მისი ფილოსოფიური ტრაქტატები, რომელსაც კვებავდა სრულყოფილი კოლხურ-ბერძნული რიტორიკული განათლება, თავისთავში შეიცავდა და ანვითარებდა ძე ღმერთის „ღვთისგან სრულყოფილ „ქმნილებად“ წარმოსახვას! და როცა მისი ბიოგრაფი თამამად მიუთითებს მის „იდეურ მუშაობაზე“, გულისხმობს არიანულ – მონოფიზიტურ იდეებს, დიოსკორესა და პეტრე ფულონის მწვალებლური იდეების ხორცშესხმას თავის ტრაქტატებსა და ქადაგებებში. პეტრე იბერმა ზედმეტ სახელად აიღო ქართველობის დამადასტურებელი ზედწოდება, სიცოცხლითა და აზროვნებით კი სამშობლო ქვეყნის ძირგამომთხრელ მოღვაწეობას ეწეოდა, რისთვისაც თამამად იყენებდა თავის მაღალ წარმომავლობას, იმპერატორის კარის კეთილგანწყობას და მაიუმის (ქ. ღაზის) საეპისკოპოსო კათედრიდან დაუნდობელი ბრაზითა და ბოღმით თავს ესხმოდა მართლმადიდებლურ სარწმუნოებას! მისი აშკარა ჩაგონებითა და წაქეზებით მაიუმელი მონოფიზიტები იგივე საქციელს სჩადიოდნენ, რასაც ალექსანდრიელი მონოფიზიტი ბერი თეოდოსი! რომე-

ლიც თავის თანამოაზრეებთან ერთად იერუსალიმს თავს დაესხა, შეამტვრიეს საპყრობილეები... ქალაქის კარი ჩაკეტეს, მოსახლეობა სასიკვდილო მუქარით აიძულეს – ყველას (!) მონოფიზიტობა ეღიარებინათ... ვინც წინააღმდეგი წავიდა სახლები დაუწვეს და... შიგ ქალაქში ხოცვა-ჟლეტა გააჩაღეს! ხომ არ გეცნობა ჩემო მკითხველო მონოფიზიტთა „იდეური ხელწერა“ საქართველოს ზოგ კუთხეებში? დიახ... მათ ერთი და იგივე „გეგმა“ აქვთ ყოველ დროში!

იმპერატორი მარკიანე იძულებული გახდა ჯარი დაეძრა გათავხედებული ბერისა და მის თანამოაზრეთა წინააღმდეგ. მონოფიზიტი ბერი თეოდოსი კი სინას მონასტრისაკენ გაეშურა თავის მომხრეებთან ერთად. გზადაგზა ყველაფერს სწვავდნენ, ხოცავდნენ, ანადგურებდნენ! აი ამ ბერის თანამოაზრე და მისი საქმეების თანამონაწილე იყო „დიდი ფილოსოფოსი“ პეტრე იბერი! რომლის არსებობა და შემოქმედება ადრეც და დღესაც სამარცხვინო ლაქა იყო და არის წმინდა გიორგისა და ბასილი დიდის შეურყვნელი, სათნოებით, სინანულითა და სიყვარულით აღსავსე წმინდა და ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოებისთვის. რაც შეეხება ექვთიმე ათონელის ბერძნულ თარგმანთა სიაში შეტანილ წმ. გრიგოლ დიდის „დიალოგებს“ წმ. პეტრე იბერთან, – ცხადია აღნიშნული წმინდა პეტრე არ შეიძლება ყოფილიყო მონოფიზიტი პეტრე იბერი, რადგან იმ საუკუნეებში (IV-VI) რომის ეკლესია წმინდად იცავდა მართლმადიდებლურ აღმსარებლობას და წმინდა პაპი წმინდანად არავითარ შემთხვევაში არ მოიხსენიებდა მონოფიზიტ ბერს! და არც ქართული ეკლესია შერაცხდა წმინდანად, არც ექვთიმე ათონელი დაუთმობდა ყურადღებას, რადგან ათონელი წმინდა მამები უკომპრომისონი იყვნენ რწმენის საკითხში.

აქაც პირველობა სურს ნიკო მარს და ცდილობს თავისი დიდი ნიჭის წყალობით როგორმე დაგვიმტკიცოს მონოფიზიტ პეტრე იბერის იგივეობა მართლმადიდებელ წმინდა პეტრე იბერთან. გრიგოლ დიდის დიალოგებში მითითებულია, რომ წმინდა პეტრე ქართველი, ქართლის პროვინციიდან იყო! და არ არის ყურადღება გამახვილებული მის მეფურ წარმომავლობაზე!

მე ერთს ვიტყვი: დიდება და უკვდავება არ მოაქვს სამშობლოსადმი, მამულისადმი შურს, ბოღმასა და მტრობას! არა, ნებისმიერი პიროვნება რაგინდ დიდი ნიჭითაც იყოს დაჯილდოებული, მამულის საძირკველზე ერთ ღირსეულ აგურსაც თუ არ დასდებს, მისი ნიჭის სიდიდე უბრალო წვიმის წყალში მოზელილი თიხა და ტალახია, დავიწყებისთვის და განკვეთისთვის განწირული! ეს ხვედრი მრავალს ერგო, ვინც ადამის დროიდან წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის დანგრევა-განადგურებაში და ერთ-ერთია აქედან მონოფიზიტი პეტრე იბერი, მამულს მტრად მოკიდებული უძღები შვილი!

ვერ გავიზიარებ ზოგიერთი მეცნიერის აზრს, რომ ის რუსთაველს ჰყავს მოხსენიებული! არა ბატონებო, ეს სიცრუეა! მხოლოდ ერთი სიტყვა „ბრძენი დივნოს“, არ ნიშნავს პეტრე იბერს! „ჭეშმარიტება არ არის ის, რაც მე მინდა!“ არა, ეს მცდარი თეორიაა! ჭეშმარიტება თავის თავში შეიცავს და ხსნის ჭეშმარიტებას სრული მნიშვნელობით. მკითხველს კი მინდა გავახსენო, რომ რუსთაველის „ბრძენი დივნოსი“ მართლაც ბრძენი დიონისე არეოპაგელია, პეტრე მოციქულის მოსწავლე და თანამოაზრე! პეტრე იბერისთვის იგივე ფსევდო დიონისე არეოპაგელისთვის „უზენაესი, უმაღლესი არსება არის ღმერთი – იგივე ქრისტიანული სამება (მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი და სულიწმიდა)“, – დიახ ეს ასეა, მაგრამ მცდარია ეს მოსაზრება, რადგან სამების დოგმატს მონოფიზიტი პეტრე იბერი არ სცნობდა, როგორც არ სცნობდნენ მონოფიზიტები, რადგან ისინი წარმმართველ ძალად, ლოგოსად აღიარებდნენ მამა-ღმერთს, ქრისტეს კი, ქმნილებად მიიჩნევდნენ და მიიჩნევენ დღესაც, მხოლოდ ღვთაებრივ ქმნილებად! რაც შეეხება სულიწმინდას – მონოფიზიტური ე.ი. მეორე პეტრე იბერის ამ შემთხვევაში მონოფიზიტის იდეოლოგიით „დამოკიდებულის დამოკიდებულია“. ეს განმარტება უდიდესი მკრეხელობის მატარებელია! მაგრამ ასეა, ამდენად, არამარტო XII საუკუნის რუსთაველი არ გამოიყენებდა მის ნაბოდვარს, ქართულ ეკლესიას არასოდეს გამოუყენებია და არც თავის თხზულებებში უხსენებია იგი, ან მისი ქადაგებები ოდესმე! მიუხედავად ზოგიერთი მკვლევარის დიდი სურვილისა. ჩემი მკითხველისთვის გიორგი მთაწმინდელის ნააზრევიდან მცირე მარცვლის მიწოდება იმისთვის გავბედე, რომ ადვილად გარკვეულიყო იმ ეპოქის სულისკვეთებაში, რომელშიც მომავალში რუსთაველი უნდა დაბადებულიყო... ბრმამ თამამად უნდა აღიაროს თავის სიბრმავე, თორემ... ოდესმე აუცილებლად მწარედ ჩაიჩეხება სადმე... მეცნიერმა, რომელსაც არ ძალუძს სწორი, მეცნიერული ანალიზის და შემდეგ დასკვნის გამოტანა უკეთესი იქნება დიდ საქმეს საერთოდ არ მოჰკიდოს ხელი!

პეტრე იბერიელისადმი და არა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულ მართლმადიდებელი პეტრე იბერისადმი მიძღვნილ წიგნში ვკითხულობთ: „პეტრე იბერიელი დიდ იდეურ-რელიგიურ მუშაობას ეწეოდა. მან სახელი გაითქვა როგორც ერთობ ერუდირებულმა და ძალზე გავლენიანმა მოღვაწემ. პეტრე აღნიშნულ იმპერიაში გახდა თვალსაჩინო წარმომადგენელი V საუკუნის მეორე ნახევრის ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნებისა. იგი სულ უფრო აფართოებდა თავის სამწერლო მოღვაწეობას, პრაქტიკულ საეკლესიო საქმიანობას. მისი ავტორიტეტი იმდენად გაიზარდა, რომ თვითონ ნიშნავდა ეკლესიის უმაღლეს მოხელეებს...“ ამ სტრიქონების ავტორის მაგიერ ნამდვილად მრცხვენია ბატონებო, რადგან... ერთი ნაწარმოები მაინც მაჩვენეთ მონოფიზიტ პეტრე იბერის, რომელიც მართლაც ფილოსოფიური იყოს მწვალებლობის გარეშე! ან მამულს რაიმეში წაადგებოდა... ს. ენუქაშვილი სწერს, რომ: „როდესაც მინელდა ბრძოლა დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის, ქართულმა ეკლესიამ შესაძლებლად მიიჩნია პეტრე იბერიელის სახელის აღდგენა-აღიარება.“ ესეც მკრეხელობაა ბატონებო... და საზიზღარი სიცრუე! რადგან ქართული ეკლესია აღიარებს სხვა პეტრე იბერს, მართლმადიდებელს და არა მონოფიზიტს! გადაავლეთ თვალი თამარის ისტორიკოსს! დიახ ბატონო, ზაქარია მხარგრძელი მონოფიზიტი ქურთი იყო (და არა სომეხი!), მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „ეკლესიამ შესაძლებლად მიიჩნია!“ ისტორიაში ოდნავ ჩახედული კაცი და არა მეცნიერი (!) ამას არ იტყვის! მართლმადიდებლობისთვის ყოველთვის მიუღებელი იყო და არის მონოფიზიტების მწვალებლური სარწმუნოება! ეკლესიას იგი არასოდეს არ მიუღია! და კიდევ... ხმამაღლა ახსე-

ნებენ იოანე პეტრიწის სახელს. ესეც შეცდომაა! მართალია იოანე პეტრიწი ბუნებით მართლაც ფილოსოფოსი იყო და მის თხზულებებში პლატონის ნააზრევის გავლენაც იგრძნობა, მაგრამ... შეუძლებელია მონოფიზიტი ეპისკოპოსის ბოღმითა და შურისმაძიებელი გრძნობით აღვსილი შრომები მოსწონებოდა იოანე პეტრიწს! თუ შალვა ნუცუბიძეს იმის თქმა სურს, რომ პეტრიწმა – ვერ გაარკვია (?) პეტრე იბერის რელიგიური ქადაგებების მიმართულება და არსი, – ეს წარმოუდგენელია. პეტრე იბერიელის ბიოგრაფი, ვასილ ჩაჩანიძე წერს: „V საუკუნის ეგვიპტე, სირია და პალესტინა, სადაც იმ დროს პეტრე იბერიელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ათეული წლის მანძილზე წარმოადგენდა იდეოლოგიური და ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრს, აღსავსეს რელიგიურ-იდეოლოგიური ბრძოლებით. პეტრე იბერიელი მოჩანს ამ ბრძოლებისა და აზროვნების ერთ-ერთ მთავარ ფიგურად.“ დიახ, ბატონებო! პეტრე იბერიელი მონოფიზიტთა ღირსეული მებრძოლი ლიდერი იყო, ოღონდაც არა ქრისტიანულად მოაზროვნე ეპისკოპოსი! არა ბატონებო, იმ პეტრე იბერმა პირნათლად გააგრძელა არიოზის მოძღვრება და სრულყო კიდეც! მისი ქადაგებებიდან გამომდინარე, მონოფიზიტები საშინელ მკვლელობებსაც არ ერიდებოდნენ ქალაქის ქუჩებში, მართლმადიდებლების ხოცვა-ჟლეტას სათვალავი არ ჰქონდა! პეტრე იბერის შთამომავლებმა ზუსტად 200 წლის შემდეგ წმინდა მაქსიმე აღმსარებელს მარჯვენა ხელი მოჰკვეთეს, რომ ჭეშმარიტი სიმართლე არ დაეწერა და ენა მოსჭრეს ასევე ჭეშმარიტი სიმართლე არ ექადაგებინა! შემდეგ საქართველოში გადმოასახლეს, სადაც აღესრულა კიდეც... აი, ბატონებო, ასეთი ქრისტიანული სიყვარული, სათნოება და სინანული იციან მონოფიზიტებმა და ასეთივე აზროვნების ბრძანდებოდა მონოფიზიტი და არა მართლმადიდებელი ბატონი პეტრე იბერი! ნიჭს, რომელიც მტრის წისქვილზე დაასხამს წყალს და სიბოროტეს, სიძულვილს და მკვლელობას უკმევს გუნდრუკს, ნიკო მარის არ იყოს, რა თავში იხლის ქართველი ხალხი? საქართველოს არ სჭირდება მსგავსი ვაი-მამულიშვილები და ჩვენს მეცნიერებსაც ვთხოვთ ვირისა და პიტნის არ იყოს, ცხვირში ნუ შეგვჩრიან!

მონოფიზიტ პეტრე იბერის პალესტინის მონასტერში დაცულ მარანს რაც შეეხება – ღვინის სიყვარულში, როგორც ბატონი ვასილ ჩაჩანიძე მიუთითებს 23-ე გვერდზე, არ გამოიხატება და არ ვლინდება „ქართული სული“! არა ბატონებო! მამულის მოღალატეს, ამ შემთხვევაში, როცა რწმენა გაიგივებულია ეროვნებასთან – „ქართული სული“ არ გააჩნია! „ქართული სული“ და მამულის სიყვარული – მამულის დაცვასა და მის მოვლა-პატრონობაში გამოიხატება. ყველას არ შეუძლია ილია ჭავჭავაძესავით შუბლი და გული შეუშვიროს მტრის ტყვიას, მაგრამ... ღალატიანი საქმის ჩადენა უკვე მეტისმეტია! ასეთ პიროვნებაზე კი ნურავინ იტყვის „ქართული სული“ აქვსო, მის სულს სისხლი სწყურდა და სისხლის სუნი სდიოდა! ქვეყნის მოღალატეს კი... არავითარი სასჯელი არ ეკუთვნის, რადგან იგი ყველაფრის ღირსია! ყველაფრის თავი და თავი კი მამულიდან მოკვეთაა. ბოლოსდაბოლოს ალბათ დროა მამულის სიყვარული თვით სომეხი ერისაგან ვისწავლოთ! ჩვენ თუ ერთეულები და თითზე ჩამოსათვლელი გვყავს დავით კურაპალატები, თორნიკე ერისთავები, დავით აღმაშენებლები, ცოტნე დადიანები, ილია ჭავჭავაძეები და ზვიად გამსახურდიები, სომხეთში, თუ დამიჯერებთ, მთელი სომხეთია მამულზე გადაგებული, ხალხი, რასაც ჰქვია სომეხი ხალხი, თუ გამოვაკლებთ მათ რიცხვს აგრესიულ რეაქციონერებს, მამულის, საკუთარი მიწის, ქვეყნის, ენის და... ერთმანეთის მოყვარენი არიან! ისინი „ახალი ქართველებისაგან“ სრულიად განსხვავებულნი! დიახ „Новые Грузины“ კოსმოპოლიტები და უჯიშო, უეროვნებო ხალხია! რაღაც განსხვავებულები, 92-93-94 წლებში წარმოშობილი, უსაქმური, რეციდივისტი ბრბოს ნაზავი კონგლომერატი, რომელთაგანაც შეადგინა შევარდნაძემ სამი თუ არა, ორი მოწვევის პარლამენტი მაინც! ქართული ჯიში რომ გადაგვარდა ვის ვაბრალით? განა ქართული გენის წიაღში არ წარმოიშვა 30 ვერცხლზე გადაგებული ქართველი მეცნიერები? განა მათივე ხელი არ შეეცადა ერის წარსულის გაყალბებას? თუ ილია ვერ მოისყიდეს, თუ კონსტანტინე გამსახურდია ვერ მოისყიდეს, – სხვები რატომ აღმოჩნდნენ სულმოკლენი? თუ ჯავახიშვილს, ინგოროყვას, ჯანაშიას, ჩიქობავას, აფაქიძეს შეეძლო დაუფარავად, მოურიდებლად მოეთხრო და ეწერა საქართველოს წარსულზე, თუ დავით მუსხელიშვილი, მარიკა ბარათაშვილი, როინ მეტრეველი, მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული, სოსო კვიციანი, დიმიტრი შველიძე, ბონდო არველაძე თამამად ამბობენ სათქმელს, თუ მეუფე ანანია ღაღადებს ჭეშმარიტებას ღვთის წყალობით და წმინდა მამების შემწეობით, იმ ნაწილს – იმ გადაგვარებულ ქართულ სისხლს რაღა დაუშავა საკუთარმა, სისხლით გაჯერებულმა მამულის მიწამ? მათი ნაღრძობი აზროვნება სომხების ბრალია? არა ბატონებო! არა! აბა შეაძლიეთ რაც გინდათ სომეხ მეცნიერს, თუ დაიყოლიებთ და მსგავს სისულელეებს დააწერინებთ საკუთარი ერის წინააღმდეგ! არა ბატონებო, ეს არ მოხდება!

გასაოცარი ფაქტია, რომ „წმინდა შუშანიკის მარტვილობა“ სადავოა ქართველ მეცნიერთათვისაც. მოვიტან ამონარიდს ბატონ ზაზა ალექსიძის შრომიდან „შუშანიკი – ინტერნაციონალური წმინდანი“ (საენათმეცნიერო კრებული, 1979წ. გვ 301). ბატონი მეცნიერი წერს: „კავკასიოლოგიაში გავრცელებულია შეხედულება, რომ 451 წლიდან VII ს-ის დადგომამდე ქართული ეკლესიის ოფიციალური მრწამსი მონოფიზიტობა იყო(?) და სომხურ ეკლესიასთან იდეოლოგიური ერთიანობა ამ ბაზაზე ხორციელდებოდა (?). შუშანიკის კულტის ორივე ეკლესიაში არსებობა თითქოს ამ თეზისის დამადასტურებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგივე ფაქტი ამ თეზისს უარყოფს კიდეც: რატომ არ წაშალა ქართულმა ქალკედონურმა ეკლესიამ თავისი ძველი მონოფიზიტობის კვალი და რატომ არ აიღო ხელი სომხურ ეკლესიასთან საერთო წმინდანებზე? საქმე ის არის, რომ ქალკედონური ისტორიოგრაფიის შეხედულებით დვინის საკათალიკოსომ მონოფიზიტობა მიიღო მხოლოდ 551 წლის დვინის ადგილობრივ II საეკლესიო კრებაზე. მანამდე იგი დასაბამიდან მართლმადიდებლური იყო ქართლის ეკლესიასთან ერთად, ამიტომ არის, რომ ქართული და საერთოდ ქალკედონური ეკლესია სცნობს ყველა

იმ საეკლესიო მოღვაწესა და წმინდანს, რომლებიც სომხეთში 551 წლამდე მოღვაწეობდნენ.“

ფრიად საკვირველია ბატონი ზ. ალექსიძის დასკვნა! ჯერ ერთი, შუშანიკი „სომხეთში“ არ მოღვაწეობდა! მაშინდელი ჰერეთი ვახტანგ გორგასლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და ჰერეთის მთავარი, შუშანიკის მეუღლე ქართველი თავადი ვარსქენი ღალატის ზღვარზე იდგა! შუშანიკი და მისი ბიძაშვილები შეკედლებულნი იყვნენ ქართველი მთავრის ვარსქენის მამის არშუშას ოჯახში! სად ამოიკითხა ზაზა ალექსიძემ, რომ ჰერეთი-სომხეთი იყო? თუ იქ სომხებიც ცხოვრობდნენ, ეს არ ნიშნავს რომ ქვეყანა სომხეთი იყო! სხვათაშორის ჰერეთს ბოლომდე შერჩა ქართული სული ბატონებო! ჩვენ ვიცით, რომ ვარსქენი გორგასალმა სწორედ ღალატისთვის დასაჯა. თუ ვარსქენი სომეხი ვაზგენი იქნებოდა, რა ესაქმებოდა მასთან გორგასალს? გორგასლის პერიოდში სომხეთი რიგით პროვინციად უკვე მიერთებული ჰქონდა სპარსეთს! მგონი ბატონი მეცნიერი სერიოზულ წინააღმდეგობაში ვარდება! შუშანიკი არ ყოფილა ინტერნაციონალური წმინდანი! იგი გათხოვდა ქართველ მთავარზე და მიიღო, ან ადრეც ჰქონდა იგივე სარწმუნოება, როგორიც მთავრის ოჯახს გააჩნდა მისი გათხოვების დროს, ეს რწმენა კი იყო ქალკედონური, ე.ი. მართლმადიდებლური! მგონი ძნელი გასარკვევი არ არის, რომ ვახტანგ გორგასლის დროს მოღვაწეობდა საქართველოში „ნეტარი მიქაელი“, რომლის პერიოდსაც თანხვდება მონოფიზიტთა თავგადაკლული ლიდერის პეტრე ფულონის გამოძევება ანტიოქია-კონსტანტინოპოლიდან სომხეთში, და რომლის ტრაგიკული დაღუპვაც სწორედ დიოფიზიტი მოძღვრის ნეტარი მიქაელის ასევე სახელსა და დროს უკავშირდება. მე წინა ნაწილში გავახსენე მკითხველს, რომ დიდმა გორგასალმა შეუცდომლად დაიცვა ქალკედონის კრების კანონები და მწყემსმთავარი მიქაელი კონსტანტინეპოლში გაამგზავრა! ე.ი. ამ პერიოდისთვის სომხეთში უკვე კარგად იყო ფეხმოკიდებული მონოფიზიტობა! დიახ, ბატონო მეცნიერო, ამის უარყოფა ყოვლად დაუშვებელია, რადგან კიდევ ერთხელ ვიმეორებ, პეტრე ფულონი მონოფიზიტთა აღიარებული ლიდერი იყო არამარტო სომხეთში და სწორედ ამიტომ გამოაძევეს ანტიოქია-კონსტანტინოპოლიდან! ვახტანგ გორგასალი მოკლეს დაახლოებით 502 წელს ან 504 წელს. ე.ი. პეტრე ფულონი გორგასლის სიკვდილამდე კარგა ხნით ადრე მოკვდა, ალბათ 480 ან 84 წლებში, ან თუნდაც 490წ! ე.ი. დვინის საკათალიკოსო მონოფიზიტობას იცავდა დვინის ადგილობრივ კრებებზე I (506წ.) და II (551წ). ამ წელს კი არ მიიღო მონოფიზიტობა სომხურმა ეკლესიამ, პირიქით, კარგა ხნის მიღებული ჰქონდა და გააძლიერა, გაძლიერებაში კი იგულისხმება სომხური ეკლესიის სურვილი, რომ ქართული ეკლესიაც მიემხრო! რაც ასე სურდა სპარსეთს! ჩემთვის პირადად გაურკვეველია, რატომ ცდილობენ ქართველი მეცნიერები მცდარი ორიენტაცია არამარტო შესთავაზონ მკითხველს, არამედ... დამტკიცებულ დებულებად წარუდგინონ!

* * *

წინა თავებში ვსაუბრობდი მცხეთის „ჯვარზე“, „წრომზე“ და საერთოდ ჯვარგუმბათოვან ტაძრებზე... სწორედ მცხეთის „ჯვარმა“ და „წრომმა“ მატარა ისტორიის ლაბირინთებში და იძულებული გამხადა გამეხსენებინა თქვენთვის, ჩემო მკითხველო თქვენივე ერის წარსული, რომლის დავიწყებასაც ამაოდ ცდილობთ...

მცხეთის ჯვარი უდიადესი ქმნილებაა! იგი ქართული ხუროთმოძღვრების შედევრი და ეროვნული სიამაყეა! – საიდან ასკვნის პ. მურადიანი რომ იგი სომხურია? – მივყვეთ ზუსტ ფაქტებს!

ტაძარი აშენებულია 584-604 წლებში. აქვს ქართული ასომთავრული წარწერები, რომელშიც მოხსენებულია ტაძრის ამშენებელი სტეფანოზ ქართლის ერისმთავარი ძე გუარამისა! სტეფანოზის წარწერაა: „ჯუარო მაცხოვრისაო, სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი შეიწყალე“; შემდეგი წარწერა (მარცხნივ): „წმინდაო მიქელ მთავარანგელოზო, დემეტრე ვპატოსსა მეოხ ხეყავ“; ბოლო წარწერა (მარჯვნივ): „წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, ადარნერსე ვპატოსს მეოხ ხეყავ.“ აქ ჩამოთვლილი თანამდებობები ბიზანტიური სახელისუფლებო თანამდებობებია, იმპერატორისგან ნაბოძები. წარწერაში მოხსენებული არ არის პიტიახში ან რაიმე სპარსული თანამდებობა. ე.ი. ამშენებელს, სტეფანოზ ერისმთავარს ბიზანტიისგან ჰქონდა თანამდებობაც და ალბთ შესაძლებლობის ფარგლებში დახმარება და შეწევნა, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის რწმენა დაცული იყო! ამავე წლებში მოღვაწეობდა სკუტრელი კირიონ I, ქართლის კათალიკოსი (591-615წ.წ.), კირიონი კი, მოეხსენება მკითხველს, დაუღალავი მებრძოლი და დამცველი იყო მართლმადიდებლობის და ქალკედონის კრების გადაწყვეტილებების! ლოგიკურია ერთადერთი დასკვნა! – რომ ქართლი მართლმადიდებლური ქვეყანა იყო და ტაძრებიც შესაბამისად მართლმადიდებლური შენდებოდა! ე.ი. ჯვრის ტაძარს არაფერი საერთო არ ჰქონდა და არა აქვს სომხურ ხუროთმოძღვრებასთან, მიუხედავად სპარსული ხელისუფლების გავლენისა იმ საუკუნეში.

აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი ხმამაღლა მიუთითებს, რომ (კიდევ ერთხელ გავიმეორებ მის სიტყვებს): „როგორც სჩანს, ადრეული ხანის რელიგიური მხატვრობის ძეგლები საქართველოში არ არსებობდა, ამაზე მიუთითებს სხვათა შორის ის ფაქტიც, რომ VI საუკუნის დამლევამდე აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებული იყო მონოფიზიტური მოძღვრება, ქართული ეკლესია იერარქიული და დოგმატიკური თვალსაზრისით განცალკევებული იყო ბიზანტიური ეკლესიისაგან, კონსტანტინოპოლის პატრიარქის უშუალო გავლენის სფეროში არ შედიოდა.“

მართალია, ქართული ეკლესია ავტოკეფალური იყო, და ეს ჩემმა მკითხველმა იცის, მაგრამ ისიც იცის ჩემმა მკითხველმა გორგასლის ცხოვრებიდან, რომ დიდმა მეფემ მთავარეპისკოპოსი მიქაელი სწორედ კონსტანტინოპოლში გაგზავნა განსასჯელად, რადგან მას ქალკედონის კრების კანონმდებლობით მისი განსჯის უფლება არ ჰქონდა – ეს ერთი საკითხი. ახლა მეორე საკითხი – ჯვრის ამშენებლის სტეფანოზის სახელს თან ახლავს მისი ბიზანტიური საიმპერატორო კარის მიერ ნაბოძები თანამდებობა, ნუთუ ამ წარწერას ყურადღება არ მიაქცია ისეთმა დიდმა სწავლულმა, როგორც შალვა ამირანაშვილი იყო? წარმოუდგენელია! აბა რაღა მოხდა? რატომ გაუჭირდა დიდ მეცნიერს ლოგიკური დას-

კვნის გამოტანა? ალბათ იმდენად დიდი იყო ნიკო მარის გავლენა, დიდი მეცნიერი შალვა ამირანაშვილიც კი თვალდახუჭული მიჰყვებოდა მის გატკეპნილ გზას და ფიქრობდა ერის ისტორიის სიწმინდეზე. ჰქონდა მას ამის უფლება ბატონებო? ცხადია არა!!! გიორგი მთაწმინდელიც რომ დავივიწყოთ, აქ ხომ ყველაფერი დღესავით ნათელია? მიუხედავად საშინელი ზეწოლისა, რა მედგრად და შეუპოვრად იდგა ქართული ეკლესია და ქართული მრევლი ჭეშმარიტ და ნამდვილად ეროვნული სარწმუნოების საკურთხეველთან!

ბატონი შალვა ამირანაშვილი ამბობს: „იერარქიული და დოგმატიკური თვალსაზრისით განცალკევებული იყო ბიზანტიური ეკლესიისაგან...“ ე.ი. მას მიაჩნია, რომ ქართული ეკლესია (რადგან მისი აზრით მონოფიზიტური იყო), იერარქიულადაც ალბათ დამოკიდებული იქნებოდა სომხურ ეკლესიაზე. აი ბატონებო გასაღები პარუირ მურადიანის „გენიალური“ ნააზრევის!

რა უნდა ქნას ამ შემთხვევაში ქართველმა ახალგაზრდობამ, ჩემმა თაობამ? როგორ შეიძლება ასეთი საზიზღარი შეცდომის დაშვება? ან იქნებ შეცდომა არც იყო? იქნებ გამიზნული იყო ეს ცილისწამება? ზედმეტია საუბარი რელიგიურ მხატვრობაზე! მიუხედავად, მისი მრავალგზის განადგურების ცდისა, მაინც შემორჩა! და შემორჩა წრომის ბრწყინვალე ტაძარს! ეს არის პირველი ქრისტიანული მოზაიკური მხატვრობა (დღეს მუზეუმშია გადატანილი)!

ასევე აქვს მართალია მცირე, მაგრამ მაინც მოზაიკური მხატვრობის კვალი შემორჩენილი „ჯვარს“.

თავის საკმაოდ დიდი მოცულობის ფუნდამენტურ შრომაში „ქართული ხელოვნების ისტორია“, გამომც. ხელოვნება, 1971წ., ბატონი შალვა ამირანაშვილი საუბრობს ხუროთმოძღვრებაზე და ნაკლებ ყურადღებას უთმობს ჯვარგუმბათოვანი ტაძრების მხატვრობას, რატომ? ცხადია მარის ზეგავლენის გამო! მხოლოდ ვიტყვი, რომ მონოფიზიტური ტაძრებისთვის უცხო იყო მხატვრობა, ხატები. მონოფიზიტური მიმართულება ის აგრესიული მიმართულებაა ქრისტიანიზმში, რომელიც თავის თავში შეიცავს და პერიოდულად განაახლებს ხოლმე ახალ, უარყოფით ენერგიებს, რაც გამოიხატა ხატბრძოლაშიც კი...

პირველი ქართული ქრისტიანული ძეგლები მცირეა ან სულაც არ არის შემორჩენილი. რაც არის გადარჩენილი, ძირითადად ბაზილიკის ტიპისაა. ბოლნისის სიონით იწყება ქართული ხუროთმოძღვრების ჭეშმარიტი სახის ჩამოყალიბება! მთელი ბაზილიკა (იგი სამნავიანია) საოცარი ძალისა და სიდიადის გამომხატველია. ტაძარი უხვადაა შემკული ბარელიეფებით და ჩუქურთმებით, რაც სხვაგან (საბერძნეთი, სირია, სომხეთი) არსად არ გვხვდება ამ დროის ძეგლებში! დაახლოებით ამავე პერიოდში საქართველოში იწყება „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ეკლესიების აგება (შიომღვიმე). დიდებულია ჯვრის ტიპის ნინოწმინდის საეპისკოპოსო ტაძარი, რომელიც ფაქტიურად მცხეთის ჯვრისკენ აღმავალი საფეხურია. ჯვრის ტიპის ძეგლებს აგვირგვინებს მცხეთის ჯვარი, რომელიც აბსოლუტურად განსხვავებულია ბერძნული და მით უმეტეს სომხური არქიტექტურისგან! ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი შტრიხებია: შიგა და გარე ფორმების მხატვრულად გააზრებული ჰარმონიულობა, ურთიერთშერწყმა. მცხეთის ჯვარში დასრულებული სახითაა უკვე წარმოდგენილი ეროვნული ხუროთმოძღვრების უმთავრესი ნიშან-თვისება – „ფასადის სახე დამოუკიდებელი, შეგნებულად დასახული მხატვრული ამოცანის მნიშვნელობას იძენს. ბიზანტიელ ხუროთმოძღვართა ყურადღება ეთმობოდა ძირითადად ტაძრის შიგა სივრცის დიდებულებას!“ ქართულ ხუროთმოძღვრებაში გაწონასწორებულია შიგა სივრცე და ფასადი! და სწორედ პირველი დიდებული ძეგლი, რომელშიც სრულყოფილად წარმოჩინდა ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების პოტენციური ენერგია და შორსმჭვრეტელობა, რომელიც შემდეგ სვეტიცხოვლის გენიად უნდა ჩამოყალიბებულიყო – მცხეთის ჯვარია! სრულყოფილი და ჰარმონიულია მისი პროპორციები, საოცრად მკვეთრი და დახვეწილია მხატვრული ფორმები, მრავალფეროვანია გარეგნული გაფორმება, და ბოლოს... ტაძრის საფუძველია რვა ბურჯიანი კონსტრუქცია, რაც იმ დროისთვის თამამი გადაწყვეტა იყო... „...ბიზანტიურ არქიტექტურაში მთავარი ყურადღება ექცეოდა შენობის შინაგან გაფორმებას, კონსტრუქციული ამოცანის გადაწყვეტას, სახელდობრ გუმბათის აგებას შუა ნავის ცენტრში. ხოლო კვადრატიდან წრეზე გადასვლა ბიზანტიურ არქიტექტურაში მიღწეულია პანდატივების საშუალებით. შენობის გაფორმებას გარედან ნაკლები ყურადღება ექცეოდა. გუმბათის ნახევრად სფერული თაღი ეყრდნობა დაბალ ყელს; იგი ორგანულად უკავშირდება მთავარ ნავსა და მის აფსიდებს; არა აქვს შენობის გარეგან გაფორმებაში აქცენტირების მხატვრული ხერხის მნიშვნელობა“. აი როგორ ახასიათებს ბატონი შალვა ამირანაშვილი ადრეულ ბიზანტიურ ხუროთმოძღვრებას. ამჯერად ვნახოთ როგორ შეაფასა ქართული ხეროთმოძღვრება: „ქართულ არქიტექტურაში შენობის გარეგან გაფორმებაში გუმბათს, რომელსაც აქვს წახნაგოვანი ყელი, ენიჭება ძირითადი მნიშვნელობა.“

სომხური ხუროთმოძღვრება: „...სომხური ხუროთმოძღვრება გაცილებით უფრო მძიმე და შედარებით უფრო დაბალი პროპორციების კანონს ექვემდებარება.“

„...ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები საერთოდ მაღალ პროპორციებს იცავს... ქართულ არქიტექტურაში გუმბათი მოთავსებულია შენობის ცენტრში, ან საკურთხევლის აფსიდის მახლობლად.“

„სომხურ არქიტექტურაში გუმბათის ყელი დაბალია და უახლოვდება შენობის დასავლეთ ნაწილს...“

„ჯვარში გადაჭრილია შენობის გარეგნული მასების ორგანულად მთლიანი მხატვრული გაფორმების პრობლემა. განმსაზღვრელ მომენტს კვლავ წარმოადგენს გუმბათი ყელით. მისი პროპორციები და შეფარდება შენობის საერთო მასებთან განსაზღვრავენ ამ ხანის ქართული ხუროთმოძღვრების მხატვრულ არსს. ამაში მდგომარეობს მისი პრინციპული განსხვავება იმ დროის ბიზანტიური და სომხური ხელოვნებისაგან“!!!

ბატონი შალვა ამირანაშვილი აგრძელებს ჯვრის არქიტექტურული ანსამბლის სრულ შეფასებას: „...შენობის ძირითადი მასები თითქოს საფეხურებად ეშვება ჯვარის გუმბათის რვაწახნაგოვანი ყელიდან. გუმბათის ყელი შენობის ცალკე ნაწილებს ერთ ორგანულ მთლიანობას ანიჭებს. ჯვრის მკლავები გაცილებით უფრო მა-

ღალია, ვიდრე კუთხის კამერები, ისინი ფასადებზე ღებულობენ სამწახნაგოვან გაფორმებას. კუთხის კამერები შეერთებულია ჯვრის მკლავებთან, გარედან გამოყოფილია ბრტყელი ნიშები, როგორც შენობის დამოუკიდებელი ნაწილები და გადახურულია ცალკალთიანი სახურავით.

ტაძრის თითოეული ფასადი სამი ნაწილისაგან შედგება: ცენტრში გამოიყოფა სამწახნაგოვანი აფსიდი, მის აქეთ-იქით კი კუთხის კარის ბრტყელი კედელი, რომელიც ნიშების საშუალებით გადაებმის წახნაგოვან აფსიდს. მეტად საყურადღებოა მხატვრულად დეკორირებული აღმოსავლეთის ფასადი, რომელსაც ხუროთმოძღვარმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. საკურთხევლის აფსიდის წახნაგებზე მოთავსებულია ტაძრის აღმშენებელთა რელიეფები, რომლებიც განაწილებულია ერთიანი კომპოზიციის პრინციპზე და ერთგვარ ტრიპტიქს ქმნის. აღმშენებელთა ფიგურები გვერდის რელიეფებზე თითქოს სიმეტრიულად არის მიქცეული შუა რელიეფისაკენ, რომელზედაც წარმოდგენილია ქრისტეს წინაშე მუხლმოდრეკილი სტეფანოს I – ქართლის პატრიკიოსი, ზემოთ გამოსახულია მფრინავი ანგელოზის ნახევარფიგურა, ამოკვეთილი კოზმიდის მსგავსად გამოწეულ ქვაზე.

ცენტრალური რელიეფის მარჯვნივ გამოსახულია მუხლმოდრეკილი დემეტრე ვპატოსი. მარცხნივ ადარნერსე ვპატოსი და მისი ძე სტეფანოს II. ქტიტორების ზემოთ გამოსახულია კომპოზიციის ცენტრისკენ მიმართული ანგელოზები.

ტაძრის სამხრეთ მკლავზე, სარკმლის ზემოთ, გამოსახულია პირველწამებულ სტეფანეს წინაშე მუხლმოდრეკილი ქობულ სტრატეგი.

გუმბათის ყელის სამხრეთ წახნაგზე მოთავსებულია შედარებით მცირე ზომის რელიეფი, რომელზედაც გამოსახულია მუხლმოდრეკილი ფიგურა: რელიეფის არეზე წარწერა არ არის. არსებობს აზრი, რომ აქ გამოსახული უნდა იყოს ტაძრის ხუროთმოძღვრის პორტრეტი. ტაძარში სამხრეთ შესასვლელის ბალავერზე მოცემულია „ჯვრის ამაღლების" რელიეფური გამოსახულება, რომელიც ძლიერ იყო გავრცელებული ადრინდელ ქრისტიანულ ხელოვნებაში: მედალიონში მოთავსებულ ტოლმკლავიან ჯვარს ამაღლებს ორი მფრინავი ანგელოზი. მხატვარმა, ამ კომპოზიციის ტრადიციული ჰორიზონტალური სქემა მიუყენა კარისზედა ბალავერს; ანგელოზების ფიგურები შესრულებულია პლასტიკური ხელოვნების მაღალ დონეზე."

მცხეთის ჯვარი ზუსტადაა დათარიღებული ქტიტორთა წარწერებითა და წერილობითი წყაროებით. მისი აგების დრო განისაზღვრება VI საუკუნის დამლევით და VII საუკუნის დასაწყისით. ე.ი ეპოქით, რომელიც ემთხვევა როგორც სასანური, ისე ბიზანტიური ხელოვნების აყვავების ხანას.

აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე 1974 წელს გამოცემულ წიგნში „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება", 30-ე გვერდზე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მცხეთის თავზე აღმართულ ჯვარს, სადაც ჯვრის ტაძარი აშენდა, „...მარტო ქართველები კი არ სცემდნენ თაყვანს, არამედ კავკასიის სხვა ქრისტიანი ერებიც..." და სქოლიოში მიუთითებს „მათ შორის სომხებიც." რისთვის დასჭირდა ესოდენ დიდ მეცნიერს სომხების საგანგებოდ აღნიშვნა? და რატომ არ მოიხსენია ალბანელები, უდები, ჰერები, ვაინახები... ამ პერიოდისათვის ხომ ისინიც გაქრისტიანებულები იყვნენ? ან რომელიმე მათგანი „სომხებზე" დაემატებინა მაინც... რა საიდუმლოებით იყო მოცული ბატონი დიდი მეცნიერის ჩანაფიქრი? არ იცოდა, რომ ტყუოდა? მაპატიეთ, შეურაცხყოფას სულაც არ ვაყენებ დიდ მეცნიერს, მაგრამ... სრულ სიმართლეს ვამბობ! ჩემს მკითხველს კარგად ახსოვს სრულიად საქართველოს კათოლიკოსი კირიონ I, რომელიც მოღვაწეობდა 591-615 წლებში! იგი კიდევ ერთხელ ვიმეორებ, წარმოშობით იყო სუფთა სისხლის ქართველი, ჯავახეთის სოფელ სკუტრიდან, მისი საერო სახელია – სვიმეონი!

ჩემმა მკითხველმა ისიც კარგად იცის, რომ ქართველთათვის რელიგიური ბრძოლა – ეროვნულ-პოლიტიკურ ბრძოლას ნიშნავდა. კირიონ კათოლიკოსმა არ უღალატა ქართულ სამოციქულო ეკლესიის მართლმადიდებლურ ჯერ ნიკეის, შემდეგ კონსტანტინოპოლის II და ბოლოს ქალკედონის IV საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებებს, მართლმადიდებლურ რწმენას. სულითა და გულით მიიღო რწმენის სიმბოლო და არ აღიარა სომეხთა მონოფიზიტური სწავლება სპარსთა გულის მოსაგებად! ამის შედეგად დასწყევლა სომხეთის კათალიკოსმა აბრაამმა ქართველი ერი და ქვეყანა საშინელი წყევლით (ანათემაზე გადასცა), სომხებს კი მოუწოდა, რომ ყოველგვარი ურთიერთობა საბოლოოდ გაეწყვიტათ ქართველებთან. ამჯერად მინდა აბრაამის წყევლა-მოწოდება გაგახსენოთ: „...სრულიად არ ეზიაროთ მათ არც ლოცვაში, არც ჭამასა და სმაში, არც მეგობრობაში და არც დედამძუძობაში, არც სალოცავად წახვალთ ჯვარში, რომელიც განთქმულია მცხეთის მიდამოში, არც მანგლისის ჯვარში და ნურც ეკლესიაში მიიღებთ ქართველებს, არამედ ქორწინებისგანაც სრულიად განეშორეთ, მხოლოდ იყიდეთ და მიყიდეთ, ვითარცა ურიებს." ამ სიტყვების თარიღი მიახლოებითაც და ზუსტადაც VI საუკუნის ბოლო მეოთხედია!

დიახ ბატონებო სომხები მცხეთის „ჯვარში" სალოცავად ნამდვილად არ დადიოდნენ და არ დადიოდნენ მანამდეც კი, სანამ დიდი ტაძარი აშენდებოდა! და ბატონმა აკადემიკოსმა არცთუ ხელმოსაჭიდი ტყუილი იკადრა! ისევ ვეკითხები მათ თაობას, რატომ? რაში დასჭირდა ბატონ ვახტანგ ბერიძეს ამის მტკიცება? ნიკეისა და კონსტანტინოპოლის II მსოფლიო საეკლესიო კრებების შემდეგ ქართველებსა და სომხებს შორის რელიგიური ერთობა უკვე აღარ არსებობდა! კონსტანტინოპოლის II კრებაზე სომხები მიწვეულნიც არ იყვნენ! – ისეთივე დიდი დაპირისპირება იყო არიოზელ მონოფიზიტებსა და მართლმადიდებელთა შორის, როგორც იმდროინდელ ორ უდიდეს იმპერიას – სპარსეთსა და ბიზანტიას შორის! სომხეთი კი სპარსეთის განუყოფელი ნაწილი იყო ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში! ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან ისევ გაღრმავდა მონათესავე ხალხთა (სომეხთა და სპარსელთა) შორის სიყვარული და „მამა-შვილობა". ეს საუკუნეები და წლები მნიშვნელოვანია არამარტო მსოფლიო ისტორიის პროფესიონალთა და ორიენტალისტთათვის, არამედ ნებისმიერი ნორმალური განათლების მქონე ასევე ნორმალური პიროვნებისთვის!

ამჯერად ჩემს მკითხველს შევთავაზებ აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის ზუსტ მეცნიერულ ანალიზს მცხეთის „ჯვრის“ ტაძრის ყოველგვარი მონაცემების გააზრებით. კიდევ ერთხელ გადავხედოთ არის თუ არა რაიმე სომხური ხელოვნების ან ხელობის ნიშანწყალი ჯვარში?

„... ტაძრის სახელწოდებას ისტორიული საფუძველი აქვს. ქრისტიანობის მიღების პირველი ხანებიდანვე ამ ადგილას ხის მაღალი ჯვარი იყო აღმართული. ...VIს-ის მეორე ნახევარში ქართლის ერისთავმა გუარამმა ჯვრის გვერდით ააშენა პატარა ეკლესია (იგი დგას საგანგებო სუბსტრუქციაზე, რომელშიც სამარხია). გარედან ეს ორფერდა სახურავიანი მარტივი სწორკუთხედია, მაგრამ შიგნით მას ჯვრისებრი მოხაზულობა აქვს – ერთი აფსიდითა და სამი სწორკუთხა მკლავით. მკლავები მცირე სიღრმისაა და თვით კედელშია „ამოღებული“. შუაში აქაც კვადრატია, რომელსაც გუმბათისებრი გადახურვა უნდა ჰქონოდა, მაგრამ ყელის გარეშე. ამ პატარა სამლოცველოს, რომელიც დღესაც დგას (თუმცა კი დაზიანებულია), ჩვეულებრივ ჯვრის მცირე ტაძარს, ანუ „მცირე ჯვარს“ უწოდებენ. იმავე VIს-ის მიწურულში და VIIს-ის დასაწყისში გუარამის ძემ, სტეფანოზ ერისმთავარმა მცირე ტაძრის გვერდით აააგო დიდი ტაძარი, რაკი მცირე სამლოცველო ვეღარ აკმაყოფილებდა ფესვგადგმული სარწმუნოების მოთხოვნილებას, მორწმუნეთა სიმრავლეს. დიდი ტაძარი ზედ გადაეხურა ხის ჯვარს, რომლის კვარცხლბეკი დღემდეა დარჩენილი ეკლესიის შიგნით. ტაძარს სამშენებლო წარწერა არა აქვს, მაგრამ წარწერებში მოხსენებულ ისტორიულ პირთა (სტეფანოზისა და მისი ოჯახის წევრების) მიხედვით და სხვა ისტორიული საბუთების შეჯერებით მოხერხდა ტაძრის აგების ქრონოლოგიური ფარგლების დადგენა.“

უკვე ვთქვით, რომ ჯვრის უშუალო წინამორბედი ნინოწმინდის ტაძარია. „ჯვარში განვითარებულია და მხატვრულად სრულყოფილი ნინოწმინდის კომპოზიცია. გეგმის საფუძველს აქაც კუთხის ოთახებიანი ტეტრაკონქი შეადგენს, მაგრამ ეს კუთხის ოთახები რადიალურად კი არ არის განლაგებული, როგორც ნინოწმინდაში იყო, არამედ აფსიდების ღერძების პარალელურად. გუმბათქვეშა სივრცეს ოთახები უკავშირდება მის კუთხეებში გაკეთებული ღრმა ნიშებით, რომელთაც წრის 3/4-ის მოხაზულობა აქვთ. შენობის ბირთვს, ჩვეულებისამებრ შეადგენს კვადრატი, რომლის თავზეც აღმართულია რვაწახნაგოვან ყელზე დამყარებული გუმბათი. გუმბათია მთელი შიგა სივრცის დომინანტი, გუმბათი განსაზღვრავს ყველა სხვა ნაწილის ფორმასა და პროპორციებს ამ ხუროთმოძღვრულ სივრცეში, რომელიც ხიბლავს ადამიანს ნაწილთა სრული წონასწორობითა და პროპორციათა ჰარმონიით. არქიტექტორი დიდი ტაქტით სვამს საჭირო მახვილებს: აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძი ოდნავ უფრო გრძელია, ვიდრე სამხრეთ-ჩრდილოეთისა, იმიტომ რომ საკურთხევლისა და დასავლეთი აფსიდის წინ ბემებია ჩასმული; ღრმად არის გააზრებული განათების სისტემა: გუმბათის ყელში ოთხი სარკმელია, საკურთხეველში სამი (ისევე, როგორც ნინოწმინდაში იყო), სამხრეთის აფსიდში კარი და სარკმელია, დასავლეთისაში ერთი სარკმელი, ჩრდილოეთისაში კი მხოლოდ ერთი შესასვლელი. კუთხის ნიშებს, რომელთაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ, არც საკუთარი სარკმლები გააჩნია (ამ მხრივაც ნინოწმინდა ჯვრის წინამორბედია).

ჯვრის გარეგნული სახე ნათლად ასახავს სივრცის შიგა დანაწევრებას. მაგრამ აქ მხოლოდ პასიური განმეორება კი არ არის იმისა, რასაც შიგნითა კონტურები კარნახობდა ხუროთმოძღვარს, არამედ შიგა და გარე ფორმების მხატვრულად გააზრებული შესაბამისობა. ეს პირველი მაგალითია შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში, რომ ფასადის სახე დამოუკიდებელი, შეგნებულად დასახული მხატვრული ამოცანის მნიშვნელობას იძენს. ამიერიდან ეს ქართული არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშანი იქნება, ერთი იმ მრავალნიშანთაგანი, რომლებიც მკვეთრად განასხვავებს მას ბიზანტიურისაგან: საკმარისია გავიხსენოთ სერგისა და ბაქოს, ან წმ. ირინეს ეკლესიები კონსტანტინოპოლში, წმინდა სოფიო – ბიზანტიური ხუროთმოძღვრების უმაღლესი მონაპოვარი, რავენის ეკლესიები, და ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ ბიზანტიაში ხუროთმოძღვართა ყურადღებას (ხელოვნების აყვავების პერიოდშიც) მთლიანად იპყრობდა დიდებული შიგა სივრცის შექმნის ამოცანა, ფასადები მათ არ აინტერესებდათ.

მთელი კომპოზიციის ცენტრსა და საფუძველს, მის „ნასკვს“ გუმბათქვეშა კვადრატი შეადგენს, მისგანაა „აღმოცენებული“ რვაწახნაგა ყელი (შედარებით დაბალი, ფართო და „ჯმუხი“, როგორც საერთოდ აკეთებდნენ მაშინ), გადახურული საკმაოდ დამრეცი სახურავით, მისგანვეა გამოზრდილი ჯვრის მკლავები შვერილი წახნაგოვანი აფსიდებით. აფსიდების წახნაგები და გადახურვა თითქოს ოთხგზის იმეორებს „შემოკლებული რედაქციით“ გუმბათის ყელის სახეს, მათ შორის უფრო დაბალი ნაწილებია (კუთხის ოთახების შესაბამისად), რომლებიც ნიშებით უკავშირდება შვერილ აფსიდებს. ყველა ეს ნაწილი ისეა შეკრული და ურთიერთშეპირობებული, თითქოს მთელი შენობა ერთიანი კრისტალი იყოს, რომელშიაც არც ერთი წერტილის, არც ერთი ხაზის შეცვლა არ შეიძლება, მაგრამ დიდად მონუმენტურ შთაბეჭდილებას კი ტოვებს. ფასადთა დამუშავებაშიც სრული კანონზომიერებაა. დასავლეთისა, რომელიც ზედ ქარაფის პირსაა დაკიდებული, ან შორიდან ჩანს, ან ძლიერი რაკურსით, ამიტომ იგი ძალიან მარტივად და ზოგადად არის დამუშავებული, – გამოყოფილია მხოლოდ უმთავრესი ფორმები. მთავარი ფასადები აღმოსავლეთისა და სამხრეთისაა, პირველ მათგანზე ფასადის შუა ნაწილი – საკურთხევლის აფსიდი – აღნიშნულია სამი სარკმლით, რომლებიც შეკრულია მათ თავზე გავლებული დეკორაციული რელიეფური სარტყლით – ყოველი სარკმლის თავზე იგი თაღს შემოხაზავს. სარტყლის ზემოთ სარკმელების შესაბამისად, მოთავსებულია სამი რელიეფი ტაძრის დამფუძნებელთა გამოსახულებებით (შუაში – ქრისტეს წინაშე მუხლმოყრილი სტაფანოსია). ეს თითქოს თავისებური ტრიპტიქონია, რომელიც ფასადის ყველა ნაწილს ჰკრავს და აერთიანებს! ცენტრალური კომპოზიციის გამოძახილივითაა ფასადის ფრთებში (კუთხის ოთახების შესაბამისად) გაკეთებული უფრო მცირე სარკმლები (თითო-თითო) თავთავისი თაღოვანი სათაურით. სამხრეთის ფასადი უფრო ღრმა ნიშების წყალობით უფრო დიფერენცირებული

ჩანს. სამხრეთის შესასვლელის თავზე, ტიმპანში მოთავსებულია ძველქრისტიანულ სამყაროში დიდად გავრცელებული გამოსახულება – ანგელოზთა მიერ ჯვრის ამაღლება. საყოველთაოდ ცნობილი კომპოზიცია ოსტატურადაა ჩართული და შეხამებული ტიმპანის ნახევრადწრიულ მოხაზულობასთან.

ჩრდილოეთის ფასადი, რომლის წინაც მცირე ჯვრის ეკლესია დგას, სრულიად მოურთავია, თუმცა საერთო დანაწევრებით სავსებით ემთხვევა სამხრეთისას.

შენობის საერთო ჰარმონიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფასადთა პერანგის მშვენივრად გათლილი ქვის ფერს; მოვარდისფრო-ქვიშისფერს, დროთა ვითარებისაგან თითქოს ოდნავ შეჟანგულს; ტაძარი არამარტო ფორმებით, მასშტაბითა და პროპორციებით ეხება გარემოს, არამედ ფერითაც.

მცხეთის ჯვარი – წინა დროის ქართული ხუროთმოძღვრების ძიებათა დამაგვირგვინებელი და ყველაზე სრულად განმასახიერებელი ნაწარმოები – საფუძველს უყრის განვითარების მთელ საფეხურს: VIIს-ში იქმნება ანალოგიურ ძეგლთა მთელი ჯგუფი, რომლებიც გეგმისა და საერთო აგებულების მხრივ დიდად უახლოვდება მცხეთის ჯვარს, მაგრამ ბუნებრივია, კერძო თვისებებითა და დეტალებით განსხვავდება მისგან. დამახასიათებელი და მნიშვნელოვანია, რომ ეს ძეგლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშია, რაც მოწმობს, რომ ქართველი ერის კულტურული ერთიანობა წინ უსწრებს მის სახელმწიფოებრივ გაერთიანებას. ატენის სიონი – ქართლშია, გორის სამხრეთით – 10-12 კმ მანძილზე, ძველი შუამთა კახეთშია, მარტვილი – დასავლეთ საქართველოში, ეგრისში. დასასრულ უნდა დავუმატოთ, რომ ჯვრის ტიპი, ე.ი. კუთხის ოთახებიანი ტეტრაკონქი, ცნობილია მხოლოდ საქართველოსა და სომხეთში. იქაური ნიმუშები ქართულ ნიმუშთაგან განსხვავდება გარკვეული თავისებურებებით ისე, როგორც საერთოდ ამ ორი ქვეყნის ხუროთმოძღვრება.“ (ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974წ. გვ. 31).

მე მიუკერძოებლად დავიცავი სიზუსტე და მკითხველს მივაწოდე სრული ამონარიდი ვახტანგ ბერიძის სამეცნიერო შრომიდან „მცხეთის ჯვარი“. ამ შემთხვევაში საინტერესო იყო ბატონი მეცნიერი შეადარებდა თუ არა „ჯვარს“ სომხურ ტაძრებთან. როგორც ვხედავთ ეს არ მოხდა, რადგან VI-VII საუკუნეებში სომხეთში „მცხეთის ჯვრის“ ტიპის ძეგლები ჯერ კიდევ არა გვაქვს! არ ვგულისხმობ საერთო ჯვრის მსგავს კუთხის ოთახებიან ტეტრაკონქს!

მინდა შევჩერდე ატენის სიონზე!

ატენის სიონი ქართლის გულშია, გორიდან 12 კმ-ზე. მდ. ტანას მარცხენა ნაპირზე, სოფლიდან საკმაოდ დაშორებული. ბატონი ვახტანგ ბერიძე წერს: „... ამ ტიპის ძეგლთაგან მცხეთის ჯვართან ყველაზე ახლო ეს ძეგლია – მისმა მშენებელმა, სომეხმა თოდოსაკმა, მორჩილად გაიმეორა ჯვრის გეგმა, ისე, რომ არც უფიქრია იგი ფუნქციურად მოერგო თავისი ნაკვეთისათვის. ხოლო ნაკვეთის პირობები ჯვართან შედარებით სულ სხვაა. ამიტომ ზოგი რამ შეუსაბამო გამოვიდა. მაგალითად, აქ ეკლესიას გზა დასავლეთიდან ადგება, ბუნებრივი იყო ტაძრის შესასვლელის აქედან გაკეთება, მაგრამ არ გაუკეთებიათ, რაკი იგი დასავლეთით არა აქვს ჯვარს (და არ შეიძლება ჰქონდეს, რაკი ამ მხარეს ხრამია); ამ მხარეს – კვლავ ჯვარის წამხედურობით – ნიშებიც არ არის. აქ აღმოსვლეთის მხარეს ფასადის წინ სულ ორიოდე ნაბიჯია (მერე ციცაბო კალთა იწყება), ასე რომ ფასადის სიბრტყეს მხოლოდ ძლიერი რაკურსით ვხედავთ...

...არქიტექტურის მხრივ ატენს ჯვარისაგან განასხვავებს პროპორციები (უფრო განიერი გუმბათის ყელი, რაც მეტი მასიურობისა და სიმძიმის შთაბეჭდილებას ქმნის); ამას გარდა აქ არ არის შენობის შემადგენელი მასების ის მკაფიო დიფერენციაცია, ძირითადი ფორმებისა და ხაზების მკაფიობა, რომელიც ჯვარს ახასიათებს. ატენის სიონი მაინც უეჭველად ტოვებს მხატვრულ შთაბეჭდილებას, რაც იმით აიხსნება, რომ თვით ტიპი შენობისა ზედმიწევნით შემუშავებული და ჰარმონიულია. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილებაა შიგნით – ამას ხელს უწყობს აგრეთვე XI ს-ის მშვენიერი ფრესკები, შუა საუკუნეთა ქართული მონუმენტური მხატვრობის ერთი საუკეთესო ძეგლთაგანი.

დიდად საინტერესოა ატენის სიონის მრავალრიცხოვანი წარწერები – ქვაზე ნაკვეთი და საღებავებით შესრულებული. ბევრი მათგანი მნიშვნელოვან ისტორიულ ცნობას შეიცავს. (მაგ. ბუღა თურქის შემოსევის შესახებ, XI ს-ის მეორე ნახევარში ბაგრატ IV-ის დროს, ატენში ქალაქისა და ქულბაქთა აშენების შესახებ და სხვა)“.

ე.ი. მშენებელი და არქიტექტორი თოდოსაკი ვიპოვეთ! რა წყაროებიდან მოიპოვა ბატონმა ვახტანგ ბერიძემ თოდოსაკის სახელი? საყურადღებოა, რომ მას ეროვნებაც თან ახლავს, ბატონი მეცნიერი გარკვევით სწერს: „... სომეხმა თოდოსაკმა მორჩილად გაიმეორა...“ (გვ. 108) ახლა მინდა ჩემი მკითხველის თანდასწრებით ვნახო ატენის სიონზე რას სწერს ბატონი შალვა ამირანაშვილი: „გორიდან 8კმ-ის მანძილზე აგებული ატენის სიონი ჯვარის თითქმის ზუსტ პირს წარმოადგენს. დამახასიათებელია, რომ ატენს ჯვარის მსგავსად, არა აქვს შესასვლელი დასავლეთის მხრიდან. ჯვარში ეს სავსებით გასაგებია, რადგან შენობის დასავლეთი ფასადი ზედ ციცაბო კლდეზე გამოდის. ატენში ერთადერთი ხელსაყრელი მისასვლელი ტაძართან სამხრეთის მხრიდანაა შენახული, ხეობიდან, რადგან დასავლეთის მხარე ძველად მთის კლდიან ფერდობზე აგებული ციხე-სიმაგრის ნაგებობით იყო დახურული. VIIს ატენის ტაძარი სამხრეთის კედელზე მოთავსებული ძველი სომხური წარწერის თანახმად, გადაშენებულია სომეხი ხუროთმოძღვრის თოდოსაკის მიერ IXს-ის პირველ ნახევარში (!). აღმოსავლეთის კედლის ერთ-ერთ რელიეფზე, ტაძრის მოდელით ხელში, გამოსახული ქტიტორის ვინაობა მიუთითებს, რომ ტაძარი აგებული ყოფილა ერისთავ სტეფანოზ II მმართველობის დროს.“

აქვე ბატონი შალვა ამირანაშვილი მიუთითებს გიორგი ჩებინაშვილის შრომას „Памятники типа Джвари“, Тб., 1948, გვ. 161.

ამ შემთხვევაში დასკვნა ერთია: ატენი აშენებულია VI-VII ს-ში, ჯვარის შემდეგ, ჯვრის ამშენებლის სტეფანოზ I-ის მემკვიდრე სტეფანოზ II-ის დროს. ახლა გასარკვევია როდის გადააშენეს მას, და ეს „გადამშენებელი“, ვინმე თოდოსაკი იყო თუ არა რეალური პიროვნება IXს-ის პირველ ნახევარში? მოვიშველიოთ ისტო-

რიული ქრონიკები: როგორც მითითებული სომხური წარწერა მიანიშნებს IXს-ის პირველ ნახევარს, – ყოვლად დაუშვებელია ქართულ მართლმადიდებლურ ტაძარზე სომხური წარწერის გაჩენა და სომეხი ხუროთმოძღვრის არსებობა, რადგან: სომხეთ-საქართველოს შორის უაღრესად გამწვავებული რელიგიურ-პოლიტიკური დაპირისპირებაა! არაბთაგან გაოხრებული და გაუდაბურებული საქართველო ხელახლა შენდება, მაშენებელნი კი... ტომით ქართველნი, სარწმუნოებით მართლმადიდებელნი არიან... ეს დრო გრიგოლ ხანძთელის და შემდეგ მისი მოწაფეების არსენ საფარელის, ეფრემ მაწყვერელის და სხვათა მოღვაწეობის დროა ბატონებო! ამდენად, ისტორიულად შეუძლებელია, რომ IXს-ის პირველ ნახევარში მომხდარიყო სომეხი ხუროთმოძღვრის მიერ ატენის სიონის გადაშენება. არსენი საფარელი თავის თხზულებაში სწორედ ამ პერიოდზე საუბრობს. გავყვეთ შალვა ამირანაშვილის მსჯელობას: „...ტაძრის აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლები უხვად შემკულია რელიეფებით; ცალკეული გამოსახულება მოთავსებულია აგრეთვე სხვა კედლებზეც.

რელიეფების სტილისტური ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს ეს გამოსახულებანი რამდენიმე ჯგუფად დავყოთ. ზოგი მათგანი ქვაზე ამოჭრის მანერისა და ფიგურების გადმოცემის სტილის მიხედვით სომხური ხელოვნების ძეგლებს უახლოვდება, მეორე ჯგუფი კი, უდავოდ, ქართველი ოსტატის მიერაა შესრულებული. ქართულ ჯგუფს ეკუთვნის ორი ირმის სიმბოლური გამოსახულება, რომელიც წყალს სვამს აუზიდან (ჩრდილოეთის შესასვლელი კარის ბალავერზე) და ნადირობის სცენა (ტაძრის დასავლეთ კედელზე), რომელიც სასანური ხელოვნების ძეგლებს მოგვაგონებს. აღმშენებელნი ტაძრის მოდელით ხელში, ფიგურული რელიეფი სამხრეთ აღმოსავლეთ კედლებზე, ჩრდილოეთ ფასადზე გამოსახული სამსონი, რომელიც ლომს ებრძვის და წინასწარმეტყველი აბაკუმი, რომელიც ანგელოზს მოჰყავს ორმოში მყოფ დანიელთან (დასავლეთ კედელზე), აგრეთვე დავით გარეჯელის მოწაფე ლუკიანე, რომელიც ირემს წველის, და სამსონის გამოსახულება ლომითურთ (ჩრდილოეთ კედელზე) სომხური ხელოვნების ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს“ (გვ. 130). ისტორიული წიაღსვლებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ერთ ტაძარში სხვადასხვა მრწამსის ხელოვანთ შეექმნათ და დაეტოვებინოთ თავიანთი ხელწერა, ხელოვნების ნიმუშები... და თანაც IXს-ის პირველ ნახევარში ისტორიულად შეუძლებელია. ღრმად პატივცემულ მეცნიერს ალბათ დაავიწყდა ელემენტარული ჭეშმარიტება მონოფიზიტური რწმენის დოგმატისა, რადგან... იგი საეკლესიო მხატვრობას არ სცნობს, არ აღიარებს! ამდენად, სომხები ეკლესიებს არ ხატავდნენ ბატონებო! არც ადრე და არც შემდეგ! მეცნიერმა, ან კიდევ „მეცნიერებმა“ შეგნებულად იცრუეს თუ... მართლაც არ იცოდნენ? ცხადია საქართველოს ისტორიაშიც ვერ ერკვეოდნენ ალბათ, და ამის შემდეგ უკვე როგორღა მოვთხოვოთ მათ ქართული სამოციქულო ეკლესიის ისტორიისა და რაც მთავარია მართლმადიდებელთა დოგმატის ცოდნა?

რაც შეეხება ქვაზე კვეთის, რელიეფებისა და ფიგურების გამოყვანას, ქართული ტაძრები უძველესი დროიდან იყო შემკული და არავითარ შემთხვევაში არ საჭიროებდა ქართული ეკლესია რწმენით განსხვავებული, თუნდაც ახლო მეზობლის დახმარებას! რაც დასწერეს ეს დაუდევრობა და ერის, ეკლესიის და მართლმადიდებლობის შეურაცხყოფაა, ბატონებო! დასკვნა კი ერთია: ატენის სიონი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის შეურყვნელი ძეგლია! და არა მონოფიზიტური! „მცხეთის ჯვარის არქიტექტურული კომპოზიცია ცნობილია სომხურ ხელოვნებაში. ამ ხანის სომხური ხელოვნების რამდენიმე ძეგლი, პირველი შეხედვით ჯვარს უახლოვდება, მაგრამ მათი ახლო შესწავლა გვიჩვენებს, რომ ისინი მხატვრულ ამოცანათა სულ სხვა, სომხური ეროვნული ხუროთმოძღვრების სულისკვეთების შესაბამის გადაწყვეტას იძლევიან. მასალის მხოლოდ ობიექტური შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს განვასხვავოთ ქართული და სომხური ხუროთმოძღვრება, გამოვავლინოთ ისტორიული სინამდვილე და სამუდამოდ ავიცილოთ თავიდან ამ საკითხისადმი ანტიმეცნიერული მიდგომა. დიუბუა დე მონპერეს ძველ თეორიას, რომელიც უარყოფს ქართული ხუროთმოძღვრების თვითმყოფადობას და მას სომხური ხელოვნების სახესხვაობად სთვლის (sich!) ჰყავდა მომხრეები, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში (ი. სტრიგოვსკი). ძირითადად ეს თეორია ეყრდნობა ჯვრის ტიპის ქართული და სომხური ძეგლების არასწორ ანალიზს.

ჯვრის ტიპის სომხური ხუროთმოძღვრების უძველეს ძეგლებს მიეკუთვნება ავანი, რომელიც ისტორიკოს სებეოსის ცნობების თანახმად აგებულია კათალიკოს იოანეს (ვითომცდა ქალკედონისტ-მართლმადიდებლის) მიერ 591-611 წლებში (მკითხველი ხვდება, რომ ამ წლებში სომხეთს ქალკედონიტი კათალიკოსი არ ჰყავდა და თანაც იოანე! ქართველთა და მართლმადიდებელთა მოძულე!). ტაძრის შიდა სივრცე – რომელსაც გეგმაში ტეტრაკონქის ფორმა აქვს და დამატებითი კუთხის კამარები – მოთავსებულია სწორკუთხედში. ამრიგად, გეგმის ძირითადი სქემა, მისი დანაწევრება მკლავებად კედლის მასივშია დაფარული. სქელი კედლების ბრტყელი ზედაპირი ფარავს შენობის შინაგან კომპოზიციას. ამ გარემოებამ აიძულა სომეხი ხუროთმოძღვარი შეემცირებინა სამხრეთ და ჩრდილოეთ აფსიდების სიდიდე.

იგივე პრინციპი უდევს საფუძვლად სომხური ხუროთმოძღვრების ამ ტიპის მეორე, მხატვრული თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვან ძეგლს – წმ. რიფსიმეს ტაძარს ეჩმიაძინის მახლობლად, რომელიც ისტორიკოს სებეოსის ცნობით აგებულია კათალიკოს კომიტასის მიერ 618 წელს. ცენტრალურ-გუმბათოვანი ჯვრის ტიპის შენობის ძირითადი არქიტექტურული ფორმები დაფარულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წაგრძელებულ სწორკუთხედ გეგმაზე ნაგები კედლების სისქეში. ფასადების კედლის სწორ ზედაპირს ღრმა ნიშები არღვევენ. ისინი ტეტრაკონქის აფსიდებს გამოყოფენ მკლავებს შორის შექმნილი გვერდის კამარებისაგან. სამხრეთისა და ჩრდილოეთის აფსიდები გაცილებით მცირეა, ვიდრე აღმოსავლეთისა და დასავლეთის. ორივე ძეგლი თავის მხატვრული თავისებურებით მკვეთრად განსხვავდება მცხეთის ჯვრისგან. ეს განსხვავება იმდენად დიდია, რომ ლაპარაკიც არ შეიძლება ქართულ-სომხური არქიტექტურის გენეტიკური ურთიერთობის შესახებ. რაც შეეხება იმგვარ შენობებს, როგორიცაა

ადამიანი, თარგმანჩაცი და სხვა... ისინი უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენენ ადრინდელი ძეგლების შედარებით გვიანდელ განმეორებას და ნაკლებ მაჩვენებელნი არიან მხატვრულ-ისტორიული ანალიზისთვის.

როგორც სომხურ, ისე ბიზანტიურ ხუროთმოძღვრებასთან „ნაკლები საერთო აქვს ქართული ხუროთმოძღვრების ჯვრის ტიპის ძეგლებს,. ქართული ხელოვნების აყვავების ხანა ემთხვევა ბიზანტიური ხელოვნების აყვავების ხანას – იუსტინიანე კეისრის მმართველობის დროს. ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ცენტრალური ძეგლი – წმ. სოფიის ტაძარი – წარმოადგენდა ბიზანტიის იმპერატორის სამეფო კარის ეკლესიას და კონსტანტინოპოლის პატრიარქის მთავარ სამლოცველოს. ამ ნაგებობის მხატვრული და არქიტექტურულ-კონსტრუქციული ანალიზი ადგენს ორი ტრადიციის შერწყმას: ელინისტურ-რომაულის, რომელიც გამოსახულია შენობის ბაზილიკურ მონაცემებში, და აღმოსავლეთისას, რომელსაც ახასიათებს შენობის ცენტრში, კვადრატულ ფუძეზე მოთავსებული გუმბათი. ნ. ბრუნოვის მხატვრული გამოთქმით, აია – სოფიის ხუროთმოძღვრებმა თრალესელმა ანთიმიოსმა და მილეთელმა ისიდორემ მაქსენციის ბაზილიკის ტიპის შენობაზე პანთეონის გუმბათი აღმართეს. სოფიის ხუროთმოძღვართა გენიალურ იდეას შეადგენდა ტაძრის შენობის ცენტრალური კვადრატის ორი მომიჯნავე განყოფილების გადახურვა ნახევარგუმბათებით, რომელთაგან – თითოეული თავისთავად გარშემორტყმულია მცირე ზომის ნახევარგუმბათებით. ამით მიღწეულია შინაგანი სივრცის სრული ერთიანობა, რადგან შენობის ცენტრში მოთავსებული გუმბათი ბატონობს ორ ნახევარგუმბათზე.

მაგრამ ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ამ უდიადესი ნაწარმოების ყველა დადებით მხარესთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აია-სოფიაში სათანადოდ არ არის გადაჭრილი შენობის ფასადებისა და საერთოდ გარეგნული მასის გაფორმების პრობლემა. მცხეთის ჯვარში კი შენობის შინაგანი გაფორმება განუწყვეტლად დაკავშირებულია მის გარეგნულ სახესთან; ამ შენობის მხატვრულად სრულქმნილი კედლები გამოირჩევა იმ დროის ხუროთმოძღვრების საერთო ფონზე. ამ ძეგლების მაგალითზე ცხადად ჩანს ღრმა პრინციპული განსხვავება ბიზანტიურსა და ქართულ ხუროთმოძღვრებას შორის.

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ისტორიული და მხატვრული ანალიზი საკმაოდ უარყოფს არამეცნიერულ თეორიას იმის შესახებ,. რომ ყველა იმ ხალხის ხელოვნება, რომელმაც მართლმადიდებლობა მიიღო, არსებითად წარმოადგენს ბიზანტიურ ხელოვნებას, უკეთეს შემთხვევაში განსხვავებულს რაიმე „პროვინციული“ თავისებურებით.

აგრეთვე უნიადაგოა უფრო ახალი თეორია, თითქოსდა სირიული ხუროთმოძღვრების გავლენა ქართულ ხუროთმოძღვრებაზე. ეს გავლენა არ ასცდა წმინდა გარეგნულ ხერხებს, როგორც მაგალითად, თლილი ქვის ხმარება, ცალკეული, საერთოდ დეკორატიული მოტივების გამოყენება და სხვა. მაგრამ აქაც დიდ განსხვავებას აქვს ადგილი. იმ დროს, როდესაც სირიულ ხუროთმოძღვრებაში ძირითად საამშენებლო მასალად გამოყენებულია მუქი ბაზალტი, ქართული ხუროთმოძღვრების საყვარელ მასალას საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენს გლუვად თლილი კირქვა, ან ბაცი და თბილი ტონების ქვიშაქვა. საქართველოში უძველესი დროიდან აშენებდნენ ქვით მოპირკეთებულ თაღებს და დუღაბის კედლებს, სირიაში კი უმთავრესად გავრცელებულია დიდი მთლიანი ქვის ფილებით გადახურვა“.

როგორც ვნახეთ, ღრმად განსწავლულმა მეცნიერმა საფუძვლიანად მიმოიხილა ქართული, ბიზანტიური, სომხური და სირიული ხუროთმოძღვრება. თითოეული მათგანი თვითმყოფადია და საკუთარი გზით და საკუთარი ეროვნული ტრადიციების საფუძველზე განვითარდა. ამდენად, არამეცნიერულია მტკიცება, რომ რომელიმე მათგანი რომელიმე მათგანის, ე.ი. სხვის სახეს იმეორებს. ქართულს, ბერძნულს, სირიულს, სომხურს მხოლოდ მისეული, განუმეორებელი სახე აქვს და არასერიოზული იქნება და არის იმის მტკიცება, რომ ქართული ხუროთმოძღვრება არ არსებობს... ამის უპირველესი დამამტკიცებელია ჯვარი! ჯვრის შემდეგ სტეფანოზ I-ის მემკვიდრის, სტეფანოზ II ერისმთავრის მიერ აშენებულია წრომის ტაძარი 626-634 წლებში. წრომის ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების კიდევ ერთი და კიდევ ახალი საფეხურია. ტაძრის გუმბათის დადგმით „შენობის ცენტრალურ ნაწილში, განსაკუთრებით გამოყოფილ სვეტებზე იწყება სივრცის შინაგანი გაფორმების პრობლემის გადაწყვეტის მეორე ეტაპი (გ. ჩუბინაშვილი ასე უწოდებს). მეცნიერთა ნაწილი (ტურმანინი, ბანქუზა) წრომს პარალელებს უძებნის სირიასა და სომხეთში. მიუხედავად მათ მიერ წამოყენებული თეზისებისა, წრომის კონსტრუქციაში, სადაც ხუროთმოძღვარმა გუმბათი მოათავსა ოთხ, შენობის ცენტრში სპეციალურად მოთავსებულ საერთო სივრცესთან ჰარმონიულად შერწყმულ სვეტზე, ფასადების (აღმოსავლეთი და დასავლეთი) ორიგინალურმა გაფორმებამ, მასში ორნამენტული სამკაულის გამოყენების პრინციპმა ქართულ ხუროთმოძღვრებაში შემოიტანა ის ძირითადი ელემენტები, რომლებმაც საფუძველი დაუდო შუა საუკუნეების ქართული ეროვნული, დიახ, მხოლოდ ეროვნული ხუროთმოძღვრების განვითარებას და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებულია წრომის მოზაიკური მხატვრობა, რომელიც ქრისტიანული მხატვრობის ჩვენამდე მოღწეული უძველესი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია.

ახლა რაც მთავარია, და რაც ძალიან აინტერესებს ჩემს მკითხველს: „სომხეთში ამავე ხანაში იგება შენობები, რომლებიც გეგმით წრომის მსგავსია, მაგრამ ამასთანავე მათში დაცულია ეროვნული (სომხური) სტილის ნიშნები. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა წმ. გაიანეს (630-636წ.წ.), ბაგავანის (631-639), მრენის (639-640) და ოძუნის (VIIს) ტაძრები. აღნიშნული ძეგლების დეტალური შედარება წრომთან შემდეგ დაკვირვებას გვაძლევს: არც ერთ მათგანში არ არის გამოყენებული აღმოსავლეთის ფასადის შემკობა ღრმა ნიშებით, რაც ახასიათებს წრომს. სომხეთის ძეგლებში მნიშვნელოვნად შემცირებულია გუმბათის დიამეტრი, და გვერდის კედლები გაცილებით მეტადაა დაშორებული გუმბათისქვეშა კვადრატისგან ვიდრე წრომში... პატრონიკენის უქონლობა ტაძრის დასავლეთ ნაწილში, რაც დამახასიათებელია სომხური ძეგლებისათვის, სივრცის გაფორმების სულ სხვა სისტემას ჰქმნის, ვიდრე წრომში. სომხური ხელოვნების ძველი ტრადიციის თანახმად

ყველა ზემოთჩამოთვლილი შენობების აფსიდები მოთავსებულია სწორკუთხედის კედლების სისქეში და ფასადზე არ არსებობს სპეციალური ნიშნები ქართულ არქიტექტურას რომ ახასიათებს. ყველა სომხურ ეკლესიაში გუმბათი მოთავსებულია არა შენობის ცენტრში, არამედ უფრო ახლო მის დასავლეთ ნაწილთან, რაც სომხური ხუროთმოძღვრების მტკიცე, მრავალსაუკუნოვან ტრადიციას შეადგენს.“

და ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი არქიტექტურული დეტალების სხვაობაა ჩემო მკითხველო, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მასზე მთელი მონახაზის აგება შეიძლება!!.

თვალსაჩინოებისთვის მოტანილი ამონარიდებით შევეცადე მკითხველისთვის დამესაბუთებინა ზოგიერთი ვაი-მეცნიერის არამეცნიერული თვალსაზრისის არამარტო არასერიოზულობა, არამედ სრული უსუსურობაც, რადგან ქართული ჯვრის ტიპის ტაძრები ეროვნული ტრადიციების მკვიდრ საძირკველზე დგას და არამარტო არაფრით არ ემსგავსება სომხურს, ბიზანტიურს და სირიულს, არამედ მკვეთრად განირჩევა თითოეულისგან საერთო კომპოზიციითა და როგორც უკვე მოგახსენეთ არქიტექტურული გადაწყვეტით და თვალთახედვით. რაც შეეხება მაცხოვრის ჯვარს, ის ყველასთვის ჯვარია, და თუ უცხოელი ხუროთმოძღვარი შეეცადა წარმოსახვით წაეღო თავის ქვეყანაში ჯვრისებური მონახაზი, ამას ვერც შეეწინაღმდეგებოდნენ არამარტო მაშინდელი ქართველი ხუროთმოძღვრები, არამედ ერისმთავრებიც!.. რაც მთავარია ჯვრის ტიპის ტაძრები სხვა ქრისტიანული ქვეყნებისგან განსხვავებით პირველად საქართველოში აშენდა და ეს იყო ხუროთმოძღვრების გენიალური მიგნება! აშენების დრო და სხვა ცნობები რომ დაცული არ ყოფილიყო თვითონ ტაძართა კედლებსა და სხვა ისტორიულ წყაროებში, ცხადია ამ „პირველობას“ ზოგიერთი ვაი-ქართველი და ასევე ვაი-სომეხი მეცნიერი არავის დაანებებდა სომეხთა სასარგებლოდ და ისეთივე სამარცხვინო საქციელის მოწმე გავხდებოდით, როგორც „ატენის სიონზე“, სადაც, დანამდვილებით შეიძლება ითქვას XVII ან XIX საუკუნეშია ტაძარი გადაშენებული ვინმე თოდოსაკის მიერ და იმ ეპოქის შესაფერისი სომხური წარწერაც აქვს ჩადგმული! დიახ! ბატონებო, არაუადრეს და არაუგვიანეს XVII ან XIX საუკუნით უნდა დავათარიღოთ ეს ვანდალური ქმედება ატენის სიონზე, როცა აბსოლუტურად განსხვავებული სარწმუნოების და ეროვნების ხუროთმოძღვარი ასრულებს ვინმეს ან საკუთარ სურვილს და სხვისი სარწმუნოების ტაძარს უკეთებს გადაშენება – რესტავრაციას და წარწერით კი უკვდავყოფს თავის სამარცხვინო, ყაჩაღურ, მიმტაცებელ სახელს და ეროვნებას, რაც ხაზს უსვამს მის რწმენას! XVII საუკუნეში როსტომ ხანის ქართლში მეფობის დროს სომხებს, როგორც სპარსთა დასაყრდენ ძალას – დიდი უფლებები ჰქონდათ და რა თქმა უპირველესად გორსა და კასპში! ქართული ღარიბი ეკლესია, შევიწროებული და დათრგუნული, სრულიად უუფლებო გახლდათ. უფრო მეტიც... ეჩმიაძინმა ღია ბრძოლა გამოუცხადა მცხეთის საკათალიკოსოს და როდესაც ვერ შეძლეს მცხეთის საპატრიარქოს გასომხება, და ვერ დააკარგვინეს მართლმადიდებლური რწმენა, პატრიარქი ევდემონ დიასამიძე როსტომ ხანთან დაასმინეს, ამ დასმენის შედეგად კი... როსტომ ხანის ბრძანებით კათალიკოს-პატრიარქი, წმინდა მღვდელთმთავარი ევდემონი ჯერ მოკლეს და შემდეგ მიცვალებული ციხის თავიდან გადმოაგდეს! ევდემონ დიასამიძის მკვლელობა მონოფიზიტთათვის ჩვეულებრივი, რიგითი ქმედება იყო!.. ჩემს მკითხველს ალბათ ახსოვს IV-VII საუკუნეებში მართლმადიდებელთა წამება მათ მიერ! კათალიკოსის სიკვდილი მკაცრი გაფრთხილება იყო ყველა მართლმადიდებლისთვის! საქართველოში მწვავე რელიგიური ბრძოლა მიმდინარეობდა და უკვე მერამდენედ! მნიშვნელოვანია ერთი დეტალი – სომეხ მონოფიზიტებს ახლის აშენება არც უყვარდათ, არც სურვილი ჰქონდათ, დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და ამიტომ სიმოვნებით დაიწყეს ძველის მითვისება! ეს საქციელიც მათი რეაქციული ნაწილის ხელწერაა მილიონ ჩვეულებათა შორის გამოსაცნობი! და ამდენად ატენის სიონის „გადაშენება“ – არ წარმოადგენს რაიმე ახალ ნიშანთვისებას მათ ხასიათში, რაც გამომჟავნდა სომეხი თოდოსაკის სახით! რაც შეეხება მხატვრობას, რომლის მითვისებასაც სომხები ქართველი მეცნიერების მეშვეობით ცდილობენ, ეს კი ნამდვილად შეუწყნარებელია, რადგან... მონოფიზიტებმა, როგორც შემდეგში ღიად ხატმებრძოლებმა, ხატწერა არიოზის დროიდანვე უარყვეს!.. ეს ცნობა არავისთვის არ არის ახალი და ისტორიკოსებმა ბრწყინვალედ იციან; მათი ტაძრები ყოველთვის მოუხატავი იყო, ხატებს ოფიციალურად არ ცნობდნენ! ამდენად სრულიად უსაფუძვლო და არასერიოზულია მტკიცება, რომ ატენის სიონი IX ს-ის პირველ ან თუნდაც II ნახევარში სომხური ხატწერის „ბრწყინვალე“ ნიმუშებითაა დამშვენებული! არა, ბატონებო! სომხეთში ხატმწერები საერთოდ არ არსებობდნენ, არ ჰყავდათ! ნუ შეეცდებით დაიჭიროთ კატა იმ ბნელ ოთახში, სადაც არ არის, არც ყოფილა, და უბრალოდ არც შეიძლება იყოს! მსგავსი ბრიყვული საქციელი კი ყოველთვის შეურაცხყოფს, შეარცხვენს და უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებს ნებისმიერ განათლებულ და კეთილშობილი თვისებებით დაჯილდოებულ სომეხს!

* * *

ახლა ისევ მტკივნეულ თემას მივუბრუნდეთ: საქართველოს სამხრეთ ნაწილში, კერძოდ ტაოსა და კლარჯეთში ჯვრის თანადროულად, ან კიდევ ცოტა ადრეც, და შემდეგ, მომდევნო ხანაშიც არაბთა შემოსევამდე განუწყვეტლივ შენდებოდა ტაძარ-მონასტრები! სწორედ ტაო-კლარჯეთი იქცა საქართველოსთვის უდიდეს საგანმანათლებლო ცენტრად, როგორც ძველი ჰაგიოგრაფები მოიხსენებენ „სხუად ათინად!“ ამდენად, შეუძლებელია ჩვენი წმინდა მამების ნამოღვაწარის წაშლა, ამოფხეკა და ამოგლეჯა ისტორიული წყაროებიდან, ბატონებო! ასევე ძველქართულ ისტორიოგრაფიაში კლარჯეთის მხარეს, სადაც განფენილი იყო 12 უდიდესი წმინდა სავანე, „სინაის“ უწოდებდნენ, ჩემმა მკითხველმა კარგად იცის ბიბლიიდან, რომ სინას მთა წმინდა ადგილად ითვლებოდა და ითველბა დღესაც! სინას მთიდან მიიღო ებრაელმა ხალხმა ათი მცნება! ამას გულისხმობდნენ შუა საუკუნეების ქართველი განმანათლებლები კლარჯეთის „სინას მთაში“, რადგან სწორედ კლარჯეთის თორ-

მეტმა წმინდა სავანემ აანთო მწიგნობრობის, კაცობრიობის ნათელი სიცოცხლისთვის მონიჭებული წმინდა ლამპარი. კლარჯეთის წმინდა სავანეები იქცა ეროვნულ-პოლიტიკური ბრძოლის მედროშედ. სწორედ კლარჯეთის სავანეებში დაიბადა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების წმინდა იდეა და განხორციელდა კიდეც და აი ისინიც: ხანძთა (ფორთა), პარეხი, ოპიზა, მიძნაძორი, ბარეთელთა, მერე, ჯმერკი, ბერთა, დაბა, დოლისყანა, შატბერდი, წყაროსთავი – ისეთივე წმინდა ქართული სავანეებია, როგორც მცხეთა და გელათი, ნიკოფსია და გიში! ტაოში კი : ბანა, ოშკი, ხახული, იშხანი, ექექი, კალმახი, ტაოსკარი... ტაოელთა მხარე, გორგასლის აშენებული და დამშვენებული არაბთა შემოსევებმა გაავერანა და „მის ჟამისა კაცთათვის მიუვალ ქმნილ იყო“!!..

VII საუკუნეში იავარქმნილი ტაო-კლარჯეთი წმინდა მამებმა, გრიგოლ ხანძთელმა და მისმა მოწაფეებმა VIII-IX საუკუნეებში ფერფლისგან აღადგინეს!

თუ გადავინაცვლებთ ისტორიის სიღრმეში, ვნახავთ, რომ ჯერ კიდევ IV საუკუნის დასაწყისიდან სპარსეთი ყოველ ღონეს ხმარობდა ამიერკავკასიაში საკუთარი პოზიციების გასამყარებლად. ამიერკავკასიის ძირითადი ქვეყანა საქართველო იყო. ქართული ეკლესია რომ ვერ მიიმხრო, სპარსეთი ცდილობდა სომხური ეკლესია გამოეყენებინა ქართველთა დასათრგუნად და დასამორჩილებლად... როგორც ვიცით ამ ხერხმაც ვერ გასჭრა, რადგან... საქართველოს V საუკუნეში უფლის მადლით მხსნელად მოევლინა ვახტანგ გორგასალი და ჩვენ კარგად ვიცით, რომ საეკლესიო რეფორმაც გორგასალმა მართლმადიდებლური რწმენის გადასარჩენად და გასაძლიერებლად ჩაატარა: „ანტიოქიელმან პატრიარქმან აკურთხნა თორმეტი ეპისკოპოსი და პეტრე კათალიკოსად... ხოლო მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლესია, მოციქულთა სუეტი ცხოველი, და უპყრა სუეტს შინა სამხრით ადგილსა მას, სადა იგი დაცემულ იყო ეკლესია რომელ არს სიონი დიდი, და მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად მცხეთასვე საეპისკოპოსოსა და დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს! ეკლესიასა ახიზისასა, ერთი არტაანს – ერუშეთს; ერთი ჯავახეთს – წუნდას! ერთი მანგლისს, ერთი ბოლნისს, ერთი რუსთავს, ერთი ნინოწმინდას, ერთი უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღეშენა, ერთი ჭერემს მისსავე აღშენებულსა და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი – იგი მანვე აღაშენა, ერთი ჩელეთს, რომელი სოფელსა შუა აღაშენა, ერთი ხორნაბუჯს და ერთი აგარაკს, რომელ არს ხუნანს გამართებით. შემდგომად მისსა აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასვა ეპისკოპოსი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 198-199;).

„...ვახტანგ გორგასალმა ნამდვილად გააერთიანა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო V საუკუნის 60-70-იან წლებში...“ (Д.Л.Мусхелишвили, Некоторые проблемы источниковедческой критики – მაცნე, ისტორიის სერია, 1986, №3, გვ. 67-70,).

საქართველოს სამხრეთ ნაწილში, კერძოდ ტაო-კლარჯეთსა და ისტორიულ ქვემო ქართლში, გუგარეთში (რომელსაც სომხებმა გუგარქი შეარქვეს) რომ ოდითგანვე ქართული ტაძარ-მონასტრები შენდებოდა ქართული აბორიგენი მოსახლეობის ხელით, ამაზე სომხური ისტორიული წყაროებიც მეტყველებს: „VII ს. ანონიმურ სომხურ გეოგრაფიაში ნათქვამია: გუგარქი მდებარეობს უტის (ე.ი. უდის) დასავლეთით და შედგება ცხრა გავარისაგან, რომლებიც უჭირავთ ქართველებს: ძოროფორი, წობოფორი, კოლბოფორი, ტაშირი, თრიალეთი, კონგარქი, არტაჰანი, ჯავახქი, კლარჯქი...“ (ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 88).

მოვუსმინოთ ივანე ჯავახიშვილს: „... ვახტანგ გორგასალის მეფობაში გუგარეთი წინანდებურად იბერიის სამეფოს საზღვრებში შედიოდა, მაგრამ მარტო პოლიტიკურად კი არა, არამედ საეკლესიო წესწყობილების მხრივაც იგი საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა: როგორც VI საუკუნის დამდეგს მომხდარ საეკლესიო კრების მონაწილე მღვდელთმთავართა სიიდან ჩანს, ბოლნისის, ცურტავის და რუსთავის საეპისკოპოსები მცხეთის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ. გუგარეთის საქართველოსთან დაკავშირების სიმტკიცე და მისი განუყრელი კუთვნილება შემდეგში მომხდარმა უბედურებამაც გამოააშკარავა, როდესაც სპარსთა მიერ დაახლოებით 537 წ. აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა ძალმომრეობით მოსპობილ იქნა და ქვეყანას თვით სპარსთა შაჰები დაეპატრონენ, ასეთ უკიდურეს გაჭირვებისა და პოლიტიკური ბედის უკუღმართობის დროსაც გუგარეთი საქართველოს საზღვრებში შედიოდა. მეშვიდე საუკუნის დამდეგსაც, როცა ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოებრივი უთანხმოება და მტრობა ჩამოვარდა, რომელიც ამ ორი ეკლესიის სრული განხეთქილებით და განშორებით დამთავრდა (ამ საკითხში ვერ დავეთანხმებით დიდ მეცნიერს, რადგან ისტორიულმა დოკუმენტებმა ცხადყო, რომ ქართული და სომხური ეკლესიები ჯერ კიდევ ნიკეის 325წ. და შემდეგ კონსტანტინოპოლის II და ბოლოს ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრებებმა საბოლოოდ გათიშა ერთურთისაგან – დ. მ.), იგი (ე.ი. გუგარეთი) კვლავინდებურად ქართულ ეკლესიას ეკუთვნოდა. საქართველოს ამ პოლიტიკური დაკნინებისა და განსაცდელის ხანაშიც რომ გუგარეთი მართლაც კვლავ საქართველოს ეკუთვნოდა, სულიერად და პოლიტიკურად მასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, ამას თვით სომხურივე მეშვიდე საუკუნეში შედგენილი საისტორიო გეოგრაფიაც ცხადად ამტკიცებს. აქ პირდაპირ ნათქვამია, რომ ეს ქვეყანა ამ დროს ქართველების ხელში იყო“ (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, გვ. 18).

გუგარეთი, ე.ი. სომხურად „გუგარქი“ – ქართველთა ქვეყანაა V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ლაზარ ფარპეცის თხზულებებში დაცული ცნობებით: „ქართველთა ქვეყნიდან წავიდნენ ბდეშხი აშუშა და ქვეყნის სხვა ტანუტერები“. ქართველთა ქვეყანაში ამ შემთხვევაში გუგარეთის საპიტიახშო იგულისხმება (ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 218).

გუგარეთის და საერთოდ ქართული ეკლესიის სომხურ ეკლესიაზე დამოკიდებულად წარმოგვიდგენს მხოლოდ ორი წყარო „უძველესი ხანისათვის აგათანგელოსისა და – ფავსტოსისა, და VI ს-ის დამლევისათვის იოანე კათალიკოსისა და უხტანესისა. ფაუსტოსის ცნობა დამოუკიდებელ მოწმობას არ წარმოადგენს, არამედ იმავე აგათანგელოსის თხზულებაზეა დამყარებული და გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების არაბულის

მსგავსი რედაქცია უნდა ჰქონდეს საფუძვლად, რომელშიაც გრიგოლი სომხების გარდა ქართველთა, ალბანელთა, აფხაზთა, თვით დურძუკთა და მასქუთთა გამაქრისტიანებლადაც არის გამოყვანილი. სწორედ ამ ორსავე ცნობაში მოხსენებული „მასქუთნი“ საუკეთესოდ ამჟღავნებენ ფაუსტოსის მოწმობის ამ წყაროსა და სადაურობას. აგათანგელოსის სახელით ცნობილი ნაწარმოები კი, როგორც აღნიშნული გვქონდა, სახელნატყუარ VIს. ტენდენციურ თხზულებას წარმოადგენს, რომელშიაც ისტორიული სინამდვილის ნიშანწყალიც კი არ არის. ამ ცნობას ისეთივე ღირებულება აქვს, რა ღირებულებისაცაა ამავე აგათანგელოზის ცნობა გრიგოლის მთელი კავკასიის განმანათლებლობის შესახებ. ცხადია, ასეთ მოწმობაზე დამყარება არ შეიძლება(!).

ახლა განსახილველია იოანე კათალიკოსის და უხტანესის ცნობები კვირიონის შესახებ... საბედნიეროდ, თანამედროვე მკვლევარს სრული საშუალება აქვს იოანე კათალიკოსისა და უხტანესის ამ ცნობათა სისწორე შეამოწმოს იმ მიწერ-მოწერის წყალობით, რომელიც „ეპისტოლეთა წიგნშია“ დაცული. სწორედ ამ მიმოწერიდან ჩანს, რომ სომეხთა ეკლესიის მესაჭე – პატრიარქის წოდებულების მქონელი არ ყოფილა... სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან თვით მსოფლიო ეკლესიის პატრიარქებიც კი VII საუკუნემდე თავიანთ თავს იშვიათად თუ უწოდებდნენ პატრიარქს, არამედ მხოლოდ VIII-IX სს ხდება ეს სახელი ჩვეულებრივ წოდებულებად...

კვირიონ კათალიკოსი რომ მართლაც სომეხთა კათალიკოსისგან ყოფილიყო ხელდასხმული და ნაკურთხი, როგორც იოანე კათალიკოსი და უხტანესი ამბობენ, წარმოუდგენელია, რომ ეს გარემოება სომეხთა ეკლესიის მმართველი წრეების წარმომადგენლებს ან თვით აბრაამს გამწვავებული კამათისა და მიწერ-მოწერის დროს მაინც არ წამოეყვედრებინათ, ჩვენი ნაკურთხი ხარ და ასეთი უმადურობა კი გამოიჩინეო. ამასთანავე კვირიონი რომ სომეხთა კათალიკოსისგან იერარქიულუფლებრივად დამოკიდებული ყოფილიყო, აბრაამ კათალიკოსის მოქმედებაც ქართველთა კათალიკოსის წინააღმდეგ სხვანაირი იქნებოდა, აბრაამს შეეძლო კვირიონი გადაყენებულად გამოეცხადებინა. არაფერი ამის მსგავსი კი აბრაამის უკანასკნელ მრგვლივმოსავლელ ეპისტოლეში არ არის და ეგ გარემოებაც კათალიკოსის უფლებრივად დამოკიდებულების დებულებას მეტად სათუოდა ხდის“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზ.I, გვ.366-367). ამავე საკითხზე ლოგიკური დასკვნა გააკეთა ეპისკოპოსმა ანანია ჯაფარიძემ: „ქართული ეკლესია სომხურზე იერარქიულად დამოკიდებული რომ არ ყოფილა არც IV-V და არც VI-X საუკუნეებში, ეს გამოარკვია ივ. ჯავახიშვილმა. ბერძნული საპატრიარქოები VI-X საუკუნეებში შეეცადნენ ქართული ეკლესია იერარქიულად მათზე დამოკიდებულად წარმოესახათ, რასაც კერძოდ ასახვა უპოვია ანტიოქიაში შედგენილ „ხრონოღრაფში“ (ეპ. ან. ჯაფარიძე, გვ. 318). როგორც ვხედავთ სომხური „ეპისტოლეთა წიგნი“ ერთადერთი წყაროა, რომელიც შეეცადა შეეცვალა ისტორიული სინამდვილე და ყალბი, თვითნებურად შეთხზული ამბებით ტენდენციურად წარმოედგინა, რომ (თურმე) ქართული ეკლესია იერარქიულად დამოკიდებული იყო IV-VII სს-ში სომხურ ეკლესიაზე. აღნიშნული ფაქტი არც ერთი ისტორიული წყაროთი არ მტკიცდება... ამდენად, ცხადია უზნეო მიკერძოებას აქვს ადგილი და ესეც გასაგებია, რომ სპარსული ქრისტიანობა (ე. ი. სომხური ეკლესია), როგორც მონოფიზიტებს ეძახდნენ, როგორც მრავალგზის აღვნიშნე უკვე V-VI საუკუნეებიდან გამდიდრდა სპარსეთის შაჰების ხელშეწყობით და ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა ირანის იმპერიის ძლევამოსილების ხანაში, მაგრამ მიუხედავად ამ ძლიერებისა ქართულმა ეკლესიამ აბსოლუტურად შეუბილწავად დაიცვა და შეინარჩუნა თავისი მართლმადიდებლური მრწამსი; ამდენად, გაუგებარია ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – სომეხთა კათალიკოსი, ნერსე III-დ წოდებული როგორ აღმოჩნდა ქართულ მონასტერში? ქართველი მეცნიერები ზუსტად, სიტყვა-სიტყვით იმეორებენ სომხური წყაროს თარგმანს, რომ: „იშხნის ტაძარი აგებულია VII ს-ის 30-იან წლებში ეპისკოპოს ნერსეს მიერ, რომელიც იყო წარმოშობით სომეხი, რწმენით ქალკედონიტი, და რომელიც შემდეგ სომეხმა ეპისკოპოსებმა აირჩიეს სომხეთის კათალიკოსად. იგი კათალიკოსის ტახტზე იჯდა ნერსე III-ის სახელით! იმდენად ბრიყვული ტყუილია, რომ იტყვიან მკვდარსაც გაეცინება! VII საუკუნის 30-იანი წლები – 630 წელია! ჩვენ კარგად ვიცით, რომ აღმოსავლეთ საქართველოში სპარსეთმა მეფობა გააუქმა 537 წელსს! „ქვეყანას სპარსთა შაჰები დაეპატრონნენ“ (ივ. ჯავახიშვილი). დაახლოებით 100 წლის მანძილზე საქართველო და ქართული ეკლესია უკიდურეს შევიწროებას და დევნას განიცდიდა სომხური ეკლესიისაგან! ამ პერიოდში გაუკეთდა სომხური რედაქცია „ქართლის ცხოვრებას“ და მთელი წინა პერიოდი საქართველოს ისტორიისა ძვ.წ. Vს-დან ახ.წ. VIII საუკუნემდე სომხური ისტორიის თარგზე გამოიჭრა სომეხი ყალბის მქმნელი ან კიდევ ვაი-ქართველი ისტორიკოსების წყალობით! ქართლის ცხოვრებიდან დაიკარგა საქართველოს წარსული დიდების ისტორიული ფურცლები, რომლებიც ლათინურმა, ბერძნულმა და ებრაულმა ისტორიამ შემოგვინახა, „ქართლის ცხოვრებაში“ კი ჩაიწერა გაუგონარი და ამაზრზენი ბრალდება ქართველებზე და ამ ძნელბედობის პერიოდში სრულიად გაუგებარია IV საუკუნიდანვე არიანული – მონოფიზიტური მრწამსის სომხურ ეკლესიას ქალკედონიტი ეპისკოპოსი დაენიშნოს მონოფიზიტური ეკლესიის მწყემსმთავრად! ეს ფაქტი არამარტო გაუგებარია, აღმაშფოთებელია! უფრო მეტად აღმაშფოთებელია, იმიტომ, რომ ქართველი მეცნიერები, ისეთი დიდი მეცნიერები, როგორებიც შალვა ამირანაშვილი და ვახტანგ ბერიძე იყვნენ, ისტორიული წყაროების სრულიად გამოუძიებლად და შეუსწავლელად იღებენ სომხური წყაროს მიერ მოწოდებულ ყალბ ცნობას!

იშხნის ტაძარი ტაოს ქვეყნის კათედრალური ტაძარი იყო ვახტანგ გორგასლის დროიდანვე, ან კიდევ სავარაუდოა, რომ „ჯვრის“ თანადროულადვე სტეფანოზ I-ის ან სტეფანოზ II-ის მიერ იყო აქ აშენებული დიდი ზომის ეკლესია, რომლის მხოლოდ ნანგრევები დახვდა გრიგოლ ხანძთელს დაახლოებით 780 წელს... რატომ არ სურთ ისტორიკოსებს ნერსე III-ის სახელის უკან დაინახონ გრიგოლ ხანძთელის ბიძა, ქართლის ერისმთავარი, დიდი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე ნერსე

II, ადარნასე ერისმთავრის ძე? ადვილი დასაშვებია, რომ მისი, ან კიდევ ნერსე ერისმთავრის წინაპრის ხელშეწყობით აშენდა თავდაპირველად იშხნის ტაძარი! და არა სომეხი ეპისკოპოსის მიერ. „...ამ ეპოქის (ე.ი. VIIს) ქართული ხუროთმოძღვრების სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას მოწმობს სმხრეთ საქართველოს ძეგლებიც, განსაკუთრებით ორი შესანიშნავი საეპისკოპოსო ტაძარი იშხანი და ბანა, ორივე VII საუკუნისა (იშხნის ტაძარი შემდეგ IX-XI სს საფუძვლიანად გადაკეთეს, ბანასი კი ნანგრევების სახით დღესაც დგას); ეს ძეგლები მიეკუთვნება ტიპს, რომელიც აგრეთვე მხოლოდ საქართველოსა და სომხეთშია ცნობილი (სომხური მაგალითებია – ზვართნოცისა და გაგიკ მეფის ტაძრები). ესაა ტეტრაკონქი მრგვალი გარშემოსავლელით, რომელიც სალტესავით ეკვრის გარს ტეტრაკონქს.“ ეს ამონარიდი საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეორე ტომიდანაა 630-ე გვერდზე. რა შემპარავი სტრიქონებია... რბილი ტყუილი... ავტორი თავიდან იწყებს, რომ „ამ ეპოქის, ე.ი. VII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას მოწმობს!!. თურმე ის ტაძრები, რომლებიც მართლა აშენდა, ოღონდაც არა VII, არამედ V-VI საუკუნეთა მიჯნაზე კლარჯეთში, ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულ საეპისკოპოსოებში, ოღონდაც იშხანი და ბანა ნაცარტუტად აქცია არაბთა შემოსევებმა, იშხნისგან საკურთხევლის ნარჩენი დახვდა მხოლოდ გრიგოლ ხანძთელს, ბანასგან სამხრეთის კედლის ნანგრევები... ორივე ტაძარი თავიდან ააშენა მამა გრიგოლმა! თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა ნაწილი გრიგოლ ხანძთელის ღვაწლს უარყოფს!

მერჩულეს „მამა გრიგოლის ცხოვრებაში“ შავით თეთრზე არის მითითებული რომ: „ხანძთისკენ მიმავალმა წმინდა გრიგოლმა და საბამ გზად ტაოზე გამოიარეს და ღმრთისგან ეუწყათ კაცთაგან მიუვალ ადგილზე მდებარე იშხნის დანგრეული ეკლესიისკენ მიმავალი გზა. ასევე ის, რომ ეკლესია საბას ხელით უნდა აშენებულიყო. ტაძრის ნანგრევების პოვნით გახარებულ საბას უნდოდა იქვე დარჩენილიყო, მაგრამ მამა გრიგოლმა ურჩია ხანძთაში დაბრუნება და ძმების მონახულება.“ ეს ტექსტი თანამედროვე ქართულით არის გადმოღებული მერჩულედან. ისტორიულად ცნობილია, რომ იშხნის სავანის, რადგან ნერსეს მიერ აშენებული (თუ მართლაც ნერსეს, ოღონდაც ქართველის აშენებული იყო) ძველი ეკლესია მცირე იყო და დანგრეული საკურთხევლის გარდა, აღარაფერი იყო გადარჩენილი, ახალი ტაძარი მამა გრიგოლმა და საბამ ააშენეს დიდი აშოტ კურაპალატის შვილის, ბაგრატ I-ის შემწეობით. მგონი ამ ცნობაში გაურკვეველი არაფერია! როგორ გავიგოთ, ვერ ამოიკითხეს ჩვენმა ისტორიკოსებმა ეს ისტორიულად უმნიშვნელოვანესი ცნობა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში? თუ ამოიკითხეს, რატომ გააკეთეს ალოგიკური დასკვნა და უარყვეს წმინდა მამების ღვაწლი? არც ისეა ბატონებო საქმე, მიზანი ამართლებს საშუალებასო... და ეს სამარცხვინო, ჭუჭყიანი საქმეა, რადგან სომხურთან არავითარი მსგავსება არ გააჩნია იშხანს და თუ გააჩნია, ისიც იმდენი, რომ სომეხი ხუროთმოძღვრები, ამ შემთხვევაში ნამდვილად კარგი გაგებით (!) ცდილობდნენ გადაეღოთ, დიახ, ცდილობდნენ გადაეღოთ ბატონებო ის ამაღლებული სულიერება, რაც ქართულ ტაძრებში ასე ხიბლავს დღესაც მნახველს და რაც ასე გამოარჩევს სხვათაგან ქართულ ხუროთმოძღვრებას! ნერსე ერისმთავარი მოღვაწეობდა 781 წლამდე. იგი იყო ქართული ეროვნული პოლიტიკის გამტარებელი და სწორედ ამიტომ განიცდიდა დევნას არაბთაგან, და არამარტო არაბთაგან, სომხური ეკლესიისგანაც, რადგან არაბთა შემოსევების დროს სომხურმა ეკლესიამ კარგად მოახერხა არაბთა ამირების კეთილგანწყობის მოპოვება და ისევ ძველებურად თამაშობდა ჰეგემონის როლს ამიერკავკასიაში!

გავყვეთ ბატონ ვახტანგ ბერიძეს კვალზე, რადგან ჩვენთვის ძალიან საინტერესოა ტაო-კლარჯეთის ტაძრები: „საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინცია ტაოში VI ს-ში აშენდა ერთისა და იმავე ტიპის ორი მონუმენტური კათედრალი იშხანსა და ბანაში. მათი გეგმა ტეტრაკონქის თავისებური ვარიანტია, – ტეტრაკონქი მრგვალი გარშემოსავლელით. კონსტრუქციული თვალსაზრისით ეს ფრიად ორიგინალური და რთული შენობებია.“

გადავშალოთ ბატონ შალვა ამირანაშვილის სამეცნიერო ნაშრომი აღნიშნულ ტაძრებზე: VII ს-ის პირველი ნახევრიდან ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო, „გამომუშავდა ტეტრაკონქის ახალი ტიპი, რომელშიაც გაერთიანებულია გუმბათოვან ნაგებობათა პირველი და მეორე ჯგუფის ცალკეული ელემენტი...“

„...ამ ჯგუფის უძველეს, ზუსტად დათარიღებულ ძეგლთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს იშხანი. ეს ტაძარი აგებულია VIIს-ის 30-იან წლებში ეპისკოპოსის ნერსეს მიერ, რომელიც წარმოშობით იყო სომეხი, რწმენით ქალკედონისტი. შემდეგში ის განმწესებულ იქნა სომხეთის კათალიკოსად და ცნობილია ნერსე III-ის სახელით. ტაძარი მრავალგზის არის გადაკეთებული. IX ს-ის პირველ ნახევარში არაბთა დარბევის შემდეგ იგი განაახლა გრიგოლ ხანძთელის თანამოღვაწემ ქართველმა საბამ, ანუ საბამან. 1032 წელს ბაგრატ IV-ის დროს იგი კვლავ იქნა განახლებული და მოპირკეთებული. პირვანდელი ნაგებობიდან შენახულია საკურთხევლის აფსიდი, რომელიც სვეტებზეა დაყრდნობილი. ე. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ექსპედიციის მიერ შეკრებილი მასალების თანახმად, საბანის მიერ აგებული (იშხნის) ტაძარი წარმოადგენს ჯვრული ტიპის ნაგებობას, დაგრძელებული დასავლეთის მკლავით, შენობის ცენტრში აღმართული გუმბათით, რომელიც ოთხ განცალკევებულ სვეტზეა დაყრდნობილი. გადასვლა ფუძის კვადრატიდან გუმბათზე შესრულებულია კოვზისმაგვარი ტრამპების საშუალებით.“ მკითხველისთვის გარკვეულია, რომ საუბარია იმ ტაძარზე, რომლის ნანგრევებიცაა დღეს შემორჩენილი! რაც შეეხება არარსებულ, ვითომ სომეხი ნერსეს მიერ აგებულ ტაძარს, რისი ნანგრევებიც დახვდა გრიგოლ ხანძთელს, მეცნიერი აშკარად სომხური წყაროს მკაცრი ზეგავლენით სწერს: „...იშხნის პირვანდელი ფორმის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ეჩმიაძინის მახლობლად არსებული ზვარტნოცის ნანგრევების მიხედვით, რომელიც აგრეთვე აშენებული იყო იმავე ნერსეს III-ის მიერ 652-662 წლებში. არქიტექტურული ნაგებობის ეს ტიპი განმეორებული იყო მეფე გაგიკის მიერ წმ. გრიგოლის

ტაძარში (1001წ.), საქართველოში კი XIს. დასაწყისში (არაუგვიანეს 925 წ.) ბანაში.

გეგმით ყველა ეს შენობა წარმოადგენს უზარმაზარ ტეტრაკონქს, რომელსაც მრგვალი დერეფნის მსგავსი გარშემოსავლელი აქვს, რაც საჭირო იყო მთელი კონსტრუქციის სიმყარის შესაქმნელად."

შალვა ამირანაშვილის შრომაში ნათლად სჩანს, რომ იშხნის პირვანდელი ტაძრიდან ხელმოსაჭიდი არაფერი გადარჩენილა. იგი პირწმინდად დაუნგრევიათ არაბებს. ჩავხედოთ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტს, სადაც ნათლად სწერია, რომ ,,ხანძთისკენ მიმავალმა წმ. გრიგოლმა და საბამ გზად ტაოზე გამოიარეს და ღმრთისაგან ეუწყათ კაცთაგან მიუვალ ადგილზე მდებარე იშხნის დანგრეული ეკლესიისაკენ მიმავალი გზა..." აზრი სრულიად ნათელია, ძველი ეკლესიისაგან მხოლოდ ნანგრევები იყო დარჩენილი!

აქვე მინდა შევნიშნო, რომ ისტორიული პიროვნება ნერსე იშხნელი, ადვილი შესაძლებელია იყოს წარმომადგენელი იმ დიდი ქართული ფეოდალური ოჯახისა, რომელმაც ცნობილი იშხნელთა საგვარეულო მისცა საქართველოს და არა სომეხი ეპისკოპოსი ნერსე, რაც არცერთი და არავითარი ისტორიული ფაქტით არ დასტურდება!

საფუძველს მოკლებულია მეცნიერის ის აზრი, რომ დებულება, თითქოსდა იშხნის ტაძარი ,,განაახლა გრიგოლ ხანძთელის თანამოღვაწემ საბამ!" საბამ კი არ განაახლა იშხნის ეკლესია, არამედ თავიდან ააშენა იშხნის კათედრალი! და რომ ,,იშხნის პირვანდელი ფორმის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ეჩმიაძინის მახლობლად არსებული ზვარტნოცის ნანგრევების მიხედვით-ო..." აქაც დასკვნა არალოგიკურად მეჩვენება, რადგან კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო და აღვნიშნო უტყუარი ისტორიული ფაქტი, რომ გრიგოლ ხანძთელს და მის თანამოღვაწეს საბას – იშხნის პირვანდელი ტაძარი მთლიანად დანგრეული დახვდათ, და ამიტომ შეუძლებელია დღეს, 1200 წლის შემდეგ იმის მტკიცება, რომ ტაძარი აუცილებლად ზვარტნოცის მსგავსი იქნებოდა ან უნდა ყოფილიყო. ეს დებულება ისევ და ისევ კატის და ბნელი ოთახის საკმაოდ სასაცილო და უზნეო ეპიზოდს გვაგონებს და აქაც უაღრესად ნათლად არის გამოხატული ნიკო მარის გავლენა!. რაც მთავარია ვახტანგ ბერიძისგან განსხვავებით შალვა ამირანაშვილი ღიად მიანიშნებს, რომ: ,,ე. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ექსპედიციის მიერ შეკრებილი მასალების თანახმად საბანის (გრ. ხანძთელის თანამოღვაწე – დ.მ.) მიერ აგებული (იშხნის) ტაძარი წარმოადგენს ჯვრული ტიპის ნაგებობას..." ე.ი. დღეს და ე. თაყაიშვილის, თუნდაც ნ. მარის დროს არსებული იშხნის ტაძარი აგებულია გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის დროს საბას მიერ! და მას არავითარი კავშირი და სიახლოვე არა აქვს სომხურ ხუროთმოძღვრებასთან! ასევეა ბანას ტაძარიც! და არამარტო ბანას ტაძარი! მე უკვე გავახსენე ჩემს მკითხველს, რომ ხანძთელის მიერაა აშენებული და დამშვენებული ტაოს უდიდესი სასულიერო კერები: ბანა, ოშკი, ხახული, იშხანი, ექექი, კალმახი, ტაოსკარი და სხვა!.. რაც შეეხება ბანას ტაძარს, – დღემდე არ სურს ზოგიერთ მეცნიერს აღიაროს ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების განვითარების დამოუკიდებელი გზის არსებობა. არადა, ეს რომ ნამდვილად ასე იყო, თუნდაც ,,ჯვარი" კმარა! ჯვრის თანადროულად, მაგრამ ახლო პერიოდშივე წრომის შემდეგი საფეხური ქართულ ხუროთმოძღვრებაში იყო ახალი არქიტექტურული თემა – წრეში მოთავსებული ტეტრაკონქი ოთხ ბურჯზე დამყარებული გუმბათით! არც ისაა გასაკვირი, რომ აღნიშნული თემა ქართული ხუროთმოძღვრების თანადროულადვე ან ცოტა უფრო გვიან (მეცნიერთა აზრით) დამუშავდა საბერძნეთში, სირიაში და კიდევ უფრო მოგვიანებით ალბანეთში და სომხეთში.

გრიგოლ ხანძთელის აშენებული ტაძრების არქიტექტურული გადაწყვეტა, ოღონდაც განვითარებული და ზოგიც ოდნავ შემცირებული ფორმით, – მოცემული გვაქვს დღემდე სრულად და კარგად შემორჩენილ XI ს-ის I ნახევრის ოშკისა და კაცხის ხუროთმოძღვრებაში და სხვა დღემდე შემორჩენილ ქართულ ტაძრებში, რადგან ქართული ეროვნული ტრადიციით გუმბათი ყოველთვის შენობის მთავარი ღერძის ცენტრშია! რაც შეეხება ზვარტნოცს, იგი დანგრეულია, გაგიკის ტაძარი კი მოგვიანებით, ეროვნულ სომხურ ტრადიციებზე დამუშავებული ხუროთმოძღვრების ნიმუშია, სირიულ ხუროთმოძღვრებასთან უფრო ახლო მყოფი, ვიდრე ქართულთან.

სომხური ტაძრების მოხატულობას რაც შეეხება ადრე ვთქვი ორიოდე სიტყვა და ახლაც იმავეს გავიმეორებ, რომ რელიგიური მხატვრობით კედლების შემკობა ყოვლად დაუშვებელია მათი რწმენიდან გამომდინარე. აქ კიდევ ერთხელ გავიხსენებ ატენის სიონის მხატვრობას, რომლის მითვისებასაც ყოველგვარი საფუძვლის და საბუთიანობის გარეშე ცდილობენ სომეხი ვაი-მეცნიერები და ქართველებიც საკმაოდ განიცდიან მათ ზეგავლენას. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა ჩემი სათქმელი და მოგახსენოთ, რომ არიანული, ე.ი. მონოფიზიტური ეკლესია თავისი რწმენის თვისებებისგან გამომდინარე კრძალავდა ტაძრების შინაგანი სივრცის შემკობას ფრესკით ან მოზაიკით. ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ IV საუკუნიდანვე სომხური არქიტექტურის არც ერთი ძეგლი არ ფლობს ანტიკური ქრისტიანული ხანის და არც შუა საუკუნეების მხატვრულ ნიმუშებს! ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სომეხი ისტორიკოსი ასოღიკი მოგვითხრობს, რომ კათალიკოსი ვაჰანი (965-970წ.წ.) გადაყენებული და გაძევებული იქნა ახტამარში იმის გამო, რომ მან დაიწყო ეკლესიების შემკობა საქართველოდან შემოტანილი კანკელებითა და ხატებით (Всеобщая история, пер. Эмина, М., 1864, стр 126).

კედლის მხატვრობა შეიქმნა და განვითარდა საქართველოს მიბაძვით მხოლოდ XII-XIII ს-ში ქართველი ხუროთმოძღვრების მიერ აშენებულ, რამდენიმე ტაძარში მხოლოდ და იმ ტერიტორიაზე, რომელიც უშუალოდ ძველთაგან ეკუთვნოდა საქართველოს სამეფოს, როგორც თავისი რიგითი პროვინცია და მეფეთა კეთილგანწყობის შედეგად ნაწყალობევი ჰქონდათ (თმოგვი) მართლმადიდებელ მხარგრძელებს! ამდენად, დასკვნა ერთია, ქართველებმა კი არაფერი წაართვეს სომხებს, პირიქით, აღმაშენებლის დროიდან დაწყებული და ერეკლეს პერიოდით დამთავრებული, 900 წლის მანძილზე დღევანდელი სომხეთი, როგორც ქვეყანა, მხოლოდ ქართველთა სისხლით არის გადარჩენილი და ძღვნად მირ-

თმეული კეთილი მეზობლებისთვის და თუნდაც იმ სომეხ ვაი-მეცნიერთათვის, ასე თავგამოდებით რომ ამტკიცებენ ქართველთა „მიმტაცებლურ, იმპერიალისტურ“ ბუნებას!.. მართლაც რომ ასეთები ყოფილიყვნენ ქართველები, როგორ შეინარჩუნებდნენ სომხები სომხობას 900 წლის მანძილზე, გიფიქრიათ ბატონებო? ან იმ ქვეყანას, უფრო სწორედ იმ მიწა-წყალს, რომელიც დღეს სომხეთის რესპუბლიკაა? და რომელიც სწორედ 900 წლის მანძილზე საქართველოს საზღვრებს შიგნით იყო მოქცეული? ნუ დაგავიწყდებათ, ერეკლე II-ის დროის ჩათვლით!

* * *

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და ქართველი ხალხი უფლის გზას გადის ჯვარცმამდე, ამას მიუთითებს თუნდაც ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული წრომის ტაძრის მოზაიკური მხატვრობა, სადაც მაცხოვარი თავის მოციქულებს „აძლევს არა კანონსა და მშვიდობას, არამედ მიუთითებს თავის მისიასა და ვნებაზე, რომელიც მას მოელის!..“ დიახ ბატონებო! თამამად შეიძლება ითქვას, არც ერთ ქრისტიანულ ეკლესიას არ ჰყავს იმდენი თავგანწირული მოწამე, რამდენიც ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას. რწმენა სიცოცხლეზე ძვირფასი იყო ყოველი ქართველისთვის. რწმენამ გადაატანინა ქვეყანას სისხლისმღვრელი ომები სპარსეთთან, არაბებთან, მონღოლებთან, თურქ-სელჯუკებთან და ვინ იცის კიდევ ვისთან... 537წლიდან, როცა სპარსეთმა საქართველოში მეფობა გააუქმა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესია სომხური ეკლესიის მიერ დევნილი და შევიწროებული იყო საკუთარ ქვეყანაში, ანტიოქიის და იერუსალიმის სანახებიდან საქართველოსკენ დაიძრა 13 წმინდა მამა, იოანე ზედაზნელის სულიერი და ხორციელი წინამძღოლობითა და წმინდა სვიმეონ მესვეტის დალოცვითა და ხელდასხმით... ისინი ასურელი მამების სახელით დარჩნენ ისტორიაში, მაგრამ უმეტესი მათგანი სისხლით და ხორცით ქართველები იყვნენ, რწმენით კი ყველანი მართლმადიდებელნი. იყო 530 წელი! იბერიის პოლიტიკურ ცაზე ყოვლისმშთანთქავი ავი ღრუბელი აქრობდა ნათლის გამოსხივებას. 13 ასურელ მამას უფლისგან დიდი მისია ერგო წილად: ივერიის გადარჩენა მართლმადიდებელი ეკლესიის წყალობით! მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ ეს ის წლებია, როცა სომხური ეკლესია სპარსეთის დახმარებით ცდილობს ტაო და მისი ქართული მოსახლეობა მთლიანად ჩამოაშოროს დედა ივერიას და ხალხი სომხურ რწმენაზე გადაიყვანოს, რის შედეგადაც მათი ენაც სომხური გახდებოდა! სწორედ ამ წლებში ხდება ქართული წმიდა წერილის რედაქტირება სომხურის მიხედვით, რასაც არაერთგზის აღნიშნავს მარი და ლამის თავზე გადაგვახიოს ძველი ქართული წმიდა წერილი, რომელიც გიორგი მცირის ცნობით ძველადვე უთარგმნიათ ქართველებს ბერძნულიდან და ეს თარგმანება მოხდა ადრევე IV-V საუკუნეებში, იგივე წმიდა წერილი სომხურად შეასწორეს, ე.ი. რედაქტირება გაუკეთეს VI საუკუნეში სომხური რედაქციით! რატომ? ერთადერთი მიზეზის გამო... ქართული მოსახლეობა ნებით თუ ძალით გაექროთ ტაოსა და გუგარეთიდან! გაესომხებინათ! ამის დასტურია არამარტო არსენი საფარელის „განყოფისათვის“... არამედ სომეხთა კათალიკოსის მოსეს მიერ კირიონისადმი მიწერილი ეპისტოლეც: „... სცან იგი, რაც კავად მეფეთა-მეფის დროს იქმნა...“ (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 31).

არსენ საფარელის მიხედვით 551 წელს, ნერსე მიჯინის I კრებაზე ქართულ ეკლესიას ღიად დაუგმია სომხური ეკლესიის მონოფიზიტური მწვალებლობა! და ეს დაგმობა, ე.ი. ქართული ეკლესიის გაძლიერება – შედეგი იყო 13 წმინდა მართლმადიდებელი მამის მოღვაწეობისა! სომხეთის კათალიკოსები მოსე და აბრაამი, რომელთაც სპარსეთის შაჰები და აურაცხელი სიმდიდრე უმაგრებდათ ზურგს, რომ იტყვიან პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ ივერიელთა თავდადებითა და სიმტკიცით!

„კვირიონი სწერდა (სომეხთა კათალიკოსს) აბრაამს: „რომის მამამთავარი წმ. პეტრეს საყდარზე ზის, ალექსანდრიისა – წმ. მარკოზ მახარებლისაზე, ანტიოქიისა – წმ. ლუკა მახარებლისაზე, კონსტანტინოპოლისა – წმ. იოანე მახარებლისაზე და იერუსალიმისა – ძმისა უფლისა წმ. იაკობისაზე. რა სარწმუნოებაც მათ ჰქონდათ და ჩვენ და ჩვენს მამებს გადმოგვცეს და რასაც ჩვენ აქამომდე ვიცავდით, ამას ეხლა როგორ მივატოვებთ და თქვენ როგორ დაგიჯერებთ? და თუნდაც სხვა უამრავ მართლმადიდებელ ეპისკოპოზებს, მეფეებს, მთავრებსა და მთელ მართლმადიდებელ ქვეყნიერებას როგორ შეიძლება რომ თავი დავანებოთ და მარტო თქვენთან გვქონდეს ერთობა“-ო?

„რაკი ქალკედონიანობა მაშინდელ ხუთსავე საპატრიარქო ეკლესიას მართლმადიდებელ სარწმუნოებად ჰქონდა აღიარებული, ამიტომ კვირიონ კათალიკოსის აზრით სომხური ეკლესიის პრეტენზიები, ვითომც ჭეშმარიტი სარწმუნოება (მონოფიზიტობა) მხოლოდ მას (სომხურ ეკლესიას) ჰქონდეს დაცული, სრულებით უსაფუძვლო იყო“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზ. I, გვ. 423).

ერთადერთი, სომხურმა ეკლესიამ ქალკედონიანობის ნიღაბი აიფარა 632 წელს სომხეთშივე მოწვეულ საეკლესიო კრებაზე. მაგრამ ეს იყო ნიღაბი, რადგან ეკლესიებში ძველებური წესითვე იგალობებოდა სამწმიდაობა და ბიზანტიის კეისარ ჰერაკლესაგან, რომელმაც მოინდომა შეერიგებინა ქალკედონელები და მონოფიზიტები, მალულად გრძელდებოდა იგივე, ე.ი. ძველი მსახურება. ამ კუკუმალულობანასაც წერტილი დაესვა 726 წლის მანასკერტის კრებაზე! სომხურმა ეკლესიამ ღიად აღიარა, რომ მისი რწმენა „ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნებოდა მხოლოდ მონოფიზიტური“ ქრისტიანული მიმდინარეობა! ამდენად, იმის მტკიცება, რომ ქართულ და სომხურ ეკლესიას 726 წლამდე ერთნაირი მართლმადიდებლური ან კიდევ „ერთნაირი“ მონოფიზიტური (როგორც ზ. ალექსიძე წერს!) სარწმუნოება ჰქონდათ – სიცრუეა! ჩემმა მკითხველმა უკვე კარგად დაინახა, რომ ეს მტკიცება აბსურდი და სრული სიყალბეა!

უარესი, და კიდევ უფრო საშინელი სიყალბეა ჩადენილი 13 წმინდა მამის ცხოვრების სომხურად რედაქტირების გამო! „ცხოვრება“ რომ სომხურადაა რედაქტირებული და მათი „გემოვნებით“ ჩასწორებული, ეს ცხადზე ცხადია! მოგახსენებთ შემდეგს: როგორც ისტორიულად ცნობილია 13 წმინდა მამა ანტიოქიის სანახებიდან ქართლში მოვიდა არაუადრეს და არაუგვიანეს 520-540-იან წლებისა. ქართლის სამეფოს სამხრეთი, ე.ი. ქვემო ქართლის საზღვარი გადმოკვეთა ბერთა მცირე გუნდმა, რომლებიც ანტიოქიის სანახებიდან წმინდა

სვიმეონ მესვეტის ლოცვა-კურთხევით დაძრულიყვნენ. ეს წმინდა მამები „ათცამეტი ასურელი მამის“ სახელით იღვაწებენ და ქვეყნისთვის და მართლმადიდებლური რწმენის თავდადებისთვის სამუდამოდ დაიმკვიდრებენ თავიანთ განუმეორებელ ადგილს საქართველოს ისტორიაში! მათი მოძღვარი და წინამძღოლია მომავალში იოანე ზედაზნელის სახელით ცნობილი ერთ-ერთი უდიდესი წმინდანი და სულიერი მამა ქართველი ხალხისა და ქართული ეკლესიისა! რომელიც „დაუღამებელისა ნათლისა მიმართ წინა მძღუარ ექმნა მათ,“ თავის თორმეტ მოწაფეს!..

აღნიშნული მოვლენა თითქოსდა ჩვეულებრივი იყო იმ პერიოდის ბერ-მონაზონთა, მეუდაბნოეთა და პილიგრიმთა მისიონერულ საქმიანობას თუ გვიხსენებთ, მაგრამ რაც მოჰყვა იოანე ზედაზნელის საქართველოში შემოსვლას, – ჩემი მკითხველი ადვილად დარწმუნდება, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი, ბერული მოღვაწეობა უბრალოდ საქართველოს ტერიტორიაზე. ისინი გარკვეული მიზნით მოდიოდნენ საქართველოში! მოდიოდნენ, რათა ქვეყანა ეხსნათ არამარტო მაზდეანობისგან, არამედ სომხური, მონოფიზიტური ეკლესიის ზეწოლისგან, დევნისგან და ქართველი ხალხი აშკარა გასომხებისგან დაეცვათ! ეს სიტყვები არ არის ხმამაღლა ნათქვამი, რადგან ნებისმიერი ერისგან სხვა ერზე ზეწოლა, და მისგან გინდ ნებით, გინდაც ძალდატანებით მოშლა საკუთარი თვითმყოფადი ტრადიციების, ენისა და თვითშეგნებისა ყოველთვის უდიდესი დანაშაული და უდიდესი ცოდვა იყო!.. იმპერიებიც კი არ ცდილობდნენ გადაეგვარებინათ დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხები და მოესპოთ მათთვის ეროვნული თვითშეგნება! მსოფლიო ისტორიაში არ მოიძებნება სხვა დიდი თუ მცირე ერი, რომელსაც ეს თვისება წაერთმიოს თავის საგამგებლო ტერიტორიაზე მცხოვრები ამათუიმ აბორიგენი მოსახლეობისთვის... მაგრამ ამ საშინელი, თუ შეიძლება უკიდურესად რეაქციული და იმპერიული თვისებების მატარებელნი აღმოჩნდნენ არმენიელები, რომლებმაც ჯერ კიდევ ძვ. წ. V-IV ს-ებიდან ალაროდიელი ხალხი სპარსელთა დახმარებით გასწყვიტეს, ვინც გადარჩა – გამორეკეს თავიანთი საცხოვრებლებიდან, ვინც გაქცევა ვერ მოახერხა და ადგილზე დარჩა – შეუბრალებლად წაართვეს თავიანთი ენა და ჩვეულებები! ამ საკითხს დაუფარავად აშუქებს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“. იგივე პოლიტიკას აწარმოებდა სომხეთის ეკლესია ახ. წ. მე-6 ს-ის პირველი ნახევრიდან იმავე სპარსეთის დახმარებით! ქართული მართლმადიდებელი ეკლესია სწორედ ამ პერიოდში, როცა ქვეყანას გადაგვარების და განადგურების საფრთხე ემუქრება, გვევლინება ეროვნული პოლიტიკის არამარტო გამტარებელ, არამედ მკაცრ მცველად, და აი სირიის ანტიოქიის სანახებიდან დაძრულმა 13-მა წმინდა მამამ შეუსვენებლად (!) გადმოლახა წინააღმდეგობებით აღსავსე გზა და მონოფიზიტურ სომხეთზე გამოვლით დაადგნენ გზას მცხეთისკენ...

მინდა ჩემს მკითხველს გავახსენო რომ, ისინი სომხეთში არ შეჩერებულან, თუნდაც შესასვენებლადაც კი... საუბარი ზედმეტია ამ ქვეყნის სალოცავების მოლოცვაზე... მათ საქართველოში შეძლეს იმ უდიდესი საქმეების გაკეთება, რაც თავის დროზე ათანასე დიდმა საბერძნეთისა და ეგვიპტისთვის, ბასილი დიდმა კაპადოკიისა და სრულიად საქრისტიანოსთვის... და ასევე წმინდა გიორგი კაპადოკიელმა სრულიად საქრისტიანოსთვის... მათ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მინავლული იმედის ნაპერწკალი რეალურ სინამდვილედ აქციეს და თავიანთი მოღვაწეობიდან 50-70 წლის მანძილზე ერს ჭეშმარიტი სარწმუნოების არათუ რწმენა გაუცხოველეს, ეროვნული თვითშეგნება გამოუფხიზლეს!.. მონოფიზიტურმა სომხურმა ეკლესიამ ბრძოლა აშკარად წააგო!.. 1400 წლის მანძილზე, არასოდეს დამდგარა 13 ასურელ წმინდა მამათა ეროვნების გამორკვევის საკითხის აუცილებლობა და აი მე-19 საუკუნიდან კითხვის ნიშანი დაუსვეს არამარტო მათ წარმომავლობას, არამედ მათ რწმენასაც... მართლმადიდებლობა დღეს თუ არის მყარად ფესვგადგმული იბერიული წარმომავლობის ხალხში, უთუოდ მათი დიდი დამსახურებაა! მახსენდება აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის დასკვნა ატენის სიონის IX ს-ის მხატვრობაზე, რომ... “... დავით გარეჯელის მოწაფე ლუკიანე, რომელიც ირემს წველის და სამსონის გამოსახულება ლომითურთ (ჩრდ. კედელზე) სომხური ხელოვნების ნიმუშად უნდა ჩაითვალოს“... (გვ. 30. ამირ. ხელოვ. ისტ.) დიახ, ბატონებო... ამჯერად დავით გარეჯელის „ცხორებით“ დაიწყო... 13 წმინდა მამის მიტაცება... „ მონოფიზიტი დავით ჰერტანელ-გარეჯელი, უძლეველი ე. ი. ანჰაღთი „სომეხთა ფილოსოფოსია... მიუხედავად წარმოშობით კახელობისა...“ წერდა ლ. მელიქსეთ-ბეგი თავის სამეცნიერო შრომაში „დავით უძლეველი და დავით გარესჯელი“ (თბ. 1959 წ. 210-231 გვ.). გასაღებიც ნაპოვნია, რატომ სურთ გარკვეულ წრეებს ატენის სიონის უძველესი ქრისტიანული მხატვრობა სომხურ ხელოვნებას მიაკუთვნონ!.. დავით გარეჯელი იოანე ზედაზნელთან და შიო მღვიმელთან ერთად გამორჩეული მართლმადიდებელი მოღვაწეა, ისინი საქართველოში მეუდაბნოე სამონასტრო ცხოვრების ფუძემდებელნი არიან... უამრავი ქრისტესმიერი სასწაულის ჩამდენი ბერი ერთი ხელის დაკვრით გახდა „სომეხი ფილოსოფოსი“... როგორო? ალბათ გაოცებით იკითხავდა დიდი ილია,.. ჩვეულებრივად ბატონებო!.. ასე სურდა დავით გარეჯელის ცხოვრების სომხური ორიენტაციის გადამწერ-რედაქტორს! და უფრო მეტიც, პატივცემული მეცნიერი ლ. მელიქსეთ-ბეგი პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად წმინდა დავითს „25 წლით აჩერებს სომხეთში“ და 545 წელს ჩამოჰყავს საქართველოში ანტონ მარტმყოფელთან ერთად!

მეტისმეტია ბატონებო, მეტისმეტია!

პატივცემულ მეცნიერს, აღარ გაახსენდა, რომ დავით გარეჯელის „ცხოვრების“ ჩამსწორებელს, რომელმაც სომხურად ასაუბრა წმინდა მამა, გადაავიწყდა, რომ მამა დავითის ქართლში შემოსვლის ნიუანსებიც გადაესწორებინა! რადგან იგი, წმინდა დავითი თავის სულიერ მამასთან და მოძღვართან იოანე ზედაზნელთან ერთად მოდის მცხეთაში და გზად არსად ისვენებს! და არ ჩერდება სომხეთში! რაც შეეხება გარეჯის მრავალმთის მონასტერში სომხების განსაკუთრებულ ლტოლვას, ლოცვას და სიარულს, ეს არასწორი და აზრს მოკლებულია, რადგან სომხები მართლმადიდებლურ სალოცავებში ზაქარია მხარგრძელის არ იყოს, ცნობისმოყვარეობის და-

საკმაყოფილებლად თუ შევიდოდნენ, და არა სალოცავად, მითუმეტეს კათალიკოს აბრაამის წყევლის შემდეგ! იმ რამდენიმე სომხური წარწერის გარდა (რომელიც გარეჯის მონასტრის კედლებზეა და თითქოსდა 1352 წლითაა დათარიღებული და უმეტეს მათგანში ერთადერთი პიროვნება სარგისი ფიგურირებს) იქ მოიპოვება უამრავი ქართული წარწერები, ბერძნული და არაბულიც კი! წარწერას „უძლეველ ფილოსოფოსს“ არ უძღვის წინ სიტყვა „სომეხთა“, რაც პატივცემულმა მეცნიერმა სასწრაფოდ შეასწორა და ამ შემთხვევაში, რადგან „უძლეველ ფილოსოფოსს“ სახელი იოვანე უძღოდა წინ, გამოაცხადა, რომ იგი აუცილებლად „იოვანე ოძუნელი“ უნდა ყოფილიყო!“ – იოანე ოძუნელი კი VIII ს-ის სომეხი მოღვაწეა!

რაც მთავარია ბიოგრაფიული შტრიხებიდან წმინდა ბერები მცხეთაში ხვდებიან კათალიკოს ევლავიოზს, რომელსაც ქართულად ესაუბრება წმინდა იოანე ზედაზნელი... ეს ფაქტი, რომელიც კვლავ „გამორჩა“ მხედველობიდან რედაქტირებისას დაინტერესებულ პროსომხური ორიენტაციის გადამწერს, ნუთუ აღარ არის იმის მამტკიცებელი, რომ ბერები ქართველები იყვნენ? მით უმეტეს იმ ეპოქაში ბევრი ქართველი ორთოდოქსი – მართლმადიდებელი მოღვაწეობდა უდაბნოში ანტონ დიდისა და სვიმეონ მესვეტის მსგავსად! ტექსტიდანაც აშკარად სჩანს, რომ 13 წმინდა მამაც მეუდაბნოე ცხოვრებას ეწეოდნენ ანტიოქიის სანახებში და მხოლოდ „წმინდა მიზნის“ გამო წამოვიდნენ საქართველოში! ცხადია, სხვა შემთხვევაში ისინი არ წამოვიდოდნენ და იქვე განაგრძობდნენ მოღვაწეობას საქართველო რომ მათი სამშობლო არ ყოფილიყო! რაც შეეხება სხვა გაუგებრობებს, ასევე მათ მონოფიზიტობას, რაც ბევრმა მეცნიერმა იკადრა და დააბრალა წმინდა მამებს, ან კიდევ მათ თითქოსდა გაუგებარ წარმომავლობას, ეს ყოველივე სათქმელადაც კი არ ღირს, რადგან მათ თავიანთი წმინდა და დიდი ეროვნული საქმეებით და მოღვაწეობით გადაარჩინეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ცდომილების გზას და ხალხი და ქვეყანა კი გასომხებას! და ეს მოხდა მე-6 საუკუნეში ბატონებო! ახლა 21 საუკუნეა და ეტყობა დრო და ჟამი არ შეცვლილა! ამ საკითხში აფხაზეთის ომმა და ბაგრამიანის ბატალიონელების მიერ ქართული სისხლის წყურვილმაც დაგვარწმუნა. ბატონებო, ქართველი ერის შეურაცხყოფაა პატივცემული მეცნიერის თავდაჯერებული მტკიცება, რომ „სომხები დავით გარეჯელის საფლავს სომეხთა „უძლეველი ფილოსოფოსის“ საფლავად მიიჩნევდნენ თურმე უხსოვარი დროიდან... როგორც ეს ნათქვამია ერთ-ერთ იქაურ სომხურ წარწერაში“... (ლ. მელიქსეთ-ბეგი, დავით უძლეველი და დავით გარესჯელი, გვ. 230). ან კიდევ ეს სიტყვები პატივცემული მეცნიერის შრომიდან ამონარიდი: „ქართლ-კახეთის არცერთი ხატი, არც ერთი ეკლესია-მონასტერი არ სარგებლობდა სომეხთა შორის ისეთი პოპულარობით, როგორც გარეჯის მრავალმთა და მასში მდებარე მამა დავითის საფლავი“... მეცნიერი სრული კატეგორიულობით აცხადებს, რომ გარეჯელი და გარეჯში მოღვაწე ბერები მონოფიზიტები იყვნენ!.. ამ საკითხში როგორც ყოველთვის ორიგინალურობის დროშა ნ. მარმა ააფრიალა და წმინდა მამებს არამარტო მონოფიზიტობა, ნესტორიანობის შემომტანობა დაუბრალა საქართველოში. მარმა გაუკვალა გზა ცდომილებისკენ მელიქსეთ ბეგს, რომელმაც სომეხი რიგითი პილიგრიმის მიერ შესრულებული წარწერის მეშვეობით დიდი ქართველი წმინდანის, დავით გარეჯელის საფლავის მითვისება იკადრა! რაც შეეხება გარეჯის ლავრის სიწმინდეს, მისი ძალა მართლმადიდებელ ქრისტიანთა შორის უკვე მე-6, მე-7 საუკუნეებიდანვე გახდა ცნობილი, რომ სამჯერ გარეჯის მოლოცვა – ერთხელ იერუსალიმის მოლოცვას უდრიდა, ეს ძალა მართლმადიდებლებზე ვრცელდებოდა და არა მონოფიზიტებზე. 13 წმინდა მამათა აღმსარებლობა მარის შემდეგ მონოფიზიტობას მიაკუთვნა კეკელიძემ, რომელიც საოცარია, მაგრამ აშკარად ვერ გაერკვა იმდროინდელ რელიგიურ დაპირისპირებებში სირია – პალესტინასა და საბერძნეთში! მან საერთოდ უარყო ისტორიული სინამდვილე, ან კიდევ... ბრმად მიენდო მარს! ჯუანშერის მიხედვით წმინდა მამები საქართველოში მოვიდნენ ზეგარდმო მისიით „სარწმუნოებითა მართალითა და წმიდისა სამებისასა (ე. ი. მართლმადიდებლობის) გასაძლიერებლადო“. მართალი სარწმუნოება დიოფიზიტობა იყო, დიოფიზიტობა ქალკედონიანობის გამარჯვებისთვის ბრძოლას ნიშნავდა მონოფიზიტობის წინააღმდეგ! ივ. ჯავახიშვილი აბსოლუტურად სწორად ხსნის საკითხს მათი აღმსარებლობის შესახებ და ისინი მონოფიზიტთა დაუძინებელ მტრებად მიაჩნია, რაც შეეხება წარმომავლობას, მათ ასურელებად თვლის. იმდენად დიდი იყო მარის ჯგუფის ზეწოლა გარკვეულ პერიოდში, რომ ჯავახიშვილმაც კი თავი შეიკავა დავით გარეჯელის და ანტონ მარტმყოფელის აღმსარებლობის დაზუსტებისაგან! რაც შეეხება მიხეილ თარხნიშვილს ის ღიად აცხადებს, რომ: „საბოლოოდ მათ რომ ნამდვილად ქართველთა სარწმუნოებრივ წიაღში (ანუ დიოფიზიტობაში) დალიეს სული“... „მჭერმეტყველად ღაღადებს მათი საეკლესიო და სამონასტრო ღვაწლი, მათ მოწაფეთაგან გაგრძელებული და მომავალ საუკუნეთათვის მოწმედ გადაცემული“ (მ. თარხნიშვილი საქ. ეკლესიის ისტორია I-VII ს-ში, გვ. 689). ეს ცნობისთვის, თორემ... ასურელ მამათა აღმსარებლობის მართლმადიდებლობაში რომ არასოდეს ეჭვი არ შეპარვია ქართულ სამოციქულო ეკლესიას და მის ისტორიკოსებს, ცხადზე ცხადია... თუკი სამეცნიერო კვლევებისა და ანალიზის შედეგად სახეზე „ქართლის ცხოვრების“ სომხურად რედაქტირებული ტექსტები გვაქვს, პროსომხური ორიენტაციის გადამწერები ეჭვს გარეშეა თავისებურად „გააწყობდნენ“ სხვა საეკლესიო და ისტორიულ წიგნებსა და დოკუმენტებს, რაც სახეზეა და მათ შორის უპირველესად კი „13 ასურელ მამათა“ ცხოვრებას! იმ მამათა, რომელთა მოღვაწეობის წყალობით, კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ქართული ეკლესია გადაურჩა ერესს, მწვალებლობას, და ქართველი ხალხი კი გასომხებას!

ახლა რაც შეეხება უხტანესის მიერ მოწოდებულ ისტორიულ ცნობებს „ეპისტოლეთა წიგნში“ შეტანილს, ქართველთა და სომეხთა დაპირისპირება სადავო არ უნდა იყოს იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ ორივე მხარის ინტერესებს. ეს ინტერესები კი ადვილად მისახვედრი და ხელშესახები ხდება თუნდაც ცურტავის მონოფიზიტი ეპისკოპოსის, გადაგვარებული ქართველის, მოსეს წერილიდან სმბატ მარზპანისადმი. მოსე ცხადია ევედრება სმბატს მახვილით დაიმორჩილოს ყველა ქართველი, ვინც შეეწინააღმდეგება მათ რწმენას, სმბატი

პასუხობს: ამჟამად საქმეთა ვითარების გამო არ შემიძლია „... ავიღო მახვილი და ყოველ ქართველს შევერკინო“ (გვ. 83, ან ჯაფ. გვ. 411); აი, ჩემო მკითხველო, როგორები ხდებიან გადარჯულებული და გასომხებული ქართველები თავისი ხალხის მიმართ... დაუნდობლები!!! მიზეზი და მიზანი ნათელი იყო!.. 614 წლის სპარსული კრების შემდეგ, სპარსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნების ქრისტიანებზე გაიცა ბრძანება (როგორც ადრე) დამორჩილებოდნენ სომხურ ეკლესიას (უკვე მერამდენედ), ეს კი ღიად გასომხებას ნიშნავდა, რადგან საეკლესიო ენად სომხური ენა იყო სპარსელებისაგან მიჩნეული! იმდენად ძლიერი იყო სპარსეთის ზეწოლა, რომ ქართლის მეფე, ან იგივე მთავარი სტეფანოზი (შიო მღვიმელის ცხოვრების მიხედვით), „მხოლოდ ცოტა ხნით განუდგა ბერძენთა და მიექცა სპარსთა“ („ქართლ. ცხოვრება“, გვ. 223). ირაკლი კეისარმა მას ქართლის მეფობაც კი ჩამოართვა. მასთან განუწყვეტელი კონფლიქტი ჰქონდა შიომღვიმის ბერებს... მიუხედავად ამ მძიმე წლებისა: „რაჟამს ერთგზის გვიცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხულ გინა მარჯულ“... „... ქუეყანაი ჩუენი შორს იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა და ვითარცა თესლნი არაწმინდანი შორის ჩუენსა დათესულ იყვნეს ბოროტნი იგი... თესლნი სომეხთანი“... „ამის მიერ ფრიად გუევნებოდა, რამეთუ ნათესავი ჩეუნი წრფელ იყო და უმანკო, ხოლო იგინი (სომეხნი – დ. მ.) რეცა მიზეზითა წესიერებისაითა, ცთუნებად გუაზმნობდეს და რომელნიმე წიგნნიცა გუაქუნდეს მათგან (სომხურიდან) თარგმნილნი“. ამბობს გიორგი მთაწმინდელი გიორგი მცირეს თხზულებაში. („ძეგლები“ გვ. 123).

13 წმინდა მამისგან დაარსებული მონასტრები ქართულ საღვთისმეტყველო ცენტრებად იქცა და, ამდენად გიორგი მთაწმინდელის სიტყვები სწორედ VI-VII საუკუნეების სომხური ეკლესიის მძლავრობას ეხება ძირითადად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ გვ. 269. კეკელიძის მიერ ბასილი ვაჩეს ძის მიმართ ნათქვამი: რომ „ბასილი ვაჩეს ძის აზრითო: „ათცამეტ ასურელ მამებმა იმდენი ნიში და საკვირველებანი აჩვენესო, იმათ რომ ბერძენთა შორის ჰქონოდა ადგილი, „ძლითმცა აღსარიცხველ წერილებს შექმნიდნენ“, ე. ი. დასწერდნენ ამ სასწაულთა შესახებ, ჩვენში კი არავინ იზრუნა ამისათვის, რადგან „ნათესავნი ქართველთა არის მარტივ და ამასთან ლიტონიცაო“... დასანანია, მაგრამ ნამდვილად ასეა, ბატონებო! ჩვენში ხომ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს!

ამჯერად საჭიროდ ჩავთვალე „ეპისტოლეთა წიგნს“ შევეხო. აღნიშნულ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში, როგორც სათაურიდან ჩანს, დაცულია მიმოწერა. წიგნი იწყება ცურტავის ეპისკოპოსის წერილით ვრთანეს ქერდოლისადმი, სადაც კიდევ ერთი მოღალატე ქართველი, ე. ი. მოსე ახასიათებს ქართველებს და ქართველთა სარწმუნოებას: „... ისინი, ქართველები იმ უნაყოფო ლეღვის ხეს ჰგვანან, რომელზედაც უფალმა ნაყოფი ვერ ჰპოვა ფოთლების გარდაო“... „... როცა შევიტყეთ ურიული ქალკედონის კრების განსაზღვრების განდიდება, ხმა ამოვიღეთ, მტერი გავხდით კათოლიკოსად წოდებულისა“... „ამჟამად დევნილი, არაგაწის მთის ძირას, ერთ-ერთ მონასტერში ვიმყოფები, მე მივწერე ცურტავის ეკლესიის სომხურენოვან სამწყსოს“... როგორც ვხედავთ ცურტავი ქართველთა ქვეყანა ყოფილა, მაგრამ მას სომხურენოვანი სამწყსოც ჰყოლია, სომხურ ენოვანი – და არა სომეხი! ეს მნიშვნელოვანი განმარტებაა და ესეც იმიტომ, სპარსეთის შაჰების ბძანებით სპარსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიებზე ეკლესიებში მონოფიზიტური ღვთისმსახურება მხოლოდ სომხურ ენაზე იყო ნებადართული, ამდენად საქართველოს ტერიტორიაზე თუ სადმე იყო მონოფიზიტური ეკლესიები, ქართველი მრევლი წირვა-ლოცვას სომხურად ისმენდა! და ქართველი ხალხი, მონოფიზიტური აღმსარებლობისა იძულებულნი იყვნენ სომხური ესწავლათ! ეს წესი კი ხელს უწყობდა მათ გასომხებას!

მკითხველო, ხსენებული მოსე, ცურტავის ის ქართველი ეპისკოპოსია, რომელიც სმბატ მარზპანს მახვილით გასწორებას სთხოვდა ყოველი ქართველის მიმართ, ვინც სომხური ეკლესიის მსახურებას უარყოფდა! და რამდენი ასეთი გადაგვარებული ქართველი ჰყავდა ჩვენს სვეგამწარებულ მამულს, რამდენი ასეთის სახელი შემორჩა, რამდენის არ შემორჩა ისტორიას!.. სწორედ მოსე ცურტავის ქართველი ეპისკოპოსი იყო ის პიროვნება, რომელიც ავალდებულებდა არამარტო სმბატ მარზპანს, არამედ სომეხთა კათალიკოსსაც, რომ სასტიკად გასწორებოდა ქართული ეკლესიის მწყემსმთავარს, კათალიკოს კირიონს! ვრთანეს ქერდოლი (სომხეთის კათალიკოსის მცვლელი ამ შემთხვევაში) მას უწოდებს ქართველთა ეპისკოპოსს: „მიზეზი ორბუნებიანთა მეოთხე კრებისა, მოსე ქართველთა მართლმადიდებელი ეპისკოპოსისა“. აღნიშნული სათაურიდან სრულიად გასაგებია, რომ მოსე მონოფიზიტი ქართველია, სომხები მონოფიზიტებს, ე. ი. თავიანთ თავს აღმოსავლეთის მართლმადიდებლებს უწოდებენ, გაუგებარია რატომ? რადგან მონოფიზიტობა ყველაზე დიდი მწვალებლობაა და ეს ჩემს მკითხველს ახსოვს სტატიის წინა ნაწილიდან!.. სომხურ ეკლესიას მოსე სჭირდებოდა ცურტავის ქართველობაზე ზემოქმედების მოსახდენად, ზემოქმედება კი სხვა არაფერი იყო, თუ არა მშობლიური ქართული ენის, ქართული ჯიშისა და ნათესავის და ქართულად ლოცვის დავიწყება! მოსე ასევე სწერს ვრთანესს, რომ მან მისწეროს ქართველ ეპისკოპოსს მონოფიზიტ პეტრეს „დავალების წიგნი“. ნებისმიერი ქართველი მიხვდება, რა „დავალებაც“ უნდა მიეცა ვრთანესს პეტრესადმი, ცხადია იგივე, რასაც ავალებდა მოსე სმბატ მარზპანს! რაც შეეხება აბრაამს, რომელმაც სომხეთის კათალიკოსის ტახტი დაიკავა, მოსე ეპისკოპოსი უგზავნის არამარტო მილოცვის ეპისტოლეს, სთხოვს: რომ „სპარსეთის მოხელე სომეხი მთავრების შემწეობით დაიმორჩილონ სომხური რწმენის უარმყოფელი და განდგომილი ქართველი ხალხი“... დიახ, ბატონებო... ზღვარსგადასული საზიზღარი ღალატი, სილაჩრე და... ამასთან ამბიციური სულმდაბლური სურვილია... ამ ნაძირალა მოსესი... გულს აურევს ნებისმიერი ეროვნების პატიოსან ადამიანს. მოსე ვარაუდობს, რომ სომხური ეკლესია თუკი დაიმორჩილებს ქართულ ეკლესიას, შემდეგ ალბათ კირიონის ნაცვლად მოსეს მიართმევენ ძღვნად კათალიკოსის ტახტს!..

ამ უაღრესად მძიმე პერიოდში მოუხდა კათალიკოსობა ღირსეულ ქართველს და ასევე ქართული ეკლესი-

ის ღირსეულ საჭეთმპყრობელს, კათალიკოს კირიონს. „ეპისტოლეთა წიგნიდან“ აშკარად სჩანს მეუფე კირიონის განსწავლულობა, თავდაჭერილობა და უაღრესად დიდი ნიჭი დიპლომატიისა.

ადრეც შევაჩერე მკითხველის ყურადღება „ეპისტოლეთა წიგნში“ ნებით თუ უნებლიედ დაშვებულ უზუსტობებზე, რადგან ისტორიული წყაროებით 506 წლის დვინის კრებაზე უნდა მიეღოთ “ჰენოტიკონი“ (ანასტას იმპერატორის მმართველობის წლებში) საერთო საქრისტიანოსთვის სავალდებულო წესი შერიგებისა, ზენონის მიერ მიღებული, და უნდა მომხდარიყო („ჰენოტიკონზე“) ხელის მოწერა! ე. ი. შემწყნარებლობა და შერიგება დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის, რასაც ამტკიცებს სირიელი მოღვაწის (მონოფიზიტის) სიმეონ ბეთ-არშამელის ცნობაც, რომ აღნიშნული 506 წლის დვინის კრებაც ამისთვის იყო მოწვეული, „ჰენოტიკონის“ მიღებას კი სპარსეთიც მხარს უჭერდა. რაც შეეხება მოგვიანებით აბრაამისა და კირიონის მიმოწერას, აბრაამის მხრიდან 506 წლის კრება განხილულია როგორც ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებათა დამგმობი კრება, და რომ აღნიშნული დაგმობა თითქოსდა ერთობლივი გადაწყვეტილებით დაადგინეს სომხებმა, ქართველებმა, ალვანელებმა და თურმე ბერძნებმაც კი! რაც არ შეესაბამება სინამდვილეს და უბრალოდ არალოგიკურია! აბრაამის მრისხანე პათოსში აშკარად გამოსჭვივის VII საუკუნის, ე. ი. 614 წლის სომხური კრების (მანასკერტის) გადაწყვეტილებათა სიმწვავე და სიბრაზე. ასეთივე არასწორი შეფასება მისცეს 506 წლის დვინის კრებასაც მოგვიანებით სხვა სომეხმა ავტორებმაც (კერძოთ იხილეთ: იოანე ოძენელი, გაგიკ ვასპურაკანის სომეხთა მეფის ეპისტოლე, იოანე დრასხანაკერტელი, მოსე კალნკატუელი, სტეფანე ორბელიანი).

ამ საკითხზე ზედმეტი მსჯელობა წყლის ნაყვასა ჰგავს, რადგან სწორედ სომხურ ისტორიოგრაფიაშივე მოიპოვება ერთმანეთის საწინააღმდეგო და ერთურთის გამომრიცხველი ცნობები. ერთადერთი, რისი თქმაც დაზუსტებით შეიძლება ქართველი ერისთვის მე-6 საუკუნე უაღრესად რთული და დაძაბული საუკუნე იყო, მიუხედავად ამისა ქართველმა ხალხმა და ქართულმა ეკლესიამ გადაიტანა, გაუძლო და შეინარჩუნა: რწმენა, ღირსება, ენა, ეროვნება, მამული! და ეს მადლი ქართველ ერს წმინდა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიანიჭა. პროკოპი კესარიელის, როგორც მე-6 საუკუნის მსოფლიო პოლიტიკის ცენტრში მყოფი ისტორიკოსის შეფასება, რომელიც ჩართულია 523 წლის მოვლენების შეფასების თხრობისას, იბერების შესახებ ამბობს: „ისინი (იბერები) ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ, ხოლო ძველთაგანვე სპარსელთა მეფის ქვეშევრდომნი გამხდარან“ (პრ. კესარიელი, გეორგიკა, ტ. II, გვ. 48). პროკოპი კესარიელი ცნობილია, როგორც VI ს-ის მკაცრი ქალკედონიტი ისტორიკოსი! ამდენად აღნიშნული სიტყვებით მისი შეფასება იბერიელთა ქრისტიანული რწმენისა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ქართველებს, ე. ი. იბერებს მართლმადიდებელ ქრისტიანებად მხოლოდ ქალკედონის მე-4 მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებათა მკაცრ დამცველებად მკაცრი ქალდეკონიტობის შემთხვევაში მოიხსენიებდა მე-6 საუკუნისავე ერთ-ერთი უდიდესი მართლადიდებელი ისტორიკოსი!

საკმაოდ ფართო მოცულობის ექსკურსი გამომივიდა ისტორიულ ლაბირინთებში, მაგრამ სათქმელი დაუფარავად უნდა თქმულიყო, ქართველ ხალხს, ე. ი. იბერთა ქვეყანას არასოდეს უღალატნია წმინდა ნინოს ქადაგებისა და ბასილი დიდის მართლმადიდებელი რწმენისთვის! ყველა ისტორიულ წყაროს, რომელიც სიმართლით იქნება დღის სინათლეზე განხილული მხოლოდ ამ გზით მივყავართ ქრისტეს ტაძრისკენ.

ამჯერად მონოფიზიტიზმის მწვალებლობა-მართლმადიდებლობაზე შევაჩერებ კიდევ ერთხელ ჩემი მკითხველის ყურადღებას! როგორც ზედწოდებიდან სრულად სჩანს „მართლმადიდებლობა“ – ღვთის მართლად დიდებას ანუ აღიარებას ნიშნავს, ეს განმარტება იმდენად სადა, უბრალო და მარტივია, ყველასთვის იოლად გასაგებია. ამჯერად მინდა წმინდა მაქსიმე აღმსარებლის ქადაგებიდან შეგახსენოთ მცირე მონაკვეთი, რის შემდეგაც თავად მკითხველმა განსაჯოს მონოფიზიტური რწმენა მართლმადიდებლურია თუ მწვალებლური...

“...სომხური ბოროტმორწმუნეობა, რომელიც მრავალი მწვალებლობისაგან შედგება, სამ უმთავრეს, ყველაზე უფრო უწმინდურ და საძაგელ მწვალებლობას შეიცავს. პირველი და უბოროტესი მათი ზრახვა ის არის, რომ ღმერთ-სიტყვის მაცხოვნებელი წამებისას, მათი აზრით, უვნებელი ღვთაებაც ისევე მოკვდა, როგორც კაცთა ნათესავი; მეორე უმთავრესი მწვალებლობა ბრძნობს, რომ განკაცებულმა სიტყვამ ღვთისამ, ზეცად ამაღლების შემდგომ განიძარცვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ყოვლადწმინდა სისხლით მიღებული სხეული; ხოლო მესამე მათი უმთავრესი მწვალებლობა ის არის, რომ არასწორად აღრევს ქრისტეში შეურევნელად შეერთებულ ორ ბუნებას – კაცობრივს და ღვთაებრივს, რომელნიც ვითომდაც ერთ ბუნებად იქცა. ასეთია უმთავრესი მათეული ღმრთივსაძაგელი მწვალებლობები და რა შეიძლება ვთქვათ მართლმადიდებლებმა წინააღმდეგ ამისა? ნუთუ ჩვენ ამას დავეთანხმებით რომ ასეა? არავითარ შემთხვევაში! ნუ იყოფინ, რომ ოდესმე შევიწყნაროთ ესოდენ ღვთისმგმობი და მკრეხელური აზრები გვამოვნებით ერთი, მარადმყოფი, უკვდავი და უვნებელი ღმერთის ბუნებასა და მის უკვდავებაზე. მათეული მკრეხელობის წარმოთქმა და მოსმენა არ შეუძლიათ თვით ღმრთის წინააღმდგომ ეშმაკებსაც კი. ხოლო ეს ჩანს იმ ნათქვამიდან, რომელიც დამღუპველმა და ბოროტის დასაბამმა გველმა პირფერულად ჩასჩურჩულა დედაკაცთა წინაპარს: „არა სიკუდილით მოჰკუდეთ, რამეთუ უწყოდა ღმერთმან, ვითარმედ: რომელსა დღესა სჭამოთ მისგან, განგეხუნენ თქუენ თვალნი და იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა“ (დაბ. 3, 4, 5), ანუ უკვდავნი და უხრწნელნი იქნებით, ვითარცა თვით უფალი, რომელმან შეგქმნათ თქვენ.

მაგრამ ყოველთა შემქმნელი ღმერთის უკვდავებაზე მრავლის მეტყველება არათუ ზედმეტია, არამედ ღიმილის მომგვრელიც, რამეთუ არამარტო ღმრთივსულიერნი წერილნი არიან სავსე მარადმყოფი ყოველთა დამტევნელის უკვდავებაზე მოწმობით, არამედ ყველაზე უფრო გარეშე ფილოსოფოსები და რიტორნიც კი უგალობენ თავიანთ თხზულებებში მარადმყოფი ღვთის უკვდავების დიდებას, მაშ, წყეული სომხები, წყეულ დი-

ოსკორესთან (დიოსკორე I – 444-451 წ. ალექსანდრიის პატრიარქი, მონოფიზიტი) ერთად, როგორღა ამტკიცებენ, რომ ქრისტეს ღმრთაებრივი უკვდავი ბუნება მის წმინდა სხეულთან ერთად მოკვდა?

და, უკეთუ უვნებელი, უკვდავი და არაქმნული მისი ღვთაება, როგორც ისინი ამბობენ სიკვდილს მიეცა, მაშინ ეს ნიშნავს, რომ მისი წმინდა სულიც, ვითარცა ხორცთან ერთად შობილი, მის ღმრთაებასთან ერთად მოკვდა და, უკეთუ ვაღიარებთ, რომ ეს ასეა, მაშინ როგორღა ვიტყვით, რომ იგი შთახდა ჯოჯოხეთს და ბჭენი რვალისანი შემუსრნა და აღმოიყვანა საუკუნითგან იქ მყოფი მართალი სულები?

უკეთუ იგი მოკვდა, როგორც ხორცით, ასევე ღმრთაებით და სულით, მაშინ, როგორღა იქნება თავად ჯვარცმულისაგან ჭეშმარიტებით თქმული: „ამისთვის უყუარ მე მამასა, რამეთუ მე დავსდებ სულსა ჩემსა, რაითა კუალად მოვიღო იგი“, და კუალად: „ხელმეწიფების დადებად მისა და ხელმეწიფების კუალად მოღებად მისა“ (იოანე, 10, 17-18) და, უკეთუ, მათებურად, იგი მოკვდა როგორც ხორცით, ასევე ღმრთაებით და სულით, მაშ როგორღა შეძლო მისი მიღება სრულებით მკვდარმა, – მან, ვინც არის განუსაზღვრელად ძლიერი ყოვლისმპყრობელი ღმერთი? უკეთუ ადამიანის სულს, რომელიც შექმნილია სიტყვიერად და უკვდავად, არ შეუძლია, რომ მოკვდეს, მაშ ყოველთა ცხოვრება, „რომელსა მხოლოსა აქვს უკვდავება, და ნათელსა მყოფ არს მიუწვდომელსა“ (1 ტიმოთეს. 6, 16), როგორღა მოკვდა ჯვარზე თავისი უკვდავი ღმრთეებით?

და ეს ერეტიკული ზრახვა რომ ღვთის გმობაა, ღმრთივსაძაგელია და სიცრუეა, ძალიან ბრძნულად აჩვენა ალამუნდარ ისმაიტელმა, რომელიც ქრისტიანულ მართლმორწმუნეობაზე მოექცა და მოინათლა მთელი ოჯახითა და მოდგმით. ხოლო როდესაც უწმინდურმა სევეროსმა (ანტიოქიის პატრიარქი 512-538 წ. მონოფიზიტი) შეიტყო ისმაიტელის მამულის სჯულისგან მართლმადიდებელ სარწმუნეობაზე მოქცევა, მაშინ მასთან გაგზავნა თანამზრახველი ორი ეპისკოპოსი და შეეცადა მის მიდრეკას ღმრთივსაძაგელ თავის მწვალებლობაზე. როდესაც მწვალებლები ალამუნდართან მივიდნენ და ხანგრძლივი საუბარი გაუბეს სევეროსის მოძღვრებაზე, ალამუნდარმა დაითხოვა ისინი და უთხრა: „ხვალ კიდევ ვისაუბრებთ ამაზე“, ხოლო მწვალებელთა წასვლის შემდგომ მან თავის ერთგულ მსახურს უთხრა: სევეროსის მოგზავნილები კიდევ რომ მოვლენ ჩემთან და თავიანთ მწვალებლურ მოძღვრებაზე საუბარს დამიწყებენ, მაშინ მომიახლოვდი და ყურში ჩამჩურჩულე: „მიქაელ მთავარანგელოზი უკვე გარდაიცვალა – თქო“. როცა სევეროსის კაცნი კვლავ მოვიდნენ და ხანგრძლივად სიტყვაფლიდობდნენ წინაშე ახლად ნათელღებული ალამუნდარისა, მაშინ მივიდა მათთან მსახური და თავის ბატონს წასჩურჩულა, რაც დავალებული ჰქონდა. ალამუნდარი უმალ მოჩვენებით მწუხარებას და ნაღველს მიეცა, თავი ჩაქინდრა და იდაყვდაყრდნობილი მდუმარედ იჯდა, ეპისკოპოსების სიტყვებს ყურადღებას არ აქცევდა და, როცა ჩააცივდნენ და მწუხარების მიზეზს გამოჰკითხავდნენ, ალამუნდარმა უპასუხა: „შევიტყვე, მთავარანგელოზი მიქაელი გარდაიცვალა და როგორ არ ვიდარდო, როდესაც ასეთ მცველს მოვაკლდი?“ რაზეც მას შესძახეს: „არ დაიჯერო, პატივცემულო ბატონო, არაფრით მიაქციო ყურადღება ამგვარ ამბავს, ეს აშკარა ტყუილია, რამეთუ ანგელოზთა ბუნება სიკვდილს არ ექვემდებარება, რადგან ყოველთა შემოქმედმა შექმნა ისინი უკვდავად“.

მაშინ ალამუნდარმა უთხრა: „მაშ, მითხარით გთხოვთ, უკეთუ ანგელოზთა ბუნებას, რომელიც ყოველთა შემოქმედმა შექმნა უკვდავად, არ შეუძლია, რომ მოკვდეს, მაშინ დაუსაბამო და მარადიული, რომელსა მხოლოსა აქვს ბუნებითი უკვდავება, და ნათელსა მყოფ არს მიუწვდომელსა, – როგორ უნდა მომკვდარიყო თავისი უკვდავი ღმრთეებით, თავისი მაცხოვნებელი წამებისას? ძლიერ შემცდარხართ და დიდად შორს ხართ ჭეშმარიტებისგან, თქვენს მოძღვართან ერთად“. ასეთი ბრძნული მოსაზრებებით დაუყო პირი მწვალებლებს და არცხვინა ახლად ნათელღებულმა ისმაიტელმა“.

„... უსჯულო სევეროსმა, რომელიც ქრისტეს ღმრთაების შესახებ ბრძნობდა, რომ იგი ვნებას ექვემდებარებოდა, და სურდა ამ მწვალებლობის დანერგვა, თავის მიმდევრებს ასწავლიდა, რომ სამწმიდაო-დანართით ეგალობათ შემდეგნაირად: „წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო, ჩვენთვის ვნებულო, შეგვიწყალენ ჩვენ“. ამ დანამატით „ჩვენთვის ვნებულო“, ყოვლადუწმინდურს (სევეროსს) სურდა ეჩვენებინა, რომ ქრისტეს ღმრთაება ივნო, ანუ მოკვდა მის წმინდა სხეულთან ერთად. რა შეიძლება, რომ ამ გმობაზე უარესი და საძაგელი რამ იყოს წინაშე ღვთისა?

უკეთუ მხოლოდშობილის ღმრთაება ივნო, ანუ მის წმიდა სხეულთან ერთად მოკვდა, როგორც ის უწმინდურნი ამტკიცებენ, მაშინ ეს ნიშნავს, რომ სრულად წმინდა სამებაც ივნო, ანუ მოკვდა, რამეთუ ერთ არს ღმერთი, ერთ არს ბუნება და ერთ არს არსება სამებისა განუყოფელისა, რამეთუ წმიდა სამება განუყოფლად განიყოფება ჰიპოსტასებით, ხოლო არსებით შეერთებულია შეურევნელად, ე. ი. ერთ არს ღმერთი – ყოვლადწმინდა სამება ერთარსება, იგივ განიყოფება და განუყოფელია, განიყოფება ჰიპოსტასებით, ხოლო განუყოფელია არსებით, ბუნებით და ღმრთეებით. ამიტომ ცხადად მხილებულნი არიან უწმინდური სომხები სევეროსთან ერთად, რამეთუ ისინი გმობენ წმიდა სამებას, როდესაც მის (უფლის) ვნებას აღიარებენ, ანუ სიკვდილს-მხოლოდშობილის მაცხოვნებელი წამების დროს. ო, რა უწმინდურებაა და რა სატანური ნააზრევია? მარტო ამ ერთი მწვალებლობისათვის გვმართებს მათი მოძაგება სრულად და მათგან განშორება, თანახმად ღმრთის მოშურნის გამოთქმისა: „ანუ არა მოძულენი შენნი, უფალო, მოვიძულენ და მტერთა შენთა ზედა განვკფდი? სიძულვილითა სრულითა მოვიძულენ, და იგინი მტერად შემექმნეს მე“ ფსალ. 138; 21-22 (მარიამ ნიაური – „ივერიის გაბრწყინება“ 2006 № 1).

თამარის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „კაცთმოყვარეობით, კაცთშემწყნარებლობით გამოირჩეოდნენ ოდითგან მართლმადიდებელი ქართველები, მაგრამ ამ თვისებას არაფერი აქვს საერთო რჯულშემწყნარებლობასთან. ისინი დაუფარავად ამხელდნენ მწვალებლებს და შვიდგზის წყეულებს უწოდებდნენ მათ. რჯულის, აღმსარებლობის საკითხში ქართველი მართლმადიდებლები უკომპრომისობით და მართლმკვეთებლობით

გამოირჩეოდნენ და გამოირჩევიან დღესაც. სწორედ ამის შედეგია, ის რომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ გაიკარა მწვალებლობანი და ქრისტეს ეკლესიის დოგმატები მოციქულებრივი სიწმინდით დაიცვა" („სომხეთი მტერი თუ მოყვარე", გვ. 321).

ამრიგად, მე შევეცადე შესაძლებლობის ფარგლებში მოკლედ მიმომეხილა და გამეხსენებინა ჩემი მკითხველისთვის ადრეული საუკუნეების იბერია-ივერიის (საქართველოს) რელიგიური და პოლიტიკური ცხოვრების წიაღსვლები. ამჯერად კი, საჭიროდ ვთვლი, მკითხველთან ერთად გამოვიტანო დასკვნა – იყო თუ არა საქართველო და ქართველი ხალხი მონოფიზიტური მრწამსის ოდესმე და აქედან გამომდინარე იქნებოდა თუ არა ბოლნისის სიონი, ჯვარი, წრომი, ატენის სიონი... ოშკი, იშხანი, შატბერდი, ბანა, ხახული, ხანძთა და უეჭველად კაცხი სომხური ხუროთმოძღვრების შედევრები? ცხადია, არა ბატონებო! რადგან... უკვე მრავალჯერ მოგაწოდეთ ავტორიტეტულ მეცნიერთა შრომათა ანალიზი, რომ ისინი ე. ი. თითოეული ტაძართაგანი სათითაოდ ყველანი ეროვნული ხუროთმოძღვრების ნიმუშებს წარმოადგენენ და უბრალოდ... საერთოც კი არაფერი აქვთ სომხურ ან სირიულ, ან თუნდაც ბერძნულ ხუროთმოძღვრებასთან! და სწორედ მათ: ჯვარმა, ხანძთამ, ოშკმა, ხახულმა და თითოეულმა მათგანმა შექმნეს – მომავალში სვეტიცხოველი. დიახ, ქართული ეროვნული ენერგიის შემოქმედებითი სასწაული!.. ქართული მართლმადიდებლური სულიერების მწვერვალი, ხუროთმოძღვრების განუმეორებელი შედევრი და უფლის მადლის უდიდესი გამოვლინება! რისი უარყოფაც ქართული გენის ნებისმიერ მოძულესაც ნამდვილად გაუჭირდება, რადგან... სვეტიცხოველი თავისი განუმეორებელი სიდიადით 21 საუკუნეშიც კი ავჯადოებს და ატყვევებს არამარტო ქრისტიან, სხვა რელიგიისა და ათეისტური სულისკვეთების ადამიანებსაც!. სვეტიცხოველი როგორც უკვე ვთქვი ქართული ეროვნული ენერგიის შემოქმედებითი ნიჭის უდიდესი ღვთაებრივი სასწაულია, ბატონებო!.. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ სვეტიცხოველი ქართველი ხალხის და ქართული ქვეყნის უძველესი დედაქალაქის (არ დაგავიწყდეთ ხეთა-ხურიტული პერიოდიდან) მცხეთის უწმინდეს მიწაზე დგას! იმ მიწაზე, სადაც არასოდეს შებღალულა იესო მაცხოვრის მიერ მოციქულთათვის გადაცემული სწავლების სიწმინდე! და ეს სიწმინდე იცავს დღეს საქართველოს 21 საუკუნეში! უთვალავი სექტისა და მწვალებლური ორგანიზაციების შემოტევებს სატანის მანქანებით ავსებულ ჩვენს მშვენიერ და ბებერ დედამიწაზე...

მცხეთის სიწმინდეს, მიუხედავად რწმენის სხვადასხვაობისა ვერ და არ უარყოფდა სომხური ეკლესია, ესეც იყო უპირველესი მიზეზი იმ სურვილის განხორციელებისთვის, რასაც მცხეთის ეკლესიის ხელში ჩაგდება და მისი გასომხება ერქვა!.. უფლის მადლით მცხეთის ეკლესიამ წმინდად დაიცვა და შემოინახა მართლმადიდებლობა!

უკან მოვიტოვეთ ისტორიული კატაკლიზმებით სავსე სისხლიანი საუკუნეები და ახლა მინდა ჩემს მკითხველს უაღრესად საინტერესო და ისტორიაში თითქმის გაუხმაურებელი ფაქტი გავახსენო: ქართველ ხალხს და საქართველოს ბევრი თავშეწირული გმირი ჰყავს, ისტორიამ უკვდავყო მათი სახელები და ქართველმა ხალხმა, რომ იტყვიან სისხლით ამოიკვეთა საკუთარ გულისფიცარზე მათი სამარადჟამო ხსოვნა. მათ შორის სრულიად განსხვავებული და თვითმყოფადია დიდი ერეკლეს ღირსეული ვაჟი, რომელიც ისტორიამ ალექსანდრე ბატონიშვილის სახელით უკვდავყო.

...როდესაც რუსეთის იმპერიამ „მფარველობის" ნაცვლად, რუსული ხიშტებით გარშემორტყმულ სიონში სრული ანექსიის მაუწყებელი „მანიფესტი" რუსულადვე წაუკითხა რუსული ენის უცოდინარ ქართულ არისტოკრატიას და ხმის ამოღების შემთხვევაში რუსული ხიშტითვე დაემუქრა, ქართველი ხალხი მიხვდა, რომ მწარედ მოატყუეს. ეს მოტყუება კი საბედისწერო გამოდგა ქართული ეროვნული ორგანიზმისთვის, ხალხისთვის, – რადგანაც ისინი დაიმონეს, ქვეყნისთვის, – მან დამოუკედებლობა დაკარგა და რიგით პროვინციად გადაიქცა! და ეკლესიისთვის, რომელსაც 15 საუკუნოვანი ავტოკეფალია ჩამოერთვა, ჩამოერთვა საეკლესიო მამულები და ყოველგვარი ქონება, რითაც თავს ირჩენდა! ყოველივე ამას ზედ დაემატა ლეგალური და მასიური ძარცვა რუსი ჩინოვნიკების მიერ ეკლესია-მონასტრებისა, ეკლესია-მონასტრების დახურვა, გაუქმება, და უბრწყინვალესი ფრესკების გადაღებვა, შელესვა... მარტივად რომ ვთქვა, ქართველმა ხალხმა და უძველესი ტრადიციების მქონე ქართულმა ქვეყანამ საკუთარი სახე დაკარგა! მსოფლიოში უძველესი სამეფო დინასტია განადგურდა! სამეფო ოჯახის უმეტესობა გადაასახლეს რუსეთში, ასევე უმეტესობა ამოხოცეს, სულ რამდენიმე კი გაიქცა სპარსეთსა და ოსმალეთში. გაქცეულთა შორის აღმოჩნდა ერეკლეს ლეგენდარული ვაჟი ბატონიშვილი ალექსანდრე, რომელიც სიკვდილამდე იბრძოდა მამულის გასანთავისუფლებლად, მაგრამ... რუსეთის იმპერია ცხრათავიანი დევის მსგავსად ყოველწუთიერად ძლიერდებოდა... და ბატონიშვილმა ვერ შესძლო მისი უღლისაგან სამშობლოს გამოხსნა, თუნდაც ოსმალეთისა და უფრო მეტად სპარსეთის დახმარებით. სპარსეთი, რომელიც თითქმის 2 ათასი წლის მანძილზე ცდილობდა ივერიის ხელში ჩაგდებას, ქართული ენის სომხურით შეცვლას და ქვეყნის საბოლოოდ განადგურებას, ამჯერად შეცვალა პოლიტიკური მიზანი საქართველოს მიმართ და ფეხტ-ალი შაჰის და მისი გონიერი შვილის, ტახტის მემკვიდრის აბას მირზას წყალობით დაიწყო ზრუნვა საქართველოს განთავისუფლებისთვის. ფეხტ-ალის კარზე შეხიზნული ბატონიშვილი ალექსანდრე შაჰის შვილობილად და აბას მირზას ძმად და ძმად შეფიცულად აღიარეს, და ირანის სამეფო ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა საქართველოს ტახტი ერეკლეს ღირსეულ შვილს, ალექსანდრეს დაეკავებინა. ბაგრატიონთა სამეფო ოჯახი და არისტოკრატია გრძნობდა, რომ რუსეთის ცბიერ იმპერიასთან ბრძოლისთვის საკმარისი არ იყო ერეკლე მეფის მსაჯულთუხუცესის, სოლომონ ლეონიძის დიდი ნიჭი და გამჭრიახობა. საჭირო იყო სათანადო ძალა, თავგანწირვა და დიდი ერთგულება. საბედისწერო მდგომარეობაში ჩავარდნილი საქართველოსთვის უკანასკნელი იმედი ალექსანდრე ბატონიშვილი იყო, რომელიც შეუდარებელი თავგანწირვითა და ასევე შეუდარებელი ერთგულებით, ოღონდაც ირანისა და ოსმალეთის ძალის გამოყენებით იბრძოდა მამულისთვის. ოსმალეთმა (ღალატი რა სახსენებელია, მაგრამ...) რუსეთთან ურთიერთობა რომ არ გაემწვავებინა ბოლო

წლებში თავი შეიკავა დახმარებისგან. ირანს კი... ფიქრადაც არ გაუვლია ალექსანდრეს მიტოვება ბრძოლის ველზე. აბას მირზა შესაშური ერთგულებითა და მოწიწებით ყოველთვის უახლოესი მეგობრისა და ძმადშეფიცულის, ალექსანდრეს გვერდით იყო. აბას მირზას თხოვნითა და ხელშეწყობით იქორწინა ბატონიშვილმა 1820 წლის მაისში ერევნელი მელიქის სააკ აღამალის ასულზე, მარიამზე. თავდაპირველად ბატონიშვილი უარზე იყო, არ სურდა მელიქ სააკის ქალის შერთვა, მაგრამ როცა ინახულა შერჩეული საცოლე, იმდენად მოიხიბლა მისი არამარტო შეუდარებელი სილამაზით, ასევე გამორჩეული თვისებებითაც, რომ თვითონვე დააჩქარა ქორწინება. ირანის სამეფო კარმა ბრწყინვალე ქორწილი გადაიხადა. ალექსანდრეს სრულ გამგებლობაში ებოძა სპარსეთის პროვინცია დარალაგიოზი. სულ მალე კი დაიბადა დიდი პაპის მოსახელე და საქართველოს იმედი ერეკლე ბატონიშვილი ალექსანდრეს ძე! თავრიზის სასახლეში ბატონიშვილ ალექსანდრეს მეუღლე მარიამი საქართველოს დედოფლად იწოდებოდა და ეს ასეც იყო. იგი ყოველმხრივ გამორჩეული, დიდსულოვანი, ერთგული და მოსიყვარულე მეუღლე იყო. ცოტაა სიტყვა მოსიყვარულე, ამ ქალმა მეუღლის სიყვარულს და ერთგულებას შესწირა ყველაფერი, და უპირველესად საკუთარი სიცოცხლე!

ერევნის დასაუფლებლად ბრძოლის დროს, რუსეთის ჯარებმა ქართველი თავადების მეთაურობით თავრიზი აიღეს და ბატონიშვილის ცოლ-შვილი ხელში ჩაიგდეს. რუსეთის სამეფო კარი ამ ცნობამ იმდენად გაახარა, რომ ვერც მალავდნენ, მათ ხომ ერთადერთი ბაგრატიონი, ალექსანდრე ბატონიშვილი უფრთხობდათ ძილს! მისი „თავისთვის“ უზარმაზარი ოქრო იყო დაწესებული! ასევე, მისი ცოლ-შვილისთვის, რადგან ერეკლე საქართველოს ტახტის მომავალ პრეტენდენტად მოიაზრებოდა! ალექსანდრეს ირგვლივ უერთგულესი მაჰმადიანი მეგობრები იყვნენ შეკრებილნი, რომელნიც უფრო ადრე სიკვდილს არჩევდნენ, ვიდრე მის ღალატს. გავიხსენოთ რამდენიმე მომენტი: ჯერ კიდევ ადრე, ალექსანდრეს დაქორწინებამდე 1817 წლის გაზაფხულზე დაღესტანში თავშეფარებული და ერმოლოვის თქმით „ქარაფშუტა“, თავზეხელაღებული და მოხეტიალე ბატონიშვილი ალექსანდრე თავში საცემი გაუხდა რომანოვების კარს. ერმოლოვმა უარყო რტიშჩევის ლმობიერი, ცბიერებით შემორიგების გზა და ზიზღით დაახასიათა ბატონიშვილი: „ეს ადამიანი (ბატ. ალექსანდრე), ცნობილია თავისი გარყვნილი ცხოვრებით, „პადლეცობით“ და სიმხდალით(?), არ შეიძლება ჩვენთვის საშიში იყოს და მე არც ერთ გროშს არ მივცემ, არც მის სიცოცხლეში და არც ამ არამზადის სიკვდილში“ (პოტო, ტ. II, გვ. 196). ერმოლოვმა ძალიან მალე არამარტო ინანა თავისივე სიტყვები, არამედ შეცვალა გეგმები და ანწუხელ ლეკებს ათასნაირი დაპირებებითა და თხოვნა-ვედრებით და ასევე დაშინებით ავსებდა, რომ ბატონიშვილი გაეცათ.

ერმოლოვის თხოვნამ და მუქარამ რომ ვერ გასჭრა, არც ლეკებმა, არც ვაინახებმა და არც ერთმა კავკასიელმა მაჰმადიანმა მთაში თავშეფარებული ბატონიშვილი არ გასცეს! ერმოლოვი იძულებული გახდა კავკასიაში მობილიზებული მთელი რუსული ჯარი ფეხზე დაეყენებინა და ანწუხს დამუქრებოდა: „თუ სამს კვირაში არ ჩამაბარებთ ბატონიშვილს, თქვენს მთავარ კაცებს, ჩემთან რომ წარმოგზავნეთ, ყველას თავებს დავაყრევინებ... ჭარ-ბელაქნელებს, რომლებიც თქვენი მტრებია, ვაპატიებ მათ ძველ დანაშაულს ჩვენს წინააღმდეგ... მათ რუსის ჯარს შევუერთებ და ყველა ამათ თქვენ ერთად მოგისევთ, რომ ერთთავად ამოგიჟლიტონ თქვენი ცოლები, შვილები და გაგიცამტვერონ თქვენი სამყო-საბადებელი“ („აქტები“, ტ. V. ნაწ. II, გვ 31).

ერმოლოვმა წარმოუდგენელი პასუხი მიიღო თითქოსდა უმნიშვნელო ანწუხის თემის უხუცესთაგან: „ვფიცავთ დიდს ალაჰს, რომ ჩვენის მხრით არასდროს არ მოხდება ღალატი და გაცემა ემირ ალექსანდრე ხანისა. შენ(ე. ი. ერმოლოვი) შენს წერილში ითხოვ, რომ ალექსანდრე წარმოგიგზავნოთ: უფალსა ვფიცავთ – ჩვენ მას ვერ ვუღალატებთ და ვერ ჩავიდენთ მისდამი მუხანათობას, თუნდ სულ დახოცო ჩვენი ხალხი და ჩვენი ცოლშვილიც... ასეთ საქმეს შენ ჩვენგან ნუ მოელი, ალექსანდრე ჩვენი სტუმარიაო“ (იქვე, გვ. 32). დიახ, ბატონებო! ალბათ ხედავთ, რა საოცარი ერთგულება იციან კავკასიელებმა, ნაღდმა კავკასიელებმა! ალბათ არ გაგიჭირდებათ პარალელის გავლება მათსა და მე-20 საუკუნის მიწურულს ჩეჩნებისა და ქართველების, ჯოხარისა და ზვიადის ერთგულება-მეგობრობაზე!

და... მიუხედავად ერმოლოვის მიერ მიღებული ყველა ზომისა 1818 წლის ივლისში ბატონიშვილმა ალექსანდრემ სულ რამდენიმე ერთგული ლეკის თანხლებით რუსეთის ჯარის შუაგულში უშიშრად გაიქროლა და ახალციხეში გადავიდა! აი, მაშინ კი განრისხდა ერმოლოვი და ცოფმორეულმა განაცხადა: „მე ჩემს ჯარს ვეღარ ვენდობი“... „მას შემდეგ, რაც ალექსანდრემ შესძლო რამდენიმე პოსტის მშვიდობიანად გავლა და თვით პოლკის შტაბ-კვარტირასთანაც გაიარა მხლებლებით, რაღა ითქმის!!!“(პოტტო, გვ. 479). როგორც ხედავთ, ალექსანდრე ბატონიშვილი უაღრესად უშიშარი და ერეკლე მეფის ნამდვილად ღირსეული შვილი ბრძანდებოდა, და რომ მან სერიოზულად დაუფრთხო ძილი რუსეთის საიმპერატორო კარს, დიდი საფრთხე შეუქმნა მის ტრიუმფით მსვლელობას კავკასიაში!..

საქართველოს სამეფო ტახტის რეალური პრეტენდენტი ალექსანდრე ბატონიშვილი იყო. კიდევ უფრო შეშფოთდა რუსეთის საიმპერატორო კარი, როცა ბატონიშვილს ვაჟიშვილი შეეძინა და ბავშვს დიდი პაპის პატივსაცემად ერეკლე უწოდეს! და აი, ამის შემდეგ, ყველა ღონე იხმარა რუსეთმა რომ აბას მირზასა და ალექსანდრეს ერთგული ერევნის სახანო გამოეგლიჯა სპარსეთის ხელიდან, და ეს საქმე ბრწყინვალედ შეასრულა ქართველი გენერლების და სულ ახლახან ჩამოყალიბებული ქართული მილიციის მეშვეობით.

მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. სანამ იქორწინებდა ალექსანდრე ბატონიშვილი მელიქ სააკის ქალიშვილზე, აბას მირზამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ერეკლეს ღირსეულ მემკვიდრეს თავმოყვარეობა არ შელახოდა. როგორც ვიცით რუსეთის სამეფო კარმა და თვით იმპერატორმა სულით ხორცამდე გაძარცვა არა მარტო მისი მოწინააღმდეგე აზროვნების მქონე ქართული არისტოკრატია, არამედ სამეფო ოჯახის ყველა წევრი და ამ ოჯახის ყველა ახლობელი. პირადად იმპე-

რატორის ბრძანებით მათ ჩამოერთვათ მამულები! უძრავი და მოძრავი ქონება და ეს ქონება გადავიდა ხაზინის ხელში. ეს საქციელი არამარტო არაადამიანური იყო, არამედ მიუღებელი ნებისმიერი ნორმალური საზოგადოებისთვის, ე. ი. რუსეთის ხელისუფლებამ 1500 წლოვანი ბაგრატოვანთა დინასტია და კიდევ უფრო ძველი ქართული არისტოკრატია ერთი ხელის დაკვრით დასტოვა ულუკმაპუროდ! ქართული არისტოკრატიისთვის კი, რომელიც სულ მცირე 2000 და 4000 წლის წინ ჩამოყალიბდა განსაკუთრებულ, გამორჩეულ ფენად ეს და მათი გაძარცვის ფაქტი ამაზრზენი და ბარბაროსული გახლდათ! ცხადია სიმართლეცაა, ზუსტად 100 წლის შემდეგ (ბოლშევიკების საქმიანობის შედეგად) იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა რუსეთის საიმპერატორო ოჯახი, რომელიც რუსეთს მხოლოდ 300 წლის განმავლობაში ედგა სათავეში! და ამ ფაქტზე მსოფლიო ალაპარაკდა, დღესაც ბევრს მსჯელობენ ამ საკითხზე. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის მარტივი, მხოლოდ ერთი რაიმეს თქმა შეიძლება! მათ ისეთი სისხლის კალო დაატრიალეს საქართველოში, ისე წამებით ჩაიხოცნენ რუსეთში გადასახლებული ქართული არისტოკრატია, რომ... გასაკვირი ის იქნებოდა, მათი დანაშაული არ ასახულიყო მათსავე ცხოვრებაზე! დიახ, სასჯელი იგვიანებს, მაგრამ... მოსახდენი აუცილებლად მოხდება! და მოხდა კიდეც, 100 წლის შემდეგ ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა რუსეთის საიმპერატორო კარი, რაც თვითონ გაუკეთეს საქართველოს სამეფოს! ჩემის ღრმა რწმენით მათ კანონზომიერად მიიღეს ღვთისგან სასჯელი!

გავაგრძელოთ ჩვენი თხრობა: ე. ი. რომანოვებმა ყველაფერი და ყველანაირი ქონება „თავიანთი" კანონებით წაართვეს ბაგრატიონებს. მათ კანონებს კი მათი ჯარი იცავდა! აბას მირზამ და მისმა მამამ ირანის ფეხტ-ალი შაჰმა კი პირიქით, ალექსანდრე ბატონიშვილს მოუბოძეს სპარსეთის მნიშვნელოვანი პროვინცია დარალაგიოზი! ამის შესახებ დაცულია ისტორიული წყაროები. ერმოლოვი სწერს ნესელროდეს (მინისტრს): „როგორც მატყობინებენ აბას-მირზა ბატონიშვილს აძლევს არაქსთან ახლომდებარე ქალაქს რამოდენიმე სოფლებით, რომლებიც რუსეთის საწინააღმდეგო ბაზად უნდა იქმნეს გამოყენებული მათ მიერ"... შემდეგ წერილში: „აბას-მირზას დაჟინებით ბატონიშვილ ალექსანდრეს მიეცა სამფლობელო ყარაბახის და ჩვენი თათრული პროვინციების საზღვარზე, საცა მას კავშირი და ურთიერთობა აქვს. მას მისცეს თანხები ციხის ასაღებად (ალბათ ასაგებად) და გადასახლებულთა დასაბინავებლად, რომელთა გადაბირებას უნდა შეეცადოს ჩვენი სოფლებიდანო" („აქტები", ტ. VI, ნაწ. II, გვ. 9), „ალექსანდრე ბატონიშვილს ებოძა დარალაგიოზის ოლქი, სადაც უმთავრესად ყარაბახიდან გასული თათრობა ცხოვრობს"-ო... და კიდევ, ისევ ერმოლოვის წერილიდან ნესელროდესადმი: „... აბას-მირზა ცდილობს ბატონიშვილს ჯვარი დასწეროს, რათა მას გაუჩნდეს მემკვიდრე მამრობითი სქესისა"... და აი ალექსანდრეს მემკვიდრის გაჩენამ კი ძილი საბოლოოდ დაუფრთხო იმპერატორს და მის ფავორიტებს!

დადგა დრო, როდესაც საიმპერატორო ძალის ძირითადი დასაყრდენი გადაგვარებულ, მედროვე ქართველ არისტოკრატიასთან ერთად გახდა თბილისელი და... შემდეგში კი ერევნელი სომხობაც! განსხვავება აშკარა იყო. ერევნელი სომხობა, რომლებსაც დაპირებებით ავსებდა რტიშჩევი, ციციანოვი და ერმოლოვი, 1828 წლამდე ალექსანდრეს გვერდით იდგა და გააფრთხილა ბრძოლებით იცავდნენ ერევანს. ეჩმიაძინიც კი 1828 წლამდე ღიად თამაშობდა ორმაგ თამაშს რუსეთსა და ირანს შორის. დაუპირისპირდა კიდეც რუსეთს და თბილისელ სომხებს!

1820 წლის მაისში ალექსანდრე ბატონიშვილის და დედოფალ მარიამის (მელიქ საკ აღამალის ასული) ჯვრისწერა უჩვეულო, განუმეორებელი ზეიმით ჩატარდა ეჩმიაძინის მონასტერში. ის დღე შეუდარებელი იყო და ასევე დარჩება ორი ერის, ქართველთა და სომეხთა ისტორიაში, რადგან იყო ულამაზესი დღე, სიყვარულით, მეგობრობით, ურთიერთძმობისა და ერთგულების გამომხატველი! ერევნელმა სომხებმა ერთგულება აღუთქვეს ბატონიშვილ ალექსანდრეს და ეს ფიცი არც გაუტეხიათ. რაც შეეხება აღამალის ულამაზეს ასულს, რომელიც მხოლოდ 22 წლისა თუ იქნებოდა, მან სადედოფლო გვირგვინის კურთხევისას მიცემულ ფიცს შესწირა ყოველივე სხვა... ამქვეყნიური კეთილდღეობა და სიმდიდრე... სულ მალე კი ქვეყანას მოევლინა ალექსანდრე ბატონიშვილის ნანატრი ვაჟი, რომელსაც დიდი პაპის საპატივცემულოდ ერეკლე უწოდეს, თუნდაც ბავშვის სახელით ადვილი ასახსნელი უნდა ყოფილიყო რომ, ირანის შაჰის, ფეჰხტ-ალის კარზე მამისა და მისი ძმადშეფიცულის აბას მირზას კალთაში საქართველოს მომავალი – მეფე იზრდებოდა! რუსეთის საიმპერატორო კარს ერეკლეს დაბადებამ თავზარი დასცა! რომანოვებს თავზარი დასცა აგრეთვე თბილისელ და ერევნელ სომხებს შორის ჩამოვარდნილმა უთანხმოებამ! ერევნელი სომხები მთლიანად ალექსანდრეს მხარეზე იყვნენ და მომავალ დედოფალს, ან თითქმის უკვე დედოფალს, როგორც მარიამს უწოდებდნენ თავრიზის ბრწყინვალე სასახლეში, მოწიწებით და სიყვარულით ეთაყვანებოდნენ, ერევნის ხანი კი რკინის კედელივით იყო აღმართული რუსთა წინ და საზღვრის გადმოლახვის საშუალებას არ აძლევდა მათ! ბატონიშვილი ალექსანდრე მალევე დარწმუნდა, რომ მისი მეუღლე, დედოფალი მარიამი თავის განუმეორებელ სილამაზესთან ერთად, უაღრესად ჭკვიანი, განათლებული და კეთილშობილი იყო! მარიამმა მალე მოიპოვა დიდი სიყვარული და პატივისცემა სპარსეთის შაჰის სასახლეში და რაც მთავარია, მარიამი ცდილობდა საუკუნეების განმავლობაში გაჩენილი უფსკრული ამოევსო სომეხთა და ქართველთა შორის. სწორედ მარიამი უმტკიცებდა გონიერებით ეჩმიაძინის ეპისკოპოსებს, კათალიკოსს და მდიდარ ვაჭრებს, რომ საქართველოს სამეფოს აღორძინებითა და ფეხზე დადგომით და რუსთა ჯარის კავკასიიდან გაძევებით იყო შესაძლებელი სომეხთათვის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და განუწყვეტელი მიგრაციის თავიდან აცილება! მარიამის ნიჭი იმდენად მრავალმხრივი გამოდგა, მისი შეუმჩნევლობა შეუძლებელი იყო თუნდაც სპარსეთში მყოფი რუსეთის საელჩოს მიერ! ბატონიშვილი ალექსანდრეს სასახლე მარიამის წყალობით პოლიტიკურ კლუბ-ორგანიზაციად იქცა. აქ იკრიბებოდა რუსეთის იმპერიის გაძლიერებით შეწუხებული ახლო აღმოსავლური სამყარო, მარიამის სასახლე უპირველესად ქართველ ლტოლვილ არისტოკრატთა საიმედო თავშესაფარი გახლდათ. მაგრამ ერთბაშად ყველაფერი თავდაყირა დააყენა ერეკლე მეფის მოძულე და რუსთა მოყვარული გენერ-

ლის, ერისთავის თავგანწირულმა შეტევამ! 1826 წლის 13 ოქტომბერს ყველასათვის მოულოდნელად, ზარდამცემი იერიშით, მუსიკით, რუსული „ურათი“ და დაფ-ნაღარის ცემით უაღრესად მამაცი გენერალი ერისთავი შეიჭრა სპარსეთის სიღრმეში და ქალაქი თავრიზი დაიჭირა! თავრიზის აღების უმთავრესი მიზანი ალექსანდრეს ცოლ-შვილის, საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრის 6 წლის ერეკლეს ხელში ჩაგდება გახლდათ! ერისთავმა თბილისელი მოღალატე და ჯაშუში სომხების წყალობით წინასწარ კარგად იცოდა მათი ადგილ-სამყოფელი და... დავალება ბრწყინვალედ შეასრულა! ბატონიშვილის ცოლ-შვილი თავრიზში შეჭრისთანავე ალყაში მოაქციეს და ცოცხლად ჩაიგდეს ხელში. ერისთავის ჯარმა ცხადია თავრიზი მაშინვე დასტოვა და გამარჯვება პასკევიჩს მიულოცა, რომელმაც... „ერევანი აიღო!“ პასკევიჩმა კი, რომელმაც ერევნიდან სასწრაფოდ თავრიზისკენ გააქანა ცხენი, მადლობის მაგიერ, ერისთავს ყვირილი და ლანძღვა დაუწყო, ერისთავი კარგად მიხვდა, რომ პასკევიჩს მისი მამაცობა სულაც არ მოსწონდა და თავმდაბლად მოახსენა, თავრიზის აღება, ისევე როგორც ერევნის, მხოლოდ მისი (ე. ი. პასკევიჩის) წყალობით გახდა შესაძლებელიო! და რომ ის (ე. ი. ერისთავი) ბედნიერია, რომ მიეცა შესაძლებლობა პასკევიჩს პირადად მიულოცოს ეს გამარჯვება... პოტოს მონათხრობიდან ირკვევა, რომ გენერალ ერისთავის მოხერხებულმა დიპლომატიამ ისე დააბნია პასკევიჩი, რომ იგი ყელზე მოეხვია გენერალს და „ჯვარზე“ წარადგინა „დახმარებისთვის“. ცოტა მოგვიანებით კი საერთოდ გაანთავისუფლა სამხედრო სამსახურისგან, იმის შიშით, რომ... ვაითუ, მსგავსი ზრდილობიანი ჟესტი აღარ გაემეორებინა მომავალში ერისთავს, და იმპერატორის თვალში წონა მოჰკლებოდა პასკევიჩს!

პოტო თავის ჩანაწერებში არ ამბობს ვინ მოსწყვიტა დედოფალი მარიამი და ყრმა ერეკლე დაცვას, ვინ შეკრა სასახლესთან გზები და რა ხრიკებით ჩაიგდეს ხელში საპატიო ტყვეები. ერთი რამ ცხადია, რომ ყოველივე ეს, უეჭველად ღრმა საიდუმლო ბურუსით იყო მოცული! ერევნის აღება და თავრიზის დარბევის უმთავრესი ამოცანა პატარა ერეკლეს დატყვევება იყო, რადგან მისი პეტერბურგს გაგზავნით სამუდამოდ იუფლებდა რუსეთი საქართველოს სამეფო ტახტს, ამ ტახტთან ერთად კავკასია კარგავდა თავისუფლებას, რაც ახდა კიდეც, და ახდა სწორედ ქსნის ერისთავთა დაუღლელი მეცადინეობით და ხელშეწყობით. ისინი ცნობილი მოღალატენი იყვნენ ყოველთვის და არც ამჯერად უღალატეს თავიანთ გზას; რადგან ვერასოდეს მოახერხეს ტახტის ხელში ჩაგდება, მარადიულ მოღალატეებად დარჩნენ საქართველოს ისტორიაში!

გენერალი ციციშვილი (იგივე ციციანოვი), რომელიც არაგვის ერისთავთა შთამომავალი იყო, სწერდა მინისტრ კოჩუბეის: „ერისთავნი იმდენად ერთგულნი არიან რუსეთისა, რამდენადაც მე შემიძლია თავი მოვიწონო ჩემი ერთგულებით... ერისთავი ერთადერთი გვარია, რომელსაც ისე ვენდობი, როგორც რუსებს“... („აქტები“, ტ. III).

სულით გაყიდულ და გადაგვარებულ გენერალ ციციანოვს „ღირსეული პატივი“ მიაგეს სწორედ კავკასიაში. 1806 წლის 8 თებერვალს ბაქოს აღების დროს, როცა გამარჯვებულ ციციანოვს ციხის გასაღებს აბარებდნენ, ტყვიით ჩაცხრილეს! ჰუსეინ ყული-ხანმა მის ტანს თავი და ხელები მოჭკვეთა და თეირანში შაჰს გაუგზავნა საჩუქრად, ტანი კი ციხის კარებში ჩაფლო სილაში. მოგვიანებით მარკიზ პაულიჩმა მისი ტანი ამოთხარა ბაქოს ციხის კარიბჭიდან და დიდი ზარ-ზეიმით თბილისში ჩამოასვენა.

დავუბრუნდეთ ჩვენს სასაუბრო თემას: დედოფალი მარიამი თავისი ვაჟით, „საპატიო მცველების“ თანხლებით თავრიზის სასახლიდან ერევანში, თავის მამასთან ჩაიყვანეს დროებით, ესეც იმიტომ, რომ დრო მოეგოთ და ჭკვიანი ქალი როგორმე გადაებირებინათ, თანაც საჭირო იყო სიფრთხილის გამოჩენა და თავის ისე დაჭერა, თითქოს რუსეთის საიმპერატორო კარისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა ბატონიშვილი ალექსანდრეს ოჯახი. უაღრესად დაძაბული სიტუაცია იყო იმპერიის მაღალ ჩინოსნებში. პოტტო წერს: „მარიამი იშვიათი სილამაზის იყო“, უფრო მეტიც: „ზღაპრულად ტურფა“ ყოფილა! და შემდეგ, თავრიზში მისი გავლენის შესახებ ისევ პოტტო გვაწვდის ცნობას: „ამაზე მთელი თავრიზი ლაპარაკობდა“... „ამ ქალს იქ ნამდვილი პოლიტიკური სალონი ჰქონდა და არამარტო ალექსანდრე ბატონიშვილთან გახიზნული ქართველები იყრიდნენ აქ თავს, ერევნის სახანოდან და დაღესტნიდან გადმოსულნიც და ასევე თავრიზის ანტირუსულად განწყობილი საზოგადოება და ბოლოს თვით და უპირველესად აბას მირზა და ბაბა ხანის (ფეხტ-ალი შაჰი) უახლოესი გარემოცვა“...

ერევანში, მამის სახლში დაბინავებისთანავე მარიამის ირგვლივ მოჯადოებული წრე შექმნა რუსეთმა. პირველ რიგში მკაცრი დაცვა მიუჩინა მელიქ სააკის ოჯახს, ცხადია ერთადერთი აზრით,. – ხელში ჩაეგდოთ მოუხელთებელი ალექსანდრე! პოლიტიკური სიტუაცია უაღრესად დაიძაბა: თავრიზის აღების შემდეგ ფეხტ-ალი შაჰი ზავის დადებას ჩქარობდა, რადგან წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა. 1828 წლის 10 თებერვალს თურქმენჩაის ზავის მეშვეობით სპარსეთს თავრიზი დაუბრუნდა (რუსეთს იგი უკვე აღარ სჭირდებოდა და ირანთან საქმის გამწვავება აღარ სურდა), ერევანი და მისი მიმდებარე ტერიტორიები რუსეთმა დაინარჩუნა, ამით რუსეთმა თბილისელი სომხების დაჯგუფებას თავისებური ხარკი გადაუხადა და ერევანი ძღვნად მიართვა! ხოლო 1829 წლის 2 ენკენისთვეს ადრიანოპოლის ზავით ახალციხე რუსეთს გადაეცა და ალექსანდრე ბატონიშვილს უკანასკნელი საყრდენი გამოეცალა საქართველოში! დარჩა ბოლო იმედი – მთა, ე. ი. დაღესტანი და ქაზი-მულა, რომელმაც სისხლი გაუშრო რუსეთს, ის ქაზი-მულა, რომელმაც ველჟინსკის პოლკი მთლიანად გაანადგურა! ამ პერიოდში იწყება 1832 წლის შეთქმულებისთვის მზადება. შეთქმულების გეგმით აჯანყების დაწყებისთანავე ბატონიშვილი ალექსანდრე ქართლ-კახეთში შეიჭრებოდა და მეფედ აკურთხებდნენ! მაგრამ... ქართველთა იმედები ბინძურმა ღალატმა დაამსხვრია. ავადსახსენებელმა მედროვემ შეთქმულება გასცა. ქაზი-მულას რაც შეეხება როზენის შემპარავმა ტაქტიკამ თავისი შედეგი გამოიღო. იმპერიის ძირითადი სამხედრო ძალები კავკასიაში, თითქოსდა უმნიშვნელო „წერტილის“, დაღესტნის აულების წინა-

აღმდეგ იქნა მობილიზებული! ქართველმა გენერლებმა კი რუსთა ჯარის სასახელოდ კავკასია კიდევ ერთხელ „დაამარცხეს“ და გიმბრი აიღეს, და ქაზი-მულას ალყა შემოარტყეს! რუსულმა არტილერიამ ქაზი-მულა დაცხრილა, მთის არწივთა ბუდე კი დაანგრია! ყოველივე ამის შემდეგ ბატონიშვილი იძულებული გახდა ღიად, კანონის გზით მოეთხოვა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებისგან თავისი ცოლ-შვილის დაბრუნება! საიმპერატორო კარი ფრიად შეაშფოთა უაღრესად კანონიერმა მოთხოვნამ. დაგვიანება აღარ შეიძლებოდა. იმპერატორს უფრო მეტი ზრუნვა უნდა გამოეჩინა ტახტის პატარა მემკვიდრისთვის, „ვიდრე მისმა მამამ ალექსანდრემ იზრუნა“! და უნდა ეზრუნა იმგვარად როგორც ადრე სხვა მემკვიდრეებზე „იზრუნა“. .....ზრუნვამაც არ დაიგვიანა! დიდი რუსეთის ხელმწიფემ „მოისურვა“ პატარა ერეკლე თავის დიდ დედაქალაქში „პირადად ეხილა“ და „მისთვის შესაფერისი ღირსეული განათლება“ მიეცა! მოკლედ ხელმწიფე – იმპერატორს სურდა „გაებედნიერებინა“ დედა-შვილი და მათთვის „ფუფუნება“ არ მოეკლო! თუკი დედა (მარიამი) გადაწყვეტდა იმპერატორის კარზე გაეგზავნა ერეკლე, თუ არადა, ასევე შეეძლო თვითონ გაჰყოლოდა, ოღონდაც ხელმწიფე იმპერატორს ძალიან „სურდა საჩქაროდ ეხილა მშვენიერი ყმაწვილი, დიდი ერეკლეს შვილიშვილი!“

ჩვენ მოგვეპოვება ბარონი როზენის წერილი ბებუთოვის მიმართ: „პირდაპირ მაოცებს მარიამის ასეთი უარი“. „ჯერ ერთი უარი საერთოდ აღარ შეიძლება, რადგან უმაღლესი ნება უკვე წარმოითქვა და მეორეც, ყველაფერი ეს ხომ მხოლოდ პატარა ერეკლეს გაბედნიერების წადილით ხდებოდა“. „მე მგონია, რომ“.... „ყოველი დედა არათუ რაიმე წინააღმდეგობას გაუწევდა ამგვარ წინადადებას, არამედ პირიქით, სიხარულით აღივსებოდა მთავრობის ასეთ წყალობათა გამო, თუკი ამ დედას თავისი შვილი უყვარს“-ო (ბრ. როზენის წერილი ბებუთოვისადმი 1833წ. 12 აპრილი. აქტები .. ტ.VIII). მაგრამ დედოფალ მარიამს, მოღალატე ქართველ გენერლებზე უფრო მეტად კი არა, ძალიან უყვარდა თავის ერთა ვაჟიშვილი და სიცოცხლეს დაუნანებლად გასწირავდა მისთვის, სწორედ ამიტომ იყო, რომ ჭკვიანი ქალბატონი ყოველ ღონეს ხმარობდა საქართველოდან (ერევნიდან თბილისში დაპატიმრებული ჩამოიყვანეს) არ გაეყვანა თავისი ვაჟი, და ამით ბოლო იმედი არ გადაეწურა საყვარელი და ძვირფასი მეუღლისთვის. მარიამის ღირსებამ, მისმა საოცარმა, დახვეწილმა საქციელმა და მეუღლის მიმართ წარმოუდგენელმა ერთგულებამ მთავარმმართებლის და სხვა მაღალი რანგის ჩინოვნიკთა შორის უაღრესად დიდი მოწიწება და მოკრძალება გამოიწვია. პეტერბურგის საიმპერატორო კარი უკვე ვეღარ იხსენებდა მას „ვაჭრის შვილად“ როგორც ადრე! მან თავისი ბუნებრივი თვისებებით აიძულა მისი მეუღლის მოსისხლე მტრები ეცნოთ ბატონიშვილის ღირსეულ მეუღლედ და საქართველოს სამეფოს გვირგვინდაუდგმელ, მაგრამ ნამდვილ დედოფლად! ბატონიშვილი ალექსანდრე შიკრიკების მეშვეობით მუდმივად უკავშირდებოდა თავის მეუღლეს და მათ შორის იკარგებოდა მანძილი. ისინი უხილავად ეთათბირებოდნენ ერთმანეთს და მარიამისთვის, ისე როგორც ამას ქართული ტრადიცია მოითხოდა, მთავარი ყოველთვის მისი ღირსეული და სათაყვანო მეუღლის აზრი იყო! გენერალი ბებუთოვის პირით მარიამს სთხოვეს წერილობით აეხსნა იმპერატორისთვის პეტერბურგში გამგზავრების გადადების მიზეზი... და ის მომენტიც დადგა, რომ ოდესღაც უმნიშვნელო, მდაბიო ქალის, ამჯერად პეტერბურგის კარისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნების, საქართველოს დედოფლის და ტახტის მემკვიდრის დედის ბარათს იმპერატორი მოუთმენლად ელოდა, როგორც კავკასიის ბედის გადამწყვეტ „ნოტას“. სავარაუდოა, რომ აღნიშნული წერილი მეტად აგრესიული იყო, რადგან აქტების წიგნში არ დაუბეჭდიათ. მის შემდეგ კი ვიცით, რაც მოხდა: მარიამი და ერეკლე, ჯერ თბილისში ჩამოიყვანეს საპატიო მცველებით დატყვევებულნი, შემდეგ კი... თბილისი და მთელი საქართველო ცრემლის ღვრით გამოეთხოვა მათ, ქვეყნის უკანასკნელ ნუგეშს!. ისინიც ისევე გაიყვანეს საქართველოდან მცველებით და ფაქტიურად „გადაჭედილი კიდობნით“, როგორც მისი წინამორბედი დედოფალი მარიამი და სხვები. რაც შეეხება მარტო პატარა ერეკლეს წაყვანას პეტერბურგში, დედის გარეშე, მარიამმა განუცხადა მათ, რომ უწინ „ხანჯლით განგმირავდა საკუთარ შვილს, ვიდრე მათ ჩაუგდებდა ხელში“. მკითხველს ალბათ გაახსენდება მარიამის წინამორბედი ქართველი დედოფლის ასევე მარიამის მიერ ლაზარევის ხანჯლით სიკვდილი, – თავისი საქციელით ის ძლიერ წაგავდა თავგანწირვით მებრძოლ ძლიერ ქართველ ქალებს! რაც დიდი გაფრთხილება იყო რუსი ჩინოვნიკებისთვის!.

რუსეთის ელჩი ირანში სიმონიჩი, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილის ახლო ნათესავი იყო, მას ცოლად ჰყავდა ამილახვარის ქალიშვილი, ალექსანდრეს ძმისშვილის, თეიმურაზის (გიორგის ძის) ცოლის და. სიმონიჩი განათლებული და დახვეწილი დიპლომატი გახლდათ და გულით ეხმარებოდა ალექსანდრეს ცოლშვილის დასაბრუნებლად. არსებობს მისი მიმოწერა მთავარმართებელთან, სიმონიჩი თავრიზიდან ინსტრუქციებს თხოვს რუსეთს, რომ დამაჯერებელი დოკუმენტი დაუდოს წინ სპარსეთის მთავრობას...

ასევე არსებობს ალექსანდრეს და მარიამის მიმოწერა, რასაც ისინი ლეგალურადაც ელჩის დახმარებით აწარმოებდნენ, ამ მიმოწერაშიც გარკვევით იგრძნობა მარიამის ერთგულება და დიდი სიყვარული მეუღლის მიმართ! მაგრამ... ყოველგვარმა ცდამ ამაოდ ჩაიარა.... აბას მირზას დაუღალავმა მეცადინეობამ ნაყოფი ვერ გამოიღო. მარიამი და ერეკლე პეტერბურგს წაიყვანეს, მათი წაყვანით კი შეეცადნენ, როგორმე ბატონიშვილი ჩაეგდოთ ხელში, მაგრამ... ალექსანდრეს სიკვდილამდე არ უღალატნია ფიცისთვის და ერეკლე მეფის დროშისთვის და ეს დროშა მან საფლავში თან ჩაიყოლა...! იგი გარდაიცვალა თეირანში 73 წლის ასაკში და იქვეა დასაფლავებული!

პეტერბურგში გადასახლებული მარიამი დარდმა გატეხა. მას არასოდეს უღალატია ჯვრისწერის დროს ალექსანდრესთვის მიცემული ფიცისთვის და სიკვდილამდე მეუღლის და საქართველოს ერთგული დარჩა! პეტერბურგში მის გვერდით ყოველთვის იყვნენ ბატონიშვილის ახლო ნათესავები, მაგრამ... მისი გული სათაყვანო მეუღლის მონატრებამ და მასზე დარდმა დალია, პატარა ერეკლეც თავისი მამის და სამშობლოს სიყვარულით აღზარდა. მარიამის ერთადერთი და უკანასკნელი სურვილი შვილის მიმართ იყო მისი სამშობ-

ლოში, საქართველოში დაბრუნება. მარიამი პეტერბურგში გარდაიცვალა... მართალია საიმპერატორო კარი ყოველმხრივ შეეცადა ლტოლვილი დედა-შვილის მოხიბვლას თავისი ფუფუნებით, მაგრამ ეს ვერ შეძლო... მიუხედავად მართლაც დიდი მზრუნველობისა!.. ერეკლე ცარსკოე სელოსა და პაჟთა კორპუსში სწავლობდა...

1845 წელს კავკასიის პირველი „ნამესტნიკი" გახდა ვორონცოვი, რომელიც ლიბერალის და კეთილშობილი თავადის როლს ბრწყინვალედ ასრულებდა, და რომელიც გაურკვეველ მდგომარეობაში ჩააყენა ალექსანდრე ბატონიშვილის შვილმა ერეკლემ, ის არ ითხოვდა არც ტახტს, არც მამა-პაპის ქონებას-მამულს, არც პატივს, ითხოვდა მხოლოდ სამშობლოში დაბრუნების უფლებას, როგორც ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქე! და მას ნამდვილად ჰქონდა უფლება მამა-პაპის ძვლებითა და სისხლით მორწყულ ქართულ მიწაზე ცხოვრებისა! ვორონცოვმა ვერ გაბედა უარის თქმა! და ერეკლე, ბაგრატიონის ნაცვლად „გრუზინსკად" ქცეული დაუბრუნდა თავის საქართველოს...

თბილისის ქუჩებში ყოველთვის ქართული კაბით, ჩოხით დადიოდა საქართველოს დიდების, თავისუფლებისა და ეროვნული სიამაყის სიმბოლო ალექსანდრე ბატონიშვილის ღირსეული ვაჟი, რომელიც საოცრად გავდა დიდებულ პაპას!

მან ცოლად შეირთო დავით ჭავჭავაძის ქალიშვილი, თამარი (ალ. ჭავჭავაძის შვილიშვილი), შეეძინათ ორი ქალიშვილი. ერეკლემ თავისებური, ჩუმი შურისძიების მიზნით და თავისი ხალხის დასახმარებლად მიუხედავად ხელმოკლეობისა შექმნა ქართული წერა-კითხვის კომიტეტი, რომელმაც ორი სკოლა გახსნა თბილისში. იგი გარდაიცვალა 1882 წლის 27 აპრილს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. 1 მაისს დილით 10 საათზე გადმოასვენეს სიონის საკათედრო ტაძარში, სიონიდან კი გადაასვენეს მცხეთის სვეტიცხოველში, სადაც მთელი საქართველო, ყველა კუთხიდან ჩამოსული ქართველობა გამოეთხოვა. მცხეთამდე წაასვენეს ბალდახინით, რომელსაც ოთხივ კუთხით საქართველოს მეფეთა ღერბი ამშვენებდა, რომლის მსგავსი მსოფლიოში ცნობილ არც ერთ დინასტიას არ გააჩნია! მემატიანის თქმით ასი ათასზე მეტი კაცი ფეხით ჩაჰყვა მცხეთაში!.. ქართველმა ხალხმა დიდი პაპის, ერეკლე მეფის გვერდით მიუჩინა სამუდამო განსასვენებელი..... დასანანია, რომ მისი დედის განსასვენებელი არ არის მცხეთაში ისევე, როგორც მისი ძვირფასი მამის, საქართველოს თავისუფლებისთვის თავშეწირული შვილის, ალექსანდრესი!

ეს არც თუ მოკლე ტირადა შევთავაზე ჩემს მკითხველს, რათა ნამდვილი სიყვარული გამეხსენებინა მათთვის, ნებისმიერი ქართველისთვის, რადგან დედოფალი მარიამი, ბატონიშვილ ალექსანდრესთან ერთად განუმეორებელი ნათლის სვეტია საქართველოს ისტორიაში, და თუ საქართველოს სიცოცხლე უწერია, აკაკის თქმისა არ იყოს, ისინი ყოველთვის ასევე დარჩებიან ნებისმიერი ქართველის გულისფიცარზე სისხლით ამოკვეთილი უკვდავებით... და ეს დიდბუნებოვანი, ყოველმხრივ კეთილშობილი, საქართველოს ღირსეული დედოფალი იყო ეროვნებით სომეხი! მის წინაშე მუხლს იდრეკს საქართველო! არავის აქვს უფლება მიკერძოებაში ჩამოგვართვას თუნდაც ერთი წინადადება, ერთი სიტყვაც კი.. ჩვენ ძალიან კარგად ვარჩევთ, კარგს და ცუდს, ავს და კეთილს, ბატონებო! ნებისმიერი ერი ფლობს ყველა სიკეთეს, ისევე როგორც ნებისმიერი ერის გარკვეული ნაწილი ფლობს სატანის თვისებებს, რაც, დამეთანხმებით, ყველასთვის დამღუპველია, სატანის თვისება ვნებს არამარტო გარკვეულ პიროვნებას, ვინც ამ თვისების მატარებელია, არამედ ვნებს იმ ერს, რომლის შვილიც ჩემგან მოხსენებული ავი ზნის მქონე პიროვნებაა! და ამ შემთხვევაში ვგულისხმობ არამარტო სომეხ ვაი-მეცნიერთა ჯგუფს, რომლებიც საქართველოს და ქართველ ხალხს დაუძინებელ მტრებად გადაქცევიათ, არამედ იმ ქართველ ვაი-მეცნიერებსაც, რომლებიც ასევე მტრად გადაქცევიან საკუთარ ენას და მამულს! დამეთანხმებით, გამოუსწორებელი ბოროტებაა თითოეული მათგანის საქმიანობა, რაც ასე ძალიან ვნებს ქართველთა და სომეხთა მეზობლობას, მეგობრობას! რადგან ამ ორ ერს, მიუხედავად განსხვავებული რელიგიური რწმენისა, ბევრი საერთო მტერი და ასევე ბევრი საერთო მოყვარე ჰყავს. დიახ ბატონებო! სიყვარული ყველაზე დიდი კეთილშობილებაა, სიყვარული თვით უფალია! და უმჯობესი იქნება ეს ორი ერი ერთმანეთს სიყვარულში და სიყვარულით დაუპირისპირდნენ! მერწმუნეთ, ბატონებო! უმჯობესი იქნება ყველასთვის!

XXI საუკუნის მიჯნაზე აზრი დაკარგა ხალხურმა სიბრძნემ, რომ „ხალხს, ყოველთვის ისეთი ხელისუფლება ჰყავს, როგორსაც იმსახურებს"..... მაშინერიის და ტექნიკის ეპოქამ, როგორც სჩანს სამყარო ძირეულად შეცვალა და არ „გარდაქმნილა" ქართველი ხალხის ის ნაწილი, დიახ... თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არ შეცვლილა და იგივეა ეროვნული იდეების მატარებელი ქართველი ხალხის ის ღირსეული ნაწილი, რომელთაც ერის გადარჩენის მისია აქვს უფლისგან დაკისრებული... ისინი ვაჟკაცნი, დიდსულოვანნი, კეთილშობილნი არიან, ტანჯული და ჯვარცმული ქვეყნის შვილები!.. 21-ე საუკუნეშიც კი გმირების სისხლით გაჯერებული მამულის პატრონნი თავგანწირვით იბრძვიან რწმენისა და თვითმყოფადობისთვის! 7611 წელს ითვლის ქართული კალენდარი! ყველა ცივილიზებული ერის კალენდარს აღემატება სიძველით და სიბერით. ამ ხნის მანძილზე მტერი არ დაგველია, შინაური თუ გარეული ყველა მამულის წართმევას, წაგლეჯვას, დანაკუწებას და აბორიგენი მოსახლეობის განადგურებას, გაწყვეტას ცდილობს; მაგრამ.. მამულიშვილნიც არ დაგველია... 21-ე საუკუნის გადასახედიდან სიტყვა „გმირი" და „მამულიშვილი" ამერიკელის თვალში უხერხულად და სასაცილოდაც ჟღერს, მაგრამ ისტორიაში ჩახედული განათლებული ადამიანი, ვინც გააცნობიერებს საქართველოს უკანასკნელი პერიოდის ისტორიულ მოვლენებს და პირადად ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობას, ჩასწვდება მის სულიერ და პოლიტიკურ აზროვნებას და ცხოვრების წესს, მიუხედავად ეროვნებისა, მისთვის აღარ იქნებოდა გასაკვირი 2007 წლის 1 აპრილს იმ პროცესიის ხილვა, იმ 100 000 თუ 200 000 კაცის ხილვა, რომელნიც პრეზიდენტის ცხედარს მიჰყვებოდა მცხეთიდან თბილისში, მთავრობის სასახლემდე, მთავრობის სასახლიდან კი მთაწმინდამდე. მე პირადად ოკეანის გაღმა სატელევიზიო არხების საშუალებით ვნახე ამ პროცესიის ამაღელვებელი კადრები! დიახ, უმუშევრობით და სიღატა-

კით დათრგუნული, შიმშილით ძალაგამოლეული, მაგრამ საოცრად ამაყი და სულიერად ძლიერი ქართველი ხალხი უკანასკნელ გზაზე უკვდავთა განსასვენებლისკენ მიაცილებდა ზვიად გამსახურდიას, რომელმაც დაუნანებლად მიუძღვნა საკუთარი სიცოცხლე მამულს, ენას, სარწმუნოებას. ღირსეულად განაგრძო და დააგვირგვინა ილიას გზა და მშობელ ხალხს სამარადისო ანდერძად დაუტოვა ბრძნული იდეა, რომ არ არსებობს უკვდავება და მარადიული ჭეშმარიტება რწმენისა და მამულისთვის თავშეწირვის გარეშე....

ზვიად გამსახურდიას აზროვნების მსგავსი სტილი, როგორც უკვე ვთქვი, დღევანდელი გადასახედიდან მიუღებელია გლობალური პრინციპების იდეებით შეპყრობილი მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ღრმა განათლების მქონე ინდივიდისთვისაც კი. ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმისთვის, მითუმეტეს თანამედროვე ადამიანისთვის სიცოცხლე ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანია, დანარჩენი პრობლემები მეტნაკლებად მხოლოდ და მხოლოდ უნდა მოგვარდეს და მოხმარდეს მათი აზრით მხოლოდ მათივე სასიცოცხლო გარემოს გაუმჯობესებას და კომფორტს!.. დიახ, დღევანდელი მსოფლიო საზოგადოება პრაგმატული აზროვნებისაა და ეს არცაა გასაკვირი! გასაკვირი და 21-ე საუკუნის სასწაული ქართველი ხალხის ცხოვრება და მისი ეროვნული გმირის ზვიად გამსახურდიას თავშეწირვაა! კოსმოსის ეპოქის ცივილიზებული ერებისთვის წარმოუდგენელი და გაუგებარი! ცივ, მდიდარ და ნაკლებმგრძნობიარე თანამედროვე ადამიანთა საზოგადოებას არ უყვარს ეროვნულ იდეებზე ზრუნვა! და დღეს, როცა კაზინოებს, ნავთისა და უამრავ წვრილ თუ მსხვილ ბიზნესს გადაყოლილი მილიონერებისა და მილიარდერებისთვის გართობა და ფული ყველაზე მნიშვნელოვანია, – ყოველმხრივი ადამიანური სიკეთით: ოჯახისშვილობით, განათლებით, თანდაყოლილი უიშვიათესი ნიჭიერებით, გარეგნული მომხიბვლელობით არამარტო შემკული, უხვად შეზავებული პიროვნება, როგორიც ზვიად გამსახურდია იყო, ღვთისგან ნაბოძებ სიცოცხლეს სამშობლოს სწირავს, დიახ, მამულს ანაცვალებს..... და იცით, რატომ? ის ნამდვილი ქართველი იყო, 7000 წლოვანი გმირების გულსა და ტვინში გამოვლილი სუფთა, შეურყვნელი ქართული სისხლით!!!

კანონზომიერია ის ფაქტიც, რომ მცხეთის სვეტიცხოვლიდან გამოასვენეს, უძველესი და უწმინდესი ქართული სალოცავიდან...

ქართველმა ხალხმა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, უმუშევრობით დამშეულმა, დათრგუნულმა და განაწამებმა ქართველმა ხალხმა ზვიად გამსახურდია კიდევ ერთხელ ღირსეულად დაიტირა და ხელით აბრძანა მთაწმინდაზე და მიაგო ის განსაკუთრებით ღირსეული პატივი, როგორიც მას ეკადრებოდა!

გამსახურდია, ისევე იყო იბერიული ჯიშისა და მიწის გადასარჩენად უფლისაგან მოვლინებული, როგორც თავის დროზე ფარნავაზი და გორგასალი!... წმინდა ნინო, 13 წმინდა ასურელი მამანი, დიდი გრიგოლ ხანძთელი, დიდი დავით კურაპალატი, აღმაშენებელი, დემეტრე თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე და... ილია ჭავჭავაძე...

ზვიად გამსახურდიას ღვთაებრივმა, სულიერმა და ფიზიკურმა მისიამ 21-ე საუკუნის ქართველ ხალხს მართლმადიდებელი რწმენა დაუბრუნა და საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის უფლება მოუპოვა! ზვიად გამსახურდიას, საქართველოს პირველი პრეზიდენტის და კათალიკოს-პატრიარქის, მეუფე ილია II-ის უშუალო ძალისხმევით ჩაეყარა საფუძველი წმინდა „სამების“ საკათედრო ტაძრის მშენებლობას! „სამების“ ტაძარი გაუტეხელი ქართული სულისა და ეროვნული ენერგიის ქვაში შერწყმული ჰარმონია და სასწაულია!

ახლა მინდა თავში ნათქვამ ხალხურ სიბრძნეს დავუბრუნდე, რომ ქართველი ხალხი არ იმსახურებდა ასეთ მოპყრობას, არც სიგუა-შევარდნაძის სისხლიან ხელისუფლებას იმსახურებდა, მაგრამ... „ძალა აღმართს ხნავს“, - ესეც უთქვამთ ჩვენს წინაპრებს და ნუ დაგვავიწყდება, რომ უფალი ჩვენი, იესო მაცხოვარი ჯვარზე გააკრეს..... არნახული ბოროტებით აწამეს... ასეთი საქციელი უგუნურთა წესია, მაგრამ ვაი, რომ ისევ... „ძალა აღმართს ხნავს“....

ჩემი „შენიშვნებით“ შევეცადე მკითხველისთვის მიმეწოდებინა და თან განმემარტა ზოგიერთ უცხოელ და ქართველ მეცნიერთა შრომების ძირითადი იდეა და გამომეყო მათი ლოკალური ხაზი, რაც დაკავშირებულია ქართველ ტომთა წარმოშობის, ენისა და ისტორიის შეგნებულად და მიზანდასახულად გაყალბება-გადაკეთების, ქართველი ერის არასრულფასოვან, უწარსულო ერად გადაქცევის მცდელობასთან. შეძლებისდაგვარად შევეცადე მემხილებინა ვაი-მეცნიერთა არამარტო არამეცნიერული, არამედ ზედმეტი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ უზნეო, პოლიტიკური იდეებით დატვირთული „მეცნიერული“ შრომები. რამდენად გავართვი თავი დასახულ მიზანს, მკითხველმა განსაჯოს.

ასევე მინდა ვუთხრა ჩემს მკითხველს რომ „იუდას მორალი“ და „შენიშვნები ისტორიულ თემებზე“ ჩემი მამულის ტკივილმა, ჩემი ხალხის უმძიმესმა ეკონომიკურმა გაჭირვებამ, სვეტიცხოვლისა და გელათის, „მრავალჟამიერის“ და „ჩაკრულოს“ მონატრებამ, თელავური შემოღამებისა და თეთრი გიორგის ზმანებამ დამაწერინა! ყოველწუთიერად ვგრძნობ როგორ აფორიაქებს გონებას თუბალკაინური მოდგმის მესხური სისხლის გენეტიკური მეხსიერება და... მადლობას ვწირავ უფალს ათასობით წლები რომ გამოატარა ჩემს ჯიშსა და ჯილაგს, მართალია დაგლეჯილსა და დახლეჩილს, მაგრამ მაინც გადარჩენილს საუკუნეთა სისხლიანი ქარტეხილებით აწეწილ მშვენიერ და მშფოთვარე, მარად ცოცხალ, ტკივილითა და სიხარულით აღსავსე დედამიწაზე. და ეს ყველაფერი განსაკუთრებით მძაფრად შევიგრძენი აქ, ოკეანის გადაღმა, ქვეყანაში, რომელიც ყველას სამშობლოა, გარდა ჩემი ჯიშისა! ათასობით კილომეტრით დაშორებულმა და დანატრებულმა მამულს, ჩემს თელავსა და ქუთაისს, ჩემს ულამაზეს სოფელ ქვაციხეს, ჭიათურის მიღმა იმერეთის მთებში რომ შეყუჟულა, სადაც პირველად გავიარე დამოუკიდებლად და რეალური სამყარო შეძლებისდაგვარად გავაცნობიერე... დიახ.... მძაფრად შევიგრძენი აქ, უცხო ქვეყანაში და უცხო ხალხში საკუთარი სისხლის ყივილი, ჩემს მამულს და ჩემს ხალხს დანატრებულმა... ჩემს თბილისს მოწყურებულმა, სადაც ჩემი სალოცავები და უძვირფასესი მამის წმინდა საფლავია, ჩემს თელავსა და ქუთაისს დანატრებულმა, ბებიებისა და ბაბუების, ჩემს წინაპრთა ძვალთშესალაგი სადაც მეგულება. თელავში ჩემს მშობლიურ კერას, ჩემს

სახლს და ჩემს გზაზე მლოცველ დედას დანატრებულმა დამაწერინა თქვენთვის, ქართველო ძმებო და დებო „იუდას მორალი“ და „შენიშვნები“... ...და აქ, ოკეანის გადაღმა, ათასობით კილომეტრით მამულს დაშორებულმა რეალურად გავაცნობიერე ჩემი გენი.. მისი ნაკლითა და ღირსებით. რიგითი ამერიკელისთვის გაუგებარია ჩვენებური ლიბერალიზმი, კეთილშობილება.. აქ, ამ ქვეყანაში (ე.ი. ამერიკაში) გულმოწყალება და ქველმოქმედება ისეთივე საქმეა, როგორიც დურგლობა ან ექიმობა, რადგან... ქველმოქმედი (ცხადია, ისინი მილიონერები არიან) გაწეული ქველმოქმედების შესაბამისად სხვადასხვა ფორმით ანაზღაურებას იღებს (ან გადასახადები აქვს შემცირებული, ან მთლიანად მოხსნილი და კიდევ ათასი სხვა რაღაც შეღავათები). დიახ, ბატონებო, ქართველი კაცი ბუნებითაა ქველმოქმედი, გულმოწყალე. გაიხსენეთ დიდი გიორგი ჭყონდიდელი! ძლიერი სამეფოს უპირველესი კაცი მეფის შემდეგ, რა გულმოწყალე ბრძანდებოდა.. ჩვენ, ქართველებს ამის სწავლა არ გვჭირდება, მაგრამ... როცა აბორიგენი მოსახლეობის 80% ღატაკია, ან უარესიც, მათხოვარია (ამ შემთხვევაში მათხოვრობა არ ნიშნავს, რომ ქუჩაში ხელი აქვს გაწვდილი), ცხადია იმ დარჩენილ 20%ს გაუჭირდება მათი გამოკვება! უმუშევრობამ ხალხს სტალინის დრო ანატრებინა, როცა უმუშევრები არ იყვნენ და საარსებო სახსარი ყველას გააჩნდა, გამოსავალი სად ვეძებოთ? აბორიგენ მოსახლეობას თუ დამატებით დაურიგდებათ მოსავლიანი მიწის ნაკვეთები უსასყიდლოდ, ოღონდაც სხვა ქვეყნის მოქალაქეზე გაყიდვის უფლების გარეშე, ერი გადარჩება.. ეს ჰიპოთეზა თუ თეზად იქცევა კარგი იქნება, ამით ახალ აფხაზეთს და სამაჩაბლოს აღარ შევუქმნით ხელოვნურად მომავალ თაობას! სიტყვამ მოიტანა და მინდა ვუთხრა ჩემს მკითხველს, რომ ამ ავტონომიების შექმნაში სტალინს წვლილი ნამდვილად არ მიუძღვის. აღნიშნული პროექტები ორჯონიკიძის შექმნილია! სტალინი ვერ შეეწინააღმდეგებოდა, რადგან... ხალხის მტრის იარლიყს მიაკერებდნენ, შოვინისტად მონათლავდნენ, თანაც რუსულ-სომხური დაჯგუფება ორჯონიკიძე-მიქოიანს ემხრობოდა. სტალინმა მხოლოდ ის შეძლო, რომ ორთავე ავტონომიას საურთიერთობო ენად ქართული დაუტოვა! არ არის საჭირო სტალინის ფენომენისგან მტრის ხატის შექმნა, მისთვის ყველაზე დიდი სასჯელი სწორედ ის იყო, რომ მეტი ვერაფერი გაუკეთა მამულს, იმ მამულს, რომელსაც ჯერ კიდევ ყმაწვილმა უბრწყინვალესი და საოცრად ამაღლებული ლექსი „დილა“ უძღვნა! ნებისმიერმა ქართველმა კარგად იცის, რომ სოჭის, საინგილოს, და ლორე-ტაშირის მხარე ორჯონიკიძემ ჩამოაჭრა საქართველოს (კავკასიის საქმეთა ხელმძღვანელი მიქოიანი გახლდათ! საეჭვო ვითარებაში „გადარჩენილი“ 27-ე კომისარი!). სტალინმა ისღა მოახერხა, რომ აღნიშნული მიწები ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებით გადასცა მეორე სოციალისტურ რესპუბლიკას, სოჭის მხარე განსაკუთრებით 100 წლიანი ვადით! იქნებ იგი იმედოვნებდა, რომ 100 წელიწადში ვინმე ღირსეული მამულისშვილი გამოუჩნდებოდა საქართველოს და თავის მიწა-წყალს კანონიერ ფარგლებში როგორმე დაუბრუნებდა ქვეყანას! როგორც ვხედავთ, ეს ასე არ მოხდა! უფრო მეტიც, შევარდნაძემ რუსეთს უფრო დიდი სამსახური გაუწია, სადამსჯელო ხოცვა-ჟლეტვა მოაწყო სამეგრელოში სულ ცოტა ხუთჯერ მაინც, სისხლით მორწყო არამარტო აფხაზეთი და სამაჩაბლო, მთელი საქართველო! და ამ სამოქალაქო ომმა 30 000 ქართველი ჭაბუკის სიცოცხლე შეიწირა! კახეთში, კერძოდ თელავში, სოფელ ვარდისუბანში გაუგონარი შემთხვევაც კი დაფიქსირდა, იოსელიანის რეციდივისტებმა ცოცხალ ძროხას ააჭრეს ბარკალი! სამეგრელოში, წალენჯიხაში 5 წლის ბიჭუნა 18-მა რეციდივისტმა ჩაცხრილა ყიჟინით, „აი ასე, მომავალი ზვიადისტი რომ არ გაიზარდოო“. მათ, მხედრიონელებს და ბევრ ქართველს არ ესმოდა მაშინ, რომ „ზვიადისტობა“ სამშობლოს სიყვარულს ნიშნავდა და იმ ერთ სიტყვაში ჩატეული და შერწყმული იყო აზრი, იდეა – ნებისმიერ ქართველში მეტნაკლებად განვითარებული სწორედ სამშობლოს სიყვარულის გრძნობისა და უფლისგან მოვლენილი დიადი ადამიანის, მამულის გადარჩენისთვის ჯვარზე გაკრულ ზვიად გამსახურდიას ფენომენის ღვთაებრივი ურთიერთკავშირის შესახებ. ხალხს ყველაფერი ახსოვს ბატონებო! სწორედ შევარდნაძემ მიართვა აფხაზეთი და სამაჩაბლო „დედა რუსეთს“! სწორედ მან გაანადგურა და გააღატაკა ქართველი ერი და ქართული ქვეყანა! მადლობა უფალს, ჩამოაშორეს პოლიტიკას, ახლა კი... ჯერი ჩვენს ახლანდელ ხელისუფლებასა და თაობაზეა! როგორ გამოვადგებით ქვეყანას და ხალხს, როგორ იდავითებს ნებისმიერი ჩვენთაგანი!

P. S. ახლა ბევრს საუბრობენ „ფესტოსის დისკოზე“,რომელიც კრეტის საპორტო ქალაქ ჰერაკლიონის არქეოლოგიის მუზეუმის III გალერეის 41 ყუთში ინახება EPI-1359 ნომრით და 16 სმ. დიამეტრის 380 გრამ თიხის ფირფიტას წარმოადგენს. აღნიშნულ თიხის ფირფიტაზე 61 სიტყვა-კომპოზიტი და 244 ნახატ-ნიშანია ოქროს ყალიბით ამოტვიფრული. მეცნიერებმა დისკოზე აღბეჭდილი წარწერა ძვ. წ. 1850-1600 ან კიდევ 2500-1600 წლებით დაათარიღა.

„ფესტოსის დისკო“ არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ აღმოაჩინა 1908 წლის 3 ივლისს კრეტის ქალაქ ფესტოსში, მინოსის სასახლის ნანგრევებში. აღმოჩენის დღიდანვე იგი გამოცანა გახდა მეცნიერებისთვის, რადგან მისი გაშიფვრა შეუძლებელი აღმოჩნდა. დადგინდა მხოლოდ ერთი საკითხი, რომ... „ფესტოსის დისკო“ უძველესი, ე.ი. პირველი ბეჭდვითი რელიგიურ-ლიტერატურული დოკუმენტია მსოფლიოში!

ცნობილი ორიენტალისტები და ლინგვისტები შეეცადნენ მის ამოკითხვას უძველეს ენებზე, რამაც შედეგი არ გამოიღო და აი, 2006 წლის ნოემბერში ცნობილი ხდება, რომ 17 წლიანი შრომის შემდეგ ფესტოსის დისკოს წარწერა გაშიფრა ქართველმა მათემატიკოსმა გია კვაშილავამ! დისკოს წარწერა კოლხური ოქროდამწერლობაა!!! რამდენად გაიზიარებს და დაუჭერს მხარს მის აღმოჩენას მსოფლიო ორიენტალისტური მეცნიერება, – მომავალი გვიჩვენებს, დღეს კი ნორმალურად მოაზროვნე არამარტო მეცნიერისთვის, ჩვეულებრივი განათლებული და გაცნობიერებული ადამიანისთვის სადაო არ არის ის ფაქტი, რომ ქართველთა წინაპრები უძველესი ტომი იყო დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთაგან, რომელთაც ჰქონდათ დამწერლობა, დამწერლობის ქვეშ კი იგულისხმება ცივილიზაცია მთელი თავისი სრულყოფილებით. კიდევ ერთხელ ხმამაღლა ნათქვამი რომ არ

გამომივიდეს, დაინტერესებულ ოპონენტებს მივუთითებ ანტიკური საბერძნეთის ისტორიკოსებს: ხარაქს პერგამონელს, ევჰემერიოსს, იოანე ანტიოქიელს, და ბოლოს თესალონიკის მთავარეპისკოპოსს ევსტათიოს. მათ თხზულებებში დაცულია ცნობები კოლხური დამწერლობის შესახებ. მოვუსმინოთ პავლე ინგოროყვას: „ქართული მწიგნობრობის არქაული ეპოქის საგულისხმო ცნობა აქვს დაცული აგრეთვე ანტიკური ხანის ბერძენ ავტორს ხარაქს პერგამელს (II საუკუნე ჩვენი ერასი).

უძველესი – ჯერ კიდევ ჰომეროსის ეპოქიდან – ცნობილია ლეგენდა არგონავტელთა მოგზაურობის შესახებ კოლხეთში. ლეგენდა გადმოგვცემს, რომ არგონავტები მოვიდნენ კოლხეთში, რათა წაეღოთ ოქროვანი საწმისი (ვერძის ოქროსსაწმისიანი ტყავი). ეს ლეგენდა დიდი პოპულარობით სარგებლობდა ანტიკურ ხანაში და მას სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევდნენ ანტიკური ხანის ავტორები. კერძოდ ხარაქს პერგამელს დაცული აქვს ასეთი განმარტება ამ ლეგენდისა: „ოქროს საწმისი“ ეს არისო „ოქრო-დამწერლობა“ ანუ „ხრისოგრაფია“, ე.ი. განსაკუთრებული ხელოვნება წერისა ოქროს ასოებით. წესები ამ ხელოვნებისა, ოქროს ასოებით წერისა, აღწერილი იყოო ტყავებზე, და რომ არგონავტებმა ამ მეტად მნიშვნელოვანი ხელოვნების შესათვისებლად იმოგზაურესო საბერძნეთიდან კოლხეთში“. „...ხრისოგრაფია, ოქროვანი ასოებით წერა ტყავზე ანუ პერგამენტზე, საბერძნეთშიაც იყო ცნობილი (კერძოდ იგი ცნობილი იყო თვით პერგამში, რომელიც მწიგნობრობის განთქმულ ცენტრად ითვლებოდა ელინისტურ ხანაში, და საიდანაც იყო თვით ხარაქს პერგამელი), მაგრამ ხრისოგრაფია განსაკუთრებით კოლხეთში ყოფილა მიღებული, იგი, როგორც ირკვევა, სპეციფიკურ კოლხურ ხელოვნებად ითვლებოდა. ხარაქსი იმ აზრს ადგა, რომ კოლხებმა კი არ შეითვისეს ხრისოგრაფია ბერძნებისაგან, არამედ, პირიქით ხრისოგრაფია საბერძნეთში კოლხებისაგან გავრცელდაო. ხარაქსის ცნობიდან ისიც ირკვევა, რომ მწიგნობრობა კოლხეთში უძველესი ხანის ამბად ითვლებოდა. მწიგნობრობა, კერძოდ ხრისოგრაფია, არამარტო ხარაქსის დროს არსებულა კოლხეთში, არამედ ხარაქსის შეხედულებით, იგი უძველესი ხანიდან – თვით არგონავტელთა ეპოქიდან მომდინარეობდა“ (პ. ინგოროყვა, თხზ. კრებული, ტ. IV, გვ. 251, თბ. 1978 წ). რაც შეეხება კირბებს – ესეც ერთ-ერთი სახეა კოლხური დამწერლობისა, რომელზეც მოგვითხრობენ: კრატინე, პლატონი, ლისია, თეოპომპე ქიოსელი, აპ. როდოსელი, არისტოფანე ბიზანტიელი, აპოლოდორე ათენელი, სტრაბონი, პლუტარქე და... კიდევ სხვები... როგორც ხედავს მკითხველი ისტორიკოსთა საკმაოდ მრავალფეროვანი სპექტრია წარმოდგენილი. ახლა რაც მთავარია, მინდა მკითხველს ყურადღება გავამახვილებინო სიტყვა „კირიბზე!“ „კირბები“ გახლდათ გზის მაჩვენებელი წარწერები კოლხეთში მოგზაურთათვის. „კირიბი“ ძველ ქართულად (საბა) და ასევე მეგრულად (ჭანლაზურად) ნიშნავს კრავს, ცხვრის შვილს, ხოლო სიტყვა „დოკირიბუა“ – ამოტვიფვრას, აღბეჭდვას. ბოდიშს მოვიხდი გამყრელიძე-მაჭავარიანთან, და ამ სიტყვების წართმევას ნუ შეეცდებიან, რადგან უაღრესად სამარცხვინო საქციელს ჩაიდენენ კიდევ ერთხელ!

ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ მთავარი რედაქტორის, ქ-ნი თინა კობალაძის ინტერვიუში გია კვაშილავასთან, ვკითხულობთ შემდეგს: „უძველესი ქართველური ტომების ენა ამჟამად ნაწილობრივ მეგრულ-ლაზურში, სვანურში და იმ ძველ ქართულშია შემონახული, რომელიც სულხან-საბას ლექსიკონშია თავმოყრილი. სწორედ ამ ენებში დაცული სიტყვების ძირების საფუძველზე მოხდა „ფესტოსის დისკოს“ ტექსტის სრული გაშიფვრა“ (გვ. 185). „დისკოს (ფესტოსის) ტექსტი წარმოადგენს საგალობელს „ნენანას“, რომელიც ეძღვნება „აია ნეშკარის“ მფარველ პელაზგურ-კოლხურ ნაყოფიერების დიდ დედაღვთაებას ნანას, რეა-კიბელეს“ (გვ. 184, „ჯვარი ვაზისა“, 2007 წ. 1-2). ქალბატონი თინა კობალაძე, რომელიც უაღრესად დიდი ეროვნული მოღვაწეა და რომელიც ჩუმად, უპრეტენზიოდ აკეთებს მამულიშვილურ საქმეს, სათავეში უდგას საპატრიარქოს მრავალტირაჟიანი და მრავალგვერდიანი ჟურნალის „ჯვარი ვაზისას“ გამოცემას, ჟურნალისას, რომელიც საქართველოს ისტორიული წარსულის მატიანეა და დღეს იგი ყველა ღირსეული მამულიშვილის სამაგიდო წიგნად იქცა, სწერს იმ პირუთვნელ სიმართლეზე, რაც ორიენტალისტიკისთვის ჩვეულებრივ ანა-ბანას წარმოადგენს, მაგრამ... ზოგიერთი მიკერძოებული მეცნიერისთვის ცხადია საკამათოა. აღიარებული ფაქტია, რომ 1988 წლის სექტემბერში ბუდაპეშტში გაიმართა ეირენეს კომიტეტის XVIII საერთაშორისო კონგრესი. კონგრესზე სიტყვით გამოვიდა ავსტრიელი მეცნიერი ჰერბერტ ძებიში და წამოაყენა არგუმენტირებული ჰიპოთეზა, რომ „ფესტოსის დისკოს“ წარწერა პროტოქართულია. ბუდაპეშტის XVIII საერთაშორისო კონგრესზე ძებიშმა ტრიბუნიდან მიმართა მსოფლიოს ცნობილ ორიენტალისტებს, რომ... „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ამოკითხვას ნუ ცდილობენ ინდოევროპულ ენებზე! მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებას ძებიშმა წარუდგინა თავისი მრავალწლიანი გამოკვლევები წიგნებში: „იბერიული – ღმერთების ენა“, და „პელაზგური – იბერიული ენაა“. ძებიში საკუთარი, მეცნიერული კვლევის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ: „წინაბერძნული მოსახლეობის ენა, ე.ი. პელაზგური-ქართველურ ენათა დედაა!“ მკითხველს უეჭველად კარგად ახსოვს ჰეროდოტეს თეზაც, რომ კოლხები და პელაზგები ერთი და იგივე მოდგმის ხალხი იყო... 1990 წელს ჰერბერტ ძებიში საქართველოს ესტუმრა, ვანის VI საერთაშორისო სიმპოზიუმზე „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი VI საუკუნეში ჩვ. წ. აღმდე“, – მან წაიკითხა მოხსენება „ფესტოსის დისკოს“ და A ხაზოვანი დამწერლობის კოლხური წარმომავლობის შესახებ.

ძებიშისგან დამოუკიდებლად იგივე აზრი განავითარა თავის კვლევებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ბ-ნმა აკაკი ურუშაძემ. მისი დასკვნით: პელაზგურისა და მცირე აზიის ძველი ენების ცოცხალი გადმონაშთია იბერიულ-კავკასიურ ენები, და მხოლოდ იბერიულ ენათა ჯგუფის საფუძველზე და მისი საშუალებით შეიძლება ამოკითხულ იქნას A ხაზოვანი დამწერლობა!

ბ-ნმა გია კვაშილავამ იგივე მეთოდით გაშიფრა „მალიის-ქვის ბლოკზე (ძვ. წ. XVIII-XVII ს.ს. კუნძული კრეტა) ამოკვეთილი ოთხი ნახატ-ნიშანი და „არკალახორის“ ბრინჯაოს ორმაგ ცულზე (ძვ. წ. XVI-XV ს.ს. კუნძული კრეტა) აღნიშნული შვიდი ნახატ-ნიშანი.

„ფესტოსის დისკოს“ წარწერა შესრულებულია ნანა, იგივე რეა – კიბელეს, ე.ი. მიწის დედის, ანუ დედა-მიწის, იგივე ნანა ღმერთის სადიდებლად. პირადად მე არ ვეთანხმები (და მაქვს ამის უფლება) ორიენტალისტთა ნაწილის მიერ მიღებულ თეზას, რომ კიბელე ფრიგიული ღვთაება იყო და შეერწყა ბერძნულ რეასა და ქართულ ნანა-დედა ღვთაებას! კიბელე ისევეა ქართული ანუ იგივე მესხურ-ჭანური დედა-ღვთაება, როგორც ხალდების, ხათების და სუბარების ნანა ღვთაება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ შემორჩებოდა ქართულ წარმართულ პანთეონს, ხათურად ნანა ღვთაებრივი დედაა (ქართულადაც იგივეს აღნიშნავს ან კიდევ საერთოდ დედას ნიშნავს)! ფრიგიის ღვთაება რომ ყოფილიყო ნანა ღმერთი, მათ შემოჰყვებოდათ მცირე აზიაში! და რადგან ფრიგიელებს დახვდათ (!) ნანა-დედა ღვთაება, ე.ი. იგი ადგილობრივი, სუბარულ-ხურიტული იყო ოდითგანვე!

ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ...

„ფესტოსის დისკოს“ ოქროდამწერლობა, ბატონი გია კვაშილავას მეცნიერული კვლევის საფუძველზე შესრულებულია ნანა ღმერთის ქურუმების – კორიბანტების მიერ. სტრაბონის მითითებით კორიბანტები კოლხეთიდან ჩავიდნენ კრეტაზე. ანტიკური ხანის ისტორიკოსთა თხზულებებში კორიბანტები მოხსენიებულნი არიან აიეტის ძმებად, ე.ი. ჰელიოსის შვილებად! მითითებულია ვერსიებიც, რომ ისინი ლაპარაკობდნენ კოლხურად, ე.ი. ჭანურად. რაც მთავარია, მათ ჰქონდათ საიდუმლოდ შენახული ღვთაებრივი დამწერლობა! „ართურ ევანსმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „ფესტოსის დისკოს“ წარწერა ნაყოფიერების დედა-ღვთაებისადმი მიძღვნილი საგალობელია. დისკოზე ამოტვიფრულია სიტყვა „ნენანა“. რატომ აქვს ნანას წინსართი „ნე“? ამაზე ბატონი ივანე ჯავახიშვილი ბრძანებს, რომ: „ნე მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი მიმღეობის ოდესღაც ქართულში არსებული ფორმანტი ყოფილა“ („ჯვარი ვაზისა“, 2007 წ. 1-2).

„ჰერბერტ ძებიშმა შექმნა კომპიუტერული პროგრამები, რომლებითაც იგი „ფესტოსის დისკოს“ ნიშნების სიხშირეს 16 ძველი ენის მარცვლების სიხშირესთან ადარებდა, მაგრამ შედეგი არ სჩანდა, შემდეგ მან თავისი PC-პროგრამა კოლხური მარცვლებით „გამოკვება“. როდესაც კომპიუტერმა „უპასუხა“, რომ გარკვეული რეზონანსი შესაძლებელია, იგი სერიოზულად დაინტერესდა კოლხური ენით და შეისწავლა მისი გრამატიკული წესები... მაგრამ დიდი მეცნიერი მალევე გარდაიცვალა და გაშიფვრას ვერ მოესწრო... რაც შეეხება საგალობელ „ნენანას“, მკითხველს ვთავაზობ ამონარიდს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის შრომიდან „შობა, ჯვარცმა, აღდგომა და ამაღლება უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესი“, სადაც მეუფე ანანია წერს: „საქართველოდან შორს, საბერძნეთში, ათონის წმინდა მთაზე, ივირონის მონასტრის ბერები ძველად წირვისას იმეორებდნენ იმ საგალობელს, რომელსაც ჩვილ იესო ქრისტეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი უგალობდა: – წირვის დიდი გამოსვლისას შესაბამის საგალობელს მარცხენა გუნდის ბერძენი მგალობელი ურთავდა მისამღერს ყველასათვის გაუგებარი სიტყვებით, რომელთა შორის უმთავრესი იყო „ნენანა“. ბერძენ მომღერალთა სწავლებით „ნენანა“ იგალობება მოსახსენებლად ღვთისმშობლისა, რომელიც ამ „ნენანას“ (ე.ი. იავნანას უგალობდა აკვანთან ღვთაებრივ ჩვილს თავისას“ (არქიმანდრიტი პორფირი უსპენსკი, პირველი მოგზაურობა ათონის მონასტრებსა და სავანეებში, 1845 წ., ნაწ. I, გვ. 71).

„ნენანას“ მხოლოდ ქართულ სამყაროში უმღერის დედა თავის ჩვილს, ამიტომაც ეს სიტყვები უცნაურია სხვათა სმენისთვის, მაგრამ უცხოელ ბერებს ის დაუცავთ, რაც მიუთითებს ისრაელსა და მის ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებს შორის მჭიდრო კულტურულ კავშირზე, ისრაელის ჩრდილოეთით მოქცეული ქვეყნები – კაპადოკია, პონტო, კოლხეთი და იბერია – ქართულ სამყაროს წარმოადგენდა, დასახლებულს ქართულად მოსაუბრე ტომებით, რომელთაგან მრავალი თანდათან ასიმილირდა სხვა ხალხებში და უფრო მეტად ბერძნულენოვან ელემენტად იქცა.

ახალშობილი იესოს მოსაგონებლად საუკუნეთა მანძილზე – „ივერთა მონასტრის ბერების საგალობელში ქართული „ნანა“ თუ „იავნანა“ გაისმოდა“ (გ. გოზალიშვილი, „მითრიდატე პონტოელი“. „ჯვარი ვაზისა“, 2007 წ. 1-2, გვ. 192).

ამჯერადაც მინდა გავიმეორო ჩემი შრომის პირველ ნაწილში გაანალიზებული ფაქტი, რომ წინასწარმეტყველ, მეფსალმუნე და ისრაელის ბიბლიური მეფის დავითის შთამომავლები მხოლოდ საქართველომ შემოინახა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წყალობით, დინასტიით, რომელიც არამარტო უძველესი იყო ცნობიერ სამყაროში, არამედ ღვთაებრივი წარმომავლობის! უდიდესი ცოდვა ჩაიდინეს რომანოვებმა ბაგრატიონთა დინასტიის გადაგდებითა და მოსპობით, რადგან რა სამწუხაროც არ უნდა იყოს, ფაქტი სახეზეა, ღვთაებრივი ნება აღსრულდა და საშინელი სასჯელით დაისაჯნენ რომანოვები ბაგრატიონთა განადგურებიდან სულ მცირე ერთი საუკუნის შემდეგ...

დასკვნის სახით მინდა მივაწოდო ჩემს მკითხველს, რომ: ასურულ-ბაბილონური ტექსტების წაკითხვისას სემიტური ენის მონაცემები გამოიყენეს მეცნიერებმა, რადგან ასურელები და აქადელები სემიტური ოჯახის წევრები იყვნენ და სემიტურ ენაზე მეტყველებდნენ. ამან განაპირობა აქადური და ასურული ლურსმული დამწერლობის სწრაფად ამოკითხვა. რაც შეეხება ხურიტულს, იგივე სუბარულს, მითანურს, ელამურს, კასიტურს, უდებისა და ლულუს ხალხის ენებს, ამათ უნდა დავამატოთ ხათური (იგივე პროტოხეთური, ხურიტული) და ურარტული (იგივე ხურიტული), – იბერიულ ენათა ჯგუფის დახმარების გარეშე ამ ძველ ენებზე შესრულებული წარწერების წაკითხვა უბრალოდ არ შეიძლებოდა და ვერც ხერხდებოდა, მიუხედავად მეცნიერთა ნაწილის სიჯიუტისა, რომელნიც ამ ენათა ძირებს მხოლოდ ინდოევროპულ ენებში ხედავდნენ და სხვათა შორის ზოგიერთებს ასე სურთ დაიჯერონ დღესაც!

რაც შეეხება ასირიოლოგიას, როგორც ენათმეცნიერების გარკვეული მიმართულება სათავეს იღებს 1857 წლიდან, როცა მსოფლიოს ოთხმა დიდმა მეცნიერმა: ჰინკსმა, ოპერტმა, ტალბოტმა და რაულინსონმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, თითქმის ერთნაირად ამოიკითხეს ასურეთის მეფის ტიგლათფილესარ I-ის მატია-

ნე – „წარწერა პრიზმაზე“. აღნიშნულ დამწერლობას „ლურსმულს“ იმიტომ უწოდებენ, რომ მისი ცალკეული ელემენტის ან ნიშნის მოხაზულობა ლურსმნის მოყვანილობას გავს და სწორედ ლურსმნების მოყვანილობის სხვადასხვაგვარი კომბინაციების შედეგად ვიღებთ ნიშნებს, რომლებიც აღნიშნავს ხმოვანს, მარცვალს, ან ზოგ შემთხვევაში იდეოგრამას, ე.ი. მთელ სიტყვას, აზრს, ან რაიმე ცნებას.

ასურულისგან სრულიად განსხვავებული და სხვათაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელია შუმერული დამწერლობა! არქეოლოგიური მასალების საფუძველზე დაყრდნობით სამყაროს ცივილიზაციის ცენტრად მცირე აზია და კერძოდ შუამდინარეთი მოიაზრება, სადაც რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე სრულიად დამოუკიდებლად ცხოვრობდა შუმერი ხალხი და არსებობდა შუმერთა სამეფო (იგივე სუმერები, სუბერები და, ალბათ, სუბარები!).

ურუქის (დღ. „ვარქა“ მდ. ევფრატზე, სამხ. შუამდ.) მე-5 არქეოლოგიურ ფენაში აღმოჩნდა ქვის ფუნდამენტზე აგებული ტაძრის ნანგრევები, რომელიც მეცნიერებმა ძვ. წ. XXXIV-XXXIII სს-ით დაათარიღა. ტაძრის ფასადი სვეტებითაა მორთული, კედლების შიგნითა ზედაპირი-მოზაიკური ნაკეთობით. იმავე ურუქის IV არქეოლოგიურ ფენაში აღმოჩენილია ლურსმული დამწერლობის ყველაზე ადრეული (რაც გააჩნია მეცნიერებას), პიკტოგრაფიული დამწერლობით შესრულებული სამეურნეო ხასიათის ტექსტების 500-მდე თიხის ფირფიტა. აღარ გავაგრძელებ ჩამოთვლას, რომ ასობით თიხის ფირფიტაა აღმოჩენილი ჯემდეთ-ნასრში, და... ასევე ურუქის III – II არქეოლოგიური ფენები განეკუთვნება ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისს – 3000-2800 წლები ძვ. წელთაღრიცხვით ან მეოთხე ათასწლეულის მეორე ნახევარს.

მეცნიერებას დღეს საეჭვოდ აღარ მიაჩნია, რომ შუმერთა კულტურა, ენა და დამწერლობა მიითვისეს და წაიღეს სირიის უდაბნოდან ჩრდილოეთ შუამდინარეთში შემოსულმა სემიტურმა ტომებმა (3000 წ. ძვ. წ), რომლებიც ეკუთვნოდნენ ძველ ებრაულ, ფინიკიურ და არაბულ სემიტთა ოჯახებს. მათი პირველი შემოსვლა შუამდინარეთში მშვიდობიანი იყო და ადგილობრივ შუმერ მოსახლეობასაც მშვიდობიანად, უმტკივნეულოდ შეერივნენ. თიხის ფირფიტებზე არ არის დაფიქსირებული არც ერთი ფაქტი ომების შესახებ. შუმერების ცივილიზაცია მათთან (სემიტებთან) შედარებით უაღრესად მაღალ საფეხურზე იდგა. ძვ. წ. III ათასწლეულიდან სემიტები უკვე აქტიურად ერთვებიან შუამდინარეთის ისტორიაში და ჩრდილო შუამდინარეთში აარსებენ ქალაქს „აქადის“ სახელწოდებით. ამ პერიოდიდან შუმერი ექცევა მხოლოდ სამხრეთ შუამდინარეთის საზღვრებში! აქადის ირგვლივ კი არსდება სემიტთა ქვეყანა „აქადის“ სახელწოდებით. სრული ექვსი საუკუნის შემდეგ კი აქადელი სემიტები ინაცვლებენ სამხრეთით, გეოგრაფიული ქალდეასაკენ – ხალდების ქვეყნისკენ, აქადიც ხალდების ქვეყანაში მდებარეობდა! და აქადის ირგვლივ აერთიანებენ ამჯერად უკვე მთელ შუამდინარეთს. გაერთიანების სათავეში დგას იმ დროისათვის უდიდესი პოლიტიკური ფიგურა სარგონი, რომელსაც თავისმა ხალხმა და ისტორიამ სარგონ დიდი აქადელი შეარქვა. იგი საკმაოდ ხანგრძლივად მართავდა აქადის იმპერიას ძვ. წ. 2369-2314 წ.წ. სარგონის დროიდან შუმერი როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა სამუდამოდ გაქრა ისტორიის ცნობიერებიდან. აქადელ სემიტებს დარჩათ შუმერთა დიდებული და ყოვლისმომცველი ცივილიზაცია! მეცნიერებაში გაჩნდა ვერსია, რომ შუმერებამდე ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ პროტოევფრატელები, ან როგორც კრამერი (ამერიკელი მეცნიერი) ფიქრობს „ელ-უბაიდელები“. ამ ჰიპოთეზას იმ ფაქტებით ამაგრებენ, რომ შუმერულ თიხის ფირფიტებზე არ არის მითითებული ტიგროსის ძველი სახელწოდება „იდიგანა“, ევფრატისა კი „ბურანუნა“. ასევე ქალაქების – ურის, ქიშის, ნიფურის, ადაბის სახელწოდებები. მათი აზრით ისინი არ არიან შუმერული წარმოშობის და თურმე ეკუთვნიან იმ პროტოევფრატელებს, ვინც შუმერებამდე ცხოვრობდნენ ამ ტერიტორიაზე! (?) ეს მოსაზრება უეჭველად მცდარია, რადგან არქეოლოგიური კვლევები არ შენელებულა ამ ადგილებში, მიღწეულმა წარმატებებმა კი ვერ გამოავლინა ვერავითარი კვალი კრამერის პროტოევფრატელების ღირსშესანიშნავი კულტურისა, თუკი იმდენი აზროვნება გააჩნდათ მათ (ე.ი. პროტოევფრატელებს), რომ სახელები ეწოდებინათ მდინარეებისათვის და ამდენი ქალაქი აეშენებინათ...

მაგრამ ფაქტი სახეზეა! არქეოლოგიური თხრა და კვლევა-ძიება თქვენ წარმოიდგინეთ შუმერებამდელი პერიოდით დათარიღებული კულტურულ ფენებს უკვე აღარ იძლევა! და რადგან შუმერებამდე არ არსებობდა კულტურული, ცივილიზებული ადამიანის კვალი, რას მივაწეროთ იმ მეცნიერთა საფუძველს მოკლებული დასკვნები? თავის გამოჩენის მიზნით ახალი უაზრობის მტკიცებას მეცნიერებაში? თუ უნდა ველოდოთ, რომ მიწის სიღრმეში, ასობით მეტრით ქვევით იქნებ კიდევ რაიმე იმალება? საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მომავალი წინაა, მაგრამ დღევანდელი მონაცემებით შუმერები, იგივე სუმერები, სუბართუს მონათესავე ხალხი – დედამიწაზე პირველი ცივილიზებული ხალხი იყო, რომელთაც ჰქონდათ სარწმუნოება, ენა და მამული! – მამული კი... ალბათ განფენილი მესოპოტომიიდან კავკასიონის მწვერვალებამდე...

არქეოლოგ ოპენჰაიმის გათხრებითაა ცნობილი რასელ აინთან, მდინარე ხაბურის სათავეში თელ-ჰალაფის ბორცვის უაღრესად მნიშვნელოვანი მასალები, რომლებიც მეცნიერებამ ძვ. წ. V ათასწლეულის ბოლოსა და IV ათასწლეულის დასაწყისით დაათარიღა და ნეოლითური და ენეოლითური კულტურა უწოდა. ასევე ხაბურის მხარის ჩრდილოეთ ნაწილში ჩაგარ ბაზარსა და თელ ბარაკში გამოვლინდა 4 კულტურული ფენა საკმაოდ ფართო, ე.ი. დიდი დროის მონაკვეთის მოცულობით, კერძოდ, IV ათასწლეულის ბოლოსა და ძვ. წ. XVII ს-მდე. აღნიშნული გათხრების შედეგად აღმოჩენილი მოხატული კერამიკა და ოქროს ნივთები სპეციალური ტერმინით „ხაბურის ტიპის“ სახელწოდებით შევიდა არქეოლოგიურ მეცნიერებაში და უძველესი და უმნიშვნელოვანესი ცივილიზაციის საფეხურზე დაიდო ბინა! იმავე ხაბურის მხარეში, ხაბურის ველზე თელ-ფახარიაში გათხრილ იქნა II ათასწლეულის შუა ხანების დროინდელი თიხის აგურით ნაშენი დიდი შენობა... აქვე აღმოჩნდა ოქროსა და სპილოს ძვლისაგან დამზადებული სხვადასხვა სახისა და დანიშნულების საგნები და ნივთები... თელ-ფახარიის უაღრესად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მონაცემების

საფუძველზე მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ აქ მდებარეობდა მითანის დედაქალაქი ვაშუქანი! თელ-ფახარიას სამხრეთით 40 კმ-ზე, თელ-ხუერაში აღმოჩენილი მასალაც მჭიდრო ურთერთობაშია ხაბურის მხარის კულტურასთან და ნუზის, არაფხასა და ალალახში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებთან. დასკვნა კი ერთია: ხაბურის მხარე და მთელი ზემო მესოპოტამია იყო ხურის (ე.ი. ხურიტების) ენაზე მოლაპარაკე ტომთა ძირითადი საცხოვრებელი ადგილი III ათასწლეულში და ამასთან მითანის ძლიერი სამეფოს ცენტრი II ათასწლეულში! და რაც მთავარია, უნდა აღინიშნოს, რომ ხაბურის კულტურა ძალიან ახლოს დგას და თითქმის ერთი და იგივეა პალესტინაში, ამუკის ველზე აღმოჩენილ „ხირბეთ-კერაქისა“ და ამიერკავკასიაში აღმოჩენილ „მტკვარ-არაქსის“ კულტურასთან! დიახ ბატონებო! და ეს ცივილიზაციები შექმნილია წინა აზიაში ინდოევროპელი ტომების შემოსევამდე! ამდენად საფუძველს მოკლებულია იმ დებულების მტკიცება, რომ.. „ინდოევროპელთა ენა და კულტურა ქართველი (ე.ი. თუბალ-კაენური მოდგმის) ხალხის ენისა და კულტურის სუბსტრატს“ წარმოადგენდა თურმე. არა ბატონებო! მარი-ვინკლერის აზრი დიდი ხანია უარყოფილია მეცნიერებაში, და თუ დღეს კიდევ იმეორებს ზოგიერთი მათგანი, ეს, როგორც გითხარით მოსყიდული პოლიტიკური იდეოლოგიის წყალობაა!

შუმერის ქვეყნის გაქრობის შემდეგ და მის ადგილზე გაძლიერებულ და გამდიდრებულ აქადის სემიტურ სამეფოს უპირისპირდება ზაგროსის მთებში მოსახლე ასევე შუმერთა მონათესავე ხალხი: უდები, კასიტები და ელამელები. მათ განდევნეს სარგონიდების დინასტია და დაეუფლნენ აქადის სამეფოს. ისინი აქადის სამეფო ტახტს ფლობდნენ ვიდრე სემიტური მოდგმის ხალხის, ამორეველთა ტალღა არ მოაწყდა მდიდარ ქალაქებს: ლარსას, ეშნუნას, ბაბილონსა და მარის სამეფოებისას. ისტორიულ რეალობაში არსებობს ფაქტი, რომელიც ნათელჰყოფს ბაბილონის აბორიგენი არისტოკრატიისა და მოსახლეობის გენეტიკურ განსხვავებას სემიტი დამპყრობლებისაგან. აი ეს ფაქტიც: ეგვიპტის ფარაონები დინასტიური ქორწინებებით უკავშირდებოდნენ უდებისა და შემდეგ კასიტების ბაბილონს, რისი მოხერხებაც იმ პერიოდში არ შეინიშნებოდა აქადელ სემიტთა შორის. ამენჰოტეპ IV-სა და კასიტების ბაბილონის მბრძანებლის ბურნაბურიაშს შორის არსებული მიმოწერიდან ირკვევა, რომ ბურნაბურიაშს ცოლად შეურთავს ასურეთის მეფის ასული. აღნიშნული ქორწინების შედეგად დაბადებული ტახტის მემკვიდრე ქარაინდაში, რომელიც შემდეგ ბაბილონის მეფე გახდა, პროასურული ორიენტაციით გამოირჩეოდა, რაც, რა თქმა უნდა, არ აპატია კასიტურმა არისტოკრატიამ და მოკლეს! ამის შემდეგ ხელისუფლება იცვლებოდა პროკასიტურად და პროასურულად. ასურელები ბოლოს მიხვდნენ რაც უნდა ექნათ და სანამ ბაბილონზე გაილაშქრებდნენ ზაგროსის მთიანეთის მოსახლეობა დაარბიეს და შეძლებისდაგვარად ამოჟლიტეს. დიახ, მკითხველო ... ზაგროსის მთიანეთის ხალხი იყო ძირითადი არტერია ბაბილონის სისხლსავსე სიცოცხლის... ბაბილონი დაეცა!... გაძლიერებულმა სემიტურმა ასურეთმა გაანადგურა სუბარულ-ხურიტული ქვეყნები!

როგორც უკვე ვთქვი, სემიტური მოდგმის ხალხის ტალღამ გადაუარა მთელ მცირე აზიას ქრისტეს დაბადებამდე 3000 2.800 წლით ადრე და პერიოდულად შექმნა არა მარტო აქადის და ბაბილონის სარგონიდების, არამედ ასურეთის უძლიერესი იმპერია, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჰეგემონის როლს ასრულებდა მთელ წინა აზიაში.

ქრისტეს დაბადებამდე 5-4 ათასი წლის წინ ზაგროსის მთიანეთში მცხოვრებ ტომებს, რომლებსაც მელიქიშვილი და ზოგიერთი საზღვარგარეთელი მეცნიერი „გუთიებს“ უწოდებენ, – არაფერი აქვთ საერთო ინდოევროპული წარმომავლობის გუთებთან! ისინი უდების წინაპრები, უდები – იგივე ალბანელები, ანუ ალვანელები, კავკასიური, იბერიული ტომის ხალხი იყო და არ იწვევს გაკვირვებას ის ფაქტი, რომ დღევანდელი ირანის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი კულტურა უკავშირდება კავკასიის მტკვარ-არაქსისა და აღმოსავლეთ ანატოლიის (ჭან-ლაზ-მესხთა საცხოვრისის) კულტურას, რომელმაც განსაკუთრებული კვალი გაავლო ორიენტალისტიკის ისტორიაში, და რომელიც თვალნათლივ ცხადყოფს მათსა და იბერიულ ტომთა გენეტიკურ ნათესაობასა და ზაგროსის მთების, ირანის ზეგნისა და დასავლეთ წინა აზიის უძველეს მცხოვრებთა აბორიგენულობას, მათ უაღრესად მაღალ ცივილიზაციას!

სემიტი ტომების ევფრატისა და ტიგროსის შუა წელში გაბატონების შემდეგ უდებმა კასიტებთან ერთად უკან დაიხიეს ზაგროსის მთებში და დრო და დრო ებრძოდნენ მათ (სემიტებს). ძვ. წ. 2202-2201 წლებში ბაბილონის სარგონიდების დინასტიის აქადელი მეფის სარგონის მემკვიდრე ნარამსუენი უდებთან ბრძოლაში დაიღუპა. აღნიშნული ბრძოლის შემდეგ 100 წელზე მეტ ხანს უდების დინასტია ბატონობდა ბაბილონსა და საერთოდ მესოპოტამიაში. როგორც მრავალ ისტორიულ წყაროში, ამ შემთხვევაშიც გაურკვევლია რატომ ხმარობს გ. მელიქიშვილი თავის შრომებში სიტყვა „გუთიებს?“ ასურეთის მეფე თიქულთინინურტა I-ის წარწერაში, სადაც იგი თავის თავს უწოდებს სხვადასხვა ხალხის მეფეს, იკითხება შემდეგი: „მეფე მთელი სამყაროსი, მეფე ასურეთის, მეფე ქვეყნის ოთხივე მხარის, შუბარელების (სუბარელების), უტიების (უდების) და ნაირის ყველა ქვეყნის.“

თიქულთინინურტას წარწერაში მოხსენიებული ნაირის ქვეყნები ის აბორიგენი ქვეყნები და ტომებია მცირე აზიისა, რომლებიც შედიოდა ხეთის, დღევანდელი გაგებით ხეთის იმპერიის, მითანისა და ბოლოს ურარტუს ქვეყნების შემადგენლობაში! მსოფლიოს პატიოსანმა, ზნეობრივად სუფთა მეცნიერებმა, რომელთათვის შორს იყო „სიბრძნის გაყიდვის“ გაფიქრებაც კი... აღნიშნული ქვეყნები და ხალხი იბერიული რასისა და ჯგუფის ხალხებად აღიარეს. ან რა გასაკვირი უნდა იყოს ეს ფაქტორი? ჩემს მკითხველს გავახსენებ: ამონარიდს ბ-ნ ბონდო არველაძის წიგნიდან „ქვანი კვლავ ღაღადებენ“ (თბილისი, 2004 წ): „1994 წლის 9 სექტემბრის ერევნის გაზეთ „ერკირ ნაირში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ სომხეთის ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარესთან მერუჟან ტერ-გულანიანთან. „კორესპონდენტის კითხვაზე: თქვენი სანუკვარი

ოცნებაა ნაირის ქვეყანა, და რას უსურვებდით გაზეთ „ერკირ ნაირის“ (ნაირის ქვეყანა) მკითხველებსო, ბატონი მერუჟანი პასუხობს: გულახდილად რომ ვთქვა, „ნაირის ქვეყანა ჩემში ვაჰან ტერიანმა დაამკვიდრა და დიდხანს მის მიერ შექმნილ სამყაროს თავი ვერ დავაღწიე. ასე რომ, „ნაირის ქვეყანა შორეული ოცნებაა“ და ამ ოცნებას წმინდად ვინახავდი გულში. მაგრამ შემდეგ უკვე „ნაირის ქვეყანას“ რეალურად შევხედე. ახლა კი მესმის, ჩარენცის, ნაირის ქვეყანა არის ის, რაც ამჟამად გვაქვს, ჩვენ გვეკუთვნის. ეს მიწა არის 30 ათასი კვ. კმ. მას უნდა მიემატოს ჯავახქი და დასავლეთ სამხრეთი (თურქეთის ნაწილი). „ნაირის ქვეყანა“ შორეული ოცნება იყო და იქნება, მაგრამ ოცნება ოცნებად არ უნდა დარჩეს, რადგან ვითარება შეიძლება ისე შეტრიალდეს, რომ ჩვენი კუთვნილი (?) ნაირის ქვეყნის დაცვა დაგვჭირდეს. ამიტომ ყველანი ერთად უნდა ვიყოთ – ოცნება რომ აღსრულდეს.“ დიახ, ბატონებო! მათ კარგად იციან „ოცნების“ საქმედ ქცევა და დიდი სომხეთი კი არა, მითანისა და ურარტუს უძველესი ქართული ტერიტორიები სურთ!!

მინდა კიდევ ერთ საკითხზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება: მცირე აზიის აბორიგენ ტომთა ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველი წელთაღრიცხვის XIII-XII საუკუნეებს, როცა „ზღვის ხალხების“ შემოსევამ დამანგრეველი გრიგალივით გადაუარა დასავლეთისა და ცენტრალური მცირე აზიის ქვეყნებს და მიწასთან გაასწორა ცივილიზებული ქალაქები, მათ შორის ბრწყინვალე ხათუსა – ხეთების დედაქალაქი. ზოგიერთი ისტორიკოსის თვალთახედვით ისტორია დუმს VIII საუკუნემდე: არა, ბატონებო! მართალია XII-დან VIII საუკუნის ჩათვლით მცირე აზიაში მრავალი ახალი ტომი ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრა და შემოსახლდა დასავლეთიდან, მათ შორის უმთავრესნი იყვნენ: ფრიგიელები, თრაკიელები, სომხები, მიზიელები; ეოლიელი, იონიელი და დორიელი ბერძნები, მაგრამ აბორიგენი მოსახლეობა არ ამოწყვეტილა! მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ: „ფრიგიული და სომხური ენები ბალკანურ-თრაკიული ინდოევროპული ფუძე-ენიდან გამომდინარე ენებია“ („ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია“, გვ. 308).

ისტორია არ დუმს! დიახ! გასაოცარია ერთი ფაქტი: სადაც სჭირდებათ ბიბლიას იშველიებენ, სადაც არ სჭირდებათ – უარყოფენ. თუნდაც მეშქების საკითხში! „ზოგიერთი მეცნიერის“ აზრით დღემდე სადავოა ვინ იყვნენ ფრიგიელები და ვინ – მუშქები, ანუ მეშქები, იგივე მესხები!

ფრიგია, როგორც ასეთი, ქვეყანა და ხალხი არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ წარწერებში და საერთოდ წერილობით დარჩენილ დოკუმენტურ მასალაში (ძირითადად თიხის ფირფიტების წარწერები) საერთოდ არ ფიგურირებს! ფრიგიაზე ცნობები შემორჩა ბერძნულ ისტორიას! ჰერდოტესაც გააჩნია უძველესი ცნობა ფრიგიელების შესახებ: ისინი „სანამ ევროპელები იყვნენ და მაკედონელების მეზობლად ცხოვრობდნენ, იწოდებოდნენ ბრიგებად, აზიაში რომ გადავიდნენ, მიწაწყალთან ერთად სახელიც გამოიცვალეს და ფრიგიელები დაირქვეს“. ჰეროდოტეს აზრი სწორი და გამართლებულია, გეოგრაფიულად მცირე აზიაში გადასულმა ფრიგიელებმა დაიკავეს მთელი ცენტრალური და სამხრეთი წინა აზია. ტიგროსის სათავემდეც კი, მაგრამ ეს ბატონობა დიდხანს არ გაგრძელებულა. შემდგომ პერიოდში მათი სახელმწიფოს საზღვრები თანდათან დავიწროვდა და ბოლოს, მათი სახელიც სამუდამოდ გაქრა ისტორიიდან.

მკითხველს პატიებას ვთხოვ გადახვევისთვის და მინდა ისევ ჩემს სათქმელს დავუბრუნდე, რომ ხანგრძლივი გარე და შინა ომების მეშვეობით ხეთების ქვეყნის ადგილობრივმა აბორიგენმა მოსახლეობამ, რომელსაც ბიბლია და ფლავიუსი მეშქების სახელით მოიხსენიებს, დამპყრობლებთან ბრძოლაში ჰეგემონობა მოიპოვა და გაძლიერდა! ასურულ წარწერებშიც არ ფიგურირებს ოდესღაც ძლიერი დამპყრობლების – ფრიგიელთა სახელიც, მაგრამ როცა რაიმე გინდა აუცილებლად გააკეთო, თუ სოკრატესეული სინდისიც ხელს არ გიშლის, თუნდაც მეცნიერული კვლევა იყოს, ადვილი მისაღწევია ყველაფერი, ასე მოხდა 1898 წელს. ჩემს მკითხველს ცხადია კარგად ახსოვს ეს წლები და წინა აზიის არქეოლოგიური გათხრების მასალებზე წარმოშობილი დავა! იმ პერიოდში რაულინსონ-ლენორმანის სკოლა ფაქტიურად ხელმძღვანელობდა მსოფლიო ორიენტალისტიკას, მაგრამ იყვნენ მეცნიერები (მორდტმანის მსგავსნი), რომელთაც შეეძლოთ კატა დაეჭირათ იმ ოთახში, თანაც ბნელში, სადაც ის საერთოდ არ იყო. ასე მოხდა მეცნიერებაშიც. გერმანელმა ჰ. ვინკლერმა გამოაცხადა, რომ: „ბერძნული წყაროების ფრიგიისა და სარგონ II-ის (ძვ. წ. 722-705 წ.წ.) დროინდელი ასურული ტექსტების „მუშქების ქვეყანა“ გეოგრაფიულად ემთხვევა ერთმანეთს და, ე.ი. ერთი და იგივე არისო!“ მსგავსი ბალღური ტიტინი, ცხადია არ ეპატიებოდა მეცნიერს. არავინ იცის მან ეს სისულელე გამიზნულად წამოიძახა თუ შეცდომაში უნებლიედ შევიდა, მაგრამ... მისი ჰიპოთეზა აიტაცა მორდტმანის მსგავსმა მეცნიერებმა და ბიბლიური მეშქები და მათივე თანატომელები თუბალებიც ინდო-ევროპელებად აქციეს!

...ვინკლერი რომ იტყუება, ჩემი მკითხველი დარწმუნდება, როცა ჰეროდოტეს გადაშლის.

წიგნი V, თ. 49. გვ. 330. „...ლიდიელების აღმოსავლეთით არიან ფრიგიელები, რომლებიც ჩვენთვის ცნობილ ყველა ხალხთან შედარებით საქონელმრავალნი და მოსავლით მდიდარნი არიან. ფრიგიელების მეზობლად არიან კაპადოკიელები...“

იმ ვაი-მეცნიერთა გამკვირვებია ვინკლერის მეთაურობით! საინტერესოა რომელ ბერძნულ წყაროებს გულისხმობს ვინკლერი, სადაც ფრიგიისა და კაპადოკიამუშქების ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა ემთხვევა?

მიუხედავად იმისა, რომ ფრიგიელები ბატონობდნენ მთელ წინა აზიაში და პალესტინაშიც (სახელი პალესტინა ძველი ბერძნული ენიდან მომდინარეობს და ქანაანის სამხრეთ სანაპიროზე ძვ. წ. მე-13-12 საუკუნეებში დამკვიდრებული ტომის „პელეშეტის“ ბერძნულენოვანი ფორმაა), მაგრამ სხვებს ალბათ ვერ შებედეს ფრიგიელობა. მებადება ერთი კითხვა: ასურელთა ძლიერების ხანაში რომ ყოფილიყო სიძლიერით თანატოლი ან თუნდაც ნაკლებ შესაძლებლობის, ოღონდაც ფრიგიული დომინანტის მფლობელი მეტოქე ქვეყანა, არ მოიხსენიებდა თავის ისტორიულ ტექსტებში სარგონ II-ის ისტორიკოსი? ან კიდევ: თუ აქ, ამ გეოგრაფიულად მითითებულ ხეთების ქვეყნის ტერიტორიაზე კვლავ დიდი ფრიგიის სახელმწიფო დომინირებდა, რატომ შეცვლიდა და რატომ წერდა და მოიხსენიებდა იგივე ისტორიკოსი მეტოქე სახელმწიფოს მუშქების ქვეყნად? სიტყვა-სიტ-

ყვით „მუშქების ქვეყანა“ აღნიშნავს ხალხს, მუშქებს, ე.ი. მუშქების ხალხის ქვეყანას! ხომ უნდა ეფიქრა მეცნიერს, რომ ეს საკითხი უბრალოდ გადასაწყვეტი არ იყო? ხომ უნდა დაბადებოდა აზრი სხვადასხვა ჯიშის ხალხი განესხვავებინა ერთმანეთისაგან? როგორ დავიჯეროთ, რომ სწორედ ის ბერძენი ისტორიკოსები, რომლებიც მრავალგზის მოიხსენიებენ მუშქებს, იგივე მესხებს, თუნდაც ფლავიუსი – მიუწვდომელი იყო ვინკლერისთვის? ან კიდევ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფლავიუსის აზრი არ გაითვალისწინა ვინკლერმა, მაშინ კვლავ გვებადება კითხვა, რატომ? ფლავიუსის თხზულებები ხომ თითქმის ენციკლოპედიური სიზუსტით ხასიათდება და მის ნაწარმოებებს უდიდესი როლი ენიჭებოდა არათუ დღეს, შექმნისთანავე! ან კიდევ შეიძლება გაითვალისწინა და ამიტომაც აქციეს მესხები ჯერ ფრიგიელებად, რომ შემდეგ უფრო ადვილად მიეკერებინათ სომხობის იარლიყი! ისევ გვებადება კითხვა, რატომ უარყო ვინკლერმა სარგონ II-ის ისტორიკოსის მოწოდებული ფაქტი? ფაქტი იყო მუშქების ქვეყნის არსებობა! დიახ, იმ მუშქების ქვეყნის, რომელიც სულ რაღაც ორიოდ საუკუნის შემდეგ კაპადოკიად გადაკეთდებოდა სპარსთა ხელში! დიახ, ბატონებო! გაყალბება თურმე სარგონ II-ის ისტორიკოსის ჩანაწერებისაც შეიძლება! მთავარია ეს მოინდომონ ზოგიერთებმა! ესეც ერთი იმ გაუკუღმართებული ფაქტთაგანია, რომელსაც უკვე შვიდიათასი, ან კიდევ უფრო მეტი წელია უმზადებდა ბედისწერა ჩვენს წინაპრებს მაშინ, როცა ისინი მრავალრიცხოვანი, ძლიერი, გონიერი, მეომარი ხალხი იყო მცირე აზიაში! ვინკელერმა არ გაითვალისწინა არც მეორე მხარე, რომ მუშქებთან ერთად იბრძვიან მათი განაყოფი ძლიერი თუბალები! ვინკლერმა არ შეისწავლა ამ ხალხის გენეტიკური წარმომავლობა, და შეგნებულად შეეცადა ორიენტალისტიკა მცდარ გზაზე დაეყენებინა! რაც მთავარია, მას სურდა ფრიგიელების მემკვიდრედ, როგორც უკვე გითხარით, სომხები ექცია! ამიტომაც გააყალბა ისტორია. ცხადია შეძლებისდაგვარად გამოუვიდა კიდეც. მაგრამ... ვინკლერს რატომ ვებრძვით, როცა საკუთარმა სისხლმა არ დაგვინდო და თვალებში ნაცარი შეგვაყარა! ჰეროდოტესთან მოხსენიებული მიდასი კი მითაა, მუშქების მეფე. ისტორია მას მითა მესხს ეძახის! და სწორედ მითას სახელიდანაა ნაწარმოები პონტოელთა მეფეების სახელი „მითრიდატე“! ფრიგიელებმა გრიგალივით გადაუარეს და გადასწვეს მუშქების ქვეყანა, მაგრამ მათ ვერ იბატონეს დიდხანს, უნდა ვივარაუდოთ რომ მხოლოდ ერთი საუკუნე თუ გასძლეს... შემდეგ ან გაიფანტნენ ან შეერივნენ არა ადგილობრივ მოსახლეობას, უფრო სავარაუდებელია, რომ შეერივნენ იონიელ და დორიელ ბერძნებს, რადგან ევროპაშიც მეზობლები იყვნენ და ფუძე-ენაც საერთო ჰქონდათ და ალბათ სირიელებსაც! რაც შეეხება ბიბლიას, მისი უტყუარი მონაცემები მთლიანად იგნორირებულია ვაი-მეცნიერთა მიერ. ქართველი მართლაც რომ ვაი მეცნიერი კი წერს შემდეგს: „ჰ. ვინკლერი ითვალისწინებდა იმასაც, რომ ორივე (ფრიგიისა და მუშქების) ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების ხანა ძვ. წ. VIII ს-ის 30-იან წლებზე მოდიოდა“ (გვ. 312. „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია“, 1971 წ). არაფერი არ ემთხვევა! ასურელი მეფის თუქულთიაფად-ეშრის წარწერა მეცნიერებმა დაათარიღა ძვ. წ. XII ს-ით. წარწერაში კი მოხსენიებულია მუშქები და არა ფრიგიელები! („კვალი“, 2006 წ. №1, გვ.97) ასევე ნიმრუდის ობელისკის წარწერაში მოხსენიებულია თაბალთა 24 მეფე, ე.ი. თაბალთა 24 ქვეყანა! ნიმრუდის ობელისკის წარწერა დათარიღებულია ძვ. წ. 840 წლით იმავე პერიოდს განეკუთვნება ასურეთის მეფის შრუ-კინუს ისტორიკოსის წარწერები, სადაც მოთხრობილია უამრავი ქვეყნის დაპყრობის შესახებ, მათ შორის თაბალებისა და... მეფე ამაყად ამბობს: „უკუვაგდე მუშკუს ქვეყნის მეფე მითა...“ („კვალი“, 2006 წ. №1, გვ. 97). მუშკუ – მუშქების ის ქვეყანაა, სადაც სამეფო დინასტიის უმეტეს მეფეს როგორც უკვე გითხარით, მითა ერქვა და სადაც ძლიერი მეომარი ხალხი ცხოვრობდა. დასანანია, რომ ჩვენი მეცნიერები იმდენად დაკნინდნენ, დაითრგუნნენ, რომ მუშქების მეფე მითა ვინკლერის სურვილისამებრ ფრიგიელთა მეფე მიდასად გამოაცხადეს!... ალბათ ამიტომაც გამოაცხადა რუსთაველი სომხად ნიკო მარმა! ჩემმა მკითხველმა უკვე ნახა, რომ ვინკლერის სამარცხვინო ჰიპოთეზის საპირისპიროს ამტკიცებს ყველა ასურული წარწერა! ყველა ცნობილი და მიუკერძოებელი მეცნიერი, მათ შორის კი უპირველესი ორიენტალისტი ლენორმანი, რომლის ხსენებას შავი ჭირივით გაურბიან მელიქიშვილის ჯგუფის ისტორიკოსები. რატომ ბატონებო? მოგახსენებთ: ლენორმანი წლების მანძილზე საფუძვლიანად (და არა ზერელედ) სწავლობდა არქეოლოგიურ მასალებს, მათ შორის ვანის წარწერებს და გამოაქვეყნა ცნობილი დასკვნა: მცირე აზიაში, ვანის ტბის მიდამოებში მცხოვრები ხალხის შესახებ: „(დღევანდელი) სომხეთის (ტერიტორიის) თავდაპირველი მოსახლეობა, მცხოვრებნი აქადის და ქალდეველთა (იგივე ხალდელთა) ჩრდილოეთით გორდიეს მთებში, იმავე რასას ეკუთვნოდა, რომელსაც ქართველები და კავკასიის ზოგიერთი ახლანდელი ხალხი... ვანის წარწერების იდიომში ყველაზე თვალშისაცემი და აღნიშვნის ღირსი ისაა, რომ სომხებთან მას არავითარი, შორეული ნათესაობაც კი არ აკავშირებს. ამ წარწერების ამომკვეთ ხალხს, რომელიც ძვ. წ. V ს-მდე ამ მიწების ერთპიროვნული პატრონი იყო, საერთო არაფერი ჰქონდა სომხებთან, სომხებისაგან განსხვავდებოდა მოდგმით და ენით და მხოლოდ ვანის უკანასკნელი წარწერის შემდგომ შეიძლებოდა მოსულიყვნენ აქ სომხები; მათ ჩრდილოეთისაკენ უკუაგდეს ადგილობრივი მოსახლეობა, იმ ქვეყნისაკენ, რომელსაც ძველები იბერიას, ხოლო თანამედროვენი – საქართველოს უწოდებენ...“ („კვალი“, 2006 წ. №1, გვ. 97-98).

დიახ, ეს ასეა და ვინკლერის „აღმოჩენა“ ყველაზე დიდი ტყუილია ბატონებო! ასურულ ტექსტებში არსად არ არის ნახსენები მუშქების, ე. ი. მესხების ნაცვლად „ფრიგია“, „ფრიგიელთა ქვეყანა“ ან „ფრიგიელები“ – არც ერთ ტექსტში! ვინკლერმა აბსოლუტურად თვითნებურად გადააკეთა მუშქები ფრიგიელებად! სხვათაშორის ეს ხერხი ჩვენთვის კარგად ცნობილია, მკითხველი ადვილად მიხვდება, რადგან ჩვენი მეზობელი ქვეყნის ვაი მეცნიერები ქართულ მიწა-წყალს, ჯავახეთს დღესაც სომხეთად მოიხსენიებენ, და ამის შემდეგ აღარც ვინკლერის პოზიცია გვიკვირს! მაშინ როდესაც შავით თეთრზე მტკიცდება, რომ: „ფრიგიული განეკუთვნება ბალკანურ-თრაკიული შტოს ინდოევროპულ ენათა

ოჯახს...“ – გასაგებია, მაგრამ... რატომ არის მათთვის გაუგებარი, რომ მუშქები მესხები არიან და ფრიგია – ფრიგიელებთან არავითარი კავშირი და სიახლოვე არ გააჩნიათ მათ, იმის გარდა, რომ ერთი ან ორი საუკუნე მუშქებს დამპყრობი ფრიგიელების უღელი ედგათ კისერზე! ნუთუ ეს „უბრალო“ მეცნიერული სიბეცეა და არა ღრმად გამიზნული გაყალბება? ხომ არ ვიფიქროთ, რომ ქრთამმა ვინკლერის ამ შემთხვევაში ნამდვილად ჯოჯოხეთური სულიც გაანათა?! მან იმიტომ ჩაიდინა ეს საზიზღარი საქციელი, რომ შემდეგ სომხები ფრიგიელთა მემკვიდრედ გამოეცხადებინა და კიდევ შემდეგ... უარესიც! მესხები სომხებად ექცია. დიახ, ბატონებო! ყველა გზა რომში მიდისო, უთქვამთ... აქაც ასეა, მე-19 საუკუნეში პატკანოვმა და მარმა შეძლო მსოფლიო ორიენტალისტიკა ბინძურ სიბნელეში ჩაეხრჩო, მაგრამ... არც მეოცე საუკუნეში მომხდარა უკეთესი ძვრები... ოქრომ მეცნიერებაც იყიდა! და იყიდა სარფიანად!

დასანანია ის ფაქტი, რომ ვინკლერ-მელიქიშვილ-გამყრელიძე-ივანოვის ორიენტაციის მქონე, იბერიული ტომების მოძულე მეცნიერებს არ ეყოთ „მეცნიერული“ შორსმჭვრეტელობა, არ აღმოაჩნდათ „მეცნიერული“ კვლევის უნარი და არ, თუ ვერ გაითვალისწინეს თავიანთ „მეცნიერულ“ შრომებში იოსებ ფლავიუსის მკვეთრი და საფუძვლიანი განცხადება, რომ: „თობელმა (თუბალმა) დააფუძნა თობელები, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებათ, მოსოხენები დაფუძნებულნი არიან მოსოხის (მესხის) მიერ, ახლახან მათ კაპადოკიელები ეწოდათ, მაგრამ მათი ძველი სახელწოდების ნიშანიც ჩანს; რამეთუ მათ დღესაც აქვთ ქალაქი მაზაკა, რაც ნათელყოფს მათთვის, ვისაც გაგება შეუძლია, რომ ასე ეწოდებოდა ოდესღაც მთელ ტომს“ (იუდ. სიძვ. I, 6).

რატომ სწერს იოსებ ფლავიუსი: „...რაც ნათელსყოფს მათთვის, ვისაც გაგება შეუძლია, რომ ასე ეწოდებოდა ოდესღაც მთელ ტომს“-ო? ამ შემთხვევაში ფიქრიც საჭიროა, რადგან... ანტიკური ხანის ისტორიკოსის მთელი სიმწვავით დასმული კითხვა ყურადსაღებია! მაშინაც ტერიტორიის ხელში ჩაგდების მიზნით კითხვის ნიშნის ქვეშ სვამდნენ მესხების მესხობას? მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთის შემდეგ რომმა დაიპყრო კაპადოკიად მონათლული მესხების ქვეყანა და იბერია ვერასგზით ვერ შეიერთებდა თავის ხალხს და თავის ქვეყანას!

ჩემი შრომის პირველ ნაწილში მე უკვე მივუთითე, რომ: „ბიბლიური მოსოხი და თუბალი „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობით ქართველი ხალხის მამამთავრებთან უნდა გავაიგივოთ. ისინი ქართლოსის შვილებია, ქართული რასის ეთნარქები. ქართლოსი კი უკვე ვიცით იაფეტის შვილიშვილია! ახლა მოვუსმინოთ ისევ მიხეილ თამარაშვილს: „ებრაული „მოსოხ“ ან „მოსოქ“ სიტყვის ძირი MZK – ანალოგიურია ქართული სიტყვა „მცხ“ (მცხეთა) ფუძისა, რომლის წარმოთქმა მხოლოდ ფუძეში ხმოვნის ჩართვით შეიძლება. სიტყვიდან „მცხეთოს“ წარმომდგარია „მცხეთა“, მტკვრის ხეობის ზემო წელის სახელწოდება. აქვე იმოწმებს მიხეილ თამარაშვილი ცნობილ ენათმეცნიერს ვივიან სენ მარტენს: სიტყვა „თუბალის“ უბალ ფუძე ასევე იდენტურია სიტყვა „უფლოსის“ (უფლოსი მცხეთოსის ძეა) უფალ ფუძისა, საწყისი თანხმოვანის მომატება არა ცვლის მის სახეს და შემადგენელი ასოებიც იგივე რჩება“ („კვალი“, 2006 წ. №1, გვ. 96). და მიუხედავად ღირსეულ მეცნიერთა დიდი შრომისა, თავდაუზოგავი კვლევისა და რაც მთავარია დიდძალი ფაქტობრივი მასალისა მათთვის, იბერიელ ტომთა მოძულე მეცნიერთათვის ყველასათვის აშკარად ჩახჩახა სინათლეც კი ბნელითაა მოცული... უაღრესად საინტერესოა ერთი ფაქტი (და ვინ იცის ასეთი რამდენი ფაქტია გაყალბებული!) ქართლის ცხოვრებიდან: რომ ადერკი მეფობდა ახ. წ. 1-57 წწ. ე.ი. იესო მაცხოვრის ამ ქვეყნად ცხოვრების დროს... და... იყო არშაკუნიანი... ძე ბარტომისი... ბერძნული წყაროებით ისტორიაში დადგენილ ფაქტად ითვლება, რომ ამ პერიოდში იბერიის მეფე იყო მითრიდატე, შემდეგ კი ფარსმანესი, ე.ი. ფარსმანი (ქართულად), ხოლო სომხეთში იბერიის ვასალ, ე.ი. დაქვემდებარებულ ან დაპყრობილ ქვეყანაში მეფობდა ამავე მითრიდატეს შვილი რადამისტი! – პარადოქსია არა?! ისტორიული ფაქტების დაუდევარი გაყალბებაა, არა ჩემო მკითხველო?

ჩვენი წელთარღიცხვის პირველ საუკუნეებში რომ საქართველო (ე.ი. კოლხ-იბერთა ქვეყანა) წარმატებული იყო, ამას მოწმობს ჩვენს მიერ მრავალგზის მოხმობილი ისტორიკოსის დიონ კასიუსის ცნობა: „ფარსმანი (იბერთა მეფე-ხაზი ჩემია, დ. მ.) გაემგზავრა რომს მეუღლის თანხლებით... მისი სამფლობელონი გაფართოებულ იქმნენ, და თითონ მას რომში არაჩვეულებრივი პატივი მიაგეს. სთხოვეს, მეუღლესთან ერთად მსხვერპლი შეეწირა კაპიტოლიუმში. ფარსმანის ქანდაკება, ცხენოსანი სახით წარმოდგენილი, დადგმულ იქმნა ბელონის ტაძარში“.

ბატონებო, იოსებ ფლავიუსის თქმისა არ იყოს, გამგები გაიგებს, და ვისაც იბერიელების წარსული სიკეთის, სიმდიდრისა და სიძლიერის გაგება არ სურს, მათთვის ზედმეტია რაიმეს გახსენება გინდ ჩვენი იყოს, გინდ სხვისი. იოსებ ფლავიუსის „იუდეველთა ომში“ წიგნი VII, 7-4 თავებში, არის ცნობა, რომ ალანები, რომლებიც სკვითური ტომის ხალხია და ტანაისისა და მეოტისის მიდამოებში ცხოვრობენ, იბერიის (ტექსტშია ჰირკანიის) მეფემ გაატარა ისინი და შეიჭრნენ მიდიაში (მიდია უკვე პართიას ჰქონდა დაპყრობილი). ალანებმა ააოხრეს და დაარბიეს მდიდარი ქალაქები. ბრძოლით მივიდნენ არმენიამდე, არმენიის მეფე მაშინ იყო ტირიდატი. იგი შეებრძოლა ალანებს, მაგრამ კინაღამ ცოცხლად ჩაუვარდა ხელთ. ალანებმა ააოხრეს არმენია (როგორც პართიის მომხრე ქვეყანა) და დიდძალი ნაალაფევით და ტყვეებით დაბრუნდნენ უკან. უკან ცხადია იმავე გზით დაბრუნდნენ და ეს გზა სავარაუდებელია იყო დარიალის ან დარუბანდის კარი, რომელზეც ფლავიუსი მიუთითებს, რომ ის გასასვლელი მეფე ალექსანდრემ (მაკედონელმა) რკინის კარებით დაჰკეტა!

აღნიშნულ ფაქტს ერთხმად იმეორებს ბერძნული ისტორიოგრაფია. „ქართლის ცხოვრება“ კი არაფერს ამბობს! ამიტომაც ვუთითებთ თვალნათელ ფაქტზე, რაც მოჰყვა „ქართლის ცხოვრების“ და კერძოდ ლეონტი მროველის ისტორიის მთლიან გადაკეთებას სომხურად!.. ე.ი. ქართლის ცხოვრების სომხურ რედაქციას... ამ საკითხზე მე უკვე ვისაუბრე ჩემი შრომის დაახლოებით შუა ნაწილში, და უკვე მერამდენედ მინდა ვთქვა, რომ კეთილ მეზობლობას და ურთიერთსიყვარულს არაფერი სჯობია, მეათასედ მაინც ნუ გაახსენებენ ჩვენი კეთილი მეზობლები ქართველ ხალხს მართლმადიდებელთა დიდი

წმინდანის გრიგოლ ღვთისმეტყველის შეხედულებას სომხების შესახებ... (უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ საყოველთაოდ ჩამოყალიბებულ აზრს) ბასილი დიდის ეპიტაფიიდან: „...და მერმე იქმნა ესევითარცა, რამეთუ ვითარცა არს ნათქვამი იგი სომეხთა არა წრფელი, არამედ მზაკუვარი და გულარძნილი და ბოროტი მიმსგავსებული კლდეთა მათ, რომელნი დაფარულ არიან ზღუასა შინა, და ვერ იხილავენ მათ მენავენი, ვიდრე არა სცენ ნავი და განტეხონ. ესრეთ სხუასა იტყვიან იგინი და სხუაჲ უც გულსა, და სიწრფოებაჲ მათ თანა არა არს, და რაჲ საკვირველ არს, უკუეთუ კაცსა ეცრუვნენ, ვინაჲთგან თავადისა ღმერთისა მიმართ ცრუ არიან და მზაკუარ, და ბოროტად აღმსაარებელ“. მე მოგაწოდეთ ეფრემ მცირეს თარგმანი და თითქმის ზუსტი თარგმანი წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებისა ეპიტაფიიდან, სადაც აღწერილია, რომ ათენში სასწავლებლად ჩასულ ბასილის (დიდ წმინდანს) მტრულად შეხვდნენ სომხები და მოიხსენიებენ მას „უცხოელად“. ბასილი დიდის ბიოგრაფიული ცნობებისთვის ერთ-ერთ უტყუარ წყაროს სწორედ გრიგოლ ღვთისმეტყველის ეპიტაფია წარმოადგენს, რადგან მასში გარკვევითა მითითებული, რომ ბასილი „ტომით კაპადოკიელი, იყო „უცხოელი“ არა მარტო სომეხთათვის, არამედ ბერძენთათვისაც... და იგი იყო პონტო-კაპადოკიის მკვიდრი დედით და მამით! ე.ი. ის იყო ჭან-მესხი! იბერიელი!

ბასილი დიდის ცხოვრებაზე უკვე მრავალგზის ვესაუბრე ჩემს მკითხველს, მაგრამ მართლმადიდებელი ეკლესიის ამ უდიდესი წმინდანის სახელი და ნათელი იმდენად ბრწყინვალეა, მასთან მიახლოებაც კი, თუნდაც წუთიერი, დიდი ბედნიერებაა ყველა მართლმადიდებლისთვის!

რაც შეეხება ქართულ დამწერლობას, ქართული ასომთავრულის ასო-ნიშნები თვითონ არის უტყუარი მაჩვენებელი მათი სიძველისა. ქართულ ასომთავრულზე ხანგრძლივად ვისაუბრე ჩემი შრომის პირველ ნაწილში. ამჯერად მკითხველს შევახსენებ დიდი ქართველი ენათმეცნიერის პავლე ინგოროყვას არგუმენტირებულ მოსაზრებას, რომ: „ქართული ანბანი ეკუთვნის არქაული პერიოდის მცირე აზიის ალფაბეტების ჯგუფს. ქართული ანბანი არაა შექმნილი თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იგი ჩამოყალიბებულია ჯერ კიდევ იმ ხანაში, როდესაც ხეთას (ხეთის ქვეყანაა მხედველობაში) ქართველი ხალხის ერთი ნაწილი-ჰიბერები (თობელები) და მესხები მცირე აზიის ტერიტორიაზე მკვიდრობდნენ. ჰიბერებს (თობელებს) და მესხებს როგორც ირკვევა, თავდაპირველად იეროგლიფური დამწერლობა ჰქონდათ. (სქოლიო) ხეთას მსოფლიოს ქართველი ტომების – თობელებისა და მესხების უძველეს დამწერლობას წარმოადგენს ეგრეთ წოდებული „ხეთური“ იეროგლიფური დამწერლობა, რომელიც დღემდე არ იყო სათანადოდ ამოშიფრული. ავტორს (ე.ი. პ. ინგოროყვას) ჩატარებული აქვს მუშაობა ხეთური იეროგლიფური დამწერლობის დეშიფრირებაზე, რომელიც ახსნას პოულობს ქართველური ენების საფუძველზე. ხოლო ხეთას სახელმწიფოებრივი გაერთიანების არსებობის უკანასკნელ პერიოდში მე-8-7 საუკუნეთა მიჯნაზე (ჩვენს ერამდე), ისინი გადასულან ალფაბეტურ დამწერლობაზე.

ქართული ალფაბეტური დამწერლობის შემოღება მიეკუთვნება ძველ ისტორიაში კარგად ცნობილ ქართველური ხეთას უკანასკნელი დიდი სახელმწიფო მოღვაწის მეფე მითას ხანას, რომელიც წყაროებში მოხსენიებულია მითა მესხის სახელით“ (პ. ინგოროყვა, თხზ. ტომი IV, გვ. 247, 1978 წ. თბილისი).

პავლე ინგოროყვას ნაზრევი ადრეც შეგახსენეთ, ამჯერად მინდა ყურადღება გადავიტანო მესხთა მეფე მითაზე. ჩემი მკითხველი ცხადია კარგად ხვდება ვინც არიან მესხები, მაგრამ საკვირველია მელიქიშვილისა და გამყრელიძის ჯგუფის „მეცნიერთა“ არა მარტო არალოგიკურობა, არამედ თავზეხელაღებული თავხედობა და დაუდევრობაც კი, როცა მესხებს ფრიგიელებად, ე.ი. სომხებად აცხადებენ! მესხთა სამეფო დინასტიაში მითა იმდენად გავრცელებული და მნიშვნელოვანი სახელი იყო უხსოვარი დროიდანვე, რომ მას უკავშირდება უძლიერესი სახელმწიფოს, მითანის შექმნაც! უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ხეთის კოლხურ-იბერიული ქვეყნების სამეფო დაპყრობილი ქვეყნების ხარჯზე იყო მრავალეროვანი (დაპყრობილი ხალხი ძირითადად იყვნენ აქადურ-სემიტური მოდგმის, ასევე ეგვიპტის ჩრდილოეთით მოსახლე ასევე სემიტური ჯგუფებისაგან, ამორეველთაგან დასახლებული ვრცელი სახელმწიფო). მითანიც იბერიული, იგივე სუბარული სახელმწიფო გახლდათ, სადაც უდიდესი და ქვეყნის ძლიერებისთვის აუცილებელი სავაჭრო კაპიტალი სემიტური მოდგმის ხელში იყო! მეფე მითას სახელს უკავშირდება აგრეთვე მისი ხალხის – მატიენების ხსენებაც ჰერდოტესთან! მატიენები კი – მრავალგზის მოხსენებულნი არიან ბერძნულ წყაროებში, როგორც კოლხ-იბერთა განშტოება, იგივე მესხები! დიახ, ბატონებო, მესხები! და არა ფრიგიელები, ანდა ვიკითხოთ, რატომ მაინცდამაინც ფრიგიელები? მესხების მიწა-წყალზე და მესხებზე ხომ სხვადასხვა ხალხი ბატონობდა სხვადასხვა ეპოქაში: ვთქვათ, მაგალითად: სემიტები, იგივე ასირიელები, და კიდევ ბერძნები! მაგრამ ვინკლერმა აირჩია გაეფრიგიელებინა მესხები – სწორედ იმიტომ, რომ შემდეგ თამამად წამოეყენებინათ ფრიგიელთა მემკვიდრეებად სომხები, ე.ი. შესაკრებთა ადგილების შეცვლით, ჯამი არ იცვლება! რატომ არ შეუშალა ამ ცდას ხელი ჩვენმა „გამოჩენილმა მეცნიერებმა“ და არ დაუმტკიცეს მათ უბრალო ანა-ბანა, რომ მესხები იბერები არიან? რატომ?... – დასკვნა ჩემმა მკითხველმა ამჯერად უკვე თვითონ გამოიტანოს! ან კიდევ ერთს ვიტყვი, რომ ფრიგიელების სახელთანაა დაკავშირებული სომხების გამოჩენა ისტორიის ასპარეზზე და ეს ფაქტი ყველაფერს ხსნის!

პირველი პიკტოგრაფიული ნიშნები ელამელების ხალხს ეკუთვნის, პროტოელამური ენა ჯერ ამოუკითხავია, რატომ არ ეძებენ ჩვენი ღრმად „ეროვნული მეცნიერები“ იბერიულ ფესვებს ელამურში? ელამურს ხომ ვერც ერთ ინდოევროპულ ენას ვერ მიუსადაგებენ. ფაქტიც სახეზეა, რადგან ელამური ენა მხოლოდ ძვ. წ. VI საუკუნიდან იტვირთება სპარსული ლექსიკით, როცა სპარსები გაძლიერდნენ და მიდია და ელამის ვრცელი ტერიტორია მთლიანად მათ ხელში მოექცა!

ჩვენი ისორიკოსები (მელიქიშვილის ჯგუფი) გვარწმუნებენ, რომ „ელამელთა რელიგიამ შუმერული პანთეონის ძლიერი გავლენა განიცადა...“ რატომ არ ფიქ-

რობენ, რომ ეს ხალხები ერთი და იგივე ფუძის ნაყარი იყო და იგივე წარმართული პანთეონი ჰქონდათ?! და ეს ფუძე და ძირი განუწყვეტელ ბრძოლაში იყო არსებობის, ე.ი. მომავლის გადასარჩენად, ერის გენეტიკური მეხსიერების გადასარჩენად, რომელსაც უკვე უკანასკნელი ორი საუკუნეა თვითონ კლავს და ამსხვრევს სულგაყიდული ქართველი მეცნიერები! რატომ ბატონებო?! რა დაგიშავათ თქვენმავე წარსულმა? იმ წარსულმა, თქვენმა წინაპრებმა ათასგვარ უბედურებაში რომ გამოატარეს? ისინი სისხლში იხრჩობოდნენ და ასე უმკლავდებოდნენ მოძალებულ სემიტებს, ფრიგიელებს, ასურელებს, ბერძნებს, სომხებს და არიებს, იგივე სპარსებს!!!

არქეოლოგიური მასალებიდან ცნობილია, რომ „ქიულ – თეფეს არქივის დოკუმენტები დაახლოებით სამ თაობას მოიცავს და XX-XIX სს. განეკუთვნება. XIX ს-ში ასურული კოლონიების არსებობა წყდება; რითია ეს მოვლენა გამოწვეული, ჩვენ არ ვიცით. შესაძლოა, აქ გარკვეული როლი შეასრულა ასურის მბრძანებელთა ბრძოლამ ამორეული ბაბილონის წინააღმდეგ; მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ ასურელებმა დაკარგეს კაპადოკიაში თავისი პოზიციები ადგილობრივ ტომთა გააქტიურებისა და თანდათანობითი გაერთიანების შედეგად“ („ძვ. აღმ. ხალხთა ისტორია“, 1971 წ. თბ. სახ. უნივ., გვ. 378). ავტორი ერთხელაც არ ახსენებს, ვინ იყვნენ ადგილობრივი ტომები, ე. ი. კაპადოკიელები! არაუშავს, მას უმთავრესი დაავიწყდა ეთქვა, რომ ძვ. წელთაღრიცხვის XX და XIX საუკუნეებში როგორც ასეთი „კაპადოკია“ არც ქვეყანა არსებობდა და არც გეოგრაფიული მინიშნება, ცხადია თავისი ხალხით! ჩემმა მკითხველმა კარგად იცის, რომ „კაპადოკია“ სპარსული სიტყვაა და ლამაზი ცხენების ქვეყანას ნიშნავს, ბატონებო, სპარსები კი სემიტების, ასურელებისა და ამორეველების შემდეგ მივიდნენ ამ ქვეყანაში დასაპყრობად, ქვეყანაში, სადაც იბერები, იგივე მესხები ცხოვრობდნენ და ჰქონდათ ძლიერი და მდიდარი სამეფო ათასწლეულების მანძილზე! კაპადოკიის ადგილობრივი ტომები კი... ისევ გავიხსენოთ ეზეკიელი: „იქ არიან მეშექი და თუბალი და მთელი მისი სამრავლე; მათ გარშემო მათი საფლავებია, ყველანი წინადაუცვეთელნი არიან, მახვილით განგმირულნი, რადგან შიშის ზარს სცემდნენ ცოცხალთა ქვეყანას“ (ბიბლია, ეზეკიელი, თ. 32, მუხ. 26, გვ. 785, თბ. 1989 წ.). დიახ, ეზეკიელი რამდენჯერმე უბრუნდება თუბალს და მეშექს. ეს ხალხი კი სამყაროს დასაბამიდან ცხოვრობდნენ ცენტრალურ წინა აზიაში, ჰალისისა და ჭოროხის ვრცელ აუზებში ევფრატის შუა წელამდე! რამდენიმე წუთი დავუთმოთ ისევ ეზეკიელს: იგი იყო იუდეველი რაბი (მოძღვარი, მღვდელი), რომელიც ებრაელ ხალხთან ერთად გაასახლა ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმიდან. ისტორიიდან ჩვენ ვიცით, რომ ნაბუქოდონოსორმა 597 წელს დალაშქრა იერუსალიმი. რატომ? იუდეის მეფე იოაკიმმა ბაბილონს ხარკზე უარი უთხრა, იმედი ჰქონდა ეგვიპტე დაიცავდა. დინასტიური შუღლით დასუსტებულ ეგვიპტეს დაასწრო ნაბუქოდონოსორმა და როგორც უკვე ვთქვით, 597 წელს იერუსალიმი დალაშქრა და დაარბია, უამრავი ტყვე წაასხეს ბაბილონს! არ უნდა დაგვავიწყდეს ის უდიდესი მოვლენა, რაც მოჰყვა ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის განადგურებას... იერუსალიმიდან ლტოლვილი დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებმა, ბაგრატიონებმა საქართველოში, მცხეთაში თან მოიტანეს წმინდა ელია წინასწარმეტყველის ხალეში! და ეს იყო უდიდესი სიწმინდე წმინდა მიწიდან მოსული ქართულ მიწაზე. მომავალში კი (900 წლის შემდეგ) ბაგრატიანთა სამეფო ტახტი ღვთიური მადლით იკურთხება და საფუძველი ჩაეყრება დავით წინასწარმეტყველის შთამომავალთა უძველეს სამეფო დინასტიას... ამჯერად უკვე ქართულ მიწაზე და ქართულ სისხლთან შესისხლორცებით! ათი წლის შემდეგ კი კვლავ ფეხზე წამოწეული იერუსალიმი იმავე ნაბუქოდონოსორმა (ე.ი. 587 წ) დაანგრია, დაწვა და უდაბნოდ აქცია, სედეკიას (მეფეს) იერიქონის დაბლობზე თვალები დათხარა... ხალხი ამოწყვიტა... ვინც ცოცხალი გადარჩა बाबილონში ტყვედ წაიყვანა... ასე აღმოჩნდა ეზეკიელი თავის ხალხთან ერთად बाबილონში... და ეს ეზეკიელი ის უდიდესი მოძღვარი იყო, რომელმაც იწინასწარმეტყველა რწმენის შემბღალავი იერუსალიმის დაქცევა, შემდეგ კი იერუსალიმის დამაქცევრების განადგურება! მათ შორის კი იყვნენ बाबილონელთა მოკავშირე მეშექისა და თუბალის ხალხი და მათი დიდი ქვეყნები! ეს ფაქტი ფაქტად დარჩა ისტორიაში ბატონებო და არავის აქვს უფლება რეალობას პატივი არა სცეს!

თიხის ფირფიტების (რომელთაც მეცნიერებმა კაპადოკიური უწოდეს) და აგრეთვე ხეთური ტექსტების ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ორიენტალისტებს აღარ ჰქონდათ უფლება უარეყოთ, რომ მცირე აზიის უძველესი მოსახლეობა, ე.ი. პროტოხეთები ხათურ ენაზე მოლაპარაკე ტომები იყვნენ, რომლებმაც შექმნეს ალაჯა I-II და ალიშარ III-ის კულტურული ფენები! პროტოხეთები – ხურიტების მონათესავე, უფრო მეტიც, გენეტიკურად იგივე ფუძის ხალხი – იბერიულ-კავკასიური ტომების უშუალო წინაპრებად განიხილებიან! აი, ამ დასკვნამდე მივიდა მრავალი ორიენტალისტი და ენათმეცნიერი (მე ბევრი გესაუბრეთ მათ შესახებ), მათ შორის უდიდესი მეცნიერები: არნოლდ ჩიქობავა, ჰერბერტ ძებიში და აკაკი ურუშაძე! ისინი ლენორმანის სკოლის შემდგომი, მესამე თაობაა!

ბოღაზ-ქოის ლურსმული ტექსტები და ასევე ლურსმული ლივიური დამწერლობით შესრულებული დოკუმენტები, რომლებიც გაიშიფრა და გამოიცა ბ. ჰროზნის მიერ, აშკარას ხდის ხათის ხალხის და ქვეყნის უნივერსალურ ცივილიზაციას. ლუვიური ლურსმული დამწერლობა ხეთების სახელმწიფოს განადგურების შემდეგ შევიდა ხმარებაში ხეთების მიწა-წყლის დამპყრობთა მიერ! ლუვიელები სამხრეთიდან წამოსული ინდოევროპული ტომები იყვნენ, ისინი ალბათ ნაწილობრივ მაინც შეერივნენ დაპყრობილ ხათურ ელემენტს. მიუხედავად ვინკლერის გაუკუღმართებული მტკიცებისა – I ათასწლეულის ასურული და ურარტული წერილობითი წყაროები ჩრდილოეთ სირიასა და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილს „ხათის ქვეყნად“ მოიხსენიებს, და არა ფრიგიულად! ან კიდევ ლუვიურად! ბიბლიამ კი იმავე ხალხს აბრაამის ეპოქაში „ძენი ქეტისნი“ ე.ი. ხეთისნი უწოდა! ეზეკიელმა კი მუშქები და თობელები...!! უფრო ადრე წინა ათასწლეულებში სუბართა ქვეყანა ეწოდებოდა! მოგვიანებით მის ნაწილ ტერიტორიაზე აღმოსავლეთით ხური-მითანის იმპერია გაძლიერდა, რომელიც ებრძოდა კიდეც ზოგჯერ თავიანთ მონათესავე ხეთების ვრცელ სამეფოს... რაც ნამდვილად არის დამახასიათებელი ქართული ხასიათის!

რელიგიაზე, ე.ი. ხეთების, უფრო სწორად ხათების და ხურიტების წარმართულ პანთეონზე ადრეც ვისაუბრე და ეს პანთეონი, ე.ი. მათი ღვთაებები შემოინახა იბერიულ-ქართულმა საცხოვრისმა ქრისტეანობამდე! და ამდენად ამაზრზენია იმის მტკიცება, რომ ხათის ხალხი „ათას ღვთაებას“ სცემდა თაყვანს! არა, ბატონებო! ხათის ქვეყანა თანამდროვე გაგებით ჩვეულებრივი იმპერია იყო, სხვადასხვა სარწმუნოების ხალხიც ჰყავდათ მათ დაპყრობილნი, მაგრამ ქვეყნის ძირითად რელიგიას დაპყრობილი ხალხი არ განსაზღვრავდა. ასე რომ ლუვიელებით და სემიტური, ამორეველი ტომებით არ განისაზღვრებოდა ხათის ხალხისა და ხათის ქვეყნის ძირითადი პოლიტიკური ძალა, როგორც ამას ბ-ნი გ. გიორგაძე სწერს თავის საკმაოდ აბდა-უბდა წიგნში „ათასი ღვთაების ქვეყანა“. ბ-ნი გიორგაძე აბსურდულ სისულელეზეც საუბრობს, რომ: თურმე ნესიტებმა შეითვისეს ყველაფერი ხათური, ენაც და რელიგიაც! ბატონო მეცნიერო, ეს ფაქტი დასაშვებად მიგაჩნიათ? თუკი ეს ასე მოხდა, ისინი ხათები გამხდარან! იქვე ბ-ნი მეცნიერი ასკვნის, რომ: „ნესიტების მსგავსად ფალაელებიც ხათების დასახლებულ ტერიტორიაზე უნდა განსახლებულიყვნენ, რადგან მათმა ენამაც (ისევე როგორც რელიგიამ და კულტურამ) განიცადა ხათურის გარკვეული გავლენა“ და ეს პროცესი თურმე ფალაური ენის გამარჯვებით დამთავრდა! რას ნიშნავს ეს? როგორ გავიგოთ ფალაელთა გამარჯვება? მათ მთლიანად, სრულყოფილად შეინარჩუნეს თავიანთი ენა ბოლომდე! ნუთუ ეს გაურკვეველი იყო ბატონი მეცნიერისთვის? უძველეს ფალაურ თხზულებებს რაც შეეხება, მათ ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ქართველი მწიგნობრები თარგმნიდნენ ბერძნულად და ცხადია ქართულადაც! ამ საკითხზე ჩემი შრომის პირველ ნაწილშიც ვისაუბრე. და ასევე სადაო არ უნდა იყოს პროტოხეთების, ან მათი შთამომავალი ხათების გენეტიკური ნათესაობა იბერიულ-კავკასიურ შტოსთან, რადგან ბერძნული ისტორიოგრაფიით და არქეოლოგიური მონაცემებით კოლხ-იბერიელთა წინაპრებად თუბალ-კაენის მოდგმა, იგივე სუბარები, იგივე ხური-მითანის ხალხი მოიაზრება, რომლებსაც უკანასკნელი საუკუნის მეცნიერები პროტოხეთებს უწოდებენ და ეს ნათესაობა უპირატესად აისახა ენობრივ მასალაზე, ლექსიკაზე, დამწერლობაზე! მოვუსმინოთ პავლე ინგოროყვას: „ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში II-I ათასწლეულებში ძველი წელთაღრიცხვისა ხეთას ქართველ ტომთა – მესხებისა და თობელების (ჰიბერების) არქაულ იეროგლიფური დამწერლობა გავრცელებით სარგებლობს კავკასიის ქართველურ ქვეყნებში. მით უმეტეს ახალი სრულყოფილი დამწერლობა ალფაბეტური დამწერლობა, შემოღებული VII საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა, მიღებულია კავკასიის ქართველურ ქვეყნებში. ხეთას ქართველური სამყარო და კავკასიის ქართველური ქვეყნები – იბერია და კოლხეთი – ერთ კულტურულ წრეს წარმოადგენს ამ ეპოქაში“. იქვე ავტორი განაგრძობს: „... ფარნავაზის დროს, ჯერ ერთი ჩანს ჩატარდა შევსება ქართული ანბანისა, დართვა ძველი ანბანის ბოლოში ცალკე საგანგებო ნიშნებისა სპეციფიკური ქართული ბგერებისათვის (რაც არქაულ პერიოდში ჩანს ნიშანთა შეერთებული დაწერილობით გადმოიცემოდა). ხოლო, რაც მთავარია, მატიანეში საუბარია მწერლობის აღორძინებაზე „ფარნავაზის დროს, რომ ფარნავაზმა „განავრცო ენა ქართული“, „ამანვე შექმნა მწიგნობრობა ქართული“... ე.ი. მწერლობა! „...ძველი ქართული წარმართული კალენდრის შესწავლიდან დასტურდება, რომ III საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა მომხდარა მოწესრიგება ქართული კალენდრისა და შემოღებულ იქნა ნაციონალური წელთაღრიცხვა, რომლის დასაბამად მიღებული იქნა 284 წ. ჩვენს ერამდე. ეს თარიღი, 284 წელი, საიდანაც იწყება ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვა, არის თარიღი იბერიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ფარნავაზის გამეფებისა და ფარნავაზიანთა დინასტიის დამკვიდრებისა იბერიაში.

რასაკვირველია, არსებობა ისეთი მოწესრიგებული კალენდრისა, როგორიც არის ძველ-ქართული წარმართული კალენდარი (რომელიც ანტიკური ხანიდან ქრისტიანულ ხანაში გადმოვიდა), რომელიც თავისი სისტემით ყოველმხრივ სრულყოფილია (კერძოდ, ყურადღებას იქცევს მდიდარი ძველ-ქართული საკალენდარო ტერმინოლოგია, ქართულ თვეთა სახელებით და სხვა) ლიტერატურის განვითარების მაღალ დონეს გულისხმობს“.

„...(სქოლიო) აღვნიშნავთ აქვე, რომ ძველ-ქართულ ნაციონალურ ერას, რომელიც 284 წლიდან იწყება, ქართულად ეწოდება „ალექსანდრეს (ალექსანდრობითი) წელი“. როგორც ცნობილია, დიადოხების ეპოქის ყველა დინასტი, რომელთაც ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დანაწილების შემდეგ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, ხელისუფლების პირველ სათავედ ალექსანდრე მაკედონელს სთვლიდნენ, როგორც იმპერიის დამაარსებელს, ხოლო თავს აღიარებდნენ ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრედ ანუ მოსაყდრედ თავიანთ სამფლობელოში. აქედან წარმოსდგება ეს სახელწოდება ძველი ქართული წელთაღრიცხვისა „ალექსანდრეს წელი“ (პ. ინგოროყვა, თხზ, კრებული, ტომი IV, 1978 წ. გვ. 250-51).

სასაცილოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მეცნიერი ცდილობს ურარტუს მეფის სახელში არამეანიკის წინაპრის დანახვას... და ამით სურს ნაირის ქვეყნის ხალხი სომხებად მონათლოს...! ეს ძალზე სასაცილო იქნებოდა ბატონებო, რადგან ნაირის ქვეყნები ქართული ქვეყნები გახლდათ და მათგან ერთ-ერთი სამეფო არის გადარჩენილი და შემორჩენილი დღევანდელი იბერია! დიახ, ბატონებო! ეს სიმართლე თქვენ ჩემზე კარგად იცით! მაგრამ არ გინდათ აღიაროთ! ან კიდევ სასაცილოა ის ფაქტიც, როცა თესალიელ არგონავტებში სომხებს ეძებენ... დიახ... ეს „მტკიცებულებები“ ფრიად არასაიმედო და არასანდონი არიან, ბატონებო...

არის შემთხვევები (შეიძლება მრავლადაც), როცა პიროვნება შეგნებულად დასცინის საკუთარ მამულს, ენას, სარწმუნოებას, ისტორიას, წარსულს... რაც ჩაიდინა ზოგიერთმა ქართველმა მეცნიერმა... აღნიშნული ქმედება საზიზღრობაა! ბატონებო, ალბათ დამეთანხმებით.

არც ის არის მისაღები და გამართლებული მსუბუქი თავთავივით პატივმოყვარე იყო, სხვისი დამცირებითა და შეურაცხყოფით შეეცადო საკუთარი თავი და წარმომავლობა განადიდო! ასეთი საქციელიც მიუღებელია! ათ მცნებაში ერთ-ერთი უმძიმესი ცოდვა პარვაა! არა აქვს მნიშვნელობა რას იპარავ, აქლემს თუ ისტორიას და წარსულს!..

ძველებისაგან არსებობს გადმოცემა, რომ ლევან კახთა მეფეს შაჰთამაზის კარზე სპარსეთში მძევლად და დიდძალი ძღვენით 1556 წ. გაუგზავნია თავისი ძე იესე, რომელიც შაჰმა შვილივით შეითვისა და მაჰმადიანობაც მიაღებინა. შაჰს იესე ბატონიშვილი (იმჟამად უკვე ისა ხანი) სალაშქროდ ახლდა ინდოეთში, ბრძოლები გადაიხადეს მადრასთან ახლოს მაისურის ოლქში. ამალაში იესეს ერთ-ერთი ქართველი ცოლიც ერია, რომელმაც მაშინ იმშობიარა და ვაჟი შეეძინა. იესემ შაჰს არ გაუმხილა ბავშვის დაბადება, რადგან არ სურდა იგი ტყვეობაში გაზრდილიყო და თავის ერთგულ ძიძიშვილს ფარნაოზ კავკასიძეს მისცა აღსაზრდელად, რომელმაც ახალშობილს დაპყრობილი ადგილის მიხედვით მაისურის შვილი, ე. ი. მაისურის ძე უწოდა! ბატონიშვილ იესეს ვაჟი მალულად შემოიყვანეს საქართველოში და მესხეთში, კავკასიძეების ოჯახში იზრდებოდა. აქედან ჩაეყარა ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ქართულ გვარს, ე. ი. ჩემს გვარს საფუძველი! და განა ეს საამაყო არ არის? დიახ, ბატონებო!... ნებისმიერი ჩვენგანი სათუთად უნდა ინახავდეს თავის მეხსიერებაში საკუთარი მოდგმისა და ჯიშის წარმოშობის წვრილმანსაც კი, რადგან... ადამიანი იბადება გარკვეულ გარემოში, გარკვეული ეროვნებითა და გენური კოდით. ამაზე მეტყველებს კიდეც ჩვენი წინაპრების ბრძნული გამოთქმა: „მშობლებს არ ირჩევენ, არც შვილებს. ისინი ღვთის განგებით ხვდებიან ერთმანეთს“. შერეული ჯიშის ადამიანს გენური კოდი ერღვევა, რადგან იგი (ე.ი. კოდი) ორმხრივ იცვლება. ამიტომაც ხდება მათი (შერეული ჯიშის ადამიანთა) ცნობიერების გაორება, რის შედეგადაც სუსტდება ერთი და ძლიერდება მეორე გენი. უმეტეს შემთხვევაში ძლიერი გენი იმორჩილებს სუსტს და უპირატესობაც მის მხარეზე რჩება. ქართველ ხალხს ძველთაგანვე არ უყვარდათ ჯიშის (სამეფო დინასტიას ჰქონდა იძულებითი წესი) შერევა, არც ქალს გაათხოვებდნენ სხვაგან, არც რძალს მოიყვანდნენ სხვისგან, აუცილებელი გამონაკლისის გარდა. ეს წესი დღესაც დაცულია თურქეთში, კაპადოკია – პონტოს მოსახლე ჭან-მესხებში – ერთადერთი, ვინც მათ გულით მიიღეს აფხაზები იყვნენ, თავიანთი სისხლი და ხორცი – რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ თურქეთში გადასახლებული გამაჰმადიანებული აფშილი მუჰაჯირები!

როცა გენი ორმხრივად სუფთაა (ასე ინგლისელები იტყვიან!), მათ შთამომავალში ძლიერია ეროვნული მუხტი! ან კიდევ რა არის ცუდი იმაში, თუ ადამიანი თავის ეროვნებას პატივს სცემს, უყვარს, აფასებს და ცდილობს შესაძლებლობის ფარგლებში დაიცვას თავისი ენა, მამული და სარწმუნოება? ამ მხრივ ჩვენ ქართველებს შესაშურ მაგალითს გვაძლევენ ჩვენივე მეზობლები სომხები და აზერბაიჯანელები! ასევე ევროპის უძველესი ცივილიზაციის მქონე ქვეყნები: იტალია, საბერძნეთი, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი და რუსეთი! ივივე ითქმის აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ხალხზე: ებრაელებზე, არაბებზე, თურქებზე, ირანელებზე, ჩინელებზე, იაპონელებზე. გლობალისტები ნაციზმს უწოდებენ სამშობლოს სიყვარულის ნებისმიერ გამოვლინებას!.. მაგრამ... უფრო სამარცხვინო ალბათ ის იქნება, თუ ადამიანს არ ექნება განვითარებული ეროვნული თვითშეგნება! არ ეცოდინება მშობლიური ენა და გალაკტიონის არ იყოს, ფეხქვეშ ვერ შეიგრძნობს მამულის მიწას! და იქნება იგი უსახლკარო და მიუსაფარი ამ ვრცელ დედამიწაზე! გლობალიზაცია გასაგები და მისაღებია უეროვნებო, შერეული კონგლამერატისთვის, მაგრამ ასეთებად მხოლოდ ქუჩაში გაჩენილი და გადაგდებული, უდედო და უმამო „ნაბიჭვრები“ ასოცირდებიან ჩვენს ცნობიერებაში! და... ქართველ ხალხს სულითა და გულით ეცოდებათ ასეთები... ისინი ღვთისგან განწირულნი არიან... მაგრამ... ისინიც ღვთის შვილებად მოიაზრებიან!

ერთხელ უილიამ ფოლკნერმა ჯინ სტაინს უთხრა: „წრფელი სინდისი ღვთისგან მოვლენილი წყევლაა, რათა ოცნების უფლება მოიპოვო...“ ფოლკნერი დიდი მწერალი იყო, მაგრამ ჩემი ჯიშის კაცი ასე არ იტყვის ბატონებო! ჩვენებურად წრფელი სინდისი ღვთისგან მოვლენილი მადლია, რათა ღირსეულად ცხოვრების უფლება მოიპოვო! ცხადია საზოგადოებაც ღირსეულია საჭირო, უღირს საზოგადოებას გაუჭირდება ღირსეული კაცის დაფასება! ალბათ ეს თუ იგულისხმა დიდმა ამერიკელმა მწერალმა!

წინმდებარე შრომაში არცერთი სიტყვა უსაბუთოდ არ მომიხმია. ილიას თქმისა არ იყოს, სხვისი არაფერი გვინდა... მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაზე ნაგავი დავაყრევინოთ, ჩვენი წინაპრების სისხლით ნაწერი წარსული და ისტორია გავასაჩუქროთ ან ნებაყოფლობით დავუთმოთ ვინმეს, მოძალადეს თუ მოყვრის ნიღბით მოსულს... არა ბატონებო!.. ჩვენს წინაპრებს უთქვამთ: კიდევაც დაიზრდებიანო... და ასე იქნება, ქართველი ხალხი ისევ შობს თავის წიაღში დიდ მითას – მესხთა მეფეს, ფარნავაზს, გორგასალს, აღმაშენებელს, ახალციხელებს, გიორგი ბრწყინვალეს... დიახ... კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს ლეკვები მგლისანი...

2006-07 წ.წ.

DAVID MAISURADZE
Master of Political Sciences

COMMENTS ON THEMES OF HISTORY

Resume

"Comments on Themes of History" is an organic continuation of "Iuda's Morale." This part discusses different works of Georgian, Armenian and other scholars, which clearly reveal the orderer of the work and therefore political nature of the ordered work depriving the work of its scientific quality and virtue.

It is easy to guess that the above scientific works were specially written for faking the history of Georgian, e.i Iberian tribes. The scholars or the group of scholars mentioned in the work have been working for many years with a very cheap idea in mind - to make Georgia a nation not having past, motherland, faith, nationality or language. Any normal person of any origin will agree that such an action is a dirty thought and dirty business. Shame on them!

Historic moments of Georgian nation before christ and after the first four centuries of christianization have been presented with a scarce materials in the Georgian scientific literature, which makes it utterly difficult to fully analyze those historic moments and bring it to the society.

I have to underline that my work has to be considered only through scientific lenses and in no instance from theological perspective as I have no right to claim the full knowledge of our strict and dogmatic orthodox church. Let holy fathers forgive me those mistakes and emotions in my attempt to bring historic moments of our holy orthodox church to the society.

ДАВИД МАИСУРАДЗЕ
Магистр политических наук

ЗАМЕТКИ НА ИСТОРИЧЕСКИЕ ТЕМЫ

резюме

«Заметки на исторические темЫ» органическое продолжение «Мораль Юды», только в этой части расмотренно научные труды некоторых армянских и грузинских и других авторов и в которых явно прослеживается политически характер заказчиков. что в свою очередь умоляет научное дрстоинство упомянутых трудов.

В данной работе упомянутые авторы в течении многих лет(в том числе и сегодня) ведут позорную пропаганду, чтобы грузински народ представить как народ без прошлого, без культуры и веры и без богатого древнейшего языка и что самое главное без национальности. Всякий образованный и нормально воспитанный человек согласится что такая попитка подход является грязным и аморальным.

Хочу отметить,что мою статью можно расмотреть как подход с общей и ни вкоем случае с богословской позиции, так как не позволью себе вникать в догматах православя..

Пусть простят служители святой церкви Допущенные в статье неточности и эмоции. А моему поколению хочу сказать, что вера совершенствует и спосубствеут человека в установлении личности.



თამაზ კობაიძე

საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა
და მეღვინეობის ინსტიტუტის სამეცნიერო-
ექსპერიმენტული მარნის უფროსი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

უაკ (UDC) 2+2-264

ვაზი და ღვინო მითოლოგიასა და რელიგიაში

ლეგენდები და მითები ვაზისა და ღვინის შესახებ

ვაზისა და ღვინის წარმომავლობაზე მრავალი ძველი ერის ლეგენდა და მითი მოგვითხრობს. ისინი შინაარსობრივად არ მეორდებიან, რადგან ეპიკური ფოლკლორიდან იღებენ სათავეს და მხოლოდ ერთ საკითხში მთლიანდებიან: ყველას თავისი ქვეყანა ვაზისა და ღვინის სამშობლოდ მიაჩნია. სამშობლო კი, რაფიელ ერისთავის სიტყვით რომ ვთქვათ: „როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“. ჩვენს მიზანს სწორედ იმის განხილვა წარმოადგენს თუ რამდენად აქვს უფლება ამა თუ იმ ქვეყანას მიიჩნევდეს თავს ვაზისა და ღვინის სამშობლოდ. გვაინტერესებს რა ფუნქციას ასრულებდა ღვინო და ვაზი ცალკეული ქვეყნის სახისა და მენტალობის ჩამოყალიბებაში, რელიგიურ მრწამსსა და ყოფაცხოვრების კულტურაში. არსებითად ამ მიზნით მიმოვიხილავთ ძველი მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყნების პრეისტორიას, ისტორიულ-არქეოლოგიური მონაცემებისა თუ მითებისა და ლეგენდების ჩათვლით. საკითხის ამგვარ განხილვისას უმთავრესად გვაინტერესებს, საქართველოს, ისტორიულად მევენახეობისა და მეღვინეობის კლასიკური ქვეყნის ადგილისა და როლის განსაზღვრა.

ქართულ წარმართულ საღოცავთა სიმბოლიკაში ვაზს პირველი ადგილი ეჭირა, რის გამოც, ვაზისა და ღვინის კულტთან დაკავშირებული უმთავრესი რიტუალები, ღვთის წმინდა სახლში – მარანში იმართებოდა. ჩვენში ნაყოფიერების კულტისა და რელიგიის არსებობის დამადასტურებელი ყველაზე უძველესი არქეოლოგიური მონაპოვარი ძვ. წ. VI ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება (ქვ. ქართლი, შულავერის კულტურული ნამოსახლარი). ეს გახლავთ: თიხაში მაღალმხატვრულად შესრულებული ქალის მცირე ზომის ქანდაკებები, ყურძნის მტევნის ბარელიეფით შემკული დიდი მოცულობის თიხის დერგი და საღვინე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტზე მამაკაცის ფალოსიანი გამოსახულება. ეს უკანასკნელი, მეცნიერთა აზრით, მსოფლიოში ყველაზე უძველესი (8000 წელზე მეტი) ხნის ვაზისა და ღვინის ღვთაება უნდა იყოს. ამის დასტურია ყურძნის მტევანი, რომელიც ღვთაებას აღმართულ მარჯვენაში უკავია.

წარმართული პანთეონის გამოჩენილი მკვლევარი პროფ. ვერა ბარდაველიძე აღნიშნავს: „მევენახეობის მფარველ ღვთაებად ქართველების ხალხურ სარწმუნოებაში აგუნა ანუ ანგერაა მიჩნეული, რომლის კვალი უფრო მეტად გურიაში შემოინახა“. ქართლში, იმერეთსა და რაჭაში ყურძნის უხვმოსავლიანობისთვის სპეციალურად ყურძნის მოყვანილობის პურს აცხობდნენ, გურიაში კი „ვაზის რქა“ კვერად ცხვებოდა და მას „აგუნას პური“ ეწოდებოდა. თვით სიტყვა აგუნას ფუძე „გუნ“ (ასპირირებულ ფორმაში „ღენ“), თავს იჩენს ღვინის ქართველურ სახელებში. აგუნას ვედრება მარანში, ახალწლის საღამოს სრულდებოდა. აქ მოელოდნენ აგუნას, მის მობრძანება-დაბრძანებას, დალოცვას, მისგან მომდინარე ნაყოფიერებას, სიკეთესა და ხვავ-ბარაქას. მეცნიერთა ვარაუდით, აგუნას კულტი ჩვენში დიონისეს კულტის გავრცელებამდე საკმაოდ ადრე უნდა იყოს დამკვიდრებული.

ქართველთა წარმართული ღვთაების შესახებ „მცირე სჯულის კანონიდან“ მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის ექვთიმე მთაწმინდელი (955-1028): „არმაზი, გაცი, გაიმი, გოჩი და ბადეგეონ, რომელი იგი ყურძენსა წნეხდეს, ბილწსა მის დიონისესა სახელსა იტყვიან და სიცილსა აღაზრზენენ, ესე ყოველი საეშმაკოი არს და მოსპენ ქრისტიანეთაგან“. აქ, ბადაგეონი ანუ ბადაგონი, როგორც მას ივ. ჯავახიშვილი უწოდებს, დიონისესთანაა გაიგივებული და ვაზ-ღვინის ქართველთა წარმართულ ღვთაებას უნდა წარმოადგენდეს.

ბადაგონის ღვთაებად მიჩნეულია მელაანში (გურჯაანის რ-ნი) 1958 წელს უძველესი წარმართული სამლოცველოს გათხრებისას აღმოჩენილი, შემართულ-ფალოსიანი მამაკაცის ბრინჯაოს ფიგურა (ძვ.წ. X-IX სს.). ის თავის გენეტიკურ პაპათა პაპაზე (შულავერის ვაზისა და ღვინის და განაყოფიერების უხუცეს ღვთაებაზე) სულ ცოტა 5000 წლით უმცროსია. ყურძნის მაგივრად მარჯვენაში მას უკვე ღვინით გადავსებული ყანწი უჭირავს, მხარიღლივ სატევარი ამშვენებს და აგზნებულია. იგი ჭეშმარიტად „გვარზე მოხტუნავე კვიცია“ და ზედმიწევნით განასახიერებს ქართველი კაცის ხასიათს: მტერს – მახვილით, მოყვარეს – ღვინით ეგებება. კახეთში მოპოვებულია აგრეთვე, მცირე ზომის ბრინჯაოს ფალიკური სკულპტურები (ძვ.წ. VII-VI სს.), რომლებიც ბადაგონთან ერთად წარმართული ეპოქის საკულტო-სარიტუალო გამოსახულებებს წარმოადგენენ.

ქართველთა ღვინის ღვთაება ბადაგონი. ძვ.წ. XI საუკუნე

რაც შეეხება ბადაგონის ეტიმოლოგიას, ზაურ ქოქრაშვილი ნაშრომში – „ღვინო და ღვინის ღვთაება ბადაგონი“ (2004), მას სიტყვა – ბადაგთან (მაღალშაქრიან, გადადუღებულ ყურძნის წვენთან) და ამავე დასახელების ძველქართულ, წითელყურძნიან ვაზის ჯიშთან აიგივებს.

1365 წლით დათარიღებულ სპარსულ ხელნაწერში (ნაურუზნამე) არსებული ძველი თქმულება მოგვითხრობს: ხორასნის მეფე შემირამის მშვილდოსანმა ვაჟმა, სიკვდილს გადაარჩინა ყელზე გველშემოხვეული არწივი. მადლიერმა ფრინველმა უფლისწულს ჩრდილოეთიდან (ჩრდილოეთის მხარედ კავკასიის ქვეყნები მოიაზრება) ყურძნის წიპწები მოართვა, საიდანაც ვაზი აღმოცენდა და ფერადი ყურძენი მოისხა. მწიფე ნაყოფს პირი არავინ დააკარა. ყურძენი დაწურეს, წვენი თიხის ჭურჭელში მოათავსეს, სადაც დადუღდა და ლალისფერი სასმელი დადგა. სასმელი სიკვდილმისჯილზე გამოსცადეს, მან სამი დიდი თასი ზედიზედ გამოსცალა, ნელ-ნელა მოითენთა და ღრმა ძილს მიეცა. მეორე დილას გაღვიძებულმა მეფეს მოახსენა: სასმელმა ჩემს თვალებს განაჩენის აჩრდილი, გულს კი მწუხარება მოაცილა. მომეჩვენა, თითქოს ჩემსა და მეფეს შორის ყოველგვარი ზღვარი მოისპო და თავს არხეინად ვგრძნობდიო. მეფის სწავლულებმა აღიარეს ღვინის უპირატესობა სხვა სასმელებთან შედარებით და ამის შემდეგ ნადიმებსა და წვეულებებზე ღვინის სმა წესად იქცა...

თქმულება ზემოთხსენებულ მეფე შემირამს ქალაქ შემირამის დაარსებასაც მიაწერს. აკად. გ. მელიქიშვილი ამის შესახებ აღნიშნავს: „აქ, ჩვენს წინაშეა იმავე შამირამის სახელი, რომელიც ორიგინალურად უკავშირდება ურარტულ სამყაროს, რომელსაც მიეწერება მისი დედაქალაქის აგება, დიდი არხების გაყვანა და სხვა. ამიტომაც, ეს ლეგენდა შეიძლება თავდაპირველი სახით მევენახეობის სამშობლოდ სწორედ ძველი ურარტუს მიწაწყალს მიიჩნევდა“.

ძველ სპარსეთში ვაზი ძლიერების სიმბოლოდ მიიჩნეოდა. აქაურ მეეფებს ტრადიციულად სასთუმალთან ედოთ ბაჯაღლო ოქროსგან დამზადებული ვაზის ფოთოლი, ძვირფასი ქვებისგან დახუნძლული მტევნით. სამკაული მათ ახსენებდა მეფე კიროსის პაპის – ასტიაგის სიზმარს: მისი ქალიშვილის საწოლიდან აღმოცენდა ვაზი, რომელმაც ჩრდილოეთით მთელი აზია გადაფარა. სიზმარი აცხადდა. კიროსმა მრავალი ქვეყანა დაიპყრო. მის სამხედრო წარმატებებს ვაზისადმი გაწეულ მფარველობას მიაწერდნენ, რამაც იგი ძლევამოსილი გახადა.

ეგვიპტე – ხმელთაშუა ზღვის აუზში პირველი ქვეყანაა, სადაც ვაზის კულტურა ყველაზე ადრე გაითავისეს (თუმცა მათი მკვიდრნი მევენახეობის დამფუძნებლობას ვერ დაიჩემებენ, რადგან ნილოსის ველზე ველური ვაზი არასდროს ხარობდა). მევენახეობა-მეღვინეობის თემას ასახავს ძველეგვიპტურ ბარელიეფთა უმრავლესობა. აქ, ვაზის პატარა ღმერთის – შაის ღვთაებაც კი შექმნეს, რომელიც, ბერძნულ-რომაულ ღვთაებათაგან განსხვავებით, მშვიდი და გაწონასწორებული იყო. მას სიმდიდრის, სიუხვისა და კმაყოფილების ღვთაებადაც მიიჩნევდნენ.

მითოლოგიური გადმოცემით, სამყაროს შემქმნელმა და მზის ღმერთმა „რამ“, ღვინო საჩუქრად უბოძა დედამიწას. მან ეს სასმელი შექმნა ქალღმერთ ჰატორის რისხვისაგან ადამიანთა მოდგმის გადასარჩენად. მოგვიანებით ეგვიპტურმა მითოლოგიამ „რა“ დღის სინათლესთან, ოზიროსი კი ღამის მნათობთან გააიგივა. ამიერიდან ღვინო ოზიროსს ებოძა და, ლეგენდის თანახმად, მისი დაბადების დღეს, მდინარე ნილოსი ღვინოდ გარდაიქმნებოდა. ეგვიპტელები ვენახს სისხლსავსე, ნაყოფიერი ცხოვრების სიმბოლოდ აღიქვამდნენ, ამიტომაც ოზიროსს – ნაყოფიერების ღმერთს, მსხმოიარე ვაზის ძირას გამოსახავდნენ.

თქმულებების და ხელნაწერთა შეჯერებით ნათლად იკვეთება, რომ ძველ ეგვიპტეში ღვინის მოხმარება საგრძნობლად იზღუდებოდა, განსაკუთრებით დაბალ ფენებში. ღვინოს მხოლოდ საკრალური დანიშნულებით, განსაკუთრებით რელიგიური რიტუალების აღსრულებისას მოიხმარდნენ რელიგიის მსახურნი და დიდებულები. თვით ფარაონი ღვინოს მიირთმევდა, მაგრამ უპირატესობას ლუდს – ქვეშევრდომთა ტრადიციულ სასმელს ანიჭებდა.

საბერძნეთში ვაზისა და ღვინის სიმბოლურ მნიშვნელობას მთლიანობაში მათი უზენაესი ღვთაების, ზევსის ვაჟიშვილი – დიონისე განასახიერებდა. მისი სახელი კრეტის წარწერებში ძვ.წ. 1400 წლიდან ჩანს, მაგ-

რამ ეს თრაკიულ-ლიდიურ-ფრიგიული ღვთაება საბერძნეთში მხოლოდ ძვ.წ. VIII საუკუნიდანღა მკვიდრდება. ის მარად უჭკნობი და მარად მხიარული, უბრალოებით და უდარდელობით გამორჩეული ღვთაებაა. მის კულტს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის როგორც მითოლოგიური, ისე საზოგადოდ აზროვნების, ცივილიზებული სამყაროს განვითარების ისტორიაში.

დიონისესადმი მიძღვნილი ზეიმი წელიწადში ერთხელ, გაზაფხულობით იმართებოდა. პირველ დღეს ყველა მფლობელის ღვინო ღვთიურ სიწმინდეს ეწირებოდა. მეორე დღეს ეწყობოდა კონსურსი, რომელშიც გამარჯვებულად ითვლებოდა ის, ვინც ყველაზე სწრაფად ჩამოსცლიდა ღვინით სავსე დოქს. შემდეგ ტარდებოდა კარნავალის მსგავსი ცერემონიალი, მონაწილენი ხელით დაატარებდნენ გიგანტური ზომის ფალოსს. ბაზელინა – დღესასწაულის დედოფალი, მჭიდროდ ერწყმოდა დინისეს როლის განმასახიერებელ მამაკაცს. ეს ღვთაებრივი შერწყმა თავისებურად ასახავდა განყოფიერებისა და გაზაფხულის განახლების რიტუალს. მესამე დღეს ხდებოდა იმ ქვეყნად წასულთათვის პატივმისაგები მსხვერპლშეწირვა; მეოთხე დღეს კი თეატრალურ წარმოდგენებს: ტრაგედიებს, კომედიებს, ფარსებს ეთმობოდა.

დიონისეს დღესასწაულები ღვინის (უკვდავების სასმელის) გამოყენებით ტარდებოდა არა მხოლოდ

ღვინის ღვთაების, ფალოსიანი მამრის (მარჯვენა ხელში ყურძნის მტევნით) ბარელიე ფური გამოსახულება. შულავერი ძვ.წ. VII-VI ათასწლეული

აღორძინება-განახლების, არამედ, სექსუალური სიძლიერისა და ბუნების ნაყოფიერების ნიშნითაც. ამასთან, დიონისეს კულტს ყოველთვის გააჩნდა მეორე მხარეც: ზეციური ამაღლება ღმერთებთან შესარწყმელად და მიწაზე – დედა-მარჩენალთან დაშვება.

ძველბერძნული თქმულებით, კალედონიის მეფე ოინეუსის მწყემსის ფარას ერთი ცხვარი ხშირად ტოვებდა და უკანაც გვიან ბრუნდებოდა. აღმოჩნდა, რომ ის უცხო მცენარის ნაყოფს კორტნიდა. მწყემსმა ნაყოფს წვენი გამოადინა და წყაროს წყალი შეურია. ტკბილი წვენი ორ კვირაში მათრობელა სითხედ გადაიქცა. მწყემსმა სასმელი მეფეს ძღვნად მიართვა, რომელსაც იმდენად მოეწონა, რომ სასმელს თავისი სახელი „ოინოს“ უწოდა. ასე რომ, ბერძნები მევენახეობა-მეღვინეობის პირველაღმომჩენობას ჩემულობენ, რაშიც მათ ცხვარი დაეხმარა.

რომაელებთან დიონისეს კულტი ადგილობრივი ღვთაების – ბახუსის (იგივე ლიბერის, რაც თავისუფალს ნიშნავს) კულტს შეერწყა და მის მეტსახელებს (ევანი, ევიოსი, ბრომიოსი, ლიკუსი, ლისოსი, დითირამბი) კიდევ ორი – ლიბერი და ბახუსი შეემატა. ბერძენთა მსგავსად, რომაელებშიც ღვინის ღვთაებისადმი მიძღვნილ დღესასწაულს რამდენიმე დღეს უთმობდნენ. ამ დღეებში უქმდებოდა ყოველგვარი ტაბუ, მოსახლეობის ფენებში იშლებოდა ყოველნაირი სოციალურ-კლასობრივი ზღვარი. შეიძლებოდა ყველაფრის თქმა და თითქმის ყველაფრის კეთება ანუ ბაკხანალიები (ორგიები) და ლიბერალიები (ლიბერის დღეობები) კულმინაციას აღწევდა. თუ ბერძნებთან დიონისე წესრიგს განასახიერებს, რომაელებთან ბახუსი – თრობის, ლოთობის, გარყვნილოებისა და საზოგადოებრივი მოუწესრიგებლობის ღვთაებაა. „ღვინო ჯავრს იყრის ლოთებზე“ – ასე აფასებს დიდი ლეონარდო ამ გარემოებას. დღემდე შემორჩენილი მიქელანჯელოს ყურძენისტევნიანი დიონისე-ბახუსის შედევრი ქმნილება კი, ღვინით სავსე თასით ხელში, კვლავ გვლოცავს და თითქოს ალავერდს ჩვენს თაობასთან გადმოდის.

ვაზი და ღვინო იუდეურ-ქრისტიანულ სამყაროში

ძველი აღთქმა გვაუწყებს, რომ წარღვნაქმნილმა ნოემ დაფუძნება-ნაყოფიერების სიმბოლოდ თავდაპირველად ვენახი გააშენა. ამიერიდან ვაზი, ღმერთის საჩუქარია თავისი „რჩეული ხალხისადმი“, ისრაელის სიმბოლოა: „უგალობდეთ მას ტრფიალებულსა ვენახსა; მე, ღმერთი, მფარველი მისი, დღითი-დღედ ვსვამ მას, დღე და ღამე ვჰსცავ მას, რათა ვინმე არ შეეპარებოდეს“ (ეს. 272). გამორჩეული მფარველობით უზრუნველყოფილი იუდეველები ერთხანობას უფალის განრისხებას იმსახურებენ: „ჰქონდა ვენახი ნაყოფიერ გორაკზე ჩემს შეყვარებულს. დაბარა, ქვები მოაცილა, ჩაყარა წითელი ვაზი, ჩადგა კოშკი მის შუაგულში, საწნახელიც ამოკვეთა იქ, დაელოდა, ვიდრე სავსე მტევნებს არ გამოიღებდა. მაგრამ ხენეში ნაყოფი გამოიღო. ახლა განგვსაჯეთ, კიდევ რაღა უნდა გამეკეთებინა ჩემი ვენხისთვის და რა დავაკელი? რატომ გამოიღო ხენეში ნაყოფი, როცა სავსე მტევნებს ველოდი?“ (ეს. 5.5). შედეგად უფალმა დასაჯა თავისი ხალხი და ეს სიმბოლურად – ვენახის განადგურებით („რადგან ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას ხალხია (ეს. 5.7) მოიმოქმედა. მიტევების ჟამის დადგომისას კი უფალი კვლავ აღადგენს მათ ზვარ-ვენახს: „კვლავ გააშენებ ვენახებს სამარიის მთებზე; ვინც გააშენებს ის მოისთვლის“ (იერ. 31.4).

ძველი აღთქმის მღვდელმსახურებაში პურსა და ზეთთან ერთად ღვინოც გამოიყენებოდა. სამსხვერპლოზე შესაწირად დადებული ყოვლადსაწველი (კრავი), მთლიანად ღმერთს ეძღვნებოდა და მას ღვინო და ზეთი ეპკურებოდა. თეოლოგიური განმარტებით, კრავი – ქრისტეს წინა სახეა, ღვინო – მისი სისხლისა. თუმცა ღვინო, როგორც სისხლის ალეგორია („ყურძნის მარცვლის

სისხლი"), ჯერ კიდევ შესაქმეთა წიგნშია (49.11) მოხსენიებული.

ღვინის რაობას, მის ავ-კარგიანობას, საკმაოდ ჯეროვნად აშუქებს მეორედ – კანონიკური ბიბლიური წიგნი – სიბრძნე ზირაქისა (31.27-30): „კაცთა სიცოცხლისთვის ღვინო საჭიროა, თუკი მას ზომიერად მიირთმევენ. რა არის სიცოცხლე ღვინის გარეშე? იგი ხომ კაცთა სასიხარულოდ შეიქმნა? გულის სიხარული და სულის შვებაა ზომიერად და დროის შესაფერად შესმული ღვინო". აქვე გამხელილია ღვინის ჭარბად მოხმარების უარყოფითი მხარეები: „სულის სიმწარეა ბევრი ღვინის სმა, შფოთი და ჩხუბი"; ან: „სიმთვრალე აშმაგებს ბრიყვს თავის საზიანოდ, ართმევს ძალას და ჭრილობებს აყენებს". რაც შეეხება ზირაქისეულ სუფრასთან ქცევის ეთიკურ ნორმებს, ისინი დღევანდელობაშიც არ კარგავენ აზრს და მნიშვნელობას: „ნუ ამხელ მახლობელს ნადიმზე ღვინის სმისას და მხიარულებაში მყოფს, ნუ დაამცირებ, ნუ დაუწყებ საყვედურს და თხოვნით ნუ შეაწუხებ; თუ სუფრის უფროსად დაგსვეს, თავს ნუ აიმაღლებ, არამედ იყავი მათ შორის, როგორც ერთ-ერთი მათგანი. ჯერ მათზე იზრუნე და მერე დაჯექი; თქვი უმთავრესი, მცირედ მრავალი, იყავი მცოდნე და შეგეძლოს დუმილის დაცვაც"... სოლომონის ქებათა-ქებაში ღვინო მამაკაცისა და ქალის ერთიანობას განასახიერებს: „შენი სასარჩელო ღვინოა, ჩემი მეტრფისაკენ მოღვარული, მძინარეთა ბაგეების დამატკბობელი (...), შენი ძუძუნი ვაზის მტევნები".

ამგვარად, ვაზი (ვენახი) ისრაელის სიმბოლოა, მისი მოვლა-პატრონობა უზენაესს („მევენახეს") აკისრია და იმის მიხედვით, თუ როგორ მოსავალს „მოისთვლის", უფლის დამოკიდებულებაც თავის ხალხისადმი – ადექვატურია. რაც შეეხება ღვინის ფენომენს, მას იუდეურ რელიგიაში ორაზროვანი დატვირთვა აქვს: ერთი მხრივ, ხოტბაშესხმული ღვთიური სასმელი, ჰარმონიის სათაყვანებელი წყარო და მამაკაცისა და დიაცის ერთობის სიმბოლოა, ხოლო მეორე მხრივ, მისი ჭარბად მოხმარება უკვე ლოთობას ბადებს, რომელიც შვიდ მომაკვდინებელ ცოდვათა ნუსხაში (ე.წ. „ღორმუცელობის ცოდვად") მოიხსენიება.

ქრისტიანულ რელიგიაში ვაზ-ღვინო აღმატებულ სიმბოლურ დატვირთვას იძენს. იოანეს სახარებაში უფალი უკვე ღვთიურ გენეალოგიასთან ადამიანის კავშირს აფიქსირებს: „მე – ვაზი ვარ ჭეშმარიტი, თქვენ – ლერწები მისი, მამაჩემი კი – მევენახე". იესოს ხალხთან შეხვედრებში ვაზი და ღვინო სისტემატურად (თუნდაც იგავების სახით) მოიხსენიება. მისი სასწაულები ხომ წყლის (წითელ) ღვინოდ გადაქცევით იწყება. საკმაოდ ხშირადაა ლაპარაკი ღვინის ღირსებებზე (ღვინო ბიბლიაში 450-ჯერაა მოხსნიებული): „არცერთი ძველი ღვინის მსმელი არ მოისურვებს ახალს, რადგან იტყვის: ძველი სჯობსო" (ლუკ. 6.39); ან, წმ. პავლე მოციქულის რჩევა ტიმოთეს მიმართ: „ნუ სვამ შემდგომში მარტო წყალს, არამედ ცოტა ღვინოც იხმარე შენი კუჭისა და ხშირ უძილობათა გამო (1 ტომ. 5.23) და ა.შ.

პურ-ღვინის მისტიკა კულმინაციურ მნიშვნელობას იძენს, ცნობილ საიდუმლო სერობაზე ტრაპეზისას, როდესაც უფალი აკურთხებს პურს, გაუნაწილებს თავის თორმეტ მოწაფეს და იტყვის: „აიღეთ, ჭამეთ; ეს ჩემი სხეულია."შემდეგ იღებს წითელი ღვინით სავსე თასს და წარმოთქვამს: „ყველამ დალიეთ აქედან, ვინაიდან ეს არის ჩემი სისხლი (ახალი) აღთქმისა მრავალთათვის რომ იღვრება ცოდვათა მისატევებლად". იესო ამ სიტყვებით არსობრივად საფუძველს უყრის ქრისტიანობას, მეორე მხრივ, მათ ანდერძის დატვირთვაც გააჩნიათ. პურ-ღვინის ქრისტედ გასისხლხორცებამ წარმოშვა ევაქრისტია, ქრისტიანული რელიგიის პირველი საიდუმლო (საყურადღებოა, რომ ძველქართული ტრადიციული საჭმელი – ბოღლიწო, სხვა არაფერია ღვინოში (წითელში) ჩამბალი პურის გარდა...). უფლის ზემოთქმული სიტყვები წინდაწინი მინიშნებაა იმისა, რომ გოლგოთაზე ჯვრიდან გადმონთხეულ სისხლს თავისებურად უნდა გაემყარებინა ახალი აღთქმა ღმერთსა და ხალხს შორის (ეს გადმონადენი სისხლი შემდგომ ბადებს ლეგენდას, გრაალის მისტიკური თასის შესახებ).

საიდუმლო სერობაზევე უფალი აფრთხილებს მოწაფეებს, რომ მისი სიკვდილი გახდება დასაბამი ახალი, აღორძინების ხანის დასაწყისისა: „ამიერიდან აღარ დავლევ ვაზის ამ ნაყოფიდან, იმ დღემდე, როცა თქვენთან ერთად დავლევ მას, ახალს ჩემი მამის სასუფეველში" – (მათ. 29.28).

აღმატებულ სულიერ ღირებულებათა წყალობით ერი და ეკლესია, დღესაც აქტიურად ეწევა ვაზისა და ღვინისადმი განკუთვნილ მსახურებებს. სამღვდლო კურთხევანში არის კურთხევა ახალშენი ვენახის, რთვლისა და ახალი ღვინისა. და მაინც, ყველაფერი ეს, გამომდინარეობს იმ ღვთიურ-ადამიანური წმინდა კავშირიდან, რომლის სიმბოლური მოციქულობა ვაზისა და ღვინის პატივია.

ვაზ-ღვინო და ისლამი

საზოგადოებაში დომინირებს აზრი, რომ ღვინის სმის აკრძალვა ისლამური რელიგიის განუყოფელი ნაწილია, რაც მთლად სინამდვილეს არ შეესაბამება. ყურანში ლაპარაკია არა საერთოდ ღვინის აკრძალვაზე, არამედ ღვინის ზედმეტად მოხმარების საშიშროებაზე, რაც ლოთობით მთავრდება. ყურანის ერთ-ერთ სურაში ნათქვამია: „მიირთვით და სვით, მაგრამ ნუ გადააჭარბებთ ზომიერებას (...) თქვენ შეგიძლიათ დალიოთ, მაგრამ ნუ დათვრებით". მეორე სურა გვაფრთხილებს: „ეშმაკს სურს ღვინისა და აზარტული თამაშობის წყალობით გააღვივოს ზიზღი და მტრობა თქვენს შორის და უნდა ღმერთსა და ლოცვას დაგაშოროთ". ახლა ყური დავუგდოთ წმ. იოანე ოქროპირის ქრისტიანულ შეგონებებს: „ღვინო კი არაა ცუდი, არამედ მისი ბოროტად გამოყენება; ღვინო კი არ შეიძულო, არამედ სიმთვრალე". და კიდევ: „ღვინო ღვთიურია, ლოთობა – ეშმაკეული, თრობაა აკრძალული და არა ღვინის სმა". დამეთანხმებით, რომ ამ შეგონებებს შორის ანალოგიების მოძიება იოლი საქმეა.

როგორც ჩანს, მუსულმანები ღვინისაგან თავს იკავებენ უფრო თრობის შიშით, ვიდრე ყურანის აკრძალვით. ყოველ შემთხვევაში, ფუნდამენტალიზმისა და სუნიზმის მიმდევრებმა ღვინის სმა აკრძალეს, შიიტებმა (ე.წ. რასკოლნიკებმა) კი, უფრო ღირსეული მიდგომა გამონახეს: მცირე დოზებში, თრობამდე არმისული სმა დააწესეს. და მაინც, შიიტები სვამენ დოგმატური ფუნ-

დამენტალიზმის საწინააღმდეგოდ, პროტესტის ნიშნად და კიდევ იმიტომ, რომ დაამტკიცონ თავიანთი „ღვთისმოსაობა“.

მუსულმანურ ქვეყნებში მევენახეობის კულტურის აღმავლობამ IX საუკუნეში მიაღწია. ცნობილი მკურნალი ავიცენა (980-1037 წწ.) ამბობდა: „ღვინო ბრძენის მეგობარია და ლოთის მტერი. ის მწარეცაა და სასარგებლოც. ნებადართულია გონიერისთვის, ეკრძალება რეგვენს; სულელს ჯოჯოხეთისკენ უბიძგებს, ჭკვიანი ღმერთთან მიჰყავს, ამიტომაც რელიგია ღვინის სმის ნებას რთავს ბრძენს, გონება კი მას უკრძალავს სულელს“. ან კიდევ: „ძველი ღვინო, სამკურნალო წამლების რიგს მიეკუთვნება და არა კვებით პროდუქტებისას“. ეს ჭკვიანური შეხედულებები ძირითადად განათლებულ ხალხზე ვრცელდება, რომელთა აზრით, ღვინო სულიერების მსახურია და მას გულწრფელობამდის მივყავართ. ღვინო სწავლულთათვის ეზოთერული ცოდნის უშრეტი წყაროა და ამიტომ გახდა ის ელიტური საზოგადოებისა და ხელდასხმულთა ხვედრი.

ღვინისადმი ამგვარი დამოკიდებულება XII საუკუნემდე შემორჩა. სწორედ ამ პერიოდში აჟღერდა ისლამურ სამყაროში აბუ ნავეს, რუქადის, ხაიამის და სხვათა პროტესტანტულად დამუხტული, ვაზისა და ღვინის სახოტბო ლექსები. მათ იოლად დაამსხვრიეს სუფისტური დოგმატიზმით დახავსებული ჩარჩოები და თავისუფლებისკენ შეუპოვარი სწრაფვით მარადიულობას ეზიარნენ. „მე მინდა ვსვა ღვინო და დავთვრე ყველაფრით, რაც აკრძალულია“ – ბრძანებს აბუ ნავესი; ან: „როცა მოვკვდები ვაზის ძირას დამასაფლავე, რომ ჩემმა ძვლებმა შეისუტოს ამ ღვთაებრივი ფესვების წვენი“. ხაიამმა ღვინის სიდიადე რჯულზე მაღლა დააყენა და „ჩვეულების რჯულზე უმტკიცესობა“ აღიარა:

„ისლამის რჯულმა, თუმც ეს ღვინო მკაცრად აკრძალა,
სვი და ნუ დარდობ, თვით ისლამის რჯული სად არის?“

ან

„მითხრეს, ღვინის სმა მორწმუნე კაცს არ შეჰფერისო,
მე მსმელი ვარ და ღვინო არის ჩემი ღვთაება“...

ჰაფეზი, XIV საუკუნის სპარსი ფილოსოფოსი და პოეტი კი თვლიდა, რომ ღვინოს შეჰყავს ადამიანი სამყაროს მოძრაობაში, რითაც მას სამყაროს ნაწილად აქცევს. დღეისთვის ისლამური რელიგიის პრაქტიკაში ღვინო იკრძალება. თვლიან, რომ ადამიანი არ არის იმდენად ჭკვიანი, ღვინიდან მხოლოდ სარგებლობა მიიღოს და გაექცეს ჭარბად მიღების ცთუნებას.

ვაზის და პურ-ღვინის ჭეშმარიტი სამშობლო

საქართველოს ვაზისა და ღვინის ქვეყნად ჯერ კიდევ ძველი დროის ისტორიკოსები, მწერლები, თუ მოგზაურნი აღიარებდნენ, რაც თანამედროვე მსოფლიო ავტორიტეტულ მეცნიერთა მიერაც იქნა დამოწმებული. აღიარებას პრაქტიკული საყრდენი შესძინა გოდერძის უღელტეხილთან გაქვავებული ვაზის შტამპისა და ახალციხის დიატომიტის საბადოებში ველური ვაზის ლერწ-ფოთლის ანაბეჭდების აღმოჩენამ, რომლებიც 15, 10 მილიონამდე წლის გამოდგნენ. მსოფლიოში უძველესი კულტურული ვაზის წიპწების, ღვინის ნაშთების, ხორბლის 9, ქერის 5 სახეობის და სხვა მარცვლეულ კულტურათა ნაშთები კი ზემოხსენებული შულავერის 1958 წლის არქეოლოგიური გათხრების მონაპოვარია და ძვ.წ. VI ათასწლეულის კუთვნილებაა. მთლიანობაში ვაზის პალეობოტანიკური ნაშთები საქართველოში 42 არქეო-გეოლოგიურ ადგილსამყოფელს მოიცავს, რომლებიც ქრონოლოგიურად ადრე ნეოლითის უწინარეს 7 ათასწლეულით არიან ურთიერთდაკავშირებული.

ასე რომ, საქართველოში ვაზს – 15 მილიონი წლის, ხოლო კულტურულ მევენახეობა-მეღვინეობა-მემარცვლეობას – 8 ათასწლეულზე მეტი ხნის ისტორია აქვს.

არქეოლოგიურ-ბიბლიური მონაცემების შეჯერებით, წარღვნის პერიოდად ძვ.წ. III ათასწლეულია მიჩნეული. თუ ამ პერიოდს კანონიკურად ჩავთვლით, გამოდის, რომ ჩვენში ნოემდე ჯერ კიდევ 3000 წლით ადრე, ვაზი და მარცვლეული უკვე კულტურაში იყო გადმოტანილი, რაც საქართველოს ვაზისა და პურ-ღვინის ჭეშმარიტ სამშობლოდ წარმოგვიჩენს.

ყველა ქვეყანას სიმბოლოდ თავისი ეროვნული მცენარე (ხე) აქვს ამორჩეული. იაპონელების სიმბოლო – ქრიზანთემაა, ჩინელებისა – იორდასალამი, ეგვიპტელებისა – პაპირუსი, ბერძნებისა – დაფნა, კანადელებისა – ნეკერჩხალი და ა.შ. ვაზი, მხოლოდ ორი ძირძველ ერს: ქართველებსა და ისრაელებს განასახიერებს. ზემოთ ითქვა, რომ ისრალეთათვის ვაზის ეროვნულ ხედ გათავისება ნოედან დაიწყო. კიდობნიდან ჩამოსული ნოე, ბუნებრივია, არარატზე ვენახს ვერ გააშენებდა და ბარს მოაშურებდა. ამიერკავკასიაში კი ერთადერთი ადგილი, სადაც მას კულტურულ ვაზთა ნაირსახეობა დახვდებოდა – საქართველოა. ჩანს, ნოეს ოჯახმა ჩრდილოეთით ამოიზევითა და ჩვენთან დასახლდა. აქ დაფუძნდა, გამრავლდა და შემდგომ თანდათან გაიშალა...

არარატზე კიდობნის არსებობაზე ჯერ კიდევ ძვ.წ. III საუკუნის ბაბილონელი და ბერძენი ისტორიკოსები მოგვითხრობენ. იოსებ ფლავიუსსა (I ს.) და თეოფანე ანტიოქიელს (180 წ.) კი, დაფიქსირებული აქვთ არარატიდან კიდობნის ნაწილების ჩამოტანის ფაქტები. 1955წ. ფრანგმა ალპინისტმა ფერნანდ ნავარამ არარატის მთის 5000 მ სიმაღლეზე გაყინულ ტბაში კიდობნის ნამსხვრევებს მიაკვლია, ფოტოზე აღბეჭდა და ფიცრის ნატეხიც ჩამოიტანა. რამდენიმე ქვეყანაში ჩატარებულმა მედიოქანურმა ანალიზმა ერთი შედეგი აჩვენა – ფიცარი 5000 წლის გამოდგა. ეს სენსაციური აღმოჩენა შემდგომში არარატზე ასულმა სხვა ექსპედიციებმაც დაადასტურეს.

კიდობნის არსებობა ამყარებს ჩვენს თეზას: ნოეს მიერ ჩვენს ტერიტორიაზე, აბორიგენთა „მორჯულებული“ ვაზების მიგნება-შერჩევისა და გავენახების შესახებ.

როგორც ჩანს, ყოველივე ეს, 3000 წლის შემდეგ წმ. ღვთისმშობლის (ვაზისა და ვენახის სიმბოლოს) წილხვდომას („ხილი – მეხილესაო, ღვინო – მეღვინესაო“) მოასწავებდა ვაზისა და ღვინის ქვეყანაზე. ეს მრავლისმეტყველი ფაქტი მრავალ ფიქრს ბადებს... ერთი კია, ქრისტიანობამ ჭეშმარიტად ღირსეული მფარველი უბოძა, ვაზის ჯვრით განათლულ ჩვენს ზვარ-მამულს. ალბათ, იმ მტევანდამშვენებული შულავერის უძველესი ღვთაების წყალობაა, რომ ჩვენმა წინაპრებმა დიდი ჯაფა-ოფლის ფასად გაითავისეს ვაზისა და ღვინის ხასიათი, დახვეწეს და ყოფიერებაში გადაიტანეს მათი მოვლა-პატრონობის უნარ-ჩვევა და ტრადიცია,

გაზვარვენახდნენ, დაღვინდნენ, გაბადაგონდნენ, გააგუნავდნენ, გაზედაშევდნენ...

ბიბლიაში მავნე და შხამიანი ნაყოფის მომცემი ველური ვაზი, ღვთის ურჩ სულთანაა გაიგივებული. ამდენად, სულიერი მნიშვნელობით ველური ვაზის გაკულტურება, მისი მოვლა-პატრონობა აღიქმება უგუნურ, ურწმუნო ადამიანის მორჯულებად და იმ სათნოებად, რასაც ძალუძს ადამიანის სულიერი სრულყოფა-თვითგადარჩენა. „ყველაზე უფრო მტკიცე კავშირი ველურ ვაზსა და აბორიგენულ ჯიშებს შორის საქართველოშია დადგენილი" – აღნიშნავს ა. ნეგრული (1956წ.). ჩვენს წინაპართა დიდი დამსახურებაა 520-ზე მეტი ვაზის ჯიშის გაკულტურება-„მორჯულება" (რასაც საუკუნეები სჭირდება), რითაც ვერცერთი ქვეყანა ვერ დაიკვეხნის. ბევრი ჯიში – ბევრი ღვინოა. ღვინო, რომლის სახელწოდებაც ჩვენი აბორიგენებიდან მოდის და აქედან გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ამას ადასტურებს გამოჩენილ ქართველ ენათმეცნიერთა (ივ. ჯავახიშვილი, ვ. თოფურია, გ. წერეთელი და სხვ.) გამოკვლევები, რასაც ბევრი უცხოელი მეცნიერიც იზიარებს, თუმცა აქ გასაკვირი არაფერია, მშობელი ხომ თავად არქმევს შვილს სახელს.

თუ დავაკვირდებით ყურძნის მარცვლის კანს, ვნახავთ, რომ იგი ცვილის წინწკლებითაა მოოჭვილი, საიდანაც ისინი ღვინოს გადაეცემა. და როდესაც თამადა მთელი სიწრფელითა და აღმაფრენით აღმოთქვამს ღვთისა და ერის სადიდებელს, მაშინ, ღვინის სანთელიც აკიაფდება და სადღეგრძელო – ლიტურგიულ სადიდებლად, ხოლო ალავერდი – სანთლიდან სანთლის მოკიდებად აღიქმება. ქართული სუფრა ემსგავსება „კაც-სანთლებით" გაჩირაღდნებულ სატრაპეზო სუფრას, სადაც პურ-ღვინოს (უფლის სისხლსა და ხორცს) თვითეული მეტრაპეზე ეზიარება.

ღვთითბოძებული წირვა-ლოცვის სიყვარულით ქართველმა სუფრაც მოაღვთისნიერა: ყოველთვის იწყება უზენაესის ხოტბა-დიდებით და მთავრდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დღეგრძელობით. უსმენ სუფრაზე აგუგუნებულ ღვთისმშობლის ათასწლოვან საგალობელს – „შენ ხარ ვენახი" და ფიქრებით კიდევ უფრო ადრეულ ხანაში გადადიხარ... გახსენდება იოანე მინჩხის ანალოგიური საგალობელი: „ღვთისმშობელსა ვადიდებდეთ მშობელსა და ქალწულსა, დედასა მეუფისასა, ვენახსა გონიერსა... „ვენახი გონიერი" – იშვიათი მისადაგებაა. ანდა, იოანე დამასკელის ნათქვამი: „ვენახი რქაშუენიერი ანაისგან აღმოსცენდა და ტევანი სიტკბოებისა აღაყუავილნა". „ვენახი რქაშუენიერი" – აქაც დედაღვთისაა, „ტევანი სიტკბოებისა" – კი – ძე ღვთისა, მისგან შობილი. ასეთი ანალოგიები საღვთო წიგნებში მრავლადაა და ვენახი ყველგან ღვთისმშობლის აღიარებული სახელია.

ვენახის სახე და სიმბოლო წმ. ღვთისმშობელი, დასტურად 6000 წლის წინათ „მორჯულებული" ვენახის (საქართველოს) წილხვდომისა, ეცხადება წმ. ნინო კაბადოკიელს, „მიჰყო ხელი... რტოსა მას ვენახისასა, მოჰკვეთა, შეჰქმნა ღვთის სახედ" და საქართველოს განსანათლებლად გადასცემს. „... ქალწული ჯვარს ვაზის ნასხლავისგან გამოსჭრის, სხვების ჯვარი ან ქვისაა, ან რკინის, ან უბრალო ხის... აქ კი: ჯვარი – ვაზის. ვაზი ხომ სახეა მიწის – ნიადაგის – სიცოცხლის, სხვაგან ჯვარი წამების, დასჯის ნიშანია. ჩვენში ჯვარი ლხინია თვითონ", გვმოძღვრავს „გველის პერანგში" გრიგოლ რობაქიძე.

წმ. იოანე ოქროპირის განმარტებით: პატიოსანი ჯვრის ერთი ფრთა აარონულ ანუ სამღვდლო საწყისს, ხოლო მეორე – სამეფოს განასახიერებს. ჯვარ-ვაზს თავდაპირველად ორივ ფრთა სწორი ჰქონია (რასაც ძველი საეკლესიო ფრესკებიც ადასტურებენ) და ასე ყოფილა საქართველოს რუსეთთან მიერთებამდე. 1749წ. თბილელ მიტროპოლიტ რომანოზს ჯვარი რუსეთში ფარულად გაუტანია და ვახტანგ VI-ეს მემკვიდრეთათვის გადაუცია. მათ ჯვარი 1801წ. რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-თვის მიუძღვნიათ, რომელსაც იმავ წელს, უკვე ფრთებჩამოშვებული საქართველოში დაუბრუნებია. იმჟამად, ჩვენს ეკლესიას დაკარგული ჰქონია ავტოკეფალია, ერს კი – დამოუკიდებლობა და სამეფო ხელისუფლება (ეს ორი – სამღვდელო და სამეფო საწყისი, რაც განამტკიცებს ჯვრის ძალას დედამიწაზე).

დღეისთვის საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალია უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის დიდი გულისხმევისა და განგების წყალობით აღდგენილია; არის სამეფო საწყისების აღდგენის მცდელობაც. ორივე საწყისის აღდგენის შემთხვევაში, სულიერი მამების აზრით, ჯვარ-ვაზი კვლავაც აღმართავს ფრთებს, რაც წინაპირობა იქნება „ივერიის გაბრწყინებისა" (რის შესახებაც თვით უფალმა გვიწინასწარმეტყველა).

წმ. ღვთისმშობელმა საქართველოს წილხვდომილობა გამოხატა აგრეთვე, უძვირფასესი განძის, თავისი ხელნაქსოვი უფლის კვართის ბოძებით (განუჭრელი კვართი სიმბოლოა: ერთიანი, განუყოფელი, ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და ეკლესიისა). ჩვენთან ინახება თვით წმ. ღვთისმშობლისა და მოსე წინასწარმეტყველის კვართებიც (ანუ საქართველო კვართების ქვეყანაცაა). მართლაცდა რეალობამდე მიდის ძველქართული ლეგენდა, მამა-ღმერთმა თავისი ადგილ-საბრძანებელი რომ უბოძა მიწების განაწილების დროს დაგვაინებულ ქართველებს (ღვთიური კვართები ხომ მის საბრძანებელშივე უნდა განისვენებდნენ).

ჩვენ, კავკასიის აბორიგენი ხალხი ვართ. ამას ამტკიცებს დმანისის ნაქალაქარზე უძველეს (1 800 000 წლის) ადამიანთა ძვლების აღმოჩენა, რომლებიც შულავერის კულტურიდან სულ რაღაც 50 კმ-ითაა დაშორებული. მეცნიერთა ვარაუდით, აქედან მოხდა შემდგომში ევროპასა და აზიაში ადამიანთა მიგრაცია. დადგენილია, რომ ჩვენს ტერიტორიაზე მოსახლე ხალხი ერთი ეთნიკური ჯგუფია და აქ ადგილი არ ჰქონია კულტურათა მონაცვლეობას (რაც მრავალ ცივილიზაციას დაემართა), ანუ შულავერის კულტურის შემქმნელი ხალხი (პირველი: მევენახე, მეღვინე, მემარცვლე, მეხილე, მეთუნე და ა.შ.) ჩვენი შორეული წინაპარია.

საოცარია, რომ ქართული ანბანი, რომელიც ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში არსებულ 14 დამწერლობას შორის და გამოირჩევა სრულყოფითა და გამოსახულების ორიგინალობით, ხშირად ვაზისმიერი ფორმებითაა (ფოთლები, მტევნები) ორნამენტირებული; რომ ჩვენს ძირძველ მეფეს, რომელსაც „ქართლის ცხოვრება" ქართული დამწერლობის შემოღებას მიაწერს – ფარნავაზი ჰქვია (ფარნა ძველ ქართულად ფესვს ხომ არ ნიშნავს? – „ფესვი ვაზისა"?); რომ ქართული ეკლესია-მონასტრე-

ბის ბარელიეფებზე, ფერსკებსა და ხელნაწერთა მოხატულობებში ვაზის გამოსახულება დომინირებს; რომ საეკლესიო ფრესკების უმრავლესობა წითელი ღვინისგან დამზადებული საღებავითაა შესრულებული; რომ ვაზის გათლილი ფიცრისგან იყო დამზადებული გელათის, ქორუბნისა (საჯავახო) და მღვიმის (ჭიათურა) მონასტერთა კარებები და რომ ქართველ კაცს ვაზი ოჯახის წევრად მიაჩნია და მას თავის გვარს, ან სახელს არქმევს (ბურძგლა, ენდელაძისეული, კუპრაშვილისეული, მამუკას საფერე, სიმონასეული და სხვა).

როგორც ვხედავთ, კრებითობაში ვაზისა და ღვინის ფენომენი ბუნებრივად გაზიარჭურჭლებულია ილიასეულ სამ ეროვნულ ნიშანთან: „მამული, ენა, სარწმუნოება“. ვაზი, ჩვენი თვითმყოფადობის ნიშანსვეტი, ღვთისმშობლად ზეწოდებული ეროვნული ხეა და, ვფიქრობთ, ***ის უთუოდ უნდა ამშვენებდეს სახელმწიფო ღერბს***. ღვინო კი ქართველში ზიარებული ღვთიური სისხლი, მისი შინაგანი ბუნება და ხასიათია. ამიტომ, საქართველოს სულიერ-მატერიალური აღმავლობა მევენახეობა-მეღვინეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა აბორიგენული დარგების გეგმაზომიერი განვითარებით უნდა დაიწყოს. უნდა დახვავდეს პური ჩვენი არსობისა, გაზვარვენახდეს ვაზი ჩვენი მარჩენალი და სავსექვევრობდეს ღვინო ჩვენი მადღეგრძელებელი.

TAMAZ KOBAIDZE
The Head of scientific-experimental cellar of Georgian Gardening
and vine-making institute Doctor of technical sciences

GRAPE AND VINE IN RELIGION AND MITHOLOGY

Resume

Many legends and myths of ancient nations tell us about the origins of grape and vine. They are different in content as all of them originate from epic folklore and converge only in the following: All of them consider their nations to be the motherland of grape and vine. Mothrland, to say in Raphiel Eristavi's words, " Is the one as the God." Our aim is to discuss whether anyone has the right to claim his/her country to be the motherland of grape and vine.

ТАМАЗ КОБАИДЗЕ
Директор научно-экспериментального погриба института
садаводства, винаградаводства и винаделя Грузии,
доктор технических наук

ВИНОГРАДНАЯ ЛОЗА И ВИНО В МИФОЛОГИИ И РЕЛИГИИ

резюме

О происхождении лозы и вина существует много легенд и мифов. Они по содержанию разные потому что берут истоки из фольклоря, но в одном сходятся все считают свою страну родиной лозы и винограда. Родина то если мы скажим словами Р.Эристави « Одна как Господь» Наша цель рассмотреть, имеет ли право та или иная страна называть себя родиной лозы и винограда.

ციცო დოსმიშვილი

უაკ (UDC) 615.322:634.8

პირველი წიგნი ღვინოზე და მისი ავტორი

ბიბლიური ლიტერატურა, უძველესი მითები და ლეგენდები, სრული ცნობები ღვინოზე და პრაქტიკული რჩევები მეღვინეობის შესახებ – ასეთი საინტერესო მასალებია თავმოყრილი მარკ პორცია კატონი უფროსის კრებულში (ჩვენს ერამდე 234-149 წწ.), ასევე მე-10 საუკუნის ბიზანტიის სასოფლო-სამეურნეო ენციკლოპედია "გეოპონოკაში" და სხვა მასალებში. მიუხედავად ამისა პირველი სპეციალური წიგნი ღვინის შესახებ **LIBER DE VINIS** (წიგნი ღვინოზე) მე-14 საუკუნის დასაწყისში დაიწერა, მისი ავტორია შუასაუკუნეების გამოჩენილი ესპანელი მოაზროვნე არნოლდ დე ვილანოვა.

ძნელი დასაჯერებელია, რომ მისი ვრცელი და მრავალფეროვანი შემოქმედება ერთ პიროვნებას ეკუთვნის, ის იყო ცნობილი ფილოსოფოსი და მწერალი, დიდი ფიზიკოსი, გამოჩენილი ექიმი, ქიმიკოსი და ფარმაცეფტი, რომელმაც, როგორც ისტორიკოსი მეცნიერები აღნიშნავენ, პირველმა დააკავშირა ქიმია და მედიცინა ერთმანეთს და ჯეროვნად შეაფასა ალქიმია. ის იყო განათლებული აგრონომი, ოკულტიზმისა და მაგიის შესანიშნავი მცოდნე, ამავე დროს სამეფო კარის დიპლომატების და პოლიტიკოსების მრჩეველი, გამოჩენილი თეოლოგი და რეფორმატორი, ერთი სიტყვით სწორედ ის პიროვნება რომლის შრომებსაც ღვთისმეტყველების და ფილოსოფიის სფეროში ინკვიზიციის წესით ასამართლებდნენ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკმაოდ დიდია იმ სამეცნიერო წოდებების და თანამდებობების ჩამონათვალი, რომელიც საუკუნეების ამ გამოჩენილ შემოქმედს ეკავა.

არნოლდ დე ვილანოვა დაიბადა 1235 წელს ესპანეთში, მისი ცხოვრება ტრაგიკულად დამთავრდა, იგი დაიღუპა საზღვაო კატასტროფაში.

არნოლდ დე ვილანოვას თეოლოგიაში გამოთქმული შეხედულებების გამო, ინკვიზიციის მიერ მისჯილი ჰქონდა კოცონზე საჯარო დაწვა, მაგრამ ძლიერი მფარველების მეშვეობით გადაურჩა ამ სასჯელს. ერთხელ უკვე გადარჩენილს ინკვიზიცია მას სიკვდილის შემდეგაც სდევნიდა.

ამ დიდმა მეცნიერმა ასობით ნაშრომი დატოვა ზემოდ ჩამოთვლილი მეცნიერების სფეროებში, მისი ყველაზე მეტად გავრცელებული შრომებია ქიმიასა და მედიცინაში, ქიმიაში ოცზე მეტი ნაშრომი აქვს, ხოლო მისი ნაშრომები მედიცინაში ფართო ასპექტის თერაპიას ეხება: დიეტიკას, ჰიგიენას, ტოქსიკოლოგიას და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა "სოლერნოს ჯანმრთელობის კოდექსი", სადაც თავმოყრილია არა მარტო ფარმაცეფტიკა, სამკურნალო ბალახების გამოყენება, კვება და ა.შ. არამედ, დაავადებების პროფილაქტიკაც. აღნიშნული კოდექსი დიდმიშვნელოვანი და უნიკალურია, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი თარგმნილია ევროპის მრავალ ენაზე და გამოცემულია 300-ჯერ დაწყებული მე-15 საუკუნის დასასრულიდან და რომ იგი დაწერილია ლექსის სახით (ზოგჯერ მცირე პოემადაც წოდებული. ც.დ.).

ნაშრომთა შორის განსაკუთრებულია **LIBER DE VINIS** (წიგნი ღვინოზე), რომელიც დაწერილია ლათინურ ენაზე დაახლოებით 1309-1311 წწ. 1478 წელს წიგნი ითარგმნა და გამოიცა გერმანულ ენაზე. მის გამოცემას და სწრაფ გავრცელებას ხელი შეუწყო 1440-1450 წლებში შექმნილმა საბეჭდმა დაზგამ. წიგნი გამოცემულია ესსლინგენში, კონრად ფინერის ტიპოგრაფიაში.

წიგნის პოპულარობამ იმ დროისთვის ყველა მოლოდინს გადააჭარბა, 1500 წლამდე წიგნი 11-ჯერ გამოიცა, 1503 წლიდან მე-17 საუკუნის ნახევრამდე კიდევ 10-ჯერ, რაც იმ დროისათვის ეს რეკორდს წარმოადგენდა, რამდენადაც მაშინ სასულიერო ლიტერეტურა იბეჭდებოდა..

გარდა ამისა, წიგნი ღვინოზე წარმოადგენდა არნოლდ დე ვილანოვას თითქმის ყველა სამედიცინო შინაარსის წიგნების შემადგენელ ნაწილს, რომელიც გამოდიოდა სხვადასხვა ენებზე, ამით ავტორი წიგნს ანიჭებდა განსაზღვრულ სამედიცინო მიმართულებასაც, ეს კავშირი გამოწვეულია იმით, რომ იგი ღვინოს თვლის, როგორც საუკეთესო სამკურნალო საშუალებას. ადამიანის სულიერ ცხოვრებასა და ფიზიოლოგიაში ღვინოს დიდმნიშვნელოვნად აფასებს. ღვინის განსაზღვრული რაოდენობა ამაგრებს კუნთებს, ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევას, სიბერის ასაკში ორგანიზმს იცავს გამოშრობისაგან, ხოლო ახალგაზრდა ორგანიზმს სამკურნალო ნივთიერებებით ამდიდრებს. ასე, რომ ღვინო თავისი თვისებებით ძვირფასი სამკურნალო საშუალებაა. ასევე, დიდმნიშვნელოვნია ყურძნის კრეფა, ღვინის დამზადება და შენახვა, ღვინის ხარისხის განსაზღვრა, მისი თვისებების აღდგენა, ფერისა და გემოს შეცვლა, ღვინის სამკურნალო საშუალებად გამოყენება მცენარეებთან და ბალახებთან შერწყმით, ძმრისა და ლუდის დამზადება და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ყურძნის კრეფის დროს კლიმატური პირობების გათვალისწინებას, ყურძნის ჩასაწყობი ყუთების სანიტარულ მდგომარეობას. ღვინის ხარისხის განსაზღვრას: არომატის, თაიგულის, გემოს მიხედვით. ასევე, დეგუსტაციის პირობებს: დეგუსტატორის მდგომარეობას, დეგუსტაციის დროს-სეზონს, დროის მონაკვეთს, დეგუსტაციის ხერხებს. ღვინის გაფუჭების ძირითად მიზეზად კი არასწორ შენახვას მიიჩნევს.

საინტერესოა ის სამკურნალო საშუალებებიც, რომლებსაც ღვინოსთან შერწყმისას უნარი შესწევთ მთელი რიგი ავადმყოფობების განკურნებისა. იგი ღვინოს მეტად ორიგინალურ სახელებსაც უწოდებს, ეს დამოკიდებულია იმაზე თუ რა სახის წამალთანაა შერწყმული, რა დანიშნულებისაა, როგორ მზადდება და ა.შ. მაგ: ხასიათის გამო-

სასწორებელი, ღვიძლის და ელენთის, სადინარის საცობის საწინააღმდეგო ღვინოები, გონების გასამაგრებელი და აზროვნების გამაჯანსაღებელი და სხვა.

არნოლდ დე ვილანოვას წიგნი ღვინოზე არა მარტო შუასაუკუნეების საინტერესო ლიტერატურული ძეგლია, არამედ, უნიკალური დოკუმენტია მეღვინეობის ისტორიისა და მისი როლის შესახებ მსოფლიო ცივილიზაციაში.

==========

მსოფლიოს მეღვინეობIს უძველეს ქვეყნებში ღვინო არა მარტო ჩვეულებრივ საკვებ პროდუქტად, არამედ სიმხნევის, ძალის მიმცემ, წარმატებისა და ესთეტიური სიამოვნების წყაროდ ითვლებოდა. ***შარლ ბოდლერის სიტყვით "თუ ღვინო გაქრება ადანმიანების მიერ წარმოებული საკვები პროდუქტების ჩამონათვალიდან, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პლანეტის სიჯანსაღესა და გონიერებაში გაჩნდება სიცარიელე, მეტად უარესი იმაზე ვიდრე ყველა ის ზედმეტობა რასაც ღვინოს აბრალებენ."***

TSITSO DOSMISHVILI

THE FIRST BOOK ABOUT VINE AND ITS AUTHOR

Resume

Biblical literature, ancient myths and legends, full data about vine and practical advice about vine-making – all these interesting materilas can be found in Mark Portia Katon Senior's volume (234-149 BC), also in Bizantian agricultural encyclopedia "Geoponoka" from 10th century and other materials. Nevertheless, the first special book about vine LIBER DE VINIS (the book about vine) was written in the beginning of 14th century and its author is Spanish distinguashed scholar Arnold De Vilanova from middle ages.

ЦИЦО ДОСМИШВИЛИ

ПЕРВАЯ КНИГА О ВИНЕ И ЕЕ АВТОР

резюме

Библейская литература, древние мифы и легенды, полные сведения о вине и практические советы виноделия- такие интересные сведения в книге Марка Порция Катона старшего (234-149 до наш.эры), а также в сельско-хозяйственной энциклопедии «геопонке» и в других источниках. Но специальная книга о вине «liber de vinis» было написанно в начале 14- го века, ее автор знаменитый испанский мыслитель средневековья Арнольд де Вилонова.

გარდაიცვალა ვახტანგ ბურკაძე

ბატონი ვახტანგ ბურკაძის გარდაცვალება მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო ახალი «კვალის» რედაქციის თანამშრომლთათვის ბატონი ვახტანგი არამარტო დიდი მეცნიერი და დიდი პიროვნება გახლდათ, იგი ამასთანავე უღალატო მეგობარი და შესანიშნავი პუბლიცისტიც იყო. «კვალისთვის» დაუფასებელია ბატონი ვახტანგის ღვაწლი და ამაგი. ვფერ კედევ სრულიად ახალგაზრდა ასპირანტი აქუეყნებდა უაღრესად საინტერესო, დარგისთვის საქიროროტო და აუცილებელ სამეცნიერო სტატიებს. ბოლო 25 წლის მანძილზე იშვიათად გამოდიოდა «კვალის» ნომერი ბატონი ვახტანგის აკტორობის გარეშე. ორმოცი წელი ბრძანდებოდა ბატონი ვახტანგი «კვალის» სარედაქციო კოლეგიის აქტიური წევრი. ახალი «კვალის» დაარსება-დათუნების შემდეგ ბატონი ვახტანგის ყურადღება და მზრუნველობა არ მოკლებია ახალგაზრდა თანამშრომლებს. ყოველმხრივ ცდილობდა უგრნალი სისტემატურად გამოსულიყო და, ერთგული მკითხველი არ დაკარგა. ახალი «კვალის» ორმად დამწუხრებული სარედაქციო კოლეგია და რედაქტორთა საბჭო სამძიმარს უცხადებს ბატონი ვახტანგის ოჯახს, მეგობრებს, თანამშრომლებს და მისი ნიჭის დამფასებელ ქართველ ეკონომისტთა საზოგადოებას.

ცხოვრება და მოღვაწეობა

თანამედროვე ქართული აგრო-ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ კონსტანტინეს ძე ბურკაძე დაიბადა 1931 წლის 10 ივნისს დაბა გურჯაანში, მოსამსახურის ოჯახში. ვახტანგმა სწავლა თბილისში 1939 წელს დაიწყო და 1949 წელს დაამთავრა მე-15 ვაჟთა საშუალო სკოლა. მიუხედავად იმისა, რომ ამავე წელს გარდაეცვალა – სამამულო ომის მონაწილე – მამა, იგი წარმატებით აბარებს გამოცდებს და სწავლას აგრძელებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდში მასზე ზრუნვა ქვრივ დედას – ქალბატონ ნინას და მის ძმას დავით ოქუაშვილს დაეკისრათ. ვახტანგი წარჩინებით ამთავრებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს და 1954 წელს განაწილებით იწყებს მუშაობას გორის სარაიონო სამანქანო-სატრაქტორო სადგურში /მტს-ში/ აგრონომ-ეკონომისტის თანამდებობაზე. 1956 წელს მან წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა დასწრებული სწავლების ასპირანტად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრაზე, სადაც ხელმძღვანელობას უწევდა ამაგდარი მეცნიერი, პროფესორი ივანე ჯაში. 1959 წელს წარჩინებით დაამთავრა ასპირანტურა, დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1961 წელს კი დაუმტკიცეს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო წოდება. 1958-1959 წლებში ვახტანგ ბურკაძე მუშაობდა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილებაში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. 1959 წლის დეკემბრიდან იგი გადაიყვანეს ახლად ჩამოყალიბებულ საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეც-

ნიერო-კვლევით ინსტიტუტში შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების განყოფილების გამგედ, რითაც მან ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებლის საპატიო სახელი მოიპოვა.

ამ პერიოდიდან იწყება ბატონი ვახტანგის მეცნიერად ჩამოყალიბება, აქ ჩაეყარა საფუძველი მის სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას, აქ შეასრულა მან თავისი პირველი საფუძვლიანი მეცნიერული გამოკვლევა საქართველოს სოფლის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გამომუშავების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრესული ნორმების დადგენის შესახებ, შეიმუშავა მეთოდური მითითებანი, რომლებიც რეკომენდაციების სახით დაეგზავნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს. ეს ნაშრომი ორ ნაბეჭდ თაბახზე მეტი მოცულობით გამოქვეყნდა ახლად ჩამოყალიბებული ინსტიტუტის შრომათა კრებულის პირველივე ტომში 1961 წელს. ამის შემდეგ ბატონმა ვახტანგმა ბრწყინვალე გზა განვლო მეცნიერებაში რიგითი მეცნიერ-თანამშრომლიდან აკადემიკოსობამდე. ის გახდა პირველი მკვლევარი საქართველოში, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მიწის კადასტრის მეცნიერულად შესწავლას, განსაკუთრებით კი მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილის-მიწის ეკონომიკურად შეფასების დამუშავებას. ამ მიმართულებით კვლევისას მან პირველმა დასვა საკითხი ჩვენს ქვეყანაში მიწის ფულადი შფასების შესახებ, რაც დღეს გარდაუვალ-ობიექტურ აუცილებლობად იქცა. სწორედ ამ პრობლემაზე მოამზადა მან სადოქტორო დისერტაცია და წარმატებით დაიცვა იგი 1973 წელს ჩვენი ქვეყნის მეცნიერებათა ტაძარში – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქვეყნოდ ცნობილ ეკონომისტთა საზოგადოების წინაშე და ერთხმად მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 1979 წელს კი – პროფესორის სამეცნიერო წოდება. იმავე წელს უკვე მეცნიერებათა დოქტორი, იგი დაინიშნა თავისი მშობლიური სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში. 1988 წლიდან კი ეს ინსტიტუტი გარდაიქმნა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად, რომლის დირექტორად დაინიშნა ბატონი ვახტანგი, სადაც იგი 2006 წლამდე მუშაობდა. თანდაყოლილმა შესაძლებლობებმა და განსაკუთრებულმა შრომისმოყვარეობამ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ ბურკაძე აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკის დარგში მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოაყალიბა და საქართველოს სოფლის მეურნეობის წამყვან ეკონომისტთა რიგებში ჩააყენა. მან თავი გამოიჩინა, როგორც დიდი ერუდიციის მქონე მკვლევარმა, რის გამოც ის 1990 წელს აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო მალე, 1992 წელს ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად /აკადემიკოსად/.

ვახტანგ კონსტანტინეს ძე ბურკაძეს დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომისტთა მთელი საზოგადოება იცნობს როგორც ნიჭიერ ორგანიზატორს, აგრარული ეკონომიკის სფეროს გამოჩენილ ეკონომისტს და პროფესორ პეტრე მაქსიმეს ძე ჟღენტის ღირსეულ შემცვლელს სახელოვანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის პოსტზე. მის კალამს ეკუთვნის 200-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა უმრავლესობა გამოქვეყნებულია სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, ბროშურების და სამეცნიერო სტატიების სახით, რომლებიც საქყვენოდ ცნობილ მეცნიერთა და სპეციალისტთა მაღალ შეფასებას იმსახურებს. აქედან ჩვენ მხოლოდ სამ უმთავრეს ნაშრომზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. პირველია „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა, ორგანიზაცია და დაგეგმვა", რომელიც პროფესორმა ვახტანგ ბურკაძემ სხვებთან თანაავტორობით გამოაქვეყნა 1972 წელს და რომელიც საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ დაამტკიცა სახელმძღვანელოდ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებისათვის. ეს ნაშრომი, მართალია, განკუთვნილი იყო ტექნიკუმებისთვის, მაგრამ მან უდიდესი როლი შეასრულა როგორც დამხმარე სახელმძღვანელომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების სტუდენტებისთვის და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, ორგანიზაციისა და დაგეგმვის პრობლემების შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის. მეორე მთავარი ნაშრომია მის მიერ 1973 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია „მიწის ეკონომიკური შეფასება და მისი გამოყენება საქართველოში", რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა და დასაბამი მისცა მიწის კადასტრთან დაკავშირებული ყველა პრობლემის მეცნიერულად შესწავლას და გამოკვლევას ჩვენს ქვეყანაში. სწორედ მასზე აღიზარდა მიწის რესურსების გამოყენების, მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის საკითხებზე მომუშავე დღევანდელი პროფესურა. მესამეა პროფესორ ვახტანგ ბურკაძის თანაავტორობით 2000 წელს გამოქვეყნებული „წარმოების ორგანიზაცია და მართვა ფერმერულ მეურნეობებში", რომელიც საქართველოს განათლების სამინისტრომ სახელმძღვანელოდ დაამტკიცა აგრარული უმაღლესი სასწავლებლებისა და კოლეჯების სტუდენტებისთვის და რომლის გამოცემაც დააფინანსა ბრიტანეთის საელჩომ საქართველოში. ერთი წელიც არ არის გასული და ეს ნაშრომი უკვე სამაგიდო წიგნად იქცა საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგის მუშაკთათვის. ბატონი ვახტანგის შრომები ეხება აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკის მრავალ და საკმაოდ რთულ პრობლემას. ისინი გამოირჩევა თემის აქტუალობით, დამუშავების მეცნიერული სიღრმით, თეორიული განზოგადოებებით, ობიექტური და მიზანმიმართული დასკვნებით, გამოყენებითი მნიშვნელობის ღონისძიებებით და რეკომენდაციებით. საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ კომისიებში ბატონი ვახტანგის აქტიური მონაწილეობით დამუშავებულია ისეთი კანონპროექტები და დებულებები, როგორიცაა „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ", „სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შესახებ", „სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის შესახებ", „სოფლის მეურნეობაში მიწისა და სხვა ძირითადი საშუალებების იჯარით გაცემის შესახებ", „გლეხური /ფერმერული/ მეურნეობების შესახებ" და სხვა. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და აქტიური მონაწილეობით წარმატებით დამუშავდა აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მიწის, ტყის, წყლისა და

სხვა საწარმოო პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემები. სწორედ ბატონი ვახტანგის მხრებზე გადაიარა ბევრი არმცოდნე პირის და ვაისპეციალისტის უაზრო და უსაფუძვლო კამათის აბობოქრებულმა ტალღამ მიწის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით, მისმა მოსაზრებებმა კი ამ საკითხში ბრწყინვალედ გაუძლო დროის გამოცდას და დაასაბუთა ამ პროცესის ობიექტური აუცილებლობა. იგი ზემოაღნიშნულ მაღალნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან წარმატებით ათავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1970 წლიდან ის ლექციებს კითხულობდა აგრარული ეკონომიკის დისციპლინებში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო აკადემიის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრაზე და სხვა. მისი ლექციები გამოირჩეოდნენ თეორიული სიღრმით, პრაქტიკასთან კავშირით, სწავლების უახლესი მეთოდების და ხერხების გამოყენებით. გარდა ამისა, ბატონ ვახტანგს სხვადასხვა დროს ბევრჯერ ირჩევენ სახელმწიფო-საატესტაციო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებსა და კომერციულ სასწავლებლებში. ამასთან ერთად, ბატონი ვახტანგი დიდ დროს ანდომებდა ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადებასა და ფორმირებას. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით მრავალმა ასპირანტმა და მაძიებელმა დაიცვა და მოიპოვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ნაყოფიერ კვლევით და პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად იგი გამოირჩეოდა ფართო და მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობით. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ ბატონი ვახტანგი როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი არჩეული იყო ამავე აკადემიის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკოორდინაციო დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოსმდივნად, იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგობრივი სექციის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, ჟურნალების „ეკონომიკის", „სოციალური ეკონომიკის" და „კვალის" სარედაქციო კოლეგიების წევრი, საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრი, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს წევრი და საქართველოს აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭოს წევრი. აგრეთვე იგი იყო „სიაფტ" –ის პროგრამის განხორციელებისათვის შექმნილ სავაჭრო პოლიტიკის საკონსულტაციო ჯგუფის წევრი საქართველოდან.

ბატონი ვახტანგი ხშირად იყო საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტსა და აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის ერთჯერადი საბჭოს თავმჯდომარე და წევრი. ბატონი ვახტანგი სისტემატიურად გამოდიოდა საქართველოს ტელევიზიითა და რადიოთი, აქვეყნებდა საინტერესო სტატიებს ჟურნალ-გაზეთებში, ხშირად იყო სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების ხელმძღვანელი, ოფიციალური ოპონენტი, რომლის გამოსვლებსა და დასკვნებს სამეცნიერო საბჭო მაღალ შეფასებას აძლევდა. აკადემიკოს ვახტანგ ბურკაძის სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას იცნობენ, პატივს სცემენ და დიდ ანგარიშს უწევენ არა მატრო ჩვენი ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამის ნათელი დადასტურებაა რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვასილ რომანის ძე ბოევისა /რუსეთის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი/ და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვლადიმერ თეოდორეს ძე მაშენკოვის მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სახელზე გამოგზავნილი დახასიათებები ბატონი ვახტანგის შემოქმედების შესახებ. პროფესორ ვახტანგ ბურკაძის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ღირსეულად დააფასა საქართველოს ხელისუფლებამ. იგი დაჯილდოებულია ღირსების მედლითა და ორდენით. მას ადრეც აქვს მიღებული მთავრობის ჯილდოები.

ჯემალ მახარაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

JEMAL MAKHARADZE – Doctor of economic sciences professor

THE LIFE AND WORK OF VAKHTANG BURKADZE

Resume

One of the prominent representatives of modern Georgian agro-economic sciences, member of the Georgian Academy of Agricultural Sciences, Director of the Economic and Management Research Institute of the Georgian Agro-Industrial Compex, Doctor of the Economic Sciences, Professor Vakhtang K. Burkadze.

ДЖЕМАЛ МАХАРАДЗЕ –доктор экономических наук, профессор

ЖИЗНЬ И ДЕЯТЕЛЬНОСТЬ ВАХТАНГА БУРКАДЗЕ

резюме

Описывается жизнь замечательного ученного академика сельско-хозяйственных наук.директора института управления и экономики агропромышленного комплекса доктора экономических наук Вахтанга Буркадзе

აკაკი კანდელაკი

გარდაცვალებიდან 3 წლისთავი

ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი

აკაკი არჩილის ძე კანდელაკი დაიბადა თბილისში 1933 წლის 2 ივლისს. 8 წლის ბავშვი იყო, როცა მამა, არჩილ კანდელაკი ომში გაიწვიეს. მამა პროფესიით ისტორიკოსი გახლდათ, დამთავრებული ჰქონდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი, იყო სპეტაკი, მშრომელი და საოცრად ერუდირებული პიროვნება. მამის ბოლო წერილი, რომელიც ქერჩიდან მიიღო პატარა კაკომ სიცოცხლის ბოლომდე ყველაზე საჭირო დოკუმენტთა შორის ჰქონდა შენახული: „ჩემო საყვარელო შვილო, გიყვარდეს შრომა, ყოველდღე წაიკითხე ახალ-ახალი საყმაწვილო მოთხრობები, გიყვარდეს ყველა საგნის ბეჯითად სწავლა. საჭიროა ისწავლო ისტორია, რომელიც მამაშენის საყვარელი საგანი და სპეციალობა იყო... უნდა მუყაითად ისწავლო არითმეტიკა, ქართული ენა, გეოგრაფია, ბუნების მეტყველება და რუსული ენა...“ – წერდა ბატონი არჩილი შვილს ფრონტიდან. მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი იყო მისაბაძი მაგალითი შვილისთვის. მამა ქერჩის ბრძოლებში დაიღუპა 1943 წელს, იგი 31 წლისა იყო!

1951 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ აკაკი კანდელაკმა სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სატყეო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1956 წელს და მუშაობა დაიწყო ბოლნისის სატყეო მეურნეობაში ტყის დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე. მას შემდეგ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ემსახურა საქართველოს ბუნებას, მის ტყეებს, მათ მეცნიერულ შესწავლას და ამ სპეციალობის მქონე ახალგაზრდა თაობების აღზრდას. 1962-65 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი, ხოლო შემდეგ, მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა თბილისის სატყეო ინსტიტუტის უმცროსი და უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობებზე, მერქნიან მცენარეთა ფიზიოლოგიის ლაბორატორიის გამგედ. მისი მეცნიერული კვლევებისა და ასევე ბრწყინვალე მეცნიერული აზროვნების ჩამოყალიბებაზე ზრუნავდნენ მეცნიერების ისეთი დიდი კორიფეები, როგორებიც იყვნენ; აკადემიკოსი ვ. გულისაშვილი და პროფესორი ა. იაცენკო-ხმელევსკი. 1968 წელს აკაკი კანდელაკმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სპეციალობით „ბოტანიკა“ და მას მიენიჭა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ლტოლვა მეცნიერებისადმი იმდენად დიდი და შეუქცევადი პროცესი იყო მასში, რომ ბ-ნი აკაკი 1976 წელს რუს მეცნიერთა ჯგუფთან ერთად, როგორც საქართველოდან პირველი მეტყევე – მერქანმცოდნე, წარგზავნილი იყო და იმყოფებოდა ექსპედიციაში პოლარული წრის ჩრდილოეთით, ტუნდრაში, ე. წ. „მწვანე კუნძულზე“ – „არი მასზე“, სადაც მან უნიკალური კვლევითი – საძიებო სამუშაოები ჩაატარა და მოპოვებული მასალების ანალიზის და განზოგადების საფუძველზე ღრმა შედარებითი მეცნიერული დასკვნები გააკეთა, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია რუსულ და ქართულ სამეცნიერო წრეებში. 1980-83 წ.წ. ბ-ნი აკაკი კანდელაკი მუშაობს საკავშირო-საძიებო ინსტიტუტის „სოიუზგიპროლესხოზის“ ამიერკავკასიის ფილიალის სატყეო-სამეურნეო პროექტირების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. 1983-84 წლებში მიიწვიეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის №7 ლაბორატორიის სექტორის გამგედ. 1984-86 წლებში მუშაობდა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის მატერიალური რესურსების ეკონომიკისა და რაციონალური გამოყენების სამ-

მართველოს საუწყებათაშორისო კომისიის წამყვანი ინჟინრის თანამდებობაზე. 1986 წლიდან საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი – სექტორის უფროსის თანამდებობაზე ინიშნება. 1991 წლიდან ემატება სამსახურეობრივი დატვირთვა – სატყეო მეურნეობის ეკონომიკის და ტყის ტაქსაციის კათედრის დოცენტია, შემდეგ კი პროფესორი. 1992 წელს ბ-ნმა აკაკი კანდელაკმა ერევანში კვლავ დიდი წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სპეციალობით „ბოტანიკა“ და მიენიჭა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ამის შემდეგ ენიჭება პროფესორის წოდება და მუშაობს პროფესორის თანამდებობაზე. აგრარულ უნივერსიტეტში მთლიანად გამოვლინდა ბ-ნ აკაკი კანდელაკის დიდი პედაგოგიური ნიჭი, რამაც ფრიად სასიკეთო გავლენა იქონია სატყეო ფაკულტეტის სწავლის პროცესის გაჯანსაღება-გაღრმავებაზე. ღვაწლმოსილი მეცნიერი წლების მანძილზე აწარმოებდა კვლევებს – „ტყის ჯიშების მერქნის ანატომიური სტრუქტურა, მათი კამბიუმის აქტივობა, წლიური რგოლების აღნაგობის თავისებურებანი; ფესვის, ღეროს ანატომიური სტრუქტურა, და მათი თავისებურებანი გარემო პირობებთან დაკავშირებით.“ აი ის ძირითადი საკითხები, რომელნიც მისი მეცნიერული კვლევების მუდმივი სფერო იყო. ბ-ნმა აკაკი კანდელაკმა თავისი განსაკუთრებული ერუდიციისა და პრინციპული დისციპლინის წყალობით აგრარული უნივერსიტეტის მთელ კოლექტივში და სტუდენტ ახალგაზრდობაში დიდი მოწიწება, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. იგი ავტორია 65 გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომის, დამუშავებული აქვს ერთი მონოგრაფია და აქვს ერთი გამოგონება. მისი სამეცნიერო შრომების ძირითადი მიმართულება, როგორც უკვე აღვნიშნეთ იყო „მერქნიანი მცენარეების ღერისა და ფესვის ქსილემის ფორმირების ეკოლოგიური ასპექტები, მერქნის სტრუქტურა და მისი მიზნობრივი გამოყენება.“ პროფესორი აკაკი კანდელაკი წლების განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის სამეცნიერო სექტორს, სადაც მან წარმოაჩინა თავი, როგორც შეუდარებელმა ორგანიზატორმა და პედაგოგმა. მისი ხემძღვანელობით მუშავდებოდა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. იყო მრავალი სამეცნიერო შრომის პრინციპული ოპონენტი. დაჯილდოებული გახლდათ საქართველოს ღირსების მედლით და ორდენით.

ღვაწლმოსილი მეცნიერი, პროფესორი აკაკი კანდელაკი გარდაიცვალა 2006 წლის 31 ოქტომბერს, ჯერ კიდევ დაუხარჯავი ენერგიის პატრონი, ოღონდაც ავადმყოფობით დასუსტებული. წელს მისი გარდაცვალებიდან სამი წელი შესრულდება! სტუდენტების, მეცნიერ თანამშრომელთა, მეგობართა და ახლობლებისთვის დაუვიწყარია იგი, ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, დახვეწილი, კეთილშობილი ინტელიგენტი, უღალატო მეგობარი, მამა და მეუღლე, კარგი ქართველი კაცი – ბატონი აკაკი კანდელაკი!

ჟურნალ „კვალის“ სარედაქციო კოლეგია და რედაქტორთა საბჭო კიდევ ერთხელ თანაგრძნობას უცხადებს ბატონი კაკო კანდელაკის მეუღლეს, ქ-ნ ნათელას და ქალიშვილს მანანას მეუღლისა და მამის გარდაცვალების გამო, და იმედს იტოვებს, რომ მისი ღვაწლის ნათელი მამულს წაადგება სასიკეთოდ.

„კვალის“ რედაქცია

PUBLISHER “KVALI”

3 YEARS AFTER AKAKI KANDELAKI’S DEATH
DISTINGUISHED SCHOLAR AND PROFESSOR

Resume

Distinguished scholar, professor Akaki Kandelaki passed away on October 31, 2006. He was still full of energy, however, enfeebled by the desease. His name will always stay alive through his students, co-workers friends and family. Prominent scholar and profesor, delicate, noble, devoted friend, father and husband, good Georgian person – Mr. Akaki Kandelaki.

РЕДАКЦИЯ ЖУРНАЛА «КВАЛИ»

ТРЕТЯЯ ГОДОВЩИНА АКАКИЯ КАНДЕЛАКИ – ЗАСЛУЖЕННОГО УЧЕННОГО И ПЕДАГОГА

резюме

Заслуженный ученый , профессор Акакий Канделаки умер 31 октября 2006 года, полной энергией, хотя ослабленный от болезни. Для студентов, друзей , научных сотрудников и близких велика потеря – благородного интелигента, верного друга, примерного отца и супруга, отличного грузина – господина Акакия Канделаки! царство небесного и вечный покой.

როგორ გავიგოთ ჩვენი მეზობლების სულისკვეთება – როგორც გადაჭარბებული, ნაციონალური იდეების ფაშიზმში გადასული ამბიციები თუ ეროვნული იდეებისთვის თავგანწირული ბრძოლა? კომენტარი მკითხველისთვის მიგვინდვია...

„კვალი“

მარგარიტა ახვლედიანი

სომხეთი და საქართველო

იდეალური პარტნიორები

საქართველო-სომხეთის ურთიერთობებში არსებული პრობლემები შესაძლოა სერიოზული დაპირისპირების მიზეზი გახდეს, თუ მხარეები უახლოეს მომავალში რეალურ დიალოგს არ დაიწყებენ. საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობა ისტორიულად შეკავებისა და წინააღმდეგობების სისტემას ეფუძნება. აი, მისი ერთ-ერთი ელემენტი: საქართველოს, რომლის შემადგენლობაშია ჯავახეთი 200-ათასიანი სომხური მოსახლეობით, სომხეთთან კონფლიქტი არ აწყობს. სომხეთს, რომლის დანარჩენი მსოფლიოსთან, განსაკუთრებით კი რუსეთთან, დამაკავშირებელი ერთადერთი სახმელეთო გზა საქართველოზე გადის, – არ აწყობს საქართველოსთან კონფლიქტი. ურთიერთდამოკიდებულების ეს ბუნებრივად ჩამოყალიბებული სისტემა ნებისმიერ შეთანხმებაზე უკეთ იცავს ორ ქვეყანას არა მხოლოდ მსხვილი დაპირისპირებისაგან, არამედ ერთმანეთისთვის პირობების კარნახისგანაც. როგორც სომეხი პოლიტოლოგი ალექსანდრ ისკანდერიანი ამბობს, „საქართველოსა და სომხეთს არა აქვთ ფუფუნება, მათი ურთიერთობები იყოს ძალიან კარგი. ასევე არა აქვთ ფუფუნება ეს ურთიერთობები იყოს ძალიან ცუდი.“ ეს იდეალური პარტნიორობაა, თუმცა, ნელ-ნელა იგი რყევას იწყებს. ქვეყნებს შორის ურთიერთობებში არსებული ორი საკვანძო პრობლემა ზედაპირზე დევს. პირველი – რამდენიმე ეკლესია საქართველოს ტერიტორიაზე, რომელთა კუთვნილებას ერთმანეთს ედავებიან საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და სომხეთის სამოციქულო ეკლესია. მეორე – სომხური სათვისტომო საქართველოში – რიცხვით მეორე ეთნიკური ჯგუფი ქვეყანაში, რომლის ნაწილი კომპაქტურად ცხოვრობს სამცხე-ჯავახეთის ორ რაიონში – ახალქალაქსა და ნინოწმინდაში. ამ პრობლემების ყველაზე ხმამაღალი გამოვლინებაა თბილისში მდებარე სადავო ეკლესიის – ნორაშენის გარშემო განვითარებული მოვლენები (ქართველი მღვდლის თაოსნობით ნორაშენში უძველესი სომხური წარწერები და საფლავის ქვები დაზიანდა); და ასევე ჯავახეთში სომეხი პოლიტიკური აქტივისტის ვაგან ჩახალიანის დაპატიმრება, რომელსაც ჯაშუშობის ბრალდებით ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ორივე ისტორიას, თბილისსა და ერევანში, თვალსაჩინოდ განსხვავებული საზოგადოებრივი რეაქცია და მედიის ყურადღება მოჰყვა: უზარმაზარ სომხეთში და ძალიან მცირე – საქართველოში, ეს განსხვავება მოწმობს, რომ ორი საზოგადოება არა თუ პრობლემის გადაჭრაზე არ მუშაობს, არამედ მათ შორის დიალოგი და ინფორმაციის გაცვლაც არ ხდება. ნაცვლად ამისა, ორივე საზოგადოება ცალსახად აღიქვამს პრობლემებს. ურთიერთ წყენა კი გროვდება და კრიტიკულ მომენტში შეიძლება იფეთქოს. ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავდა ქართველი ოფიციალური პირების რამდენიმე ბოლოდროინდელი გაუფრთხილებელი გამონათქვამი. „რადგან რუსეთი ჩვენს ღირებულებებს არ იზიარებს, ე. ი. უნდა შეველიოთ მათ? ეს რომ გამეკეთებინა, ჩვენს დემოკრატიულ ღირებულებებს ყირგიზეთივით დავკარგავდით, ან ვიქნებოდით ისეთივე ღარიბები როგორიც სომხეთია, რომლის ეკონომიკაც მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული,“ – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა Newsweek-ისთვის მიცემულ ინტერვიუში 11 აპრილს. ქართული მედიიდან გავიგეთ, რომ პასუხად, ოფიციალური ერევანი ზრდილობიანი გაფრთხილებით შემოიფარგლა. სომხურ გაზეთებში, ტელევიზიასა და საზოგადოებაში ატეხილი ქარიშხალი კი ქართული საზოგადოებისათვის შეუმჩნეველი დარჩა. „ჯერ ვალი დაგვიბრუნეთ, ამხანაგო ქართველებო, და მერე ვილაპარაკოთ ვინ არის ღარიბი და ვინ მდიდარი“, – დაახლოებით ასეთი კომენტარები ისმის დღესაც. ერევანში განსჯის საგნად იქცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებაც, გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ უახლეს მომავალში საქართველო და სომხეთი „სტრატეგიულ ურთიერთობებს გააფორმებენ.“ სომხური მედია სარკასტულად აღნიშნავდა, რომ დღემდე საქართველოს საგარეო პრიორიტეტები შემდეგნაირად ნაწილდებოდა: „სტრატეგიული პარტნიორობა“ აშშ-თან, უკრაინასთან, თურქეთთან და აზერბაიჯანთან, პარტნიორობა რუსეთთან და მხოლოდ „პრაგმატული ურთიერთობა“ სომხეთთან. გაზეთი „ჟამანაკი“ წერდა, რომ „აქამდე სომხეთი საქართველოსთვის მხოლოდ მეზობელი იყო. რა შეიცვალა, რატომ გახდა სომხეთი საქართველოსთვის სტრატეგიული პარტნიორი?“ გაზეთის ვარაუდით, საქართველოს არც დღეს აინტერესებს სომხეთი და ეს ნაბიჯი, მხოლოდ “შეერთებული შტატების კარნახით სომხეთში რუსეთის გავლენის შესასუსტებლად გადადგა.“ მოგვიანებით, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარემ ჯემალ ინაიშვილმა რუსულ გაზეთ „კომერსანტთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ „სომხეთსა და თურქეთს შორის პირდაპირი სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა, საქართველოსათვის გარკვეულ ეკონომიკურ დანაკარგს გულისხმობს, რადგან დღეს ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო გზა მხოლოდ საქართველოზე გადის.“ ერევანმა ეს ღია ეგოიზმად და ცინიზმად აღიქვა, რადგან სომხეთ-თურქეთის საზღვრის პოტენციური გახსნა თავისთავად უზარმაზარი, თუმცა არა ერთმნიშვნელოვანი მოვლენაა მთელი რეგიონისათვის. აგვისტოს ომის შემდეგ ორი საზოგადოების ურთიერთობაში ნიშანდობლივი ცვლილებები მოხდა. “სომხეთი საკუთარ ადგილს რეგიონში სხვაგვარად უყურებს“, – ამბობს ისკანდერიანი. „როგორ იყო აგვისტომდე? საქართველო – მოწინავე ქვეყანა, გამორჩეული; საქართველო – დემოკრატიის შუქურა, მას ეპატიჟებიან ნატო-ში. საზოგადოება სომხეთში კი ამბობს – და ჩვენს ხომ ვაკეთებთ ამ ყველაფერს, ჩვენ ეკონომიკაც უკეთესი გვაქვს, გზებიც, ხელფასიც მეტი გვაქვს, მთლიანი შიდა პროდუქცია, მაგრამ მაინც სულ იმათ აქებენ, ყველგან იმათ ეძახიან. და აი, აგვისტოს ომის შემდეგ ეს ერთგვარი ეჭვიანობის განცდა გაქრა.“

ომის ერთ-ერთი შედეგია სომხეთის, როგორც კავკასიის ყველაზე სტაბილური და საიმედო ნაწილის, პოზიციების ფორმირება. მკვეთრად შემცირდა ყარაბაღის კონფლიქტის გამწვავების საფრთხე. ამას ხელი შეუწყო საქართველოს მიერ აპრობირებული სქემის კრახმა: ჩავდებთ არმიაში ბევრ ფულს, ვიყიდით ბევრ იარაღს და არ აღიარებული ტერიტორიის პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვეტთ. ბაქოსთვისაც და ერევნისთვისაც ცხადი გახდა, რომ ეს გზა არ იმუშავებს. მნიშვნელოვანი არგუმენტია

ისიც, რომ თუ ნატო ფავორიტი-საქართველოს დასახმარებლად არ გაისარჯა, სამხედრო რიტორიკით განთქმული აზერბაიჯანისათვის ნამდვილად არაფერს გააკეთებს. სომხეთმა საქართველო-რუსეთის კონფლქტში ჩაურევლობის შენარჩუნებაც მოახერხა. მან არ აღიარა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და შემდეგ თავისი პოზიციის რუსეთისათვის ახსნა შეძლო, მან არ დაგმო რუსეთის ქმედებები და შემდეგ ეს ვაშინგტონს აუხსნა. სომხეთი შევიდა ახალ ევროპულ პროგრამაში – Eastem Partnership და ნატო-სთან თანამშრომლობა გააგრძელა. დაბოლოს, გამოჩნდა სინათლე გვირაბში, რომელიც ყველას სამუდამოდ დახშული ეგონა – დაიწყო დაახლოება თურქეთთან. გეოპოლიტიკური სიმძიმის ცენტრის გადაადგილების ალბათობასაც კი, საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობებში დიდი გამოწვევები და ცვლილებები მოაქვს. შეკავებისა და წინააღმდეგობის სისტემა ძლიერია, მაგრამ გაუფრთხილებლობის შემთხვევაში ყველა შეკავება და წინააღმდეგობა მთელი სიმძიმით თავს დაატყდა ნაიარევ საქართველოს. სომხური გაზეთი „168 საათი“ წერს რადიო „ეხო მოსკვიზე“ დაყრდნობით, რომ რუსეთმა საქართველოსთან კონფლიქტში, შესაძლოა, ახალი ინტერესი შეიძინოს, ამჯერად სომხეთის გამო: რუსეთი აპირებს დამატებითი ტექნიკით აღჭურვოს სომხეთში არსებული რუსული სამხედრო ბაზა და ვინაიდან საჰაერო გზით მძიმე ტექნიკის გადატანა შეუძლებელია, საჭიროა გზა სამხრეთ ოსეთსა და სომხეთს შორის. მოდუნების დრო არავის აქვს. კავკასიის გავლენის სფეროებად დაყოფა კვლავინდებურად დღის წესრიგშია და საქართველოს სომხეთთან ერთად ძალუძს შესაძლო კატასტროფის თავიდან აცილება. სომეხი ექსპერტები ირწმუნებიან, რომ სომხეთს კონფლიქტის გაღვივება არ სურს. მათი თქმით, სომხები, მათ შორის ჯავახეთში მცხოვრებნი, არავითარ საეჭვო სცენარებში არ მონაწილეობენ. „თუ ვინმე იქ (ჯავახეთში) საქართველოდან გამოყოფის წინადადებით გამოდის – თავისუფლად შეგიძლიათ ისინი პროვოკატორებად ჩათვალოთ“, – ამბობენ სომეხი ექსპერტები. მაგრამ საიდან უნდა შეიტყოს არსებული პრობლემების შესახებ ორივე ქვეყნის საზოგადოებამ, რათა ჩაერიოს და ვითარების დაძაბვა არ დაუშვას? ცხადია, ამ მცირე სტატიიდან არა, ქართულ-სომხურ ურთიერთობებში არსებული ყველა პრობლემა საქართველოშია – ანუ, სწორედ საქართველომ უნდა დაიწყოს მათი გადაწყვეტა. ძალზე მარტივია სამთავრობო და არასამთავრობო ქართულ-სომხური კომისიის შექმნა, რომელიც შეისწავლის და გადაწყვეტს ჯავახეთში მცხოვრები სომხების პრობლემებს. ასეთივე კომისია შეიძლება შედგეს სადაო ეკლესიებთან დაკავშირებითაც. თუმცა, ასე არ ხდება, რადგან, როგორც ჩანს უფრო გლობალურ პრობლემასთან გვაქვს საქმე – ქართულ-სომხური დიალოგის თითქმის არარსებობასთან. დიალოგი არ არის არც სამთავრობო და არც არასამთავრობო დონეზე. მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ, ერთი მხრივ, ეს დიალოგი საქართველოს არ სურს; მეორე მხრივ კი, სომხურ მხარეს არ ჩანან რეალური ფიგურები, ვისთანაც დიალოგის გამართვა შესაძლებელი იქნებოდა.

თათულ ჰაკოფიანი
ერევანი

სომხეთი და თურქეთი

მიუხედავად არაერთგვაროვანი და ხშირ შემთხვევაში კრიტიკული შეფასებებისა, 22 აპრილს სომხეთსა და თურქეთს შორის ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელსაც „საგზაო რუკა“ დაერქვა, უპრეცენდენტოა ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთობაში უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე. თურქეთსა და სომხეთს შორის ორმხრივი ურთიერთობები 1922 წლიდან აღარ არსებობს. ანუ იმ დროიდან, როცა სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა – სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი, მოკლევადიანი დამოუკიდებლობის შემდეგ, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდნენ. 1991 წელს ანკარამ ამ სამი ქვეყნის დამოუკიდებლობა აღიარა, თუმცა, საქართველოსა და აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, უარი თქვა ერევანთან დიპლომატიური კავშირის დამყარებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება მოტივირებული იყო იმით, რომ 1990 წელს მიღებულ სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში წერია: „სომხეთი ხელს შეუწყობს 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში და დასავლეთ სომხეთში სომეხი ხალხის გენოციდის საერთაშორისო აღიარებას.“ მიუხედავად სომხეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებზე უარის თქმისა თურქეთმა ორი ქვეყნის 325-კილომეტრიანი საზღვრის გამშვები პუნქტების ჩაკეტვა არ იჩქარა. ერთ-ერთი გამშვები პუნქტი გიუმრისთან მდებარეობს (აქვეა ასზე მეტი წლის წინ აშენებული ყარსი-გიუმრის სარკინიგზო გზა). მეორე გამშვები პუნქტი ერევნის სამხრეთით 40 კილომეტრშია. 1992-1998 წლებში – სომხეთისათვის ყველაზე საშინელი ზამთრის დროს, სწორედ ამ გამშვები პუნქტებიდან შედიოდა ქვეყანაში ხორბალი. მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ირანთან დამაკავშირებელი ხიდი, აღმოსავლეთით საზღვაო გზა ჩაკეტილი იყო, ხოლო სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის მთელ პერიმეტრზე სისხლისმღვრელი ომი ბობოქრობდა. იმ წლებში, სამოქალაქო ომსა და აფხაზეთის კონფლიქტში ჩართული საქართველოც არ იყო საიმედო ფანჯარა გარე სამყაროსთან დაკავშირებული. თურქეთმა სომხეთთან საზღვრის ჩაკეტვა 1998 წელს გადაწყვიტა, როცა სომხურმა ძალებმა მთიანი ყარაბახის მოსაზღვრე ქალაჯარის რაიონი დაიკავეს. გაითვალისწინა რა ენობრივი, რელიგიური და სტრატეგიული ინტერესები თურქენოვან აზერბაიჯანთან, თურქეთმა დაიწყო სომხეთის ბლოკადა, რომელიც უკვე 16 წელია გრძელდება.

1995 წლის 22 აპრილს ანკარაში სომხეთმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს პირველ უწყებათაშორის დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, თურქეთმა სომხეთის საჰაერო ბლოკადა შეწყვიტა. ზუსტად 14 წელიწადში, 2009 წლის 22 აპრილს ორმა ქვეყანამ ხელი მოაწერა „საგზაო რუკას“, რომლის შინაარსიც (თუკი ასეთი არსებობს) საიდუმლოდ ინახება. დოკუმენტში კი, რომელიც საჯაროა, მხოლოდ ის წერია, რომ „სომხეთმა და თურქეთმა, შვეიცარიის შუამავლობით, ინტენსიურად იმუშავეს ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციისათვის და ურთიერთობების კეთილმეზობლურ და ურთიერთპატივისცემის ჩარჩოებში გადაყვანისათვის. ეს ხელს შეუწყობს მშვიდობას. უსაფრთხოების და სტაბილურობის დამყარებას მთელ რეგიონში... ამ კონტექსტში მხარეების მიერ განსაზღვრულია „საგზაო რუკა“. უკვე შეთანხმებული საკითხები უზრუნველყოფს ორმხრივი პროცესის გაგრძელების პერსპექტივას.“ ამ დოკუმენტის შესახებ საომხეთში 23 აპრილს შეიტყვეს. ზუსტად მეორე დღეს – 24 აპრილს, მთელი მსოფლიოს სომხები 1915-1918 წლებში ოსმალეთის იმპერიაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების დროს და-

ღუპული 1,5 მილიონი სომეხის ხსოვნის დღეს აღნიშნავენ. მრავალი წლის განმავლობაში, ყოველ 24 აპრილს აშშ-ის პრეზიდენტები სიტყვით მიმართავდნენ აშშ-ში მცხოვრებ მილიონზე მეტ სომეხი და მე-20 საუკუნის დასაწყისში მომხდარ ტრაგედიას უსამძიმრებდნენ. და ისინი ყოველთვის იყენებდნენ ფრაზას „მასობრივი ხოცვა-ჟლეტა“. წინასაარჩევნო პერიოდში ბარაკ ობამა შეპირდა ამერიკელ სომხებს, რომ არჩევის შემთხვევაში, 24 აპრილს სიტყვით გამოსვლისას, ყველაფერს თავის სახელს დაარქმევდა და ტერმინ „სომეხთა გენოციდს“ გამოიყენებდა. ამ დანაპირებმა ანკარა შეაშფოთა. თუმცა, წელს თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის ხაზგასასმელად პრეზიდენტ ობამას თავის გამოსვლაში ტერმინი „სომეხთა გენოციდი“ არ უხსენებია. სომეხი ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ობამას პოზიციის შემდეგ თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნა ნაკლებად სავარაუდოა. თურქეთისთვის მთავარი იყო, ობამას გენოციდი არ ეღიარებინა, ფიქრობენ ისინი, – საქმე უკვე გაკეთებულია. ობამას გენოციდი არ უხსენებია და საზღვრის გახსნაც თურქეთს არაფერში სჭირდება. თურქეთთან ურთიერთობების სწრაფი დათბობის გამო, სომხეთის მოქმედი ხელისუფლება, პირველ რიგში კი პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი და საგარეო უწყების ხელმძღვანელი ედვარდ ნალბანდიანი მკაცრად გააკრიტიკა სომხურმა დიასპორამ. ხელისუფლებას აკრიტიკებენ ქვეყნის შიგნითაც. სომხეთის პირველმა პრეზიდენტმა, დღეს კი ხელისუფლების მთავარმა ოპონენტმა – ლევონ ტერპეტროსიანმა, რომელიც თავის დროზე სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების ნორმალიზაციის მომხრე იყო, სარქისიანი ფაქტობრივად ღალატში დაადანაშაულა. სომხეთის მეორე პრეზიდენტმა რობერტ კოჩარიანმა, რომელიც თურქეთთან ყოველთვის უფრო მკაცრი პოლიტიკის გატარების მომხრე იყო, ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში განაცხადა: მე რომ ვყოფილიყავი პრეზიდენტი, თურქეთის პრეზიდენტს აბდულა გიულს სომხეთში არ მოვიწვევდიო. განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია გასული წლის ივნისში სერჟ სარქისიანის მიერ მოსკოვში გაკეთებულმა განცხადებამ. სარქისიანმა აღნიშნა, რომ თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნის სანაცვლოდ, სომხური მხარე ისტორიკოსთა ერთობლივი სომხურ-თურქული კომისიის შექმნას დათანხმდება. თურქები მუდმივად სთავაზობენ სომხეთს ასეთი კომისიის შექმნას, რათა ორივე ქვეყნის ისტორიკოსებმა ერთად გამოიკვლიონ მე-20 საუკუნის დასაწყისის მოვლენები. სომხური მხარე ამ შემოთავაზებაზე კატეგორიულ უარს აცხადებდა. რადგან ეს ნაწილობრივ იმის აღიარება იქნებოდა, რომ სომხეთი ეჭვქვეშ აყენებს გენოციდის ფაქტს. რობერტ კოჩარიანის პრეზიდენტობის დროს, გენოციდის საერთაშორისო აღიარება სომხეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში დადგა. თურქეთმა უზარმაზარი ხარჯები გაიღო ანტიპროპაგანდისათვის. მიუხედავად ამისა, სომეხთა გენოციდი 15-მა ქვეყანამ, მათ შორის საფრანგეთმა, აღიარა. თურქეთთან ურთიერთობის საკითხის სამივე პრეზიდენტს ერთი საერთო მიდგომა აქვს – ერევანმა და ანკარამ დიპლომატიური ურთიერთობები ყოველგვარი წინაპირობების გარეშე უნდა დაამყარონ. თუმცა, 1991 წლიდან თურქულ მხარეს თავისი პირობები აქვს. საზღვრის გახსნისა და ერევანთან ურთიერთობის აღდგენის სანაცვლოდ, ანკარა მუდმივად ითხოვს: 1. სომხეთმა მკაფიოდ განაცხადოს, რომ თურქეთთან ტერიტორიული პრეტენზიები არ აქვს; 2. შეწყდეს ოფიციალური ერევნისა და სომხური დიასპორის საერთაშორისო კომპანია 1915-19018 წლების ტრაგიკული მოვლენების სომეხთა გენოციდად აღიარების შესახებ; 3. სომხეთმა გამოიყვანოს თავისი სამხედრო ძალები მთიანი ყარაბახის მოსაზღვრე ტერიტორიებიდან. სხვა მხრივ, თურქეთი არასოდეს ამბობს უარს სომხეთთან ურთიერთობაზე. უფრო მეტიც, ანკარა თითქოს ცდილობდა, რომ თუნდაც უმნიშვნელო კონტაქტიც კი, სერიოზულ პროცესად წარმოაჩინოს. ანკარის ინტერესებშია დაანახოს აშშ-ს, რომ სომეხთა გენოციდის აღიარების შემთხვევაში თურქულ-ამერიკული ურთიერთობები დაზარალდება; დაარწმუნოს ევროკავშირი, რომლის წევრობასაც იგი ესწრაფის, რომ საზღვრის გახსნასა და დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე დიალოგი სომხეთთან აქტიურად მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ერევანში ერთ-ერთ მთავარ ცოდვად სომხეთის ხელისუფლებას იმას უთვლიან, რომ თურქულ-სომხური მოლაპარაკებები მეტისმეტად საჯარო და რეკლამირებული გახდა, რაც მხოლოდ ანკარას წისქვილზე ასხამს წყალს. სწორედ ამ მიზეზით, კოჩარიანის ადმინისტრაცია თავს არიდებდა თურქულ მხარესთან საჯარო შეხვედრებსა და ღონისძიებებს მაღალ დონეზე. ამით იგი მიანიშნებდა ანკარას, რომ არ სურს ითამაშოს თურქული პოლიტიკა. რომლის მიზანია პროგრესის იმიტაცია. თურქულ-სომხურ ურთიერთობებში პროგრესი მხარეებს სხვადასხვაგვარად ესმით. თუ სომხეთისთვის პროგრესი ნიშნავს საზღვრის გახსნას, თურქეთისთვის პროგრესი შეიძლება იყოს ოფიციალური და არაოფიციალური საჯარო შეხვედრები სომხურ მხარესთან. ისინი, ვინც პრეზიდენტ სარქისიანის პოლიტიკას აკრიტიკებენ, ამბობენ, რომ აუცილებელია განისაზღვროს კონკრეტული ვადები. ანუ, საზღვარი დაკეტა თურქეთმა და შესაბამისად, მანვე უნდა გახსნას იგი კონკრეტულ ვადებში. ამგვარი ვადების დასახლებას კი ჯერ-ჯერობით პირი არ უჩანს. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წელს თურქულ-სომხური ურთიერთობები „ყინულის დნობის“ ეტაპზე გადავიდა, არავინ იცის როდის გამოჩნდება რეალური ნაბიჯები. თურქეთ-სომხეთს შორის „ყინულის დნობის“ პროცესს ფრთხილად აკვირდება და ძალიან ღელავს თურქეთის სტრატეგიული პარტნიორი – აზერბაიჯანი. მას იმედი აქვს, რომ თურქეთის მხრიდან სომხეთის ბლოკადითა და ზეწოლის სხვა მეთოდებით, ერევნის მხრიდან მთიანი ყარაბაღის საკითხში დათმობებს მიაღწევს. ბაქოში უკვე ისმის რადიკალური განცხადებები, რომ თურქეთი თავის „უმცროს ძმას“ – აზერბაიჯანს ღალატობს.

საინტერესოა საქართველოს ფაქტორიც. მოკლევადიან პერსპექტივაში, თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნის შედეგად იზარალებს მხოლოდ საქართველო, რომლის ტერიტორიაზეც გადის სომხეთის დანარჩენი მსოფლიოსთან ტვირთბრუნვის 70 პროცენტი. ასე რომ, საქართველოსათვის თურქეთის მიერ სომხეთისთვის ბლოკადის მოხსნა ავტომატურად ნიშნავს მილიონობით დოლარის დაკარგვას. სომხეთი თურქული პორტებით ისარგებლებს – ტერიტორიულად ერევანი ტრაბზონთან უფრო ახლოსაა ვიდრე ბათუმთან ან ფოთთან. ხოლო ყარსიგიუმრის რკინიგზის ამოქმედების შემთხვევაში, საქართველოს რკინიგზას სომხეთისთვის აღარ ექნება ის სასიცოცხლო მნიშვნელობა, რომელიც დღეს აქვს.

გრძელვადიან პერსპექტივაში, კი, თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნა სამხრეთ კავკასიის ყველა ქვეყნისთვის მომგებიანია.

თუმცა, დღეს ძნელია პროგნოზირება – შეწყვეტს თურქეთი სომხეთის ბლოკადას თუ არა. როგორც ჩანს, ანკარა სომხეთისგან დამატებით დათმობებს ელის. წავა კი ერევანი ამ დათმობებზე? თუ კი, მაშინ თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნას, შეიძლება, სომხეთისთვის ფასი დაეკარგოს.

ჟურანალი „ლიბერალი“ 2009 № 1 .

კომპანია ჯაოკენი გთავაზობთ მსოფლიო ბრენდების საუკეთესო ხარისხის ფართო არჩევანს პროდუქციაზე: კერამიკული და კერამოგრანიტის ფილები, სააბაზანო ავეჯი, კერამიკული სანტექნიკა, საშხაპე კაბინა, აბაზანა ჰიდრომასაჯორი, თუჯის აბაზანა, ლაკ-საღებავები, შპალერი, ავეჯი, საოფისე ავეჯი, წყლის შემრევი ონკანი, აუზის მოწყობილობა, ლამინირებული პარკეტი

608bedroom

კომპანია ჯაოკენი
JAOKENI COMPANY
კომპანია ჯაოკენი სავაჭრო ცენტრ "დიდუბეში" გთავაზობთ
მსოფლიო ბრენდების საუკეთესო ხარისხის ფართო
არჩევანს პროდუქციაზე: ლაქ-საღებავები, წებო-ცემენტი
K80
K88
K99
K22
CEMENT
K17
düfa
PROFI
Superweiß
თბილისი 0192, თორნიკე ერისთავის ქ. 1
ტელ: (+995 32) 69 96 97, ფაქსი: (+995 32) 69 30 31
E-mail: info@jaokeni.ge, www.jaokeni.ge

გარეკანის პირველ გვერდზე:
ტაო-კლარჯეთი
იშხნის კათედრალი, გუმბათი

გარეკანის ბოლო გვერდზე:
სოკარ-ჯორჯია პეტროლეუმის ავტოგასამართი სადგური

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კვალი“ გამოდის
2006 წლის ოქტომბრიდან

კომპიუტერული მომსახურება: ***ნანა ყანდაშვილი***

გარეკანის დიზაინი – ***თიკო ბერბერაშვილი***

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge